ვახტანგ გვარამია
გიორგი ციციშვილი

„მეგრული საკითხი“

სახელმწიფოებრივად გაყალბებული
და ალტერნატიული ისტორია

გამომცემლობა “ლეგა”
თბილისი
2009

მონოგრაფიაში წარმოჩენილია ე.წ. მეგრული საკითხის მიზნობრივ-სახელმწიფოებრივად შეთხზული და მკითხველთა ცნობიერებაში გაყალბებულად დამკვიდრებული ვერსია. ამასთან, მასში დღეისათვის ცნობილი ყველა წყაროს, აგრეთვე, მხოლოდ წიგნის ავტორებისათვის ცნობილი დამატებითი დოკუმენტების საფუძველზე, გაანალიზებული და გაშუქებულია "მეგრული საკითხის" მცდარი ვერსიის ალტერნატიული, მართალი ისტორია.

რედაქტორი	პროფესორი ოთარ ჯანელიძე
რეცენზენტები:	პროფესორი დავით სანდოძე პროფესორი გურამ კუტალაძე

ISBN 978-9941-9074-4-9

© ვ. გეარამია
გ. ციციშვილი
2009

ისაკი ქვანია თანამოაგრეთა შორის
(მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი)

სურათი გამოყენებულია ალექსანდრე ჭაჭიას
პირადი არქივიდან, რისთვისაც მადლობას ვუხდით

„მე მიყვარს პლატონი, მაგრამ მე
უფრო მიყვარს ჭეშმარიტება“
(არისტოტელე)

წინათქმა

იშვიათად თუ მოიძებნება საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიით და მოცემული ხანის ქართული კულტურით დაინტერესებული მკითხველი, მითუმეტეს მკვლევარი, რომელსაც მისთვის საინტერესო, საჭირო პუბლიკაციების გაცნობის, ან საქართველოს XX საუკუნის 20-30-იანი წლების ისტორიის საარქივო მასალების ჩხრეკის დროს, არ შეხვედროდეს „მეგრულ საკითხთან“, ანუ „მაფალუიზმთან“ დაკავშირებული ვრცელი მოცულობის საარქივო საქმე, ან ცალკეული ცნობები. ეს არის პროტოქართულ ფესვზე ისტორიის უხსოვარი დროიდან ამოსული, ვერბალური სიმდიდრით უნიკალური მეგრული ენით მოლაპარაკე და ქართველების საერთო სიამყედ გამხდარი დიადი წინაპრების: ძველ ქართველთა ერთ-ერთი გამაერთიანებელი ქუჯის; სამშობლოს დამოუკიდებლობის ურყევი ერთგულების გამო განწირული მეფე გუბაზის; ბიზანტიურ-ევროპული ორიენტაციის დამცველი უებრო ორატორის ფარტაძის; საქვეყნოდ ცნობილი კოლხი სწავლულის, ანტიკურის შემდგომი ახალი მსოფლიო ქრისტიანული აზროვნების მესაძირკველე სახელოვანი ქართველის, დიონისე არიოპაგელის ამღზრდელის, იოანე ლაზის; საქართველოს დიადი მეფე დავით აღმაშენებლის აღმზრდელ-დამკვალიანებელის გიორგი ჭყონდიდელის; ქართული გრამატიკის ერთ-ერთი პირველ მკვლევრის ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის; საქართველოს ტომთა ღირსეულ წარმომადგენელთა უღალატო ძმობა-ურთიერთ თავდადების სიმბოლოდ ქცეული ცოტნე დადიანის; „ქართული ენის გრამატიკის“ სახელმძღვანელოს და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საბუთების კრებულთა ავტორის, თედო ჟორდანიას; სრულიად ქართველთა საამაყო მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას და მისი ღირსეული შვილის, უებრო მამულიშვილისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თვისტომთა უახლესი ისტორია. ეს ტევადი მოცულობის საარქივო საქმე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის, ანუ საქართველოს ყოფილ პარტიის ისტორიის არქივში ინახება, დასათაურებულია რუსულად – „О мингрельском вопросе“. ეს არის რუსულ-ქართულ და მეგრულ ენებზე შესრულებული, ძირითადად ზუგდიდის მაზრის (30-იანი წლებიდან ზუგდიდის რაიონის), მთლიანად სამეგრელოს და აგრეთვე საერთოდ საბჭოთა საქართველოს 20-30-იანი წლების ისტორიის დოკუმენტების კრებული, რომელსაც ავსებს საქართველოს თითქმის ყველა ცენტრალურ არქივში გაბნეული ცალკეული საბუთები. იგი საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეოლოგიის ძალისხმევით, თანამედროვეობას შემორჩა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ 1925 წლის 3 სექტემბერს მიღებული სპეციალური დადგენილების სახელწოდებით, მიზნობრივ-სახელმწიფოებრივად გაყალბებული, ქართველ მეგრელთა და საერთოდ სრულიად ქართველთა ღირსების დამაკნინებელი გაშუქებით.

დიახ, 1920-1930-იანი და შემდგომი წლების მანძილზე პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო დამახინჯებული საქართველოს ისტორიის და მისი ცალკეული პრობლემების, მათ შორის სამეგრელოს ისტორიის კარდინალური საკითხები. ამ დროს იგნორირებული იყო სამეგრელოს მოსახლეობისა და მისი, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, საკუთარ უმდიდრეს, „ობოლ მარგალიტად შენახულ“, „ძველ, ნამდვილი ქართული სიტყვების სალაროდ შემორჩენილ“ (აკაკი), მეგრულ ენაზე მოლაპარაკე გლეხობის ენობრივი ინტერესები. სამეგრელოს მოსახლეობის ამ ნაწილს საბჭოთა 20-იან წლებში, უთუო საჭიროების მიუხედავად, არ აღირსეს სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება მის მშობლიურ ენაზე

ეწარმოებინა საზოგადოებრივი ფუნქციონირება, ხოლო ქართული სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის არმცოდნე გლეხებს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს, გასაგები დედაენით აეთვისებინათ პირველდაწყებითი სასკოლო განათლება.

ხელისუფლება საქართველოში საბჭოთა სისტემის შემოღებისთანავე შეუდგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის რუსული შაბლონით განხორციელებას. მოსახლეობის საერთო მასაში მეგრელი ქართველების უმრავლესობით წარმოდგენილ აფხაზებს ავტონომიური რესპუბლიკის სახით მიანიჭეს ფორმალურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოში მცხოვრებ ოსებს ქართული სოფლებისა და ქართული ქალაქის (ცხინვალის) მიკუთვნებით შეუქმნეს ავტონომიური ოლქი. ქართული ენის მქონე, ქართველი აჭარლები გამოაცხადეს ეროვნებად და ძალით გააერთიანეს აჭარის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. მეგრელებს კი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებით 1923 წელს მხოლოდ შეპირდნენ, რომ მათი ენობრივი თავისებურებების გამო „უნდა რაიმე მივცეთო მეგრულ ენაზე... რომ წაიკითხოს, და მოახდინოს ქართულის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომელიც ღუპავს გლეხობას“.

საქართველოში გატარებულმა საბჭოთა ავტონომიების მშენებლობის დემაგოგიურმა აგიტაცია-პროპაგანდამ და პრაქტიკამ მეგრული ენისა და სამეგრელოს ისტორიის სიყვარულით გამსჭვალული, ლენინური ნაციონალური პოლიტიკით დაბნეული და მოხიბლული ზოგი მეგრელი კომუნისტიც აამოძრავა. მათ პარტიის ბელადების სწავლებით, აჭარლების მსგავსად „ნაციად“ გაიაზრეს მეგრელობა და პარტიულ-სახელმწიფოებრივად დაშეებული ლეგალური მეთოდებით შეეცადნენ იმ სტატუსისა და შეღავათების მოპოებას, რომელიც მიენიჭა საქართველოს სხვა რეგიონში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ მეგრელებს ავტონომიის უფლებისათვის გააჩნდათ ქართულ ენაზე მეტყველ აჭარლებთან შედარებით განსხვავებული ქართველური, მაგრამ დამოუკიდებელი ენა, ხოლო აფხაზებისა და ოსებთან შედარებით ახასიათებდათ მეტი სულადობა და ცხოვრების მეტი კომპაქტურობა, ყოველგვარი, მათ შორის, აუცილებელი საარსებო ენობრივი შეღავათებიც გამოურიცხეს, რადგან მათი ზემოთ აღნიშნული თავისებურებები, აგრეთვე მეგრელი ავტონომისტი კომუნისტებისა და მათი ამყოლი უპარტიოების მოთხოვნები, კომპარტიის რუსულ შაბლონში ვერ ჩაჯდა. ამან ზოგი მეგრელი კომუნისტი ავტონომისტის მხრივ უკურეაქცია გამოიწვია. ისინი შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ ინტერნაციონალური პოლიტიკის მოთხოვნით შეღავათები ეკუთვნოდა არა მარტო ქართული ლიტერატურული და სახელმწიფო ენის არმცოდნე მეგრელ გლეხობას, არამედ, სტალინის აზრისა და საბჭოთა ავტონომიის პრინციპებით ავტონომია უთუოდ ეკუთვნოდა საერთოდ მეგრელობას.

მათ ამ მოთხოვნას ხელისუფლებამ მკაცრი იდეურ-ორგანიზაციული და რეპრესიული ზომები დაუპირისპირა. თავდაპირველად ავტონომისტი კომუნისტების მიმართ გამოიყენეს პარტიის რიგების წმენდა, შემდეგ მოახდინეს ავტონომისტების სრული იგნორირება. მაგრამ ამას 1925 წელს მოჰყვა ავტონომისტების თვითშემოქმედებითი მეგრული კომუნისტური გაზეთის, „ნოთეს“ (მნათობის) გამოცემა და მისი სახელმწიფოებრივი აკრძალვა. ამან გამოიწვია ავტონომისტების ღვარძლიანი საჩივრები მოსკოვის ცენტრში. ეს საჩივრები აღესილი იყო სამეგრელოს მოსახლეობის ინტერესთა იგნორირების როგორც მართალი, ისე მცდარი არგუმენტებითა და საქართველოს ხელმძღვანელთა მიერ მეგრელების მიმართ გატარებული „იმპერიული პოლიტიკის“ ბრალდებებით. შესაბამისად, არ დააყოვნა ხელისუფლების რისხვამ. საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელ მუშაკთა და ქართველ მოღვაწეთა საპასუხო საჯარო გამოსვლებმა, პირადმა წერილებმა და ოფიციალური პრესის პუბლიკაციებმა, პრობლემის საფუძვლიანი გაშუქების ნაცვლად, ქართველი საზოგადოება იმ ყალბი გაგებით დაარწმუნა, რომ თითქოს ეს იყო: ცარიზმის ცნობილი დიდმოხელე რუსიფიკატორების, იანოვსკის, ლევიცკის, ვოსტორგო-

ვის, „მათი აგენტის“, თადა აშორდიას, სხვათა და აგრეთვე მათი მოხალისე ქართველი მიმდევრის, მენშევიკების დროინდელ სამეგრელოში „მაფალუელების“ ჯგუფის ინიციატორის, მასწავლებელ სტეფანე გაგუას წამხედურობა; თითქოს 1925 წელს ზუგდიდში მართალია მოულოდნელად, მაგრამ ნამდვილად გამოვლინდა საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისა და სამეგრელოს დამოუკიდებლად მოწყობის მისწრაფების და უნარის მქონე მებრძოლი „ჩხოუშიელ“ ავტონომისტ „მაფალუელთა“ 28-კაციანი, ორგანიზაციული ჯგუფის მოძრაობა; იგი თითქოს ცარიზმის რუსიფიკატორთა და სტეფანე გაგუას „მაფალუს“ მიზანდასახულობათა მსგავსად, 1925 წელს, საქართველოს მოულოდნელად სამეგრელოს ჩამოშორებითა და დაქუცმაცება-დაღუპვის რეალური საშიშროებით დაემუქრა.

აღნიშნული მამხილებელი საფლაგმანო წერილების ავტორები და პარტიის, ლენინურ-„ინტერნაციონალური“ ეროვნული პოლიტიკით დაბნეული, ვითომ მართლა საქართველოს დამაქცეველი „ჩხოუშიელების“ (ანუ ზუგდიდელი ავტონომისტების) სახელმწიფოებრივი დარბევის უშუალო წამქეზებლები იყვნენ იმ დროს მაღალი თანამდებობის მქონე პარტიული, საბჭოთა და ჩეკას ცნობილი მუშაკები: ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი და ლავრენტი ბერია.

ა. გეგეჭკორის განმარტებით მეგრელებისთვის ქართულის არცოდნა არ ქმნიდა პრობლემას, რადგან მეგრელი ისეთივე ქართველია, როგორიც ქართველი და სხვა მეგრული ენა წარმოადგენს ქართულის კილოკავს, საქართველოს ისტორია ქართული დამწერლობა და ლიტერატურა კი გვეელინება ქართველთა, მათ შორის მეგრელთა შემოქმედებად და კუთვნილებად. ამ სიმართლესთან ერთად, მან ისე, როგორც სხვამ, იმის შესახებ არაფერი სთქვა, რომ: ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მხოლოდ მეგრული ენით ფუნქციონირებდა; რადგან სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობის მეგრელების ერთ ნაწილს არ ესმოდა სხვა ენა გარდა თავისი მშობლიური მეგრული ენისა, საჭირო იყო ამ თავისებურების გათვალისწინება. ამასთანავე, მეგრელ მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა შესისლხორცებული სალაპარაკო მეგრული ენა, რომელიც დამახინჯებული ქართული კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოთა ჩინოვნიკს გამოჰყავდა, არამედ ქართული ენის პარალელურ, ძმა ენას წარმოადგენდა.

ლ. ბერიას ყალბი განმარტებით, მეგრელი ავტონომისტების აღნიშნული ბოროტი აზრების გავრცელებას და „საქართველოდან სამეგრელოს ჩამოგლეჯას“ მხარს უჭერდნენ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი წევრები და „მათი თავმჯდომარე ისაკი ჟვანია, რომელიც „თამაშობს“ მეგრელი ავტონომისტ-სეპარატისტების ბელადის, ცარიზმის დროინდელი ავტონომისტის „ყოფილი ძველი თავადის მიშა დადიანის დუდუკზე“ და ხელს უწყობს მათი იდეების გავრცელებას „საქართველოდან სამეგრელოს ჩამოსაგლეჯად“. მისი, როგორც საბჭოთა სახელმწიფო უშიშროებისა და მართლმსაჯულების ავტორიტეტული წარმომადგენლის შეფასებით, ამ „მაფალუელების“ დანაშაული „კვალიფიცირდება სისხლის სამართლის ბრალდებით“. აღნიშნულის გამო, ბერიამ, როგორც მართლწესრიგის დამცველმა და საქართველოს ჩეკას ფაქტობრივმა მეთაურმა, საქვეყნოდ მოითხოვა: „განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა ასტეხა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩხოუშიელი ავტონომისტების საკითხი ხელისუფლებამ შეაფასა, როგორც პოლიტიკური საკითხი.

საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით, ცარიზმის რუსიფიკატორების ფესვზე ამოსული სტ. გაგუას „მაფალუს“ მიმდევრებმა 1925 წელს სრულიად მოულოდნელად საბჭოთა საქართველოს თავს მოახვიეს ახალი დიდი საშიშროება ამ ვითომ მართლა დიდი ეროვნული, სინამდვილეში ვირტუალური საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს პარტიულმა ცენტრმა შეიმუშავა ღონისძიებების სისტემა, რომელმაც წარმატებით იმუშავა. ქართული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხების, მათი შვილებისა და შვილიშვილების ენობრივი ფუნქციონირების პრობლემა კი, 1930-იან წლებამდე სრულიად მოუგ-

ვარებელი დარჩა. ოფიციალურად „ასაბუთებდნენ", რომ მეგრული იგივეა რაც ქართლური, კახური, იმერული, გურული და სხვ. სწორედ ეს ასაზრდოებდა სამეგრელოს ავტონომიის და მეგრული კულტურის შექმნის მოსურნე ერთეულების, ე.წ. „მაფალუელების", აქტიურობის ენერგიას.

დღემდე სიმართლედ გასაღებული სათანადო ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, პარტიას და ხელისუფლებას საქართველოს გამთიშველების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მხარში ამოუდგა პატრიოტული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლობა — თედო სახოკია, აკაკი ფაღავა, კონსტანტინე გამსახურდია და სხვ. მათ მიერ რუსთაველის თეატრში მოეწყო თბილისში მცხოვრები სამეგრელოს მკვიდრი ქართველი მოღვაწეების კრება, რომელზეც მთავარი მომხსენებლის თედო სახოკიას და სხვა სიტყვით გამოსულთა მიერ მიღწეული იქნა „მაფალუელების" იდეური განადგურება.

თანადროული პრესის ინფორმაციით, სახელმწიფო და საზოგადო მუშაკთა ერთობლივი, საერთო ძალისხმევით, იმჯერად, შესაძლებელი გახდა ცარიზმის რუსიფიკატორთა და მათ ქართველ დამქაშთა საქმის გამგრძელებელ, მათ შორის „მაფალუს" მიმდევართა მიერ, საქართველოსთვის თავსმოხვეული დიდი ეროვნული საშიშროების მომასწავებელი, ჩხოუშიელი ე.წ. „მაფალუელების" შემოტევის მოგერიება და სამეგრელოს გარდაუვალი დაღუპვისაგან გადარჩენა, მაშასადამე, ამჯერად მოხერხდა საქართველოს გადარჩენაც. სათანადო ისტორიის წყაროები კი დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ სინამდვილეში ერთეულ დაბნეულ „ჩხოუშიელ" კომუნისტებსა და მათ ამყოლ უპარტიოებს არავითარი სერიოზული ანტიქართული პრობლემის შექმნა არ შეეძლოთ და არც შეუქმნიათ, რადგან არ არსებობდა ამის სოციალურ-ფსიქიკური საფუძველი. ქართული პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენელთაგან ხელისუფლების მიერ მეგრელი ავტონომისტების წინააღმდეგ პოლიტიკურად ორგანიზებულ შოუში ზოგი იძულებით, ზოგი სოლიდარობით მონაწილეობდა, მაგრამ ამის შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა. ეს საზოგადოებისთვის დღემდეც გაუცნობიერებლად რჩება.

შემდგომი პუბლიკაციებიდან ისე ჩანს, რომ თითქოს ისაკი ჟვანიას და მისი თანამოაზრე ჩხოუშიელების ანტიქართული საქმიანობა მომდევნო წლებშიც არ დამცხრალა. სათანადო ოფიციალური ცნობებით, 20-იანი წლების ბოლოს და 30-იან წლებში ისაკი ჟვანიას და მაფალუელთა გააქტიურებამ საქართველოში დეცენტრალიზაციის ახალი მოღალატური ტენდენციები და პროცესები ასაზრდოვა, ე.წ. „მაფალუიზმის" ისტორიის ვერსიით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა 1935 წელს გამოავლინეს საქართველოს დაქუცმაცება-დაღუპვისათვის მებრძოლი მაფალუიზმის ხელმძღვანელობა და მიუსადაგეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო (8—58/10, 58/11. 58/12) მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ზოგმა ავტორმა „დაგვისაბუთა" რომ თითქოს 1920-30-იანი წლების „მაფალუიზმის" გამოცოცხლებით გამოწვეული გარდაუვალი დაღუპვისაგან საქართველო იხსნა, „მაფალუიზმის" წინააღმდეგ ბრძოლების ორგანიზატორმა ლავრენტი ბერიამ. თითქოს, საბედნიეროდ, იმჟამინდელი საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, ლ. ბერიას მეთაურობით კვლავ ეროვნული ინტერესების მოწოდების დონეზე აღმოჩნდა და გადადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი — სამეგრელოს მოაშორა დეცენტრალიზაციის მოტრფიალე ელემენტები, მკაცრი ადმინისტრაციული ზომებით შეაჩერა საქართველოს ინტერესებისათვის დამღუპველი ტენდენციები და პროცესები, და ამით ხელი შეუწყო, როგორც საქართველოს კიდევ ერთ გადარჩენას, ისე ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცებას.

ზემოთ აღნიშნული აზრების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო 1920-30-იან და შემდგომ წლებში გამოქვეყნებულმა არა მარტო ოფიციალურმა სამთავრობო პუბლიკაციებმა, არამედ ქართული ინტელიგენციის ცნობილი ავტორიტეტების

თედო სახოკიას, ნიკო ბერძენიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ზვიად გამსახურდიას და სხვათა მსგავსი კონცეფციით გაშუქებული იმ აზრების გამოქვეყნებამ, რომლებშიც ნაწილობრივ არქივებში დაცული ოფიციალური მასალების მცდარი ინტერპრეტაცია და იმ დროს გავრცელებული შეხედულებებიც აისახა.

მხედველობაში გვაქვს, კერძოდ: 1925 წელს რუსთაველის თეატრში თედო სახოკიას მიერ წაკითხული და გამოქვეყნებული მოხსენება, 1932 წელს მისი მიზნობრივად, მეორედ, 1992 წელს კი მესამედ გამოქვეყნება; 1953 წელს „მიმომხილველში" (ტ. III) ნიკო ბერძენიშვილის მიერ ისაკი ჟვანიას ანტიქართულ პიროვნებად შეფასება; 1988 წელს ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" კონსტანტინე გამსახურდიას იმ წერილის დაბეჭდვა, რომელშიც წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მეგრული სახელმძღვანელოს, „ჭითა ჩხორიას" სახელმწიფოებრივი გამოცემა გააზრებულია, როგორც ი. ჟვანიას ვოსტორგოვისეული მოქმედება; 1989 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" ზვიად გამსახურდიას მიერ მეგრული პარტიკულიარიზმის ი. ჟვანიასეულ გამოვლინებად მიჩნეული, რუსულ ენაზე შესრულებული და სამურზაყანოში გავრცელებული ხელნაწერი წიგნის კრიტიკული ანალიზის გამოქვეყნება; 1992 წლის ექსტრემალურ სიტუაციაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" თედო სახოკიას მოხსენების მესამედ და მისადმი ახალი კონიუნქტურის შესაბამისი წანამძღვარით გამოქვეყნება, რომელმაც ე.წ. „მაფალუიზმის" მცდარი ისტორიის სახელმწიფოებრივი ვერსიის დამაჯერებლობის გაძლიერების, მისი პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების წამბიძგებელი როლი შეასრულა.

თ. სახოკიას მოხსენების 1992 წლის პუბლიკაციის წანამძღვარში ნათქვამია: „საუკუნეთა შესაყართან საქართველოში კვლავ დატრიალდა ძველი ისტორია — ისტორია, რომელიც მეზობელ ჩრდილოეთის იმპერიასთან 200-წლიანმა ურთიერთობამ გამოჭედა. საქართველოს სახელმწიფოს შიგნით სეპარატისტულ ტენდენციებს რომ არსებითად გარეშე იმპერიული მისწრაფებები და ერთი მუჭა ადგილობრივი ავანტიურისტების ანგარება ასაზრდოებს, ეს დღესაც თვალნათლივ გამოჩნდა.

ისტორია მხოლოდ მეცნიერებისათვის როდი იწერება, მომავალმა წარსულის გაკვეთილებით უნდა იხელმძღვანელოს, რათა მისი შეცდომები არ გაიმეოროს. ამ მარტივი ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ ნათელსაყოფად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს ახლო წარსულის ამსახველ მასალას, რომელიც შეეხება ამ საუკუნის 20-იან წლებში ე.წ. „ავტონომისტების" ძირგამომთხრელ საქმიანობას და მათ წინააღმდეგ პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა ბრძოლას სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად" („ს.რ.", 12 სექტემბერი). როგორც ვხედავთ ამ რუბრიკითა და თ. სახოკიას მოხსენების მესამედ გამოქვეყნებით გაზეთმა „მაფალუიზმის" ყალბი ისტორია ახლა საზოგადოებრივი აზრის „დასამოძღვრად", კანონიერი პრეზიდენტის დამამხობელი, ახალი, უზურპატორი ხელისუფლების სამსახურისთვის და სახელმწიფო გადატრიალების უკანონობის წინააღმდეგ ამხედრებულთა დასათრგუნად გამოიყენა.

სამთავრობო გაზეთის ეს მოწოდება, თ. სახოკიას მოხსენება და გამოხმაურებები საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის განდევნის გამო რესპუბლიკაში შექმნილი უკიდურესად კრიზისული სიტუაციის სტაბილიზაციას ისახავდა მიზნად, მაგრამ მან რეალური ისტორიის გამოცდილებათა ოფიციალური ყალბი ვერსიის წარმოჩენით და მისი მოქმედების მეთოდოლოგიურ ბერკეტად გამოყენებით, ხელი შეუწყო შესაბამისი მცდარი პუბლიკაციების მომრავლებასაც. სამშობლოს ბედით შეჭირვებულმა და „მაფალუიზმის" სახელმწიფო ვერსიით ცდომილმა ზოგმა მწიგნობარმა სამთავრობო გაზეთის მოწოდებას იმით უპასუხა, რომ „მეგრული საკითხის" ისტორიის ცნობილი, ოფიციალური კონცეფციითა და ფაქტოლოგიით აღიჭურვა და გამოაცხადა: სტ. გაგუას ავტონომისტობა მართლა არსებობდა, მაგრამ იგი ისტორიის კარგად მივიწყე-

ბული სიმართლეაო; ზოგმა სახელმძღვანელოდ გაიხადა თედო სახოკიას და სხვათა მიერ „მაფალუს“ შესახებ გამოთქმული მცდარი აზრები; ზოგს ბერიას მიერ ი. ჟვანიას შეფასება მოეჩვენა მართებულად; ზოგმა დაიჯერა, რომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი, ი. ჟვანია და მისი ჯგუფი მფარველობდა და აქეზებდა ავტონომისტებს, ი. ჟვანია იბრძოდა სამეგრელოს სკოლის გამეგრელებისათვის, მან გამოსცა მეგრული გაზეთები, სახელმძღვანელები, იგი შეეცადა მეგრული კულტურის მშენებლობას, სამეგრელოს ავტონომიის მოპოებას, საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფას და მის გამეგრელებას. ამრიგად ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელის ი. ჟვანიას ფენომენი, მეგრული პარტიკულიარული მისწრაფება-მცდელობების განზოგადებულ, ვირტუალურ სახედ გადაიქცა. იგი მკითხველმა „მაფალუიზმის“ იმ ოდიოზურ ინიციატორად და წამქეზებელად იწამა, რომლის რეციდივების რეანიმაცია ამდროინდელი ხელისუფლების მიერ გავრცელებული, მოარული ხმებით, ახლა თითქოს კვლავ გამოცოცხლდა და თანამედროვე სამეგრელოდან „ნეომაფალუიზმის“ სახით საშიშროებას გვემუქრებოდა...

ოფიციალური ხელისუფლების მიერ ნასაზრდოები იდეოლოგიური კონიუნქტურის გავლენით 2000 წელს გამოქვეყნდა „მეგრული საკითხის“ ისტორიის ცნობილ კონცეფციაზე და ისტორიის წყაროების გაგების შესაბამის მეთოდიკაზე დაფუძნებული გამოკვლევა – საჟურნალო სტატია. მასში ი. ჟვანიას საქმიანობა და ისტორია გაშუქებულია, როგორც სამეგრელოში, არსებული, ი. ჟვანიას მიერ წაქეზებულ-ნასაზრდოები საქართველოს დეცენტრალიზაციის საშიში „ტენდენციები და პროცესები“. ავტორის მცდარი აზრით, 30-იანი წლების ეროვნული ღალატის მცდელობის ზღვართან მისული „მაფალუისტური“ საქმიანობით საქართველოს ერთიანობას ახალი, დიდი საფრთხე დაემუქრა, მაგრამ საბედნიეროდ, იმდროინდელმა ხელისუფლებამ სწორად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას. ადმინისტრაციული ზომებით შეძლო მისი მოგერიება და ქართული ცნობიერების დამკვიდრება. მისივე და სხვათა მსგავსი აზრით, „მაფალუიზმის“ მოგერიებაში ბერიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა და, მაშასადამე, მისი დამსახურებაც უდაოა. ავტორის კვლევით ჩამოყალიბებული აზრის გაცხადებით, „მაფალუიზმის“ 20-30-იანი წლების ისტორიის გამოცდილება „ჩინებული გაფრთხილებაა იმ მედროვეებისათვის, ვინც დღესაც ცდილობენ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს ანაცვალონ ერის მომავალი“. მათში, როგორც ჩანს, ნაგულისხმევია საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ერთგული მოსახლეობა.

„მეგრული საკითხის“ ზემოთ აღნიშნული გაგება მისაღებად მიიჩნიეს მომდევნო პუბლიცისტებმა. ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული ოფიციალური კონცეფციის ალტერნატიული აზრის დამკვიდრებას. ამ მიზნით ჯერ ჯერ 2003-2005 წლებში გამოვაქვეყნეთ თეზისური განცხადებები. მაგრამ მას, იმუამად, დადებითად არავინ გამოეხმაურა. იგი ზოგმა საეჭვოდ და არამეცნიერულად მიიჩნია. მათგან ერთმა ალტერნატიული მიზანდასახულობა მეგრული „კუთხური სეპარატიზმის წაქეზებისათვის ჩაფიქრებულად (თუ დავალებულად)“ გაგვიყალბა. ამ უხეირო გამოხმაურებას, წინამდებარე წიგნის ერთმა თანაავტორმა, გ. ციციშვილმა, „მაფალუს“ ალტერნატიული ისტორიის წარმომჩენი დოკუმენტურ-ანალიტიკური გამოკვლევით უპასუხა. ამჯერად „მაფალუს“ ყალბი ისტორიის საწინააღმდეგო „მეგრული საკითხის“ ალტერნატიული კონცეფცია, ისტორია და არგუმენტაცია ზოგი გონიერი, კეთილგანწყობილი მკითხველის მიერ გაგებული იქნა სწორად, სამეგრელოს უახლესი ისტორიის გაყალბებით და თანამედროვე გაუსაძლისი მდგომარეობით შეჭირვებულ-შეშფოთებული და საქართველოს კრიზისული მდგომარეობიდან სწრაფი გამოყვანით დაინტერესებული ავტორის ნაღვაწად. ამაე დროს ის აზრიც გამოითქვა, რომ საჭირო იყო „მეგრული საკითხის“ ისტორიის ამომწურავი გაშუქების პრეტენზიის მქონე ფუნდამენტური ნაშრომის გამოქვეყნება. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ეძღვნება ჩვენი ერთობლივი, წინამდებარე მონოგრაფია, მრავალი ცნობილი

მოღვაწის სხვადასხვა მიზეზით გამოთქმული მცდარი აზრების გაბათილების აუცილებლობა. რადგანაც ეს შეხედულებები „მეგრული საკითხისა“ და „მაფალუიზმის“ ისტორიის ყალბ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ვერსიასთან ერთად, დამატებით საფუძვლად დაედო „მეგრული საკითხის“ არასწორ გააზრებას, საერთო ქართველურ ტომთა ცნობიერების შებღალულ ჩამოყალიბებასა და გაგებას. ამდენად, გარდაუვალი გახდა მათი უმართებულო გამონათქვამების კრიტიკა.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ „მეგრული საკითხისა“ და „მაფალუიზმის“ რეალური ისტორიის არაადეკვატურმა გაშუქებამაც შეუწყო ხელი სამეგრელოს რეგიონის მკვიდრთა და საერთოდ ქართველთა ცნობიერება-განწყობილების მეგრული სეპარატიზმის სიყალბით მოწამვლას. ჩვენი აზრით, იგი მშვენიერად ასახა, ერთი მხრივ, საქართველოში სამოქალაქო ომის დროს სამეგრელოში განხორციელებული დანაშაულობების იდეოლოგიურმა გამოვლინებებმა, ხოლო მეორე მხრივ მავანთაგან გულდამწვარი პოეტის შემდეგმა სტროფებმა:

ართი ხატი, ართ ღორონთი,
ართ ოდიში, ართი ქართი
. . .
გიურთგულე მე ბოლომდე
შენ კი მაინც არ გიყვარდი
. . .
დარდი ვზიდე შენი წილი,
შენ კი მაინც არ გიყვარდი
. . .
ბევრი სიძულვილის გამო,
ბევრი ბოროტების გამო,
კიდევ ბევრი შურის გამო
ჭყელი ეორეთ ერებამო

განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ „მეგრული საკითხის“ ყალბი ისტორიის გამოყენება გასცდა საქართველოს ფარგლებს. თურქეთში ლაზების თვითცნობიერების გაძლიერების მიზნით გამომავალ ჟურნალ „ოგნის“ ზოგმა თანამშრომელმა „მეგრული საკითხის“ ისტორიის 1920-30-იანი და შემდგომი წლების გაუკუღმართებანი გაიგო, როგორც მეგრელების განმთავისუფლებელი მოძრაობის არსებობა. ზოგმა უცხოელმა ავტორმა საკუთარი კვლევის ინტერესებს დაუკავშირა ტოტალიტარული საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრიობაში დაბნეული და დაუმორჩილებელი ე.წ. „მაფალუელი“ მეგრელების ბედის გამოკვლევა. ქართველ სპეციალისტთა საგაზეთო პუბლიკაციებიდან ცხადი ხდება, რომ ერთ-ერთი გერმანელი ეთნოლოგი დაინტერესებულა არა მარტო მეგრული ენის თავისებურებებით, არამედ ისაკი ჟვანიას ამბებით. მეგრული გაზეთებით, რომლებიც, მისი თქმით, დაუწვავთ. გაუკუღმართებელად ინფორმირებულ „ოგნის“ ერთ ავტორს გამოუთქვამს აზრი – ქართველების მიერ მეგრელების „ასიმილაციის“ მცდელობის, სხვას კი, „მეგრელების ძალით გაქართველებისა“ და „აფხაზეთ-სამეგრელო-სვანეთის მიწების ექსპანსიის“ შესახებ. „ოგნის“ ერთ-ერთი წერილის, მრუდედ დაკვალიანებული ავტორის აზრით, „მომმე ხალხი — მეგრელები და აფხაზები ახალი ოქროს საწმისის ქვეყნისათვის, მისი აღორძინებისათვის საბრძოლველად ემზადებიან“ (იხ: „საქართველოს რესპუბლიკა“ 1994, 5-6 მაისი; 21 ივლისი; „ახალი თაობა“, 2000, 12 მაისი და სხვა). ეს მხოლოდ ის მცირე ინფორმაციაა, რომელმაც ჩვენამდე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე მოაღწია, მაგრამ თანამედროვე საქართველოს ძირძველი აფხაზეთ-სამაჩაბლოს ტერიტორიების რუსული ექსპანსია, რუსეთის მმართველების მხრივ გამოვლენილი იმპერიული პოლიტიკით მიტაცებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის შემომტკიცებისა და ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემების უკიდურესი გართულება, უთუოდ მრავალი მსგავსი და სხვა ახალი „სიურპრიზითაც“ გვემუქრება.

„მეგრული საკითხით“ ანტიქართული სპეკულაცია განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს, რუსი აგრესორების მიერ შიდა ქართლისა და სამეგრელოს ოკუპაციის დროიდან გაძლიერდა. თანამედროვე, რუსული პრესა, რომელიც მისი ხელისუფლების იმპერიული მისწრაფებების გამართლებას ეწევა, გეიწინასწარმეტყველებს, რომ „ქართული პოლიტიკით უკმაყოფილო საქართველოს რეგიონები დაშლის ზღვარზეა.“ ამის საილუსტრაციო უამრავ მაგალითს შო-

რის აფხაზეთისა და ზემოქართლის სეპარატისტთა ანტიქართული საქმიანობის გვერდით, წინა პლანზე ამდროინდელი სამეგრელოს ცხოვრების ზოგ გამოვლინებათა მიზნობრივი ინტერპრეტაციები გამოაქვთ.

რუსი ჟურნალისტების ინფორმაციით, „ზუგდიდში განახორციელეს მეგრული ფულის პირველი ემისია... მეგრელები სახელმწიფო ენად მეგრულის გამოცხადებას აპირებენ და კონსტიტუციასაც წერენ. მეგრელების წაბაძვით სვანებს, აჭარლებს და კახელებსაც მოუნდომებიათ „დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება“... ზოგი რუსი ჟურნალისტი წერს, თითქოს „სამეგრელოში აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან და ყოველთვის მეგობრობდნენ რუსებთან.“

პოლიტოლოგ მ. არეშიძის თქმით, „ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ხელისუფლების ზრახვებს მედია ახმოვანებს.“ იგი აცხადებს: „მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთში არსებობს სამეგრელოს აფხაზეთთან შეერთების გეგმა და ამაზე გარკვეული სამსახურები აქტიურად მუშაობენ“. პოლიტოლოგი რ. საყვარელიძე აცხადებს, რომ „საქართველოს დაშლა რუსეთის დიდი ხნის სურვილია და შესაფერის მომენტს ის ხელიდან არ გაუშვებს“. თითოეულ მათგანს თავისი აზრის გასამაგრებლად მოჰყავს შესაბამისი ფაქტები, რომლებიც სხვა პუბლიცისტების მსგავს აზრებთან და სამეგრელოს 20-იანი წლების სეპარატისტულ გამოვლინებებთან ასოცირდება (იხ. ქ. ლომაია, რუსეთი საქართველოს მარტივ მამრავლებად დაშლას გეგმავს... გაზ. „ჯორჯიან ტაიმსი“ — „ქართული გაზეთი“, 2008, №41).

როგორც ცნობილია, დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს და გაუბედურებული სამეგრელოს ბედით შეჭირვებული პატრიოტი ავტორები ჯერ კიდევ 1990-იანი წლების მოვლენებით შეშფოთებულები გვაფრთხილებდნენ: „პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზი სეპარატისტები სამურზაყანოელებს სთავაზობენ მზაკვრულ წინადადებას — „დაეწერონ მეგრელებად“ და სანაცვლოდ მიიღებენ მხარდაჭერას, ძველი მეგობრებისა და ნათესაობის აღდგენას, შეღავათებსა და კეთილდღეობას“ (ვლ. გაგუა, ფრთხილად მზაკვრობაა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 14 ივნისი). მოგვიანებით გვაფრთხილებდნენ, რომ გალში ადგილობრივი მეგრულ-აფხაზურ-რუსულ-ენოვანი გაზეთის („გალ“) გამოცემის შემდეგ დაიგეგმა აფხაზეთ-სამურზაყანოს აფხაზურ-მეგრული მოსახლეობის ძირითადი საკომუნიკაციო მეგრულ-აფხაზურ ენოვანი ტელევიზიის გახსნა, რომელიც მაუწყებლობით სამეგრელოს გარდა მიმდებარე ტერიტორიებსაც დაფარავსო (ჯ. ჯოჯუა, აფხაზეთმა საინფორმაციო ომი გამოგვიცხადა, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2007, №32).

ახლა უკვე ვგებულობთ, რომ „ცოტა ხნის წინ ბევრმა მეგრელმა, რომელსაც ინტერნეტ-მისამართი აქვს, ფოსტით მიიღო კითხვარი, რომელიც „სეპარატისტული კითხვების“ მთელ ბუკეტს შეიცავს“. მათ შორის ერთ-ერთი კითხვა ასეთია: „რას ფიქრობთ სამეგრელოს აფხაზეთის შემადგენლობაში შესვლაზე“. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო დამატებითი ცნობები გვხვდება გაზეთ „ქრონიკის“ (№40) ფურცლებზეც (იხ.: გ. მესხია, „გინდათ რომ იცხოვროთ გამოყოფილ სამეგრელოს სახელმწიფოში“, 2008 6-11 ოქტომბერი).

ქართველი პოლიტოლოგების აზრით, „რუსეთი მხოლოდ ამ „უწყინარი“ კითხვებით და უნიჭო „სტატიებით“ არ შემოიფარგლება“. ამიტომ მათ საჭიროდ მიიჩნიეს რუსეთის სპეცსამსახურების მხრივ ქართული მოსახლეობის „დავერბოვკება“ — გადაბირების მხილება და ჩვენი უახლესი ისტორიის შესაბამისი მაგალითების წარმოჩენით რუსული იდეოლოგიური შემოტევების მოგერიება. ამ ეროვნულ-პოლიტიკური მიზანდასახულობით ზოგი პოლიტოლოგი კვლავ შეგვახსენებს სამეგრელოს 1920-იანი წლების თავისებურად გაგებულ „ისტორიის გამოცდილებას“. ისინი „ქართული გაზეთის“ მეშვეობით გვახსენებენ, რომ „მე-20 საუკუნის ოციან წლებში გენერალი სიტინი სამეგრელოს საქართველოსაგან გამოყოფის გეგმას, ცხადია, რუსეთის დაკვეთით ანვითარებდა“, და დასძენს თითქოს „სამეგრელოში მას ჰყავდა თავის მოკავშირე ისაკ ჟვანია, რომელიც 30-იან წლებში დახვრიტეს. აგვისტოს მოვლენე-

ბის დროსაც შეიმჩნეოდა ამ ტენდენციის განვითარება, როდესაც რუსული არმია, შიდა ქართლისაგან განსხვავებით, კორექტიულობით გამოირჩეოდა (მეგრელი –ავტ.) მოსახლეობისადმი". თურმე „... რუსული შეიარაღებული ძალების ქართველი ეროვნების ოფიცრები მოსახლეობასთან კერძო საუბარში საქართველოდან გამოყოფას და აფხაზეთთან შეერთებას ურჩევდნენ" („ქართული გაზეთი", 2008, 9-16 ოქტომბერი). მაშასადამე, მეგრელების ანტიქართული განწყობილება და ისაკი ჟვანიას მიერ გენერალ სიტინის ბოროტი ზრახვების „გამეორება", რუს ოკუპანტებს თანამედროვე შეიარაღებაშიც ჰქონიათ, მაგრამ მეგრელების ანტიქართული განწყობილება და ი. ჟვანიას ცნობილი რუსიფიკატორის, სიტინის გამეორებად გაგება სინამდვილეში ჩვენი უახლესი ისტორიის ათწლეულების მანძილზე გაყალბებული გაგებით გამოწვეული შეცდომაა. ი. ჟვანიას მიერ სიტინის განმეორება რეალური ისტორიით არ დასტურდება. ი. ჟვანია არც „30-იან წლებში დახვრიტეს". იგი 1946 წელს თავისუფალ გადასახლებაში გარდაიცვალა. როგორც ვხედავთ, ი. ჟვანიას მოღვაწეობის მცდარ გაშუქებასთან ერთად, კვლავ მუშაობს ამ შეცდომების გამოყენების კონკრეტული გამოვლინებაც.

არ გამოვრიცხავთ, რომ თანამედროვე ქართველებსა და, მათ შორის, მეგრელებში მართლაც არიან სვიმონ შეფის დამბეზღებელ ყორღანაშვილის, სამეგრელოს საქართველოდან გამთიშველი თ. აშორდიას და ილია ჭავჭავაძის მკვლელ ქართველთა თუ სიკოფანტიზმით დაავადებულ სამარცხვინოთა მსგავსნი. მაგრამ ახალი და უახლესი ისტორიის რეალური გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სამეგრელოში არასდროს ყოფილა ზოგ „მცოდნეთა" მიერ ვითომ დანახული ანტიქართული პროცესები და მისი საფუძვლის დამდები ტენდენციები.

სათანადო ისტორიის წყაროების მყარ საფუძველზე დამყარებული და გამოქვეყნებული ალტერნატიული გამოკვლევით (იხ.: „მაფალუ", თბ. 2007) ცხადი ხდება, რომ იმდროინდელ საქართველოში ყველა სხვა პოლიტიკურ პარტიათა შორის, ყველაზე თანმიმდევრული პატრიოტული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების, მასწავლებელ სტეფანე გაგუას და სტუდენტ მიხეილ კანკავას ინიციატივით, მათ მიერ 1918-1919 წლებში ფოთსა და სენაკში დაარსებულმა „მაფალუს" ჯგუფმა მიზნად დაისახა არა სამეგრელოს ავტონომისტური პარტიის შექმნა და სამეგრელოს ავტონომიის მოპოვება, არამედ ცარიზმის კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებული საქართველოს მშობლიური კუთხის, სამეგრელოს კულტურული დაწინაურება. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ საერთო ეროვნული, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეგრული გამოვლინების, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი უძვირფასესი ფოლკლორული მასალის და არქეოლოგიის ნიმუშთა მოძიება-შეკრებას და საერთო ეროვნულ საუნჯედ წარმოჩენას. ამასთანავე, „მაფალუს" ჯგუფის შექმნის ინიციატორმა სტ. გაგუამ, დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში განახორციელა სამეგრელოს პირველდაწყებით ქართულ სკოლებში, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის უცოდინარი ბავშვების სწავლება მათი დედაენა მეგრულის ინტენსიური გამოყენებით. იგი ფოთის გიმნაზიის ქართულის არმცოდნე ბავშვებს შესაძლებლობას უქმნიდა მეგრულის აქტიური გამოყენებით დაეძლიათ სახელმწიფოებრივი-ლიტერატურული ქართული ენის ათვისების სიძნელე. მას ამასთანავე მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მომძლავრების კვალობაზე, საჭირო იყო მსოფლიო და ქართული პროგრესული პედაგოგიური აზრის გათვალისწინებით, ქართულის არმცოდნე (უპირატესად სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი), მეგრელ გლეხთა შვილების პირველდაწყებითი სწავლების მათთვის გასაგები ენით განხორციელება.

„მაფალუს" ჯგუფის ლიდერებმა თავიანთი კულტურული მიზანდასახულობათა მეგრული ენის საფუძველზე განხორციელებისა და პოპულარულობის მიზნით გამოიყენეს ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწისა და სამეგრელოს მკვიდრის, იონა მეუნარგიას დასაფლავებაზე შეკრებილთა, მათ შორის

მეგრელი გლეხების სიმრავლე. სამგლოვიარო მიტინგზე, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ეროვნულ-პოლიტიკური შინაარსის სიტყვებს შორის, „მაფალუს“ წარმომადგენელმა, ეროვნულ-დემოკრატმა მ. კანკავამ, უმრავლესობისათვის გასაგებ მეგრულ ენაზე წარმოაჩინა განსვენებულის ღვაწლი.

ფართო მასებიდან კომუნიკაციის საშუალებად მეგრული ენის გამოყენებას ყოველთვის ჰქონდა ადგილი. მაგრამ მ. კანკავას მიერ მეგრულ ენაზე საჯაროდ წარმოთქმულმა გამოსათხოვარმა სიტყვამ, ახალგაზრდა, სუვერენულ დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-გაძლიერების გზაზე მდგომი საქართველოს ეროვნული ინტერესების მქონე პოლიტიკოსთა და სამგლოვიარო მიტინგის დამსწრე პარტიების წარმომადგენელთა ერთ ნაწილში, რომელთაც კარგად ახსოვდათ ცარიზმის რუსიფიკატორებისა და მათი დამქაშების მიერ მეგრული ენის გამოყენებით საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მისწრაფება და მცდელობა, უსაფუძვლო ეჭვი და გაუმართლებელი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

„მაფალუელების“ მიერ მეგრულ ენაზე გაკეთებული გაცხადება, იმდროინდელი საქართველოს უაღრესად რთული პოლიტიკური ვითარების, ქართული პოლიტიკური პარტიების მწვავე ურთიერთდაპირისპირებისა და შიდაპარტიული კონფლიქტების დროს, მათი ჭეშმარიტი მიზნებისა და სწორი ქმედების მიუხედავად, ზოგმა გაუკუღმართებულად გაიგო. გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც საკუთარი ხედვით, „მაფალუელობა“ ანტიეროვნულ წამოწყებად, ახალი მეგრული ავტონომიური პოლიტიკური პარტიის დაარსების მიზნით ხალხში გადასროლილ საპროგრამო სიტყვის მნიშვნელობით გაიაზრა. მათ ვერ ამოიცნეს, რომ „მაფალუელთა“ კულტურული საქმიანობა სამეგრელოს რეგიონში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სულისკვეთების ერთგვარ გამოვლინებასაც წარმოადგენდა, რომელიც ამ გზით მიზნად ისახავდა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა უზრუნველყოფას, ისე თავისი ჭეშმარიტად ეროვნული პარტიის გარშემო მასების შემდგომ მობილიზებადარაზმვას.

„მაფალუს“ მიმართ განსაკუთრებით მტრული დამოკიდებულება გამოავლინეს ეროვნულ-დემოკრატების მიმართ ოპოზიციურმა სოციალისტ-ფედერალისტებისა და სამთავრობო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიების მეგრელმა წარმომადგენლებმა — აკ. კობახიძემ და შ. ჩოჩიამ. მათ თავიანთი პარტიების მთავარ ორგანო-გაზეთებში „ერთობასა“ და „სახალხო საქმეში“, „მაფალუ“-ს ლიდერების წინააღმდეგ გამოაქვეყნეს აშკარად უპასუხისმგებლო, მტრული შეფასებების შემცველი სტატიები, რომლებშიც მათ დასწამეს საქართველოს მიმართ მტრული, ავტონომისტური მისწრაფების მქონე პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა.

აღნიშნულმა ყალბმა შეფასებებმა ამ გაზეთების მკითხველსა და ამბის გამგებ ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს „მაფალუ“-ს ჯგუფის და მისი დამაარსებლების შესახებ შეუქმნეს მცდარი, ანტიეროვნულ-პარტიკულარული, მეგრული მისწრაფების შთაბეჭდილება. ამით შეიქმნა არა მარტო „მაფალუ“-ს საქმიანობის დისკრედიტაციის, არამედ მისი დაარსების ინიციატორების სამშობლოს მოღალატეებად შერაცხვის საშიშროება. უაღრესად აუტანელი შეიქნა „მაფალუ“-ს იდეის მთავარი ინიციატორისა და მრავალმხრივ გამჟღავნებული ეროვნული პატრიოტი პედაგოგის, სტ. გაგუას პირადი მდგომარეობა. მაგრამ მისმა შინაგანმა მართალმა, ეროვნულმა პოზიციამ და გამყალბებელი, დამფრთხალი გონების პატრიოტების მიერ გამრუდებული სიმართლისათვის ბრძოლის აუცილებლობამ, სტ. გაგუასა და მ. კანკავასგან მოითხოვა მათ წინააღმდეგ წამოწყებული პარტიულ-პოლიტიკანური ცილისწამების მოსაგერიებელი დიდი ძალისხმევა. ისინი მოწოდების სიმაღლეზეც აღმოჩდნენ. ამ წარმატებული ბრძოლის გამოვლინებას წარმოადგენდა მათ მიერ პრესაში გამოქვეყნებული რეალური სიმართლის პრინციპულად და დამაჯერებლად წარმომ-

ჩენი წერილები, აგრეთვე სტ. გაგუას მიერ შ. ჩოჩიას ცილისმწამებლური წერილის გამო მოწვეული სამედიატორო სასამართლოს განაჩენი.

„მაფალუ"-ს ცილისმწამებელთა და მისი რეალური მიზანდასახულობის წარმომჩენთა პოლემიკურმა წერილებმა, სტ. გაგუას უბის წიგნაკის პირადი ჩანაწერების შინაარსმა, აკ. კობახიძის მიერ პოლემიკის გაგრძელებაზე უარის თქმამ, აგრეთვე ნეიტრალური სამედიატორო სასამართლოს განაჩენის გამოქვეყნებამ და „მაფალუელი" სტ. გაგუას და მ. კანკავას საქმიანობის შემფასებელი, ცნობილი პატრიოტების შემდგომში გამოქვეყნებულმა დახასიათებებმა, ცხადი გახადა „მაფალუს" და მისი ორგანიზატორების ნამდვილი მიზანდასახულობა. „მაფალუ"-ს ინიციატორების არამხოლოდ კუთხური, არამედ, ამასთანავე, ეროვნულ-პატრიოტული მიზანდასახულობა და პრაქტიკული საქმიანობა. მაგრამ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ცილისმწამებლური თავდასხმები იმდენად ბინძური ზემოქმედების ძალის მქონე აღმოჩნდა, რომ „მაფალუ"-ს და მის ხელმძღვანელობას წაართვა კულტურულ მოღვაწეობის შემდგომი გაშლისთვის საჭირო მისწრაფების განწყობილება. ამით „მაფალუ"-ს ჯგუფს მოესპო თავისი უაღრესად საჭირო მიზანდასახულობისა და სამეგრელოს მაგალითზე საერთო ეროვნული ღირებულების მქონე კულტურული მონაპოვრის შემდგომი გამოვლენის შესაძლებლობა. ეს ის დროა, როცა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობის დიადი საქმის ინტერესებით შეჭირვებული ზოგი პატრიოტი, არამარტო მეგრული ენისა და მატერიალური კულტურის გამოვლინებას, არამედ მეგრული სიმღერების გუნდის სახელწოდებასაც შიშით ხვდებოდა. მართალია, „მაფალუ"-ს პრაქტიკულმა საქმიანობამ და ქართული რეგიონალური მეგრული კულტურის წარმომჩენამ ეროვნულ-პატრიოტების მეორე ნაწილში მხარდაჭერა და დადებითი შეფასება ჰპოვა, მაგრამ ამავე დროს „მაფალუ"-ს და მისი ინიციატორების მიმართ გამოთქმულმა ცილისწამებლურმა არგუმენტებმა, ავტონომისტური მიზანდასახულობის ყალბმა ბრალდებებმა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შექმნეს ის არაობიექტური ინფორმაციული ბაზა, რომელმაც შემდგომში შესაძლებელი გახადა „მაფალუ"-ს საქმიანობისა და ისტორიის მცდარი ვერსიის შექმნა და ამ ყალბი ისტორიის საბჭოთა კომუნისტური სახელმწიფოებრივი მართვის მიზნებით, პროვოკაციულად გამოყენების შესაძლებლობა.

ჩვენს მიერ მობილიზებული და გაანალიზებული „მეგრული საკითხის", ვითომ იგივე „მაფალუიზმის", ისტორიის სადღეისოდ ცნობილი წყაროები და მხოლოდ ჩვენთვის ხელმისაწვდომი უნიკალური ინფორმაციის შემცველი დამატებითი მასალები, დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ რეალური ისტორია საბჭოთა 20-30-იან წლებში მიზნობრივად გაყალბდა. ისინი ასაბუთებენ, რომ პარტიის პოლიტიკის ინტერესებით შეითითხნა კონცეფცია და ფაქტოლოგია, რომელიც არაადეკვატურად ასახავს სამეგრელოს, მათ შორის ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის პრობლემებს, მათ განწყობილებასა და დამოკიდებულებას დედასამშობლოს, დანარჩენი ქართველებისა და ქართული ენის მიმართ.

ჩვენ მიერ გამოკვლეული რეალური ისტორიის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ე.წ. „მაფალუელობა", რეალურ ანტიქართულ პრაქტიკულ ტენდენციად და პროცესად არასდროს გამოვლენილა. ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ მეგრული, ანტიქართული სეპარატიზმი, როგორც ეროვნული საშიშროება მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკანური დაკვეთით შეითითხნა. იგი ოფიციალურმა იდეოლოგიამ და ჩეკამ ადგილობრივი, მეგრული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მუდმივი საფრთხის შემცველი რეციდივის გაგებით მოახვია თავს ქართველ საზოგადოებას, იმის ნაცვლად, რომ დროულად მოეგვარებინა ქართული ენის უცოდინარობის გამო უშუალო მწარმოებელი მეგრელების ენობრივი თავისებურებით შექმნილი პრობლემები.

ჩვენ ისიც გამოვიკვლიეთ, რომ: თედო სახოკიას მოხსენება, თანამედროვე, დაინტერესებულ მკითხველს, საყურადღებო ცოდნით ამარაგებს, მაგრამ იგი ამავე დროს იმ მცდარი აზრითაც აკვალიანებს, თითქოს სამეგრელოში საბჭოთა

პერიოდში აღმოცენებული ავტონომისტური მოთხოვნები იყო ცარიზმის რუსიფიკატორთა მემკვიდრეობის ნაყოფი. თითქოს „1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ, ლევიციკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის გამგრძობნნ; როგორც მოხალისენი...“ თითქოს მათი გავლენით „1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გამოლვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მომზადება“. როგორც ირკვევა, 1930 წელს ქართველ ანტისაბჭოთა კონდრატიეველად შერაცხულთა ჯგუფის მეთაურად გამოცხადებული ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგიური კონცეფციის მიმდევრად დასახელებული ნიკო ბერძენიშვილი მოგვიანებით, „რევოლუციასთან ყოფნის“ მტკიცების მიზნითა და ხელისუფლებისადმი სოლიდარული „ხარკის“ გაღებით ამბობდა, რომ თითქოს ისაკი ჟვანია შალვა დადიანს, ქართველობის და ქართულად წერის გამო ლანძღავდა. თითქოს ისაკი კომუნისტობას ღალატობდა, „მეგრულ პოლიტიკას“ აწარმოებდა და „სამთავრო-სათავადოების შავბნელი ხანის ჩამორჩენილობას ასახიერებდა“. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი კონსტანტინე გამსახურდიას „წერილი ამხანაგ გიორგის“, შეიცავდა ღირებულ სიმართლეს, მაგრამ ამასთანავე იგი გამოხატავდა ავტორის გაზვიადებულ გულისწყრომას მეგრული სახელმძღვანელოს, „ჯითა ჩხორიას“ და ი. ჟვანიას შესახებ, მისი ვითომ მართლა ვოსტორგოვისეული საქმიანობის გამო. სინამდვილეში ეს იყო ანტისაბჭოთა პოზიციაზე მდგომი მწერლის ერთგვარი მეხამრიდი ხელისუფლების მხრივ მასზე, როგორც „არარსებულ მეგრული ნაციონალიზმის პირველი რიგის წარმომადგენელად“ გამოცხადებულზე, უთუოდ მოსალოდნელი შემოტევებისაგან; ზვიად გამსახურდია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოწვლილვით აკრიტიკებდა „ი. ჟვანიას“. მაგრამ მის ხელთ არსებული რუსული ხელნაწერი სინამდვილეში წარმოადგენდა არა ი. ჟვანიას, არამედ სხვადასხვა ავტორთა აზრებითა და წყაროებით შედგენილ, პროვოკაციულ კოლაჟს. მაშასადამე, ბატონი ზვიადი საფუძვლიანად და მართებულად აკრიტიკებდა პროვოკაციული წიგნის ავტორს, მაგრამ არა ი. ჟვანიას; „მეგრული საკითხისა“ და ე.წ „მაფალუიზმის“ ისტორიის სადღეისოდ ცნობილი ყველა წყაროს გამოყენება-გათვალისწინებით, შესაძლებლობა გვქონდეა ვამტკიცოთ, რომ ზუგდიდის მაზრისა და რაიკომის მდივნის, ისაკი ჟვანიას, თუ მისი უახლოესი თანამოაზრე გარემოცვა, ანუ ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრი, ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს არასდროს დაპირისპირებია. ქართულ საბჭოთა პუბლიკაციებში „დამტკიცებულ“-გაშუქებული „მეგრული ნაციონალიზმი“ და სეპარატიზმი, როგორც პროცესად ფორმირებული ტენდენცია, არასოდეს არ არსებობდა. სამეგრელოში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონალურ კუთხეებში, არსებობდა ადგილობრივი პატრიოტიზმის მძლავრი გამოვლინება, რომელიც ხელისუფლების ინტერესებით „ადგილობრივ ნაციონალიზმად“ ცხადდებოდა და ყალბდებოდა. 1990-2000-იანი წლების სხვა ქართველ ავტორთა პატრიოტული მიზანდასახულობის წერილები და გამოკვლევები ეყრდნობა „მეგრული საკითხის“ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად გაყალბებულ ვერსიას და ამდენად მათი კეთილი მცდელობა ფაქტობრივად იწვევდა მეგრელებში პარტიკულიარიზმის ტენდენციებისა და პროცესების არსებობის სიყალბეთა დამაჯერებლობის ინერციის შენარჩუნებას. ე.წ. „მაფალუიზმის“ ყალბი ისტორია დღენიადაგ წამლავს XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს პრობლემებით დაინტერესებულ ჩვენი და მსოფლიოს მოქალაქეების ცნობირებას, რომელსაც „მეგრული საკითხის“ ოფიციალური ისტორია სიმართლედ და მაშასადამე, თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესების გაგების საშუალებად ესახებათ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მათ შორის ჩვენს საზოგადოებაში განხეთქილების აღმოფხვრის მიზნით, ჩვენი უახლესი ისტორიის გაყალბებული პრობლემების თუ მცდარად გაგებული საკითხების მეცნიერული გამოკვლევა-გაშუქების აუცილებლობა, აგრეთვე, ჩვენი უახლესი წარსულის შესახებ

უცხოელებისათვის მართალი ინფორმაციის დროული მიწოდება, ჩვენგან გადაუდებლად მოითხოვდა „მეგრული საკითხის“ ჭეშმარიტი ისტორიის შესახებ ფუნდამენტური მონოგრაფიის გამოქვეყნებას. ამიტომ მომზადდა წინამდებარე, ტევადი, მონოგრაფიული გამოკვლევა.

წინამდებარე წიგნი ავლენს არამარტო „მეგრული საკითხის“ გაყალბებულ ისტორიას და იძლევა ამ ისტორიის ალტერნატიულ რეალურ სურათს, არამედ იკვლევს იმ პროცესებს, რომელთაც განაპირობეს „მაფალუიზმის“ და მეგრული სეპარატიზმის ყალბი ვერსიების აღმოცენება. ამ გზით ისტორიგრაფიაში პირველად შუქდება ე.წ. „მაფალუიზმის“ ნამდვილი ისტორია. შესაბამისად, საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული მისი ყალბი, ჩეკისტურად შეთითხნილი ვერსია, რომლის მრავალწლიანმა პროპაგანდამ უსამართლოდ შეურაცხყო ერთი ქართული კუთხის მკვიდრი მოსახლეობა და მნიშვნელოვნად მოწამლა ჩვენი ეროვნული, აგრეთვე დაინტერესებულ უცხოელთა ცნობიერება. წინამდებარე წიგნში „მეგრული საკითხის“ მართალი ისტორიის გაშუქებით აგრეთვე იქმნება ჩვენი ყალბი ისტორიით ზოგი მტრად მოკიდებული უცხოელი ავტორის შემდგომი სპეკულაციის პრევენცია.

ზემოთ ჩამოყალიბებული მეცნიერული და პოლიტიკური მიზნებით, წინამდებარე წიგნში, იძულებული ვხდებით კრიტიკულად მოვეკიდოთ „მეგრული საკითხის“ და ისაკი ჟვანიას შესახებ არა მარტო ჩვენი თანამედროვე ავტორების, მათ შორის, ზოგ ცდომილ კეთილსინდისიერთა, არამედ ჩვენი ერის დიდი წარმომადგენლების აზრებს. სხვაგვარად რეალური ისტორიის უცილო წყაროებით ნაკარნახევი სიმართლის მიგნება შეუძლებელი გახდებოდა, ასევე შეუძლებელი იქნებოდა წიბნამდებარე წიგნის საკითხების მეცნიერული ხედვა, და საერთოდ, პრობლემის მეცნიერული გაშუქება. აღნიშნულის გამო ვიმედოვნებთ, რომ გონიერი მკითხველი გაგვიგებს და მათი ზოგი აზრის მიმართ დაუთანხმებლობას არ შეგვიფასებს ჩვენი დიდი წინამორბედებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებად ან გამართლებული „ჩხოუშიელი“ კომუნისტი ხელმძღვანელის მიმართ ადვოკატურ გამოსარჩლებლად.

დიახ, წინამდებარე წიგნში კრიტიკულად ფასდება „მეგრულ საკითხზე“ გამოთქმული აზრის ყველა ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი, ჩვენი და უცხოელი ავტორის ნააზრევი, რომელშიც „მტკიცდება“ ანტიქართული მეგრული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის არსებობა, ამასთანავე აშკარავდება „ავტონომისტ-სეპარატისტების“ მფარველად გასაღებული, ზუგდიდის ცენტრის მეთაურისადმი ყალბად წაყენებული ბრალდებები. მაგრამ ამისათვის გაგვაჩნია წლების მანძილზე მოძიებული სათანადო ისტორიის წყაროები და დამაჯერებელი არგუმენტებიც. მათი მეშვეობით დგინდება, რომ 1920-30-იანი წლების სამეგრელოში ანტიქართული სეპარატისტული პროცესები არა ყოფილა. ამით არის გამოწვეული ჩვენი ინტერესი ზუგდიდის ცენტრის ამ ხელმძღვანელის ყალბად გაგებული „მაფალუელობის“ უამრავი დეტალის მიმართ და არა იმით, რომ ორთოდოქსი კომუნისტი ი. ჟვანიათი ჩავანაცვლოთ პოლიტიკური ინტერესების მასაზრდოებელი კომუნისტი ლ. ბერია. ამიტომ მოვიხმეთ ეპიგრაფად ბრძენი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის მოსწავლისა და ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებლის, არისტოტელეს სიტყვები. მაშასადამე, ჩვენთვის მთავარია, თემის შესახებ წინამორბედთა მცდარი, მეცნიერულად მიუღებელი აზრების აღმოცენების მიზეზ-შედეგების ახსნა-გაგება და ამ გზით ჩვენს მიერ გამოკვლეული მართალი ისტორიის გაშუქება. ამ გზით დავისახეთ ყველა ჩვენთაგანისათვის სათაყვანებელი, საქართველოს მშვენიერი კუთხის ხალხის ზუგდიდელების, ანუ ე.წ. „ჩხოუშიელების“, საერთოდ მეგრელებისა და სრულიად ქართველთა წინაპრების ყალბად განზოგადოებული „მეგრული საკითხის“ ისტორიის, ნამდვილი სულისკვეთების წარმოჩენა. მათთვის უსამართლოდ მიწერილი ბრალდებების გაბათილება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამის საშუალებას გვაძლევს არა მარტო ჩვენი ხანგრძლივი საარქივო კვლევა-ძიება, არამედ აგრეთვე დაწვამდე ე.წ. სუკის არქივში და აგრეთვე, ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებლისა და ყოფილი დი-

რექტორის აკაკი ჭანტურიას კერძო არქივში მოპოვებული, მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული და ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში გამოყენებული წყაროების საფუძველზე ჩატარებული კვლევა.

ჩვენი საკვლევი პრობლემებისა და მონოგრაფიის გაშუქებას მეთოდოლოგიურ საფუძვლად დავუდეთ დიდი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის სწავლება: „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშეგნება მოპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი...
დიახ, ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც...
თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, გვ. 68, 69).

არ გამოვრიცხავთ, რომ უაღრესად მრავალრიცხოვნი, ამასთანავე ხშირად წინააღმდეგობრივი და დეზინფორმაციული საარქივო მასალების, აგრეთვე მცდარი კონცეფციით გამოქვეყნებული ინფორმაციის დიდი მასის ანალიზის გამო, ჩვენ ნაშრომს ხარვეზიც აღმოაჩნდეს. უშეცდომო არც ავტორები არიან და არც უნაკლო წიგნი გამოქვეყნებულა ოდესმე, ამიტომ ყველა საქმიან შენიშვნას მივიღებთ და ყურადღებით მოვეკიდებით. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არიან ავტორები და მკითხველებიც, რომლებსაც ამა თუ იმ საკითხზე გააჩნიათ ურყევი რწმენა. ზოგი ასეთი, ზეპირი საუბრით ჯერჯერობით ვერ დავარწმუნეთ, რომ „მეგრული საკითხის“ ისტორიისა და ე.წ. „მაფალუიზმის“ გაგების საკითხში, ჩვენი წინამორბედი ავტორები არ არიან ობიექტურნი. ზოგს ვერ გავაგებინეთ, თუ არ უნდათ გაიგონ, რომ „მეგრული საკითხისა“, თუ „მაფალუს“ ყალბი ისტორია, რომლის მეთოდოლოგიური ხერხემალია საბჭოთა 20-30-იან წლების სამეგრელოში ადგილობრივი ანტიქართული ნაციონალიზმისა და სეპარატისტული პროცესების არსებობის „მტკიცება“, უსაფუძვლოდ შეურაცხყოფს არა მარტო მეგრელების, არამედ საერთოდ ქართველების ღირსებას. და, რომ ამიტომაც არის საჭირო ჩვენი რეალური ისტორიის ადეკვატური გაშუქება. ალბათ, ჩვენი საწინააღმდეგო სხვა მსგავსი მოსაზრებაც გამოითქმება. ხანგრძლივი და ინტენსიური ზემოქმედებით ჩამოყალიბებული, თუნდაც მცდარი რწმენა, ზოგჯერ ისეთი მყარია, რომ ხშირად მისი მართალი აზრით შეცვლას განსაკუთრებული თვითკრიტიკაცა და, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, ხანგრძლივი დროის ფიქრიც სჭირდება. ამ თვითკრიტიკული აზროვნებისთვის კი ზოგი მზად არ არის. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ განსაკუთრებული ყურადღებით გამოგვეკვლია და გაგვეშუქებინა ერთი მხრივ „მაფალუიზმის“ ყალბი ისტორიის მცდარი საკითხების რწმენად ჩამოყალიბების მიზეზები, ხოლო მეორე მხრივ ის პროცესები, რომლებმაც ასაზრდოვეს ჩვენი სათაყვანებელი და ავტორიტეტული დიდი ადამიანების ის გამონათქვამები, რომლებსაც გააჩნიათ პრობლემის გამორკვევისა და ახლებურად, სიმართლით შემეცნების დამუხრუჭების განსაკუთრებული უნარი.

და ბოლოს, უსაზღვრო მადლიერება გვინდა გამოვთქვათ, წინამდებარე წიგნის მომზადება-გამოცემის დამფინანსებელი სპონსორის, ბატონ ავთანდილ წერეთლის მიმართ, რომელის თანადგომა-დახმარების გარეშე ვერ მოვახერხებდით ამ მონოგრაფიის საბოლოოდ მომზადებასა და სტამბურად გამოქვეყნებას.

თავი I.
„მეგრული საკითხის“ პარტიულ-სახელმწიფოებრივი და ჩეკისტური ვერსია

ზუგდიდელი „ჩხოუშიელები“, იგივე „მაფალუისტები“ ანუ რუსიფიკატორების იანოვსკის, ლევიცკისა და ვოსტორგოვის, აგრეთვე მათი აგენტის აშორდიას საქმის გამგრძელებელი „მაფალუელი“ სტეფანე გაგუას და მიხეილ კანკავას მემკვიდრეები მოითხოვენ სამეგრელოს ავტონომიას, საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფას და საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ან ცალკე, საბჭოთა რუსეთის მსგავსი, გაერთიანების შექმნას, — ასეთი იყო ის ძირითადი აზრი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა 1925 წლის სექტემბრის უაღრესად დაძაბულ ეროვნულ-პოლიტიკურ სიტუაციაში მოულოდნელად აუწყეს სრულიად საქართველოს მოსახლეობას და ამ, უაღრესად შემაშფოთებელი სენსაციით კიდევ ერთი ახალი თავსატეხი გაუჩინეს 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების საბაბით უკიდურესად დათრგუნულ, დახვრეტილ-დაპატიმრებულთა, აგრეთვე ამ დროს „პარიტეტული კომიტეტის“ წევრების თუ მათთან კავშირის გამო ბრალდებულ, სპეციალური სასამართლოს განსჯის პროცესში მყოფთა ჭირისუფალ ქართველ ხალხსა და საზოგადოებას.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1925 წლის 8 სექტემბრიდან უკვე ქართული ცენტრალური ოფიციალური პრესის ფურცლებზე წამოიწყეს და გააჩაღეს ფართომასშტაბიანი პროპაგანდა და ისტერიული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა, ერისთვის ამ უაღრესად მძიმე, დაძაბულ ვითარებაში, ყველა სხვა პრობლემისგან ჩამოეცილებინა ქართველი პატრიოტული საზოგადოების ყურადღება. ამიტომ ახლა ამ არაორდინალურ ატმოსფეროში, ქართველი ერის ყველაზე დიდი სატკივარი გახადეს „მეგრული საკითხის“ ერის ინტერესების შესაბამისად მოგვარება, საქართველოს ვითომ გარდაუვალი დიდი საშიშროებისაგან გადარჩენისა და მისი განუყოფლობის შენარჩუნება. ოფიციალური ვერსიით, ამ ეროვნულად უკიდურესად მტკივნეული საკითხის მოგვარება თავს იდო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც შესძლო „მეგრული საკითხის“ გარშემო აზრის ფართოდ მობილიზება და ერის ინტერესების შესაბამისად გადაჭრის მიზნით სამეგრელოს მკვიდრი, თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწეების მობილიზებაც. ამით საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს მართლა შესაძლებელი გახადეს საქართველოზე ამხედრებული სეპარატისტების პირველი საშიში გამობრძოლების წარმატებულად მოგერიება და ამით აღმაფრთოვანებელი შთაბეჭდილების შექმნა. ასეთია „მეგრული საკითხის“ აღმოცენება-მოგერიების პირველი ეტაპის ზოგადი შინაარსის ოფიციალური ვერსია. იგი კონკრეტულად სათანადო თანამიმდევრობითა და დეტალებით გამოხატეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ასე მაგალითად:

1925 წლის 8 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ძველი ბოლშევიკის, საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი მუშაკის, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და რესპუბლიკის პარტიულ-პოლიტიკურ, აგრეთვე სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში მრვალმხრივ პოპულარული პიროვნების, სამეგრელოს მკვიდრი პოლიტიკოსის ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის ვრცელი სტატია „იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს“.

საშა გეგეჭკორის სტატია ქართველ საზოგადოებას ამცნობდა, რომ „სრულიად რუსეთის სტაროსტას მამა მიხეილ ივანეს ძეს“ (ამხ. კალინინს) დღემდე სრულიად უცნობმა მოქალაქეებმა ციბაკი ბუკონიამ და სოლომონ ბესელიამ, რომლებიც მას მოხსენებული ჰყავს „გამოჩერჩეტებულ“, „სხვისი გეგმის შემსრულებელ „პროვოკატორებად“, გაუგზავნეს წერილი - დოკუმენტი. ისინი სწერენ „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით, რომელიც „მისთვის სრულე-

ბით მოულოდნელათ საქართველოს სუვერენიტეტის ულელ ქვეშ მოექცა და მისგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულა". საჩივრის ავტორები აღიარებენ, რომ „რუსეთის საკავშირო სახელმწიფოს სხეულის მამოძრავებელი გული არის მოსკოვი", მაგრამ ამ სხეულის გულში „არა აქვს მინიჭებული ადგილი სამეგრელოს მშრომელ ხალხს", რომელიც რუსეთს შეუერთდა 1804 წლის ტრაქტატის და ალექსანდრე მეორის 1867 წლის ივნვრის 4-ის ბრძანების ძალით და რომელმაც დაამსხვრია საკუთარი მონარქია, რათა საბოლოოდ და სამუდამოდ შეერთებულიყო რუსეთის მშრომელ მასას".

როგორც ა. გეგეჭკორი გადმოგვცემს, ბუკონია-ბესელიას აზრით, „მენშევიკები აეიწროვებდნენ უბედურ მეგრელ მოსახლეობას, მაგრამ მისი ტანჯვა დღემდე გრძელდება: „ქართველი უკლონისტები(!!) ყოველ ღონესა ხმარობდნენ ინტერნაციონალურ ცენტრის (მოსკოვი) მიერ ეროვნული საკითხის შესახებ გამოცემულ განკარგულებების გავრცელების საწინააღმდეგოდ", „ყველანაირად აქარწყლებენ და აფუჩეჩენენ ცენტრის წინაშე მეგრელთა ტომს, ხოლო სამეგრელოს მშრომელთა სათავეში უკლონისტების მიერ დაყენებული ჩვენი მეგრელი ამხანაგები დაუდევრობას იჩენენ იმ საკითხებისადმი, რაც შეეხება სამეგრელოს მშრომელთა მასას... მათ არა აქვთ საშუალება კავშირი იქონიონ რუსეთის ცენტრთან". წერილ–დოკუმენტის დასკვნა: „დაკვრითი წესით გაანთავისუფლეთ სამეგრელოს მშრომელი ხალხი საქართველოსაგან განგებ თავზე მოხვეული სუვერენიტეტისაგან და კვლავ სამუდამოდ განამტკიცეთ სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა ისტორიული კავშირი".

ა. გეგეჭკორის სტატიიდან ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო, რომ „იგივე თხოვნა გამეორებულია, მხოლოდ უფრო დაჟინებით, ამიერკავკასიის ცაკის სახელზე მიმართულ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს ბუკონია–ბესელიასებური ზუგდიდის ოცი მოქალაქე". ესენი გაიძახიან: „სამეგრელოს მშრომელნი მოელიან განთავისუფლებას ისტორიულადაც, იურიდიულადაც უსაფუძვლო საქართველოს სუვერენიტეტისაგან, რაც განმტკიცებულია მხოლოდ იმპერიალისტურ ელმენტების მეოხებით".

დაბოლოს, კიდევ ხუთი მოქალაქის – გრიგოლ ახალაიასა და სხვების, სრულიად საკავშირო ცაკის სახელზე მიმართულ დეპეშაში ვკითხულობთ, რომ „სამეგრელოს ყველა კუთხის მიწის მუშები განსაკუთრებით მოითხოვენ ქართული ცენტრის მიერ შეჩერებულ სამმობლო ენაზე გამოცემულ გაზეთის გამოშვებას (!!) და დარწმუნებულნი არიან, რომ..." რუტინის ფორმალობის გარეშე, ლენინიზმის ხაზის მკაცრი დაცვით, მოგვარდება საკითხი". ამასთან დაკავშირებით ა. გეგეჭკორს მიაჩნია, რომ „მთელ სამეგრელოში იწილ-ბიწილოთი შეკრებილ ბუკონია-ბესელია-ახალაიას „კომპანიას" განუსაზღვრავს იმ საქმის განხორციელება, რაც დიდი ხანია მას აქეთ, რაც მიზნათა ჰქონდათ დასახული ცნობილ იანოვსკის და ვოსტორგოვს, არა ნაკლებ ცნობილ აშორდიას თანამშრომლობით. მაშინ იყვნენ იანოვსკი-ვოსტორგოვი-აშორდია, ახლა არიან ბუკონია-ბესელია-ახალაია. ის, რისი გაკეთება ვერ შეძლო და რაზედაც, როგორც უიმედო საქმეზე, ხელი აიღო პირველმა, შავრაზმელმა სამებამ, განზრახული აქვს განახორციელოს წითელ ნიღაბ ამოფარებულმა... მოქმედმა სამეგრელოს მშრომელი ხალხის დღევანდელ მოჭირნახულე ბუკონია-ბესელია-ახალაიას ჯგუფმა".

ა. გეგეჭკორი ბუკონია–ბესელია–ახალაიას ჯგუფის მოქმედებას უწოდებს „ჯამბაზურს", ხოლო მათ აზროვნებას „ავადმყოფურს". ამ „ამხანაგი ისტორიკოსებისაგან" ა.გეგეჭკორი მოითხოვს „დაგვისახელონ სამეგრელოს ისტორიის რომელიმე ხანა, როდესაც მას საქართველოსაგან დამოუკიდებლად ეცხოვროს" და დასძენს: „ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცით ასეთი ხანა". მისი აზრით: წერილის ავტორთა მიერ ნახმარი „მეგრელი ხალხი"... შეიძლება ისეც იყოს გაგებული, როგორც „მეგრელი ერი". ამიტომ განმარტავს, რომ სამეგრელო და მეგრელები არის ქართველი ერის „ისეთივე შტო, როგორც იმერეთი და იმერ-

ლები, გურულები, ფშავ-ხევსურნი, — ხოლო იანოვსკი-ვოსტორგოვ-აშორდიას მიერ „სამეგრელო ხალხად", „მეგრელთა ეროვნებად" იწოდება.

„პირველი, ენა, — წერს ა. გეგეჭკორი, — მაგრამ რას წარმოადგენს „მეგრული ენა", შეიძლება თუ არა მას დამოუკიდებელი ენა ეუწოდოთ, თუ მასში ხმარებული სიტყვების დიდი უმეტესობა იგივე ქართული სიტყვებია, ხოლო უკლებლივ ყველა სიტყვის ძირები მთლად ეთანაბრება შესაფერ ქართულ სიტყვების ძირებს — იმდენად, რომ ქართულ ლიტერატურულ ენის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია მეგრულ დიალექტიკის გაცნობა. რომ უკანასკნელი მართლა დიალექტი და მხოლოდ დიალექტია, მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი შტოთაგანი, ამის საუკეთესო თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ საკმარისია ლიტერატურულ ქართულის სულ უცოდინარი მეგრელი (ეს განსაკუთრებით ბავშვებს ემჩნევა) ქართულად მოლაპარაკეთა შორის ერთი-ორი კვირა „დატრიალდეს... და იგი თავისუფლად ეჩვევა ქართულად ლაპარაკს". ა. გეგეჭკორს მეგრული ენის გამო პრობლემის არარსებობის დამტკიცების მიზნით მოაქვს საფრანგეთის მაგალითი, სადაც კუთხეების კილოკავები არსებობს, მაგრამ „არავის აზრად არ მოსვლია ამ კილოკავების განვითარებისათვის ზრუნვა, ჩვენშიც თავდაპირველად მეგრელთაგანს არც ერთს ჭკუათმყოფელ ადამიანს არ უფიქრნია მეგრულ კილოკავის განვითარებაზე, მეგრულ მწიგნობრობის შექმნაზე", რომ ისტორიულად ქართულ ენაზე იწერებოდა სიგელ-გუჯრები, „საქართველოს პირველ გრამატიკოსთა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს მეგრელს ანტონ ჭყონდიდელს. ჩვენს დროში ქართული ენის და ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი აგრეთვე მეგრელმა მოიხვეჭა... კაპიტალურ ისტორიულ თხზულების „ქრონიკების" ავტორი მეგრელია, განსვენებული თედო ჟორდანია", რომ მეგრელებს შესისხლხორცებული აქვთ ქართული ენა და კულტურა, რომელიც მისი სტიქიონია. აღნიშნულიდან გამომდინარე ა. გეგეჭკორი აცხადებს: ბუკონია-ბესელია-ახალაია „ნებსით თუ უნებლიეთ განაგრძობს იანოვსკი-ვოსტორგოვის შავრაზმულს საქმეს". იგი ამასთანავე წერს: „და განა ღირშესანიშნავი არ არის ის გარემოება, რომ „მეგრულ კულტურის" ამ არამკითხე მოსარჩლეთა პირველსავე „დებიუტს" მოჰყვა მთელი მეგრელი ინტელიგენციის, მისი საუკეთესო, პატიოსანი და მოწინავე ნაწილის ერთსულოვანი პროტესტი. ბუკონია-ბესელია-ახალაიას ნაცოდვილარს მათ ერთხმად ცხადად რეაქციული, ხალხისათვის მავნე საქმე უწოდეს... უდღეურ-უნიჭო გაზეთ „ნოთე"-ს დახურვა გამოიწვია სამეგრელოს როგორც პარტიული, ისე უპარტიო ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ბეჯითმა მოთხოვნამ. რაც შეეხება სამეგრელოს ფართო მშრომელ მასას, მას არც კი შეუნიშნავს „სამეგრელოს ხალხის" — ოცდარვა ახლად მოვლინებულ მესვეურის უილაჯო გამოსელა. მან ზიზიღით აარიდა თვალი შექმნილ აურ-ზაურს (მაშ რისთვის გახდა საჭირო სენსაცია „მეგრული საკითხის" გამო?! — ავტორები — ვ.გ., გ.ც.). ა. გეგეჭკორი აცხადებს: „მეგრელი ხალხი მოკლებულია თვისებას მის ცალკე ერად ჩასათვლელად"; „სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია..."; „არ შეიძლება არც სამეგრელოს ეკონომიკურ ან გეოგრაფიულ მოწყვეტილობაზე ლაპარაკი. აქაც იგი მჭიდროდ არის საქართველოს სხვა მისებრ ნაწილებთან გადახლართული".

ა. გეგეჭკორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ფართო მასშტაბის საამშენებლო პროცესები მიმდინარეობს, „პირველად სამეგრელოს ტერიტორიაზე დავიწყეთ ფართო რკინის გზის საალმშენებლო მუშაობა... შუაგულ სამეგრელოში- ჯვრის მიმართულებით შტოს გაყვანა, ყველა ღონისძიებას ვხმარობთ ამ ძველად მივარდნილ—მიყრუებულ კუთხის გამოსაცოცხლებლად, ეკონომიკურად და კულტურულად ასაღორძინებლად". იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ აღორძინებას უწოდებენ იმპერიალიზმს. „რა ჩვენი ბრალია, — წერს ა. გეგეჭკორი, — თუ „სამეგრელოს ხალხის არა—მკითხე მოსარჩელეთა ავანტიურამ დააყენა მყრალი სუნი ბინძური მაბეზღარობისა „ქართველ უკლონისტთა „იმპერიალიზმის შესახებ". და იქვე აცხადებს: „მართლა არ დამავიწყ-

დეს, მივულოცო ახალი სახელწოდება საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის დღევანდელ პოლიტიკის (არა უკლონისტ — ავტ.) პასუხისმგებელ მესვეურთ".

ა. გეგეჭკორი თავის მიზნობრივი წერილის მიზნდასახულობას გაოგნებულ მკითხველს ასე უყალბებს: „სულაც არ ეღირსებოდა პრესის ფურცლებზე ლაპარაკი იმ აბდაუბდაზე (! — ავტ.), რაც წამოიროშა ახალაიასებურ უსაქმო ჰეროსტრატების მიერ, რომ „საქართველოს იმპერიალიზმის" მანიაკებისაგან მოსალოდნელი არ იყოს ჩვენი გაჩუმების ყალბად გაგება". იგი ამასთანავე დასძენს: „დეე თვით მეგრელმა ინტელიგენციამ" და „სამეგრელოს მშრომელმა ხალხმა", ვისი სახელით ჰბედავენ ლაყბობას ჩხოუშიის (ანუ ზუგდიდში ჩამავალი მდინარის — ავტ.) სანაპიროს ყბედები, გაიგონ სიმართლე თვის არამკითხე მოსარჩლეთა „საგმირო საქმეთა" შესახებ, საკადრისი პასუხი მიუძღვნან მათ. იქნებ, ამის შემდეგ მაინც, საკმარისი მოქალაქეობრივი გამბედაობა ჰპოვოს „ოცდა რვათა ძმათა ჩხოუშეელთა" კომპანიამ იმისთვის, რომ დასტურ შეამოწმოს არა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი მექანიზმი, არამედ თავისი საკუთარი „აზროვნების მექანიზმი", თუ რა თქმა უნდა, იგი მთლად უიმედოთ დაავადებული არ არის იმ სენით, რაც თანა სდევს ცნობილ მეგრულ წყევლას: „სკანი ვანორჩქედას დო შხვაში ვადაგიჯერებუდასია" (შენი არ გცოდნოდეს და სხვისი არ დაგეჯერებიოსო). მაშასადამე, ახლა მეგრული სეპარატიზმის „წითელ ნიღაბ ამოფარებული" ბელადების ბესელიას, ბუკონია, ახალაიას ჯერი „მეგრელ ინტელიგენციას" და „სამეგრელოს მშრომელ ხალხს" დაეთმო.

ალ. გეგეჭკორის წერილთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ იგი „ავტონომისტად" ასახელებს მხოლოდ სამ მთავარ პიროვნებას (ბესელია, ბუკონია, ახალაიას), ხოლო დანარჩენი 25 გამოჰყავს მათ ამყოლად. ამათგან დაყენებული „მყრალი სუნის" მიზეზს მიაწერს საქართველოს „ნაციონალ-უკლონისტ" ხელმძღვანელობას. იგი ამასთანავე მთავარ ამოცანად ისახავს „ჩხოუშეელი" (ზუგდიდელი) ავტონომისტების კრიტიკას, არაფერს ამბობს მათი სეპარატისტული მოთხოვნების შესახებ და იმ მიზეზთა ერთობლიობაზე, რომელმაც სინამდვილეში ასაზრდოვა „ჩხოუშეელთა" ავტონომისტ-სეპარატისტული აზრების ავტორთა და მათ ამყოლთა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მხრივ სამეგრელოს მოსახლეობისადმი დამოკიდებულების „იმპერიალისტურ" პოლიტიკად წარმოსახვა და სხვ.

„მეგრელი ინტელიგენციის" წარმომადგენელთა სახით პირველი გამოხმაურება გაზეთ „კომუნისტში" დაუყოვნებლივ, მომდევნო დღეებშივე გამოქვეყნდა. 13 სექტემბერს დაიბეჭდა საქართველოს ჩეკას თავჯდომარის ეპიფანე კვანტალიანის მოადგილისა და ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსის, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების სისხლში ჩახრჩობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორისა და ამ დამსახურების გამო ორდენოსანის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ფაქტობრივ უფროსად მყოფი ლავრენტი ბერიას სტატია „მეგრელ ავტონომისტების შესახებ". იგი ქართველ საზოგადოებას ამცნობს, რომ ანტიპარტიული და კონტრრევოლუციური წერილები და დეპეშები „ეგზავნება საბჭოთა კავშირის ცაკს, ა/კ. ცაკს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და სხვ". ბერია წერს: „სამეგრელოს მშრომელები მოელიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტისაგან, რომელსაც მხარს უჭერს მხოლოდ იმპერიალისტური ელემენტები", — ნათქვამია მათ ერთ მიმართვაში, რომელსაც მხარს უჭერს <u>ვლადიმერ ბუკია და სხვა ახლად გამოჩეკილი მეგრელი ავტონომისტები</u> (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ბერია მოკლედ განიხილავს ვინ ხელმძღვანელობს ამ მოძრაობას და ვინ მიჰყვება „ბელადებს".

„ტიპი №1. <u>მიშა დადიანი</u> — სამეგრელოს ავტონომიის იდეის საძირკვლის ჩამყრელი. მისი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი — კომპარტიის ყოფილი წევრი ყოფილი მომრიგებელი შუამავალი... დადიანების მემკვიდრე, თავის დროზე იცავდა სამეგრელოს ავტონომიის იდეას თვითმპყრობელობის გულისათვის, ეხლა კი მოითხოვს იმასვე საბჭოთა ხელისუფლების... გულისათვის...

ტიპი №2. ვლადიმერ ბუკია-დადიანის უახლოესი მეგობარი და ხელის შემწყვე. არასოდეს არცერთ პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე წელი იჯდა თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში... ყველა საკითხებში ეთანხმება დადიანს. არ ეთანხმება მხოლოდ ერთ მეტად მნიშვნელოვან მუხლში, როგორი იყოს სამეგრელოს რესპუბლიკის მომავალი ავტონომიის სახელწოდება: ლაზ–კოლხიდა თუ მარგალისტანი.

№3 ჯოსტა კილასონია-მენშევიკი, რომელიც იარაღით ხელში მონაწილეობას ღებულობდა აგვისტოს აჯანყებაში, ყოფილი სახალხო გვარდიელი, რომელიც არაერთხელ ყოფილა პასუხისგებაში... სარგებლობს პირველი ორის ნდობით.

№4 ახალაია გრიგოლი – ყოფილი მემარცხენე ფედერალისტი... საქ. კპ. კანდიდატი... ფსიქიატრიული სტაჟით.

№5–6 ხურცილავა პარმენ და გრიგოლია ვლადიმერ – მენშევიკები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აგვისტოს ავანტურაში.

№7–8 და 9 ნანეიშვილი ბიქტორი, საჯაია გური და ჯგერენაია სოლომონ – ყოფილი აზნაურები, სოციალ ფედერალისტები.

№10,11,12,13,14: ჯიქია, ვეკუა, კობალია, როგავა, თორდია – ყველანი კომპარტიის ყოფილი წევრები, რომელნიც გამორიცხულნი იქნენ პარტიიდან ჯერ კიდევ 1922 წელს. განა ღირს დანარჩენის ჩამოთვლა... 2 სექტემბერს ერთ-ერთ კრებაზე დადიანის ინიციატივით და წინადადებით არჩეული იქნა განსაკუთრებული ბიურო (?! – ავტ.) სამეგრელოს ავტონომიის იდეის ცხოვრებაში გასატარებლად. ბიუროში შედიოდნენ ზემოთ დასახელებული ახალაია, თორდია და ჯიქია. სხვები დარიგდნენ რაიონებში. იღებდნენ გადაწყვეტილებას... გააერცელონ ავტონომიის იდეა პარტიულებსა და უპარტიოებს შორის, თვით დადიანის ხელმძღვანელობით". ბერია წერილში აცხადებს, რომ ბოლოს დადიანის რჩევით (? – ავტ.), გადაწყდა აღრიცხული იქნან ყველა ანტიმეგრული ელემენტები კომუნისტურითურთ იმ მიზნით, რათა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დააპატიმრონ „ისინი და გადაასახლონ სამეგრელოს საზღვრებიდან (!? – ტყუილია – ავტ.). ბერია წერს, რომ „ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავსო საბჭოთა ფარსი, რომ ამ კამპანიისა და მისი „იდეისათვის" მხარი არ დაეჭირათ, სამწუხაროთ, ზუგდიდის ორგანიზაციის ზოგიერთ პასუხისმეგებელ მუშაკებს და მათ შორის ამხ. ჟვანიასაც. ამხ. ჟვანია სერიოზულად არ გარკვეულა, როგორც მარქსისტი, ამ საკითხში და განიცდის დადიანის გავლენას... თამაშობს ყოფილი ძველი თავადის დადიანის დუდუაზე... შეგნებულად ხელს უწყობს ანტისაბჭოთა იდეების გავრცელებას (? – ტყუილია – ავტ.).

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც სდგას ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე, რა თქმა უნდა, მისცემდა სამეგრელოს ავტონომიას, ის რომ რითიმე იყოს გამოწვეული. მაგრამ სამეგრელოს არც ეკონომიკური, არც კულტურულ ყოფაცხოვრების და, ბოლოს, არც ისტორიული პირობები არ წარმოადგენს საფუძველს ლაზ–კოლხიდის ავტონომიის შესაქმნელად და საბჭოთა საქართველოსგან მის ჩამოსაგლეჯად...

ამ იდეას ასულდგმულებს და მხარს უჭერს... პარტიის ყოფ. წევრების, აშკარა კონტრრევოლუციონერების ჯგუფი და რამდენიმე პარტიული მუშაკი".

ბერიას პუბლიკაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ: „ჩხოუშიელები" ცხადდებიან მხოლოდ „ავტონომისტებად"; მათი ლიდერების დანაშაულობები კვალიფიცირდება სისხლის სამართლის დაქვემდებარების ბრალდებით; „ავტონომისტების" ჯგუფთან დაკავშირებული არიან ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის წევრები და მათი თავმჯდომარე ისაკი ჟვანია. ბერია აცხადებს, რომ ავტონომისტური მოთხოვნის „განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა ასტეხა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს".

ბერიას წერილში ყურადღებას იპყრობს ის, რომ: ე.წ. „ავტონომისტები", სინამდვილეში კი ავტონომისტ-სეპარატისტების ბელადები სულელებად ცხადდებიან; იგი ალ. გეგეჭკორისაგან განსხვავებით „ავტონომისტების" მთავარ დამკვალიანებლად აცხადებს სამეგრელოს მთავრების ჩამომავალ, მიშა დადიანს

და არაფერს ამბობს მის კომუნისტურ დამსახურებაზე. ამასთანავე, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ბერია აყალბებს და აზვიადებს მ. დადიანისა და მის ზოგ თანამებრძოლად ნახსენები პიროვნების ბრალეულობას. იგი განსაკუთრებით ძლიერ ცრუობს, როცა „ჩხოუშიელთა" დანაშაულობებს ფაქტობრივად ზუგდიდის სამაზრო პარტიულ ხელმძღვანელობასა და მის მდივან, ი. ჟვანიაზეც ავრცელებს, როგორც მფარველებზე და სხვ.

საქართველოს დიდი რევოლუციონერის და პირველი ჩეკისტის მოწოდებებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ნომენკლატურის პარტიული მუშაკები და „კომპეტენტური" პიროვნებები, რომლებმაც ერთი მხრივ, განავითარეს თავიანთი ბელადების აზრები, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი წვლილი შეიტანეს ამ „ჩხოუშიელების" დახასიათების საქმეში.

მაგრამ 15 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა ი. ჟვანიას წერილი — „სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ". იგი წერს: „ამხ. ლ. ბერიას არავინ ედავება (!— ავტ.), მით უმეტეს არ ვედავები პირადად მე... პირიქით უფრო სამარცხვინო ბოძზე გავაკარი მე მათი (ავტონომისტების — ავტ.) მოღვაწეობა... მომავალშიც ასე მოვიქცევი... რაც შეეხება ჩემს აზრს ამ საკითხზე... ხსენებული პირების მთელი ეს ჩმახვა „სამეგრელოს ავტონომიის" შესახებ არის მართლა უმსგავსო საბჭოთა ფარსი (?! — ავტ.). ავტონომია... რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილზე, მისი როგორც პოლიტიკურ—კულტურულ, ისე ეკონომიკურ ინტერესებზე და მას ხელს არ უწყობს ქვეყნის ობიექტური პირობები — ასეთი ავტონომია არის ავანტიურა, ხოლო მისი ინიციატორები — წმინდა წყლის ავანტიურისტები... მშრომელი სამეგრელოს ინტერესები არ მოითხოვენ ავტონომიას... მისი ინტერესები მოითხოვს, რომ ოფლით მონაპოვარი საბჭოთა კაპიკი მის პირველი მოთხოვნილების საჭიროებას მოხმარდეს. ზუგდიდის მაზრაში უგზოობის გამო კამეჩის პრიმიტიული ურმით თუ გაივლი და ისიც კარგ დარში. გზა, ხიდი, სკოლა, საავადმყოფო, სამკითხველო, თეატრი — აი რისი მოწყობა შეადგენს ჩვენ გადაუდებელ ამოცანას... ამით მე ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვაინტერესებს ის, რაშიც საჭიროებს მშრომელი გლეხობა და არა „ავტონომია" როგორც ყოვლად მიუღებელი ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საზრისით". ი. ჟვანიას ამ თავისგამამართლებელმა წერილმა სრულიადაც ვერ გაფანტა გამოცდილი ჩეკისტისა და ამ დროისათვის საქართველოს პარტიულ წრეებში უაღრესად პოპულარული პიროვნების მიერ წამოყენებული ყველა ყალბი ბრალეულობების შთაბეჭდილება. მაგრამ ი. ჟვანიამ წარმატებით მოახერხა საკუთარი თავის გამართლება: მან წამოსწია „ავტონომისტებთან" ბრძოლაში თავისი ადრინდელი დამსახურება. იგი მართალი იყო, როცა ავტონომიის მოთხოვნას აცხადებდა მიუღებელ პოლიტიკურ ავანტიურად. მაგრამ არ იყო მართალი, როცა სამეგრელოს ავტონომიას „ყოვლად მიუღებლად" მიიჩნევდა „ეკონომიკური მდგომარეობის საზრისით". ამ შემთხვევაში საჭირო იყო იმის დასაბუთება, თუ რა ზიანს მოიტანდა სამეგრელოს ავტონომია ეკონომიური თვალსაზრისით.

იმავე 15 სექტემბერს და იმავე გაზეთში დაიბეჭდა სამეგრელოს სოფ. ხობში დაბადებული, უხუცესი სოციალ—დემოკრატისა და პუბლიცისტის დიომიდე თოფურიძის წერილი „სამეგრელო და აშორდისტები"; იგი ცდილობს პრობლემა ისტორიულ ჭრილში გაიაზროს და ჩამოაყალიბოს შესაბამისი დასკვნა. „აშორდიას პირადად ვიცნობდი და მახსოვს, — წერს დ. თოფურიძე, — რომ ვისაც კი შეგნებული ჰქონდა თუ რა პოლიტიკას ატარებდა იანოვსკი — ვოსტორგოვი და... რუსეთის იმპერიალიზმი საქართველოში, ზიზღით უყურებდა მოსყიდულ აგენტს — აშორდიას. ღღეს აღმოჩნდნენ ახალი აშორდიები, ბუკონია-ბესელიები და ზუგდიდში კარგად ცნობილი, როგორც ფრიად ახირებული და საზ. თვალსაზრისით უმნიშვნელო მიშა დადიანი. ეს ვაუბატონები შეგნებულად თუ შეუგნებლად (! — ავტ.) ღალატობენ საქართველოს მშრომელთ და ცდილობენ კულტურულად და ეკონომიკურად (? — ავტ.) დაქვეითონ სამეგრელო".

დ. თოფურიძე იმ მხრივ სცოდავს, რომ თითქოს: თადა აშორდიას მთელი სამეგრელო ებრძოდა; მ. დადიანი მხოლოდ ახირებულობით ხასიათდებოდა; ავტონომია სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკურად დააქვეითებდა. სინამდვილეში თ. აშორდიას ამხლდნენ ქართველი ინტელიგენციისა და სამღვდელოების ცნობილი წარმომადგენლები. პოლიტიკოსი კომუნისტებიდან ზოგი ერთმანეთისგან ვერც კი ანსხვავებდა ცნობილ სოლომონ აშორდიასგან და თადასაც „აფერისტად" მოიხსენიებდა. ავტორი ტყუოდა, როცა ავტონომისტებს სამეგრელოს მიზნობრივ კულტურულ-ეკონომიკურ დაქვეითების მისწრაფებას აბრალებდა. აქ საჭირო იყო კვალიფიციური, ადეკვატური შეფასება. მაგრამ ე.წ. ავტონომისტ-სეპარატისტების ასეთი კრიტიკოსი საერთოდ არა ჩანს.

16 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი" აქვეყნებს მ. კვარაცხელიას წერილს — „უპასუხისმგებლო გამოსელის შესახებ". აქ ავტორი ეხება მეფის მთავრობის აგენტებს — ვოსტორგოვს, იანოვსკის, ლევიცკის და აშორდიას მიერ სასწავლებლებში მეგრული ენის შემოღების წარუმატებელ მცდელობას, მას უკავშირებს მიშა დადანის და „მისი დამქაშების" საქმიანობას, რადგან ესენი უგულებელყოფენ იმას, რომ „მეგრელი ლაპარაკში ხმარობს ქართულ სიტყვებს" და „ასეთ მოვლენას აქვს მასიური ხასიათი". მ. კვარაცხელია აღნიშნავს, რომ ისინი „სცდილობდნენ ახალი სიტყვების შექმნას, რომელიც ყველასათვის გაუგებარია". მას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს გაზეთ „ნოთეს" ტერმინოლოგია. მ. კვარაცხელიას წერილში პირველად სახელდება „მაფალუ". ამასთან დაკავშირებით ავტორი პირად მეხსიერებაზე დაყრდნობით აცხადებს: „მაფალუისტების" მტკიცება, რომ მეგრულად დაწერილის გაგება მეგრელისათვის უფრო ადვილია, ვიდრე ქართულად დაწერილისა, ეს მტკნარი სიცრუეა (? — ავტ.), ვინაიდან მეგრული მწერლობა არასდროს არ ყოფილა გარდა აშორდიას". მისი აზრით, „მეგრული ენა ქართული ენის კილოკავი" (? — ავტ.), ქართული ენის უახლოესი ნათესავია.

მ. კვარაცხელია სასწავლებლებში მეგრული ენის შემოღების გამო აკრიტიკებს მ. დადიანს, მაგრამ სათანადო არგუმენტაცია, თუ მასალა არ მოაქვს. მისი აზრით, მეგრელი ლაპარაკის დროს ხმარობს ქართულ სიტყვებს, მაგრამ მან არ იცის, რომ სიტყვები ხშირ შემთხვევაში ქართული კი არა პროტოქართული, ანუ თანაბრად მეგრულიცაა. მ. კვარაცხელია როცა ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ მეგრელისათვის ქართულად დაწერილის წაკითხვა უფრო ადვილია, აზროვნებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაწაფული მეგრელის მაგალითით. სამეგრელოს გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი ქართული ძლიერ ცუდად, ან სრულიად არ იცოდა და საკუთარ, ვერბალურად უმდიდრეს მეგრული ენით იღწვოდა. მან კარგად აუღო ალღო საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის დიდი წარმომადგენლების სულისკვეთებას და კომუნისტი ავტონომისტი სეპარატისტების ანტიეროვნული გამოვლინებების სათავეები სტ. გაგუას „მაფალუსთან" ყალბად დააკავშირა. ამით სათავე დაუდო „ე.წ. მაფალულობის" გაგებას.

17 სექტემბერს გაზეთმა „კომუნისტმა" დაბეჭდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ყოფილი მუშაკის, სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ყოფილი გამგისა და სამაზრო კომიტეტის განთავისუფლებული მდივნის ბესარიონ შოგირაძის წერილი — „ახალი აღმოჩენა". მასში მოცემული ავტორისეული ნააზრევი მკითხველისათვის მართლაც ახალია. იგი წერს: „არავის არ ახსოვს სამეგრელოში დაესვას საკითხი, რომ მეგრელები ცალკე ერია და ამიტომ საჭიროა მათი დამოუკიდებელი არსებობაო. ეს ჩვენ პირველად გავიგონეთ აშორდია — გაგუას (? — ავტ.) მემკვიდრეებისაგან..." მაშასადამე, უგულებელყოფილი არიან რუსიფიკატორი ჩინოვნიკები. აშორდიას მიმდევრად ცხადდება გაგუა (სტეფანე: ფოთის ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენელი „მენშევიკურ" საქართველოში, შემდეგ ფოთის გიმნაზიის მმართველი, დირექტორი, 1918-1919 წლებში „მაფალუს" საზოგადოების ინიციატორი — ავტ.). ბ. შოგირაძის განცხადების მიხედვით, ავტონომისტებს მიაჩნიათ, რომ „მეგრელები ცალკე ე-

რია“ და ამიტომ საჭიროა მათი დამოუკიდებელი არსებობა“ დანარჩენი ქართველებისაგანო, „მენშევიკებს ეს საკითხი არ დაუყენებიათ, რომ ყოფილიყო, დააყენებდნენ: არიქა, ჩაგრავენ ბოლშევიკებიო“. იგი მკითხველს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე არწმუნებს: „გაიძახიან მეგრელებს 90-100 პროცენტს არ ესმის ქართული ენა, რომ არ ხდება პროპაგანდა მეგრულზე, საქმის წარმოება გაუგებარ ენაზეა“ და ამტკიცებს, რომ „გასაბჭოების შემდეგ პროპაგანდა სწარმოებდა მეგრულ ენაზე... არც ერთი კამპანია გაუგებარ ენაზე არ ჩატარებულა“. იგი ვერ ხედავს, რომ ასეთი მტკიცებულებით, უნებურად ადასტურებს სამეგრელოში მეგრული ენის ფორმალურ-სახელმწიფოებრივი საჭიროების აუცილებლობას. ბ. შოგირაძეს მიაჩნია, რომ ეს გაზეთი („ნოთე“ — ავტ.) პირდაპირ დაცინვაა მშრომელი ხალხის... ხალხს არ დაუვალებია... პარტიას არ შეეძლო მისი გამოცემა, რადგან არ არის მეგრული ლიტერატურა, მწერლობა, სიტყვები გაუგებარი იყო ფართო მოსახლეობისათვის“. თურმე ამიტომ, „ის დახურა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და პარტორგანიზაციამ, მანამდე, სანამ ცენტრი გაიგებდა „ნოთეს“ გამოსვლას“. მაშასადამე, ბ. შოგირაძემ დაინტერესებულ მკითხველს გააგებინა, რომ სტეფანე გაგუა მოგვეელინა ცარიზმის რუსიფიკატორებიდან თანამედროვე დემაგოგებამდე გაბმული ანტიეროვნული ჯაჭვის დამაკავშირებელ რგოლად. ამასთანავე, მან, როგორც პარტიის ზუგდიდის ყოფილმა სამაზრო ლიდერმა, დაიბრალა გაზეთ „ნოთეს“ აკრძალვა. სინამდვილეში „ნოთე“ საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის დაჟინებული მოთხოვნით აიკრძალა.

1925 წლის 16 სექტემბერს გაზეთმა „მუშამ“ გამოაქვეყნა ვინმე „ე.ტ.“-ს ვრცელი სტატია „ვინც თავის ტყავში არ ეტევა (სამეგრელოს ავტონომისტების გამოსვლის გამო)“. ავტორი წერს, რომ: „სამეგრელოს არამკითხე ჭირისუფლებმა, უსაქმო პოლიტიკანელებმა, თადა აშორდიას ღირსეულმა მემკვიდრეებმა, ისევ წამოყვეს თავი და კვლავ წამოაყენეს სამეგრელოს ავტონომიის საკითხი. ზოგი მათგანი კი, როგორც ჩანს, ავტონომიითაც არ კმაყოფილდება და მოითხოვს სამეგრელოს საქართველოს „ბატონობისაგან“ საკუთარი განთავისუფლებას, ესე იგი ისეთსავე სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, როგორიც აქვს თვით საბჭოთა კავშირს, არც მეტი არც ნაკლები (?! — ავტ.). უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამას ისინი ლაპარაკობენ სამეგრელოს მშრომელი ხალხის სახელით... რომელიც ყოველთვის დამცველი იყო და დღესაც არის მუშათა კლასის მთლიანობისა და საბჭოთა ხელისუფლების“ (? — ავტ.). ავტორი საყვედურს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამ ვაუბატონების თავხედობა“ გამოიხატა „საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი მთავრობის წინაშე დაბეზღებით...“ იგი წერს: „სამეგრელოს ავტონომისტებს წინამძღოლობს მიშა დადიანი, ხოლო მას მხარს უმშვენებს და ბანს აძლევს ვლ. ბუკია. დანარჩენების შესახებ არ ღირს ლაპარაკი!“

ამ წერილში ყურადღებას იპყრობს მისი ზედაპირული თხრობა. მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ავტორი „ავტონომისტებს“ შორის „წინამძღოლად“ ასახელებს მ. დადიანს, ხოლო მთავარ „ბანის“ მიმცემად ვლადიმერ ბუკიას, დანარჩენი კი უმნიშვნელო პიროვნებებად ეჩვენება. აქ მას ვერ დავეთანხმებით, რადგან სათანადო წყაროებით თვალსაჩინო „წინამძღოლად“ მოსჩანს გრიგოლ ახალაია, ხოლო ვ. ბუკიას გვერდით — ბესელია.

წერილის ავტორი შემდეგ ეხება თ. აშორდიას და საკუთარ მოგონება—დაკვირვებაზე დაყრდნობილი უაღრესად საინტერესო პასაჟი მოაქვს. მის მიხედვით, „თადა აშორდიას მიერ დაწყებული ეროვნული მოძრაობა... სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას რუსის შავრაზმელების პარპაშობასთან ერთად“. ეს პასაჟი ბევრი სხვა ავტორის აზრს ეთანხმება და ამიტომ მნიშვნელოვანია. შემდეგ ავტორი წერს: „არ გვეგონა თუ დღეს, მუშათა კლასის ხელისუფლების პირობებში, გამოჩნდებოდა ვინმე და გაბედავდა აშორდიას სამარცხვინო საქმის გაგრძელებას. სამეგრელოს ავტონომისტებს გაუგიათ ფლავს არიგებენო და შესდგომიან ჯამჭურჭლის რეცხვას ფლავის მოლოდინში. მათ გაუგიათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს ეროვნულ თავისუფლებას (?! — ავტ.) და მათაც აშლიათ სა-

მეგრელოს ეროვნული საკითხის წამოყენების საღერღელი". მშვენიერი ასახვაა სინამდვილისა. იგი გვისაბუთებს, ბოლშევიკური ავტონომიების ფლავის დარიგებამ წარმოშვაო ზუგდიდელ „ჩხოუშელთა" ავტონომისტური მისწრაფება. ამასთანავე იგი საბჭოთა პერიოდის კომუნისტ ავტონომისტებს, ზოგ სხვასავით, გენეტიკურად კი არ აკავშირებს, არამედ მხოლოდ გარეგნული მსგავსებით. ამას, ჩვენი აზრით, აქვს არსებითი მნიშვნელობა. ავტორი წერს: „უბადრუკებმა, ალბათ, არ იციან, რომ ეროვნულ თავისუფლებას საბჭოთა ხელისუფლება აძლევს ერს, რომელიც არსებობს სინამდვილეში, განირჩევა სხვა ერებისაგან ენით (! — ავტ.), ზნით, ჩვეულებით, მწერლობით, კულტურული ავლადიდებით". წერილის ავტორს სამეგრელო გაიგივებული აქვს ქართულ—კახეთ—იმერეთ—გურიასა და საქართველოს სხვა კუთხეებთან. იგი საერთოდ უგულებელყოფს მეგრული ენის სპეციფიურობას, სამეგრელოში ქართული ენის უცოდინართა არსებობას და ქართული ენის უცოდინარობით შექმნილ სერიოზულ სიძნელეებს. მისი აზრით, სამეგრელოს ავტონომია, აჭარისგან განსხვავებით, აუცილებლად გამოიწვევდა იმ დღეში ჩავარდნას, „როგორშიაც საქართველო იყო ბატონყმობის დროს" (?! — ავტ.). იმას კი არ აქცევს ყურადღებას, თუ რატომ აქებენ აჭარის ავტონომიას და რატომ „გაწირეს" აჭარა. „სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის წამოყენება არის უნიადაგო, — წერს ავტორი, — უაზრო და უმიზნო ნაბიჯი, რადგან სამეგრელო, როგორც საქართველოს ნაწილი, დიდი ხანია სარგებლობს როგორც ეროვნული თავისუფლებით, ისე ყოველგვარი სიკეთით, რომელიც მიანიჭა მშრომელი ხალხის გამარჯვებამ ბნელ ძალებზე". აღნიშნული სიტყვები, ჩვენი აზრით, მათი განსაკუთრებული დემაგოგიურობის გამო, ბოლშევიკისა და მათი თანამგზავრებისგან უსათუოდ იმსახურებდა შეძახილს: ბრავო! აქ სამწუხარო ის არის, რომ ზემოთ მოყვანილ პუბლიკაციებს გაცნობილი ზოგი მკითხველი მათ ინფორმაციულ ოქროდ ღებულობს და ამ კამპანიის არსით ისევე არ ინტერესდება, როგორც „ჩხოუშელთა" ავტონომისტური თუ სეპარატისტული ნააზრევის აღმოცენების მიზეზებით.

ზემოთ აღნიშნული საგაზეთო პროპაგანდისა და სააგიტაციო სამუშაოების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ფართო პატრიოტული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვალსაჩინო ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა და სამეგრელოს მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა აზრს „მეგრული საკითხის" გამო. ხელისუფალნი იმედოვნებდნენ, რომ მათი მეშვეობით და კიდევ უფრო მეტად სანდო პიროვნებების მეოხებით, შესაძლებელი იქნებოდა არა მარტო ე.წ. „ჩხოუშელების" ანტიქართული, სეპარატისტულ—ავტონომისტური მისწრაფებების სიღრმისეული კრიტიკა, არამედ „სამეგრელოს საკითხის" მოტივით პარტიისა და ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ფართო კამპანიის პოზიტიური არსის და მიზანდასახულობის დამაჯერებლობის მკვეთრი გაძლიერება.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და რესპუბლიკის ხელისუფლებამ „მეგრული საკითხის" გარშემო პრესის ფურცლებზე ჩამოაყალიბა საკუთარი „ბელადების" საფლაგმანო დირექტივების და აქტივის საპროტესტო კამპანია, 1925 წლის 22 სექტემბერს ახალსენაკში შეიკრიბა „მასწავლებელთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის" კრება, რომელსაც 60 პიროვნება ესწრებოდა. თბილისში მცხოვრები მეგრელის, გაზეთის კორესპონდენტის შთაბეჭდილებით „ყველას აინტერესებდა ეს საკითხი, ყველა გულის ფანცქალით მოელოდა სხდომის გახსნას". შეკრების მონაწილეებს აინტერესებდათ, „ვინ გაბედა ისეთი საკითხის წამოყენება, რომელიც ფიქრადაც არ მოსვლია ჩვენ ხალხს". ვრცელი მოხსენება მეგრული ავტონომიის წინააღმდეგ გააკეთა ბეს. კიზირიამ. „მან დაამტკიცა საბუთებით ხელში, რომ სამეგრელოს ხალხი არც წარმოადგენდა და არც წარმოადგენს ერს"... რომ იგი მთლიანი საქართველოს შემადგენლობას წარმოადგენდა, რომ „მეგრული ენა ეს ქართული ენის კილოკავია". სოფლის კორესპონდენტს (ს. უჩანეიშვილი) აღწერილი არა აქვს, კონკრეტულად რა „საბუთებით ხელში" ხელმძღვანელობდა მომხსენებელი. მაგრამ განმარტავს, რომ „მან დაასაბუთა... სამეგრე-

ლოს ავტონომიურად ჩამოშორება გამოიწვევდა სამეგრელოს დაქვეთებას, უკან დაწევას და მთლიანი საქართველოს დაშლას", რაც ყოვლად მიუღებლად და დასაგმობად მიიჩნია. „აზრის გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო ათამდე ამხანაგმა. ყველა ამტკიცებდა, რომ სამეგრელოს მშრომელ ხალხს არასოდეს მოუთხოვია საქართველოდან ჩამოშორება... ავტონომია რამდენიმე წლით უკან დასწევდა" სამეგრელოს. აქ დამაჯერებელია ის, რომ სამეგრელოს ხალხს მართლაც არასდროს არ მოუთხოვია საქართველოდან ჩამოშორება და ეს მისი ეროვნული თვითშეგნების უთუო მაჩვენებელია. მაგრამ გაუგებარი რჩება, რატომ ჰგონია, რომ ავტონომია რამდენიმე წლით უკან დასწევდა რეგიონს?! და რატომ იყო, რომ „ყველა ერთხმად გმობდა მას. კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლუცია, დაგმო სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის პოლიტიკა". რეზოლუციაში ნათქვამია: „ამას არ მოითხოვს სამეგრელოს მშრომელი ხალხი, სამეგრელო სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს საქართველოს სსრ შემადგენლობაში, რაიმე ჩაგვრაზეც კი ლაპარაკი ზედმეტია" (გაზ. „კომუნისტი", 1925, 24 სექტემბერი). "სამეგრელოს ხალხის" აზრის დემონსტრირების შემდეგ სენაკის ინტელიგენციის მაგალითზე უზრუნველყოფილ იქნა „მეგრულ საკითხში" პარტიისა და ხელისუფლების აზრის მიმართ თბილისში მცხოვრები მეგრული წარმოშობის თვალსაჩინო ეროვნულ მოღვაწეთა სოლიდარობა.

1925 წლის 23 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა თბილისში მცხოვრები სამეგრელოს მკვიდრი თვალსაჩინო ეროვნული წარმომადგენლების შეკრება. რესპუბლიკის ცენტრალურმა პრესამ დაწვრილებით აღწერა ამ კრებისათვის მზადება, მიმდინარეობა და მისი გადაწყვეტილება. გაზეთები იუწყებიან, რომ შეკრება დანიშნული იყო საღამოს 8 საათზე. „საღამოს 6 საათიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა, შესვლისათვის ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული. ბევრი ბილეთიანი (! — ავტ.) გარეთ დარჩა. მთელი საზოგადოება ავტონომისტების წინააღმდეგ იყო განწყობილი. აქა იქ დარბაზში ზოგიერთ კუთხეებში მაინც იყვნენ გაბნეული ბუკონია-ახალაიას ორდენის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ ოპოზიციის შექმნას". ეს გამოიხატა „წამოძახილში და პრეზიდიუმის სახელზე ურთიერთ შეკითხვების გაგზავნაში" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). მაშასადამე, „მეგრული საკითხის" მიმართ საზოგადოების ინტერესი უაღრესად დიდია. მაგრამ როგორც ჩანს, ოპოზიციონერებს სიტყვა არ აღირსეს.

ცნობილი ეროვნული მოღვაწის თედო ჟორდანიას შვილის, ასევე ეროვნული პიროვნების „გიორგი ჟორდანიას წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარე თედო სახოკია და წევრები აკაკი ფაღავა, დიომიდე თოფურიძე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა. პრეზიდიუმის საპატიო წევრად... ალ. გეგეჭკორი. პირველი სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა თედო სახოკიას"... „კრების დასასრულს სიტყვით გამოვიდა კოწია გამსახურდია".

გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა აღნიშნული ღონისძიების მოკლე მიმოხილვა, მოხსენებები და სიტყვების ანოტაციები, აგრეთვე კრების რეზოლუციაგადაწყვეტილებები. მან შედარებით ფართოდ წარმოაჩინა კრების თავმჯდომარისა და ძირითადი მომხსენებლის, ცნობილი ეროვნული მოღვაწის, საქართველოს განუყოფელობისათვის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მებრძოლის, აფხაზეთ-სამეგრელოში მოღვაწე პატრიოტების ჯგუფის მეთაურის, თ. სახოკიას მოხსენება.

გაზეთი „მუშა" საქართველოს მშრომელ მოსახლეობას საყურადღებოდ აღუწერს მოვლენას სპეციალურ წერილში — „თბილისში მცხოვრებ მეგრელების საერთო კრება". მასში ნათქვამია: „ჯერ კიდევ სამი დღით ადრე გავრცელდა ხმა: თბილისში მცხოვრებნი მეგრელები 23 სექტემბერს კრების მოწყობას და „სამეგრელოს ავტონომიის" შესახებ მოლაპარაკების გამართვას აპირებენო. ყველა დაინტერესდა ამ ამბით. შეუდგნენ კრებაზე შესასვლელი ბილეთების ძებნას, ამუშავდა ტელეფონები, იწყეს ნაცნობ-მეგობრების გამოძახება და მათი დახმარებით ბილეთის თადარიგი. 23 სექტემბერს, რუსთაველის თეატრის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველას უნდოდა თეატრში შესვლა და ამ

ახირებული „ავტონომისტების“ მიზნებისა და მოქმედების შესახებ სიტყვის მოსმენა. შვიდის ნახევარზე გაიღო თეატრის კარები და იწყეს ხალხის შეშვება. ყველა ცდილობდა შესვლას, ერთმანეთს აღარ უცდიდნენ. კონტროლიორები ვეღარ ახერხებდნენ ბილეთიანისა და უბილეთოს გარჩევას; ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ აზღვავებული ხალხის მთა გაეჩხირა ფართედ გაღებულ თეატრის კარებში. ატყდა წივილ-კივილი; ხალხი პირდაპირ ჭყლეტდა ერთმანეთს. ორიოდე მილიციონერი, რომელიც შესავალთან იდგნენ, რასაკვირველია, ვერ ახერხებდნენ წესიერების დამყარებას. ერთი საათი გაგრძელდა თეატრის შესავალთან ასეთი დაკიდარაბა. ბოლოს, როგორც იყო, თითო-თითოდ ხალხი გაძვრა კარებში და 8 საათისათვის თეატრი ისე გაიჭედა, რომ ნემსიც ვერსად ჩაეტეოდა. ბევრი დარჩა გარეთ და გულდაწყვეტილი უკან გაბრუნდა ან შორახლო იდგნენ კარებთან და თეატრში შემსვლელთ შურის ძიებით (შურით — ავტ.) ათვალიერებდნენ“ (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). როგორც ვხედავთ, ხელისუფლებამ საკითხი ზუგდიდშივე მოგვარების ნაცვლად, სრულიად საქართველოს მასშტაბის ღონისძიებად გადააქცია.

„8 საათზე მოქ. გიორგი ჟორდანიამ გახსნა კრება და დამსწრეთ გააცნო კრების მიზანი. კრება დიდის ინტერესით უსმენდა გ. ჟორდანიას, მაგრამ გარეთ დარჩენილი ხალხი დარბაზში შემოჭრას ლამობდა და ამიტომ ორატორის სიტყვები კარგად არ ისმოდა“. როგორც ჩანს, პარტიულმა მიზანდასახულობამ შედეგი გამოიღო. ქართველმა პატრიოტულმა საზოგადოებამ „მეგრული საკითხი“ მომენტის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნია.

„პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ „სამეგრელოს ავტონომიის“ შესახებ მოხსენებას იწყებს მოქ. თედო სახოკია. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას სამეგრელოს არამკითხე ჭირისუფლების უსინდისო მოღვაწეობის მთელი ისტორია, იანოვსკის, ლევიცკის და აშორდიას პროვოკატორული პოლიტიკა და გადაჭრით განაცხადა, რომ თანამედროვე აშორდიები — დადიანი, ბუკია, ბესელია და ძმანი მათნი, ნამდვილად აკეთებენ რუსის შავრაზმელების მიერ დაწყებულ ბნელ საქმეს, რომ ისინი ცდილობენ საქართველოს მთლიანი სხეულის დანაწილებას, დაქუცმაცებას და შემდეგ მის სავსებით აღგვას დედამიწის პირიდან“. თ. სახოკია აცხადებს: „— ამას, რასაკვირველია, არ დავანებებთ ჩვენ; სამეგრელოს ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი კისერს მოუგრეხს გზა-დაბნეულ და სინდის გარეცხილ პროვოკატორებს, როგორც მოხდა ეს აშორდიას დროს“. როგორც ვხედავთ, საგაზეთო პუბლიკაციის უტყუარ საფუძველზე თ. სახოკიას დაუდასტურებია კომუნისტი პუბლიცისტების განცხადებები მეგრელი სეპარატისტების შემზარავი მიზანდასახულობისა და რეალურად არსებული დიდი საშიშროების შესახებ.

გაზეთმა „კომუნისტმა“ მეტი ყურადღება დაუთმო თ. სახოკიას სიტყვის მეცნიერულ-ანალიტიკური ნაწილის გადმოცემას. გაზეთი „კომუნისტი“ წერს: „... 1918 წელს ქ. ფოთში ვოსტორგოვ-ლევიცკებს გამოუჩნდნენ მემკვიდრეები მასწავლებელ სტეფანე გაგუას სახით. ზუგდიდელი ავანტურისტების ჩხირკედელაობა სწორედ ამ დროიდან იწყება“ (?! — ავტ.). მაშასადამე, ძველის მცოდნე და მომსწე პატრიოტმა თ. სახოკიამ დაადასტურა ისიც, რომ ზუგდიდელების ავანტურიზმი სტ. გაგუადან იწყება. მაშასადამე, კისრის მოგრეხას იმსახურებენ არა მარტო ეს ახალი ავანტურისტები, არამედ მათი დამკვალიანებელი თ. სახოკიას ყოფილი თანაპარტიელი სტ. გაგუაც.

შემდეგი მომხსენებელი დ. თოფურიძე ცნობილი მენშევიკი გახლდათ. იგი რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ.) ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა. საქართველოში „მენშევიკების ბატონობის დროს“ ეჭირა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეწევა მეცნიერულ-პუბლიცისტურ მუშაობას (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 696). ამდენად, მას მართალი კი არა, ტყუილიც დაეჯერება. იგი „ვრცლად შეეხო მეგრ. ავტონომისტების „მოღვაწეობის“ ისტორიას თავიდან ბოლომდე, მოიყვანა მრავალი საბუთები მათი უსაფუძვლო მოთხოვნილების დასასაბუთებლად და წაიკითხა

ადგილები პროფესორ ნ. მარის ნაწერიდან, რომლითაც პატივცემული მეცნიერი ამტკიცებს, რომ მეგრული კილოკავია (? — ავტ.) და სხვა. მაშასადამე, მწიგნობარმა შეძლო ვითომ „ნ. მარის აზრის" საკუთარი ინტერპრეტაცია ფართო საზოგადოების კუთვნილებად გაეხადა. ბოლოს მომხსენებელმა გამოსთქვა რწმენა, რომ სამეგრელოს მკვიდრნი კარგად გაუსინჯავენ კბილს ჩხოუშიელების ვერაგულ პოლიტიკას და თავიდან ააცილებენ ამ საშიშროებას, <u>რომელსაც მას უმზადებენ რუსის შავრაზმელების უკანონო შვილები — ბესიელიები და გაგუები</u>". (იხ. გაზ. „მუშა" 1925, 25 სექტემბერი. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). აქედან ჩანს, რომ საქართველო „დიდი საშიშროების" წინაშე მდგარა და „სამეგრელოს მკვიდრების" ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კბილი გაესინჯათ „ჩხოუშიელების" ვერაგული პოლიტიკისათვის და თავიდან აეცილებინათ ეს საშიშროება. სიტყვით გამოსულთაგან ამხ. თოდუამ, „რომელიც შუაგულ სამეგრელოს შვილია და კარგად იცნობს აშორდიას წარსულ მოღვაწეობას ზუგდიდის მაზრაში", თქვა, რომ აშორდია „ცდილობდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას და მთელი სამეგრელოს მშრომელი ხალხის მოწყვეტას დედა საქართველოსაგან". მასწავლებელმა პატარაიამ „სამეგრელოს ავტონომიის" მაძიებლებს „ნიკოლოზის აგენტები, ბობოლა ჩინოვნიკები და თავადაზნაური, „თავიანთი პირადი ინტერესების მომჭახრაკებლები" უწოდა. აკ. ფაღავამ განაცხადა, რომ აღინიშნება „სამეგრელოში იმათი პოლიტიკა და მუშაობა, რომელთაც მიზნად დაუსახავთ, საქართველოს და სამეგრელოს მშრომელი ხალხის გათიშვა და შემდეგ სავსებით დაღუპვა".

რუსთაველის თეატრში გამართულ „თბილისში მცხოვრებ მეგრელების საერთო კრებაზე" სიტყვით გამოსულთა შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას ნაუბრები. „დასასრულ სიტყვით მიმართა კრებას კონსტანტინე გამსახურდიამ, — წერს გაზეთი „კომუნისტი" — მოქალაქენო, ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, <u>რომ ერთხელ კიდევ შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდათ სამეგრელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან, ჩვენ მხოლოდ ზიზღით უნდა გაუმასპინძლდეთ მათ, რადგან ზარბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ არა ღირს</u>" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). კ. გამსახურდიამ მოითხოვა „გადამწყვეტი სიტყვის" თქმა „ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და „მთავრობას მოსთხოვა „ამ მახინჯი მოვლენის" (! — ავტ.) „ძირიანი აღმოფხვრა"; გაზეთი „მუშა" კი, კ. გამსახურდიას ნათქვამს ასე აზუსტებს: რომ ერისა და მშორომელი ხალხის მოღალატე ჩხოუშიელები „ერთხელ კიდევ სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ და სახეში ჩავაფურთხოთ <u>აშორდია-ლევიეცკის უსინდისო აგენტებს.</u> — ამ გამოთაყვანებულ ხალხს უნდათ, რომ ჩვენ ვუარვყოთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, გურამიშვილის ენა და მის ნაცვლად შემოვიღოთ აშორდიას მიერ შეთითხნილი მეგრული მართლწერა. — ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ სამეგრელოს საქართველოდან ჩამოშორებისა და საქართველოს დაქუცმაცების ყოველივე ცდა, — დაასრულა გამსახურდიამ".

გაზეთი კომუნისტი იუწყება, რომ „კ. გამსახურდიას სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია", რომელშიც მომხსენებლის, სიტყვით გამოსულების და დამსწრე საზოგადოების სულისკვეთებასთან ერთად ხელისუფლების მიზანდასახულობაც ათსახა. რეზოლუციაში ნათქვამია: „კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს („ავტონომიზმი" და სეპარატიზმი — ავტ.) არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქაქსვისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის, მოსპობისაკენ... ჩვენ საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები სამეგრელოს მკვიდრნი... ვგმობთ წითელ ქურქში გახვეულ შავრაზმელების ცდას საქართველოს მთლიანი სხეულის დაქუცმაცებისას... კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებული იქნეს სასტიკი ზომები ასეთ უმზაკვესო შავრაზმული მოვლენის ძირ-ფესვიანად აღმოსაფხვრელად" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

აქ ყურადღებას იპყრობს სიტყვები „ვგმობთ წითელ ქურქში გახვეული შავრაზმელების ცდას საქართველოს მთლიანი სხეულის დაქუცმაცებისას..."

„კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებული იქნას სასტიკი ზომები ასეთ... მოვლენის ძირ-ფესვიანად აღმოსაფხვრელად". ამ აზრის სრულყოფილ გაგებას თითქოს სიძნელე არ ეღობება. წითელ ქურქში გახვეული შავრაზმელებში იგულისხმებიან „სეპარატისტების" ლიდერები მ. დადიანი, გრ. ახალაია და სხვ., რომლებიც, როგორც ბერიას საგაზეთო წერილში აღინიშნა, კომუნისტური პარტიის წევრები და ყოფილი წევრები არიან (გაზ. „კომუნისტი", 1925, 13 სექტემბერი). მაგრამ ამ ამონარიდის შინაარსის ინტერპრეტაცია ამით არ ამოიწურება. ამაზე ლაპარაკი ქვემოთ, სათანადო მსჯელობის დროს გვექნება. მაშასადამე, „მეგრულ საკითხში" დასტურდება, ერთი მხრივ, პარტიისა და ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, „მეგრელი ხალხისა" და მეგრელი ინტელიგენციის, აგრეთვე სამეგრელოდან ამოსული თვალსაჩინო მამულიშვილების აზრის, თუ პოზიციის თანხვედრა. ამ უკანასკნელთა აზრის დემონსტრირებას კი განსაკუთრებული იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პატრიოტულ საზოგადოებასა და მასას კომუნისტების მიერ ორგანიზებული კამპანიისა და კომუნისტი პუბლიცისტებისა ნაკლებად სჯეროდა. ასეთი ცალკეული გამონათქვამების ალტერნატიული აზრი, დღემდე ცნობილი ავტორთაგან, ჩვენს გარდა, არავის შეუნიშნავს. ამრიგად ეროვნულ-პატრიოტული ღირსებებით ცნობილი თვალსაჩინო მეგრელი მოღვაწეების ბოლშევიკურ კამპანიაში ჩაბმამ მნიშვნელოვნად გაზარდა მისი დამაჯერებლობა და ეფექტიანობა.

1925 წლის 27 სექტემბერს, ზემოთ მოთხრობილი კამპანიის შემდეგ, გაზეთ „მუშას" ორკვირეული უფასო დამატების სახით გამოქვეყნებულ ჟურნალ „ტარტაროზში" (ეშმაკი, ანუ მაცდუნებელი) სატიტულო პირველ გვერდზე გამოქვეყნდა „მთლიანი დამოუკიდებელი სამეგრელოს გერბი, რომელიც ეკუთვნის თადა აშორდიას აზროვნებას". ეს არის ჟურნალის (№18-(21) გარეკანის მთელ გვერდზე წრეში დახატული ცხენის მოცულობისა და შეკაზმულობის თხა, რომელზეც ამხედრებულია მეგრულ სამოსელში ჩაცმული მხედარი, მეგრული გარეგნობით, ალბათ, თადა აშორდია. ამავე ჟურნალში (გვ. 2-4) დაბეჭდილია ვრცელი სატირული წერილი „მაფალუ" — „ნოთე" (ავტონომისტების მანიფესტი)". მასში ავტორი შემდეგი სიტყვებით ალაპარაკებს „ავტონომისტ"—„მაფალუელ—ნოთელებს": „სამეგრელოს ავტონომია ყოველმხრივ ხელსაყრელია ჩვენთვის... ეკონომიურ-მატერიალურ თვალსაზრისით... ჩვენში ბევრი არიან ყოფილი თავადები. ისტორიის წაღმა ტრიალმა თავადაზნაურობა მიწასთან გაასწორა... გავფლანგეთ მთელი ქონება. არც პოლიტიკურ ასპარეზზე გაგვიმართლა იმედებმა. როგორც იყო, ზოგი ჩვენგანი გაჭირვებით და ათასგვარი ხრიკებით შევძვერით პარტიაში — მაგრამ როგორც კი გაგვიცნეს მაშინვე პანღურით გამოგვისტუმრეს. დავრჩით ხახამრალი... კუჭს საჭმელი უნდა, ყელს ღვინით ჩასველება — საარსებო წყარო კი დამშრალია. მიეცით სამეგრელოს დამოუკიდებლობა. ჩაგვაბარეთ მისი ბედ-იღბალი ჩვენ, ძველ ბრწყინვალე თავად-აზნაურობას... ჩვენს მდგომარეობას ისე ავსწევთ, რომ... ბატონ-ყმობის დროინდელ მდგომარეობას გაუთანასწორებთ". ამას მოსდევს ავტორისეული სატირულ-იუმორისტული კომენტარი: „დღეს მრავალი უმუშევარი და უსაქმო თავადები და აზნაურები ბუზებს ჰყლაპავენ, მშიერ მგლებივით დაძრწიან ერთი კუთხიდან მეორეში... თუ სამეგრელოს დამოუკიდებლობა მიეცემა, თავადაზნაურთა უმუშევარი ლეგიონი მოაკლდება საქართველოს". ავტორისეული ლოგიკით მეგრელი თავადები კისრულობენ საქართველოს მთელი თავადაზნაურობის მიღებას, მათდამი დახმარებას, „სამეგრელოს ჩვენ გადავაქცევთ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა და ორგულთა სავანეთ" და სხვ.

აღნიშნულის შემდეგ სატირის ავტორი „მაფალუელებს" ალაპარაკებს „ისტორიული საბუთებით": „ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ქართველები;" „მართალია: ჩვენ (მეგრელები) და ქართველები ქალდეაში ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ორივე ერთ მოდგმას, ერთ ეროვნებას ვეკუთნოდეთ"; „ქართველები თავიდანვე იმპერიალისტური ზრახვებით იყვ-

ნენ, ისინი ყოველთვის ტყავს გვაძრობდნენ და ჩვენი ბარაქით ცხოვრობდნენ;“ „ჩვენ ვხედავთ, რომ მეგრელების შემდეგ დღევანდელ საქართველოში მოსულან ქართველები, დაუპყრიათ სამეგრელო და ისევ დაუდვიათ მათთვის მონობის უღელი“; „სახელმწიფოებრივი სახე საქართველოს მეგრელებმა მივეცით“, „ეს ღერბი არის —„წმინდა გიორგი“. წერილის დასასრულს ნათქვამია: „წმინდა გიორგი“ მეგრელი იყო, რაც სჩანს იქიდან, რომ იგი ღერბზე გამოხატულია ცხენზე შემჯდარი (ხალხში გადმოცემაც არის, თითქოს „წმინდა გიორგი“ ზუგდიდელი მაქაცარია იყოს)“. ავტორმა არ დაივიწყა ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის მეგრელი წარმომადგენლები, გიორგი გვაზავა და სპირიდონ კედია, რომელთა თაოსნობით პარიზში თურმე „არსებობს „თეთრი გიორგის“ „დამრტყმელთა პარტია“. მას მხედველობაში აქვს ქართველი ახალგაზრდა ემიგრანტების „ნაციონალ-სოციალისტების“ პარტია. წერილი მთავრდება სიტყვებით: „რევოლუციონერი სამეგრელო თავისი კონტრრევოლუციონური თავად აზნაურობის წინამძღოლობით მოითხოვს ისტორიისაგან ანგარიშის გასწორებას...“ იგი წერილზე ხელს აწერინებს ვითომ „მთლიანი განუყოფელი სამეგრელოს დამკომს („დამოუკიდელობის კომიტეტს“): მიშა დადიანს, ციბაკი ბუკონიას, გრიგოლ ახალაიას, სოლომონ ბესელიას და ვლადიმერ ბუკიას.

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორი „მეგრული საკითხის“ აღმოცენებას იმ მეგრელ თავადაზნაურობის ისტორიულ პრეტენზიებს მიაწერს, რომელიც საერთოდ მეგრელების სახელით გამოდის და საკუთარი კუჭისა თუ თანამდებობრივ პრობლემებს აგვარებს და, ამასთანავე, ყველა ანტისაბჭოთა ელემენტს მფარველობას უპირებს. ისინი ამ მიზნებითა და ხრიკებით შემძვრალან კომუნისტური პარტიის რიგებში. მაშასადამე, მეგრული სეპარატიზმის იდეოლოგები, სოციალურად თავადაზნაურების ყოფილი წარმომადგენლები, ხოლო იდეოლოგიურად საქართველოს, უპირველეს ყოვლისა კი სამეგრელოს საკუთარი მიზნებით გამოყოფა-გამოყენებისათვის მებრძოლი კომუნისტები არიან. მაგრამ ასეთად, სათანადო წყაროებით, მხოლოდ მ. დადიანის გაყალბება თუ შეიძლებოდა.

სატირულ წერილს ერთვის ორი ფართოპლანიანი კარიკატურა. პირველზე ასახულია ოთხი ჩოხა—ახალუხში გამოწყობილი, ხანჯალშებმული ტიპი. კარიკატურის სათაურია „მაფალუ“-სტების ფიცი თადა აშორდიას საფლავთან.“ კარიკატურას ქვემოთ მიწერილი აქვს: „ეფიცავთ „წმინდა გიორგის“ რაშს (ანუ თხას — ავტ.), რომ ჩვენ არ ვუღალატებთ შენს დაწყებულ დიდ საქმეს და სამეგრელოს გავანთავისუფლებთ თავისუფლებისაგან“ (ანუ საბჭოთა წყობილებისგან და საბჭოთა საქართველოსგან — ავტ.). აქვე მოცემულია ამავე ტექსტის მეგრული ვარიანტი: „ ვიფუჩუანთ „წმინდა გიორგი“-შ რაშის, ნამდა ჩქი ვაუღალატენთი, სქანი დაჭყაფილი საქმეს და სამარგალოს გუანთავისუფლენთ თავისუფლებაშე.“ მეორე კარიკატურა ასახავს მოქეიფე „სამეგრელოს ეროვნულ მოძრაობის ბელადებს“. კარიკატურას ქვეშ ახლავს მინაწერი: „თამადა: თუ კი გვეღირსა სამეგრელოს დამოუკიდებლობა, ქეიფი და დროს ტარება მაშინ იკითხეთ, გიყვარდეს ჭამა და დროს ტარება, გლეხებს იმდენს ვურტყამთ ზურგზე, რამდენიც რუსის ბარაბანს არ მოხვედრია“. ტექსტის მეგრული თარგმანის მიხედვით: „ქიგულირსუ სამარგალოშ დამოუკიდებლობაქ — და თიმწკუმა უჯინ ჩქან ქეიფის დო დროშ ტარებას, ყაზაყებს თისხის უზეპუანთ მათრახის, მუზმათ რუსიშ ბარაბანს ვამოხვალამუდას“. მეგრულის მცოდნე მკითხველს შეუნიშნავი არ დარჩებოდა, რომ ზოგი სიტყვა, დამახინჯებულია. ალბათ, ესეც სატირიკოსი ავტორის ხერხია. აქვე მოთავსებულია ვინმე უჩარდიას დიდი მოცულობის ლექსი —„წმინდა სამება“. ჩვენ გვესახება, რომ იგი კარგად ერწყმის არა მარტო სატირული წერილის, არამედ კამპანიის მიზანდასახულობას, ამიტომ შემოკლებული სახით გთავაზობთ მას.

III

სენაჭისტანი...
ზუგდიდისტანი...
ძველ დადიანის
თანვე ბუკია —
და ამ სამებას,
თან ერთარსებას
მრავალი სხვებიც მიეტმასნება

II

ზურგ-და ტანი.
ბესელიადაც
სადმე თუ კია —
იქვე გაჩნდება

* * *

„გათენდა ყველგან,
გათენდა, მაგრამ
სამეგრელოსთვის
დღეს დღეც კი ბნელა —
სულს გვხდის, ტყავს გვაძრობს
ჩვენ საქართველო,
მეფის ტრაქტატმა
თუ არ გვიშველა!“

* * *

და „თავის მოვლა“
თვითონ იციან:
მიშა იქნება
„პრედსოვნარკომი“,
ბესელია კი —
პრედოდიშციკა“,
ჰო — და, საცა ეს
ორი იქნება,

IV

და გამოცხვება,
როგორც ღომია,
მარგალისტანის
ავტონომია!

ალბათ ბუკიაც
გაჩნდება იქა.
და დამშვენდება
მაშინ ოდიში,
და დამშვენდება
მეგრელისტანი—
ისე დამშვენდა
„წმინდა სამებას“
აწ უწმინდური
თავი და ტანი!
მიეცით ნება
და ხალხის დოვლათს
„წმინდა სამება“
გაიყოფს სამათ —
ამათ ზუგდიდი
ფცქვნათ არ ეყოფა,
ხოლო სენაკი
კი შეჭამადათ.

მაშასადამე, წინამდებარე წიგნის პირველ თავში მოყვანილი პუბლიკაციებით ცხადი ხდება, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკამ, რესპუბლიკის მთავრობამ და ჩეკამ ჩამოაყალიბეს ოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვით: 1925 წელს სამეგრელოს გულში, ზუგდიდში მოულოდნელად იფეთქა ცარიზმის რუსიფიკატორების იდეებით ნასაზრდოებმა „ჩხოუშიელთა“ ანტიქართულმა მეგრულმა ავტონომიზზმა და სეპარატიზმმა, რომელიც საქართველოდან ავტონომური სამეგრელოს გამოყოფით და საქართველოს დაღუპვის რეალური საფრთხით დამუქრა.

1925 წელს სამეგრელოს გულში, ზუგდიდში, მოულოდნელად გამოჩენილი მეგრელი სეპარატისტები იდეურ სათავეს იღებენ XIX–XX საუკუნის ზღვარზე გაძლიერებული ცარიზმის იმ ბობოლა რუსიფიკატორებიდან, რომლებიც თავიანთი მაღალი თანამდებობების წყალობით და ერის მოღალატე მეგრელი აგენტის თ. აშორდიას, სტ. გაგუას და „ჩხოუშიელების“ მეშვეობით საქართველოს გათიშვისა და ქართული ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობისათვის იბრძოდნენ; 1925 წელს მოულოდნელად გამოჩენილი „ჩხოუშიელების“ სეპარატიზმის ეროვნული საშიშროება უშუალოდ იკვებებოდა ფოთსა და სენაკში ჩასახულ მეგრულ სეპარატისტულ „მაფალუელთა“ ორგანიზაციიდან, რომლის სულისჩამდგმელი იყო ფოთის გიმნაზიის დირექტორი სტეფანე გაგუა; „მაფალუს“ ანტიქართულმა მეგრულმა საზოგადოებამ ასაზრდოვა „ჩხოუშიელების“ ანტიეროვნული, საქართველოს დეცენტრალიზაციისა და დაქუცმაცების მისწრაფების ახალი ძალითა და სახიფათო პოტენციის მასშტაბებით გამოვლინება.

მაშასადამე, „მეგრული საკითხის“ გამო წამოწყებული კამპანიით პარტიულ-ჩეკისტურმა ხელმძღვანელობამ და სამეგრელოს მკვიდრმა მოღვაწეებმა საბჭოთა პარტიული პრესის ობიექტურობითა და აშკარად გამოხატული სარკაზმით ქართველ ხალხს ჩაუნერგეს აზრი, რომ თითქოს:

1. ცარიზმის რუსიფიკატორების მიერ სამეგრელოს თავისებურებათა გამოყენების წარუმატებელ, ანტიქართულ მეცადინეობას გამგრძელებლებლად

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში მოჰყვა თვით ქართველი მაფალუელების მსგავსი ინიციატივა, რომელთა მემკვიდრეობის გაგრძელება იკისრეს 20-იანი წლების „ჩხოუშიელმა" კომუნისტებმა და მათმა თანამოაზრეებმა. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი „მაფალუელობა", ანუ „მაფალუიზმი", რომელსაც მფარველობდა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი და მისი მდივანი ისაკი ჟვანია;

2. „ჩხოუშიელების" „მაფალუისტურ" ანტიეროვნულ მოძრაობას წინ აღუდგა საქართველოს კომუნისტური პარტია და ჩეკა, რომლებმაც „ჩხოუშიელ" — „მაფალუელთა" წინააღმდეგ დარაზმეს მეგრელი პატრიოტული საზოგადოება და საქართველო იხსნეს ეროვნული კატასტროფის რეალური საშიშროებისაგან.

ზემოთ აღნიშნული პარტიულ-სახელმწიფოებრივი და ჩეკისტური მიზანდასახულობის მთავარი აზრი ითვალისწინებდა ე.წ. „მაფალუელების" შესახებ ტყუილისა და მართალის იმდაგვარ წარმოჩენას, რომ ხელისუფლებას მის მიმართ უნდობლობითა და უკიდურესი უკმაყოფილებით შეპყრობილი ქართველი საზოგადოების გულის მოგებისთვის მიეღწია. როგორც ქვემოთ, შემდგომ თავებში ვნახავთ, ხელისუფლების მთავარი სიყალბე მდგომარეობდა: ე.წ. „მაფალუელობისა" და ავტონომიის მოთხოვნების ცარიზმის რუსიფიკატორებიდან მომდინარეობის, მის „ჩხოუშიელთა" მიერ შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებად გაზვიადებაში და სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის მხარდაჭერაში ი. ჟვანიას თუ საერთოდ ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობის ყალბად დადანაშაულებაში.

ამასთანავე, ე.წ. „მაფალუიზმის" არსის გაყალბება ხდებოდა უკიდურესი გროტესკული ხერხებით, რომლის გაცნობა არამეგრელ ქართველთა შორის, თანამოძმე მეგრელთა მიმართ შეურაცხყოფის ღვარძლს ანთხევდა და ქართველ ტომთა ძმობა-თანაცხოვრების შემდგომი განმტკიცების საქმეში საკმაოდ დიდი დოზის შხამს აწვეთებდა.

თავი II

„მაფალუიზმი“ და „მეგრული საკითხი“ ოფიციალური აზრით

„მეგრული საკითხის“, იგივე „მაფალუიზმის“ და ისაკი ჟვანიას ადრინდელი გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, დიდი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის, სახელოვანი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას და ქართული ანტისაბჭოთა დისიდენტურ-ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ზვიად გამსახურდიას პირადი შთაბეჭდილებებით დაწერილ და გამოქვეყნებულ, საზოგადოებაში უაღრესად დამაჯერებლად დამკვიდრებულ მცდარ მოსაზრებებს.

ჩვენი ერის ფეოდალური ხანის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა 1953 წელს პირველად დაბეჭდილ („მიმომხილველი“, ტ. III) და 1966 წელს კვლავ გამოქვეყნებულ, ანუ თავის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მესამე წიგნში მოთავსებულ რეცენზია-წერილში („ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე“), საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ქვეყნის გმირებისა და მოღალატეების ვინაობის გარკვევის დროს, სქოლიოში გვამცნო: „ამბობენ, მეგრელი ნაციონალისტი ისაკი ჟვანია ეუბნებოდაო შალვა დადიანს: გვძულსხარ იმიტომ, რომ ქართველობ,..მეგრელს ღალატობ, ქართველად სწერო. ისაკი ჟვანია კომუნისტობას იჩემებდა და უვიცი იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ თითონ ღალატობდა კომუნისტობას, რომ მისი „მეგრული პოლიტიკა“ შუა საუკუნეებშიც კი ჩამორჩენილობისა და რეაქციის პოლიტიკა იყო, რომ მისი პოლიტიკა მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკონოვან საერთო კულტურისაგან, რომლის შექმნაშიაც დიდი ხანია მეგრელთა ტომს სხვა ქართველურ ტომების გარდა ღირსეული წილი ედო, რომ მწერალი შალვა დადიანი ამ უბადრუკთან შედარებით ისტორიული განვითარების მთელი ეტაპით წინ იდგა და ქართველი ერის პროგრესს ემსახურებოდა, ხოლო ისაკი ჟვანია სამთავრო-სათავადოების შავბნელი ხანის ჩამორჩენილობას ასახიერებდა“ (იხ. დასახელებული ნაშრომების კრებული, გვ. 283).

1988 წელს ჟურნალმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ გამოაქვეყნა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 1930 წლის 12 იანვარს, იმხანად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის გიორგი ყურულაშვილისადმი გაგზავნილი „წერილი ამხანაგ გიორგის“. მასში ნათქვამია „... მე მუდამ მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ისეთი სიტყვა, რომლის სათავე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია და კეთილის ნდომა, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მუხანათი მტრის მოშაინისებური ჩამონაყვედრი!

ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სახელის გარშემო ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ ასეთი გულისტკივილით ნათქვამი სიტყვა ყოველთვის მტრობად მიუჩნევიათ ხოლმე.

...ეს არის კიდევ ერთი საქმე, რომელიც ვიღაცის ბოროტმა ხელმა „საკითხად გადააქცია“...

ყოველივე ჰიპერბოლის გარეშე წინამდებარე წიგნის „ჭითა ჩხორიას“ გამოსვლა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს, სამარეში [სიხარულით] უთუოდ გადატრიალდება სამგზის.

ასეთი ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარა. ზოგიერთი ბოჩოლა ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ყველაფერზე „ნიჩეოს“ იძახის, გულწრფელად ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ „უსაქმური კალმის ვარჯიშობაა და სხვა არაფერი“...

მწერალს „გაუგონარი ამბის აყოლად“, „უჭკუო“ სეპარატიულ ბოდვად“, ზოგიერთი ჭკუანაღრძობი „მაფალუისტების აყოლად“, „ქართული ენის და კულტურის ფარგალის შემცირებად“ და სამარადჟამო „დამდაბლებად“, „იეზუიტური დიალექტიკის გამოჩენად“ მიაჩნია ის, რომ „ჭითა ჩხორიაში“ ლენ-

ინის, სტალინის და სხვათა სურათების მიღმა მიჩქმალულია „აშკარა სიძულვილი ქართული ენისა და ქართული ლიტერატურისადმი“. მწერალი გულისწყრომას გამოხატავს იმის გამო, რომ: „ჭითა ჩხორიას“ შემქმნელები მეგრული ენის „სპონტანურობა“-თავისთავადობის დამტკიცების მიზნით ამახინჯებენ მეგრულ სიტყვებს; ამავე მიზნით შემოაქვთ ბარბარიზმები — „ზაგრანიცა“, „ზავოდი“, და სხვა; „მთელ წიგნში — 104 გვერდის მანძილზე“... „არსად საქართველოსი და ქართველი ხალხის, არც რუსთაველის, არც აკაკის, არც ვაჟასი, არც ნინოშვილის, არც ქართული ანბანის ხსენებაც არ არის. სისტემა მასალის დალაგებისა კი იაკობ გოგებაშვილისთვის მოუპარავთ ამ ცხენიპარიებს“ (იხ. კ. გამსახურდია, წერილი ამხანაგ გიორგის — ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1988, №3, გვ. 143-144).

1989 წლის 3 ნოემბერს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ანტისაბჭოთა დისიდენტური და ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის ზვიად გამსახურდიას პატრიოტული მიზანდასახულობის ვრცელი წერილი — „სამეგრელოს საკითხი, ისაკი ჟვანია და სამეგრელოს ავტონომია“. ავტორი წერილში მიზნად ისახავს თანამედროვე საქართველოში, მისი აზრით, მწვავედ მდგარი კუთხური პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის პრობლემის დაძლევას, რომელსაც საქართველოს მტრები ყოველთვის აღვივებდნენ. იგი ამ მიზნით მიმოიხილავს „სამეგრელოს საკითხის“ ცნობილ ისტორიას, „რომელიც თავდაპირველად შავრაზმელებმა ვოსტორგოვმა, იანოვსკიმ და სხვებმა წამოაყენეს“ და მისი თქმით, „ახლებურად განავითარა 20-იან და 30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის პირველმა მდივანმა ისაკი ჟვანიამ, რომელმაც ბევრი იბრძოლა ამ მიმართულებით და ბოლოს თავისი გამოცდილება შეაჯამა რუსულ ენაზე დაწერილ სპეციალურ წიგნში, რომელიც დღეს ვრცელდება სამეგრელოში (ხელნაწერის სახით)“.

ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ განხილულ-გაკრიტიკებული ეს წიგნი საფუძვლად დაედო მის წერილში „ი. ჟვანიას ნააზრევის“ წინააღმდეგ ავტორის პოზიტიურ, პატრიოტულ მსჯელობას. ამით მან მკითხველს ჩამოუყალიბა ერთი მხრივ ჩვენთვის ხელმიუწვდომელ ამ წიგნში მოცემული ძირითადი აზრი, ხოლო მეორე მხრივ, მის მიმართ საკუთარი ანალიტიკურ-კრიტიკული დამოკიდებულება.

ჩვენი აზრით, ამ წიგნის მიზანია:

1. საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ ისაკი ჟვანიას აზრით „სამეგრელო ისეთივე ცალკე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა (!) და ა.შ. და რომ მეგრელები იმსახურებენ ავტონომიას...“

2. წიგნში ჩამოყალიბებული ი. ჟვანიას აზრები „ქართველი ნაციონალისტების“, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, სამეგრელოს თავადაზნაურობის, მეგრელებისა და სტალინის შესახებ, ასახავს მის მაფალუისტობას;

3. წიგნში ასახულია ი. ჟვანიას აზრები: თანამედროვე სამეგრელოს კულტურის დათმობის; სამეგრელოს სიბნელესა და უკულტურობის ჭაობში დარჩენის, ოღონდ არგაქართველების; საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ 1921 წელს სკოლებში მეგრულად სწავლების აკრძალვის; 1925 წ. „შავრაზმელი“ მეგრელი ინტელიგენციის აჯანყების, მათ მიერ „სამეგრელოს ავტონომიის“ მოთხოვნის შესახებ.

4. ი. ჟვანიას წიგნში მოცემულია ძველი თანამოაზრე ავტონომისტ-სეპარატისტების მიერ მოსკოვში გაგზავნილ საჩივრებში შეტანილი, ალ. გეგეჭკორის (8.IX.1925), ლ. ბერიას, ავტონომისტების და სხვათა პუბლიკაციებში ციტირებული ანტიეროვნული ფაქტები, მათ შორის, სამეგრელოს დამოუკიდებლობის და რუსეთის შემადგენლობაში ვითომ შენარჩუნებული ავტონომიის შესახებ და სხვა.

ბატონ ზვიად გამსახურდიას რეცენზიიდან ჩანს, რომ „ხელნაწერი წიგნის“ ავტორი დოკუმენტებსა და სხვა მასალებს მიზნობრივად, თვითნებურად, ტენდენციურად, ანტიქართული ინტერპრეტაციით და აშკარად პროვოკაციულად იყენებს;

ზვიად გამსახურდიას მიერ გამოთქმულია აზრი, რომ: ი. ჟვანია მოითხოვდა „სამეგრელოს ავტონომიას"; ი. ჟვანია მარტო მეგრული სეპარატიზმის აღორძინებას როდი აპირებდა, არამედ სვანურ სეპარატიზმსაც უყრიდა საფუძველს.

ბატონი ზვიადისაგან მკითხველმა უთუოდ ისიც აითვისა, რომ 80-იანი წლების „თანამედროვე საქართველოში მწვავედ დგას კუთხური პარტიკულიარიზმის და სეპარატიზმის პრობლემა". ამ პერიოდშიც კი „ზოგიერთი ფსევდოინტელიგენტი ჩვენში ხანგამოშვებით ასეთ „თეორიებსაც" ავითარებს: „რა ესაქმებათ მეგრელებს ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან, რა მეგრელების საქმეა საქართველოს ტკივილები, მეგრელების გაკეთებული ქართული საქმე ვის უნახავსო", სწორედ ასეთნი ცდილობენ შეათავსონ „პარტიული მოღვაწეობა" მტრის აგენტობასთან". „მსგავსი ვაიპატრიოტების მიზეზით, — წერს ბატონი ზვიადი, — სამეგრელოს ენგურსგადაღმა ნაწილში, სამურზაყანოში, მეგრელთა შორის უკვე შეინიშნება დაძაბულობა და უკმაყოფილება, რაც შეიძლება მეგრულ სეპარატიზმში გადაიზარდოს, რაც საბოლოო ლახვარი იქნება საქართველოსთვის". აღნიშნულთა უმთავრეს მიზეზად ბატონ ზვიადს მიაჩნია ის, რომ, ჯერ ერთი, ამ დროს „ქართული ეროვნული შეგნება" ყველაზე დაბალ დონეზეა აფხაზეთის ასსრ—ს მკვიდრებში და, მეორე, ჩვენი მტრები იქაურ მეგრელებზე დაუფარავ ანტიქართულ აგიტაციურ ზეგავლენას ახდენენ და „გზას უხსნიან მათ გააფხაზებისა" და „გამეგრელებისაკენ".

მაშასადამე, ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთებით დაწერილ ვრცელ წერილში ვხედავთ, ერთი მხრივ, საკუთარი ერის პრობლემებით შეშფოთებული პატრიოტის სამართლიანი გულისტკივილის გაცხადებას, მაგრამ, მეორე მხრივ, მკაფიოდ ჩანს ე.წ. „მაფალუს" ტრადიციული გაგების მიმართ მისი სოლიდარობა.

ზემოთ მოხმობილისადმი დიდი ქართველი მოაზროვნის კონცეპტუალური აზრი და კონცეფცია „მაფალუსა" და „მეგრული საკითხის" შემეცნებაგაშუქების იმ საერთო, ოფიციალურ - სახელმწიფოებრივ გაგებას ემყარება, რომელიც 1920-30-იან წლებში ჩამოყალიბდა. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მოცემული ფაქტოლოგია და კონცეფცია სახელოვან ავტორთა დიდი ავტორიტეტის გამო დამატებით საფუძვლად დაედო აღნიშნული ისტორიოგრაფიული პრობლემით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი ინტელიგენციის მომდევნო ხანის, ანუ თანამედროვე პუბლიკაციებს.

„მეგრული საკითხის" თანამედროვე გაგებაში ვგულისხმობთ, ქართველი და უცხოელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა 1990-იანი წლებიდან დღემდე გამოქვეყნებულ იმ წერილებსა და სპეციალურ გამოკვლევებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებშიც მეტ-ნაკლებად ჩანს ჩვენს სამეცნიერო კვლევით პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, ასპექტები, ნიუანსები თუ ზოგად კონცეფციასთან დაკავშირებული გამონათქვამები.

ამ ე.წ. თანამედროვე პერიოდის სპეციფიურობას, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს ამ დროს მიმდინარე პოლიტიკურ-იდეოლოგიური პროცესები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობისა და პოსტსაბჭოური თუ სუვერენული საქართველოს ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აზროვნებას. იგი აისახა თანადროული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში[1]. ეს პუბლიკაციები ხასიათდებიან ერთი მხრივ ავტორთა

---

[1] ჩვენი ინტერესის სფეროს შესაბამისად, ყურადღება მიიპყრო: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა: „წარსული აწმყოს სამსახურში"; უ. ნიშნიანიძისა და გ. გაჩეჩილაძის დიალოგმა „საქართველოს ღღეს გადაუწყდება თავისი ბედი და უბედობა", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 5 დეკემბერი. ჩვენთვის საყურადღებო გახდა: ჯ. ჩარკვიანის, „დიალოგში ჩართული მცდარი მონოლოგი", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 9 დეკემბერი; მ. ლორთქიფანიძის, ჯ. ოდიშელის, „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ..." „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 12 დეკემბერი; ა. კოხრეიძის, „საგანგებო როლის" ქადაგება თუ ერთიანობის პრიორიტეტი", გაზ. „ახალგაზრდა იეკრიელი", 1993 წ. 13 თებერვალი; მ. ქეკ-

ერუდიციულობით, ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით, ხოლო მეორე მხრივ „მეგრული საკითხის“ (ანუ ე.წ. „მაფალუიზმის“) ტრადიციული გაგებით და ზოგჯერ პოლემიკაში ძველი, მცდარი ცოდნის აქტიური გამოყენებით.

მოცემული პერიოდის ზოგიერთი ავტორის პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს უკიდურესად მწვავე, ანტიეროვნული სიტუაციებისა და მოვლენების დროს 20-იანი წლების ე.წ. „მაფალუისტურ“-სეპარატისტული გამოვლინებები და ი. ჟვანიას „მოღალატეობა“ გამოიყენეს, როგორც მეგრელებზე პოლიტიკანური ძალმომრეობის იდეოლოგიური არსენალი, რომელიც საზრდოობდა სახელმწიფოებრივად სტიმულირებული ანტიმეგრული კონიუქტურიდან გამომდინარე ფსიქოზით (იხ. ვალერი კვარაცხელიას, იგორ კვესელავას, გრიგოლ ჟვანიას ბროშურა „დავიწყებას არ ექვემდებარება“ თბ. 1998). ეს გამოვლინება ერთი მხრივ ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერი, ხოლო მეორე მხრივ, კანონიერი პრეზიდენტის განდევნით და სამეგრელოს მოვლენების არაადეკვატური ასახვით უკმაყოფილო ავტორების 1990-იანი და 2000-იანი წლების პუბლიკაციებით არის ნასაზრდოები. 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და სახელმწიფოებრივი შეიარაღებული ფორმირების მიერ სამეგრელოში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია აზრი, რომ საქართველოს „ცალკეული მოღვაწეები ახლაც კი ბრალს სდებენ ამ რეგიონის მოსახლეობას სეპარატისტული ტენდენციების მომძლავრებაში. ამ ცოტა ხნის წინათ ზოგიერთმა გაზეთმა და ტელევიზიამაც შეახსენა რესპუბლიკის მოსახლეობას „აშორდიას“ და „მაფალუს“ დიდი ხნის წინათ დაგმობილი და დავიწყებული ისტორია. მათი აზრით, ამის მიზანი იყო: დასაბუთება იმისა, „ვითომც სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის სეპარატისტული მისწრაფება ახალი მოვლენა არ არის“ (იხ. იქვე, გვ. 10). კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ისევ აგორდა ახალი ტალღა ე.წ. „მეგრული სეპარატიზმის შესახებ“ (გვ. 22). „თითქოს რეგიონის მოსახლეობას ყოველთვის ახასიათებდა კუთხურობა და საქართველოსაგან ჩამოცილების ტენდენციები“

ელიძის, „მხამი“, გაზ. „კაბადონი – 8“, 1993 წ. 30 მარტი. აგრეთვე შემდგომი პუბლიკაციები: ა. შეროზია, „გამოხმაურება ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ერთ პუბლიკაციაზე“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 17 ივლისი; ჯ. ოდიშვილი, „უსაგნო კრიტიკის პასუხი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, 14 აგვისტო; Отар Пацация: „Мое дело – служить народу“... газ. „Свободная Грузия“, 1994. 21 января; ვ. გაგუა, „ფრთხილად, მ'საკერობაა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 14 ივნისი; ელ. ალფენიძე „ლა'ხეთის პრობლემა და ლა'ხურ-თურქული კერნალი „ოგნი“; მისივე, „ორიოდე სიტყვა ისევ ჟურნალ „ოგნის“ შესახებ“; ა. დანელია, გ. თოფურია, ე. შენგელია, ო. მიმი'შიში „რა მი'ხანი აქვს ჟურნალ „ოგნის“? გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1994, 21 ივლისი; დ. სახ�ია, „ყარული ცხოვრების ფურცელი“, გაზ. „თბილისი“, 1997, 20 მაისი; რ. ბარამიძე, აი ესეც „ნემი სამეგრელო“, „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 26 მაისი; ფ. დოჩია, ჭკვიანი კაცის გაკეთებულს არ გაუს მაგი“, გაზ. „ალია“, 1997, 23 ივლისი; გ. ჟვანია, ი. კვესელავა, „ქართული სეპარატი'ზმი...“ გაზ. „შანსი“, 1997, 1-2 აგვისტო; ვ. კვარაცხელია, ი. კვესელავა, გ. ჟვანია, „დავიწყებას არ ექვემდებარება“, თბ. 1998; დ. შველიძე, „მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“, „ფილის გაზეთი“, 1999, 16 ოქტომბერი; გ. ბალაძე, „იმპერია მეგრელების გახლეჩვას და გარეულებასაც შეეცადა“, გაზ. „ახალი თაობა“, 2000, 12 მაისი; გ. ცანავა, „ხელები შორს სამეგრელოსაგან“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2001, 21-27 მაისი; ა. დაუშვილი „ადეკვატრალი'ზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“, კრებული „ელიო“, 2000, გვ. 145-183; თ. მირიანაშვილი, „საუბარი ზ. ნადირაძესთან. „ლავერეტი ბერია და სამეგრელოს ავტონომია“, „ლიტერატურული საქართველო“, 2004, 18-24 ივლისი; ი. თოდუა, „რა გახლავთ ალექსანდრე ჭაჭიას ჭეშმარიტი მი'ხანი“, გაზ. „ერის ერთობა“, 2004, 27 სექტემბერი – 3 ოქტომბერი; ა. ასლანიშვილის მონოგრაფია „მეგრელთა საქმე“, თბ. 2006; ჟ. ხარჩილავას წერილები, „ლალატის ანატომია“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2006, 14-20 აგვისტო, და „არ ესროლოთ სამეგრელოს, საქართველოს“, იხ. იქვე, 2007, 8-14 იანვარი;

(იქვე, გვ. 23). ზოგი ავტორი წერს, რომ ტენდენციური პუბლიკაციების მიხედვით „თურმე ჩვენში ჯერ კიდევ არაა ბოლომდე აღმოფხვრილი კუთხურობა და გათიშულობა, თურმე მავანთა მცდელობას შეუძლია ისე გააღვივოს ეს მომენტები, ზოგიერთ გადაგვარებულ ადამიანებში ისეთი მხეცური ინსტინქტების აფეთქება გამოიწვიოს"..., რომელთა ახსნა შეიძლება მხოლოდ „ეთნიური", მეგრელების მიმართ ფანატიზმამდე მისული სიძულვილით" (გვ. 34). ამ ავტორთა აზრით, „ხმალი ამოღებული იყო" და „მოუწოდებდნენ ებრძოლათ „პროვინციული ფაშიზმის დასამარცხებლად", „სამთავრობო საინფორმაციო საშუალებები ხელს უწყობდნენ საზოგადოების გაღიზიანებას" (გვ. 39), „მეგრული სეპარატიზმის" იდეა განსაკუთრებით იქნა წამოწეული სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში". ამ დროს ცალკეულ ძალთა მიერ მიზანმიმართულად მკვიდრდებოდა აზრი, რომ ქართული მხარის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სამეგრელო იყო. საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს ამ რეგიონის მიზეზით ვერ ხერხდებოდა ფრონტის მომარაგება იარაღით... აფხაზეთიდან გამოდევნილებს სამეგრელოს მოსახლეობამ გზა გადაუკეტა და ისინი იძულებულნი გახდნენ სვანეთის შემოვლით გასულიყვნენ სამშვიდობოზე და ა.შ." „სამეგრელოს ბრალდებოდა ქართული ცნობიერების გახლეჩა. იყო მტკიცება იმის შესახებ, რომ სამეგრელო ალიანსში იყო გამარჯვებულ აფხაზ სეპარატისტებთან"... (გვ. 40). ასეთია ერთი მხარის მომხრე მკვლევარ სპეციალისტების მიერ მოცემული არაობიექტური შეფასება 1990-იანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და სამეგრელოს ტრაგედიის გამო. მეორე მხრივ, ნათლად შეიმჩნევა სამოქალაქო ომის, მისი წინა და შემდგომი პერიოდის კრიზისულ პერიოდებში გამოთქმული აზრები სამეგრელოს მკვიდრთა ძველი თუ ახალი, ვითომ მართლა ანტიეროვნული გამოვლინებების შესახებ. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს და მათი აზრის ავტორები ბოლომდე ვერ ავლენენ მეგრელების ანტიქართული სეპარატიზმის ყალბი ვერსიის მიზეზებს. ისინი არ უარყოფენ ადრეულ ცნობებს „რეგიონის მოსახლეობაში სეპარატისტული ტენდენციების მომძლავრების" და „მაფალუს" ყალბად გააზრებული ისტორიის შესახებ, არც იმ ავტორებს ასახელებენ, რომელთა წერილებმაც ხელი შეუწყო 90-იანი წლებში ანტიმეგრული განწყობილების შექმნასა და გაძლიერებას. ამიტომ საჭირო ხდება დამატებით ზოგ იმ ავტორთა კონკრეტული ნააზრევის ილუსტრირება, რომლებიც არა მარტო XX საუკუნის 90-იან წლებში, არამედ XXI საუკუნეშიც იგივეს იმეორებდნენ და თავიანთი კონსერვატულ-დოგმატური აზრებით მკითხველს დეზინფორმაციის ჭაობისკენ ექაჩებოდნენ.

ფაქტობრივად, ანტიმეგრული იდეოლოგიური ფონის შექმნას ემსახურებოდა 1990-იან წლებში სხვადასხვა საბაბით, უპირატესად იმდროინდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამართლების მიზნით გამოქვეყნებული ზოგი პუბლიკაცია. მათ შორის ასეთად გვესახება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1992 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნებული თედო სახოკიას მიერ 1925 წელს, „ჩხოუშელი" ავტონომისტ–სეპარატისტების კრიტიკის მიზნით წარმოთქმული მოხსენების მესამედ გამოქვეყნება; მ. კეკელიძის 1993 წელს გამოქვეყნებული წერილი „შხამი"; მ. ქვლივიძის ლექსი „გააფხაზებულ მეგრელს"; თ. ფიფიას პუბლიკაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (17.VIII.94). მ. ლებანიძის უსათაურო ლექსი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1999 წლის მაისის ნომერში; თ. მირიანაშვილის ინტერვიუ „ლავრენტი ბერია და სამეგრელოს ავტონომია (2004 წ.) და სხვ. მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესორ ა. დაუშვილის სტატია, „დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში", კრებული „კლიო" 2000.

აღნიშნული პუბლიკაციები მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციასთან ერთად, ზოგჯერ საინტერესო ურთიერთსაპირისპირო დაუსაბუთებელ აზრებსაც წარმოაჩენენ ჩვენთვის საინტერესო ე.წ. „მაფალუს" და „მეგრული საკითხის" ისტორიის ავტორისეული გაგების შემეცნების თვალსაზრისით. მაგრამ მათში უფრო ხშირად ირეკლება ამკარად მცდარი აზრის საქვეყნოდ გახმოვანების

შემთხვევები. ასე მაგალითად:

ცნობილი მწერალის და ლიტერატორის მიხეილ კეკელიძეის მიერ, გაზეთ „კაბადონ–8“-ში გამოაქვეყნებულ მრავალმხრივ საყურადღებო წერილში „შხამი“, მიზნობრივად არის წამოწეული ე.წ. „მაფალულობა“ და ისაკი ჟვანიას საქმიანობა. ავტორი წერს: „30-იან წლებში კომუნისტმა ისაკი ჟვანიამ ძველი გაიხსენა (? – ავტ.), მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაიწყო, სახელმძღანელოებიც კი გამოსცა (? – ავტ.) მეგრულად და სკოლებში სახმარად დაარიგა. მოსახლეობამ ეს ბოროტი განზრახვაც (? – ავტ.) უარყო და ჩაწიხლა“ (? – ავტ.). მაშასადამე, პატივცემულმა მწერალმა მიმდინარე მომენტის პოლიტიკურ–იდეოლოგიური კონიუნქტურის პასუხად და ხელისუფლების მხარდასაჭერად ახალი რაკურსით ამოატივტივა ვითომ „მაფალუელი“ ი. ჟვანია, რომელსაც სინამდვილეში არც საჩოთირო „ძველი გახსენებია“, არც „ბოროტი განზრახვა“ ჰქონია და არც მწერლის მიერ მისდამი დაბრალებული ქმედებები ჩაუდენია, რადგან სინამდვილეში ისინი ასე მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ წარმოაჩინა. ი. ჟვანიას „მოსახლეობის მიერ ჩაწიხლვის“ შესახებ კი ფაქტი, თუ ცნობა, საერთოდ არ იძებნება.

ჯუბერ ოდიშელი, წერილში „უსაგნო კრიტიკის პასუხი“, ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი სეპარატიზმის შესახებ მსჯელობასთან ერთად, იშველიებს აზრს ი. ჟვანიას სეპარატიზმის შესახებ. იგი წერს, რომ „სამეგრელოში სეპარატიზმის მავნე გამოვლინების რეციდივი გახლდათ ისაკი ჟვანიას ჯგუფის არსებობის ფაქტი“, როგორც ქვემოთ ვნახავთ არც ეს არის მართალი.

მსგავსი აზროვნება მოსჩანს მოგვიანებით გამოქვეყნებულ რევაზ ბარამიძის წერილში „აი ესეც „ჩემი სამეგრელო“. აქ ავტორი გულისტკივილს ავლენს სამეგრელოს რუკასა და კალენდარზე კონსტანტინე გამსახურდიას სურათის გამოსახვის ანუ, მისი აზრით, ერისკაცის იმ შეურაცყოფის გამო, რომ: „კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება კომუნისტებსა და მაფალუისტებს ებრძოდა, დღეს ნეომაფალუისტების (! – ავტ.) ბელადად წარმოაჩინეს დღეს სამეგრელოს ლიდერად წარმოაჩინეს ერთი კუთხის მოტრფიალედ წარმოაჩინეს“. ამ სიტყვებიდან საყურადღებოა ძველი მაფალუელების მოხმობა და რომ ახლა „ნეომაფალუელებიც“ არსებულან. ამ შემთხვევაში პატივცემული ავტორი სოლიდარულია იმ ნააზრევთან, რომელმაც XX საუკუნის 20-30-იანი წლების გაგებით ჩვენს ცნობიერებაში დაკანონა ე.წ. „მაფალუელობის“ მეგრულ სეპარატიზმად, ერის გამთიშველობად და მოღალატეობად გაგება და მისი რეანიმაციის შესაძლებლობა. „ნეომაფალუელობის“ „აღმოჩენას“ გამოეხმაურნენ ფ. დოჩია და ს. ვარდოსანიძე. თავის მხრივ საპროტესტო აზრები გამოაქვეყნეს ა. შეროზიამ და სხვებმა. მაშასადამე, თითქოს მივიწყებული, სავალალოდ გაუკუღმართებულად გაშუქებული ისტორია გამოცოცხლდა. ამ საერთო ანტიმეგრულ დაბნეულობაში განსაკუთრებით მტკივნეული და აღმაშფოთებელი გამოდგა, ცნობილი პოეტის ბურმან ლებანიძის მიერ 1999 წლის მაისში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული უსათაურო ლექსი. მასში, ჩვენი აზრით, კონცენტრირებულად აისახა დიდი მეგრელი ქართველი წინაპრების – ქუჯის, კოლხი ბრძენი სწავლულების, მეფე გუბაზის, ფარტაძის, ქართველთა ყველაზე დიდებული მეფე აღმაშენებელის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელის, ჩვენი ეროვნული თანადგომის სიმბოლოდ ქცეული ცოტნე დადიანის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და დიდი პატრიოტის ამბროსი ხელაიას, საქართველოს საამყო მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას, მისი ღირსეული ვაჟის, საქართველოს პირველი და მამულიშვილური სულისკვეთებით სადღეისოდ განუმეორებელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და სხვა მათ სისხლისმიერთა მიმართ „მაფალუელობის“, პარტიკულიარიზმის და მოღალატეობის 70 წლოვანი ყალბი ბრალდებით გამრუდებული ცნობიერების ანარეკლი.

ასეთი გაურკვეველობის ვითარებაში ერთადერთი პროფესიონალი ისტორი-

კოსი, რომელმაც „მეგრული სეპარატიზმის“ წანამძღვრები, მის შესახებ პრეზიდენტის არქივში არსებულ წყაროების სკურპულოზური გამოყენებით და მთელი რიგი საყურადღებო და ზოგი სწორი მიგნებებით გააშუქა, პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი აღმოჩნდა. მან სამეცნიერო კრებულის „კლიოს“ გვერდებზე გამოაქვეყნებულ ვრცელ სპეციალურ სტატიაში („დეცენტრალიზაციის პროცესები...“) თემას სათაურიც მიზნობრივად შეურჩია.

ალ. დაუშვილის სტატია ნათლად ცხადყოფს, რომ ავტორს უაღრესად შრომატევადი მუშაობა ჩაუტარებია შერჩეული თემის წყაროების გამოყენების და თემასთან დაკავშირებული საგაზეთო პუბლიკაციების გასაცნობად. მასში დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა გვარწმუნებს, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს „მეგრული საკითხის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის არქივში დაცულ მასალებს. ჩანს, რომ მან პრობლემის გაშუქების მიზნითაც თავად იღვაწა.

მაგრამ ალ. დაუშვილმა, როგორც პროფესიონალმა და „მეგრული საკითხის“ ისტორიის პირველგამშუქებელმა, ჩვენი აზრით, სერიოზული შეცდომები დაუშვა. მან აღნიშნული, უაღრესად რთული და მიზნობრივ-სახელმწიფოებრივად გაყალბებული ისტორიოგრაფიული პრობლემების პირველადი კონცეფციის სავალდებულო, აუცილებელ კრიტიკულ-ანალიტიკურ შესწავლას სათანადო ყურადღება არ მიაქცია. მკვლევარმა მზამზარეულ სიმართლედ მიიღო მის წინამორბედთა საბჭოურ 1920-30-იანი და შემდგომი წლების პუბლიკაციებში გადმოცემული კონცეფცია და ფაქტოლოგია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ მან ვერ მოიპოვა მოცემული პერიოდის ისტორიის ის მასალები, რომლებიც აიძულებდა კრიტიკულად მოჰკიდებოდა მისთვის ხელმისაწვდომი წყაროების მასის შიდა წინააღმდეგობრივი და დეზინფორმაციული ცნობების სიჭარბეს. პირველმკვლევარი გადაჭარბებულად ენდო არა მარტო საკვლევი პრობლემის სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურ ვერსიას, არამედ წინამორბედი დიდი ავტორიტეტების ნააზრევს. უფრო მეტიც, ალ. დაუშვილმა, ჩვენი აზრით, ვერ შენიშნა, რომ თედო სახოკია „მაფალუს“ გაგებაში, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია „ჭითა ჩხორიას“ შეფასების საკითხში გარკვეულ უზუსტობას უშვებდნენ. მკვლევარმა ვერ გაარკვია, რომ ნიკო ბერძენიშვილის და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ მოცემული კონცეპტუალური ნააზრევი ეწინააღმდეგებოდა შესაბამის ისტორიის წყაროებს და ემორჩილებოდა ამდროისთვის მყარად დამკვიდრებულ ოფიციალური ხელისუფლების აზრს, ზვიად გამსახურდიას კრიტიკული ნააზრევი კი უპირატესად და ფაქტობრივად ასახავდა არა ი. ჟვანიას ცოდვებს, არამედ სხვა, მართლაც ავტონომისტ-სეპარატისტებისას, რადგან ბატონი ზვიადის მიერ დამოწმებული წყაროებიდან ჩანს, რომ ეს ეგრეთ წოდებული ი. ჟვანიას რუსულ ენაზე შესრულებული ხელნაწერი წიგნი, სინამდვილეში არის ანონიმი ავტორის მიერ სხვადასხვა საარქივო წყაროების გამოყენებით მიზნობრივად შედგენილი, მართლაც „ჭკუა ნაღრძობის“ და ქართველთა მიმართ მტრად მოკიდებულის ავტონომისტურ-სეპარატისტული შინაარსის კრებული, რომლის ავტორობა, მიზნობრივად, ზუგდიდის მაზრის რეგიონის ოფიციალური მეთაურის ი. ჟვანიასათვის მიუწერია. ი. ჟვანიას ავტოგრაფებსა და მის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებში ავტონომისტური და მითუმეტეს, სეპარატისტული მოთხოვნები, თუ მისწრაფებები, არ გვხვდება. ჩვენს მიერ გამოთქმული აზრის სისწორეში მკითხველი საგნობრივ მტკიცებულებებს ქვემოთ, მაშინ იხილავს, როცა სპეციალურად შევეხებით თითოეული მათგანის დახასიათებას.

არ არის გამორიცხული, რომ ალ. დაუშვილმა შენიშნა დიდი ავტორიტეტების ნააზრევისა და ზოგიერთი, მისთვის ცნობილი წყაროს ინფორმაციული წინააღმდეგობა, მაგრამ მის ხელთ არსებული შეზღუდული შესაძლებლობების გამო იძულებული გახდა მათი კონცეფცია სახელმძღვანელოდ გამოეყენებინა.

ალ. დაუშვილი არ აღიარებს, მაგრამ ადვილი დასადგენია, რომ იგი ფაქტობრივად ეთანხმება და ანვითარებს ზვიად გამსახურდიას მიერ „ი. ჟვანიას“ წიგნის კრიტიკის დროს მოცემულ ნაზრევს. აღნიშნულის გამო ალ. დაუშვილმა საბჭოთა 20-30-იანი წლების სამეგრელოს მოვლენები გაიაზრა მცდარად, როგორც ერთიანი საქართველოს „დეცენტრალიზაციის პროცესები“. ალ. დაუშვილის აზრით, „საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ საქართველოსადმი არაკეთილმოსურნე ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ მოძრაობის (ე.ი. „მაფალუიზმის“ გამოცდილების — ავტ.) რეანიმაციას“ (იქვე, გვ. 179).

მაშასადამე, ალ. დაუშვილი საბჭოთა 20-30-იანი წლების ე.წ. „მაფალუელების“ მის მიერ გაშუქებული მცდარი ისტორიის გამოცდილებით აიარაღებს ქართველ საზოგადოებას და მოუწოდებს: „გვახსოვდეს 20-30-იანი წლების ისტორიული გამოცდილება და ვიყოთ ფხიზლად, რომ ქართულ ერთიანობას არ დაემუქროს არავითარი განსაცდელი“ (იქვე).

ჩვენი აზრით, ავტორთა მიერ „მაფალუიზმის“ ისტორიის მცდარი გაგება და მოწოდება ერთგვარად აირეკლა მას შემდეგ სხვადასხვა საბაბით გამოქვეყნებულ წერილებში. მიმბაძველ ავტორთაგან ყველაზე „ჭკვიანმა“ და გამოცდილებით წინდაუხედავმა კი, ალტერნატიული აზრები, პოსტსაბჭოური თანამედროვე ისტორიოგრაფიის ახლებური აზროვნების მტრობად გამოაცხადა და ქვეყანას ამცნო, რომ თითქოს ალტერნატიული აზრების გამოქვეყნებით მიზნად დაუსახავთ „საქართველოში კუთხური (ე.ი. მეგრული — ავტ.) სეპარატიზმის პროვოცირება“, ამის გამო წინამდებარე წიგნის თანაავტორი, გ. ციციშვილი იძულებული გახდა ე.წ. „მაფალუს“ შესახებ გამოექვეყნებინა სათანადო პოლემიკური ხასიათის ალტერნატიული განმარტებები (იხ. გ. ციციშვილის „მაფალუ“. დოკუმენტები და კომენტარები, წიგნი I..., თბ. 2007, გვ. 73-99). ამით დაინტერესებულმა მკითხველმა გაიგო, რომ ცილისწამება და მტრობა წამოწყებული და განვითარებული იყო მხოლოდ დემაგოგიით. (ამის შესახებ იხ. „მაფალუ“... გვ. 90). ამ მეცნიერული ნაზრევის ღირსებებს კარგად იცნობს დაინტერესებული მკითხველი, ამიტომ მიზნობრივად ცილისმწამებლური მცდელობის დამატებითი მხილების ნაცვლად, აქ საჭიროდ ვთვლით წარმოვაჩინოთ ის, თუ როგორ აისახა „მეგრული საკითხის“ მცდარი გაგება საზღვარგარეთულ ანტიქართულ, რუსეთის აგრესიის საპასუხო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ჩვენს პუბლიკაციებში და როგორი სამწუხარო პერსპექტივაა მოსალოდნელი.

ე.წ. „მაფალუს“, „მეგრული საკითხის“, „მეგრული სეპარატიზმის“ და სამეგრელოს მაგალითზე ვითომ მართლა არსებული „დეცენტრალიზაციის პროცესების“ მცდარი ვითარებით მანიპულირება, როგორც ლადო ალფენიძის და კორნელი დანელიას, გურამ თოფურიას, ვაჟა შენგელიას, ოთარ მიმიშიშის, აგრეთვე გულიკო ბალაძის, უაღრესად საყურადღებო წერილები ცხადყოფენ, გასცდა სსრ კავშირისა (მხედველობაში მაქვს, ნ. ხრუშჩოვის, ნ. რუბინის, რ. ჩილაჩავას, ს. ბერიას და სხვა ავტორთა პუბლიკაციებში გამოთქმული აზრები) და საქართველოს ფარგლებს. პრობლემამ თავი საერთაშორისო ასპარეზზეც იჩინა[1]. ჯერ კიდევ 1993 წლის ნოემბერში თურქეთში თურქულ ენაზე გამოსულა ჟურნალი „ოგნი“, რომელშიც მონაწილეობენ თურქეთის პოლიტიკური პარტიებისა და კულტურის, სხვადასხვა გაერთიანებათა წარმომადგენლები. ჟურნალის მიზანი ყოფილა ლაზების კულტურულ-ეთნოლოგიურ-პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფა. სათანადო წერილებიდან ჩანს ინტერესი საერთო ლაზურ-მეგრულ-

[1] იხ.: ლ. ალფანიძე, „ოგნი“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 5-6 მაისი; მისივე, „ორიოდე სიტყვა ისევ ჟურნალ „ოგნის“ შესახებ“, იქვე 1994, 22 ივნისი; კ. დანელია, გ. თოფურია, ვ. შენგელია, ო. მიმიშიში, „რა მიზანი აქვს ჟურნალ „ოგნის“? გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 21 ივლისი; გ. ბალაძე, „იმპერია მეგრელების გაბლეჩვას და გარუსებასაც შეეცადა“, გაზ. „ახალი თაობა“ 2000, 12 მაისი.

ქართულ ძირების ძიების, ლაზური კულტურის აღორძინებისა და აგრეთვე ეთნიური თვითგამორკვევის მისწრაფებები. მაგრამ „ოგნის“ ფურცლებზე დაბეჭდილა ისეთი მოსაზრებებიც, რომლებიც აცხადებენ ლაზების და მეგრელ-სვანების ქართველობისაგან „სრულიად განსხვავებულობას“ და ამ მიზნით აქცენტი კეთდება არა მარტო ი. ჟვანიას დროინდელ ამბებზე, არამედ ე.წ. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მეგრელთა მოძრაობასა და პოსტსაბჭოურ, ანუ საქართველოში საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდგომ აღმოცენებულ ამ მოძრაობის რეამინაციის ცდებზე. აგრეთვე, თანამედროვე ეპოქაში ახალი კოლხეთისათვის მეგრელებისა და აფხაზების ბრძოლაზე.

ასე მაგალითად: „ოგნის“ ფურცლებზე ნათქვამია, რომ ვინმე „გერმანელი მკვლევარი ვოლფგანგ ფორშტაინი“ საუბრობს „ქართველების მიერ მეგრელების ასიმილაციის“ შესახებ; ჟურნალის მეორე ნომრის სარედაქციო განცხადებაში კი ჩადებული ყოფილა აზრი „მეგრელების ძალით გაქართველების“ მცდელობის შესახებ; ერთი ავტორი საქართველოში არსებულ ვითარებას წარმოსახავს როგორც აფხაზების, მეგრელებისა და ოსების „ისტორიის წიაღში ჩანთქმისა“ და „აფხაზეთ-სამეგრელო-სვანეთის მიწების ექსპანსიის“ ქართველთა მცდელობას. მისი აზრით, „მოძმე ხალხი — მეგრელები და აფხაზები — ახალი ოქროს საწმისის ქვეყნისათვის, მისი აღორძინებისათვის საბრძოლველად ემზადებიან“; სხვა ავტორი ლაზებს განიხილავს როგორც თურქეთის გარკვეული ტერიტორიის „დამოუკიდებელ რასას“.

აღნიშნული პუბლიკაციიდან ჩანს, რომ თურქეთში მძლავრობენ პანთურქული, ანტიქართული აზრის რესტავრაციისა და კოლხურ-ქართული ტომებისაგან ლაზების გაუცხოების მსურველი ავტორები.

გ. ბალაძის წერილი—ინტერვიუ გვაძცნობს, რომ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც მიეძღვნა ქრისტიანობის ორიათასი წლისთავს, გერმანიიდან მოწვეულ, ზემოთ ნახსენებ გერმანელ მკვლევარ—ეთნოლოგს ვოლფგანგ ფორშტაინს (კონფერენციის მონაწილე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის, დოცენტ მანანა ტაბატაძესთან საუბრის მიხედვით) წარმოუჩენია „ახალი სამეცნიერო სამუშაოები და სასწავლო ჰედაგოგიური პროექტები — ლაზეთის, სამეგრელოს და სამცხეს ენისა და კულტურისათვის“. „იგი წარდგა თავისი ახალი გამოცემებით ლათინურ ანბანოვანი ლაზურ-ქართულ-გერმანული ლექსიკონით“. „ასევე მან ლაზებს შესთავაზა ლათინური ანბანით აწყობილი წიგნი, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია“ ქართველი მეცნიერების მხრივ. „ისინი განსაკუთრებით აქტიურად აბათილებდნენ იმ არგუმენტებს, რომელსაც იყენებდა გერმანელი ეთნოლოგი იმის საჩვენებლად, რომ მეგრელები არ არიან ქართველები, ისინი ქართულის კითხვით იზღუდებიან და რომ არ ეძლევათ თავიანთი კულტურის დამოუკიდებლად განვითარების საშუალება“. როგორც ჩანს ვ. ფორშტაინი თავის ქვეყნის საქმეს აკეთებს, იღწვის გერმანიაში მიგრირებული მეგრელი და ლაზი მოქალაქეების ასიმილაციისათვის, ამასთანავე იგი ამ საქმეში „მარტო არ არის“, სარგებლობს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. ქართველებს კი ასეთი ექსპანსიისაგან თავდაცვისათვის და ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

ვ. ფორშტაინმა „გაიხსენა, რომ ოდესღაც საქართველოში გამოდიოდა მეგრული გაზეთები“, „მას მიაჩნია, რომ მეგრელებს ჰქონდათ თავისი დამწერლობა და მწერლობა“ და სხვ. წერილის ავტორის და ინტერვიუერის აზრით, ამ გაყალბების წადილში მონაწილე შეიძლება იყოს მისი თბილისელი კონსულტანტი, რომლის დახმარებით შეეძლო გასცნობოდა მასალებს. მართლაც ბიბლიოთეკაში დაცულ მასალებში შესაძლოა გავეცნოთ მეგრულ გაზეთებსა და

საქართველოს ტომთა გათიშვისათვის ცარიზმის რუსიფიკატორთა (გრენი, იანოვსკი, ლევიცკი, ვოსტორგოვის), საქართველოში საბჭოთა რუსეთის ყოფილი სამხედრო ატაშეს — გენერალ სიტინის, მათ მსგავსთა ანტიქართულ მეცადინეობასა თუ მათ შესახებ ეროვნული პატრიოტების კრიტიკულ წერილებს და ვითომ მეგრული სეპარატისტული და ავტონომიური „ტენდენციებისა" თუ „პროცესების შესახებ" ქართულ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ ძნელად აღსაქმელ, ტენდენციურ და პოლიტიკანური მიზანდასახულობის პუბლიკაციებს. თავად ვ. ფორშტაინსაც ხომ უთქვამს, „რომ მივიდა ბიბლიოთეკაში და ნახა" მეგრული გაზეთი, რომელიც ოდესღაც საქართველოში გამოდიოდა და ვ. ფორშტაინის აზრით, „დაწვეს". ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი მ. ტაბატაძე განმარტავს: „თქვენ იცით ეს გამოდიოდა სტალინური რეჟიმის პირობებში, 20-30-იან წლებში, ისაკი ჟვანიას ცნობილი „საქმე (უფრო სწორად „საქმიანობა" — ავტ.) რომ იყო და დასძენს: „ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო იმპერიული კამპანია და არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის შინაგანი მისწრაფების გამოვლინებას". ეს არის შეცდომა. აქ სტალინი და რუსეთის იმპერიალიზმის ბრალდება არ კმარა. როგორც ნაწილობრივ, ზემოთ უკვე გავეცანით „მეგრული საკითხისა" და ე.წ. „მაფალუიზმის" ასეთ გაგებას იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად ნასაზრდოებმა ყალბმა ისტორიამ და მისმა იდენტურმა აღქმა-გაშუქებამ შეუწყო ხელი. წიგნის მომდევნო თავებში უთუოდ საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ი. ჟვანიას საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მეგრული გაზეთების გამოცემა ნაკარნახევი იყო უმთავრესად ობიექტურ-სუბიექტური მოთხოვნილებით, და არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიული პოლიტიკურ-სამეურნეო აუცილებლობით, ან ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრეების ბრძოლით. იგი არც ქართველი ხალხის შინაგან მისწრაფებას ეწინააღმდეგებოდა, ისევე, როგორც თურქეთში მცხოვრები ლაზების თავიანთი დედაენბანითა და მშობლიური ენით განვითარება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ქართველი ხალხის ინტერესებს.

მეგრულ-ქართული პრობლემებით უცხოელთა დაინტერესება, თვით ამ პრობლემების არსებობა, მათი გაუკუღმართებული გაგება-გამოყენება და ამის გამო მეცნიერ-მკვლევართა მწვავე პოლემიკა იმის მიმანიშნებელია, რომ გადაუდებელ პრობლემა-ამოცანად რჩება ჩვენი ამ ისტორიის თეთრი ლაქების საფუძვლიანი გამოკვლევა-გაშუქება. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეგრული გაზეთების გამოცემის, ი. ჟვანიას საქმიანობის, „მაფალუს", ე.წ. მაფალუიზმის და საერთოდ „მეგრული საკითხის" ისტორიის მეცნიერული შესწავლა-გაშუქება. დაინტერესებული მკითხველისათვის ცნობილია, რომ ამ, გადაუდებელი მეცნიერული ამოცანის შესახებ წინამდებარე წიგნის თანაავტორ, გ. ციციშვილს უკვე ქონდა არაერთი განცხადება[1]. აქ ისიც ითქვა, რომ ავტორი „მეგრული საკითხის" შესახებ ალტერნატიული მიგნებების შემდგომი გაღრმავება-გამოქვეყნების მიზნით ორგზის, 2006 და 2007 წლებში შეეცადა გრანტის მოპოვებას. მაგრამ ქართველი ექსპერტების თუ საგრანტო ჟიურის ანონიმური რეცენზეტებისგან მიიღო სრულიად არაკვალიფიციური შეფასება, თითქოს მისი მეცნიერული ძალისხმევის მხარდაჭერა არ არის გამართლებული „საქართველოში მიმდინარე ურთულესი პროცესების გათვალისწინებით". მას შეაბსენეს „ის აშკარად არაჯანსაღი დისკუსია, რომელიც სტიქიურად აგორდა ქართულ პრესაში 90-იან წლებში". ანონიმურობის უფლებით აღჭურვილი „რე-

[1] იხ.: გ. ციციშვილი „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ", თბ. 2003, გვ. 469; მისივე, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ", თბ. 2005, გვ. 98-100; მისივე, „მაფალუ..." გვ. 64-67, 98, 110.

ცენზენტის“ აზრით, „მისი უარყოფითი შედეგები ღრმად დაილექა „მეგრელი“ მოსახლეობის ფსიქიკაში და სამწუხაროდ დღემდე გვახსენებს თავს“. ამიტომ თითქოს „მეგრული საკითხის“ ყალბი ისტორიის ალტერნატიული მეცნიერული და პოლიტიკური გამოკვლევა-გაშუქების საჭიროებაც იხსნება.

მაშასადამე, „მეგრული საკითხის“ ისტორიის ოფიციალურ-სახელმწიფოებრივი ვერსიის გამზიარებელი ცნობილი მოღვაწეებისა და მათი ავტორიტეტის თაყვანისმცემლების მიერ გამოქვეყნებული და გამოთქმული აზრით, ისე გამოდის, რომ თითქოს:

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის, შემდეგ კი რაიკომის მდივანი ისაკი ჟვანია კომუნისტობას ღალატობდა, სიძულვილს ავლენდა მეგრული წარმოშობის პროგრესული მწერლის მიმართ იმის გამო, რომ იგი ქართულად წერდა და არა მეგრულად;

ი. ჟვანია ეწეოდა ქართული ენისთვის დამღუპველ მეცადინეობას. მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სახელმძღვანელოს მიზნად უსახავდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის და ქართული კლასიკოსების იგნორირებას. ამით იგი აგრძელებდა ცარიზმის ცნობილი რუსიფიკატორის, ვოსტორგოვის საქმიანობას;

ი. ჟვანია ცარიზმის რუსიფიკატორებისა და მათი ქართველი დამქაშის ანტიქართული პარტიკულიარიზმის და სეპარატიზმის თავისებური განვითარებით შეეცადა საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ სამეგრელო ისეთივე ეროვნული ერთეულია, როგორიც სხვა, ამიტომ მეგრელები იმსახურებენ ავტონომიას. ი. ჟვანიას ახასიათებდა ქართული ეროვნულისაგან განცალკევებული მეგრული კულტურის შექმნის მისწრაფება;

ი. ჟვანიას „ანტიეროვნული“ მისწრაფებები და „სეპარატისტული“ განწყობილებანი მისი ბედის გადაწყვეტის შემდეგ არ გადაგებულა, არამედ თავისებურად გამოვლინდა 1950-იან და შემდგომ წლებში. იგი თავის ფარულ სახარებად უქცევიათ 1980-იანი წლების საქართველოს აფხაზურ რეგიონში და მას ავრცელებენ კიდეც რუსულ ენაზე. ამით კვლავ საზრდოდება მეგრული სეპარატიზმის იდეები, რაც გზას უსნის აქ მცხოვრებ ქართველთა გააფხაზებას და გამეგრელებას.

ზემოთ გადმოცემული აზრები, ისე როგორც ი. ჟვანიას და მეგრული სეპარატიზმის შესახებ წარსული წარმოდგენებიც, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, 1990-2000-იან წლების უკიდურესად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და სამოქალაქო ძმათამკვლელი ომით გამოწვეულ დაბნეულობის ვითარებაში საფუძვლად დაედო ე.წ. „მაფალუიზმის“ რეციდივის შესაძლო რესტავრაციით უკიდურესად შეშფოთებული ზოგი პატრიოტის ძალისხმევას.

ცალკეულმა დაბნეულმა პიროვნებებმა სამეგრელოს უკმაყოფილო მოსახლეობისა და მათი აზრის გამომხატველი ქართველი ინტელიგენტების ოპოზიციურ აზროვნებაში „აღმოაჩინეს“ ავტონომიზმის, სეპარატიზმის „მაფალუიზმისა“ და ი. ჟვანიას „ანტიქართული გამოვლინების“ ახლებური გამეორება. ამის გამო გამოქვეყნდა ავტორთა წერილები და მკვლევართა შრომები, რომლებშიც პრინციპული კრიტიკულ-ანალიტიკური დამოკიდებულების გარეშე იქნა გამეორებული ი. ჟვანიას და მეგრული სეპარატიზმის ცნობილი ოფიციალური ისტორია. ზოგმა ავტორმა იგი ახლა უკვე გამოიყენა კანონიერი პრეზიდენტის დამხობითა და ხელოვნურად წაბიძგებული ცხოვრების გაუსაძლისი პიროვნების გამო უკმაყოფილო, ოპოზიციურად განწყობილთა სამართლიანი საყვედურის მოგერიებისა და უზურპატორი ხელისუფლების მხარდაჭერის მიზნით. „მეგრული საკითხისა“ და ე.წ. „მაფალუიზმის“ ოფიციალური, ყალბი ისტორია რწმენად დამკვიდრდა ჩვენს თანამედროვე ინტელიგენციაში. ზოგმა „მცოდნემ“

ეს „სიმართლე“ ისე გაიგო თითქოს იგი „დაილექა მეგრელი მოსახლეობის ფსიქიკაში და სამწუხაროდ დღემდე გვახსენებს თავს“. არავინ აღმოჩნდა იმის გამგები, რომ არსებობდა ამ სიყალბის ალტერნატიული შემეცნების შესაძლებლობანი.

ახლად რეამინირებული „მაფალუიზმის“ ყალბი ისტორია მისაღები გახდა ანტიქართულად განწყობილი და ჩვენი ცოდნის შეზღუდულობით დაბნეული უცხოელი ავტორებისათვის, რომლებმაც „მაფალუიზმის“ ისტორია, მისი თანამედროვე გაგება გამოიყენეს, როგორც ანტიქართული ეროვნული ბრძოლის რეალური გამოვლინება და ცხოვრებით დადასტურებული უტყუარი მაგალითი. ამით გაძლიერდა ანტიქართული იდეოლოგიური დივერსია, რომელმაც გადაუდებლად მოითხოვა სათანადო ისტორიის წყაროების სწორი ანალიზის საფუძველზე შეგვესწავლა და გაგვეშუქებინა „მეგრული საკითხის“ რეალური ისტორიის გამოცდილება. ეს აუცილებლობა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით შექმნილი იდეოლოგიური ატმოსფეროს ვითარებაში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ წერილებში კვლავ შეგვახსენეს „მეგრული“ პრობლემების ფესვზე ნაზარდი მტკივნეული საკითხები. ჯერ კიდევ 2007 წელს გვამცნეს, რომ „აფხაზებმა საინფორმაციო ომი გამოგვიცხადეს“. „გალში მეგრულ-აფხაზურენოვან ტელევიზიას ხსნიან“. იგი ჯერ აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიას დაფარავს, ხოლო შემდეგ მისი სიხშირე შესაძლოა მთელ საქართველოს გაწვდეს. კომპეტენტური ავტორები ფიქრობენ, რომ „მეგრულ-აფხაზურ-რუსულენოვანი გაზეთ „გალის“ შემდეგ მეგრულ-აფხაზურენოვანი ტელევიზიის გახსნა სეპარატისტებისა და ოფიციალური მოსკოვის საკმაოდ მზაკვრული და მათთვის მეტად მომგებიანი მოფიქრებაა“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, №32). ომის შემდგომ (25-31. VIII) „ალიაში“ პოლიტოლოგ რ. კლიმიაშვილთან გაზეთის კორესპონდენტ გ. ზედელაშვილის ინტერვიუ გვატყობინებს, რომ „ზვიად გამსახურდიამ 1993 წელს გროზნოდან გამოგზავნა „სენსაციური წერილი“, რომლის სათაურია „ახალი კოლხური სახელმწიფოს შექმნა“. მის მიხედვით, ამ ახალ სახელმწიფოში უნდა შესულიყო აფხაზეთი-სამეგრელო და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ თურქეთის გამგებლობაში მოქცეული ლაზეთი“. 2008 წლის ოქტომბრის „ქრონიკის“ 39-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი – „დაშლა დაიწყო“, იუწყება, რომ აფხაზეთთან ახლოს, სამეგრელოში, რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივი ვალუტა გამოჩნდა. იქ უკვე დამოუკიდებლობაზეც ლაპარაკობენ...“ „ქრონიკის“ 40-ე ნომერში იბეჭდება ვ. მესხიას წერილი, რომელიც იტყობინება, რომ საქართველოს მეგრული გვარის ინტერნეტ-მომხმარებლებს დაეგზავნა კითხვები: რა გაჩერებთ სამეგრელოში? გინდათ, რომ იცხოვროთ გამოყოფილ სამეგრელოს სახელმწიფოში?“ „ქართული გაზეთის“ 9-16 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ქ. ლომაიას წერილი „რუსეთი საქართველოს მარტივ მამრავლებად დაშლას გეგმავს“. მასში მოხსმობილი ცნობილი ქართველი პოლიტოლოგები გვაცნობენ ახალ სენსაციებს. როგორც რუსი პოლიტოლოგი ავტორების წერილები მეტყველებენ „სამეგრელოს ავტონომიის“ საკითხი კვლავ ხელოვნურად ცოცხლდება. ექსპერტ მამუკა არეშიძის კომენტარით: ვითომ „სამეგრელოში აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან და ყოველთვის მეგობრობდნენ რუსებთან. რუსი ავტორების აზრით, რომ არა ჰიტლერი, სამეგრელოც ავტონომიური რესპუბლიკა იქნებოდა“. მ. არეშიძე კი აცხადებს: „მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთში არსებობს სამეგრელოს აფხაზეთთან შეერთების გეგმა და ამაზე გარკვეული სამსახურები აქტიურად მუშაობენ“. მისი აზრით: „როცა მე-20 საუკუნის ოციან წლებში გენერალი სიტინი საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის გეგმას, ცხადია რუსეთის დაკვეთით ანვითარებდა, სამეგრელოში მას ჰყავდა თავის მოკავშირე

ისააკ ჟვანია, რომელიც 30-იან წლებში დახვრიტეს. აგვისტოს მოვლენების დროსაც შეიმჩნეოდა ამ ტენდენციის განვითარება, როდესაც რუსული არმია, შიდა ქართველისაგან განსხვავებით, კორექტულობით გამოირჩეოდა მოსახლეობისადმი".

პოლიტოლოგი რ. საყვარელიძე ვარაუდობს რუსეთის მიერ საქართველოს დაშლის მორიგ მცდელობის გარემოებას. „როდესაც პრეზიდენტი გამსახურდია სამეგრელოში ჩავიდა, — ამბობს რ. სიყვარულიძე, — მაშინ სამეგრელოს გამოყოფის იმედი რუსებს ისევ გაუჩნდათ და დსთ-ში არშესვლის შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ორად გაყოფით ემუქრებოდა. მათ პირდაპირ განუცხადეს საქართველოს მთავრობას, რომ იქნებოდა აფხაზეთი და სამეგრელო ერთად, საქართველო — ცალკე".

2008 წელს ქ. მოსკოვის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ბ. სოკოლოვის წიგნი „Берия: судьба всесильного наркома Его имя синоним слова „палач". მასში ავტორს ყურით მოთრეული მაგალითებით წამოწეული აქვს ბერიას ინფორმაციები (1929 წელს) ზემდგომი ინსტანციის მიმართ, ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანის „მეგრული სეპარატისტების" „მტრული ხმების" გავრცელების და 1930 წელს ი. ჟვანიას მიერ მეგრელი „ავტონომისტის" ლეონტი გოგოხიას მფარველობის შესახებ. პირველ შემთხვევაში ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანის მცდელობის გამო მაზრის გლეხობის სამართლიანი უკმაყოფილება გაგებულია „მეგრელი სეპარატისტების" პროვოკაციად. მეორე შემთხვევაში, ზუგდიდის რაიკომის მდივნის ი. ჟვანიას ცდა მოაგვაროს ს. ფახულანის ერთადერთი კომკავშირელი ქალის გამტაცებელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის შეუღლება, გაგებულია, ავტონომისტის მფარველობად, რადგან ბერიას წარმოუჩენია პატიმრობის დროს მოძალადე სასიძოს მხრივ გაწეული ავტონომიის სასარგებლო აგიტაცია და მისი პირობითი განთავისუფლება. ავტორის აზრით, აღნიშნულ ამბებში ი. ჟვანიას დავალების შესრულება უნდა დავინახოთ, რადგან ავტონომისტ-სეპარატისტების ყოფილ მფარველად ბერიას მიერ გამოცხადებულ იყო ჟვანია, რომელიც თითქოს ახლაც არ იშლის ძველის გამეორებას (იხ. გვ. 58-60). ყველაფერი ეს უთუოდ შეგვეძლო ჩაგვეთვალა ავტორის ინსინუაციად, თუ არა სხვა წყაროები, რომლებიც გვისაბუთებენ, რომ ეს იყო ჩეკისტი ლ. ბერიას ინსინუაცია. ლ. გოგოხიას ავტონომისტობა არ უმტკიცდება და ი. ჟვანიას მიერ ავტონომისტების მხარდაჭერაც მიზნობრივი სიყალბეა. აგრეთვე აბსურდია ი. ჟვანიას გამოცხადება სიტინის მოკავშირედ, არც ისაა სწორი, რომ თითქოს ი. ჟვანია 1937 წელს დახვრიტეს.

როგორც ამბობენ „ყველა გზა რომში მიდის" მეგრელების ეროვნული პოზიციის გაყალბება კვლავ ქართველოჰობიის აქტუალური პრობლემაა. ასეთია სადღეისოდ შექმნილი იდეოლოგიური ფონი, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს „მეგრული საკითხის" ანუ იგივე ე.წ. „მაფალუიზმის" მართალი ისტორიის გაშუქებასა და მისი სახელმწიფოებრივი ვერსიის ხელოვნურობის მხილებას.

თავი III

„მაფალუს“ ცარიზმის რუსიფიკატორების ლევიცკი, იანოვსკი, ვოსტორგოვიდან მომდინარეობის მტკიცებულებათა სიყალბის შესახებ

„მეგრული საკითხის“ აღმოცენების ნამდვილი სათავეების, ანუ საბჭოთა 20-იან წლებში აღმოცენებული „მაფალუელობის“, იგივე ე.წ. მეგრული ავტონომისტურ – სეპარატისტული მოძრაობის არსის, მისი ცარიზმის რუსიფიკატორებიდან მომდინარეობის და 1918-1919 წლებში აღმოცენებული „მაფალუს“ მათ დამაკავშირებლად წარმოჩენის სიყალბის გაგებისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს საქართველოს ერთიანობისათვის ჩვენი ერის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ეროვნული მოძრაობის მესაძირკველეების სერგეი მესხის, დიმიტრი ყიფიანის, რაფიელ ერისთავის, განსაკუთრებით კი ქართული ეროვნული მოძრაობის აღიარებული მებრძოლისა და მეთაურის ილია ჭავჭავაძის[1], მისი უახლოესი თანამებრძოლეების აკაკი წერეთლის[2] და იაკობ გოგებაშვილის[3] პუბლიკაციებს, აგრეთვე მათი მიმდევრების ნიკო (მინგრელსკი) დადიანის, გიორგი ქოჩაკიძის (ჭალადიდელის), ნიკო ტარიელის ძე დადიანის, თედო ჟორდანიას, ირონა მეუნარგიას, თედო სახოკიას, პეტრე ჭარაიას, ივანე გეგიას, ნიკო ჯანაშიას პუბლიკაციებს და მათ შესახებ გამოქვეყნებულ გამოკვლევებს.[4]

---

[1] ს. მესხი, „სამშობლო ენები ჩვენს სასწავლებლებში“, თხ'ს. ტ. I, გვ. 226-228; მისივე, „ქართული ენის დევნა“, თხ'ს. ტ. II, გვ. 151-152; მისივე, „სამღვდელოების კრება თბილისში“; მისივე, „სამღვდელოების კრება“; მისივე, „ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები“; მისივე, „რუსული ენა ჩვენს გიმნაზიებში“; მისივე, „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი“; მისივე, „მეცამეტე გოჭები“, თხ'ს. ტ.III, გვ. 234-236, 236-238, 329-332, 332-335, 335-338, 339-341; დ. ყიფიანი, „ბ. იანოვსკის“, „დროება“, 1980, №262 (ნოემბერი); რ. ერისთავი, „რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს“, „დროება“, 1980, №212; ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“ (1883, აგვისტო); მისივე, „ალტაოვის პასუხად“; მისივე, „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“; მისივე, „რა გითხრათ? რით გაგაჩაროთ?“ (იხ. ი. ჭავჭავაძე თხ'ს. შემდგენელი და რედაქტორი ჯ. ინგოროყვა. თბ. 1957); მისივე. სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე. 20 მაისს, 1905 წელს (ი.ჭავჭავაძე თხ'ს. ტ. 9, 1957).

[2] ა. წერეთელი, სიტყვა თქმული აკაკი წერეთლის მიერ 1896 წლის 15 აგვისტოს სოფელ ჭალადუბაში პრინც ანმილ მიერატის წლისთავზე, თბ. 1999, რედაქტორ გიმოცემელი ო. ქითანაია; პუბლიცისტური წერილები (1890 - 1900), ტ. 13.

[3] ი. გოგებაშვილი, „დეკანოზ ეოსტორგოვის პროექტი“. ტხ'ს. ტ. 2. გვ. 320-329, მისივე, „პედაგოგიური კონტრანანდა ანუ სახელოვანი „Курс“-ი ბ-ნ ლევიცკისა“, თხ'ს. ტ. 3. გვ. 300-303; მისივე, „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“, თხ'ს. ტ. 3, გვ 437 - 448 ან ტ. 2, გვ. 460-473.

[4] იხ. ვ. მაჩაბელი, „უგ(ანაოლებულს) თავ(ად) ნ. მიგრელსკის აზრი მეგრულ ენა'ს“ (გა'ს. „იერია“, 1904, №24); გ. ქოჩაკიძე (ჭალადიდელი), „მიეკარს ფაცხა მე მეგრული“; მისივე, „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ (თხ'ს. თბ. 1965); ნ.ტ. დადიანი, „კაი ხუმრობა“ (გა'ს. „იერია“, 1887, 39; მისივე, „რაც გამახსენდა“. თბ. 1959; სოლ. ცაიშვილი, „ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა“. თბ. 1948; თ ჟორდანია, „ქართული გრამატიკა“ (ეტიმოლოგია და სინტაქსი) გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტბ. 1889; მისივე, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და გამოცემული ჟორდანიას მიერ“. ნ. I, თბ. 1992; ი. მეუნარგია, „ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან“. სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1937; მისივე, „ქართველი მწერლები“, ნ. II, თბ. 1944; თ სახოკია „პროვინციის ცხოვრება“. აფხა'სეთი („მოამბე“, 1895, №11); მისივე, „Из Сухума“ (Газ. „С. Петербуургские ведомости“, 1900, №117); მისივე, „მოგზაურობა საურ'

პროფესიონალ ისტორიკოსთაგან საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკო მარრის, იოსებ ყიფშიძისა და ივანე ჯავახიშვილის შრომები, რომელთა შესახებ საგანგებოდ, ცალკე, ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის და ჩვენი სამშობლოს განუყოფლობისათვის მებრძოლთა მამულიშვილური ღვაწლის სიღრმისეული შემეცნებისათვის უაღრესად საყურადღებო დამატებით ინფორმაციას შეიცავს მოგონებები, ნარკვევები, დოკუმენტური პუბლიკაციები, საქართველოს კულტურისა და განათლების ღვაწლმოსილი მუშაკებისადმი მიძღვნილი კრებული. მათი ავტორები არიან: გიორგი წერეთელი, იპოლიტე ვართაგავა, შალვა დადიანი, სოლომონ ცაიშვილი, ტრიფონ ხუნდაძე, თინა სახოკია, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, გურამ შარაძე, დავით თევზაძე, კონსტანტინე ტოტოჩავა, აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე, ოთარ ჯანელიძე[1] და სხვები[2].

ჩვენი საკვლევი თემის პრინციპული საკითხების გარკვევა-გააზრებისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს საქართველოს განუყოფლობის და ეროვნული აღორძინებისათვის მებრძოლთა ლიდერების, აგრეთვე მათი პატრიოტულ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებო მოღვაწეობის შესახებ არსებულ ლიტერატურას. მათ შინაარსობრივ მხარეს კარგად იცნობს დაინტერესებული წიგნიერი საზოგადოება. ამდენად, წინამდებარე წიგნის მოცემულ თავში არ არის მის შესახებ ფართოდ მსჯელობის აუცილებლობა და საკმარისად გვესახება მხოლოდ იმ გვერდაუვლელი ინფორმაციის მოხმობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი წინამორბედი ავტორების აზრის მობილიზებით ფართო მკითხველ საზოგადოებას წარმოვუჩინოთ ეპოქა, რომელთანაც აკავშირებენ „ჩხოუშილელ" ავტონომისტებს და რომელიც გვაცნობს ამ პერიოდის „მეგრული საკითხის" წანამძღვარ არსს. ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი მიზანდასახულობა ისიც არის, რომ წარმოვაჩინოთ ილია ჭავჭავაძის და მისი მიმდევრების ნაზრევის მეთოდური და მეთოდოლოგიური მემკვიდრეობა, რომელიც უშუალო საფუძველად დაედო წინამდებარე მონოგრაფიას და განსაკუთრებით მის მოცემულ თავს.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველ ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას გონებით დააკვირდება, ღირსახსოვარს, ავსა თუ კარგს, - ხსოვნისათვის აღნუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითაც ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძერია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდან გარეთ გამოუდგამს კაცური ცხოვრებისათვის" („შინაური მიმოხილვა", ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ. 1957, გვ. 476; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ილიას აზრით, ასეთი „კაცური ცხოვრებისათვის"

---

[1] გ. წერეთელი, „წერილი კირილე ლორთქიფანიძეს" (3.VI.1867), იხ. ს. მესხი, თხს. ტ. III, გვ. 433; ი. ვართაგავა, „ქართველი მწერლების სილუეტები" ტ. I, თბ. 1956; მისივე, „კრიტიკული წერილები". ტ. I. თბ. 1958; შ. დადიანი, „ილია ჭავჭავაძე ნემს ხსოვნაში", იხ. „რაც გამახსენდა". თბ. 1959; სოლ. ცაიშვილი, „ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა". თბ. 1948; ტ. ხუნდაძე. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". თბ. 1960.
თ. სახოკია, „თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1890-1898)". თბ. 1975 და... (1899-1905), თბ 1970; ალ. ბენდიანიშვილი, „ეროვნული საკითხი საქართველოში" 1801-1921 წწ., თბ. 1980; გ. შარაძე. „ილია ჭავჭავაძე, 1837-1907, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება (ფოტო მატიანე). ორ წიგნად". თბ. 1987 და თბ. 1990; კ. მაჭარაშვილი, „მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი". თბ. 1976. (ბროფ. მ. კანკავა); კ. ტოტოჩავა, „იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი". თბ. 2000; დ. თევზაძე, „სათავე უახლესი ქართული მწერლობისა". თბ. 1995; ა. სილაგაძე, ვ. გურული, „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან". ნაკვ. II. თედო ყორდანიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბ. 1999; ო. ჯანელიძე, „სპირიდონ კედია", თბ. 2002; მისივე, „ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან", თბ. 2002.

[2] მ. ქავთარაძე, „იანინარები". თბ. 2000; ს. ჩიჯავაძე - კედია. „ნასმენ-ნახული". თბ. 2001; რ. ძეერენჩილაძე, „წამების გზა", წ.I, ლე. 1999 — წ. II. 2005; მისივე, „საბუთები ლაღადებენ", თბ. 2007; სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან. თბ. 2008.

უკანასკნელ 60-80 წლის ნაღვაწმა ჩვენს ცხოვრებას ცოტათი მაინც სხვა ფერი დაადო. ამ თვალსაზრისით ილიას განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაპოვრად მიაჩნია „ქართველი ერის გაერთიანება. ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის". მაგრამ ამით, მისი აზრით, მდგომარეობა კვლავ მძიმეა, რადგან ქართული ენის უფლებისათვის „ჩვენი ულონო აზრის" ოცწლიანი თავდაცვითი ბრძოლის მიუხედავად, იგი „არამც თუ სასამართლო უწყებაში და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და ... სასულიერო უწყებაშიც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად". ილიას მთავარი სადარდებელი ამ შემთხვევაში ის არის, რომ „შეფერხებით მიდის ჩვენის ხალხის განათლება და პირველდაწყებითი სკოლის საქმე". ერის მამას აშფოთებს წერა-კითხვის გაუვრცელებლობა ხალხში, რომლის გამოც ხალხი „უფრო და უფრო გაშორდება". იგი მწუხარებით ამბობს: „ან კი როგორ უნდა დაგვიახლოვდეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა, - ეს უმრავლესობა ქართველებისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა". ილიას წუხილის კონკრეტული მიზეზი გამხდარა ის, რომ ერთი სახალხო სკოლის დაარსებაც კი ვერ მოხერხდა და ხალხი ქართველი პატრიოტი ინტელიგენციის წუხილის მიღმა რჩებოდა („შინაური მიმოხილვა", იხ. იქვე, გვ. 484-485; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

ილია ჭავჭავაძემ აღნიშნული ეროვნული სატკივარი განსაკუთრებით ფართოდ და საგნობრივად წარმოაჩინა 1880 და 1881 წლების წერილებში „კატკოვის პასუხად" და „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო". რუსოფიკატორი კატკოვის მიმართ ილიამ გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ მან თავისი გაზეთი „Московские ведомости" ქართველთა ეროვნული განწყობილება და ერის სიმბოლოსადმი (ეროვნული დროშის) პატივისცემა სეპარატიზმის შესახებ „ბეზღის მთქმელად" და „სამარცხვინო ფარ-ხმალის სამჭედლოდ" აქცია (იხ. იქვე, გვ. 386-490). ერის მედროშემ ერის ინტერესების დასაცავად განსაკუთრებით საფუძვლიანად გაილაშქრა კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველის" იანოვსკის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო განათლების რეფორმისა და გასახელმწიფოებრიობის მოტივით ქართული დედაენის ფაქტობრივ განდევნას. იანოვსკი სახალხო სამწლიან სკოლებში „ცნობიერი", „ნამდვილი ცოდნის" გარეშე იმპერიულ სახელმწიფოებრივი საჭიროების ცოდნის დანერგვის მიზნით ბავშვებისა და მასწავლებლებისაგან მოითხოვს რუსული ენის იმ დონეზე დაუფლებას, რომ სამწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ არარუსმა მოსწავლეებმა „იცოდნენ არამც თუ მარტო წერა-კითხვა, არამედ გაგებაც ჰქონდეთ წაკითხულისა და წერითაც გამოთქმა შეძლონ როგორც დედა ენაზედ, ისეც შეძლებისამებრ (?) რუსულადაცო". იგი ამის მისაღწევად საჭიროდ სახავს:

„პირველი წლის მეორე ნახევრამდე ოსტატმა ყოველდღე უნდა გადასდოსო 30-45 წამი, რომ ბავშვები შეაჩვიონ რუსულ ენასა... ჯერ დედა ენაზე ათქმევინოს და მერე რუსულადაცაო. მეორე წელს კი, რაკი შეგირდები შეისწავლიან დედაენაზედ წერა-კითხვას, უნდა შეუდგენენ რუსულის წერა-კითხვის სწავლებასა. მესამე წელს კი, რასაც დედანის შემწეობით ასწავლიან ბავშვებს, ყოველივე ის, შეძლებისამებრ (?) რუსულადაც უნდა ასწავლონო" (იხ. იქვე, გვ. 496). იანოვსკის ეს სწავლების მეთოდი — მიზანი, როგორც ვხედავთ, არ ითვალისწინებს, სამეგრელოს იმ სოფლების ბავშვებს, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში მშობლებთან ერთად სასკოლო ასაკის შესრულების დროს იციან მხოლოდ ერთადერთი, მამასადამე, მშობლიური მეგრული ენა და ამის გამო მოუხდებათ ორმაგი სიძნელის დაძლევა.

იანოვსკის მიმართ ი. ჭავჭავაძის აზრი და კონტრარგუმენტაცია ქართულ ენაზე მოლაპარაკე ბავშვების პრობლემურ საფუძველზე შენდება. მაგრამ იგი ამასთანავე შესაძლებლობას გვაძლევს ვიაზროვნოთ ქართული ენის არმცოდნე მეგრელი ბავშვების ინტერესებიდანაც.

ი. ჭავჭავაძემ ცხადი გახადა, რომ პირველდაწყებით საერო სამწლიან სკოლას, ანუ იგივე სახალხო (Народная) სკოლას, იანოვსკიმ მიზნად დაუსახა ფუნქცია, რომელიც არ შეესაბამება მის ნამდვილ ფუნქციას და სინამდვილეში წარმოადგენს უმაღლესი განათლების საფეხურზე გარდამავალი მოსამზადებელი სკოლის (კლასების) ამოცანას. ილიამ თავისი მოსაზრებების დასაბუთებისათვის მოუხმო მსოფლიო და რუსეთის იმპერიის აღიარებული პედაგოგების (პესტალოცის, დისტერვეგის, ბრეალის, რიხტერის და იან ამოს კომენსკის, უშინსკის, ვესსელის) ნააზრევს, რომლითაც დაასაბუთა, რომ პედაგოგიური მეცნიერება სახალხო დაწყებითი სკოლისაგან მოითხოვს: არა „გამოსჭედოს სხვადასხვაგვარი ცოდნა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე“ (უშინსკი), არამედ „გახსნას ბავშვის ჭკუა, გონების თვალი აუხილოს გარშემორტყმულ ბუნებაზე“, რომ ბავშვმა „საკუთარი ჭკუით შეძლოს ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოს“ (დისტერვეგი). „ამიტომ ბავშვი დაწყებითი სწავლების დროს „უცხოურზედ არ უნდა ავარჯიშონ“ (პესტალოცი), არამედ იმ აზრით უნდა ასწავლონ, რომ „ბალოობიდან გამოვიდეს“ (დისტერვეგი). ამისათვის საჭიროა „დედაენაზე სწავლა“ (უშინსკი). მაშასადამე, საერო-სახალხო სკოლა „საკუთრივ დედაენის სკოლაა, რომელიც უნდა შეისწავლოს ყველა ყმაწვილებმა იმისდა მიუხედავად, განაგრძობენ მერე სწავლას გიმნაზიაში თუ არა“ (იქვე, გვ. 94). „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა“.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ „საერო სკოლა, საზოგადო სკოლაა ერისა“. ე.ი. „იმ უმრავლესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალება, არც შეძლება უმაღლესი სწავლის შეძენისათვის... ხელმოკლეობის გამო შინიდამ გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია... ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას“;

ილია ჭავჭავაძის აზრით, „საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი... შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსაჯულებასა და თვითმართველობასა... მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარი ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, სადაც ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს“.

ილია გვასწავლის, რომ „მეორე სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის (! — ავტ.), ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავშვი ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით“. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს დისტერვეგის აზრი, რომელიც მოითხოვს ბავშვმა „შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსხვავებული ხასიათი“. „ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალურს პატრიოტობას (! — ავტ.), არამედ გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს, ადამიანის სულს ღონისას. ეგ ფესვები მის სამშობლოს მიწა-წყალშია, მის მომმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია, - მათს ისტორიაშია“ (იხ. იქვე, გვ. 495). მაშასადამე, აქ სამშობლო ნაგულისხმევია არა მარტო საქართველოს, ქვეყნის, ერის, არამედ აგრეთვე პროვინციის, კუთხის ხალხის გაგებით. ზოგს ეჩვენება, რომ აღნიშნული დიდაქტიკა გამორიცხავს ბავშვის უშუალო გარემოცვას და გულისხმობს მხოლოდ შედარებით გლობალურ მასშტაბს - მხოლოდ ქართველ ერს და საქართველოს მთლიანად. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ილიას მსჯელობა საერო სკოლის, სათანადო, „მეორე აუცილებელი ღონისა და საგნის“ შესახებ. ილიას აზრით „ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი“ არის „ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთა შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს სულითა და ხორცით დაბადების დღიდამვე (მაშასადამე, დაწყებითი სწავლების მთელ მანძილზე. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.)...“ ილია

გვასწავლის, რომ „ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი“. ერის ბელადი მოცემულ წერილში საერთო ეროვნულ საშიშროებაზე საუბრობს, მაგრამ ეს მისი აზრი სულაც არ ნიშნავს, რომ გამორიცხავს მის „გომბორის მთებს“, რ. ერისთავის ხევსურის „სალსა კლდეებსა“, ან მ. ჭალადიდელის „მეგრული ფაცხის“ სიყვარულს.

ილიას ნააზრევიდან ჩანს, რომ ერის სიყვარული და მის მიმართ პასუხისმგებლობა საკუთარი „აკვნიდან“, სოფლიდან, გარემოდან, ფაქტობრივი დედა ენიდანაც იწყება. იგი წერს: „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველდაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს რა, გარდა დედაენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა.

ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქვე სკოლაშია... ნურაფის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდონ რაიმე“ (იხ. იქვე, გვ. 495-496). მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის აზრით, ისტორიული და სოციალური თავისუფლების გამო იმდროინდელ დაწყებით სწავლებას, დღევანდელი დაწყებითი სწავლებისაგან განსხვავებით, პირველ რიგში თავისი ლოკალური სარბიელი აქვს, ხოლო მოსწავლეთა სწავლის გაგრძელების საკითხი მის მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს გაგება იმდროინდელი სამეგრელოს სკოლაზე პირდაპირი გაგებით ვრცელდება.

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს იანოვსკის პროექტს და რიხტერის აზრის გამოყენებით აღნიშნავს, რომ პროვინციულ დედა ენაზე ცნობიერი გარკვევის სირთულე „იმავე ძირის ენას“, მაგრამ უფრო განვითარებულს „სალიტერატურო ენას“ ავიწყებსო. იგი იმოწმებს ფაქტს, რომელიც მეტყველებს, რომ „რუსეთში სადაც ჩვენებრ სამი წლის კურსია და ასწავლიან მარტო ერთს დედაენას რუსულს, ბევრი ყმაწვილები სკოლის შემდეგ წერაკითხვას ივიწყებენო... ნუთუ ჰგონიათ, ჩვენში საერო სკოლა სამისავე წლის კურსით იმ სასწაულს მოახდენს, რომ დედა ენაც შეასწავლოს ბავშვს და რუსულიცა იმოდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე არ დაავიწყდეთ?“ (იქვე, გვ. 497). ილიას აზრით, „სამი წლის კურსი საერო სკოლისა მეტად მოკლე ხანია ჯერ იმისთვისაც, რომ ბავშვმა გონება გაიხსნას“. იგი აღნიშნავს, რომ რუსები თავიანთ დაწყებით სასკოლო „სწავლებას ემდურიან, თავისს დანიშნულებას ძალიან ნაკლებად ასრულებსო, და რამოდენად ნაკლებად უნდა აასრულოს ჩვენმა საერო სკოლამ, რომელსაც, გარდა თავის პირდაპირი დანიშნულებისა, გარდა დედაენის ცოდნისა, რუსულის ენის ცოდნასაც ავალებენ და იმავე სამი წლის კურსს უნიშნავენ“ (იხ. იქვე, გვ. 498; ხაზგასმა ჩვენია – ავტ.).

ი. ჭავჭავაძეს მოაქვს სხვა ქვეყნების დადებითი გამოცდილების მაგალითები, რომლებიც მოწმობს, რომ იქ საერო სწავლებას იმდენად სერიოზულად და პასუხისმგებლობით ეკიდებიან, რომ მათი საერო სკოლის კურსი ხუთსა და რვა წელს მოიცავს. მსოფლიოს პედაგოგიური მეცნიერების ავტორიტეტების აზრის გამოყენებით, ილია ჭავჭავაძემ წარმოაჩინა, რომ არსებობენ ცივილიზებული ქვეყნები, სადაც ბავშვის აღზრდის მეცნიერული მოთხოვნებით საერთოეროვნული ენის სწავლებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბავშვის აკვნიდან და ოჯახიდან შესიცოცხლებულ პროვინციულ ენას.

ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს გერმანიის მაგალითზე რიხტერის მიერ დამოწმებული ფაქტი „როცა საერო სკოლაში პროვინციალურ ენასთან სახელმწიფო ენასაც ასწავლიან, სახელდობრ ნემცურს, ე.ი. იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს“, რომელიც ამქვეყნის „რეკრუტის კომისიების სიტყვით, ისე არ ავიწყდებათ რა ბავშვებს, როგორც ნემცური (სალიტერატურო) ენა“ (იქვე, გვ. 433). ამ მაგალითზე დაყრდნობით იგი გამოსთქვამს აზრს: „ისე მოვაწყოთ სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს... რომ კაცმა ცხოვრებაში გამოიყენოს... რომ პირველს სამს წელიწადს საერო სკოლა

ჩვენში თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს...“ (! — ავტ.). მისი აზრით, „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავის საკუთარ საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს გვაცოდინებს“ (იქვე, გვ. 501). ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ეს განმარტებები იძლევა ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების ასეთივე შვილების პირველდაწყებითი სასკოლო განათლების მეთოდიკის გაგებასაც. ცნობილი მიზეზების გამო იმდროინდელმა და სამწუხაროდ შემდგომმა ქართველმა პედაგოგებმა ამ აზრს არ დაუთმეს სათანადო ყურადღება და არ მისცეს გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი გავიგოთ და შევაფასოთ მეცნიერულ-დიდაქტიკურ-პედაგოგიურად ყოველმხრივ გამართლებულად.

როგორც მისალოდნელი იყო, იანოვსკიმ და მისი საგანმანათლებლო სისტემის მიმდევარმა რუსიფიკატორებმა ი. ჭავჭავაძის ჩაგონება როდი შეისმინეს. არც არის გასაკვირი, იგი არც დამოუკიდებელი საქართველოს და შემდგომმა საბჭოთა პედაგოგიკამ გაითვალისწინა და სამეგრელოს ზოგი სოფლის სკოლებში, იმის მიუხედავად, რომ ბავშვებს ქართული ენა არ ესმოდათ, პირველდაწყებითი სწავლების პირველ კლასშიც კი, არ დაუშვა, თუნდაც პირველ კლასში, ქართულ სახელმწიფო—ლიტერატურულ ენაზე სწავლებასთან ერთად მეგრულ ენაზე სწავლება, აქაოდა, ეროვნებით ქართველები არიანო. სამეგრელოს სკოლების რუსიფიკაციით დამფრთხალმა პატრიოტებმა პრევენციის მიზნით მოთხოვნილებას „სიფრთხილე“ შეაგებეს, მოიგონეს: მეგრელი ბავშვი ქართულ ენას ერთ-ორ კვირაში ითვისებს, რადგან მეგრულ და ქართულ ენებს ორივეს ერთი ძირი აქვს, მეგრული მხოლოდ დამახინჯებული ქართულიაო. ამ არაპედაგოგიური და ანტიეროვნული დამოკიდებულების გამოსწორება დემოკრატიული საქართველოს პერიოდში არ მოხერხდა, მის მიმართ ყურადღება საბჭოთა პედაგოგიკამ საერთოდ არ ინება.

ცარიზმის რუსიფიკატორული განათლების მესვეურებმა სირთულეებიდან თავის დაღწევის თავისებური მეთოდი გამოიყენეს. ჯერ იყო და ქართული ენა განდევნეს სამინისტრო სკოლებიდან და პირდაპირ სახელმწიფო, რუსულ ენაზე გადაიყვანეს სწავლება. ამის გამო „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე, მსოფლიოს მოწინავე განათლებული ქვეყნების მოწინავე „პედაგოგიკის დედაბოძების და განთქმულ მეცნიერთა“ დებულებების მოშველიებით ხსნის — „რა ღონეა დედაენა სკოლისათვის“. მისი აზრით, <u>დედაენა უნდა ისწავლებოდეს არა მარტო სიყვარულის გამო, არამედ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა. ეს განმარტება სამეგრელოს ქართული ენის უცოდინარ მოსწავლეებსაც ეხებოდათ</u>. ამის მიუხედავად იანოვსკის პროექტით ქართული ენაც კი მხოლოდ ქართულ ეკლესიებთან არსებულ სამრევლო სკოლებში ისწავლებოდა. მეგრელი, ქართული ენის უცოდინარი ბავშვების დედაენაზე დაწყებითი სწავლების საკითხი კი ყოველმხრივ იგნორირებული რჩებოდა. მაშასადამე, საქართველოს აღნიშნულ კუთხეში გასაგებ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების საკითხი სერიოზულ პრობლემას ქმნიდა. მაგრამ შუა საუკუნების საქართველოს სეპარატისტული რეციდივების აღორძინების კვალობაზე, ჯერ იყო და, „რუსეთის პატრიარქმა თავისი ბრძანებულებით (1850 წ.) ქართულად წირვა-ლოცვა გურულებსაც ისევე აუკრძალა, როგორც მეგრელებს“ (ა. შონია, ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა, თბ. 2003, გვ. 123). ამის შემდეგ XIX საუკუნის 60-იან წლებში სამურზაყანოს ეკლესიათა ბლაღოჩინმა, დეკანოზმა მაჭავარიანმა ქართულიდან მეგრულად თარგმნა წმინდა ოქროპირის ლიტურგია (კ. ტოტოჩავა, იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი. თბ. 2002, გვ. 74). ამ გამოცდილების გათვალისწინებით 80-იან წლებში პეტერბურგიდან სპეციალურად გამოიწვიეს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პროფესორი <u>გრინი, რომელმაც ითავა მეგრული დამწერლობის შექმნა რუსულ</u>

ასოებზე სათანადო წამონაზარდი კუდების წამატებით. ხონის სემინარიის მასწავლებლების ივან პეტროვის და თადა აშორდიას გამოყენებით, იანოვსკის მარჯვენა ხელის, იმერეთის სკოლების საგუბერნიო ინსპექტორის ლევიცკის დავალებით, მომზადდა მეგრული ანბანი და მეგრული საკითხავი ტექსტები. პეტროვის მეთვალყურეობით დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებმა ჩაიწერეს და რუსული ახალგამოგონებული „მეგრული" ასოებით თარგმნეს მეგრული ანდაზები, გამოცანები, სიმღერები და ზღაპრები. დაურთეს შესაბამისი რუსული ტექსტები და გამოაქვეყნეს კავკასიის ტომთა ცხოვრების ველიკორუსულ-შოვინისტურად ამსახველ კრებულში (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Випуск X. Тиф. 1890, с.95, 256-257). „ეს სახელმძღვანელოდ უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში" (თ. სახოკია, „თქვენ რაღას მისდევთ". გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 1992, 12 სექტემბერი). უკვე 1886 წლის სექტემბერში ლევიცკის კატეგორიულად მოუთხოვია სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ამით თითქოს ქართულის არმცოდნე მეგრელი ბავშვების პირველდაწყებითი სწავლების პრობლემა იხსნებოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი მთავარი დანიშნულება იყო სამეგრელოს სკოლებში, ქართული ლიტერატურული ენის სწავლების გამორიცხვა. ამიტომ იყო, რომ ი. გოგებაშვილმა მეგრული სასწავლო პროგრამაში არ შეიტანა. მან 1887 წლის 31 მარტს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე გაგზავნილ წერილში, ი. ჭავჭავაძესთან შეთანხმებით, მოამზადა სათანადო წერილი და დაგმო რუსი მოხელის ბოროტი ზრახვები (კ. ტოტოჩავა, იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, გვ. 81), რომელიც ქართულის განდევნის და ფაქტობრივად საქართველოდან სამეგრელოს მოწყვეტისთვის იყო გამიზნული. ამის შემდეგ, ამავე მიზნით ლევიცკიმ სხვა მზაკვრობაც გადაწყვიტა. მან თ. აშორდიას საღვთო წერილის ქართულიდან მეგრულად თარგმნა დაავალა და სამეგრელოს ეკლესიებიდან ქართულის განდევნა დაისახა. როცა ეს არ გამოუვიდა, ახლა სწავლების რაციონალური მეთოდის გამოყენებით შემოიღო რუსულის სწავლების „მუნჯური" მეთოდი, რომლის დროსაც აღარც ქართული ენა იყო საჭირო და აღარც მეგრული. ამის მომსწრე შალვა ნუცუბიძე ამ სამასხრო ნაცოდვილარის შესახებ იგონებს: „ერთ სკოლაში მასწავლებელს უნდა აეხსნა ბავშვებისათვის ფრაზა: „დედალმა დადო კვერცხი". საცოდავი მასწავლებელი დედალივით მიფრინდა ბავშვების წინ, ამოიღო ჯიბიდან სახლიდან მოტანილი კვერცხი. მიტრიალ-მოტრიალდა, ვითომ ბუდეშია, ჩაცუცქდა... აჩვენა მოსწავლეებს კვერცხი და გამოკვეთით სთქვა „იაიცო!" შემდეგ დიდი თითი თავის თავს მიაპყრა და გამოკვეთით წარმოსთქვა — „კურიცა"... ამის შემდეგ ჩაცუცქულმა მასწავლებელმა ჩაასრიალა კვერცხი იატაკზე, ცოტა გაიჭინთა და დასძინა: „სნესლა იაიცო", წამოხტა და აკაკანდა.

განცვიფრებული მოწაფეები ავლებდნენ თვალს ხან კვერცხს იატაკზე, ხან „გაკურიცებულ მასწავლებელს". (შ. ნუცუბიძე, ადამიანები და შეხედულებები. ჟურნ. „განთიადი", 1990, №1, გვ. 155).

მაგრამ ქართული სკოლების რუსიფიკაციის ყველაზე აშკარა და უხეში მცდელობა მაინც მას შემდეგ დაიწყო, როცა საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ ქართველი ნ. ტატიშვილის ნაცვლად დანიშნა ანაფორას ამოფარებული რუსიფიკატორი დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. ამ დროიდან ხელზე დაიხვიეს მეგრულსა და ქართულს შორის არსებული ენობრივი სხვაობა. ქართული ენის იგნორირებით, პირდაპირ რუსულად სწავლება მოინდომეს. დაიწყო მტკიცება იმისა, რომ ვითომ ქართველები სხვები არიან, მეგრელები კი სხვებიო. სოხუმის ეპარქიაში მთავრობა რუს ეპისკოპოსებს გზავნიდა. რუსმა ეპისკოპოსებმა და მათ შორის განსაკუთრებით არსენიმ ბრძანება გასცა სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთშიც წერვა-ლოცვა რუსულად შეესრულებინათ. ჟანდარმერიის მეშვეობითა და საეგზარქოსის უმაღლესი სასულიერო პირების დახმარებით ებრძოდნენ ყველას, ვინც ქართველი მრევლისა და

ქართულად სწავლების გულისნადებს გამოაელენდა. მშობლიურ ენაზე დაწყებითი სწავლების მსოფლიოს პროგრესული პედაგოგიური მოთხოვნები აშკარად უარყვეს. ამის გამო საქართველოს ქართული სკოლა და ქართული ეკლესია გადაგვარება-გარუსების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

ქართული ენისა და ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ამ აშკარად სახიფათო ვითარებაში მეგრულ-ქართული ენობრივი თავისებურებების ახსნა-განმარტებებით საქართველოს რუსიფიკატორთა წინააღმდეგ თავგამოდებით გაილაშქრა ქართულმა პატრიოტულმა ინტელიგენციამ და ქართულმა სამღვდელოებამ, რომელთა ძირითადი წარმომადგენლობა მეგრელობა იყო. ჯერ იყო და, ქართველებისაგან მეგრელთა განსხვავებულობის მტკიცების მცდელობის გამო შეწუხებულმა უგანათლებულესმა თავადმა ნიკო მინგრელსკი—დადიანმა თავის მეგობარ ვასილ მაჩაბელს პეტერბურგიდან გამოუგზავნა გამთიშველთა წინააღმდეგ საკუთარი გულისწყრომის გამომხატველი წერილი (17.IV.1885), რომლის აზრი ცნობის ფურცელში დაუყონებლივ გამოქვეყნდა (1885 №241). ნიკო დავითის ძე დადიანის (ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟის) გადაწყვეტილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა თავისი კუთვნილი უნიკალური ქართული ხელნაწერები და მდიდარი ბიბლიოთეკა, საბაბი გახდა ამ დროისათვის ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი (გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე. წიგნი I, გვ. 368) ამ საზოგადოების თავმჯდომარის და ერის ბელადის ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში მოგზაურობისა (ო. ჯანელიძე. „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი", გვ. 8) და მეგრელი ინტელიგენციის პატრიოტული დარაზმულობის გაძლიერებისათვის. მსგავსი როლი შეასრულა, აგრეთვე 1896 წლის აგვისტოში აკაკი წერეთლის სტუმრობამ სოფელ ჭკადუაშში სალომე დადიანის მეუღლის პრინც აშილ მიურატის წლისთავზე (ა. წერეთელი. თხზ. ტ. I, თბ.).

სამეგრელოში სტუმრობის დროს მთელ საქართველოს მოედო ილიას სიტყვები: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ" (შ. დადიანი, „ილია ჭავჭავაძე ჩემს ხსოვნაში". იხ. „რაც გამახსენდა". თბ. 1959, გვ. 88) თუ იგივე „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე" (სოლ. ციშვილი. „ილიას ერთი მოგზაურობის ისტორიიდან". იხ. ლიტერატურული ნარკვევები. თბ. 1962, გვ. 213). უაღრესად შთამბეჭდავი და რეალობის ამსახველი იყო აკაკის სიტყვები მეგრული ენისა და მეგრელთა შესახებ. „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა, — ბრძანებდა აკაკი, — აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღიათ, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებს — მწიგნობრებს, იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეავსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი". აკაკიმ აღიარა „ქართველობა დღეს იმათ (მეგრელებს — ავტ.) უფრო ეტყობათ: ჩვენს საზოგადო საქმეში მეტ მონაწილეობას ისინი იღებენ"... მასპინძელთა სახით აკაკის საპასუხო სიტყვით გამოსულმა იონა მეუნარგიამ ზედმიწევნით გამოხატა სრულიად ქართველთა ამ ორი ბელადის მნიშვნელობა მოცემული კუთხის ღირსეულ შვილთა მიმართ: „საქართველოს უღელში შებმული ეს ორი კაცი, ილია და აკაკი არიან ჩვენი იმედი, რწმენა, ჩვენი ხვალინდელი დღე!" (იხ. აკაკი წერეთელი, თხზ. ტ. 13, გვ. 428-429; სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ 1896 წლის 15 აგვისტოს სოფელ ჭკადუაშს, პრინც აშილ მიურატის წლისთავზე. რედაქტორ-გამომცემელი ო. ჭითანავა. თბ. 1999, გვ. 12).

XIX საუკუნის 80-ანი წლებიდან ქართული და რუსული პრესის ფურცლებზე სისტემატიურად ქვეყნდება სამეგრელოს მკვიდრთა წერილები, რომლებიც საერთო ეროვნული ინტერესებიდან იცავდნენ საქართველოს განუყოფლობას. ილიას „ივერია", „მოამბე", „ცნობის ფურცელი" ხდებიან მეგრულ ფესვზე ამოსულთა ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლის ტრიბუნად.

1887 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ნიკო ტარიელის ძე დადიანის (მწერალ შ. დადიანის მამის) ვრცელი სატირული ლექსი „კაი ხუმრობა“ (№39), რომელიც ქართულ-მეგრული საერთო სიტყვების გამოყენებით სარკაზმით ახსომს თ. აშორდიას „აგენტობას“. ნ. ტ. დადიანის ბიოგრაფმა სოლ. ცაიშვილმა გამოაქვეყნა აგრეთვე ავტორის ერთადერთი, სპეციალურად შექმნილი მეგრული ლექსი და დაურთო ქართული თარგმანი (მოგვყავს მისი მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი):

ქორთული ნინა	თინა-რე დიდა
რე დუნაჩინა,	რჩქინაშ ოხიდა,
თით მიჭარუნა	ოგურაფალი
ჩქი, ჩქინი რინა.	ოხვამე წმიდა.

ლექსის ქართული თარგმანია: „ქართული ენა ნაანდერძევია, მით აგვისახავს ჩვენ ჩვენი ყოფა, ის არის დედა ყოველი ცოდნისა და სასწავლელი ტაძარი წმინდა“ (ს. ცაიშვილი, „ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა“. თბ. 1948, გვ. 60, 63).

ქართული პატრიოტიზმის შთამაგონებელი ნაწარმოები შექმნა გიორგი ჭალადიდელმა („ფაცხა“, „დედის დარიგება“). განსაკუთრებით შთამბეჭდავია მის მიერ მოაზრებული დედისეული შეგონების სიტყვები, რომლებმაც ი. გოგებაშვილის „ბუნების კარიც“ კი დაამშვენა: „შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება, თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა სამშობლოს რადმე გამოადგება...“ (იხ. დასახელებული წიგნი, თბ. 1912, გვ. 7).

1891 წელს გაზეთ „ივერიის“ (№26) ფურცლებზე გამოქვეყნდა ვასილ მასხულიას ფელეტონი “მეგრულს კილოზე წერა-კითხვის შემოღების გამო“. ავტორი დასცინის კუდგამობმული რუსული ასოებით მეგრული ანბანის შემომღებთ და „მამაო ჩვენოს“ მთარგმნელებს. იგი ირონიით წერს XIX საუკუნის მეცნიერული ძვრების შესახებ და დასძენს: „ამ საუკუნეშ არც ჩვენ მეგრელები დაგვტოვა ობლად და გულნაკლულად. ჩვენც დაგვებადნენ ამ ბოლო დროს მეცნიერები ჩვენის სიცოცხლის სადღეგრძელოდ. თქვენი მტერია, ჩვენი სიცოცხლე კიტრად არ ეღირებოდა, ესენი რომ არ გვღირსებოდნენ“. იგი ამის შემდეგ ნიშნის მოგებით აგრძელებს: „რამდენი ხანია ჩვენის არსებობის აქეთ და დღემდე აბა თუ ვინმე გამოჩენილა ჩვენში ისეთი მეცნიერი, რომ მოეგონოს და შემოელოს ჩვენს კილოზედ წერა-კითხვა, დღეს კი ამ მეცნიერებმა გაიმარჯვეს... დაგვიარსეს მეგრულს კილოზედ ასოები და წერა კითხვა... როგორც ჩანს დიდხანს უშრომიათ მეგრული ასოების ამოსაკრებად მეგრელების გულღვიძლიდან“. ვ. მასხულია სვამს კითხვებს: „რად უარყვეს იმ მეცნიერებმა ქართველებთან ნათესაობა და ქართული წერა-კითხვა?... ეს ნათესაობა რად განუდევნიათ ახლად მოგონილი ასოებიდან, რომ ერთი ქართული ასო არ არის შიგ ჩართული, მაშინ როდესაც (თანამედროვე — ავტ.) ქართული სიტყვები მეგრულის სიტყვებში თითქმის ერთი მესამედი ურევია?“ მან, რა თქმა უნდა, კარგად იცის ამ უკუღმართი საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ გროტესკი სჭირდება, ამიტომაც წერს: „ამ უკუღმართობის გამო ეჭვი არა მაქვს ავად მოიხსენიებს მომავალი თაობა იმ ვაუბატონებს, რომლების ხელმძღვანელობითაც იქნა მოგონილი ეს მეგრული ასოები, რომლის წყალობითაც ბავშვს არა თუ არ გაეხსნება ნიჭი და გონება, არამედ უფრო გზა და კეალს დაუბნევს და დაა-ჩლუნგებს“. ავტორი აცხადებს: „... რომ ვარგებულიყო მეგრულის კილოზე წერა-კითხვის დაარსება საღმრთო წესების აღსასრულებლად და სალიტერატუროდ, განა სამეგრელოს მთავრებსა და სასულიერო წოდებას ამდენ ხანს არ შეეძლო შემოელოთ?“ იგი მკითხველს მიმართავს: „მიხვდით, რომ მეგრული ენა არის საშინაო სახმარებელი ენა და არა საღმრთო და სალიტერატურო, სამეგრელოში ქართული წირვა-ლოცვა და ლაპარაკი ყველას ესმის და უფრო კარგადაც, დასამტკიცებლად, თუ გნებავთ, დავასახელებ მთავარ დავით დადიანის (ნიკოს მამის, ეკატერინე ჭავჭავაძის მეუღლის — ავტ.) დროის მოხუცებულებს (რომლებიც ამ დროს დღეგრძელობენ — ავტ.) და განსაჯეთ თუ ყველამ წმინდა

ქართული არ იცის“... ვ. მასხულია წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო მიუტევე მათ, ვინაიდან არა იციან, რასა იქმან“. როგორც მკითხველსაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ამ მეცნიერულს მოკლებულ ნაბრეში, ჭარბად გამოსჭვივის საერთო ეროვნული პატრიოტული სულისკვეთება.

საქართველოსთვის გარჯის სანიმუშო მაგალითი მოგვცა 60-იანელთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა და ილიას თანამებრძოლმა იონა მეუნარგიამ. იგი მოგვეელინა ქართველი კლასიკოსი მწერლების უებრო მემატიანედ და შემფასებლად. მან დიდი ამაგი დასდო ხელთუქმნელი ეროვნული განსის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას.

ქართული ეროვნულ-პატრიოტული პოეზიის მშვენება შეჰქმნა დუტუ მეგრელმა (დიმიტრი ხოშტარიამ). მისი „მე პატარა ქართველი ვარ“, გამოქვეყნდა სწორედ იმ დროს (1902 წ.), როცა რუსიფიკატორების იერიში განსაკუთრებით გაცხოველდა.

თედო ჟორდანიამ თბილისის სასულიერო სასაწავლებელში აღადგინა აბუჩად აგდებული ქართული სიტყვიერების კათედრა. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე (1896 წ.) გულმოდგინედ იცავდა იანოვსკი-ვოსტორგოვის მიერ ყოველმხრივ შევიწროებულ ქართულ ენას. იგი აქტიურად იღვწოდა ბესარიონ დადიანის თავმჯდომარეობითა და აგრეთვე, გრიგოლ დადიანის და თედო ჟორდანიას შემადგენლობით შედგენილ კომისიაში, რომელმაც საბოლოოდ უარყო საღვთო წერილის თარგმნა. მან, როგორც კომისიის წევრმა, რუსიფიკატორთა აღნიშნული მცდელობა მწვალებლობის გამოვლინებად შეაფასა. ამის შემდეგ საქართველოს გათიშვის მიზნით ნავარაუდევი სკოლებში მეგრული ენის შემოღებაც უარყოფილ იქნა (იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული პირველი ვ. ჭაჭიას რედაქციით. თბ. 1953, გვ. 229).

ი. გოგებაშვილის მოწინავე პედაგოგიური იდეების მხარდაჭერით იღვწოდა ქართული დედაენის სიწმიდისათვის ცნობილი ჟურნალისტი, ლიტერატორი და ქართული ენის თვალსაჩინო მკვლევარი პეტრე ჭარაია. იგი საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებისა და ქართული ენის კვლევის საფუძველზე მოპოვებულ მიღწევებს ჯერ კიდევ 1895 - 1896 წლებში აქვეყნებს ჟურნალ „მოამბეში“ (1995, №IX, 1996 №10, 12). აქ პ. ჭარაიამ ახსნა „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ (შ. ბერიძე, „მეგრული (ივერიული) ენა“, გვ.15). მან „მამათა და შვილთა“ პაექრობის შემდეგ პირველმა დააყენა ლიტერატურული ენის ნორმების ხელახლა გადასინჯვისა და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხი (იხ. „ივერია“, 1901, №142). ამასთანავე, პ. ჭარაიამ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში გამოსთქვა სწორი შეხედულებები. როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, „მისი ზოგიერთი მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას“ (იხ. წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები“.. გვ. 258). პ. ჭარაიამ ყურადღება დაუთმო მშობლიურ კუთხეში ბიბლიოთეკის ორგანიზებას. წიგნებს ღებულობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან და თავის სამურზაყანოელ მოსწავლეებსა და მკითხველებში ავრცელებდა იმ დროს, როცა აქ ქართული ენა იდევნებოდა (იხ. იქვე, გვ. 257).

აფხაზეთ-სამურზაყანოში და შიდა სამეგრელოში ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი პედაგოგები ვლადიმერ გაგუა, სტეფანე გაგუა, თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, ივანე გეგია და სხვ., რომლებიც ამასთანავე ეწეოდნენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასა და საქართველოს განუყოფლობისათვის პრაქტიკულ მუშაობას.

თედო სახოკია 1898-1900 წლებში სოხუმში ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ბრძოლაში, რომელსაც აქაური ქართველი ინტელიგენციის მეგრელი წარმომადგენლები ეწეოდნენ რუსიფიკატორი სამღვდელოებისა და ჩინოვნიკების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ს. ცაიშვილი გვამცნობდა, რომ თუ

აფხაზეთ-სამეგრელოში საქართველოს რუსიფიკაციის შავრაზმელთა ზრახვები ვერ განხორციელდა, „ამას უნდა ვუმადლოდეთ იმგვარ ავტორიტეტებსა და მოამაგეთ, როგორიც იყვნენ ნ. დადიანი, ი. მეუნარგია, ნიკო ჯანაშია, თედო სახოკია, ანთიმოზ ჯულელი, სპ. ნორაკიძე, ივ. გეგია, ამბ. ხელაია, პ. ჭარაია და სხვა ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოსულნი, მათთვის სარწმუნონი და იმედეულნი. ამის ცოცხალი და მჭევრმეტყველი დადასტურებაა ამჟამად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრ. არქივში დაცული ის საკმაოდ სქელტანიანი საქმე (ფონდი 37, საქ. 2367), რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული საიდუმლოდ სდგებოდა კავკასიის მთავარმმართველობის კანცელარიაში. ამ ძიების შედეგად სამართალში მიუციათ სამეგრელო-აფხაზეთში რიგი ქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც მიჩნეული ყოფილან „Главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа“ (ს. ცაიშვილი. „ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა“).

აღნიშნული უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი სათანადო კომენტარებით 1999 წელს გამოაქვეყნეს აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა (იხ. „საქართველოს განუყოფელობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895–1904). ნარკვევი და დოკუმენტები“. 169 გვ.; ეს დოკუმენტი ავტორებმა შემდეგ აგრეთვე შეიტანეს თავიანთ კრებულში „ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები“, თბ. 2001, გვ.238-393). გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოს ფრონტზე ილია-აკაკის მიმდევარმა ადგილობრივმა ინტელიგენციამ შესძლო საქართველოს ყველა სხვა კუთხეებისათვის მართლაც სანიმუშო მამულიშვილური ბრძოლის ორგანიზება საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობისათვის.

ა. სილაგაძემ და ვ. გურულმა გამოამზეურეს საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი ახალი პიროვნებები: ოქუმის აფთიაქის მფლობელი პროვიზორის შვილი გრიგოლ კანდელაკი, სოფელ დრანდის აფთიაქის მფლობელი დიაკვნის შვილი ივანე ბურჭულაძე, დაბა ოჩამჩირის მცხოვრები მეორე გილდის ვაჭარი თავადი ფარნა დავითაია, სოხუმის სასულიერო პირები: სოხუმის ეკლესიის დეკანოზი დავით მაჭავარიანი, სოხუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი აქვსენტი სახოკია, დაბა ოქუმის მღვდელი ივანე ჩხენკელი, მისი ვაჟი, მესამე დასის წევრი, შემდეგში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში აკაკი ჩხენკელი, მათთან მჭიდროდ დაკავშირებული მაღალი წოდების სამღვდელოების წარმომადგენლები: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, შემდეგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის აქტიური მოღვაწე ალექსანდრე (ოქროპირიძე); ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) — შემდეგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის პირველი კათალიკოს პატრიარქი კირიონ II; სინოდალურ კანტორის წევრი, ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დროს თბილისის მიტროპოლიტი, ხოლო კირიონ II მკვლელობის შემდეგ (1918 წ.) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი; კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ზედამხედველი მამინაშვილი, შემდეგში ერთ-ერთი სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე და თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ნატროშვილი (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 99). ავტორებმა ცხადი გახადეს მათი და სხვათა მამულიშვილური საქმიანობა: ისენი აქტიურად იღწვოდნენ ქალაქების სოხუმის, ფოთის და სხვა ეკლესიებში ქართული ეროვნების პატრიოტი წარმომადგენლების დანიშვნისათვის. საიდუმლო თუ აშკარა მხარდაჭერას უწევდნენ აფხაზეთ-სამურზაყანოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს მათს პრაქტიკულ ბრძოლაში.

აღნიშნული წიგნით ცხადი ხდება, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოს „ქართული მოძრაობის" ლიდერები მეგრელ მშრომელებს ეხმარებოდნენ საჩივრების, განცხადებების და „განაჩენების" შედგენაში, რომლებითაც ისინი სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების ტრადიციულ საეკლესიო ქართულ ენაზე აღსრულებას და სკოლებში საერთო ქართულ დედაენაზე სწავლებას მოითხოვდნენ და აღწევდნენ. მათმა ბრძოლამ იმდენად ქმედითი ნაყოფი გამოიღო, რომ ერთხელ, როცა სამურზაყანოს რუსიფიკაციის აქტიური და სამარცხვინო მხარდამჭერი, ოჩამჩირელი მღვდელი, გურული ქავჟარაძე ეახლა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, მან ქავჟარაძეს ბევრი სხვა პირის თანდასწრებით უწოდა სამშობლოს და მშობლიური ენის მოღალატე, ამასთანავე კანცელარიიდან გააგდო და მიაძახა, რომ მან არ უნდა იფიქროს ოდესმე საკუთარ სამშობლოში სამსახურზე და, რომ მისი, როგორც მღვდლის ადგილი რუსეთის შიდა გუბერნიაშია. სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ საეკლესიო სლავურ ენაზე ღვთისმსახურების აღსრულების დანერგვის თავგამოდებულ მოწადინე ეპისკოპოს არსენის საყვედურით უთხრა, „აქ საქართველოა და არა რუსეთიო" (იხ. ა. სილაგაძის და ვ. გურულის დასახელებული წიგნი, გვ. 90, 97, 100). აღნიშნულ ავტორებს მოჰყავთ მრავალი მანამდე უცნობი მაგალითი თედო სახოკიას თავდადებული პატრიოტული საქმიანობიდან.

მაშასადამე, მოხმობილი პუბლიკაციების ამონარიდებიც ნათლად ცხადყოფენ, რომ საქართველოს ერთიანობისათვის საერთო ეროვნულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ განსხვავებული პროფესიისა და პარტიულ-პოლიტიკური ორიენტაციის მეგრელები.

როგორც ცნობილია, საქართველოს, და კერძოდ სამეგრელოს, რუსიფიკაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე პერიოდი დაუდგა მას შემდეგ, რაც საქართველოს საეგზარხოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ პატრიოტი ნ. ტატიშვილის ნაცვლად დაინიშნა რუსი დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. მისი სახით „საქართველოს სასულიერო უწყების სწავლა-განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა ანაფორას ამოფარებული ჯალათი და სულთამხუთავი ჩვენი ქვეყნისა, ეს ებრაელთა ჰეროდე ჩვენი ყრმებისა, ეს კარიერისტი და საუკეთესო განმხორციელებელი რუსთა სახელმწიფოს მტარვალური მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკისა. ამ დროს მაბეზღარობა, ჯაშუშობა, გამტაცებლობა, მუხანათობა გამეფდა მასწავლებელთა შორის...

განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა — მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული სახელმწიფო ენა ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს ანაფორიანი პოლიტიკანი, რომ პრესაშიც გაბედა ამის მტკიცება" (თ. სახოკია, „თქვენ რაღას მისდევთ"? გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992, 12 სექტემბერი).

ახლა ვოსტორგოვის მოგერიება გახდა ქართველ პატრიოტების მნიშვნელოვანი საზრუნავი. მის წინააღმდეგ მთელი ძალით გაილაშქრა იაკობ გოგებაშვილმა. მან სპეციალურ წერილში („დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი"), რომელიც 1901 წელს „ივერიაში" გამოქვეყნდა, აღნიშნა, რომ „ჯერ კიდევ ადრე საქართველოს ეგზარხოსმა მთავარეპისკოპოსმა პავლემ ყოვლადსამღვდელო გაბრიელს, იმერეთის ეპისკოპოსთან და სამოსწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველ იანოვსკისთან შეთანხმებით, შეადგენინა გეგმა, რომელიც დამტკიცა უწმინდესმა სინოდმა 1885 წელს. ამ გეგმამ დაწესა სამი წლის კურსი და საგნების სწავლება ქართულ ენაზე. რუსული ენა დაიდო როგორც ცალკე საგანი... პირველი გაკვეთილი დანიშნული ქონდა... საღმრთო სჯულსა, მეორე და მესამე ქართულ ენას, მეოთხე რუსულს... ამ სახით, ქართული ენა მთავარ საგნად იყო აღიარებული... ეს გეგმა თხუთმეტი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა. მხოლოდ

ერთი მუხლი იქნა შეცვლილი ამ ათის წლის წინად: ლექსიური გაკვეთილები რუსულის ენისა დაიდო პირველის წლის დასაწყისიდანვე...

შარშან სასულიერო უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა სამრევლო სკოლების კურსი არა რუსთათვის უფრო ხანგრძლივი შეექმნა და მოუმატა მეოთხე წელიწადი"...

ვოსტორგოვის ახალი პროექტი აწესებდა საგნების რუსულ ენაზე სწავლებას იმ სკოლებში, სადაც ქართველებთან ერთად ურევიან არაქართველი ბავშვები, იმის მიუხედავად თუნდ ისინი ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად. სასოფლო და საქალაქო სკოლებშიც მუნჯური ენის შემოღებით მოიხსნა ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა. ამასთანავე ეს პროექტი ბადებდა განხეთქილებას ქართველსა და არაქართველებს შორის, რადგან არაქართველობა ფაქტობრივად ქართულად სწავლების მოშლის საბაბად გამოიყენებოდა" (იხ. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 323-324).

ი. გოგებაშვილმა სასტიკად გაილაშქრა მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ, რომელიც კავკასიაში „მეფობს მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში". მან რუსი და იმპერიის არარუსი პედაგოგების აზრის მოხმობით ცხადყო სისაძაგლე „მუნჯური" მეთოდისა და მისი დანერგვის დროს ჩადენილი ქართველების რუსიფიკატორების თავნებობისა. ი. გოგებაშვილმა ლევიცკის ინიციატივით გატარებულ „მუნჯური" მეთოდის დემაგოგიას უწოდა „სამასხარაო მეთოდი" (იქვე, გვ. 325). მან მკითხველს შეახსენა, რომ ქართული ეკლესია მოციქულებიდან დაწყებული ყოველთვის ხმარობდა ქართულ დედაენას. ი. გოგებაშვილმა მრავალი პედაგოგი მოიხმო ავტორიტეტად იმის საილუსტრაციოდ, რომ პედაგოგიკისა და დიდაქტიკის მოთხოვნები აუცილებლად გულისხმობენ საღმრთო სჯულის დედაენაზე სწავლებას. ი. გოგებაშვილი ქართული სამრევლო სკოლებიდან ქართულის გამოდევნას მიიჩნევს ქართული წიგნის დავიწყებისათვის გამიზნულ მზაკვრობად. "დეკ. ვოსტორგოვის სამრევლო სკოლები ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანენ ჩვენს დაცემულ ხალხსა, — წერს დიდი პედაგოგი და დასძენს — უფრო კიდევ ძირს დასწევენ, — და ბევრად უკეთესი იქნება დაიკეტნენ იგინი ჩვენში. მოგახსენებთ, რომ <u>სკოლა ორპირი ხანჯალია: აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და ავლურებს, თუ უკულმართობის გზაზე არის დაყენებული</u>" (იხ. იქვე, გვ. 329; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). სამწუხაროდ, ეს სიღრმისეულად ვერ გაიაზრეს საქართველოს სასკოლო დაწყებითი განათლების იმ მუშაკებმა, რომლებიც შემდეგ მესვეურობდნენ დამოუკიდებელი და რუსიფიკაციისაგან გადარჩენილი საქართველოს დროინდელი სამეგრელოს დაწყებით სწავლებას.

სამეგრელოს მკვიდრი პატრიოტების ბრძოლას ახალი ძალა მიანჭა იაკობ გოგებაშვილის პუბლიკაციამ „ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ". იგი პირველად გაზეთ „ივერიაში" 1902 წელს (№186) მეთაურ წერილად, მეორედ კი 1903 წელს ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში" დაიბეჭდა და უცვლელად შევიდა ავტორის ათტომეულის მე-3 ტომში. დიდი ქართველი პედაგოგი აქ საუბრობს იმ მაგალითებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ თათრული და სომხური სახელმძღვანელოები ხელისუფლების მხარდაჭერით იბეჭდება ლიტერატურულ ენაზე იმის მიუხედავად, რომ ამათაც აქვთ თავიანთი კილო-კავები. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში IV საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ლიტერატურულ ქართულ ენაზე იხმარებოდა წიგნები, მათ შორის სამეგრელოში. ახლა კი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ მხოლოდ საქართველოში. ხელისუფლებამ მოიწადინა საქართველოს, მათ შორის იმერთა დანაწილება. სამეგრელოსა და სვანეთში დედაენას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, რაც გამორიცხული უნდა იყოს, რადგან აქ ხალხი ხმარობს ადგილობრივ კილო-კავებსო. ი. გოგებაშვილი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ერთმა კავკასიელმა ერმა ჩვენს სამშობლოს მოჰგლიჯა ზაქათალის მაზრა, საინგილო, ყარაიასი. მეორემ სამი საუკუნის განმავლობაში ხელთ იგდო ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს

მაზრები და გაბატონდა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქში. იმედი გვქონდა გაჭირვებულ აღმოსავლელთ გაძლიერებული იმერნი მოგვეხმარებოდნენ, მაგრამ ეშმაკს როდი სძინავს, მოიწადინა თვით იმერთა სამშობლო დაეწაწილებინაო. „ნაწილი ერისა, — წერს ი. გოგებაშვილი, — რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა". აქედან გამომდინარე, იგი მოუწოდებს, „რომ ამ ბოროტს წადილს მედგრად წინ აღუდგნენ მეგრელნიც, სვანნიც და ყველა ქართველებიც" (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 360).

ი. გოგებაშვილმა სტატიაში „პედაგოგიური პროპაგანდა ანუ სახელოვანი „Курс"-ი ბ-ნ ლევიცკისა „პედაგოგიური მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლის სუვორინის პუბლიკაციაზე დაყრდნობით გამოააშკარავა, რომ რუსიფიკატორი ლევიცკის სახელმძღვანელო „კურსი" გაზეთ „ნოვოე ვრემიაში" მასხარად აიგდეს მასში მოცემული პედაგოგიური უმეცრების გამო. პატრიოტი პედაგოგი, ამასთანავე, გულისტკივილს გამოსთქვამს, რომ ზოგჯერ „ჩვენებური მასწავლებელი კი იმაზე როდი ფიქრობს, რომ თავის აზრსა და რწმენაზე გაიაროს, არამედ სულ იმასა სცდილობს გაიგოს რომელი სახელმძღვანელოს ხმარება უფრო იამება ამა თუ იმ... პირსა და ამ პირის სურვილსა და ქეიფს მონურად ემორჩილება". ი. გოგებაშვილი წუხს, რომ „ასეთმა საარაკო სიძაბუნემ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ყოველად სამასხრო „Курс"-მა სრული მონოპოლია მოიპოვა მთელს ქუთაისის გუბერნიაში" (ი. გოგებაშვილი თხზ. ტ. 3, გვ. 361).

ი. გოგებაშვილმა „Петербурские ведомости"-ის 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში, იმპერიის პედაგოგიური წარმომადგენლობის საყურადღებოდ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის", რომელშიც ფართოდ წარმოაჩინა საქართველოს ძირძველი კუთხის, სამეგრელოს მაგალითზე განხორციელებული რუსიფიკატორული აგრესია. მან საიმპერო მასშტაბის ტრიბუნიდან ამცნო პროგრესულ პედაგოგიურ საზოგადოებას, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დრტვინავს იმის გამო, რომ მისი ერთი კუთხის — სამეგრელოს სკოლებიდან იდევნება ქართული ენა და ხელისუფლების განათლების მესვეურებს ქართულის ნაცვლად შემოაქვთ მეგრული საანბანო წიგნი, რომელშიც იხმარება რუსული ასოებით შეთხზული მეგრული ანბანი. ი. გოგებაშვილი მკითხველს განუმარტავს ისტორიას, რომელიც უტყუარად ღაღადებს, რომ მეგრელებმა უხსოვარი დროიდან აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და ქართული ეროვნული კულტურის შექმნაში. მან მსგავსი პრობლემებით შეწუხებულ პროგრესულ რუსეთსა და რუსეთის იმპერიის მიერ დათრგუნულ განაპირა ხალხების პედაგოგიურ პერსონალს ამცნო, რომ მეფის რუსეთის განათლების სისტემა ცდილობს სამეგრელოს რუსიფიკაციის მიზნით გამოიყენოს ისტორიული ბედუკუღმართობით გამოწვეული ის თავისებურება, რომ ქართველთა მოცემული ტომი შინაურობაში ხმარობს ადგილობრივ დიალექტს. მაგრამ ი. გოგებაშვილმა ამასთანავე წარმოაჩინა, რომ მეგრელი მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრივ ლიტერატურულ და საეკლესიო ენას კანონიერი უფლებით მიიჩნევს თავის საკუთრებად და, ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში თავდადებით იბრძვის მისი ფუნქციონირებისა და ღირსების დაცვისათვის.

ი. გოგებაშვილი მოცემული სტატიით ცდილობს რუსეთის პროგრესული საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგიური აზრის მხარდაჭერის ორგანიზებას. იგი არ ივიწყებს, აგრეთვე, ველიკორუსული იმპერიული ინტერესების მატარებელი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის აგრესიული აზრის მნიშვნელობას აღნიშნული ქართული ეროვნული სატკივარის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულების გამომუშავებაში. ამიტომ იგი ზოგჯერ მიმართავს იმპერიული რუსეთის მიმართ გადაჭარბებულ ქედმოხრასა და სამეგრელოს მაგალითზე საქართველოს რეალობის ჰიპერტროფირებას.

ი. გოგებაშვილი წერს, რომ თითქოს „ქართულ ენას ნაკლებად ხმარობს მხოლოდ ენგურის გაყოლებით მდებარე აფხაზეთის მოსაზღვრე მთიან ადგილებში მცხოვრები მდაბიო ხალხი, რომელიც თითქმის მხოლოდ თავის პროვინციულ კილოზე ლაპარაკობს", თითქოს სამეგრელოს განაპირა სახალხო სკოლების მოსწავლეებს ქართული ენის დაუფლებაში არავითარი დამატებითი სიძნელე არ გაჩნდათ, თითქოს XVIII საუკუნის მოგზაურის შარდენის საგულისხმო გადმოცემით, „ყველა მეგრელს კარგად ესმის ქართული და თავისუფლად ხმარობს მას", თითქოს შუაგულ სამეგრელოს მცხოვრებნი, რომელთაც ესმით ქართული ენა, განგებ არ ხმარობენ მას რადგან მას, წმინდა ენად მიიჩნევენ და ერიდებიან მის დამახინჯებას (იხ. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. II, გვ. 463), თითქოს მეგრული ენის სასკოლო სწავლებაში შემოღება იმითაც ყოფილიყოს საზიანო, რომ „შემოღებული იქნება ადგილობრივი, სრულიად განუვითარებელი, მეტად ღარიბი დიალექტი, რომელსაც თვით მეგრელები არასოდეს არ თვლიდნენ განათლების იარაღად" (იხ. იქვე, გვ. 469). ასეთი მსჯელობა, იქნებ, ხელსაც უწყობდა კამპანიის მოგებას, მაგრამ ხელს უშლიდა საქმის ვითარების საფუძვლიან გააზრებას და იწვევდა მის გაუბრალოებულ, გამარტივებულ გაგებას. სინამდვილეში სამეგრელოს ისტორიულმა ცხოვრებამ მართლაც შეისისხლხორცა ქართული სახელმწიფოებრივ-საეკლესიო და ლიტერატურული ენა, მაგრამ რიგითი მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საუკუნეების მანძილზე იმ დონეზე შეინარჩუნა და განავითარა თავისი წინარექართული, რომ ჩამოაყალიბა ქართულის ძმა უმდიდრესი სალაპარაკო ენა, რომ კარჩაკეტილი საუკუნეობრივი ცხოვრების პირობებში შექმნა ვერბალურად ყოველმხრივ განვითარებული, ურთიერთგაგებინების უნივერსალური საშუალება, რომელსაც გააჩნდა არა მარტო გამოყენებითი, არამედ აგრეთვე ეთნიურ-ზნეობრივი ღირებულება. მეგრელ „მდაბიო" მოსახლეობას „მეგრული ენა" არანაკლებ უყვარდა, ვიდრე ქართული სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ-საეკლესიო ენა, რომელიც სამეგრელოს გლეხური მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ ესმოდა და სწორედ ეს ქმნიდა პრობლემას. ლიტერატურული ქართულის არმცოდნე მეგრელი მოსახლეობისათვის მეგრული ენა იყო მშობლიური ენა ყველა მისი დამახასიათებელი თვისებითა და ატრიბუტით. ამიტომ საჭირო იყო უპირატესად მეგრელების დანარჩენ ქართველებთან ერთიანობა-განუყოფლობის სასიცოცხლო პერსპექტივის წარმოჩენა, აგრესიის პრევენციის აუცილებლობის მტკიცება, მაგრამ არა მეგრული ენის განუვითარებლობის მტკიცება თუ მისი გაურცელების მხოლოდ შეზღუდული რეგიონით შემოფარგვლით დაკნინება და პირველდაწყებითი განათლებისათვის მაუნედ გამოცხადება.

ი. გოგებაშვილი ცდილობს სტატიაში საქმის ვითარება ისე წარმოაჩინოს, რომ ლევიცკის „კურსის" გამო თვით რუსეთის იმპერიულ სახელმწიფოებრიობასა და იმპერიულ საეგზარქოსოსაც კი საფრთხე დაუსახოს. იგი წერს: „მაგრამ სამეგრელოს სკოლების ახლებური ორგანიზაცია <u>განსაკუთრებით</u> (! — ავტ.) სავალალო გავლენას მოახდენს ხალხის სარწმუნეობაზე... სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა რელიგიის სწავლებაზე უარის თქმას გამოიწვევს და ამ სკოლებს მართლაც გადააქცევს მატერიალისტებისათვის მოსაწონ ათეისტურ სკოლებად" (იხ. იქვე, გვ. 468); იქმნება საშიშროება, რომ „საქართველოს სხეულისაგან 200 000-ზე მეტი მეგრელის მოცილებით კიდევ უფრო შესუსტდეს ამიერკავკასიაში ქართველ მართლმორწმუნეთა ელემენტი", მეორე მხრივ, ი. გოგებაშვილი რუსეთს აფრთხილებს, „სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის და ალფაბეტის ძალდატანებით განდევნა ისეთივე დრტვინვას, უკმაყოფილებასა და გაბოროტებასაც კი გამოიწვევს მეგრელთა შორის, როგორც ღვთისმსახურებიდან ქართული ენის განდევნის ცდამ გამოიწვია" 1893 წელს (იხ. იქვე, გვ. 471, 464). შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი სამღვდელოების და ი. გოგებაშვილის აღნიშნული პატრიოტული გულმოდგინებას გაუკუღმართებულად აფასებდნენ 20-30-იანი წლების „მეგრულ

საკითხთან“ დაკავშირებული, როგორც ათეისტები, ისე ე.წ. „მაფალუელები“. ი. გოგებაშვილი რუსეთის იმპერიულსა და ასიმილიატორულ ხელისუფლებას შეახსენებდა, საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობითი შეერთების“ ასი წლისთავისათვის 1901 წელს გამოცემულ რესკრიპტს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ქართველი ხალხი და განსაკუთრებით ქართველი თავადაზნაურობა ყოველთვის წარმოადგენდნენ რუსეთის მეფეებისა და თავისი ახალი სამშობლოსადმი ერთგულების მაგალითს“ (იხ. იქვე, გვ. 470). ამიტომ მის ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რომ ცარიზმის მსახურთა მიერ ქართველთა სისტემატურ დენაციონალიზაციას, დემორალიზაციას და სარწმუნეობრივ ინდიფერენტიზმს უთუოდ მოყვებოდა მართლმადიდებელი იმპერიისავე ინტერესების საზიანო პროცესების განვითარება. ამ თვალსაზრისით ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით გაისარჯა სპეციალურად შექმნილ პუბლიკაციაში „ბურჯი ეროვნებისა“, რომლის მეორე შევსებული გამოცემა 1903 წელს გამოვიდა. ამ პუბლიცისტურ ნაშრომში ავტორი პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ქადაგებდა, რომ დედაენა ეროვნების ბურჯია (ილია) და ამიტომ დაწყებითი სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღება აუცილებელია. იგი ამით საქართველოს რუსიფიკატორებს უპირისპირებდა პედაგოგიურ აზრს. მაგრამ მეცნიერისა და მამულიშვილის თავგამოდება, ისე, როგორც ბევრი მისი მიმდევარისა, ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდა ისტორიული წარსულის იდეალიზაციას და ერის ერთიანობისათვის ბრძოლის გააქტიურება-ეფექტიანობას ამტკიცებდა.

<u>ი. გოგებაშვილმა</u> წერილში „საარაკო გადათქმა” <u>დაუფარავად წარმოაჩინა ქართველი პედაგოგის ივანე როსტომაშვილის პროტესტული თავგამოდება და ამით მეგრელ თადა აშორდიას, გურულ მღვდელ ქავჟარაძეს და იმერელ მაჭავარიანს გვერდში კახელი როსტომაშვილიც ამოუყენა</u>. როსტომაშვილმა 1903 წლის 14 იანვარს სამეურნეო საზოგადოების ვეებერთელა, კავკასიის ხალხთა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისაგან გადატვირთულ დარბაზში, მშობლიური დედაენის მნიშვნელობის წარმოჩენის და ხალხში სწავლა-ცოდნის დედაენით გავრცელების მნიშვნელობის საყოველთაო აღიარების დროს, განაცხადა: „თქვენაო... სასწორი ძლიერ გადაგიხრიათ დედაენისაკენაო, რომელზედაც სწავლება უნდა მიდიოდეს, თქვენი პროექტით სამსა და ოთხ წელიწადსაო. ხოლო რუსული ენა — კი, უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი. ეს მავნებელია სახელმწიფო ენის ინტერესებისათვისო“ (იხ. იქვე, გვ. 473). ამ მაგალითებიდან <u>კარგად ჩანს, რომ კარიერისტი, აშორდიას მსგავსი რუსეთუმე ქართველები, ისე როგორც პატრიოტები, საქართველოს ყველა კუთხეში იძებნებოდნენ</u>.

თადა აშორდია ერის წინაშე მისი დანაშაულის გამო ქართულ ცნობიერებაში სამართლიანად დამკვიდრდა, როგორც სამეგრელოს სკოლების გარუსების, საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის ხელშემწყობისა და სამშობლოს ეროვნული ინტერესების მოღალატის სტერეოტიპი. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ <u>თ. აშორდია, ზოგმა პოლიტიკანმა, შეცდომით, გვართა გენიოლოგიური დოკუმენტების ფალსიფიკატორ „აფერისტად“ წოდებული სოლომონ აშორდიასთან გააიგივა,</u> ანუ მოგვარეები ერთ პიროვნებად მოეჩვენა და გამოაცხადა. როგორც ჩანს, ამ პიროვნების „პოპულიარიზაციას“ ხელი შეუწყო დიდი გალაკტიონის ქარაგმულმა გროტესკმა — „აი დროშა აშორდია, აირევი ივერია“. არადა, იმდროინდელ საქართველოში, როცა საგრძნობლად შეირყა ქართველთა ეროვნული ცნობიერება და ქართველ ხალხს გადაგვარების საფრთხე დაემუქრა, რატომ ასი მაგისთანა რუსიფიკატორების მაჩანჩალა არ მოიძებნებოდა. ამის დამატებითი მაგალითებიც საკმაოდ გვხვდება, მაგალითად:

ს. მესხი „დროების“ ფურცლებზე 1879 წელს გამოქვეყნებულ წერილში („სამღვდელოების კრება“) მოგვითხრობს, რომ საქართველოს ეგზარხოსის მონაწილეობით ჩატარებულ სხდომებზე, „თითქმის ერთხმად და საზოგადო

გადაწყვეტილებით" მიუღიათ გადაწყვეტილება „თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის გაძლიერების შესახებ". მხოლოდ „სამი-ოთხი დეპუტატი" გამოსულა წინააღმდეგი, „რომელთა რიცხვში სამწუხაროდ მ.დ. ღამბაშიძეც ურევია" (თხზ. ტ.III, გვ. 237);

1880 წელს ქუთაისის მასწავლებელთა კრებაზე გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა სემიონოვმა, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ ლევიცკის დავალების შესრულებისა და სოფლის სკოლებიდან ქართულად სწავლების განდევნის მიზნით, დემაგოგიური და ანტიპედაგოგიური კითხვა დააყენა: „რომელ ენაზე უნდა იყოს საგნების სწავლება სასოფლო შკოლაში"? და თვითვე უპასუხა: „მე ვიცი ერთი ნასწავლი (ქართველი — ავტ.) მღვდელი, რომელმაც დამარწმუნა, რომ რუსულად უფრო მეადვილება სჯა და ბაასი, ვინემ ქართულათაო და სხვა..." (ს. მესხი, ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები, თხზ. ტ. III, გვ. 331). როგორც ვხედავთ, სემიონოვს, რომელიც ქართული ენის ტერმიონოლოგიური სიღატაკის ყალბი მოტივით დაწყებით სკოლიდან რუსულად სწავლების იდეას უჭერდა მხარს, თანამოაზრედ ქართველი მღვდელი გამოუჩნდა;

ქუთაისის პროგიმნაზიის მასწავლებელთა შეკრებაზე, რომლის მიზანი იყო დაწყებითი სკოლის ყველა საგნის სწავლების დროს რუსულის სწავლებაში „მხურვალე მონაწილეობის" უზრუნველყოფა, ქართული ენის მასწავლებელმა ჩიმაკაძემ კომისიას გამოუცხადა — „მე დღემდინაც ქართული ენის სწავლების დროს მუდამ ის მქონდა მხედველობაში, რომ რუსულ ენაში გამევარჯიშნა ჩემი შეგირდებიო; ამისათვის ყოველ ქართულ სტატიას რუსულად ვათარგმნინებ ყმაწვილებსაო და სხვა" (ს. მესხი, რუსული ენა ჩვენს გიმნაზიაში, თხზ. ტ. III, გვ. 334);

1881 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მეცამეტე გოჭები" სერგი მესხი ააშკარავებს „ახალსენაკის უეზდის უფროსს ბებურიშვილს, სენაკის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს, ივ. ბერიძეს და დეპუტატს დ. ახალსენაკისა ლუკა ჟვანიას", რომლებმაც მხარი დაუჭირეს კავკასიის სამასწავლებლო მაზრის უფროსს იანოვსკის და ამტკიცებდნენ თითქოს „...სამეგრელოს ხალხს ყოველთვის სურდა და ახლაც სურს, რომ რუსული ენა ქართულთან ერთად ასწავლონ იმათ შვილებს სკოლაში შესვლის პირველ დღიდამვე" (იხ. თხზ. ტ. III, გვ. 339). ი. გოგებაშვილმა „დროების" 1881 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნებულ სერგეი მესხის მხარდამჭერ წერილში „ტყუილს მოკლე ფეხები ასხია", ი. სიმონიძის ხელმოწერით დაიცვა მეგრელები ქართველი გადაგვარებული ჩინოვნიკების ცილისწამებისაგან (იხ. ს. მესხი, თხზ. ტ. III, გვ. 449).

„დროების" 1880 წლის 253-ე ნომერში მხილებული იყო იანოვსკი იმის გამო, რომ იგი მკაცრად გაუჯავრდა სენაკის სკოლის მასწავლებელ ლომინაძეს, ბავშვებს თავიდანვე „რატომ რუსულად არ ასწავლი, არამედ ქართულადო". ლომინაძემ საჭირო პრინციპულობა ვერ გამოიჩინა და „დროებისათვის" გაგზავნილ სპეციალურ წერილში უარჰყო იანოვსკის მწვავე კამათი მასთან. იგი ამით თავისი ერის რუსიფიკატორებს დაუდგა მხარში და ქართული საქმიანობისთვის მებრძოლ დიდ მამულიშვილს უღალატა. მაგრამ სერგეი მესხს მხარში ამოუდგნენ დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე, რომლებმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ქართველი მოღალატე ჩინოვნიკების მიერ „გამართლებული" რუსიფიკატორი ჩინოვნიკი. ამ დროს საქართველოს განუყოფლობისათვის მებრძოლთა ცალკეულ პუბლიკაციებში ზოგჯერ სჭარბობდა პატრიოტული აღტკინება, პროტესტის გრძნობა და თანამოძმეთა ერთიანობის პასუხისმგებლობიდან მომდინარე სუსტი აგიტაცია-პროპაგანდა.

ი. გოგებაშვილისა და სხვა პატრიოტების წერილების კვალობაზე ყურადღებას იპყრობს გაზეთ „ცნობის ფურცელში" 1902 წლის 10 ნოემბერს (№1980) გამოქვეყნებული სამეგრელოდან მიღებული თავად გიორგი დგებუაძის წერილი. იგი მკაცრად აკრიტიკებს მეგრულ ენაზე შეთითხნილ რუსულ სახ-

ელმძღვანელო წიგნს. ავტორს მოაქვს კონკრეტული მონაცემები მის შესახებ, რომ იგი მეგრელი ბავშვებისათვის არამც თუ ძნელად გასაგები, არამედ ხშირად საერთოდ გაუგებარია, იგი იცავს აზრს, რომ მეგრელი ბავშვებისათვის რუსული შესასწავლად უმჯობესია ქართული ლიტერატურული ენა.

ყურადღებას იპყრობს ამავე გაზეთში სენ-სიმონის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „მეგრული ენის შესახებ". ავტორი წერს, რომ: „სვან-მეგრელნი უმეტეს გულშემატკივრობას იჩენდნენ... ქართული ენისათვის ვიდრე ქართლ-კახელები. ამას დამიმოწმებს 1893 წელი, რა გაცეცხლებული იყვნენ სვან-მეგრელები მაშინ, როდესაც ერთმა ძაღლები გვიწოდა და ქართველებს და ჩვენს ენას ძაღლების ენა. პირველად მეგრელებმა იყვირეს ამის წინააღმდეგ" („ცნობის ფურცელი", 1902, №278. ხაზგასმა ჩვენია – ავტ.).

გაზეთ „ივერიის" 1904 წლის 21 თებერვალის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციებზე დაყრდნობილი ნარკვევი. აქ გაკრიტიკებულია დეკანოზ ვოსტორგოვის მიერ „სასულიერო მოამბეში" საქართველოს ეგზარხოსის ალექსის სამეგრელოში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გამაყალბებელი ფაქტები. პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ეგზარხოსს მიჰგებებია მეგრელი მრევლი, რომელიც შეშფოთებული ყოფილა საეკლესიო წირვა-ლოცვიდან და სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნით და მოუთხოვიათ ტრადიციის უცვლელად დაცვა. ავტორი არ ეთანხმება ვოსტორგოვს იმასთან დაკავშირებით, რომ მეგრელი ბავშვებისათვის ვერ გაუგებინებიათ ქართული და წერს: „მეგრელები ნიჭიერი ერია, მათ ემარჯვებათ ვაჭრობა, მრეწველობა, არიან სწავლა-განათლების მოტრფიალე და სიახლისადმი ინტერესიანი. რომ ახალი ცხოვრების სიომ და სახარების სწავლებამ საქართველოში პირველად სამეგრელოდან მოჰბერა... სახარების ქადაგება წმინდა ანდრიამ უპირველეს ყოვლისა ჭანმეგრელებს აუწყა... რომ ქართული წირვა-ლოცვა ბერძნულის შემდეგ იქ VI საუკუნიდან შემოვიდა ე. ი. იმ ენაზე, რომელზედაც მეგრელთა მამასახლისი ქუჯი მეფე ფარნაოზს (III საუკ. ქრისტეს დაბადებამდე) ესაუბრებოდა".

გაზეთ „ივერიის" №88-ში დაბეჭდილი კოტე ალაზნისპირელის წერილი „მეგრული ენის გამო" მკითხველს ამცნობს, რომ ავტორი მომსწრე ყოფილა იმ ამბებისა, პატარა მეგრელ მოსწავლეს რომ ქართული ვერ გააგებინეს და აქედან უკუღმართი დასკვნები გამოიტანეს. მას უსაუბრია ბავშვის დედასთან, რომელსაც უთქვამს: „მეც პატარაობისას ქართული კარგად არ მესმოდა, შემდეგ კი ქართული ლაპარაკი რაკი ხშირ ხშირად მესმოდა, ძალიან მალე მივხვდი, ქართულ სიტყვებს მეგრულად გადაკეთებულს (? – ავტ.)... ქართული ჩვენთვის (მეგრელებისათვის – ავტ.) ადვილად სასწავლია, რომელ მეგრელსაც დაკვირვება აქვს – მე ქართული ორკვირაზე ვისწავლევი, რადგან მეგრული ლაპარაკი ქართულ ლაპარაკს ძლიერ ჰგავს..." ჩვენი აზრით პუბლიკაციის ავტორი სიმართლეს იმ მხრივ ავლენს, რომ მეგრელებში ქართული ლიტერატურული და საეკლესიო ენის შესწავლის მისწრაფება ნამდვილად არსებობდა. მაგრამ ისე, როგორც ზოგ სხვა წერილებში, პატრიოტიზმიდან გამომდინარე, აქაც გაუბრალოებულია პრობლემა. მეგრელების ქართველობის მტკიცებით და საქართველოს ისტორიის გაუბრალოებული თხრობით ვერ გამართლდება მეგრელების მიერ ქართული ენის დაუფლების უპრობლემობა. ასეთი მსჯელობით არ მოევლებოდა არც საქართველოს ერთიანობის დაცვას. ცალკეული წერილები და მათ შორის ვოსტორგოვის რუსიფიკატორული სტატიები სიყალბეებთან ერთად იმ სიმართლესაც შეიცავდნენ, რომ ისტორიის ბედუკუღმართობამ უბრალო, რიგითი მეგრელების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენისაგან გარკვეულად გააუცხოვა. ქართული ენა მეგრელი გლეხის შვილების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გაუგებარი, ძნელად დასაძლევი იყო და ეს ვოსტორგოვისა და მისი ქართველი აგენტებისათვის ხელჩასაჭიდ ფაქტორს ნამდვილად ჰქმნიდა. ზოგი ქართველი ჩინოვნიკი ჩაებღაუჭა რუსული სახელმწიფოებრივი ენის პრაგმატული მოხმარებისა

და მის მიმართ კარიერისტული დამოკიდებულების სარფიანობას. ამიტომ საჭირო იყო პრობლემის მიმართ მეცნიერული და არა მარტო პოლიტიკური, ან ეროვნულ-პატრიოტული დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი პოლიტიკოსთა და მეცნიერთა თავგამოდებამ.

რუსიფიკატორული პოლიტიკისგან საქართველოს, და კერძოდ, სამეგრელოს დაცვის საქმეში ი. გოგებაშვილის პატრიოტული თავგამოდების მნიშვნელოვან გამოძახილად მოგვევლინა ცნობილი ქართველი პატრიოტის, ფედერალისტ პავლე აკობიასა და განსაკუთრებით კი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის უაღრესად საყურადღებო პუბლიკაციები.

პ. აკობიამ 1906 წელს გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი „ალექსანდრე მესხია. თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები ალ. მესხიისი. საუბარი თვითშეგნებაზე პავლე აკობიასი". ავტორმა თვითშეგნებაზე საუბრის დროს წიგნის ძირითადი ნაწილი დაუთმო რუსიფიკატორული ძალმომრეობის ვითარებაში მყოფი ქართული დედაენის, მშობელი ქართველი ხალხისა და მათ შორის მეგრელი ახალგაზრდების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ასახვას. ამ ბიოგრაფიულ-დიდაქტიკური ხასიათის წიგნში ავტორს აღწერილი აქვს სამეგრელოს რუსიფიკაციის უაღრესად საგულისხმო მოვლენები და გამოთქმული აქვს ეროვნულ-პატრიოტული რჩევა-დარიგებები, რომელთაც უთუოდ უნდა მიეპყრო თანამედროვე მეგრელი ახალგაზრდა მკითხველის ყურადღება და მათში უნდა გამოეწვია სათანადო შთაგონებაც. ამიტომ პ. აკობიას მონათხრობს მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მისი სკოლის დირექტორის, პატრიოტისა და ცნობილი პედაგოგის სტეფანე გაგუას შემდგომი (1918-1919 წლების), სამწუხაროდ, გაუკულმართებულ-გაყალბებულად დანახული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სწორი გაგებისათვის.

პ. აკობია წერს: „1893 წელს შევედი დაბა ზუგდიდის ახლად გახსნილ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში. მიმიღეს მეორე კლასში". იგი აქ დაუმეგობრდა ალექსანდრე როსტომის ძე მესხიას და გიორგი თეიმურაზის ძე გვათუას. მათ აღნიშნული სკოლა დაუმთავრებიათ 1896 წელს (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 3, 9). პ. აკობია მოგვითხრობს, რომ: „სასწავლებელში ქართულს არ გვასწავლიდნენ, მაგრამ ჩვენ მას ფარულად ვსწავლობდით... ქართული წიგნებიდან ჩვენ ვგებულობდით ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, ჩვენი ხალხის ცხოვრებას. ქართული წიგნები გვიხატავდნენ ჩვენ ქართველი ერის განვლილს გრძელ, ეკლით მოფენილ გზას... გვიჩვენებდნენ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას... მკვნესარე ხმა, ქართველი მწერლების მოთქმა, სწვდებოდნენ ჩვენს გულის სიღრმეს და რაღაც წარმოუდგენლად მოქმედებდნენ ჩვენზე. ვკითხულობდით ქართულ წიგნებს და ჩვენი ქვეყნის წარსულ, აწმყო და მომავლის განსჯას ბევრ დროს ვანდომებდით". ავტორი არ ასახელებს კონკრეტულად რომელ წიგნებს კითხულობდნენ და სად შოულობდნენ მათ, ვინ უწყობდა ხელს მათ პატრიოტულ დაკვალიანებას. მიზეზი გასაგებია: წიგნის გამოცემის დროს ის პიროვნებები პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებდნენ და მათი ქართულის შთამაგონებლად გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლებოდა სამსახურებრივ უსიამოვნებას გადაჰყოლოდნენ. მაგრამ წიგნში მაინც გამოსჭვივის ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გამცემი გარკვეული ინფორმაცია.

<u>პ. აკობია წერს: „მე გულითად მადლობას ვუძღვნი აწ განსვენებულ მღვდელ ვასილ ჯგუშიას, რომელმაც მე დამასწავლა ქართული წერა-კითხვა"</u>. იგი სოფელ კახათიდან იყო. ჩანს, რომ სოფელ კახათის მღვდელს ვ. ჯგუშიას პ. აკობია იმდენად მოუმზადებია, რომ სკოლის მეორე კლასში ჩასარიცხად საკმაო ცოდნაც მიუცია და მისთვის ქართული წიგნის მიმართ სიყვარულიც ღრმად ჩაუნერგავს. მაგრამ, როგორც ჩანს, პ. აკობიას და სხვებს ამ დროისათვის გარუსებულ სკოლაშიც ჰყოლიათ ხელის შემწყობი და დამკვალიანებელი ეროვნული პატრიოტი. ასეთ პიროვნებად ვლინდება თედო სახოკიას მიერ 1925 წელს და კულტუროლოგიაში მისი 1918-1919 წლების პატრიო-

ტული ღვაწლის მცდარად, რუსიფიკატორის სახით გაგებული პატრიოტი პედაგოგი სტეფანე გაგუა. ამას მოწმობს პ. აკობიას მომდევნო სიტყვები: „მადლობას ვუძღვნი აგრეთვე სტეფანე დავითის ძე გაგუას, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს, ზუგდიდის ორკლასიანი სკოლის გამგედ იყო. თუმცა სკოლაში ქართულს არ გვასწავლიდნენ, მაგრამ დიდი გავლენა იქონიეს ბ(ატონ) გაგუას სიტყვებმა ჩემზე და ზოგიერთ ჩემ ამხანაგებზე". კერძოდ, რაში მდგომარეობდა ეს გავლენა, ირკვევა ამ გარუსებული სკოლის აღზრდილების ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებითა და კონკრეტულად პ. აკობიას ასეთი მოგონებიდან: შემდგომი: „ჩვენ სამ ამხანაგს – მესხიას, გვათუას და მე ძლიერ გვაწუხებდა ის, რომ ჩვენმა ამხანაგებმა არ იცოდნენ ქართული და თუ ზოგიერთებმა (! – ავტ.) იცოდნენ, არ ეტანებოდნენ ქართულ წიგნებს... ამიტომ მოვილაპარაკეთ და დავადგინეთ ჩვენი კლასის ამხანაგები მიგვეზიდა ჩვენსკენ და ქართული წიგნების კითხვის ხალისი გაგვეღვიძებინა მათს გულში" (იხ. იქვე, გვ. 4). მათ ეს იდეა ვერ შეუსრულებიათ, უმრავლესობის ინდიფერენტიზმის და კიდევ არაქართველი „ერთი კაცის" მიზეზით. ეს იყო „ინსპექტორი", რომელიც მეგრელ ბავშვებს, რომელთა ნიჭიერების შესახებ თურმე „ბევრი, ბევრი ქება სმენია" (! – ავტ.), ავრცელებდა აზრს, რომ „როდესაც ახლოს გავიცანი (? – ავტ.) მეგრელი ახალგაზრდობა, იმათ შესახებ აზრი შემეცვალა, მეგრელები არ ყოფილან იმდენად ნიჭიერნი, რამდენადაც იმათი ქება მესმოდაო" (იქვე, გვ. 7). ცნობილია, რომ მეგრელი და გურული ბავშვების ნიჭიერებას თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში აშკარად აღიარებდა რეაქციონერი ივ. ვოსტორგოვიც კი, ისიც ირკვევა, რომ „ინსპექტორი" ვოსტორგოველი ყოფილა. ეს ადვილად შესაცნობი უცხოტომელი, როგორც ჩანს, ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ მეგრელ ბავშვებს სასკოლო საგნებს მათთვის სრულიად უცხო რუსულ ენაზე აზეპირებდნენ და სწორედ ეს იწვევდა მეგრელი ბავშვების პასიურობას. იგი თურმე ქართულსაც გულმოდგინედ დევნიდა და მასწავლებლებს ავალებდა, რომ ქართული ენით დაინტერესებულებისათვის თვალყური ედევნებინათ (იქვე, გვ. 5). აი საიდან საზრდოვდებოდა ის, რომ აკობიამ, მესხიამ და გვათუამ ვერ შეძლეს ქართული ლიტერატურული წრის ჩამოყალიბება, მაგრამ ამის გამო მათი პათოსი არ ჩამკვდარა.

პ. აკობია წერს, რომ ერთხელ სკოლაში დააპირეს სალიტერატურო საღამოს გამართვა: „მე და გვათუას მოგვცეს თითო რუსული ლექსი საღამოზე წასაკითხად. მე, გვათუა და მესხია მივედით სკოლის ინსპექტორთან და ვთხოვეთ, რომ ქართული ლექსების წაკითხვის ნება მოეცა ჩვენთვის. წასაკითხად ამორჩეული გვქონდა შემდეგი ტექსტები: მესხიას „მუშა ქობულაძე", გვათუას „დედა ენა" – სვიმონ გუგუნავასი და მე ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილიდან" ამოღებული „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი". მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ ბავშვებს დამკვალიანებელიც ჰყავდათ და მისი გავლენაც მოქმედებდა. პ. აკობია წერს: „ამ თხოვნაზე ინსპექტორმა უარი გვითხრა. შემდეგ როგორც გავიგე (ვისგან გაიგე? – ავტ.) ჩვენი მასწავლებლისთვის დაეკისრა: თვალყური ედევნებინა ჩვენთვის, რომ ქართული წიგნები შეემჩნია. ჩვენ ეს ამბავი გავიგეთ (ვისგან? – ავტ.) და მოფრთხილებით ვიყავით" (იხ. იქვე). მაგრამ ვინ ჩააგონა ამ სამ ახალგაზრდას ქართული ლექსების სიყვარული, ვინ შეურჩია საღამოზე წასაკითხი ლექსები, რომელთა მიზანი ადვილად მისახვედრია, ვინ არიდებდა მოსალოდნელი საფრთხისაგან?! ამის შესახებ წიგნში არ იკითხება, რადგან სკოლის რუსიფიკაციის გამო დაცულია საიდუმლოება, მაგრამ სკოლის დირექტორის სტ. გაგუას მიმართ მადლიერების ზოგადი ხაზგასმა შემთხვევითი როდია.

„ფოთი – მოკლე ენციკლოპედიური ცნობარი" (2000 წ.) დამატებით გვამცნობს, რომ ამ დროს ზუგდიდის ორკლასიან სკოლაში მსახურობდა სტეფანე გაგუა, რომელიც ფოთში მუშაობდა 1917 წლიდან. „იყო ქალთა გიმნაზიის პედსაბჭოს თავ-რე და მასწავლებელი. საბჭოთა პერიოდში პირველი

შრომის სკოლის გამგე"... სტ. გაგუას მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს ისიც, რომ „ფოთელმა პედაგოგებმა 1925 (ე.წ. „მაფალუელებთან" ბრძოლისა და მისი პატრიოტული პედაგოგიური ღვაწლის გაყალბების — ავტ.) წელს აიარჩიეს მასწავლებელთა I საკავშირო ყრილობის დელეგატად. სტ. გაგუა წერდა ლექსებსა და მოთხრობებს, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს" (იხ. გვ. 91).

სტ. გაგუას შესახებ 1976 წლის 21 თებერვლის (შაბათის) კალენდარში მოთავსებულია პროფ. ვალოდია გაგუას ინფორმაცია. აქედან ჩანს, რომ სტ. გაგუა ჯერ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი მუშაობდა გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც დაუახლოვდა დიდ პოეტს ვაჟა-ფშაველას, აგრეთვე შემდეგში გამოჩენილ პედაგოგებს". აი, ვინ უნდა ყოფილიყო ზუგდიდის სკოლაში პ. აკობიას და მისი მეგობრების პატრიოტული შთაგონების წყარო. სტ. გაგუას მემკვიდრეებს ოჯახში დაცული აქვთ სახელოვანი პატრიოტის, ფოთის მერისა და ვაჟთა გიმნაზიის დამაარსებელ-დამკვალიანებლის ნიკო ნიკოლაძის პირადი, მოკრძალებული წერილი-თხოვნა პედაგოგ სტეფანე დავითის ძის მიმართ, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „დავრჩი თქვენი ერთგული ნ(იკო) ნიკოლაძე 31/VIII — 1916".

„ქართული წიგნების კითხვამ, — წერს პ. აკობია, — იმდენად შეგვაყვარა ჩვენი საქართველო, რომ მზად ვიყავით ყოველს წამს ვწამებულიყავით იმის სასიკეთოდ, მზად ვიყავით შეგვეწირა თავი, ოღონდ გამხდარიყო საქართველო თავისუფალი, განათლებული და მხიარული. რაც გვიფიქრია ჩვენ სასწავლებელში ყოფნის დროს, იმას ვინ იტყვის?..

ძლიერი იყო ჩვენი გატაცება... ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა გვებრძოლა კუბოს კარამდე ქვეყნისათვის... ჩვენ მაშინ არ გვაკმაყოფილებდა მარტო პოლიტიკური თავისუფლება ქართველი ერისა, — არა, ჩვენი წადილი იყო, რომ ის პირები, ის კაცები, რომლისგან შესდგება ერი, გამხდარიყვნენ თავისუფალნი და ბედნიერნი..." (იხ. იქვე, გვ. 6). ალბათ, ამიტომ დაუკავშირა პ. აკობიამ საკუთარი ცხოვრება ოპოზიციურ პარტიას. საბჭოთა პერიოდის ერთი წყაროს მიხედვით იგი მოიხსენიება, როგორც ფედერალისტი და გამოუსწორებელი მორწმუნე მართლმადიდებელი ზუგდიდის მანცხვარკარის ეკლესიისა (ი. ჟვანია, „როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის", ზუგდიდი, 1931, მეგრულ ენაზე, გვ. 187).

<u>პ. აკობია წიგნში წუხილს ამჟღავნებს იმის გამო, რომ სწავლის საქმე ცუდად არის მოწყობილი მთელ საქართველოში, სამეგრელო-სამურზაყანოში ერთობ აფუჭებს საქმეს ის, რომ იქ ახალგაზრდობას არ ასწავლიან სამშობლო ენას, ქართულს... ქართულის სწავლის საქმე არ არის შეთანხმებული საქართველოს ბუნებასთან - ქართველების სულთან; განსაკუთრებით სამეგრელო-სამურზაყანოში სწორედ ეს აფუჭებს საქმეს"...</u> (იქვე, გვ. 8-9). წიგნში შეტანილია ამონარიდი ალ. მესხიას წერილისა შვიცარიაში სასწავლებლად დარჩენილი გიორგი გვათუას მიმართ. მასში ვკითხულობთ „ზუგდიდში სამკითხველოს დაარსებას აპირებენ, — ეს არის მხოლოდ ღირსშესანიშნავი და სასიამოვნო..." (იხ. გვ. 51). წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ქართველი პოეტების პატრიოტულ ლექსებს. მათ შორისაა: აკაკის „ღამურა"; რაფიელ ერისთავის „დედა ენა" უკანასკნელი სტროფი (რომელსაც დასძენს: „დედა ენის დაცვა, მშობლიური ლიტერატურის გამდიდრება და აღორძინება — არის თვით ჩვენი ღირსების და სიცოცხლის დაცვა, ამიტომ ვალდებულად უნდა რაცხდეს ყოველი ქართველი თავის თავს, ხელი შეუწყოს დედა ენის დაცვის საქმეს ჩვენში" — იხ. გვ. 113); სვიმონ გუგუნავას და დუტუ მეგრელის ცნობილი გამონათქვამები და საკუთარი ეროვნულ-პატრიოტული პოეზიის ნიმუშები. აქედან ჩანს, რომ ავტორს თავისი განმანათლებლური მისიის ძირითად აზრად გაუხდია მეგრელი ახალგაზრდობის ზიარება ქართული ლიტერატურული ენის, ქართული მწერლობისა და დედასამშობლოს, საქართველოს ერთგული სამსახუ-

რისადმი. ეს ნათლად ცხადყოფს მის მიერ მადლობა მიძღვნილი დირექტორის სტ. გაგუას და მისი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთების აღმზრდელი ზუგდიდის სკოლის გავლენასაც.

რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართველი საზოგადოების პატრიოტულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელოვანი ქართველი მეცნიერის პროფესორ ნიკო მარის მეცნიერულ პუბლიკაციებს. მათ შორის ფართო მკითხველის ყურადღება მიიპყრო მისმა ვრცელმა წერილმა „ქართველთა ეროვნება", რომელიც ჯერ საიმპერიო გამოცემა „რასსვეტში" დაიბეჭდა (1905, №68, 69), შემდეგ კი ქუთაისში დამოუკიდებელი სახით გამოქვეყნდა (1905 წ.).

პროფესორი ნ. მარი წერს, რომ რუსი პედაგოგები (სუვორინი და სხვ.) რუსიფიკატორებს მოუწოდებენ „ლმობიერებისაკენ", იმის ნაცვლად, რომ „გონიერებისაკენ" მოუწოდონ. ამის მაგალითად მოჰყავს „ერთი პირის" (ვოსტორგოვის) მიერ უმაღლესი დანიშვნის მიღება მისთვის „სრულიად უცხო მხარეში" და ის თავნებობა, რომ მისთვის უცოდინარი საქართველოს და ქართველი ტომების შესახებ „ნაროდნოე ობროზოვანიეს" ფურცლებზე თავხედურად გაბედული წერილი გამოექვეყნებინა.

პროფ. ნ. მარმა საქართველოს განათლების საქმის შოვინისტურად გამგები ვოსტორგოვი კონკრეტული ფაქტებით და მაგალითებით ამხილა. აშკარად გამოუცხადა, რომ მას არაფერი გაეგებოდა საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიაში, საქართველოს ისტორია შეუთხზავს ჭორების და „დილეტანტების მიერ უმეცრებით წამოროშილის ამბებისაგან" (იხ. დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 4); ვოსტორგოვმა „არაფერი იცის, თუ რა არის დიალექტოლოგია და გულუბრყვილოდ სთვლის გადაწყვეტილებად ჯერ კიდევ სრულიად განუმარტებელს საკითხებს კავკასიის ენათა შესახებ" (იქვე, გვ. 5); მას ვერ გაუგია, რომ საქართველო შესდგება ნათესავი ტომებისაგან, რომელნიც „შინაობაში ლაპარაკობენ ქართულის ენის ძმურად მონათესავე ენით" (იქვე,); რომ საქართველო არის ტერმინი უპირველეს ყოვლისა „ნაციონალურ-კულტურული", და არა განსხვავებულ ტომთა „მხოლოდ ეთნოგრაფიული" (იქვე, გვ. 7); რომ იგი სახელმწიფოებად დაყოფილიც კი იყო, როგორც „მთელი ნაციონალურ-კულტურული ერთეული" — საერთო ეკლესიით, სალიტერატურო ენით და ერთიანი კულტურით" (იქვე, გვ. 8).

პროფესორმა ნ. მარმა საქართველოს ისტორიისა და კულტურის „მცოდნეს" და მართვის პრეტენზიის მქონე უვიც ანაფორიან რუსიფიკატორს განუმარტა, რომ: სახელი „საქართველო" სწორია და მეცნიერულად კანონზომიერი იმის გამო, რომ ამ ტერმინის აღმოცენების მეთავეობა დიალექტიკურად და ისტორიულად ეკუთვნოდა, ეთნოგრაფიულად და დიალექტოლოგიურად ქართველებად ცნობილ (ქართის) ტომებს, მაგრამ ეს იყო V საუკუნეში. VI და VII საუკუნეების განმავლობაში სალიტერატურო ენის განვითარებაში მიიღეს მონაწილეობა ქართლელ (ქორთუ — ავტ.) — ქართველების გარდა მეგრელებმა, ჭანებმა, სვანებმა და სხვებმა. მათ ამით საერთო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეიტანეს უფრო მეტი განძი ვინემ თვით ქართველებმა და ამგვარად (ამ წვლილით — ავტ.), ტომობრივი ლიტერატურა გარდაიქმნა ნაციონალურად, საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენად, ზოგად ქართველთა (ანუ სრულიად ქართველთა — ავტ.) ენად.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ პროფ. ნ. მარს მოჰყავს ვოსტორგოვისათვის გაუცნობიერებელი ის ფაქტები, რომ „საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურს, ანუ მეგრულს და სხვა სიტყვებს" (იქვე, გვ. 9). და რომ „ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურულია და იმერული, რამდენადაც ქართული. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის, სულერთია რა კილოზე, რა დიალექტზედ, ან რა ენაზედაც უნდა საუბრობდეს იგი სახლში, თავის კერას-

თან და ეს ამნაირი მდგომარეობა მათი გუშინდელიდან კი არ იწყება, მას აქეთ ათ საუკუნეზედ მეტს გაუცლია".

6. მარი ანაფორიან შავრაზმელ ვოსტორგოვს ასწავლის, რომ: „IX საუკუნის ერთი მოღვაწის (გიორგი მერჩულეს — ავტ.) მოწმობით, სადაც საეკლესიო წირვა-ლოცვა ქართულად იყო, ის საქართველოდ ყოფილა მიჩნეული... ქართველები თავის ქვეყანას ეთნოგრაფიულს „ქართლს" კი არ უწოდებენ, არამედ ნაციონალურ „საქართველოს" (იქვე, გვ. 10).

სწავლული მეცნიერი უვიც მღვდელთმოძღვარ ვოსტორგოვს ვრცლად განუმარტავს, რომ: „ნაციონალური კულტურა ქართველის ერისა... ქართველი ტომების ნაციონალური ერთობა... გამოიხატება „ძლიერ ბრწყინვალედ" ნაციონალურს ქართულ ეკლესიაში და ქართულ ენაში"; რომ ქართულ ეკლესიას აქვს წინაპართაგან ნაანდერძევი ენა, საკუთარი თქმულებანი წინაპართაგანვე გადმოცემული, ჰყავს ადგილობრივი „ეროვნული მოწამენი", თავისი ნაციონალური ეკლესიის იდეის მიმდევარი მოღვაწენი; რომ ქართულმა ეკლესიამ ყველა საქართველოს მონათესავე ტომები შეაერთა სულითა და ხორცით ერთიან სხეულად; რომ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში იოანე პეტრიწმა მოგვცა სწორი თარგმანი პროკლეს ღვთისმეტყველებისთვის ფილოსოფიისა, თავის ენაზე შეადგინა შესანიშნავი განმარტება ამ თხზულებისა, ხოლო XI საუკუნეში ქართული საეკლესიო გალობა იყო ნაციონალური, და ახალს ბერძნულს საგალობლებს ადგენდნენ ქართულ საგალობელ ნორმებთან შეთანხმებით; რომ „საქართველოს ეკლესია მაღლა იდგა, ყველგან დიდ პატივში იყო, რაც იმითაც მტკიცდება, რომ იერუსალიმში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც მფარველობდა თავისი სახელით ძლიერი რუსეთის სახელმწიფო, არ ქონია იმ გავლენის ნაწილიც, რითაც სარგებლობდა მართლმადიდებელი ეკლესია პატარა საქართველოს ერისა" (იქვე, გვ. 19).

მეცნიერი დაუზოგავად ამხელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ვოსტორგოვისეულ გეგმას და განმარტავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს და შემდეგ მთელ საქართველოს შეერთებას ასაზრდოებდა ქართველების რწმენა და ნდობა ერთმორწმუნე დიდი რუსეთის მიმართ. „კარგად უნდა ვიცოდეთ, — უხსნის მეცნიერი უვიც ვოსტორგოვს, — რომ ქართველები იმისათვის კი არ შეერთებიან რუსეთს, რომ გამხდარიყვნენ საგნად დიდებულის განსასვენებლის პროცესისა, რომელსაც მართავენ უაზროდ ისეთი მოღვაწენი, როგორც დეკანოზი ვოსტორგოვია, რომელთაც წინ უძღვიან კიდევ სხვა განმანათლებლები, კელაპტროსანნი. შეგნებულს, თვით ცნობიერების საქართველოს რასაკვირველია არ სურს თავისი სულიერად დასაფლავება" (იქვე, გვ. 20-21).

6. მარი ააშკარავებს ვოსტორგოვის გაურკვევლობას ქართული სულიერების საკითხებში. მას სკოლებისა და ეკლესიების გარუსება სიკეთედ ესახება, მაშინ როცა ეკლესიაში სიტყვას ღვთისას გაუგებარ ენაზე სთავაზობენ, სკოლებში კი ცდილობენ უცხო რუსული ენა ასწავლონ მუნჯური მეთოდით. მარი ქართველთა გადაგვარებისათვის მეცადინეთა მეთაურს უხსნის, რომ ეს არის „უცხო ტომთა კაცობრიულ უფლებათა დათრგუნვა" (იხ. იქვე, გვ. 31).

წიგნის ავტორი რუსიფიკატორებს აწვდის ქართველთა მიერ ადვილად ამონაცნობს, იმის გამო, რომ ფილოლოგიის უვიც ვოსტორგოვის ლაპარაკი „ქართული სალიტერატურო ენის სისუსტეზედ ზნეობრივის გაწვრთვნისათვის თვითონ საქართველოში, არის ტენდენციური ხერხიანობა, გამოგონილი იმისათვის, რომ გაამართლონ ქართული ენის განდევნა სასულიერო შკოლებისგან. ცხადია, ამავე აზრით გამოუგონიათ განსაკუთრებული საეკლესიო ქართული ენა, ... რომ ქართული სალიტერატურო ენას დაუკარგონ ნაციონალური მნიშვნელობა არა მარტო ქართველების თვალში, არამედ თვითონ მეგრელების თვალშიაც, რომელთაც ქართულის საზოგადოდ სალიტერატურო ენისაგან ჩამოშორებით, ხვდებოდათ უთუოდ ნაციონალური გადაგვარება" (იქვე, გვ. 35).

6. მარმა ცხადყო, რომ: ეკლესიის დიდმოხელე რუსი "მზრუნველების" მიზანია მეგრელებისა და სვანების დანარჩენი ქართველებისაგან გაუცხოება, გათიშვა, მათი ცალ-ცალკე გადაგვარება; ამას ემსახურებოდა ქართველი ეპისკოპოსების რუსებით შეცვლა, მათგან დაუმორჩილებელთა რუსეთის სიღრმეში გადაყვანა; კავკასიაში კათოლიკეებისადმი ლმობიერი დამოკიდებულება და ა.შ. (გვ. 42). მან საუცხოოდ წარმოაჩინა, რომ საქართველოში საეგზარქოსო და უმაღლესი ჩინოვნიკობის მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებები არის თვალსაჩინო გამოხატულება მათი მზაკვრული პოლიტიკისა და „ფაქტობრივი მტრობა ქართველობისა". რუსები იმასაც „ჩქმალავენ, რომ ქართველებს ავტონომია უნდათ". ამას ისე განმარტავენ, თითქოს ეს „სომხების მზაკვრობის შედეგია", თითქოს ქართველობამ უარყო ისტორიული ტრადიცია და თავისუფალი მოღვაწეობის ნება; ბრძოლას აწარმოებენ მრავალსაუკონოვანი, სამოციქული, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. სინამდვილეში ჩინოვნიკობა ებრძვის საუკუნოვან ბურჯს კულტურისას, ცდილობს გზა გადაუღობოს მშვიდობიან ევოლუციას და ამზადებს „ნოყიერ ნიადაგს ხალხთა სარევოლუციო მოძრაობისათვის". პროფესორი მარი ამასთან დაკავშირებით სხარტად და მახვილგონიერი ქართული ანდაზით ამთავრებს საკუთარ ნაზრევს: „ასე მარტივია და ასე უღრმესად ჭეშმარიტია ეროვნული სიბრძნე: „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო" (გვ. 61).

ივანე ჯავახიშვილმა 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" (№2453, 2458, 2460, 2455-2467) გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო პოლემიკური ხასიათის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება" (იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII, გვ. 64 - 87). აქ ავტორი საკუთარი ერის ცხოვრების ღირსების, მისი „წარსულის ცხოვრების" გამოკვლევა-წარმოჩენის დროს საჭიროდ არ მიიჩნევს ერის „ადვოკატურ გამოსარჩლებას", მისი „ბრწყინვალე წარსულის" წარმოჩენით (გვ. 65) და თავადაზნაურული იდეოლოგიიდან მომდინარე ხელისუფლების მიმართ დამსახურების გამო, „მოიღეთ მოწყალების" პოლიტიკის წარმოებას. ივ. ჯავახიშვილი წერს: „როცა სამეგრელოს საეკლესიო სკოლებში ქართული ენა მოსპეს, მაშინაც მოწყალების სასოება გაგვიჩნდა", „იმის მაგივრად, რომ ეცადნენ ყოვლის ღონისძიებებით (! — ავტ.) იმდენად ააღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებმიცემობაშიც... რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის ხელის შეწყობის წყალობით ჩვენ დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ" (გვ. 66). ქართული ენისა და ქართველი ერის ინტერესებისათვის ივ. ჯავახიშვილი მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, „რომ ბრძოლისათვის მოემზადნენ" (გვ. 66). იგი ისტორიკოსს ამოცანად უსახავს საკუთარ ეროვნების საზოგადოებას გამოუკვლიოს, მოუპოვოს „თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი" (გვ. 68). იმიტომ რომ „მეცნიერების უზენაეს მიზანს" შეადგენს იმ ცოდნის მოპოვება, რომელიც საჭიროა „შესასწავლად და გასათვალისწინებლად". ასეთი, მისი აზრით, შეიძლება იყოს „პირუთვნელად შესწავლილი ისტორია" (გვ. 68). ივ. ჯავახიშვილი ისტორიკოსსა და პოლიტიკოსს აიარაღებს წარსულის სოციალური ფუნქციის არსის ცოდნითა და გამოცდილების სოციალური გამოყენების უნარით. „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, — გვასწავლის ივ. ჯავახიშვილი, — ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს" (იხ. იქვე, გვ. 69). მაშასადამე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ისტორიის მხოლოდ მართალი, სრული გამოცდილებით შეიარაღებულ პატრიოტ მეცნიერსა და პოლიტიკოსს შეუძლია აწმყოსა თუ მომავლის ინტერესებით წარმატებით იღვაწოს და იბრძოლოს.

ივ. ჯავახიშვილი გვაიარაღებს ცოდნით, რომელიც ცხადყოფს, რომ „წარსულ საუკუნეებში ისტორიის ცოდნას ქართველებისათვის მარტო თეორიული მნიშვნელობა არა ჰქონდა", არამედ პრაქტიკულიც. „ჩვენ კი იმდენად უძლურნი

ვართ ჩვენი ცხოვრების უცოდინარობის გამო, რომ გულხელდაკრებილი შეშინებული შევყურებთ ცხოვრების ჩარხის ტრიალს". მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის გაგებით, მოცემული პერიოდის ინტელიგენციის; მათ შორის თავადაზნაურობის პრობლემა არის ის, რომ „ჩვენი ინტელიგენცია ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებაზე ჩამორჩენილია" (გვ. 71), არ უპასუხებს დროის მოთხოვნილებას. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია ქართველ მეცნიერთაგან „კრიტიკული შესწავლა და გამოკვლევა ჩვენის წარსულისა და თანამედროვე ცხოვრებისა" (იხ. იქვე, გვ. 72). ივ. ჯავახიშვილის აზრით, სინამდვილის მიმართ მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებისას შეიძლება დროის მოთხოვნილების შესაბამისი სოციალური ფუნქციის შესრულება. დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ამ მოწოდებამ დამატებით შთაგვაგონა, რომ „მეგრული საკითხის" ისტორიის მეცნიერული გამოკვლევა-გაშუქებისათვის მოცემული თავის სახით, წინ წაგვემძღვარებინა მისი წინა ისტორიის კრიტიკული შესწავლა-გამოკვლევა.

ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" ივ. ჯავახიშვილი კიდევ უფრო ნათელს ხდის ისტორიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მნიშვნელობას. იგი წერს: „ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის განსაკუთრებით განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს" (იქვე, გვ. 399). მაშასადამე, იგი მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს ურჩევს წარსულის კრიტიკული, პირუთვნელი შესწავლით და წარსულის შეცდომათა გათვალისწინებით შემეცნებას და მოქმედებას, დიახ მოქმედებას!

ივ. ჯავახიშვილმა საკუთარი მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროფესიული მოღვაწეობით კიდევ უფრო საგნობრივად დაგვანახვა ის, თუ რას გულისხმობდა წარსულის კრიტიკული შესწავლით მისი თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება. ამის თვალსაჩინო მაგალითად გვევლინება მისი პრაქტიკული და თეორიულ-მეცნიერული საქმიანობა. მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ნააზრევი, რომელიც ჩამოაყალიბა ნაშრომში „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში" (რუსულ ენაზე, პეტერბურგი, 1906).

აღნიშნული ნაშრომი მიეძღვნა ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს, ქართველი ხალხის ბრძოლის სამართლიანობისა და ამ ბრძოლის ზნეობრივი უფლების დასაბუთებას. ამ მიზნით XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის სხვა უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან ერთად ყურადღება ექცევა ცარიზმის მიერ საქართველოს რუსიფიკაციის ძირითადი მიმართულებების წარმოჩენას და სათანადო გასათვალისწინებელი დასკვნების ჩამოყალიბებას.

ივ. ჯავახიშვილს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს რუსიფიკაციის უცერემონიო გამტარებლად წარმოჩენილი აქვს სკოლა, რომელზეც რეპრესიულ ზეწოლას ახორციელებდა რუსი ღვთის ქვეშევრდომი მასწავლებლობა, რომელიც იმისათვის იღწვოდა, რომ თავის აღსაზრდელებში ჩაენერგა მორჩილება და კეთილსაიმედოობა. მისი აზრით, ამ მიზანს ემორჩილებოდა უაზრო „მუნჯური" მეთოდის შემოღება და მშობლიური ენის გარეშე სწავლება. იგი ცხადყოფს, რომ ამ დროს „ეკლესიაც კი კვლავ რჩებოდა პოლიტიკის იარაღად და გამარუსებელი პროპაგანდისა", „უმაღლესი საეკლესიო იარარქიები ქართული ეკლესიისა, აშკარა და ფარულ კავშირში იმყოფებოდნენ პოლიციასთან", მათ მიერ „სამრევლო სკოლებიდანაც კი იდევნებოდა ქართული ენა", „ამავე დროს რუსი ეგზარქოსები და მათი ეპისტოლები ფარისეველურ მზრუნველობას იჩენდნენ ქართველი ტომების მიმართ, ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ ღვთისმსახურების მოსმენა მშობლიურ კილოზე".

ივანე ჯავახიშვილი რუსიფიკატორებს დაუნდობლად ამხელდა იმის გამო, რომ „მეგრელებს რუსული ალფავიტის საფუძველზე უქმნიდნენ დამწერლობას, მაშინ როცა მან არ იცოდა და არც უნდოდა სცოდნოდა სხვა დამწერლობა

გარდა საკუთარი მშობლიურისა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII, გვ. 456), ივ. ჯავახიშვილი ამხელდა, რომ „ადმინისტრაცია ხურავდა სოფლის ბიბლიოთეკებს. ამ პატარა კულტურულ დაწესებულებებს „სმუტის კერებად“ თვლიდა“. ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ რუსიფიკაცია იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ „ხალხმა დაკარგა ყოველგვარი პატივისცემა ადმინისტრაციისადმი“ (იხ. იქვე, გვ. 458).

ცარიზმის აღნიშნული და მთელი რიგი სხვა ღონისძიებათა მხილებით ივ. ჯავახიშვილი მკითხველს იმ შეგნებას უნერგავდა, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი იდეოლოგიურთან ერთად პოლიტიკური ბრძოლის გზით ცარიზმის დამხობის საჭიროების ლოგიკურ გაგებამდე მიეყვანა. ამით მეცნიერების დიდოსტატი, იმავდროულად თავისი მასწავლებლის, ნ. მარისგან განსხვავებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მებრძოლად ამაღლდა. მისი ეს მიზანდასახულობა მეფის ხელისუფლებას ამოუცნობი არ დარჩა. ამიტომ აკრძალეს მოცემული ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემა. ივ. ჯავახიშვილი პასუხისგებაში მისცეს „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“. მას დაუწესეს მუდმივი მეთვალყურეობა (იხ. ს. ჯორბენაძე. „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“. თბ. 1984, გვ. 97). მაგრამ ივ. ჯავახიშვილს თავისი მეცნიერული და პატრიოტული პოზიცია არ შეუცვლია არა მარტო ცარიზმისა და დროებითი მთავრობის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების განსკუთრებით მძიმე პირობებშიც კი. ივ. ჯავახიშვილის გამოვლენილი ეროვნული და პოლიტიკური ბრძოლის ერთიანობა ანალოგიას პოულობს XX საუკუნის 1900-1910-იანი წლების ქართველი პატრიოტების პოლიტიკურ და იდეურ მოღვაწეობასთან. უფრო მეტიც, მისი შრომები, მათ შორის „ქართველი ერის ისტორია“, რომლის სათაურიც კი ავტორმა ბეჭდვის ბოლო მომენტში (1908 წ.) მიზნობრივად ჩამოაყალიბა (იხ. იქვე, გვ. 111), პატრიოტმა მკითხველმა ივ. ჯავახიშვილის ნააზრევი აღიქვა, როგორც საბრძოლო მოწოდება. მისი შრომების პუბლიკაცია ფაქტობრივად ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ დაკვეთას უპასუხებდა და ეროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლას ემსახურებოდა. 1900-იანი წლების პოლიტიკურმა ბრძოლამ, განსაკუთრებით კი რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, ქართველი და სხვა ეროვნების ინტელიგენციის თანადგომამ ეროვნულ საკითხში, ცარიზმის რუსიფიკატორული დამოკიდებულება ერთგვარად შეასუსტა და შეამსუბუქა.

აღნიშნული მოვლენების საუკეთესო მცოდნე და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე თედო სახოკია წერს, რომ „1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება“, მაგრამ „რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ“. (თ. სახოკია, „თქვენ რაღას მისდევთ“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 12 სექტემბერი). შესაბამისად იმძლავრეს ეროვნულმა ძალებმა. ყველაზე ტრაგიკული მოვლენა იყო ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის აღიარებული ბელადის, ახალი ტიპის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საფუძვლის ჩამყრელის ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. მაგრამ ქართველმა პატრიოტულმა საზოგადოებამ ამ ვანდალურ ანტიეროვნულ აქტს, ილიას დაკრძალვის საყოველთაო სახალხო გამოხმაურებით, საქართველოს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია დაუპირისპირა. ილიას დაკრძალვის დროს სამგლოვიარო სიტყვით გამოსულმა ორატორებმა მანამდე არნახული მასშტაბით წარმოაჩინეს მისი დამსახურება ერის წინაშე და შესძლეს მისი და საკუთარი ეროვნული ინტერესების ფართო პროპაგანდა. ამით შესაძლებელი გახდა ქართველი ხალხის საბრძოლო კონსოლიდაციისა და ორგანიზებულობის ამაღლება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს თავადაზნაურობისა და პოლიტიკური პარტიების პატრიოტული წარმომადგენლობა, ეროვნულ საკითხში კოსმოპოლიტურ პოზიციას იცავდა, აშკარად მხარს უჭერს საქართველოს ავტონომიას.

მაშასადამე, „მეგრული საკითხის“ მოგვარების გზაზე ახალი ეტაპი უშუალოდ უკავშირდება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელსაც სათავე დაუდო რუსეთის პირველმა (1905-1907 წწ.) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ და მის მიერ ნასაზრდოებმა მმაფრმა პოლიტიკურმა პროცესებმა. ამ ახალი ეტაპის უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „განსაკუთრებული ძალით იგრძნობა ეროვნული ჩაგვრა. ქართველმა საზოგადოებამ მოვლენების ასეთი ვითარების დროს, როცა დახმარებას არსაიდან მოელოდა... სავსებით ბუნებრივად მთელი ენერგია წარმართა შინაგანი ორგანიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობისაკენ“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის“, თხზ. ტ. XII, გვ. 368). იგი საბოლოოდ განიტვირთა ცარიზმის მხრივ მოწყალების მოღების ილუზიისაგან.

მოცემულ პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მეცნიერულ-პედაგოგიური და ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის შერწყმა. ამასთანავე აღსანიშნავია აქტიურობის ამაღლება, საქართველოს რუსიფიკატორების წინააღმდეგ მეცნიერულ-პუბლიცისტური და პრაქტიკული მოღვაწეობა ახლა მიზნობრივად კიდევ უფრო დაუკავშირდა საქართველოს და ქართველი ტომების რუსიფიკაციისა და ეროვნული გადაგვარება-გარუსების მთავარი მასაზრდოებელი ძალის — ცარიზმის დამხობისათვის ბრძოლას. ამ გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ, საზოგადოებრივმა მეცნიერებამ და მისი მონაპოვრების პოლიტიკური ბრძოლის მაღალორგანიზებულად წარმართვისათვის გამოყენებამ.

ახალ სიტუაციაში ივ. ჯავახიშვილმა თავისი ადრინდელი შრომები ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფიით გაამდიდრა. ეს იყო მისი „ქართველი ერის ისტორია“ (1908 წ.). მან ამ ნაშრომში საჭიროდ არ მიიჩნია სამეგრელოს სკოლებში საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის სწავლების აუცილებლობისა და მეგრელ-სვანების ტომთა საერთო ქართული წარმომავლობის შესახებ ადრე ფართოდ გავრცელებული პროპაგანდის მსგავსი ნაწილის შეტანა. მან საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან VII საუკუნემდე ისე გააშუქა, რომ ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბალავრად გამოიყენა პ. ჭარაიას, ნ. ჯანაშიას, ი. ტ. ქობალიას, ივ. გეგიას მეცნიერული მონაპოვარი საერთო ქართული მეგრულ-ჭანურ-აფხაზურ ძირების დასაბუთებისათვის. ივ. ჯავახიშვილმა ქართველურ ტომთა საერთო უძველესი წარმოდგენების დადგენის დროს, კერძოდ, მთვარისა და მზის კულტისადმი ქართველური ტომების ერთგვაროვანი დამოკიდებულება-გაგების დასადგენად და საილუსტრაციოდ გამოიყენა მეგრული ფოლკლორის იშვიათი ღირებულების ნიმუში, რომელიც მისთვის გადაუცია კონდრატე თათარაშვილს და რომელიც ადასტურებს, რომ ქართველი ტომების საერო რწმენით მზე დედაა, მთვარე კი მამა. წიგნში საგანგებოდ არის წარმოჩენილი ავტორის მადლიერება კ. თათარაშვილის მიმართ ამ ძვირფასი შენაძენის გამო (იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 98). ეს ფაქტი უთუოდ უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე მეგრელთა ქართველობის ტრაქტადად მიჩნეული ზოგი სტატიის გამოქვეყნება. „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი უამრავი წყაროს მობილიზებითა და მათი კრიტიკულ-ანალიტიკური გამოყენებით საქართველოს ამიერ და იმიერ ქართველთა ისტორიას აშუქებს ორგანულ ერთიანობაში ისე, რომ მათი საერთი ორგანიზმად გაგების თვალსაზრისით საეჭვოს აღარაფერს სტოვებს. მან ამ მეთოდური, მეცნიერული ხერხით გამოიკვლია და გააშუქა თავისი შემდგომი შრომები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კაპიტალური პუბლიკაცია „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ (1916 წ.). ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევები საფუძვლად დაედო ქართველ პოლიტიკურ მებრძოლთა აზროვნებასა და პრაქტიკულ მოქმედებას. ამის მაგალითად საკმარისად გვესახება ცნობილი ეროვნულ დემოკრატის შ. ამირეჯიბის აზრი, რომელიც მისი წიგნის

მეორე ნაწილში მკაფიოდ აისახა. დიდი მეცნიერის მიერ საქმისა და გამოკვლეულის იდეური შთაგონების ზეგავლენა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი მამულიშვილების, მათ შორის შალვა ამირეჯიბის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე მკაფიოდ აისახა. ივ. ჯავახიშვილის შესახებ სამშობლოსათვის ბრძოლაში ბოლომდე გახარჯული შ. ამირეჯიბი წერს: „ეროვნულმა იდეამ თავი შეინახა იმიტომ, რომ საქართველო, მთელი ქართველი ერი, სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივ.ანე ჯავახიშვილთან" (იხ. შალვა ამირეჯიბი (1886-1943), წიგნი მეორე, ი. ორჯონიკიძის რედაქციით, 1998 გვ. 80).

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი კიტა აბაშიძე 1916 წელს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გაზეთ „ჩვენი მეგობარის" ფურცლებზე (№36) აღფრთოვანებული წერს: „მარტო მეცნიერება ვერ შეძლებდა მას, რაც შეძლო ღრმა და თავგანწირულმა სიყვარულმა მამულისამ; მარტო მეცნიერი როდი კმაროდა, კეთილშობილი და თავგადადებულად სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი იყო საჭირო, რომ ასეთი წიგნი მოეცა, მოეცა ასეთი ცხოველი სურათი წარსულისა... უნდა მართალი ვთქვა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" მერე არ მახსოვს, ჩემზე რომელიმე დარგის რომელიმე ნაწარმოებებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს... ნეტავი იმ ახალგაზრდას, რომელიც აღიზრდება ივ. ჯავახიშვილის შრომებზე".

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი დამაარსებლისა და უცვლელი ლიდერის, სპირიდონ კედიას თანამოაზრე-თანამებრძოლი და მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედია, ასევე ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ცნობილი წარმომადგენელი ს. ჭირაქაძე, თავანთ მოგონებებში ივანე ჯავახიშვილთან საუბრის და მისი ღვაწლის შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით მეცნიერს ერის დამოუკიდებლობის იდეის შთამაგონებლად და განმმტკიცებლად მოიხსენიებენ (იხ. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ - ნახული. თბ. 2001, გვ. 188 „სპირიდონ კედია მასალები პირადი არქივიდან", თბ. 2007, გვ. 89).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლი მეცნიერ-პედაგოგები მოცემულ ეტაპზე ერის ინტერესებისათვის იბრძოდნენ, ეროვნული ბრძოლის სოციალურ-პოლიტიკურ დაკვეთას უპასუხებდნენ და ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის აქტიურ მონაწილეებად გვევლინებოდნენ. ამ თვალსაზრისით ფასდება, აგრეთვე, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-პედაგოგების ი. ყიფშიძის პ. ჭარაიას, ნ. ჯანაშიას და სხვა ღირსეული მამულიშვილების ღვაწლი.

იოსებ ყიფშიძემ 1914 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტალური ნაშრომი „Грамматика мингрельского (иверского) языка". ამ წიგნში მეცნიერმა მოუხმო უამრავ მეგრულ სიტყვას. ბევრ მათგანს ქართული შესატყვისი მოუძებნა, ამ საფუძველზე შექმნა მეგრულ-ქართული ლექსიკონი და მეგრული ენის გრამატიკა. ამასთანავე, ი. ყიფშიძემ მეგრული სიტყვებით ახსნა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დასახლებული პუნქტების ეტიმონი. მან მეგრული გრამატიკული ფორმები აღმოსავლეთ ქართველთა განაპირა მხარის მცხოვრებ ინგილოებშიც გამოაკლინა. აღნიშნულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეგრელების ვინაობის გაუკუღმართებულად, ქართველებისაგან განსხვავებულად წარმომჩენთა დემაგოგიური განცხადებების ბოროტი მიზანდასახულობის საილუსტრაციოდ და ლიტერატურული ქართული სიტყვების ძირების გასაგებად. ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი ი. ყიფშიძის მეცნიერულ გამოკვლევას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ი. ყიფშიძისა და სხვა ქართველი მეცნიერების შრომებს, მათ ღვაწლს მეგრელთა მიმართ 1919 წელს საგანგებოდ აღიარებდნენ მეგრული კულტურული საზოგადოების „მაფალუს" დამაარსებლები ეროვნულ-დემოკრატები სტეფანე გაგუა, მიხეილ კანკავა და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სამეგრელოს

კულტურული დაწინაურება. ამის შესახებ წინამდებარე წიგნის თანაავტორს ვრცელი საუბარი ჰქონდა 2007 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ წიგნში „მაფალუ (დოკუმენტები და კომენტარები)" ქვემოთ, სათანადო კონტექსტში მოგაწვდით ღირსეული, მაგრამ მცდარად გაგებული მამულიშვილის, სტეფანე გაგუას ღირსების წარმომჩენ დამატებით ცნობას.

პეტრე ჭარაიამ 1910 წელს იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში გამოსცა „დედა ენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება", რომლითაც ფაქტობრივად „დედა ენის" ლექსიკონი მოამზადა და მისი დიალექტიკური განმარტების გაადვილების შესაძლებლობები შეჰქმნა. ამ წიგნს დროული და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო განათლების სფეროში მოღვაწე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთ-სამურზაყანო-სამეგრელოს პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა თავის ერთ-ერთ სპეციალურ ნაშრომში („ქართველი და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", 1937, 1938), პ. ჭარაიას ღვაწლს უაღრესად დადებითი შეფასება მისცა (იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები..." გვ. 258).

1916 წელს პ. ჭარაიამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით მოახერხა ქართული ენის სწავლების შემოღება გალის სკოლაში. ამ დროს სამურზაყანო-აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის დევნის გამო, ხშირად მასწავლებლებიც კი საკმაოდ ვერ ფლობდნენ ქართულს. ამის გამო ქართულის თარგმნისა და განმარტების დროს ზოგჯერ პედაგოგიურ კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი (გაზ. „მუშა", 1924, №449, 21 მაისი). მაშასადამე, პ. ჭარაიას ღვაწლი ერის წინაშე უაღრესად მნიშვნელოვანია.

ნიკო ჯანაშიას აქტიური მონაწილეობით 1909 წელს სოხუმში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი. იგი 1910 წელს სათავეში ჩაუდგა ამ საზოგადოების ქართულ სკოლას სოხუმში. ნ. ჯანაშია ქართული სწავლების მეურვეობასთან ერთად, აქტიურად იღვწოდა აფხაზი ხალხის ყოფისა და რელიგიური რწმენის კვლევისა და გაშუქების მიზნით. მის პუბლიკაციებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 537). ნ. ჯანაშიას მოღვაწეობას ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული ეროვნულ-პატრიოტული ხასიათი. მისი პატრიოტული მოღვაწეობა ხელისუფლების მიერ იმდენად საშიშად იქნა მიჩნეული, რომ ხელისუფლებამ და ჟანდარმერიამ მოინდომეს იგი აფხაზეთისთვის მოეშორებინათ და გადაესახლებინათ ჩრდილოეთ კავკასიაში (ამის საბუთი გ. ციციშვილმა სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში სტუდენტობის დროს გამოავლინა).

მოცემული პერიოდის სამეგრელოსა და სამურზაყანო-აფხაზეთში მოღვაწეობდა მრავალი პედაგოგი, რომლებიც ქართული ენის სწავლებას მჭიდროდ უკავშირებდნენ პატრიოტულ საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგრამ აფხაზეთში პრორუსულმა განწყობილებამ მძლავრად მოიკიდა ფეხი. ამას ხელს უწყობდა მუხაჯირობის დროს მკვიდრი მოსახლეობის მშობლიური მხრიდან აყრა და ხელისუფლების მიერ უცხო ტომის რუსი და რუსულენოვანი ხალხების ჩამოსახლება. ამავე დროს ხელისუფლება მხარის რუსიფიკაციის ინტერესებით ყოველმხრივ აბრკოლებდა და კრძალავდა საქართველოს ჭარბი მოსახლეობისა და მცირემიწიანი რაიონებიდან ქართული მოსახლეობის, მათ შორის, მეგრელების ჩასახლებას. რუსიფიკატორი ხელისუფლება კავკასიაში ჩამოსახლებულ ხალხებზე უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაზე.[1] აღნიშნული და რიგი სხვა მიზეზების გამო სამეგრელო-აფხაზეთ–სამურზაყანოში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდროდ ერწყმოდა სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამეგრელოს მკვიდრთა ის თვალ-

[1] ი. გოგებაშვილი თხზ., ტ. I, გვ. 397-399; იხ. ნ. მარი. „ქართველთა ეროვნება", ქუთაისი, 1905, გვ. 36; ი. ჯავახიშვილი. თხზ., ტ. XII, გვ. 456-451.

საჩინო წარმომადგენლებიც, რომლებიც აფხაზეთსა და სამეგრელოში ხელმძღვანელობას უწევდნენ ბრძოლას საქართველოს განუყოფლობისათვის.

ჯერ კიდევ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნისა (1904 წ.) და რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან, რევოლუციური ორგანიზაციები აღმოცენდა სამეგრელოსა და აფხაზეთში. 1905 წლის მეორე ნახევარში ზუგდიდში შეიქმნა ორი რევოლუციური ორგანიზაცია: სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატებისა. სოციალისტ-ფედერალისტებს ხელმძღვანელობდა ვასილ ალშიბაია, რომელიც ხელისუფლებასთან ბრძოლას შეეწირა. ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ მელიტონ გობეჩია, ალექსანდრე ჩიტაია, მუშნი დადიანი, პავლე აკობია, სპირიდონ კედია და სხვ. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ ლეო შენგელაია, აპოლონ ნოდია, კონსტანტინე ნორაკიძე, ალექსანდრე ჩიქავა და სხვ.

ზუგდიდში და საერთოდ სამეგრელოში განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, ხოლო შემდეგ მის ფესვზე აღმოცენებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

სოხუმში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში ერთიანდებოდნენ და მის საბრძოლო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ნიკო ჯანაშია, ძუკუ ლოლუა, ვარლამ და პლატონ გელოვანები, ანთიმოზ ჯუღელი, შალვა დადიანი და სხვ. აქ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა პლატონ გელოვანი, ხოლო მფარველობას უწევდა ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე. სოხუმელ ფედერალისტებს შორის იყვნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში რუსიფიკატორთა წინააღმდეგ საქართველოს განუყოფლობისათვის მებრძოლთა სახელოვანი წარმომადგენლები თედო სახოკია, მისი აქტიური თანამებრძოლები ანთიმოზ ჯუღელი, ნ. ჯანაშია და სხვ. აგრეთვე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, საქართველოს ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლი ვარლამ გელოვანი.

პლატონ გელოვანის მეთაურობით ქართველები ცდილობდნენ სოხუმის თვითმართველობიდან გაეძევებინათ რეაქციონერი რუსი მოხელეები და შეექმნათ „ნაციონალური უმრავლესობა". ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს განუყოფლობისათვის მებრძოლთა თვალსაჩინო წარმომადგენლები ნიკო ჯანაშია, ანთიმოზ ჯუღელი და სხვები (იხ. დ. შველიძე, „საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია (1903-1917 წწ.)", სადოქტორო დისერტაცია, თსუ 1997, გვ. 197).

1905 წლის ბოლოს აფხაზეთის რევოლუციონერებმა თ. სახოკიას ხელმძღვანელობით მოაწყვეს საზღვარგარეთიდან გ. დეკანოზიშვილის მიერ შემოგზავნილი იარაღის ნაწილის გაგრაში გადმოტვირთვა და მოსახლეობაში გავრცელება. ამის გამო ჟანდარმერიამ დააპატიმრა ეჭვმიტანილები ვასილ გურჯუა, იასონ გობეჩია, ერასტი სანაია, ვასილ კანჯარია, ბენიამინ დარჩია, პეტრე კვარაცხელია, დომენტი ქორჩილავა და სხვ. ამ საქმესთან დაკავშირებით გაასამართლეს თ. სახოკია, ი. მატახერია, ვ. გურჯუა და სხვ. (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 113, აღ. 2, ს. 288, ფურც. 2-3).

აღნიშნული იარაღის ნაწილმა შიდა სამეგრელოშიც შემოაღწია. მუშნი დადიანი შეიარაღებული რაზმით ხობთან დაესხა რედუტკალეს და განაიარაღა. 1905 წლის ბოლოს ანაკლიიდან შემოიტანეს იარაღი, რომელსაც მუშნი არიგებდა მოსახლეობაში. ზუგდიდელმა რევოლუციონერებმა სცადეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება და „რესპუბლიკის" დამყარება, რომლის დროსაც პავლე აკობიას ეკლესიის ეზოში აუფრიალებია დროშა (იხ. იქვე, ფურც. 2/2). არსებობს ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ საზღვარგარეთიდან „დეკანოზიშვილის მიერ გამოგზავნილი იარაღის მიღების უშუალო ორგანიზატორი სპ. კედია იყო..." (გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ. 1991, გვ. 97).

სოციალისტ-ფედერალისტებმა საქართველოში პირველებმა დააყენეს საქართველოს ავტონომიის ილია ჭავჭავაძისეული მოთხოვნა. ამ იდეას მხარი დაუჭირა 1905 წელს თბილისში შემდგარმა სათავადაზნაურო კრებამ, ხოლო 1907

წელს ნოე ჟორდანიამ (დ. შველიძე, „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში“, ნ. I, ფედერალისტები, თბ. 1993, გვ. 175-176). 1908 წლიდან, როგორც ზემოთ ითქვა, „თანდათან საქართველოს ავტონომია პოულობს მომხრეებს ქართველი სოციალ-დემოკრატების რიგებში“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. XII, გვ. 366). 1912 წელს საქართველოს ავტონომიის იდეა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში აშკარად გამოხატა სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელმა ვარლამ გელოვანმა (ალ. ბენდიანიშვილი, „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1901“, თბ. 1980, გვ. 198).

პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოში ეროვნული საკითხის ახალ სიმაღლეზე წამოწევას ხელი შეუწყო საზღვარგარეთ (შვეიცარია, გერმანია) ორგანიზებულმა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა“. მისმა ადგილობრივმა ფილიალმა და ახალმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ყველაზე თანამიმდევრულად დაიცვეს ილია ჭავჭავაძის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებმა (პ. სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნ. მაღალაშვილი. მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და სხვ.) სამშობლოს განთავისუფლების შესაძლებლობად დაისახეს რუსეთის მოწინააღმდეგე, აღმავლობის გზაზე მდგარი გერმანიისა და მისი მოკავშირეების აქტიური დახმარება. ამ მიზნით მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუსეთის მოწინააღმდეგე კოალიციის მმართველ წრეებთან და რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს განთავისუფლების საქმეში თანადგომის მყარი გარანტია მოიპოვეს. საქართველოში ამ ჯგუფს მხარს უჭერდნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. გვაზავა, ვ. გუნია, ფ. გოგიჩაიშვილი, სვ. ყიფიანი და სხვ. აღნიშნული „კომიტეტის“ მიერ საქართველოში პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზების შედეგად ჩამოყალიბებული ადგილობრივი „ფილიალის“ შემადგენლობაში შედიოდნენ სპირიდონ კედია, დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი. მათთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული შალვა ქარუმიძე, შალვა ამირეჯიბი და სხვ[1].

მას შემდეგ, რაც 1914 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა სპ. კედიამ საქართველოში ორგანიზებულ ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებების ჯგუფს მჭიდროდ დაუკავშირა საკუთარი იდეურ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ის ამ ჯგუფის აღიარებული ლიდერი გახდა. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ და მოგვიანებით მისი ორგანოს გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორად აირჩიეს. ამ დროს ზუგდიდელი სპ. კედია — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევარი მებრძოლი, აქტიურად ჩაება „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ საქმიანობაში. იგი აქტიურად მონაწილეობს „კომიტეტის“ საზღვარგარეთული სამუშაოების მოგვარებაში და სხვა.

აღნიშნულ „კომიტეტში“, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში და საქართველოს განთავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში, სპ. კედიას მუშაობა უხდებოდა საქართველოს თითქმის ყველა ცნობილ მებრძოლ მამულიშვილთან ერთად. მათ შორის იყვნენ სამეგრელო-აფხაზეთ-სამურზაყანოს

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით 1962 წელს ჟურნალ „ბედი ქართლისამ“ (№39-40, გვ. 16-30) გამოაქვეყნა კ. სალიას წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალები ისტორიისათვის)“. აღნიშნული „მასალები“ 1984 წელს ხელახლა გამოაქვეყნა კ. ინასარიძემ („პატარა“ ოქროს ხანა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921 მიუნხენი, გვ. 96-108) საქართველოში იგი მცირედი შემოკლებით გამოაქვეყნა ნ. კირთაძემ („დამოუკიდებლობის კომიტეტი“, გაზ. „კომუნისტი“, 1990, 26 მაისი). ამის შემდეგ აღნიშნული მასალები სათანადო ინტერპრეტაციითა და შესაბამისი ახალი ფაქტებით, დამატებით წარმოაჩინეს რ. გრძელიძემ („საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.)“, თსუ 1995, ო. ჯახელიძემ („სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი“, თბ. 2002, გვ. 71-101) და სხვ.

თვალსაჩინო წარმომადგენლები: ცნობილი ჟურნალისტი, ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სამსონ ფირცხალავა; ცნობილი მეწარმე აკაკი ხოშტარია; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალის თავმჯდომარე, ინჟინერი იოსებ დადიანი; ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის მოადგილე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი; აფხაზეთ-სამურზაყანოს ფრონტზე საქართველოს განუყოფლობისათვის, რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლის ვეტერანი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი და სახელმწიფო მოღვაწე აკაკი ჩხენკელი; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომისა და პარლამენტის წევრი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მეთაური გიორგი გვაზავა და მრავალი სხვა.

ო. ჯანელიძის ზემოთ დასახელებულ წიგნში, ალ. ასათიანის მოგონებაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ მდიდარ მრეწველს „იოსებ დადიანს პირადი ქონება „ეროვნულ სალაროდ ჰქონდა გადაქცეული". სამშობლოს კერაზე არ მიტანილა არც ერთი ნაკვერცხალი მის ასაღვივებლად და ასანთებად, რომელსაც არ მისწვდენოდეს ი. დადიანის ხელი. ქართულ სკოლას, ეკლესიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას თუ სხვ. ი. დადიანი უწევდა დახმარებას „თანსნობით, შრომით, ქონებრივი სახსრით" (იხ. ო. ჯანელიძის დასახელებული წიგნი, გვ. 45).

მეგრელ პატრიოტებს შორის მრავალად იყვნენ საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის მაგალითის მიმცემი დაბალი სოციალური ფენებისა და მათ შორის გლეხობის წარმომადგენლები. კ. სალიას "მასალებში" მოყვანილი აქვს მიხაკო წერეთლის ნაამბობი, ფოთთან ახლოს, წყალქვეშა ნავით საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღის გადმოტვირთვა-დაბინავების ხელშემწყობი ეროვნული პატრიოტის ნიკო ხორავას 1915 წელს დაწესებული თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების უაღრესად საყურადღებო ამბავი. მ. წერეთელმა გაიხსენა: „შეეედით სახლში და შემოგვეგება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა... მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1915 წელს ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და სთქვა სახარების სიტყვები: „აწ განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი... თამარის ქვეყანაში, მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემს ქოხში".

საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღის წყალქვეშა ნავიდან ნაპირზე გადმოტვირთისა და დაბინავების საქმეში, აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს, სამეგრელოს რეგიონისა და კერძოდ, სენაკის ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციის უფროსი და ახალგაზრდა წევრები ვასილ წერეთელი, სამსონ იოთამის ძე გამყრელიძე, კალისტრატე (კალე) მისაბიშვილი, სიმონ (ხუხუ) ხოფერია, შალვა კალანდარიშვილი და სხვები (იხ. წიგნში „ვალერიან გამყრელიძე..." თბ. 1998, გვ. 114), რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, საქართველოს 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ახლად მოძიებული ისტორიის დამაჯერებელი წყაროების და პუბლიკაციების საფუძველზე დასაბუთდა, რომ (იხ. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ. 2002, გვ.419-420; გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნულ მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ", თბ. 2003, გვ. 85, 99-123, 234). როდესაც რუსეთთან ომში გამარჯვებული გერმანია უშუალოდ საქართველოს საკითხის მოგვარებას შეუდგა, ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის მთავრობებმა „განთავისუფლების კომიტეტს" ერთხელ კიდევ დაუდასტურეს თავიანთი მზადყოფნა ეცნოთ და ეღიარებინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუკი იგი გამოცხადდებოდა. დ. ვაჩნაძის ბინაზე 1917 წლის თებერვალში „საქართველოს

განთავისუფლების კომიტეტის" ინიციატივითა და გერმანიის დახმარების პირობის გამო, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი გადაწყდა. აქ საქართველოს „ყოველი კუთხის კაცთა" შორის მეგრელმა ეევ. გეგეჭკორმაც შეიტანა თავისი წვლილი. საყურადღებოა, რომ საქართველოს მიმართ ბათუმის კონფერენციაზე ბრესტის ზავით მხარგამაგრებული თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიების განხილვის დროს გერმანიის წარმომადგენლობამ ნ. ჟორდანიას გააგებინა, რომ „განთავისუფლების კომიტეტის" ინიციატივას საქართველოსათვის შექმნილ უკიდურესად რთულ სიტუაციაში ალტერნატივა არ ჰქონდა. გერმანიის დელეგაციამაც ქართულ მხარეს ერთხელ კიდევ დაუდასტურა თავისი ქვეყნისა და მისი მოკავშირეების მზადყოფნა მხარდაჭერა აღმოეჩინათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. ამის გამო საჭირო გახდა თურქეთის, როგორც გერმანიის მოკავშირეების მიმართ დამოკიდებულების გარკვევა და ხელგახსნილი მოქმედების მიზნით, ბერლინში ფორმალური ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა. ბათუმის კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა თავისი მანდატით ბერლინში ქართველი ერის სრულუფლებიან წარმომადგენლად, როგორც გერმანიის, ისე სამთა კავშირის სხვა სახელმწიფოების მთავრობებთან მოსალაპარაკებლად მიაელინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია (ამ საკითხზე იხილეთ ო. ჯანელიძის დასახელებული წიგნი. გვ. 86-87, 105).

აკაკი ჩხენკელმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საუკუნოვანი ოცნების რეალიზაციას იმ მხრივაც შეუწყო ხელი, რომ ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელზე მის მიერ გამოგზავნილი დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში გამორიცხავდა მენშევიკების თავშეკავებას და იძულებულს ხდიდა, რუსეთის დემოკრატიის წინაშე თავის მართლების მიუხედავად და აიძულებდა მომენტის მოთხოვნილების შესაბამისად ემოქმედათ.

საქართველოს საერთო ეროვნული ინტერესებისათვის იბრძოდა სამეგრელოს მკვიდრი მრავალრიცხოვანი მხედრობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა აგრეთვე, მეგრელი სამღვდელოება, რომელიც საქართველოს განუყოფლობისათვის რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ავანგარდულ ძალას წარმოადგენდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ მეგრელი სამღვდელოება საქართველოს საერთო ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული როლის შემსრულებელ იდეოლოგიურ ძალად მოგვევლინა. ამ მხრივ აღსანიშნავია ამბროსი ხელაიას ღვაწლი, რომელიც საქართველოში 1917 წლის აგვისტოში დაბრუნების შემდეგ ჭყონდიდის, აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტად მოღვაწეობდა. ერისა და ქართული ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი სამშობლოსათვის უაღრესად მძიმე განსაცდელის დროს, 1921 წლის სექტემბერში, აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად და, როგორც ცნობილია, მან რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული თავდადება გამოავლინა. მთელი ეს ზემოთ აღნიშნული ფაქტოლოგია დაბეჯითებით მეტყველებს, რომ 1905-1907 წლების რევოლუციისა და ილიას მკვლელობის შემდეგ აღინიშნა ქართულ ეროვნულ ძალთა მძლავრი კონსოლიდაცია და ეროვნული პასუხისმგებლობის ინტეგრაცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელო-აფხაზეთის ქართველი ინტელიგენცია.

როგორც ვნახეთ, სამეგრელოში მოღვაწე და სამეგრელოს ფესვზე ამოსულმა, მეგრული ტომის თვალსაჩინო ქართველმა ეროვნულ-პატრიოტულმა წარმომადგენლობამ საქართველოს ეროვნულ ბელადებთან და სხვა კუთხის პატრიოტულ წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლის, ქართული სალიტერატურო ენის დაცვის, სამშობლოს განუყოფლობის, სამეგრელოს ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვის შენარჩუნების, საქართველოს ეკლესიის ავტოკე-

ფალიის აღდგენისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, სამეგრელოს მკვიდრი, ერის საამაყო შვილები, იმავდროულად იყვნენ აღნიშნული ეროვნული ბრძოლისა და გამარჯვების არა მარტო რიგითი მონაწილეები, არამედ ხშირ შემთხვევაში მთავარი მედროშეები და წარმატებათა ინიციატორ-დამაგვირგვინებლები.

მკითხველმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად სამეგრელოს მკვიდრთა ზემოთ აღნიშნული ეროვნული ღვაწლის საგნობრივი წარმოჩენა დაგვჭირდა არა იმისათვის, რომ ხაზი გაგვესვა ერის წინაშე მეგრელების განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ნიშანი მოგვეგო მოწინააღმდეგეებისათვის, არამედ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა ის მძლავრი ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისდროინდელ შიდა და გარე სამეგრელოს მოსახლეობაში დამატებით აძლიერებდა ეროვნული სულისკვეთების გენერაციას, რომელმაც, საქართველოს დამოუკიდებლობისა და შემდგომ საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წლებში აბსოლუტურად გამორიცხა ე.წ. „მეგრული ნაციონალიზმის", ანუ სეპარატიზმის აღმოცენება და სამეგრელოს მაგალითზე საქართველოს დეცენტრალიზაციის მცდელობის გამოვლენის შესაძლებლობა.

რაც შეეხება მეგრელი აშორდიას, გურული ლომინაძის, ქავჟარაძის, იმერელ მაჭავარიანის, კახელი როსტომაშვილისა და მათი მსგავსი სხვა ქართველი კარიერისტების იმ ბოლომდე გაუხმაურებელ ანტიეროვნულ გამოხდომებს, რომლებიც რუსეთის იმპერიული მპყრობელობის და ქართველების ეროვნული ინტერესების მიმართ მუდმივი იმპერიული დისკრიმინაციის პირობებში მართლაც არსებობდა, საქართველოს ეროვნულ ძალთა ახალი მძლავრი კონსალიდაციის დროს, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, უკვე უკვალოდ ჩავლილ მოვლენას წარმოადგენდა. ამ აზრის დამადასტურებლად გვესახება ის, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის და შემდგომი წლების პუბლიკაციებში (აგრეთვე, ისტორიის წყაროებში) სამეგრელოში თ. აშორდიას ან მის მსგავს ქართველთა საქციელის გამოვლინების და მითუმეტეს მათ მიერ წამოწყებულ საქართველოს დეცენტრალიზაციის ტენდენციებისა და პროცესების შესახებ ინფორმაცია არ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, ასეთი გამოვლინების შესაძლებლობა გამორიცხა მოცემული პერიოდის საერთო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა აღმავლობამ და ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციამ. მაგრამ შემდგომ საბჭოთა წლებში თუ მაინც მოხდა საქართველოს „რუსიფიკაციის აგენტად" წოდებული, იმ დროისათვის გარდაცვლილი, თ. აშორდიას წარსული საქმიანობის ვითომ რეანიმაცია, იგი, როგორც სათანადო წყაროები და პუბლიკაციები მეტყველებენ, მხოლოდ ეჭვებისა და იმდროინდელი პარტიულ-პოლიტიკანური მიზანდასახულობების საფუძველზე აღმოცენდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი მართლა არსებობდა და პარტიკულიარიზმისათვის მეგრელების ცნობიერებაში პოხიერი ნიადაგი მართლაც მოამზადა, არამედ იმიტომ, რომ იგი მორალური პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მიზნით მოიაზრეს „ჩხოუშიელი" კომუნისტი ავტონომისტების მიერ შერცხვენილ-შეშფოთებულმა ზუგდიდის და საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრების ლიდერებმა (მ. კვარაცხელიამ, ბ. შოგირაძემ, ალ. გეგეჭკორმა, ლ. ბერიამ და სხვ.). ამის ერთ-ერთ თვალსაჩინოებად გვეელინება „მაფალუს" შესახებ ჩატარებული სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევაზე დამყარებული და გამოქვეყნებული ალტერნატიულ ფაქტოლოგია და კონცეფცია.

დაინტერესებული მკითხველისთვის „მაფალუს" შესახებ პირველი წიგნის (გ. ციციშვილი, „მაფალუ დოკუმენტები და კომენტარები... თბ. 2007) გაცნობით, ეფიქრობთ, მკითხველისთვის დამაჯერებელი გახდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ამ დროს არსებულთაგან ყველაზე თანამიმდევრული, პატრიოტული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის სპირიდონ კედიას მიმდევარის, სტეფანე გაგუას ინიციატივით

დაარსებული „მაფალუს“ საზოგადოება მიზნად ისახავდა სამეგრელოს კულტურული დაწინაურების (არქეოლოგიური, ფოლკლორული და სხვა) ღონისძიებების განხორციელებას. ძირითადად სწორედ ფოთის გიმნაზიის მასწავლებლის, საქართველოს განათლების სფეროს პატრიოტ მუშაკთა აღიარებული წარმომადგენელის, სტ. გაგუას ეს პარტიულ-პოლიტიკური კრედო გახლდათ „მაფალუს საზოგადოების“ შესახებ შექმნილი ყალბი აზრის გენერაციის საფუძველი. იმდროინდელი საქართველოს სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა, დამფრთხალი გონების პატრიოტული ძალისხმევისა და მოწინააღმდეგე აზრის მიმართ შეურიგებლობის გამო, „მაფალუს“ დამაარსებლის ინიციატივა გააზვიადეს ანტიეროვნული წამოწყებად. სტ. გაგუას დააბრალეს ახალი, მეგრული ავტონომიური პოლიტიკური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის მიზნით, მარქსისტების მსგავსად, ხალხში საპროგრამო სიტყვის გადასროლა. მათ ამ პროვოკაცია-ინტრიგის გზით მიაღწიეს სტეფანე გაგუას და მაფალუს შესახებ ხალხში ბოროტი აზრის გავრცელებას, თუ დანერგვას. მაგრამ სათანადო წყაროებით დადასტურდა, რომ სტ. გაგუამ უკიდურესი ადამიანური გამძლეობითა და ძალისხმევით შეძლო მოწინააღმდეგე ცილისმწამებელთა თუ ეჭვით შეპყრობილთა თავის სიმართლეში დარწმუნება. სტ. გაგუას გამარჯვებისა და სიმართლის დამტკიცების ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტად გვევლინებოდა მისი ბრალდების გამოძიების და სიმართლის დადგენის მიზნით ჩატარებული სპეციალური სამედიატორო სასამართლოს შვიდი მოსამართლის დასკვნა, აგრეთვე სტ. გაგუას ეროვნულ-პატრიოტული ღვაწლის დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც გამორიცხავენ მის ანტიეროვნულ საქმიანობას.

წინამდებარე წიგნი ახლა საშუალებას გვაძლევს უაღრესად მოკლედ მაინც წარმოვაჩინოთ ის პოლიტიკური კლიმატი, რომელმაც შექმნა პატრიოტი პიროვნების, სტ. გაგუას ავტონომისტ-სეპარატისტად, თუნდაც დროებით გაყალბების შესაძლებლობა და ამ ბრალდებათა მომდევნო, საბჭოურ-კომუნისტური რეამინაცია, ახალ ხელსაყრელ კონიუნქტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამასთანავე, შესაძლებლობა გვეძლევა მკითხველს შევთავაზოთ დამატებითი, ჩვენი აზრით, უაღრესად საჭირო და უტყუარი ცნობები „მაფალუს“ რაობისა და სტ. გაგუას იდეურ-პოლიტიკურ-ზნეობრივი მრწამსის შესახებ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ (26.V.1918) სათავე დაუდო საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის უაღრესად რთულ პროცესს, რომელსაც მნიშვნელოვან სიძნელეებად ეღობებოდა უამრავი დაბრკოლება. ეს იყო დაძაბული ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, რომელიც, იმპერიული რუსეთის სამართალმემკვიდრეობის პრეტენზიებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ ცდილობდა იმპერიის ყოველი ნაწილის, საქართველოს სუვერენიტეტული სახელმწიფოს მშენებლობისათვის გადაულახავი სიძნელეების შექმნას. იგი საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ამხედრებდა რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესებობებს, რომელთაც სოციალისტურ წყობილებას უსახავდა არსებული უკიდურესად მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ ოპტიმალურ შესაძლებლობად. ამასთანავე, საბჭოთა რუსეთი საქართველოს სუვერენულ ხელისუფლებას უმხედრებდა არა მარტო ეროვნულ უმცირესობებს, არამედ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობასაც. სამოქალაქო ომში წარმატებათა მოპოვებისა და სამხრეთის ტერიტორიებზე საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის მცდელობის კვალობაზე საბჭოთა რუსეთი სუვერენული საქართველოს მიმართ აშკარა აგრესიის პოლიტიკას ანხორციელებდა.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკის აღმშენებლობის გზაზე სიძნელეებს ჰქმნიდა მეზობელი სომხეთის მიერ ტერიტორიული პრეტენზიების მოტივით წამოწყებული ომი (1918 წ.), საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა გართულება, რაც დაკავშირებული იყო ჩვენი მხარდამჭერი ქვეყნის, გერმანიის მსოფლიო ომში დამარცხებასთან. 1919-

1920 წლები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შემდგომი გაუარესებით აღინიშნა. ამ ვითარებაში მთავარი პასუხისმგებლობა დააწვა სამთავრობო უმრავლესობას, საქართველოს სოციალ-დემოკრატების პარტიას, რომელმაც საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წ.) 130 დეპუტატიდან 109 ადგილზე თავისი წარმომადგენელი გაიყვანა. ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა მოახერხეს მხოლოდ 8-8, ესერებმა კი — 5 ადგილის მოპოვება. შესაბამისად მთავრობა სწორედ მათი წარმომადგენლებისაგან შეიქმნა (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ნ. ხომერიკი, კ. კანდელაკი და სხვ.).

ამ დროს რესპუბლიკის შინაგანი ცხოვრება უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, დამფუძნებელი კრების მენშევიკების დეპუტატის გრ. უროტაძის განცხადებით, ომის დასაწყისიდან 1920 წლამდე ცხოვრება გაძვირდა 75-ჯერ, ხოლო მუშათა ხელფასი გაიზარდა მხოლოდ 21-ჯერ. რესპუბლიკის შრომის მინისტრის გ. ერაძის განცხადებით, მუშების მდგომარეობის გაუარესებამ კულმინაციურ დონეს მიაღწია, და თუ სათანადო სახსრები და გამოსავალი არ მოიძებნებოდა, რესპუბლიკას მოსპობის აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. სოციალისტ-ფედერალისტი დეპუტატის შ. მესხიშვილის განცხადებით, რესპუბლიკის თავისუფლების მთავარი გარანტი — მუშათა კლასი, დეგენერაციის აშკარა საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. უაღრესად მძიმე ეკონომიკური სიტუაცია მძვინვარებდა სოფლად. ხელისუფლების მიერ გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ გლეხობა მძიმე მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანა. ბოლშევიკების წაქეზებით საქართველოს რიგი რაიონები მოიცვა გლეხთა საპროტესტო მოძრაობამ და აჯანყებებმა, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშკარა საფრთხის წინაშე აყენებდა.

ასეთ ვითარებაში, სავსებით ლოგიკურად, თავი იჩინა რესპუბლიკის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებამ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ურთიერთშორის. მთელ რიგ პარტიებში გამოვლინდა შინაგანი განხეთქილება და განსაკუთრებით კი ურთიერთდაპირისპირება. მმართველ სოციალ-დემოკრატების პარტიას და მის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას დამფუძნებელი კრების სხდომებზე სისტემატიურად და უაღრესად მკაცრად აკრიტიკებდნენ მის სახელმწიფოებრივ საქმიანობას თითქმის ყველა სფეროში. ხელისუფლების აგრარულ პოლიტიკას სასტიკად ჰკიცხავდნენ სოციალისტ ფედერალისტები (თ. ღლონტი და სხვ.), ესერები (ლ. შენგელაია და სხვ.), ეროვნულ-დემოკრატები (ი. მაჭავარიანი, ს. დადიანი), ფედერალისტები (გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე და სხვ.) ისინი, მწვავედ აკრიტიკებდნენ მთავრობის საშინაო პოლიტიკას (კორუფციას, პატიმრების წამებას, არჩევნების გაყალბებას და სხვ.). განსაკუთრებული კრიტიკის საგანი გახდა მთავრობის სამხედრო პოლიტიკა და რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის დარგში ხელისუფლების მიერ განხორციელებული უნიათო საქმიანობა. ზ. ავალიშვილის შეფასებით, მენშევიკური ხელისუფლების მთავრობა თავისი სოციალისტური შეზღუდულობით, ფაქტობრივად, „სოციალური დემაგოგიის მთავრობას წარმოადგენდა“. თავის მხრივ, ოპოზიციის მიმართ მოუთმენლობას ავლენდა მმართველი პარტია. მისი თვალსაჩინო ხელმძღვანელი წევრები არ ერიდებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი ოპონენტების მიმართ გაუმართლებელ რეპრესიებსა და ფიზიკურ ზემოქმედებას. ამის გამო დამფუძნებელი კრების სხდომები ზოგჯერ, შალვა ნუცუბუძის გამოთქმით, „ბალაგანს ემსგავსებოდა“.

აღნიშნული დაპირისპირების ვითარებაში ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში საქართველოს სოციალ-დემოკრატების ყრილობამ თავი დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად გამოაცხადა. მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობების გამო 1921 წლის 11 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციას გამოეთიშა

მათი პოლიტიკით უკმაყოფილო 9 წევრი, რომელთაც შექმნეს ცალკე დამოუკიდებელი ფრაქცია (გაზ. „სახალხო საქმე", 1921, 16 თებერვალი).

მმართველი პარტიის პოლიტიკის ყველაზე თავგამოდებულ კრიტიკოსებად გვევლინებოდნენ ეროვნულ დემოკრატები. მაგრამ თვით მათ შორისაც იჩენდა ხოლმე თავს პრინციპული წინააღმდეგობები. პარტიას ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში გამოეყო ჯგუფი, რომელმაც თავი რადიკალ-დემოკრატების გლეხთა პარტიად გამოაცხადა და საკუთარი გაზეთი „ჩვენი რესპუბლიკა" გამოსცა. ესენი მოითხოვდნენ მიწის რეფორმის დროს ნორმის ზემოთ ჩამორთმეული მიწების გლეხობისათვის უფასოდ გადაცემას. ეროვნულ-დემოკრატების რიგებში ახალი განხეთქილება 1918 წლის სექტემბერში საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მოხდა. ახლა ჩამოყალიბდა „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია", რომელშიც გაერთიანდნენ გრ. ვეშაპელი (წინამძღოლი), ვ. წერეთელი, დ. ვაჩნაძე, რ. გაბაშვილი, გ. მაჩაბელი, შ. ქარუმიძე და სხვ. მათ გამოსცეს დამოუკიდებელი პრესის ორგანო, რომელიც სხვადასხვა დროს გამოდიოდა განსხვავებული სახელწოდებით: „კლდე", „სალი კლდე", „პიტალო კლდე", „ნაციონალისტი" და „მიწა". რედაქტორი ყოველთვის გრ. ვეშაპელი იყო. იგი ფაქტობრივად დამოუკიდებელი პარტიის ლიდერად გვევლინებოდა. მათთან იყო შ. ამირეჯიბი და თ. სახოკია. ესენი „ძველ პარტიელებს ხშირად ეპაექრებოდნენ იდეურ-პოლიტიკურ საკითხებზე... აკადემიურ დისკუსიას დროდადრო პიროვნული შეურაცხყოფის არასახარბიელო რეციდივები ენაცვლებოდა, რაშიც უფრო „დამოუკიდებლები სცოდავდნენ" (ო. ჯანელიძე, „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1923 წ.წ.)". ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1999, გვ. 40). მათი ლიდერი გრ. ვეშაპელი ზოგჯერ აშკარა ინტრიგასაც არ ერიდებოდა და ედპ ძირითადი ბირთვის, კერძოდ, მისი თავმჯდომარის სპ. კედიას და მისი თანამაზრეთანამებრძოლების მოწინააღმდეგეებთან ალიანსსაც არ თაკილობდა. მართალია, მათ 1921 წლის იანვრის ბოლოს არასოციალისტური პარტიების გამაერთიანებელ კონფერენციაზე პარტიათა შეერთების ფაქტი დაადასტურეს, 36 წევრისაგან შემდგარი მთავარი კომიტეტი და პარტიის თავმჯდომარედ კვლავ სპ. კედია აირჩიეს (იხ. გაზ. „საქართველო", 1921, 25 იანვარი), მაგრამ ლიდერებს შორის წინააღმდეგობა ტაქტიკურ საკითხებში თავიანთი არსებობის ბოლომდე ვერ აღმოფხვრეს. ჩვენი აზრით, სწორედ ამითაც უნდა აიხსნებოდეს 1925 წელს თ. სახოკიას მხრივ სტ. გაგუას „მაფალუისტური" საქმიანობის უაღრესად ლმობიერი, მაგრამ ამავე დროს აშკარად არაობიექტური შეფასება, სხვათა და ბოლშევიკ ბ. შოგირაძის ყალბი აზრის მიმართ ნაწილობრივი სოლიდარობა იმ აზრით, რომ თითქოს საბჭოთა ავტონომისტ-სეპარატისტების ჩხირკედელაობა სტ. გაგუას მაფალუელობიდან იწყება.

დამოუკიდებელ საქართველოს მოცემულ მომენტში მმართველი პარტიისადმი გრ. ვეშაპელის დამოკიდებულება კარგად გამოიხატა იმით, რომ, მისი განცხადებით, ის მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას მენშევიკური დიქტატისაგან და ამისათვის რადიკალურ-ექსტრემისტული ღონისძიებების გატარების, ჩვენი აზრით, ამ დროისათვის გაუმართლებელ აუცილებლობას სახავდა.

1918 წელს დამოუკიდებლად გამოეყო და შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტია. იგი ბოლშევიზმს აცხადებდა „უდემოკრატიო", „ავანტურისტულ", „პოგრომულ" სოციალიზმად, ხოლო მენშევიზმს „უსოციალიზმო", ოპორტუნისტულ მიმდინარეობად (იხ. გაზ. „შრომა", 1918, 15 დეკემბერი).

პარტიათა შორის და მმართველი პარტიისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებას ავლენდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. იგი მეზობლებსა და კერძოდ ბოლშევიკური რუსეთის მიმართ თავისი შედარებით ლოიალური, „მე-

მარცხენე“ დამოკიდებულებით პრინციპულად უპირისპირდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერის სპ. კედიას პოზიციას. მაგრამ ფედერალისტები განსაკუთრებულ შეურიგებლობას ავლენდნენ მმართველ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის მიმართ. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა მმართველი პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელის, იმდროინდელი თბილისის მერის ბენია ჩხიკვიშვილსა და უნივერსიტეტის პროფესორ შალვა ნუცუბიძეს შორის მომხდარ ინციდენტში, რომელიც შ. ნუცუბიძის მხარდამჭერ, ხელისუფლების საწინააღმდეგო ფართო სტუდენტურ გამოსვლებშიც კი გადაიზარდა. მენშევიკების სახელმწიფოებრივი პოლიტიკით უკმაყოფილო შ. ნუცუბიძე მოხუცებულობის დროს იხსენებდა: „მე დემოკრატიული საქართველოს სამწლიანი ექსპერიმენტის მოწმე და მონაწილე ვარ. დამფუძნებელი კრება ბალაგანად იქცა. პოლიტიკური კი არა, ყოველგვარი კამათი, ლიტერატურული თუ მეცნიერული, ჩვენთან პირადი მტრობით მთავრდება. ეს ქართულ გენებში ჩადებული მოუცილებელი სენია. მის მოსპობას თვითაღზრდის დიდი კულტურა სჭირდება, ხოლო ამისათვის დიდი დროა საჭირო“ (იხ: აკ. თოფურია, „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე“. თბ. 1996, გვ. 335).

მთელი ეს ზემოთ მოყვანილი, „მაფალუიზმის“ სპეციალისტებისათვის მეტნაკლებად ცნობილი ამბების გახსენება იმისათვის დაგვჭირდა, რომ ნათლად გავიაზროთ სიტუაცია, რომლის დროსაც საქართველოში პარტიულ-პოლიტიკური ურთიერთობები იმდენად დაიძაბა, რომ არაერთი საკმაოდ გახმაურებული პოლიტიკანური ინტრიგის აღმოცენებისათვის პოხიერი ნიადაგი შეიქმნა და ამით მომდევნო ხანგრძლივი პერიოდის ურთიერთდამოკიდებულება ასაზრდოვა. მათ შორის აღსანიშნავია ეროვნულ-დემოკრატ მეგრელთა წარმომადგენლების სტეფანე გაგუას და მიხეილ კანკავას მიერ შექმნილი „მაფალუს“ კულტურული საზოგადოების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა და მათ შესახებ სრულიად არაადეკატური აზრის გავრცელება, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს (1925 წ.) მისი პოლიტიკანური გამოყენების მიზანდასახულობით იმ ყალბი კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც ე.წ. „მაფალუს“ თუ „მაფალუიზის“ კომუნისტურ-ავტონომისტური, ავტოქტონური მიმდინარეობის აღმოცენებას, საკუთარი დანაშაულის სხვისთვის დაბრალების მიზნით, სტ. გაგუას „მაფალუს“ ყალბად უკავშირებდა.

არადა, „მაფალუს“ და სტ. გაგუას მიზნობრივად გაუკუღმართებული ბიოგრაფიული პორტრეტის პოზიტიური შემეცნებისათვის არსებობს „მაფალუს“ და სტ. გაგუას შესახებ გამოქვეყნებული მონოგრაფიის ცნობების შემავსებელი, დამატებითი, საყურადღებო ინფორმაციებიც. ქართული კულტურის აღიარებული ამაგდარის, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელისა და ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა თანამოაზრე-თანამოსაქმე აკაკი ჭანტურიას არქივში აღმოჩნდა მისი 1930 წლის ხელნაწერი ტექსტი. აქედან ჩანს, რომ მისთვის ამდროინდელი ინტრიგისა და პროვოკაციების აქტივისტებს დაუბრალებიათ მაფალუელობა. ამის საბაბად გამოუყენებიათ, ის, რომ ა. ჭანტურია „ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემის პირველ ხანებში, ზემდგომი ხელმძღვანელობის დავალებით ამ გაზეთის ტექნიკური რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა. ამ პროვოკაციული ბრალდების გამო იგი იძულებული გამხდარა პროტესტით მიემართა სათანადო ორგანოებისათვის და საქმის ვითარების შესახებ საკუთარი აზრი მიეწოდებინა. აქ მოცემულია საბჭოთა ე.წ. „მაფალუს“ და ადრინდელი სტ. გაგუას ნამდვილი „მაფალუს“ შესახებ მოკლე, მაგრამ უაღრესად საყურადღებო განმარტება:

„სიტყვა „მაფალუუ“. — წერს ა. ჭანტურია — ეკუთვნის ისტორიულ წარსულს. ისტორიას ჩაბარებულ მენშევიკების დროს... გასაბჭოების შემდეგ ამ სიტყვას არავითარი ფაქტიური გასავალი და იოტისოდენა გასამართლებელი საბაბი არ მისცემია“.

გარდა ამისა, იმ დროს, როცა საბჭოთა კომუნისტური იდეურ-პოლიტიკური მოთხოვნების პასუხად, მყარად დამკვიდრდა სტ. გაგუას ანტიეროვნული ბრალეულობების სიყალბეთა სიმართლედ მიღების მყარი ტენდენცია და როცა ზოგმა მისმა თანამებრძოლმა[1] თუ მკვლევარმა ბიოგრაფმაც[2] კი, სტ. გაგუას საბჭოთა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ყალბი შტამპისადმი ანგარიშის გაწევის საკალდებულო გასაგები მიზეზით თავი შეიკავა მისი ღვაწლის ბეჭდურად გამუქებისაგან, მისმა მოწაფემ, დიდებულმა კინორეჟისორმა სიმონ დოლიძემ, ქართველ საზოგადოებას თავისი ღირსეული მოძღვარის 1911-1915 წლების საქმიანობისა და ხელისუფლების შესახებ უაღრესად გაბედული სიმართლე შესთავაზა:

„ჯიმნაზიაში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართული ენის გაკვეთილებს, რომელსაც ბატონი სტეფანე გაგუა გვიტარებდა, უკანასკნელი საათები ჰქონდა დათმობილი და მისი სწავლება საკალდებულოდ არც ითვლებოდა.

ბატონი სტეფანე დიდი პატრიოტი გახლდათ. ძლიერ უყვარდა სამშობლო და თავის გულისტკივილს ქართველთა მდგომარეობის შესახებ ხშირად ჩვენც გვიზიარებდა, ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენში სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ჩაენერგა. „სწავლა, მხოლოდ, სწავლა თუ უშველის ქართველ ხალხს, თორემ ისე ჩვენი ერის საქმე ხელიდან წასულია“ — ხშირად გვეტყოდა ხოლმე.

მასწავლებელი ხშირად გვიამბობდა ჩვენი ერის ისტორიულ წარსულზე, მის ოქროს ხანაზე, ქართველთა სახელმწიფოს ამაღლებისა და დაცემის პერიოდებზე. მან კარგად იცოდა მოწაფის გულის რომელ სიმს უნდა შეხებოდა, რომ ნოტას საჭირო ბგერა გამოეღო. ეს შესანიშნავი ქართველი პედაგოგი ნათელსხივად ადგა ჩემი ცხოვრების სათავეს, რომელიც ფოთის გიმნაზიის კედლებში დაიწყო.

...ლექსების წერას უფრო მეტი ენერგიით შევუდექი, როდესაც ოცდაორგვერდიანი რვეული ახალი ლექსებით ავავსე, რჩევისათვის ბატონ სტეფანე გაგუას მივმართე. ბატონმა სტეფანემ რვეული ჩამომართვა და ღიმილით მითხრა, ყოჩაღ, სიმონ, ლექსების წერა რომ დაგიწყიაო. გავიდა კვირაზე მეტი, ბატონ სტეფანეს ყოველდღე ვხვდებოდი მაგრამ ის არაფერს მეუბნებოდა. მე კი ვღელავდი. ერთხელ როდესაც უკვე იმედი დაკარგული მქონდა, ბატონმა სტეფანემ მითხრა, გაკვეთილების შემდეგ დარჩიო. კლასში ორნი ვიყავით, ჩემი რვეული წინ დაიდო და მამაშვილურად დარიგების ტონით გაარჩია ყოველი სტრიქონი, ყოველი გვერდი, როდესაც ის მიკრიტიკებდა უსუსურ ლექსებს ცდილობდა ჩემი თავმოყვარეობა არ შეელახა, გული არ გამტეხოდა და წერაზე ხელი არ ამეღო. მიხსნიდა, რომ საჭიროა კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების კითხვა, დაკვირვება, შრომა, ბევრი შრომა, რადგან პოეტის ხვედრი მძიმეა, საპატიო და საპასუხისმგებლო. ბედნიერია ის პოეტი, ვინც ხალხს გულისკენ გზას იპოვისო. ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ნინოშვილი, აი, ერის ნამდვილი შვილები, რომელთა ნაწარმოებები ერში პატრიოტულ გრძნობებს აღვიძებენ და არსებულ სოციალურ უსამართლობაზე მიუთითებენო. ბევრი უნდა იკითხო, ისწავლო, გაიზრდები და ყველაფერი ნათელი გახდება შენთვის. ამ კრებულიდან არც ერთი ლექსის დაბეჭდვა არ შეიძლება. ისინი შინაარსით ღარიბია და ლექსის ფორმის მხრივ გაუმართავი. დაბეჭდვას მოესწრები, აჩქარებას კი არ გირჩევდიო. თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა და გამოთხოვებისას მითხრა, რასაც შემდეგში დაწერ, გამაცანიო. მას შემდეგ დრო გავიდა, მაგრამ ბატონ სტეფანესათვის არაფერი მიმიტანია, მხოლოდ გვიან, როდესაც აკაკი წერეთლის გარდაცვალება გავიგე, ლექსი დავწერე და ბატონ სტეფანეს მივართვი. ლექსი გადაიკითხა, სახე გაუბრწყინდა: სიმონ, ეს რა კარგი ლექსი დაგიწერია,

---

[1] მ. ყანდაჯა, „ფოთის ვაჟთა გიმნაზია (მოგონებანი, შთაბეჭდილებანი)“ იხ. „სკოლა და ცხოვრება“, 1974, დეკემბერი, გვ. 80-91.

[2] მ. პაჭკორია, „ფოთის წარსულიდან“, თბ. 1967; ე. კარტოზია, სერგი დანელია, თბ. 1970; ე. კოდუა, სერგი დანელია, 1975 და სხვ.

მე კი მეგონა პოეტობას თავი დაანებე, ყოჩაღ, ყოჩაღ, ამ ლექსს დღეს აკაკის ხსოვნის საღამოზე წაიკითხავ და მერე გაზეთ „იმერეთში“ მიიტანო. თუ მეხსიერება არ მღალატობს ლექსი ასეთი შინაარსის იყო:

„საჩხერეში ზარი დაჰკრეს,
მწუხარების გლოვის ზარი.
ივერიის მთა-ბარს ამცნეს,
რომ აკაკი აღარ არის.
და სიკვდილის შავმა ჩრდილმა,
ცა ფირუზი დააბნელა
და ძაძებში გაეხვია,
საქართველოს კუთხე ყველა.

სტირის ქალი, სტირის კაცი
და ბუნებაც სტირის, სტირის...
ვინ ააჟღერს ჩანგის სიმებს?!
ვინ დაარწევს აწ ხმებს სტვირის?!
ვიღა გასწევს აკაკობას?
ვინ იქნება? ან ვინ არის?
ვაი, ჩვენსა დაობლებას,
ვიტიროთ ტკბილი მგოსანი“.

უკანასკნელი სტრიქონი ბატონ სტეფანემ ასე შემისწორა „ვიტიროთ დიდი მოძღვარი“,- დანარჩენ სტრიქონებს მისი ფანქარი არ შეხებია. აკაკის საჩხერედან ქუთაისში ჩამოსვენების დღეს გიმნაზიელთა სამგლოვიარო კრებაზე, სხვა კლასელებთან ერთად ეს ლექსი წავიკითხე, მოწონება და ტაში დავიმსახურე. ეს იყო ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა, მაშინ მეორე კლასის მოწაფე ვიყავი. ამ ლექსის წაკითხვამ გიმნაზიელთა შორის „პოეტის“ სახელი გამითქვა. გიმნაზიის დირექტორმა იაგულოვმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „ყოჩაღ, დოლიძე!“

ბატონმა სტეფანე გაგუამ მირჩია ლექსი გაზეთ „იმერეთში“ მიმეტანა, გაზეთი ქუთაისში იბეჭდებოდა და რედაქტორი იმხანად სანდრო შანშიაშვილი გახლდათ. ლექსი მაროშვილის ფსევდონიმით ჩავაბარე რედაქციას“ (ს. დოლიძე, მოგონებები, გვ. 35, 37-38).

ს. დოლიძის „მოგონებებში“, სტ. გაგუას შესახებ გულწრფელად მოთხრობილიდან, ძალიან ბევრის და მათ შორის, იმის გაგებაც შეიძლება, თუ 1916 წელს რატომ მიმართავდა მას პირად წერილში ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, ფოთის გიმნაზიის დამაარსებელი და მზრუნველი, ქალაქის მერი და დიდი ქართველი ეროვნულ-დემოკრატი მამულიშვილი სიტყვებით — „მარად თქვენი პატივისმცემელი ნიკო ნიკოლაძე“. ყოველივე ზემოთ დაფიქსირებული ფაქტების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ 1918-1919 და შემდგომი წლების სტ. გაგუას პოლიტიკურ-იდეოლოგიური ღვაწლის საეჭვო ეროვნული აზრით გაგება მცდარია. ისიც ცხადი ხდება ეროვნულ-დემოკრატების ხელმძღვანელი ანტისაბჭოთა ცენტრის მიერ (ს. ზალდასტანიშვილი), თუ რატომ დაეკისრა სტ. გაგუას 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დროისთვის ქ. ფოთის მეამბოხეთა ხელმძღვანელობა და როგორ დაიმსახურა ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომლის გამო პედაგოგიურმა წარმომადგენლობამ იგი 1925 წელს მასწავლებელთა სრულიად საკავშირო I ყრილობის დელეგატად აირჩია.

„მაფალუს“ შესახებ გამოქვეყნებულ პირველ წიგნში, სტ. გაგუას მიმართ მიყენებული აუტანელი შეურაცხყოფის გადმოცემის დროს, მხოლოდ მკრთალად არის მითითებული, რომ თვითმკვლელობის აზრამდე მიიყვანეს ნ. ნიკოლაძის, სპ. კედიას და ს. დანელიას თანამოაზრე-თანამებრძოლი, დიდი პატრიოტი. მაგრამ თავისი პიროვნების და საქმის გამართლებისათვის მან შინაგანი ადამიანური ძალა მაინც გამონახა, გაიბრძოლა და გამარჯვებასაც მიაღწია (იხ. გვ. 22-23 და სხვ.).

თუნდაც ზემოთ აღნიშნულთა გამო ეკუთვნის სტ. გაგუას სათანადო პატივით მოხსენიება იმ პირთაგან, რომლებმაც დაიჯერეს მისი მხრივ ავტონომისტობის მცდელობა და საბჭოთა პერიოდში აღმოცენებული ზოგი ჩხოუშელი ავტონომისტ-სეპარატისტის იდეური მამამთავრობა, მითუმეტეს, რომ მათ მიერ სტ. გაგუას საქმიანობის შესახებ დამკვიდრებული სიყალბე მიჩნეული იქნა სიმართლედ და „კარგად მივიწყებული წარსულად“. ასეთი განცხადებით და მათი ავტორების ავტორიტეტით სიყალბე ხომ მაინც დაუდასტურდა საზოგადოებას და ამით გარკვეულად ხომ ხელი შეეწყო „მაფალუს“ თუ ე.წ. „მაფალუიზმის“

შესახებ მცდარად დამკვიდრებული გაგების მდგომარეობას. მაშ რაღად გვიჭირს მონანიება?! მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მოცემულ თავში მობილიზებული ინფორმაციის ანალიზი დამაჯერებლად გვიდასტურებს:

1. სამეგრელოს მკვიდრმა მეგრელმა ქართველებმა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, საქართველოს განუყოფლობისა და მისი ერთიანობის შენარჩუნებისათვის ბეძოლაში შეასრულეს განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი;

2. რუსიფიკატორებთან სტ. გაგუას და მის მაფალუელობის ინიციატივას არავითარი საერთო არ ჰქონდა. „მაფალუ" იყო თვითმყოფადი, სპონტანური ეროვნულ-პატრიოტული გამოვლინება;

3. სტ. გაგუას მიერ წამოწყებული „მაფალუს" ინიციატივა გულისხმობდა სამეგრელოს რეგიონის კულტურული მონაპოვარის წარმოჩენას და ამით საერთო ეროვნული კულტურის გამდიდრებას;

4. სტ. გაგუას, როგორც ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ეროვნულ-დემოკრატების პარტიის ცნობილი წარმომადგენელის, ინიციატივა წარმოადგენდა მოცემული პარტიის ერთი (მეგრული) ფრთის (სპ. კედიას, ს. დანელიას, სტ. გაგუას, მ. კანკავას და სხვა) საერთო ინიციატივას.

თავი IV

„მეგრული საკითხისა“ და ე.წ. „მაფალუელთა“ ისტორიის საარქივო წყაროების მეთოდური და მეთოდოლოგიური მნიშვნელობის შესახებ

„მეგრული საკითხის“ ანუ იგივე ე.წ. „მაფალუელობის“ ისტორიის სხვადასხვა ხასიათისა და მიზანდასახულობის წყაროები იძებნება საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო არქივის მასალებისა და დოკუმენტის სახით. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: „საქართველოს პრეზიდენტის არქივის“, „საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის“, „საქართველოს უახლესი ისტორიის არქივის“, „ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის“ და „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივის“ (ე.წ. „სუკის“ არქივის) ფონდები. აქ არის საკვლევი პრობლემის მეცნიერული შესწავლის და მეთოდოლოგიური გააზრების ძირითადი საფუძვლების განმსაზღვრელი მასალები და დოკუმენტები. მოცემულ თავში ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნულიდან თემის მხოლოდ შემეცნება-გაშუქებისათვის აუცილებელი, საკვანძო მეთოდოლოგიური მნიშვნელობის დოკუმენტებზე შეჩერება და მათგან ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოთა წარმოჩენა. ეს არის ის წყაროები, რომლებმაც გვაიძულეს ალტერნატიული კონცეფციის ჩამოყალიბება.

მასალებისა და დოკუმენტების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით, აგრეთვე მეთოდოლოგიური ღირებულების დოკუმენტებით, განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს პრეზიდენტის არქივი (ანუ ყოფილი „მარქსიზმ-ლენინიზმის“ ინსტიტუტთან არსებული საქართველოს ფილიალის კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი“). აქ დოკუმენტები დაცულია რამდენიმე ძირითადი ჯგუფის მასალების სახით. მათში ჩვენთვის საყურადღებო დოკუმენტები იძებნება, უმთავრესად კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის (ფონდი 13), საქართველოს კომპარტიის (ფონდი 14), პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის (ფონდი 28), ხოლო 1930 წლის დარაიონების შემდეგ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის (ფონდი 59) მასალებში.

საყურადღებო ცნობები მოვიძიეთ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში, მათ შორის: საქართველოს უახლესი ისტორიის სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში (ფონდი 284, აღწ. 1, 2, 3); საქართველოს უახლესი ისტორიის საქართველოს სახკომსაბჭოს ფონდში (ფონდი 300, აღ. 1, 2); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში (ფონდი 471, აღ. 1,2); აგრეთვე, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდში (ფონდი 8, აღ. 1, და აღ. 2).

აღნიშნული არქივიდან ყველაზე თვალსაჩინო, ცალკე დამოუკიდებელ, კრებსით მასალებს შეიცავს პრეზიდენტის არქივში დაცული სპეციალური სქელტანიანი საქმე – „Мингрельский вопрос“ (ფონდი 14, აღწერა 6, საქმე 266). მასში თავმოყრილია მასალები სპეციალურად „მეგრული საკითხის“ მოგვარების და ე.წ. „მაფალუიზმის“ წინააღმდეგ საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ორგანოების დიდი მუშაობის წარმოსაჩენად. აქ შეტანილია ზოგჯერ ორივე გვერდზე ნაწერი სამ ასეულზე მეტი ფურცელის საერთო მოცულობის დოკუმენტი. იგი ქრონოლოგიურად XX საუკუნის 20-30-იანი წლების მეგრული საკითხის ისტორიას მოიცავს. უფრო ზუსტად, აქ მასალები იწყება 1925 წლიდან, ამიტომ მკითხველს უძნელდება პრობლემის წინა ისტორიის გაგება, მაგრამ აღნიშნული საქმე შეიცავს ვრცელ ინფორმაციას, რომლის ფესვები წინა ეპოქის მოვლენებს უშუალოდ უკავშირდება. საერთო ჯამში ეს საქმე შეიცავს 50-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა წარმოშობა-კუთვნილების, ხასიათის და მიზანდასახულობის უაღრესად ფართო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს.

აღნიშნული საქმე ანდამატივით იზიდავს, ერთი მხრივ, „მეგრული საკითხ-ისა“ და ე.წ. „მაფალუს“ ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსებს და პუბლიცისტებს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც წინა თავში ნახსენებ ბატონ ზვიად გამსახურდიას პუბლიკაციიდან ირკვევა, აგრეთვე „მეგრული საკითხის“ და „მაფალუს“ ისტორიის პოლიტიკანური, ანტიქართული მიზანდასახულობისა და სულისკვეთების ფალსიფიკატორებს. ამ უკანასკნელებს, როგორც ჩანს, მიზნად დაუსახავთ არქივში დაცული საქმის ყალბი და საჩოთიროდ მისაღები ინფორმაციების კოლაჟის გზით ფსევდო ისაკი ჟვანიას სპეციალური, ტენდენ-ციური და ანტიქართული მიზანდასახულობის „ხელნაწერი წიგნის“ შექმნა. ეს საქმე ამ ანტიეროვნული მიზანდასახულობის შესრულებისთვის, მართლაც დიდ შესაძლებლობას იძლევა, რადგან მასში მრავალი სიყალბის შემცველი დო-კუმენტიც იძებნება.

აღნიშნულის გამო, იქმნება იმის აუცილებელი საჭიროება, რომ „საქმეში“ დაცული დოკუმენტების წყაროთმცოდნეობითი ღირებულების გამორკვევის და შემეცნების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს, აგრეთვე, საქმეში დაცული დოკუმენტების ერთი მხრივ, ინფორმაციული, ხოლო მეორე მხრივ, დეზინფორმაციული ხასიათის ცნობების გამოკვლევას. ჩვენი დაკვირვებით, მათი ნამდვილი და დეზინფორმაციული ხასიათის ამოცნობა-გაშიფვრისა და გათვალ-ისწინების გარეშე „მეგრული საკითხის“ და „მაფალუს“ ნამდვილი ისტორიის შესწავლა შეუძლებელია.

აღნიშნული საქმე (266) აერთიანებს საქართველოს კომპარტიის ცენტრა-ლური კომიტეტის, ცკ-ის ცენტრალური საკონტროლო კომისიის, პარტკოლე-გიის, ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებებს, აკსფს რესპუბლიკის სამხარეო კო-მიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ ზუგდიდის მაზრის (რაი-ონის) პარტიული ორგანიზაციის შემოწმების მასალებს, ზუგდიდის მაზრის პარტიული და საბჭოთა ცენტრის დადგენილებათა ოქმებს, მათი ერთ-ერთი გაერთიანებული სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს; პარტიის ზუგდიდის სა-მაზრო კომიტეტის (და რაიკომის), აგრეთვე მისი მდივნის ისაკი ჟვანიას მიერ საქართველოს კომპარტიისა და სხვა ხელმძღვანელი ცენტრების თუ მათი ხელმძღვანელი მუშაკებისადმი დაგზავნილ წინადადებებს; ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის (შემდეგში რაიკომის) მდივნის ხელმოწერილ პარტიულ ინსტან-ციებში, მათ შორის საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროსადმი და საქართ-ველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნებისადმი (ჰ. მელაძის, ლ. ბერიას და სხვ.) წარდგენილ განმარტებათა და თხოვნის წერილებს, მათ შორისაა ი. ჟვანიას ავ-ტოგრაფი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ მისი ნააზრევი სხვა ხელნაწერი წერილებისაგან.

ამავე საარქივო საქმეში დაცულია ზუგდიდის მაზრის ცალკეული სოფლე-ბის გლეხების და მაზრის ზოგი საწარმოს მუშაკთა სამეგრელოს ინტერესების შემცველი კოლექტიური განცხადებები, მამხილებელი წერილები და საჩივრები, რომლებიც ეგზავნებოდა რესპუბლიკისა და საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელ ორგანოებს, ან უშუალოდ ი. სტალინს.

მეორე მხრივ, მოცემულ საქმეში მრავლად არის შეტანილი ზუგდიდის მაზ-რის (შემდეგ რაიონის) თვალსაჩინო მუშაკების პროფი და მიხეილ მამფორიების, ვ. ბოკუჩავას, მ. პერტახიას, ი. გვასალიას, აგრეთვე ზუგდიდის მაზრის შე-მადგენლობიდან გამოყოფილი, დამოუკიდებელი რაიონების ხელმძღვანელ პირთა (ვ. უბირიას, ვ. შოგირაძის, აკ. კობახიძის) საჩივრები ზუგდიდის რაიკომის და კერძოდ მისი მდივნის ი. ჟვანიას „ანტიპარტიული“ საქმიანობის შესახებ.

ამ საქმით დაინტერესებულები ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, რომ ეს საქმე სპეციალურად, მიზნობრივად შეიქმნა და რომ ამიტომ მასში მა-სალები შეტანილია უპირატესად წინასწარგანზრახულად და ტენდენციურად. მასში ვხედავთ სამეგრელოს ავტონომიის მომხრეებსაც და მეგრული სეპარატიზ-მის ერთეულ „ბელადებსაც“, აგრეთვე მათ შესახებ წინააღმდეგობრივი და ალ-

ტერნატიული შინაარსის ინფორმაციასაც. ამდენად, „მეგრული საკითხის“ და „მაფალუს“ ისტორიის შესახებ სიმართლის დადგენა უსათუოდ მოითხოვს დოკუმენტების კრიტიკულ-ანალიტიკურ შესწავლას, რომლის დროსაც საჭიროა არა მარტო დოკუმენტების შიდა ინფორმაციის გაკონტროლება, არამედ უმთავრესად ამ კრიტიკულ-ანალიტიკურ ლაბორატორიულ პროცესში სხვა არქივებში დაცული დოკუმენტების უსათუო ჩართვა-გათვალისწინება და საერთო შედეგებით თემის გარშემო არსებულ ოფიციალურ პუბლიკაციებში შესული ინფორმაციული ბაზის გაკონტროლება-დაზუსტება. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება „მეგრული საკითხის“ და ე.წ. „მაფალუს“ ნამდვილი ისტორიის შემეცნება და მისი მეცნიერული გაშუქება.

„მეგრული საკითხის“, ე.წ. „მაფალუელების“, ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების ნამდვილი ისტორიის გამოკვლევის მიზნით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

1. საქმე „მეგრული საკითხის შესახებ“ ი. სტალინის მიერ საქართველოს კომპარტიის მდივნად აღზევებული ლავრენტი ბერიას მეურვეობით შეადგინეს, მიზნობრივად და ტენდენციურად.

2. ლ. ბერია იყო ის პიროვნება, რომელმაც ჯერ კიდევ 1922 წელს, საქჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების მუშაკად ყოფნის დროს, გამოავლინა მისწრაფება საქართველოს პოლიტიკური პროცესები გადაეჭრა სტალინის მიზანდასახულობების შესაბამისად, ანუ „ნიადაგი ისე გადაეხნა“, რომ მასზე ვერავითარ პარტიის სტალინური ხაზის საწინააღმდეგო „სარეველას“ ვერ ეხარა. ი. სტალინის მიმართ ასეთმა დაპირებამ უზრუნველყო მისი საქართველოს ჩეკას თავჯდომარის მოადგილედ დაწინაურება, შემდეგ კი მის მიერ სტალინთან მუდმივი საიდუმლო კავშირის დამყარება, ხელმძღვანელ მუშაკთა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ბელადის მიზანდასახულობების შესაბამისად მართვა (ამ საკითხზე იხ. დ. გელაშვილის პუბლიკაციების ციკლი, რომელშიც გადმოცემულია ბერიას უახლოესი თანამებრძოლი ჩეკას გენერლის, შემდეგ (1953 წლიდან), ბერად შემდგარი მამა ალექსის (იგივე მანუჩარ შელია) მოგონებები „დილის გაზეთში“, 1999, №151, 152 და სხვ.).

უფრო მეტიც, როგორც ჩანს, სტალინთან ლ. ბერიას საიდუმლო კავშირურთიერთობა გახდა იმ შესაძლებლობის შემქმნელი, რომელმაც გამოიწვია ჩვენი უახლესი ისტორიის რიგი პროცესების, მათ შორის „მეგრული საკითხის“ მართვა-გაყალბება და ამ ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის პიროვნების საქართველოს უზენაეს ხელმძღვანელობაში აღზევება.

საყურადღებოა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოს ხელმძღვანელმა ცენტრმა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შესაბამისად ასაზრდოვა სამეგრელოს ერთიანი ტერიტორიული სამეურნეო-ეკონომიკური მართვის მიზანშეწონილობის იდეა.

წყაროები მოწმობენ, რომ ი. ჟვანიას მიზანდასახულობა შესაბამისობაშია ამავე და სხვა საქმეში დაცულ დოკუმენტებთან, საიდანაც ჩანს, რომ სამეგრელოს ერთიანი ოლქის შექმნის იდეას 1922-1923 წლებში მხარს უჭერდა საქართველოს ხელისუფლება.

არქივის ამავე მე-14 ფონდში დაცულია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის 1 ივნისის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „მოისმინეს: ქართველიშვილის წინადადება შემდეგი მაზრების გაერთიანების შესახებ: რაჭა-ლეჩხუმი და ზუგდიდი-სენაკი-ფოთი. დაადგინეს: ასეთი გაერთიანება ჩაითვალოს სასურველად. ამ საკითხით შევიდეთ ცეკას პლენუმზე წინადადებით. გატანილი იქნას საბოლოო გადაწყვეტა ამ საკითხისა საქართველოს ცკ-ის სესიაზე“ (აღწ. I, ს. 493, ფურც. 41/2). აქედან ნათლად ჩანს, რომ ერთიანი სამეგრელოს ოლქის შექმნის იდეა არ ეკუთვნის არც „ჩხოუშიელ“ ავტონომისტებს და არც ისაკი ჟვანიას.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის 12-15 სექტემბრის პლენუმმა დაგმო ზოგიერთების აზრი: „ეს ისაა, რომ მეგრელებს სთვლიან ქართველებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ნაციად". პლენუმზე ითქვა: „ასეთი ბოროტება არის და მას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხს რაიმე მივცეთ მეგრულ ენაზე, ამის წინააღმდეგ არავის შეუძლია წასვლა. გლეხს მეგრულ ენაზე უნდა მივცეთ პატარა ბროშურები სასოფლო სამეურნეო ცხოვრებიდან, რომ წაიკითხოს, გაიგოს და მოახდინოს ქართულის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომელიც ღუპავს გლეხობას" (იქვე, ფონდი 14, აღ. 1, ს. 490, ფ. 7/2. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

ამ დროს ი. ჟვანია ზუგდიდის სამაზრო კომიტეტში ჯერ კიდევ არ იყო მოვლენილი. მაშასადამე, სამეგრელოს ოლქის დაარსების, მეგრულ ენაზე გლეხური ლიტერატურის გამოცემისა და მეგრულით ქართულის უცოდინარობის დაძლევა ი. ჟვანიას მოგონილი არ ყოფილა. ჩვენამდე ამ დოკუმენტებს, როგორც ჩანს, არც ერთი „მეგრული საკითხით" დაინტერესებული მკვლევარი არ გასცნობია. ჩვენი აზრით, ამიტომ არის, რომ ზოგს სამეგრელოს ერთ რეგიონალურ ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანება ი. ჟვანიას ახირება და ავტონომიისათვის ბრძოლაში მისი ინიციატორობა ჰგონია.

ამის მიუხედავად საქმის გარკვევა ისე აირია, რომ მასში ბოლომდე მოყვარული პუბლიცისტი კი არა, კვალიფიციური მკვლევარიც კი ვერ ერკვევა. ამის მთავარი მიზეზი კი გახდა ი. ჟვანიას მიმართ ბერიას 1925 წლიდან მომდინარე მტრობა. წყაროებიდან ჩანს, რომ. ი. ჟვანია და ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობა ალ. გეგეჭკორის მიერ დაწინაურებული და შეუპოვარი კადრი იყო. ბერია კი ვერ ითმენდა ვერავის, ვინც მას უსიტყვოდ არ ემორჩილებოდა, განსხვავებულ პოზიციაზე იდგა და მისი საქმიანობის მხარდამჭერი არ იყო.

საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1925 წლის 3 სექტემბერს მიიღო ცნობილი დადგენილება „მეგრული საკითხის შესახებ", რომლითაც მოითხოვდა: „იმ თემებში სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა, აუცილებლად ჩაითვალოს ურთიერთობა მეგრულ ენაზე... რაიონის სასამართლოში, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაშვებული იქნას სასამართლო ლაპარაკი და სასამართლო განაჩენისა და დადგენილების გაცემა მეგრულ ენაზე. შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხების გაზეთის და სააგიტაციო ხასიათის ფურცლების გამოცემა"... (მეგრულ ენაზე — ავტ. ფონდი 14, აღ. 2, ს. 359, ფურც. 29). ეს ნათლად გვიჩვენებს იმას, რაც ზოგ პუბლიცისტს ი. ჟვანიას ახირებით მოპოვებულად ეჩვენებათ. მაგრამ ბერიამ „მეგრული საკითხის" მოგვარებით დაინტერესებული ყველა მიმდინარეობა (საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციული მეგრული ერთეულის, სამეგრელოს საქართველოში შემავალი ავტონომიური ოლქის, სამეგრელოს საქართველოსაგან დამოუკიდებელი ავტონომიური წარმონაქმნის და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის განსხვავებული მოთხოვნის მომხრეები) ალ. გეგეჭკორის მსგავსად ერთ საერთო ე.წ. „ძაფალუისტების" ავტონომისტურ მიმდინარეობად გაასაღა, — ხოლო მის მფარველად, ალ. გეგეჭკორისგან განსხვავებით, გამოაცხადა ზუგდიდის ახალი, სეპარატისტული და ავტონომისტური მისწრაფებების წინააღმდეგ მებრძოლი ზუგდიდის ცენტრი და მისი ლიდერი — ი. ჟვანია (მხედველობაში გვაქვს 1925 წლის 13 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული ლ. ბერიას ცნობილი პუბლიკაციაც).

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სათანადო წყაროების მიხედვით ბერიამ ჩეკისტ ილარიონ თოდუას ზუგდიდში მივლინებით (2.IX.1925 წ.) თვითონ მოაწყო ძველი ავტონომისტების (ანდრო ჯიქია და კიმოთე თორდიას, ორგანიზაციული საქმიანობის პროგოცირება და მათ ხელმძღვანელად მიშა დადიანის გამოცხადება (იხ. ალ. დაუშვილი, დასახელებული სტატია, გვ. 146-167).

მე-14 ფონდის ერთ-ერთი დოკუმენტი ადასტურებს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული და მათ მიერვე უგულებელყოფილი ღონ-

ისძიებების რეალიზაციის მიზნით 1929 წლის 12 სექტემბერს სტალინს ი. ჟვანიამ სთხოვა:

1. გაერთიანებული სამეგრელოს ოლქის და საოლქო აღმასკომის შექმნა;

2. მეგრულ ენაზე გლეხური გაზეთის და სხვა გლეხური ლიტერატურის გამოცემა;

3. სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება. ყველა სამ საკითხზე სტალინმა დადებითი მითითება გასცა (ფონდი 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 75-75/2). აქედან ჩანს, რომ ი. ჟვანიამ ითხოვა მხოლოდ ის, რაც ადრე საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის მიერ იქნა მიჩნეული შესაძლებლად და რაც მეცნიერულ-პედაგოგიურ მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგებოდა. სტალინისა და ი. ჟვანიას ნების ეს თანხვედრა ბევრი შემდგომი მოვლენის გაგების მეთოდოლოგიური საშუალებაა.

წყაროებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ლ. ბერიას პირადი, სუბიექტური დამოკიდებულება ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრის ახალი ხელმძღვანელების მიმართ უკვალოდ არ გაჰქრა და თავს იჩენდა 20-30-იანი წლების მთელ სიგრძეზე. იგი გამოვლინდა ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ საქართველოს პარტიული ცენტრის ხელმძღვანელთა და მათგან წაქეზებული ოპოზიციის საქმიანობით. ამას აქეზებდა ლ. ბერიას მუდმივი აღზევება, ხოლო 1931 წლიდან მისი დაწინაურება საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეთაურად. ბერიას ასეთი აღმავალი კარიერა მის მიმართ მლიქვნელად განაწყობდა ქვეშევრდომ პარტოკრატებს, განსაკუთრებით, დარაიონების გამო დაშლილი ზუგდიდის ყოფილი მაზრის ახალი რაიკომების ხელმძღვანელებს. ამიტომ ისინი ბერიას საამებლად ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრეების მიმართ ზოგჯერ დანაშაულებრივ სიყალბეებსაც არ ერიდებოდნენ.

საქართველოს კომპარტიის მდივნად ლ. ბერიას დაწინაურების შემდეგ, ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრის ოპოზიცია გახდა ის მთავარი დასაყრდენი ძალა, რომელმაც „მეგრული საკითხის" ბერიასეული გეზით მოგვარების საქმეში განსაკუთრებული გულმოდგინება გამოავლინა და მოწინააღმდეგეების (ი. ჟვანიას და სხვ.) განადგურებისათვის ბრძოლაში ლ. ბერიას მხარდაჭერით წაქეზებულებებმა, ზოგ სიმართლესთან ერთად, უხვად გამოიყენეს სიყალბე, ცილისწამება, ინტრიგა, დაბეზღება.

საყურადღებოა ჩხორწყუს რაიონის მკვიდრის, მოსკოვის მეღორეობის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტის, ზოოტექნიკოს ანტონ ნაჭყებიას 1931 წლის 7 ოქტომბრის წერილი — „სკპ(ბ) ბელადს ამხ. სტალინს". წერილში ნათქვამია: „გიგზავნით პირადად თქვენ სამეგრელოს ჩხორწყუს რაიონის კოლექტიური მეურნეობის საზოგადო კრების ოქმების ასლებს იმიტომ, რომ საქართველოს ცეკას რომ გავუგზავნო, იმედი არა მაქვს, რომ ზომებს მიიღებს ზოგიერთი პირების შემწეობით" (იხ. იქვე, ფონდი 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 103). აქედან ჩანს, რომ სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილისათვის საქართველოს ცენტრთან დამაკავშირებელი ნდობის ხიდი ჩატეხილი ყოფილა.

განსაკუთრებით საინტერესოა მოცემულ საქმეში შეტანილი ი. ჟვანიას 1931 წლის 20 ნოემბრის წერილი „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანს — ამხ. ლ. ბერიას". აქ ნათქვამია: „თქვენთან 19/XI-31 წ. მოლაპარაკების თანახმად, მეგრული საკითხის საქ. კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტისათვის გიგზავნით დოკუმენტებს". იგი აქვე განმარტავს, რომ „ეს საკითხი სხვადასხვა დროს არაერთგზის განიხილებოდა, მაგრამ არასდროს არ მიიღო სწორი გადაწყვეტა, ამიტომ ზუგდიდის რაიონული პარტიული ორგანიზაცია ამ საკითხს აყენებს თქვენს წინაშე..."

ი. ჟვანიას განმარტებით მეგრული საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ:

„1. გაფორმდეს მეგრული ოლქი (და არა ავტონომიური ოლქი — ავტ.) იმ რაიონებისაგან, რომლებშიც მშრომელი მოსახლეობის (გლეხობის — ავტ.) უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა.

2. ნება დაერთოს მითითებული რაიონების დაწყებით (! — ავტ.) სკოლებში სწავლებას მშობლიურ, ე.ი. (ერთადერთ სალაპარაკო და გასაგებ — ავტ.) მეგრულ ენაზე".

ასეთ რაიონებად ჩამოთვლილია ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი; ხოლო ნაწილობრივ მარტვილი, აბაშა და ფოთი — როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ამ რაიონების მეგრულ დედაენაზე მოსაუბრე სოფლები. ჩვენი აზრით, ეს არის ი. ჟვანიას ერუდიციის და არა პარტიკულარიზმის მაჩვენებელი.

ამავე საქმეში დაცულია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1931 წლის 28 ნოემბრის საიდუმლო გზავნილი (№82/87/ს), რომელიც გვამცნობს: „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს: ამხანაგ ბერიას დავალებით გასაცნობად გეგზავნებათ მეგრული საკითხის შემდეგი მასალები"...

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებისადმი გაგზავნილი დოკუმენტების ჩამონათვალი და საქმეში დაცული კონკრეტული დოკუმენტების შინაარსი მოწმობს, რომ ლ. ბერიამ ი. ჟვანიასადმი მიცემული პირობა შეასრულა თაღლითურად: ცკ-ის წევრებს დაუგზავნეს ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეთა საჩივრები, რომლებიც, ზოგ სიმართლესთან ერთად, ჭარბად შეიცავდნენ ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრეების შესახებ აშკარად გაყალბებულ ინფორმაციას, ყალბ ფაქტებსა და ი. ჟვანიასეულად გასაღებულ აშკარად დამახინჯებულ ანტიქართულ არგუმენტაციას.

ამ „მასალებში" განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრებისათვის დაგზავნილ დოკუმენტებს შორის დასახელებული ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილება მითითებულია, როგორც სექტემბრის დადგენილება. აგრეთვე ისიც, რომ გაყალბებულია დადგენილების „მუხლი 1". აქ ვკითხულობთ: „Оформить Мингрелию, как культурно-территориальную единицу входящую в СССР" (იხ. იქვე, ფურც. 54/2). სხვა მრავალი დოკუმენტი და მათ შორის ი. ჟვანიას მიერ 1931 წლის აგვისტოში საკავშირო კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროსადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც ამავე საქმეშია დაცული, ეჭვის გარეშე ადასტურებენ საწინააღმდეგოს, რომ მოცემული დადგენილება მიღებულია არა 24 სექტემბერს, ანუ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ „მეგრული საკითხის" შესახებ 3 სექტემბრის დადგენილების მერე და მის საწინააღმდეგოდ, არამედ მანამდე — 24 აგვისტოს და დადგენილების მუხლის შესაბამისი ტექსტი ასეთია: „Оформить Мингрелию, как культурно-территориальную единису, входящую в ГССР" (იხ. იქვე, ფურც. 74). ჩვენი აზრით, სახეზეა ბოროტი სიყალბე, რომელიც მიზნად ისახავდა, ამ დროს შექმნილი კონიუნქტურის მიხედვით, ი. ჟვანიას მიმართ ცკ-ის წევრებში ანტიპატიისა და მტრობის ხელოვნურ გაღვივებას. არქივის „საქმეებში" ი. ჟვანიას საწინააღმდეგოდ ბევრი სხვა „შეცდომა" და სიყალბე გვხვდება. მათ შორისაა სიყალბე, რომელიც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თითქოს ი. ჟვანია იბრძვის „სამეგრელოს ავტონომიური ოლქად" გამოყოფისათვის (იხ. იქვე, ფურც. 48/2, 49, 86, 88, 89, 162). არადა, ასეთი პირველწყარო ჯერ ვერავინ აღმოაჩინა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მათი ცილისწამების საწინააღმდეგო, ზუგდიდის რაიკომის ბიუროს და რაიონული საკონტროლო კომისიის 1931 წლის 11 ნოემბრის გაერთიანებული აქტივის გაფართოებული სხდომის ოქმი №4, რომელიც ერთვის ი. ჟვანიას მიერ ლ. ბერიასათვის გადაცემულ სხვა დოკუმენტებს და არა მარტო აკრიტიკებს არამედ აბათილებს მისი ავტონომისტობის მთავარ ბრალდებებს (იხ. საქმე №266, ფურც. 41, 41/2, 42, 42/2). ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ ზუგდიდის ცენტრის მოთხოვნებში საუბარია სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის, და არა ავტონომიური ოლქის, მოთხოვნის შესახებ და სხვ. საყურადღებოა, რომ ეს დოკუმენტი ი. ჟვანიასგან მიიღო და ასლის სახით მოამზადა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სპეციალურმა განყო-

ფილებამ, რასაც ადასტურებს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის საიდუმლო განყოფილების უფროსის, ოგანიანის ხელმოწერა, მაგრამ იგი საქართველოს კომპარტიის წევრებისათვის გადასაცემად გათვალისწინებული დოკუმენტების ჩამონათვალში გამოტოვებულია. ამდენი „შემთხვევითობა" დამატებით ადასტურებს იმ კანონზომიერების არსებობას, რომელიც ცხადყოფს, რომ ლ. ბერია „მეგრული საკითხის" მოგვარების საქმეში თანამიმდევრულად იცავდა 1925 წლის აგვისტო-სექტემბრიდან დასახულ ჩეკისტურ გეზს, რომელიც ილარიონ თოდუას მიგზავნაში, მის 13 სექტემბრის წერილში აისახა, მიზნად ისახავდა „მეგრული საკითხის" პრობლემების თავისებური, ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებასა და „მეგრული საკითხის" მომგვარებელი ი. ჟვანიას კურსის გაბიაბრუებას.

რაც შეეხება ი. ჟვანიას მიერ „სამეგრელოს სკოლების მეგრელიზაციას" და „სამეგრელოს ავტონომიურ" მოწყობას, საარქივო მასალები მოწმობენ, რომ ამ ცილისწამებამ აპოგეას 1932 წლის ბოლოს მიაღწია. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ლ. ბერიასა და ი. ჟვანიას დაპირისპირება ამ დროს უკვე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჩვენი აზრით, ამ დროს ბერიამ შეძლო „მეგრულ საკითხში" სტალინის გაწყობისა და გულის, თავისი აზრის მიხედვით მოგება.

„მეგრული საკითხის" შესახებ თავმოყრილ დოკუმენტებში შესაძლებელი ხდება ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრის მოწინააღმდეგე წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ხელმძღვანელების მიერ ხელოვნურად და მიზნობრივად გაყალბებული ღონისძიებების ამოკითხვა. სათანადო დოკუმენტებით ცხადი ხდება, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციული ხმების გავრცელებას იმის შესახებ, თითქოს „ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები, ამხ. ი. ჟვანიას მეთაურობით, დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამეგრელო გამოაცხადონ ავტონომიურ ოლქად", თითქოს ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერები იბრძვიან ყველა სკოლაში სწავლების თავიდან ბოლომდე, მთლიანად მეგრულ ენაზე გადაყვანის, მეგრული ლიტერატურისა და კულტურის შექმნისათვის და ა.შ. ამ მოგონილ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით გატარდა აღნიშნული ოპოზიციონერი ხელმძღვანელების მიერ მიზნობრივად ორგანიზებული ღონისძიებები: მოეწყო რაიონული და სასოფლო მოჩვენებითი საპროტესტო კრებები. მათი ორგანიზების მიზნით ცენტრალიზებული წესით მომზადდა წინასწარ დაბეჭდილი ტრაფარეტული ოქმები. მათში აბსოლუტურად ყველა საჭირო დეტალი წინასწარ იყო გათვალისწინებული და დაბეჭდილი. საჭირო იყო მხოლოდ ადგილზე თუნდაც რამდენიმე მხარდამჭერის მოგროვება ოქმში წინასწარ გათვალისწინებული წერტილების ნაცვლად შეტანა ისეთი მაჩვენებლებისა, როგორიცაა ოქმის ნომერი, სოფლის სახელწოდება, დამსწრე პარტიის წევრების და კანდიდატების რაოდენობა, იგივე მაჩვენებლების შეტანა კომკავშირელების შესახებ; კრების თავმჯდომარისა და მდივნის ვინაობის მითითება; თბილისში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანთან ოქმში აღნიშნულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად გამოყოფილი ერთი სასურველი წარმომადგენლის გვარის შეტანა და ოქმის ნამდვილობის რამდენიმე ხელმოწერითა და სათანადო თარიღით დადასტურება. ე.ი. იმუშავეს ხალხის მაგივრად (იხ. იქვე, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 102-104 და სხვ.). დოკუმენტები მოწმობენ, რომ ამ და მსგავსი მეთოდებით ჩატარდა წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონის ძირეული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა კრებები, ამის შემდეგ კი რაიონული კონფერენციები. სათანადო დოკუმენტებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ამ კამპანიას ხელმძღვანელობდნენ ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეები და იდეაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მომდინარეობდა. ზუგდიდის ცენტრის აქტივის წევრები უშეცდომოდ მიუთითებდნენ, რომ ბოკუჩავა-პერტახიას არალეგალურად მართავდნენ და ასეთად დასახელებულია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ერიკ ბედია (იხ. იქვე, ფონდი 59, აღ. 1, ფურც. 41, 27). აქედან ცხადი ხდება, რომ იგი ამ დროს ლ. ბერიას დავალებას ასრულებდა.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა. მოსახლეობამ არა მარტო საკუთარი აღღოთი, არამედ ფიზიკური ზეწოლითაც იგრძნო აღნიშნული კამპანიის ნამდვილი აზრი. ამას მოწმობს ამავე საქმეში დაცული წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის მკვიდრისა და ერთი ასეთი გაყალბებული კრების მონაწილის ანონიმური წერილი საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ფ. მახარაძის, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის გ. მგალობლიშვილის და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის ბერიას მისამართით (17. II. 1932). ამ ანონიმური წერილიდან ირკვევა, რომ წალენჯიხის ცენტრიდან სპეციალურად მოვლენილმა პიროვნებამ სოფ. ფახულანში ჩაატარა კრება 9 კაცის მონაწილეობით, დაგმო ვითომ „ი. ჟვანიას მიერ ორგანიზებული სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა", „აირჩია დელეგატი თბილისში, ცკ-ში სოფლის მშრომელთა აზრის ჩასატანად" და სხვ. ანონიმი ავტორი დასძენს: „თუ მე აქ (ე.ი. ანონიმურ წერილზე — ავტ.) მოვაწერე ხელი, დამემართება ის რაც დაემართა ს. ფახულანის მცხოვრებ სილიბისტრო ჯონის ძე შონიას, არსენა გერგედავას, ევგენი შონიას და სხვებს. პირველ ორს იმდენი ურტყეს წალენჯიხის პოლიტ სამმართველომ, რომ ეხლაც ძლივს წვებიან ზურგზე. კითხეთ მაგნებს..." ეს ნათლად მოწმობს, რომ სიყალბე „ზემოდან" იყო ნამართავი და ამაში გამოყენებული იყო არა მარტო ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე, ცილისმწამებელი წალენჯიხის პარტიული ხელმძღვანელობა, არამედ სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი, წალენჯიხის განყოფილების მუშაკები.

ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობის მიმართ ავტონომისტობის ბრალდების სიყალბეზე მიგვანიშნებს სხვა უამრავი წყარო. მათ შორის საყურადღებოა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის არქივში დაცული, ზუგდიდის კომიტეტის 1929 წლის მარტის X მოწვევის II პლენუმის მასალები. იგი ასახავს საქართველოს ახალი დარაიონებისა და ოლქების ორგანიზებასთან დაკავშირებით ზუგდიდის ადგილისა და როლის გარკვევისათვის მთავრობის დავალებით ჩატარებულ მუშაობას. ამ სხდომას, საკითხის შესწავლის მიზნით, ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრის წარმომადგენლები კოლია სვანიძე, ეპიფანე კვანტალიანი და ვასო ქურდაძე. მაშასადამე, რაც აქ ხდება კანონიერია და დასაჯერებელია.

აქ ი. ჟვანიამ და ზუგდიდის წარმომადგენლობამ დაიცვეს აზრი, რომლის მიხედვით საქართველოს ხელისუფლების მიერ სამეგრელოს ოლქის ცენტრად რეკომენდირებულ ფოთთან შედარებით ზუგდიდის კლიმატური, სამეურნეო-გეოგრაფიული, სატრანსპორტო და სხვა უპირატესობის შესახებ. აქ თვით ზემო სვანეთის წარმომადგენელის მიერ ითქვა, რომ ზუგდიდის საოლქო ცენტრად არჩევა შედიოდა ზემო სვანეთის მოსახლეობის ინტერესებშიც.

ი. ჟვანიამ ცენტრის წარმომადგენელთა წინაშე განაცხადა: „ცეკამ მოგვცა უფლება, რომ მეგრულ ენაზე მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია". ამასთანავე მან განმარტა, რომ მეგრული ენის გამოყენების მიზანს წარმოადგენდა პრაგმატული აუცილებლობა. ი. ჟვანიამ განაცხადა: „ამხანაგები ამბობენ როგორ იქნება მეგრულ ენაზე გადასვლა ეს იქნება უკან სვლაო". მისი აზრით ეს მეწშევიკური აზრია. ი. ჟვანიამ განმარტა: „ჩვენ გამოუშვით კედლის გაზეთი მეგრულ ენაზე. ინსტრუქციაც გამოუშვით მეგრულ ენაზე. გლეხები იძახდნენ ჩვენც ვყოფილვართ კაციბიო". ადგილიდან წამოიძახეს: „შეიძლება თუ არა სკოლებშიც შემოვიღოთ მეგრული ენა." ამასთან დაკავშირებით ი. ჟვანიამ უპასუხა: „ეს საკითხი ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. ეს დიდი მეცნიერული საკითხი არის. მე მგონია, გამოყოფილი იქნება კომისია, რომ შეისწავლოს ეს საკითხი. ჯერ-ჯერობით კი უნდა დარჩეს ეს საკითხი ისე როგორც გადაწყვეტილება არის ცეკასი" (ფონდი 28, აღ. 1, ს. 718, ფურც. 2-5, ხ — 24, 29-34). ცენტრის წარმომადგენლების აზრი პლენუმის სტენოგრაფიულ ჩანაწერში არა ჩანს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, აქ ანტიეროვნული არაფერი თქმულა. რაც ითქვა პარტიის პრაგმატული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, ცხოვრებაში

ამა თუ იმ სახით კიდეც გატარდა. ეს ამბები საყურადღებოა იმიტომ, რომ ბევრი ავტორის მიერ გაგებულია საწინააღმდეგოდ, ანუ მცდარად.

ვისაც მართლა უნდა გაარკვიოს ზუგდიდელების დამოკიდებულება ეროვნული ინტერესების მიმართ მან, ჩვენი აზრით, აუცილებელია გაარკვიოს პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების არსი და არ გაიმეოროს ცილისწამებები ი. ჟვანიას თუ მისი თანამოაზრეების მიმართ.

ყველაზე ღვარძლიანი კრიტიკა სამეგრელოს ინტერესების დამცველებმა განიცადეს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე. აქ ბერიას, მ. კახიანის აზრის მიმდევრებმა რაღა არ მოიგონეს და რა არ დააბრალეს ი. ჟვანიას და გ. გაბუნიას. მაგრამ მათგანაც საკადრისი და სავსებით მკაფიოდ გასაგები პასუხები მოისმინეს. ი. ჟვანიამ განაცხადა: „ჩვენ არ უნდა დაგვწამონ რაღაც ბავშვური მოთხოვნები მეგრულ ენაზე სწავლების შესახებ. ეს უსაფუძვლო ბრალდება იქნებოდა. ყველა ჩვენი მოთხოვნა ცენტრ. კომიტეტშია და ჩვენს მოთხოვნებსა და ცენტ. კომიტეტის დადგენილებებს შორის არავითარი უთანხმოება არ არის"; „სკოლებში სწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე" (ეს არის კარგად გარკვეული პასუხი იმათ მიმართ, რომლებიც ეჭვობდნენ, რომ ი. ჟვანიას გულში სხვა უდევს, დღეს უნდა სკოლის მეგრელიზაცია, ხვალ მეგრული უნივერსიტეტიო — ავტ.); „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენმა გლეხობამ მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს სახელმძღვანელო მასალა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწეოდეს ის სოფლის მეურნეობას"...

გ. გაბუნიამ განმარტა: „ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ სამეგრელოსათვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული კულტურა, ლიტერატურა და სხვ". მან გააკრიტიკა ის ამხანაგები, რომლებიც წინააღმდეგი არიან იმისა, რომ ქართული ენა არის საავალდებულო (მხედველობაში ჰყავს „ნოთელები"), როგორც სახელმწიფო ენა. მაგრამ არ დაეთანხმა იმათაც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ „ის თუნდაც ძალდატანებით უნდა იქნას გატარებული და საჭირო არ არის რაიმე ბროშურა გამოიცეს მეგრელებისათვისო". გ. გაბუნიამ ლენინის დამოწმებით, დაწყებით სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლებაც საჭიროდ მიიჩნია. ამის გამო პროვოკაციული კითხვა დაუსვეს: „თქვენ ენა არა გაქვთ?" როგორც ჩანს, განუზოგადეს და ნიშნი მოუგეს, ქართული ენა გაქვთ და ამის იქით ნულარ იხედებითო. ამის გამო გ. გაბუნიამ უპასუხა: „ჩვენ გვაქვს ენა. მეგრული ენა ლინგვისტიკის თვალსაზრისით ენას წარმოადგენს... ეს იმით აიხსნება, რომ სამეგრელო ჩამორჩენილი, პატრიარქალური მხარეა"... ამას მოჰყვა ისევ შეკითხვა: „მეგრელები განსაკუთრებულ ერს შეადგენენ?" გ. გაბუნიას პასუხი ასეთია: „მეგრელები არ წარმოადგენენ ეროვნებას, ის არის ტომი... კომუნისტები ზუგდიდში ვებრძვით და მომავალშიც ულმობელ ბრძოლას ვაწარმოებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც აქამდე იმას ამტკიცებდა, რომ მეგრელები განსაკუთრებულ ეროვნებას წარმოადგენენო, მაგრამ იმას, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სამეგრელოს შესახებ, ჩვენ ცხოვრებაში გავატარებთ. ეს იქნება დროებითი ღონისძიება. ეს საჭირო იქნება მხოლოდ რამდენიმე ხნით" (იხ. საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ტბ. 1929, გვ. 161-163; 165-169). ზუგდიდის ხელმძღვანელობას ამ სიტყვებისთვის არსდროს უღალატია. რატომ არ უნდათ ზემოთ აღნიშნული ფაქტების დაჯერება იმ ავტორებს, რომლებიც სამეგრელოში და ზუგდიდში ადგილობრივ ნაციონალიზმსა, თუ ი. ჟვანიას „ავტონომისტობას" მუდმივად „ხედავენ"?! იმიტომ, რომ ოფიციალურ და ტრადიციულ კონცეფცია-გაგებას თავს ვერ აღწევენ. ჩვენ კი მსგავსი ფაქტები ალტერნატიული აზრით გვაკვალიანებენ.

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები პოლიტიკანური და პროვოკაციული ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც იძლევიან. ეს გამოწვეულია მრავალი მიზეზით. მათ შორის აღსანიშნავია პოლემიკის მონაწილეთა ცოდნის დონე, აზრის გადმოცემის ლოგიკურობის ხარვეზიანობა, კომუნისტური მსოფლმხედველობა და სხვა. მაგრამ ერთი და უმთავრესი ნათლად არის გასაგები: ი. ჟვა-

ნია და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლები ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ცდილობენ ზოგადპარტიულ და ზოგადეროვნულ მოთხოვნებში ჩააქსოვონ რეგიონის მოსახლეობის ინტერესებიდან მომდინარე ის აუცილებელი, გარდამავალი ხასიათის მოთხოვნები, რომელიც აინტერესებს ქართულის არმცოდნე მწარმოებელ მასას და საერთოდ მეგრელებს. ამის გაგება, რატომღაც ბევრ მოწინააღმდეგეს არ უნდა.

ზუგდიდის რაიკომის ფონდის საარქივო მასალები მრავალად შეიცავენ სამეურნეო ხელმძღვანელობის ამსახველ წყაროებს. ამ მასალებიდან ჩანს, რომ ი. ჟვანიას ინტერესი კონცენტრირებულია სამეგრელოს (ზუგდიდი-სენაკი-ზემო სვანეთის) ერთ სამეურნეო-ეკონომიკურ ოლქად გაერთიანების საკითხზე. იგი საქართველოს ზემდგომ ორგანოებს სთხოვს გამოუყოს კომისია „ოკრუგის აღმასკომის 1930-1931 წლის ბიუჯეტის შესაქმნელად. გასაგებია ცენტრი უნდა იყოს ზუგდიდი, სენაკ-ზუგდიდის <u>მაზრა</u> (! — ავტ.) დღეს ამაში ეჭვი არავის ეპარება" (ფონდი 59, აღ. 1, ს. 41, ფ. 4). იგი სკპ (ბ) პოლიტბიუროსადმი გაგზავნილი წერილით ითხოვს სამეგრელოს ადმინისტრაციულ და არა ავტონომიურ „ოკრუგს" (საქმე 14, აღ. ხ, ფ. 266, ფურც. 74/2). ამის და სხვა მსგავსი ფაქტების ყურადღებით წამკითხველს არ შეიძლება შეექმნეს შთაბეჭდილება, რომ ი. ჟვანია სამეგრელოს ავტონომიური ოლქის მოთხოვნას აყენებდა.

ამავე საქმეში დაცულია ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1931 წლის 5 ნოემბრის ოქმი №3 (ფონდი 59, აღ. 1, ს. 10, ფ. 18-42). ეს არის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია ვ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას კამათი ზუგდიდის ხელმძღვანელობასთან იმ ბრალდებების გამო, რომლებიც მათ საქართველოს ცენტრს მიაწოდეს და მოწინააღმდეგეს ი. ჟვანიას სერიოზული ბრალეულებებად წაუყენეს.

სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, რომ დისპუტის საგანი ყოფილა: 1. მეგრულ ენაზე საქმის წარმოება; 2. მეგრულ ენაზე საინფორმაციო საშუალებების და გაზეთის გამოცემა; 3. სამეგრელოს ოლქად გამოყოფისა და 4. დაწყებით სკოლებში მეგრული ენის გამოყენების მიზანშეწონილობის გარკვევა.

კამათის დროს ბევრი, უაღრესად საინტერესო საკითხი გაირკვა. ცხადი გახდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის და ინფორმაციულ საშუალების სახით მეგრული ენის გამოყენების საკითხში ახლა აზრთა ერთიანობაა. დავა გამოიწვია ოლქისა და სკოლებში მეგრულად სწავლების მიზანშეწონილობის საკითხმა. აქ ითქვა, რომ ოლქის შესახებ საკითხის სამაზრო კომიტეტის წინაშე 1922 წელს დამდგარა, და მას შემდეგ არ მოხსნილა. ამასთანავე ოლქის სახით ზუგდიდის ცენტრის წევრებს ესმით ადმინისტრაციული ოლქი. თუმცა მათ შორის არიან ბ. თორდია და ტ. შენგელია, რომლებიც ამართლებენ სამეგრელოს ავტონომიის საჭიროებასა და მიზანშეწონილობას. მაგრამ ეს არ უნდა გავაზვიადოთ ერის მოღალატეობად. ესენი მცირე მცოდნე კომუნისტები და ამავე დროს პარტიის ავტონომისტური პროპაგანდითა და პრაქტიკით დაპროგრამებული აქტივისტები არიან. მათ და მათ თანამოაზრეებს მიაჩნიათ, რომ თუ ავტონომია მართლაც არის პანაცეა და იგი აჭარისთვის ან სამურზაყანოსთვის (რომლებსაც ენაც ქართული აქვს) კარგია, შეუძლიათ განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ კაპიტალური დაბანდებით და სხვა, რა დაამაცა სამეგრელომ, რომელსაც აჭარლებისაგან განსხვავებით, ავტონომიისათვის საჭირო, მთავარი ატრიბუტი (ნიშანი), მეგრული ენა აქვს?! ამასთანავე, ისინი აქ არ აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ მეგრელებს მათთვის უცხო ეროვნების ქართველები ჩაგრავენ, არამედ იმის გამო აკალენენ უკმაყოფილებას, რომ საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრი, სამეგრელოს მიმართ აღებულ ვალდებულებას (დადგენილებას) არ ასრულებს და სხვა. ზოგი თანამედროვე ავტორი ავტონომიების თანამედროვე გაგებიდან გამომდინარე აკრიტიკებს მათ და მოღალატეობად აფასებს ამ ადამიანების პოზიციას. ჩვენი აზრით, აქ ირღვევა მოვლენების დროსა და სივრცეში აღქმის მოთხოვნა.

ბოკუჩავა და პერტახია ოლქის მოთხოვნას აიგივებენ ავტონომიურ ოლქის მოთხოვნასთან, ამავე დროს ისინი მიიჩნევენ, რომ მას შემდეგ, რაც პარტიამ ოლქების შექმნა გადაიფიქრა, მისი კვლავ მოთხოვნა დანაშაულია.

სხდომაზე ამხილეს ვ. ბოკუჩავა, რომელმაც ისაკი ჟვანიას დაბრალა ავტონომიური ოლქის საჭიროების შესახებ ბ. თორდიას მიერ გამოთქმული აზრი (იხ. ფურც. 40).

ყველა საკითხიდან, ყველაზე მეტი უთანხმობა გამოვლინდა მეგრული ენისა და მისი დაწყებით სწავლებაში გამოყენებასთან დაკავშირებით. დისპუტის მონაწილეთაგან ზოგს მეგრელად მიაჩნია საკუთარი თავი და მეგრელების მიმართ ხმარობს კრებით სიტყვას „ნაცია". მაგრამ მასში მეგრელ ხალხს გულისხმობენ და არავითარ შემთხვევაში საერთო ქართული ეროვნებისაგან განმასხვავებელ გაგებას. დისპუტის მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ზოგ რაიონში უპატივცემულოდ ეკიდებიან მეგრულ ენას. აბრკოლებენ საქმიან ურთიერთობაში მეგრული ენის გამოყენებას და მეგრული გაზეთის გავრცელებას. მ. ბერულავამ განაცხადა: „ჩვენ მეგრელები ვართ და როგორც მეგრელნი მოთხოვნას უყენებთ ცეკას, რომ იმ სოფლებში, სადაც საქცეკას ღონისძიებით საქმის წარმოება, სასამართლოს საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა სწარმოებს ადგილობრივ ენაზე (ე.ი. სადაც ქართული არ იციან — ავტ.), ამ სოფლებში და სხვაგანაც (ალბათ სადაც ფერხდება ან სადაც მეტნაკლებად იციან — ავტ.) მოგვცეს ნებართვა, რომ დაწყებით სკოლებში შემოვიღოთ მეგრულ ენაზე სწავლება". ეს მოთხოვნა, ჩვენი აზრით, სამართლიანია. ასეთი აზრი, როგორც ვნახეთ, სტალინის მხრივაც იყო გაზიარებული. მაგრამ ეს ზოგს არ ესმის და მისი სახით პარტიკულიარიზმს, თუ სეპარატიზმს ხედავს, რაც ჩვენი აზრით გაუგებრობით გამოწვეული შეცდომაა.

სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ჩანს, რომ ევგენი უბირიას უთქვამს: „ზუგდიდის ბიურო ავტონომიას ღებულობს" (ფურც. 22); მაგრამ „რა საჭიროა მეგრული ენა" (ფურც. 25); „სამეგრელოს თავისი კულტურა არა აქვს და ასეთს 100 წელი სჭირდებაო და ამჟამად ასეთი არ ივარგებსო" (ფურც. 26). აქედან ჩანს, რომ „მეგრული საკითხის" მოგვარება და მეგრული ენის, როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით, გარდამავალი ხასიათის, დროებითი გამოყენება ზოგს ესმის, როგორც ავტონომია, ქართულისგან დამოუკიდებელი კულტურის შექმნისათვის მისწრაფება და მუშაობა. ასეთი მცდარი თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, მეგრული ენის გამოყენების დამუხრუჭებისა და იგნორირების მთავარი, მაგრამ ამავე დროს, სრულიად უსაფუძვლო მიზეზი გახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე ფართო მსჯელობა უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ათი წლის წინ. მაგრამ, როგორც ჩანს საქართველოში ამ საქმის მესვეურები უაღრესად ზანტად აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ.

„მეგრულ საკითხზე" საქართველოს პრეზიდენტის არქივში დაცული მასალებიდან საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის ყრილობების სტენოგრაფიულ ჩანაწერები და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის და ბიუროს სხდომათა ოქმები. ეს არის საარქივო მასალა, რომელშიც საკვლევი საკითხების გაგებისათვის უაღრესად საჭირო მეთოდოლოგიური და ფაქტოლოგიური ღირებულების შემცველი ისტორიის წყაროები იძებნება. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე (23. I. — 1. II. 1922), ს. ორჯონიკიძის სიტყვაში ნათქვამია: „პირველ ყოვლისა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება არ შეგვიძლია. პოლიტიკა იქმნება არ აქ და არა ჩვენს მიერ, არამედ მოსკოვში რკპ(ბ) ცკ-ში და ჩვენ ვალდებული ვართ კომუნისტებისათვის ეს საერთო პოლიტიკა გავატაროთ ადგილობრივი რეალობის პირობების გათვალისწინებითა და ფართო მშრომელი მასების მიზიდვით" (ფ. 14, აღ. 1, ს. 182, ფურც. 62). ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ „მეგრული საკითხიც" პრინციპში მოსკოვის დონეზე წყდებოდა. აქედან ისიც გასა-

გები ხდება, თუ რატომ მიმართავდნენ საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრებზე გულაცრუებული პიროვნებები და ჯგუფები უშუალოდ საკავშირო ორგანოებს და კერძოდ ი. სტალინს. საჩივრები კრემლში, იყო აგრეთვე პარტიის მოსკოვის ცენტრის პოლიტიკაზე ზემოქმედებისა და უმთავრესად ადგილობრივ შექმნილი უკმაყოფილება-გაურკვევლობის დაძლევის ცდა, ხოლო საჩივრებში მოტანილი დასმენების სეპარატისტული მოთხოვნები და შესაბამისი არგუმენტები იყო არა მარტო ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობის დამადასტურებელი, არამედ, აგრეთვე სამეგრელოსათვის, მათი აზრით, საჭირო დათმობებისთვის საკავშირო ცენტრის ნებისა და რეაგირების გამოსაწვევი ზემოქმედების საშუალებანი.

საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობის (1925 წ. 30 ნოემბერი – 5 დეკემბერი) სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დაიგმო მამფორიების და სხვათა ზუგდიდის ცენტრის საწინააღმდეგო ინტრიგა და დადებითად შეფასდა ზუგდიდის ცენტრის მუშაობა. ეს იმას მოასწავებს, რომ ი. ჟვანიას ხელმძღვანელობა გამართლდა. ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. მაშასადამე, მის მიმართ აქამდე გამოხატული უნდობლობა მიზნობრივია.

ჩვენ მიერ „მეგრული საკითხის" შემეცნების, გამოკვლევა-გაშუქებისა და მისი კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა. მათ შორის აღსანიშნავია სერგო ორჯონიკიძის 1925 წლის 9 სექტემბრის წერილი სტალინის მიმართ, რომელშიც აღწერილი და დახასიათებულია ამდროინდელ საქართველოში და კონკრეტულად სამეგრელოში ავტონომიასთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკური ვითარება, რომლის გათვალისწინების გარეშე უაღრესად რთულდებოდა მისი გაგება. ს. ორჯონიკიძის შეტყობინება გვეუბნება, რომ სამეგრელოს ავტონომიის საკითხი „მოცემულ მომენტში", „ყველაზე მოდური საკითხია". „თაოსნებს წარმოადგენენ <u>რამდენიმე სრულიად უცნობი მეგრელი, პლუს რამდენიმე კომუნისტი... მთელი მეგრელი ინტელიგენცია... წინააღმდეგია. რაც შეეხება გლეხობას, იგი ამაში ჯერ ჩაბმული არ არის...</u> დაბეჯითებით მუსირებენ ხმებს, რომ შენ სამეგრელოს ავტონომიას მხარს უჭერ. ეს არის შედეგი შენი ლაპარაკისა ბახტაძესა და ქართველიშვილთან. მათ ზუგდიდში თქვეს თითქოს შენ მხარს უჭერ. ამან ძლიერ გაამხნევა მომხრეები და დაბნია ზოგი კომუნისტი... <u>სამეგრელოს ავტონომია ჩვენ წინააღმდეგ დააყენებს მთელ საქართველოს და მოშლის აფხაზეთს</u>. კარგი იქნებოდა შენ რომ საწინააღმდეგო ორიოდ სიტყვა გეთქვა, რადგან ლაყბობდნენ შენი მხრივ მხარდაჭერის შესახებ. მე ყველას ვეუბნები, რომ შენ მსგავსი არაფერი გილაპარაკია... (ЦКРП (б) – ВКП (б) и национальный вопрос. Книга 1. 1918-1933 гг... М. 2005, стр. 310-311; ხაზგასმა ჩვენია – ავტ.). აღნიშნულის გამო სტალინმა თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ვწუხვარ, რომ <u>ხუმრობა</u> სამეგრელოს შესახებ <u>სერიოზულად მიიღეს ადვილადდამჯერე ამხანაგებმა</u>. შეგიძლია განაცხადო ჩემი მხრივ, რომ სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ მე არ გამომითქვამს და არც ვაპირებ გამოთქმას. ამის შესახებ შეგიძლია განაცხადო იმ ფორმით, რომელსაც მიზანშეწონილად ჩათვლით" (იხ. იქვე, ხაზგასმა ჩვენია – ავტ.). აქ დოკუმენტის კომენტირება, ჩვენი აზრით, ზედმეტია. წამოსაწევია მხოლოდ ი. სტალინის სიტყვები: „<u>ვწუხვარ რომ ხუმრობა სამეგრელოს შესახებ სერიოზულად მიიღეს ადვილად დამჯერე ამხანაგებმა.</u> შეგიძლია განაცხადო ჩემი მხრივ, რომ სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ მე არ გამომითქვამს და არც ვაპირებ გამოთქმას" (იხ. იქვე). აქედან და სტალინის სტატიიდან „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", კარგად ჩანს, რომ იგი გვევლინებოდა სამეგრელოს ავტონომიის შესაძლებლობა – მიზანშეწონილობის აზრის მასაზრდოებლად.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი ს. ორჯონიკიძისა და სტალინის ნათქვამი მთავარ პრინციპულ საფუძვლად შეიძლება დაედოს „მეგრული საკითხის" ის-

ტორიის ძირითადი პრობლემების გამოკვლევასა და გაგებას, აგრეთვე თემის კონცეპტუალური საკითხების გამორკვევასა და პრობლემის მეთოდოლოგიის გამომუშავებას. თუმცა არ გამორიცხავთ მოვლენების ნიუანსების კრიტიკულ-ანალიტიკური გამოკვლევა-გაშუქების აუცილებლობასაც.

საქართველოს ცაკ-ის ფონდში გამოვაღნინეთ საინტერესო დოკუმენტი „მეგრული საკითხის შესახებ". მასში დაცულია საკავშირო ცაკ-ის სამდივნოს ბლანკი, რომელიც გადმოეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს. მასზე წანაწერი ამბობს: „გიგზავნით ტ. დ. შენგელიას და ვ. კორტავას განცხადებებს მეგრული საკითხის გადაჭრის შუამდგომლობით (С ходотайствием)". ამ მასალებში შესულია ი. სტალინის და სხვა ხელმძღვანელ პირთა სახელზე გაგზავნილი, სამეგრელოს ავტონომიად ორგანიზების სარეკომენდაციო, ხელმოუწერელი და ხელმოწერილი 1933 წლის, მათშორის აპრილით დათარიღებული კოლექტიური წერილი (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ფ. 4-11). თანაავტორთა შორის არ მოიხსენიება ი. ჟვანია. ეს დოკუმენტი ი. ჟვანიას აზრებთან გარკვეული მსგავსების მიუხედავად, შინაარსობრივად და სულისკვეთებითაც პრინციპულად გამორიცხავს მის თანაავტორობას. ცხადი ხდება, რომ მავანთა მიერ ი. ჟვანიას გაგება მაფალუიზმის ლიდერის შეთითხნილი ბრალდებით და მისი „განტევების ვაცად" გამოყენება მიზნობრივი და ყალბია.

ტ. შენგელიას და ვ. კორტავას განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი სტალინს სთხოვენ სამეგრელოს ნაციონალური ერთეულის შექმნას. ტ. შენგელია წერს: „გასაბჭოების დღიდან არაერთგზის დადგა საკითხი... ნაციონალური ოლქის ან „ობლასტის" შექმნის შესახებ... მაგრამ ყოველთვის რჩებოდა შედეგის გარეშე"... ვ. კორტავა წერს: „თანამედროვე მომენტში მომწიფდა აუცილებლობა სამეგრელოს... (გადაშლილია. ალბათ უნდა ყოფილიყო „ავტონომიის") მოწყობისა: აუცილებელია ნაციონალური ერთეულის შექმნის საკითხის გადაწყვეტა". აქედან ჩანს, რომ ისენი სამეგრელოს ავტონომიურად მოწყობისათვის მებრძოლი უკანასკნელი „მოჰიკანები" არიან, მაგრამ სეპარატისტები ან რაიმე ანტიქართული საშიშროების შემქმნელები არ არიან.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი საკვლევი პრობლემის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული შემეცნებისათვის განსაკუთრებული სამსახური გაგვიწია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (ე.წ. „სუკის") არქივში ჩვენს მიერ 1989-1991 წლებში მოპოებულმა, ერთ დროს უკიდურესად გასაიდუმლებულმა, 1992 წლის სამოქალაქო ომის დროს არქივის ხანძრით განადგურებულმა მასალებმა და დოკუმენტებმა (იხ. სუკის არქივი №2983, ფურც. 1-289; არქივი №12636; არქივი №9566; არქივი №17988; პრ-5925 და სხვ.). ეს არის ე.წ. „ჩხოუშიელი", ვითომ „მაფალუელი" „მეგრელი ნაციონალისტების", „არალეგალური", „ანტისაბჭოთა", „ავტონომისტური", „ანტისაბჭოთა ტროცკისტული", „კონტრრევოლუციურ-ტერორისტული" და სხვა ყალბი ბრალდებებით გაფორმებული ვითომ დანაშაულებრივი ჯგუფების და თანამოაზრე-თანამებრძოლთა სამძებრო საქმეები. მათი ობიექტური შემეცნებისა და რეალური ისტორიის, სიმართლის დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტური საფუძველი შეგვიქმნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილმა მასალებმა, რომლებიც საგნობრივად ამხელენ ძიების მიზნობრივად შეთითხნილ მეთოდიკასა და უდანაშაულოთა პოლიტიკური რეპრესიების განხორციელების სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურ მიზანდასახულებების მოტივაციას, ანუ მეთოდოლოგიას.

აღნიშნული საქმეების ინფორმაციული ღირებულება უაღრესად მრავალმხრივია. მაგრამ მათი მთავარი წყაროთმცოდნეობითი, მეთოდური და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ის არის, რომ მათი კრიტიკულ-ანალიტიკური შესწავლის მეშვეობით ვლინდება ერთი მხრივ საქართველოს უზენაესი ხელმძღვანელობის დაკვეთების შესაბამისი ჩეკისტური ძიების მიზნობრივი ყალბი მეთოდიკა, ხოლო მეორე მხრივ იქმნება სხვა არქივებსა და ცნობილ პუბლი-

კაციებში მოცემული ამბების გაკონტროლების და ხშირად, უარყოფის დამტკიცებით შესაძლებლობები. ამ უნიკალური წყაროების საფუძველზე ვლინდება რომ „ანტიქართული“ დანაშაულობები ფაქტობრივად იყო ყალბად შეკოწიწებული ბრალეულობები, რომლებიც იქმნებოდა ზოგჯერ აშკარად ზემოდან დაშვებული დირექტივების შესაბამისად, ზოგჯერ კი ე.წ. „მაფალუელების“ მიმართ წინასწარ ნასაზრდოები და გამოვლენილი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კლიმატისა და კონიუნქტურის პასუხად.

მაგალითად, საქართველოს კომპარტიის IX (1934 წ.) ყრილობაზე ზუგდიდის მაგალითზე „კონტრრევოლუციური დოკუმენტის“ შემქმნელი, 8 პიროვნება რომ დაასახელეს, „ადგილობრივი ნაციონალიზმის“ გამოვლინებად ამხილეს და „მაფალუიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა დასახეს, ამით ჩეკას ორგანოებს ფაქტობრივად კონკრეტული პირების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს. რაც მთავარია, მათი სავარაუდო მეთაური, საჩიერის დამწერ-გამომგზავნი მეცხრე პიროვნება მიზნობრივად მიანიშნეს: „დოკუმენტს ხელს აწერენ ადგილობრივი ამხანაგები, 9 კაცი. დოკუმენტი შედგენილია ქ. სტალინირში და გამოგზავნილია სპეციალური კაცის ხელით“ (იხ. საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობა, სტენ. ანგარიში, თბ. 1934, გვ. 326-327), როგორც ირკვევა ჩეკას ამით ი. ჟვანიას დასახელების აუცილებლობაზეც მიუთითეს. ამ მითითების თანახმად, შემდეგში ჩეკას გამომძიებლებმა, ზოგს ასეთი ჩვენება კიდეც გამოძალეს, მაგრამ როგორც სუკის არქივის საგამოძიებო მასალებით ირკვევა, ამ ფარსის მიზეზი ის ყოფილა, რომ ზუგდიდელი კომუნისტებისა და ყოფილი კომუნისტების ჯგუფმა, ერთი ყოფილი ე.წ. „მაფალუელი“, „ნოთელი“, „ავტონომისტი“ ტ. შენგელიას მეთაურობითა და მისი თანამოაზრე ა. საჯაიას აქტიური მხარდაჭერით მოამზადა საჩიკარი ი. სტალინის მიმართ, რომელშიც მეგრელების სასიცოცხლო ინტერესთა იგნორირების მოტივით, დაუზოგავად ამხელდნენ ახალ, ლ. ბერიას მიერ დაწინაურებულ იუსტინე გვასალიას ხელმძღვანელობას და საერთოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ცენტრს. ამასთანავე ისინი საკავშირო ხელმძღვანელ ცენტრს იდეალურ გამოსავლად უსახავენ საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი სამეგრელოს ავტონომიის ორგანიზების მიზანშეწონილობას. ამიტომ საჭირო გამხდარა მამხილებლების დისკრედიტაცია და იზოლირება, აგრეთვე ამ დროს უკვე მათი ვითომ სტალინირელი ორგანიზატორის (ი. ჟვანიას) გამოვლენა. სუკის არქივის სათანადო მასალები მოწმობს, რომ ჩეკას ძიებამ ეს დაკვეთა პირველ ეტაპზე წარმატებით განახორციელა. ყრილობაზე დასახელებული პიროვნებები პატიმრობაში აიყვანა, მოწმეთა მონაწილეობით დაკითხულთაგან, ზოგი თავის „კვალზე“ დააყენა და ზოგს „მთავარი ორგანიზატორის“ კვალიც გამოაკვეთინა. თითოეულ პატიმარს ჩეკას ძიებამ ბევრი სიყალბე ათქმევინა, საჭირო ბრალდებებიც შეუკოწიწა და თითოეულს სათანადო მომაკვდინებელი ბრალდების მუხლებიც მიუყენა. მაგრამ როგორც შემდგომმა ძიებამ დაადასტურა ეს ყველაფერი მხოლოდ პარტიული კრიტიკის გამოვლინება ყოფილა. მაშასადამე, ბრალდებები ისეთი ჩეკისტური თეორი ძაფით შეიკერა, რომ თვით ბერია და ჩეკა გახდნენ იძულებული საქმე შეეწყვიტათ და 1936 წლის იანვარში ყველა პატიმარი გაენთავისუფლებინათ (სუკის არქივი №2983, ფურც. 284). აქედან წარმოჩინდა, რომ არსებობდა ორიოდე დაბნეული ავტონომისტი, არსებობდა საკადრო წინააღმდეგობებზე აღმოცენებული მწვავე ჯგუფური დაპირისპირება. მაგრამ ეს და სხვა ფაქტები ცხადყოფენ, რომ 20-30-იანი წლების სამეგრელოში და კერძოდ ზუგდიდში არავითარი ანტიქართული ტენდენციები და პროცესები არ არსებობდა. ვერც ი. ჟვანიას დანაშაულებები დამტკიცდა. მაშასადამე, მთელი ეს „ანტიქართული მეგრული სეპარატიზმი,“ რომელიც თითქოს „ჩხოუშიელებს“ ახასიათებდა სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად ნასაზრდოები ბლეფი ყოფილა.

წყაროები მოწმობენ, რომ 1937 წელს, დიდი ტერორის დროს, ბევრი ოპოზიციონერი და თავად ი. ჟვანიაც ვერ ასცდა პოლიტიკურ რეპრესიებს. მა-

გრამ ახლა მათ საქმეში „მაფალუელობის“ ყალბი ბრალდებების ჩადებისათვის თავი არც კი შეუწუხებიათ. ისინი ახლა „მემარჯვენეების ცენტრთან“ თანამშრომლობის ახალი მოდის ბრალდებით დააპატიმრეს და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს (სუკის არქივი №12636, ფურც. 157). ი. ჟვანიას რომ ადრინდელი ე.წ. „მაფალუელობის“ 1933 წლის აპრილის კოლექტიური წერილის ავტორობა, ან თუნდაც თანაავტორობა დამტკიცებოდა, ამ ბრალდებას ჩეკას ძიება არ წაუყრუებდა და პირიქით, დამატებით სამხილად ჯერ კიდევ 1935 წელს გაუფორმებდა. მაგრამ რაც არ იყო, ის ვერც დაუმტკიცეს. 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების დროს ასევე გააწამეს არაერთი ზუგდიდში მოღვაწე, ადრე ე.წ. „მაფალუელად“ გასაღებული.

ჩვენთვის გასაგები გახდა, რომ სუკის არქივის მასალები ნათლად მოწმობენ, რომ ე.წ. „მაფალუიზმი“ იყო ყალბად შეკოწიწებული ადგილობრივი, ვითომ „მეგრული ნაციონალიზმი“, რომელიც სინამდვილეში იყო არა „მოღალატეობა“ და „დეცენტრალიზაციის“ მისწრაფება, არამედ მეცადინეობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ მეგრული ენა და მეგრული თვითმყოფადი ყოფითი კულტურა, რეალურ სინამდვილის შესაძლებლობებში გამოენახათ სამეგრელოს შედარებით სწრაფი კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების რაციონალური გზები, რეალური ვითარების შესაძლებლობების პირობებში უზრუნველეყოთ მეგრელი ხალხის აღორძინების და დანარჩენ ქართველებთან სწრაფი დაახლოების საშუალებები. ამ გეზის იდეურ-პრაქტიკული განხორციელებისათვის იბრძოდა ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობა ისაკი ჟვანიას მეთაურობით. მეორე მხრივ იყო „მეგრული საკითხის“ მოგვარებისთვის თავიანთი გაგებით და საჩივრების ტაქტიკით მებრძოლი ორიოდე „ავტონომისტი“. მათი უბედურების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ისინი თავიანთ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულები სტალინის მხარდაჭერის იმედით, თავგამოდებით იბრძოდნენ თავიანთი გეზის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომლის დროსაც არ ეპუებოდნენ საქართველოს ხელმძღვანელ ცენტრს, მის ლიდერებს და მათ შორის ლ. ბერიას. ისინი ეძებდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელობის უკმაყოფილებს, რომელთაგან ზოგს არც გაეგებოდა რას ნიშნავდა ავტონომიური ერთეული და რით განსხვავდებოდა ადმინისტრაციული ერთეულისაგან, ან რატომ არ შეიძლებოდა მეგრულის თავისუფალი გამოყენება. ასეთებს ხელს აწერინებდნენ თავიანთ საჩივრებზე, რომლებშიც, როგორც გამონაკლისი, გვხვდება ნაციონალური ერთეულის მოთხოვნაც. მაგრამ ისიც გამოვლინდა, რომ ასეთები სულ რამდენიმე იყვნენ და მათ შორის ზოგმა ისე მოაწერა ხელი, რომ ტექსტის შინაარსით არც დაინტერესებულა. ამის საილუსტრაციო ფაქტები იმდენად მრავალია, რომ მოცემულ თავში საჭიროდ მივიჩნიეთ მხოლოდ წინასწარი განცხადება. მათ დასაბუთება მოცემული იქნება წინამდებარე წიგნის სათანადო სპეციალურ თავებში.

მაშასადამე, წინამდებარე წიგნის მოცემულ თავში ცალკეული ამონარიდებით, მოკლედ შევეცადეთ მკითხველისათვის გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა იმ წყაროების შემეცნება-გააზრების შესახებ, რომლებმაც გვაიძულა, ყველა ჩვენი წინამორბედი, „მეგრული საკითხის“ მოგვარების მონაწილისა და ამ ისტორიის პუბლიცისტ-მკვლევარისაგან განსხვავებით, გვეძია და გვეპოვა პრობლემის გამოკვლევა-გაშუქების ალტერნატიული გზა. მომდევნო თავებში პრობლემის წყაროებისადმი ავტორების დამოკიდებულება კიდევ უფრო საგნობრივად წარმოჩნდება და, ჩვენი აზრით, შესაძლებელი გახდება ჩვენი კვლევის ორიგინალურობისა და ალტერნატიული გაშუქების სამართლიანობაში ობიექტური მკითხველის სრული დარწმუნება.

თავი V

რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას?

იმ მიზნით, რომ უკეთ გავიაზროთ და გავიგოთ პროცესები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობდნენ წინამდებარე წიგნის თემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხებიდან, აუცილებელია გავეცნოთ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, რომლის პირობებშიც მომზადდა და აღმოცენდა „მეგრული საკითხი", როგორც კომპარტიის წინაშე მდგარი გარდაუვლად გადასაჭრელი პრობლემა.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უმთავრეს ამოცანად დაისახა ძალაუფლების შენარჩუნება. ამ მიზნით კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროლეტარულ წრეებში და გლეხობის ფართო მასებში მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას. პარტია და ხელისუფლება გლეხობის მიმართ დამოკიდებულებაში მთავარ ამოცანად სახავდნენ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დანერგვას და ულარიბესი მასების საარსებო პირობების დაჩქარებულ, ძირეულ გაუმჯობესებას. ლენინი საქართველოს კომუნისტებს ამოცანად უსახავდა „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის" განხორციელებას წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, გლეხობის მიმართ. 1923 წლის აღწერის ცნობებით გლეხობა საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებული კიდევ უფრო მაღალი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და მით უმეტეს საქართველოს განაპირა მხარეებში, მათ შორის სამეგრელოში. სამეგრელოს გლეხობა უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდა რეგიონის სამეურნეო-აგრარული სპეციფიურობის გამო. დამატებით სიძნელეებს ჰქმნიდა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა", რომლის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ფასები გლეხობისთვის აუცილებელი სამრეწველო პროდუქციის ფასებთან მკვეთრ შეუსაბამობაში აღმოჩნდა.

სამეგრელოს სოფლის მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ მრავალი წყარო მეტყველებს. მათ შორის თვალსაჩინოების მიზნით საყურადღებოა პავლე აკობიას 1921 წლის 9 თებერვლის წერილი ამხანაგების მიმართ. „ამხანაგებო! — წერს იგი, — ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ უკიდურესი პირობები მაიძულებენ შეგაწუხოთ. მინდა ხანდახან ბაზარში გავიდე, მაგრამ ტანისამოსის უქონლობის გამო ვერ ვახერხებ ჩემი ეზოდან ფეხის დაძრას. მაქვს 14 სულგუნი გამხმარი ყველი, 20 გირვანქა ვაშლი. ყველა ამას გამოგიგზავნით და მიშველეთ თუ საქონელი მოგეპოებათ ერთი საბლუზე და საშარვლე, თუ არა და, შეიძლება ვინმე თქვენგანს ჰქონდეს ნატარები ბლუზა და შარვალი და უბრალო ფეხსაცმელი. ეს სამი ჩემთვის უცილობელი საჭირო საგნები მომიხერხეთ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 23, ფურცელი 1). მსგავსი მდგომარეობა იყო ზუგდიდის მაზრასა და მთლიანად სამეგრელოში უახლოეს მომდევნო წლებშიც. 1922 წლის გაზაფხულზე სოფლად სამუშაოდ ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის მიერ მივლინებული ხელმძღვანელი მუშაკები ითხოვენ ფეხსაცმელსა და ტანისამოსს. მათ შორის გიორგი წახნაკიძე წერს, დავალების შესრულებას მიძნელებს ის, რომ „რაც მქონდა ტანისამოსი და ფეხსაცმელი ყველაფერი დამეხაო" (პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 27, ფ. 19,23).

მაზრის გლეხობის მდგომარეობისა და მოთხოვნილებათა შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უპარტიო გლეხთა კონფერენციის წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოკითხულთა პასუხების მონაცემები: 1923 წლის 17 ივლისს ზუგდიდის მაზრის პარტკომმა მოისმინა მოხსენება „უპარტიო გლეხთა კონფერენციის შესახებ". პირველ კითხვაზე — „რაზე ფიქრობს გლეხობა?" პასუხი ასეთია: „გლეხობას უფრო აინტერესებს ცხოვრების ეკონომიკური მხარე... მეტად ცუდ პირობებში იმყოფება, მისი ნაწარმოები

ბაზარში ჩალის ფასად იყიდება, ქალაქის ნაწარმი მისთვის ხელმიუწვდომელია... ხშირად ტანისამოსის და ქვეშაგებლის უქონლობისა გამო ჩალაზე წვანან ხოლმე. ზამთრობით და ეხლაც კი მთელ ღამეს კერიის გვერდზე ათენებენ, ყველაზე უფრო მათ აწუხებთ მარილის და ნავთის გაძვირება...“ სხვა კითხვაზე პასუხი ასეთია: „გლეხობა დაინტერესებულია სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებით, სწავლა-განათლების ფართო მასშტაბით განვითარებით, დარწმუნებულია იმაში, რომ სწავლა—განათლება ეს არის ერთად—ერთი მხსნელი მისი. მათთვის არა ნაკლებ საინტერესოა კოოპერატივების აღორძინება... კერძო კოოპერატივის თანახმა არ არიან. იქ არ შევლენ, თუ მთავრობამ თავის თავზე არ მიიღო კოოპერატივების ხელმძღვანელობა და კონტროლი. როგორც მათთან საუბარში ირკვევა გლეხები მზად არიან საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივ კოოპერატივს თავის უკანასკნელი განძი (მიწა — ავტ.) შეწირონ. გლეხობას აინტერესებს საგადასახადო პოლიტიკა (დამოუკიდებელ საქართველოში მიწის გადასახადი არ შემოუღიათ — ავტ.), მიწის რეფორმა (რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გაჯანჯღლდა და გაიჭიმა — ავტ.), სამედიცინო დახმარება (დასავლეთ საქართველოში მძვინვარე მალარიის გამო — ავტ.), რაც ჩვენში ძალიან ნაკლებია...“ მომხსენებელი ძიიჩნევს, რომ „გლეხს უნდა მიეცეს თვით დასვან საკითხები კონფერენციაზე საჭიროდ მოსატანი, რომლებსაც სათანადო პასუხი უნდა გაეცეს მთავრობის წარმომადგენელის მიერ...“ ნახსენები კონფერენციის მასალებს არქივში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ მივაგენით, არანაკლებ საყურადღებო ისეთ დოკუმენტს, რომელიც დამატებით აშუქებს მეგრელი გლეხობის საარსებო სატკივარს.

მეორე, სხვა სანდო წყაროს მიხედვით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პირველი ნაბიჯების მიუხედავად, 1925 წელს ზუგდიდის მაზრაში საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ცენტრის მიერ მივლინებული ავტორიტეტული კომისიის მონაცემით დასტურდება, რომ „მაზრაში სრული ეკონომიკური ჩამორჩენილობაა, გლეხობის 90 პროცენტს აბსოლუტურად არა აქვს არავითარი ტექნიკურ-პოლიტიკური განათლება, არ იციან და არ ესმით ქართული ენა. მოსახლეობას დიდი მოთხოვნილება აქვს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის მიღებისა, ამაში მათ ხელს უშლის ქართული ენის უცოდინარობა, რომლის გაუთვალისწინებლობა უკვე მოუთმენელი და შეუძლებელი ხდება“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 54-54/2).

მეგრელებში ქართული ენის არცოდნას ადასტურებენ სხვა წყაროებიც. მაგალითად, ისტორიკოსი და ფილოლოგი შალვა ბერიძე, რომელმაც სამეცნიერო მიზნით 1919 წელს სამურზაყანოში იმოგზაურა, წერს: „ენგურიდან ღალიძგამდე, ზედ ქალ. ოჩამჩირის კარებამდე... ვერ გაიგონებთ აფხაზურსა, ბატონობს მეგრული, ინტელიგენციამ (გალი, აჩიგვარა) იცის რა თქმა უნდა რუსული წ.-კითხვა, ლაპარაკობს მეგრულად და არ იცის ქართული“ (შ. ბერაძე, მეგრული (იბერიული) ენა, ტბ. 1920, გვ. 20). მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სამეგრელოს გლეხობა საკუთარი და ოჯახური დუხჭირი ცხოვრების შეცვლისა და გაუმჯობესების აუცილებელ პირობას სწავლა-განათლების მიღებასა და ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში აქტიურ მონაწილეობაში და ამ გზაზე გასვლის უმთავრეს დაბრკოლებას სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის უცოდინარობაში ხედავს.

ამ დროს კი, წყაროები მოწმობენ, რომ ზუგდიდის მაზრაში სკოლის ასაკის ბავშვთა 55-60-პროცენტი მის მიღმა იყო დარჩენილი და იძულებული ხდებოდა ყოველგვარი სასკოლო აუცილებელი მინიმალური ცოდნის გარეშე ჩაბმულიყო კერძო კუსტარულსა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მსგავსი მდგომარეობა იყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს სხვა რაიონების სოფლებში. ეს იმას მეტყველებს, რომ ისინი საჭიროებდნენ გარდამავალი ხასიათის შეღავათს: მეგრულ გასაგებ ენაზე „სათანადო“, ანუ გლეხურ საცნობარო ლიტერატურას, თავიანთი შვილების სწავლის გაიოლების და თუნდაც დაწყებითი

აუცილებელი განათლების მიღების მიზნით, დაწყებით სკოლებში მეგრულ გასაგებ ენაზე სწავლებას, სასამართლოებსა და სოფლსაბჭოებში მათთვის გასაგებ საქმის წარმოებასა და, მაშასადამე, მეგრულ ენაზე ურთიერთობას. იმის გამო, რომ ენის პრობლემა მეტნაკლებად შეეხებოდა სამეგრელოს ყველა თემის ინტერესებს, მეგრელი გლეხებისათვის მოსაწონი იყო და ისინიც მხარს უჭერდნენ მეგრული რაიონების საქართველოს ერთიან ორგანიზმში შემავალ „ადმინისტრაციულ ოლქად" გაერთიანებას. ქართული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხების ეს მდგომარეობა სავსებით შეესაბამებოდა იმ რეალური ვითარებიდან გამომდინარე აუცილებლობას, რომელიც ასაზრდოვა საქართველოს ისტორიულმა ბედუკუღმართობამ — განაპირა მხარეების ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ და სამეგრელოს ძირითადი (გლეხური) მასისთვის საერთო ეროვნული სალაპარაკო ენის გამომუშავების მიუღწევლობამ. „მეგრული საკითხის" გაუკუღმართებული გაგებით დამფრთხალმა მკითხველმა სამეგრელოს ენობრივი ბარიერის დაძლევისა და ერთიანი „ადმინისტრაციული ოლქის" საჭიროებაზე მსჯელობაში შეიძლება შეცდომით დაინახოს „მეგრული პრობლემების" გაზვიადება. მან შეიძლება იფიქროს, რომ ამაში თითქოს მართლაც უნდა გავიგოთ იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვ-აშორდიას და სხვათა მავნე ტრადიციის გამოძახილი, რომელსაც თითქოს მართლა ამის გამო დასჭირდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის, რესპუბლიკის ხელისუფლებისა და სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენელთა ინიციატივით წამოწყებული მომავალი კამპანია, რომელსაც ცალკეულ ავტორთა გამონათქვამებით, თითქოს დიდი სიკეთე — სამეგრელოს და საერთოდ საქართველოს გადარჩენა მოჰყვა. ამიტომ საჭიროდ გვესახება აქვე მიუთითოთ, რომ აღნიშნული შეღავათების საჭიროებას საქართველოს ხელმძღვანელობაც აღიარებდა, მოითხოვდა და სათანადო ღონისძიებებსაც სახავდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია იმ სათანადო დოკუმენტაციის მოხმობა, რომელიც ადასტურებს, რომ სამეგრელოს მოსახლეობისათვის ენის პრობლემის მოგვარება და ერთიან ადმინისტრაციულ ოლქად ორგანიზების საკითხი ზემოდან, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დონიდან დაისვა, რომ ამ პრობლემების მოგვარების იდეა და პრაქტიკული მხარდაჭერა, თვით საბჭოთა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და ხელისუფლების მიერ ეკონომიკის საბჭოური ორგანიზების ინტერესებით იყო ნასაზრდოები. მაგრამ იგი ამასთანავე ნაკარნახევი იყო უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამოყვანის ინტერესებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ენა არა უბრალოდ ურთიერთგაგებინების, არამედ ამასთანავე წარმოებისა და სოციალური პრობლემების მოგვარების მძლავრი საშუალებაა.

მეგრელი გლეხობის პრობლემების გაგებაში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით საჭირო ხდება აღინიშნოს, რომ 1923 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა აღიარა სამეგრელოში ენის სიმწვავისა და სამეგრელოს ერთიან სამეურნეო ორგანიზმად გაერთიანების პრობლემის გადაუდებლად მოგვარების აუცილებლობა.

სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის საკითხთან დაკავშირებით საჭირო ხდება მოკლედ მაინც აღინიშნოს, რომ 20-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა რუსეთში სოციალისტური ეკონომიკისა და მეურნეობის ორგანიზებამართვის ინტერესებით ტარდებოდა ადმინისტრაციული რეფორმები. ამის მსგავსად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის 1 ივნისს განიხილა საკითხი საქართველოს ახლებური დარაიონების შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება. დადგენილების მეხუთე პუნქტში ეკითხულობთ: „მოისმინეს ქართველიშვილის (საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის — ავტ.) წინადადება შემდეგი მაზრების გაერთიანების შესახებ: რაჭა-ლეჩხუმი და ზუგდიდი-სენაკი-ფოთი. დაადგინეს: ასეთი გაერთიანება ჩაითვალოს სასურველად. ამ საკითხით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე შევიდეთ წინადადებით — ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გატანილ იქნას საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის სესიაზე“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფურც.41, 41/2).

საქართველოს კომპარტიის ცაკ-ის აზრისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო მართვის გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, სახალხო კომისრის, ალექსანდრე გეგეჭკორის მეთაურობით, შეიმუშავა და სრულიად საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობას (30.X.II.1923-3.I.1924), წარუდგინა მოხსენება ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივი ხელისუფლების აპარატის განმტკიცება–გაუმჯობესების, სამაზრო ხელისუფლების ოლქებად რეორგანიზაციისა და მმართველობის ხარჯების გაიაფების შესახებ. ა. გეგეჭკორის მოხსენებაში ვკითხულობთ: „ეს პროექტი მცირე განსხვავებით შარშან (ე.ი. 1922 წელს — ავტ.) იყო წარმოდგენილი ცაკ-ის სესიაზე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ეს კითხვა (რეფორმის გატარებისა და სამეგრელოს ერთიან ოლქად გაერთიანების შესახებ — ავტ.) მაშინ მომწიფებული არ იყო არც ცენტრში და არც ადგილობრივ... ამიტომ ჩვენს (ცკ-ის გარკვეული ჯგუფისა და შინსახკომის — ავტ.) პროექტს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს: ერთი მხრით ადგილობრივ მომუშავეებმა (ანუ სამეგრელოს მაზრების ხელმძღვანელმა მუშაკებმა — ავტ.) და მეორეს მხრით ჩვენმა ცენტრალურმა კომისარიატებმა“. როგორც ირკვევა, ადრინდელი პროექტით რეკომენდირებულ იყო ლ. ქართველიშვილის იდეა რაჭა-ლეჩხუმის და ზუგდიდი–სენაკი–ფოთის მაზრების გაერთიანებით სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქების შექმნა. ეს პროექტი დაეგზავნა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. ამის შემდეგ „პროექტი“ გახადეს პარტიული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი (იხ. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები. 1921-1937, თბ. 1980, გვ. 96) ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება — დირექტივების შესაბამისად, როგორც ჩანს, კონფერენციები ჩატარდა სამეგრელოსა და კერძოდ ზუგდიდის მაზრაში, დებატები გაიშალა სამეგრელოს ოლქად მომავალი მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ზემოდან წაქეზებული კონფერენციებისა და მათზე სამეგრელოს მომავალი მოწყობის საკითხებზე გამოთქმული მოსაზრების შესახებ ჩვენ შეეძელით გამოგვევლინა მხოლოდ ისტორიის ირიბი წყაროები, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს სხვა მკვლევარებისა და პუბლიცისტების მიერ აუხსნელი მდგომარეობების ნამდვილი არსი. გარდა ზემოთ მოყვანილი სათანადო ცნობებისა, არქივებში გამოვაღენინეთ მიცემულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციული ფრაგმენტების შემცველი სხვა უაღრესად საყურადღებო დოკუმენტები. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტია „ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1931 წლის 4 დეკემბრის ოქმი №3“-ში დაფიქსირებული ი. ჯანაშიას მიერ გამოთქმული აზრი: „სამეგრელოს ოლქის საკითხი იწყება 1922 წლიდან, იმ დროს ზუგდიდში არ იყო ამხ. ისაკი, მაგრამ ორგანიზაციამ წამოაყენა მოთხოვნა და ჩვენ მას ვიცავდით...“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 10. ფურც. 25). მეორეა გრიგოლ ახალაიას მიერ სსრ კავშირის ცაკის მისამართით დაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი წერილი-საჩივარი („მეგრელი ხალხის მდგომარეობის საკითხისათვის“). აქედან ირკვევა, რომ ზუგდიდის მაზრაში „საქმის მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით ამხანაგ ჟღენტის (თენგიზის — ავტ.) თავმჯდომარეობით ზუგდიდში შესდგა პირველი კომისია (პლებისციტის მსგავსი)“. მაშასადამე, სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდის მაზრაში, გლეხობის ინტერესებზე დაყრდნობილმა მეგრული ენის და სამეგრელოს ოლქად ორგანიზების საკითხებმა, რომლებიც „მეგრული საკითხის“ უმთავრესი არსის განმსაზღვრელ პრობლემას ჰქმნიდა, თავი თავად ხელისუფლების ინიციატივით და წაბიძგებით იჩინა. ეს მოხდა 1922 წელს. უფრო ადრეულ წყაროებში „მეგრული საკითხის“ შემცველი პრობლემები არ იძებნება. 1922 წელზე ადრე ავტონომიის მოთხოვნის გამო პარტიიდან გარიცხულიც არავინ ჩანს. მაშასადამე, ერთიანი სამეგრელოს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული და მეორე მხრივ

ავტონომიური მოწყობის მოთხოვნილება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1922 წლიდან აღმოცენებულა.

1922 წელს უკვე ჩანს, რომ წაქეზებულებიდან ავტონომისტი კომუნისტები პარტიამ ძალისმიერი მეთოდებით დააშოშმინა. ამ მხრივ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა 1922-1923 წლებში საკავშირო კომპარტიის მასშტაბით გატარებული პირველი და მეორე პარტიული „ჩისტკები". ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას შეიცავს გაზეთ „კომუნისტში" 1925 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებული წერილი. მასში ნათქვამია, რომ კომპარტიის ყოფილი წევრები არიან მ. დადიანი, ჯიქია, ვეკუა, ქობალია, როგავა, თორდია, პარტიის წევრობის კანდიდატი გრ.ახალაია, „რომლებიც გამორიცხული იყვნენ ჯერ კიდევ 1922 წელს". საქართველოს პრეზიდენტის არქივის კატალოგში გამოვავლინეთ ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ 1922 წელს სენაკის პარტიულმა ორგანიზაციამ წმენდის დროს თავისი რიგებიდან გარიცხა „მეგრული საკითხთან" დაკავშირებული ოდიოზური პიროვნება, თოდუა ილარიონ ალექსის ძე (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 61, ს. 46, ფურც. 10; იქვე, ფ. 15. აღ. 1, ს. 480, ფ. 138). სხვა წყარო გვამცნობს, რომ 1923 წლის 6 ივნისს ავტონომიის მოთხოვნის გამო პარტიიდან გაურიცხიათ კომუნისტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდელი სტაჟის მქონე კიმოთე თორდია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 86. ფ. 105). სერგო ორჯონიკიძის მიერ სტალინისადმი გაგზავნილი 1925 წლის 9 სექტემბრის პირადი წერილიდან ჩანს, რომ ცნობილ პარტიულ ხელმძღვანელ მუშაკებს ბახტაძეს და ქართველიშვილს ზუგდიდში განუცხადებიათ, რომ სტალინი მხარს უჭერს სამეგრელოს ავტონომიას. მაშასადამე, „შარი" ცენტრიდან მოდის.

როგორც სათანადო ისტორიის წყაროებიდან ჩანს ენისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხები სამეგრელოსათვის სერიოზულ პრობლემებს წარმოადგენდა. მაგრამ „მეგრული საკითხის" არასასურველი ენობრივ-ტერიტორიული, ავტონომიური მიმართულებით განვითარებამ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას უკვე 1922 წელს დაანახა, რომ პრობლემები არსებობენ და მოითხოვენ მოგვარებას. თუ არა და სამეგრელოში არიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც იჩემებენ, ანუ „მეგრელებს მიიჩნევენ ქართველებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ნაციად" და ამ საფუძველზე მოითხოვენ „სამეგრელოს ავტონომიას". როგორც ჩანს, ამის გამო შეინჯღრა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ტვინები. საქართველოს კომპარტიის ცეკას 1923 წლის 12-15 სექტემბრის პლენუმის საოქმო ჩანაწერებში დაუფიქსირებიათ: „ასეთი ბოროტება არის და მას <u>უნდა ვებრძოლოთ</u> (! — ავტ.). მაგრამ იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხს რაიმე მივცეთ მეგრულ ენაზე, ამის წინააღმდეგ არავის შეუძლია გამოთქმა. გლეხს უნდა მივცეთ პატარა ბროშურები სასოფლო სამეურნეო ცხოვრებიდან მეგრულ ენაზე რომ წაიკითხოს, გაიგოს და <u>გავეტაროთ ქართულის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომელიც ღუპავს გლეხობას</u>" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 490, ფ. 7/2; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ამ ჩიქორთული ჩანაწერიდან ჩანს, რომ უაღრესად მწვავედ იდგა ცხოვრების სწრაფი გაუმჯობესებისა და ამ მიზნით ქართული ენის არმცოდნე გლეხებისათვის აუცილებელი საარსებო შესაძლებლობების მეგრული ენით მოგვარება-გამოყენების სახელმწიფოებრივი უფლებების მოთხოვნები. მაშასადამე, ჩანს, რომ არსებობენ, მეგრული ენის უთუო გამოყენებისა და სამეგრელოს საოლქო მოწყობის ტენდენციის მოსურნე-მასაზრდოებლები. ისიც კარგად ჩანს, რომ ამ ერთიანი ხაზის მიმდევრები უკეთ გარკვეულან მიმდინარე მომენტის პარტიის პოლიტიკურ კურსში. რუსეთის კომპარტიის (ბ) X ყრილობამ (1923წ. აპრილი) და ყრილობაზე სტალინის მოხსენებამ საბოლოოდ გაარკვია, რომ თვითგამორკვევისა და ავტონომიური მოწყობის უფლებები ეძლეოდათ „მპყრობელ ერში" მცხოვრებ „ერებს". მეგრელი კომუნისტებისა და უპარტიოების უმრავლესობისათვის გასაგები გახდა, რომ მეგრელები არ წარმოადგენენ ერს და, ამდენად, არ აქვთ ავტონომიად მოწყობისა და ადგილობრივ

თავისებურებებით გამოწვეული პრობლემების სწრაფი მოგვარების შანსი, მაგრამ პრობლემები უთუოდ არსებობს და ამიტომ საჭიროა მათი დაძლევის სათანადო ღონისძიებები. ეს კიდევ უფრო გასაგები გახადა ყრილობის მიზანდასახულობათა შესაბამისად კანონმდებლობის შემუშავების მიზნით მომუშავე საქართველოს ცაკ-ის პუბლიკაციებმა. მაგრამ ამ დროს მეგრული ენის გამოყენებისა და სამეგრელოს ავტონომიად მოწყობის იმედი ზოგისთვის არ გამორიცხულა. ესენი ცდილობენ, რომ დაასაბუთონ სამეგრელოსათვის ერთიანი ავტონომიური მოწყობის იურიდიული უფლება. ამ მიზნით ცდილობენ დაასაბუთონ, რომ თითქოს მეგრელები, ისევე როგორც აჭარლები არიან საქართველოს ერთიან ქართველ ერში შემავალი ნაცია. სტალინის სიტყვებით, რომ ვთქვათ „მპყრობელ ერში" შემავალი მცირე „ყოფილი ჩაგრული" ნაცია. ეს იყო საქართველოში პარტიის ეროვნული პოლიტიკის (თეორიისა და პრაქტიკის) თავისებური, დამახინჯებული განხორციელებით წაბიძგებული გამოვლინება, რომლის შესახებ მსჯელობა წიგნის მომდევნო, სპეციალურ თავში გვექნება.

განსაკუთრებით პოპულარული და რაციონალური იყო სამეგრელოს ერთიანი კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსება და მეგრული ენის თავისუფალი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მეგრული ენის გამოყენებით გლეხობის კულტურულ–ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურების, აგრეთვე სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის მიზანშეწონილობა, როგორც საქართველოს ცენტრში, ისე ზუგდიდის მაზრის კომუნისტებსა და უპარტიოებში კვლავ ძალაში რჩებოდა. <u>ეს იყო სამართლიანი</u> მოთხოვნების მიმდევართა ხაზი. მაგრამ ამის შემდეგაც ეს პრობლემა ხანგრძლივად დარჩა მოუგვარებელი. როგორც ჩანს, ქართული ენის არმცოდნე უშუალო მწარმოებლის მიერ მისთვის გასაგები ერთადერთი და მშობლიური ენის საზოგადოებრივი გამოყენების და რეგიონის საერთო ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის საკითხში, რესპუბლიკის უზენაეს ხელისუფლებაში კვლავ რჩებოდა ზანტად მოაზროვნეთა ძლიერი წინააღმდეგობები. ამაზე დამატებით მიგვითითებს ცნობილი ავტონომისტის გრ. ახალაიას ერთ-ერთი უკანასკნელი, აშკარად სეპარატისტული საჩივარი წერილის („მეგრელი ხალხის მდგომარეობის საკითხისათვის") ერთი, ჩვენი აზრით, უტყუარი სიმართლის ამსახველი ფრაგმენტი. „მეგრული საკითხის" მოუგვარებლობითა და საქართველოს ხელისუფლების ტლანქი დამოკიდებულებით გაღიზიანებული გრ. ახალაია შენიშნავს: „საქმის მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით ამხანაგ ყოლენტის (თენგიზის — ავტ.) თავჯდომარეობით ზუგდიდში შესდგა <u>პირველი</u> კომისია (პლებისციტის მსგავსი). 1925 წლის ივნისში <u>მეორე კომისია</u> საქართველოს კპ. ცკ-მა სამეგრელოში მიავლინა ამხ. ნაზარეტიანის ხელმძღვანელობით, 2-3 კვირის შემდეგ საქცენტრის მიერ სამეგრელოში <u>მესამეჯერ</u> იქნა მივლინებული საქართველოს შინსახკომი მათიკაშვილი. ყველა ისინი მოსახლეობამ აღავსო წერილობითი და სიტყვიერი განცხადებებით მეგრელ გლეხს მიეცეს ნაციონალიზირებული სკოლა (ანუ პირველდაწყებითი მეგრული სწავლება — ავტ.), სასამართლო და პერიოდული გამოცემები მშობლიურ ენაზე. მათ ანგარიში გაუწიეს საქმის მდგომარეობას, <u>მისცეს პატიოსანი სიტყვა დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნები, მაგრამ აქამდე დაპირებები დაპირებად რჩება</u> და ნაბიჯიც არ იდგმება მეგრული ნაციონალური ოლქის მიმართულებით" (ხაზგასმა ავტორებისეულია — ავტ.).

„ნაციონალური ოლქი"?! ეს უკვე ავტონომისტების აზრია. თუ მხედველობაში მივიღებთ გრ. ახალაიას მიერ „ნაციონალურის" თავისებურ ავტონომისტურ გაგებას, რისი გარანტიაც სინამდვილეში უთუოდ არ მიუციათ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სამეგრელოში ცენტრის მიერ მივლინებულმა კომისიის წევრებმა პატიოსნად შეასრულეს მთხოვნელებისთვის თავიანთი დანაპირები. 1925 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების (ი.ჟვანია, აკ. ქავთარაძე, შ.ელია, სიჭინავა, ბ. ბერია, ფ. ცხომარია, ი. ცხაკაია, ბ. თორდია, ლ. კალანდია, მ. ბერულავა) და თბილისიდან მოვლენილი პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელი მუშაკების (მათიკაშვილი,

გიორგაძე, ეგოროვი) ერთობლივმა გაერთიანებულმა სხდომამ „მოისმინა (შინაგან საქმეთა კომისრის — ავტ.) მათიკაშვილის ინფორმაცია თავისი ჩამოსვლის მიზნების შესახებ“ (?! — ავტ.), აზრი გამოსთქვეს (აკ. ქავთარაძემ, ი. ჟვანიამ, შელიამ, ბ. ბერიამ და კალანდიამ) და პარტკომის პრეზიდიუმმა საჭიროდ ჩათვალა შემდეგი ღონისძიებების დასახვა:

„1. სამეგრელო გაფორმდეს“, როგორც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-ტერიტორიული (და არა ავტონომიური — ავტ.) ერთეული.

2. ნება დაერთოს პარტკომის ორგანოს სახით ყოველდღიური გაზეთის და სხვ. პოლიტიკურ-ლიტერატურული და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშურების გამოცემას.

3. პირველი საფეხურის სკოლებში შემოღებული იქნას მეგრული ენით სწავლება.

4. ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება შემოღებულ იქნას მეგრულ ენაზე“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14 აღ. 6, 226 ფურც. 54\3).

საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელ წარმომადგენელთა და ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომისტეტის მიზანდასახულობები, რეალურ ვითარებაში „მეგრული საკითხის“ პრინციპულად სწორი მოგვარების რეკომენდაციებს შეიცავს. რეალიზაციის შემთხვევაში „სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეული“ იქნებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის, ლ. ქართველიშვილის, საქართველოს შინსახკომის და მისი კომისრის ა. გეგეჭკორის „პროექტით 1922-1923 წლებში შემოთავაზებული, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი, ეთნიურად რუსული „ობლასტის“ ტიპის მსგავსი ადმინისტრაციული წარმონაქმნი ადგილობრივი კულტურულ-ენობრივი რეალობის მაქსიმალური გათვალისწინებით. იგი შეიძლებოდა გაფორმებულიყო აგრეთვე, როგორც 1928 წელს მთავრობისგან რეკომენდირებული რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანებით შექმნილი და 1930 წლის დარაიონებამდე არსებული ერთიანი თელავი-სიღნაღის მაზრის, ანუ კახეთის ოლქის მსგავსი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (ამის შესახებ იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, გვ. 313; აგრეთვე „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ. 1930 გვ. 1). ანუ იქნებოდა იმის ზედმიწევნით მსგავსი, რაც დღეს გვაქვს. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სამხრეთ ოსეთის სტრუქტურისა და სტატუსის ავტონომიური ოლქი.

არავითარ ეროვნულ საშიშროებას არ ქმნიდა არც დაწყებითი სწავლების მეგრული ენით ორგანიზება. პირიქით, იგი უფრო შეესაბამებოდა პედაგოგიურ მოთხოვნას. მაგრამ საჭირო იყო ამ სასკოლო სიახლის სწორი ორგანიზება. ამაში გვარწმუნებს დადგენილების მოტივირებული ნაწილი, რომელშიც კონსტატირებული იყო, რომ:

„1. მაზრის უკანასკნელი გამოკვლევით და მისი საქმიანობის, როგორც სამაზრო ცენტრის, ისე კომისიების მიერ ადგილზე შესწავლით დადგინდა:

ა. მაზრის მოსახლეობის სრული ეკონომიკური ჩამორჩენილობა.

ბ. გლეხური მოსახლეობის 90 პროცენტის აბსოლუტური ტექნიკურ-პოლიტიკური გაუნათლებლობა.

გ. ქართული ენის უცოდინარობა-გაუგებრობა“.

დადგენილების მოტივირებული აზრი რეკომენდაციების მიზანშეწონილობის მოტივებად აყალიბებს, აგრეთვე: „მოსახლეობის მხრივ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის საჭიროებას“; მასების ქვეყნის მშენებლობასთან დაკავშირების შესაძლებლობასა და მისწრაფებას, რომლის გარანტიად მიიჩნევს პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური შემოქმედების პროცესში მათთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი მეგრული ენით ჩაბმას. ამასთანავე რეკომენდაციების „მოტივირებულ ნაწილი“ მეგრელი გლეხების საბჭოთა აღმშენებლობით პროცესებში აქტიური ჩაბმის წამბიძგებელ

ძალად ასახელებს ეკონომიკური ჩამორჩენილობიდან მეგრელი მშრომელი ადამიანის „ამოსტომის“ დაუოკებელ მისწრაფებას. — „თვითგამორკვევის დინებაში ჩართვის მისწრაფებას“. მაგრამ არავითარ შემთხვევაში, გამოყოფას. ამას ადასტურებს დადგენილების პირველი მუხლიც. დაბოლოს, რეკომენდაციები ზემდგომი ინსტანციების ყურადღებას მიაპყრობს პარტიის მიზანდასახულობების განხორციელებაში მეგრელი გლეხური მასების სტიქიურ, 100-პროცენტიან მონაწილეობას, რომელიც ხელისუფლების მხრივ უყურადღებობის შემთხვევაში შეიძლება გახდეს პარტიის კრიზისის, მისგან მასების ზურგშექცევისა და მოწინააღმდეგე ძალების გამოყენების საშუალებად. ამიტომ ეს სტიქიური მასობრივი მოძრაობა პარტიის მეთაურობას და საბჭოთა ინტერესებით წარმართვას მოითხოვსო.

ამ უკანასკნელ თეზისს, მაფრთხობელა ხასიათისა და პოლიტიკური მიზანდასახულობის აშკარად შესამჩნევი გადაჭარბებული პათოსის მიუხედავად, დაეჯერება. სამეგრელოს გლეხური მოსახლეობის მართვის გადაუდებელ ამოცანებად და საარსებო პირობების გაუმჯობესების საშუალებად ამ დროს მართლაც ისახება მეგრული ენის მასობრივი გლეხური შემოქმედების იარაღად გამოყენება. კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე დაპირებებით და საკუთარი დუხჭირი ცხოვრების სწრაფი დაძლევით დაინტერესებული მეგრელი გლეხების ინტერესების გამოხატვის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ი. ჟვანიას აზრი, რომელიც მან გამოსთქვა „მეგრული საკითხის“ გამო წამოწყებული პროპაგანდის დროს, ბერიას მიერ „მეგრულ საკითხში“ მისი პოზიციის პოლიტიკანური გაკრიტიკების საპასუხოდ.

ი. ჟვანია წერს: „ავტონომია (შეეხება ის დიდ თუ პატარა ტერიტორიულ ერთეულს), რომელსაც მოითხოვენ ერთი მუჭა ფანტაზიორები, და რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილზე... და მას ხელს არ უწყობს ქვეყნის ობიექტური პირობები — ასეთი ავტონომია არის ავანტიურა...

მშრომელი სამეგრელოს ინტერესები... მოითხოვს, რომ ოფლით მონაპოვარი საბჭოთა კაპიკი მისი პირველი მოთხოვნილების საჭიროებას მოხმარდეს. ზუგდიდის მაზრაში უგზოობის გამო კამეჩის პრიმიტიული ურმით თუ გაიელი და ისიც კარგ დარში. გზა, ხიდი, სკოლა, საავადმყოფო, სამკითხელო, თეატრი — აი რისი მოწყობა შეადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას. აი სწორედ ამ მტკივანი საკითხების გადაჭრა შეადგენს ჩვენი საზოგადოების ყველა ცოცხალი ელემენტების საზრუნავ საქმეს...

ეკონომიკურობითი მუშაობის მხრით ზუგდიდის მაზრა ძალიან ჩამორჩენილია, როგორ მოუყაროთ თავი ამ ჩამორჩენილობას, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან... ყველას ჩვენ, ვისაც გვიხდება პრაქტიკული მუშაობა და არა ლაყბობა ზუგდიდის მაზრაში, მხოლოდ და მხოლოდ ეს საკითხი გვაინტერესებს. ვფიქრობთ თუ რა დახმარება მივსცეთ მშრომელ მეურნე გლეხს, და მუდამ იმის ცდაში ვართ, როგორმე მოეაგვაროთ ცენტრის დახმარებით ეს რთული საკითხები. ეს რომ ასეა ამას ამტკიცებს ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელნიც წამოყენებული გვაქვს ამ ცენტრის დასტურითა და მისგან დახმარების მისაღებად (! — ავტ.).

ამით მე ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვაინტერესებს ის, რასაც საჭიროებს მშრომელი გლეხობა და არა „ავტონომია“... (გაზეთი „კომუნისტი“, 1925, 15 სექტემბერი“. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

ი. ჟვანიას ზემოთ მოყვანილი აზრი წარმოადგენს, მისი მონაწილეობითა და ცენტრის წარმომადგენელთა დასტურით, 1925 წლის 24 აგვისტოს, ზუგდიდის მაზრკომის პრეზიდიუმის დადგენილებაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების დაცვას. ამ ამოცანას მოახმარა მთელი თავისი შემდგომი ძალისხმევა ამ გლეხური ინტერესების დამცველმა, სტალინური ტიპის კომუნისტმა.

პუბლიკაციებსა და საარქივო მასალებში იძებნება ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების უამრავი დამადასტურებელი და მხოლოდ ზოგი უსაფუძვლო საწინააღმდეგო არგუმენტი. მათი ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის

შედეგებმა გაგვაბედინა მომდევნო თავებში კონკრეტული მაგალითების შუქზე დავიცავთ ჩვენი არაორდინალური, მყარი აზრი.

მაშასადამე, თბილისის ცენტრიდან მოვლენილი ხელმძღვანელი წარმომადგენლების, ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრების, აგრეთვე მათი თანამოაზრე-მიმდევრების ძალისხმევა ემსახურებოდა მეგრელი გლეხის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი საწარმოო საშუალების მეგრული ენის გამოყენებასა და სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ერთეულად მოწყობას, მაგრამ არა სამაგრელოს ავტონომიურად გამოყოფას.

მაგრამ ზემოთ განხილულ 24 აგვისტოს დოკუმენტში უამრავი ხარვეზიც შეინიშნება. მასში არა ჩანს რომელ ენაზე უნდა გამოცემულიყო დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდული პრესა და ფურცლები. დადგენილების მუხლების შეზღუდული და დაუხვეწავი რეკომენდაციებიდან არა ჩანს აგრეთვე, რომ: ეს „კულტურულ-ტერიტორიალური" „ერთეული" კონკრეტულად როგორ შეესაბამება და ხელს არ შეუშლის საქართველოს საერთო ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს; არაფერია ნათქვამი მეგრულ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების ორგანიზების პრინციპებსა და დეტალებზე. არა ჩანს მეგრული ენით პირველდაწყებითი სწავლების მოთხოვნა ოთხ წელს გულისხმობს თუ მხოლოდ 1-2 წელს. არც ისაა გაშუქებული, მეგრულად სწავლების პროცესში რა ფუნქცია უნდა მინიჭებოდა სახელმწიფოებრივ და ლიტერატურულ ქართულ ენას. გაუგებარია სასამართლოებსა და ორგანიზაციებში მეგრული ენით ურთიერთობის შემოღების შემთხვევაში რა ადგილი დაეთმობოდა საერთო სახელმწიფოებრივ—ლიტერატურულ ქართულ ენას. გასაგებია, რომ ამ გარდამავალი ხასიათის რეფორმების სწორი გატარებით შეიძლებოდა საერთო ეროვნული სარგებლიანობის ამაღლება. ეროვნული ინტერესების იგნორირების შემთხვევაში, დასახული რეკომენდაციების ხორცშესხმა უთუოდ გამოიწვევდა ანტიეროვნული ტენდენციების წაბიძგებას. მაგრამ, ერთი რამ უთუოდ ნათელია: ეს არ არის ანტიეროვნული და არც ავტონომიური ერთეული. მაგრამ ურწმუნო თომები თუნდაც მხოლოდ პოლიტიკანური მიზანდასახულობით შეუდგებოდნენ (და შეუდგნენ კიდეც) ღია კარის მტვრევას.

საყურადღებოა ის, თუ როგორი დამოკიდებულება გამოავლინა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილების მიმართ ზემდგომმა ინსტანციამ. ჩვენ ვიცით ამ აისბერგის ხილული ნაწილი. საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელობამ, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო, ნაცვლად იმისა, რომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტისა და ცენტრის წარმომადგენელთა რეკომენდაციები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით დაეხვეწა და მისთვის სწრაფი განხორციელების შესაძლებლობა მიეცა, საქართველოს ხელისუფლებამ იგი საჭოჭმანო გახადა. მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლებოდა: 1. სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნა და მის ფარგლებში დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისა და მეგრული გლეხური ინტერესების და ტრადიციების დაცვით, ზოგადქართული კულტურის კერების საქმიანობის სრულყოფა; 2. ქართული ენის არმცოდნე თემების დაწყებითი სკოლის პირველ ორ კლასში ქართულად სწავლებასთან ერთად მეგრული ენით სწავლების ისე ორგანიზება, რომ ქართულის არმცოდნე გლეხურ ოჯახს შვილის დაწყებითი განათლება გადაულახავ პრობლემად არ ქცეოდა; 3. სასამართლოებსა და დაწესებულებებში შერეული მეგრული და ქართული ენის გამოყენება, ამ ენებზე ურთიერთობა; 4. სამეგრელოს კულტურულ კერებში ეროვნულ-პატრიოტული და დიდაქტიკური ღონისძიებების, სპექტაკლების და ა.შ. ქართულ და მეგრულ ენებზე წარმართვა, ქართულ-მეგრული ფოლკლორის საღამოების ერთობლივი ორგანიზება; საქართველოს, მისი ცალკეული კუთხეების ისტორიისა და მათი ენების რაობის საკითხებზე პოპულარული საუბრების ორგანიზება და სხვ.; 5. ქართული გაზეთების პარალელურად, ქართულ-მეგრული სტატიების შემცველი მეგრული გაზეთის, აგრეთვე მარტივი, გლეხებისათვის აუცილებელი ინფორმა-

ციის შემცველი ბეჭდური პროდუქციის მეგრულ ენაზე გამოცემა; 6. სამეგრელოს ქართულის არმცოდნე მშრომელი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მეგრული ენის გამოყენებით, ხოლო ქართული ანბანის და წერა-კითხვის მეგრულად მცოდნეებისათვის ლიტერატურული ქართულის სწავლება და სხვ.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარებით იყო საჭირო ქართული ენის არმცოდნე გლეხების სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენაზე გარდამავალი, უმტკივნეულო, ევოლუციური პერიოდის უზრუნველყოფა. როგორც ვნახეთ ძირითადად სწორედ ამას მოითხოვდა მეგრელი გლეხობა, ამას გულისხმობდა, აგრეთვე სამეგრელოს გლეხობის სამართლიანი მოთხოვნების გამომხატველი პარტიული და უპარტიო ინტელიგენცია. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ინტერესებისათვის იბრძოდა ისაკი ჟვანიაც. მაგრამ საქართველოს იმდროინდელმა ცენტრმა გაუმართლებელი და მიზნობრივ-პოლიტიკანური ინტერესებით სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. მან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რესპუბლიკის ინტელიგენციის და მათი მიმდევარი ეროვნულ-პატრიოტული მასების რეჟიმის საწინააღმდეგო განწყობილებათა თავის სასარგებლოდ შემობრუნების მიზნით, საქართველოს ცენტრის მეგრულ ბობოლა კომუნისტურ ინტელიგენციაში არსებული პატივმოყვარეობით ხელი შეუწყო ჯანსაღი ტენდენციების გაჭიანურებას. ამით უნებლიედ ხელი შეეწყო, აგრეთვე არსებული „ავტონომისტური" ტენდენციების გაძლიერება-გაზვიადებას, მის სეპარატიზმამდე წაბიძგებას და შემდეგ მის ბოლშევიკური, ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნვას. ხელისუფლებამ უნიათო პოლიტიკით ობიექტურად ხელი შეუწყო მის მიერვე ნაქადაგევი და გატარებული ეროვნული პროგრამით ნასაზრდოები „ავტონომისტების" თუ ცალკეულ პირთა რეაქციულ-ანტიეროვნულ მოთხოვნებამდე წაბიძგებას, შემდეგ მის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით „მეგრული საკითხის" მოგვარების გაყალბებული კამპანიის ორგანიზებას და მის გასაღებას ანტიქართული სეპარატიზმის ვითომ დიდი საშიშროების წინააღმდეგ ბოლშევიკების და უპარტიოების პატრიოტულ ბრძოლად.

მაშასადამე, ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 24 აგვისტოს დადგენილებით, იგივე ისაკი ჟვანიას, მისი მიმდევრების და საქართველოს ცენტრის წარმომადგენელთა მიერ მიღებული, სამაზრკომის დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები გულისხმობდა პარტიული და საბჭოთა პოლიტიკით ნასაზრდოები, მეგრელი გლეხების სამართლიანი მოთხოვნების ნიადაგზე აღმოცენებული პრობლემის, ანუ ე.წ. „მეგრული საკითხის" უმტკივნეულო, სამართლიანი მოგვარების ოპტიმალურ ვარიანტს. იგი უპირისპირდებოდა „მეგრული საკითხის" მოგვარების როგორც „ცენტრისეულ" ისე „ავტონომისტურ-სეპარატისტულ" მიზანდასახულობას.

მკითხველმა რომ ჩვენი დასკვნის მართებულობა დაიჯეროს, საჭიროა „მეგრულ საკითხთან" დაკავშირებულ რიგი სხვა პროცესებში გარკვევა: „მეგრულ საკითხთან" დაკავშირებული „ავტონომისტური" ტენდენციის აღმოცენების იდეურ-პრაქტიკული წანამძღვრების გამოკვლევა, მათზე დაფუძნებული „სამეგრელოს ავტონომიის" მოთხოვნის პროცესებისა და არსის გაგება და მისი სეპარატიზმად სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური წაბიძგების გაშუქება. მაგრამ ამის სიღრმისეული შემეცნება უსათუოდ მოითხოვს ზოგადი სახით მაინც გავარკვიოთ ვინ იყო ისაკი ჟვანია, რომელიც ყველა ადრინდელი ავტორის მიერ მიჩნეულია, როგორც მხოლოდ უარყოფითი, ანტიქართული გამოვლინება.

<u>ისაკი ჟვანია</u> მისი საქმიანობის ამსახველ პუბლიკაციებში შეფასებულია როგორც ოდიოზური პიროვნება, სამეგრელოს ავტონომიური მოწყობისათვის მებრძოლი, „ჭკუანაღრძობი" და ა.შ. ეს არის მისი მოღვაწეობის გაუკუღმართებულად წარმომჩენთა ნაზრევის მექანიკური გამეორებისა და მის შესახებ სინამდვილის შეუცნობლობის, ან მისი მიზნობრივად გაბიაბრუების მისწრაფების ანარეკლი. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ი. ჟვანია იყო კომუნისტი, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დამ-

�ели, маграм сакутари шехедулебитта да гармомоѣобит прролетари, мегрули ґарибі ґлехобіс гармомадґенелі да ґлехебіс інтерресебіс дамцвели, патріотизмісі кутхісі мшромелта інтерресебідан ґамґебі. ігі ар іо інтернаціоналістурі інтелігенціісі гармомадґенелі, місітвіс дгма ар іо саертоеровнулі інтерресебі. аѣрі ісаки ґванісі, роґорц пировнебісі да мовґвасі шесахебі, емґарєба, ертіі мхріґ, сабчотта хелісуфлебісатвіс мебрдолта шесахебі ґамокґеґнулебулі статіебісі кребулісі да ґартулі сабчотта енциклопедіісі (ტ. 8) ბუნწ ცნობებს, მეორე მხრივ კი, თვით ი. ჟვანიას პუბლიკაციებს. განსაკუთრებით დიდი სამსახური გაგვიწია ი. ჟვანიას პარტიულ-ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულმა საარქივო მასალებმა, რომელთა ერთი ნაწილი, პირადად მის მიერ არის დაწერილი თუ შექმნილი.

ჩვენ ი. ჟვანიას ვაფასებთ მისი დადებითი საქმიანობისა და ღვაწლის შედეგების მიხედვით. ამასთანავე ვისარგებლეთ ი. ჟვანიას შესახებ მოწოდებული კერძო ინფორმაციებით. „მეგრულ საკითხთან" დაკავშირებით მისი პოზიცია, რომელიც აგრეთვე ზუგდიდის ინტელიგენციის რაციონალურად მოაზროვნეთა ინტერესებსაც გამოხატავდა, რეალურ ვითარებაში პრაქტიკულად ყველაზე ახლოს იყო ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, მხოლოდ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე და მოაზროვნე უღარიბესი გლეხური მასის ინტერესებთან. ამასთანავე ი. ჟვანიას გლეხურ-მეგრული ინტერესებით ნასაზრდოები პოზიცია გულისხმობდა აზროვნებას და მოქმედებას საერთო კომუნისტური აღმშენებლობის ამოცანებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, იგი პროლეტარულ-კომუნისტურ ინტერესებს ზოგადადამიანურ და ზოგადქართულ ინტერესებთან მისეული გაგებით აკავშირებდა. მაშასადამე არა ჩანს, რომ ი. ჟვანია იყო ანტიასაბჭოთა ეროვნული მოღვაწე, მაგრამ არც ის ჩანს, რომ იყო ავტონომიის მომხრე, მითუმეტეს ანტიქართული, ე.წ. „მეგრული სეპარატიზმის" წარმომადგენელი და დამცველი.

ისაკი ექვთიმეს ძე ჟვანია დაიბადა 1891 წელს, ზუგდიდის მაზრის იმ დროისათვის მიყრუებულ სოფელ ლეჯიქეში. იგი რუსეთის კომპარტიის წევრია 1913 წლიდან. 1916-1917 წლებში სამხედრო ბეგარას იხდიდა შავი ზღვისპირა რკინიგზის ბატალიონში. ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობაში მონაწილეობდა ჭაბუკობის დროიდან. აქტიურ პარტიულ მუშაობას განაგრძობდა ზუგდიდის მაზრისა და სოხუმის ოლქის ორგანიზაციებში. იყო პარტიის არალეგალური ქუთაისის კონფერენციის დელეგატი. თანამშრომლობდა გაზეთებში „ბრძოლა" და „ჩვენი ბრძოლა", რომლებშიც ქვეყნდებოდა მისი წერილები. 1918 წლის აპრილიდან მაისამდე იყო სოხუმის რევკომის წევრი. მენშევიკური ხელისუფლების დროს აქტიურად მონაწილეობდა წითელ პარტიზანთა საბრძოლო საქმიანობაში. ამ დროს რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1921 წელს ი. ჟვანია იყო სოხუმის რევკომის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ. 1925 წლის ზაფხულიდან იყო პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი. 30-იანი წლების ბოლოს მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად, შემდეგ კი აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1937 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობის ყალბი მოტივით. გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, მაგრამ გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც 1946 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა. პარტიულ-ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის დროს მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შემადგენლობაში. 1924 წელს მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მიზეზების გამოკვლევაში. იყო საკოლმეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელი ზუგდიდის მაზრაში. თუმცა დიდი დაგ-

ვიანებით მაგრამ პარტიული ცენტრის დავალებით და მისი აქტიური მონაწილეობით მოგვარდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ მეგრული „ყაზაყიში გაზეთის", მეგრული ფურცლების და ბროშურების გამოცემა. ხელმძღვანელობდა ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციული ოლქის შექმნის სამთავრობო დირექტივების დამუშავებას, დაწყებითი სწავლების პირველ კლასში მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული სწავლების ორგანიზებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის სამთავრობო ღონისძიებების განხორციელებას.

იგი იყო პრინციპული, შეუპოვარი მუშაკი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რესპუბლიკის უმაღლესი დონის ხელმძღვანელ და მაზრის მუშაკთა შორის. მაგრამ თავისი შეუპოვარი ხასიათისა და მინდობილი საქმისადმი არასტანდარტული დამოკიდებულების გამო, მათს ერთ ნაწილში იწვევდა მუდმივ უკმაყოფილებას, იწოდებოდა „მეგრული ნაციონალიზმის" წარმომადგენლად. მიუხედავად ამისა, მან გაუძლო 20-30-იანი წლების უაღრესად რთულ, შინაპარტიულ დაპირისპირებებისა და საკადრო ოთურმას. გამოდიოდა სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგ, ებრძოდა ე.წ. მეგრული სეპარატიზმის იდეას. ი. ჟვანიას ნაწერებში ვერც წინამორბედმა პუბლიცისტებმა და ვერც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას. უფრო მეტიც, ზუგდიდელი „ავტონომისტები" ხშირ შემთხვევაში ცდილობდნენ ერის სტალინისეულ განმარტებაში მოცემული ოთხი ნიშანი და, მაშასადამე, ავტონომიის ისტორიული უფლება" სამეგრელოს ისტორიის სილრმეში ეჩხრიკათ. ი. ჟვანიას მიერ მეგრული ენის გამოყენებისა და ადმინისტრაციული ოლქის შემოღების მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ წერილებში მსგავსი მეცადინეობა არ ჩანს.

იგი ყოველთვის ემყარებოდა არსებულ მდგომარეობას. მხარს უჭერდა უკიდურესი დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დაღწევის მიზნით სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში მეგრელი გლეხების ჩაბმა-გააქტიურებას მათთვის გასაგები მეგრული ენით. მისი გაგებით, მეგრული ენა „საშუალებაა და არა მიზანი". მისი ეს მარქსიდან ნასესხები ფორმულირება საქართველოში მეგრული ენის გამოყენების მაგალითზე, ჩვენი აზრით, სიმართლეს ასახავდა. ისაკი ჟვანიას კმაყოფილებას იწვევდა არა მარტო მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პროცესი, არამედ მისი წარმატება. ი. ჟვანია ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისათვის თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ამას საერთო ქართულთან დაახლოების გარდამავალი პერიოდის საშუალებად მიიჩნევდა.

ი. ჟვანიას სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა ავანტიურად მიაჩნდა. ეროვნული პატრიოტიზმის წარმომადგენლებს არათანამიმდევარი ობიექტურობის შემთხვევაში, იმდროინდელი პარტიული ლექსიკონით, კონტრრევოლუციონერებად მოიხსენიებდა. მაგრამ დიდი ქართველების — შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის მიმართ არ ერიდებოდა სიმპატიების გამომჟღავნებას. პროფესორმა გრიგოლ ჟვანიამ გვიამბო: 30-იან წლებში ზუგდიდის ტექნიკუმში ქართული ლიტერატურისა და მწერლების შესახებ მოწყობილ დისპუტს ი. ჟვანიაც დაესწრო. ჩვენს კითხვაზე, ვინ უფრო დიდი იყო კლასიკოსებიდან — ილია თუ ეგნატე?! ისაკიმ ახალგაზრდებს უთხრა, „ილია ჭავჭავაძე დიდია, მაგრამ ჩვენ უფრო ეგნატე ნინოშვილი გვჭირდებაო". ამ დროს მისგან თუნდაც ასეთი აზრის მოსმენა, მისი დადებითი ღირსების მაჩვენებელი გვგონია. ჩვენ მოვიპოვეთ დამატებითი საარქივო ცნობები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ ზუგდიდის სამაზროს კომიტეტის ხელმძღვანელად გადმოყვანამდე, ი. ჟვანია, როგორც საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობის შემსრულებელი, (1925 წლის დასაწყისში) მხარში ამოუდგა დავით გარეჯის ისტორიული კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიების საქართველოს სსრ შემადგენლობაში მოქცევისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტებს. მაგრამ ამასთანავე იგი თავისი სიმართლის დამტკიცების დროს არავის ზოგავდა, პირიქით, შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ მოწინააღმდეგეების მიმართ შურისძიების ღვარძლი გადმოენთხია.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ი. ჟვანიას მსოფლმხედველობისა და პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩენა მხოლოდ იმდენად გვესაჭიროება, რამდენადაც იგი სამეგრელოს მშრომელი მასის ინტერესებიდან მომდინარე რეალური მოთხოვნებისა თუ ინტერესების გაგებას და ე.წ. „მეგრული სეპარატიზმის" ტენდენციების და პროცესების არარსებობის და ხელისუფლების მიერ მისი მიზნობრივ–ჩეკისტური შეთითხვნის საიდუმლოებათა ამოცნობას ემსახურება და არა ამ კომუნისტი ჩინოვნიკის იდეალიზებას. ამ „საიდუმლოებების" გამოკვლევის პირველ საფეხურად წარმოვაჩინეთ მეგრელი გლეხებისა და მათი ინტერესების დამცველის მთავარი სადარდებელის, მათი სამართლიანი მოთხოვნების დამცველის გარკვევა. შემდეგ გავარკვიეთ, რომ სამეგრელოს, ზუგდიდის მაზრის ინტერესების დამცველთა მისწრაფებას წარმოადგენდა მშრომელთა სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების რაციონალური, ეფექტური გზების გამონახვა და მათი რეალიზაცია. შემდგომი საფეხური კი რაციონალურის საწინააღმდეგო, „ავტონომიის" მოთხოვნის იდეურ-პრაქტიკული წანამძღვრებისა და მისი სეპარატიზმამდე სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური წაბიძგების მიზეზების გამოკვლევა-გაშუქება იქნება.

თავი VI

„ჩხოუშიელთა“ ავტონომისტური და სეპარატისტული ნააზრევის იდეურ-პრაქტიკული წანამძღვრები

როგორც ცნობილია, ეროვნულ საკითხში მარქსიზმის შესაბამისად კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ბელადმა ლენინმა ჩამოაყალიბა ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური თეორია. იგი ფორმალურად გულისხმობს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ერების თვითგამორკვევის უფლებას, მათს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე. დიდი, „მპყრობელი“ ერების შემადგენლობაში მყოფი მცირე ერებისა და ხალხების სამართლიანი მოწყობის მიზნით ლენინს მიზანშეწონილად მიაჩნია „მპყრობელი ერების“ სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ ორგანიზმში მათი კულტურულ-ნაციონალური და საოლქო ავტონომიების სახით მოწყობა. ეროვნული საკითხის ლენინური თეორია შესაძლებლად და საჭიროდ მიიჩნევს, აგრეთვე საკუთარი დედაენითა და კულტურული ღონისძიებებით იმ ხალხების განვითარებას, რომლებიც სოციალიზმის პირობებში ყოფილი „მპყრობელი ერის“ შემადგენლობაში აღმოჩნდებიან.

ლენინური ეროვნული თეორიის მოძღვრების ზემოთ აღნიშნული საკითხები, როგორც ცნობილია, თავისებური შემოქმედებით გაიაზრა და განავითარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველი ერის წარმომადგენელმა და ლენინის უახლოესმა თანამოაზრე-თანამებრძოლმა ი. სტალინმა. მან, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირა ერებისა და ხალხების ისტორიისა და რეალური ცხოვრების მცოდნემ, 1913 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (იხ. ი. სტალინი, თხზ. ტ. 2). ამ ნაშრომში სტალინი ბოლშევიკების სოციალიზმის პირობებში ეროვნული პრობლემის გადაჭრას განიხილავს სხვა ერებთან და ხალხებთან ერთად მშობელი ერის კონკრეტულ მაგალითზე.

სტალინის სწავლებით, ერი კაპიტალიზმის ეპოქის პროდუქტია. მისი განმარტებით „ერი არის ადამიანთა მყარი ერთობა, რომელსაც ახასიათებს ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური და ფსიქიკური წყობის ერთობა“. მას აქვს „თვითგამორკვევის უფლება „ავტონომიის“ საფუძველზე“, მაგრამ „მას უფლება აქვს სავსებით გამოეყოს“ რუსეთს — „ერი სუვერენულია“ (იხ. იქვე, გვ. 334). სტალინის სწავლებით, ერის სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში შემავალი ეროვნებებისა და ხალხების მოწყობა ხდება კულტურულ-ნაციონალური ან საოლქო ტერიტორიალური გაერთიანებით. სტალინი წერს: „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით“... „მაგრამ კავკასიაში (მათ შორის საქართველოში — ავტ.) არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მოკლებული არიან მშობლიურ ლიტერატურას. ეს ხალხები ამას გარდა, გარდამავალი არიან, ნაწილობრივ ასიმილაციას განიცდიან, ნაწილობრივ უფრო ვითარდებიან. როგორ მივუყენოთ მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია? რა ვუყოთ ასეთ ხალხებს? როგორ „მივაწყოთ“ ისინი ცალკეულ კულტურულ ნაციონალურ კავშირებად, რასაც კულტურულ ნაციონალური ავტონომია უეჭველად გულისხმობს?“ ეს სტალინის მიერ დასმული კითხვა ეხება მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს... ამაში ეჭვის შეტანა არ ხერხდება, რადგან ტექსტი აქვე ასე გრძელდება: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს... რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რა ერებს მივაკუთნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი (მეგრელების, აჭარლების, სვანების და სხვ. — ავტ.) მოწყობა ნაციონალურ კავშირებად? რა „კულტურული საქმეების“ გარშემო მოვაწყოთ ისინი?“ (იხ. სტალინის დასახელებული ნაშრომი, გვ. 377). როგორც ვხედავთ, სტალინმა ქართველი ტომების, მათ შორის „თავიანთ ენაზე მოლაპარაკე“ მე-

გრელებისა და სვანების მომავალი ეროვნული „მოწყობის“ საკითხი პრობლემად წამოაყენა. მაშასადამე, მეგრელების მომავალი „მოწყობის საკითხი“ სტალინმა ჯერ კიდევ დიდი ხნით იმაზე ადრე დააყენა, ვიდრე მას საბჭოთა სინამდვილე ამოატივტივებდა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სინამდვილემ ავტონომიის პროპაგანდა და ავტონომიების მშენებლობა გასაბჭოებული საქართველოს რეალობა გახადა, ეროვნულ საკითხში სტალინის, როგორც საბჭოთა ქვეყნის ეროვნებათა საქმეების მთავარი მომწესრიგებელის (კომისრის) სიტყვამ და საქმემ ზოგი კომუნისტის, მათ შორის „ჩხოუშიელი“ კომუნისტების ერთი ნაწილისათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა შეიძინა. თუ გვინდა გავიგოთ ამ „ჩხოუშიელების“ აზროვნება და მისწრაფება მათ „ქერქში“ დროებით მაინც „ჩავჯდეთ“ და გავიგებთ, საიდან საზრდოვდება მათი ავტონომისტური თვითშეგნება.

მართალია, როცა სტალინი „ნაციონალური კავშირის“ „მოწყობის“ საკითხს ეხება, ქართული ტომებიდან უკვე მხოლოდ აჭარლებს განიხილავს, მაგრამ ამით არ ხსნის მეგრელების ეთნიური მოწყობის პრობლემას, რადგან იგი აქვე სვამს კითხვას: „ეს რა ავტონომიაა, მთელ რიგ ხალხებს (მაშასადამე, მეგრელებს — ავტ.) სიიდან რომ რიცხავს?“ და დასძენს: „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები <u>და ხალხები</u> (მაშასადამე, ეროვნულ ქართულ სალიტერატურო და სახელმწიფოებრივ ენას მოწყვეტილი, მდაბიო „დაგვიანებული“ მეგრელებიც — ავტ.) უმაღლეს კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (იხ. იქვე, გვ. 378). სტალინი აქვე საუბრობს „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასთან“ შედარებით „საოლქო ავტონომიის“ უპირატესობაზე. იგი განმარტავს, რომ „საოლქო ავტონომიის უპირატესობა“ იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გვაქვს „განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ განსაზღვრულ მოსახლეობასთან“ (იხ. იქვე, გვ. 389-390). მაშასადამე, საქმე გვაქვს მეგრელებთანაც, რადგან მათ აქვთ საკუთარი ენა, „ტერიტორიული ერთიანობაც“ და როგორც „დაგვიანებული ხალხი“, ზოგის მაგალითად, ე.წ. მაფალუელების მტკიცებით, „უმაღლეს პროლეტარული კულტურის“ საერთო კალაპოტში მოქცევის“ მისწრაფებითაც ხასიათდებიან. „საოლქო ავტონომიას“ სტალინი აცხადებს აუცილებელ პუნქტად „ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში“. ამის შემდეგ სტალინი სვამს კითხვას: „რა აღელვებს განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობას?“ (მაშასადამე, აჭარლების მსგავსად მეგრელებსაც — ავტ.) და აქვე უპასუხებს: „უმცირესობა უკმაყოფილია არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ დედაენის უფლების უქონლობით. მიეცით მას საშუალება ისარგებლოს დედაენით — და უკმაყოფილებაც თავისით გაქრება. უმცირესობა უკმაყოფილია არა ხელოვნური კავშირის უქონლობით, არამედ მშობლიური სკოლის უქონლობით. მიეცით მას ასეთი სკოლა, — და უკმაყოფილებასაც ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება.“ (იხ. იქვე, გვ. 391). ამ სწავლებით, მეგრელებს აჭარლებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ, რადგან აჭარლებს ერის ატრიბუტიკის მთავარი ნიშანი, ქართულისაგან განსხვავებული ენა არა აქვთ, მეგრელებს კი აქვთ. ამასთანავე, მდაბიო მეგრელებს აქვთ დედაენის და სკოლის ფუნქციონირების საჭიროებაც და მოთხოვნილებაც, ესენი თანაც რაოდენობითაც სჭარბობენ საქართველოში მცხოვრებ ავტონომიის სიკეთით დაჯილდოებულ პატარა არაქართველ ერებს.

სწაელული ადამიანი უსათუოდ შეგვნიშნავს: ეს ეხება ნაციონალურ, ანუ ეროვნულ უმცირესობებს და არა საქართველოს კუთხეების ხალხებს, მაგალითად, მეგრელებს. მართალი ბრძანებაა, ეს აზრი ისტორიის გამოცდილების მიხედვით მართალია. მაგრამ პარტიის ეროვნული პროგრამის ცხოვრებისეული პრაქტიკით სტალინმა საკუთარ ნააზრევს სხვაგვარი პრაქტიკა დაადევნა. განა თეორიულად თვით სტალინმა არ დაუშვა განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე, თავიანთი ლიტერატურის არმქონე მეგრელების „ნაციონალურ კავშირად“ მოწყობის საკითხზე მსჯელობა და მანვე არ განმარტა, რომ საკითხავი იყო, რა

კულტურული „საქმეების“ გარშემო მოვაწყოთ ისინიო?!“ განა ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, საკუთარი მშობლიური მეგრული ენის და მდიდარი თვითმყოფადი საყოფაცხოვრებო კულტურის მქონე მეგრელი გლეხების დამრაზმველი კომუნისტები ამ ენითა და კულტურით არ ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას?! მაშ რატომ არ შეიძლებოდა, რომ ზემოთ აღნიშნულ სტალინურ ნააზრევში მეგრელ კომუნისტებს საკუთარი ინტერესების არეკლაც დაენახათ?! ხედავდნენ კიდეც, და სწორედ ამაშია „მეგრული საკითხის“ ერთი მხრივ, თეორიულად უმტკიცნეულო ავტონომისტურ და მეორე მხრივ, ეროვნული თვალსაზრისით თეორიულად და პრაქტიკულად სახიფათო სეპარატისტულად გამგებთა იდეური სათავე. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების შემოღების პირველსავე ხანებში სტალინის ნააზრევთა თავისებურად გამგებმა მეგრელმა კომუნისტებმა საბჭოთა ბელადების ნაწარმოებებიდან პირველად, ხელი მიჰყვეს სტალინის ნააზრევის — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის“ გამოყენება-დამოწმებას და მის მეგრულ ენაზე თარგმნას. მართალია, ამ ნაშრომის თარგმნა შუა გზაზე შეაჩერა საქართველოს სახელმწიფოებრივმა ცენტრმა, მაგრამ ესეც დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ წყალი პირველმა სტალინმა და მისმა პარტიამ აამღვრიეს. ქვემოთ ვნახავთ, რომ „ავტონომისტები“ ხელმძღვანელობდნენ სწორედ სტალინის ამ ნაშრომით და არა იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვ-აშორდიას „ნასიბრძნით“. ესენი მეგრელი ავტონომისტებისა და მით უმეტეს სეპარატისტებისათვის საერთოდ არ წარმოადგენდნენ ყურადღების საგანს. ყველა არსებული წყარო იმას მეტყველებს, რომ ზუგდიდელი ანუ „ჩხოუშიელი“ კომუნისტების „დაბნეულობა“ სათავეს იღებდა ერთი მხრივ რეალური, გაუსაძლისი სინამდვილიდან სწრაფი გამოსვლის, ხოლო მეორე მხრივ, სტალინის აღნიშნულ ნაშრომში განვითარებული იდეებიდან, საქართველოში ავტონომიის პროპაგანდა-მშენებლობის მაგალითებიდან და არა ვოსტორგოვისა თუ მისი მიმდევრებიდან. როგორც ადრე ავღნიშნე, „ჩხოუშიელთა“ ავტონომიზმი სპონტანურია. ეს „მაფალუს“ შესახებ გამოქვეყნებულ გ. ციციშვილის წიგნში ნაწილობრივ დამტკიცდა. ამაში კიდევ უფრო დარწმუნდებით ქვემოთ მოხმობილი ფაქტებით.

შემთხვევითი არ არის, რომ ზუგდიდის მაზრის კომუნისტების სტალინური სწავლებით დაკვალიანებული ტ. შენგელია, რომელიც 1933 წელს სამეგრელოს ავტონომიური ოლქის მოთხოვნას უკავშირებდა ავტონომიის, მეგრული ენისა და ლიტერატურის შექმნის ამოცანას, თავის ვითომ „კოლექტიურ წერილში“ („სკპ(ბ) ცკ-ის მდივანს ამხ. სტალინს, სსრ კავშირის ცაკ-ის თავჯდომარეს ამხ. კალინინს, სსრკ სახკომსაბჭოს თავჯდომარეს ამხ. მოლოტოვს“) ეყრდნობოდა ძირითადად სწორედ სტალინის სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მოცემულ ერის ცნებისა და მეგრელების „ნაციონალური მოწყობის“ შესახებ მოცემულ დებულებას. იგი სამეგრელოს შესახებ სტალინის სწავლების სწორად გაგებაში ღრმად დარწმუნებული წერდა: „რა ვუყოთ მეგრელებს?“ ეს კითხვა ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავზეც გადაუჭრელი დარჩა, მაშინ როცა სხვა ხალხებისთვის (მაგალითად, აჭარლებისთვის — ავტ.) დიდი ხანია გადაიჭრა“. იგი ადრესატს აცნობდა, რომ „ახლა მეგრელებს აქვთ საკუთარი ლიტერატურა“ ანუ დამოუკიდებელი მოწყობისა და მეგრული ენის განვითარება-გამოყენების საშუალება, რომ „მეგრელები ჯერ კიდევ არ არიან ასიმილირებული“. ამიტომ ახლა უკვე მთელი ქვეყნის, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილ მეთაურსა და „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების და სეპარატისტების დამკვალიანებელს სთხოვს მეგრული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების შემოღებასა და „მეგრული ოლქის“ ფორმირების დაჩქარებას“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 228-231). მაშასადამე, სტალინის სწავლება ჰქმნიდა სამეგრელოსთვის ავტონომიის უფლების არგუმენტაციის „საფუძველსა“ და სათავესაც. როგორც ქვემოთ, 1930-იანი წლების სათანადო საკითხებზე მსჯელობის დროს ვნახავთ, იგივე

შეიძლება ითქვას სამეგრელოს ავტონომიის მომთხოვნი მეორე პიროვნების — „ზუგდიდის რაიკომის კულტპროპის“ ვ. კორტავას შესახებ.

ახლა ვნახოთ ის დამატებითი ფაქტორები, რომლებიც სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას ასაზრდოებდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის შემდგომი წაბიბგებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით ლენინი ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა რსფსრ გაკვეთილების შემოქმედებით გამოყენებას (ლენინი თხზ. ტ. 32, გვ. 397-399). იგი ამ მიზნით საჭიროდ მიიჩნევდა ეროვნული საკითხის მოგვარებას, ეროვნული მშვიდობიანობის დამყარებას, „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის განხორციელებას წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“. ამ ლენინური სწავლებით შეიარაღებულ ქართველ კომუნისტებს სტალინი დამატებით განუმარტავდა, რომ ბელადების ნააზრევში არსებობს „სიტყვის ხერხი“, რომელსაც პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს და, მაშასადამე, „გარდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა, არსებობს კიდევ (უფრო მნიშვნელოვანი — ავტ.) მუშათა კლასის უფლება - განიმტკიცოს თავისი ძალაუფლება და ამ უკანასკნელი უფლებისადმი დაქვემდებარებულია თვითგამორკვევის უფლება. პირველმა უნდა დაიხიოს მეორის წინაშე“ (სტალინი, თხზ. ტ. 2, გვ. 293). მეგრელი ავტონომისტი კომუნისტებიც საქართველოს მუშათა კლასზე და სამეგრელოს გლეხობაზე ამყარებდნენ იმედებს.

საქართველოში ეროვნული საკითხის პროპაგანდა-მოგვარება და ავტონომიური მშენებლობა ბელადების ზემოთ აღნიშნული თეორიული მოძღვრების „სიტყვის ხერხად“ გამოყენებით წარიმართა. შ. ელიავა გაზეთ „კომუნისტში“ 1921 წლის 6 მარტს, საქვეყნოდ აცხადებდა: „...ჩვენს სახელმწიფოში ადგილი არ ეჭნება კოლონიზაციას... ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე უდიდეს ცდას ვახდენთ — ევროპისა და აზიის საზღვარზე ჩვენ აღმოსავლეთი უნდა გავხადოთ რევოლუციის მოკავშირეთ... მაგალითი დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის“. ეს იყო ლენინური მოთხოვნის მიმართ ქართველი კომუნისტების ერთგულების უამრავი მაგალითიდან ერთ-ერთის დემონსტრირება, რომელსაც პროპაგანდისტული და კომუნისტების შეგნება-რწმენის გამომუშავებისათვის არსებითი მნიშვნელობა ქონდა.

1921 წლის 13 მარტს ნაძალადევის სახალხო სახლში შეკრებილ მუშებს საქართველოს რევკომის თავჯდომარე ფ. მახარაძე განუმარტავდა წითელი ჯარის შემოსვლის მიზეზებს და აცხადებდა: მენშევიკებს უნდოდათ „ოსების, სომხების და ყველა სხვა ერების გაქართველება“. იგი პირდებოდა: „პირიქით, ჩვენ ხელს შეუწყობთ მათ თვით ეროვნული კულტურის აყვავებაში“. ფ. მახარაძემ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ოსების მიმართ: „საქართველოს სახალხო გვარდიელებმა მწარე მოგონებები დატოვეს... როგორ სასტიკად მოეპყრნენ ისინი აჯანყებულებს, რომლებიც მიწასა და პურს მოითხოვდნენ“... ამასთანავე ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებით წაქეზებული ოსები ამ დროს ქართულ სახელმწიფოებრიობას ებრძოდნენ. მაშასადამე, ახალი ხელისუფლება კლასობრივ პროლეტარული ინტერესებიდან გამომდინარე, ექომაგებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მებრძოლ ოსებს. გაზეთ „კომუნისტში“ 16 მარტს გამოქვეყნდა ფ. მახარაძის წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო დაპირება, რომ მენშევიკების მიერ დაჩაგრულ ხალხებს თანაგრძნობით მოეკიდებოდა და „ხელს შეუწყობდა სომხებს და ოსებს თვით ეროვნული კულტურის აყვავებაში“. 23 აპრილის გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავე წერილი აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებს „ენიჭებათ ფართო თვითმართველობა ტერიტორიის იმ ფარგლებში, რომელშიც ისინი საგრძნობ უმრავლესობას და კომპაქტურ მოსახლეობას შეადგენენ“. არადა, ამ დროს სამეგრელოს რეგიონში მეგრელები უფრო კომპაქტურად სახლობდნენ ვიდრე ოსები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში.

1921 წლის 25 ივნისს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ირონიული სახ-

ელწოდების მოწინავე წერილი „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“. მასში გამოცხადებულია: „ამ სამარცხვინო ლოზუნგს გაჰყვიროდნენ ქართველი ნაციონალისტები დოდაშვილები, ერისთავები და სხვები“ და ნათქვამია, რომ თითქოს ამას „დღესაც გაჰყვირიან ფედერალისტები“. ასე აღვივებდნენ უნდობლობას ეროვნული პატრიოტების მიმართ და ერთადერთ იმედად სახავდნენ კომუნისტურ ხელისუფლებას. ეს სწავლება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სრულად აითვისეს ქართველმა კომუნისტებმა და მათ შორის მათმა „ჩხოუშიელმა“ წარმომადგენლებმა.

გაზეთ „კომუნისტში“ ვინმე „რ.კ“-ს ფსევდონიმით ქვეყნდება ტევადი სტატიების სერია, რომლებშიც ნათქვამია, რომ ქართველების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე „ერთად ერთი ბუნებრივი მოკავშირე, რომლისგანაც მან სიკეთის და კეთილი მეზობლობის მეტი არა იცოდა რა, იყო ჩრდილოეთის სახელმწიფო რუსეთი, რუსეთი მისთვის ყოვლად უწყინარი და კეთილი მეზობელი იყო“. ამ „ნასიბრძნარში“ ანტირუსული განმათავისუფლებელი ბრძოლა რეაქციულად ცხადდებოდა. ამავე დროს, სიტყვა ცნებები: „პატრიოტიზმი“ „პატრიოტული მოძრაობა“, „სამშობლო“ ყველგან ბრჭყალებშია ჩასმული. ავტორი განსაკუთრებულ სიძულვილს ამჟღავნებს ეროვნული სახელმწიფოს მიმართ. მისი თქმით, ეროვნული სახელმწიფო არის „ორგანიზაცია“, „ძალა“ „მოსახლეობის დიდი უმრავლესობის“ დასამორჩილებლად და „მათი ხელით ნარის საგლეჯად“. ავტორი მკითხველს „მოძღვრავს“: „ეროვნული მოძრაობა უნდა ჩაითვალოს რეაქციონურ ძალად, განვითარების ხელის შემშლელად“. იგი მხარს უჭერს „საკუთარ კლასობრივ“, ანუ პროლეტარულ სახელმწიფოს (გაზ. „კომუნისტი“, 1921, 27 სექტემბერი) და ასაბუთებს, რომ „პროლეტარიატს სამშობლო არ გააჩნია“ (გაზ. „კომუნისტი“, 1921, 11 ოქტომბერი). მაშასადამე, გაზეთ „კომუნისტის“ პუბლიკაციების სერია მკითხველს უნერგავს ეროვნულ ნიჰილიზმს და სიძულვილს ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ.

საყურადღებოა, რომ 1921 წლის 10 ნოემბერს თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭომ მიმართვა გაუგზავნა რსფს რესპუბლიკის ცაკ-ის თავჯდომარეს მიხეილ კალინინს და სთხოვა „იყოს საბჭოთა საქართველოს სატახტო ქალაქის მშრომელების ხელმძღვანელად საბჭოთა დიდი რუსეთის უმაღლეს მმართველობაში“. მსგავსი თხოვნა გაეგზავნა სმოლნში ზინოვიევსა და რუსეთის სახკომსაბჭოს (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1921, 14 ნოემბერი). როგორც ქვემოთ, მეგრული სეპარატისტების წაბიძგების საკითხებზე მსჯელობის დროს ვნახავთ, ძლიერ ჰგავს ეს მაგალითი სეპარატისტების „ბელადების“ ციბაკი ბუკონიას და სოლომონ ბესელიას მიერ თავიანთი 1925 წლის 20 მარტის წერილის დასათაურებას: „სრულიად რუსეთის მამასახლისს — მამა მიხეილ ივანეს ძეს“, აგრეთვე გრიშა ახალაიას 1925 წლის 29 ოქტომბრის წერილისას: „სსრკ ცაკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარეს კალინინს, ზინოვიევს, სტალინს, ტროცკის, რიკოვს, კამენევს, ლუნაჩარსკის და ტომსკის“. როგორც ჩანს, მეგრელ ავტონომისტ-სეპარატისტებს ბოლშევიკური პრესის გაკვეთილებიც კარგად აუთვისებიათ და გზაც „მოსკოვისკენ“ „კომუნისტის“ პროპაგანდის საფუძველზე უსწავლიათ.

ს. ორჯონიკიძე საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე აცხადებს: „ქართველები საქართველოში იგივეა, რაც ველიკორუსები რუსეთში. <u>ეს მპყრობელი ერია</u>... ვინაიდან იგი გაბატონებულ ერს წარმოადგენს საქართველოში... რუსეთის მუშები და გლეხები არა თუ არ ემუქრებიან საქართველოს დამოუკიდებლობას, პირიქით ისინი მთელი ძალით და ღონით იცავენ მას საერთაშორისო მტაცებელთა დაცემისაგან“ ე.ი. რუსეთის მუშები ყველა ჩაგრულის მხსნელები არიან. ასეც გაიგეს მეგრელმა „ჩხოუშიელმა“ კომუნისტებმა. „ქართველი ხალხი წარმოადგენს გაბატონებულ ეროვნებას საქართველოში და მან უნდა დაამტკიცოს, თუ როგორ უნდა მოეპყრას <u>პატარა ეროვნებებს — აჭარლებს, აფხაზებს, ოსებს</u>“, რომელთა სისხლით მორწყეს მთა და ბარი მენშევიკებმა. მენშევიკებმა სამეგრელოშიც ჩაახშეს აჯანყება, მაშასადამე, აჭარ-

ლები და ყველა ისინი, ვინც სტალინმა მეგრელებთან ერთად დაასახელა, ერთ ბედქვეშ მყოფი არიან, მასასადამე, მეგრელებიც ჩაგრული ხალხია, ჩაგრული ერია — ფორმალური ლოგიკის გზით ასე გაიგეს ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის და სხვა „ბელადების" სწავლება „ჩხოუშიელმა" ავტონომისტებმა. რუსეთის კომუნისტური პარტიის პირდაპირი წარმომადგენელი ს. ორჯონიკიძე კიდევ უფრო მეტს პირდებოდა: „საქართველოს ეროვნებათა და ტომთა შედარებითი მრავალრიცხოვნობა, სიჭრელე და ერთმანეთში არევა, სწორედ ისე, როგორც ბუნებრივი პირობები, ერთგვარ ზღუდეებს უდობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარებას, რომელიც საბჭოთა საქართველოს პირობებში ღებულობს იმ რაიონების ადმინისტრაციული გადამიჯვნის ხასიათს, რომლებიც ერთნაირი ეროვნული შემადგენლობით არის დასახლებული და ერთნაირი ეკონომიკური და ყოფა-ცხოვრების საფუძვლები აქვთ. მაგრამ ამასთან შესაძლებელია მომავალში ასეთი ეროვნული და ეტნოგრაფიული (! — ავტ.) ჯგუფების გამოყოფა და მათი მოწყობა საბჭოთა ავტონომიის ერთ-ერთი ტიპის მიხედვით (საოლქო ავტონომია, ადმინისტრაციული მშრომელთა კომუნა, როგორც მაგალითად, მუსლიმანების მოსახლეობა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრაში, გერმანელები ბორჩალოს მაზრაში და სხვ...)". აქედან ზოგი კომუნისტი მეგრელის აზრით ისე გამოდის, რომ ტომის საოლქო ავტონომიური მოწყობაც შეიძლება და, ამასთანავე, ეს მეგრელებსაც ეხება. ისე გამოდის, რომ ქვეყნად არსებული პრაქტიკული გამოცდილება შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა არა მარტო აუცილებლად „ავტონომიის ერთ-ერთი ტიპის" შემოღებას, არამედ აგრეთვე ტომის გარკვეულ ადმინისტრაციულ-ეთნოგრაფიულ ფორმირებას. ასეთი რამ ჩვენში მკაფიო გამოხატულებით არ განხორციელებულა, მაგრამ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადრე არსებობდა ეთნიურად რუსული, რსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკები, ხოლო შემდეგ შეიქმნა რსფსრ-ში შემავალი ეთნიურად რუსული „ობლასტები" და „ოკრუგები", რომლებშიც ძირითადად ერთიანდებოდნენ ტომით რუსები, რუსული ეროვნების წარმომადგენლები. მაშასადამე, შეიძლებოდა ტომით ქართველი მეგრელების საოლქო ადმინისტრაციული გამიჯვნა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. ამასთანავე, როგორც ადრე ვნახეთ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დადგენილებითა და შინსახკომის მიერ ალ. გეგეჭკორის ინიციატივით, საქართველოში ჩატარდა ახალი ადმინისტრაციული გამიჯვნის საპროექტო სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა რაჭა-ლეჩხუმის და ზუგდიდი-სენაკი-ფოთის მაზრების გაერთიანებას. მაშასადამე, მეგრული ტომის ოლქის იდეა და პრაქტიკა საქართველოს ხელისუფლებასთან და ამიერკავკასიის ცენტრთან, ს. ორჯონიკიძესთანაც ასოცირდება.

ს. ორჯონიკიძის განცხადებით, საქართველოში „ეროვნული საკითხი სწორედ არის გადაწყვეტილი. ასეთსავე სწორ გამოსავალს არა ნაკლებ რთულ საკითხიდან — საკითხიდან ენის შესახებ — იძლევა მხოლოდ ჩვენი პარტია. იგი ფიქრობს, რომ ენა წარმოადგენს ხელშეუხებელ წმინდათა წმინდას ყოველი ხალხისათვის, ვინაიდან ენა არის ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობით კომუნიზმის რევოლუციურ ქადაგებას შეუძლია შეიჭრას ამა თუ იმ ხალხის მშრომელი მასების (მათ შორის ქართულის არმცოდნე მეგრელების — ავტ.) სიღრმეში. გულუბრყვილობა, სასაცილო, დანაშაულობა და სისულელე იქნებოდა გვექადაგა კომუნიზმი ჩინელებისათვის ფრანგულ ენაზე ან ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის მათთვის გაუგებარ ენაზე. ეს წესი გვავალებს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, მივიდეთ ოსებთან და აფხაზებთან"... ამ ნათქვამის მიხედვით განა გაუგებარი არ რჩება, რატომ არ უნდა მისულიყვნენ ქართულის არმცოდნე და მცირეცოდნე მეგრელებთან?! მიდიოდნენ კიდეც, ამიტომ აქედანაც მოდიოდა ზოგი ჩხოუშიელის დაბნეულობა.

კიდევ უფრო მაცდუნებელი იყო (საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე) ს. ორჯონიკიძის ასეთი განცხადება: „უპირველეს ყოვლისა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება არ

შეგვიძლია. პოლიტიკა იქმნება არა აქ და არა ჩვენს მიერ, არამედ მოსკოვში რკპ-ს მიერ და ჩვენ ვალდებული ვართ ეს კომუნისტებისათვის საერთო პოლიტიკა გავატაროთ ადგილობრივი სინამდვილის გათვალსწინებით და მშრომელთა ფართო ფენების მიზიდვით" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 122, ფ. 62). აღნიშნულთან კავშირში, მეგრელი კომუნისტების ყურადღებას იპყრობდა, აგრეთვე, ს. ორჯონიკიძის განცხადება საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე – „თქვენ თუ გგონიათ ვინმე იარაღით ხელში ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ გამოსვლის უფლებას მოგცემთ, თქვენ ღრმად ცდებით. დაუშვათ, რომ აფხაზეთმა ჩაიფიქრა საქართველოდან გამოყოფა და ყუბანის ოლქთან მიერთება, თქვენ ვერაფერსაც ვერ გააწყობთ, ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროთ"... (იქვე, ფ. 14, აღ. 1, ნ. I, ს. 1360, ფ. 62). ასეთი „მითითებები" მოქმედების ტაქტიკით აიარაღებდა სეპარატისტებს და ეს ნაფიქრალი მათ საქართველოსაგან დამოუკიდებელი სამეგრელოს რესპუბლიკისათვის ბრძოლის შანტაჟის მადასაც აღუძრავდა.

ფ. მახარაძემ საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობიდან აუწყა მსოფლიოს და მაშასადამე სამეგრელოს: ადრე საქართველოში „მდგომარეობა მეტად არასასიამოვნო იყო, მეტად სამწუხარო იყო. სიტყვას ქართველი ხალხისა, ქართველი კაცისა თქვენ ვერ გააგონებდით არა თუ სომეხს, ოსს, აფხაზს, არამედ იმას რომელნიც ნათესაურ კავშირში გვყავს", ე.ი. აჭარლებს და მეგრელებს. „მე მრცხვენია აჭარლის, სომეხის" – აცხადებს იგი. თურმე „მათთვის არ არსებობდა ქართველი ბოლშევიკი ან მენშევიკი. მათთვის არსებობდა მხოლოდ ქართველი, რომელსაც ისინი ზიზღს უცხადებდნენ" („კომუნისტი", 1922, 2 მარტი). იგივეს აცხადებდნენ „ჩხოუშიელი" სეპარატისტები, მაგრამ არა ქართველების, არამედ საქართველოს პარტიული ცენტრის მიმართ. ეტყობა, ეს მათ ფ. მახარაძისგან უსწავლიათ.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბელადების ნააზრევს თავისებურად ანვითარებს 1922 წლის 5 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული ვინმე ი. ნ. კრედოს სტატია: „ეროვნული უმცირესობანი". აქ ნათქვამია, რომ „ეროვნულ უმცირესობათა (მაშასადამე აჭარლების, აფხაზების, ოსების – ავტ.) ნაციონალიზმს ჰკვებავს ნაციონალიზმი ისევ პყრობელი ერისა", ანუ ქართველებისა. თითქოს „ამ პოლიტიკამ დაბადა და გაზარდა სპეციფიური ზიზღი თვით ქართულის ერთ ხსენებაზედაც, განსაკუთრებით აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში და გაამწვავა საზოგადოების ბურჟუაზიულ სტრუქტურაში ჩაქსოვილი მენშევიკების დროს უკვე არსებული ანტაგონიზმი სომხებთან ...საბჭოთა საქართველომ ღირსეულად გადაჭრა ეს საკითხი იმ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენ საერთო სოციალისტურ სამშობლოში. საბჭოთა პოლიტიკაში შემოაბრუნა აჭარლები, ოსები, აფხაზები მშრომელთა საქართველოსაკენ" („კომუნისტი", 1922, 5 თებერვალი). როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ამ გაგებით ცდილობდა სეპარატისტი კომუნისტი გრ. ახალაია აკრძალულ მეგრულ გაზეთ „ნოთეს" დაშვებას. მისმა თანამებრძოლებმა ბუკონიამ და ბესელიამ სწორედ ეს გაგება გაავრცელეს მეგრელებზედაც.

ასეთი ანტიქართული დემაგოგიის ატმოსფეროში თავი იჩინა ქართველი ტომების რუსიფიკაციის ახალმა ცდებმა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე იასონ ჯავახიშვილი „პარიტეტული კომიტეტის" სასამართლო პროცესზე, უზენაეს სასამართლოში, 1925 წლის 31 ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში, კომუნისტურ ქართველ ხელისუფლებას სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმის გამო, რომ „სვანებს ძალას ატანდნენ, თქვენ ქართველები არა ხართ, ამიტომ მოითხოვეთ, რომ რუსეთმა უშუალოდ შეგიერთოთო" (ნ. კირთაძე, 1924 წლის ავჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 427). უყურადღებოდ არც მეგრელები დაუტოვებიათ. საბჭოთა რუსეთის ყოფილი ატაშე გენერალი პ. სიტინი 1921 წლის 22 აპრილს საბჭოთა რუსეთის გენერალური შტაბისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში აყენებს გეგმას საქართველოში ეროვნული თვითშეგნების აღმოფხვრის ღონისძიებათა

შესახებ. იგი ქართული ეროვნული თვითშეგნების შესასუსტებლად და ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოშლის, აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთის იმპერიული გეოსტრატეგიული გავლენის აღდგენა-განმტკიცების მიზნით, რეგულარულად ადგენდა და მოსკოვში გზავნიდა სამხედრო-დაზვერვითი ხასიათის ცნობებს. მის მიერ შედგენილი დოკუმენტები და რუსეთის კონტროლიდან გამოსული ამიერკავკასიის მოწყობის პროექტები ითვალისწინებდა ცარიზმის დროინდელი მართვის სქემის აღდგენის მიზნით ახალ ტერიტორიულ დაყოფას. ეს საქმე ითვალისწინებდა თბილისს, ბაქო, ბათუმზე რუსეთის გავლენის აღდგენას და მათ რუსული ინტერესებისადმი დამორჩილებას. ამიერკავკასია ეთნოგრაფიულ და ეკონომიკური სარგებლიანობის მიხედვით იყოფა აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და ცენტრალურ ნეიტრალური ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანელთა და სხვათა ზონად, ცენტრით თბილისში. საქართველო იყოფოდა ორ — დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებად. მას უნდა გამოჰყოფოდა სოხუმის ოლქი და სამეგრელო. სიტინის აზრით, არც აფხაზები და არც მეგრელები არ განეკუთვნებიან ქართულ ტომებს, ამდენად შეეძლოთ თავად გადაეწყვიტათ საქართველოსთან დარჩებოდნენ, თუ რუსეთს შეუერთებდნენ. ახალქალაქის მაზრა და სომხებით დასახლებული ბორჩალოს სამხრეთით შუალვერამდე უნდა შეერთებოდა სომხეთს. თბილისს, როგორც რუსული კულტურის ქალაქს ენიჭებოდა ინტერნაციონალურ-რუსული ფუნქცია. „სამეგრელოს, როგორც საქართველოსგან ენითა და ეროვნულობით განსხვავებულ“ და სტრატეგიულ ნაწილს ეთმობოდა ყურადღება. რიონის კალაპოტში დიდი პორტის მშენებლობით გათვალისწინებული იყო ბათუმის ჩანაცვლება (იხ. ნ. გელავა... რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს უახლესი ისტორიიდან. კრებულში „საისტორიო მოამბე“, 1993-1994, №65-66, გვ. 270-272, 280-282). 1921 წლის 22 აპრილის მოხსენებაში მითითებულია, რომ „რსფსრ-სადმი დამორჩილებული საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებიც დაქუცმაცების“ ამ იდეის სიცოცხლეში მოსაყვანად არის მზა ორგანიზაცია“ იხ. იქვე, გვ. 272).

ჩვენი აზრით, პ. სიტინს მხედველობაში ყავს აფხაზეთის სახალხო საბჭოში ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატთა ფრაქცია, რომელიც შექმნა 1917 წლიდან მენშევიკური პარტიის რენეგატმა წევრმა მ.ი. ტარნავამ, ალანიას, მარღანიას, ჭანბას და ცაგურიასთან ერთად. ეს ორგანიზაცია თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, ატარებდა საბჭოთა რუსეთთან შეერთების პოლიტიკას და ტაქტიკას. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს აფხაზეთში, რათა აფხაზეთი არ დაკავშირებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. აწარმოებდნენ აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციური საკითხების შეთანხმებათა ჩაშლას. გერმანიაში ჰიტლერის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მ.ი. ტარნავა ზოგიერთ თანამოაზრესთან ერთად ფაშისტური იდეებით, განიმსჭვალა და ამზადებდა გერმანელებთან შეხვედრას აფხაზეთში (ი. შენგელია, ისტორია მეორდება, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 6 მაისი).

„ჩხოუშეელი“ სეპარატისტის გრ. ახალაიას იდეებიც მნიშვნელოვნად ასოცირდება პ. სიტინის ნააზრევთან. როგორც ვნახეთ, მათში ერთგვაროვნად შუქდება რიგი საკითხებისა. მნიშვნელობა ენიჭება სამეგრელოს დამოუკიდებლობისათვის პლებისციტის ჩატარების შესაძლებლობას, ქართული ცენტრის „შოვინიზმის“ მხილებას და სხვ. არ არის გამორიცხული, რომ მეგრული სეპარატიზმის ბელადები სიტინის ან აფხაზების მეშვეობით იცნობდნენ რუსეთის სამხედრო ატაშეს ანტიქართულ პროექტს. მაგრამ მათ შორის ორგანიზაციული კავშირები არა ჩანს.

აფხაზეთში მართლაც იქმნებოდა ანტიქართული და დეცენტრალიზაციის სიტუაცია. ამას მოწმობს მრავალი ფაქტი. მათ შორის საყურადღებოა ქ. სოხუმის ქართული მოსახლეობის განცხადება საქართველოს რევკომისადმი. ისინი სათანადო ხელმოწერით მოითხოვდნენ: „საქართველოს მთავრობამ სას-

წრაფოდ დანიშნოს თავისი წარმომადგენელი აფხაზეთში, რომელიც დაიცავს ქართველ ქვეშევრდომთა ინტერესებს აფხაზეთში და აღკვეთს დენიკინელებისა და შავრაზმელების შოვინისტურ პროპაგანდას ქართველთა წინააღმდეგ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 281, აღ. 2, ს. 13, ფ. 49).

სამურზაყანოსა და შიდა სამეგრელოს გლეხური მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხებისა და პრობლემების ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივმა იგნორირებამ მრავალმხრივი უარყოფითი გავლენა მოახდინა მეგრელ მოსახლეობაზე. ეს რელიეფურად აისახა სამურზაყანოში მცხოვრებთა რუსიფიკაციისა და ქართული სასკოლო განათლების დაუძლურებაში. სამურზაყანოში შექმნილ მდგომარეობას კარგად ასახავს დოკუმენტები, რომლებშიც დაყენებულია მოთხოვნა დაწყებითი სწავლების აფხაზურ ენაზე წარმართვის, ქართული ეროვნული ინტერესების დისკრედიტაციისა და რუსული გავლენის გაძლიერების შესახებ (იხ. Джемал Гамахария, Бадри Гогия, Абхазия историческая область Грузии. Тб. 1997, с. 470-480). ეს იმას არ ნიშნავს, რომ აფხაზურ-ქართული ნათესაობისა და ძმობის ისტორია ნაკლებ მდიდარია. მაგრამ ეს ცალკე გასაშუქებელი და აქტუალური პრობლემაა. ამიტომ ამჟამად იძულებული ვართ წარმოვაჩინოთ ნეგატიური გამოვლინება. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 9 ივლისის დადგენილებაში, ნათქვამია: წინადადება მიეცეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დაარეგულიროს ენობრივი ურთიერთობის საკითხი აფხაზეთის რესპუბლიკის იმ მაზრების ორგანოებში, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა ქართველთაგან შესდგება. დადგენილება მოითხოვს აგრეთვე რუსულ-ქართული გაზეთის ორგანიზებას (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 364, ფურც. 132). მაგრამ ამ დადენილებას ცხოვრებაში გატარება არ ეღირსა.

ზოგი ავტონომისტი თვით იყო სამურზაყანოდან და ხედავდა, რომ სამურზაყანოში გაეროვნულობის ღონისძიებებს ეფექტი არ ახლდა. ამდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა წერილები, საიდანაც ჩანს, რომ სამურზაყანელმა მეგრელმა პედაგოგებმაც კი ხეირიანად არ იცოდნენ ქართული, ვერ ახერხებდნენ ქართულ ენაზე მეგრულის გამოყენებით დაწყებითი კლასებისათვის გათვალისწინებული მასალის გადაცემას. ერთ-ერთი პუბლიკაცია, რომელიც სამურზაყანოელი პედაგოგის მიერ 1924 წელს რესპუბლიკურ გაზეთ „ბუშაში" (21.V №449) გამოქვეყნდა, მოწმობს, რომ სამურზაყანოში ქართული სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა, ქართულ ენაზე ორგანიზებულმა კურსებმა, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას რომ ემსახურებოდა, „მასწავლებლებს ვერც ქართული ასწავლა და კარგი რუსულიც დაავიწყა... საერთო კრებებზე მასწავლებლები მეგრულად ან რუსულად ლაპარაკობენ". აქვე მოთხრობილია ერთი პედაგოგიური კურიოზის შესახებ: „მასწავლებელს ეკითხება მოსწავლე: „როგორ იქნება მეგრულად ლოკოკინა და ხვლიკი", რომელიც მან უთუოდ ქართულად ახსნის დროს მოისმინა. მასწავლებელმა არ იცის და მოსწავლემ რომ არ შენიშნოს ეუბნება — „ლაგვანი და ხირკე" (ქვევრი და ორშიმო). აქედან ვიაზროვნოთ — მასწავლებელი რომ ამ დღეშია, მოსწავლეები რა მდგომარეობაში ყოფილან?! ასე ტარდებოდა ხელისუფლების მიერ ნებადართული ქართულად სწავლების დროს მეგრულის დამხმარე, ახსნა-განმარტების მიზნით გამოყენება. მაშასადამე, ასე ხდებოდა სამურზაყანოს დაწყებით სკოლებში ქართულად სწავლების პროფანაცია და ასეთი დაწყებითი განათლების მქონე გლეხის ბავშვებს უმზადებდა ცხოვრებას სამურზაყანო-სამეგრელოს ზოგი სკოლა.

დაბოლოს, არსებობს უტყუარი წყარო, რომელიც ცხადყოფს, რომ მეგრელი კომუნისტების ავტონომიის მოთხოვნას ზემოდან ვიღაცა აქეზებდა და იმის იმედს ქმნიდა, თითქოს სტალინს სამეგრელოს ავტონომიის მხარდასაჭერი აზრი გამოეთქვას. როგორც წინა IV თავში ითქვა, 1925 წლის 9 სექტემბრის თარიღით ს. ორჯონიკიძის მიერ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ ცნობილ პარტიულ ხელმძღვანელს ბახტაძეს და საქართველოს კომპარტიის

ცკ-ის მდივანს ქართველიშვილს ზუგდიდში მოუყოლიათ, რომ თითქოს სტალინი მხარს უჭერს სამგრელოს ავტონომიას (იხ. ЦКРКП (б)- ВКП (б) и национальний вопрос. К.I, 1918-1933 гг... М. 2005, стр. 310). ჰოდა, რა გასაკვირია, რომ უმდაბლესი თუ მცირე განათლების კომუნისტებს მთელი ეს ზემოთ მოხმობილი და გაზეთებში ამოკითხული თუ ყურმოკრული უამრავი სხვა ამბავი მიელოთ როგორც მოქმედების სახელმძღვანელო სწავლება?!

„ჩხოუშიელთა" მიერ ავტონომიის მოთხოვნებზე განსაკუთრებულ წამაქეზებელ გავლენას ახდენდა საქართველოში უცნაურად მიმდინარე ავტონომიების მშენებლობის პრაქტიკა. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია" სტალინის მოძღვრების მიხედვით „გულისხმობს ცოტათ თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით"... მისი ამ გაგებით საქართველოში ასეთი ეროვნებები არ არსებობდა. საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეროვნებებისა და ავტონომიის სიკეთის საჭიროების ხალხებად სტალინმა დაასახელა ის ეროვნებები და ხალხები, რომელთაც ქონდათ პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა, მაგრამ მოკლებული იყვნენ მშობლიურ ლიტერატურას, ამასთანავე, ნაწილობრივ ასიმილაციას განიცდიდნენ, ნაწილობრივ კი ვითარდებოდნენ. საქართველოში „ნაციონალურ კავშირებად" „მოსაწყობად" გასათვალისწინებელ ასეთებს შორის სტალინს ჩამოთვლილი ჰყავს მეგრელები, აფხაზები, აჭარლები, სვანები, ოსები. სტალინს ესენი ერთმანეთისგან განსხვავებულ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეებად ჰყავს დასახელებული. აქედან აჭარლები ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ. მეგრელები (გლეხები) ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის მონათესავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი ენა ესმით და, ამდენად, ვერ ითავისებენ ქართულ ეროვნულ კულტურას. სვანებს სტალინის გაგებით თავიანთი ენა აქვთ, ლიტერატურა და კულტურა კი არა. ოსებს ის თავისებურება ახასიათებთ, რომ წინა კავკასიაში ჰყავთ თანამომძეები, რომლებიც თავიანთ ლიტერატურას ჰქმნიან. მაგრამ ეს თავისებურებები საქართველოში მათი „ნაციონალურ კავშირად" მოწყობის შემაფერხებელი არ გამხდარა, გარდა მეგრელებისა და სვანებისა და მადლობა ღმერთს. მაგრამ ჩვენ ხომ ის გვაინტერესებს თუ რა ასაზრდოებდა მეგრელ „ჩხოუშიელთა" ავტონომიის და „ჩხოუშიელი" სეპარატისტების დამოუკიდებელ რესპუბლიკად მოწყობის მოთხოვნას, ამის ბოლომდე გასაგებად საყურადღებოა საბჭოთა ავტონომიზაციის პროცესის გააზრება.

1921 წლის 22 მაისს ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ". საქართველოს რევკომი ეროვნებათა თვითგამორკვევის ლოზუნგითა და ყალბი იდეოლოგიური აკომპანიმენტით მიესალმა აფხაზეთის „სრულ დამოუკიდებლობას". მართალია, აქ ისიც იყო ნათქვამი, რომ საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკების ურთიერთობა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ამ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობაზე და სწორედ ამას ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ საქმეში ღრმად ჩაუხედავი ტენდენციური მკითხველისათვის მთავარი ის იყო, რომ აღიარებული იყო აფხაზეთის სუვერენიტეტი, რომელიც ფორმალურად აფხაზეთს 1931 წლამდე შემორჩა. როგორც ცნობილია, ეს ის დროა, როცა ქართველი ხალხი, ანტისაბჭოთა პარტიები ტრადიციულად აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე წლისთავს. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ეროვნულ ძალთა ნიველირების მიზნით წაუყრუა ამ დროს არსებულ ანტიქართულ, აფხაზურ სეპარატიზმს. უკვე 29 მაისს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ვრცელი მოწინავე, კვლავ დემაგოგიური რაკურსებით. მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ იყო ლოკალური ამბავი, რომ „ეს ეხება არა მარტო აფხაზეთს, არამედ ყველა განაპირა კუთხეებს და ჩვენ ქვეყანაში მოთავსებულ ეროვნულ უმცირესობებს"... მაშასადამე, საქართველოში მცხოვრები ხალხის მა-

გალითზე შეიქმნა „დამოუკიდელ“ რესპუბლიკად გამოყოფის პრეცენდენტი. „ჩხოუშელი“ სეპარატისტები სწორედ ამ გამოცდილებას ებღაუჭებოდნენ.

განსაკუთრებით დამაბნეველ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“. როგორც ბოლშევიკური პრესა იტყობინებოდა, სამხრეთ ოსეთის ავტონომია „ფორმალურად ჩამოყალიბდა საქართველოს უმაღლესი ორგანოს დეკრეტით სამხრეთ ოსეთის ავტონომიის მოწყობის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით, და როგორც ჩანს ამის გამართლებისთვის, განსაკუთრებით რელიეფურად იყო წარმოჩენილი ის დიდი უბედურებანი, რომლებიც ოსმა ხალხმა განიცადა „მენშევიკების შოვინისტური ვაკხანალიის“ შედეგად. გაზეთი იუწყება, რომ სამხრეთ ოსეთში „საგარეო საქმეები და საგარეო ვაჭრობა მოხდება საქართველოს სსრ ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში“. ამ ოსეთის „სამხედრო საქმეებს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელსაც აწყობს სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი და უშუალოდ ექვემდებარება ამ უკანასკნელს“. „კონტრრევოლუციასთან ბრძოლა რჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოების გამგებლობაში, რომელთა ორგანოებიც ეწყობიან სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომტეტთან შეთანხმებით“. გაზეთიდან ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის სახალხო კომისარიატები — სასურსათო, ფინანსების, შრომის, სახალხო მეურნეობის, და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რჩებიან საქართველოს სახალხო კომისარიატების დაქვემდებარებაში, მაგრამ ამ უკანასკნელის ყველა განკარგულება და ღონისძიება ტარდება სამხრეთ ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით. აქ ხსენებულ სახალხო კომისრებს ნიშნავენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები სამხრეთ ოსეთის ცაკ-თან შეთანხმებით და მათ ამტკიცებს ეს უკანასკნელი.

სამხრეთ ოსეთის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, სოც. უზრუნველყოფის — ავტონომიურად მოქმედებენ და პასუხისმგებლები არიან საქართველოს სსრ ცენტრალური ორგანოების წინაშე სამხრეთ ოსეთის ცაკ-ის საშუალებით.

ყველა ტექნიკურ და ფინანსურ საშუალებას სამხრეთ ოსეთი ღებულობს საქართველოს სსრ საერთო საშუალებებიდან საქართველოს ცაკ-ის და სახკომსაბჭოს უშუალო განკარგულებით.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ოსებმა ბრძოლით შესძლეს მოეპოვებინათ ფართო საოლქო ავტონომიური უფლებები. აღნიშნული პუბლიკაციების დასასრულს აღნიშნულია, რომ ეს იყო იმ დამსახურების შედეგი, რომელიც ოსმა ხალხმა გადაიტანა მუშურ-გლეხური წყობილების დასამყარებლად და ეროვნული თავისუფლების მოპოებისათვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ „მპყრობელი“ და „მჩაგვრელი“ საქართველოს ხარჯზე იყო მიღებული საბჭოთა ხელისუფლების დიდი საჩუქარი. ეს იყო ანტიქართული ყაჩაღური ლოგიკა და პრაქტიკა, რომელიც სტიმულს აძლევდა ყველა სხვა არაქართველი ხალხის ავტონომისტურ თუ სეპარატისტულად განწყობილ წარმომადგენლებს წარმოეჩინათ „მენშევიკების წინააღმდეგ“ თავისი ხალხის წარსული ბრძოლის დროს მოპოებული განსაკუთრებული დამსახურებანი. რა გასაკვირი უნდა იყოს, თუ ამის წამკითხველ ზოგიერთ, საქართველოს ბოლშევიკური ცენტრის პოლიტიკით უკმაყოფილო მეგრელ კომუნისტსაც მომხიბელელად მოეჩვენა მენშევიკების ხელისუფლების დროს გადატანილი მსგავსი ამბების წარმოჩენა და ამის გამო, როგორც ვნახეთ, ავტონომია ან სხვა უფრო ექსტრემისტული პრივილეგიაც მოითხოვა.

სინამდვილეში მხოლოდ საქმის ვითარებაში ღრმად ჩახედულებს შეეძლოთ სცოდნოდათ სამხრეთით დასახლებული ოსებისათვის საქართველოს ხარჯზე ასეთი პატივის დადებისა და მეგრელების „იგნორირების“ ნამდვილი მიზეზი.

მაგრამ „მეგრელი ავტონომისტებისათვის“ განსაკუთრებით ძლიერი წაბიძგების სტიმული მაინც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება გახდა.

ისე ჩანდა, რომ აჭარლებს ავტონომიისათვის აფხაზებზე, ოსებზე და თვით მეგრელებზე ნაკლები საფუძველი გააჩნდათ, რადგან მათ ქართველი ერისაგან ანსხვავებდა მხოლოდ რელიგია, მაშინ როცა ავტონომიის უფლების გამოცხადებულ ერთ-ერთ უმთავრეს ფორმალურ მოტივად აღიარებული იყო ენობრივი განსხვავება. ხოლო რელიგიური განსხვავებულობა საერთოდ არ უნდა გათვალისწინებულიყო, რადგან იგი არც ერის ლენინურ-სტალინურ ფორმულირებაში იჯდა და, ამასთანავე, ბოლშევიკების მიერ სასტიკად იდევნებოდა. სინამდვილეში კი პრესის ფურცლებზე ისე წარმოჩნდა, რომ ე.წ. „აჭარის ერს“ ავტონომია ეკუთვნოდა, მაგრამ პასიურობდა. ამიტომ მას ლამის ძალით შეაჩეჩეს ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთი გაგებით ავტონომია დამოუკიდებელი ენის მქონე სამეგრელოს უფრო ეკუთვნოდა. აი ჩხოუშიელი კომუნისტების მაცდუნებელი კიდევ ერთი გარემოება.

გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით 1921 წლის 22 მარტს საქართველოს რევკომის თავჯდომარე ფ. მახარაძე მხურვალედ მიესალმა აჭარის მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გამო და აცნობა, რომ “აჭარის ხალხს მიენიჭება ავტონომიური მმართველობა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე“... მართალია, ამ დროს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ჯერ კიდევ არ იყო ნათქვამი, რომ აჭარლები ქართველებისაგან დამოუკიდებელ ერს წარმოადგენენ, მაგრამ, როგორც, უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე ესეც ითქვა და გაზეთ „კომუნისტში“ 1922 წლის 3 ოქტომბერს კიდეც გამოქვეყნდა. გაზეთ „კომუნისტს“ კი ზოგი მეგრელი ბოლშევიკისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც მორწმუნეებისათვის სახარებას. როგორც ვნახავთ, ზუგდიდელი „ავტონომისტების“ და „სეპარატისტების“ ჯგუფის წამყვან ბირთვს სწორედ ის კომუნისტები წარმოადგენდნენ, რომლებიც თავიანთი არგუმენტების დამაჯერებლობისა და უტყუარობისათვის იმოწმებდნენ ბოლშევიკურ პრესას, და კერძოდ გაზეთ „კომუნისტს“.

ჩხოუშიელი ავტონომისტებისათვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1921 წლის 7 ნოემბერს აჭარელ გლეხთა წარმომადგენლებს ბოლშევიკური საქართველოს წარმომადგენელმა ამხ. ღამბარაშვილმა აჭარის რევკომის სახელით მიმართა: „...ჩვენთვის სულ ერთია თქვენ ვინ იქნებით ქართველი თუ თურქი. ჩვენ გვაინტერესებს არა ის, თუ ვინ ხართ თქვენ, რა ეროვნებას ეკუთვნით, არამედ რა ხართ. ჩვენ გვინდა ფუხარა, იქნება ის ქართველი თუ სხვა. თქვენ გყავთ ბავშვები, რომელთაგან ზოგი ქართველებისაკენ მოგიწოდებთ, ხოლო ზოგიერთი ოსმალეთისაკენ. აი ამაზე მიგითითებთ ჩვენ და გეუბნევით: ნუ გინდათ ნურც ერთი ბეგი, დაამხვეთ ის და სულერთია თქვენ ქართულად ილაპარაკებთ თუ თურქულად. ეს თქვენი ნებაა და ამაში ვერავინ შეგედავებათ“... ამას ხომ მეგრელი კომუნისტებიც კითხულობდნენ?!

სიტყვით გამოსულმა დელეგატმა დაუდ ეფენდი დიასამიძემ განაცხადა: „ჩვენ გვპირდებიან ავტონომიას, გვპირდებიან რომ გაგვანთავისუფლებენ, მაგრამ ყველამ მოგვატყუა. დღეს ჩვენ თავისუფალი ვართ, მაგრამ არ გვესმის ავტონომიის შინაარსი. სახლიდან დამაბარეს: კარგად გაიგე რა არის ავტონომია, საჭმელია თუ სასმელიო, ეს იმიტომ. რომ კარგად არა გვაქვს შეთვისებული ის რაც მოხდა“. ასეთი პიროვნებები და ოჯახები სამეგრელოში არ იქნებოდა?!

ჩვენთვის ადვილად გასაგებია თუ რატომ „აჩეჩებდნენ“ აჭარლებს ავტონომიას და რატომ აცხადებდნენ სამეგრელოს ავტონომიას სეპარატიზმად. მაგრამ იმ დროს და იმ ხალხისათვის, განსაკუთრებით ჩხოუშიელი „ავტონომისტებისათვის“, იგი როგორც ჩანს, ბოლომდე გაუგებარი რჩებოდა და ეს არც არის უცნაური, თუ გასაკვირი.

აჭარის გლეხთა წარმომადგენლებმა მადლობა შეუთვალეს ქართველ პროლეტარიატს და მშრომელ გლეხკაცობას, რომელთაც აჭარლებს არგუნეს „უფლება და საშუალება ჩვენი შინაგანი საქმეთა ჩვენივე ხელით მოგვარებისა

და კულტურული, სულიერი თვითგანვითარებისა“ (როგორც ენახავთ ჩხოუშელი ავტონომისტი გრ. ახალაიაც ასევე მადლობას და წითელ წიგნში შეტანას ჰპირდებოდა საქართველოს ცენტრს, თუ იგი მეგრული გაზეთის „ნოთეს“ განახლებას დაუშვებდა). ყრილობის მონაწილეები მიესალმნენ „საბჭოთა რუსეთის მშრომელთ, რომელთაც იდვეს თავზე მთელი ქვეყნის (ანუ მსოფლიოს — ავტ.) მშრომელთა განთავისუფლება“. „ჩხოუშელი“ სეპარატისტებიც ხომ რუსეთის პროლეტარიატზე იღებდნენ ორიენტაციას.

მაგრამ აჭარლები არც მთლად გულმავიწყები აღმოჩდნენ. მეორე დღეს (11. XI), კრების გახსნის შემდეგ, თახსიმ ხიმშიაშვილმა გაიხსენა: „რუსები ყოველთვის მიგვაქანებდა გარუსებისკენ და მთელი ჩვენი სწავლა-განათლება ამისათვის უნდოდათ გამოყენებინათ. ასე იქცეოდა ოსმალეთიც. კიდევ მეტს სჩადიოდა მენშევიკური მთავრობა და ძალით სურდა ყველანი აუცილებლივ გავექართველებინეთ... ეხლანდელი მთავრობა გვაძლევს სრულ თავისუფლებას და გვეუბნება: რა ენაზეც გვსურს იმაზე ისწავლე და ილაპარაკეთ... მოვამზადებთ აჭარელ მასწავლებლებსო“. მათ ჯერ კიდევ არ იციან თუ რა უბედურებებს წაჰკიდებენ ბოლშევიკები.

პუბლიკაციიდან ჩანს, რომ აჭარის მშრომელ გლეხთა ყრილობას „მისცეს არჩევანის უფლება“: რა ენაზეც უნდათ, იმ ენაზე ისწავლონ, ილოცონ და აირჩიონ სახელმწიფო ენაც კი. ისკანდერ ხალვაშმა სთქვა: „ხალხს სურს თურქული ენა, მაგრამ ყველაფერი რომ თურქულად ვისწავლოთ, მოგვიწევს ჩვენი სამშობლო კერის დატოვება. მაშასადამე, ჯერ უნდა ვისწავლოთ ქართული ენა და შემდეგ სხვა მეზობელი ენები“. რა გასაკვირია თუ ამის გამგონე მეგრელ „ხალხსაც“ ანუ ე.წ. „მაფალულებს“, მეგრული ენით უნდოდათ განვითარება. პრეცედენტი ხომ უკვე არსებობდა!

დაუდ ეფენდიმ გამოხატა ყრილობაზე მყოფი გლეხთა წარმომადგენლების აზრი: „დედა ენად აჭარისათვის აუცილებელია ქართული ენა“. მან სჯულისთვის საჭიროდ ცნო არაბული ენა. ადგილიდან წამოძახილებით დადასტურდა, რომ სკოლებში „სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულად“. რეზოლუციაშიც ასე ჩაიწერა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1921, 18 ნოემბერი).

მართალია, ეს იყო საბჭოთა ბოლშევიკური სპექტაკლის ქართული დადგმის ინსცენირება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი აჭარის მოსახლეობის ინტერესებს ზუსტად დაემთხვა. ზოგ „ჩხოუშიელ“ კომუნისტზე კი სამაგალითო გავლენა მოახდინა.

გაზეთ „კომუნისტში“ 1922 წლის 24 იანვარს გამოქვეყნდა აჭარის საბჭოების ყრილობის ანგარიში. აქედან ჩანს, რომ შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს ღამბარაშვილი (გამბაროვი). ასევე აირჩიეს სახკომისარიატები, მათი კომისრები, აჭარის ცაკ-ი, ცაკ-ის პრეზიდიუმი და ა.შ. მიიღეს დადგენილება სახელმწიფო ენის შესახებ. ამის გამო დეკრეტი ცალკე, გაზეთ „კომუნისტის“ №17-ში დაიბეჭდა.

მაშასადამე, ბოლშევიკური გაზეთების საშუალებით ჩხოუშელი კომუნისტების და უპარტიო „ავტონომისტებისათვის“ გასაგები გახდა, რომ კომუნისტური ცენტრი და საქართველოს ხელისუფლება ქართველი პროლეტარიატის ნების თანახმად და რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით საქართველოში მცხოვრებ „მენშევიკების მიერ ჩაგრულ“, საბჭოთა ხელისუფლებისთვის მებრძოლ ერებს (აფხაზებს, ოსებს — ! — ავტ.) და აჭარელ ხალხს (! — ავტ.) ანიჭებდა იმას, რაც სტალინმა 1913 წელს აღუთქვა.

გასაგებია, რომ პარტიული ელიტის მეგრული წარმომადგენლობის ერთ ნაწილს და უპარტიოებს კარგად ესმოდა საქართველოში ავტონომისტური მშენებლობის საქმეში მიმდინარე თამაში. ისინი ერკვეოდნენ ბოლშევიკური პროპაგანდის მიზანდასახულ დემაგოგიაშიც. მაგრამ ზოგი რიგითი, დაბალი განათლების კომუნისტისა და უპარტიოსათვის გაუგებარი რჩებოდა, რატომ ეკუთვნოდა ავტონომია ქართულ ენაზე მოლაპარაკე აჭარლებს, მეგრელ ხალხს კი არა, მაშინ, როცა მეგრელ ხალხს თავისი მშობლიური ენა ჰქონდა, ხოლო ის,

რაც აჭარას ავტონომიის მთავარ არგუმენტად გააჩნდა (რელიგია), ხელისუფლების მიერ სასტიკად იდევნებოდა და, ამასთანავე, სტალინურ არგუმენტს არ წარმოდგენდა.

მეგრელი განსწავლული პოლიტიკოსებისთვის ცხადი, ხოლო ავტონომისტებისათვის აუხსნელი იყო აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების ფორმალურობა და ფიქტიურობა. სინამდვილეში აფხაზეთის რევკომის და დამოუკიდებელთა ფრაქციის (ე. ეშბა, მ. ცაგურია და სხვ.) სეპარატისტულ მეცადინეობას და აფხაზეთის მშრომელთა სახელით მანიპულაციას თვითგამორკვევის იმ პოლიტიკანური თამაშის პერიოდში იმთავითვე დაუპირისპირდა პარტიული ცენტრის ჯანსაღი აზრი, რომელმაც გამოცხადებულ აფხაზეთის „დამოუკიდებლობას" მიანიჭა პროპაგანდისტული და ფიქტიური ხასიათი. როგორც ცნობილია, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" ფორმალური ხასიათი გამოხატა რკპ(ბ) ცკ-ის კავბიურომ, რომელმაც 1921 წლის 5 ივლისს მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს გაეწიათ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში. ამის შემდეგ ჩატარებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში, რაც 1922 წლის დასაწყისში საქართველოს და აფხაზეთის საბჭოების პირველ ყრილობებზე დამტკიცდა. საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში, რომელიც სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ 1922 წლის 2 მარტს მიიღო, დაფიქსირდა, რომ „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას — ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე". კონსტიტუციის მეორე თავის მეხუთე მუხლი აკანონებდა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სრულუფლებიან ფლობელობას თავის ტერიტორიაზე"... კონსტიტუციის მეათე მუხლი აკანონებდა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ ქართულ ენას (საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული საქ. სსრ საბჭოების I ყრილობის მიერ. ტბ. 1922).

არ არსებულა რაიმე ხელშესახები პუბლიკაცია ან დოკუმენტი, რომლის ძალითაც შეიძლებოდა ვინმეს შექმნოდა ილუზია, თითქოს საკავშირო ან ადგილობრივი ხელმძღვანელი ცენტრები მხარს უჭერდნენ აფხაზეთის სსრ დამოუკიდებლობას. ამ დროს ისაკი ჟვანიას აფხაზეთში, მაღალ თანამდებობზე უწევდა მუშაობა და ამიტომ გვესახება, რომ მას უნდა სცოდნოდა საქართველოში ეროვნული საკითხის გამო საქმის რეალური ვითარება. ალბათ, აქედანაც საზრდოვდებოდა მისი მკაფიო დაპირისპირება სამეგრელოს ავტონომიის მოტრფიალე „ჩხოუშიელებთან". მაგრამ ზოგი რიგითი „ჩხოუშიელებისათვის" ეს ნიუანსები გაუგებარი რჩებოდა.

არ არის გამორიცხული, რომ აფხაზურ სეპარატიზმს, რომელსაც ე. ეშბა მეთაურობდა, სტიმულს აძლევდა საკავშირო ცენტრის რომელიმე არაოფიციალური იმპერიული დაჯგუფება ან პ. სიტინის მსგავსი პიროვნება. მაგრამ არსებობს ი. სტალინის 1921 წლის 1 და 13 სექტემბრის წერილები საკავშირო ცაკ-ის მდივნის აბელ ენუქიძისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი აფხაზეთის რესპუბლიკას „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის" „ავტონომიურ ნაწილად" აღიარებდა (А. Ментешашвили, Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб. 1998, с. 67). ეჭვგარეშეა, რომ ი. სტალინის ამ პოზიციაში ვ. ლენინის პოზიციაც აისახებოდა. თავად აფხაზეთის ხელმძღვანელ პირთა გამონათქვამებიც ადასტურებენ, რომ ყველამ კარგად

იცოდა აფხაზეთის სსრ ფორმალურობა და სააგიტაციო-პროპაგანდისტული აზრი. თავად საქართველოში შემავალი აფხაზეთის რესპუბლიკის ცაკ-ის თავჯდომარე ნ. ლაკობამ არაერთგზის გამოხატა, რომ არ იზიარებდა ე. ეშბას მეთაურობით ნასაზრდოებ აფხაზი პარტოკრატების სეპარატიზმს, ხოლო 1926 წელს სეპარატისტების მორიგი გამოხდომა იძულებადაც კი შეაფასა (იხ. იქვე, გვ. 71). ამის მიუხედავად საბჭოთა აფხაზეთი ანტიქართული განწყობილების გამოვლინებებით ხასიათდებოდა. აქ ცარიზმის დროიდან მოიპოვა რუსულმა ენამ დომინირებული მდგომარეობა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 257). „მეფის დროს, – აღნიშნავდა ლაკობა სრულიად საქართველოს საბჭოების II ყრილობაზე, – ალფეროვი ქმნიდა აფხაზურ ანბანს, რადგანაც აფხაზებს არ ქონდათ არც მწერლობა და არც ლიტერატურა; აგრეთვე დეკანოზი გოლუბცევი თარგმნიდა საეკლესიო სიმღერებსა და ლიტერატურას აფხაზურ ენაზე. ამაზე შორს აფხაზური კულტურული განვითარება არ მიდიოდა. მართალია ალფეროვი ცდილობდა აფხაზეთის ლიტერატურით დაეგმარცხებია საქართველოს ლიტერატურა მაგრამ ვერ შეძლო" (საქართველოს ცენტრალური არქივის, უახლესი ისტორიის აქრივი, გონდი 289, აღწ. 2, საქმე 1, ფურც. 56). მაგრამ რუსი თეორგვარდიელი მოხელეების გავლენით პრორუსულად და ანტიქართულად განიმსჭვალა, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უმრავლესობა. საქართველოს კომპარტიის V ყრილობაზე აღინიშნა, რომ მოითხოვდნენ სახელმწიფო ენად რუსულის შემოღებას და ქართულის იგნორირებას. ისინი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ სახელმწიფო აპარატის ნაციონალიზაციას. სპეციალური კომისიის გამოკვლევით დადასტურდა, რომ საბჭოთა აფხაზეთში პირველი ოთხი წლის განმავლობაში ქართველი მუშების უჯრედი არ მუშაობდა, რადგან ფუნქციონირება რუსულ ენაზე სწარმოებდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 282). გალის მაზრაშიც კი სადაც მოსახლეობის 95 პროცენტი მეგრელი იყო, საქმის წარმოება ყველგან მხოლოდ რუსულად ხდებოდა (იქვე, ფურც. 256). საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის ღონისძიებებს, ისტორიულად ამ ძველთაგანვე ქართული კულტურის აფხაზურ-მეგრულ მხარეში, საჭირო ეფექტი არ ახლდა და ამიტომ აფხაზეთის პრორუსული ორიენტაციის დაძლევა ბოლომდე ვერ მოხერხდა.

ზუგდიდის ინტელიგენციის და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი პარტიული კადრებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებად და შიდა ქართლის „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქად გამოცხადების არა მარტო მთელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური არსი, არამედ შედეგებიც. ამდენად, მას უთუოდ „ჩხოუშიელ" სეპარატისტებზეც უნდა მოეხდინა დამაბნეველი გავლენა.

რაც შეეხება აჭარლების მიერ ავტონომიის მიღებას, ეს ფარსი, ჩხოუშიელებისათვის უცნობი იმ ამბის საფუძველზე გათამაშდა, რომ აჭარის ავტონომიის გამოცხადებამდე საკითხი პრინციპში უკვე გადაწყვეტილი იყო რსფს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დადებული 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, რომელიც აჭარაში ავტონომიური მმართველობის დაწესებას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას, იგი იმდენად აშკარა ბოლშევიკური უსამართლობით განხორციელდა, რომ, მან განსაკუთრებით დამაბნეველი ფუნქცია შეიძინა. ამიტომ, როგორც ცნობილია, საბჭოთა საქართველოს პირველ კონსტიტუციაშიც კი არ დაფიქსირდა (2.III.1922). იგი მხოლოდ 1922 წლის 20 აპრილს, მოსკოვის ცენტრის მხრივ ოსი ბოლშევიკების მხარდამჭერი ზეწოლის გზით გაფორმდა. როგორც ცნობილია, 1922 წლის 27 სექტემბრის მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული აზრით, სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ოლქად მოწყობას შეუძლებლად მიიჩნევდა ქართველი ინტელიგენცია და თავად საქართველოს სსრ იმდროინდელი შინაგან საქმეთა ნაციონალ-უკლონისტი სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია (ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ. 1999, გვ. 93). გასაგებია, რომ ავტონომია კაცობრიობამ იმპერიებში შემავალი ერების თანაცხოვრების

სრულყოფა-გაუმჯობესებისთვის შეიმუშავა. მან მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში უაღრესად დადებითი როლი შეასრულა. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ცარიზმის იმპერიული პოლიტიკისადმი განუხრელმა მემკვიდრეობითმა დამოკიდებულებამ საქართველოში საუბედურო პრობლემები შექმნა და შესაბამისი პროცესი გამოიწვია. განსაკუთრებით მოუთმენელი გახდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნა, რომლის აცილება მოხერხდა, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამაც კი იმთავითვე ისეთი პრობლემა მოახვია საქართველოს, რომელმაც უამრავი უბედურება წაჰკიდა არა მარტო ქართველობას, არამედ აქ ოდითგანვე ჩამოსახლებულ იმ ოსებს, რომელთა წინაპარები ლენინური კლასობრივი და ნაციონალური პოლიტიკით წაქეზებამდე, ქართველებთან მშვიდათ თანაარსებობდნენ, ითვისებდნენ ქართულ კულტურას და ქართველებთან ერთად ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ი. ჟვანიას დონის მუშაკისათვის დამფიქრებელი უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი — იგი ამ ქართულ რეგიონში დაქსაქსული, იმ სოფლების ხელოვნური გაერთიანების გზით მოხდა, რომლებსაც ოსებთან არავითარი მყარი კულტურულ-ეკონომიკური კავშირი არ გააჩნდათ; მეორე — სამხრეთ ოსეთის ხელოვნური შეკოწიწება მოხდა წმინდა ქართული სოფლების უსამართლოდ მიერთებისა და მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დათრგუნვის გზით; მესამე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა გეოგრაფიულად შუაში მდებარე სრულიად ქართული ქალაქი ცხინვალი, რომელშიც ოსების რაოდენობა 1922 წელსაც კი მხოლოდ 13,5 პროცენტს შეადგენდა.

ზემოთ აღნიშნული უსამართლობის შედეგად ისე გამოიყვანეს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში მოაქციეს 40 ქართული სოფელი და ერთი ქართული ქალაქი, მათში მოსახლეობის საერთო შემადგენლობით 20 000-მდე ქართველითა და მხოლოდ 1100 ოსით (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 1, ს. 2, ფურც. 85-86). გასაგებია და ცხადად გაუმართლებელია, რატომ უნდა რქმეოდა ამ გაერთიანებას სამხრეთ ოსეთი, მაშინ როცა ოსებს თავიანთი ისტორიული სამშობლო კავკასიონის ქედის გადაღმა, რსფსრ სამხრეთით ჰქონდათ, სადაც XIII-XIV საუკუნეებში თავიანთი სახელმწიფოებრიობაც გააჩნდათ. ახლა კი რუსმა იმპერიის მოტრფიალეებმა ისე გამოიყვანეს, რომ ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა 1917 წლიდან 1924 წლის 7 ივლისამდე გაჭიმეს. მათ მანამდე ოსი ექსტრემისტები იმაზეც წააქეზეს, რომ საქართველოს ხარჯზე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახით სახელმწიფოებრიობა შეექმნათ და საქართველოში მდებარე ე.წ. „სამხრეთ ოსეთისათვის" შეერთებინათ რსფს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსური მოსახლეობა. ამის მცდელობა 1925 წელსაც გამოვლინდა.

ამ ამბავთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო ამბის მომცველი ცნობა მოიპოება. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, 1928 წლის 27 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა მ. კახიანმა, საკ. კპ (ბ) ცეკას საორგანიზაციო ბიუროს სხდომას, რომელიც საქართველოს პარტორგანიზაციის საკითხს იხილავდა, განუცხადა: „სამხრეთ ოსეთი ჩვენ თვითონ შევქმენით... ჩვენ გავზარდეთ მისი ტერიტორია. ჩვენ გადავეცით ქართველებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი, იმიტომ, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო (? — ავტ.)... ორი წლის წინ ჩვენთან მოვიდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ სურთ გაერთიანება საქართველოს ფარგლებში... ეს ისეთი საკითხი იყო, რომელიც ცაკ-ის (საქართველოს — ავტ.) კომპეტენცია არ იყო. ჩვენ მივესალმეთ და საკითხის გადაწყვეტა გადავეცით იმ ორგანიზაციებს, ვისაც ჯერ არს. თუ ეს საკითხი ჩაქრა, არა ქართველი ამხანაგების ბრალით" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 64, ფურც. 6). სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ აღნიშნულ საკითხზე სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1925 წლის 15 ივლისის მე-2 სესიას

სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების საწინააღმდეგო დადგენილება მიუღია. ამის შემდეგ ამერკავკასიის კაკ-მა მიიღო დადგენილება ასეთი რესპუბლიკის შექმნის შესახებ, მაგრამ პრეზიდიუმის წევრმა ა. ნაზარეტიანმა საკითხის გადაჭრა ნაადრეად მიიჩნია იმის გამო, რომ 9 თვის განმავლობაში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის მიმოსვლა იკეტება და ეკონომიკური გაერთიანება შეუძლებელია (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის, უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 607, აღ. 1, ს. 332, ფურც. 4). ამ საკითხით 1925 წელს ი. სტალინიც იყო დაინტერესებული და (17.IX.25) დაშიფრული ტექსტით ამის გამო ს. ორჯონიკიძეს ატყობინებდა „ოსეთის შესახებ ვილაპარაკოთ შენი ჩამოსვლისას" (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან... თბ. 1991, გვ. 92). როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, საქართველოს ფარგლებში ჩრდილი ოსეთის თუნდაც ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანება მოსკოვის ცენტრის იმპერიულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ მოსკოვმა არჩია ორი ოსეთი დაყოფილად იმ დროისათვის შემოენახა, როცა შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის იმპერიული ინტერესების გააქტიურება ამ ორი ოსური ავტონომიის გვირაბით დაკავშირება და სამხრეთ ოსეთის ჩრდილო ოსეთთან რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ გაერთიანება. მანამდე კი რუსეთმა საქართველოზე ოსების ექსპანსია წაახალისა.

აღსანიშნავია, რომ ოსების რაოდენობა საქართველოში 1926-1989 წლების მონაცემებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე გაიზარდა 4,8 ათასით, ანუ 8 პროცენტით, მის გარეთ კი 47 ათასით ე.ი. 87 პროცენტით (იხ. კრებული: Осетинский вопрос. Тб. 1994, с. 192). ეს იმას გვიჩვენებს, რომ ისინი ქართველ მოსახლეობაში მშვენივრად თავსდებოდნენ, ავტონომიურ ოლქში კი, რუსეთის ხელისუფლების წაქეზებითა და თავიანთი ამბიციებით, მუდმივ კონფლიქტებს ქმნიან.

ცნობილი იყო, რომ საბჭოთა „ოსური ექსპანსია" ოლქისა და მისი განაპირა ქართულ სოფლებში უკიდურესად აგრესიულად მიმდინარეობდა. ამას მოწმობს ქართული სოფლების ქემერტის, სვერის, მინდიანის, ყაფლანის, კარხანის, მონასტრის მცხოვრებთა 1921 წლის 25 აპრილის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული შემზარავი უბედურობები. როგორც ჩანს, ადვილად წაქეზებული ოსები ქართველებზე შურს იძიებდნენ „მენშევიკების" დროინდელი დათრგუნვის გამო. მაგრამ, ამასთანავე, ოსების ეს ბოლშევიკური შურისძიება დიდხანს აღარ დამთავრდა. ამას მოწმობს 1924 წლის 13 ოქტომბრის რუისის რაიინსტრუქტორის მხეიძის წარდგინება პარტიის გორის სამაზრკომისადმი. აქ ნათქვამია: „...სოფ. დვინში... გადმოდიან შეიარაღებული ოსები... ეს შემთხვევები ისევ მეორდებიან უფრო ხშირად, რაც ამწვავებს მდგომარეობას და არა ნორმალურს ხდის სოფლების ურთიერთ შორის დამოკიდებულებას. გადმოდიან სამხრეთ ოსეთის სოფლებიდან პარტიულები, რომლებიც რუისის რაიონში ახდენენ დაჭერებს, ჩხრეკას და სხვა... (ქართველ — ავტ.) გლეხებში პანიკა არის შექმნილი. როდესაც დაინახავენ იარაღიან ოსებს, ზოგი ბაღში იმალება და ზოგი სხვაგან, რომ არ დაგვიჭირონო. 7 ოქტომბერს სოფელ დვანში მოვიდნენ სამხრეთ ოსეთის ხაბულაანთ უბნიდან (არგნეთის რაიონი) გიორგი, ვასო და სოფრომ ხაბელაშვილი პარტიულები, რომლებიც დათვრნენ ერთ გლეხთან და შემდეგ ერთ ურიას... წაართვეს რაც რამე ქონდა კალათში, გაინაწილეს თავიანთ შორის. ურია კი იდგა ქუჩაში და ტიროდა. ხალხს თოფებით აშინებენ, გინებითაც აგინებენ და ზოგიერთებს ემუქრებიან. 8 ოქტომბერს ცხინვალიდან გზით ჩამოიარეს დვანში ძალზე დაითვრნენ და გამოიწვიეს მახლობელი სოფლებიდან 10 კაცი, რომლებიც მოვიდნენ შეიარაღებულები ოსეთის სოფლებიდან... ველაპარაკე, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება სხვა რაიონში ადგილობრივი ხელისუფლების დაუკითხავად მოახდინონ ჩხრეკა და დაპატიმრება... საჭიროა მიექცეს ყურადღება"... (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, აღ. 1, ს. 106, ფურც. 29).

ოსების მიერ უკიდურესად გაწამებულ მეჯერისხევის რაიონის მცხოვრებთა მდგომარეობას ასახავს რაიკომის პასუხისმგებელი მდივნის გ. ზუმბელიძის ხელით შედგენილი 1924 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ამონაწერი, რომელშიც ნათქვამია: „მოისმინეს: სამხრეთ ოსების მოქმედების შესახებ. დაადგინეს: „ჯინაიდან მრავალჯერ არის შემჩნეული... სამხრეთ ოსეთის სოფლების გლეხობა ჩადიან ბოროტებებს... ქურდობებს, ტყის პირიდან აშკარად საქონლის მოტაცებას, საზღვრებთან ახლო მდებარე მომიჯნავე სოფლებიდან მამულში ძალადობით შესვლას, სოფლებზე ჯგუფობრივ დაცემას და ძალადობას. მაგალითები:

1. სოფ. ბერშუეთში მოკლული იქნა ერთი გლეხი იმ ნიადაგზე რო ერთი მეკომური ოსი ძალით შეიჭრა ბერშუეთის დაჩაში დასასახლებლად. მკვლელობაში და აურზაურის ატეხვაში უმთავრეს როლს თამაშობენ ახ. კომკავშირის წევრები იარაღით ხელში.

2. ა.წ. 26 ოქტომბერს სოფ. ზემო სობისს 20-მდე კაცი, ნაწილი მათი ახ. კომკავშირის წევრები, იმისათვის რო ერთი ოსის ქალი გაჰყვა ცოლად თავის სურვილით ქართველს, ქალის ბიძის გამოძახილით, დაეცნენ სოფელს, დაჰკლეს ცხვრები და სხვა სხვილფეხა საქონელი, და რო მილიციას პარტ. წევრების დახმარებით არ მიეღო ზომები, გამოიწვევდა სისხლის ღვრას ქართველებსა და ოსებს შორის. ყველა ასეთი მოქმედებები გლეხობას შორის იწვევს დიდ უკმაყოფილებას და შესაძლებელია რო მათმა მოქმედებამ მიიღოს ნაციონალური შურის ძიების ხასიათი ამ ორ ერს შორის. ამისათვის საჭიროა სამაზრკომმა მიაქციოს სათანადო ყურადღება, და აღიძრას საკითხი ამის გარშემო სადაც ჯერ არს“... (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, აღ. 1, ს. 106, ფ. 4). მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრი ხშირ შემთხვევაში ქართველების საზიანოდ მოქმედებდა. იგი სამხრეთ ოსეთში, ვითომ წითელი თავადების წინააღმდეგ ბრძოლისა და კულტურული მეურნეობის ხელისშემშლელთა დაძლევის მიზნით დევნიდა ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციას — ფავლენიშვილებს, ერისთავებს (იხ. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ტფ. 1929, გვ. 278).

როგორც ვხედავთ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ქართველებისათვის იმთავითვე მრავალმხრივი უბედურების მიზეზი გახდა. ასევე უბედურების მომტანი აღმოჩნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა. ერთადერთი ავტონომიური ერთეული, რომელმაც ისტორიის გამოცდილებით მეტ-ნაკლებად დაამტკიცა საქართველოს ორგანიზმში ავტონომიური უჯრედის სიკეთე, ეს არის აჭარა — ღვიძლი ქართული მოსახლეობით. ჩვენი აზრით, ფატალურად არ არის გამორიცხული, რომ იმ დროს სამეგრელოს ავტონომიურ მოწყობასაც სიკეთე მოეტანა დედა სამშობლოსათვის. ერთი რამ კი ცხადია: თუ სამეგრელოს ავტონომიურ რესპუბლიკაში სამურზაყანოც გაერთიანდებოდა და სამეგრელოს ავტონომიურ წარმონაქმნში ოფიციალურ ენად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ენა გამოცხადდებოდა, იგი მეგრული ენის ოფიციალურად დამხმარე გამოყენების შემთხვევაშიც, ეროვნული სიკეთის მთესველი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს ავტონომია კაცობრიობამ მხოლოდ უბედურებისთვის ხომ არ მოიგონა, ხომ არსებობდნენ ერები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმის ავტონომიით მშვიდად ცხოვრობენ?! მით უმეტეს არავითარ ეროვნულ საშიშროებას არ ჰქმნიდა სამეგრელოს ერთ „კულტურულ-ადმინისტრაციულ“ და არა „ავტონომიურ“ ოლქად გაერთიანება. მაგრამ ჩვენ უნიტარული საქართველოსკენ მივისწრაფით, საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველი ეროვნებები რუსეთის „ფედერაციის“ ხელისუფლების წაქეზებით მიისწრაფიან დამოუკიდებლობისაკენ, რუსეთის ხელისუფლების გენეტიკური იმპერიულობა კი ამ წინააღმდეგობას კონფლიქტამდე აყენებს. როგორ მოვიქცეთ? ჩვენი კერძო პროფესიული მოვალეობა გვავალებს პროგნოზებს ვერიდოთ და ისტორია ვიკვლიოთ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა საქართველოში განხორციელებულ ავტონომისტურ, სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ და პრაქტიკულ მუშაობას, ამ-

დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლობაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე მყოფი, ე.წ. ნაციონალ უკლონისტი მეგრელი ბესარიონ კვირკველიაც პრინციპულად დაუპირისპირდა. საბჭოთა ბოლშევიკური ავტონომიური მშენებლობის წინააღმდეგ განსაკუთრებული გულმოდგინებით იბრძოდნენ ანტისაბჭოთა არალეგალური ორგანიზაციებისა და ლეგალურად მოღვაწე „წაწოლის პოლიტიკით", ანუ „თავდაცვის ხმლით" მებრძოლი ქართველი ინტელიგენციის, მათ შორის მეგრული წარმოშობის, წარმომადგენლები.

კონსტანტინე გამსახურდიამ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის" 1921 წლის №109-ში მკაცრად გააკრიტიკა აჭარელი ავტონომისტების პარტიკულიარული მისწრაფების გამოვლინება, არ მოერიდა ხელისუფლების მხრივ ჩვეული ბოროტი შურისძიების გამოვლინებას და უსაყვედურა: „ასე შეიძლება ხვალ მეგრელებმა, სვანებმა და გურულებმაც მოითხოვონ ავტონომიაო", თედო ღლონტმა და ვახტანგ კოტეტიშვილმა „აჭარის დამოუკიდებელი მთავრობა, ავტონომია, ანტიეროვნულ მოვლენად მიიჩნიეს, რა დროს „აჭარისტანის" სახელმწიფოა, როცა ჯერ საქართველოს სახელმწიფო არ შექმნილაო! (იხ. ს. სიგუა, „იმ ბრძოლათა ერთი მატიანე", ჟურნ. „კრიტიკა", 1990, №4, გვ. 105-106). კ. გამსახურდიას პროტესტი, როგორც ვნახეთ, მეგრელების („ჩხოუშიელების") მაგალითზე ერთგვარი წინასწარმეტყველება გამოდგა. ალბათ ამიტომ იყო, რომ, როგორც თვითონვე 1956 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სპეციალურ პლენუმზე განაცხადა: „არ არსებულ მეგრულ ნაციონალიზმის" პირველ რიგში დაუთმეს საპატიო ადგილი" (ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 8, აღ. 2, ს. 580, ფურც. 18).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლო პროცესის დროს (31.VII.1925) გამოვლინდა ერთ-ერთი „მიზეზი სვანეთის 1921 წლის აჯანყებისა: სვანეთს ძალას ატანდნენ, თქვენ ქართველები არა ხართ, ამიტომ მოითხოვეთ რომ რუსეთმა უშუალოდ შეგიერთოთო" (ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება, ქუთაისი 1996, გვ. 497).

განსაკუთრებით საყურადღებოა 1926 წელს მწერალთა შეკრებაზე კ. გამსახურდიას მიერ გამოთქმული აზრი, საქართველოში ბოლშევიკურად განხორციელებული და დამღუპველი ავტონომიური მშენებლობის შესახებ. „რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულისტკივილის გაგება, — აცხადებდა პატრიოტი მწერალი, — უნდა მოგახსენოთ, რომ მე მაინცდამაინც დიდ პატიოს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა; მთლიანად ქართული რაიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან მეთქი" (იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1991, 26 ივლისი).

საქართველოში განხორციელებული ერთი მხრივ ავტონომისტური პროპაგანდა და მშენებლობა, ხოლო მეორე მხრივ კი, ქართველი პატრიოტების ავტონომიების საწინააღმდეგო ძალისხმევა მეგრელ ინტელიგენციაზე ორმხრივ — ზოგზე წაქეზებისა და ზოგზე თავშეკავების გავლენას ახდენდა. ერთი მცირე ნაწილის, ავტონომიების მშენებლობის პოლიტიკაში გაუცნობიერებელი „ჩხოუშიელი" ავტონომისტების სახით, სამეგრელოს სწრაფი ეკონომიკური დაწინაურების შესაძლებლობა, ზოგს მეგრული ლიტერატურისა და მეგრული კულტურის შექმნის საშუალებად ესახებოდა. მეორენი, როგორც ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობის მაგალითზე ვნახეთ, მოითხოვდნენ მხოლოდ სამეგრელოს საერთო ინტერესების შესაბამისი მეგრული გლეხური მოსახლეობისათვის მშობლიური მეგრული ენის გამოყენებით სამეგრელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქის შექმნასა და გლეხობის სწრაფი კულტურულ-ეკონომიკური წინსვლის გარდამავალი ხასიათის ღონისძიებების გატარებას. ისინი ამ მიზნით მოითხოვდნენ მეგრული ენის გამოყენებას იმ სასამართლოებსა და დაწესებულებებში, სადაც ამისი რეალური აუცილებლობა არსებობდა. ორივე მიმდინარეობა, აღნი-

შნული განსხვავებული მიზანდასახულობებით, საჭიროდ მიიჩნევდა სკოლის დაწყებით პირველ კლასებში მეგრულ ენაზე სწავლებას, ქართლის არმცოდნე გლეხებისათვის კი, სათანადო საინფორმაციო გლეხურ პუბლიკაციებს.

თვალის ამ ერთი გადავლებით, ვითომ საერთო რეაქციულ მოთხოვნას იმ დროს უთუოდ ჰქონდა როგორც გამართლება, ისე გაუმართლებლობა. პირველ შემთხვევაში, ჯერ ერთი, გლეხური მოსახლეობის, განსაკუთრებით ღარიბი და ქართულის არმცოდნე ოჯახების ბავშვების უმრავლესობა ენის ბარიერის დაძლევის სირთულის გამო სკოლაში სწავლას თავს არიდებდა, ან ვერ ახერხებდა. მოსწავლეთაგან ბევრი დაწყებითი განათლების კურსის გაკლის დროს მთელ ენერგიას მისთვის უცხო სიტყვების ზუთხვას ანდომებდა, შემდეგ კი სამეურნეო ცხოვრებაში სათანადო ელემენტარული ცოდნის მიღების გარეშე ებმებოდა.

მოზრდილი გლეხობა ქართულის უცოდინარობის გამო მასობრივ-კულტურულ ზემოქმედების საშუალებებს მოკლებული რჩებოდა. ბევრი ასეთი, განსაკუთრებით სამურზაყანოში მდგომარეობიდან გამოსავალს სახელმწიფოებრივად „უნივერსალური" რუსული ენის დაუფლებაში ეძებდა.

მეორე, გაუმართებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომისტი მეგრული ენის მოყვარულები ლიტერატურულ-სახელმწიფოებრივ ქართულ ენას უპირისპირდებოდნენ და რეგიონალური მეგრული ენით, პარალელური მეგრული კულტურის მშენებლობას ისახავდნენ. მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არ გაუწყვეტიათ. რაციონალური გამოსავალი არსებობდა.

ამის შესახებ საგნობრივი და უფრო დამაჯერებელი საუბარი წიგნის შემდგომ თავში, სათანადო საკითხების განხილვის დროს გვექნება. ამჯერად კი შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ „ჩხოუშიელთა" ავტონომისტური და სეპარატისტული ნაზრევის იდეურ-პრაქტიკულ წანამძღვრებს ქმნიდა ერთი მხრივ, სამეგრელოს რეგიონის გარკვეულ მოსახლეობაში, კერძოდ ქართული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი ენის არმცოდნე გლეხობის მიერ საკუთარი დედაენა მეგრულის გამოყენების გარდაუვალი აუცილებლობა. მეორე მხრივ, მეგრული ენის შინაურული მოხმარების მყარი ტრადიცია, ხოლო მესამე მხრივ, კომუნისტური პარტიის ავტონომისტური თეორიის პროპაგანდა და საქართველოში განხორციელებული ავტონომისტური მშენებლობის პრაქტიკა.

ამასთანავე, ნათლად შეიმჩნევა, რომ ჩხოუშიელების ავტონომისტური და სეპარატისტული გატაცება, სხვადასხვა პერიოდში და განსხვავებული ძალით, უპირატესად განსხვავებულად ჩამოყალიბებულ პლატფორმაზე (ზოგი ავტონომისტურ, ზოგი ავტონომიურ-სეპარატისტულ შეხედულებაზე) მდგომი ერთეული პიროვნებების მოთხოვნების სახით გამოვლინდა. 1922-1924 წლებში უპირატესად ადგილი ჰქონდა კომპარტიის ეროვნული პოლიტიკითა და პრაქტიკით დაბნეული „ჩხოუშიელი" კომუნისტების ავტონომიის მოთხოვნას. მაგრამ, იგი სამეგრელოს ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში გულისხმობდა, ამდენად, ეს სუბიექტური მისწრაფება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება შეფასდეს ეროვნული იდეალების ღალატად, 1925 წელს კი, მიზეზთა გამო თავი იჩინა ერთი მხრივ, ავტონომიის მოტრფიალეთა სიმრავლემ, მეორე მხრივ, სეპარატისტულმა საჩივრებმა. აი ეს კი, უთუოდ იყო „ჩხოუშიელი" კომუნისტების და უპარტიოების ანტიეროვნული მისწრაფების გამოვლენა. მაგრამ იგი სულ რაღაც 3-4 კაცის ინიციატივით აისახა და ისიც მხარდამჭერებს იძენდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის „წყალობით" საქართველოს ცენტრის წარმომადგენლის მხრივ ავტონომისტი „ჩხოუშიელების" გაუხამსებული კრიტიკით და ამავე დროს „ჩხოუშიელთა" გარკვეულ ნაწილში სამეგრელოს ავტონომიის ეროვნულ საშიშროებად გადაზრდის შესაძლებლობათა გაუგებრობა-გაუთვალისწინებლობით.

წინამდებარე წიგნის მომდევნო თავში შეეცდებით კონკრეტული წყაროებისა და სათანადო მაგალითებით განვამტკიცოთ მოცემულ თავში ჩატარებული ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნა და საგნობრივად წარმოვაჩინოთ, რომ „ჩხოუშიელი" კომუნისტი ავტონომისტების მომრავლებას და რამდენიმე ავტონომისტის სეპარატიზმში გადაზრდას პარტიის პოლიტიკამ და საქართველოს ხელისუფლების უნიათო, დოგმატურმა აზროვნებამ უბიძგა.

თავი VII

„ჩხოუშიელი“ ავტონომისტები და მათი მოთხოვნები

როგორც ამ წიგნის წინა თავებში მობილიზებული ოფიციალური, პარტიული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული სახელმწიფოებრივი ვერსიის გაცნობამ გვიჩვენა, „მეგრული საკითხის“ მოგვარების სამართლიანი მოთხოვნები და „ჩხოუშიელების“ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა, პრინციპული განსხვავების მიუხედავად, ერთ საერთო იდეურ-პრაქტიკულ დანაშაულებრივ მოთხოვნად გასაღდა. იგი ამავე დროს ყალბად დაუკავშირდა სტ. გაგუას და მ. კანკავას ინიციატივით შექმნილი „მაფალუს“ კულტურულ საზოგადოებას, რომელსაც ყალბად მიაწერეს ანტიქართული სეპარატისტული მისწრაფება და თავის მხრივ დააკავშირეს მეფის რუსიფიკატორ იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვის და მათი აგენტის, ვითომ „აფერისტი“, თადა აშორდიას საქმიანობასთან.

მაგრამ წიგნის წინა თავებში ისიც ვნახეთ, რომ მეგრელი, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე გლეხების სამართლიანი მოთხოვნებით გამომსვლებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ არც „მაფალუსთან“ და არც ავტონომიის მთხოვნელებთან. გ. ციციშვილის მიერ გამოქვეყნებულ „მაფალუს“ ისტორიის შემსწავლელ წიგნში მობილიზებულმა წყაროებმა და მათმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ „მაფალუ“ იყო თვითმყოფადი საზოგადოება, რომლის ლიდერებს სტ. გაგუას და მ. კანკავას სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა არ წამოუყენებიათ, მითუმეტეს საქართველოდან გამოყოფა და ქართული კულტურისაგან დამოუკიდებელი მეგრული კულტურის შექმნა არ უფიქრიათ.

ახლა, ამ თავში საჭირო ხდება სათანადო ისტორიის წყაროებზე დაყრდნობითა და მათი ანალიზით გავარკვიოთ რაში მდგომარეობდა „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების მოთხოვნები, რა მემკვიდრეობას ეყრდნობოდა იგი, და რამდენად სწორია, რომ, თითქოს, „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების მოთხოვნები იმთავითვე ანტიქართულ სეპარატისტულ მისწრაფება-მოთხოვნებს შეიცავდა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, სამეგრელოს ავტონომიის იდეის სულისჩამდგმელად, მის „თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად“ გამოცხადებულია კომპარტიის ყოფილი წევრი მიშა (მიშო) დადიანი, რომელიც ამის გამო 1922 წელს გარიცხული იყო პარტიიდან.

ლ. ბერიას თქმით, მ. დადიანი „თავის დროზე იცავდა სამეგრელოს ავტონომიის იდეას თვითპყრობლობის გულისათვის‘ (? — ავტ.), ახლა კი მოითხოვს იმასვეს საბჭოთა ხელისუფლების... გულისათვის“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, 13 სექტემბერი).

მ. დადიანის ცარიზმის სასარგებლო ავტონომისტური მისწრაფება-მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია არსად შეგვხვედრია. თუ ბერიას ნათქვამს დაეჯერება, მაშინ გამოდის, რომ მ. დადიანის სახით კომუნისტურ პარტიაში მიუღიათ და ზუგდიდის ორგანიზაციის ლიდერად ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე დაუწინაურებიათ პიროვნება, რომელიც ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს, მეფის ხელისუფლების ინტერესებით მოითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას. მაგრამ ასეთი აზრი ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან ცნობილია, რომ ბოლშევიკები ხელისუფლების დაპყრობამდე პროლეტარიატის ერთიანობის მოტივით ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულ თვითგამორკვევასა და გამოყოფას. ზოგმა პატრიოტმა, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მეფის დროს მხარი დაუჭირა საქართველოს ავტონომიას. მაგრამ საქართველოში შემავალი კუთხური თუ ეროვნული უმცირესობის ავტონომიისადმი მათი მხარდაჭერა უცნობია. მ. დადიანის ნაღვაწნაზრევში ცარიზმის სასარგებლო მეგრული ავტონომიის აღმოჩენა, ჩვენი აზრით, პოლიტიკანური ინსინუაციის გამოვლინებაა. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ დაბრალებასთან. ჯერ ერთი, დაბრალება ჩეკისტების ხელობის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდია. მეორე, მ.

დადიანის მიმართ უნდობლობის ერთგვარი საფუძველი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მართლაც იძებნება. საკმარისია წინასწარ ითქვას, რომ მას ბრალდებოდა ხელმოწერა სეპარატისტებად გამეღავნებული ბუკონია-ბესელიას მიერ ამიერკავკასიის ხელმძღვანელების მიმართ გაგზავნილი 20 კაცის ხელმოწერით გამაგრებულ საჩივარზე. ამიტომ ჩვენთვის მთავარია მ. დადიანის საბჭოთა პერიოდის ავტონომისტური ინფორმაციის მობილიზება, და არა მის შეუცნობელ ცარიზმის სასარგებლო საქმიანობის შესახებ პროგნოზისტობა. ამ მხრივ მთელი რიგი მეტ-ნაკლებად სანდო წყაროები იძებნება.

„ჩხოუშიელი" ავტონომისტების ბელადად შერაცხული მ. დადიანის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდიან ე.წ. პარტიული წარმოშობის წყაროები, პარტიულ-პოლიტიკური ინტრიგის დროს დამოწმებული ცნობები და ი. ჟვანიას მეგრულ ენაზე გამოცემული წიგნი „მუჭო ლიმენდუ სამარგალოში მოხანდე ყაზაყობა საბჭოებიში ხეშულობაშენი" („როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის." ზუგდიდი 1931). აქ ნათქვამია, რომ მ. დადიანი სამეგრელოს პარტიული ორგანიზაციის რევოლუციამდელი ლიდერია. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის საარქივო მასალების მიხედვით, მ. დადიანი ზუგდიდის პირველ სამაზრო კომფერენციაზე (4.I.1922 წ.) აირჩიეს პრეზიდიუმში და ხმების მაქსიმალური რაოდენობით, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის (1922 წ. იანვარი) დელეგატად (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 36, ფურც. 4-8). სწორედ აქ მოისმინა მ. დადიანმა საბჭოთა ავტონომიის სიკეთის შესახებ ს. ორჯონიკიძის და ფ. მახარაძის დემაგოგიური სახელმძღვანელო აზრები, აგრეთვე ს. ორჯონიკიძეის აზრი აჭარლების მცირე, ჩარგულ „ეროვნებად" აღიარების შესახებ. ეს აზრები, როგორც ჩანს, მ. დადიანში ასაზრდოებდნენ და აღძრავდნენ აზრს სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის მიზანშეწონილობისა და უფლების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის და პარტიული კოლეგიის (დოლიძე, ლეჟავა) 1925 წლის 8 ოქტომბრის დადგენილების („საქმე მეგრელი ამხანაგების შესახებ") მიხედვით, დადიანი მიხეილ (მიშო) მელიტონის ძე არის 58 წლის, უმაღლესი განათლებით, ყოფილი თავადებიდან, ამჟამად მოსამსახურე, ზუგდიდის მაზრის „სადაზღვევო სალაროს" გამგე, უცოლშვილო. 1922 წელს გაირიცხა პარტიიდან, შემდეგ 1925 წლიდან აღდგენილი იქნა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6,266, ფ. 261). აქ ყურადღებას იპყრობს ის, რომ მ. დადიანი გაურიცხავთ 1922 წელს, მაგრამ აღუდგენიათ 1925 წელს. მკითხველს ვთხოვთ ამ ინფორმაციას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან აქედან ჩანს, რომ იგი 1922 წელს ავტონომისტია, 1925 წელს კი ალიანსშია „ნოთელებთან", რომელთა ლიდერი, კომუნისტი გრიშა ახალაია, სეპარატისტების ლიდერია.

1932 წლის 15 მარტს ცნობილი პარტიული მუშაკი, ი. ჟვანიას მიმართ მტრულად განწყობილი ევგენი უბირია, ერთ-ერთ ოფიციალურ საჩივარ წერილში ზემდგომ ორგანოებს აწვდის ასეთ ცნობას: „კომპარტიაში შეპარულმა მაფალუელებმა, მათ შორის მიშა დადიანმა 1922 წელს შეცდომაში შეიყვანეს გლეხი კიმოთე თორდია და პროფი როგავა და სხვები: წამოჭრეს სამეგრელოს ავტონომიის და მეგრული ენის საკითხი. პარტორგანიზაციამ და უპარტიოებმა (მაშინ მათი სხდომები ერთობლივად ტარდებოდა — ავტ.) მოითხოვეს მათი გასამართლება"... (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 152).

ი. ჟვანიას პოლიტიკური ოპონენტების მ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას 1931 წლის განცხადებაში („ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, სკპ(ბ) ცკ-ს, ამხ. სტალინს, ზუგდიდის რაიკომის ბიუროს") ვკითხულობთ: „სამეგრელოს „ისტორიკოსს", მ. დადიანს გააჩნია გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ფილოსოფია და უბრძესი ენა". მასში დადიანი ადიდებს მეგრულ ენას, მას უწოდებს „მსოფლიო მარგალიტს — ცოდნის ამოუწურავ მარაგს. იგი ერთ ადგილას (გვ. 47) წერს, რომ „მეგრული ძველსიტყვაობა პირველდაწყებითი ენაა აზიის და აფ-

რიკის ხალხებისათვის". წიგნში დადიანი მეგრელებს მიიჩნევს ქვეყანაზე „პირველშობილად", ეყრდნობა სიძველის მკვლევარ ვინმე ი. პროცენკოს და გვარწმუნებს რუსების, უკრაინელების, პოლონელების და რუმინელების კოლხიდიდან (მეგრელებიდან) წარმოშობაში. მართალია მთელი ეს შოვინისტური „ჩეპუხა" დადიანმა 1906 წელს დაწერა, მაგრამ ამ „ნაშრომმა" თავისი სიცოცხლისუნარიანობა, დადიანის და ჟვანიას აზრით, დღემდე შეინარჩუნა. ი. ჟვანიამ არც თუ დიდი ხნის წინათ რაიკომის კულტპროპს (ვ. ბოკუჩავას — ავტ.) შესთავაზა წინ წაეწია ამ წიგნის დაბეჭდვა. მაგრამ კულტპროპმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა, მაშინ, ნაწყენმა დადიანმა ეს წიგნი უშუალოდ მოსკოვში ამხ. მოლოტოვის სახელზე გაგზავნა გამოსაცემად. მაგრამ ეს წიგნი მას ფოსტით უკან დაუბრუნეს" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 48/2).

მსგავსი შინაარსის პასაჟი გვხვდება 1932 ან 1933 წელს ბერიას თანამოაზრეების მ. ფირცხალავას, მ. ბარამიას, კადირბი ჩემიას, ი. ბეჭვაიას, სანდრო ქაჯაიას, კ. წურწუმიას და ტ. აბრამიას მიერ ხელმოწერილ ვრცელ კრიტიკულ წერილში „მეგრული რევოლუციური მოძრაობისა და „მაფალუს" იდეების გავრცელების წინააღმდეგ", რომელიც ამ დროს აღმოცენებული პოლიტიკანურ-კონიუნქტურული მოთხოვნით მიზნად ისახავს ი. ჟვანიას ზემოთ ნახსენები წიგნის განხილვასა და გაბიაბრუებას. ამ წერილში ნათქვამია: „დადიანი ამტკიცებს, რომ... კაცობრიობის სხვადასხვა ერები თავის წარმოშობას, ღრმა სიძველის წყვდიადით მოცულს, ჩვეულებრივი კვლევისათვის მიუწვდომელს, უნდა ეძებდნენ მეგრული ისტორიის სიღრმეში. მეგრული ისტორიით იწყება ევროპის, აზიის და აფრიკის ხალხების კულტურულ-პროგრესული გენეზისის მოძრაობის ისტორია" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 256).

ი. ჟვანიას პოლიტიკური ოპონენტი, წალენჯიხის რაიკომის ყოფილი მდივანი კ. კობახიძე 1931 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ წერილში „სამეგრელოს საკითხის გამო", რომელიც საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროს მისამართით გააგზავნა, ი. ჟვანიას მხილების მიზნით, მ. დადიანს უწოდებს: „მაფალუელების" სულისჩამდგმელს, ყოფილ თავადს, დეგენერატს" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 86).

ი. ჟვანიას ზემოთ აღნიშნული წიგნიდან ეგებულობთ, რომ მ. დადიანი 1917 წელს იყო ზუგდიდის 73 კომუნისტისაგან შემდგარი ორგანიზაციის თავმჯდომარე, ზუგდიდის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლების ორგანიზატორი (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 18).

მაშასადამე, მ. დადიანს გააჩნდა პარტიული დამსახურება, განათლების ცენზი, დიდი ავტორიტეტი და სამეგრელოს ისტორიისა და ენის საკითხებზე გარკვეული თეორიული ცოდნა. მისი, როგორც ისტორიკოსის და ლინგვისტის შეფასება ამ მწირი, ირონიული და აშკარად გაბიაბრუების მიზანდასახულობის გამოთქმების მიხედვით შეუძლებელია. არც მისი ნაშრომების ნაღდი კვალი ჩანს და არც პროცენკოს ნასიბრძნში იძებნება სამეგრელოს ისტორიის შემცველი სერიოზული გამოკვლევა. მაგრამ ერთი რამ უთუოდ სავარაუდოა. მ. დადიანი იცნობს არა მარტო მეგრული ენის სიძველესა და ვერბალურ სიმდიდრეს, არამედ, აგრეთვე, სამეგრელოს ისტორიის იმ წყაროებს, რომელიც მის ძველი კოლხეთის მითოლოგიისა და მეგრელების ძველ ეგვიპტური, კოპტური წარმოშობის ვერსიას ეფუძნება. მისთვის მიწერილი აზრები, რომ მეგრული ისტორიით იწყება ევროპის, აზიის და აფრიკის ხალხების კულტურული გენეზისი სულაც არ იწვევს ჩვენი გაკვირვებას. დღესაც იშვიათად როდი გვესმის მსგავსი, მაგრამ ღიმილის მომგვრელი ვერსიები. აქ მთავარია, რომ მ. დადიანის ისტორიით დაინტერესება, კომუნისტებში მას უთუოდ შეუქმნიდა გარკვეულ ავტორიტეტს. არც სამეგრელოს ავტონომიურად მოწყობის გამართლებაში იძებნება მისი დეგენერატად გამოცხადების ზნეობრივი უფლება. ამაში, ჩვენი აზრით, უფრო ის გამოსჭვივის, რომ ამ სიტყვის ავტორს, კ. კო-

ბახიძეს და სხვებს, სურთ მხარი დაუჭირონ ლ. ბერიას იმ „მტკიცებულებას", რომელიც მ. დადიანს აკუთვნებდა „დეგენერატ დამნაშავეთა" კატეგორიას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მაზრის კომუნისტებს შორის უმაღლესი განათლებისა და სამეგრელოს ისტორიის მცოდნე ავტორის სახით იგი ამ დროს იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, მაშინ, როცა მისი თანამოაზრეთანამებრძოლები არიან წერა-კითხვის მცირემცოდნე ან წერა-კითხვის უცოდინარი ბოლშევიკები, შეიძლება ვერწმუნოთ მის მიმართ ბერიას და სხვათა იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც მ. დადიანი 1922 წლიდან არის „ჩხოუშიელი" კომუნისტების და უპარტიოების ავტონომისტური მოთხოვნების იდეური და პრაქტიკული სულისჩამდგმელი, აგრეთვე ამ მიმართულებით სხვა კომუნისტების დამკვალიანებელი. მ. დადიანს სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის მიზანშეწონილობის იდეა, ჩვენი აზრით, უთუოდ ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინური სწავლების და საქართველოში მისი დემაგოგიური პროპაგანდა-პრაქტიკის საფუძველზე უნდა აეთვისებინა, რომელიც ამდროინდელი საქართველოს პარტიის ყრილობაზეც გაისმოდა და რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებშიც სისტემატიურად იბეჭდებოდა. მაშასადამე, მ. დადიანისა და მისი მიმდეგრების ავტონომიზმი საბჭოთა ავტონომიზმის პირმშოა.

აღნიშნულის შემდეგ საინტერესოა, რატომ აღადგინეს ის პარტიაში 1925 წელს? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ამ დროისათვის საქართველოში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ორჯონიკიძის მიერ სტალინისათვის გაგზავნილი 1925 წლის 9 სექტემბრის წერილიდან ვგებულობთ, რომ ცნობილ პარტიულ მუშაკს ბახტაძეს და საქართველოს კომპარტიის 1923 წელს მოვლენილ მდივანს ლ. ქართველიშვილს ზუგდიდში უთქვამთ, რომ „სტალინი მხარს უჭერს სამეგრელოს ავტონომიას". საპასუხო წერილში სტალინი მათ უწოდებს „ხუმრობის ადვილად დამჯერე ამხანაგებს". ეს იმას ნიშნავს, რომ სტალინს სამეგრელოს ავტონომიის დაპირების რაღაც მსგავსი, აღნიშნულ ამხანაგებთან საუბარში შეიძლება „სიტყვის ხერხად", მაგრამ გამოუთქვამს. მართალია, სტალინმა სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლო აზრი შეიცვალა, მაგრამ ვიდრე ეს მისი 1925 წლის 17-18 სექტემბრის პასუხით საბოლოოდ გაირკვეოდა, სამეგრელოს ავტონომიის პროპაგანდა დიდ ცოდვად ვერ ჩაითვლებოდა. მითუმეტეს, რომ უკვე 1923 წლის სექტემბრის სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება ერთი მხრივ რაჭა-ლეჩხუმის, ხოლო მეორე მხრივ, ზუგდიდი-სენაკი-ფოთის მაზრების ერთ ოლქად გაერთიანებისა და მეგრულად მოლაპარაკე მოსახლეობისათვის სათანადო აუცილებელი დათმობების განხორციელების შესახებ. როგორც ადრე აჭარელ გლეხთა წარმომადგენელ დ. დიასამიძის გულწრფელი განცხადებით დავრწმუნდით, ბევრისთვის გაუგებარი იყო ავტონომიის რაობა. გლეხობას არ შეეძლო მკაფიოდ გაერკვია რით განსხვავდებოდა 1921 წელს ხელისუფლების მიერ დაარსებული ოლქი (სამხრეთ ოსეთისა), საქართველოს კომპარტიის 1923 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ დაპირებული სამეგრელოს მაზრების (ფოთი-სენაკი-ზუგდიდი) ერთიანი ოლქისაგან. აქედან ცხადი ხდება, რომ სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის იდეის წაქეზება, ნებსით და უნებლიედ, ზემოდან ხდებოდა. ამ აზრის სასარგებლოდ მთელი რიგი სხვა წყაროებიც იძებნება. მაგალითად, ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის არქივის მასალებში გამოვავლინეთ საქართველოს ოკუპაციამდელი პარტიული სტაჟის მქონე, 1922 წელს გარიცხული გლეხის კიმოთე თორდიას 1923 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს კომპარტიის რიგებში აღდგენას. განცხადებიდან ჩანს, რომ კ. თორდია გაურიცხიათ „მეგრული საკითხის" დაყენების გამო.

კ. თორდია აცხადებს, რომ იგი პარტიიდან გარიცხეს უმიზეზოდ. „მაგრამ ვაი თუ ამ მხრივ თქვენი მოქმედება წყვეტით მოიხსენია ისტორიამ. — წერს იგი, — რამ გამოიწვია ჩემი პარტიის წევრობიდან დათხოვნა? სამეგრელოს საკითხმა... მე ვაღიარე, რომ სამეგრელოში სასურველია მეგრული ენის არსებობა მეთქი, რასაც თავის მტკიცე მეცნიერული საფუძველი ქონდა და აქვს დღესაც.

რომ მეგრელები თავიანთი დედა ენა მეგრული ენით უნდა განვითარდნენ და მომზადებული პოლიტიკურად, რათა თავი დააღწიონ მონობის უღელს (ე.ი. გაჭირვებას — ავტ.). სხვა მეტი ვინ აძლევდა ამ საკითხს პოლიტიკური ხასიათს — პირიქით მაშინ როცა მე ამას, თუ ვამბობდი გამოვდიოდი სწორედ კომუნისტური ძირითადი პრინციპის (ანუ პარტიის ეროვნული პოლიტიკის — ავტ.) მოსაზრებიდან, რის გამო ჩემი გამტყუნება შეუძლებელი იყო და არის და თუ ვინმეს ეს არ სჯერა, გადაავლოს თვალი ისტორიას სამეგრელოს შესახებ, გადაავლოს თვალი ენათ მეცნიერების მიზანს მეგრული ენის შესახებ და იქ შეხვდება ყველა იმას, რაც საჭიროა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ვითომდა ჩემში ნაციონალისტური სული მეფობს; მე ვაცხადებ ყველას გასაგონად, რომ მე ინტერნაციონალისტ-კომუნისტი ვიყავი, ვარ და ვიქნები, რაც მე არა ერთ ხელ დამიმტკიცებია და შემიძლია დავამტკიცო მომავალშიც, მაგრამ საქმეც იმაში მდგომარეობს ამხანაგებო, რომ ინტერნაციონალიზმი იმას კი არ ქადაგებს, რომ „რომელიმე ერმა ერთი ერი ან ყოფილი ერი შთანთქოს, რომელიმე ენამ ენა შთანთქოს და მოსპოს.

<u>მე ვარ სათანადოდ მომზადებული კომუნისტი</u> (!? — ავტ.), კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლა მიმიძღვის და უსამართლობა იქნება, აგრეთვე საერთო პრინციპის წინააღმდეგ ჩემი პარტიის გარეშე ყოფნა. მე გარიცხული ვარ სამეგრელოს საკითხის გამო და სხვათაშორის მე მამართლებს აკსფსრ მე-2 სესიის მიერ გამოცემული დეკლარაცია ენის შესახებ. იხილეთ გაზეთი „კომუნისტი", 3 ივლისი ა/წ". (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 86, ფურც. 30). ასე ან მსგავსად აზროვნებდა „ჩხოუშეილი" ავტონომისტების უმრავლესობა.

ახლა ვნახოთ რის იმედად იჩემებს კ. თორდია „სათანადოდ მომზადებულ კომუნისტობას". გაზეთ „კომუნისტის" 1923 წლის 3 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა „ნაციონალური მომენტის შესახებ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში" სრულიად საქართველოს ცაკის II სესიის დადგენილება და დეკლარაცია ენის შესახებ. აქ ნაციონალური ენის შესახებ ნათქვამია: „ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მართვა გამგეობა, ისე სწავლება და სხვა ხდებოდეს ხალხისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე... აკსფსრ ცაკ-ის სესია ავალებს რესპუბლიკების ცაკებს გამოიცეს კოდექსი სახელმწიფო დაწესებულებებში, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის ენის, ისე ნაციონალურ უმცირესობათა ენების ხმარების შესახებ. სესია ადგენს შემოღებული იქნეს მთელ რიგ სკოლებში ამიერკავკასიის ხალხთა ძირითადი ენების... სწავლება. სესია ადგენს გამოიცეს კანონები, რომელთა მიხედვით უნდა დაისაჯონ ეროვნებათა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დამრღვევები". ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ს. ორჯონიკიძის „სწავლებით" აჭარლები ეროვნებაა, ანუ ერია. ამიტომ რას ვერჩით კ. თორდიას თუ ზეგრელებიც ერად, „ნაციად" მიაჩნია?!

დეკლარაცია ენის შესახებ „აღიარებს ნაციონალური ჩაგვრის მოსპობას, ნაციონალური კულტურის განვითარების შესაძლებლობებს, ეთნიური სიჭრელის და ჩამორჩენილობის პირობებში ამიერკავკასიის ენების და <u>ტომებში</u> (! — ავტ.) ნაციონალური განცალკავების ნაშთების აღმოფხვრას, „ამიერკავკასიის ერების ცოცხალი სალაპარაკო ენები უნდა გადაიქცნენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ... რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავრ იარაღად". ცაკ-ის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა მოკლე ხანში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაგვარებს ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში და აგრეთვე ამ დაწესებულებების მცხოვრებლებთან ურთიერთობის დროს სამშობლო ენის ხმარებას" და სხვ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეს განმარტებები ემყარებოდა რუსეთის კომპარტიის (ბ) XII ყრილობის დირექტივებს. ყრილობამ, მასზე სტალინის მოხსენებამ კი, გაარკვია ავტონომიის და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის არსი. ამ სწავლება-მოთხოვნებით საბოლოოდ გაირკვა, რომ მეგრელები მიუხედავად სრულყოფილი ენით სარგებლობისა, და ბევრისთვის ამ ერთადერთი ენის არსებობისა, ერი არ იყო და არ შეიძლება

ჰქონდეთ არც ავტონომიის და არც მისით გათვალისწინებული შეღავათების მოთხოვნის პრეტენზია. მაშასადამე, კ. თორდიას ეს ვერ გაუგია. იგი მიშა დადიანის გავლენას განიცდის, დიახ ვერ გაუგია, რომ ავტონომია და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაბოძები სხვა „სიკეთე" არ ვრცელდება ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე მეგრელ ·ხალხზე. მაგრამ ამის გამო იგი დაბნეული კომუნისტი ავტონომისტია და არა სეპარატისტი. ეს გამოწვეული იყო ერთი მხრივ იმით, რომ ისინი არ მიიჩნეოდნენ ქართველებისაგან განსხვავებულ ერად და ტომად, ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ მათ თავისებურებათა მიმართ უთუოდ საჭირო დამოკიდებულების გამომუშავება საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის 12 სექტემბრის დაპირება-აღიარების მიუხედავად, შეფერხდა საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოების ზანტი აზროვნებითა და დანაშაულებრივი უმოქმედობით. მაგრამ ეს, მიზეზთა გამო, გაუგებარი დარჩა აგრეთვე ზოგი სხვა „სათანადოდ მომზადებული" მეგრელი კომუნისტისა და ინტელიგენტისათვის, რომელთა ზოგადეროვნული ცოდნის ამაღლების მიმართულებითაც ამ დროს მნიშვნელოვანი არაფერი კეთდებოდა. სწორედ ამან გამოიწვია წინააღმდეგობა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის 1 ივნისის დირექტივის საფუძველზე, რესპუბლიკის შინსახკომის მიერ მომზადებული „პროექტის" გამო, ერთი მხრივ, ადგილობრივ და მეორე მხრივ, ცენტრალური კომისარიატების მომუშავეებს შორის, რის შესახებაც საქართველოს ცაკ-ის II ყრილობაზე (2. I. 1924) თავის მოხსენებაში აღნიშნავდა ა. გეგეჭკორი. ამის გამო იყო რომ ცაკს შინაგან საქმეთა კომისარმა ალ. გეგეჭკორმა განსახილველად წარუდგინა ორი, ძველი და ახალი პროექტები. ორივე დამტკიცდა, მაგრამ აქ უკვე აღარ არის გადაწყვეტილება ოლქების შექმნის თაობაზე.

აღნიშნული მიზეზების გამო მოიხსნა, აგრეთვე სამეგრელოს ოლქის პრაქტიკულად მოწყობის საკითხი. იგი გადაიდო საკმაოდ ხანგრძლივი დროით და განმეორებით მხოლოდ 1929 წელს იქნა დაყენებული, ისიც იმ დროს დასახული სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის მიზანდასახულობით. მაგრამ, როგორც ჩანს, საკითხი არ მოიხსნა არც სამეგრელოს გლეხური ცხოვრების რაციონალური მოწყობისათვის მებრძოლების და არც ცალკეული ავტონომისტი „ჩხოუშელების" შეგნებიდან. ამას ჰქონდა სერიოზული საფუძველი. ეს იყო ენობრივი და სოციალური პრობლემების მოწესრიგების აუცილებლობანი. ეს ვერ გაიგო იმდროინდელი ხელისუფლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მაგრამ ზოგს არ ესმის დღესაც.

„მეგრული საკითხის" სამართლიანად, სახელმწიფოებრივად მოგვარების გაჯანჯღლებამ და თავმოუბმელობამ, მისდამი პარტიისა და ხელისუფლების უსულგულო დამოკიდებულებამ, სხვა სერიოზულ მიზეზებთან ერთად, რომლის შესახებ ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი, 1925 წელს უბიძგა მეგრელი კომუნისტებისა და ინტელიგენციის ერთ, კ. თორდიასებურად „სათანადოდ მომზადებულ" ნაწილში სამეგრელოს ავტონომიის დაჟინებული მოთხოვნის აღმოცენებას. ამის გამო პარტიამ კვლავ მიმართა ახალი რეპრესიების ორგანიზებას: ავტონომისტებს რიცხავენ პარტიიდან მათი გაურკვევლობა-დაბნეულობისა და ნაწილობრივ სამართლიანი მოთხოვნების მიუხედავად.

საგნობრივად რომ გავარკვიოთ, სად ემთხვევა და სად სცილდება ერთმანეთს ერთი მხრივ, სამართლიანი მოთხოვნები ავტონომისტების მოთხოვნების ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, ავტონომისტების მოთხოვნები სეპარატისტებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორი მიმდინარეობის წარმომადგენლობის მთავარი მოთხოვნა — მეგრული ენის გამოყენების საჭიროების შესახებ — სამართლიანია. მეორე — ეს ორივე მიმართულება მეგრულ ენას განიხილავს როგორც საშუალებას, რომ მისი გამოყენებით „დაწინაურდნენ კულტურულ ეკონომიკურად" — ესეც სამართლიანი მისწრაფებაა. მაგრამ ავტონომისტ კ. თორდიას ზემოთ აღნიშნული სამართლიანი მოთხოვნების დასაბუთების დროს თავის გამამართლებელ არგუმენტად მოჰყავს ქართულისა-

გან მეგრელთა ისტორიისა და ენის განსხვავებულობა, რადგან მან იცის, რომ ეს ავტონომიის მოთხოვნის აუცილებელი პირობაა. უფრო მეტიც, ამავე მიზნით კ. თორდია მეგრელებს ცალკე დამოუკიდებელ ერად აცხადებს, მეგრულ ენას ასევე დამოუკიდებელ ენად მიიჩნევს და ამ ორის საერთო ქართულისაგან ასიმილაციის საშიშროებას ხედავს. მაგრამ, ამასთან, კ. თორდიას მიაჩნია, რომ მას ამართლებს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა. ამაშია მისი ნააზრევის განსხვავებულობა „მეგრული საკითხის" მოგვარების სამართლიანი ხაზისაგან.

კ. თორდია კომუნისტი გლეხია, როგორც ჩააგონეს, ისე წერს. როგორც ჩანს, კ. თორდია თავისებურად ანვითარებს მ. დადიანის თეორიას. ესენი და სხვა მათი თანამოაზრე ავტონომისტები 1922-23 წლებში ამიტომაც გარიცხეს პარტიიდან. მაშასადამე, ზუგდიდის კომუნისტური აქტივის და სამაზრო კომიტეტის მხრივ „ავტონომისტების" მიმართ გაწეული მფარველობა 1922-1923 წლების მაგალითზეც კი არ ჩანს.

1924 წელს „ავტონომისტური" განწყობილება არ დაძლეულა. მომავალ „მაფალეულ" ლიდერებს უარესი აზრი გამოუთქვამთ. 1925 წელს ზუგდიდის მაზრაში გამოჩნდა ასეთი ინტერესით მოქმედი ი.ი. ძიგუა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება სათანადო მსჯელობა.

ამავე არქივში აღმოჩნდა ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის იმ სხდომის ოქმი №45-ის ამონაწერი, რომელმაც კ. თორდია პარტიიდან გარიცხა. იგი 1923 წლის 6 ივნისით თარიღდება. ოქმში ეკითხულობთ: მოისმინეს: „როგავა პორფილე და თორდია კიმოთე ტაგუს-ძე, 32 წლის, ინტელიგენტი (! — ავტ.), კომუნისტი 1918 წლიდან, „გამორიცხული არიან პარტიიდან გამწმენდ კომისიის მიერ, როგორც ნაციონალისტები და ნაციონალისტურ-შოვინისტურ პარტიის (?! — ავტ.) „მაფალუს" მიმდევარნი". დაადგინეს: ამხ. როგავა და თორდია სამუდამოდ უნდა იქნენ გამორიცხულნი პარტიიდან და მოშორებული (! — ავტ.) ზუგდიდის მაზრას" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 86, ფურც. 166). აქ უთუოდ საყურადღებოა, რომ პარტიისა და ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკით დაბნეული და ასეთივე მასწავლებლის მ. დადიანის მიერ განათლებული ძველი, ხელისუფლების წინაშე დამსახურების მქონე ბოლშევიკები, იწოდებიან „მაფალუს ნაციონალურ-შოვინისტური პარტიის" წევრებად. ეს საკითხი ზემოთ უკვე გავარკვიეთ. ახლა შეიძლება დავძინოთ, რომ „ნაციონალისტურ-შოვინისტური პარტია" აქ ნახმარია იმის გამო, რომ ნამდვილი მაფალუელები სტ. გაგუა და მ. კანკავა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, მაშასადამე, კომპარტიისათვის მტრული შოვინისტურად წოდებული პარტიის წევრები იყვნენ. ამდენად, რადგან ეს კომუნისტები იმ ეროვნულ-დემოკრატებს შიაბეს, სათანადო „კვალიფიკაციაც" ამიტომ მოუძებნეს.

როგავა პლატონ ქვათას ძის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1925 წლის 8 ოქტომბრის დოკუმენტში ნათქვამია: „55 წლის, გლეხი, უმდაბლესი განათლებით... ზუგდიდის პარტორგანიზაციის წევრი 1918 წლიდან... მეორე პარტწმენდის დროს გაირიცხა მაგრამ აღდგენილ იქნა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 261).

მაშასადამე, ეს ორი პიროვნება, მართლაც მ. დადიანს „გაუნათლებია", მაგრამ ავტონომიის მოთხოვნისა და იდეურ-პოლიტიკური დაბნეულობისთვის გაურიცხავთ. ისიც ჩანს, რომ მათს „სათანადო განათლებულობაში" წვლილი უთუოდ მიუძღვის ახლა კომპარტიაში აღდგენილი მ. დადიანს, რომელიც ასევე ავტონომიის საკითხში „დაბნეულობის" გამო კიდევ უფრო ადრე გაურიცხავთ, მაგრამ სამივე აღუდგენიათ ჯერ კიდევ „მეგრული საკითხის" და ავტონომისტურ-სეპარატისტული მიმდინარეობის საწინააღმდეგო კამპანიის ორგანიზებამდე, ანუ გაზეთ „ნოთეს" გამოცემამდე (14.VI.1925). ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია კომუნისტების მიერ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას თავიდანვე დიდ ცოდვად სახავდა, შემდეგ კი გაარკვია ის, რაც ისედაც მისი მოგონილი

იყო, რომ ავტონომიის მოთხოვნა თავისთავად არ ნიშნავდა იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვი-აშორდია-„მაფალუს“ ხაზით ნასაზრდოებ ანტიქართულ სეპარატიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ავტონომისტობა კვლავაც „მაფალუელობად“ იწოდებოდა. სხვა შემთხვევაში ე.წ. გარიცხული „შოვინისტი მაფალუელების“ პარტიის წევრების კომპარტიის რიგებში აღდგენა არ მოხდებოდა. მაშასადამე, „ავტონომისტი“ „ჩხოუშიელების“ მიმართ „მაფალუს“ დარქმევა მიზნობრივი გამონაგონია. ამით ბრალმდებლებმა საბჭოთა ხელისუფლების იქით გაიტანეს „ავტონომიის“ აღმოცენება და ამ ცოდვისაგან „იხსნეს“ კომპარტია. ეს „აღმოჩენა“–„დამსახურება“ შეიძლება მიეწეროს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს, მის ამდროინდელ სარგანიზაციო განყოფილების გამგეს ბესარიონ შოგირაძეს, მაგრამ, შეიძლება ეკუთვნოდეს კომპარტიის უაღრესად „წინდახედულ“ სხვა თეორეტიკოსსაც.

გარიცხული კომუნისტების, მათ შორის მ. დადიანის, მეგრულ საკითხთან დაკავშირებული „თეორეტიკოსობა“, შეიძლება პარტიის ცეკასთვის გასაგებ რაღაც ისეთ მიზეზებს ეფუძნებოდა, რომ მისი მიტევება შესაძლებლად ითვლებოდა. ისმება კითხვა: რა უნდა ყოფილიყო ის მიზეზი, რომლის გამო ავტონომისტებს პატიობდნენ გამოთქმებს მეგრელების ისტორიის, ენის, ერის მოსალოდნელი ასიმილაციის საშიშროების და სამეგრელოს ავტონომიის აუცილებლობის შესახებ და 1925 წლის დასაწყისში პარტიაში აღადგენდნენ?!

ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვს დამატებით საფუძვლიან, სათანადო წყაროებზე დაფუძნებულ განმარტებას, ამიტომ მის შესახებ ქვემოთ, კიდევ გვექნება მსჯელობა. ახლა შეიძლება გავიმეოროთ: სამეგრელოში ავტონომიის მოთხოვნა, უფრო მეტიც, ანტიქართული სეპარატიზმის აღმოცენებაც, თვით კომუნისტური პარტიის ბელადმა ი. სტალინმა და პარტიის იდეურ-პრაქტიკულმა საქმიანობამ ასაზრდოვა. ამ საქმეში არავითარი წვლილი არ მიუძღვით იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვ-აშორდიას ან სტ. გაგუას „მაფალუს“ საზოგადოებას. საჭიროა აღინიშნოს, რომ სათანადო წყაროებით მ. დადიანის, პ. როგავას და კ. თორდიას მდგომარეობაში ზოგი სხვა კომუნისტიც იმყოფებოდა, მათ ნაზრევს იზიარებდნენ ცალკეული უპარტიოებიც. როგორც ვიცით, მათი საერთო რაოდენობა ფორმალური განცხადებებით, სამ ათეულამდე აღწევდა. ასეთები იყვნენ ზუგდიდშიც და სამეგრელოს სხვა კუთხეებშიც. მაგალითად, ვალოდია ბუკიას მიაწერენ სამეგრელოს მომავალი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებას: „ლაზ-კოლხიდა თუ მარგალისტანი“. მ. დადიანის მიმდევრად ასახელებენ „ფსიქიატრიული სტაჟის მქონე, პარტიის წევრობის ყოფილ კანდიდატს“ გრიგოლ ახალაია. მისი მხარდამჭერები 1925 წელს არიან „ნოთელი“ კომუნისტები: ჯიქია, ვეკუა, კობალია, კვარაცხელია და სხვ. სენაკის პარტორგანიზაციის მიერ 1922 წელს გარიცხულა შემდეგში ცნობილი ჩეკისტი ილარიონ თოდუა. ამიერკავკავკასიის შინსახკომის საქართველოს სამმართველოს ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ გალის რაიონის მცხოვრები ივანე ივანეს ძე ძიგუა ზუგდიდელ „მაფალუელებთან“ აქტიური თანამშრომლობის გამო პარტიის რიგებიდან გაირიცხა 1924 წელს (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 297, აღ. 1, ს. 693, ფურც. 1).

როგორც ირკვევა, მეგრელი ავტონომისტები განსხვავდებოდნენ თავიანთი არა მარტო სოციალური მდგომარეობით და განათლების ცენზით, არამედ აგრეთვე სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნების მდგრადობით, სამეგრელოს ავტონომიის ისტორიული უფლების რწმენით და ავტონომიის მიღწევის რეალურ შესაძლებლობად დასახვის თვალსაზრისით. ამ აზრამდე მივყევართ, ერთი მხრივ, მათ შესახებ ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას, მეორე მხრივ, მათ მიერ 1925 წელს შექმნილ განცხადებებს, წარდგინებებს, საჩივარ-დასმენებს, ორგანიზებულ აქციებს, აგრეთვე მათ შესახებ შემდგომ წლებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებს.

1925 წლიდან „ჩხოუშიელთა“ მიერ ავტონომიის მოთხოვნის შესახებ არსებული ინფორმაციებიდან მკაფიოდ მოჩანს, რომ ჩხოუშიელი ავტონომისტების

ერთ ჯგუფში თავი იჩინა თავდაპირველი, ვითომ „მომზადებული", ანუ პარტიის პოლიტიკის და სამეგრელოს ინტერესების ვითომ „კარგად" გამგებთა ექსტრემისტულმა მოთხოვნებმა. იგი მთელ რიგ მიზეზთა, მათ შორის სახელმწიფოებრივი წაყრუება-ზემოქმედების და წაბიძგების გამო, თანდათანობით გადაიზარდა აშკარად გამოხატულ ანტიეროვნულ მოთხოვნებში. მათი აზრით, საქართველოს პარტიული ცენტრის ანტიმეგრულ, ანტიმარქსისტული და პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევით გამოწვეული ეროვნული პოლიტიკის დამახინჯების გამო, იგზავნებოდა დასმენები საქართველოს, ამიერკავკასიის და მოსკოვის ცენტრში.

როგორც ირკვევა, 1925 წელს „ჩხოუშეელი" ავტონომისტების ადრინდელი გულუბრყვილო, გაუგებრობებიდან მომდინარე ავტონომისტური აზრის შემცველი მოთხოვნები, მათ ავტორთა მიმართ უსამართლო დამოკიდებულების გამო, თანდათანობით გადაიზარდა მკაფიოდ რეაქციულ, ანტიქართულ, ანტიეროვნულ მოთხოვნა-დასმენებში. სათანადო წყაროებიდან ჩანს, რომ სეპარატისტი ავტონომისტების ეს მოთხოვნა-დასმენები ქრონოლოგიურად აისახა 1925 წლის მარტიდან ამავე წლის სექტემბრამდელ და ზოგ შემდგომ წერილებსა და დეპეშებში, აგრეთვე მათ მიერ ზუგდიდში თვითნებურად გამოცემულ მეგრულ გაზეთ „ნოთეს" აკრძალვის გამო აღძრულ თხოვნა-საჩივარებში. მათი შემქნელები და ხელისმომწერები არიან გრიგოლ ახალაია, ალეკო კვარაცხელია, ამბროსი კვარაცხელია, მარაზი ხუბუტია, ა. ჯინჯოლია, ლეო ვეკუა, თ. კიკალია, თ. ვეკუა, ბ. ხუფენია, ჩვენთვის ცნობილი ტარასი შენგელია, ციბაკი ბესელია, სოლომონ ბუკონია, ვ. თორდია. მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან გრ. ახალაია, ალ. კვარაცხელია, ტ. შენგელია, ც. ბუკონია და ს. ბესელია.

სეპარატისტთა „ბელადებად" მოგვეელინენ გრ. ახალაია, ც. ბუკონია და ს. ბესელია. სხვები, როგორც ჩანს, მათი ამყოლი, თანამოაზრეები არიან. მათ მიერ შექმნილმა და დაგზავნილმა საჩივრებმა თავი მოიყარა სამეგრელოს მუზეუმის დირექტორის, ცნობილი ეროვნული და მეგრელი პატრიოტის აკაკი ჭანტურიას პირად არქივში. როგორც ზემოთ უკვე აეღნიშნეთ, ზუგდიდში ერთ-ერთი სამეცნიერო მივლინების დროს შესაძლებლობა მოგვცა დავკავშირებოდით აკ. ჭანტურიას ვაჟს, ბატონ ვივიანეს და მისი გულისხმიერი დამოკიდებულებით და თანადგომით გავცნობოდით მისი მამის პირად არქივს, რომელიც სათუთად ინახებოდა მის ოჯახში. აქ ჩვენთვის საინტერესო ავტოგრაფებსა და ლიტერატურასთან ერთად, ზოგ ზემოთ აღნიშნულ წერილზეც მიგვიწვდა ხელი. ამის შემდეგ, დაპირების თანახმად, ძმებმა ვივიანე და არიანე ჭანტურიებმა, თბილისში გადმოგვცეს მამის არქივში გამოვლენილი ე.წ. სეპარატისტი ავტორების სხვადასხვა მისამართით გაგზავნილი საჩივრებისა და დეპეშების, ზოგი ასლი თუ შესაბამისი შავი ხელნაწერი. ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებული ეს წყაროები წარმოადგენს უნიკალურ მასალას, რომელიც დაბეჯითებული ძიების დროს სახელმწიფო არქივებში ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, 1925 წელს ავტოგრაფების ასლები ამ ხერხით ინახებოდა, ან „სეპარატისტებს" უკან უბრუნდებოდათ. ზოგს ამის დამადასტურებელი მარკები, შტამპები, კონვერტები და შესაბამისი შინაარსის განმარტებები ახლავს. ეს უნიკალური პროდუქცია საშუალებას გვაძლევს გავაკონტროლოთ ერთი მხრივ „ჩხოუშეელი" ავტონომისტების და მეორე მხრივ, ჩხოუშეელი სეპარატისტების შესახებ გამოთქმული ოფიციალური ვერსია, ჩავატაროთ პრობლემასთან დაკავშირებული აუცილებელი ანალიტიკური სამუშაოები და სხვ. მაშასადამე, უნიკალური ინფორმაციის მომცემი აღნიშნული მასალა, მრავალმხრივი განსჯისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. ამ უნიკალური წყაროების გადმოცემისათვის უაღრესად დიდ მადლობას ვუხდით აკაკი ჭანტურიას ვაჟიშვილებს, ცნობილ სპეციალისტებსა და ინტელიგენტებს, ბატონ არიანეს და აწ განსვენებულ ბატონ ვივიანეს.

ვიდრე „ჩხოუშეელთა" სეპარატიზმთან დაკავშირებულ საკითხებს გავარკვევ-

დეთ, საჭიროდ გვესახება წინასწარ, დამატებით გავარკვიო კითხვა: კონკრეტულად რამ გამოიწვია 1925 წელს „ჩხოუშიელთა“ ავტონომისტურ-სეპარატისტული მოთხოვნების აღმოცენება და შესაბამისი არგუმენტაციის შექმნა? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებლობას გვაძლევს დამატებით გავარკვიოთ ერთი მხრივ „ჩხოუშიელთა“ ავტონომისტური (არასეპარატისტული) მოთხოვნების და მეორე მხრივ, სეპარატისტულ-რეაქციულ იდეისა და არგუმენტების აღმოცენების მიზეზ-შედეგობრიობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რაობა და მათთან მოსკოვ-თბილისის ცენტრების მიმართება.

როგორც ვნახეთ, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, ერთადერთ მეგრულ ენაზე, ანუ მათთვის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე და ხელისუფლების მიერ ფართომასშტაბიან საალმშენებლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული გლეხების სამართლიანი მოთხოვნების დამცველი ინტელიგენტების, ერთი მხრივ, „ჩხოუშიელი“ ავტონომისტებისა და მეორე მხრივ, აგრეთვე, სეპარატისტულ-რეაქციული მოთხოვნების ავტორთა, ხოლო მესამე მხრივ, მათი მოწინააღმდეგე, რაციონალური, ქართული სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ენის არმცოდნე მშრომელი გლეხობის და მათი ასეთივე შთამომავლებისთვის საარსებო ენობრივ აუცილებლობით საჭირო გარდამავალი ხასიათის ღონისძიებების მომთხოვნ ავტორების მიერ შექმნილ დოკუმენტებში დამატებით იძებნება აზრი, რომელიც მათ აკავშირებს ერთი მხრივ, კომპარტიის, მისი ბელადის ი. სტალინის და აგრეთვე ამიერკავკასიის თუ საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ცენტრების იდეურ ნააზრევთან. ისინი, მეორე მხრივ, დაკავშირებული არიან კომპარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ცხოვრებაში გატარებულ ეროვნულ პოლიტიკასთან, კონკრეტულად კი საქართველოში განხორციელებულ ავტონომიურ მშენებლობასთან. ეს გავლენა იმდენად არსებითი ხასიათისა იყო, რომ ფაქტობრივად კომპარტიის, მისი დიდი და პატარა ბელადების იდეური დირექტივების, მათი მიზანდასახულობებისა და პრაქტიკული ღონისძიებების საფუძველზე აღმოცენებულად ჩანს „ჩხოუშიელების“ მიერ როგორც სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა, ისე საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის და აგრეთვე „ჩხოუშიელთა“ რაციონალური მოთხოვნების აღმოცენება. ამით დამატებით ირკვევა, რომ ამ მხრივ არაფერ შუაში არიან რუსიფიკატორები იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვი, მათი აგენტი თ. აშორდია და მით უმეტეს „მაფალუს“ კულტურული საზოგადოების ინიციატორი პატრიოტები სტ. გაგუა და მ. კანკავა.

იმის საილუსტრაციოდ, რომ „ჩხოუშიელი“ ოპოზიციონერების გააქტიურებას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა, მოვიყვანთ ერთ საყურადღებო ფაქტს, საიდანაც ჩანს, რომ მეგრული გაზეთის გამოცემის უფლებისათვის მებრძოლი „ნოთელ“ ვ. ბუკიას, ს. ბესელიას და ბ. კვარაცხელიას მიერ ამიერკავკასიის ცაკ-ის სახელზე გაგზავნილი ტელეგრამიდან ჩანს, რომ ეს ლენინიზმის თავისებურად გამგები, მომავალი სეპარატისტები ამიერკავკასიის ცაკ-ს წაუქეზებია. „Мы с особенным восторгом осведомилис, - ვკითხულობთ, მათ ტელეგრამაში – что Зак ЦИК уделяет внимание вопросу о закритой грузинским центром газеты на менгрельском языке, уверены, что принцип рабоче-крестьянской власти и Ленинизма непоколибимы и что во избавлении от односторонней выгоды грузинского суверенитета мингрельские трудиащиеся встретят особенно справедливо защиту“ (საქართველოს ცენტრალური საისტორო არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 607, აღ. 2, ს. 14, ფურც. 34).

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, „ჩხოუშიელების“ ავტონომისტობაც, სეპარატისტობაც და რაციონალიზაციაც, ლენინურ-სტალინური იდეების და მათგან ნასაზრდოები საბჭოური პრაქტიკით შობილი მიუღებელი და მისაღები აზრებით შეზავებული პროდუქტებია. ამის საილუსტრაციოდ ეს საკითხი მოითხოვს დამატებით დამოუკიდებელ გამოკვლევა-გაშუქებას, რასაც წიგნის მომდევნო თავი ეძღვნება.

თავი VIII

ავტონომისტური მოთხოვნების „სეპარატიზმამდე“ წაბიძგება

როგორც ამ წიგნის პირველ თავში მობილიზებული ოფიციალურ-პარტიული პრესის პუბლიკაციები მოწმობენ, „მეგრული საკითხის“ გამო ხელისუფლების მიერ 1925 წლის სექტემბერში ორგანიზებული კამპანიის მთავარი ამოცანა იყო მეგრელთა ანტისაბჭოთა და ანტიეროვნული კონტრრევოლუციურ-სეპარატისტული საშიშროების ბოლომდე გამოვლინება და განადგურება. მაგალითად: ა. გეგეჭკორი მოითხოვდა ბესელია-ბუკონია-ახალაიას და მათი მიმდევრების, „მეფის შავრაზმელების ამოცანების გამგრძელებლების“, „მოქმედებით ჯამბაზების“, „აზროვნებით ავადმყოფების“, „რეაქციონერების“, „ავანტურისტებისა“ და „მაბეზღრების“ „საპარცხვინო ბოძზე გაკერას“; ბერია მათ უწოდებს „განგაშის ამტეხ ერთ ჯგუფს“, რომელმაც წამოაყენა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა, რომელიც „არის ავანტურა“. იგი მოითხოვს: „განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა ატეხა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს“; დ. თოფურია მიიჩნევს, რომ ესენი არიან „ახალი აშორდისტები“, რომელთაც სურთ „დააქვეითონ სამეგრელო“; კ. გამსახურდიამ, როგორც გაზეთები მიუთითებენ, საჭიროდ სცნო ეს „გამოთაყვანებულები“, „აგენტები“ „შევარცხვინოთ“, „ზიზღით გაუმასპინძლდეთ მათ“, „სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ და სახეში ჩავაფურთხოთ“. მან მოითხოვა „მოვსპოთ სამეგრელოს გამოყოფა-ჩამოშორების ყოველივე ცდა“. თბილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა რეზოლუცია კრების სახელით საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვს „ცარიზმის შავრაზმული პოლიტიკის გამგრძელებლების“ წინააღმდეგ და „ეროვნული ერთეულის მოსპობისათვის“ მებრძოლების მიმართ „მიღებული იქნეს სასტიკი ზომები... მოვლენის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად“. ჩვენი აზრით, „ჩხოუშიელი“ მოქალაქეების მიმართ ასეთი და მსგავსი დამოკიდებულება გადაჭარბებული გულმოდგინებისა და იმდროინდელი პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო სტილის ასახვა უფროა, ვიდრე მათ მიმართ ადეკვატური დამოკიდებულებით გამოწვეული აუცილებლობა. საყურადღებოა თ. სახოკიას აზრი იმის შესახებ, რომ „1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მომზადება“... რაც იმაში გამოიხატა, რომ ავანტურისტულმა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნაც გაგზავნა: „გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს „პროლეტარიატის საცოდავობას ნუღარ უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო“. მაშასადამე, 1925 წელს ავტონომისტობა გადაიზარდა მის ექსტრემისტულ-სეპარატისტულ გამოვლინებაში.

ამ წიგნის წინა თავებში ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ფართო ქართველი საზოგადოებისათვის ზუგდიდელი ავტონომისტებისა და მითუმეტეს სეპარატისტების ასეთი ანტიეროვნული მოთხოვნები მართლაც მოულოდნელი იყო. მაგრამ იგი მოულოდნელი არ იყო ხელისუფლებისათვის, რადგან „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების მოთხოვნები ჯერ კიდევ 1922 წლიდან ასაზრდოვა საბჭოურმა რეალობამ, ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინისტურმა თეორიამ და მისგან გამომდინარე ქართველი კომუნისტი ლიდერების თეორიულ-პრაქტიკულმა საქმიანობამ, მაგრამ 1925 წლის დასაწყისიდან ავტონომიის მოთხოვნის ანტიქართულ სეპარატიზმად განვითარება ზოგისთვის მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

ახლა საჭიროა გავარკვიოთ „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების მოთხოვნების, ამ ვითომ მართლა მოულოდნელ ანტიქართულ სეპარატიზმად განვითარების მიზეზები, მისი არსი და ამ საშიშროების ხარისხი. როგორც ადრე ვნახეთ, მეგრული ენისა და „სამეგრელოს „ობლასტის“ საკითხი“ მეგრელი მშრომელების დღის წესრიგში დგას გასაბჭოების (1922 წლის ზუგდიდის პარ-

ტიული ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენციის) დროიდან. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ მეგრელ გლეხებს პარტიისა და ხელისუფლების მიმართ სხვა სამართლიანი პრეტენზიებიც გააჩნიათ. მაგრამ გლეხთა სამართლიან მოთხოვნებს წაუყრუეს და არად ჩააგდეს ისინი. ამის გამო ზუგდიდის მაზრის კომუნისტების ერთმა ნაწილმა მ. დადიანის მეთაურობით ხელისუფლების წინაშე ლეგალურად, პარტიული სუბორდინაციის დაცვით დააყენა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა. რა პასუხი გასცეს პარტიის ბელადებმა, პარტიამ და ხელისუფლებამ ერთი მხრივ გლეხობის ან მეორე მხრივ ავტონომისტი კომუნისტების მოთხოვნებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოში პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დროს სამეგრელოს ძირითადი და აბსოლუტურად გლეხური უმრავლესი მოსახლეობის, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, ერთადერთ მშობლიურ, მეგრულ ენაზე მოლაპარაკე გლეხების ინტერესებთან პარტიულ-სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებას. როგორც ცნობილია, საქართველოში კომპარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარება ხდებოდა მარქსისტულ-ლენინური პოსტულატების, რკპ(ბ) X და XII ყრილობების დადგენილებების, აგრეთვე რკპ(ბ) XII ყრილობაზე ი. სტალინის მოხსენების („მოხსენება პარტიულ და სხელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტის შესახებ") საფუძველზე. მათში საუბარია ერებზე და ეროვნულ რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ ეროვნებებსა და ხალხებზე, მაგრამ რეზოლუციები და სტალინის მოხსენება რატომღაც საერთოდ უგულებელყოფს ხალხს, რომელიც ლაპარაკობს ერთადერთ საკუთარ, მშობლიურ ენაზე, თუმცა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ერს. მაშასადამე, ამ წესით უყურადღებოდ დატოვა სამეგრელოსა და სამურზაყანოში მცხოვრები 300000 ადამიანის ერთი ნაწილის ბედი. საქართველოს კომპარტიამ და მისმა „ცენტრმა" რესპუბლიკაში ეროვნული საკითხის მოგვარება საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააკისრა. როგორც ადრე აღვნიშეთ, ეროვნულ საკითხში პარტიის XII ყრილობის კურსის ცხოვრებაში გატარებას ძალისხმევა მოახმარა საქართველოს ცაკ-ის II სესიამ, რომელიც 1923 წლის ივლისში ჩატარდა. სპეციალურ დეკრეტში, რომელიც პრესაში გამოაქვეყნეს, ნათქვამია: „ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მართვა-გამგეობა, ისე სწავლება და სხვა, ხდებოდეს ხალხისათვის (! — ავტ.) გასაგებ და მშობლიურ ენაზე". სესიამ დაავალა ცაკ-ის პრეზიდიუმს უმოკლეს ხანში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაწესრიგებს მშობლიური ენების გამოყენების საკითხს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში". დეკლარაციაში ენის შესახებ ნათქვამია: „ეთნიური სიჭრელის და ჩამორჩენილობის პირობებში დგას ჩამორჩენილი ერების კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლების... ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრის მძიმე ამოცანა.. ამიერკავკასიის ცოცხალი სალაპარაკო ენები (! — ავტ.) უნდა გადაიქცნენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავრ იარაღად".

ცაკ-ის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა მოკლე ხანში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაგვარებს ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში და აგრეთვე ამ დაწესებულების მცხოვრებლებთან ურთიერთობის დროს სამშობლო ენის ხმარებას"... (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1923, 3 ივლისი). ეს ის დოკუმენტია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება გავიგოთ, რომ მეგრელები ის „ხალხია", რომელსაც აქვს „ცოცხალი სალაპარაკო ენა" და ბევრისთვის მაშასადამე, ერთადერთი გასაგები მშობლიური, ანუ „სამშობლო ენა". ავტონომისტი კომუნისტების მომზადების დონე ამ ლოგიკაზე შორს, როგორც ვნახეთ, ვერ მიდიოდა. ამიტომ იყო რომ კომუნისტმა კ. თორდიამ მოითხოვა სამეგრელოს ავტონომია, რის გამოც იგი პარტიიდან გაირიცხა. მაგრამ 1922-1924 წლებში პარტიიდან გაირიცხა აგრეთვე ყველა ის, ვინც მეგრული ენის სიყვარულის

გამო გაბედულად და გულახდილად დააყენა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა. ყურადღება არ მიექცა არც იმას, რომ სათანადო სახელმძღვანელო დოკუმენტებში ცოცხალ სალაპარაკო, მშობლიურ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე მასის ინტერესი ნათლად არ იყო წარმოჩენილი, რაც ბადებდა მათ მიერ დეკლარირებულის თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და არც იმას, რომ საქართველოს კომპარტიის 1923 წლის 12-15 სექტემბრის პლენუმი, მართალია, გმობდა მეგრელების ქართველებისაგან დამოუკიდებელ ნაციად ჩათვლას, მაგრამ მოითხოვდა მეგრელების სატკივარის გათვალისწინებას. ამ დოკუმენტში ხომ ნათქვამია: „იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხებს რაიმე მივცეთ მშობლიურ ენაზე, არავის შეუძლია წავიდეს. გლეხს უნდა მივცეთ პატარა ბროშურები სასოფლო სამეურნეო ცხოვრებიდან მეგრულ ენაზე, რომ წაიკითხოს, გაიგოს და მოსპოს ქართველის უცოდინარობა, რომელიც ღუპავს გლეხობას“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, ს. 490, ფურც. 7/2), მერე შედეგი სადაა?!

1923 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება: ზუგდიდში მოსსნილი იქნას სამუშაოდან ამხ.: ბერია (ბეგლარი — ავტ.), გალდავა, ნიკოლეიშვილი, შონია, ციმინტია, როგავა, დომ. ცხაკაია, კორშია, ხუხუნი, მეუნარგია და ჩხეიძე. ადგილზე დარჩეს ამხ. როგავა, გაეგზავნოს მუშაკი, საბჭოების ყრილობამდე არ მოიხსნას (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, ს. 493, ფურც. 17). ამავე წლის 24 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება: „გამოწვეულ იქნას ცკ-ის განკარგულებაში გვილავა და მიმინოშვილი. პირველი შესაძლებლობისთანავე გაიგზავნოს გ. სტურუა (ცკ-ის წევრი — ავტ.) ზუგდიდში ორგანიზაციის შემადგენლობის გასაცნობად. ხვიჩიას შესახებ — წინადადება მიეცეს ორ დღეში გამოცხადდეს ცკ-ის განკარგულებაში, გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიიდან გასარიცხად“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, ს.493. ფურც. 94/2). როგორც ჩანს, სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა და ამის გამო რიგითი კომუნისტების გარიცხვა საქართველოს პარტიულმა ცენტრმა ჩათვალა სამაზრო კომიტეტისა და მისი აქტივის სუსტი მუშაობის მაჩვენებლად, რისთვისაც მან განახორციელა ძირეული საკადრო ცვლილებები. ალბათ ამიტომ მოხდა მ. დადიანის და ზოგი სხვა გარიცხულის პარტიაში აღდგენა.

ქართველ ტომთა ნათესაურ ერთიანობაში და სახელმწიფოებრივი განუყოფლობის აუცილებლობაში ღრმად დარწმუნებული მეგრელი გლეხობა მოთმინებით იტანდა ამ „გათახსირებული დროით“ (ზ. ჭიჭინაძის გამოთქმაა) გამოწვეულ შეურაცხმყოფელ მდგომარეობას. მას საშუალება არ ეძლეოდა შვილისთვის მიეცა ელემენტარული განათლება. ღარიბი მეგრელი გლეხების სასკოლო ასაკის 50-60 პროცენტზე მეტი სკოლაში ვერ დადიოდა და ისე ებმებოდა პირად თუ საზოგადოებრივ სამეურნეო საქმიანობაში. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ზუგდიდის მაზრის საწარმოებში 1923 წელს 100-მდე შეგირდს „ხაზეინები ამუშავებდნენ 10, 12, 13 საათის განმავლობაში“ (იხ. მაზრიდან თბილისში გაგზავნილი ანგარიში. იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.1, ს. 554, ფურც. 71). მეგრელი გლეხი, როგორც სათანადო ისტორიის წყაროები მოწმობენ, სასამართლოს პროცესს ყრუდ ადევნებდა თვალს და მხოლოდ ბოღოს, ისიც მოწყალებასავით გებულობდა გადაწყვეტილებას. მეგრელ გლეხს არ შეეძლო საკონტრაქტო ხელშეკრულების დადება, რაც ზოგჯერ ძისი ბრმად ხელმოწერისა და მისგან გამომდინარე უბედურების მიზეზი ხდებოდა. მეგრელი მოსწავლის მშობლებს არ შეეძლოთ შვილებისათვის კლასგარეშე სამუშაო აეხსნათ და დამატებითი საშინაო მეცადინეობისათვის თვალი მიედევნებინათ. ქართული ენის არმცოდნე გლეხობა, დიდი ინტერესის მიუხედავად, მოკლებული იყო ტექნიკურ და პოლიტიკურ ინფორმაციას. ერთი სიტყვით, პარტია და ხელისუფლება ქართულის არმცოდნე მეგრელ გლეხობას საქართველოს ისტორიული ბედუკუღ-

მართობით შექმნილი ჭურიდან ამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. ამ „გათახსირებულ“ ვითარებას გლეხობა ვერ ურიგდებოდა, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით იტანდა, რადგან საქართველოს კომპარტიის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა, როგორც იქნა, დაინახა,რომ მეგრელ გლეხს „რაიმე“ მაინც უნდა მივცეთ „მშობლიურ ენაზე“. ამით მეგრელი გლეხების ინტერესების დამცველებს და სამეგრელოს ინტერესების მოტივით მებრძოლებს იმედი მიეცათ, რომ პარტია და ხელისუფლება უყურადღებოდ არ დატოვებდნენ ქართული ლიტერატურული ენის არმცოდნე მეგრელ გლეხობასა და მათ შვილებს.

მაგრამ 1924 წლის თებერვალში გამართულმა საქართველოს ცაკ-ის მეორე მოწვევის სესიამ კანონმდებლობით დაიცვა პარტიის ეროვნული პროგრამა. გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წლის 27 თებერვალს მიღებული დეკრეტი: „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის, მოსახლეობის უმრავლესობის, და ნაციონალური ენის გამოყენების შესახებ“.

ამიერკავკასიის ცაკ-ის დეკლარაციის თანახმად, სრულიად საქართველოს ცაკ-ის მიერ მიღებულ (4.IV.1924 წ.) დეკლარაციაში დადგინდა: 1. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული. 2. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში დაიშვება არაქართული მოსახლეობის უმრავლესობის ენა (მუხლი — 7), აგრეთვე ეროვნული უმცირესობების ენა (მუხლი — 8), როგორიც არის: რუსული, სომხური, თურქული (ანუ აზერბაიჯანული — ავტ.). დეკრეტის თანახმად, ამ ენებზე ქვეყნდებოდა ყველა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო დოკუმენტი. VI მუხლი ყველა მოქალაქეს აძლევდა უფლებას შეეტანა განცხადება, საჩივარი და სხვ., აგრეთვე მოეთხოვა ცნობები, დოკუმენტები, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო ან ეროვნული უმცირესობის ენაზე. VII. მუხლი აკანონებდა: იმ მაზრებში, სადაც მოსახლეობა არაქართველია, საქმის წარმოება სამაზრო კომიტეტის მიერ ცენტრალურ აღმასკომში წარდგენით სწარმოებს უმრავლესობის ენაზე. XI მუხლის თანახმად, მაზრაზე დაბლა მდგარ ადმინისტრაციულ ორგანოებში, ანუ რაიონებსა და თემებში, სათანადო აღმასკომების დადგენილებით საქმის წარმოება დაშვებულია სახელმწიფო ან II მუხლით გათვალისწინებულ (რუსულ, სომხურ, თურქულ) ენებზე. XII მუხლი ეხება იმ პირებს, რომლებიც არ ეკუთვნიან ეროვნებებს, მაგრამ „რომელთა ენა აღიარებულია მთელს რესპუბლიკაში ან ერთ-ერთ მაზრაში სალაპარაკოდ“. მათ ნება ეძლევათ გამოიყენონ VI პუნქტით გათვალისწინებული უფლება. ე.ი. ნება ეძლევათ ურთიერთობის ენად გამოიყენონ რუსული, სომხური ან თურქული. მაშასადამე, სამურზაყანოს მეგრელებს შეუძლიათ ისარგებლონ ქართული ან რუსული ენით. XIII მუხლი ეხება სასამართლოში ენის გამოყენებას. ვინც ვერ ფლობს სახელმწიფო ენას ან მოსახლეობის უმრავლესობის ენას, უფლება ეძლევათ სათანადო ქაღალდები შეიტანონ მაზრებში გამოყენებულ ეროვნულ უმცირესობათა ენაზე (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღ. 1, ს. 127, ფ. 11-12). მაშასადამე, ისე გამოდის, რომ სამურზაყანოს ქართულის არმცოდნე მოსახლეობას კვლავ რუსული ენისკენ უბიძგებენ. სამურზაყანო-სამეგრელოს რეგიონის ქართულის არმცოდნე, მხოლოდ მეგრულ ენაზე მოლაპარაკეები კი საერთოდ გამოტოვეს.

მართალია, დეკრეტი მეგრელ გლეხს სახელმწიფოებრივი ქართული ენის საჭიროებასაც აიძულებს, მაგრამ მისი დაუფლება მოითხოვს სათანადო დროს, ხელისშეწყობას, და საკმაოდ რთული ინტელექტუალური სავარჯიშოს შესრულებას. სახელმწიფოს კი, როცა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მეგრელ მოსახლეობასთან ურთიერთობა ესაჭიროებოდა, იგი ამას კანონის გარეშე ახერხებდა. მაგალითად, როდესაც ბ. შოგირაძე „ჩხოუშიელების“ საწინააღმდეგოდ შეეცადა „დაემტკიცებინა“, რომ ქართული ენის უცოდინრობა მეგრელებისთვის პრობლემას არ ქმნიდა. იგი აცხადებდა: „გასაბჭოების შემდეგ პროპაგანდა

სწარმოებდა მეგრულ ენაზე. არცერთი კამპანია გაუგებარ ენაზე არ ჩატარებულა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1925, 17 სექტემბერი). ასე იყო მეფის რუსეთშიც (იხ. ს. მაკალათიას დასახელებული წიგნი, გვ. 165) და „მენშევიკების ხელისუფლების დროსაც“ (შ. ბერიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 9). საბჭოთა ხანაშიც, როდესაც დასჭირდათ, 1921 წლის 1 ივნისს სოხუმში შემდგარ „მშრომელთა ყრილობის“ წინაშე მოსახლეობის დარწმუნება აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების „სამართლიანობაში“, რევკომის თავჯდომარის მოხსენება წინასწარ თარგმნეს არამარტო აფხაზურ, არამედ მეგრულ ენაზეც (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1921, 8 ივნისი). ასე იყო, ხელისუფლების წარმომადგენლები მეგრელი მოსახლეობის მიერ ქართული ენის უცოდინარობის გამო პრობლემებს არ იქმნიდნენ, ხალხის ინტერესებს კი სახელმწიფოებრივად უგულველყოფდნენ. ამ მდგომარეობას, როგორც აღვნიშნეთ, მეგრელი უშუალო მწარმოებელი მოთმინებით იტანდა. იგი დროგამოშვებით თავის სამართლიან მოთხოვნებს უმაღლეს ინსტანციებში აყენებდა. მაგრამ არ შეგვხვედრია ცნობა მაოი უსამართლო, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნით. ხალხის მესვეურებიც კი, როგორც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილების საფუძვლიანი განხილვის დროს ვნახავთ, მიუკიბ-მოუკიბავად აყენებდნენ ქართულის არმცოდნე მეგრელი მოსახლეობისათვის საჭირო მოთხოვნებს. საქართველოს ცენტრი კი მხოლოდ დაპირებებით და ორგანიზაციული ღონისძიებებით კვებავდა დაინტერესებულებს.

ხალხის სახელით მომჩივანი „ჩხოუშიელი“ ავტონომისტების ერთი ნაწილი კი, არ ურიგდებოდა „მეგრული საკითხის“ გამო სახელმწიფოებრივ წაყრუებას და აქტიურობას განაგრძობდა. ისინი ამ დროს ცდილობდნენ მათი აზრით სწორი, კომუნისტური თვალსაზრისის შესაბამისი არგუმენტით დაესაბუთებინათ თავიანთი სარჩევრები, ხოლო მათ მიმართ პარტიულ-სახელმწიფოებრივი წაყრუების გამო ზოგი თავს უფლებას აძლევდა ღვარძლიანი დასმენებისთვისაც მიემართა.

1925 წლის 20 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარეს გაეგზავნა წერილი „ქუთაისის გუბერნიის,საშეგრელოს ცენტრის ქ. ზუგდიდიდან“, რომელსაც ხელს აწერენ გრიგოლ ახალაია, ალიკო კვარაცხელია, ბაგრატ ხუფენია, (გადაშლილი სოლომონ ჯერგენიას ნაცვლად), კვლავ კვარაცხელია. მარაზი ხუბუტია და ილია ჯანჯალია. ამ ე.წ. ქუთაისის გუბერნიიდან გაგზავნილი „ქვეშევრდომლური შუამდგომლობით“ ისენი იტყობინებიან, რომ „კაცობრიობის უხსოვარი დროიდან მეგრელი ხალხი ქართველი (ქართველური) ტომისაგან გამოირჩევა, როგორც ჩვეულებით, ისე სალაპარაკო ენით. ერთი სიტყვით, ქართული (ქართველური) ენა მეგრელი ხალხისთვის იმდენად გაუგებარია, რამდენადაც, რუსისათვის ქართული ენა. ამავე დროს სამეგრელო კულტურულად მნიშვნელოვნად ჩამორჩენილი ქვეყანაა. გამოუკლებლივ ყველა წიგნი იბეჭდება ან იგზავნება ქართულ (ქართველურ) ენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეგრელი ხალხი კარგად არის უნარით დაჯილდოებული, მაინც იმყოფება რთულ მდგომარეობაში იმ მხრივ, რომ გაიგოს მეგრელ ხალხში საბჭოთა მთავრობის ამოცანების და მიზნების შესახებ წარმოებული აგიტროპაგანდა“. წერილის მიხედვით: მეგრელ ხალხს ცხადი წარმოდგენა რომ შეექმნას კომუნიზმის, მუშათა კლასის დიქტატურის და მსოფლიო მშრომელთა კეთილდღეობის საქმიანობაზე, „ადგილზე აღძრული იქნა საკითხი მუშათა კლასის დიდი მასწავლებლის ლენინის, ზინოვიევის, ჯუღაშვილის, კოვალენკოს და სხვ. ნაწარმოებების მშობლიურ მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ, აგრეთვე ადგილზე გამოიცეს მშობლიურ მეგრულ ენაზე გაზეთები და ჟურნალები“. წერილში ნათქვამია: „მეგრული მშობლიური ენის და ლიტერატურის შეძენას დიდი ხანია ძიესწრაფოდნენ ჩვენი წინაპრები“. ამის ვითომ ნაღდ, უახლოეს მაგალითად მოტანილია ფოთის გიმნაზიის დირექტორის მოქალაქე სტეფანე გაგუას და მისი წრის მეცადინეობა, რომელმაც 1919 წელს „თავისუფალი მშობლიური ენით ლიტერატურით“, წერა-კითხვის

საყოველთაო გავრცელების საკუთარი აზრი გამოსთქვა. მაგრამ იმ დროს არსებულმა მოღალატე მენშევიკურმა ხელისუფლებამ უარყო ხალხის და წრის სამართლიანი სურვილი და განახორციელა დაპატიმრებები, „ლაის მხარიდან გასახლებაც კი". ამ გზით მენშევიკურმა მთავრობამ ლიკვიდაცია უყო „მშობლიური ენით საყოველთაო განათლების გავრცელების შესახებ ხალხის დაუოკებელ მისწრაფებას, რომელსაც კინაღამ შეეწირნენ ამხ. გაგუა და სხვ". წერილში აღნიშნულია, რომ მსგავს „დევნას ანხორციელებს თბილისის საბჭოთა სოციალისტური მთავრობა". აი რატომ აღმოცენდა ისტორიისა და სტ. გაგუას მაყალუს გაყალბება — გამოყენების ოფიციალურ-პოლიტიკანური საჭიროება და აუცილებლობა.

დამატებით მაგალითად, მოტანილია: 1. სამეგრელოს ცენტრის, ზუგდიდის მიმართულებით სარკინიგზო მშენებლობის შეჩერება და 2. ზუგდიდის მუზეუმების თბილისში გადატანის მცდელობა. წერილში ნათქვამია, რომ მუზეუმის დატოვების მისწრაფება და თავისუფალი მშობლიური ენის შეკვეწროვებული მდგომარეობა აიძულებდა „წრის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს" მიემართა თხოვნით: „დარჩეს საკუთარი მუზეუმი მეგრელ ხალხს", ნება დაერთოთ „მუშათა კლასის მასწავლებლების ნაწარმოებები ითარგმნოს გასაგებ მეგრულ ენაზე" და „მშობლიურ მეგრულ ენაზე გამოიცეს გაზეთები და ჟურნალები". საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1925 წლის 18 სექტემბერს კიდეც მიიღო დადგენილება — საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მთელი სამუზეუმო ფასეულობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრისა და „მეგრული მუზეუმის თბილისში გადატანის შესახებ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 364, ფურც. 31). მაგრამ იგი ვერ განხორციელდა, როგორც ჩანს, ზუგდიდელების წინააღმდეგობის გამო.

საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილი ამ განცხადებიდან არა ჩანს, რომ „მთხოვნელები" აყენებენ სამეგრელოს ავტონომიის, მით უმეტეს სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნას. მაგრამ აქ ვხედავთ ისეთ აქცენტებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ „წრის" წევრთა მისწრაფებაა დაასაბუთონ მეგრული ენის ფართოდ გამოყენება-განვითარების, საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების ნაწარმოებების მეგრულ ენაზე თარგმნისა და მეგრული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის კანონიერი, ისტორიული უფლება, რაც გარკვეული გაგებით მართლაც ჰქმნიდა მეგრული ენის ქართული სახელმწიფოებრივი და სალიტერატურო ენასთან დაპირისპირების საშიშროებას. მაგრამ მეგრული ენით სახელმწიფოებრივი და სალიტერატურო ენის არმცოდნე მასაში, მითუმეტეს უფროს თაობაში, წერა-კითხვის სწრაფი დაძლევისა და ცხოვრებაში მისი გამოყენების თვალსაზრისით მოთხოვნა, ნორმალურად გამოიყურებოდა და პრინციპში სწორიც იყო. ქართული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის აუცილებელი მინიმუმის მოთხოვნის მორალური უფლება ზუგდიდელ ინტელიგენტებს მართლაც ჰქონდათ. მრავალი ფაქტით დასტურდება, რომ ენობრივი ბარიერის მოკლე დროში დაძლევის აუცილებლობა გარდაუვალი ხდებოდა. სამეგრელოს იმდროინდელ ვითარებაში სწორად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის, სტეფანე გაგუას და მისი მომხრეებისადმი ყალბად მიწერილი, სეპარატიზმად გასაგებ — ფორმულირებული, სინამდვილეში კი რეალობიდან გამომდინარე და აუცილებელი, მეგრული ენით ხალხში ელემენტარული ცოდნის შეტანის მისწრაფების მოტივის სამართლიანობაც. მით უმეტეს სამართლიანია ზუგდიდის ინტელიგენციის შეშფოთება მუზეუმის თბილისში გადატანის მცდელობისა და სარკინიგზო მშენებლობის შეჩერების გამო.

რაც შეეხება მეგრული ენის ფუნქციის გამოყენებას, როგორც ადრე ზემოთ ავღნიშნეთ, ამას მიმართავდნენ მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში მეგრულ ენაზე იბეჭდებოდა პროკლამაციები, მეგრელი ბოლშევიკები მშობლიურ ენას სისტემატიურად იყენებდნენ გლეხობაში აგიტაცია-პროპაგანდის დროს. ამ მხრივ

არც მენშევიკები იკავებდნენ თავს. მაგალითად, ცნობილია, რომ თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატი ვიქტორ თევზაია მეგრელ გლეხობას მშობლიურ ენაზე განუმარტავდა „მენშევიკების", ანუ ეროვნული ხელისუფლების, საგადასახადო პოლიტიკას. ისიც ცნობილია, რომ 1921 წლის 11 ივნისის დასაწყისში, როდესაც სოხუმში მოიწვიეს აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა, აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოხსენება წინასწარ მეგრულ ენაზეც ითარგმნა (გაზ. „კომუნისტი", 1921, 8 ივნისი).

მეგრული ენის გამოყენებას, რეალური ვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემდგომში თავი ვერ დააღწია ვერც საბჭოთა ხელისუფლებამ. მაგრამ, როგორც ქვემოთ წიგნის სათანადო თავებში გაეცანით, მეგრული ენის გამოყენების აზრი მაინც ისევ ბოლშევიკებმა ასაზრდოვეს, თუმცა მერე მათვე ანტიქართულ, მეგრულ ნაციონალისტურ საფრთხობელად დასახეს და ისევ თვითონვე „დასძლიეს". ს. ორჯონიკიძე საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე ამბობდა: „ყველაზე რთული და დახლართული პრობლემა — ეროვნული საკითხი სწორადაა გადაწყვეტილი. ასეთსავე სწორ გამოსავალს არანაკლებად რთული საკითხიდან ენის შესახებ — იძლევა მხოლოდ ჩვენი პარტია. იგი აცხადებს, რომ ენა წარმოადგენს ხელუხლებელ წმიდათა წმიდას ყოველი ხალხისათვის, ვინაიდან ენა არის ერთადერთი საშუალება (! — ავტ.), რომლის შემწეობით კომუნიზმის რევოლუციონურ ქადაგებას შეუძლია შეიჭრას ამა თუ იმ ხალხის, მშრომელი მასების სიღრმეში. გულუბრყვილობა, სასაცილო, დანაშაულობა და სისულელე იქნებოდა გვექადაგნა კომუნიზმი ჩინელებისათვის ფრანგულ ენაზე ან ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის მათთვის გაუგებარ ენაზე. ეს წესი გვავალებს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, მივიდეთ ოსებთან და აფხაზებთან და სხვებთან (ე.ი. შეიძლებოდა გაგებულიყო ქართულის არმცოდნე მეგრელ ვლეხებთანაც — ავტ.) მათ მშობლიურ ენაზე". ს. ორჯონიკიძეს მოაქვს მაგალითი, „როდესაც ეროვნულ უმცირესობას უგზავნიან ქართულად დაწერილ ქაღალდს, ისინი იძულებული არიან... ეძიონ ქართველი, რომ წააკითხონ მას ქაღალდი — ეს ყოვლად დაუშვებელია. ენის ასეთი მპყრობელობის გამოჩენა აუტანელია. აქ ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ სომხებს: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმე სომხურ ენაზე. თუ თქვენ გსურთ აწარმოოთ თქვენი საქმეები ქართულ ენაზე, — ასწავლის ს.ორჯონიკიძე ქართველ ხელმძღვანელებს, — ნება მიეცით მაშინ სომხებსა და აფხაზებს აწარმოონ თავიანთი საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე". მაშასადამე, იგივე შეიძლებოდა თქმულიყო ქართული ენის არმცოდნე მეგრელებზე. მაგრამ არა! აი, საიდან იკვებებოდნენ და რატომ ფიქრობდნენ ასე ეაუკუღმართებულად „სამეგრელოს ცენტრის" წერილის ხელმომწერები.

მაგრამ წერილიდან ჩანს მათი ყალბი არგუმენტები: თითქოს სტ. გაგუამ რაკი მენშევიკების დროს „მეგრული ენითა და ლიტერატურით წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელების აზრი გამოთქვა", ამიტომაც დაისაჯა. როგორც გ. ციციშვილის გამოქვეყნებულ „მაფალუს" პირველი წიგნში სათანადოდ მოტანილი ცნობით დასტურდება, სტ. გაგუას საჭიროდ მიაჩნდა მეგრული ენის მაქსიმალური გამოყენება ქართული ენის შესასწავლად. იმ დროს კი როცა დამოუკიდებელი საქართველო მომძლავრდებოდა, მეგრულ გასაგებ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების განხორციელებაც (იხ. გვ. 37). ამავე დროს „მენშევიკურ ხელისუფლებას" არავინ დაუპატიმრებია და არც მხარიდან ვინმეს გასახლება უცდია. როგორც ჩანს, მთხოვნელები ცდილობენ ყურმოკრული, „გაფუჭებული ტელეფონით" გაგებულის სიმართლედ გასაღებითა და მისი გაზვიადებით დაამტკიცონ თავიანთი აზრის მართებულობა და უზენაესი „ცენტრი" დაარწმუნონ თავიანთ ანტიმენშევიკურ ერთგულებაში. როგორც აღვნიშნეთ, აქედან მოდის მათი „მაფალულება" უსამართლოდ წოდებაც და „მაფალუს" მიზნობრივად დამახინჯებული გაგებაც.

„სამეგრელოს ცენტრის", ანუ „ჩხოუშიელების" წარმომადგენელთა მიზანდასახულობებში არა ჩანს ქართულის პრიორიტეტი. აშკარად შეინიშნება ეროვ-

ნული ქართული ლიტერატურისაგან დამოუკიდებელი მეგრული ლიტერატურის შექმნის მისწრაფება, რაც მუშაოა კლასის დიდი მასწავლებლებისა და საბჭოთა პოლიტიკის გაგების საყოველთაო სასალხო მისწრაფებით ინიღბება. მათ წერილში, ამავე დროს, აშკარად მეღალენდება მათი გულისწყრომა და ზიზღი „თბილისის საბჭოთა სოციალისტური მთავრობის" მიმართ, რომელსაც განუზრახავს ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანა და ზუგდიდის მიმართულებით სარკინიგზო მშენებლობის შეჩერება. აქ ორივე არგუმენტი სწორია და ამის გამოც საქართველოს ცენტრს, ალბათ, მოსკოვის ცენტრის მიმართ სათანადო ახსნა-განმარტება დასჭირდებოდა. საფიქრებელია, რომ მოსკოვის „ცენტრმა" ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრებს აღნიშნული წერილის გამო სათანადო რეაგირებაც მოსთხოვა. ამიტომ საჭირო იყო ასეთი ანტიეროვნული აზრების შემცველ სანივარ-დაბეზღებებს ბოლო მოღებოდა. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცკ-მა სათანადო ღონისძიებები განახორციელა.

ჯერ ის უცნაურობა იყო, რომ საქართველოს საბჭოების III ყრილობაზე (5-9.IV.1925 წ.) მისასალმებელი სიტყვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანმა ბ. შოგირიძემ მეგრულ ენაზე წარმოსთქვა. იგი თარგმნა თორდიამ. სვანეთის წარმომადგენელი აფრასიძეც სვანურ ენაზე მიესალმა ყრილობას. ბ. შოგირაძემ კამათში მონაწილეობა რუსულ ენაზე წარმოთქმული სიტყვით მიიღო (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 2, ს. 3, ფურც. 9). შეუძლებელია, რომ ასეთი ინიციატივა წამოსულიყო „ადგილებიდან". ჩემი აზრით, ეს უცნაურობა გამოწვეული იყო მეგრელებისა და სვანების გულის მოსაგებად და „შესაბოლებლად". როგორც ირკვევა, ხელისუფლება ამით ემზადებოდა ანტისაბჭოთა ოპოზიციაზე სერიოზული იერიშის მისატანად.

ამის შემდეგ, 19 მაისს, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში არსებული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შესამოწმებლად საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიავლინა ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გეორგაძე. მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები მოისმინეს ცკ-ის 6 ივნისის სხდომაზე. გამოირკვა, რომ ზუგდიდის მაზრაში ადგილი აქვს მწვავე საკადრო ურთიერთდაპირისპირებას, ჯგუფურ ბრძოლას, სამაზრო კომიტეტის მიმართ უნდობლობას. ცკ-მა ამოცანად დასახა სამაზრო კომიტეტის დაცვა. მის წინააღმდეგ მებრძოლი კომუნისტებიდან ზოგი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, ზოგს საყვედური აკმარეს. სასტიკი საყვედური გამოუცხადეს ი. ცხაკაიას, ალ. თოლორაიას და თორდიას. ცკ-ის განკარგულებაში გაიწვიეს ი. ცხაკაია, ალ. თოლორაია, ხვიჩია. ხაბურზანიას საქმე გადაეცა ცკ-ის საკონტროლო კომისიას. მამულიას მიმართ მოითხოვეს სამუშაოდან მოხსნა და სასამართლოზე გადაცემა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 81/2, 101, 101/2). როგორც ჩანს, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა გაითვალისწინა 1924 წლის აჯანყების მოტივით დახვრეტილების სიმრავლის გამო პარტიის საკავშირო ცკ-ის ოქტომბრის პლენუმზე ჭარბად გამოთქმული საყვედურები. ახლა მოსკოვის ცენტრის ახალ თავდასხმას მოერიდა და ადგილობრივი ენების საჯარო გამოყენების მასკარადიც ამიტომ მოეწყო, მაგრამ მთავარი ყურადღება დაუთმო პარტიულ-ორგანიზაციული და საკადრო მუშაობის სრულყოფასა და ზუგდიდელი „დამბეზღელების" საკადრო-ორგანიზაციული ღონისძიებებით მოგვრიებას. ამ მიზნით გახშირდა ზუგდიდში სხვადასხვა შემადგენლობის კომისიების გაგზავნა, მგრამ სათანადო საარქივო მასალები მოწმობენ, რომ ამით კონკრეტული მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ინტელიგენციის ერთ ნაწილში კიდევ უფრო გაიზარდა ურთიერთ დაპირისპირება და უნდობლობა სამაზრო პარტიული კომიტეტის მიმართ.

ასეთ ვითარებაში „ჩხოუმილების" ერთმა ჯგუფმა გრ. ახალაიას რედაქტორობით, 14 ივნისს, ზუგდიდში თვითნებურად გამოსცა მცირე ფორმატის 4 გვერდიანი მეგრული გაზეთი „ნოთე" (მანათობელი, მნათობი – ავტ.). მაშა-

სადამე, უნდობლობის გამო გრ. ახალაიას ჯგუფი აღარ დაელოდა ზემდგომი ორგანოების ნებართვას და თვითნებურად გნახორციელა სახკომსაბჭოს მიმართ ნაწილობრივ გამხელილი მიზანდასახულობა. ეს არის მეგრულ ენაზე გამოცემული პერიოდული პრესის პირველი ნიმუში.

გაზეთს წამძღვარებული აქვს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"! მოწინავე წერილში ასახულია ბოლშევიკური სულისკვეთება. საპროგრამო ამოცანად დასახულია მშრომელი ხალხის მომსახურება: „რე მაჭირხოლი მუშაღალარი ხალხიშა კულტურაში სინთეში" (არის მერცხალი ხალხში კულტურის სინათლის შეტანისა – ავტ.). გაზეთში მოთავსებულია მცირე მოცულობის ინფორმაციული ხასიათის წერილები, რომლებიც მკითხველს აცნობენ მსოფლიოს, სსრ კავშირის, საქართველოს და მეზობელი რაიონების ქრონიკას. ადგილობრივი ხასიათის კორესპონდენციების ავტორები (ტ. შენგელაია, ა. კვარაცხელია) აშუქებენ მაზრის საინტერესო საკითხებს. „ნოთეში" მოთავსებულია ო. წულაიას ლექსი „ონჯუა" („საღამო"), რომელშიც გამოთქმულია კმაყოფილება ახალი საბჭოური ცხოვრებით. ლექსი მთავრდება ასეთი სტროფით: „მუშას ვაყუნსუ კოჩ მაჭკომალი, ვართი პატონი, ვართი ვაჭარი" (მუშას არა ყავს კაცი შემჭმელი, არცა ბატონი და არც ვაჭარი – ავტ.). მსგავსი სულისკვეთებისაა გრ. ახალაიას ლექსი „მუშა". მასში ავტორი გამოთქვამს მიწის მუშის კმაყოფილებას ახალი, „სამართლის მომცემი" ცხოვრების დამკვიდრების გამო, რომელიც დიდი ბელადის, ლენინის მიერ არის მოცემული. ლექსი მთავრდება ლენინის ანდერძის მიხედვით ერთიანობისა და მტრის კისერზე მძიმე უღლის დადების მოწოდებით. ეს წერილები და ლექსები იდეურად პროლეტარული მწერლობის ნიმუშებს წარმოადგენენ. გაზეთში მოთავსებულია ო.წულაიას ლექსად გაფორმებული გამოცანა. აქვეა ასახული ქრონიკა და განცხადება.

თითქოს ყველაფერი რიგზეა, სახეზე გვაქვს კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ პირადი ინიციატივით გამოცემული მეგრული გლეხური გაზეთი. მაგრამ ყურადღებას იპყრობს პ. როგავას მცირე მოცულობის ლექსი „თხუალა" (თხოვნა), რომელსაც დისონანსი შემოაქვს. მასში ნათქვამია: „გრიშა ლადის თხულენს: ოყოფო დიხა ბჭვარათია, ნამუ ნინათ ბრაგადანთი თი ნინათი ბჭარათია, გეეოდგინათ დიდა ნინა ხალხის მუახვარათია, დო გილაფრთათ უშიშარო, ჩქი მართალი შარათია". ლექსის ძირითადი შინაარსი ასეთია: რა ენაზეც ვლაპარაკობთ იმ ენაზე ვწეროთ, აღვადგინოთ დედა ენა, ხალხს მოვახმაროთ და უშიშარი მართალი გზით ვიაროთ. ეს ნათლად მოწმობს, რომ რედაქციის აზრი ასოციერებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მისამართით ადრე გაგზავნილ თხოვნა საჩივართან, რომელშიც მკაფიოდ გამოსჭვივის მეგრული ლიტერატურის შექმნის მისწრაფება. მაგრამ დასაწყისი სიტყვები „გრიშა ლადის სთხოვს"... გვაფიქრებინებენ, რომ ეს ლექსი ეძღვნება გაზეთის რედაქტორს, შემდეგში თავგამოდებულ სეპარატისტად გამჟღავნებულ გრიშა ახალაიას. გრიშა რედაქტორია, ლადი კი ალბათ ვლადიმერ ილიჩი ანუ საბჭოთა ხელისუფლებაა.

მართალია, „ნოთეს" ბოლშევიკური პრესის წესისამებრ თავში წამძღვანებული აქვს ლოზუნგი – „ირი ქიანაში პროლეტარენქ შეართით" (პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით), მასში საგანგაშო არაფერია და გაზეთიც პროლეტარულია, მაგრამ ცენზურაგაუვლელი პრესის ნიმუშია. ამასთანავე, იგი არღვევს შიდაპარტიული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, უგულებელყოფს პარტიული წესდებით გათვალისწინებულ სუბორდინაციას და მასში მკრთალი სეპარატისტულ-ავტონომისტური მისწრაფებაც სახეზეა. ამიტომ ამ გაზეთის დღის სინათლეზე გამოსვლამ საქართველოს და სამაზრო პარტიულ-სახელმწიფოებრივ „ცენტრებში" დიდი აურზაური გამოიწვია. ცხადი გახდა, რომ ვიდრე ზუგდიდში საკადრო დაპირისპირება იყო და ვიდრე საქართველოს „ცენტრი" შეინჯღრეოდა, „ჩხოუშეილი" კომუნისტებისა და უპარტიოების ერთმა მცირე ჯგუფმა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მო-

თხოვნა საკუთარივე ინიციატივით განახორციელა. ამასთანავე „ნოთეს“ გამოსვლა იმასაც მეტყველებდა, რომ მეგრელი მოსახლეობის ის ერთ-ერთი მთავარი საჭიროება, რომელსაც საქართველოს „ცენტრმა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის მანძილზე განგებ წაუყრუა, ზუგდიდის მეგრული ენის მოყვარულთა ოპოზიციურმა საზოგადოებამ საკუთარი ინიციატივით ადვილად მოაგვარა. ამ თვითინიციატივით ქართული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხის ოცნება ნაწილობრივ უთუოდ შესრულდა. ეს იყო ქვემოდან მომდინარე ინიციატივის პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიღმა არსებული ძალების მიერ ხორცშესხმა, რომელიც შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც მეგრელი ბოლშევიკებისა და უპარტიოების აჯანყება არა მარტო საქართველოს ბოლშევიკური „ცენტრის“, არამედ ბოლშევიზმის ეროვნული პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე ეს „ამბოხება“ დაემთხვა უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას. ამ დროს თბილისში მიმდინარეობდა 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორი „პარიტეტული კომიტეტის“ სასამართლო პროცესის სამზადისი, რომლისკენაც მიპყრობილი იყო არა მარტო საქართველოს ხელისუფლების მიერ გაუბედურებული პატრიოტული, არამედ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ფართო საზოგადოების ყურადღება. ამ კრიზისულ ვითარებაში „ჩხოუშილების“ ჯგუფის სეპარატისტულ თვითინიციატივას შეეძლო გამოეწვია დაბნეული ხალხის ხელისუფლებისათვის არასასურველი ახალი ინიციატივები და საერთო ეროვნული უკმაყოფილების შემდგომი გაძლიერების პრაქტიკული გამოვლინებაც. ამიტომ საჭირო გახდა თვითნებურად გამოცემული მეგრული გაზეთით ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებრივი პრობლემის დაუყოვნებლივი მოგვარება.

1925 წლის 22 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება, რომელიც ზუგდიდის მაზრაში სამუშაოდ აკ. ქავთარაძეს და ი. ჟვანიას აგზავნიდა. დადგენილება მოითხოვდა აგრეთვე ცკ-ის განკარგულებაში ძველი ხელმძღვანელების ბ. შოგირაძის და ჩხეიძის დაუყოვნებლივ გაწვევას (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 115).

1925 წლის 23 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცკ-ის სამდივნოს დადგენილება „ზუგდიდის მაზრაში მუშაობისათვის“. ამ დადგენილების თანახმად შეიცვალა ადრინდელი ხელმძღვანელობა, რომლის ნაცვლად დამტკიცდა აკ. ქავთარაძე ზუგდიდის აღმასკომის თავჯდომარედ, ი. ჟვანია პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივნად. სენაკში დაინიშნა გეორგაძე. ჩეკას განკარგულებაში ზუგდიდიდან გამოიწვიეს სამაზრო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ბ. შოგირაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ჩხეიძე და სხვ. სენაკიდან კი — ე. ბედია, ხუხუა, შალამბერიძე, თურქია და ოჩიგავა ოლიფანტე. მაშასადამე, სამეგრელოს რეგიონში გატარდა ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლა, რაც ადგილზე ახალი პოლიტიკური კურსის გატარებისათვის სასწრაფო ღონისძიებების ორგანიზებას ითვალისწინებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე აკ. ქავთარაძე მუშაობდა აფხაზეთში, იყო შინსახკომისრის ალ. გეგეჭკორის მოადგილე, ხოლო ი. ჟვანია მანუშევარი იყო აფხაზეთის სოფლის მეურნეობის კომისრად და საქართველოს სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრის, ალ. გეგეჭკორის მოადგილედ, ცხადი გახდება, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ზუგდიდს დიდი ყურადღება დაუთმო და საქმის მოსაგვარებლად მუშაობის გამოცდილების მქონე კომპეტენტური, ალ. გეგეჭკორის კადრები მიავლინა.

უკვე 25 ივნისს ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა აკ. ქავთარაძის მოხსენება ზუგდიდში მეგრულ ენაზე 14 ივანობის თვეში გამოშვებული გაზეთის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიზანშეუწონლად ცნო გაზეთ „ნოთეს“ გამოცემა. ამ საკითხზე ცკ-მა წინასწარ მოისმინა აკ. ქავთარაძის მოხსენება. მაშასადამე, აკ. ქავთარაძე „ნოთეს“ გამოცემის მოწინააღმდეგე ყოფილა. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გამოაგზავნეს შელია, აგრეთვე ზუგდიდში მოაავლინეს ცხომარია. საქართ-

ველოს კომპარტიის ცკ-მა დააყენა საკითხი ზუგდიდის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივნის და მაზრის პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა კანდიდატურის ზემოდან შერჩევის შესახებ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 363, ფურც. 117/2).

27 ივნისს ზუგდიდში გაიმართა სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრების გაერთიანებული სხდომა. აქ გაზეთ „ნოთეს" შესახებ ისაუბრა ბ. შოგირაძემ. მან აღნიშნა „მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს მეგრული ლიტერატურა და არც გვაქვს ნებართვა ასეთი გაზეთის გამოშვების შესახებ. ამასთანავე, ასეთი გაზეთის გამოშვებას არა აქვს არავითარი რევოლუციური ხასიათი, მხოლოდ არის რეგრესი და რეაქცია და საჭიროა აუცილებლად ბოლო მოეღოს".

ზუგდიდის ხელმძღვანელობის შეცვლა მიზეზთა გამო უაღრესად მტკივნეული პროცესი გამოდგა. სხდომის მონაწილეთა წინაშე აღმასკომის თავჯდომარედ გამოგზავნილმა აკ. ქავთარაძემ განაცხადა, რომ მისი ცნობით, ზოგი ამხანაგისათვის მისი დანიშვნა „არ არის სასიამოვნო, ...ალმაცერად უყურებენ მას და ყოველგვარ გაუგებრობას უნდა მოეღოს ბოლო". სიტყვით გამოსული ჯაკონიას განცხადებით, „ზუგდიდის მაზრაში 1921 წლიდან ადგილი ქონდა ინტრიგას". „გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს, რომ ამხ. შოგირაძეს და ჩხეიძეს არავითარი მუშაობა ქავთარაძის და ცკ-ის დადგენილების წინააღმდეგ არ უწარმოებია". ჩხეიძემ განაცხადა: „არ არის სწორი, რომ ზუგდიდის მაზრაში მუშაობა არ შეიძლება. გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს და თანამშრომლობას უნდა მოვკიდოთ ხელი. მართალი უნდა ითქვას, რომ ამხ. ქავთარაძის დანიშვნამ არანორმალური მდგომარეობა შექმნა. ამხანაგები მოითხოვდნენ პლენუმის მოწვევას, თბილისში დადგენილების გაგზავნას... უარი ვუთხარით და იძულებული ვიყავით პირდაპირი მავთულით დავლაპარაკებოდით ცკ-ს. ანომალიური მდგომარეობა იყო შექმნილი იმით, რომ თხოულობდნენ გარკვევას, რა იყო მიზეზი ამხანაგების მოხსნისა"... აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ პროფი მამფორიამ სთქვა: როცა ამხ. როგავა მოკლეს (1924 წლის აჯანყების დროს — ავტ.), მაშინ რომ გამოეგზავნათ ამხ. ქავთარაძე და ჟვანია, საწინააღმდეგო არავის ექნებოდა, უკანასკნელ ინტრიგებში გმირობა გამოიჩინეს ცხაკაიამ, ლ. გვილავამ, ხვიჩამ და სხვამ. კონფერენციაზე რომ მოეხსნათ შოგირაძე და ჩხეიძე, სხვა იყო, მაგრამ დღეს მათი მოხსნა ყველა პასუხისმგებელი ამხანაგების მოხსნა იყო, რამაც ჩვენ აღგვაშფოთაო" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, 1, 495, ფურ. 7,7/2). მაშასადამე, პ. მამფორია და ზოგი სხვა, ახალ ხელმძღვანელობას მკაცრად დაუპირისპირდა. ამის შემდგომი გაღრმავებისათვის მას კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მისცა ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიას და ახალი „ცენტრის" „მაფალუელების" მფარველობაში დადანაშაულებამ. ამის შესახებ ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ზუგდიდის მაზრის ახალი ხელმძღვანელობის მოსვლას, ანუ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას მოჰყვა თანამდებობის შუალედური რგოლების ხელმძღვანელობის შეცვლა-გადაადგილება და განთავისუფლება-დაწინაურება. ჩხოროწყუს რაიონის მილიციის უფროსად წურწუმიას ნაცვლად დანიშნა იოსებ კვარაცხელია. ზუგდიდში დანიშნეს მაკარი ლაშხია. მალე ურთიერთკინკლაობის გამო ადრე დანიშნულები გაანთავისუფლეს. ჩხოროწყუში დაწინაურეს მელიტონ ნაჭყებია, ს. ლიის მილიციის უფროსად — ვასილ მანია. ზუგდიდში მოსამართლის თანამდებობიდან მოხსნეს ვლ. ცხაკაია, დანიშნეს კიმოთე თორდია. მაზრკომის მდივნის თანამდებობიდან მოხსნეს ბ. ჯანაშია. ქალთა განყოფილებაში გაანთავისუფლეს ოლია გვასალია, მის ნაცვლად დანიშნეს თამარა საჯაია. ფოთის პოლიტბიუროს ეთხოვა ზუგდიდის ინფორმპუნქტის უფროსის თანამდებობაზე გამოგზავნოს მიშა კუკუტარია. ა. ჯიქია გაანთავისუფლეს ზუგდიდის უბნის მოსამართლის თანამდებობიდან. ქალთა

განყოფილების გამგედ სენაკიდან გადმოიყვანეს ო. ჩიჩუა. მაზრის მილიციის უფროსად დაინიშნა ი. ჯანაშია, ხოლო გამასწორებელი სახლის უფროსად მის მიერ შეცვლილი ვ. შოგირაძე გადაიყვანეს ჩხოროწყუს მილიციის უფროსად, ნაჭყუბია კი გადმოიყვანეს სამაზრო კომიტეტის განკარგულებაში. მაზრკომმა ზუგდიდის მილიციის უფროსის თანამდებობაზე მოითხოვა მიხა კაკულია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.28, აღ.1, ს.195, ფურც. 15-38).

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დადგენილებით 13 იელისს მაზრიდან ცკ-ის განკარგულებაში გაიწვიეს მაზრის ახალი ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგე მიხა მამფორია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ 2, ს. 363, ფურ. 134/2). ალბათ უკარნახეს შემდგომი მოქმედების გეზი. ამასთანავე, საჭიროდ ჩასთვალეს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტში „ჩისტკის" ჩასატარებლად კომისიის გაგზავნა. მიიღეს გადაწყვეტილება ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარის მოადგილედ დაწინაურებულიყო ლაგვილავა. ეს დადგენილება მიღებული იქნა აკ. ქავთარაძის მოხსენების გამო. ამ თანამდებობაზე 1925 წლის 3 მარტიდან მუშაობდა ბესარიონ (ბეგი) ბერია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 134/2, 137). მაშასადამე, სულ რაღაც ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ზუგდიდის მაზრის ახალმა ხელმძღვანელობამ მრავალმხრივი შემოწმება განიცადა, ხოლო თავის მხრივ განახორციელა კადრების ძირეული რეფორმა. ამას მოსდევდა კინკლაობა, ისედაც დაძაბული საკადრო ატმოსფეროს მკვეთრი გაუარესება, დაძაბულობისა და ურთიერთდაპირისპირების შემდგომი გაძლიერება. ასეთ ვითარებაში რეგიონისთვის მტკივნეული მეგრული ენის გამოყენებისა და სამეგრელოს რეგიონის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური მოწყობის პრობლემა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა რეგიონის ხელმძღვანელი კადრებისა და საერთოდ რეგიონის ინტელიგენციის შიდა ურთიერთობების გარკვევას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ჯიბრის, ნიშნის მოგების და ზოგჯერ ურთიერთგანადგურებისთვის ბრძოლის საშუალება გახდა.

მეორე მხრივ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება: „გამოეცხადოს გაზეთ „ნოთეს" რედაქციას შემდეგ არ იქნეს გამოშობილი ეს გაზეთი. ამ გაზეთის გამოშვების ბოლოსმოღებისათვის იქნეს დახურული ამის რედაქცია და სამაზრო კომიტეტმა შეებრძოლოს ამ საქმის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას". (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.28, აღ.1, ს. 495, ფურ. 7). მაშასადამე, ახალმა ი. ჟვანიას ხელმძღვანელობამ ბრძოლა წამოიწყო ადგილობრივი კომუნისტების და უპარტიოების იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც მეგრული ენის შეფასება-გამოყენების საკითხში მიმართავდნენ პირად ინიციატივას და თვითმოქმედებას. „ნოთეს" გამოცემა შეწყდა. დაიწყო ახალი საკადრო პოლიტიკის გატარება, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა ატმოსფერო.

ეს ამბები „ნოთეს" გარშემო გაერთიანებულმა ინტელიგენტებმა ისე გაიგეს, თითქოს გაზეთის სამუდამო დახურვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით და გადაწყვეტილებით მოხდა. ამ ვითარებაში „ნოთელებმა" მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა. დაიწყეს საჩივრების ახალი ნაკადის გაგზავნა ზემდგომი ორგანოების მისამართით. მოაწყვეს „მეგრული საკითხის" გაჯანჯლება-მოუგვარებლობით უკმაყოფილო მოსახლეობის გადაბირება, საქმეს ისე აშუქებდნენ, თითქოს ყველა ბოროტების სათავე იყო საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის ანტიმეგრული განწყობილება, ხოლო ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენდა ამ ცენტრის თავგასულობის შემზღუდავი სამეგრელოს ავტონომიური მართვის მოპოვება. მოაწყვეს საპროტესტო აქციაც. ამ დროს დაიწყო „ცენტრიდან" გახშირებული კომისიების მოვლინება. ერთ-ერთ ასეთ კომისიას დაახვედრეს უკმაყოფილები, რომელთაც საჩივრით აავსეს „ცენტრიდან" მოვლინებული სტუმრები. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, „უკმაყოფილოთა წრიდან გამოვიდნენ გამბედავი ყოჩაღი ბიჭები, რომლებმაც მოითხოვეს: „მიეცით სამეგრელოს ის, რაც ეკუთვნის".

ასეთი კონკრეტულობას მოკლებული მოთხოვნა იმას ნიშნავდა, რომ მოსახლეობა ხელისუფლების მხრივ დაჩაგრულად მიიჩნევდა სამეგრელოს, ამისთვის კი საბაბი უთუოდ არსებობდა. ეს იყო არა აუცილებლად ავტონომიის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ. მაგრამ როგორც ადრე ვნახეთ, ქართულის არმცოდნე მოსახლეობას აინტერესებდა გაზეთი, საცნობარო ტექნიკურ-პოლიტიკური ლიტერატურა, დაწესებულებასა და სასამართლოში მეგრული ენის გამოყენება. დაწყებითი სწავლების დონეზე მეგრული ენის შემოღება. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გარკვეულად დაემთხვა „ნოთელებისა" და საერთოდ ქართულის უცოდინარი გლეხების ინტერესი.

„ნოთეს" დახურვასა და მისი შემდგომი გამოცემის საბოლოოდ აკრძალვას, გაზეთის ირგვლივ დარაზმული ინტელიგენციის უკიდურესი შეშფოთება, გაღიზიანება და გაბრძოლება მოჰყვა. თავიდან წამოიწყეს მორიდებული თხოვნა. შემდეგ კი, როცა დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ცკ-მა მეგრული გაზეთის გამოცემა ლამის მსოფლიო პროლეტარიატის საერთო უბედურებად მიიღო და მის განახლებას არ აპირებდა, ზოგმა „ნოთელმა" დაიწყო, მათი აზრით, ყველაზე მომგებიანი არგუმენტების წამოწევა — მეგრელების ქართველებისგან პრინციპული განსხვავებულობის მტკიცება, ამის უგულვებელყოფის გამო საქართველოს ცენტრის მხილება და ამ გზით დაისახა მიზნის განხორციელება.

ჯერ, 18 ივნისს გ. ახალაიას, ა. კვარაცხელიას, ა. ჯინჯოლიას, ლ. ვეკუას, თ. კიკალიას, თ. ვეკუას, ამროზი კვარაცხელიას, ბ. ხუფენიას, და ტ. შენგელიას ანუ გაზეთის ცხრა თანამშრომლის ხელის მოწერით საქართველოს კომპარტიის ცეკას გაეგზავნა „ქ. ზუგდიდის მეგრულ ლიტერატურული წრის წევრების თხოვნა". მასში განმარტებული იყო, რომ მეგრული გაზეთის მეშვეობით ეწეოდნენ მშრომელი გლეხებისათვის უფრო მეტად გასაგებ ენაზე პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის განმარტებას. ამასთანავე გამოთქმული იყო თხოვნა „ნება გვიბოძოთ, რათა გამოუშვათ ადგილობრივ (სამეგრელოში) გაზეთი და ჟურნალი მეგრელი ხალხის გასაგებ ენაზე"... აქვე დამატებით განმარტებული იყო, რომ თითქოს გაზეთი „ნოთეს" გამოცემა შეჩერებულია ზუგდიდის მაზრის კომიტეტის მიერ, საქართველოს ცეკას ნებადაურთველად, მთხოვნელთა აზრით, „ასეთი აქტი ეწინააღმდეგება სრულიად რუსეთის III საბჭოთა ყრილობის დადგენილებას, აგრეთვე დიდ ზიანს აყენებს მეგრელ მშრომელ გლეხობას". ისინი აღუთქვავენ ცეკას, რომ მისი ყურადღება მომავალ „გაზეთში წითელი ასოებით იქნებოდა აღნიშნული". მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მთხოვნელები ისე აიგდო, რომ პასუხის ღირსად არ ჩათვალა და ხელი მიჰყო მისი საქმიანობის ეროვნული თვალსაზრისით უაღრესად სახიფათო ინიციატივად გაზვიადებას და გაბიაბრუებას.

განმეორებითი თხოვნა 28 ივნისის დეპეშითა და „კოლეგიის" სახელით საქართველოს კომპარტიის ცეკას გაუგზავნა გრ. ახალაიამ. ტექსტი იუწყებოდა: „ყოველი კუთხიდან მოდის მოთხოვნილება გაზეთ „ნოთეზე". ველოდებით ნებართვას". ხელისუფლებამ პასუხის გაღმოცემას კვლავ უპასუხისმგებლო დუმილი არჩია. საქართველოს ცეკა ბრაზიან ბიუროკრატად მოეკიდა რედაქციას და ქართულის არმცოდნე მეგრელი მკითხველის ინტერესებს. ჩვენთვის გასაგებია, რომ მისი დუმილი უბრალოდ დუმილს არ ნიშნავდა. სინამდვილეში ცეკამ ამ ამბავს იმთავითვე მოგვარების ნაცვლად და „მთხოვნელებისგან" გასაიდუმლოებულად დიდი „კუდი გამოაბა".

საქართველოს კომპარტიის ცეკას „დუმილს" მოჰყვა გ. ახალაიას, ტ. შენგელიას და ა. კვარაცხელიას 2 ივლისის საჩივარი დეპეშა. ახლა უკვე საკავშირო ცეკას მისამართით. საჩივარში ნათქვამია, რომ გაზეთი აკრძალა საქართველოს ცენტრმა, რომელიც „აკრძალვის მიზეზის გამო წერილობით და დეპეშით დასმულ შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა". დეპეშის ავტორები ახლა უკვე თხოულობენ „მეგრელი ნაციონალური საკითხის დარეგულირებას" იმ

დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო არქივებში ინახება ალექსი მიხეილის ძის დროიდან და აგრეთვე უძველესი ისტორიკოსების ცნობების თანასწორად, „მაგრამ არა ნახევრად განსწავლულთა (პარტხელმძღვანელთა — ავტ.) მიერ შედგენილი ქაროული ზღაპრებით". როგორც ვხედავთ, სერიოზული კონფლიქტი „ნოთელებსა" და საქართველოს ცენტრს შორის აქედან და ამ მარტივ საფუძველზე იწყება. ზუგდიდელი ინტელიგენტების მცირე ჯგუფის მიერ მეგრელ მკითხველთა გარკვეული წრის ინტერესების უგულებელყოფამ, მეგრული გაზეთის პირველი ნომუშის პოლიციურმა აკრძალვამ და გაზეთის გამომცემელთა ინტერესების აბუჩად აგდებამ, არა მარტო წინააღმდეგობის შემდგომი გაძლიერება გამოიწვია, არამედ პარტიულ-სახელმწიფოებრივი სუბორდინაციის მოთხოვნების დარღვევაც და კომუნისტების ამ ნაწილის ოპოზიციურობის გაძლიერებაც. ამჯერად უკმაყოფილოებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ რიგებში მყოფ მემარჯვენეებს. ჯერ ერთი, მიმართეს არა საქართველოს ცეკას, არამედ მათი აზრით უფრო ობიექტურ საკავშირო ცკას და მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიული ცენტრის ერთგულებით დემონსტრირებისთვის სეპარატიზმამდე გააღრმავეს თავიანთი ვითომ ყოველმხრივ ობიექტური არგუმენტები.

ჯერ იყო და, 1925 წლის 23 ივისტოს „ნოთელების" ლიდერ-რედაქტორმა გრ. ახალაიამ სპეციალური წერილით მიმართა ნიკო მარს და სთხოვა მას 6 დასახელების ნაშრომის, მათ შორის მისი. ი. ყიფშიძის. პ. ჭარაიას და სხვა იმ დამხმარე ლიტერატურის გამოგზავნა, რომლებშიც მეგრულ-აფხაზური, სვანური, ქართულ-მეგრული ენების ურთიერთობები მეცნიერულად შუქდებოდა. როგორც აქედან ჩანს, გრ. ახალაია თავის „მეცნიერულ" მუშაობას ისე ეწეოდა, რომ აუცილებელ სათანადო ლიტერატურაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ესეც დამატებით მოწმობს, რომ „ნოთელთა" საპროტესტო ძალისხმევა, არასერიოზული და არაკომპეტენტური პიროვნებების გამოვლინება იყო. შეიძლებოდა მათი ადრევე დაშოშმინება, მაგრამ ფაქტია, რომ უმტკივნეულო „ავტონომისტური" მოთხოვნები აშკარა სეპარატისტულ ბრძოლად გადაიზარდა.

გრ. ახალაიას თხოვნა ნ. მარმა მიზეზთა გამო ვერ ან არ შეასრულა, რის შესახებაც „პატივცემულ გრიგოლ იოსების ძეს" 1 სექტემბრით დათარიღებული საპასუხო წერილით აცნობა. ამის მიუხედავად, გრ. ახალაიას სამეგრელოს ისტორიის „კვლევა" და სათანადო წერილების წერა არ შეუწყვეტია. ამ მხრივ იგი ყველა სხვა სეპარატისტისგან გამოირჩეოდა. მისი ამ ნამუშევრის შესახებ ქვემოთ, ცალკე გვექნება მსჯელობა, შევეცდებით მკითხველს შედარებით სრული წარმოდგენა შევუქმნათ იმ საფუძვლებზე, რომლებსაც გრ. ახალაია ეყრდნობოდა. ახლა კი საჭიროა აღინიშნოს, რომ მას მართლაც უჭერდნენ მხარს ბესელია და ბუკონია.

ჯგუფის სეპარატისტების თვალსაზრისს ასახავს ც. ბუკონიას და ს. ბესელიას დეპეშა მ. კალინინის მიმართ (22.06.1925). აქ მოსკოვი გამოცხადებული ინტერნაციონალურ ცენტრად, რომელიც ზრუნავს ყველა ეროვნების კეთილდღეობისათვის. მაგრამ მეგრელი მშრომელებისათვის არ მოიძებნა ადგილი საერთო სახელმწიფოებრივ მექანიზმში, და ეს ხდება მაშინ, როცა მეგრელი ხალხი ისტორიულად ხასიათდება რუსეთის მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით. ამ მლიქვნელობის საილუსტრაციოდ დეპეშის ავტორები მიუთითებენ, რომ სამეგრელო რუსეთის მფარველობაში შევიდა 1804 წლის ტრაქტატით, ხოლო იმპერატორ ალექსანდრე II 1867 წლის 4 იანვრის განკარგულება გააზრებული აქვთ როგორც შედეგი სამეგრელოს მისწრაფებისა, რომელმაც ჩამოაგდო საკუთარი მონარქი ი/ისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ შერწყმოდა რუსეთის „მშრომელ მასას". დეპეშის ავტორები იტყობინებიან, რომ „მენშევიკების ავანტიურის წყალობით მეგრელი ხალხი საქართველოს სუვერენიტეტის ჩაგვრის ქვეშ აღმოჩნდა, რომლისგანაც ჯერაც არ განთავისუფლებულა". ამის დამატებით მიზეზად დასახელებულია ცენტრისათ-

ვის მიულებელი ქართველი უკლონისტები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ ეროვნულ საკითხში მოსკოვის ინტერნაციონალური ცენტრის დადგენილებების სამეგრელოზე გაუვრცელებლობას. დეპეშაში ნათქვამია: „კვლავ (! – ავტ.) მოგმართავთ თხოვნით დამკერელური წესით გაათავისუფლოთ მეგრელი მშრომელი ხალხი საქართველოსათვის არნათხოვნი სუვერენიტეტისაგან და ახლა უკვე სამუდამოდ განამტკიცოთ მეგრელი ხალხის კავშირი რუსეთის მშრომელ ხალხთან". აი ეს უკვე აშკარა სეპარატისტული თხოვნა-განცხადებაა.

იმავე დღეს ც. ბუკონიამ იმავე შინაარსის წერილით მიმართა საბჭოების III ყრილობაზე ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვის სიტყვით გამოსულ ლარინს და სთხოვა თანადგომა, რომ „ინტერნაციონალური ცენტრის დადგენილებები ეროვნულ საკითხში დაუყოვნებლივ იქნას მოყვანილი აღსრულებაში მეგრელი მშრომელი ხალხის მიმართ". ე.ი. სურთ მეგრელებს მოუპოვონ ის რაც საბჭოთა ხელისუფლებამ „ეროვნულ უმცირესობებს" უბოძა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კომპარტიის ცეკასა და რესპუბლიკის მთავრობის მიმართ უნდობლობით გამსჭვალული ც. ბუკონია და ს. ბესელია ცდილობენ მოიპოვონ მ. კალინინის და მოსკოვის სხვა ხელმძღვანელი მუშაკების მხარდაჭერა. იმისათვის, რომ სამეგრელოს მოუპოვონ ეროვნულ საკითხში „მენშევიკების მემკვიდრეობის გამგრძელებელი" საქართველოს ნაციონალ-უკლონისტური და იმპერიული ხელმძღვანელობის დისკრიმინაციული დამოკიდებულებისაგან თავისუფალი პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მიზნით იყენებენ სამეგრელოს ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციას და იბრძვიან, რომ სამეგრელო გამოჰყონ საქართველოსაგან და უშუალოდ რუსეთს დაუკავშირონ, რა თქმა უნდა, ერთიანი სახელმწიფოებრივი სტატუსით.

ბუკონია-ბესელიას მოთხოვნა-საჩივარი უთუოდ წააგავს ერთი მხრივ გრ.ახალაიას და მის გარშემო დარაზმულთა (ა. კვარაცხელიას, ბ. ხუფენიას, მ. ხუბუტიას, ი. ჯინჯოლიას, ლ. ვეკუას, თ. კიკალიას, თ. ვეკუას, ამბ. კვარაცხელიას, ბ. ხუფენიას) ხელმოწერილ მოთხოვნა-საჩივრებსა და დეპეშაში ჩამოყალიბებულ ნაზრევს, ხოლო მეორე მხრივ აფხაზი და ოსი სეპარატისტების ანტიქართულ მეცადინეობას. ამასთანავე მათში ერთფეროვანია ბრალდებები „ნაციონალ-უკლონისტებისა" და მათ შემდგომ საქართველოს „ცენტრის" მიმართ. სეპარატისტებს ისე გამოჰყავთ, რომ მენშევიკურ ხელისუფლებასა და ახალ საქართველოს პარტიულ ცენტრს შორის მეგრელების მიმართ დამოკიდებულებაში განსხვავება არა ჩანს და პირიქით, ძალმომრეობა სულ უფრო გაძლიერდა. ისინი ამ მხრივ გარკვეულად მართალნიც არიან. როგორც ვნახეთ, მენშევიკების ხელისუფლების დროს „მაფალუს" ლიდერების მიმართ უპირატესად მხოლოდ ცალკეული ეჭვებით შეპყრობილი პიროვნებების რეაქცია გამოვლინდა, ახლა კი „მეგრელების" სატკივარის იგნორირება სახელმწიფოებრივად ხდებოდა. ამასთანავე მას გასაგები და გაუგებარი მიზეზებით ახლდა აშკარად გამოხატული ძალმომრეობა, პარტიიდან გარიცხვა, დისკრედიტირება, უნდობლობის შექმნა და სხვ. მაშასადამე, სეპარატისტების აზრით, გამოსავალი ამ ცენტრის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებაში იძებნება. ასეთი გზის შესაძლებლობა-მიზანშეწონილობას კი ამართლებენ მტკიცებით ქართველებისაგან მეგრელების განსსვავებულობისა ისტორიით, ენითა და ტრადიციებით, რაც ჰქმნის მათ შორის ეროვნული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული განცალკევების შესაძლებლობას. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა მხოლოდ სიკეთედ მოვლენილი რუსეთის პროლეტარიატის ნების გამომხატველი მოსკოვის ცენტრის სათანადო გადაწყვეტილება. მართალია, ამგვარი დემაგოგიური ნაზრევის შემცველ საჩივარ-დაბეზღების ავტორებად გრ. ახალაია, ბუკონია და ბესელია წარმოგვიდგა, ხოლო სხვა დანაჩენები ხელს საკუთარი და მეგრელი გლეხობის ინტერესების გაგების კარნახით აწერდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო საქართველოს „ცენტრმა" საქმე ისე ააწყო, რომ არა მარტო ავტონომიის ერთგული მთხოვნელების და სეპარატისტების „ბელადები", არამედ, აგრეთვე ზოგი სხვა მთხოვნელებიც მიუმატა, ერთ საერთო

მიმდინარეობად გაასაღა და მათი საერთო რაოდენობა 28-მდე ხელოვნურად გაზარდა. ამ მაქინაციას ამყღავნებს ჩეკისტი თოდუას საქმიანობა ალ. გეგეჭკორის ღვარძლიანი გამოსმაურება და სხვა, რომლის შესახებ საუბარი შემდგომ თავში გვექნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ ა. გეგეჭკორის წერილში (8.10.1925) მთავარი ყურადღება დაეთმო არა ავტონომისტებს ან ავტონომისტებისა და სეპარატისტების ერთ მიმდინარეობად წარმოჩენას, არამედ მხოლოდ სეპარატისტების თეორეტიკოსი ლიდერების ნაბრევის და მათ მიერ „ნაციონალ-უკლონისტების" დაბეზღების კრიტიკას. აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ა. გეგეჭკორმა, რომელიც თავად გახლდათ მეგრელი გლეხების სატკივარის საძართალიანად მოგვარების მცდელობის ინიციატორი, სწორად გაიგო არა მარტო სეპარატიზმის არსი და აღმოცენების მიზეზი, არამედ სწორად განსაზღვრა მისი მამამთავრები — გრ. ახალაია, ც. ბუკონია და ს. ბესელია. მართალია, ა. გეგეჭკორმა დააკავშირა ისინი „ოცდარვათა ძმათა ჩხოუშელთა" კამპანიასთან და ანტიქართული სეპარატიზმის ყალბად მოაზრებულ მემკვიდრეობასთან, მაგრამ მისი სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ ეს იყო ინსინუაცია და ამ დროს შეთითხნილი პარტიულ-ჩეკისტური, მიზნობრივი ჩალიჩის მიმართ მისი, როგორც „ჩხოუშიელების" არეულობის ერთ-ერთი გამომწვევის, ანგარიშის გაწევა. ბერიამ კი ზუგდიდელი ავტონომისტების ბრალეულობათა საკუთარი „კონცეფცია" ისე ჩამოაყალიბა, რომ მეგრული ენის გამოყენებით განვითარების მომხრეები და მეორე მხრივ ავტონომისტები და სეპარატისტები, ჩეკისტი თოდუას მეშვეობით და ჩეკისტური მეთოდებით 28 „ჩხოუშიელად" გაამრავლა და ისინი ამავე დროს მიზნობრივად და ყალბად გამოაცხადა პრაქტიკულად მოქმედ კონტრრევოლუციონერთა ერთ საერთო ავტონომისტურ მიმდინარეობად. ამას საყურადღებო ახსნა აქვს. ამიტომ საჭიროდ გვესახება ამ საიდუმლოების და მისი მიზანდასახულობის შესახებ მკითხველის გაცნობიერება წიგნის მომდევნო დამოუკიდებელ თავში და სათანადოდ მობილიზებული მასალების შუქზე.

მაშასადამე, მოცემული თავი ცხადყოფს, რომ მეგრელებში ერთეული ავტონომისტების მიმართ ძალმომრეობამ, მათი სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებამ გამოიწვია მათი რამდენიმე წარმომადგენელის სეპარატისტ თეორეტიკოს დემაგოგად გადაზრდა.

მაშასადამე, ზუგდიდში ახალაია, ბესელია, ბუკონია და მათ მხარდამჭერ „ავტონომისტთა" და ერთეული სეპარატისტების „ინტელიგენტური მოძრაობა" თვით საქართველოს ხელისუფლების მხრივ „მეგრული საკითხის" დროული მოგვარების უპასუხისმგებლო წაყრუებამ და გაჯანჯღლებამ წარმოშვა.

თავი IX
სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი „მოჰიკანი“

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ხშირად გვხვდება უსაფუძვლო განცხადებები ი. ჟვანიას, მაშასადამე ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის, მაზრის კომუნისტების, აგრეთვე, მეგრელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელი ავტონომისტურ-სეპარატისტული სულისკვეთების შესახებ. წინამდებარე წიგნის სათანადო თავებში მობილიზებული მასალების ანალიზის შუქზე ვნახეთ, რომ სამეგრელოს ქართულის არმცოდნე გლეხობას აწუხებდა არა სამეგრელოს ავტონომიის არარსებობა, არამედ მისი ერთადერთი მშობლიური ენის სახელმწიფოებრივი უგულებელყოფა და ამის გამო მათთვის წარმოებისა და საყოფაცხოვრებო სფეროში აღმოცენებული სიძნელეების ანუ „მეგრული საკითხის“ მოუგვარებლობა. ი. ჟვანიას და მაზრკომს არაფერი ჰქონდა საერთო სამეგრელოს ავტონომიისა და საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის მოტრფიალე ერთეულებთან, გარდა იმისა, რომ დევნიდნენ მათ. სათანადო წყაროების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი უკომპრომისოდ ებრძოდა, ერთი მხრივ, ავტონომისტ-სეპარატისტებს, ხოლო, მეორე მხრივ, „მეგრული საკითხის“ გამყალბებლებს. მაგრამ მკითხველთა და მკვლევართა ერთ ნაწილში ყალბი აზრი ი. ჟვანიას ავტონომისტობისა და სეპარატისტობის შესახებ იმდენად ძლიერ დამკვიდრდა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი მაგალითების შუქზე კიდევ უფრო საგნობრივად გავარკვიოთ, რისთვის იბრძოდნენ და ვის ებრძოდნენ ავტონომისტ-სეპარატისტები, რა არგუმენტებს ეყრდნობოდნენ, რა მემკვიდრეობითი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ, ერთი მხრივ, ნამდვილ „მაფალუელებთან“, ხოლო მეორე მხრივ, ვითომ მათ, წინამორბედ, მეფის რუსიფიკატორებთან და მათ აგენტ თადა აშორდიასთან. საკითხის ასეთი დაყენება, გამოკვლევა და გაშუქება საშუალებას მოგვცემს ერთხელ და საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ აღნიშნულთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, ხოლო ა. გეგეჭკორისა და ი. ჟვანიას ხაზი „მეგრულ საკითხში“ პრინციპულად უპირისპირდებოდა და ებრძოდა, ერთი მხრივ, „ავტონომისტ-სეპარატისტებს“, ხოლო მეორე, მხრივ საქართველოს ცენტრში მოკალათებულ „მეგრული საკითხის“ პოლიტიკან-გამყალბებლებს. მაგრამ სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლთა სეპარატისტული არგუმენტები და სამეგრელოს დამოუკიდებელი მოწყობის მოთხოვნები, ერთი მხრივ, აფრთხობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ აქეზებდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში თავმოყრილ „მეგრული საკითხის“ ბერიასეულად მოგვარების მხარდამჭერ, საქართველოს განუყოფლობისა და ერთიანობის მოტივით ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების სამართლიანი მოთხოვნების დამამუხრუჭებლებს. ისინი ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციაში არსებული დაპირისპირების ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და ამას სამეგრელოს და ერის ინტერესების დაცვის პატრიოტული მოსაზრებით ამართლებენ.

ზემოთ აღნიშნული ჩვენი, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზანდასახულობის ხორცშესხმისათვის საჭიროდ გვესახება გავარკვიოთ რა ამოძრავებს სამეგრელოს ავტონომიისა და სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფის ყველაზე თავგამოდებულ თეორეტიკოსს და მებრძოლ-მომჩივანს გრიშა ახალაიას, განსაკუთრებით ვის უპირისპირდება იგი და რა „საფუძველს“ ეყრდნობოდა. ამისათვის საჭირო ხდება კიდევ ერთხელ მოვიხმოთ ძირითადად უკვე წარმოჩენილი ის არგუმენტები და აგრეთვე კონკრეტული ინფორმაცია, რომლებიც მოწმობენ, რომ ავტონომისტურ-სეპარატისტული მოთხოვნების ავტორების გამაღიზიანებე-

ლი საფუძველი უთუოდ არსებობდა, მაგრამ არსებობდა მათი დემაგოგიური სეპარატისტული არგუმენტებიცა და მტკიცებულებებიც.

როგორც ვნახეთ, იმ თხოვნა-საჩივრებსა და დაბეზღებებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა დონის ხელმძღვანელობის მისამართით აგზავნიდნენ „ჩხოუშელი" ავტონომისტ-სეპარატისტები, ხელმომწერთა სიმრავლითა და სეპარატისტული შინაარსით გამოირჩეოდნენ ის „დოკუმენტები", რომლებსაც ხელს აწერდნენ გრიგოლ ახალაია და მისი ცალკეული მიმდევრები. ამ „დოკუმენტების" ხელმოწერებიდან ჩანს, რომ გრ. ახალაია იყო ყველა მათგანის ავტორი, ხოლო დანარჩენები ხელს აწერდნენ მხოლოდ სოლიდარობის სახით. ასე მაგალითად, „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, სამეგრელოს ცენტრის, ზუგდიდის მთხოვნელთა 1925 წლის 20 მარტის წერილს ხელს აწერენ გრ. ახალაია, ალ. კვარაცხელია, ბ. ხუფენია, აბ. კვარაცხელია და ა. ჯინჯოლია. მაგრამ ეს წერილი, ისე როგორც მრავალი სხვა, რომელთა გვერდების საერთო რაოდენობა 50-ს აღემატება, დაწერილია გრ. ახალაიას ხელით. ამას გარდა, ხელმოწერებიდან ჩანს, რომ ალ. კვარაცხელია ხელს აწერს ორჯერ, მათ შორის მეორედ გადაშლილი სოლომონ ჯგერენაიას ნაცვლად, ხოლო მარაზი ხუბუტია რუსულ ხელნაწერზე ხელმოწერას ადასტურებს ქართულად, რაც იმას მოწმობს, რომ მან არ იცის რუსული და ტექსტს საკუთრივ არ გასცნობია; გრ. ახალაია იყო თვითნებურად გამოცემული მეგრული გაზეთ „ნოთეს" დამფუძნებელი-რედაქტორი და იმ ლექსის ადრესატი, რომელიც გამოირჩევა საეჭვო აზრის შემცველი სტროფით: „რა ენაზეც ვლაპარაკობთ, იმ ენაზე ვწეროთ, აღვადგინოთ დედა ენა და ხალხს მოვახმაროთ...".

1925 წლის 18 ივნისს წერილი რომ გაეგზავნა „საქართველოს კომპარტიის ცეკას" — გაზ. „ნოთეს" გამოცემის განახლების თხოვნით, ამ წერილის ხელმომწერებად ჩამოთვლილი არიან გრ. ახალაია, ალეკო კვარაცხელია, ა. ჯინჯოლია, ლეო ვეკუა, ო. კიკალია, თ. ვეკუა, აბრამ კვარაცხელია, ბ. ხუფენია და ტ. შენგელია (თარიღი 17. VI. 1925), მაგრამ, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, რომ ყველა ხელმოწერა ეკუთვნის გრ. ახალაიას. 28 ივნისს გრ. ახალაიამ უკვე საკუთრივ გაუგზავნა დეპეშა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს. გრ. ახალაიას, ტ. შენგელიას და ა. კვარაცხელიას ხელმოწერით გაეგზავნა დეპეშა „სსრკ აღმასრულებელ (ცენტრალურ — ავტ.) კომიტეტს" 1925 წლის 2 ივლისის წერილის ხელის მომწერად გათვალისწინებული ყოფილა ტ. შენგელიას ნაცვლად ო. წულაია. კერძოდ, გრ. ახალაიამ გაუგზავნა წერილი აკადემიკოს ნ. მარს სამეგრელოს საქართველოსაგან განსხვავებულობის საძიებელ „მამტკიცებელი" ლიტერატურის მოპოების მიზნით (23.VII. 1925). აღნიშნულთა გარდა, გრ. ახალაიას მიერ არის შესრულებული ა. გეგეჭკორისადმი, მისი 8 სექტემბრის პუბლიკაციის პასუხად დაწერილი რეცენზია: „პასუხი ყოფილ შემოდგომის აზნაურს (Дворянчику — გრ. ახალაია) ა. გეგეჭკორს", რომელიც 1925 წლის 15 სექტემბრით თარიღდება; გრ. ახალაიამ 1926 წლის დასაწყისში საკუთრივ ხელმოწერილი წერილი-საჩივარი გაუგზავნა: „სსრკ ცაკის თავმჯდომარეს კალინინს, ზინოვიევს, სტალინს, ტროცკის, რიკოვს, ლუნაჩარსკის და ტომსკის"; 1926 წლის თებერვლის შემდგომ უახლოეს დღეებში გრ. ახალაიამ ვრცელი წერილი გაუგზავნა „სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს"; მის ხელნაწერთა შორის იძებნება აგრეთვე ამ წერილის მსგავსი ხელნაწერი, რომელსაც ბოლო ფურცელი აკლია. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ წერილების შექმნაში მას ვინმე ეხმარებოდა, მაგრამ მათი ხელწერა გვარწმუნებს, რომ ყველა ჩამოთვლილი მისი ინიციატივით იქმნება.

გრ. ახალაიას წერილები შესრულებულია რუსულ ენაზე. ზოგიერთ წერილი ქართულ ენაზეა ნაწერი. ჩვენ ხელთა გვაქვს, აგრეთვე, მისი ხელნაწერი

მეგრული ლექსი. წერის კულტურა და კალიგრაფია. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მისი სახით საქმე გვაქვს არა ფსიქიურად დაავადებულ ადამიანთან, როგორც მას ლ. ბერია უწოდებს, არამედ განათლებულ პიროვნებასთან, რომელსაც აკვიატებული აქვს გარკვეული წარმოდგენები და შეხედულებები მეგრელების ნაციონალური თვითმყოფადობისა და ქართველებისგან განსხვავებულობის, აგრეთვე საქართველოს „იმპერიული ცენტრისგან" დამოუკიდებელი სამეგრელოს მიზანშეწონილობის შესახებ. ამის თაობაზე მის მიერ შექმნილი პროდუქციის განხილვის დროს გვექნება საუბარი, ახლა კი საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც მისი მონაწილეობით გაგზავნილი წერილებიდან და დეპეშიდან ჩანს, იგი იყო საჩივრების მთავარი ავტორი და ზოგი სხვა ხელისმომწერების ორგანიზატორი. ამასთანავე ჩანს, რომ გრ. ახალაიას თანდათანობით ჩამოსცილდნენ მხარდამჭერები და ბოლოს ეულად დარჩა, როგორც ე.წ. „ავტონომისტ-სეპარატისტების" ყოფილი თეორეტიკოსი. ასე რომ, გრ. ახალაიას გარშემო გაერთიანებულთა შორის უმთავრესი იყო პირადად იგი, ხოლო რამდენიმე პირი (ბესელია, ბუკონია) ჩანს, როგორც აქტიური მხარდამჭერი, დანარჩენები, კი აშკარად მხოლოდ თანამგზავრები არიან. მაშასადამე, ე.წ. ავტონომისტ-სეპარატისტები სულ რამდენიმე კაცს აერთიანებდნენ და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო იდეოლოგი იყო გრ. ახალაია, რომელიც 30-იანი წლების ავტონომისტებში აღარ ჩანს. სამაგიეროდ, როგორც ქვემოთ სათანადო თავში ვნახავთ, ახლა თავი იჩინეს ავტონომისტებმა ტარასი შენგელიამ, ალე საჯაიამ, ტრიფონ ხუფენიამ, კორტავამ და ვახტანგ კვარაცხელიამ. მაგრამ ესენი რაიმე სერიოზულ ანტიეროვნულ ძალას არასდროს წარმოადგენდნენ. მათ გარშემო განგაში, იმიტომ კი არ ატყდა, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით მართლა რაიმე სერიოზულ ეროვნულ საფრთხეს ჰქმნიდნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მნიშვნელოვანწილად სწორად აკრიტიკებდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს და ამხელდნენ მის უხეშ, მასების გულისწადილის სამართლიან გაგებას მოკლებულ, უპირატესად ძალადობაზე აგებულ მუშაობას, ააშკარავებდნენ მას და მენშევიკების პოლიტიკასთან აიგივებდნენ. ამით „ავტონომისტ-სეპარატისტები" და მათი დაბნეული მიმდევრები მოსკოვის ცენტრის წინაშე ეწეოდნენ საქართველოს საბჭოური ხელისუფლების დისკრედიტაციას.

რაც შეეხება ნამდვილი ავტონომისტ-სეპარატისტების იმ არგუმენტებს, რომლებსაც ისინი სამეგრელოს განსხვავებულობის, მეგრელების ცალკე ეროვნებად წარმოჩენისა და სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნისთვის აყენებდნენ, მათი რაობის სიღრმისეული გაგებისათვისაც სასურველად და საჭიროდ გვესახება საგნობრივად ჩაეწვდეთ გრ. ახალაიას ნააზრევს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ არა გამოქვეყნებულ-გაგონილ-მოგონილის, არამედ მის მიერ შექმნილი ავტოგრაფების ანუ ორიგინალის მაგალითზე.

სამეგრელოს ავტონომიის მოწინააღმდეგე და ოლქის მომხრე ალ. გეგეჭკორისადმი გრ. ახალაიას პასუხიდან ჩანს, რომ კომუნისტი სეპარატისტი მოითხოვს „მეგრელი მშრომელების თვითგამორკვევას", მეგრული ენის ქართულ ენასთან ნათესაობის მტკიცებას უწოდებს „აზრის მოწამვლას". „განუყოფელი საქართველო", მისი თქმით, „სისხლის ოკეანისათვის არის მოგონილი". ქართულ ენას გრ. ახალაია მეგრელი გლეხებისათვის თვლის იგივე კლასობრივი ფუნქციის შემსრულებლად, როგორსაც რუსეთში ფრანგული და საეკლესიო სლავური, ევროპაში მკვდარი ლათინური ენა ასრულებდა. რომელთა მიზანი, გრ. ახალაიას აზრით, იყო მშრომელებისაგან გამიჯვნა, მათი უვიცად შენარჩუნება. იგი სიტყვასიტყვით იმეორებს 1867 წლის ალექსანდრე II განკარგულების ბუკონია-ბესელიასეულ ახსნას. როგორც ჩანს, სამეგრელოს ისტორიის საკითხში მათ საერთო აზრი აქვთ ან იქნებ საერთო კონსულტანტი ჰყავთ. გრ.

ახალაია 1804 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას აცხადებს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადებულ „ტრაქტატად". იგი ალ. გეგეჭკორს უწოდებს „ისტორიის ჟანგლიორს", „ფილისტერული შედარების" მომყვანს და აბსოლუტურად არც ერთ მის მიერ ჩამოყალიბებულ საკითხში არ ეთანხმება.

გრ. ახალაიას საეჭვოდ მიაჩნია ქართული კულტურის ღირებულებითი მნიშვნელობა. ქართული ინტელიგენციის კორიფეებზე ამბობს: ჩვენ ამ „ფეოდალურ-ფილისტერულ" ინტელიგენციას „წყვილი წუღა" გვირჩევნიაო. გრ. ახალაიას ვერ წარმოუდგენია ლენინიზმზე უფრო მაღალი იდეალები და ღირებულებები. „ლენინიზმის საფუძველზე ჩვენ ვამბობთ, ვართ ეროვნება, — წერს გრ. ახალაია, — ეროვნული ენის! ერთობის, ეკონომიკური ინტერესებით, წესჩვეულებებით, ტანსაცმლით და სხვა — იგი (ალ. გეგეჭკორი კი — ავტ.) გვაიძულებს ვიყოთ ქართველებიო"... „მეგრული საკითხის" სწორი გაშუქების ნაცვლად „ჩხოუშიელი ავტონომისტების" გალანძღვას გამოეხმაურნენ არა მარტო ავტონომისტები და აშკარად სეპარატისტული შინაარსის საჩივრების ინიციატორები და ხელმომწერები (გრ. ახალაია, ა. კვარაცხელია, ტ. შენგელია, ტ. ზარქუა, ალ. ქობალია, ბ. ხუფენია), არამედ ზოგი სხვა შეურაცხყოფილები, რომლებმაც სამეგრელოს ადმინისტრაციული მოწყობის ერთ-ერთ თანაავტორს, ალ. გეგეჭკორს გაუპროტესტეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებული წერილი, მათი აზრით, ეს იყო „კომუნისტისათვის უღირსი, სამეგრელოს მშრომელი მასებისა და მისი ავტონომიისათვის მტრული" გამოსვლა. ამ კოლექტიურ საპროტესტო წერილს ხელს აწერდნენ პიროვნებები, რომლებსაც სხვა დროს არ გამოუხატავთ თავიანთი უკმაყოფილება საქართველოს ცენტრის წარმომადგენელთა მიმართ. ხელმომწერ 50 პიროვნებას შორის იკითხება: კალისტრატე ქარჩავა, იპოლიტე ფაჟავა, გიორგი დღირია (?—ავტ.), ლიდა ჯიქია, ალექსი ჯაბუა, გერმანე გეგელია, კონსტანტინე ესაკია, ვიქტორ შენგელია, ამბერკი მალაშხია, ბართლომე ბეჭვაია, მიხეილ გვადია, კარენ თორდია, ბესარიონ გრიგოლია, რაჟდენ ჯიქია, იპოლიტე ნარმანია, ალექსანდრე ქარდავა, კ. ძიმისტარაშვილი, რ. ძიმისტარაშვილი, ა. ძიმისტარაშვილი, ვ. ძიმისტარაშვილი, კონდრატე ჯგუშია, კონსტანტინე გეგელია, ნესტორ კილასონია, ვასილი კვარაცხელია, ანდრო ჯიქია, ა. თორდია, ვ. ჩიქავა, ნ. ხვიტია, ი. თურქია, დოროთე იოსავა (?—ავტ.), ს. მარღანია, ვ. ჩემინავა, სოლომონ ჯგერენია, ტერენტი ნაროუშვილი, ივანე კედია, იპოლიტე მელუა, მოსე თვალთვაძე, ვლადიმერ გრიგოლია, მალხაზ ხუბუტია, ფილიპე ხუფენია (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 607, აღ.2, ს.14, ფურც. 32-33). ეს კარგად გვიჩვენებს, რომ პრობლემები არსებობდა და ამიტომ მათი შეურაცხმყოფელი ტონით მიფუჩეჩება საწინააღმდეგო რეაქციას ასაზრდოებდა.

მორიგი სეპარატისტული ნააზრევია გრ. ახალაიას, ვალოდია თორდიას, ალეკო კვარაცხელიას ხელმოწერილი 29 დეკემბრის წერილი მოსკოველი ბელადების მიმართ. აქ მწუხარებაა გამოხატული იმის გამო, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მიღებული მათი წერილები საქართველოს ხელისუფლებას გადაეგზავნა, დამოკიდებულება კი ისეთივეა, როგორიც მენშევიკური ხელისუფლებისა: ცდილობენ მიჩქმალონ თვითმყოფადი სახე მეგრელი ხალხისა და აშინებენ სისხლიანი შურისძიებით. თვითგამორკვევის მოთხოვნებს განიხილავენო, როგორც კონტრრევოლუციურს. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები მონოპოლიზებული აქვთ, არსად აჭაჭანებენ მეგრელების დასაცავ ხმას. ამიტომ წერილი მოითხოვს, რომ საბჭოების მომავალ ყრილობაზე დაისვას „მეგრული საკითხი", წინააღმდეგობის შემთხვევაში სთავაზობს ავტორიტეტული წარმომად-

გენლობის მოწვევას და არა მარტო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის იმედად მიტოვებას.

ამ წერილიდან ჩანს, რომ მისი ავტორის თუ ავტორებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ „მეგრულ საკითხში" საქართველოს ხელმძღვანელობისა და მენშევიკების პოზიცია ერთგვაროვანია, ორივე მიმართავს მხოლოდ ძალადობას, ადმინისტრირებას და მუქარას. მათ დაუნახავთ, რომ ახალ ხელისუფლებას განხორციელებული აქვს პრესისა და, მაშასადამე, სიტყვის მონოპოლია, მაგრამ ის ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აღნიშნული მახასიათებლებით ორიგინალური როდია, და რომ „მეგრულ საკითხში" მისი პოზიციაც მოსკოვთან, სტალინთან არის შეთანხმებული და, რომ „მეგრულ საკითხზე" არსებობს საქართველოს კომპარტიის 3 სექტემბრის დადგენილება, რომელიც გმობს არა მარტო სამეგრელოს ავტონომიურ მოწყობას და სამეგრელოს ავტონომიას „რეაქციულ" მისწრაფებად აცხადებს. ამასთანავე, ავტონომიის მსგავსად მიიჩნევს, აგრეთვე სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნასაც კი და შემდეგში აფერხებს მეგრულ ენაზე იმ რიგი ღონისძიებების გატარებასაც, რომლებსაც დადგენილება საჭიროდ და ცხოვრებაში გასატარებლად სახავს (გაზეთი, გლეხური ბროშურები, საქმის წარმოება, სასამართლო წარმოება).

ზუგდიდელი კომუნისტი „სეპარატისტების" შეხედულების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს გრ. ახალაიას ერცელი წერილი „სსრკ ცაკს მეგრელი ხალხის მდგომარეობის საკითხისათვის". ეს წერილი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ იქ მოხმობილი ავტორისეული რიგი ფაქტი და არგუმენტი ზოგი თანამედროვის მცდარ მსჯელობაშიც აისახება ხოლმე. ძნელია დადგენა, ეს „ანარეკლი" თუ „ასახული", სახელდობრ ამ წერილიდან მომდინარეობს, თუ ყველა მათ საერთო საფუძველი გააჩნიათ. ერთი რამ ცხადია, ეს არის „მეგრული საკითხის" და ჩვენი ისტორიული წარსულის გარკვეული ხედვისა და ლოგიკის საფუძველზე წარმოჩენა, რომლის დროსაც, ზოგი რამ აშკარად გაუგებრობას და შეცდომებს ეყრდნობა, ზოგი კი აშკარად სწორი და მისაღებია.

გრ. ახალაიას ეს წერილი იწყება სიტყვებით: „ოდესღაც ებრაელებივით, მეგრელი ხალხი განიცდის დევნას, შევიწროებას, არა აქვს უფლება არა მარტო წეროს, არამედ ილაპარაკოს თავის ვერბალურად უმდიდრეს, ბრწყინვალე მშობლიურ ენაზე". ავტორი აქ ებრაელების მაგალითს საკითხის სიმწვავით დაყენების მიზნით, ყალბად იმარჯვებს და ყურადღებას იმ უსამართლობაზე ამახვილებს, რომ დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება არ წარმოებს, დარღვეულია პედაგოგიური პრინციპი: ნაცნობიდან უცნობისაკენ. „ბავშვებს ასწავლიან კითხვას და წერას მისთვის უსარგებლო ქართულით... თითქმის გადაგდებულია საქმიანი რუსული ენა, რომელიც ამოძრავებს ცხოვრების ნერვს..." სასამართლოში მეგრელი გლეხი მხოლოდ თარჯიმანისაგან გებულობს: „გამართლდი, დაისაჯე, მოიგე, წააგე". ასე იყო მეფის რეჟიმის დროს და ასეა ახლა", — წერს იგი. გრ. ახალაია ეხება „მაფალუს": 1918 წელს სამეგრელოს სახალხო ინტელიგენციამ იგრძნო, რომ მენშევიკები ღალატობენ რუსეთის პროლეტარიატს... შეჰქმნეს კულტურული საზოგადოება „მაფალუ", იგივე „ზარია ვოსტოკა". მიზანი იყო პარტიებს არ მოეწყვიტა გლეხობა პროლეტარული ცენტრისგან"... აქ რეაგირებას მოითხოვს „მაფალუს" გრ. ახალაიასებური ხედვა. სათანადო მონოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, „მაფალუს" მართლაც პარტიულ-პოლიტიკური მიზანდასახულობისა გამო უსახავდნენ სამეგრელოს კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას, მაგრამ ეს ხდებოდა ეროვნულ-

დემოკრატიული პარტიისა და ქართველი ერის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატის, ან სხვა ანტიეროვნული ინტერესებით.

ავტორი განსაკუთრებულ გულისწყრომას გამოხატავს გაზეთ „ნოთეს" აკრძალვის გამო, რასაც უწოდებს „დაცინვას, დამცირებას, რომლის მსგავსს ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროსაც". გრ. ახალაია ასეთ მაგალითად მიიჩნევს მაფალუელთა მიმართ გატარებულ რეპრესიებს. იგი აღნიშნავს, რომ იმდროს „ადგილი ჰქონდა სამსახურიდან დათხოვნას, პარტიიდან გარიცხვას, დაშინებას სამეგრელოს საუკეთესო შვილებისა". იგი ამ მაგალითების საფუძველზე ასკვნის: „ქართული და საქართველოს ცეკას შოვინიზმი დაუნდობელიაო". სინამდვილეში იგი ხელოვნურად ამახინჯებს სინამდვილეს. „მაფალუელების" ინიციატორების მიმართ მართლაც ჰქონდა ადგილი უაღრესად მწვავე უსამართლო დამოკიდებულებას, მაგრამ ეს იყო არა ქართული შოვინიზმის, არამედ დამფრთხალი გონების პატრიოტების მყისიერი რეაქცია.

გრ. ახალაია მიუთითებს, რომ მხოლოდ 1926 წლის 18 თებერვლის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში", ისიც „პროფორმისათვის", გამოჩნდა შენიშვნა სათაურით: „ვასწორებთ ხარვეზებს", რომელშიც ნათქვამია, რომ სამეგრელოს ფართო მასების კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცეკამ სანქცია მისცა მშობლიურ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემას, დაწყებით სკოლებში სწავლების და საქმის წარმოების შემოღებას, მაგრამ ეს „მანიფესტი" დარჩა შეუსრულელი". ამ საკითხში იგი უდაოდ მართალია.

გრ. ახალაია ამბობს: სამეგრელო ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ რიონ-ჭოროხ-ენგურის და მტკვრის აუზებში ცხოვრობდნენ თუბალები და ჭანები, რომელთა ენა იყო მეგრული. ამ ხალხებიდან აღმოცენდნენო შემდეგ გურულები (? — ავტ.) და მეგრელები. კლასიკოსი მწერლის მიერ გადმოცემული „მაკრონები" და „მაკროლები" არიან იგივე მეგრელები. გრ. ახალაია ყურადღებას აქცევს სამეგრელოში სოფელ ხეთას არსებობას და აცხადებს: „ეჭვგარეშეა ეს სახელწოდება სხვა ხალხს არ შეეძლო შემოეტანა სამეგრელოში თუ არა მონათესავე კაბადოკიელ ხეთებსო". ამ აზრს მეცნიერებიც იზიარებენ. გრ. ახალაია კლასიკოს მწერლებზე და თანადროულ ისტორიკოს სერგი გორგაძის პუბლიკაციებზე დაყრდნობით აცხადებს: ქრისტეს დაბადებიდან აღმოსავლეთ საქართველოში პოლიტიკურ-კულტურული პირველობა ეკავათ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს...

აღნიშნულთან ერთად, გრ. ახალაიას წერილში ჩამოყალიბებულია ოფიციალური ხელისუფლების აზრი მეგრულ საკითხში: 1. მეგრელები არ წარმოადგენენ ცალკე ხალხს; 2. მეგრული ენა არის ჟარგონი, კილო-კავი ქართული ენისა; 3. მეგრელებს არ აქვთ ეროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები; 4. ყველა მეგრელი ფლობს ქართულ ენას და ესმის ქართული, გარდა მიყრუებული კუთხეებისა. ამ უკანასკნელთათვის საკმარისია მოხვდნენ ქართულ გარემოში, რომ 2-3 კვირაში სრულიად დაეუფლონ ქართულ ენას; 5. საუკეთესო, მოწინავე ნაწილი ქართული ინტელიგენციისა, აგრეთვე ისტორიკოსები, მათ შორის თ. ჟორდანია ერთხმად აცხადებენ პროტესტს სამეგრელოს თვითგამორკვევის წინააღმდეგ; 6. სამეგრელო, როგორც საქართველოს ტოტი, პოლიტიკურად და კულტურულად ყოველთვის იყო ამ მთელის განუყოფელი.

როგორც ჩანს, გრ. ახალაიას კარგად გაუგია „მეგრული საკითხის" მეცნიერული და მისი ოფიციალურ-პარტიულ-სახელმწიფოებრივად გამოთქმული აზრი. მაგრამ ამ ოფიციალური აზრის მიხედვით, გრ. ახალაიას თითოეული არგუმენტის საწინააღმდეგოდ მოაქვს საკუთარი (? — ავტ.) გამაბათილებელი მსჯელობა. მას I და II არგუმენტების მოშლის მიზნით მოაქვს შემდეგი არგუმენტები: 1. საკავშირო აკადემიის სიამაყე ნ. მარი ხმამაღლა აცხადებს:

„მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი...“ (? — ავტ.) წყაროდ მითითებული აქვს შ. ბერიძის წიგნის შესავალი. 2. პროფესორი ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკა...“-ში (გვ. XXVII) წერს: „ს. ხუნდაძე მეგრული და ქართული ენის ნათესაობის შესახებ არ არის სწორი და დიდი ხანია, რაც მეცნიერების მიერ უარყოფილიაო“ (? — ავტ.). III მუხლის გამაბათილებელ არგუმენტად გრ. ახალაიას მოაქვს ი. სტალინისეული ყველა ნიშნის არსებობა სამეგრელოში და დაასკვნის: მეგრელები „ნაციაარ“. მისი აზრით, „VII-X საუკუნეებში“ (ძვ.წ.აღ.) სამეგრელოს ეკავა დღევანდელი საქართველოს მთელი და უფრო ვრცელი ტერიტორია: ქართლი, კახეთი, მესხეთი, აჭარა, გურია, სამურზაყანო, აფხაზეთი, სვანეთი და სხვ. გრ. ახალაიას მიაჩნია, რომ დღევანდელი საქართველოს ისტორია და კულტურა არის ძველი სამეგრელოს (იბერიის) პლაგიატობით მითვისებული ისტორია და კულტურა. მას ამის სარწმუნო წყაროდ მოაქვს ამონაწერები ს. გორგაძის საქართველოს ისტორიის კურსიდან (ტფ. 1920), რომლის მე-40 გვერდზე ნათქვამია: რიონ-ჭყოროხის და მტკვრის აუზში ჭანების მოძმე ტაბალების ან თუბალების ტომების გავრცელებაზე, რომელთა ენა იყო ჭანური (ლაზური), თანამედროვე მეგრული, რომლისგანაც წარმოიშვა სახელწოდებები: გურია და ეგრი ანუ მეგრელი (სამეგრელო). კლასიკოსი მწერლები (ძველი მწერლები) მათ უწოდებენ „მაკრონებს“ და „მაკროლებს“ (რაც იგივე მეგრელს ნიშნავს).

გრ. ახალაიას მტკიცებით, „კლასიკოსი მწერლების თანახმად ქრისტეს დაბადების პირველი საუკუნიდან მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს ეკავათ აღმოსავლეთ საქართველოს, ეხლანდელი თბილისის გუბერნია“. ამის წყაროდ კვლავ იგივე ავტორის წიგნის მე-15 გვერდის ამონაწერი მოაქვს. აგრეთვე იმოწმებს ი. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიას (1913, გვ. 4).

IV არგუმენტის საწინააღმდეგოდ გრ. ახალაიას მოაქვს გაზეთ „მუშის“ პუბლიკაცია (1924, №449, გვ. 6), სადაც აღნიშნულია, რომ „ხანგრძლივი სტაჟის მქონე მეგრელმა მასწავლებლებმა არ იციან ელემენტარული ქართული და ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მარტივი ტექსტების თარგმნა არ შეუძლიათ მეგრულად“.

V არგუმენტის წინააღმდეგ გრ. ახალაია იშველიებს მომსწრეებს, რომელთაც ახსოვთ, რომ თითქოს 1889 წელს ცაიშის ეკლესიის ხელნაწერების შესწავლის დროს თ. ჟორდანიას უჩვენებია „მეგრული“ საეკლესიო და სამოქალაქო შრიფტი, საკუთარი ხელით ნახატი ასოები და დაუმატებია „ეს მეგრული ალფავიტიაო“, მაგრამ შემდეგ მან ეს დამალაო.

VI არგუმენტის მოსაშლელად გრ. ახალაია აცხადებს, „სამეგრელოს ყოველთვის ყაედა თავისი მეფე“ („დადია“), ჰქონდა თავისი კანონი, წეს-ჩვეულება და ტერიტორია. 1867 წლის 4 იანვრამდე ინარჩუნებდა სუვერენიტეტს, მაშინ როცა საქართველო... ყოველთვის იყო ვასალურ მდგომარეობაში და ამასაც გამოემშვიდობა 1801 წელსაო“.

გრ. ახალაია ცალკე სათაურად გამოჰყოფს კითხვას „რა სურს მეგრელ ხალხს?“ და პასუხობს: „აუცილებლად და აბსოლუტურად გამოეყოს ქართული სუვერენიტეტისაგან ცალკე ტერიტორიულ საბჭოდ“. მისი მსჯელობისა და ლოგიკის საერთო შთაბეჭდილებით ეს „გაერთიანებული საბჭო“ გაუგებარია რა არის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — იგი არ არის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ერთიანი ორგანიზმის ორგანული ნაწილი. როგორც ვხედავთ, იგი ამჯერად გაურკვეველი უფლებებისა თუ სტატუსის თვითმმართველობას სჯერდება და სამეგრელოს ისტორიით სრულიად საქართველოს ისტორიაზე რევანშიც ამისათვის დასჭირდა. გრ. ახალაიას „სამეგრელოს საბჭოს“ გა-

მართლებისათვის ერთ-ერთი წიგნიდან მოაქვს სიამის ტყუპი სამი ულამაზესი დის ბუნებრივი ხასიათის შეუთავსებლობით გამოწვეული აუტანელი ტანჯვისა და ურთიერთზიზღის ვრცელი ამონაწერი და დაასკვნის: არ უჯობთ, რომ ხელოვნურად შეყრილი რო�sიკის და დიადოკის ნაცვლად საქცენტრზე ზემოქმედებით გამოყონ მეგრულად მოლაპარაკე მაზრები ცალკე საბჭოთა ერთეულად"? აი ეს უკვე დამოუკიდებელი სამეგრელოა.

როგორც ვხედავთ, გრ. ახალაია სამეგრელოს „მოწყობის" საკითხში გარკვეულ კონცეფციას ჰქმნის და ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციას მიმართავს, მაგრამ ეს მისი ვითომ „ფსიქიატრიული სტაჟით" (ლ. ბერია) კი არ იყო ნასაზრდოები, არამედ ეს იყო, ერთის მხრივ, მოცემულ საკითხზე იმდროინდელი ვითომ მეგრული და მეცნიერული შეხედულებების თავისებური გამოყენება, მეორე მხრივ, ანტიქართული, არამეცნიერული პუბლიკაციების ავტორთა ნააზრევზე დაყრდნობა; მესამე მხრივ, იგი აყალიბებდა აღნიშნული ორი ნააზრევის სინთეზზე დაფუძნებულ ახალ მცდარ აზრებს და ზოგჯერ აშკარად უსაფუძვლო ფაქტებსაც იმარჯვებდა. ამ გზით გრ. ახალაია პოულობდა მისთვის სასურველ არგუმენტებს. ეს იყო საშუალება სამეგრელოსთვის იმ აუცილებელი დათმობის მოსაპოვებლად, რომელიც მას სამართლიანად მიაჩნდა და რომელთა შორის იყო ზოგი რამ მართლაც რაციონალურიც და სწორიც, რამდენადაც იგი გარკვეულად გამოხატავდა მეგრელი მშრომელი გლეხების ინტერესებს.

ამ სეპარატისტული ისტორიოგრაფიულ-ფილოსოფიური „ტრაქტატის" შექმნის ცოტა ხნის შემდეგ (თარიღდება 25. III. 1926), გრ. ახალაიამ მიიღო სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ხელმოწერილი პასუხი, რომელშიც ნათქვამია: „სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭო გაცნობებთ, რომ მის მიერ მიღებული ცნობებით მეგრულ ენაზე გაზეთების და ჟურნალების გამოცემა მოცემულ დროში არ არის გამოწვეული სამეგრელოს მშრომელთა მოთხოვნებით, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ქართველ ხალხის განუყოფელ ნაწილს, მთელის — ეკონომიკური და კულტურული დამოკიდებულებით. ამის საფუძველზე თქვენი შუამდგომლობა მეგრულ ენაზე გაზეთების და ჟურნალების გამოცემის შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას".

სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს ამ რეაგირებით ყველა ზუგდიდელი სეპარატისტისთვის, ხელისუფლების მიერ ძალით გასეპარატისტებულებისათვის და ყველა დანარჩენისთვის, გასაგები უნდა გამხდარიყო, რომ რაც ალხანა იყო, ისიც ჩალხანა იყო. ხელისუფლება „მეგრული საკითხით" თამაშობდა. თამაშობენ სეპარატისტებიც. მაგრამ იჩაგრებოდა უბრალო მშრომელი ხალხი. მხოლოდ ზუგდიდის მაზრის 1925 წელს თბილისში გადაგზავნილი ოფიციალური ინფორმაციის შესაბამისად, იანვარ-მარტის მდგომარეობით სკოლებში ირიცხებოდა სასკოლო ასაკის ახალგაზრდობის მხოლოდ 45 პროცენტი, რომელთა შორის ქალია 15-17 პროცენტი (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 718, ფურც. 8). მაშასადამე, ბავშვები შრომით საქმიანობაში ებმებოდნენ ელემენტარული განათლების გარეშე. იმ 45 პროცენტიდანაც, რომელიც სკოლაში დადიოდა, უმრავლესობა ქართული სიტყვების დაზუთხვის გარდა ვერაფერს ითვისებდა, ისე ამთავრებდა 2 ან 4 კლასს და კერძო ან სახელმწიფო სექტორის უტყვი მუშახელის კონტიგენტს ემატებოდა. ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხის წინაშე მართლაც იდგა ინფორმაციულ ჭურში ჯდომის და იქიდან ამოუსვლელობის გარდაუვალი პრობლემა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოსპობილი ქონდა არა მარტო სასამართლოში მისი ბედის განსჯის პროცესის მოსმენის, არამედ სახელმწიფო სექტორში ძირეულ თანამდებობებზე დაწინაურების შანსი. ხოლო ქართულის არმცოდნე მშობლებს არ ჰქონდათ სა-

კუთარი შვილებისთვის სასკოლო გაკვეთილების ათვისების მიზნით საშინაო გაკონტროლება-წახმარების შესაძლებლობა და ა.შ. ქართულის არმცოდნე უბრალო მწარმოებლებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება მართლაც ცინიზმამდე დადიოდა. ზოგი არ იზიარებს ჩვენს აღნიშნულ აზრს, მიგვითითებს დღევანდელ ქართულ ინტელიგენციისა და თვალსაჩინო სწავლულ ქართველთა შორის მეგრელთა სიმრავლეზე. ზოგს მიაჩნია, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელების მიმართ იმთავითვე დაშვებულ დათმობებს აუცილებლად მოჰყვებოდა მეგრული სეპარატიზმის გაძლიერება და ა.შ. ეს, ჩვენი აზრით, არის ისტორიის რეალობის გაუთვალისწინებელი სუბიექტური ნააზრევი, რომელიც „მეგრული საკითხის“ 90-წლოვანმა გაყალბებამაც ასაზრდოვა.

მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ გრ. ახალაია ისევე, როგორც მისი მიმდევრები, ვერ ერკვეოდნენ არა მარტო სამეგრელოს, და საერთოდ საქართველოს ისტორიის, ლინგვისტიკის და პოლიტიკის საკითხებში, არამედ ისეთ საყრდენ საფუძვლებში, როგორიც იყო ერი, ენა, ქართული, მათ შორის მეგრული ტომის, ეთნოგენეზისის საკითხი, სამეგრელოს ადგილი საერთო ეროვნულ ისტორიასა და პერსპექტივაში.

გრ. ახალაიამ ვერ გაიგო, რომ ერის ლენინ-სტალინისეული განმარტება გულისხმობდა შესაბამისი ნიშნების მყარ ისტორიულ ერთობას, რომელიც, მათი აზრით, იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქის პროდუქტი. მან ვერ დაინახა, რომ სტალინის სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მეგრელებისა და აჭარლების მცირე ეროვნებებთან გატოლება იყო ბოლშევიკების კლასობრივი და ეროვნული პროგრამის მიზიდულობის გასაძლიერებელი „სიტყვის ხერხი“ და იმ „დამოუკიდებლობანას თამაშისათვის“ გამიზნულად ნახმარი სიტყვების თამაში, რისი უკურეაქციის გამოც, როგორც ლენინისადმი 1922 წელს გაგზავნილ წერილში ვნახეთ, სტალინმა თვითონვე გამოთქვა სინანული. გრ. ახალაიამ არც ის იცოდა, რომ ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ 1925 წლის 17 ოქტომბრით დაშიფრულ წერილში სტალინი მოითხოვდა განეცხადებინათ, რომ სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ აზრი არასდროს გამოუთქვამს და არც აპირებდა გამოთქმას. მან ვერ გაიგო, რომ, ამდენად, ლენინ-სტალინის ადრინდელ ნათქვამი არ შეიძლებოდა გაგებულიყო „მაღალ ღირებულებად“, კანონად, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად და გამომდგარიყო როგორც არგუმენტი. მან ვერც ივ. ჯავახიშვილი გაიგო. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ქართველი ერის ისტორიას იწყებდა ქართველი ტომების კონსოლიდაციის ეპოქაში, მეგრელებს ყოველთვის განიხილავდა მხოლოდ ქართველებად, დანარჩენ ქართველებთან ერთიანობაში. უფრო მეტიც, იგი მეგრულ ენასა და ფოლკლორში ეძიებდა და ჰპოვებდა ქართული ტომების საერთო ფესვიდან წარმომავლობის დასაბუთებას. ივანე ჯავახიშვილი დიდ მადლობას უძღვნიდა ბატონ კონდრატე თათარაშვილს (უიარაღოს) იმ „მეგრული სახალხო ლექსის“ მიწოდებისათვის, რომელიც უტყუარ ცნობად დაიმოწმა ქართველების ქრისტიანობამდელი რწმენის გაგებისათვის:

ბუა დია ჩქიმი	მზე დედაა ჩემი
თუთა მუმა ჩქიმი	მთვარე მამა ჩემი
ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი	სხვადასხვა ვარსკვლავები
და დო ჯიმა ჩქიმი”	და და ძმაა ჩემი

(იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I, თბ. 1979, გვ. 98-99).

გრ. ახალაია კარგად არ იცნობს იმ საკითხებს, რომელთა შესახებ მსჯელობს და რომელთაც ეყრდნობა. იგი ამახინჯებს მეგრული ენის ნ. მარისეულ გაგებას. მას მოაქვს ნ. მარის საჭირო ციტატა შ. ბერიძის წიგნიდან, მაგრამ

ისე, რომ ჩქმალავს მეგრულ-ქართულის ძმობის მარისეულ გაგებას, რომელსაც იზიარებს შ. ბერიძე. შ. ბერიძის წიგნს წამძღვარებული აქვს აკადემიკოს ნ. ი. მარის ასეთი აზრი: „მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი, მაგრამ ამავე დროს მეგრული მჭიდროთ დაკავშირებულია ქართულთან; ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა“ (შ. ბერიძე, „მეგრული (ივერიული) ენა“, ტბ., 1920, გვ. III. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). გასაგებია რისთვისაც დასჭირდა ჩვენს მიერ ხაზგასმულის ჩამოცილება გრ. ახალაიას. ასევე არ იძებნება გრ. ახალაიას ნათქვამი, თითქოს პროფესორი ყიფშიძე უარყოფდეს მეგრული და ქართული ენის ნათესაობას. პირიქით, ი. ყიფშიძის დაუცხრომელი შრომა მეგრულის შესასწავლად იქითკენ იყო მიმართული, რომ გამოეკვლია და დაესაბუთებინა მისი ერთიანობა ქართულთან და მეგრული ლექსიკონი თუ გრამატიკა წარმოჩენილიყო ქართულის გამოწვლილვისათვის. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ი. ყიფშიძე ეყრდნობა ნ. მარის ჭანური ენის გრამატიკას და მიიჩნევს, რომ „მეგრული ენა უახლოეს ნათესაურ დამოკიდებულებაშია ჭანურთან და მასთან ერთად შეადგენს ენათა იაფეტური შტოს ერთ უმთავრეს ჯგუფს, სახელდობრ თუბალურ-კანურ ჯგუფს. ამ ბიბლიური სახელწოდების მეორე ნახევარი კანური უტოლდება სახელწოდებას ჭანური, ხოლო პირველი თუბალურს“. ი. ყიფშიძე ებრაელ მეცნიერ იოსებ ფლავიუსზე (I ს.) დაყრდნობით განმარტავს, რომ თუბალები წარმოშობილი არიან იაფეტისაგან, მის დროს იწოდებოდნენ ივერებად. იგი ამას ეთანხმება მეგრული ენის ფონეტიკურ კანონებზე დაყრდნობით. ი. ყიფშიძე მიიჩნევს, რომ „ივერია“, „იბერია“ — იგივე „იმერია“ ანუ დასავლეთ საქართველოა. „ივერია უფრო ადრე იწოდებოდა, ვიდრე კოლხიდა, მერე ლაზიკა, მერე აფხაზეთი დაერქმევოდაო“. (იხ. ი.ყიფშიძე, Грамматика Мингрельского (Иверского) языка с храстоматиею и словарем. сп. 1914, იხ. ი. ყიფშიძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1994, გვ 25-26).

ი. ყიფშიძე ითვალისწინებს, რომ სტრაბონი (I ს.) იბერიას ახსენებს აღმოსავლეთ საქართველოდ, ხოლო კოლხიდას მკაფიოდ გამოჰყოფს დასავლეთ საქართველოდ. მისი აზრით, ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ერთი ხალხის სახელწოდება პოლიტიკური აღმავლობის გავლენით გადადის მეორეზე. ი. ყიფშიძე წერს: „როგორც ჩანს იყო დრო ქრისტეს დაბადებამდე, როცა ივერები (დასავლეთ ქართველები, ანუ მეგრელთა წინაპრები — ავტ.) ბატონობდნენ თავიანთ აღმოსავლელ თანამომძეებზე, ქართებზე (აღმოსავლეთ ქართველებზე), რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველოს ივერია ეწოდა. ამის მსგავსად შემდგომში, როცა ქართებმა იგდეს ქვეყნის პოლიტიკური საჭე და მის ორივე ნაწილს მისცეს საერთო პოლიტიკურ კულტურული სახელწოდება საქართველო, ყველგან ქართული (ქართის ენა) დაამკვიდრეს ლიტერატურულ და საეკლესიო ენად, გააქართველეს ივერების დიდი ნახევარი — ეხლანდელი იმერლები, გურულები და აჭარლები.“

ი. ყიფშიძე „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ საუბრობს სტრაბონზე, რომლის მიხედვით „ივერებს ანუ მეგრელებს უძველეს დროში ეპყრათ გაცილებით მეტი სივრცე, ვიდრე ახლა“. მეგრული ენის მკვლევარს მიაჩნია, რომ მეგრელების განსახლება აღმოსავლეთით დასტურდება შესაბამისი ტოპონიმებით. იგი ასეთ მაგალითებს პოულობს იმერეთში, რაჭაში, აღმოსავლეთ საქართველოში და შედარებით შორეულ საინგილოშიც კი. მისი აზრით, მეგრულით აიხსნება სახელწოდებები დიხაშხო, ქვაშხორი, წყალტუბო (წყარტიბუ — თბილი წყალი), თბილისი — ტიბუ. ინგილოური, ი. ყიფშიძის აზრით, „ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით, საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს მე-

გრელ ენასთან". ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ მაგალითად მკვლევარს მიაჩნია გაორებული ხმოვანი „აარ" (არა). იგი წერს: „საეჭვოა, რომ ამ მოვლენის მიზეზი არ იყოს ზემოთ აღნიშნული გადასახლება დასავლეთ ივერებისა აღმოსავლეთ საქართველოში." მაგრამ ესენი არ აინტერესებს გრ. ახალაიას.

საოცარია, რომ ინგილოები ხმარობენ ზოგ ისეთ სიტყვას (მაგალითად „კაღუ"), რომელსაც გაიგონებთ სამეგრელოში, მაგრამ სხვა სახით („კაკი") გვხვდება დანარჩენ საქართველოში და მათ შორის ინგილოების მეზობელ კახეთში.

ი. ყიფშიძის აზრის მიხედვით, თავის მხრივ მეგრულზეც მოუხდენია გავლენა ქართის ტომებს. „განსაკუთრებით დიდი გავლენა მეგრულზე ქართლს მოუხდენია ლექსიკურად და მორფოლოგიურად", — წერს მკვლევარი. მისი მტკიცებით, „მეგრელები ქართებთან განსაკუთრებით ახლო კულტურულ-პოლიტიკურ კავშირში არიან VIII საუკუნიდან. პოლიტიკური კავშირი ირღვეოდა, მაგრამ კულტურული რჩებოდა ლიტერატურულ-ეკლესიური თვალსაზრისით. მეგრელები თავის მხრივ აძლევდნენ და აძლევენ საქართველოს მოღვაწეებს, მთარგმნელებს, პოეტებს, მწერლებს, მეცნიერებს. ისინი ამდიდრებენ საერთო ქართულ საგანძურს, საერთო ქართულში შეაქვთ მეგრელიზმი ანუ ივერიზმი (სერობა — სერი, ორჭოფი — დედამთილი, მამამთილი, ხვადი — მამალი, ირქითი — მოულოდნელი). ასე რომ, მეფე არჩილის მიერ თეიმურაზის პირით, გაბაასებაში ნათქვამს: „რაცა ენა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა", — აქვსო გარკვეული საფუძველი. ი. ყიფშიძეს ქართველთა და მეგრული ენის წარმოშობის შესახებ ტრადიციულ თვალსაზრისად მიაჩნია ძმობა, ნათესაობა, თანაბარფარდოვნობა. ამასთანავე არსებობს რამდენიმე ტრადიციული შეხედულება. გრ. ახალაია ამას არ აქცევს ყურადღებას. იგი ისტორიის წყაროების მხოლოდ თავისი კონცეფციის გამართლების კუთხით იყენებს. ასე ზოგჯერ ბევრ ჩვენ თანამედროვე სწავლულსაც ემართება.

მეგრული ენის ლექსიკონის ავტორს მოაქვს კუთხური პატივმოყვარეობით ნასაზრდოები მაგალითებიც. ქართველები ზემოდან ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე. მას დამახინჯებულ ქართულს უწოდებენ. ი. ყიფშიძეს მოაქვს ს. ორბელიანის (XVII-XVIII სს.) ჟღურტული-მეგრელთ მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ლაპარაკი. ვახუშტი (XVIII ს.): „აქვსთ თვისცა ენა, განა წამხდარი ქართულივე". არც მეგრელები ჩამორჩებიანო: ისინი ქართულს დამახინჯებულ მეგრულს უწოდებენ ან ყოველ შემთხვევაში უკანასკნელისაგან წარმოშობილად თვლიანო. ი. ყიფშიძე აღნიშნავს: „ამას ბროსე ანგარიშს უწევდა და უწოდებდა ეროვნული თავმოყვარეობის ნაყოფს" (იქვე, გვ. 29). ამ შემთხვევაში ალბათ, მეგრული ენის განსაკუთრებული ეროვნული ღირსებების შესახებ აკაკის და ნ. მარრის შეფასებებიც მუშაობდა. ისიც იყო, რომ დასავლეთ ქართველებს წოწოლათავიანებად, ხოლო აღმოსავლელებს — მრგვალთავიანებად მოიხსენიებდნენ და სხვა მრავალი მსგავსი, ურთიერთ ნიშნის მოგებაზე გამიზნული მაგალითი არსებობს. ერთი და იგივე ტომის მეზობელი სოფლების წარმომადგენლებიც კი ზოგჯერ ხუმრობით ნიშნს უგებენ ერთმანეთს. მსგავსი მაგალითები მიზეზთა გამო დღეს უფრო ჭარბად გვხვდება და ხშირად ანეგდოტურად, ზოგჯერ კი აშკარად მტრული მიზანდასახულობით ვრცელდება. ისიც ხომ ნათელია თუ რატომ ხმარობენ სიტყვას „ცხენიპარია", ჟურნალ „ტარტაროზში", რატომ შემოსვეს გაჭენებულ თხაზე „მეგრელი". საწინააღმდეგოდ, ზოგი მეგრელი რატომ ხმარობს სიტყვებს — „ბაჭამ ქორთუ"... მაგრამ გრ. ახალაიასთვის მსგავსი გამოვლინებები მიღებულია, როგორც არგუმენტი.

ი. ყიფშიძე მართლაც ეხება ს. ხუნდაძეს. იგი არ ეთანხმება მის ქართულ გრამატიკაში გამოთქმულ აზრს, მაგრამ არა მეგრელ-ქართველთა ნათესაობის არსებობის საკითხში, როგორც ამას გრ. ახალაია გვაჩვენებს, არამედ იმაში, რომ

მას (ს. ხუნდაძეს) მეგრული და სვანური დედაქართულის ისეთივე კილოკავებად მიაჩნია, როგორიცაა ინგილოური, ფშაური, ხევსურული და ა.შ. მეცნიერი ამის შემდეგ წერს: „მეგრულ და ქართულ ენებს შორის ნათესაობის ასეთი თვალსაზრისი არამართებულია და მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხანია უკუგდებულიაო". (იხ. იქვე, გვ. 39). როგორც ვნახეთ, გრ. ახალაიამ პირიქით წარმოსახა ი. ყიფშიძის ნათქვამი და ნააზრევი. ამასთანავე, მან, როგორც კომუნისტმა, ქართულ ტომთა ურთიერთობას საფუძვლად დაუდო კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა. მაშასადამე, იცუღლუტა, ისტორიისა და ლინგვისტიკის მონაცემები გამოიყენა რეალურ ისტორიაზე ვითომ მეგრელთა ინტერესებიდან გამომდინარე, სამეგრელოსათვის წარსული დიდების დაბრუნების მოტივით, ისტორიული რევანშის მიღწევისათვის. მაგრამ, როგორც ქვემოთ ნაწილობრივ ვნახავთ, „მეგრულ საკითხზე" მსჯელობის დროს ცუღლუტობდნენ საქართველოს ცენტრის მაღალი დონის პარტიული და სახელმწიფო მუშაკებიც.

გრ. ახალაია ივერ-მეგრელთა აღმოსავლეთ საქართველოში განსახლებისა და მათზე კულტურული ზემოქმედების ახსნის დროს ეყრდნობა ს. გორგაძეს. ს. გორგაძემ მართლაც გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, მ. წერეთლის, ი. ყიფშიძის და სხვათა მსგავსი ნააზრევის მტკიცებულობებზე დაფუძნებული პოპულარული წიგნი — „საქართველოს ძველი ისტორია. სისტემატიური კურსი სკოლებისათვის". მისი შესავალი ნაწილის, უძველესი ხანის, ანუ ძველი ისტორიის მესამე შევსებული გამოცემა გამოქვეყნდა 1920 წელს. იგი მთავრდება ქრისტიანობის გამარჯვებითა და არაბთა შემოსევით. როგორც ჩანს სწორედ ამ წიგნით ხელმძღვანელობდა გრ. ახალაია. ამ სტატიის სათანადო ადგილების მოხმობის საჭიროება, ჩვენი აზრით, აღარ არის აუცილებელი, რადგან იგი პრინციპში იმასვე ეყრდნობა, რაზეც საუბარი გვქონდა ი. ყიფშიძის ნააზრევთან დაკავშირებით. არც არის გასაკვირი, როგორც ი. ყიფშიძის ნააზრევის შესახებ საუბრის დროს ვნახეთ, მეცნიერთა შორის აღნიშნული ვერსია იმხანად სწორედ მიიჩნეოდა. ამასთანავე, როგორც ჩანს, გრ. ახალაია დაინტერესდა მეცნიერმკვლევართა შრომებში დამოწმებული წყაროებით. ამით მას შეეძლო გაეგო, რომ სტრაბონის მიხედვით, იასონს და მის თანმხლებთ გაუვლიათ იბერია, მისულან კასპის ზღვამდე. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან; აღმოსავლეთ ქართველთა სამეფო სახლის მამამთავრობა კი, „არიან ქართველთა ძეს, აზოს" და მცხეთის მამასახლისთა ჩამომავალ ფარნავაზს (III ს. ძვ.წ.აღრ.) არა სცილდება. სტრაბონსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ს. გორგაძემ აღნიშნული ვერსია შემდგომ განავითარა. მაგრამ იგი გრ. ახალაიასეული დასკვნების შესაძლებლობას გამორიცხავს. ამასთანავე დასავლეთ ქართული პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე არ არის გაზიარებული თანამედროვე მკვლევართა მიერ, რომელთაგან არქეოლოგები და ისტორიკოსები აღიარებენ კოლხური კულტურის გავლენას.[1]

ქართულ ტომთა ეთნოგენეზისის მკვლევარის გრ. გიორგაძის 1999 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი" (გვ. 171-172) ვკითხულობთ: „ხათურ ენასთან და ხათებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული, განსაკუთრებით ხათურის გენეტიკური

---

[1] ამ საკითხ'ხე იხ. ო. ჯაფარიძე, „ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით". თბ. 1976; მისივე, „დასავლეთ საქართველო გვიანბრონზაოს ხანაში", ეურნ. „ მაცნე", ისტორიის სერია, №2, 1982; თ. მიქაძე, „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან" (ძვ.წ.ა. II – I ათასწლეული), თბ., 1974; დ. მუსხელიშვილი, „ხოლქეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა", თბ. 1978; ნ. ირემაშვილი, „პირველად არქეოლოგიაში", იხ. „ძველის მეგობარი", №39, თბ. 1965; ო. ღამბაშიძე, „ბეიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფ. დოღლიაურთან", იხ. მ.ს., ტ. VI. თბ., 1974; ბ. მაისურაძე, ო. ფანცხავა, „შიდდის სამლოცველო", შრომები, ტ. VII, თბ., 1984 და სხვ.

კავშირისა ერთ რომელიმე გარკვეულ ენასთან. ზოგიერთი მკვლევარი ხათების შორეულ მემკვიდრედ თვლის მოგვიანო ხანის პონტოში მცხოვრებ ქასქების (ქაშქების) ტომებს, რომლებსაც ახლა ზოგჯერ მიიჩნევენ... დასავლურ ქართველურ, კერძოდ მეგრულ-ჭანურ, ზოგადად სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებად. თუკი მომავალში ეს ჰიპოტეზა გამართლდება, მაშინ გაჩნდება კიდევ ერთი არგუმენტი დასავლურ ქართული ტომების დაკავშირებისათვის ხათებთან..." პროფესორი გურამ ყორანაშვილი მის მიერ მობილიზებული წყაროებითა და რიგი თანამედროვე მკვლევართა არგუმენტების გამოყენებით საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს „არგონავტების მითით" „კოლხეთის ისტორიის გააზრებას". მისი აზრით „დროა, კარგა ხანია დროა რომ არგონავტების მითთან დაკავშირებით შევეშვათ დიდი „ისტორიული მარცვალის" ძიებას"... (გ. ყორანაშვილი, საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხები, თბ. 2000, გვ. 21). ამის გამო კრიტიკული აზრი არაერთმა ავტორმა გამოსთქვა (იხ. კ. შელია, კოლხეთის კარიბჭესთან, გაზ. „დიოსკურია", 2006, №33, ივნისი). მათ ნიკო მარრის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შეხედულებები მიაჩნიათ მართებულად.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის აზრით, კავკასია ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა. იგი მხარს უჭერდა მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს ქართველების სამხრეთში გაფენილობისა და სამხრეთული წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ქართული ენა-კავების ერთ ჯგუფში ერთიანდება ქართების, მეგრელ-ჭან-სვანების ენა, მეორეში აფხაზური და ქართულის მონათესავე სხვა ენა. ხანგრძლივმა ისტორიულმა ცხოვრებამ და არსებობამ საერთო ენა და დამწერლობაც შექმნა. თითოეულ ტომს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართველი ერის ამ საერთო საუნჯეში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1919, გვ. 3-4).

ს. ჯანაშია ივ. ჯავახიშვილის აზრის გამოყენებით, მიიჩნევს, რომ ქართულ-მეგრული ტომების საკუთარ სახელებში (ქართული კარდუხი) ერთიდაიგივე ქვეყნის სახელი გვხვდება; იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოის ტომების სახელწოდებაში მოიპოება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო... (აკად. ნ. მარრის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. V-VI.1940). ამასთანავე, მეცნიერები აღიარებენ ამ საკითხების შესწავლის ხარვეზიანობასა და სირთულეს. – გრ. ახალაიას დროს და მის მიერ კი ამ საკითხის გარკვევა მით უმეტეს იყო შეუძლებელი, მით უმეტეს არ შეიძლებოდა ძველი საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამოცხადება თუბალებისა და მაკრონების თუ „ძველი სამეგრელოს ისტორიისა და კულტურის პლაგიატობით მითვისებულ ისტორიად და კულტურად". მაგრამ, როგორც ჩანს, იძებნება წყაროები, რომელთა მიხედვით ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ „5-6 ათასი წლის წინ, წინა აზიის უდიდესი ნაწილი, ჩრდილოეთ აფრიკა, და სამხრეთ ევროპა (პირინეის, აპენინის და ბალკანეთის ნახევარკუნძულები) დასახლებული იყო მონათესავე ხალხებით. შემდეგ ევროპაში მოვიდნენ ინდოევროპიელები, რომლებმაც ამ უძველესი მოსახლეობის გავლენა განიცადეს. ამ ძველ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ ბასკები – პირინეიზე, ეტრუსკები – აპენინზე და პელაზგები – ბალკანეთზე, ხეთები და სუბარები – წინა აზიაში. სუბარები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან კავკასიონამდე. ხეთები და სუბარები იყვნენ ქართველთა წინაპრები. ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში ხეთა-სუბარეთის მოსახლეობა დაიქსაქსა. მათგან ყველაზე ძლიერები იყვნენ მუშქები და თუბალები. მოგვიანებით, ძველი წელთაღრიცხვის XI-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა შექმნეს ურარტუს სახელმწიფო.

ურარტუს განადგურების შემდეგ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა კოლხეთი და იბერია...“ ს. ჯანაშია სახელმწიფოებრივ-კულტურული ცენტრის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მონაცვლეობაზე მიუთითებს (იხ. მ. ვაჩნაძე. ვ. გურული, მ. ბახტაძე. საქართველოს ისტორია... X კლასის სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2002, გვ. 18-19). ამ ჰიპოთეზის საფუძვლის დამდები წყაროების გაცნობის შემთხვევაში გრ. ახალაიას, მ. დადიანს და სხვებს შეეძლოთ ეფიქრათ, რადგან კოლხები უძველესი წარმოშობისანი არიან და კოლხეთის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა, მაშასადამე, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი დასავლეთ ქართველნი, ე.ი. მეგრელების წინაპრები ყოფილანო. არსებობს სხვა უამრავი წყარო, ესე იგი, შესაძლებელია გარკვევა იმისა, თუ რას, რის თავისებურ გაგებას ეყრდნობოდნენ გრ. ახალაია ან მისი თანამოაზრე სამეგრელოს ავტონომიისა თუ სამეგრელოს საქართველოსაგან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები, როდესაც აცხადებდნენ, რომ მეგრული ენა იყო მსოფლიოს ხალხთა ენების პირველსაწყისი. როგორც ზემოთ ვნახეთ, მ. დადიანს ადანაშაულებდნენ, რომ მან ეს აზრი ჩამოაყალიბა ვინმე პროცენკოს პუბლიკაციებზე დაყრდნობით. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა გეოგრაფ იური პროცენკოს ველიკორუსული შოვინიზმით გამსჭვალული რამდენიმე ბროშურა („Определение сети главнейших дорог в черноморском округе Сухумском отделе“, Тиф. 1879. Краткая география Кавказа. По сравнительному методу. Тиф. 1889...). მათში ველიკორუსული შოვინიზმის პოზიციიდან არის გაშუქებული საქართველოს თანადროული (XIX ს. II ნახევრისა) და წარსული ისტორია. ავტორი აღწერს საქართველოს თანადროულ უკიდურესად მძიმე მდგომარეობას, კომუნიკაციის სირთულეებს, უგზოობას და აცხადებს: „ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ შესძლო თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში დასახლებული თავისი ტომების თავმოყრა ერთ შეკრულ ხალხად. ასეთი გაერთიანებები მალე იშლებოდნენ ცალკეულ სამფლობელოებად... საქართველოს ეს დაქუცმაცებულობა გვაფიქრებინებს, რომ ძველად ქართველი ხალხი არ იყო ერთგვაროვანი და ისევე იყოფოდნენ, როგორც ახლა რუსები, ანუ სლავები. ეს დაქუცმაცებულობა ქართველებს ხელს უშლიდა მეზობლებისაგან დამოუკიდებლობის დაცვაში. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე იყო კარგი წლებიც, მაგრამ იგი სრულ 100-ს არ აღემატებოდაო. იგი საქართველოს აღორძინებას ხედავს მხოლოდ მისი მართლმადიდებელ რუსეთთან „შერწყმის“ ხანაში. ი. პროცენკო საქართველოს დედაქალაქის ისტორიას აღწერს მხოლოდ მასზე გამუდმებული ამაოხრებელი თავდასხმების თვალსაზრისით. ქართველებისათვის ერთადერთ ღირებულ მფარველად აცხადებს რუსეთს და უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამს მოსახლეობის მხრივ რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამო. მისთვის შეუმჩნეველია, რომ არსებობს ქართული ეროვნული ინტერესები, ხოლო რუსეთის იმპერია გამოცხადებული ჰყავს მხოლოდ უდიდეს სიკეთედ საქართველოში მცხოვრები ხალხებისათვის. ამას თუ ბოლშევიკურ-კოსმოპოლიტური პრესის ნიჰილისტურსა და პროლეტარული ინტერესებიდან გაშუქებულ იმ სტატიებსაც დაუმატებთ, რომლებშიც „მპყრობელი ქართველი ერი“ წარმოჩენილია საქართველოში მცხოვრები სხვა დანარჩენი ერების გამაუბედურებლის როლში, გასაგები გახდება საიდან იკვებებოდა გრ. ახალაიას და მისი თანამოაზრეების სიძულვილი და მტრობა საერთო ქართული ეროვნულისადმი.

აღნიშნული ბოლშევიკური „ნასიბრძნის“ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ვრცელი საუბარი. ახლა მიზანშეწონილად გვესახება მოვიხმოთ მხოლოდ ორიოდე

ამონარიდი. ბოლშევიკი თეორეტიკოსი, ვინმე კანი, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში: „ეროვნული საკითხი საქართველოში“ (25. III. 1921), ეყრდნობა ეროვნულ საკითხზე რეკომის დეკრეტს და გრ. ახალაიას მსგავს კომუნისტებს ამცნობს, რომ: „რევოლუციური მთავრობა ეუბნება მათ („საქართველოში ყველა მცხოვრებ ერს“ — ავტ.): ჩვენ შეექმნით პირობებს როდესაც არ იქნება გაბატონებული (ე.ი. ქართველი — ავტ.) და ჩაგრული (მათ შორის მეგრელი — გრ.ა.) ერი... თუ ასეთ გარემოში თქვენთვის სასურველია და სასარგებლო საქართველოს ფარგლებში დარჩენა, ასეთ გადაწყვეტილებას ჩვენ მივესალმებით... თუ სხვა გზას აირჩევთ, ხელს არ შეგიშლით. სახელმწიფოებრივი საზღვრები არ შეიძლება იმ კედლად აღიმართოს, რომელიც მუშათა კლასის შეკავშირებას მეტად გააძნელებს“. ჰოდა, მას შემდეგ, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ხუთწლიანმა პრაქტიკამ ფეხებზე დაიკიდა ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების ინტერესები, გრ. ახალაიამ და მისმა თანამოაზრეებმაც გამონახეს „გამოსავალი“...

მაშასადამე, გასაგები ხდება, რომ გრ. ახალაიას წერილებში გამოთქმულ ღვარძლს ასაზრდოებდა სინამდვილის მისეული შემეცნება, რომლის მიხედვით: „განუყოფელი საქართველო სისხლის ოკიანისათვის არის მოგონილი“; „მეგრული ენის ქართულ ენასთან ნათესაობის მტკიცება — არის აზრის მოწამვლა“; „საქართველოს ხელისუფალნი ცდილობენ მიჩქმალონ თვითმყობადი სახე მეგრელი ხალხისა და აშინებენ სისხლიანი შურისძიებით“ — რაც თითქოს ნასაზრდოები იყო ჯერ „მენშევიკური ხელისუფლების“ მიერ, ახლა კი კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების „წყალობით“ შექმნილი იდეოლოგიური ფონით.

გრ. ახალაიას და საერთოდ „ჩხოუშიელი“ ავტონომისტ-სეპარატისტების იდეოლოგთა მანკიერი აზრის დახასიათების გაგრძელება, ალბათ, აღარ უნდა იყოს აუცილებელი, მით უმეტეს, რომ მათი განადგურების მიზნით ორგანიზებული კამპანიის დროსაც ბევრი ითქვა ამ მიმართულებით, რომელიც ცხადყოფს, რომ ეს არის ქართული ეროვნული ცნობიერებიდან გამიჯნული, კუთხური პატივმოყვარეობით დაავადებულთა სეპარატიზმი. მაგრამ ასეთები „ჩხოუშიელთა“ შორის გამოვლინდნენ მხოლოდ ახალაია, ბუკონიათა, ბესელიას და ზოგ სხვათა სახით. მათ შესახებ არსებული წყაროებიდან არ ჩანს, მართლა რაიმე ანგარიშგასაწევ რაოდენობასა და ძალას წარმოადგენდნენ, ან, რომ 1926 წლის შემდეგაც არსებობდნენ და თუნდაც თვით ავტონომისტების სახითაც კი, შემოკრებილი ჰყავდათ თანამოაზრე-თანამებრძოლები. ამიტომ ცხადია, რომ მათი საშიშროება გაზვიადდა არა მარტო რეალიმაციის რეალური საფრთხით, არამედ მათი მოდგმის ხალხის, ნახევრად ხუმრობით „პირველი სორტის“ ქართველებად წოდებულთა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი საქმიანობის განსაკუთრებული კონკურენტუნარიანობით საქართველოში და არა მარტო ჩვენს სამშობლოში.

მაგრამ აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ახალაიას ზოგი ნათქვამი იყო მართალი და სიმართლით ნასაზრდოები. იგი მართალი იყო, როდესაც ამბობდა: „მეგრელებს აშინებდნენ სისხლიანი შურისძიებით“, გამეფებულია „ბეჭდვითი სიტყვის, პრესისა და სიტყვის მონოპოლია“, „არ აჭაჭანებენ მეგრელების დასაცავ ხმას“, „მენშევიკური და ბოლშევიკური პოზიცია ერთფეროვანია“, „ძალადობა, ადმინისტრირება და მუქარაში“ გამოიხატება; „მეგრელი ხალხი განიცდის დევნას, შევიწროებას“; „სწავლების პრინციპი“ და სიკეთე დარღვეულია; გამეფებულია ძალმომრეობა — პარტიიდან გარიცხვა და სხვ. მაგრამ აქ გრ. ახალაია არ არის მართალი იმ მხრივ, რომ მას ვერ გაურჩევია მეგრელების მიმართ განხორციელებული ამ ძალმომრეობის ობიექტური მიზე-

ზები და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც არსებობდნენ პარტიულ-სახელმწიფოებრივი და რეჟიმის ინტერესების პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული გაგებით, მაგრამ არა მართლა ეროვნული ინტერესებით იყო ნასაზრდოები და ამ მხრივ კი მნიშვნელოვანწილად, ზოგადად დანარჩენი საქართველოს წარმომადგენლობაც არ იყვნენ დაზღვეული.

უმაღლესი პარტიული ფორუმების ტრიბუნიდან იშვიათად როდი გაისმოდა ძალაუნებური აღიარება იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებთაგან სხვებიც გამოსთქვავდნენ რეჟიმით უკმაყოფილებას. საქართველოს კომპარტიის მე-5 ყრილობაზე (12-19. XI. 1927) აღინიშნა, რომ „ცალკე სამაზრო და საოლქო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ცკ-ის დირექტივების მტკიცედ გატარება ნაციონალურ საკითხში... ჩვენ გვქონდა არასწორი მიდგომა ნაციონალური საკითხის გადაჭრისადმი აფხაზეთში მომუშავე ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების მხრივ, რომლებიც მოითხოვდნენ აფხაზეთში (მათ შორის გარე სამეგრელოში — ავტ.) სახელმწიფო ენად რუსული ენის შემოღების აუცილებლობას... ასეთი არასწორი მიდგომა შედეგი იყო აფხაზეთის სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ ძველ რუს მოხელეთა... რომლებიც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ აპარატის ნაციონალიზაციას. მეორე მხრივ აჭარისტანში ჩვენ გვქონდა „ქართული მიდრეკილების“ გამოჩენის შემთხვევა, განსაკუთრებით ქართველ უკლონისტების მხრივ, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებს მაზრებს უფარდებდნენ და არ სურდათ არავითარ შემთხვევაში ანგარიში გაეწიათ ადგილობრივი პირობებისათვის. საბჭოთა ორგანოების ადგილობრივ მუშაობის ზოგიერთი ნაკლი უკმაყოფილებას იწვევდა ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრის თურქებისა და სომხების მოსახლეობაში“. ყრილობამ აღნიშნა, აგრეთვე ე.წ. „ავტონომისტური“ გადახრის არსებობა ზუგდიდის მაზრაში. მაგრამ ეს იყო რეალური სინამდვილის შესახებ მიზნობრივად ნათქვამი. სინამდვილეში კი, უკმაყოფილებისათვის საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა სერიოზული საფუძვლები.

გრ. ახალაია, სათანადო საარქივო მასალების მიხედვით, „ჩხოუშიელ“ სეპარატისტებს შორის შემორჩა, როგორც ეული გამოუსწორებელი პიროვნება. მისი სეპარატისტული არგუმენტების შემცველი დასმენა-საჩივრები 1926 წლის შემდეგ აღარ ჩანს. მაგრამ არქივში გვხვდება საჩივარი გრ. ახალაიას მისამართით, საიდანაც ირკვევა, რომ იგი თავისას მაინც არ იშლიდა და 1920-იანი წლების ბოლოს ზუგდიდის დამზადების მოხელედ მუშაობის დროს სათანადო ცნობებს ზოგჯერ „ქორთუებსაც“ მეგრულ ენაზე აძლევდა. ამის გამო უკმაყოფილოებს კი იგი ნიშნის მოგებით უცხადებდა: თუ მეგრულად დაწერილი ცნობა არ მოგწონთ, დააბრუნეთ და რუსულ ენაზე დაწერილს მოგცემთო (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 269). აი როგორ გაუღიზიანებიათ იგი „ქართველებს“.

მართალია, გრ. ახალაიას მსგავსი სეპარატისტების წერილები 1926 წლის შემდეგ აღარ გვხვდება, მაგრამ ზუგდიდის მაზრაში მრავლად ჩანან „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარებისათვის მებრძოლები, აგრეთვე მოჩანან ტრადიციონალისტები, რომლებსაც უყვართ მეგრული ფოლკლორი, ყოფითი კულტურული ჩვევები და, რაც მთავარია, მეგრული ენა. ისინი კარგად ერკვევიან საერთო ქართულ ეროვნულობაშიც და კულტურაშიც, მაგრამ მიაჩნიათ, რომ საერთო ქართულ პარტიულ-იდეოლოგიურ ინტერესებს და დოგმებს არ ეწინააღმდეგება მეგრული თვითმყობადობის მახასიათებელთა შენარჩუნების ინტერესები. თუმცა როგორც ქვემოთ ვნახავთ, შემდეგშიც გვხვდებიან თავიანთი აზრით, სამართლიანობისათვის მებრძოლი ყოფილი ერთეული ავტონომისტები — საეჭვო თუ სალანძღავი სიტყვებით და სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის

მსგავსი რეკომენდაციებით (ტ. დ. შენგელია, ვ. კორტავა). მაგრამ არა გრ. ახალაიასებური სეპარატისტული სიძულვილით აღსავსე ანტიქართული ღვარძლით, არამედ „მეგრული საკითხის“ პრობლემების უკეთ მოგვარებისა და უკმაყოფილებათა აღმოფხვრის მოტივით. ერთიანი სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნის რეკომენდაციით. მაგრამ მსგავსი აზრები მიზნობრივ-პოლიტიკურ დამოკიდებულებას და შეშფოთებას იწვევდა საქართველოს ცენტრის მეგრელი სეპარატისტების მომსწრე, მათ მიერ „დამფრთხალი“ თუ პოლიტიკანურად წინდახედულ ბიუროკრატიულ-პარტიულ და საბჭოთა ჩინოვნიკობაში, რომელთა შორის მრავლად იყვნენ გრ. ახალაიას მსგავსი ჯიუტები, მაგრამ პირუკუ აკვიატებული აზრების მქონე დოგმატიკოსები, მედავითნეები და დამფრთხალი გონების პატრიოტები. ისინი „მეგრული ადგილობრივ ნაციონალიზმის“, „ავტონომიზმისა და ანტიქართული „სეპარატიზმის“ გამოვლინებას ხედავდნენ „მეგრული საკითხის“ სამართლიანად, რაციონალურად მოგვარების იმ წინადადება-მოთხოვნებშიც კი, რომლებსაც აყენებდა ზუგდიდის ცენტრი და მისი ხელმძღვანელი ი. ჟვანია. ამის თვალსაჩინო მაგალითი ბევრია, განსაკუთრებით რელიეფურად კი ეს წარმოჩნდა საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობაზე (1929 წ. 1-10 ივნისი) და 1933 წლის ზოგი საჩივრის ავტორთა სახით.

მაშასადამე, 1925 წელს არსებობდა როგორც „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარების, ისე მისი დამამუხრუჭებელი ტენდენციები, აგრეთვე მისით გამოწვეული ავტონომისტური და სეპარატისტული მისწრაფებები. მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არ გაუწყვეტიათ. საჭირო იყო პრობლემის მიმართ მეტი ყურადღება, სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის ერთვნულად მიუღებლობის სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე პროპაგანდა, ერთი მხრივ, ავტონომისტების, და მეორე მხრივ „ი. ჟვანიას მოთხოვნებში“ რაციონალურის დანახვა-გათვალისწინება და განხორციელება. სინამდვილეში კი „მეგრული საკითხის“ რაციონალურად მოგვარებას დიდხანს საშველი არ დაადგა.

თავი X

„მეგრული საკითხის“ მოგვარების ჩეკისტური გზა

„მეგრული საკითხის“ მოგვარების ჩეკისტური გზა მკაფიოდ იკვეთება მას შემდეგ, როცა საქართველოს კომპარტიის ცკ-მა სპეციალურად გამოყოფილი კომისიის შემადგენლობაში შეიყვანა საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების წამოწყების წამბიძგებელი და მისი ჩახშობის მთავარი ორგანიზატორი, ორგზის ორდენოსანი ლავრენტი ბერია. მან საბჭოთა მთავრობის პირველი ჯილდო დაიმსახურა იმის გამო, რომ „გამოავლინა“, ვითომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან, ანუ „პარიტეტულ კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო ცენტრის“ მიერ მოეწყო ხევსურეთის 1922 წელს აჯანყება და 1923 წლის დასაწყისში ასევე „სამხედრო ცენტრის“ მიერ კვლავ ვითომ კიდევ ერთი ახალი აჯანყების პრაქტიკული მზადება სწარმოებდა. ამ ყალბი ბრალდებებით 1923 წ. მაისში დახვრიტეს „სამხედრო ცენტრის“ წევრები, გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები როსტომ მუსხელიშვილი, გოგი ხიმშიაშვილი და მათთან ანტისაბჭოთა არალეგალური მუშაობით დაკავშირებული 15 თვალსაჩინო ქართველი მხედარი სინამდვილეში ხევსურეთის აჯანყება მოეწყო „პარიტეტული კომიტეტისა“ და მასთან არსებული „სამხედრო ცენტრის“, აგრეთვე ანტისაბჭოთა არალეგალური პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი სამხედრო პირთა კომიტეტის მიერ, რომლის ლიდერი იყო კ. აფხაზი. ხოლო 1923 წლის დასაწყისში ახალი აჯანყებისათვის პრაქტიკული მუშაობა არ წარმოებდა. ჩეკას ორგანიოების მიერ მოსპობილთა ოფიციალური ბრალეულობები კი „პარიტეტული კომიტეტის“ „სამხედრო ცენტრის“ ქმედებათა გაყალბება-გაზვიადებით და იმ მთავარი მიზნით შეითითხნა, რომ ანტისაბჭოთა ბრძოლის მთავარ ცენტრს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა და მოებლანდათ მის წევრთა მოსპობისათვის საჭირო, მუხლის შესაბამისი იურიდიული კვალიფიკაცია (ამ საკითხზე იხ. გ. ციციშვილის, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“. თბ. 2003) საბჭოთა მთავრობის მეორე ჯილდო ბერიამ ა. კვანტალიანთან და სხვა ჩეკისტებთან ერთად დაიმსახურა 1924 წლის სრულიად საქართველოს აჯანყების მზადების გამოვლინებისა და აჯანყების ჩახშობის სამუშაოების უნარიანი ორგანიზებისათვის.

ლ. ბერია საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1925 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით შეიყვანა კომისიაში, რომელსაც დაევალა „მეგრული საკითხის“ მოგვარება. ბერიამ იმდენად უნარიანად იმუშავა, რომ „მეგრული საკითხის“ ყველა, რაციონალურად, ანუ სამართლიანად თუ ავტონომისტურად, ე.ი. უსამართლოდ მოგვარების ინიციატივა ერთ საერთო დანაშაულებრივ ავანტიურად შეირაცხა. იგი ამ გზით ანტისაბჭოთა ავტონომისტურ-სეპარატისტულ, კონტრრევოლუციურ და ანტიეროვნულ მიზანდასახულობის დანაშულად გამოცხადდა, ისაკი ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობას კი მაფალულების თანაგრძნობა-მფარველობა დაბრალდა. მართალია სიმართლე იმთავითვე გაირკვა, მაგრამ საბოლოო ჯამში პრობლემა ჩეკისტურად მოგვარდა, სიმართლე გაყალბდა და „მეგრული საკითხი“ შემდგომშიც მოსაგვარებელი გახდა. მაგრამ ახლა „მეგრული საკითხის“ არსის ჩეკისტურ-სახელმწიფოებრივი ვერსიით წარმოჩენა-გაგების გამო, მისი რაციონალური გადაჭრა უაღრესად მტკივნეული გახდა და, ამავე დროს, იმდენ ხანს გაჯანჯლდა, რომ იმ დროში სავსებით შესაძლებელი იყო ამ პრობლემის უმტკივნეულოდ, გარდამავალი ხასიათის დროული ღონისძიებებით მოგვარება. ამის გაცნობიერების მიზნით საჭიროა საკითხის გაშუქება ახლა უკვე ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილებიდან დავიწყოთ.

ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილება, როგორც ზემოთ, მაზრის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე გავეცანით, საჭიროდ მიიჩნევდა რიგი არაავტონომისტური, მაგრამ სამეგრელოს რეალობით ნაკარნახევი ღონისძიებების გატარებას:

1. სამეგრელოს, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-ტერიტორიული ერთეულად გაფორმებას;

2. პარტკომის ყოველდღიურ ორგანო გაზეთის და სხვ. პოლიტიკურ-ლიტერატურული და სასოფლო- სამეურნეო ხასიათის ფურცლების გამოცემას;

3. პირველი საფეხურის სკოლებში სწავლების მეგრულ ენაზე შემოღებას;

4. ყველა დაწესებულებაში საქმის წარმოების მეგრულ ენაზე დაშვებას.

ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ იგი მიღებულია ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, მაგრამ თბილისის ცენტრიდან სპეციალურად, „მეგრული საკითხის" შესწავლა-მოგვარების მიზნით გამოგზავნილი ხელმძღვანელი მუშაკების, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის და პასუხისმგებელ პირთა, „მათიკაშვილის, გიორგაძის და ეგოროვის თანდასწრებით", და მაშასადამე, მათთან თანამშრომლობითა და მათ მიერ მოწონებით.

აღნიშნული დადგენილება დაცულია საქართველოს პრეზიდენტის არქივის შესაბამის ფონდში (ფონდი 14,აღ. 6, ს. 266, ფურც. 54, 54/2). როცა მკვლევარი ამ დადგენილებას გაეცნობა, ნახავს რომ მუხლი პირველი დაბეჭდილია ასეთი რედაქციით: „Оформить Мингрелию как культурно-территориальную единицу, входящую в СССР" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ამ მდგომარეობას ზემოთ, ერთხელ უკვე დაეთმო ყურადღება, მაგრამ იგი იმდენად დამაბნეველი და მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ კიდევ ერთხელ გაგვეხადა მსჯელობის საგნად. ეს არის დადგენილების ასლი, რომელიც დადასტურებულია წარწერებით „თავმჯდომარე", „მდივანი ა. ქავთარაძე", „სწორია: (ოგანიანი)". მაშასადამე, 24 აგვისტოს ზუგდიდის პარტიის სამაზრკომის დადგენილებაში შეიმჩნევა ლაფსუსი წერია „სსრკ" — უნდა იყოს „საქ. სსრ". ეს იმდენად ცხადია, რომ ჩემმა წინამორბედმა მკვლევარმა, ბატონმა ა. დაუშვილმა თავის პუბლიკაციაში ყოველგვარი კომენტარის გარეშე სწორად გაიაზრა და გამოიყენა. მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ სხვა დაინტერესებული წამკითხველიც პროვოკაციის გარეშე, სწორად გაიგებს მას? ამიტომ საჭიროა აქვე ბოლომდე გავარკვიოთ „შეცდომა". ჩვენი აზრით, ცდომილება გამოწვეულია იმით, რომ დედნიდან ასლის გადაღების დროს, 1931 წელს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ ოგანიანმა განგებ ვერ შეამჩნია დადგენილების ასლის გადამღები მბეჭდავის მიერ დაშვებული შეცდომა და ქართული ვარიანტის „ს (საქართველოს). ს (საბჭოთა). ს (სოციალისტური). რ (რესპუბლიკა)" ანუ „სსსრ" რუსულ ვარიანტში გადაიტანა „СССР"-ად. ამიტომაც დადგენილება არქივში ამ სახით აღმოჩნდა. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს განგებ დაშვებულ მიზნობრივ „შეცდომასთან" და ეს უნდა იყოს საქართველოს იმდროინდელი იმ პარტიული ელიტის შეცდომაში შესაყვანად, რომელსაც იგი უნდა გადასცემოდა გასაცნობად. აქ საქმე ის არის, რომ როგორც ადრე განვმარტეთ, 1931 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად დანიშნულმა ლ. ბერიამ ი. ჟვანიას წინადადებით დაიწყო „მეგრული საკითხის" გამო დოკუმენტაციის თავმოყრა. შემდეგ იგი პარტიის ხელმძღვანელ მუშაკებს უნდა გადასცემოდა საკითხის გასაცნობად. აკაკი ქავთარაძე ის პიროვნებაა, რომელიც 1925 წელს ი. ჟვანიასთან ერთად ზუგდიდის ცენტრს (აღმასკომს) ხელმძღვანელობდა, მაგრამ მიზეზთა გამო მალე ჩამოაშორეს. ამის შემდეგ მათ შორის მტრობის აღმოცენება ჩანს. ოგანიანი ამ დროს მუშაობდა ცკ-ის საიდუმლო განყოფილების გამგის თანამდებობაზე. იგი საქმის კურსში იმყოფებოდა, როგორც „მეგრული საკითხის", ისე ი. ჟვანიას და მისი

მოწინააღმდეგების, ბერიას და სხვათა მტრული ურთიერთობის ამბებთან დაკავშირებით და შეეძლო ა. ქავთარაძის გავლენით, ან კონიუნქტივის მოთხოვნით, ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეთა საამბელად საქართველოს (Грузии-ს) აღმნიშვნელი ასო „Г"-ს ნაცვლად დაეტოვებინა ქართული „საქართველოს" შესაბამისი ასო „С". შესაბამისად იმ კონიუნქტურული სიტუაციისა, რომელიც ამ დროს ი. ჟვანიას და ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა. ამიტომ ქართული ტექსტიდან რუსულ თარგმანში „საქართველო სსრ", „ससრ-დ" გადაკეთდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ოგანიანმა „მცდარი" თარგმნით გარკვეული დავალება შეასრულა. არა ჩანს, რომ ამ სერიოზულმა „შეცდომამ" სკანდალი გამოიწვია. მაგრამ სათანადო წყაროებით კარგად ჩანს, რომ აქამდეც და ამის შემდეგაც ბერია და მოწინააღმდეგე პარტოკრატები ი. ჟვანიას ადანაშაულებენ ავტონომისტ-სეპარატისტების მფარველობაში, ამ უკანასკნელებს კი სამეგრელოს ავტონომიად გამოყოფის მცდელობაში. ეს განსაკუთრებით გახმაურდა ადრე ზუგდიდის მაზრაში შემავალ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს, 1930-1931 წლების უკვე დამოუკიდებელ რაიონებში. ამ გაყალბების კამპანიაში კი აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ერიკ ბელია, აგრეთვე აღნიშნული რაიონების რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები და სხვა პასუხისმგებელი პირები (ე. უბირია, ვ. შოგირაძე, აკ. კობახიძე, ვ. ბოკუჩავა, მ. პერტახია და სხვ.), რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდნენ ი. ჟვანიას. ამიტომ გვესახება, რომ ზემოთ აღნიშნული „შეცდომა" იყო მიზნობრივი და უაღრესად სერიოზული.

მეორე შენიშვნა ეხება II მუხლს. როგორც ვხედავთ, აქ მკაფიოდ არ არის მითითებული, რომ გაზეთი და სხვა გამოცემები რომელ ენაზე უნდა გამოსულიყო. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ მხედველობაში ქართულთან ერთად მეგრულიც ჰქონდათ. ამან შემდგომში ი. ჟვანიას მიმართ დარჩენილის ბოლშევიკების უკმაყოფილება გამოიწვია. ეს მუხლი მათ ისე გაიგეს, რომ თითქოს ი. ჟვანიამ ქართულის არმცოდნეებს მოუსპო მეგრული საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნება-გამოყენების საშუალება (მხედველობაში გვყავს მამფორიების ჯგუფი). დადგენილების შინაარსიდან და სხვა დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ აქ ნაგულისხმებია სამაზრო ინფორმაციული საშუალებების მეგრულად გამოცემა. მაშასადამე, სიზუსტე აკლია.

აღნიშნულთან და ზოგ სხვა ნიუანსთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ დაწესებულებების მეგრულ ენაზე გადაყვანა და დაწყებითი სკოლაში მეგრულად სწავლების შემოღება ერთიანი სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ოლქში, მას მიანიჭებდა საქართველოს სხვა მაზრებისაგან განსხვავებულ სტატუსს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ან მითუმეტეს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სათანადო მუხლები არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ მეგრული ენის სტატუსი გავაიგივოთ ოსური, აფხაზური ან სხვა ეროვნული უმცირესობების ენის უფლებებთან. ჩვენი აზრით, სამეგრელოს ასეთი ორიგინალური სტატუსი სავსებით შეესაბამებოდა მის იმდროინდელ რეალურ მდგომარეობას და მოთხოვნილებას. ეს იქნებოდა გარდამავალი პერიოდისათვის განკუთვნილი, გარდამავალი ხასიათის იმ ღონისძიებათა უზრუნველყოფა, რომელიც გამოიწვევდა რაიონის შედარებით სწრაფ კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებას და დანარჩენ საქართველოსთან ჰარმონიულ კულტურულ-ენობრივ დაახლოებას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ასე, გარდამავალი პერიოდის ღონისძიებად წარმოუჩინა „მეგრული საკითხის" მოთხოვნები ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე გრ. გაბუნიამ საქართველოს კომპარტიის VI ყრილობას (1929 წ.). მაგრამ იგი საწინააღმდეგო აზრით გაიგო საქართველოს ამდროინდელმა და იმდროინდელმა ხელმძღვანელობამაც. ამის საილუსტრაციოდ არქივებში სათანადო ინფორმაციაც იძებნება.

არქივში მივაკვლიეთ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს 1925 წლის 26 აგვისტოს საყურადღებო დადგენილებას. ეს არის „შეტყობინება ზუგდიდის მაზრის მდგომარეობის შესახებ". ოქმში ვკითხულობთ: „გამოიყოს კომისია, ამხანაგების ოკუჯავას, ელიავას, ბერიას (ლავრენტის — ავტ.), დოლიძის, მათიკაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება საერთოდ მეგრულ საკითხზე და მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემასთან (! — ავტ.) და მის ხასიათთან დაკავშირებით, მაზრის დაწესებულებებში საქმის წარმოების შესრულებისათვის და ა.შ. კომისიამ მუშაობა დაამთავროს ერთი კვირის ვადაში. კომისიის მოწვევა დაევალოს ამხ. ოკუჯავას" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ,14, აღ.2, ს. 359, ფურ.30).

აქედან ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას მიუღია შეტყობინება ზუგდიდის მაზრაში საქმის ვითარების, ანუ სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილების შინაარსის შესახებ. იგი არ მოსწონებია და ამიტომ იმავე დღეს საქმის დამატებითი შესწავლის, ან უფრო გარკვეული შემობრუნების მიზნით, გადაუწყვეტია საკითხის ხელახალი განხილვა. ამ მიზნით 26 აგვისტოს ცკ-ის სხდომას გამოუყვია გაცილებით უფრო ავტორიტეტული პირებისაგან შექმნილი კომისია, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ფაქტობრივი უფროსი ლ. ბერიაც შეუყვანია. ჩემი აზრით, აქედან ბევრი საიდუმლოება იხსნება.

ი. ჟვანია 1931 წლის „დახურულ წერილში" წერს: „მეგრული საკითხი ძალიან ძველია და იგი არაერთგზის განიხილეს საქართველოს ცენტრში. მაგრამ ამ საკითხმა არასდროს არ მიიღო გარკვეული და სწორი გადაწყვეტა. „მეგრული საკითხის" გამო მიღებულ ყველა რეზოლუციას თუ განვიხილავთ, შეიძლება დავინახოთ ერთიმეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მასობრიობა...

პირველად მეგრული საკითხის განხილვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ში მოხდა 1925 წლის 26 აგვისტოს. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ, სამეგრელოს ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ, ამ კომისიის შექმნა გამოიწვია სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნით მასობრივმა (აქ ი. ჟვანია, ჩვენი აზრით, მიზნობრივად აზვიადებს — ავტ.) მოძრაობამ (ყოფილ ზუგდიდის მაზრაში). იმ დროს პარტია მაზრკომის სახით სრულიად მოწყდა მასებს და ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ უმეტესად უპარტიოები, იშვიათად პარტიულები (პეტიციებს უგზავნიდნენ ამხ. კალინინს, სსრკ ცაკ-ს და ა.შ.) და იმისათვის, რომ თავის ხელში აეღოთ მასებისადმი ხელმძღვანელობა, სამეგრელოში გაიგზავნა კომისიები მ. ოკუჯავას, შ. ელიავას, ლ. ბერიას, ა. დოლიძის და შ. მათიკაშვილის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ: „გამოემუშავებინათ პრაქტიკული ღონისძიებები მეგრული საკითხის გამო". კომისიის შემადგენლობიდან გამოიყო ქვეკომისია ამხანაგების ა. მათიკაშვილის, ა. გეორგაძის, ეგოროვის შემადგენლობით. ამ ქვეკომისიამ წინასწარ გაიცნო ადგილზე საქმის მდგომარეობა, დაესწრო პარტიული მაზრკომის აგვისტოს (24-ის — ავტ.) სხდომას. ამ სხდომაზე მაზრკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: მოყვანილია ზემოთ ჩამოთვლილი 4 მუხლი, პირველი მუხლის სწორი რედაქციით ე.ი. მცდარი „სსრკ" („СССР") განმარტებულია სწორად („ГССР") „საქ. სსრ"-ად (იქვე, ფურც. 74). როგორც ვხედავთ, საუბარია იმავე დადგენილებაზე. ამდენად ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილების პირველი მუხლი სამეგრელოს „კულტურულ-ადმინისტრაციულ ერთეულს", რომ საქართველოს სსრ შემადგენლობაში მოიაზრებდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ახლა უფრო საყურადღებოა სხვა, საქართველოს ცკ-ის სამდივნოს 24 აგვისტოს დადგენილების სათაური თუ საკითხის დასმა („შეტყობინება ზუგდიდის მაზრაში მდგომარეობის შესახებ") მოწმობს, რომ რაღაც საგანგებო მდგომარეობასთან მართლაც გვაქვს საქმე. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია არა ავტონომისტ-სეპარატისტების მასობრივი გამოსვლით, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება, არამედ საქართველოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ „ნოთე-

ლი“ ავტონომისტების მიერ თხოვნა-საჩივრებით ატეხილი ალიაქოთით, შემდეგ კი საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელების წინაშე დაბეზღებებით, „საქართველოს იმპერიული ცენტრისაგან“ სამეგრელოს გამყოფის და აგრეთვე ამ ვითარებაში ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილების გამო ზოგიერთ ხელმძღვანელ პირთა უკმაყოფილებით. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ „ნოთელმა“ „მეგრული ენის მოყვარულთა საზოგადოების“ წევრებმა კომისიას მართლაც შეაგებეს საპროტესტო შეკრება.

ი. ჟვანია აგრძელებს: „ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმმა 1925 წლის 3 სექტემბერს მოისმინა ამ საკითხზე კომისიის მოხსენება, რომელშიც ზუგდიდის მაზრკომის დადგენილება ძირითადად შეიცვალა და მიღებული იქნა ცკ-ის წინადადება (ოქმი №66)“. ი. ჟვანიას მოყვანილი აქვს ცკ-ის 7-მუხლიანი დადგენილების სრული ტექსტი. იგი იმავე არქივის სხვა ფონდშიც არის დაცული და, ამდენად, შესაძლებლობა გვეძლევა დავადასტუროთ ი. ჟვანიასეული ვარიანტის მართებულობა და გავაკონტროლოთ ცკ-ის მიერ ზუგდიდის კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილების ჩვენი კორექტირება. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 3 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია:

„1. აუცილებლად ჩაითვალოს იმ თემებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა, ურთიერთობა მეგრულ ენაზე (მაშასადამე, მკაფიოდ გამოიკვეთა მეგრული ენის გამოყენების ფარგლები — ავტ.).

2. სკოლებში შენარჩუნებული იქნას მეცადინეობა ქართულ ენაზე, მეგრული კილო გამოყენებული იქნას დამხმარე, საგნების ამხსნელ კილოდ (ე.ი. მიღებული იქნა ზუგდიდის სამაზრკომის 24 აგვისტოს დადგენილების დამაზუსტებელი მუხლი და აკრძალა პირველდაწყებითი მეგრულ ენით სწავლება — ავტ.).

3. სასამართლოში იმ რაიონებისა, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაიშვას სასამართლო ლაპარაკი, განაჩენების გაცემა და დადგენილების გაცემა — მეგრულ კილოზე (როგორც ჩანს, დაზუსტდა არეალი და მეგრული ამჯერად იწოდა არა ენად, არამედ კილოდ — ავტ.).

4. ჩაითვალოს შესაძლებლად გლეხური გაზეთის და ახსნა-განმარტებითი ხასიათის ფურცლების გამოცემა, მათში კომუნისტური ხაზის და მაზრკომის უშუალო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით (ენა მითითებულია ი. ჟვანიას კომენტირებით („конечно на наречии“), რომლის მიხედვით ჩანს, რომ ნაწყენია მეგრული ენის მეგრულ კილომდე დაკნინებით, მაგრამ მკაფიოდ არ ჩანს, რომ გამოცემა მეგრულია — ავტ.).

5. სამეგრელოს ავტონომია ჩაითვალოს მავნე რეაქციულ იდეად და მაზრისკომს მიეთითოს პარტიის წევრების მიერ (! — ავტ.) ამ საკითხის აღძვრის და დაყენების დაუშვებლობა (ამ მუხლმა არ უნდა დაგვაბნიოს. იგი ავტონომისტი კომუნისტების გამაფრთხილებელია და ამავე დროს, უარყოფს სამეგრელოს ერთიან კულტურულ-ადმინისტრაციულ ერთეულად მის მიერვე 1923 წელს დაპირებულ გამიჯვნას. როგორც ჩანს, ამით აღიარებული იქნა ის, რომ ცკ არ აპირებდა ზუგდიდი-სენაკი-ფოთის მაზრების ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანებას — ავტ.).

6. საკონტროლო კომისიამ (ცკ-თან არსებულმა — ავტ.) იქონიოს მსჯელობა იმ კომუნისტებზე, რომლებიც მასებში მეგრული ავტონომიის აგიტაციას ეწევიან.

7. აუცილებლად ჩაითვალოს ეს საკითხი გაშუქდეს და განმარტებული იქნას ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციაში და უპარტიო მასებში პრესის მეშვეობით, შეთავაზოს ამ საკითხის მცოდნე (უპირატესად მეგრელ) ამხანაგებს რიგი სტატიების მოთავსება“. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზუგდიდის კომუნისტებისთვის გათვალისწინებული „მსჯელობა“, შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბის ბინძურ პოლიტიკურ შოუდ განავითარეს და ამით სრულიად საქართველოს, ჩვენი აზრით, სარგებლობის ნაცვლად უაღრესად დიდი ზიანი მოუტანეს. არადა, თვით პარტიის უპასუხისმგებლო პოლიტიკით

გამოწვეული ერთეული ავტონომიტ-სეპარატისტების ჩხირკედელაობა საქართველოსათვის დიდი საშიშროების მომტან მოძრაობად გაახმაურეს და მომმე სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ დანარჩენ ქართველებს უსაფუძვლო ეჭვი გაუჩინეს, ამით კი ჩვენს საერთო ეროვნულ ცნობიერებაში შხამი საკმაოდ დიდი დოზით ჩააწვეთეს. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი კახიანი (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 74, 74/2). როგორც ვხედავთ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დადგენილებას დაემატა ახალი მუხლებიც.

ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ი.ჟვანია ზუსტად გადმოგვცემს საქართველოს ცკ-ის ოქმის (№66) შინაარსს. ეჭვს არც ის იწვევს, რომ სამაზრკომის გაზეთი და ფურცლების გამოცემა ახლა მეგრულ კილოზე იყო გათვალისწინებული. მაგრამ ჟვანია ცალკეულ მუხლებს და ტექსტს ურთავს საკუთარ უკმაყოფილებით გამოწვეულ კომენტარებს. პირველ მუხლთან დაკავშირებით ფრჩხილებში წერს: „მაშინ კომისიამ შ. ელიავას დაძალებით მეგრული ენაც არ ცნო, თუმცა აკადემიკოს მარის განმარტების შემდეგ, რომ არსებობს მეგრული ენა და არა კილო, ამხ. ელიავამ შეცვალა თავისი აზრი". აი თურმე საქმე რაშია!

მე-5 მუხლს, სადაც ნათქვამია, „სამეგრელოს ავტონომია ჩაითვალოს მავნე, რეაქციულ იდეად... დაუშვებლად"... ი. ჟვანია, ასევე ფრჩხილებში, ადევნებს შედარებით ვრცელ კომენტარს: „რატომაა დაუშვებელი, ცკ არავითარ პასუხს არ იძლევა. ჩვენთვის აქამდე (ე.ი. 1931 წლამდე — ავტ.) გაუგებარია რატომ არის სამეგრელოს ავტონომია მოცემულ ეტაპზე მავნე და რეაქციული, მაშინ როცა ოსეთის, აფხაზეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები დაშვებულია, ხოლო სამეგრელოსი მავნე და რეაქციულია?".

აქედან ნათლად ჩანს, რომ ი. ჟვანია უკმაყოფილოა ცკ-ის მიერ იმის უარყოფით, რაც მან საჭიროდ მიიჩნია 1923 წლის 12-15 სექტემბრის პლენუმის დადგენილებით. მაშასადამე, ი. ჟვანია უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ცკ-მა ახლა უარი თქვა ადრე ცკ-ის მდივნის ლ. ქართველიშვილის მიერ რეკომენდირებული, ზუგდიდი-სენაკი-ფოთის ერთ ოლქად გაერთიანებაზე. იგი ნიშნის მოგების მიზნით მიანიშნებს — ჩვენ ადმინისტრაციული ოლქიც არ გვაღირსეთ, მაშინ როცა სხვებს (მ.შ. აჭარას), ავტონომია მიეცითო და ისე გამოიყვანეთ, თითქოს ავტონომიას მოვითხოვდითო. ი. ჟვანია 3 სექტემბრის დადგენილების ავტორებს აქვე საყვედურობს, ისიც კი არ განმარტეთ, თუ რატომ არის ავტონომია კარგი სხვებისთვის, სამეგრელოსთვის კი რეაქციულიო. მას მართლაც ჰქონდა სასაყვედურო, რადგან ავტონომისტების საწინააღმდეგოდ მიღებული ეს შეკვეცილი მუხლი ართულებდა სამაზრო კომიტეტის მოწინააღმდეგე, „ნოთელი" ავტონომისტების მოგერიებას. ისე გამოვიდა, რომ ცკ-მა სამეგრელოს ავტონომიის რეაქციულობის განუმარტაობით და ავტონომისტების წინააღმდეგ ბრძოლის დავალებით ზუგდიდის ცენტრს თავსატეხი, ხლაფორთი გადააბარა. იმდროინდელ სიტუაციაში ავტონომისტებისათვის მართლაც ძნელი ასახსნელი იყო: რატომ იყო ავტონომია კარგი სხვებისთვის, მაგალითად, აჭარისთვიის, სამეგრელოსთვის კი „მიუღებელი და რეაქციული"?! ზოგმა ეს სირთულე და ი. ჟვანიას საყვედურის მიზეზები ვერ გაარკვია და ისე გაიგო, თითქოს იგი პირადი შენიშვნის გამო გამოსთქვამდა საყვედურს. სინამდვილეში ასეთი გაგება უცოდინარობა და უაღრესად უხეში შეცდომაა. როგორც ცნობილია, ი. ჟვანიას ეს ტექსტი ამოღებულია სკკ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს (მაშასადამე, სტალინისადმი) 1931 წელს გაგზავნილი თხოვნა-საჩივრიდან. აქ ისაკის რომ სდომებოდა კიდეც, მაინც არ შეეძლო ავტონომიის მოთხოვნის ჩადება, რადგან 1929 წლის 12 სექტემბრის პირადი შეხვედრის დროს სტალინს ადმინისტრაციული ოლქზე შეუთანხმდა და დასტურიც ამის გამო მოიპოვა. ამას გარდა წერილში ნათლად და ცალსახად არის დაყენებული ი. ჟვანიას მოთხოვნა: „... Просим разрешить: I. Для поднятия Культурно-экономического и политического уровня тру-

дящихсья населения Мингрелий Округ или Область". ამავე დროს წერილის ტექსტის შინაარსობრივ ნაწილშიც აქვს განმარტებული, რომ საქართველოში ნავარაუდევი საოლქო ადმინისტრაციული რეფორმის შესაბამისად, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი მოითხოვდა „ძალაში დატოვებულიყო სამეგრელოს საოლქო აღმასკომი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატების გარეშე" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.2, ს.266, ფურც. 75/2). მაშასადამე, ი. ჟვანიას ინფორმაცია და კომენტარები, აგრეთვე, დამატებითი წყაროები ცხადყოფენ, რომ მას ავტონომისტური განწყობილება კი არ ამოძრავებდა, არამედ სამეგრელოს სწრაფი კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურების მიზნით, ერთიანი სამეგრელოს ის ოლქი აინტერესებდა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ჯერ კიდევ 1923 წელს, ხოლო შემდეგ 1929 წელს ზუგდიდი-სენაკი-ფოთის მაზრების გაერთიანების სახით აღუთქვა.

ი. ჟვანია უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ცკ-ის ზემოთ აღნიშნული 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაც შეაჩერეს, რადგანაც იგი სცნეს საქართველოსთვის მავნედ და ეს პატარა, ჩამოჭრილი დადგენილებაც მაუდქვეშ დამალეს 1925 წლიდან 1929 წლამდე. მხოლოდ როცა ამხ. პშენიცინმა (საკ. კპ (ბ) ცკ-ის პასუხისმგებელმა ინსტრუქტორმა) 1928 წელს პირადად მოინახულა სამეგრელოს სოფლები და დარწმუნდა რომ სამეგრელოში არსებულ წესებში საჭიროა ზოგიერთი ცვლილება და მეგრული ენის გამოყენება, მეგრული საკითხი კვლავ დადგა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის განხილვის საგანად"... (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.6, ს266. ფურც.74/2).

ი. ჟვანიას ამ საკ. კპ (ბ) ცკ-ისადმი გაგზავნილ 1931 წლის ნაბაზრევთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ იგი ყოველმხრივ მართალია. ჩვენი მონაცემებით კი დამატებით შეიძლება აიხსნას, თუ რისთვის სჭირდებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მართლაც ადვილად შესამჩნევი 1925 და შემდგომი წლების მანიპულაციები, გაუმართლებელი ქმედებები. ამასთანავე, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით ცხადი ხდება, რომ თვით ი. ჟვანიაც ბოლომდე არ ხსნის „ფრჩხილებს", რადგან ამ წერილის დაწერის დროს, ჩვენი აზრით, ერიდება ბერიასთან აშკარა დაპირისპირებას. ამის გარდა, პშენიცინის აზრი უთუოდ მოსკოვის ცენტრის (პოლიტბიუროს და სტალინის) აზრს ითვალისწინებდა და თვითონ პშენიცინიც და ჟვანიაც პოლიტბიუროს დადგენილების შესაბამისად მოქმედებდნენ. მაგრამ ახლა ჩვენთვის საინტერესოა იმის გამოკვლევა-გაშუქება, რასაც არ ამჟღავნებს ი. ჟვანია.

როგორც ვნახეთ, ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილების პირველი მუხლი ითვალისწინებდა არა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას, არამედ საქართველოში შემავალი ისეთი კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირებას, რომელშიც მეგრული ენა არ ცხადდებოდა სახელმწიფოებრივ დედაენად, მაგრამ თავისუფალი, შეუზღუდავი გამოყენების შესაძლებლობა ეძლეოდა. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილებაში ისიც კი არ იყო მკაფიოდ ნათქვამი, რომ მაზრკომის ელემენტარული გამოცემები რომელ ენაზე უნდა ყოფილიყო. მართალია, IV მუხლით გათვალისწინებული „ყველა დაწესებულებაში საქმის წარმოების მეგრულ ენაზე შემოღება" შეიძლება ზოგმა ისე გაიგოს, თითქოს დადგენილება ითვალისწინებდა ქართულის ჩანაცვლებას. სამეგრელოდან ქართული ენის საერთოდ განდევნას. მაგრამ არა! აქ იგულისხმება ძირეული ორგანოები, მათ შორის სოფლსაბჭოები, რომელშიც წერა-კითხვის უცოდინარებსაც შეეძლოთ მუშაობა (იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 289, აღ. 2, ს. 1, ფურც. 187). მეგრულ ენაზე სწავლების მხოლოდ პირველდაწყებით საფეხურზე შემოღება კი იმას ნიშნავს, რომ ოთხკლასიანი სავალდებულო სწავლების შემდეგ შრომით საქმიანობაში ჩაბმულ ბავშვებს ჰქონოდათ პირველდაწყებითი სასკოლო განათლებით გათ-

ვალისწინებული ელემენტალური განათლება და არა ის რამდენიმე მათთვის გაუგებრად დაზუთხული ქართული წინადადება, რომელიც მათ სკოლიდან სინამდვილეში მიჰქონდათ. მომდევნო კლასებში სწავლის გაგრძელების უნარისა და შესაძლებლობის მქონე მსურველები კი ქართული ლიტერატურული ენით ეუფლებოდნენ ცოდნას. ასეთები იმ დროს სასკოლო ასაკის ბავშვთა მცირე შემადგენლობა იყო. 1923 წელს ზუგდიდის მაზრაში სწავლობდა სასკოლო ასაკის 26,5 პროცენტი (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 544, ფურც. 78/2, 79). მე-5 და შემდგომ კლასებში ეს მაჩვენებელი იყო კიდევ უფრო დაბალი. პირველდაწყებითი სწავლების მეგრულ ენით დაშვების შემთხვევაში, უთუოდ გაიზრდებოდა ნამდვილი ოთხწლიანი განათლების მქონეთა რიცხვი, მაგრამ ამას ეღობებოდა ეროვნული ინტერესების ყალბად, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულად გამგებთა გადაულახავი წინააღმდეგობა.

დადგენილების მიხედვით, საჭიროდ არის მიჩნეული დაწყებითის შემდგომ კლასებში საერთო სახელმწიფოებრივ და საერთო ქართულ ლიტერატურულ ენაზე სწავლება. ეს კი იმას ადასტურებს, რომ დადგენილებით რეკომენდირებულ მეგრულ „კულტურულ-ადმინისტრაციულ ერთეულში" ნაგულისხმევია საერთო ქართული ენის გამოყენება. ასეთი წარმონაქმნი არ გულისხმობს ავტონომიურ ოლქს ან მითუმეტეს ავტონომიურ რესპუბლიკას. სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ზუგდიდის სამაზრკომის დადგენილებაში ამდროისათვის ყველაზე შეზღუდული, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის მხგავსი ატრიბუტები. მაგალითად, სამეგრელოს საოლქო კაკ-ის და სახალხო კომისარიატების მოთხოვნის შეტანა და სხვ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 3 სექტემბრის დადგენილება სცნობს სამეგრელოს ავტონომიის რეაქციულობას, მაგრამ არა როგორც ზუგდიდის პარტიის სამაზრკომის დადგენილებით გათვალისწინებულს, არამედ როგორც ამ საკითხის ზოგი სხვა პარტიის წევრების მიერ დაყენებულს (იხ. პუნქტი 5 და 6). ის ზოგადი მოსაზრებები, რომ ი. ჟვანიას (და, მაშასადამე, ზუგდიდის „ცენტრის" წევრებს) უნდოდა მცირეთი დაწყება და შემდეგ ავტონომიის შემოღება, როგორც არაერთგზის ვნახეთ და შემდეგშიც ვნახავთ, ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეების მიერ პოლიტიკანურად არის ნასაზრდოები და ყალბია. ი. ჟვანიას მიერ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის აზრის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ იძებნება, ასეთი ჭორი და დასმენა კი, როგორც მომავალშიც ვნახავთ, უამრავი გვხვდება.

როგორც ჩანს, საქართველოს ხელმძღვანელობაში ვიღაცამ თუ ვიღაცეებმა მიზნობრივად ცუდად გაიგეს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 24 აგვისტოს დადგენილება და ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდა მისი კორექტირება. როგორც ვნახეთ, ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მაგრამ იყო მიზეზი, რომელიც „ახლებური" გაგების აუცილებლობას იწვევდა. ეს იყო ამ დროს შექმნილი, ხელისუფლებისთვის უაღრესად კრიზისული ვითარება. იგი ასაზრდოვა 1924 წლის აჯანყების მოტივითა და საბაბით განხორციელებული მასობრივი რეპრესიებით გაუბედურებული და ამ დროს მიმდინარე „პარტეტული კომიტეტის" წევრთა სასამართლოს გამო მოსალოდნელი ახალი რეპრესიების მოლოდინში მყოფი მოსახლეობის ანტისაბჭოური განწყობილების უკიდურესმა გამწვავებამ. როგორც ცნობილია, მხოლოდ 1924 წლის აჯანყების საბაბით მცირერიცხოვან საქართველოში 4 ათასზე მეტი ადამიანი, თითქმის მთლიანად ქართული შემადგენლობა და ახალგაზრდული (აღწარმოების უნარის მქონე) კონტინგენტი დაიხვრიტა. ამ მოვლენების შემდეგ 1925-1926 წლებში საქართველოს საპატიმროებში მოთავსებულთა რაოდენობა 2700 კაცს აღემატებოდა. საპატიმროების გადატვირთვის მაჩვენებელი 11-15 პროცენტს აღწევდა. მხოლოდ სპეცდანიშნულების 400 კაცის ტევადობის იზოლატორში 793 კაცი იჯდა (გ. ციციშვილი, „საარქივო ქრონიკა", იხ.: „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. I". თსუ 2003, გვ. 60) ამის გამო სასოწარკვეთილებამდე მისული მოსახლეობის

მდგომარეობას კარგად ასახავს საქართველოს შინსახკომის საიდუმლო მონაცემები. მის მიხედვით, 1925 წლის 1 ოქტომბრიდან 1926 წლის 1 ოქტომბრამდე 121 თვითმკვლელობა მოხდა, მათ შორის თბილისში-18, ქუთაისში-21, ოზურგეთში-15 და სხვ. (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ.3, ს.38, ფურც. 11/2). ამ დროს თბილისში მიმდინარეობდა „პარიტეტული კომიტეტის" წევრთა და მათთან დაკავშირებულთა სასამართლო პროცესი. მათი და სხვა პატიმრების ჭირისუფალი, გამოცდილებისმიერ, ახალი უბედურების მოლოდინში საერთო ეროვნულ უკმაყოფილებას აძლიერებდა. განწყობილება ერთი ოჯახის ტრაგედიის მაგალითზე შემაძრწუნებლად ასახა ჟურნალისტმა თამილა მაკარიძემ (იხ. მისი „ერთი ჩვეულებრივი ამბავი", „ლიტერატურული საქართველო", 2006, 15 და 16 დეკემბერი) ასეთი ოჯახების საერთო დიდი რაოდენობა კი უკმაყოფილების მასას ქმნიდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მოსახლეობის მოთმინების ფიალა შეეძლო აევსო სამეგრელოს მაგალითზე წარმოჩენილ ახალ, სამეგრელოს ავტონომისტურ-სეპარატისტული „მოძრაობის" შესახებ გავრცელებულ ჭორებსა და მისით საქართველოს სპეციფიური (ქვემო ქართლისა და ახალქალაქის) რეგიონების თურქულ-აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობის წაქეზების შესაძლებლობასაც. სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის გამო გავრცელებულ გაზვიადებულ ჭორებს შეეძლო ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ავტონომიას აძლევენ ქართველ აჭარლებს, ქართველ მეგრელებს, ქართველ აფხაზებს და ოსებს, ე.ი. თითქმის ყველას გარდა სომხებისა და აზერბაიჯანელებისა. მაგრამ შეიძლებოდა რესპუბლიკაში შექმნილი უკმაყოფილების ტალღის განეიტრალებაც. ამას სჭირდებოდა რაღაც სხვა, დიდი საერთო რესპუბლიკური საშიშროების იმიტაცია და ხალხის ყურადღების იქით გადატანა.

აღნიშნულის გამო საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ისეთი ღონისძიებების ფარსი წამოეწყო, რომელიც გამოიწვევდა ხალხში დაკარგული ნდობის აღდგენას. ამით უნდა აიხსნას ის, რომ „პარიტეტული კომიტეტის" საქმის გამო სასამართლო პროცესი, საერთოდ დამახასიათებელი ბოლშევიკური სისასტიკის ნაცვლად, უაღრესად ლოიალურად ჩატარდა. განაჩენიც მოულოდნელად მსუბუქი გამოდგა. აჯანყების მთავარი ორგანიზატორი 47 კაციდან „პარიტეტული კომიტეტის" 4 წევრს 10 წელი მიუსაჯეს, სხვა 5 შედარებით ნაკლებ აქტიურ ხელმძღვანელს-5, ექვსს-3, ხოლო დანარჩენი გაანთავისუფლეს (იხ. ჟურნ „ბრძოლა", პარიზი, 1925 წელი, №2, გვ, 30). ამ ლოიალობით ერთგვარად შეეცადნენ თვალი აეხვიათ ამ დროს თბილისში მყოფი და „პარიტეტული კომიტეტის" საქმით დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვისაც, მათი მეშვეობით კი საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებული ჩვენი და საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

ამ და შემდგომ წლებშიც მიმდინარეობდა 1924 წლის აჯანყების გამო მსჯავრდებულ პირთა შეწყალება, რომელიც სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფორმდებოდა. მაგრამ, ამასთანავე, მრავალი პატიმარი სასჯელს თბილისისა და რუსეთის საკატორღო გადასახლების ადგილებში იხდიდა. ეს მაშინ, როცა 1924 წელს ათასობით, მათ შორის ბევრი სრულიად უდანაშაულო, დახვრიტეს. მაშასადამე, „მეგრული საკითხიც" სპეციალურად, საერთო ეროვნულ პრობლემად გაათამაშეს. ხელისუფლებამ და ჩეკამ „ჩხოუშიელების" ავტონომისტური და სეპარატისტული ნაბოდვარის წარმოშობის ნამდვილი მიზეზი კი არ ახსნეს და გააშუქეს, არამედ ცარიზმის რუსიფიკატორებს და მის ვითომ მემკვიდრეებსა და ზუგდიდის ხელმძღვანელობას დაბრალეს. საქართველოს ცკ-ის წევრმა, საქართველოს ჩეკას ფაქტობრივმა მეთაურმა და ავტონომისტების საქმეთა მოგვარების კომისიის წევრმა ლ. ბერიამ ი. ჟვანიას სამეგრელოს ავტონომიის და ამ ვითომ კონტრრევოლუციური მოთხოვნის მიმართ სიმპატიები და მფარველობა დასწამა. გაკრიტიკებულ-შეცვლილი ზუგდიდის სამაზრკომის

24 აგვისტოს დადგენილებაც ლამის ავტონომიის მოთხოვნად გაასაღეს. ალბათ, ამის გამო იყო, რომ „მეგრული საკითხის“ განუყრელად გატარებისთვის მებრძოლმა, პოლიტიკანების მიერ შეურაცხყოფილმა ი. ჟვანიამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 30 აგვისტოს სხდომას გადადგომა და „აგრარულ უნივერსიტეტში გაგზავნა“ სთხოვა (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ2, ს.333, ფ15), მაგრამ ამ ვითომ ავტონომისტების მფარველობაში „შემჩნეული“ მუშაკის თხოვნა ცკ-მა არ დააკმაყოფილა. ჩვენ აღნიშნულ ამბებში ვხედავთ საქართველოს და ამიერკავკასიის ხელმძღვანელ „ცენტრში“ „მეგრული საკითხის“ გამო ერთი მხრივ სამართლიანი გეზის და მეორე მხრივ, პოლიტიკანების მძაფრი დაპირისპირების ანარეკლს. მათ შორის ზოგი მუშაკი ერთ მხარეს ჩანს, ზოგი — საწინააღმდეგო მხარეს, ზოგი კი საკუთარი ინტერესებით ოდიოზურად უდგება პრობლემას.

ახლა რაც შეეხება ლ. ბერიას, როგორც საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ „მეგრული საკითხის“ შესასწავლად და მოსაგვარებლად გამოყოფილი კომისიის ჩეკისტი წევრის საქმიანობას. აღნიშნულ კომისიაში მისი შეყვანა შემთხვევითი არ იყო და მას არც კომისიის რიგითი წევრის ფუნქცია შეუსრულებია. ცკ-ის წევრებმა კარგად იციან ვინც არის ბერია. მაგრამ ჩვენ უფრო მეტი ვიცით მისი თანამოაზრე, თანამებრძოლის და უახლოესი მეგობრის, ყოფილი ჩეკისტის მანუჩარ შელიას მოგონებების გამოქვეყნების წყალობით. ცკ-ის წევრები კი მხოლოდ „აისბერგის“ იმ ხილულ საქმიანობას იცნობდნენ, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ. ამიტომ საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ სწორედ ბერია მართავდა „მეგრული საკითხის“ მოგვარებას და მისი „დამსახურებით“ „მეგრული საკითხის“ მოგვარება განხორციელდა ჩეკისტურად, ანუ ჩეკისტური მეთოდით.

ზოგი მკითხველისათვის შეიძლება ცნობილი არ იყოს მანუჩარ შელიას მოგონებები, რომელიც უაღრესად საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციის შემცველი სტატიების ციკლის სახით „დილის გაზეთში“ (1999 წ.) გამოაქვეყნა მისმა შვილიშვილმა დავით გელაშვილმა. მართალია, ჩვენთვის, როგორც სპეციალისტისათვის საეჭვო ხდება, რომ პუბლიკაციების სერიის ავტორმა ბევრი ისეთი რამ არ შეიტანა, რომელიც ამ წიგნის საკითხებს უკავშირდება და, ჩვენი ღრმა რწმენით, მ. შელიას მოგონებების დედანში უთუოდ გაშუქებული იქნებოდა, მაგრამ ის, რაც დ. გელაშვილმა თავისი ბაბუის მოგონებების გამოქვეყნებული ნაწილის სახით მოგვაწოდა, თემასთან უშუალოდ კავშირშია და უსათუოდ გასათვალისწინებელია.

1999 წლის ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში „დილის გაზეთში“ (№151-154, 180, 181, 183, 185, 201, 203-208...) გამოქვეყნდა 1954 წელს სამსახურიდან გადამდგარი უშიშროების ყოფილი გენერლის და ამის შემდეგ მამა ალექსის სახელით მოსკოვის მირქმის სახელობის მონასტერში ბერად შემდგარი, ადრე ფარული ჩეკისტური ფსევდონიმის „კაკოს“ მქონე, მანუჩარ გიორგის ძე შელიას მოგონებები მისი ჩეკისტური საქმიანობის შესახებ. ღმერთისა და ერის წინაშე განწმენდის მიზნით ბერად აღკვეცილმა, ჩეკას ყოფილმა ოფიცერმა, ბერიას საიდუმლო ჩეკისტური საქმიანობის თანამონაწილემ, უბის წიგნაკის ჩანაწერებსა და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით შეჰქმნა საქართველოს უახლოესი ისტორიის, მათ შორის 20-იანი წლების, უაღრესად საყურადღებო (სათანადო წყაროებით, უმთავრესად ჩვენს კონტროლს დაქვემდებარებული და გამართლებული), მემუარულ-დოკუმენტური ნარკვევი. ავტორი და და მისი მოგონებები გამსჭვალული არიან სამშობლოს ჩეკისტურად ნამართავი ბედისწერის სრული სიმართლით და მონანიების სულისკვეთებით გაშუქების მისწრაფებით. შელია დიდ ყურადღებას უთმობს „ბერიას ფენომენალური დივერსიული ნიჭის გამოვლინებას“ („დილის გაზეთი“, №151,7 ივლისი). მისი აზრით, ლ. ბერიას „ფენომენალურ ჩეკისტურ ნიჭს პოზიერ ნიადაგს უქმნიდა საბჭოთა ნეოკოლონიური სახელმწიფოებრივი სისტემა, ე.წ. „პროლეტარიატის დიქტატურით“ გამართლებული სისასტიკე და

საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის შემოქმედის ი. სტალინის პიროვნება.

უშიშროების ყოფილი გენერალი, მანუჩარ შელია, იგივე მამა ალექსი, მოგვითხრობს, რომ 1921 წლის იანვარში ბაქოში მყოფი საოკუპაციო „შტაბიდან ბუდუ მდივანმა თანამებრძოლებს მოუწოდა შესულიყვნენ საქართველოს „გასანთავისუფლებლად" მზადმყოფი წითელი არმიის რიგებში. მას საქართველოს გარეთ მცხოვრები ათასობით ქართველიდან გამოესმაურა ორი ათეული, მათ შორის იყვნენ მანუჩარ („კაკო") შელია და ლავრენტი ბერია. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ისინი პროფესიულ კარიერას საჩეკაში აგრძელებდნენ („დილის გაზეთი", 6 ივლისი). მათთან იყო აგრეთვე ბერიას „უახლოესი ბაქოელი მეგობარი დუტუ წულეისკირი (იხ. იქვე). ესენი არიან საქართველოს ჩეკას მომავალი ასები. პირადად ბერია სათავეში ჩაუდგა საჩეკას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, „საიდუმლო ოპერატიულ განყოფილებას". იგი უკვე იმ დროს ეწოდა დიდ პროფესიულ-დივერსიულ საქმიანობას, მაგრამ საჩეკას სათავეში მდგარი ცნობილი რევოლუციონერების (გ. ელისაბედაშვილი, კ. ცინცაძე, კ. ოკუჯავა, ე. კვანტალიანი და სხვ.) და სხვათა მიმართ სუბორდინაციის მკაცრი წესი ინიღბებოდა. თუმცა მისმა განსაკუთრებულმა ჩეკისტურმა უნარმა მალე ამოხეთქა, გზა მოძებნა და თავი მთელი ძალით იჩინა.

მ. შელია წერს: საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ბოლშევიკთა მოსკოვის ცენტრმა დაშოშმინების ორგანიზებისათვის საქართველოში ი. სტალინი მოავლინა (1922 წლის ბოლოს სტალინის საქართველოში ჩამოსვლა ბევრისთვის მიუღებელი ცნობაა, მაგრამ ჩვენ ამაში გვარწმუნებს სხვა წყაროები და პუბლიკაციები. მაგალითად, ოთარ ეგაძის დოკუმენტურ-პოლიტიკური ტრილოგიის II ნაწილში („ვინა ხარ შენ"... თბ. 1991 წ.), მოცემული აზრი და სხვ. მას საქართველო უკიდურესად უკმაყოფილო შეხვდა, რამაც სტალინზე ძლიერ გამაღიზიანებლად იმოქმედა. პარტიული მისიის შესრულების შემდეგ ი. სტალინს თბილისელმა მეგობრებმა, ქართული ტრადიციის თანახმად, მოუწყეს გაცილება. „თამადამ, რომელიც ყველაზე ნაკლებს სვამდა, დასკვნითი სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოსთქვა: საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა დაიხნას! — ასეთი იყო მისი ბოლო სიტყვები. ძველმა ბოლშევიკებმა... უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოც და სადღეგრძელოც.

მერიქიფემ თამადას უპასუხა: „სარეველასაც აღმოეფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ". და სასმისი დაცალა. თამადას საპასუხო სადღეგრძელო მოეწონა.

თამადა სტალინი იყო, ხოლო მერიქიფე ახალგაზრდა ჩეკისტი — ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა ჩეკას უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წლის მიწურულს („დილის გაზეთი", 6,8 ივლისი).

მ. შელია აღწერს, რომ ბერიამ უახლოესი ოფიცრებისაგან შექმნა ამიერკავკასიის და საქართველოს პარტიული, სამთავრობო და ჩეკისტი ხელმძღვანელობისათვის ფარული მცირე ჯგუფი, რომელიც ძირს უთხრიდა არა მარტო არალეგალურ ეროვნულ მოძრაობას, არამედ აგრეთვე ე.წ. „ლენინურ გვარდიას — ბ. მდივანს, ფ. მახარაძეს, ს. ორჯონიკიძეს და სხვა". მ. შელია აღწერს ბერიას მიერ ადამიანების გადაბირებას, ჩეკისტების ჩანერგვას ეროვნულ მოძრაობაში, პროვოკაციების ორგანიზებას, დაუმორჩილებელთა განადგურებას მათივე თანამებრძოლების საშუალებით და სხვ. მ. შელიას მოგონებებიდან ჩანს, რომ „ბერიას ფენომენალურ ჩეკისტურ ნიჭს" დაემორჩილა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. კონკრეტულად ეს იმას ნიშნავდა, რომ ბერიას მეშვეობით საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს აკონტროლებდა და მართავდა ი. სტალინი.

სამწუხაროდ, დ. გელაშვილის პუბლიკაციაში არაფერია ნათქვამი ზუგდიდელი ე.წ. „მაფალუელების" შესახებ... მაგრამ სტალინის 1925 წლის 17 სექტემბრის დაშიფრული დეპეშა ს. ორჯონიკიძის მიმართ, ნათელს ხდის, რომ სტალინმა წინასწარი იცოდა „მეგრული საკითხის" გამო არსებული ყველა

მთავარი მოვლენა. ჩვენი აზრით, ლ. ბერია სხვა საკითხებთან ერთად სტალინს „მეგრული საკითხის" შესახებაც ატყობინებდა. თავის მხრივ ამ საკითხზე ამხანაგებსაც ესაუბრებოდა, თავის აზრებსაც უზიარებდა მათ და ფაქტობრივად იგი მართავდა „მეგრული საკითხის" მოგვარებას. არქივის მასალებში იძებნება უამრავი წყარო, რომლებიც გვაძლევს ამ აზრის დასაბუთების შესაძლებლობას. ვინ არის ჟვანია და ვინ კითხავს ისაკი ჟვანიას რაიმე ისეთს, რომელიც საქართველოს და კერძოდ სამეგრელოს ბედს განსაზღვრავს?!... არ უნდა დავივიწყოთ ს. ორჯონიკიძის მიერ 1922 და 1924 წლებში საქართველოს კომპარტიის I და IV ყრილობებზე ნათქვამი სახელმძღვანელო პრინციპი „პოლიტიკა იქმნება არა აქ, არამედ მოსკოვში"... ეს და მთელი რიგი სათანადო წყაროებისა გვარწმუნებს, რომ „მეგრული საკითხის" მოგვარებასაც ლ. ბერიას და სხვათა მეშვეობით სტალინი მართავდა.

მანუჩარ შელიას აღიარებიდან ვიცით, რომ სტალინმა ჩეკაში აღმოაჩინა საბჭოთა სისტემის მართვის ყველაზე მისაღები მექანიზმი. ამიტომაც იყო, რომ ბერია საბჭოთა 20-30-იანი და შემდგომი წლების განმავლობაში მუდმივ აღზევებას განიცდიდა.

ჯერ კიდევ მკვლევარმა ალექსანდრე დაუშვილმა გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო წყარო, (იხ. ა. დაუშვილის პუბლიკაცია, გვ. 15). რომელიც მიგვანიშნებს, რომ ბერია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილების მიღებამდე, 2 სექტემბერს ზუგდიდში მივლინებული თავისი აგენტის მეშვეობით და თავისი საიდუმლო ჩეკისტური ხაზით, შეეცადა მეგრული ავტონომისტების და მეგრელი ერთეული სეპარატისტების საქმიანობის საკუთარი კონტროლისთვის დამორჩილებას. ეს წყარო უაღრესად მნიშვნელოვანია, მას მივსდიეთ და დავრწმუნდით, რომ ამგვარი ხერხებით ბერია სათავეში ჩაუდგა კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავდა „ჩხოუშიელი" ავტონომისტების საჩივარ-დაბეზღებებით ჩხირკედელაობის ანტიერთვნულ ორგანიზაციულ საქმიანობამდე გაზვიადებას და მათი თანამოაზრე-„თანამებრძოლების" რიცხვის ხელოვნურ გაზრდას. ამასთანავე, კარგად ჩანს, რომ ლ. ბერიამ ავტონომისტების ანტიქართული მოძრაობის გაზვიადებული წარმოჩენის მიზნით ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრებს დააბრალა მათი მხრივ დანაშაულებრივი მფარველობა. ამ სიყალბეებს მოჰყვა ჩხოუშიელი ავტონომისტების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო რესპუბლიკურ პროცესად გაზვიადება. დიახ, „მეგრული საკითხის" თავისებური მართვა-მოგვარება არა მარტო 1925, არამედ შემდგომ 20-30-იან წლებშიც ბერიასეული სიყალბის გზით წარიმართა და „მოგვარდა".

სათანადო ისტორიის წყაროს მიხედვით, 1925 წლის 2 სექტემბერს ზუგდიდში თბილისიდან ჩავიდა საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტი, ჩეკისტი ილარიონ თოდუა, რომელიც ზუგდიდელების <u>ანდრო ჯიქიას</u> და <u>კიმოთე თორდიას</u> მონაწილეობით აყალიბებს ავტონომიის მომხრეების ჯგუფს. მათ ამ დღეს ერთობლივად აურჩევიათ ბიურო, რომელშიც კოოპტაციის წესით შეიყვანეს სეპარატისტად გამჟღავნებული გრიშა ახალაია და მიშა დადიანი, რომლებიც გაუნაწილებიათ რაიონში ორგანიზაციული საქმიანობის და პროპაგანდის მიზნით. საერთო ხელმძღვანელობა დაუკალებიათ მიშა დადიანისთვის, რომელიც ამ შეკრებაზე არ იმყოფებოდა. ბიუროს ოქმი შემდეგ ჩეკისტ თოდუას სახლში წაუღია და შიგ ჩაუმატებია მუხლი, რომელიც მოითხოვს „აღრიცხვაზე იქნან აყვანილი ის პირები, რომლებიც უარზე იქნებიან" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.28, აღ1, ს.195, ფურც.65). ამ ინფორმაციის მიგნება და გამოქვეყნება მკვლევარ ალ. დაუშვილის მნიშვნელოვან დამსახურებად მიგვაჩნია. ნაკვალევის გამოდევნებამ უაღრესად საყურადღებო სხვა ინფორმაციაზე გაგვიყვანა და დაგვარწმუნა, რომ ჩეკისტი თოდუა თბილისიდან საკუთარი ინიციატივით და ამ დღეს, შემთხვევით როდი ჩავიდა, არამედ იგი ბერიას საიდუმლო დავალებას ასრულებდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ უკვე მეორე დღეს 3 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ ღებულობს

დადგენილებას, რომელშიც დაყენებულია მკაცრი მოთხოვნა: „სამეგრელოს ავტონომია ჩაითვალოს მავნე, რეაქციულ იდეად და ზუგდიდის სამაზრკომს მკაცრად მიუთითა „ამ საკითხის პარტიის წევრების მიერ დაყენების დაუშვებლობა", ხოლო ცკ-თან არსებულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მოსთხოვა იმ „კომუნისტების განსჯა, რომლებიც მასებში სამეგრელოს ავტონომიის აგიტაციას ეწევიან". ე.ი. ჩეკისტი თოდუას მეშვეობით ბერიამ მიზნობრივად, წინასწარი განზრახვით მოამზადა წერილობითი დოკუმენტი (ოქმი), რომელიც ასაბუთებდა ავტონომისტების კონტრრევოლუციური, დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის არსებობას და შესაბამისად, აკანონებდა მათზე ჩეკისტურ-სახელმწიფოებრივი რეაგირების აუცილებლობას. შემდეგ ბერიამ „ჩხოუშიელი" „ავტონომისტები" და ი. ჟვანია თავისთან შეაყარა, ხოლო ამის შემდეგ ავტონომისტების შესახებ თავის საფლაგმანო წერილში (13.IX.1925) მოიტანა სენსაციური ინფორმაცია, რომელიც ჩეკისტმა თოდუამ შეთითხნა თუ მოაჭახრაკა: „2 სექტემბერს ერთ-ერთ კრებაზე დადიანის ინიციატივით (?! — ავტ.) და წინადადებით (?! — ავტ.) არჩეული იქნა განსაკუთრებული ბიურო სამეგრელოს ავტონომიის იდეის ცხოვრებაში გასატარებლად. ბიუროში შევიდნენ ზემოთ დასახელებული (ყოფილი პარტიის წევრობის კანდიდატად გამძვრალი, ადრე ფედერალისტი, ფსიქიატრიული სტაჟით — ლ.ბ.) ახალაია, (კომპარტიის ყოფილი წევრები, რომელნიც გამორიცხული იქნენ პარტიიდან — ლ.ბ.) თორდია და ჯიქია. სხვები დარიგდნენ (? — ავტ.) რაიონებში ისევე მუშაობის საწარმოებლად.

იღებენ გადაწყვეტილებას მტკიცედ და ფრთხილად გაავრცელონ ავტონომიის იდეა პარტიულებსა და უპარტიოებს შორის თვით მ. დადიანის ხელმძღვანელობით.

ბოლოს დადიანის რჩევით (?! — ავტ.) გადაწყდა აღრიცხული იქნან ანტიმეგრული ელემენტები კომუნისტებითურთ იმ მიზნით, რათა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დააპატიმრონ ისინი და გადაასახლონ სამეგრელოს საზღვრებიდან".

ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავსო საბჭოთა ფარსი, რომ ამ კამპანიისა და მისი იდეისათვის მხარი არ დაეჭირათ, სამწუხაროთ, ზუგდიდის ორგანიზაციის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს და მათ შორის ამხ. ჟვანიას (!? — ავტ.)...

ამხ. ჟვანია სერიოზულად არ გარკვეულა, როგორც მარქსისტი, ამ საკითხში და განიცდის დადიანის გავლენას, მისთვის ალბათ აშკარა არ არის, თუ როგორ ულირს როლს ასრულებს ის, პარტიის ძველი წევრი (ი. ჟვანია — ავტ.), რომელიც თამაშობს ყოფილი ძველი თავადის დადიანის დუდუკზე.

პარტიის წევრის (ი. ჟვანიას — ავტ.) ამგვარი ყოფაქცევა, როდესაც ის ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს (?! — ავტ.) არ შეიძლება შეწყნარებული იქნას, იგი ღირსია გაკიცხვის.

კომუნისტს (ე.ი. ჟვანიას — ავტ.), რომელიც დახმარებას უწევს იმ დანაშაულებრივ ელემენტებს (ანუ სეპარატისტ-ავტონომისტებს — ავტ.), რომელნიც საბჭოთა წესწყობილების დროს იცავენ თავიანთ რეაქციონულ იდეებს ავტონომიის შესახებ, ლაყბობენ საბჭოთა საქართველოს რაღაც იმპერიალიზმზე სამეგრელოს მიმართ (ანუ მ. დადიანს, გრ. ახალაიას, ბუკონია-ბესელიას და სხვ. — ავტ.), ან საბოლოოდ დაუკარგავს აზროვნების უნარი ან ის (ი. ჟვანია — ავტ.) შეგნებულად ხელს უწყობს ანტისაბჭოთა იდეების გავრცელებას...

სამეგრელოს გლეხობაც და სამეგრელოს ინტელიგენციაც გაბედულად ილაშქრებენ ასეთი მოძრაობის წინააღმდეგ (? — ავტ.)...

ამ იდეას ასულდგმულებს და მხარს უჭერს ზემოთდასახელებულ ავანტურისტების, პარტიის ყოფილი წევრების, აშკარა კონტრევოლუციონერების ჯგუფი (??? — ავტ.) და სამწუხაროთ რამდენიმე პარტიული მუშაკი (ვითომ ი. ჟვანია, აკ. ქავთარაძე და სხვ. — ავტ.), რომლებიც ოცნებობენ მოიხვეჭონ რაიმე სახელი, ან უიმედოდ დაბნეულან.

განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა (ჩეკისტი თოდუას მაქინაციებით —

ავტ.) ასტეხა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, 13 სექტემბერი). ბერიას აზრი და ბოლო სიტყვები გამოხატავენ ე.წ. „მაფალუიზმის“ არსს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის საპროგრამო ამოცანას.

როგორც ვხედავთ, ბერიას წერილში მიზნობრივად, წინასწარ შეთითხნილი გზით, მკაცრი განაჩენი აქვს გამოტანილი „კონტრევოლუციონერ“, „დანაშაულებრივ ელემენტებს“ და მათ „მფარველ“ ი. ჟვანიას, რომელიც ვითომ ალიანსში იმყოფება მათთან და „სამეგრელოს ავტონომიის“ „კონტრრევოლუციონურ“, „დანაშაულებრივი“ „იდეის საძირკვლის ჩამყრელ“, „მის თეორეტიკოს და პრაქტიკოს“ (ლ.ბ.) მ. დადიანთან. მაშასადამე, „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე“ ლ. ბერიას, ჩეკისტ თოდუას საშუალებით, ფორმალურად, საშიშროების წინაშე დაუყენებია არა მარტო ი. ჟვანია, აკ. ქავთარაძე და ზუგდიდის პარტიის სამაზრკომის „ზოგიერთი“ მუშაკი, არამედ საქართველოს „ცენტრის“ ის მუშაკები, რომლებმაც რეკომენდაცია გაუწიეს და მხარი დაუჭირეს ზუგდიდის ცენტრში ბერიას მიერ აშკარად იმთავითვე მოძულებულ ი. ჟვანიას, აკ. ქავთარაძის და სხვათა გადმოყვანა-დანიშვნას. მათ შორის, ჩვენი აზრით, უთუოდ იგულისხმება საქართველოს ყოფილი შინსახკომისარი ა. გეგეჭკორი, რადგან ეს უკანასკნელები მისი გუნდის წევრები არიან.

ბერიას სიტყვის დამაჯერებლობის სასარგებლოდ ამ ჩეკისტური შოუს მონაწილეების სათანადო პუბლიკაციების გარდა, ცნობები საარქივო მასალებშიც იძებნება, მაგრამ მათი მართებულობა იქვე დაცული სხვა ცნობებით კონტროლდება. ვიდრე ამ „მამხილებელ“ მაგალითებს მოვიყვანდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბერიას თავის სიტყვაში არ უხსენებია ჩეკისტი თოდუა, რომელმაც ამ ბრალეულობათა მთავარი „საფუძველი“ შეთითხნა და მოამზადა. ეს კი ძალიან ბევრის მთქმელი და კიდევ უფრო მეტის მიმანიშნებელია. ლ. ბერიას მხრივ ასეთი მძიმე ბრალდების წამოყენების შემდეგ გასაკვირია რატომ არ დააპატიმრეს ი. ჟვანია, ან რატომ არ ჩაქოლეს იგი პატრიოტებმა.

ი. ჟვანიამ გაზეთ „კომუნისტში“ 15 სექტემბერს გამოქვეყნებული თავისი წერილის სათანადო განმარტებებით ბერიას იერიში ნაწილობრივ მოიგერია, ნაწილობრივ კი დაუყვავა საქართველოს პირველ ჩეკისტს — „ბერიას ჩვენ არ ვეკამათებითო“.

ახლა საჭიროა გაირკვეს: ვინ არის ჩეკისტი თოდუა, კიდევ რა ბრალეულობები შეუკოწიწეს ი. ჟვანიას, როგორ მიაბეს იგი მ. დადიანს და როგორ დაიძვრინეს თავი ბერიას მოხაზული წრიდან ი. ჟვანიამ, აკ. ქავთარაძემ, სხვა მათმა თანამდგომა თუ მხარდამჭერმა ზუგდიდისა და „საქართველოს ცენტრის“ წარმომადგენლებმა. ამ მიზნით ჯერ სხვა მსგავსი ბრალეულობებიც უნდა წარმოვაჩინოთ.

საქართველოს არქივების მასალებში დაცულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ი. ა. თოდუა, ადრე (1922 წ.) სენაკის პარტიულმა ორგანიზაციამ ავტონომიის მოთხოვნის გამო პარტიიდან გარიცხა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ14, აღ. 61, ს. 46, ფურც. 10-11). იგი ზუგდიდელ ავტონომისტებთან კავშირის დამყარების დროს (2.IX.1925) თავად აღიარებს, რომ იმ იდეისათვის, რომელსაც ახლა ავტონომისტ მ. დადიანს სთავაზობს, 1921 წლიდან იღწვოდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი ფ.18, აღ. 1, ს. 195, ფურც. 65-66). საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში, ანუ ე.წ. სუკის არქივში გამოვაელინეთ ცნობები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ 1924 წელს აჯანყების გამო გარე კახეთში, სართიჭალის რაიონში 70 კაცის დახვრეტაში მონაწილეობს სართიჭალის ინფორპუნქტის უფროსი ჩეკისტი თოდუა (სუკის არქივი №16548, ფ. 3,5,19). არადა, რეპრესირებულთა შორის უმრავლესობას ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ სართიჭალაზე საიერიშოდ გაჰყვნენ შეიარაღებულებს, ამასთანავე, მათ უმრავლესობას ჭაბუკები წარმოადგენდნენ, მათ იარაღიც კი არ გააჩნდა, და არც რაიმე სერიოზული აქტი განუხორციელებიათ. მათ შორის ისეთებიც კი იყვნენ, რომლებიც სახ-

ლში გზიდან დაბრუნდნენ (სუკის არქივი №14648, 1449, 1451). ახლა ვხედავთ, რომ ჩეკისტი თოდუა ახალი დიდი უბედურების სამზადისის უშუალო მონაწილეა. მაგრამ მადლობა ღმერთს, სტალინმა, რომელმაც წინასწარ იცოდა, რომ „ჩხოუშიელი ავტონომისტების მოძრაობა იყო „ქარიშხალი ჭიქაში," 17 ოქტომბრის დაშიფრული დეპეშის ტექსტის მიხედვით არ მოინდომა მის მიერვე „შუტკებით" წაქეზებული, „ადვილად დამჯერე ამხანაგების" მოსპობა. ეჭვი არ გვეპარება, რომ სტალინი ს. ორჯონიკიძესთან დაკავშირებამდე ინფორმირებული იყო ბერიას მიერ, შეიძლება სხვა არხებითა და პიროვნებების მიერაც. არც ის არის საეჭვო, რომ, ვიდრე ბერიას მიერ „კონტრევოლუციონერად" და საქართველოს დამღუპველად გასაღებულ დამნაშავეთა საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, ბერიას უკვე ჰქონდა ინფორმაცია „მეგრული საკითხის" მიმართ სტალინის „ლოიალური" დამოკიდებულების აზრის შესახებ. მაგრამ ცხადია, რომ ბერიას მხრივ საფუძვლიანი ჩეკისტური მუშაობა ტარდებოდა „მეგრული საკითხის მოსაგვარებლად". თუ არა წინასწარ ინფორმირებული სტალინის ლოიალური დამოკიდებულება ჩხოუშიელებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამო თავს დატეხილი უბედურება სანატრელი გაუხდებოდათ.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის უახლესი ისტორიის ფონდებში აღმოვაჩინეთ ჩეკას მუშაკთა დაკვეთით 30-იანი წლების არქივის მუშაკის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი „სრულიად საიდუმლო" მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წერია:

1. „საქართველოს ოქტომბრის რევოლუციის არქივში დაცული მასალებით... დადგენილია, რომ 1925 წელს ვინმე ი.ი. ძიგუა, მაფალუელთა ჯგუფში აქტიური მონაწილეობისათვის, პარტიიდან გარიცხული 1924 წელს, სხვა პირებთან ერთად სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის მიზნით აგროვებდა უპარტიოთა ხელმოწერებს და განცხადებებს აგზავნიდა მოსკოვში"... (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 2344, აღ. 1,ს.257, ფურც. 1. საიდუმლო ინფორმაციულ დოკუმენტს ხელს აწერს არქივის საიდუმლო ფონდების განყოფილების გამგე ბალავაძე).

2. სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების აკ. სფსრ შინსაკომის საქართველოს სამმართველოს მიერ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის მიზნით მომზადებულ „მოხსენებით ბარათში" ვკითხულობთ: „...ამ ფაქტის ადგილზე შემოწმებით დადგინდა: გალის რაიონის მცხოვრებმა იონა ივანეს ძე ძიგუამ, პარტიის წევრმა 1922 წლიდან, გარიცხულმა 1924 წელს მაფალუელთა ჯგუფში აქტიური მონაწილეობისთვის, ზუგდიდში ყოფნის დროს გაიცნო (? — ავტ.) აქტიური „მაფალუელები" — დადიანი მიხეილი, ახალაია გრიგოლი, ქობალია გრიგოლი და სხვები, რომლებთანაც ეწეოდა აქტიურ მუშაობას სამეგრელოს ავტონომიისათვის.

ჯერ კიდევ 1925 წელს აღნიშნულმა ი.ი. ძიგუამ მითითებულ პირებთან ერთად შეაგროვა უპარტიოების ხელმოწერა და გაგზავნა მოსკოვში სამეგრელოს ავტონომიის თხოვნით" (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფ .297, აღ.1,ს. 693, ფ.1. დოკუმენტს შემდგენელის ვინაობის მაჩვენებელი მოცილებული აქვს. როგორც ჩანს, კვალს მალავს). მაშასადამე, ირკვევა, რომ საარქივო ინფორმაციის საფუძველზე ჩეკისტებს ადგილზე „გამოკვლევით" დაუდგენიათ ის, რაც არქივში ვერ მოიძიეს. მაგრამ, ჯერ ერთი, ი.ძიგუას არ შეეძლო მ. დადიანი 1925 წელს გაეცნო, რადგან ესენი ერთი რეგიონის ცნობილი ბოლშევიკები არიან. ი. ჟვანიას მეგრულ ენაზე გამოცემული სამეგრელოს ზუგდიდ-გალის ბოლშევიკების ისტორიიდან ჩანს, რომ ი. ძიგუა სამურზაყანოში 1918 წელს „მენშევიკების" წინააღმდეგ ორგანიზებული აჯანყების აქტიური მონაწილეა (იხ. ი. ჟვანიას დასახელებული წიგნი, გვ. 66-67). ამ დროს მ. დადიანი და ი. ჟვანია სათაევში ედგნენ ზუგდიდის მაზრის კომუნისტების საქმიანობას და აჯანყებას. ი. ჟვანია წერს, რომ ა. გეგეჭკორს მინდობილი ჰქონდა სენაკის მაზრა, მას კი — ზუგდიდისა (იხ. იქვე, გვ. 46).

ამის გარდა იონა ძიგუა, მაზრის ძველი ბოლშევიკებისა და ი. ჟვანიასთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. ი. ჟვანია წერს, რომ იონა ძიგუა გალის 1918 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეა (იხ. გვ. 67). მაგრამ იგი ბერიას ან სხვა მისი აზრის განმავითარებლების მიერ არ არის ნახსენები. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ი. ძიგუა არც ე.წ. მაფალეელ – ავტონომისტების ჩვენთვის ცნობილ ხელმომწერთა შორის ფიქსირდება. ამიტომ ვვარაუდოთ, რომ იგი 1925 წელს ამიერკავკასიის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილი იმ საჩივრის ხელმომწერია, რომლის შესახებ მხოლოდ ირიბი წყარო მოგვეპოვება და რომლის ხელმოწერა მ. დადიანსაც ბრალდება.

3. შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეკლინა საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1925 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული ბლანკი, რომელშიც ჩამოთვლილია „კომპარტიის წევრები, კანდიდატები და კომკავშირელები", რომლებიც ავტონომიის მოთხოვნაში ეჭვმიტანილები არიან. ცსკ მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ გადაგზავნას თბილისში. დოკუმენტს ხელს აწერს თავმჯდომარე დოლიძე. მათ შორის დასახელებულია 25 პიროვნება: ვლადიმერ ბუკია, ვიქტორ ნავესკა, ალექსანდრე ქობალია, აქსენტი თორდია, პორფილე როგავა, თეოფანე თორდია, დომენტი ხარჩილავა, ივანე გვილია, აქვსენტი ქობალია, გური საჯაია, მიხა გაბედავა, თომა ჯინჯოლავა, ბაგრატ ხუფუნია, კონსტანტინე კილასონია, სოლომონ ჯგერენაია, ლადი გრიგოლია, პილა ოთხოზარია, პარმენ ხურცილავა, პილა ქობალია, ილია ჯინჯოლაეა, სოლომონ ბესელია, ციბაკი ბუკია, გრიგოლ ახალაია, თეოფანე კიკალია და იპოლიტე გაგუა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ1, ს. 278, ფურც. 56). მაგრამ აქ არ არის შეტანილი იონა ძიგუა და ზოგი სხვა ავტონომისტად მიჩნეული (მაგ. ალეკო კვარაცხელია, ტარასი შენგელია, ამბროსი კვარაცხელია, ლეო ვეკუა, თ. ვეკუა და სხვ.). მაგრამ უკვე 29 სექტემბერს ი. ჟვანიას თბილისიდან დეპეშით მოსთხოვეს „სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ საკონტროლო კომისიაში პარტიის წევრობის კანდიდატები, რომლებმაც მოაწერეს ხელი დეპეშებს, განცხადებებს" (ხელს აწერს ჯორბენაძე). მეორე დეპეშა ზუგდიდის სამაზრკომისგან მოითხოვს: „დაუყოვნებლივ გამოაგზავნოთ საკონტროლო კომისიაში მიხეილ დადიანი, თეოფანე თორდია, მიხა გაბედავა, პილა ქობალია, თომა ჯინჯოლია, პორფი როგავა, აქვსენტი ქობალია". ხელს აწერს თავჯდომარე დოლიძე (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ.1, ს.278, ფურც. 56, 57, 59). როგორც ჩანს, ესენი სეპარატისტული საჩივრების ხელმომწერებში გადიან. ამასთანავე, ი. ძიგუა კვლავ არა ჩანს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინფორმაცია ი. ძიგუას და ზუგდიდელი ავტონომისტების მ. დადიანის, გ. გაბედავას, პ. როგავას და ზოგ სხვათა მიერ მოსკოვში ავტონომიის მოთხოვნის გაგზავნის შესახებ, არის ხელოვნურად და მიზნობრივად შეკოწიწებული. იგი მიზნად ისახავდა მ. დადიანის დასაბუთებულ, დოკუმენტურ მიბმას სხვა ახალ „მომჩივან-დამბეზღებლებზე". ვვარაუდობთ, რომ სინამდვილეში ესენი 1922-1923 წელს გარიცხული ის ავტონომისტები არიან, რომლებიც დაბნია პარტიის ავტონომისტური პოლიტიკის გატარებამ და ჭორებმა. ამის გამო ისინი ჯერ კიდევ 1922-1923 წლებში გარიცხეს. ამის შემდეგ მათი ინიციატორობა აღარ ჩანს. მაგრამ ამ ფუნქციას მათ ასრულებინებს ჩეკა და საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული ცენტრალური საკონტროლო კომისია. მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ მ. დადიანმა და მისმა თანამოაზრე ძველმა ბოლშევიკებმა მართლაც მოაწერეს ხელი იმ რომელიღაც საჩივარ-მოთხოვნას, რომელიც ჩვენს კვლევით ლაბორატორიაში ვერ მოხვდა. ასეთია ავტონომისტების მიერ ამიერკავკასიის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილი განცხადება, რომელსაც სხვა საჩივრებს შორის ასახელებს ალ. გეგეჭკორი. სტალინს რომ ზემოთ ჩამოთვლილთა ოპოზიციურობა დაეჯერებინა, ზუგდიდში ახალი სისხლის ნიაღვარი მოზღვავდებოდა, მაგრამ არა. როგორც ჩანს პოტიომკინის სიმართლე სჭირდებოდათ.

მას შემდეგ, რაც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს და პირადად ი. ჟვანიას ბერიამ ყალბი ბრალდებები წაუყენა, ამათ საჭირო გაუხდათ ამ ბრალეულობათა საფუძვლის გამოკვლევა. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა კიდეც ჩაატარა ასეთი სპეციალური გამოკვლევა.

ბერიას საგაზეთო პუბლიკაციის და მასზე ი. ჟვანიას პასუხის შემდეგ (13 და 15 სექტემბერი), დაუყონებლივ, 16 სექტემბერს, შედგა სამაზრკომის პრეზიდიუმის სხდომა. ესწრებოდნენ: შელია, კიტია, ბ. ბერია, ჯანაშია, ბერულავა, ჯინჯოლია, გახარია, სიჭინავა, დადიანი (მიხეილი — ავტ.), ვ. შოგირაძე, ა. ქირია. თავჯდომარეობდა შელია. მდივანი იყო სიჭინავა. დღის წესრიგი: „ავტონომისტების საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ".

„მოისმინეს:

ა) ქობალიას ინფორმაციული მოხსენება, რომელმაც განაცხადა, რომ „თბილისიდან ჩამოსულა ჩეკას წარმომადგენელი ილარიონ თოდუა, რომელსაც მოუხმია ანდრო ჯიქია და კიმოთე თორდია და აურჩევიათ სამი კაცისგან შემდგარი ბიურო, რომელშიც შეუყვანიათ კიმოთე თორდია, ანდრია ჯიქია და გრიშა ახალაია, რომელიც აქ თვითონ არ იყო, შემდეგ გაუნაწილებიათ მომუშავედ რაიონებში ამხ-ბი. მე თვითონ არ ვიყავი, ყოფილა მარტო სამი (! — ავტ.).

ბ) ანდრია ჯიქიამ განაცხადა, რომ მოვიდა თბილისიდან ჩეკას წარმომადგენელი ილარიონ თოდუა ინფორმპუნქტში, დამიძახა მე და იქ იდგა კიმოთე თორდია იმასაც დაუძახა და შევედით ინფორმ-პუნქტში. თოდუამ მითხრა ოქმი წერეო, მე როგორც ინფორმ-პუნქტის თანამშრომელი და ის ჩეკას რწმუნებული შემეშინდა და დავიწყე წერა, საკითხად დასვა ბიუროს არჩევა (ფურცელი ქვემოთ წაჭრილია — ავტ.)... სამი კაცი კიმოთე თორდია, გრიშა ახალაია და მე. გრიშა ახალაია იქ არ იყო. შემდეგ იქნა განაწილებული სხვა და სხვა რაიონებში მომუშავე ამხ. ისეთები, რომლებიც იქ არ იყვნენ. ხელმძღვანელობა დააკისრეს მიშა დადიანს. თვით მიშა იქ არ იყო. ოქმი იმ ღამეს თოდუამ სახლში წაიღო. მეორე დილას მოიტანა და მე გადმომცა. გავხედე ოქმს და ბოლოზე ვნახე, რომ დაუმატებია ერთი მუხლი, რაც ჩვენ იქ არ შეგვიტანია ისეთი სადაც არის თქმული, რომ იქნეს აღრიცხვაზე აყვანილი ის პირნი, რომლები იქნებიან წინააღმდეგ პარტიული და უპარტიოც, რომლებზე თავის დროზე იქნეს მიღებული ზომები დადიანის წინადადებით. მე მეტი არაფერი ვიცი. მე მიბრძანეს და დავწერე.

გ) მიშა დადიანმა განაცხადა: მე ვიდექი ბულვარში ჩემთან იყო პ. როგავა, იქ იყვნენ სხვა ამხანაგებიც. მათ შორის ბერია (ბეგი — ავტ.), მოვიდა ჩემთან ი. თოდუა და მითხრა შენ კარგად იცი, რომ მე ამ საქმის გულიზა რავა დატანჯული ვარ 1921 წლიდან, ახლა არის დრო ამისა და შენ უნდა დაგვეხმაროთ და უნდა დავიწყოთ მუშაობაო. მე უთხარი მე აწი მოხუცებული ვარ და არ შემიძლია სიარული და მუშაობა აწ თქვენ უნდა იმუშაოთ მეთქი, არაო ჩვენ გვინდა თქვენი რჩევა დარიგება და ხელმძღვანელობაო, მე მეტი არაფელი მითქვამს, არც მივსულვარ მასთან, არც სხდომა რო იყო ის ვიცოდი და არც ბიუროს არჩევა. მასთან ერთად დადიანმა განაცხადა რომ მათ (ფურცელი წაჭრილია — ავტ.).

მის შემდეგ რაც ახალი კომიტეტის შემადგენლობა ჩამოვიდა ზუგდიდში, შემდეგ ამის გარშემო გაიხსნა კამათი, რომელში მონაწილეობა მიიღო მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქ მუშაობა მიიღეს პარტიის გარეშე, უპარტიოები და კონტრ-რევოლუციონერებთან ერთად, რასაც ადასტურებს ის, რომ პარტ-ამხანაგები და კომკავშირის წევრები დეპეშებს ხელს აწერენ უპარტიოები და კონტრ. რევოლუციონერები, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ამაში გამოიხატება პარტიის გარეშე მუშაობა, ეს არ უნდა ხდებოდეს პარტიის გარეშე, რადგან პარტ-ორგანოები ხელს არ უშლიან და ეწინააღმდეგებიან, პირიქით ხელს უწყობენ და ეხმარებიან. მუშაობა უნდა ხდებოდეს პარტიის რაიკომებში და არა გარეთ.

პარტიის გარეშე მუშაობა ხელს უწყობს კ/რ-ებს (კონტრრევოლუციონ-

ერებს — ავტ.) და ჩვენ მტრებს აძლევს მასალებს საპროვოკაციოდ ხალხში, რაც შემდეგ მოდის ცენტრალური უმაღლესი ორგანოებამდი და ვრცელდება პროვოკაცია, ვითომდა ცენტრალური სათავეში მდგომი ქართველი ძველი კომუნისტური „ბელადები“ იყვნენ სამეგრელოს მშრომელი მასის მჩაგვრელი, რაც ყოვლად დაუშვებელია, ამით ჩვენ ჩირქსა ვცხებთ ჩვენი ბელადებს და ძველი ამხანაგებს. ამისათვის საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ იქნეს მოსპობილი პარტიის გარეშე მუშაობა, ვინც გააგრძელებს შემდეგისათვის ასეთ მუშაობას უნდა იქნეს დასჯილი“. ოქმს ხელს აწერს თავჯდომარე და მდივანი (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 195, ფურც. 65-66. ოქმი 45 სტილი უცვლელია, ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

გაუგებარია რა ინფორმაციით გრძელდება მ. დადიანის სიტყვა და რა ინფორმაციით იწყება სხდომის გადაწყვეტილება. მაგრამ არქივში დაცულ სათანადო მასალებს შორის გვხვდება ზუგდიდის სამაზრკომის პრეზიდიუმის 1925 წლის 28 სექტემბრის სხდომის ოქმი №46. რომელიც გვაძლევს დამატებით ცნობებს. აქედან ჩანს, რომ სხდომას ესწრებოდნენ ი. ჟვანია, აკ. ქავთარაძე, ვ. კიტია, ვ. სიჭინავა, ბ. თორდია, მ. ჯინჯოლია, ვ. ნიკოლაიშვილი და საქართველოს ცენტრის წარმომადგენელი საჯაია. განიხილეს საკითხი „ავტონომისტების საორგანიზაციო ბიუროს არჩევნების შესახებ“ შემდგარი ოქმის განხილვა. მომხსენებელია ი. ჟვანია. დაადგინეს: „განვიხილეთ რა ოქმი შემდგარი 2 ამა (წლის — ავტ.) სექტემბერს საქ. განგ. კომისიის აგენტი ი. თოდუას მიერ რაღაცა ბიუროს არჩევის შესახებ. პრეზიდიუმი ამხ. თოდუას და რაფავას მოქმედებას თვლის წმინდა პროვოკაციულად, მიმართულს ზოგიერთი ამხანაგების და აგრეთვე მთელი ორგანიზაციის მიმართ, რასაც ამტკიცებს ის ცოცხალი საბუთები და მასალები, რომლებიც გვაქვს ხელში და რომელთა ასლს თან ურდგენთ საქართველოს კპ ცკ-ს და ვადგენთ, რათა სამაზრკომი ერთხელ და სამუდამოდ იქნეს განთავისუფლებული იმ ბრალდებისაგან, რაც არის ხელოვნურად შექმნილი თოდუას მიერ სამაზრკომის მიმართ და იქნეს დეტალურად გამორკვეული საქმის სინამდვილე, ეთხოვოს საქართველოს კპ ცკ-ს და საკ. კომისიას გამოყოს სპეციალური კომისია სიმართლის ასახსნელად და დამნაშავე მხარეზე სათანადო პასუხის გასაცემად. თავჯდომარე — ი. ჟვანია, მდივანი — ი. სიჭინავა“ (საქართველოს პრეზიდიუმის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 195. ფურც. 43. სტილი დაცულია, ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

დადგენილებაში იკითხება, მაგრამ გასაგებად არა ჩანს, რომ ჩეკისტ თოდუას ერთად პროვოკაციაში ბრალი ედება რაფავას. ზუგდიდის პარტიული აქტივის შემადგენლობაში ჩანს მხოლოდ ერთი — ჭიჭიკო, ივივე ავქსენტი რაფავა. იგი ნახსენებია ზუგდიდის ყოფილ სამაზრო კომიტეტის და კონფერენციის დელეგატებს შორის (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, ს. 91, ფურც. 10). ეს უკვე შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი ჩეკისტი, ბერიას მარჯვენა ხელი და საქართველოს შინსახკომისარია. საფიქრებელია, რომ მან ჩეკისტ თოდუასთან ერთად რაღაც როლი შეასრულა ზუგდიდელი ავტონომისტების ორგანიზაციული მუშაობის შეთითხვნაში. ამას იგი პირადი ინიციატივით ან ჩეკისტი თოდუას მოთხოვნით არ გააკეთებდა, რადგან არ იყო ანდრია ჯიქიას და გრ. ახალაიას მსგავსი პირადი მონაცემების პიროვნება.

როგორც ვნახეთ, დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცკ-ისაგან მოითხოვს ჩეკას მიერ შეთხზული დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობას. ეს უკვე სერიოზული გამბედაობაა. მაგრამ ვინ უნდა დასჯილიყო?! ამ დროს „მეგრული საკითხის“ გამო ბერიას მიერ დაკვალიანებული კამპანია უკვე ჩავლილი იყო. იგი მთელმა საქართველომ ისე გაიგო, როგორც ბერიამ დასახა. მან, ისე მოაწყო საქმე, რომ თუ ა. გეგეჭკორი თავის წერილში მხოლოდ მართლა სეპარატისტულად გაზვიადებული საჩივრების ავტორებს ბესელია-ბუკონია-ახალაიას აკრავდა შავ ბოძზე, ლ. ბერიამ მათი რიცხვი უამრავ ავტონომისტამდე გაზარდა. 15 მათგანი თავისებურად დაახასიათა კიდეც. ამით მან უზრუნველყო, აგრეთვე საკუთარი ყალბი დასკვნებისა და ფორმულირებების

გამართლება დასაბუთების მიზნით დისკუსიის გაშლა ცენტრალური საბჭოთა-კომუნისტური პრესის ფურცლებზე და რუსთაველის თეატრში. ბერიამ თავის ამ კამპანიაში ჩართო კომუნისტები, უპარტიოები, ყოფილი ანტიბოლშევიკი სოციალ-დემოკრატი და მის მიერ ანტისაბჭოთა დანაშაულებებში „გამოჭერილი“ თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწეები. მართლაც, ყველა შეაშფოთა გეგეჭკორისა და ბერიას მიერ რეალობად დასახულმა სამეგრელოს ავტონომიის შექმნის და საქართველოდან გამოყოფის ეროვნულმა საშიშროებამ. ეს გახდა ბერიას მიერ ორგანიზებულ კამპანიაში გ. ჟორდანიას, აკ. ფაღავას, თ. სახოკიას და კ. გამსახურდიას მონაწილეობის მთავარი მოტივი. სამეგრელოს ქართულის არმცოდნე, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ნამდვილ სატკივარზე კი არავის არაფერი უთქვამს. ეს იმის ძირითადი მიზეზი გახდა, რომ მათს სატკივარს ხელისუფლებამ კვლავ ხანგრძლივი დროით წაუყრუა.

ბუნებრივად ისმევა კითხვა: მაინც რამდენი იყო სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის ან სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფის ინიციატორი და აქტიური მონაწილე, რომელთა დაშოშმინება თითქოს ასეთი ფარისის გარეშე სხვა მხრივ არ მოხერხდა და ამიტომ საჭირო გახდა „მასშტაბური ალიაქოთის“ მოწყობა? როგორია მათი დანაშაულის ხარისხი?

ამ კითხვებზე პასუხს ნაწილობრივ მაინც გვაძლევს საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული ცენტრალური საკონტროლო კომისიის სპეციალური დადგენილება და „ავტონომისტ-სეპარატისტების ლიდერების შემდგომი ადამიანური ბედი. მკითხველი ალბათ იტყვის, რომ თუ „მეგრული საკითხის“ მოგვარება დიდი ეროვნული საშიშროებისაგან ხსნას გულისხმოდა და იგი ბერიას დიდ დამსახურებად ეთვლება, მაშინ იგი, იმდროინდელი რეჟიმის სისასტიკის გათვალისწინებით, მართლაც მოითხოვდა სპეციალური, რესპუბლიკის მასშტაბის, გახმაურებული კამპანიის ორგანიზებას, ხოლო დასჯილთა და მოსპობილთა შორის ათეულები მაინც უნდა ყოფილიყვნენო. მართალი ბრძანებაა. მაგრამ სინამდვილეში სერიოზული საშიშროება არ არსებობდა, იგი ხელოვნურად იყო შექმნილი და ფაქტობრივად არც არავინ გაუბედურდა. ამის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის იყო, რომ ეს ვითომ „დიდი ეროვნული საშიშროება“, სინამდვილეში საბჭოთა ავტონომიური პროპაგანდისა და პრაქტიკის საფუძველზე, თვით საქართველოს და ამიერკავკასიის ხელმძღვანელი ცენტრის მეთაურების (ი. სტალინი, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, ლ. ქართველიშვილი, ვ. ბახტაძე, ა. გეგეჭკორი და სხვა) წაქეზებით მოხდა. თავიდან (1922 და 1923 წლებში) იგი სამეგრელოს ავტონომიის უმტკივნეულო მოთხოვნებით გამოვლინდა. ამის გამო ისინი პარტიიდან მაშინვე უსამართლოდ გაირიცხნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში (1924-1925 წლებში), სამეგრელოს ავტონომისტების მოთხოვნების სრულმა იგნორირებამ ცალკეულ ავტონომისტთა მოთხოვნები ექსტრემისტულ-სეპარატისტული საჩივარ-მოთხოვნებამდე გაზარდა, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ კი მათ ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ დაუთმო, რაც ამ ავტონომისტებმა ყოველგვარ ზომიერებას გადააჭარბეს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე საყურადღებო ცნობის მოტანა.

1. ი. ჟვანია გაზეთ „კომუნისტში“ ბერიას ბრალდების პასუხად გამოქვეყნებულ წერილში (15. IX. 1925) წერს: „იმ დოკუმენტებს (სეპარატისტების საჩივრებს — ავტ.) და შემთხზველ პირებს... მე გავეცანი 27 აგვისტოს, აქ თბილისში, იმ სხდომაზე რომელსაც თვითონ ამხ. ლ. ბერია დაესწრო; მანამდე არც ამ ვაჟბატონებს (ალბათ, ბუკონია-ბესელიებს და სხვ. — ავტ.) ვიცნობდი, და არც მათ მიერ შეთითხნილ, მართლა სამარცხვინო, ჩვენი დროისათვის პროვოკაციულ-კონტრრევოლუციონურ დოკუმენტებს“.

„კონტრრევოლუციურს“ სწორედ ავტონომისტ-სეპარატისტების განცხადება-საჩივრებს და ტელეგრამებს უწოდებდნენ. ი. ჟვანიაც მათ ტერმინოლოგიას ხმარობს. მაშასადამე, ე.წ. მაფალუელი „ვაჟბატონების“ აყვანა ჯერ კიდევ 27 აგვისტომდე მომხდარა. ჩანს, რომ ი. ჟვანია ბერიას და ჩეკას ძიებას მოწ-

მედ ან დაპირისპირებისათვის დასჭირდა. მაშასადამე, ჩეკაში ითხზვებოდა „მეგრულ საკითხთან“ დაკავშირებული ამბები.

2. წიგნის მოცემულ თავში ვნახეთ, რომ აგვისტოს შემდეგ საკონტროლო კომისიამ სექტემბერში დაიბარა სამ ათეულზე მეტი სავარაუდო დამნაშავე და რამდენიმე ეჭვმიტანილი.

3. არქივში გამოვაელინეთ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის და პარტკოლეგიის 1925 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება: „საქმე მეგრელი ამხანაგების შესახებ“. აქ ჩამოთვლილი არიან მხოლოდ მ. დადიანი, პ. როგავა, პ. კობალია, მ. გაბედავა. მათ ბრალად ედებათ:

ა) „საქართველოს სს რესპუბლიკიდან ზოგიერთი მაზრების ჩამოცილების მიზნით საკითხის დაყენებასა და აგიტაციაში“;

ბ) „საქართველოს ცკ-ის ნებისა და თანხმობის გარეშე გაზეთ „ნოთეს“ გამოცემაში“

გ) „სსრკ ცაკ-ის თავჯდომარის ამხ. კალინინის“ და „ცაკ-ის თავჯდომარის“ სახელზე ტელეგრამების გაგზავნაში“

დ) „თავიანთ მიმართვებში მეგრელების იმ განსაკუთრებულ ხალხად გამოყოფაში, რომლებიც მათგან გაუთვალისწინებლად აღმოჩნდნენ საქართველოს სუვერენიტეტის ჩაგვრის ქვეშ, რომლისგანაც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან“. მაგრამ აქ მოტანილია ის არგუმენტები, რომლებსაც აღ. გეგეჭკორი და სხვა „ბრალმდებლები“ მიაწერდნენ ლ. ბერიას განმარტებით „ახლად გამოჩეკილ მეგრელ ავტონომისტებს“ გრ. ახალაიას, ს. ბესელიას, ც. ბუკონიას და არა ზემოთ დასახელებულ ავტონომისტებს.

ე) „რეაქციულ მისწრაფებათა ავტორების მთავარი ხელმძღვანელები არიან დადიანი და როგავა“. საქართველოს კომპარტიის ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის მიერ ჩატარებული ძიების მიხედვით ესენი ხელს აწერდნენ მიმართვასაც და დეპეშასაც. მაგრამ მათ აღიარეს მხოლოდ მიმართვაზე ხელმოწერა. დადგენილებაში ერთი გადაშლილი წინადადება ასე იკითხება: „В числе двадцати таких лиц, в числе коих значутся фамилии трех коммунистов: Рогава, Дадиани, Габедава. 4-ий обвиняемый Кобалия хотя и не подписивал но будучи осведомлен с содержанием телеграммы дал свое согласие“.

ვ) „აღნიშნული პირები ბრალდებით არიან ვოსტორგოვი-აშორდიას მემკვიდრეები“. მაგრამ ამის მტკიცებულება არ ჩანს.

საერთოდ ძნელი გასარკვევია აღნიშნულ დოკუმენტში რა არის ტყუილი და რა არის მართალი.

დადგენილების მოტივირებული ნაწილის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება:

„I. სამეგრელოს შესახებ საკითხის წამოჭრა, დაყენება და უმაღლესი ორგანოებისადმი მათთვის დამახასიათებელი სტილით მიმართვა „ჩაითვალოს დაუშვებლად, ანტიპარტიულად და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ გამოსვლად“.

II. კომუნისტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ დოკუმენტებს, „ჩაითვალონ პარტიის გახრწნილ წევრებად და უსიტყვოდ გაირიცხონ საქართველოს კომპარტიის რიგებიდან“. ხელს აწერენ დოლიძე — ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავჯდომარე და პარტკოლეგიის თავჯდომარე — ლეჟავა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 261-263, 264).

მაგრამ არსებობენ დოკუმენტები, რომლებიც ამბობენ, რომ „მეგრული საკითხის“ გამო ატეხილი ალიაქოთის ყველა ეს წამომწყები, ინიციატორი, ვითომ „ვოსტორგოვ-აშორდიას მემკვიდრე“, „ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა კონტრევოლუციონერი“, „პარტიის გახრწნილი წევრები“ და პარტიიდან უსიტყვოდ გარიცხულები — შემდეგში არიან რეაბილიტირებულები:

ა) მ. დადიანი 1928 წლის მონაცემით ნახსენებია წალენჯიხის რაიონის

მოსამართლედ. (იხ. სუკის არქივი №2983, ფ. 142), ხოლო შინსახკომის უშიშროების მუშაკთა მიერ შედგენილი „მოხსენებითი ბარათის" მიხედვით ნახსენებია 1930 წელს „წალენჯიხის სახალხო მოსამართლედ და სკპ (ბ) წევრად" (საქართველოს უახლოესი ისტორიის არქივი, ფ. 297, აღ. 1, ს. 698, ფურც. 1). ი. ძიგუას ერთ-ერთი წყარო ასახელებს „ყაზაყიში გაზეთის" რედაქციის თანამშრომლად.

ბ) „ძველი ბოლშევიკები, გლეხები გაბედავა მიხა, როგავა პ. კობალია და სხვ. რომლებიც 1925 წ. პარტიიდან სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის გამო გაირიცხნენ, მას შემდეგ რაც მათ გაასაჩივრეს სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, პარტიაში აღდგენილ იქნენ 1929 წელს" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ღ. 6, ს. 266, ფურც. 227-228);

გ) სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნებსა და სეპარატისტული ხასიათის არგუმენტების შემცველ „კონტრრევოლუციურ საჩივრებზე" ხელმომწერი პირები ა. კვარაცხელია, ტ. შენგელია, კ. თორდია კვლავ ძირეულ პარტიულ თანამდებობზე ჩანან (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 132, ფ.3.9);

დ) როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამეგრელოს ავტონომიისათვის ყველაზე თავგამოდებული მებრძოლი, საქართველოს ცენტრის ყველაზე ხშირი მამხილებელ-მაგინებელი და სამეგრელოს ავტონომიის ისტორიულ-ლინგვისტური უფლების „დასაბუთების" ყველაზე მოწადინებული „მკვლევარი" გრ. ახალაია 1925 და 1926 წელსაც აგრძელებს საჩივრების წერას, ე.ი. არ დაუპატიმრებიათ, ხოლო უფრო მოგვიანებით მას ერთ-ერთ რიგით თანამდებობაზე ვხედავთ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 269)..

მაშასადამე, საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების საშიშროება, რომლის პრაქტიკული არსებობის დასაბუთებას 1925 წელს თავგამოდებით ცდილობდა საქართველოს კომუნისტური პარტია და ჩეკა, არ დასტურდება. ამ „საშიშროების" დაძლევის მიზნით წამოწყებული ჩეკისტური კამპანია, რომელსაც მეთაურობდა ლ. ბერია ბლეფი ყოფილა. მათ პრეტენზიებში კი ბევრი რამ მართალიც ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრრევოლუციონერებად და საქართველოს მოღალატეებად გამოცხადებულთა „ბელადები" რეპრესიებს ვერ ასცდებოდნენ.

როგორც ვნახეთ, „მეგრული საკითხი" გულისხმობდა ქართულის არმცოდნე უშუალო მწარმოებელ მეგრელ გლეხთა სამეურნეო საქმიანობაში ინტენსიურ ჩაბმას მათთვის შესაძლებელი და მოსახერხებელი ერთადერთი მეგრული ენით. ამ პრობლემის სწრაფი მოგვარება მოითხოვდა გლეხებისათვის აუცილებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნიკური და პოლიტიკური ცოდნის მეგრული ენით გადაცემას. ეს თავის მხრივ მოითხოვდა შედარებით, ანუ წერა-კითხვის უცოდინარობის სწრაფი მეთოდით მეგრული ენით ლიკვიდაციას, მეგრულ ენაზე სათანადო საცნობარო გაზეთისა და ლიტერატურის გამოქვეყნებას. ფართო მასების ნორმალური მოქალაქეობრივი ფუნქციონირება საჭიროს ხდიდა დაწესებულებებსა და სასამართლოებში ხალხისათვის გასაგები ენის სახელმწიფოებრივ დაშვებას. იმის გამო, რომ ღარიბი, მხოლოდ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ბავშვების 50-60 პროცენტი სკოლის გარეთ იყო, მოსწავლეებიდან კი ზოგი ხშირად 2-4 კლასის ცოდნით ებმებოდა პრაქტიკული ცხოვრების ფერხულში, საჭირო იყო მათ მისცემოდათ დაწყებითი სკოლის პერიოდში ცოდნის ელემენტარული მინიმუმის გასაგებ ენაზე ათვისების შესაძლებლობა მაინც. ეს კი მათთვის გაუგებარი ქართულით სწავლებით არ გამოდიოდა, ამ დროს რეალური ეფექტის მიღწევა მხოლოდ მეგრულ ენაზე სწავლების დაშვებით და ქართულის გამოყენებით შეიძლებოდა. ყველა ამ ზემოთ აღნიშნული სიკეთის მოგვარებას სამეგრელოს ქართულის არმცოდნე გლეხობა დაუოკებელი ინტერესით მოელოდა. იგი დრო და დრო, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა კიდეც. ეს იყო უზენაესი ხელმძღვანელების და სამეგრელოში ჩამოსული კომისიების მიმართ საკუთარი გულის-

წადილის გამხელა, მათდამი განცხადებებით მიმართვა, საპროტესტო აქციაში მონაწილეობა, მათი ინტერესების გამომხატველი ინტელიგენტებისადმი მხარდაჭერა და სხვა. მაგრამ რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობის უმრავლესობას სამეგრელოს გლეხობისა არ გაეგებოდა. ისინი დაკავებული იყვნენ თავიანთი ყოველდღიური პარტიულ-პოლიტიკური, სამეურნეო და სხვა სახის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებით. მათ დიდ დროს ართმევდა პილიტიკანური ცხოვრება და ასეთივე ურთიერთობები. ბევრი მათგანი იმდენად მოწყვეტილი იყო სამეგრელოს სოფლის ცხოვრებას და მისი ჭირ-ვარამის ცოდნას, რომ ვერ სწვდებოდა მეგრელი გლეხების პრობლემებსა და სატკივარს. ზოგი მეგრელი ხელმძღვანელი მუშაკი პოლიტიკურად ცრუობდა, თითქოს სენაკსა და ზუგდიდის რეგიონშიც კი ქართული ყველას ესმოდა. ზოგს მიაჩნდა, რომ რაკი მეგრელები იგივე, ქართლელ-კახელებისა და იმერელ-გურულების მსგავსი ქართველები იყვნენ, ამდენად მათი ენობრივი პრობლემაც სრულიად უმნიშვნელო და ადვილი, თვითდინებით მოსაგვარებელი იყო. ზოგს ის ვერ გაეგო, თუ რა საჭირო იყო გლეხისთვის მეგრული გაზეთი, საინფორმაციო ფურცლები და სხვა, რაც მას არასდროს ჰქონია. აღნიშნული და ზოგი სხვა მიზეზის გამო პარტიულ-სახელმწიფოებრივი ბიუროკრატია ქართულის არმცოდნე გლეხების ინტერესების გამომხატველი ინტელიგენტების წინადადებებსა და მით უმეტეს მოთხოვნა-საჩივრებში მხოლოდ ავტონომიისა და სეპარატიზმის მისწრაფებას ხედავდა. პარტიულ-სახელმწიფოებრივი ჩინოვნიკობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ არკვევდა, ზოგი განგებ არ ხედავდა, რომ მეგრელი ინტელიგენტების მოთხოვნები რაციონალურ აზრებს შეიცავდა და მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ზუგდიდის პარტიული და საბჭოთა სამაზრო ცენტრის ხელმძღვანელობა, რომელსაც სათავეში ედგა ისაკი ჟვანია და რომელიც გლეხობის სამართლიან მოთხოვნებს ასახავდა. საქართველოს ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური ცენტრის უმრავლესობა კი მათ სამართლიან მოთხოვნებში ეროვნულისათვის მხოლოდ ზიანის მომტანს ხედავდა, ამის გამო მათ ავტონომისტობას და სეპარატისტობას აბრალებდა და ხშირად მათ მიერ შემოთავაზებულ რაციონალურსაც უგულებელყოფდა. ამიტომ საქართველოს ცენტრი მეგრული ენის გამოყენების მომწიფებულ და გარდამავალი ხასიათის პრობლემების მოგვარებას აჯანჯლებდა, წინადადება-საჩივრებს სათანადო განმარტებების ნაცვლად იგნორირებას უწევდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ავტონომიის მთხოვნელებს დევნიდა და ამით ავტონომისტებს სეპარატისტული არგუმენტების შემცველი საჩივრების მობილიზებისკენ თვითონვე უბიძგებდა. ძალმომრეობისა და ადმინისტრირების მეთოდებით მართვას მიჩვეული პარტოკრატია და საბჭოთა ბიუროკრატია „მეგრული საკითხის“ სამართლიან მოგვარებას ჩვეულებისამებრ ადმინისტრირების და ჩეკას გამოყენების გზით მოგვარებას არჩევდა.

თავი XI

„მეგრული საკითხის“ ბერიასეული გაყალბების პროვოკატორული გამოყენება და სამაზრო ხელმძღვანელობის გადაყენების წარუმატებელი ცდა

საქართველოს პირველმა ჩეკისტმა ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობას 1925 წლის 26 აგვისტოს და 3 სექტემბერის დადგენილებებითა და 13 სექტემბრის პუბლიკაციით პარტიულ-პოლიტიკური ნიადაგი საფუძვლიანად შეურყია. უკვე 1925 წლის 27 აგვისტოს ი. ჟვანიამ თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა. 22 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მოისმინა საკითხი აკ. ქავთარაძის მუშაობის შესახებ და დაადგინა: „გაწვეული იქნას საქართველოს სახკომსაბჭოს განკარგულებაში პარტიული ყრილობის დამთავრების შემდეგ“. იგი დროებით დატოვეს სამუშაოზე (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 34). მაგრამ ისე მოხდა, რომ ქავთარაძე მალე საბოლოოდ ჩამოაშორეს ზუგდიდში მუშაობას, მოგვიანებით კი, ლ. ბერიასთან საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აპარატში აღმოჩნდა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს რეალური მდგომარეობის შესაბამისი დადგენილებით საქართველოს ცენტრის უკმაყოფილების გამო, ი. ჟვანიას ჩეკაში ბერიას თანდასწრებით მოუწია სეპარატისტებთან შეხვედრა. ამ უნდობლობის გამო მან ჯერ კიდევ 30 აგვისტოს ითხოვა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში გაგზავნა და, მაშასადამე, გამოსთქვა მზადყოფნა, რომ დაეტოვებინა დაკავებული პარტიული თანამდებობა.

იმის შემდეგ, რაც ლ. ბერიამ „მეგრული საკითხი“ ისე წარმოაჩინა, თითქოს ამ „საკითხის“ მოწესრიგებაში პრობლემა შექმნა არა მისმა უპასუხისმგებლო იგნორირებამ, არამედ მხოლოდ ავანტურისტების ანტისახელმწიფოებრივმა მეცადინეობამ, მათ მიმართ ზუგდიდის ახალი სამაზრო ხელმძღვანელობის მფარველობამ, რომელიც თითქოს ა. ქავთარაძე-ი. ჟვანიას ხელმძღვანელობამ ასაზრდოვა და რაც ზუგდიდის ცენტრის პოზიციები საქართველოს ცენტრში საგრძნობლად შეირყა, თავი აშკარად იჩინა ამ ახალი სამაზრო ხელმძღვანელობის მიმართ ოპოზიციის იერიშების გამძაფრებამ. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ახალი სამაზრო ხელმძღვანელობის მიერ დისკრედიტირებული და გადაყენებული, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დიდი დამსახურების მქონე პირები, ყოფილი რევოლუციონერები, პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის განყოფილებების ყოფილი გამგეები მიხა და პროფი მამფორიები. მათ გვერდში ამოუდგნენ ახალი ხელმძღვანელობის მიერ დისკრედიტირებული და ამის გამო მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი სხვა კომუნისტები. მათში ურევია „ნოთელი“ და გამოუსწორებელი ავტონომისტი ტარასი შენგელია. მაგრამ პროფი და მიხა მათში მაინც ოპოზიციის „ბელადებად“ მოჩანან. დაპირისპირება უაღრესად მწვავედ წარიმართა. მან მაზრის სოციალური და ენის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხებიც მოიცვა. საერთოდ ეს ისტორიაც „მეგრული საკითხის“ მიმართ დამოკიდებულების გარკვევას ეხმარება და სწორედ ამიტომ ვცანით წიგნის წინამდებარე თავში ფართოდ გაშუქების ღირსად. ისაკი ჟვანიას და აკაკი ქავთარაძის წარსული საქმიანობის შესახებ ზოგი რამ უკვე ითქვა, ზოგიც მომდევნო თავებში ითქმება. აქ საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ი. ჟვანია ტიპიური ბოლშევიკია. იგი ალ. გეგეჭკორის თანამებრძოლი, ზუგდიდელი იმ წითელპარტიზანელების მეთაური იყო, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ და რომელთაგან ზოგმა მონაწილეობა მიიღო ლეჩხუმის ცნობილ „ანტიმენშევიკურ“ ამბოხებაში. ამას გარდა ი. ჟვანია 1919 წლის აპრილში აფხაზეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 1921 წლის აპრილში იგი იყო სოხუმის ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე (ჯ. გამახარია, ბ. გოგია. „აფხაზეთი — საქართველოს

ისტორიული მხარე", რუსულ ენაზე, თბ. 1997, გვ. 113, 115) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივნად დანიშნამდე ი. ჟვანია მსახურობდა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მთავარ მიწათმოქმედად (განყოფილების გამგედ) და მიწსახკომისრის (ალ. გეგეჭკორის) მოადგილედ.

პროფი მამფორია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე. მაშასადამე, იგი დეტალურად ერკვეოდა არა მარტო სამაზრო, არამედ აგრეთვე საქართველოს ცენტრის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და საკადრო სამზარეულოს შინაგანი მოვლენების ნიუანსებში. ამასთანავე, პროფი და მიხა მამფორიები და მათი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ სამეგრელოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა ავტორიტეტული წარმომადგენლები და თანამდებობაზე დაბრუნების თეორიული შანსის მქონეები.

მიხა მამფორია ებრძოდა „მენშევიკურ მთავრობას", იგი აგრეთვე 1924 წელს დარჩელელი კომუნისტების რაზმით თავდადებით იბრძოდა ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ. მისი რაზმი აჯანყებულებისაგან ზუგდიდის განთავისუფლების დროს პირველი შეიჭრა ქალაქში. მ. მამფორიას ზუგდიდის სამაზრო კომიტეტში ადრე ეკავა საპატიო — საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობა.

„მეგრული საკითხის" ისტორიასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს გვხვდებიან საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგული მებრძოლები: წალენჯიხის პირველი წითელი პარტიზანული რაზმის უფროსი იოსებ კვარაცხელია; 1917-1919 წლების მებრძოლი წითელი პარტიზანები მაკარი ლაშხია, ალე თოლორაია, ჯვებე ჩიჩუა, ტაია კალანდია, ავქსენტი თოდუა, ილია კაჭარავა, ერასტი ქადარია, ტაია კიტია, კირილე მიქაია; სამურზაყანოს რევოლუციური შტაბის წევრები დ. თორდია, ფ. თორია, კ. თორია; სამეგრელოს „ანტიმენშევიკური" აჯანყების მონაწილეები გრიგოლ ბერულავა, დომენტი ბაძაღუა, მიხეილ ქობალია, ესტატე კვარაცხელია, გრიგოლ ბერულავა; ძველი ბოლშევიკი, აქტიური პარტიზანი იოსებ ცხაკაია; შამგონელი პარტიზანები: ალე თოლორაია, ბიქტორ თორდია, ერეკლე ნაჭყებია, ოთარ ჩქოტუა; ამავე წინააღმდეგ აჯანყებულებს შორის იყვნენ: ი. სორდია, დ. ფარცვანია, მიხა შელია, დ. ფარცვანია, მაკარი ლაშხია, პილა თოლორაია, ბიქტორ ვეკუა, პილა თოდუა, მიხეილ ქირია, ბიქტორ თორდია, ი. ჯიქია, ს. ხუბუა; ზუგდიდში 1924 წლის აჯანყების დროს საბჭოთა ხელისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლები იყვნენ: ლ. ზაქარაია, ი. ჯანაშია, ვ. ჯიქია, ერ. ქადარია, გრ. ცაგურია, ალ. კუტალია, ჯვებე ჩიჩუა, აკ. დიდიშვილი და სხვ. ესენი მოხსენებული ჰყავს ი. ჟვანიას თავის მეგრულ ენაზე გამოცემულ წიგნში. მათთან ერთად იყო ბევრი სხვა, რომლებიც ი. ჟვანიასთან კონფლიქტში აღმოჩნდნენ და ამის გამო ავტორმა ისინი ხსენების ღირსად არ გახადა, ვითომ იმიტომ, რომ არ გაახსენდა. ამ კონტინგენტის ჩამოთვლა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ეს არის ზუგდიდის აქტივი, რომელსაც ი. ჟვანიას ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ამათგან ზოგი სამაზრო თანამდებობას იკავებდა, ზოგი ოპოზიციას ქმნიდა და სხვადასხვა დროს „მეგრულ საკითხთან" დაკავშირებით საკუთარ პოზიციას ამჟღავნებდა. ამიტომ ამ პიროვნებებიდან ზოგი ქვემოთ გაშუქებულ ცალკეულ ამბებთან დაკავშირებითაც საყურადღებონი არიან.

1925 წლის სექტემბრის კამპანიის შემდეგ სათანადო სამაზრო დოკუმენტაციის მიხედვით არა ჩანს, რომ მნიშვნელოვან საკითხად წამოჭრილიყო ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების ინტერესები. მაზრის ხელმძღვანელობა და ოპოზიცია ძირითადად შიდაპარტიული ბრძოლის საკითხებით შემოიფარგლა. ამავე დროს ჩანს, რომ სამაზრო კომიტეტის ოპოზიციამ მიხა და პროფი მამფორიების მეთაურობით ზუგდიდის ცენტრზე სერიოზული იერიში მიიტანა. ისინი ამ დროს საკუთარი სიმართლის დაცვას ცდილობენ სამაზრო კომიტეტის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებების, მათ

მიმღებთა განწყობილების და ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობის მთავარი მოწინააღმდეგე ლ. ბერიას 13 სექტემბრის საგაზეთო წერილში ჩამოყალიბებული კრიტიკული აზრის გამოყენებით.

1925 წლის 1 ნოემბერს დარჩელში გაიმართა პარტიის VII რაიონული კონფერენცია. პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს მიხა მამფორია, აქვსენტი ხვიჩია და ეგნატე ნანავა. თავჯდომარეობდა მ. მამფორია. მდივანი იყო ე. ნანავა. კონფერენციას ესწრებოდნენ ზუგდიდის სამაზრო პარტკომის თავჯდომარე ი. ჟვანია, პარტკომის წევრი გ. შელია, სამაზრო აღმასკომის თავჯდომარე ა. ქავთარაძე, რომელსაც ოპოზიცია რატომღაც ქანთარიად მოიხსენიებს და განათლების განყოფილების გამგე ალ. ქირია.

დარჩელის რაიკომის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა მდივანი აბრამ ფარცვანია. მან ისაუბრა კოოპერატივის, კლუბ-სამკითხველოს მშენებლობის, ჟურნალ-გაზეთების გამოწერის, ქალთა შორის მუშაობის საკითხებზე.

მიიღეს რეზოლუცია: „ამხ. ფარცვანიას ჩამოსვლის (ანუ მოვლინების — ავტ.) მერე პარტიული მუშაობა იყო სრულიად დაზიანებული და შეჩერებული, ვინაიდან ის იყო მაზრკომის განკარგულების ქვეშ", — ეს იმას ნიშნავს, რომ სამაზრო კომიტეტის მიერ დარჩელის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მდივნად მოვლენილმა ა. ფარცვანიამ საკუთარ მოვალეობას თავი ვერ გაართვა, რადგან სამაზრო კომიტეტს ექვემდებარებოდაო. მაშასადამე, ამ რეზოლუციაშიც თავი იჩინა მწვავე დაპირისპირებამ.

სამაზრო პარტკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ჟვანიამ. მან ისაუბრა პარტიული აღმშენებლობის, კონკრეტული პარტიული მუშაობის, კოოპერაციის, სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობების მიერ სესხის გაცემის, რაიონში პიონერთა ორგანიზაციის მოწყობის და ქალებთან მუშაობის საკითხებზე. ი. ჟვანიამ დადებითი შეფასება მისცა ქალთა შორის გაწეულ მუშაობას.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მოხსენებასთან დაკავშირებით მიიღეს დადგენილება: „რადგანაც აკაკი ქანთარია (იგივე, ა. ქავთარაძე — ავტ.), გრ. შელია, ბეგი ბერია და მათი ლაქია ისაკი ჟვანია გადამტერებული იყვნენ მიხ. მამფორია, მაქს. ხვიჩია, პროფი მამფორია, აქვსენტი მამულია, კირილე მიქაია და სხვა ორულ-ერგეტელ და დიდნეძელი ამხანაგებზე, რომელიც იყვნენ აკაკი ქანთარიას და მათი (თანამოაზრეების — ავტ.) ლაქიები — ყოველნაირი ბოროტმოქმედების და კონტრრევოლუციონერებთან კავშირის აღმომჩენები, მოინდომეს განსაკუთრებით ორულ-ერგეტის და დიდნეძის ორგანიზაციის სრულიად დაშლა და საბაბად უნდოდათ გამოყენებიათ ორგანიზაციის (მხარდაჭერა — ავტ.), რომელზედაც მოელოდნენ ვარის თქმას (ე.ი. დაშლას — ავტ.). მაგრამ ჩვენი ორგანიზაციას კარგად სწამდა თავის ცეკა (ე.ი. ცკ-ის ხაზი — ავტ.) და მის დისციპლინა, კიდევაც იაჩეიკებს დადგენილებით გამოუცხადა თანხმობა განიარაღებაზე (უნდა იგულისხმებოდეს 1924 წლის აჯანყების ჩასაქრობად კომუნისტებზე გაცემული იარაღის ჩაბარება — ავტ.), რაც ძალიან ეწყინა ისაკი ჟვანიას, გრიშა შელიას, აკაკი ქანთარიას და მათ ამხანაგებს (ანუ, ზუგდიდის ცენტრს — ავტ.), რადგანაც ამის მერე ორგანიზაციის დასაშლელი საბაბი ჩამოეცალა ხელიდან (მაზრკომს, მაგრამ — ავტ.) მაინც ჯერ-ჯერობით თოფები არ წაუღიათ და რამდენადაც მოსჩანს მათი მოქმედებიდან, ეს უნდა გამოიყენონ ორგანიზაციის დასაშლელი საბაბით ზემოხსენებული ინტერესით არის გამოწვეული. როგორც თვითონ ზემოხსენებული კერძო ინტერესით არის გამოწვეული ის რომ ჩვენ ორგანიზაციის არცერთი კანდიდატი არ გაუტარებიათ ამიტომ ესე იგი რომ თანახმა ვართ განიარაღებაზე და მაინც ამ საბაბით უნდათ დაშალონ ჩვენი ორგანიზაცია დარჩელის რაკომფერენციის სახელით დაუყონებლივ ეცნობოს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ამ ოქმის სრული ასლის გადაგზავნით. (როგორც ჩანს, 1924 წლის აჯანყების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დარჩელელ კომუნისტებზე გაცემული იარაღის ჩაბარებაზეა საუბარი, რამდენადაც მ. მამფორია ამ რაზმის მეთაური იყო — ავტ.).

ჩამოვიდეს და ნახეს რა ზუგდიდში ძველი დადიების სასახლე (რომელშიც იმ-დროს და შემდგომი დიდი ხნის მანძილზე განთავსებული იყო ზუგდიდის პარ-ტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა — ავტ.) აკაკი ქანთარია, გრიშა შელია, ბეგი ბერია და ჟვანიას გაეხსნათ ნარკომის მადა მაზრის თავჯდომარეობა და მაგისთანები თურმე ეცოტავათ ანდა რა საკადრისი იყო მაზრის მაშტაბით ყო-ფილ ნარკომების მუშაობა. მიიღეს ეს მხედველობაში და დაიწყეს აგიტაცია სამეგრელოს ავტონომიის მოსათხოვათ, რასაც ამტკიცებს ის დარიგებები, რო-მელნიც გადაუციათ ზოგ ერთი ამხანაგებისათვის (ალბათ რაკი მსგავსი რამ ლ. ბერიას მიერ იყო გამოთქმული — ავტ.). ამასთან ზემოხსენებული პირების კარიელისტული მადით იქნა გამოწვეული ნაციონალისტური შეღლით რო-მელიც ყოველთვის ბურჟუაზიულია და რამაც დაიწყო არსებობა ქანთარია და მის გმირების ჩამოსვლის მერე (აქ აშკარა ცილისწამებაა, მაგრამ რაკი არსე-ბობდა ლ. ბერიას მსგავსი ბრალდება, თავისიც დაუმატეს, მიიჩნიეს, რომ შეი-ძლებოდა დაბრალებულის გასაღება რეალობად — ავტ.). ამისთანა მათი მადამ დაგვიკარგა სააგიტაციო გაზეთი ფურცლების გამოშვებაც (როგორც ჩანს, დარ-ჩელელი ოპოზიციონერები სამაზრო ხელმძღვანელობას ი. ჟვანიას და აკ. ქავ-თარაძეს აბრალებდნენ საქ. კპ(ბ) ცკ-ის 3 სექტემბრის დადგენილებით ან ზუგ-დიდის სამაზრკომის 24 აგვისტოს დადგენილებაში გათვალისწინებული მე-გრული საინფორმაციო ფურცელ-გაზეთების გამოცემის შეჩერებას — ავტ.) რაც დიდი საჭირო იყო ქართული ენის უცოდინარი მოზრდილი მცხოვრებისათვის (კვლავ ცილისწამებაა: მეგრული საინფორმაციო საშუალებები, მართლაც აუ-ცილებელი იყო, მაგრამ მათი გამოცემა 1930 წლამდე დაამუხრუჭა საქართ-ველოს ხელმძღვანელმა ცენტრმა, ზუგდიდის ცენტრი კი მისი დროული გამო-ცემისთვის იღწვოდა. ჩვენი აზრით, აქ არეკლილია „ნოთელი" თანამებრძო-ლების ტ. შენგელიას და სხვათა სამართლიანი მოთხოვნა — ავტ.) მაგრამ იმე-დია საქართველოს ც.კ. (არ — ავტ.) დაგვიკარგავს იმას რაც ხალხისთვის აუ-ცილებელი საჭირო (არის — ავტ.) და (არა — ავტ.) იმ ავტონომიის მოთხოვ-ნისათვის (? — ავტ.) და ამით სამეგრელო და საქართველოს შორის შუღლის დაბადებისათვის (კვლავ ცილისწამებაა — ავტ.). დარჩელის რაიკონფერენცია უცხადებს ზიზღს და სასტიკი პროტესტს აკაკი ქანთარია, ბეგი ბერია, გრიშა შელია და ისაკი ჟვანიას... იმის მერე რაც აკაკი ქანთარიამ ისარგებლა რა შემთხვევით ეცდინებია ს.კ.პ. (საქ. კპ. — ავტ.) ცეკა და შეადგინა მაზრის აღმასკომი და პარტკომი თავისთან მუშა და გლეხების დაშორებული და ბოროტმოქმედი უზნეო პირებისაგან, კონფერენცია გულისწყრომით აღნიშნავს: აკაკი ქანთარიამ, ბეგი ბერიამ და სხვამ ახლაც მათთან განუყრელი პირებმა, როგორც საქართველოს გასაბჭოებამდი, ისე გასაბჭოების მერე ვერ შეძლეს გაეწყვიტათ კავშირი თავის კონტრრევოლუციური მოგვარე-ნათესავი თა-ვადაზნაურობასთან (ამ ბოლშევიკებისათვის თავადაზნაურობას არავითარი სიკეთე არ ახლავს, იგი მხოლოდ კლასობრივი მტერია — ავტ.). მასთან იდენდნენ ყოველ დღიურად სხვადასხვა ნაირ ბოროტ მოქმედებას, რისთვის 1921 წელს (ალბათ 1923 წ. უნდა იყოს — ავტ.) სამაზრო თათბირმა გამოი-ტანა დადგენილება. როგორც არასანდო პირები აკ. ქანთარია, ბ.ბერია და მათი დამქაშები ყოველ სამსახურიდან მოეხსნათ.

თათბირის გათავებისას ქანთარია და მისმა ლაქიებმა თავისი ზევიდან (ე.ი. ხელისუფლებიდან — ავტ.) მონიჭებული პოსტებით ისარგებლეს და იმ თათ-ბირის ერთ ხმათ გამოტანილი დადგენილების გულისათვის დაატუსალეს რამ-დენიმე გლეხური მხრიდან რევოლუციონური ტალღის მიერ გამოყვანილი (ანუ გლეხურ წიაღში შობილი და რევოლუციის მიერ წარმოჩენილი — ავტ.) კომუ-ნისტები მაგ დადგენილების ჩასაფუშებლად მოახერხეს ამხ. გამბაროვის მო-ტყუება რომლის საშუალებით სრულიად უდანაშაულოდ და მიზან შეწონილად იქნა ზუგდიდის მაზრიდან ზოგიერთი ამხანაგები გადასახლებული (მხედველო-ბაში ყავთ მ. მამფორიას ძმაკაცი, „ყაჩაღი" სვიმო შელია — ავტ.) მაგრამ

პარტკომფერენციამ რომელიც შედგა ქანთარია და მისი გმირების ზემოაღნიშნული თარეშის მერე დაუყოვნებლივ ერთ ხმათ გარეკა ზუგდიდის მაზრიდან ქანთარია და ბერია (ბეგი — ავტ.) თავის ამხანაგებთან ერთად, როგორც ბოროტ მოქმედნი და კონტრრევოლუციონერების მესაიდუმლე, რისთვის (აც — ავტ.) იყო ა. ქანთარია და ბერია პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ ხრიკებში გამოქნილმა ქანთარიამ და ბერიამ შეძლეს რაღაცა ფერად თავის ბოროტ მოქმედების დაფარვა და განუწყვეტლივ ეწაფებოდნენ შურის საძიებლად ზუგდიდში ჩამოსვლას (ა. ქავთარაძე საქ. კპ. ცკ–ის წევრობის კანდიდატია, ბ. ბერია ზუგდიდის აღმასკომში მისი მოადგილეა — ავტ.). როგორც ვხედავთ წუთიც იხელთეს და დაბრუნებისას კონტრრევოლუციონერების გულში მათთან საიდუმლო კავშირის გაჩაღებით, რაც პირველად გამოიხატა დახვრეტილი კონტრრევოლუციონერების ამოთხრაში, კონტრრევოლუციონერების გათამამება ზეიმში და მის მიერ ქანთარია და მისი ლაქიების ქება-დიდებაში (იგულისხმებიან აჯანყების გამო დახოცილ-დახვრეტილი, ერთად დამარხულების გადასვენების უფლების მიცემა მათი ჭირისუფლებისთვის და ამით მათი კმაყოფილების გამოწვევა — ავტ.) მათთან მოყვა შურის ძიება იმ ამხანაგებისადმი რომელნიც კიცხავდნენ და კიცხავენ მათ კავშირს კონტრრევოლუციონერების (1924 წლის აჯანყების — ავტ.) და ყოველი მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებას. მოინდომეს თავიანთი ზემოაღნიშნული გარემოებით გახარწნილი ავტორიტეტის აღდგენა ორგანიზაციების დაშინებით.. მაგრამ ჩვენ მაზრის კომპარტორგანიზაცია და მთელი გლეხობა კარგათ იცნობს: 1) აკაკი ქანთარიას ბოროტმოქმედებას და მისი კონტრრევოლუციონერებთან კავშირს; 2) ბეგი ბერიას როგორც ქანთარიას ლაქიას და კონტრრევოლუციონერებთან კარგათ განწყობილს; 3) ფილე ცხომარიას როგორც ხობელი ყოფილ ქურდ ბაცაცას; 4) ვანო ნიკოლაიშვილს როგორც ყოფილ ვაჭარს და ქარაფშუტა არა რევოლუციონერს; 5) გრიშა შელიას როგორც ზნეობით დაცემული პიროვნებას რომლის უზნეო პირუტყული ვნებამ თავი დაახერჩება თვითონ შელიას ოთახში ახალგაზრდა კომკავშირელ ქალიშვილს; 6) ბიქტორი თორდიას როგორც ყოფილი მენშევიკების ჯაშუშს და გარყვნილ ქურდ-ბაცაცას, რომელიც ატარებდა ზურგით თავის მონაპარ ნივთებს და რომელსაც თვალებში აფურთხებდა ქურდ-ბაცაცობისათვის მთელი ხალხი; 7) ისაკი ჟვანიას როგორც ყბედ კაცს, ბიუროკრატს რისთვის სოხუმში იყო გამოგდებული საპასუხისმგებლო საქმიდან და ქონდა მისჯილი ექვსი თვით მუშებთან თუთუნის მუშაობა.

ამიტომ ზემოხსენებული პირების ავტორიტეტის აღდგენა შეუძლებელი იყო და არის ზუგდიდის კომპარტიის წინაშე ასე მთელი მუშობა ქანთარია და მის გმირების გაარწყლდა შურის ძიება და თავიანთი მიუღწეველი ავტორიტეტის ცდაში, რამაც შეაშფოთა, შეაჩერა და დააზიანა მთელი მაზრის კომპარტიის და საბჭოთა ორგანიზაციათა მუშობა და რაც უქადის მომავალშიც მთელი ორგანიზაციის რევოლუციონური სულის ლიკვიდაცია — ჩაკვლას.

ამიტომ რაიკონფერენცია ავალებს თავის სამაზრო კონფერენციისთვის არჩეული დელეგატებს მაზრკონფერენციაზე მოითხოვონ: ზემოახნიშნული პირების და მათი ლაქიების ზუგდიდის მაზრიდან (იყვნენ — ავტ.) გაძევებული და განსაკუთრებით ქანთარია და ბერიას ძველი საქმის: მენშევიკებთან კავშირის, მათთან ერთად ეკლესიის გაძარცვის და სხვის შესახებ საქმე რომელიც ინახება ცეკაში გადაცემა ამიერკავკასიის კომ. პარტ. საკონტროლო კომისიისათვის (ეტყობა საქართველოსას ნაკლებად ენდობიან — ავტ.) სკპ ცეკას დახმარებით იქნეს გადასინჯული. მასთან ეცნობოს რკპ ცეკას საკონტროლო კომისიას" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 219, ფურც. 1-4; დოკუმენტის სტილი და მართლწერა დაცულია — ავტ.). აღნიშნული ოქმის მნიშვნელოვანი ნაწილის ვრცლად ციტირება იმისთვისაც დაგვჭირდა, რომ: 1) გვეჩვენებინა დაპირისპირების სერიოზული მიზეზობრივი საფუძვლები; 2) გაგვერკვია როგორ ფლობს ქართულ ენას და აზრის ქაღალდზე გადატანის უნარს

რაიონული პარტიული კონფერენციის განსწავლული მდივანი, რომელმაც დოკუმენტი თბილისში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გადაუგზავნა, ან თუნდაც მ. მამფორია, რომელსაც გაელილი ჰქონდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო, მაზრის პარტიული აქტივისათვის სავალდებულო სწავლებაც და რომელმაც, როგორც ი. ჟვანია აღნიშნავს, კონფერენციზე წასაკითხი ოქმი წინასწარ სახლში მოამზადა (იხ. იქვე, ფურც. 5). და საერთოდ, დეტალებისა თუ „წრვილმანების" შესახებ ფართო მსჯელობა ჩვენი სტილია, იმიტომ რომ პრობლემების ალტერნატიული გაშუქება უთუოდ მოითხოვს ნიუანსების გარკვევას.

ამ ნაწერის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებაც, თუ რა დონეზე ეცოდინებოდათ ქართული, კონფერენციის სხვა რიგით მონაწილეებს, რომელთა შორის უპარტიო წერა-კითხვის უცოდინარი გლეხებიც იყვნენ. მაგრამ ოქმიდან მაინც ის გვაინტერესებს, რომ აქ კარგად ჩანს თუ რა ამოძრავებთ დადგენილების მომხრეებს და რა გზით ცდილობენ ისინი თავიანთი მიზანდასახულობის შესრულებას. ერთი რამ უთუოდ ჩანს: დარჩელის რაიონის კომუნისტებს, კონფერენციის მონაწილე აქტივის წევრებს და ოქმის დამწერს სურთ სამაზრო კომიტეტის გარეკვა. ამიტომ აბრალებენ ავტონომისტების მფარველობას, ათას დანაშაულს და მათ შორის მეგრულ ენაზე დაწერილი საინფორმაციო საშუალების გამოუსვლელობას, რომლის გადაუდებელ საჭიროებას ამართლებენ უფროსი თაობის წარმომადგენელთა მოთხოვნილებით. მაგრამ, როგორც ცნობილია, სკოლის გარეშე რჩებოდა მაზრის სასკოლო ასაკის 50 პროცენტზე მეტი, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი იყო 60 პროცენტზე მეტი (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 2, ს. 6, ფურც. 167), რომელთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაში ელემენტალური სასკოლო აუცილებელი ცოდნის გარეშე იყო ჩაბმული. მათი ელემენტარული განათლებისა და ინფორმირების საჭიროებაზე კი არაფერს ამბობენ. ოქმიდან ჩანს, რომ მის შემქმნელებს არ უნდათ მეგრელებსა და დანარჩენ ქართველებს შორის „შუღლის ჩამომგდები ავტონომია", იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ ავტონომისტები მათ მხარდამჭერებშიც არიან. იმაზეც არაფერს ამბობენ, თუ რატომ მიაჩნიათ სამეგრელოს ავტონომია „შუღლის ჩამომგდებად", მაშინ როცა იგი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და აჭარის მაგალითზე პარტიისა და ხელისუფლების მიერ ეროვნული ძმობის სიმბოლოდ ცხადდება. აგრეთვე, გაუგებარი და ალოგიკურია, რატომ კიცხავენ აკ. ქავთარაძეს და სხვებს იმის გამო, რომ საჭირო მეგრული გაზეთის მიღების შანსი დააკარგვინა, მაშინ, როცა ეს შანსი საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ამათ მოვლინებამდეც და შემდეგაც გაჯანჯლებით გამორიცხა. მეგრული და საერთოდ ქართული ცხოვრების სპეციფიურ პირობებში რატომ იყო გაუმართლებელი 1924 წლის აჯანყების გამო დახოცილ-დახვრეტილების გვამების ჭირისუფალთათვის გადაცემა და მათი ტრადიციის მიხედვით გაპატიოსნება? აქ საქმე ისაა, რომ ოპოზიციისათვის მთავარია მაზრის ცენტრის მტრულად განწყობილი ხელმძღვანელების განადგურება-მოშორება, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, ტყუილიც და მართალიც ამისათვის მობილიზებული არგუმენტებია. რაც შეეხება მეგრულ გაზეთს, იგი იმდენად ფართო ხალხური მოთხოვნილების საგანს წარმოადგენდა, რომ ალბათ, მისი დაფიქსირება ბუნებრივი აუცილებლობით აიხსნება.

რაც შეეხება ოპოზიციონერების მიერ სამაზრო ხელმძღვანელების მიმართ წაყენებულ ზნეობრივ და სისხლის სამართლის ბრალეულობებს, აქ ზოგი რამ ალბათ, მართალი, ზოგი კი, ალბათ, ტყუილია. საერთოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მაღალი დონის სამსახურში და პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისე, როგორც მათ მოწინააღმდეგეებში, უცოდველი ადამიანის ძებნა აბსურდია.

დარჩელის კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტი მამანტი ზარქუას, გრიგოლ ჭანტურიას, ნესტორ გელანტიას, ალექსანდრე წურწუმიას, ფუცორა კვარაცხელიას, ესტატე მამფორიას და მეგი ნანავას შემადგენლობით. სამაზრო

კონფერენციის დელეგატებად კი აირჩია ყველაზე თავგამოდებული ოპოზიციონერი ლიდერები მიხა მამფორია, მაქსიმე ხვიჩია, პროფი მამფორია, ხოლო კანდიდატად კირილე მიქაია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 219, ფურც. 4/2). როგორც ჩანს, თავისი რიგებიდან გამოყვეს დამკვრელი ძალა.

მაშასადამე, დარჩელის 1 ნოემბრის კონფერენციას ოპოზიციამ მიზნად დაუსახა ზუგდიდის მთელი ხელმძღვანელი ცენტრის, მათი თქმით, „ანტისაბჭოთა", „ანტიეროვნული" „შუღლის წამქეზებლური" საქმიანობის გამოაშკარავება და მაზრიდან გაძევება. აგრეთვე ცალკეული პირების სისხლის სამართლის დანაშაულობათა გამოძიება და სათანადო რეაგირება. ეს ჩვენი აზრით, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მაზრის მასშტაბის შიდაპარტიული ინტრიგა და ბრძოლა. სინამდვილეში, დარჩელის კონფერენციის სახით გამოვლინდა „მეგრული საკითხის" მოგვარებაში არა მარტო რაიონის და მაზრის, არამედ საქართველოს ცენტრში არსებული ხელმძღვანელობის ორ ურთიერთდაპირისპირებულთა თვალსაზრისი. ამ დაპირისპირებას თუ ლოგიკური გაგრძელება მოჰყვებოდა, უნდა გამოვლენილიყო საქართველოს „ცენტრის" ის ჯგუფი, რომელმაც მხარი დაუჭირა ზუგდიდის მაზრის იმ ახალი ხელმძღვანელობის აღზევებას, რომელიც დარჩელის კონფერენციის რეზოლუციის მიხედვით, თურმე, იმთავითვე „დანაშაულებრივი ჯგუფი" ყოფილა და თავის დროზე (1921 თუ 1923 წ.) მაზრის ხელმძღვანელობიდან სწორად განუდევნიათ, ახლა კი, ხელმეორედ დანაშაულებრივად დაწინაურების გზით, კვლავ ანტიპარტიულ („ავტონომისტურ") და „ანტიეროვნულ" (შუღლის გაღვივების) დანაშაულებრივ საქმეს სჩადიან. ამათი გამარჯვება მართლაც იქნებოდა იმ აზრის ავტორთა თუნდაც ნაწილობრივი გამართლება, რომლებიც ამათ აცხადებენ გმირებად და „მამულიშვილებად". მეორე მხრივ, ზუგდიდის ცენტრის მიმართ ცილისწამების გამო საჭირო ხდებოდა დარჩელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ავტორების და მათი ქომაგების გამოაშკარავება და ცილისმწამებელთა პასუხისგებაში მიცემა. მოცემულ საკითხებზე ჩვენ შეგვიძლია დამატებით ვიმსჯელოთ მოვლენათა შემდგომი განვითარების მიხედვით. შემდგომი ამბები კი მამფორიების ჯგუფის საწინააღმდეგო, ანუ მათ მიერ „ქართველ მამულიშვილებად" გამომცხადებელთა საწინააღმდეგო საყურადღებო სურათსა და შესაბამის დასკვნებს იძლევა.

დარჩელის კონფერენციით უკმაყოფილო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა მეორე დღესვე (2. XI. 1925) მოიწვია სხდომა და განიხილა საკითხი „დარჩელის რაიონის პარტიული კრების (და არა კონფერენციის — ავტ.) შესახებ". აქ ი. ჟვანიამ აღნიშნა, რომ: „33-ის ნაცვლად კრებას 22 წარმომადგენელი, მათ შორის ორულ ერგეტიდან ყველა ესწრებოდა მიხა მამფორიას მეთაურობით". აგრეთვე ითქვა, რომ: იგი ოთხი თვეა ორულ—ერგეტაში რეგისტრაციის გარეშე იმყოფება და დეზინფორმაციას ეწევა მაქსიმე ხვიჩიასთან, ალე ქირიასთან და ტარასი ლაგვილავასთან ერთად.

ამ კარიერისტებმა მოაგროვეს 20 უსწავლელი გლეხი, სხდომა გამოაცხადეს რაიონულ კონფერენციად, გადადება გვინდოდა, მაგრამ მ. მამფორიამ არ მოგვცა საშუალება. იგი იძახდა: „აბა გაბედეთ კომფერენციის დახურვა თქვენი დღე მოსულიაო". ე.ი. ბოლოს მოგიღებთო, „გალანძღეს მაზრკომი და აღმასკომი, წაიკითხეს (მიხა — ავტ.) მამფორიას მიერ წინასწარ სახლში დაწერილი რეზოლუცია", „ამათი (ინტრიგანობის) ავადმყოფობის გაუვრცელებლობის მიზნით მათი საბუთები გადავაგზავნეთ საქართველოს საგანგებო კომისიაში".

ბ. ბერიამ ამხილა: „1919—1920 წლებში მიხა მამფორია ყაჩაღ სვიმო შელიასთან ერთად, რომელიც ტყეში იმალებოდა, დაეცნენ ერთ ოჯახს, გააუპატიურეს ორსული ქალი ძალით, რომელიც მაშინვე მოკვდა. გასაბჭოების მერე გამოვიდნენ ტყიდან და უნდოდათ ხელისუფლების მაღლობებში მოქცევა. მიხამ მიაღწია კიდეც (სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყ. გამგე გახდა — ავტ.). სვიმო შეიპყრეს ფოთიდან (ჩეკისტ — ავტ.) გამბაროვის დეპეშის თანახმად. მიხას ხელში იყო მაშინ მილიცია. მოითხოვა სვიმოს გამოშვება.

ქავთარაძემ უთხრა მას, რომ ჩვენ არ გვქონდა უფლება მისი გაშვების ვინაიდან ის ერიცხებოდა გამბაროვს (ზუგდიდის ჩეკა, ანუ ინფორმპუნქტი ემორჩილებოდა ფოთის განყოფილებას — ავტ.) ამ ნიადაგზე მიხამ დაიწყო ინტრიგა... მაქსიმე ხვიჩია ზნეობრივად დაცემულია, 1921 წელს გაჩხრიკა „ფიას" (გვარი დაშიფრულია ჩვენს მიერ — ავტ.) ოჯახი, შეეცადა ქალის გაუპატიურებას, 1923 წელს ფ-იას ქალიშვილი რომ არ დანებდა, არ მისცა უფლება აეხდევინებინა პატივი, ხვიჩიამ დასწამა ფულის სალაროდან მითვისება იმ დროს როცა ეს ფული თვითონ ქონდა წაღებული და უსამართლოდ ამოაყოფინა საწყალ ქალიშვილს ციხეში, როდესაც პასუხისმგებელმა ამხანაგებმა მოინდომეს ამ სისაძაგლის გამომჟღავნება ხვიჩია შეუდგა მათი ტერორით დაშინებას, რომელ ნიადაგზე მან ფიზიკურად გალახა ტფილისის კომიტეტის ახლანდელი მდივანი გობეჩია" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ1, ს. 195, ფურც. 57-58). სხვა სათანადო წყაროებიდან ჩანს, რომ სხდომაზე მკაცრი სასჯელი გამოუტანიათ დარჩელის შეკრების ინიციატორების მიმართ.

ახლა, დარჩელის შეკრების მონაწილეებმა 7 ნოემბერს ხელმეორედ გამართეს შეკრება. პრეზიდიუმში აირჩიეს ანტო ოთხოზარია, ფუცორა კვარაცხელია და ეგნატე ნანავა. დღის წესრიგში შეიტანეს: 1. „სამაზრო კომიტეტის მიერ დარჩელის 1 ნოემბრის კომფერენციის უკანონოდ გამოცხადების შესახებ"; 2. „სამაზრკომის მიერ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგების პარტიიდან გარიცხვის შესახებ"; 3. „სამაზრკომის მიერ სამაზრო კომფერენციის ძალდატანებით ჩატარების შესახებ". დაადგინეს:

1. „ვინაიდან 1 ნოემბერს დარჩელში შემდგარი რაიპარტკომფერენცია სრულებით კანონიერად ჩატარდა სამაზრო კომიტეტს არ ქონდა არავითარი საფუძველი კომფერენციის უკანონოდ გამოცხადებისათვის, ამიტომ რაიონის თათბირი აცხადებს სამაზრკომის საქციელის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტს";

2. „ამხანაგების განცხადება, რომ ზუგდიდის სამაზრკომს სრულიად უსაფუძვლოდ გამოურიცხავს მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები პარტიიდან, მაგალითად: მიხა მამფორია, ალექსი ქირია, პროფი მამფორია (? — ავტ.), მაქსიმე ხვიჩია... არ შეიძლება გამართლებული იქნას... ისინი უსაფუძვლოდ გამორიცხული არიან. ამიტომ ეთხოვოს საქ. კპ. ცკ-ს და საკონტროლო კომისიას, რათა დადგენილება სამაზრო კომიტეტისა... იქნას გაუქმებული... ვინაიდან (აღნიშნული პირები — ავტ.) არიან არჩეული სამაზრო კომიტეტის (კონფერენციის — ავტ.) დელეგატად ამ გამორიცხულმა პირებმა (საჭიროა — ავტ.) მიიღონ მონაწილეობა მაზრის კომფერენციაში გადამწყვეტი ხმით". შეკრების მონაწილეებმა, აგრეთვე მოითხოვეს ზუგდიდში სპეციალური თათბირის მოწვევა, სადაც განხილული უნდა ყოფილიყო სადაო საკითხები (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 5-5/2). დელეგატებად დასახელებული არიან მიხა მამფორია, პროფი მამფორია, მაქსიმე ხვიჩია, კანდიდატებად კირილე მიქაია და ბეგლარ მამფორია.

13-მა დარჩელელმა კომუნისტმა აგრეთვე მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ „აკ. ქანთარიას, ი. ჟვანიას, გ. შელიას, რომლებიც მიტოვებამდე ესწრებოდნენ დარჩელის კონფერეციას, დაუტყვილებიათ საქართველოს ცკ-ი, ვითომ (დარჩელის — ავტ.) კომფერენციაზე ყოფილიყო ძალადობა, არის სიცრუე და შურისძიება მთელ ორგანიზაციაზე, ამისთანა არაკომუნისტური საქციელისათვის და უმეტესად საქ. კპ ცკ-ის მოტყუებისათვის კომფერენცია უცხადებს სასტიკ პროტესტს და ზიზღს" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 219, ფ. 6, 6/2).

ამის შემდეგ დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. სათანადო საარქივო მასალები შესაძლებლობას გვაძლევენ გავარკვიოთ აღნიშნულ დაპირისპირებათა ფორმალური მხარე.

ზუგდიდის ცენტრს მისმა მხარდამჭერებმა მიაწოდეს ინფორმაცია არა მარტო დარჩელის 7 ნოემბრის კონფერენციის არამედ, აგრეთვე, მათ წინააღმდეგ

არალეგალური შეკრებების შესახებ: „ყოველ ღამ რესტორანში თავს იყრიან ალ. ქირიას მეთაურობით ზოგიერთი კომუნისტები და ატარებენ კონფერენციას მათ საწინააღმდეგო“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 513, ფ. 9); „ბულვარში პროფი მამფორიას, ბათლომე ბეჭვაიას, სილიბისტრო როგავას, მამანტი ბაძაღუას და ერასტი ქადარიას თანდასწრებით დაიწყეს მაღალ პოსტზე მდგომი ამხანაგების გინება“, „შემდეგ წავიდნენ კირილე მიქაიას ბინაში და ქონდათ არალეგალური კომფერენცია“ (იხ. იქვე, ფურც. 8).

აღნიშნულთან დაკავშირებით შედარებით ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ზუგდიდის ცენტრის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი. აქ სიტყვით გამოსული აკ. ქავთარაძის, ბ. ბერიას, გრ. შელიას მიერ ნათქვამია, რომ: „მაზრაში სწარმოებს ჭერ ქვეშ მუშაობა აღმასკომის წინააღმდეგ მიხა მამფორია და მაქსიმე ხვიჩიას მეთაურობით“. „ავანტურისტულ მუშაობასთან თითქოს ქონდეს ადგილი პასუხისმგებელი ამხანაგების, როგორიც არიან ალექსანდრე ქირია, ევენიამინე სიჭინავა და პროფი მამფორია“. გადაწყვიტეს: „სამივე ამხანაგს წინადადება მიეცეს სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინონ მაზრკომის პრეზიდიუმს წერილობითი ახსნა-განმარტება: 1. მიაჩნიათ თუ არა მტკიცე კომუნისტურ კურსად წელს აღებული კურსი მაზრკომის ახალი შემადგენლობის მიერ; 2. საკმარისად კიცხავენ თუ არა იმ პარტიულ პირთა პროვოკაციულ მუშაობას, რომლებიც პარტიიდან გამორიცხულ და უპარტიოებთან ერთად ეწევიან დღეს უსინდისო პროვოკაციას მაზრკომისა და აღმინისტრაციის ახალ შემადგენლობის წინააღმდეგ, რაც სახელს უტეხს მშრომელი ხალხის წინაშე პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, (და — ავტ.) რომელთა წარმომადგენლები არიან მიხა მამფორია და მაქსიმე ხვიჩია“ (იხ. პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 195, ფ. 52).

აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით ალ. ქირიამ, რომელიც იყო სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და საერთო განყოფილების გამგე, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მისამართით 19 ნოემბერს უპასუხა, რომ არ ეთანხმება, როცა არღვევენ პარტიულ ეთიკას, პირადად და კრებებზე, სამაზრკომის ძველ შემადგენლობას უწოდებენ „პრისტუპნიკებს“, „დურაკებს“, „ვაჟბატონებს“. მან უარყო მ. მამფორიას და მ. ხვიჩიას ბრალდება ლაქიაობის შესახებ — „ყოველთვის მაზრის ინტერესებიდან გამოვდიოდიო“, „დღეს მაზრკომის აღებული კურსი მტკიცე კომუნისტურად არ მიმაჩნია, რადგან მას მუშაობის ამაღლების საშუალებად მიაჩნია ლანძღვა-გინებაო“... „მაზრკომის წინააღმდეგ პროვოკაციებს ვკიცხავო“. კონკრეტულად მ. მამფორიას და მ. ხვიჩიას შესახებ ალ. ქირიამ განაცხადა: „თუ დამტკიცდება, რომ ყაჩაღები არიან და ამით სცემენ მაზრკომის პრესტიჟს მაშინ უნდა იყვნენ პარტიიდან გარიცხული, მაგრამ მე ამის საბუთები არ მაქვსო“. მაშასადამე, ზუგდიდის ცენტრში მამფორიების ჯგუფის მხარდამჭერი ალ. ქირია, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს პრობლემას მხოლოდ ბილწსიტყვაობა და უხეშობა ჰქმნის და არა პრინციპული დაპირისპირება, თუნდაც გლეხობის ინტერესების გაგებაში.

პროფი მამფორიამ საკუთარი აზრი მეტი კონკრეტულობით, ვრცლად წარმოაჩინა. მან არალეგალური მუშაობის ბრალდებას სიცრუე უწოდა. პარტიაში კონფლიქტის მიზეზად მიაჩნია დაპირისპირება. იგი აღიარებს, რომ უკმაყოფილო იყო შოგირაძე-ჩხეიძის გადაყენებით და აკ. ქავთარაძის დანიშვნით. ქავთარაძე, ბ. ბერია, შელია უტაქტოდ მუშაობდნენ გასაბჭოების დღიდანვეო. მათ უწოდებს პარტიული ინტრიგის სულისჩამდგმელებს, ხოლო მათ მამამთავრად აკ. ქავთარაძეს აცხადებს. ქავთარაძე და ბ. ბერია ჯერ კიდევ 1921 წელს თემის რევკომთა თავჯდომარეების, უჯრედის მდივნების და მაზრის პასუხისმგებელ ამხანაგთა თათბირზე გაკიცხესო, შემდეგ ეს გმირები მაზრიდან გააძევესო. პ. მამფორიას მიხედვით: „ამის შემდეგ მათ აქ დარჩათ ორიოდე მომხრე-ინტრიგანი, რომლებიც ავრცელებენ ხმებს ახალი ხელმძღვანელების (გრ. როგავას და სხვათა) წინააღმდეგ“; „მათ ხელმძღვანელობას უწევდა ქავ-

თარაძე და ბ. ბერია, როცა გრ. როგავა დაეცა (1924 წ. აჯანყებულთა მიერ — ავტ.), ამით მოკვდა აკ. ქავთარაძის და მისი ამალის მთავარი მტერი. ცკ-მა გამოაგზავნა ი. ჟვანია. დიდმა უმრავლესობამ საწინააღმდეგოდ მისცა ხმა. მის მაგივრად ცკ-მა გამოაგზავნა შოგირაძე და ჩხეიძე. აკ. ქავთარაძემ და მისმა მომხრეებმა ამათ წინააღმდეგ მუშაობა არ შეწყვიტეს. მუშაობდნენ არჩილ გარდავას, გერმანე ჯინჯოლიას, იასონ ჯანაშიას მეშვეობით, აიყოლიეს ზოგი სხვაც. „ნოთეს“ გამოცემა მოხდა ქავთარაძის და შელიას წყალობით, წამქეზებელი აკ. ქავთარაძე იყო“ (ესენი ხომ მერე გამოაგზავნეს ხელმძღვანელებად?! — ავტ.). იმათ ალღო ვერ აუღეს და დაიწყეს ყოველი მხრივ გალაშქრება. ამან გამოიწვია მათი გადაყენება. დაინიშნა ქავთარაძე, რომ მითხრეს ზუგდიდში იგზავნებაო, განცვიფრებული დავრჩი არა იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის (ყოფილი შინსახკომისრის ა. გეგეჭკორის — ავტ.) მოადგილე იყო, არამედ იმიტომ, რომ ზუგდიდში ავტორიტეტი არ ქონდა. იგი ინტრიგას ვერ მოსპობდა და ცეცხლზე ნავთი იქნებოდა“. მ. მამფორია აღნიშნავს, რომ: „ქავთარაძე შაქრიანი ენით მოვიდა, ინტრიგის მოსპობა უნდოდა. შოგირაძე, ჩხეიძე, ჯაკობიასთან ერთად მეც ვთქვი ჩემი შეხედულება“; „მას გულითა და პურმარილით შეხვდნენ ჩვენი ცნობილი ექიმები, ბატონები კოლია ანთელავა, ანდრო დგებუაძე, ფერშალი დიმიტრი კეკლიძე, თავადი ეროდი ჩიქოვანი, გვანჯი ჩიქოვანი და ძმანი მათი. მათ აღმასკომს პირველი მისასალმებელი სიტყვა უთხრეს, მაგრამ (ადგილობრივი არაპროლეტარების — ავტ.) ასეთი დამოკიდებულება ვერ აუწევს ავტორიტეტს მშრომელ მასაში და ხალხში (არადა, ესენი ზუგდიდსა და მთელ მაზრაში კარგად ცნობილი ავტორიტეტები იყვნენ — ავტ.). ქავთარაძეს მოყვა გრიშა შელია, მას ფილე ცხომარია, ამას ბეგი ბერია, მას კი ვანო ნიკოლაიშვილი. მერე დაიწყო ინტრიგა. დაესიენენ ძველ მუშაკებს“; „ღვინით სავსე ჭიქებში ცუდი სიტყვებით გამოდიოდნენ მოწინააღმდეგების წინააღმდეგ“.

პროფი მამფორია წერს: „ამათი გეზი სწორად არ მიმაჩნია, იგი გავს გასაბჭოების პირველი ხანის პოლიტბიუროს თავისი აუარებელი აგენტებით და რეპრესიებით. განსხვავება იმაშია, რომ პოლიტბიურო ხელისუფლების მოწინააღმდეგეებზე ღებულობდა რეპრესიებს, ესენი კი (თავიანთ — ავტ.) მოწინააღმდეგეებზე, ყავთ პროვოკატორები“. პ. მამფორია აღნიშნავს: „<u>არ მიმაჩნია... სწორად ფარული აგიტაცია სამეგრელოს ტერიტორიალურ ავტონომიის შექმნის სასარგებლოდ</u>“. მის იდეურ სულისჩამდგმელებად მიაჩნია ქავთარაძე, შელია, ბერია, ჟვანია და სხვა. ამ აზრმა შემდეგშიც გაიჟღერა სხვა სიტყვებით.

ცალ-ცალკე მომჩივანი ღმერთს მართალი ეგონაო, ჩვენი აზრით, საინტერესო აქ ისაა, რომ სამეგრელოს „კულტურულ-ტერიტორიული ერთეულის იდეის მხარდაჭერაში ხედავს პ. მამფორია ავტონომიას. მან ვერ გაიგო, ან არ უნდა გაიგოს, რომ თბილისიდან ახალი ხელმძღვანელობის გამოგზავნა ა. გეგეჭკორის და ცენტრის იმ ჯგუფის ინიციატივა იყო, რომელიც დაუპირისპირდა ავტონომისტ-სეპარატისტებს. და რომ, ახალ ხელმძღვანელობას უნდა უზრუნველეყო იმ სიტუაციის შეცვლა, რომელმაც განაპირობა გლეხების მიერ მეგრული ენის გამოყენების მისწრაფების გაყალბება, და ხელი შეუწყო ავტონომისტურ-სეპარატიტული ტენდენციების წაბიძგებას.

პ. მამფორია გ. შელიას და ბ. ბერიას ძველ მაფალუისტებად აცხადებს. ამხ. აკ. ქავთარაძე 1921 წელს ამ საკითხზე მუშაობდაო. „მგონი 1922 წელს სცადეს განეხორციელებინათ პარტ. კონფერენციაზე თავიანთი ზრახვები... თბილისიდან ზურგს უმაგრებდნენ მაფალუელობასო“. თბილისიდან მართლაც უმაგრებდნენ ზურგს, მაგრამ არა ე.წ. მაფალუელობას, არამედ როგორც ზემოთ ვნახეთ, სამეგრელოს მაზრების ოლქად გაერთიანებას და გლეხობის მიერ მეგრული ენის გამოყენებას.

პ. მამფორია აგრძელებს: „კონფერენციაში დამარცხების შემდეგ მიატოვეს თუ არა მუშაობა ამ საკითხის სასრგებლოდ. მე შეძიძლია ვთქვა არა არ მი-

უტოვებიათ. ამხ. შოგირაძე და ჩხეიძეს იქიდან (ცენტრიდან — ავტ.) მოუწყეს საქმე და ის იყო, რომ პირველი ნომერი გაერცელდა მეგრული გაზეთი „ნოთესი" — დაბრუნებისთანავე დაიწყო მუშაობა აბ საკითხის ირგვლივ, ფრთხილად და ფარულად. მაგრამ იცოდნენ სამეგრელოს მშრომელ ხალხს ვერ მოატყუებდნენ". პ. მამფორიას პათეტიკურად აყალბებს მაზრის ახალი ხელმძღვანელობის მთელ საქმიანობას: „მე მინდა შევეკითხო პრეზიდიუმს მიაჩნია თუ არა „მეგრელები" და ქართველების შორის ნაციონალური შუღლის თესვა სწორ და მტკიცე კომუნისტურ ხაზად, რომელსაც აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს პრეზიდიუმი... ნუთუ არ რცხვენია პარტიის რიგებიდან რიცხავენ უბრალო, არმცოდნე გლეხს მიხა გაბედავას, პილა ქობალიას... და სხვ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ფ. 213). აქ იგი ესარჩლება ავტონომისტებად გაგებულ და გარიცხულ რიგით კომუნისტებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათ უსამართლოდ გარიცხვას ი. ჟვანიაც თავის სასარგებლოდ განმარტავდა.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მოთხოვნით, მაგრამ არა მარტო მისთვის, არამედ საქართველოს კომპარტიის ცკ-ისათვის განკუთვნილ ამ ახსნა-განმარტებაში პ. მამფორია ბოლშევიკური პირდაპირობითა და გაბედულებით, მაგრამ ტენდენციურად ასახავს თავის აზრს ზუგდიდის მაზრაში ჯერ კიდევ გასაბჭოების დროიდან მომდინარე შიდაპარტიული უთანხმოება-დაპირისპირებისა და უკიდურესად გამწვავებული ბრძოლის შესახებ. მაგრამ მასში ნათლად გამოსჭვივის მისწრაფება ლ. ბერიას და მისი მომხრე საქართველოს „ცენტრის" წევრების ოფიციალური, ყალბი პოზიციის შესაბამისად წარმოსახოს მოწინააღმდეგეები და ამავე დროს გაამართლოს საკუთარი პარტიული პოზიცია. პ. მამფორია ფაქტობრივად ანვითარებს ლ. ბერიას, ბ. შოგირაძის და იმ სხვათა თვალსაზრისს, რომლებმაც „მეგრული საკითხის" გარშემო მიზნობრივად ორგანიზებული ტენდენციური კამპანიის დროს, პოლიტიკანურად გააყალბეს „მეგრული საკითხი" და ე.წ. „მაფალუს" მოძრაობა" გაასაღეს როგორც განუყოფლად ავტონომისტურ-სეპარატისტული მოვლენა. მიუხედავად ამისა, მოცემულ დოკუმენტს უთუოდ აქვს ღირებულება, მაგრამ არა მათი სიმართლის დადგენისა, არამედ მაზრაში არსებული სიტუაციის შესასწავლად. მასში განსაკუთრებით საყურადღებოდ გვესახება პ. მამფორიას აზრი იმის გამო, თითქოს ზუგდიდის ცენტრი „ნოთელებს" ეხმარებოდა, თავის უმთავრეს საქმიანობას ინტრიგაში გამოხატავდა, საქართველოს კუთხის ხალხებს ერთმანეთს უპირისპირებდა და ვითომ აწარმოებდა „ფარულ აგიტაციას სამეგრელოს ტერიტორიალურ ავტონომიის (! — ავტ.) შექმნის სასარგებლოდ" და საქართველოს კუთხეების დასაპირისპირებლად. თითქოს ამის სულისჩამდგენლები იყვნენ ქავთარაძე, შელია, ბ. ბერია, ჟვანია. თითქოს მათი ასეთი მისწრაფება მართლა არსებობდა და იგი უკავშირდებოდა 1922 წლის კონფერეციას, და თითქოს ავტონომიის მოთხოვნებს მხარს უჭერდა თბილისი. პ. მამფორია ხომ თანმხვედრ მოვლენად აცხადებს თბილისიდან ახალი ხელმძღვანელობის გამოგზავნას და მათ აბრალებს ზუგდიდში „ნოთეს" გავრცელებასაც. მას ახალი ხელმძღვანელების აუგ საქმედ ეჩვენება გლეხების მიხა გაბედავას, პილა ქობალიას და სხვათა გარიცხვა. მაგრამ აქ მკაფიოდ ჩანს, რომ პ. მამფორიას არ ესმის ან არ უნდა აღნიშნოს, რომ 1922 წელს სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა (ლ. ქართველიშვილმა) და შესახკომმა (ა. გეგეჭკორმა) დააყენეს სამეგრელოს და არა მარტო სამეგრელოს მაზრებისა და რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ ცენტრებად გაერთიანების საკითხი. მაშინ ადმინისტრაციული რეფორმა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. ამის შემდეგ ეს საკითხი დადგა აგრეთვე სრულიად საქართველოს ცაკ-ის სესიაზე, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ა. გეგეჭკორმა ორი ძველი და ახალი პროექტი წარადგინა. თბილისი რომ ამ კამპანიას უჭერდა მხარს ზუგდიდის ზოგ იმდროინდელ

ხელმძღვანელთან ერთად, ეს იყო არა სამეგრელოს ავტონომიის, არამედ ქართულის არმცოდნე გლეხების ინტერესების და რეგიონის სწრაფი განვითარებისათვის ადმინისტრაციული მოწყობის ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნა. პარტიის წმენდის დროს რომ პარტიიდან რიცხავდნენ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნისა და მეგრელების დამოუკიდებელ ერად გამოცხადების გამო, რომლის დროსაც ბევრი ისეთიც მიაყოლეს, რომელიც ელემენტარულადაც კი ვერ ერკვეოდა საქართველოს, ან კერძოდ სამეგრელოს, ისტორიაში და მ. დადიანის თუ სხვათა ფეხის ხმას იყო აყოლილი, აქაც არაფერში ჩანს ი. ჟვანიას დანაშაული.

მაშასადამე, პ. მამფორია „მეგრული საკითხის" ირგვლივ ლ. ბერია ბ. შოგირაძის კონცეფციას ანვითარებს, მაგრამ ქრონოლოგიურ სიმართლეს ანგარიშს არ უწევს და 1925 წლის მარტის გრ. ახალაიას და სხვათა წერილის სახით გამოვლენილ ავტონომისტების სეპარატიზმს, აგრეთვე 14 ივნისს „ნოთეს" გამოცემას, აკ. ქავთარაძის და ი. ჟვანიას ჯგუფს აბრალებს, მაშინ როცა ესენი თბილისიდან სწორედ „ნოთელების" თვითინიციატივის და ავტონომისტ-სეპარატისტული ტენდენციის დასაძლევად გამოგზავნეს. იგი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ახალი ხელმძღვანელობა, მართალია, უხეში ბოლშევიკური მეთოდებით, მაგრამ მიზნობრივად იბრძოდა არა სამეგრელოს ავტონომიის ან საქართველოს დამოუკიდებელი რუსეთში შემავალი, „რსფსრ მსგავსი" სახელმწიფოებრიობისათვის (რასაც მძიმე ბრალდებად უყენებდნენ ჩხოუშიელ ავტონომისტებს), არამედ, წინააღმდეგ ავტონომისტ-სეპარატისტებისა, იბრძოდნენ საქართველოში შემავალი სამეგრელოს ტერიტორიული ერთეულისათვის, რომელშიც სახელმწიფოებრივი ენა უნდა ყოფილიყო ქართული, ხოლო გამოყენებაში უნდა ყოფილიყო მეგრული. თანაც ეს იყო სწორი და ამაში არაფერი იყო ანტიეროვნული, ანტიქართული.

პ. მამფორია ჩქმალავს პრინციპული მნიშვნელობის მოვლენებს: რომ საქართველოს კომპარტიის ბრძოლა, თუნდაც გაუხამსებული ხასიათით, მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ აკ. ქავთარაძის მოხსენების საფუძველზე დაიწყო, ხოლო ადგილზე გაზეთ „ნოთეს" გამოცემის განახლების მცდელობა, თუნდაც უხეში, ბოლშევიკური მეთოდებით, ჩაახშო სწორედ აკ. ქავთარაძემ და ახალმა ხელმძღვანელობამ. აგრეთვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი ლ. ბერიას მიერ უსაფუძვლოდ გალანძღულ იმ ზუგდიელ მუშაკთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლებიც თითქოს მხარს უჭერდნენ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას.

პ. მამფორიას ცკ-ისათვის გათვალისწინებული „ახსნა-განმარტების" ვრცელი კომენტარი იმისათვის დაგეჭირდა, რომ მკითხველმა ბოლომდე გაიაზროს მისი პოზიცია, რომელშიც კონდიცირებულია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 26 აგვისტოს და 3 სექტემბრის დადგენილებების, ლ. ბერიას 13 სექტემბრის და ბ. შოგირაძის 15 სექტემბრის წერილებში ჩამოყალიბებული ყალბი აზრებისა და სულისკვეთებისადმი სოლიდარობა. მაშასადამე, პ. მამფორია გვევლინება არა მარტო სამართლიანობის თავისებურად გამგებ დაინტერესულ კერძო კომუნისტად, ანუ პიროვნებად, რომელიც უკმაყოფილებას სამართლიანად გამოთქვამს ახალი სამაზრო ხელმძღვანელობის უხეში, ძალმომრეობითი პოლიტიკის გამო, არამედ ამასთანავე იგი განასახიერებს და წარმოადგენს მეგრელი კომუნისტების იმ ჯგუფს, რომელსაც არ უნდა გაიგოს „მეგრული საკითხის" მოგვარების სწორი, ა. გეგეჭკორისეული გეზი, რომლის ცხოვრებაში გატარებისათვის იბრძოდა ი. ჟვანია. იგი პირადი ინტერესებიდან თუ სამეგრელოში პარტიულ-პოლიტიკური ამოცანების შეზღუდული და მცდარი გაგებიდან გამომდინარე, გულმოდგინედ იცავს „მეგრულ საკითხში" ლ. ბერიას და მისი მხარდამჭერი საქართველოს ცენტრის პოლიტიკანური ნაწილის კონცეფციას.

ზემოთ აღნიშნული „ახსნა-განმარტებების" გარდა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გაეგზავნა სოფელ ხაბუმეს კომუნისტების განცხადება. ისინი ჩიოდნენ ჩხოროწყუს რაიონის პარტკონფერენციის არალეგალურად ჩატარების გამო.

ერის სახელით გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას „მამფორიების და სხვა ამხანაგების გამორიცხვისათვის". ამასთანავე თემკომის წევრები პ. ბერიძე, დ. შენგელია, ბ. გოგუა, ბ. სიჭინავა და ავტონომისტ-სეპარატისტული ჯგუფის ცნობილი წარმომადგენელი ტარასი შენგელია, ხაბუმეს სამი უჯრედის ბიუროს სახელით ამხელდნენ სამაზრო კომიტეტს. მათ მხარს უჭერდნენ კომკავშირელები დ. გულუა, ან. ფერია, კ. ჭედია, დიანოზ შენგელია, მატრონა კვარაცხელია, ლუბა სამუშია, ლავრენტი ხუნტუა, იასონ კვარაცხელია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 213, ფურც. 19-20). საყურადღებოა, რომ ტ. შენგელიას სახით ავტონომისტ-სეპარატისტთა საჩივრებზე ხელმომწერი მამფორიების მოსარჩლეებშიც ყოფილა. როგორც ჩანს, შეთხზვეითი არ არის, რომ დარჩელის კონფერენციის რეზოლუციით (მაგრამ პირშექცევით) მეგრული გაზეთის და ფურცლების გამოცემის შესაძლებლობის დაკარგვა ი. ჟვანიას და მის თანამებრძოლებს უსაფუძვლოდ ბრალდებოდათ. ალბათ ამიტომ დაუჭირა მხარი მამფორიებს „ნოთელმა" ტ. შენგელიამ ან ეს ბრალდება იქნებ მისი ინიციატივითაც შეითითხნა? ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, აქედანაც ჩანს, რომ ავტონომისტებისა და მათი მოწინააღმდეგე ჩხოუშიელების აზრი მეგრული ენის გამოყენებისა და მეგრულ ენაზე საინფორმაციო საშუალებების აუცილებელი საჭიროების შესახებ, საერთი ინტერესით ნაკარნახევი მოთხოვნაა.

ზუგდიდის მაზრის ძველი კომუნისტების და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის არსებული დაპირისპირება, მითქმა-მოთქმა, ბოლმის გადმონთხევა თუ შურის გამოვლინება, აგრეთვე დასმენების საქართველოს ცენტრში გადაგზავნა, უაღრესად ძაბავდა ისედაც გართულებულ სიტუაციას, როგორც ზუგდიდში, ისე ცენტრში. მკაფიოდ ჩანდა, რომ სიტუაციის შემდგომ გამწვავებას იწვევდა ცენტრში „მეგრული საკითხის" მოგვარების ორი ურთიერთგამმრიცხველი ხაზისა და დაპირისპირებულთა არსებობა, განსაკუთრებით კი ბერიას და სხვა „მისი გზის" მხარდამჭერთა პოზიცია. შეიძლებოდა ამ საკუთარი სიმართლით დაპირისპირებულ მებრძოლთა აშკარა რეპრესიებად გამოვლენა და ჩეკისტურ ბრძოლაში გადაზრდა, მაგრამ რაკი „მეგრულ საკითხზე" არსებობდა სტალინის დაშიფრული დეპეშით გამოთქმული შემწყნარებლობის მოთხოვნა, გამოვლინდა საქართველოს ცენტრის შესაბამისი შემწყნარებლური პოზიცია. მაშასადამე, საჭირო იყო ამ პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარება. ამ მიზნით საქართველოს ცენტრმა ზუგდიდში მიავლინა საქართველოს ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი, „მეგრული საკითხის" სამართლიანად მოგვარების ძველი ინიციატორი საშა გეგეჭკორი, რომელმაც ჯერ კიდევ 1922-1923 წლებში უმაღლეს და სამაზრო დონეზე წამოსწია საქართველოს ადმინისტრაციული ოლქების ახლებურად მოწყობის საკითხი და ამ საკითხში, მისი თანამოაზრე კოლია სვანიძე.

პრობლემის მოგვარების მიზნით 21 ნოემბერს დარჩელში გაიმართა საგანგებო „VII ლეგალურად" წოდებული რაიონული კონფერენცია. მას ესწრებოდნენ „სამეგრელოს საკითხის" სამართლიანი მოგვარებისათვის მებრძოლები, კომპარტიის ცნობილი ავტორიტეტები კოლია სვანიძე და ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი ა. გეგეჭკორი. მაზრიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საშა გეგეჭკორის იდეის მიმდევართა გუნდის წარმომადგენლებმა ი. ჟვანიამ, სამაზრო აღმასკომის თავჯდომარის (აკ. ქავთარაძის) თანაშემწემ ბ. ბერიამ, ინფორმპუნქტის გამგემ მ. ჯინჯოლიამ. დარჩელის ოპოზიციის წარმომადგენლებიდან ესწრებოდნენ მიხა მამფორია, პროფი მამფორია, მაქსიმე ხვიჩია, სტეფანე იზორია, გუჯუ ჯორშია, აბრამ ფარცვანია, ფუცორა კვარაცხელია, ნიკო ჩიქავა, ივანე ჟურავლიოვი, ნიკოლოზ ჭითაშვილი, ხარიტონ ვეკუა, ალექსი ფაცურია, იასონ შურღაია, მიხა ესართია, გერმანე ბებია, დიანოზ გულუა და სხვანი.

კონფერეციის დღის წესრიგში იდგა ორი მთავარი საკითხი: კ. სვანიძის მოხსენება და სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევა. კ. სვანიძემ ისაუბრა

მიმდინარე კონფერენციის და აგრეთვე წარსული კონფერენციის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ. საოქმო ჩანაწერი არ იძლევა სრულ წარმოდგენას, მაგრამ პირველ საკითხზე მიღებული დადგენილებიდან ჩანს, რომ „ცეკას მოტივებით" დარჩელის ადრინდელი კონფერენციის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ სწორად ცნეს, ე.ი., კონფერენციამ გააუქმა ყველა წინანდელი გადაწყვეტილება, რომელიც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ავტონომისტურ-სეპარატისტულ ბრალდებებს და მის „დანაშაულებათა" გარკვევას ისახავდა მიზნად.

ამავე ოქმში ვკითხულობთ: „შეკრებები ჟვანიასი, ქავთარაძის მეთაურობით იქნას ცნობილი შეცდომად". ამ წინადადებას ხმა მისცეს: სტეფანე იზორიამ, გუჯუ ყორშიამ, აბრამ ფარცვანიამ, ფუცორა კვარაცხელიამ, ნიკო ჩიქავამ, ივანე ჟურავლიოვმა, ნიკოლოზ ჭითაშვილმა, ხარიტონ ვეკუამ, ალექსი ფაცურიამ, იასონ შურღაიამ, მიხა ესართიამ, გერმანე ბებიამ და დიანოზ გულუამ. მათ მიაჩნდათ, რომ დარჩელის კონფერენცია ჩატარდა სრულიად კანონიერად და შეიარაღებულ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია, ამის გამო აკ. ქანთარიას და მის ამხანაგებს ტყუილი უთქვამთო. მაშასადამე, ესენი შეეცადნენ წინა კონფერენციის ყველა რეზოლუციის დაცვას. ეს რეზოლუციები კი შეეხებოდა 1. სამაზრო კომიტეტის მუშაობის უარყოფით შეფასებას, 2. ა. ქანთარიას (ასეა ოქმში, იკითხება ა. ქავთარაძე — ავტ.), ი. ჟვანიას და მათი ამხანაგების მუშაობას სამეგრელოს ავტონომიის მიზნით აგიტაციის გაწევისათვის, 3. ორულ-ერგეტის და დიდინების კომუჯრედების მიმართ ქავთარაძის და მისი ამხანაგების შურისძიებას, 4. დარჩელის რაიკომის და 5. სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევას. მათ რეზოლუციაში ნათქვამია: „აკაკი ქანთარიას, ისაკი ჟვანიას, გრიშა შელიას, რომლებიც ესწრებოდნენ პირველჯერ შემდგარ კონფერენციას, დაუტყვილებიათ საქ. კპ. ცეკა, ვითომცდა კონფერენციაზე ყოფილიყოს ძალდატანება, არის სიცრუე და შურისძიება მთელ ორგანიზაციაზე, ამისთანა არაკომუნისტური საქციელისათვის და უმეტესად საქ. კპ. ცკ-ის მოტყუებისათვის კონფერენცია უცხადებს სასტიკ პროტესტს და ზიზღს".

დელეგატებად არჩევის დროს ხვიჩიას ნაცვლად დაუმატეს კ. მიქაია. დანარჩენ დელეგატებად წამოაყენეს ვენია სიჭინავა, პამფი მამფორია და მიხა მამფორია, კანდიდატად დაასახელეს ანტო ოთხოზარია. ამ საკითხთან დაკავშირებით დარჩელის კონფერენციის დელეგატებს შემოუტანიათ დამატებითი რეზოლუცია: „ვინაიდან ორგანიზაცია იცნობს მაქსიმე ხვიჩიას, როგორც მედგარ რევოლუციონერს, ზედმიწევნით სპეტაკ პიროვნებას, ყოველ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ უშიშარ და შეუდრეკელ მებრძოლს, ამასთან რიადვოი, დაბალი, უბრალო, პარტიისათვის თავდადებულ ამხანაგს ბევრი პიროვნება ყავს გადამტერებული. აქედან მოდის შეცდომა მისი პარტიიდან გარიცხვისა რაც ჩვენ მიგვაჩნია დიდ საზიანოდ პარტიისათვის, ამიტომ დარჩელის რაიკონფერენცია სთხოვს საქ. კპ. ცკ-ს და საკონტროლო კომისიას რათა ხვიჩია იქნას აღდგენილი პარტიაში" (საქართველოს პრტრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 219, ფურც. 6-7). როგორც ჩანს, დარჩელის რაიონის კონფერენციის დელეგატებს ვიღაცის მხარდამჭერის იმედი არ დაუკარგავთ. ისინი საკუთარ პოზიციას მტკიცედ იცავენ, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგობას ვერ უწევენ საქართველოს კომპარტიის რეკომენდაციას 1 ნოემბრის კონფერენციის დადგენილებების გაუქმების შესახებ. ეტყობა, ისინი როგორც კომუნისტები ანგარიშს უწევენ საქართველოში, და კერძოდ სამეგრელოში, საბჭოთა ხელისუფლებისათვის გამოჩენილ მებრძოლ ორგანიზატორს, საშა გეგეჭკორს.

„საშა გეგეჭკორმა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუჭირა მხარი, მკაცრად გააკრიტიკა მამფორიები და მოითხოვა ორგანიზაციიდან ამ „ბაცილების" მოშორება". „კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად (? — ავტ.) დაუჭირეს მხარი მამფორიების კრიტიკას. კონფერენციის გადაწყვეტილებით მ. მამფორიამ, როგორც „პარტიული დისციპლინის დამრღვევმა და დეზერტირმა დაუყონებლივ დატოვოს კონფერეციის დარბაზი"-ო.

კონფერენციაზე გამოსვლისას ს. გეგეჭკორმა სამაზრო კომიტეტის მუშაობა დადებითად შეაფასა (ალ. დაუშვილი, „დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში". იხ. კრებულში: „კლიო", თბ. 2000, გვ. 154).

ორულ-ერგეტის (ანუ მ. მამფორიას დასაყრდენი) უჯრედის საქმიანობის გამო რეზოლუციაში დაფიქსირებულია: „უჯრედს, როგორც ძველ ესერულს ემჩნევა პრინციპიალური გლეხური გადახრა ძირითად საკითხებში: შინა პარტიული დემოკრატია და ახალი ეკონომიკური პოლიტიკა... ითხოვეს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ნებართვა უჯრედის დასაშლელად".

<u>მიხა მამფორიასთან დაკავშირებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — „მისი ბრალდება დარჩენილის პარტკონფერენციაზე, რომ სამაზრო კომიტეტი ეწეოდა აგიტაციას და პროპაგანდას, ორგანიზაციულ მუშაობას სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ — აშენებულია სრულ სიყალბეზე". „დღეს კონფერენციას თამამად შეუძლია აღნიშნოს, რომ ავტონომიის სასრგებლოდ წინათ წარმოებული მუშაობის ნატამალიც არ არის დარჩენილი"</u> (ალ. დაუშვილი, დასახელებული სტატია, გვ. 154-155; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ეს უაღრესად ბევრისმთქმელი რეზოლუციაა. აქედან კარგად ჩანს, რომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტზე შეტევა ავტონომისტების ხელშემწყობის ბერიასეული და მამფორიების ჯგუფის ყალბი ბრალდებებით, ჩაფლავდა. ამასთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მ. მამფორიას დასაყრდენ ორულ-ერგეტის თემში ზუგდიდის სამაზრკომმა „24 პარტიის წევრიდან მხოლოდ 7 დატოვა, დანარჩენი პარტიიდან გარიცხეს, უჯრედი დაშალეს" (იხ. იქვე, გვ. 155), შეგვიძლია დავასკვნათ: საშა გეგეჭკორის მეთაურობით 1922 წელს წამოწყებული „მეგრული საკითხის" სამართლიანად მოგვარებისათვის მერძოლმა ჯგუფმა გაიმარჯვა. მან შესძლო დაემტკიცებინა, რომ ზუგდიდის პარტიის ახალი სამაზრო კომიტეტი მიუხედავად ლ. ბერიას, საქართველოს კომპარტიის მისი მომხრე ჯგუფის და მამფორიების „ყალბი მტკიცებულებებისა", სამეგრელოს ავტონომიის იდეის აგიტაცია-პროპაგანდისათვის კი არ იბრძოდა, არამედ „მეგრული საკითხის" სწორად, სამართლიანად განხორციელებისათვის იღვწოდა. იგი ამ დროს პრინციპულად უპირისპირდებოდა 1922-1925 წლებში სამეგრელოს ავტონომიის მთხოვნელებს, და მიაღწია იმას, რომ 1925 წლის 21 ნოემბრისათვის უკვე მავანთა მიერ „ავტონომიის სასარგებლოდ წინად წარმოებული მუშაობის ნატამალიც არ არის დარჩენილი". ეს უკვე იყო ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორისა და ი. ჟვანიას (ხაზის მიმდევართა) სიმართლის დიდი გამარჯვება. მათი ეს გამარჯვება დააფიქსირა საქართველოს კომპარტიის IV ყრილობამ (30.XI 5.XII. 1925). ეს გამარჯვება აგრეთვე დაადასტურა და საქვეყნო გახადა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ". მან 1926 წლის 18 თებერვალს გამოაქვეყნა ხელმოუწერელი სარედაქციო წერილი „ვასწორებთ შეცდომებს". მასში ნათქვამია: ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი შეუდგა უახლოესი პარტიული კომისიების მიერ გამომჟღავნებული ხარვეზების გამოსწორებას; საჭიროა მაზრის რაიკომების მუშაობის გაუმჯობესება; მაზრკომი პერიოდულად ატარებს რაიკომების მდივნების შეკრებას, აქ იხილება საკითხები, ეძლევათ მითითებები; სწარმობს მეთოდური მუშაობა, დისციპლინის განმტკიცება. „აუცილებელია აღინიშნოს, რომ <u>ადგილობრივ ინტელიგენციში გავრცელებულმა სამეგრელოს ავტონომიის არა ჯანსაღმა მიმდინარეობამ ვერ ჰპოვა ადგილობრივი გლეხობის ფართო გამოხმაურება.</u>

ამის მიუხედავად, <u>ფართო ფენების კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ცკ-მა სანქცია მისცა მეგრულ კილოზე ადგილობრივი გაზეთის გამოცემას, ადგილობრივ ორგანოებში საქმის წარმოების გადაყვანას, უმდაბლეს სკოლაში სწავლებას და სხვ</u>". (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.) როგორც შემდეგ გაცხადდა, ეს ამოცანები იყო საქართველოს კომპარტიის IV ყრილობის (30/XI - 5/XII 1925 წ.) გადაწყვეტილება. მაშასადმე, ამჯერად „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების პრობლემა გეგეჭკორ-ჟვანიას სასარგებლოდ,

ლ. ბერიას გეზის საწინააღმდეგოდ გადაიჭრა. ლ. ბერია და მისი თანამებრძოლი ჯგუფი „მეგრულ საკითხისადმი" დამოკიდებულებაში გამტყუნდა.

მაგრამ ეშმაკს, როგორც ჩანს, არ ეძინა. ამის მიუხედავად, მთავარი პრობლემა გაირკვა. ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრკომის ახალი ხელმძღვანელობის მიერ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა არ დადასტურდა. პირიქით, ირკვევა, რომ ი. ჟვანიამ და ახალმა სამაზრო ხელმძღვანელობამ სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლთა წინააღმდეგობა დაძლია. ამით ისიც დამტკიცდა, რომ ი. ჟვანიას ავტონომისტობის შესახებ ლ. ბერიას და მამფორიების აზრი პროვოკაცია ყოფილა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ დასკვნამდე მკვლევარი ალ. დაუშვილი დამოუკიდებლად მივიდა, მაგრამ ი. ჟვანიას ავტონომისტობის შესახებ არსებული წინამორბედი ავტორების ყალბი აზრისა და ზოგი ავტორის მცდარი ინტერპრეტაციებითა და კონცეფციით შებოჭილმა ეს სწორი აზრი ვერ განაკითარა. ამიტომ მამფორიები სწორ „ქართველ მამულიშვილებად" შეაფასა. ამით მან უნებლიედ ხელი შეუწყო, ამ მცდარი აზრის სხვათა მიერ უკრიტიკოდ და ბოროტად გამეორებას.

მაშასადამე, ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრის „ჩხოუშიელი" „მაფალუელების" მფარველებად გასაღების ცდამ მათ მოწინააღმდეგე ავტორიტეტულ კომუნისტთა ერთ ნაწილს საშუალება მისცა პოლიტიკანურად ემტკიცებინათ მათი ავტონომისტობა, მეგრული გაზეთების გამოუცემლობა და სხვ. მაგრამ სათანადო ისტორიის წყაროების საფუძველზე დადასტურდა, რომ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ახალ ხელმზღვანელობას ავტონომისტურ-მაფალუისტური მეცადინეობა არ დაუმტკიცდა. ამდენად ი. ჟვანია მის წინააღმდეგ ორგანიზებულ პროვოკაციულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

თავი XII

„მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების იმედით

როგორც ამ წიგნის სათანადო თავებში ვნახეთ, სტალინმა სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მეგრელები სააგიტაციო-პროპაგანდისტული მიზანდასახულობით, აფხაზებთან, აჭარლებთან, ოსებთან და სხვებთან ერთად ეროვნული უმცირესობის სახით გაიაზრა. მართალია, შემდგომში მას ამის უარყოფა, „სინანულის“ გამოთქმაც მოუხდა, მაგრამ ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების მიმართ გარკვეულ დათმობაზე მას უარი არ უთქვამს. თუმცა იგი ლენინისათვის გაგზავნილ 1922 წლის ერთ-ერთ წერილში გულახდილად აღნიშნავდა: „სამოქალაქო ომის ოთხი წლის მანძილზე, როცა ინტერვენციის გამო იძულებული ვიყავით გვეჩვენებინა მოსკოვის ლიბერალიზმი ეროვნულ საკითხში, მოვასწარით ჩვენი ნების წინააღმდეგ კომუნისტებს შორის აღგვეზარდა თანამიმდევრული სოციალ-დამოუკიდებლები... ახლა კი კომუნისტების ახალგაზრდა თაობა განაპირა მხარეებში (მათ შორის სამეგრელოში — ავტ.) უარს ამბობს დამოუკიდებლობანას თამაში გაიგოს, როგორც თამაში“ (გ. ყვანია, „ი. სტალინი იცავს ავტონომიის პროექტს“, გაზ. „ერი და ეპოქა“, 1999, №1(8). მართალია, ეს ნათქვამი ეხება ეროვნებათა დამოუკიდებლობასა და ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს, მაგრამ ზოგმა მეგრელმა კომუნისტმა, იგი გაიგო სამეგრელოს ავტონომიის უფლების აზრით.

სტალინი ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ 1925 წლის 7 ოქტომბრის დაშიფრულ დეპეშაში სინანულს გამოსთქვამდა, რომ „ადვილად დამჯერე ამხანაგებმა“ დაიჯერეს „ხუმრობა“ სამეგრელოს ავტონომიის შესახებ. მაგრამ ვინ არიან ეს ადვილად დამჯერე ამხანაგები?

ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხობის საბჭოთა სამეურნეო-ეკონომიკურ აღმშენებლობით საქმიანობაში მასობრივი და აქტიური მიზიდვის გადაუდებელმა ინტერესებმა ამიერკავკასიის და საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრი არაერთხელ აიძულა ეღიარებინა, რომ სამეგრელოს ავტონომიის მიუღებლობის მიუხედავად, აუცილებელი იყო მეგრული მაზრების, ერთიან ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ერთეულად (ოლქად) გაერთიანება (1922-1923 წწ.). საქართველოს კომუნისტური პარტიის III პლენუმზე (1. VI. 1923) მიიღეს გადაწყვეტილება: „გაერთიანდეს... ზუგდიდი-სენაკი-ფოთი (ქართველიშვილის წინადადების საფუძველზე), ასეთი გაერთიანება ჩაითვალოს სასურველად, ამ საკითხით შეეიდეთ ცკ-ის პლენუმზე წარდგინებით, გატანილი იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხისა საქართველოს ცაკ-ის სესიაზე“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 41/2). საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა კი, როგორც აღვნიშნეთ, მიიღო დადგენილება ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის მიეცათ მეგრულ ენაზე „პატარა ბროშურები“, რომ წაიკითხოს და მოახდინოს ქართულის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რის უქონლობაც „ღუპავს მეგრელ გლეხობას“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 490, ფ. 7/2).

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმას ნიშნავდა, რომ ცაკ-ში სამეგრელოს ოლქად გამოყოფის და მეგრული ენის ფართოდ გამოყენების საკითხზე უნდა ემსჯელათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის გამო უარი ითქვა. სამეგრელოს ოლქად გამოყოფის იდეა გაიყინა. იმის შემდეგ, რაც „სამეგრელოს საკითხის“ მოგვარება გაჯანჯლდა, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა არაერთგზის განაცხადა, რომ იგი, მართალია, გმობდა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას, რომელსაც რეაქციულ იდეად აცხადებდა, მაგრამ, ამასთანავე, მხარს დაუჭერდა ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების სამართლიან მოთხოვნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის 1925 წლის 3 სექტემ-

ბრის დადგენილება, რომელიც გმობდა ჩხოუშელი ავტონომისტების მოთხოვნას, მაგრამ ამასთავე აღიარებდა, რომ „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების მიზნით საჭირო იყო რიგი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. დადგენილება მოითხოვდა: იმ თემებში, სადაც არ იციან ქართული, ურთიერთობა აიგოს მეგრულ ენაზე; სკოლებში ახსნის დროს და სასამართლოებში საჭიროების დროს გამოყენებული იყოს მეგრული; შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხური გაზეთის და სააგიტაციო-განმარტებითი ფურცლების გამოცემა გლეხობისათვის გასაგებ ენაზე (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 359, ფურც. 29). ამის შემდეგ უაღრესად მნიშვნელოვან განაცხადს წარმოადგენდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1926 წლის 18 თებერვლის მრავალმნიშვნელოვანი დასათაურების წერილი, „ვასწორებთ შეცდომებს“, რომელშიც აღიარებული იყო, რომ „ფართო მასების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების“ საქმეში დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით „ცენტრალურმა კომიტეტმა დაადასტურა (! — ავტ.) ადგილობრივი გაზეთის გამოცემა მეგრულ ენაზე (! — ავტ.), ადგილობრივ ორგანოებში საქმის წარმოების შემოღება, სწავლება დაბალ სკოლებში და ზოგი სხვა ზომა“ — რა თქმა უნდა, მეგრულის გამოყენებით. მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ აქ მინიშნებულია „საქართველოს კომპარტიის ცკ-ი“. ამდენად, საფიქრებელია, რომ მხედველობაში მიღებული იყო 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილება, რომლის ცხოვრებაში გატარების შესახებ საუბარი უნდა ყოფილიყო პარტიის უმაღლეს ფორუმზე.

არსებობს წყაროები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ „მეგრული საკითხის“ უმთავრეს პრინციპებზე საუბარი იყო საქართველოს კომპარტიის IV (1925 წ. 30 ნოემბერი — 5 დეკემბერი) ყრილობაზეც.

საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობამ ცკ-ის ანგარიშის გამო აღნიშნა, რომ „სავალალო ინტელიგენტურმა მიმდინარეობამ, რომელიც მოითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას, ვერ ჰპოვა ფართო გამოძახილი ზუგდიდის მაზრის მოსახლეობას შორის. მაგრამ ფართო მასების კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით ცენტრ. კომიტეტმა დაადასტურა ადგილობრივი გაზეთის გამოცემა მეგრულ ენაზე, ადგილობრივ ორგანოებში საქმის წარმოების შემოღება, სწავლება დაბალ სკოლაში და ზოგი სხვა ზომა“ (მასალები საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ანგარიშისა IV ყრილობისათვის, ტფ. 1925, გვ. 154).

ზემოთ მოხმობილი ფაქტები და მდგომარეობა დაბეჯითებით მეტყველებს, რომ სამეგრელოში იმთავითვე არსებობდა მეგრული ენის გამოყენების აუცილებლობა, იგი შეიმეცნა და გაიაზრა საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა, ანუ უმაღლესმა მმართველმა ორგანომ და უკვე 1923 წლიდან მეგრული ენის გამოყენება-ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი მოგვარებისათვის სათანადო ღონისძიებებიც დასახა. აღნიშნულთან დაკავშირებით უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ ერთი, 1923 წლამდე რატომ არ მიაქციეს ყურადღება? რადგან აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებისათვის საჭირო პრობლემებს 1921 წლის დასაწყისიდან, გასაბჭოების დროიდანვე მიაქციეს ყურადღება, სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობაც არ უნდა დაეტოვებინათ უყურადღებოდ. მეორე: შემდგომ, 30-იანი წლების დასაწყისში პარტიამ ისიც აღიარა, რომ სამეგრელოში საჭირო იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მეგრული ენით და პირველდაწყებით სკოლაში ბავშვების სწავლება მათთვის გასაგებ მეგრულ ენით. მაშასადამე, პარტია და საბჭოთა მთავრობა სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ დანაშაულებრივად ზანტად აზროვნებდა. ქვემოთ სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დარწმუნდებით, რომ პარტია და ხელისუფლება სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ არა მარტო დანაშაულებრივად ზანტად აზროვნებდა, არამედ კიდევ უფრო დანაშაულებრივად და ზანტად მოქმედებდა.

სათანადო საარქივო მასალებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ზუგდიდის მაზრისა და მისი მიმდებარე სამურზაყანოს მშრომელთა წერილები, რომლებშიც გამოთქმუ-

ლია კმაყოფილება საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის მიერ „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარების გამო. ასე მაგალითად: დარჩელის მშრომელები დომენტი ხარჩილავა, გიორგი ესართია, იოსებ ქობალია, დომენტი მაქაცარია და ბაგრატ ხუფენია (! — ავტ.) თავიანთ 1926 წლის 21 მაისის წერილით „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“ წერენ: „ჩვენ სამეგრელოს მშრომელნი უგზავნით მხურვალე სალამს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის მესვეურობით საქართველოს მე-4 პარტყრილობის დადგენილებამ აუსრულა სამეგრელოს მშრომელთ თავისი დიდი ხნის წადილი, სახელდობრ: მეგრულ ენაზე გაზეთ-ჟურნალის გამოშვება და ადგილობრივ ორგანოებში მეგრულ ენაზე საქმის წარმოების შემოღება და ვიმედოვნებთ, რომ ხსენებული დადგენილება არასფრით არ ასცილდება სათანადოდ განხორციელების გზას ახლო მომავალში“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 268. ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). მსგავსი „მისასალმებელი“, სინამდვილეში კი მოწინააღმდეგეებისთვის ნიშნის მომგებიანი წერილით, ცკ-ს 23 მაისს მიმართეს სოფ. ხაბუმეს მშრომელებმა (იხ. იქვე, ფურც. 266-267). სამეგრელოს მშრომელთა ამ მისასალმებელი წერილიდან ისიც ჩანს, რომ IV ყრილობის დანაპირებს ხანგრძლივი დროის მანძილზე მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალურ კომიტეტში კვლავ იმძლავრეს „მეგრული საკითხის“ გამყალბებელმა, „ბერიას გზის“ მიმდევრებმა.

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ცენტრი ხელოვნურად ამუხრუჭებდა „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოწესრიგების შესახებ აღთქმული ოფიციალური დაპირებების, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის ივნისის და სექტემბრის, 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილებებისა და IV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღთქმული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, ი. ჟვანიამ ცკ-ს ოფიციალურად მოსთხოვა დანაპირების შესრულება. მან 1926 წლის 14 ივლისს სპეციალური წერილით მიმართა „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს“. მასში ი. ჟვანიამ მიუთითა: „ცკ-ის ა.წ. 22 ივნისის №72 ოქმში, მე-16 პუნქტში არის საკითხი მეგრელთა ჯგუფის განცხადების შესახებ, რის გამო გამოტანილია შემდეგი დადგენილება: „წინადადება მიეცეს სამდივნოს მიეთითოს ზუგდიდის კომიტეტს შესაფერ განსამარტებელ კამპანიის აუცილებლობაზე.

მაზრკომს თავის მხრივ დროულად და მიზანშეწონილათ მიაჩნია ამ საკითხის („მეგრული საკითხის“ გამო IV ყრილობის გადაწყვეტილების — ავტ.) ფართეთ გაშუქება მაზრის მთელ მშრომელთა მასაში, რისთვისაც გთხოვთ მოავლინოთ ორი კვირის ვადით ერთი ამხანაგი ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი აღნიშნულ საკითხის ირგვლივ მაზრკომთან ერთად კამპანიის ჩასატარებლად, თქვენ მიერ მოცემულ სათანადო დირექტივის ფარგლებში. მაზრკომი ფიქრობს, რომ ეს საკითხი ორი კვირის განმავლობაში, კამპანიის ჩატარებასთან ერთად, დეტალურად იქნება შესწავლილი, რის შემდეგ შესაძლებელია საბოლოო დასკვნის გამოტანა, რომ ამ საკითხზე ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს მსჯელობა სადაც არ უნდა იყოს“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 282, ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). როგორც ვხედავთ, ი. ჟვანია ცკ-ის წინაშე მთელი კატეგორიულობით აყენებს საკითხს და ცდილობს მიაღწიოს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას პრობლემა და მოისპოს გაუგებრობა. მაგრამ ცკ-ის პოლიტიკანური უმრავლესობა კვლავ აჯანჯლებს საკითხის მოგვარებას. ცკ-ს ჯიუტად არ უნდა „მაუდ ქვეშ ამოდებული“ იმ თავისივე ადრინდელი დადგენილებების შესრულება, რომლებიც იძულებული იყო ადრე, 1925 წლის 3 სექტემბერს და მის შემდეგ მიეღო.

საქართველოს ცკ-ის მიერ „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარების მიზნით მიღებული დაპირებების გაჯანჯლების გამო, ზუგდიდის მაზრკომმა, როგორც ჩანს, საკუთარი ძალებით ჩაატარა ცკ-ის სამდივნოს მე-16 პუნქტით

გათვალისწინებული ღონისძიება. ზუგდიდის მაზრის სოფლების გლეხთა შეკრებაზე ხდებოდა „მეგრული საკითხის“ გამო საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის დაპირებათა შესახებ აგიტაცია-პროპაგანდა. შესაბამისად, 1926 წლის სექტემბერში დარჩელის და ხაბუმეს მშრომელთა მისასალმებელი წერილების მსგავსი მისალმებები გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დარჩელის რაიონის 32-მა ხელმომწერმა. ზუგდიდის მაზრის გლეხობის აქტივობასთან ერთად აღინიშნა სამურზაყანოს მაზრის სოფლების გლეხთა გამოხმაურება. სამურზაყანოს ასობით გლეხი ხელს აწერს და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მისამართით აგზავნის „მისასალმებელ წერილს“, რომელშიც მადლობას უძღვნის მას „მე-4 პარტყრილობის მიერ სამეგრელოს დიდი ხნის წადილის აღსრულების“, კერძოდ, „მეგრულ ენაზე გაზეთ-ჟურნალის გამოშვების, ორგანოებში საქმის წარმოების შემოღების და სხვ.“ გამო. ამავე დროს გლეხები წერილში გამოთქვამენ იმედს, რომ „ხსენებული დადგენილება არაფრით არ აცდება ახლო მოიმავალში განხორციელების გზას, რომელსაც უსაზღვრო სიხარულით ელოდება სამეგრელოს მშრომელთა ფართო მასა“. კონკრეტულად ერთ ასეთ განცხადებას ხელს აწერს 112, მეორეს 142, სხვას 113, 151 და 224 გლეხი, რომელთა შორის ჩანან ხელმოწერის არმცოდნეებიც (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 283, 284-287 და აგრეთვე ზუგდიდის მუზეუმის ყოფილი დირექტორის აკ. ჭანტურიას საოჯახო არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი მასობრივი ხელმოწერები).

მეგრელი გლეხების ზემოთ აღნიშნული წერილები, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოა იმის მიუხედავად, რომ იგი აშკარად ნამართავი ჩანს. მაგრამ ქართულის არცოდნა ან წერა-კითხვის არცოდნა იმას არ ნიშნავდა, რომ ეს იყო პროპაგანდის გზით ეგზალტირებულთა ხელმოწერები. გლეხობა, თავისი უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობის და შეზღუდული განათლების ცენზის მიუხედავად, მშვენივრად ერკვეოდა რას აწერდა ხელს. ამიტომ არის, რომ არქივის მასალებში დაცულ მათ მიერ ხელმოწერილ სხვადასხვადროინდელ უამრავ მიმართვა-განცხადებას შორის არ გვხვდება არც ერთი ანტიქართული, სეპარატისტული დოკუმენტი. აქედან ისიც ჩანს, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელ გლეხებს თავიანთი საჩივრების მხარდასაჭერად ვერ იყენებდნენ 1925 წლის სეპარატისტული საჩივრების ავტორები — ახალაია, ბუკონია და ბესელია. ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ ზუგდიდის მაზრისა და სამურზაყანოს გლეხობა „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების საკითხში მჭიდრო სოლიდარობას ავლენს.

ზემოთაღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის III პლენუმის სტენოგრაფიული ანგარიშის სათანადო ადგილები. აქედან ჩანს, რომ ი. ჟვანია აკრიტიკებს ზუგდიდის მაზრაში ცკ-ის მიერ მივლინებულ შემმოწმებლებს, მათ შორის ხუხუას, იმის გამო, რომ ისინი თავიანთ ანგარიშებში ხაზს უსვამენ ზუგდიდის მაზრაში არსებულ კინკლაობას და ცდილობენ მათს სამაზრო ორგანიზაციის სისუსტედ გასაღებას. მაგალითად, ხუხუამ ი. ჟვანიას მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს შორის არ დაივიწყა დაეყოლებინა, რომ „მილოცვებით არ შეიძლება უპარტიო გლეხთა კრებებზე წასვლა“. გასაგებია, რომ ამგვარი შენიშვნით ზუგდიდის მაზრის შემმოწმებელმა ხუხუამ გამოხატა არა იმდენად საკუთარი, რამდენადაც საქართველოს ცენტრის მოსაწონი გაღიზიანება.

სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე ქართველიშვილის მოხსენების გამო სიტყვით გამოსულმა ი. ჟვანიამ ცკ-ის მიმართ საყვედური გამოსთქვა კრედიტების გაცემის დროს ზუგდიდის მაზრისადმი გამოვლენილი უყურადღებობისთვის. მან საჭიროდ მიიჩნია უპარტიო სპეცების წამოწევა. „ზოგს გონია, — განაცხადა ი. ჟვანიამ, — რომ უპარტიოს ამა თუ იმ განყოფილების გამგედ მოწვევა არ შეიძლება, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს (დაბლა — ავტ.) სწევსო“. მან დასძინა: „17 წლიდან პარტიულებს ვნიშნავთ, მაგრამ საქმე

არ იცის, ისევე, როგორც ჩვენგან არ გამოვა ჩინეთის ბოგდიხანიო". ი. ჟვანიამ, სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, „სპეციების" გამოყენებას დაუჭირა მხარი, „სპეციალისტებზე კი არ უნდა დავზოგოთ, არამედ ქაღალდის მჯღაბნელებზეო". მან გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის პერსპექტივებზე მოსაუბრე ჯუღელი, იგი „მომავლის გეგმებზე ამბობს, ჩვენ კი დღევანდელზე ვამბობთ, ერთ მაზრას 100 ათას მანეთს აძლევენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისათვის, მეორეს 15 ათასს. რატომ? ამ მაზრაში ნაკლები შესაძლებლობებია თუ მდიდარია, ამას არავინ კითხულობს, ეს თავში მოუვიდა გამანაწილებელს და ასე იქნებაო", მაზრას, სადაც ფასეული კულტურების განვითარების დიდი შესაძლებლობებია (ე.ი. ზუგდიდის მაზრას — ავტ.) ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, „ეს იმაზე მეტყველებს, რომ ცენტრში არაფერი კეთდებაო". ი. ჟვანიამ საჭიროდ სცნო პარტიის რიგების გაზრდა ღირსეული მშრომელებით. მან დააყენა სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვდნენ მეურნეობის ბიუროკრატიული მართვის მეთოდების აღმოფხვრას და მაზრის თვითმოქმედება-ინიციატივის გაფართოებას (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 47-52, 102-106, 209, 215). ი. ჟვანიამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის III პლენუმზე მოწინააღმდეგე პარტოკრატების შემოტევაც მოიგერია და მაზრის გადაუდებელი სამეურნეო ამოცანებიც ისე გააშუქა, რომ პლენუმი საკუთარ კომპეტენტურობასა და მაზრის პრობლემების მოგვარების აუცილებლობაშიც დაარწმუნა. ი. ჟვანიას საქმიანი წინადადებები პლენუმის მუშაობაში მონაწილეთა შორის მოწონებას ჰპოვებდა. ასეთებს შორის იყო ფ. მახარაძეც.

რაც შეეხება თბილისიდან მაზრაში შემოწმების მიზნით გაგზავნილ პირებს, და კერძოდ ხუხუას, ი. ჟვანია მათ უბრუნდება 1927 წლის 26 მარტის წერილში „ზუგდიდის მაზრის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება": „სანამ გამოემგზავრებოდა გამოსარკვევად (ზუგდიდში — ავტ.), მანამდე მას მიღებული ქონდა დირექტივები ქ. თბილისში ყოფ. კომპარტიის წევრის (ესერი) მიხა მამფორიას და მისი ამხანაგებისაგან თუ როგორ უნდა ეწარმოებინა გამოკვლევა, რომ დაცემულიყო მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგების პრესტიჟი და მართლაც დაადასტურა არასწორი პრაქტიკული ღონისძიებების გამოტანით". მაგრამ „მეგრული საკითხის" გამო საქართველოს ცენტრის პოლიტიკანურ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის გააქტიურება ამის შემდეგაც კარგა ხანს არ მოხერხდა, მტერი და მოშურნე კი ი. ჟვანიას კიდევ უფრო მოუმრაველდა. ეს შემთხვევითი არ იყო.

როგორც წინა თავში ვნახეთ, ი. ჟვანიამ ალ. გეგეჭკორის და კ. სვანიძის თანადგომით წარმატებით მოიგერია ლ. ბერიას იდეურ პლატფორმაზე მდგარი დარჩელელი კომუნისტების შემოტევა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ბრძოლის ხანძარი ამის შემდეგ კი არ შენელდა, არამედ კიდევ უფრო გაჩაღდა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი არა მარტო ის იყო, რომ ი. ჟვანიამ „მეგრული საკითხის" მოგვარების ბერიასეული გეზის პოზიციებიდან მებრძოლი ოპოზიცია მწარედ დაამარცხა, არამედ, ისიც, რომ ამის გამო ლ. ბერია ი. ჟვანიას და მის მხარდამჭერებს აშკარად დაუპირისპირდა.

როგორც ადრე ვნახეთ, ბერია შეეცადა თავის ცნობილ, 1925 წლის 13 სექტემბრის წერილში ი. ჟვანია და ზუგდიდის ხელმძღვანელობა ავტონომისტების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებასა და მფარველობაში მძიმედ დაედანაშაულებინა. მართალია, იმჟამად მას ეს არ გამოუვიდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ „მეგრული საკითხის" მოგვარება ამის შემდეგაც არ მოხერხდა, იმას მოწმობს, რომ საქართველოს ცენტრში კვლავ ბერიას მომხრეები მძლავრობენ. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დისკრედიტაციას. ზუგდიდში სისტემატიურად იგზავნება კომისიები, რომლებიც ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს ფართოდ წარმოაჩენენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი იყო ხუხუას კომისია, რომელმაც ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის III

პლენუმის ტრიბუნიდან ამხილა, მაგრამ ვალში ი. ჟვანიაც არ დარჩა. მის მიმართ კი საყვედური არავის გამოუთქვამს, ხუხუას გარდა.

ი. ჟვანიას წინააღმდეგ ცენტრის მორიგი გაბრძოლება იმაში გამოიხატა, რომ 1926 წლის 12 ოქტომბერს ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დაინიშნა ალექსანდრე ქირია (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 314, ფურც. 25). მაშასადამე ი. ჟვანიას ხელმძღვანელობაში ოპოზიციონერი პროფი მამფორიას ნაცვლად ჩაყენეს მისი მხარდამჭერი გრ. შელია, ახლა კი, როგორც ვხედავთ პროფი და მიხა მამფორიების თანამოაზრე ალ. ქირია „შეუგზავნეს". მართალია, აკ. ქავთარაძე საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მაზრიდან გაიწვია, მაგრამ მის მაგივრად დააწინაურეს ბეგი ბერია. მას, გრ. შელიას და აკ. ქავთარაძეს მალე ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეებში ვხედავთ.

1926 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დახურული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ი. ჟვანია, გრ. შელია, ბ. ბერია, ზ. ჯინორია, ფ. ცხომარია, ი. ცხაკაია, ი. ჯანაშია, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებული ფარცვანია. აქ განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის IV ყრილობის მიერ გარიცხული ორულ-ერგეტის 17 კომუნისტიდან საკონტროლო კომისიას, ანუ იგივე ჩეკას „ფილიალს", აღუდგენია 15. ეს ი. ჟვანიამ გულმოდგინედ გააპროტესტა. მან აღნიშნა, რომ ორულ-ერგეტის უჯრედში გარიცხავი 7 წევრიდან მხოლოდ 4-მა გაამართლა და მამფორია-ხვიჩიას მიერ მოშლილი ორგანიზაციის ავტორიტეტის აღდგენას შეუწყო ხელი. დანარჩენი 3 არ გამოდგა: „არცერთი მათგანი გზების შეკეთებაზე არ გამოსულა. უპარტიოები კი გამოდიოდნენ და გვითითებდნენ: „აი ხედავთ თქვენი აზნაურები (ანუ ოპოზიცია — ავტ.) კი არ კადრულობენ სამუშაოზე გამოსვლასო. უმრავლესობა ზემდგომი ორგანოების დადგენილებას არ ასრულებს, არ ემორჩილება, ამით სახელს უტეხს პარტიასო". ამიტომ იგი მოითხოვდა: „გარდა 4 ამხანაგისა, როგორც ყოვლად გამოუსწორებლები და პარტიისათვის მავნე ელემენტები... ერთხელ და სამუდამოდ გამორიცხული უნდა იქნან პარტიის რიგებიდანო". ი. ჟვანიას აზრით, მათი პარტიაში დაბრუნება საშუალებას მისცემს მამფორიებს და ხვიჩიებს მათ შორის დასაყრდენი საშუალების ყოლის. მათი დაბრუნება ნიშნავს მაზრკომის ავტორიტეტის შელახვასო. სამაზრო კომიტეტმა სთხოვა ცკ-ს საკითხი საკონტროლო კომისიაში ხელახლად გადაესინჯათ. ესენი შესაძლებლად თვლიან უჯრედში დატოვებულ იქნას 4 ამხანაგი: იაკობ თითმერია, ალექსანდრე წურწუმია, კონდრატე მიქაია და ილია ესართია. დანარჩენი უნდა გაირიცხონო. ეს დანარჩენი კი არიან: ნესტორ გელანტია, სტეფანე თითმერია, ვასილი შანავა, ბეგლარ მამფორია, ტაია ლიპარტია, ექვთიმე მუმულია, აქსენტი ხვიჩია, ერასტი გვილია, სოფრო თითმერია, მაქსიმე გვალია და იაკობ იზორია. სათანადო საოქმო ჩანაწერის მიხედვით, „ისინი მუშაობენ ჭერქვეშ, დღესაც განაგრძობენ დეზორგანიზატორულ მუშაობას. მათი საერთო ხელმძღვანელები არიან მიხა მამფორია, მაქსიმე ხვიჩია, პროფი მამფორია და ესტატე მამფორია. პირველი ორი პარტიიდან გარიცხულია. მაზრკომის პრეზიდიუმი სთხოვს ცკ-ს 11-დან „პროფი და ესტატე იქნან პარტიიდან გარიცხული" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 314. აღ. 89-90). ეს ლ. ბერიას წინააღმდეგ გამოსვლასაც ნიშნავდა.

„მეგრული საკითხის" სამართლიან მოგვარებას აფერხებდა ისიც, რომ პარტიული კადრების დაპირისპირება აღმოცენდა ზუგდიდის ცენტრისა და მის ყოფილ ხელმძღვანელობას შორის. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ფაქტები გამოავლინა მკვლევარმა ალექსანდრე დაუშვილმა. მის მიერ მობილიზებული საარქივო მასალა ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ „ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მე-9 პარტიულ კონფერენციაზე (31. III. 1926) გადაკვრით იყო ლაპარაკი „პიროვნებაზე და დიქტატორობაზე. კონფერენციაზე ერთ-ერთი გამომსვლელის სიტყვაში გაიუღერა ფრაზამ „ისაკი ჟვანია იყოს დიქტა-

ტორი — ეს სიმართლეს მოკლებულია". სხვა გამომსველელი კი ხაზგასმით აღნიშნავდა: „მაგარი ხელი, როგორიც ისაკი". საერთოდ, კონფერენციამ ისაკი ჟვანიას არაჩვეულებრივი ოვაცია გაუმართა...

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დაპირისპირებამ აკაკი ქავთარაძესა და ისაკი ჟვანიას შორის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომ თბილისში, ქავთარაძის ბინაზე იგეგმებოდა ზუგდიდიდან ი. ჟვანიას გაძევების პროექტი. ამ შეკრების აქტიური მონაწილენი ყოფილან ლ. ლანდია, ფ. ცხომარია, და სხვები". ა. დაუშვილს მოჰყავს ამ კრების მონაწილეთა ისაკისეული შეფასება: „სასიხარულოა, რომ ცხრანი იყვნენ და ცხრანი დარჩნენ და იმედია ცხრანი მოკვდებიან". ეი. თავიანთ შეზღუდულ რაოდენობას ვერ გასცდებიანო.

კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილის, დელეგატ ჩიქავას მოხსენებაში გაიჟღერა ბრალდებამ, რომ „აქ ყველაფერი ხდება ცეკას წევრის ქავთარაძის და საშა გეგეჭკორის მიერ". მკვლევარი ალ. დაუშვილი დასკვნის: „აშკარაა, რომ ი. ჟვანიას ს. გეგეჭკორის კეთილგანწყობა დაუკარგავს". ჩვენი აზრი, განსხვავებულია. პატივცემული მკვლევარის მიერ მოყვანილი დელეგატ ჩიქავას ნათქვამი, ჩვენი აზრით, შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ აქ არსებულ მხარეთა დაპირისპირებას ადრე თბილისის ორი წარმომადგენელი, ერთის მხრივ აკ. ქავთარაძე, და მეორე მხრივ ალ. გეგეჭკორი, უჭერდნენ მხარს, ახლა კი მათი პოზიცია შეიცვალაო, ერთმანეთს დაუპირისპირდნენო. ჩვენი ეს აზრი იმას ეფუძნება, რომ ი. ჟვანიას და „მეგრული საკითხის" სამართლიანად მოგვარებისადმი ალ. გეგეჭკორის მეტამორფოზა, შემდგომი წყაროებით, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ყრილობების მასალებით, არა ჩანს. აკ. ქავთარაძე კი ლ. ბერიამ ცკ-ის აპარატში შეიკედლა. იგი ამ დროს (1931 წ.) ი. ჟვანიას ებრძვის.

გამოვლინდა აგრეთვე ოდიოზურ პიროვნებებად მხილებული ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარე ბ. ბერიას და გრ. შელიას დაპირისპირება ი. ჟვანიასთან. ამ დაპირისპირებებმა მწვავე გამოვლინება ჰპოვა 1927 წელს. სექტემბერ-ოქტომბრის საარქივო მასალები მოწმობენ, რომ „ბ. ბერია და გრ. შელია შეხვდნენ ი. ჟვანიას ბინაზე" და „ბოვშურად სცემეს. მიზეზი იყო შელიას მოხსნა და ცეკას მიერ გადაყვანა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 435, ფურც. 15-16) ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობიდან. ამ ინციდენტთან დაკავშირებით შეჩერება აუცილებელია, რადგან ზოგ საქმის ვითარებაში გაურკვეველს ეჩვენება, რომ იგი ი. ჟვანიას ავტონომისტური გამოვლინების მოწინააღმდეგეებმა „ჩაქოლეს". სინამდვილეში ეს იყო საკადრო დაპირისპირების შედეგი. ი. ჟვანიას მხარდასაჭერად ფეხზე დადგნენ მაზრის ძირეული ორგანიზაციები. სპეციალურ კრებებზე იხილავდნენ მომხდარ ამბავს, აძაგებდნენ ბ. ბერიას და გრ. შელიას, ამართლებდნენ და მხარს უჭერდნენ ი. ჟვანიას, როგორც სანიმუშო ორგანიზატორს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მიმართავდნენ თხოვნით, რომ ი. ჟვანია ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობიდან არ ჩამოეშორებინათ და სხვ. ასეთი კრებები გაიმართა ნაკიფუს, წალენჯიხის, ორულის, ზუგდიდის შავი ზღვის რკინიგზის, ხობის, ერგეტის, აბასთუმნის, ლესიჭინეს, ჭოღოს, ცაიშის, საჯიჯაოს, ხაბუმეს, ხორგის, ჭაქვინჯის, ხეთის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ს. ნაკიფუს კრებაზე ითქვა, რომ ი. ჟვანიას დროს „ვხედავთ დიდ მიღწევებს მისი ზუგდიდში დანიშვნის შემდეგ ყოველგვარ დარგში". ამიტომ „ორგანიზაცია თხოულობს ცეკას წინაშე, რათა ამხ. ჟვანია არ იქნეს მოშორებული ზუგდიდის მაზრიდან, ვინაიდან მისი მოშორება გამოიწვევს ორგანიზაციული მუშაობის შენელებას, შესუსტებას და იქნას დარჩენილი თავის ადგილზე" (იხ. იქვე, ფურც. 9).

წალენჯიხის კომუჯრედის კრებამ, რომელსაც 16 კომუნისტი ესწრებოდა, (ტ. ზარელუა თავჯდომარეობდა, ხოლო კ. თორდია მდივნობდა), აღნიშნა: „მომხდარ ინციდენტში ჟვანია არის სრულიად უდანაშაულო და ამასთან ამხ. ჟვანია არის მაზრის ერთად-ერთი ენერგიული და აქტიური მომუშავე, როგორც

პარტიულ, ისე სააღმშენებლო დარგში, ამიტომ წალენჯიხის კომუჯრედი მიზანშეწონილად (არ — ავტ.) თვლის რაიმე რეპრესიული ზომების მიღებას ამხ. ჟვანიას წინააღმდეგ". კრებამ დაადგინა: „როგორც გამორკვეულია ამხ. ჟვანია არის სრულიად უდანაშაულო, გმირული მუშაობა არალეგალობაში, საქმიანი მიუდგომელი შეუდრეკელი მუშაობით აღმოფხვრილი იქნა ყოველგვარი კინკლაობა-ინტრიგანობა დაწყებული 1921 წ.". (იქვე, ფურც. 3).

ზუგდიდის შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის კომუნისტების და კომკავშირლების კრებაზე მომხსენებელმა ა. ჯიქიამ აღნიშნა, რომ ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის პირობებში ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი იზრდება და სხვ. დადგენილებაში დაფიქსირებულია, რომ ი. ჟვანიამ სხვა ამხანაგებთან ერთად „დაიმსახურა ქება-დიდება. მთელი მაზრის მშრომელები ამაყობს ჟვანიას მუშაობით... კრება მოითხოვს: ბოლო მოეღოს კინკლაობას და ჯგუფობრიობას, დამნაშავის სასტიკ პასუხის მოთხოვნით... საჭიროა მაგარი ხელმძღვანელი, უამისოდ ორგანიზაცია გაიხრწნება და დაიღუპებაო" (იქვე, ფურც. 7).

მსგავსი შინაარსისაა სხვა ორგანიზაციების ოქმებიც: პ. ლანდიას მოხსენებაში ნათქვამია: „გაინტელიგენტებულ მაზრის მუშაკებს, რომლებიც მოდუნებული არიან, სწყინთ, რომ გლეხებს და მუშებს მოსწონს ჟვანიას მუშაობა"; ნ. სურგულაძემ განაცხადა: „მე ბერია და შელია არასდროს არ მინახავს, როგორც კომუნისტი, ჟვანიას ვიცნობ, როგორც ბოლშევიკს 1917 წლიდან, რომელიც აშკარად გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ საერთო კრებებში, ამ დროს ბერია კი მსახურობდა მენშევიკების პოლიციაში. ესენი დახელოვნებული არიან კინკლაობაში და ჯგუფების მოწყობაში". მან მოითხოვა ზუგდიდის ორგანიზაციიდან ბერიას, შელიას, ცხომარიას და მათი მიმდევრების გაძევება (იხ. იქვე, ფურც. 7); გ. დონდუამ სთქვა, რომ ბერია და ცხომარია სახელს უტეხენ პარტიას, სამუშაოზე გზავნიან გარყვნილ ადამიანებს; ი. ნაჭყებიამ დასძინა: „ასეთ საზიზღარ ინციდენტს არ ჩაიდენს კაცი არა მარტო მაზრის ბელადების სახით არამედ მოუმზადებელი კომუნისტებიცო" (იქვე, ფურც. 16); ერგეტის კომუჯრედის ოქმში ნათქვამია: „ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციებში 1921 წელს იყო გამეფებული კინკლაობა, რომლის სულის ჩამდგმელი იყვნენ ამხ. აკაკი ქავთარაძე, ბეგი ბერია, გრიშა შელია და სხვა, არ აძლევდნენ მოსვენებას ორგანიზაციას, აწყობდნენ სხვადასხვა კომბინაციას, დაიმსახურეს მაზრის ორგანიზაციის სიძულვილი. ცეკამ ეს ქავთარაძე , ბერია, შელია გადაიყვანა სხვაგან სამუშაოდ, მაგრამ 1925 წელს ისევ დაბრუნებულ იქნენ და ისაკი ჟვანიასთან ერთად შეუდგნენ მუშაობას. ჟვანიას მოსვლით დამყარდა სიმშვიდე, მაგრამ ესენი არ ისვენებენ. პროფესიონალი მოკინკლაკვენი არიანო". ერგეტელმა კომუნისტებმა ცკ-ს სთხოვეს ბერიასა და შელიასთან ერთად მოიშორონ გერმანე ჯინჯოლია, ფილე ცხომარია, მიხა ბერულავა, იასონ ჯანაშია, ბიქტორ თორდია და ლავრენტი კალანდია (იქვე, ფურც. 18); აბასთუმნის კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ზუგდიდში კინკლაობას ჰქონდა ადგილი 22, 23 და 24 წლებში, რამაც თითქმის დაშლამდე მიიყვანა პარტიული ორგანიზაცია, ბოლოს კი ჟვანიას წინააღმდეგაც გამოვიდნენო (იქვე, ფურც. 35). საინტერესოა, რომ კრებაზე გამომსვლელები მხოლოდ იცავენ ი. ჟვანიას, მის მოწინააღმდეგეებს კი სასტიკად კიცხავენ. ი. ჟვანიას შესახებ ერთ-ერთ კრებაზე ითქვა: „ჟვანიას უწოდეს დიქტატორი, უხეში", რაც „სინამდვილეში არ იყო" (იხ. იქვე, ფურც. 36/2). ისე გამოჰყავთ, თითქოს ი. ჟვანია მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყოს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ი. ჟვანია ტიპური ბოლშევიკი იყო, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა პარტიის დირექტივების შესაბამისად მაზრის კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურებისათვის და ამ მიზნით არაფერს ბოლშევიკურს არ თაკილობდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ უამრავ საოქმო ჩანაწერებში მისი მოწინააღმდეგეების გამოსვლები არა ჩანს, უთუოდ იმას მოწმობს, რომ მაზრის კომუნისტები იწონებდნენ მის ხელმძღვანელობას და მომხდარი ძალმომრეობის გამო იმდენად აღშფოთებული იყვნენ, რომ მათ წინააღმდეგ აზ-

რის გამოთქმა ვერავინ გაბედა. მაშასადამე, ი. ჟვანიას გადაყენების მიზნით მისი მოწინააღმდეგეების მიერ მოწყობილმა ინტრიგამ, ფაქტობრივად 'კიდევ უფრო გაამაგრა მისი პოზიცია და აამაღლა მისი, როგორც პარტიული ხელმძღვანელის, პრესტიჟი.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ მიგვაჩნია, რომ ი. ჟვანიას და მისი ზუგდიდის სამაზრო ცენტრის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ინტრიგას მართავდა „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე" ლავრენტი ბერია. ჯერ ერთი, ლ. ბერია, როგორც „კაკ" შელია გვამცნობს, ფარულად იყო დაკავშირებული ძერჟინსკისთან და სტალინთან. იგი აკონტროლებდა სიტუაციას საქართველოში და სტალინს სათანადო ფარული კურიერის მეშვეობით მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა. „მეგრული საკითხი" იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამის შესახებაც უთუოდ უნდა ყოფილიყო ბერიას ინფორმაციული კონტაქტი სტალინთან. რადგან ბერია საკუთარი საშუალებებით შეეცადა „მეგრული საკითხის" ჩეკისტ ილარიონ თოდუას „საორგანიზაციო ბიუროს" მეშვეობით მართვა-მოგვარებას, ხოლო შემდეგ პირადად უმეთაურა შესაბამის კამპანიებსაც, საფიქრებელია, რომ მას მიღებული ჰქონდა სათანადო ზოგადი მითითება. ალ. გეგეჭკორის და შემდგომი საგაზეთო პუბლიკაციები, მათ შორის ლ. ბერიას განსხვავებული გეზი, რომელიც ავტონომიის მოთხოვნის დაგმობაში კონცენტრირდებოდა, ნათელს ხდის, რომ მან სტალინის აზრი მანამდე იცოდა, ვიდრე იგი დაშიფრული დეპეშით გადაეცემოდა ს. ორჯონიკიძეს. ფაქტია, რომ ლ. ბერია „მეგრული საკითხის" მოგვარებაში სტალინის აზრის შესაბამისად, თუმცა ჩეკისტური მეთოდებით, ჯერ კიდევ 1925 წლის აგვისტოს მიწურულიდან ჩაება. მან ავტონომისტების წინააღმდეგ ბრძოლის გარდა სხვა საშუალებების (აგიტაცია-პროპაგანდა, მეგრელი გლეხების ინტერესების შესაბამისი სამართლიანი მოთხოვნების) განხორციელება დიდი ხნით გამორიცხა. ბერია პრინციპულად დაუპირისპირდა „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერების ხაზს. თუ კარგად დავაკვირდებით, დეზინფორმაციულ მასალებში ჩანს ამკარა დაპირისპირება ლ. ბერიას მომხრეებსა და ი. ჟვანიას მომხრეებს შორის, მაგრამ თვითონ ბერია სხვა შემთხვევებშიც უჩინარი ხელით მართავს პროცესებს. კარგად ჩანს, რომ ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეები ძირითადად მიყვებიან ბერიას გეზით განსაზღვრულ ხაზს. როგორც სათანადო პუბლიკაციები და საარქივო წყაროები მოწმობენ, ჩეკისტმა ბერიამ ოსტატურად ჩამოიცილა თავისი მოწინააღმდეგეები საქართველოს ჩეკაში, 1926 წელს მიაღწია საკუთარი ფორმალური შეფის ე. კვანტალიანის ჩამოშორებას და მისი იმ თანამდებობის დაკავებას, რომელიც ფაქტობრივად უკვე დიდი ხნით ადრე დაიხელთა. მან საავიაციო კატასტროფაში დაღუპული „ზაკჩეკას" თავმჯდომარე მოგილევსკის ცხარე ცრემლებიც დააღვარა. მაშინ, როცა მასთან 1923-1924 წლებში სერიოზული სამსახურებრივი უთანხმოებები ჰქონდა. 20-ანი წლების ბოლოს ბერიამ ოსტატურად შეძლო დაეკავებინა „ზაკჩეკას" ახალი თავჯდომარის, სტალინის ქვისლის რედესის თანამდებობა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრების ხელმძღვანელთა სტალინისა და მოსკოვის ცენტრის წინაშე დასმენებში, მრავალი უაღრესად მნიშვნელოვანი მსგავსი საქმე ისე განახორციელა, რომ დიდი ხნის მანძილზე გაუმჟღავნებელი დარჩა მისი უშუალო დაინტერესება. ამდენად, ლ. ბერია „მეგრული საკითხის" დამუხრუჭების გამო ბრძოლაში ჯერ თუ აშკარად არა ჩანს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მასში არ მონაწილეობს. ჩეკა პროცესებში ყოველთვის შეუმჩნეველ, მაგრამ გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამასთან მალე, (მომდევნო თავებში) ვნახავთ, რომ თანამდებობიდან არაერთხელ გადაყენებული და ი. ჟვანიას გამლახავი კომუნისტი ბეგი ბერია ამის შემდეგ საქართველოს საგფთიაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღზევდა. ასეთი დაწინაურება საკადრო პოლიტიკაში შემთხვევით არ ხდება და უთუოდ მოითხოვს ანგარებიანი მფარველის დახმარებას. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ბ.

ბერია 1937 წელს თვით ლ. ბერიამვე გაწირა. ისმება კითხვა: თუ ყოვლის-შემძლე ბერია მართავდა ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერების საწინააღმდეგო პოზიციას, ამ შემთხვევაში როგორ გაუძლო მას ი. ჟვანიამ? საქმე იმაშია, რომ ისაკიმ თავისი თავდადებული მუშაობითა და კომპეტენტურობით მოიპოვა მაღალი ავტორიტეტი, რომლის გამო საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა.

საშა გეგეჭკორი 1928 წლის 7 ივნისს მოულოდნელად გარდაიცვალა. არქივში გამოვლენილი ფ. მახარაძისადმი გაგზავნილი ერთი ანონიმური წერილის ავტორის მიერ ბრალდება გამოითქვა, თითქოს იგი იმსხვერპლეს „ფილიპე მახარაძემ, მარიამ ორახელაშვილმა, შალვა მათიკაშვილმა, ლევან ქართველიშვილმა და სხვ.“ (იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 443, ფურც. 7-9). ჩვენ კი გვგონია, რომ აქ თუ სხვისი ხელი ურევია, ეს შეიძლება იყოს ლ. ბერია. ასეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა ერთი მხრივ, „მეგრული საკითხის“ მოგვარებაში და სხვა საკითხებში ამ ორი პიროვნების დაპირისპირებამ და აგრეთვე, მეორე მხრივ, ანონიმური წერილის შინაარსმა. ავტორის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ წერილში გამოთქმული სისხლის აღების მუქარა და ბრალდება აშკარად მეტყველებს, რომ „ბრალმდებელი“ ალ. გეგეჭკორის უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლია. ეს ხომ უკვე მნიშვნელოვანი ორიენტირია. ამასთან, რადგან ანონიმური წერილი ცაკ-ის არქივში მოხვდა, ეს იმას მიუთითებს, რომ მის შესახებ სათანადო წინასწარი მსჯელობა უნდა ყოფილიყო, ე.ი. წერილის შინაარსი ზედაფენებში უნდა გახმაურებულიყო. აქედან გამომდინარე ისმება კითხვა: ვის ინტერესებში შედიოდა ალ. გეგეჭკორის გარდაცვალების მკვლელობად გახმაურება და მკვლელობაში აღნიშნულ პირთა დადანაშაულება? ვის სჭირდებოდა მათ მიმართ შურისძიება? როგორც ცნობილია, ამ ეჭვმიტანილ ადამიანებზე 1937 წელს „შური იძია“ ა. ბერიამ. მათ შორის მხოლოდ ფილიპე მახარაძე არ დაუხვრეტია, მაგრამ არც არაფერი დაუკლია.

არსებობს საარქივო მასალა, რომელიც მოწმობს, რომ ბერიას მარჯვენა ხელის ბაღჩო ქობულოვისა და ი. ჟვანიას დაუძინებელი მტრის მიხა მამფორიას მეშვეობით 1930 წელს პროვოკაცია ი. ჟვანიას წინააღმდეგაც მზადდებოდა. 30-ან წლებში კი ი. ჟვანიას საწინააღმდეგო ინტრიგის ქსელს ქსოვენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნები ბ. ლომინაძე, ს. მამულია, ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ე. ბედია, რომელიც ინტრიგას ბერიას დავალებით ეწეოდა. 1937 წელს ი. ჟვანიას შეუთითხნეს მომაკვდინებელი ბრალდება, რაც ლ. ბერიას გარეშე ვერ მოხდებოდა. ლ. ბერია იყო ის პიროვნება, რომელმაც იგი კიდეც შეიწირა. ეს ყოველივე გვაეჭვებს, რომ ეს „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის“ პიროვნება, შესაძლოა რომ ზემოთ აღნიშნულ პროცესებს „უხილავი ძალებით“ მართავდა. მაგრამ ი. ჟვანიამ მაღალ თანამდებობაზე თუ მაინც 1937 წლამდე გაძლო, ეს ისევ სტალინის და, მაშასადამე, ლ. ბერიას სურვილითა და აქამდე შეუცნობელ გარემოებათა მიზეზებით აიხსნებოდა. მათ შორის ერთ-ერთი ის უნდა იყოს, რომ ი. ჟვანია საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, თავისი მთავარი მტრის, ბერიას მოწინააღმდეგეების წინააღმდეგაც იბრძოდა. მათ შორის იყვნენ ბ. ლომინაძე და ს. მამულია. ამაში მკითხველი წიგნის მომდევნო თავებში მობილიზებული მასალების ანალიზით უთუოდ დარწმუნდება. მაგრამ ახლა საჭიროა წარმოვაჩინოთ ის, თუ რა ისეთი ინფორმაცია მოიპოვება, რომელიც ამჟღავნებს ბერიას მარჯვენა ხელისა და ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენის ბაღჩო ქობულოვის ისაკი ჟვანიათი დაინტერესებას.

1930 წლის ოქტომბერში ორულ-ერგეტის საბჭოს თავჯდომარე „კ.მ-ამ“ და კომუჯრედის მდივანმა „აკ.ა-ამ“ ხელთ იგდეს და ი. ჟვანიას გადასცეს ჩეკას პატიმრობაში ტროცკიზმის ბრალდებით ნამყოფი ადგილობრივი მკვიდრის, ესესაა ციხიდან გამოშვებული ნ. აბლოთიას მიერ თბილისიდან, ასევე ტროცკიზმის ბრალდებით მეტეხის ციხეში დაპატიმრებულის, თითმერიას მამის მეშვეო-

ბით გამოგზავნილი წერილი. წერილის ტექსტიდან, რომელიც, ი. ჟვანიას განცხადების თანახმად, დაწერილია მ. მამფორიას ხელით, ჩანს, რომ: პატიმრობიდან განთავისუფლებული ნ. აბლოთიას სახელით, რომელიც ახლა თბილისში იმყოფება, მის ძმას მიხამ შემოუთვალა, რომ თბილისში გამოცხადებულიყო მ. მამფორიასთან. წერილი იტყობინება, რომ ის პირები, რომლებიც ახლა მეტეხში კონტრრევოლუციის და ტროცკიზმის ბრალდებით სხედან (გ. კარტოზია და თითმერია), უდანაშაულონი არიან და შესაძლებელი ხდება მათი განთავისუფლება. ამის გარანტად კი ბ. ქობულოვი ცხადდება. „ძმაო მექი, — წერს ნ. აბლოთია, — მე ვცხოვრობ პამფი და მიხასთან. დღეს მე და მიხა ვიყავით ჩეკის წარმომადგენელ ბახჩო ქობულოვთან (! — ავტ.). ჩემი განცხადება მიიღეს და მე საქმის გამოძიების დამთავრებამდე განთავისუფლებული ვარ. მე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლისთვისაც ვიბრძოდი, არა ვყოფილვარ. ჩვენზე წამოყენებული ბრალდება სულ სხვაზე იყო აგებული. ჩვენ ეს ბრალდება წამოგვიყენა აქვსენტი, კონდრა, ძაბული იზორია და მათი დამქაშებმა, როგორიც არი ისაკი სორდია და სხვა. უნდოდათ გამოეტანათ ჩვენთვის პოლიტიკური სიკედილის განაჩენი, კოკზი უვარდებათ ნაცარში და ყველა დაინახავს. პარტია გაიძვერებს გასაქანს არ მისცემს. განა კონდრამ და აქვსენტიმ არ იცოდა, რომ მე და ის ამხანაგები, რომლებიც ეხლა სხედან მეტეხში, კონტრრევოლუციონერები არ იყვნენ, ძალიან კარგად იცოდნენ ჩვენ არ გვქონია მეგობრობა მენშევიკებთან, მშრომელების წინააღმდეგი რომ არ ვყოფილვართ.

იმ ვაუბატონების გმირობა მხოლოდ ჭორიკნობა და მენშევიკებთან კეთილგანწყობილებაშია. ლადი ზარქუასთან მათ ქონდათ კავშირი და ამის ხელით აკეთებდნენ საზიზღარ საქმეს. 10/X ნ. აბლოთია".

ი. ჟვანია და მისი „აგენტები" შეუშფოთებია აღნიშნული „ტროცკისტების" სასარგებლოდ მ. მამფორიას მუშაობას. ი. ჟვანია ამის შესახებ ატყობინებს ზუგდიდის ინფორმპუნქტის გამგე ზაქარაიას, ამასთანავე დასძენს: მ. მამფორიას „ჩანს კავშირი არ გაუწყვეტია ტროცკისტებთან. ეს უნდა ეცნობოს საქ. პოლიტსამმართველოს, რომელიც ნდობით უყურებს მ. მამფორიას — ბანდიტს, ბანდიტის შემნახველს". ი. ჟვანიას კომენტარიდან ჩანს: ნესტორ იოსების ძე მამფორია 1929 წელს ორი თვე იმყოფებოდა ტყეში, რომელსაც სდევნიდა პოლიტსამმართველო. მისი ამხანაგებია: გაბელია, კარტოზია, თითმერია, რომლებიც დაუპატიმრა პოლიტსამმართველომ და ახლა სხედან მეტეხში (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 9, ფურც. 45-46, 47).

აქ ყველა ჩვენთვის საინტერესო მომენტის გარკვევა არ მოგვიხერხდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ტროცკისტული კონტრრევოლუციური მუშაობის ბრალდებით დაპატიმრებულთა ბედის სათაოეებთან ზუგდიდის ხელმძღვანელობა უნდა მდგარიყო, ამდენად, მათი შეშფოთება უსაფუძვლო როდია. მდგომარეობას განსაკუთრებით ძაბავდა ის, რომ ბრალდებულთა გამართლება-განთავისუფლების საქმეს ი. ჟვანიას „მოსისხლე" მტერი მ. მამფორია უწევს პატრონაჟს. ამასთან, ეს უკანასკნელი „ტროცკისტებს" ჩეკასთან და ბ. ქობულოვთან პროტექტორობს. ადვილი მისახვედრია, რომ აქ მხოლოდ მოყვასის მიმართ გულისხმიერება არ იგულისხმება. სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნისათვის სენაკის პარტიული ორგანიზაციის მიერ 1922 წელს გარიცხული ილარიონ თოდუა, როგორც ვნახეთ, ბერიამ ჩეკას სამსახურში აიყვანა და 1925 წელს „მეგრული საკითხის" ჩეკისტურად მოგვარების სამუშაო შეასრულებინა. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ლ. ბერია ჯერ კიდევ საქართველოს ჩეკას თავჯდომარის მოადგილედ მუშაობის დროს დასმინეს, რომ თავის გარშემო იკრებდა საეჭვო, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულის მქონე პიროვნებებს. მაგრამ მან მოსკოვიდან სპეციალურად ამ საკითხის შესწავლისათვის ჩამოსული კომისია დაარწმუნა, რომ ასეთი ადამიანები მას ოპერატიული მუშაობისთვის განსაკუთრებით სჭირდებოდა (სუკის არქივი 5975, ტ. 1, ფურც. 351). ბერიას ჩეკისტურ გარემოცვაში ჰყავდა ოპოზიციური, ანტისაბჭოთა პარტიებისა და ყო-

ფილი თეთგვარდიელების წარმომადგენლები, აგრეთვე ზოგი საზღვარგარეთ მცხოვრების ნათესავები, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების შინაცხოვრების ნორმებით მიუღებელ ადამიანებად ითვლებოდნენ (ამ საკითხზე იხ. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ ანალიტიკური კომენტარები, თბ. 1998, გვ. 125). ამ კადრების დაახლოების „საიდუმლეობა" ის იყო, რომ ისინი მოწინააღმდეგეებს შიგნიდან იცნობდნენ და საშემსრულებლო თვისებებითაც გამოირჩეოდნენ, ე.ი. ჩეკისტურ-დივერსიული მუშაობის ოქროს ფონდს წარმოადგენდნენ. ასეთ მუშაკებად შეიძლებოდა წარმატებით გამოყენებულიყო ყაჩაღობაში და ყაჩაღის მფარველობაში მხილებული პარტიული თანამდებობიდან დევნილი მუშაკიც და ტროცკისტობის ბრალდებით დატუსაღებული, შემდეგ ჩეკას პატიმრობიდან განთავისუფლებული და მოქმედი თანამდებობის პირიც. ასე, რომ ი. ჟვანიას და მის მომხრეებს შეშფოთებისათვის საფუძველი ჰქონდათ.

ი. ჟვანიას მიმართ პირადი ანტიპატიისათვის ბერიას სხვა დამატებითი საბაბიც ჰქონდა. ი. ჟვანიამ ალ. გეგეჭკორისა და კ. სვანიძის მხარდაჭერით იმას მიაღწია, რომ ზუგდიდის მაზრა მაფალუელებისაგან გაწმენდილად უკვე 1925 წლის ნოემბერში გამოცხადდა, სინამდვილეში მათ ყველაზე თავგამოდებულ წარმომადგენლებს გრ. ახალაიას, ტ. შენგელაიას და ზოგ სხვას სეპარატისტულ და ავტონომისტური არგუმენტებით გაჯერებული საჩივრების წერა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, ი. ჟვანია კი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ მოწინააღმდეგე-მამხილებლების ნასროლი ქვა უკან არ ეტყორცნა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ უმაღლეს პარტიულ ფორუმებზე ი. ჟვანიას მიერ წამოჭრილი „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების ნებისმიერი, თუნდაც რაციონალური წინადადება მყისვე იწვევდა ვითომ პატრიოტი კომუნისტების ეჭვსა და გაუმართლებელ თავდასხმას. ი. ჟვანია, როგორც თვალსაჩინო პარტიული და სამეურნეო მუშაკი, ბობოლა კომუნისტებისაგან ყოველთვის ქებას იმსახურებდა, ამაში უთუოდ ისიც ჩანს, რომ ამით ბერიას „ფიალაში" შხამს აწვეთებდნენ. მაგრამ ი. ჟვანია „მეგრულ საკითხში" თითქოს ყოველთვის „იჭრებოდა", იმის მიუხედავად, რომ მის ზოგ შემფასებელს „მეგრული საკითხის" არსი საერთოდ არ გაეგებოდა. უეჭველად ჩანს, რომ ისე, როგორც ადრე მამფორიები და ხვიჩიები, ახლაც მათი მსგავსი პარტოკრატი პოლიტიკანები „მეგრულ საკითხზე" მსჯელობის დროს ხშირად ხელმძღვანელობდნენ არა რეალობიდან გამომდინარე მოთხოვნების კარნახით, არამედ „საქჩეკას" და „ზაკჩეკას" თავჯდომარის, შემდეგ კი აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის ბერიას ძველი „უსტანოვკებითა" და ამ ადგილობრივი ბელადის განწყობილების ამოცნობის მიხედვით. თუ ფაქტი არ ქონდათ, ეჭვებს გამოსთქვამდნენ ი. ჟვანიას ე.წ. „მაფალუელების" მხარდამჭერობაში და ბერიას ხასიათს უსწორებდნენ. აი ის ძირითადი მიზეზი, რომელიც „მეგრული საკითხის" სამართლიან მოგვარებას წლების მანძილზე ამუხრუჭებდა.

საქართველოში ეს საკითხი არც არასდროს გადაწყდებოდა, ვიდრე აქ ხელისუფლების სათავეში იყო ლ. ბერია და თუ ზემოდან სათანადო მითითება არ იქნებოდა. ზემოდან სასურველი მითითების მიღება კი ქვემოდან, „მასებიდან" სათანადო მოთხოვნის გარეშე არ მოხდებოდა. როგორც ჩანს, ამიტომ უბიძგებდნენ მასებს. მაგრამ წაბიძგებაც არის და წაბიძგებაც. როგორც იტყვიან, ჩიტი ღობეზე ასაფრენად იჯდა და ხელის აქნევას ელოდებოდაო. მეგრელ გლეხობას მისი ენობრივი და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება ჰაერივით ჭირდებოდა, ამიტომ ივი მხარს უჭერდა ი. ჟვანიას, რომელიც სარგებლობდა აგრეთვე ზუგდიდის ინტელიგენციის მხარდაჭერითაც. ამაში მდგომარეობდა ი. ჟვანიას ძალა, რომლის პირდაპირი იერიშით დანგრევა ლ. ბერიას იმიჯის შელახვას გამოიწვევდა. ამიტომ ლ. ბერია ი. ჟვანიას სხვების მეშვეობით ებრძოდა. მისი აღრინდელი, 1925 წელს და შემდგომში გამეღავნებული პოზიცია ამ ბრძოლაში დროშას წარმოადგენდა. და ამ დროშას ბერიას „ხათრით" ბევრი

მიჰყვებოდა. ბოლოს საქმის ვითარების გამომწვევი საფუძველი იჩქმალებოდა და ისე ჩანდა, თითქოს დაპირისპირებას იწვევდა ი. ჟვანიას, მისი თანამოაზრეების ავტონომისტურ-მაფალუისტური საქმიანობა. არადა, ი. ჟვანიას და თანამოაზრე–თანამებრძოლების მთავარი საზრუნავი იყო ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების, მათი შვილების და შვილიშვილების ენობრივი ბარიერის, მეურნეობრივ–კულტურული პრობლემების დროული მოგვარება. ამ საფუძველზე ხდებოდა ინტრიგისა და პროვოკაციების აღმოცენებაც. აღსანიშნავია, ი. ჟვანიას საწინააღმდეგოდ მოქმედი კიდევ ერთი ზოგადადამიანური თვისება, რომელიც ჭარბად ახასიათებთ ქართველებსაც. ეს იყო „შური“–„მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“ (სულხან-საბა). ი. ჟვანიას ორგანიზაციული ნიჭითა და თავდადებული შრომითი საქმიანობით მოპოვებული წარმატებები მოსვენებას არ აძლევდა მის მოწინააღმდეგეებს, მათ შორის ლ. ბერიას, ე. ბედიას, პ. და მ. მამფორიებს, გრ. შელიას, აკ. ქავთარიას, ბ. ბერიას და მრავალ სხვას. გრიგოლ რობაქიძე იგონებს, რომ ერთ შურიანსა და წუნია „გონებამახვილ იმერელ აზნაურს უთქვამს მეორესათვის: შენ იმდენს მიქებ „იმ“ კაცს, რომ იგი უთუოდ შემომელანძღებოდაო“ (იხ. „კავკასიონი“, 1976, №XVIII, გვ.10). ეს არის „ერთი სწორუპოვარი დეტალი ადამიანის ფსიქიკისა“, რომელიც ყველა ნიჭიერსა სდევს მუდმივ თანამგზავრად. მომდევნო თავებში ვნახავთ ამ თეზისის დამატებით პრაქტიკულ დასაბუთებასაც.

როგორც ვნახეთ, „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების იმედი მთავარ მასაზრდოებლად ი. ჟვანია გვეელინებოდა. მაგრამ მისი ძალისხმევა, მისივე თანამდებობრივი დაქვემდებარების ფარგლებს ვერ სცდებოდა. ამ ფარგალის მთავარი საზღვრის დამდები კი, ჩვენს რესპუბლიკაში იყო პირადი კარიერით მუდმივად აღზევებული ლ. ბერია. მაგრამ „მეგრული საკითხის“ სამართლიანად, რაციონალურად მოგვარების აუცილებლობის ხედვა და რწმენა პრობლემის მოგვარების იმედს სასიცოცხლო ძალას უნარჩუნებდა.

თავი XIII

„მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარების სახელმწიფოებრივი ტენდენციის აღმოცენება და პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული დაბრკოლებების ინერცია

ამ წიგნის სათანადო თავებში ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საქართველოს კომპარტიისა და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყოფი მეგრული პატრიოტიზმით დამფრთხალი კომუნისტი „მოღვაწეებიც“ კი ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ სათანადო დადგენილებებით ელიარებინათ, რომ, სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის დაგმობასთან ერთად, აუცილებელი იყო ქართულის არმცოდნე მეგრელი მწარმოებლებისათვის მეგრული ენით მიეცათ ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობები. მაგრამ ეს 1928 წლამდე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ დაკონსერვებულ დოკუმენტებად რჩებოდა. 1928 წლიდან კი თვით მოსკოვის ცენტრის ხელისუფლებიდან წამოვიდა ინიციატივა, რომელმაც „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების ტენდენცია შექმნა. ეს იყო გამოწვეული ქვეყნის მასშტაბით დასახული გრანდიოზული ამოცანებით, რომლებიც გულისხმობდა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, მისი პროდუქტიულობის მკვეთრ ამაღლებას, მთლიანად საქართველოს უნიკალური და განსაკუთრებით სამეგრელოს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების მაქსიმალურ გამოყენებას. საქართველოს წინაშე დაისახა ამოცანები საბჭოთა ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისა და საბჭოთა მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ჩაის სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. ამ თვალსაზრისით სამეგრელოს გააჩნდა იშვიათი შესაძლებლობები. მაშასადამე, დაისახა სამეგრელოს რეგიონის მაზრების სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების მასშტაბები, ისევ საბჭოთა ქვეყნის ინტერესებით. 1928 წლის იანვარში გაიმართა სრულიად საქართველოს კოლმეურნეთა I ყრილობა. მასზე დაისახა ღონისძიებანი კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით კოლექტიურ მეურნეობათა უზრუნველყოფის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მიწათმოწყობისა და აღრიცხვის მოწესრიგებისათვის.

პარტიის და ხელისუფლების ორგანოები სისტემატიურად იხილავდნენ სოფლის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაისახა ამოცანები კულტურულ-საგანმანათლებლო, უწიგნურობის ლიკვიდაციის, სოფლის სკოლების ქსელის გაფართოების, ძირეული სასოფლო კადრების მომზადებისა და კოლმეურნეთა ტექნიკური განათლების ამაღლების მიზნით. ამ დროს უკვე მოუთმენელი გახდა დოგმატური ლაყბობა სამეგრელოს ძირითადი მწარმოებელი მასის, გლეხობის, საქართველოს სხვა კუთხეების (ქართლის, კახეთისა და ა.შ.) მცხოვრებლებთან სრული იგივეობის შესახებ. იმძლავრა ჯანსაღმა აზრმა, რომელიც მხარს უჭერდა ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების ტექნიკურ და პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, მისთვის გასაგები მეგრული ენით. ამ მიმართულებით აზრის მობილიზება იწვევდა „ბიძინებული ტვინების“ გამოფხიზლებას. ამას ხელი განსაკუთრებით შეუწყო საკ.კპ(ბ) ცკ-ის კომისიამ, რომელმაც პირველად, მასშტაბურად შეისწავლა საქართველოს ცხოვრების ყველა ძირითადი მხარე, მათ შორის წარმოება, სოფლის მეურნეობა და საერთოდ ეკონომიკა. ამ კომისიას სათავეში ედგა საკავშირო კომპარტიის ცკ-ის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი პშენიცინი.

პშენიცინის კომისია საქართველოში არსებულ მდგომარეობას 1928 წლის გაზაფხულის ორი თვის დაძაბული მუშაობით იკვლევდა. შემოწმების შედეგები მოხსენდა საკ. კპ(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს, ხოლო 1928 წლის 3 სექტემბერს საკ.კპ(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიურომ კაგანოვიჩის მეთაურობით მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის მ. კახიანის მოხსენება საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ. იგი უაღრესად კრიტიკულად,

მაგრამ საერთოდ დადებითად შეფასდა. ამასთან საკ.კპ(ბ) ცკ-მა საქართველოს კომუნისტთა მთავარი ყურადღება მიაპყრო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის დარგში არსებულ მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს. საკ.კპ(ბ) ცკ-მა საკმარისად არ მიიჩნია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ურჩია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ძვირფასი ტექნიკური კულტურების გაბედულად დანერგვისათვის, რომლებიც შეესაბამებიან რესპუბლიკის მდიდარ ბუნებრივ პირობებს. კოლექტივიზაციის ტემპების დაჩქარება რეკომენდირებული იყო სასოფლო ტექნიკის უფრო ეფექტიანი გამოყენებით, ფართობების გადიდებით, საირიგაციო სამუშაოების უზრუნველყოფით. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების, ძირეული სასოფლო კადრების მომზადებას და სოფლად კულტურული მშენებლობის გაძლიერებას. საკ(ბ) ცკ მოითხოვდა კიდევ უფრო ფართოდ ჩაებათ გლეხები კულტურულ მშენებლობაში (იხ. О работе Компартии Грузии. Постановление ЦК ВКП(б) от 3 сентября 1928 г. Тиф., 1928, с. 18). ამ ამოცანის შესრულება სამეგრელოს სოფლებში აუცილებლად მოითხოვდა ქართულის არმცოდნე გლეხების მიზიდვასაც, შესაბამისად კი მათ მომზადებას.

საკ.კპ(ბ) ცკ-ის 1928 წლის 3 სექტებრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების წარმატებულად უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 25 სექტემბერს სპეციალურ პლენუმზე განიხილა საკ.კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება, პშენიცინის კომისიის ანგარიში და საკ.კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის გათვალისწინებული რეკომენდაციები. შემდეგ დადგენილება განიხილეს საოლქო, საქალაქო და სამაზრო პარტიული აქტივებისა და პარტიული უჯრედების კრებებზე.

მაშასადამე, პშენიცინის აზრი იყო საკ.კპ(ბ) ცკ-ის აზრი, ხოლო საკ.კპ(ბ) ცკ-ის აზრი იყო სტალინის აზრი. ეს განმარტება იმისთვის დაგვჭირდა, რომ ზოგი პუბლიცისტი პშენიცინის მიერ პლენუმზე დაყენებულ საკითხებს განიხილავს როგორც ამ ველიკოროსი შოვინისტის კაპრიზებს, რაც არ არის სწორი. პშენიცინს პრინციპულ საკითხებზე არ შეეძლო სუბიექტური მოსაზრებების განვითარება. ამას ჩინებულად ჭვრეტენ პლენუმის მონაწილეები, რასაც მოწმობს სათანადო სტენოგრაფიული ანგარიში. აქ მთავარია არა მარტო ის, რომ „მეგრული საკითხის" და მათ შორის მეგრული ენის გამოყენების საკითხის მოგვარებას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ცენტრი, არამედ ისიც რომ მისი ყურადღება არის სწორი, თუმცა უსამართლოდ გაჭიანურებული და მთელი შვიდი წლით დაგვიანებული.

პშენიცინმა პლენუმს განუცხადა: „В целях ознакомления с тем в какой мере втягиваются в советское, хозяйственное и культурное строительство мингрельий, я специально выезжал в Зугдиди".

ეჭვი არ არის, რომ პშენიცინს ასეთი დავალება წინასწარ ჰქონდა მიცემული. აქვე უნდა გავითვალიწინოთ ისიც, რომ პშენიცინის მოხსენებაში და საკ.პ.(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს წინაშე მ. კახიანის მოხსენებაში მთავარი ყურადღება დათმობილი ჰქონდა მენშევიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაძლევას და საქართველოს მოსახლეობის სოციალისტურ აღმშენებლობაში მეტი ეფექტიანობით ჩაბმას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკ.კპ. (ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას მოჰყვა საქართველოში ბურჟუაზიული შეხედულებების გავლენის მქონე, ქართული პატრიოტული ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლის გაცხოველება.

მაშასადამე, პშენიცინის მიერ პლენუმზე განვითარებული აზრი სამეგრელოს, და კერძოდ ზუგდიდის მიმართ, უნდა განვიხილოთ, როგორც საკავშირო ცკ-ის პოლიტიკიდან გამომდინარე დირექტივა. პშენიცინმა კი პლენუმზე ბრძანა: „Затем стоит вопрос о том, как лучше обеспечить дальнейшее вовлечение осо-

бенно в культурное строительство Мингрельцев, для которых Грузинский язык не целиком понятен – для основной массы крестьянства.

...Необходимо обеспечить крестьянина мингрельца школой, судом и популярной брошурой на радном понятном наречии". როგორც მოსალოდნელი იყო, პშენიცინის ამ განცხადებამ დამსწრეთა გაკვირვება გამოიწვია. ვილაცამ გაუბედა და რეპლიკა-შეკითხვა შეაგება: На мингрельском? აქ გასაკვირი ის იყო, რომ საქართველოს პარტოკრატები მიეჩვივნენ სამეგრელოს პრობლემებზე ხანგრძლივ, 1922 წლიდან წამოწყებულ თეორიულ ლაყბობასა და შესაბამისად ისეთი საჭირო დადგენილებების მიღებას, რომელიც ცხოვრებაში ყოველმხრივ გაუმართლებელი მიზეზებით არ ტარდებოდა და მხოლოდ ფიქციად რჩებოდა. პშენიცინმა კი დაბეჯითებით და მოკლედ უპასუხა „Да". ამ კატეგორიულ განცხადებას უკვე არავისგან არ მოპყოლია შედაეება (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 5, ფურც. 2,31). როგორც ჩანს, ყველა დამსწრე მიხვდა, ვისი ნებით ბედავდა იგი ქართველი კომუნისტების წინაშე ამ ადრე დამუხრუჭებულ, მათთვის მოულოდნელ საკითხებზე ესოდენ გაბედული „განკარგულებების" გაცემას. აღნიშნული საკითხები, ამ დროს არც იმ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს გაუკრიტიკებიათ, რომლებიც მეგრული წარმოშობისანი იყვნენ და 30-იან წლებში, ახალი კონიუნქტურული სიტუაციის აღმოცენების შემდეგ, ამ საკითხებზე თავიანთ საწინააღმდეგო აზრს აცხადებდნენ.

მაშასადამე, სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ჩანს, რომ პშენიცინის აზრი ამის შემდეგ არავის გაუპროტესტებია. ამის მიზეზი, ცხადია ის იყო, რომ ყველამ იცოდა, პშენიცინი საკ.კპ(ბ) ცკ-ის სადირექტივო მოსაზრებებს გამოსთქვამდა და არა საკუთარს. მაშასადამე, საკავშირო ცკ-ს მიაჩნდა, რომ სამეგრელოს რეგიონში სამეურნეო-კულტურული მშენებლობის, „ბურჟუაზიულ-მენშევიკური გავლენის დაძლევისა" და სოციალიზმის მშენებლობის მორიგი ამოცანები უსათუოდ მოითხოვდა ქართულის არმცოდნე გლეხური მასების საწარმოო-„კულტურულ მშენებლობაში (ანუ სოციალისტურ აღმშენებლობაში – ავტ.) შემდგომი ჩაბმის" ეფექტიანობის მიზნით, მეგრელი გლეხის უზრუნველყოფას მეგრულ ენაზე „სკოლით, სასამართლოთი და პოპულიარული ბროშურით". ამასთან დაკავშირებით მთავარი და უცილო მაინც ის არის, რომ ეს მოთხოვნები ნაკარნახევი იყო იმდროინდელი რეალობით და ამასთანავე არავითარ პრობლემას არ უქმნიდა ქართულ კულტურას, ლიტერატურას, ტერიტორიულ მთლიანობასა და საერთოდ ეროვნულ ინტერესებს.

პშენიცინის ამ ვიზიტის შემდეგ 1929 წელს სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის გამო პარტიიდან გარიცხული გლეხები პარტიაში აღადგინეს. აქ მკაფიოდ ჩანს, რომ საკავშირო ცკ-მა, სეპარატისტული ხასიათისა და სამეგრელოს ავტონომიის გარდა, თითქმის ყველა ადრინდელი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამით კვლავ უბიძგა „მეგრული საკითხის" გააქტიურებას. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა იმ ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რომლებსაც, ერთი მხრივ, მეგრელი ავტონომისტები და, მეორე მხრივ, სამეგრელოს ერთიანი კულტურულ-ადმინისტრაციული ოლქის მთხოვნელები ჯერ კიდევ 1922 წლიდან აყენებდნენ, და რომლებიც მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ 1925 წლის 24 აგვისტოს წამოჭრა ზუგდიდის, ანუ ი. ჟვანიას სამაზრო კომიტეტმა, ხოლო ამის შემდეგ 1925 წლის 3 სექტემბერს დაადგინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პრეზიდიუმმა. უფრო მეტიც, ახლა, როცა პარტიის საკავშირო ცეკამ დღის წესრიგში დააყენა ქართული წერა-კითხვის არმცოდნე მეგრელი გლეხების სოციალისტურ აღმშენებლობაში მეგრული ენის გამოყენებით ჩაბმის და, მათ შორის, „სკოლით უზრუნველყოფის" ამოცანა, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ამ საკითხის შესასწავლად გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა სამეგრელოს ის რაიონები, „სადაც მშრომელი გლეხობის დიდ უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა".

ამის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ „Политика делается... в Москве...“ და, სამეგრელოს ქართულის არმცოდნე სოფლების სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების ინიციატორად ი. ჟვანია კი არ გვევლინება, როგორც ზოგი „ამტკიცებს“ და ასაღებს, არამედ საკავშირო კომპარტიის საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც კაგანოვიჩის თავჯდომარეობით განიხილა საქართველოს საკითხი. მაშასადამე, რაც ამ დროს საქართველოს, და კერძოდ სამეგრელოს, კუთხით ხორციელდება, ი. სტალინის მიერ არის სანქცირებული. როგორც ადრე აღვნიშნეთ, მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემის და დაწესებულებებში მეგრულად ურთიერთობის საკითხის მოგვარება ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის სექტემბრის პლენუმის, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის იმ „მკვდრადშობილი“ დადგენილებით იყო გათვალისწინებული, რომლის ამოქმედებასაც იხვეწებოდნენ ზუგდიდისა და სამურზაყანოს გლეხები. მაგრამ ავტონომისტებსა და შემდგომში კი სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ოლქის მოსურნეების გარდა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების საკითხი არავის დაუყენებია. არ იძებნება დოკუმენტი, რომელშიც თუნდაც მინიშნებული იყოს, რომ აქამდე ი. ჟვანიას და პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების საკითხი დაეყენებინოს. მაგრამ ზემოდან მითითების შემდეგ ამ მიმართულებითაც ამუშავდა ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი. 1928 წლის 16 ნოემბერს პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა მიიღო დადგენილება (ოქმი №4), რომელიც სპეციალური კომისიისათვის გადაეგზავნა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას. შემდეგ ეს დადგენილება დაადასტურა ზუგდიდის რაიონის მეათე პარტიულმა კონფერენციამ. ამ დადგენილების მუხლები პრინციპში იმეორებენ „მეგრული საკითხის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილების მუხლებს და აკონკრეტებენ მას. მაგრამ, ამასთან, ჩანს სიახლეც. მე-4 მუხლში ნათქვამია: „რაკი სასკოლო ასაკის მეგრელმა ბავშვებმა მთელი 100 პროცენტით არ იციან ქართული ენა, პედაგოგიური ხედვით მიზანშეწონილია 4 წლიან სკოლებში <u>პირველ და მეორე</u> (! — ავტ.) ჯგუფში სწავლა მიდიოდეს მეგრული ენით“. კონფერენციამ თხოვნით მიმართა საქართველოს პარტიის ცეკას, შეუცვლელად დაამტკიცოს აღნიშნული მუხლები, „რაც ნიშნავს კულტურული რევოლუციის ფრონტზე ჩვენი ორგანიზაციის გამარჯვებას, კომპარტიის მტრების სურვილის წინააღმდეგ“ (იხ. „ამონაწერი საკ.კპ(ბ) ზუგდიდის მაზრის მე-10 პარტკონფერენციის რეზოლუციიდან 1928 წ.“ — ზუგდიდის რაიონის აღმასკომის გამოცემა. „ბიულეტენი“, 1932, №1, ენკენია, გვ. 6). როგორც ვხედავთ, ზუგდიდელი კომუნისტების მოთხოვნა დგება პარტიული სუბორდინაციის და პარტიის წესებით გათვალისწინებული „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ წესის სრული დაცვით. აქ მეგრული სეპარატიზმის დანახვა შეუძლებელია. რაც შეეხება პირველ და მეორე კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღების რეკომენდაციას, იმდროინდელი რეალობის გათვალიწინებით ამის 100-პროცენტიანი მოთხოვნა არ არსებობდა, მაგრამ ეს იყო პრინციპულად მეცნიერულად და დიდაქტიკურად სწორი წინადადება, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი საჭიროებდა კორექტირებას, რათა არ დარღვეულიყო საქართველოს სკოლებში სწავლების ერთიანი პრინციპი. მეგრულად სწავლება შეიძლებოდა ქართულად სწავლების პარალელურად, ან სასოფლო მოსამზადებელი კლასების სახით. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცკამ არ დაუშვა მეგრულად სწავლება პირველ და მეორე კლასებშიც კი. ეს არ იყო გამართლებული, მაგრამ ამის გაგება ახლა ზოგისთვის შეუძლებელია.

პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანებისა და ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენ-

ტრალური კომიტეტის სამდივნომ 1929 წლის 26 მარტს მიიღო დადგენილება (ოქმი №61), რომელშიც ნათქვამია:

„1. აუცილებლად ჩაითვალოს სამეგრელოს იმ ადგილებში, სადაც უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა, საქმის წარმოება რაიონებში, სათემო და სასოფლო აღმასკომებში და საბჭოებში შემოღებულ იქნას მეგრულ ენაზე.

2. სკოლებში შენარჩუნდეს ქართულ ენაზე სწავლება, მეგრული გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე, საგნების ამხსნელი ენა.

3. სასამართლოში საქმის წარმოება, სასამართლო საუბარი, განაჩენი და ა.შ. აწარმოონ მეგრული ენით.

4. აუცილებლად ჩაითვალოს გაზეთების, ბროშურების და სააგიტაციო-განმარტებითი ხასიათის ფურცლების გამოცემა, მათში მყარი კომუნისტური ხაზის და მაზრკომის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით.

5. მეგრელ მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით, აუცილებლად იქნას ცნობილი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გატარდეს მეგრულ ენაზე“.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის უზრუნველყოფა შესაბამისი, მაშასადამე, მეგრული სახელმძღვანელოებით, ანუ ლიტერატურით (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 74/2). საქართველოს კომპარტიის ცკ-მა, როგორც ვხედავთ, სამნახევარი წლის შემდეგ კვლავ დაადასტურა მის მიერვე მიღებული (3. IX. 1925 წ.) დადგენილება. მაგრამ მან არ გაითვალისწინა დაწყებითი სკოლების პირველ და მეორე კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების ის რეკომენდაციები, რომლებიც ადრე (24.VIII.1925) მოითხოვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დადგენილებამ, 1928 წელს კი გაახმოვანა სკპ (ბ) ცკ-ის წარმომადგენელმა პშენიცინმა და აგრეთვე აისახა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დადგენილებაში, სამაზრო-პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში, საქართველოს ცაკის თავმჯდომარის მ. ცხაკაიასადმი წარდგინებასა და საქართველოს კომპარტიის ცკ-სადმი თხოვნაში (მუხლი 4). საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მხრივ ეს იყო უსამართლო და ადგილობრივი მოთხოვნილების უხეში უგულვებელყოფა. საქართველოს კომპარტიის ცკ-სა და სხვა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში იჯდა არაერთი ბობოლა მეგრელი ჩინოვნიკი, რომელიც 1923 წელს ზუგდიდის მე-3 პარტიულ კონფერენციაზე აცხადებდა: „ახლო არის ის დრო, როცა წითელი დროშა აფრიალდება მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ჩვენ ამას ხელს შეუწყობთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის, საბოლოო გამარჯვებამდე“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 84, ფურც. 3/2) და რომლებმაც ახლა განსაკუთრებული პატრიოტიზმის დემონსტრირებით გაილაშქრეს სამეგრელოს მიმართ გათვალისწინებული და აუცილებელი რეფორმების წინააღმდეგ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხის ბავშვებისათვის ენობრივი ბარიერის გადალახვა სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენდა, რომ ამის გამო ბევრი ოთხწლედსაც კი ვერ ამთავრებდა.

მაშასადამე, ქართული ენის არმცოდნე გლეხის შვილი, ინტელიგენტისა და მღვდლის შვილისაგან განსხვავებით, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა. მაგრამ ეს თეორიული ლაფსუსი, როგორც ჩანს, პარტიას და სოციალისტურ სახელმწიფოს ახლა უკვე სერიოზულ პრობლემას არ უქმნიდა, რადგან იგი მეურნეობისათვის საჭირო ქართული ენის მცოდნე მუშახელის საქმეს „მოსკოვის ცენტრის“ ნების თანახმად და მეგრულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით აგვარებდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ისთვის აღნიშნული დათმობებიც ნაძალადევი იყო. ამის შემდეგ მან უარესი გზაც აირჩია. საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1929 წის 3 მაისს მიიღო დადგენილება (№64), რომელშიც ჩამოყალიბა მოთხოვნა: „გაუქმდეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს 26 მარტის №61 დადგენილების

პუნქტი 4, „მეგრულ ენაზე“ გაზეთის გამოცემის შესახებ, როგორც მცდარი გადაწყვეტილება“. (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 74/2). ჩვენთვის გაუგებარია საქართველოს კომპარტიის ასეთი მოქმედება მას შემდეგ, რაც ზემდგომმა ინსტანციამ მეგრული გაზეთის საჭიროება აუცილებლად ჩათვალა და, როცა სამეგრელოს ქართულის არმცოდნე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებამ მოწონება-მხარდაჭერა პპოვა ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობასა და აქტივში, აგრეთვე ქართულის არმცოდნე გლეხობაში. საარქივო წყაროებში ამის ახსნას ჩვენ ვერ მივაგენით. სავარაუდოდ საფიქრებელია, რომ აკ. ფედერაციისა და საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელობაში, სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს წევრებს შორის და ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში, წერა-კითხვის არმცოდნე გლეხებისათვის გათვალისწინებული დათმობები განიხილებოდა, როგორც ი. ჟვანიას და სხვათა საეჭვო ახირების შედეგი. ისიც ჩანს, რომ გარკვეული ხელმძღვანელი ძალები ანგარიშს არ უწევდნენ გლეხობის ამ ნაწილის რეალურ მდგომარეობა-განწყობილებას. გაცხადებული აზრით, ისე მოჩანს, რომ მსგავსი დათმობები საქართველოს უზენაესი პარტიული ელიტის აზრით ეწინააღმდეგებოდა საერთო ეროვნულ ინტერესებს. სინამდვილეში კი ისინი გამოხატავდნენ პრობლემის მიმართ ბოლშევიკურ-პარტოკრატიულ უტილიტარულ დამოკიდებულებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ვალდებულებების შესრულების ღონისძიებათა შემუშავების დროს, 1929 წლის აპრილში, „მეგრული საკითხის“ მოგვარებასთან დაკავშირებით, აღმოცენდა კიდეე ერთი „თავსატეხი“. 1923 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ დაყენებული სამეგრელოს ერთიანი ზუგდიდი-სენაკი-ფოთის ოლქის შექმნის და 1925 წელს ზუგდიდის პარტიის სამაზრკომის (ი. ჟვანია) მხრივ სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირების რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემდეგ, 1929 წლის აპრილში სრულიად საქართველოს საბჭოების V ყრილობამ მოისმინა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯომარის გ. მგალობლიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ დარაიონების შესახებ. იგი გულისხმობდა პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულების მიზნით საქართველოში ახალ ადმინისტრაციულ მოწყობას საოლქო მმართველობაზე გადასვლით. გ. მგალობლიშვილმა მოხსენებში ეკონომიკური გარდაქმნების ტენდენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე დააყენა საქართველოს ისეთ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა, რომელიც ხელს უკეთ შეუწყობდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებას. იგი ამ მიზნით, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში შემოღებული სისტემის მსგავსად, მიზანშეწონილად მიიჩნევდა სამსაფეხურიან (სოფელი, რაიონი, ოლქი) ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაზე გადასვლას. „ოლქებიც უკვე რამდენიმე გვაქვს, — აღინიშნა მოხსენებაში, — აი, მაგალითად, კახეთის ოლქი, რომელიც შარშან შევქმენით. ის შესდგა ორი მაზრისაგან — სიღნაღის და თელავისა. აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმი, რომელიც შარშან შევქმენით“. მაშასადამე, ის რაც კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმისთვის მისაღებად მიაჩნდათ, მიუღებელი ეგონათ სამეგრელოსათვის.

გ. მგალობლიშვილის აზრით, საქართველო შეიძლება დაყოფილ იქნეს 9 ადმინისტრაციულ ერთეულად. აქედან 6 ოლქი, 3 ავტონომიური რესპუბლიკა. ოლქების სახით მან ჩამოთვალა: "კახეთის, თბილისის, გორის, ახალციხის, ქუთაისის და ფოთის“ ოლქები. იგი აცხადებს, რომ „ჩვენ გვაქვს აგრეთვე დაახლოებით შედგენილი პროექტი რაიონებისა“. მან ჩამოაყალიბა წინასწარი აზრი თბილისის, გორის, ახალციხის, ქუთაისის და სხვა ოლქების სტრუქტურის შესახებ. გამოთქვა მიზანდასახულობა, რომ ცაკ-ის სპეციალური კომისია „უხელმძღვანელებს დარაიონების ჩატარებას საქართველოში“, რომ პროექტი საბიუჯეტო უფლებების შესახებ ითვალიწინებს იმას, რომ „საოლქო საბჭოებს უფრო მეტი უფლებები უნდა მიეცეს, ადმინისტრაციული, ფინანსური

და საბიუჯეტო, ვიდრე ქონდათ მაზრებს". გ. მგალობლიშვილმა აზრი გამოთქვა მომავალი რეფორმის პერსპექტივის შესახებ: „ეს დარაიონება გამოიწვევს მასებთან დაახლოებას" და „ხელმძღვანელობის სრულყოფას".

მომხსენებელმა განმარტა, რომ წინასწარი მიზანდასახულობით „ფოთის ოლქი, რომელიც ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულია ამ პროექტით", შეიქმნება „სამი მაზრისაგან: სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთისა" მაგრამ მან, ამასთანავე, შესაძლებლად მიიჩნია, რომ „ამ ახალი პროექტიდან ყველაზე მეტი ცვლილებები შეიძლება მოხდეს ფოთის ოლქში". ყრილობაზე ადგილიდან გაისმა ხმა: „მართალია! უნდა მოხდეს".

გ. მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი არ იყო ზემო სვანეთის საკითხი და დასძინა: „ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ადგილობრივი ამხანაგების შეთანხმებით. თუ ეხერხებათ, დაე, ზემო სვანეთი ქუთაისის ოლქში შევიდეს. თუ არა და ფოთის ოლქში".

გ. მგალობლიშვილის მოხსენების გამო 13 აპრილს მიიღეს დადგენილება, რომლის მე-4 მუხლი მოითხოვს: „საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა დარაიონება მთელს რესპუბლიკაში გატარდეს იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის". სხვა პუნქტები ითვალისწინებდნენ „დარაიონების პროექტის" საბოლოო შემუშავება-მიღებასა და სათანადო აქტების და დებულებების გამოცემას. VI მუხლით სათანადო ორგანოს ევალებოდა „სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები 1929-30 წლისათვის შეადგინონ ახალი დარაიონების მიხედვით" (იხ. საქართველოს საბჭოების V ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ. 1929, გვ. 255-260, 261).

მაშასადამე, საქართველოში ახალი დარაიონებისა და საოლქო ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების დონეზე აღმოცენდა, შემუშავდა და გადაწყდა. აქ ყურადღებას იპყრობს ცალკეული ოლქების მოწყობის საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებები. სვანეთის წარმომადგენელმა კერსავიძემ ითხოვა ზემო სვანეთი არ ჩამოეშორებინათ თბილისისათვის. მოტივი ასეთი იყო: „თუ მიგვაკუთნებენ ფოთს — ზუგდიდამდე უნდა ვიარით 150 ვერსი გზა. ეს 5 დღე უნდა ვიაროთ ფეხით, ამის შემდეგ კიდევ ფოთი. ეს ისეთი ადგილი არის, რომ მთის კაცი აქ ვერ ძლებს. ზაფხულში 2-3 დღე რომ დარჩეს, ციებით მოკვდება... ქუთაისის გზაზე შეიძლება 3-4 თვეს სიარული და ისიც ზაფხულში". ყოფილმა მოჯამაგირემ, ინჯიამ მთავრობას მოსთხოვა, რომ ზუგდიდის მაზრა არ შესულიყო ფოთში. ამის მიზეზად მან დაასახელა უგზოობა, ტრანსპორტით მიუდგომლობა. ჩიჩუას აზრით, ფოთში ცენტრი მიზანშეუწონელია, რადგან დაავადებულია მალარიით და 90 პროცენტით — ტუბერკულიოზით, ჩვენი მუშები მწყობრიდან გამოვლენო 5-6 წელში, როცა ფოთი გაჯანსაღდება, მაშინ სხვა საქმეაო. მან წინადადება შეიტანა: „ცენტრი იყოს იქ, სადაც ჯობია". ამასთან დაკავშირებით სტენოგრამაში დაფიქსირებულია ტაში (იხ. იქვე, გვ. 294).

სხვადასხვა კითხვასთან დაკავშირებით გ. მგალობლიშვილმა განმარტა, რომ: „დარაიონება უნდა დაიწყოს იმ დღიდან, რა დღესაც მას მიიღებს ყრილობა", ე.ი. 13 აპრილიდან; „უნდა შეიქმნას რესპუბლიკური კომისია, რომელსაც დაევალება უხელმძღვანელოს რაიონებს ადგილზე"; „საზღვრები უნდა დასრულდეს არა უგვიანეს პირველი ივლისისა, ვინაიდან პირველ ივლისს ჩვენ უნდა შევადგინოთ ადგილობრივი ბიუჯეტი"; „დარაიონებას უნდა დაედოს ეკონომიკური პრინციპი, რომელიმე დარგის განვითარების მხრივ... და არა ადმინისტრაციული". საოლქო ცენტრთან დაკავშირებით". მან ფოთის ცენტრად მიუღებლობას ასეთი პასუხი გასცა: „ზუგდიდი ძალიან დაშორებულია ოზურგეთიდან, სენაკიდან... საერთოდ მოწყვეტილია მაგისტრალურ ხაზს. სენაკი მოწყვეტილია ოზურგეთსაც და ზუგდიდსაც. გამოსარკვევია სად იქნება ცენტრი უფრო მოსახერხებელი ზუგდიდის მოსახლეობისათვის? ამის შესახებ მე გადაწყვეტით არ მითქვამს. ამ მხრივ სა-

კითხი ადგილობრივ უნდა გამორკვეს... რაც შეეხება თვითონ პრინციპს სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლისას, ამის წინააღმდეგ აქ არავინ გამოსულა".

გ. მგალობლიშვილმა ამასთან, განმარტა, რომ „რეფორმა იწვევს ხარჯების ზრდას", მაგრამ დადებითი სჭარბობს: „სახელმწიფო აპარატი უახლოვდება მოსახლეობას სასოფლო საბჭოს სახით", „სოფლის მეურნეობას ეძლევა გეგმიანი ხასიათი", ხდება „სასოფლო სამეურნეო კულტურების სპეციალიზაცია", „შესაძლებელი ხდება სახსრების ეფექტური გამოყენება" (იხ. იქვე, გვ. 296, 299).

როგორც ვხედავთ, ახლებურმა დარაიონებამ ამთავითვე სერიოზული სიძნელეების მოსალოდნელობა და მრავალი საფიქრალიც შეჰქმნა. ეს სირთულეები დამატებით გამოიხატა საქართველოს კომპარტიის პლენუმზე, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ახალი დარაიონების საკითხზეც იმსჯელა. მაშასადამე, ის რაც ზუგდიდის მაზრაში წამოიწყეს 1922 წელს და თავადვე ჩაკლეს, ახლა 1929 წლის დასაწყისში საკავშირო ხელისუფლების ინიციატივით განაახლეს. ამიტომ ისე მოხდა, რომ ამ საკითხის ადგილზე გეგმიურმა, მათ შორის ზუგდიდში განხილვამ კიდევ უფრო მრავალი მოსაზრება წარმოშვა. ამის დადასტურებას წარმოადგენდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის X მოწვევის II პლენუმი (31. III 1929 წ.).

ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის II პლენუმმა საქართველოს საბჭოების V ყრილობის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმის დადგენილებების განხორციელების მიზნით იმსჯელა ახალი დარაიონების შესახებ. პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრის ცნობილი წარმომადგენლები ეპიფანე კვანტალიანი, კოლია სვანიძე და ვასო (ქურდაძე — ავტ.). მოხსენებით გამოვიდა ი. ჟვანია. მან დამსწრეებს განუმარტა, რომ ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით საკითხი ცკ-ის პლენუმზე იდგა IV საკითხად, „ჩვენ გამოვთქვით აზრი სად უნდა ჩამოყალიბდეს საოლქო ცენტრი" (იგი აქ უთუოდ ზუგდიდის სასარგებლოდ გამოვიდოდა). მისი მონათხრობის მიხედვით: გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ უნდა გაერთიანებულიყო ოთხი მაზრა: სვანეთი, ზუგდიდი, სენაკი და ოზურგეთი, მაზრის ცენტრი ფოთი. ამან ჩვენში გამოიწვია მითქმა-მოთქმა. ჩვენ ვთქვით, რომ ეს გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას იმიტომ კი არა, რომ ეს საკითხი ახალი იყოს, ამაზე ლაპარაკი იყო ერთ წელიწადზე მეტია, 6 თვის წინ. „როგორც ჩვენ ამბ. ფილიპეს მოხსენებიდან გაიგეთ ფოთთან სამი - ოთხი მაზრის გაერთიანება ყოვლად შეუძლებელი არის..." ფოთის ცენტრობა სასარგებლოდ არ მიიჩნეოდა ეკონომიკური, სატრანსპორტო, ტერიტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით. „ამასწინათ რომ ვიყავით თბილისში, — განაცხადა ი. ჟვანიამ, — მითხრეს ოზურგეთის შემოერთების შესახებ მოხსნილი არისო. ეხლა კი ამხანაგები გამდიან და ამტკიცებენ ფოთს უნდა შეუერთდეთო. ეხლა საკითხი დგას სამეგრელო სვანეთის გართიანებაზე და მათი ოლქის შექმნაზე. ზუგდიდი სვანეთის ცენტრი იყო და ასეც უნდა დარჩეს". ი. ჟვანია ამტკიცებს, რომ უპირატესობა აქვს ზუგდიდს და არა ფოთს და სენაკს, რადგან ზუგდიდი თანდათან ხდება მრეწველობის ცენტრად, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის გეოგრაფიულ-ეკონომიური ცენტრია, აქვს სასურველი კლიმატური პირობები, ეს შარა გზებით და ტრანსპორტით არის მთავარი კვანძი. ტერიტორიულად ზუგდიდის მაზრა შეადგენს 2500 კვადრატულ კილომეტრს, სენაკი — 1900, მოსახლეობა ზუგდიდის მაზრაში აღწევას 135 ათასს, სენაკში — 128 ათასს, ეხლანდელი ვითარებით კი 115 ათასს. სახკომსაბჭოს მდივანმა მომაწოდა ცნობა, რომ ერთ წელიწადში მიღებული ყავს 30 ათასი კაცი. რამდენი კაცი მოისურვებს საოლქო კომიტეტის მდივნის ნახვას? — სვამს კითხვას ი. ჟვანია და ცდილობს გაამართლოს საოლქო ცენტრად ზუგდიდის გეოგრაფიული მდებარეობის მიზანშეწონილება. ამასთანავე მან დასძინა: „ცეკამ მოგვცა უფლება, რომ მეგრულ ენაზე მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია". მეგრელი გლეხების 30 პროცენტს ყავს ცხენი, ზოგი ფეხით

მოდის და უამბობს თავის ჭირვარამს მაზრას. რომ უთხრა რკინიგზით წადიო მას არ უნდა იმ გროშების გადახდა, გაუჭირდება.

ი. ჟვანია შეეცადა ეკონომიკური არგუმენტების წამოწევასაც: საკოლმეურნეო მშენებლობა მოითხოვს ერთიან ცენტრს, ეკონომიკური ბრუნვა ზუგდიდში 2,8 მილიონი მანეთია, სენაკის 2,6. ზუგდიდის ბიუჯეტია 1,5 მილიონი, სენაკის — 1,09; გვაქვს თხილი, დაფნა, აბრეშუმი — ამ მხრივ კავშირში კონკურენტი არა გვყავს.

სვანი გლეხი არ უნდა დავჩაგროთ, ის ვირით, ჯორით დატვირთული მოდის და ყიდის თავის ნაწარმს ზუგდიდში. „რომ უთხრა მათ თქვენ ეხლა უნდა წახვიდეთ ფოთშიო ეს პოლიტიკურ ენაზე ნიშნავს, რომ ხელისუფლება მასთან არ არის", საოლქო ცენტრი უნდა დაუახლოვდეს მას. ფოთს ერთადერთი გამოსავალი რკინიგზა აქვს, როგორ უნდა უხელმძღვანელოს. მატარებელს უცადოს გლეხმა, საკითხს რომ მოაგვარებს?

ი. ჟვანიამ ასეთი დასკვნით დაამთავრა თავისი სიტყვა: „ყველა ის ციფრები, რომელიც მე თქვენ მოგაწოდეთ, ეს მაქვს ცენტრალური ორგანოებიდან მიღებული და ამიტომ ჩვენ სამართლიანად ვხედავთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და მის მიერ გამოგზავნილმა კომისიამ დაგვიდასტუროს, შეიქმნას სვანეთ-სამეგრელოს ოლქი და დადასტურებული იქნას ქ. ზუგდიდი ცენტრად" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 718, ფურც. 1-9). ი. ჟვანიას სიტყვას დამსწრეებმა ტაშით უპასუხეს.

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა სოფ. ჯვარის მკვიდრმა ვასილ მანიამ საყვედური გამოსთქვა ჟვანიას და აღმასკომის თავმჯდომარის გაბუნიას მიმართ: კარგად ვერ გვიცავენ, აუცილებლად ზუგდიდი უნდა იყოს ცენტრიო. მან გაიმეორა ისაკის მიერ ნათქვამი ზოგი არგუმენტი და დასძინა "სვანებიც ასე აყენებენ საკითხს... როგორც პარახოდი უსათუოდ პორტს უნდა მოადგეს, ისე ვირზე თუ ცხენზე შემჯდარი სვანი უსათუოდ ზუგდიდს უნდა მოადგეს. მე, როგორც ჯვარის 1500-იანი თემის თავჯდომარე გთხოვთ, რომ ცენტრი ზუგდიდი უნდა იქნეს, უფეხსაცმელო გლეხობა გთხოვთ, რომ ზუგდიდში დარჩეს ცენტრიო". ამ ნათქვამმაც ტაში გამოიწვია (იხ. იქვე, ფურც. 11). ალასანიამ ზუგდიდის სასარგებლო არგუმენტად ის მოიყვანა, რომ სვანეთის ხე-ტყის ქარხანაში 200 კაცი მუშაობსო. ჩიქავამ: „დღეს თუ ხვალ ფოთი ზღვაში ჩაიძირება... ზუგდიდი საბურზაყანოს გლეხობასთან ერთად მოითხოვს, რომ ცენტრი ზუგდიდში იყოსო" — კვლავ ტაში (იქვე, გვ.15). წალენჯიხელმა ზარქუამ განაცხადა: „უჯრედის ღია კრებაზე გლეხებმა სთქვეს ჩვენ ფოთში არ წავალთ. სენაკის ნაწილი ჩვენ შემოგვიერთდეს, ნაწილი სამტრედიის რაიონსო. ხორგელმა ბერაიამ: ზუგდიდამდე 20 ვერსია, ფოთამდე — 40. სამოციც რომ იყოს ზუგდიდიდან მაინც შეჩვეულ გლეხს „მეგრული თავმოყვარეობა ფოთში არ წაიყვანსო" — ეს იმას ნიშნავდა, რომ ფოთი მაინც შეუჩვეველ და უცხო, მოსარიდებელ ქალაქად მიიჩნია. ჩხოროწყუელმა კაჭარავამ აღნიშნა: მუზეუმის წაღებაზე აურზაურია, დადიანის ნასახლარი მიწა დაარიგეს 8 წლის წინ, მაგრამ გლეხები არ სახლდებიანო (იქვე, ფურც. 11-13, 15-16, 18-20). როგორც ჩანს, გლეხობა დადიანების მიმართ პატივისცემას ინარჩუნებდა.

ე. კვანტალიანმა განმარტა, „თქვენი აზრი გასაგებია, სასურველია შეწყდეს კამათიო". კამათი შეწყვეტილად ჩათვალეს, მაგრამ ბოლო სიტყვა მისცეს მუხურელ რაჟდენ გახარიას. მან ცენტრად ზუგდიდის აუცილებლობა იმ არგუმენტით ახსნა, რომ ნაფიჩხაოდან ცხენით ზუგდიდამდე ერთ დღეს ვუნდებით, ჩავალთ სენაკში და მერე კიდევ სამი დღე უნდა ფოთში ჩასვლასო. „მეგრელ ქალამნიან გლეხს ფოთში მასხარად აიგდებენ, თანაც ჩასვლას 4 დღე უნდაო". ამის შემდეგ ი. ჟვანიამ თბილისის წარმომადგენლებს მიმართა: „„ამხანაგო ვასო, ეპიფანე და კოლია! ხვალ უნდა გავხსნათ საბჭოთა ყრილობა და საჭირო ხდება გლეხებს განუმარტოთ როგორ წყდება ეს საკითხი, მათ ჩვენ პასუხი უნდა გავცეთო" (იქვე, ფურც. 20-22, 23-24). ეს ამბები, 1934-1935 წლებში, როცა

მიზეზთა გამო, ი. ჟვანიას და ზუგდიდის მისი მხარდამჭერი აქტივის საქმიანობა საქართველოს ცენტრის (საქ. კპ. IX ყრილობის) და სახ. უშიშროების ორგანოების მსჯელობის საგანი გახდა, ყირამალა ამოატრიალეს და ყალბად ისე გააშუქეს, თითქოს ი. ჟვანია ავტონომიას მოითხოვდა. ამიტომ საჭიროა მკითხველმა მას დაუთმოს მეტი ყურადღება.

თემსაბჭოს წევრთა და თემკომის უჯრედის მდივნების დასწრებით ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა საქართველოს ცენტრის წარმომადგენელის აქტიური მონაწილეობით მოისმინა საკითხები: „შიდაპარტიული მდგომარეობის" (სვანიძე), „საქართველოს კომპარტიის პლენუმის შედეგების", „დარაიონების" და „სამაზრკომის სამუშაო გეგმის შესახებ". აგრეთვე განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმზე იმსჯელეს მეგრული ენის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით ი. ჟვანიამ განაცხადა: ცეკას პლენუმის შემდეგ გამომიძახა ღოღობერიძემ და მითხრა: „ისაკ შენ, როცა მეგრულ ენაზე ლაპარაკობ, წონასწორობას კარგავო..." წონასწორობის დაკარგვა არცერთ საკითხში არ ვარგა, არც მეგრულში და არც ფრანგულში. მე წონასწორობას არ ვკარგავ, ყველა საკითხში ასე ვარ თუ გინდ სასოფლო სამეურნეო საკითხში იგივე ტემპერამენტით გამოვდივარ და ვიცავ საქმეს და ეს ენა საერთოდ ასაღელვებელი საკითხი არის. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით ენა არის (ადამიანთა ურთიერთ გაგებინების — ავტ.) საშუალება და არა პრინციპი. ჩვენი მოწინააღმდეგები (ე.წ. „ნოთელები" — ავტ.) მიგვითითებდნენ წარსულში, რომ ეს უნდა ყოფილიყო მიზანი. მაგრამ ეს (მეგრული ენა — ავტ.) არ არის მიზანი და პრინციპი, მხოლოდ და მხოლოდ ეს არის საშუალება. რატომ დავაყენეთ ჩვენ ზუგდიდის პარტორგანიზაციამ ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი? იმიტომ რომ ყველა ის გლეხისათვის საჭირო უბრალო ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებია, გავაგებიოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებას მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები". როგორც ვხედავთ, ი. ჟვანია მეგრული ენის პრობლემას სავსებით რეალისტურად და პრაგმატულად ჭვრეტს. არადა, რას არ აბრალებენ ამ კაცს. მათ შორის იმასაც კი, რომ თითქოს ქართული კულტურისაგან დამოუკიდებელი მეგრული კულტურის შექმნისთვის იბრძოდა. რატომ? ასე იყო საჭირო და იმიტომ!

ი. ჟვანია აგრძელებს: „ეს საკითხი დაყენებული იყო 1925 წელს, მაგრამ მახინჯი (! — ავტ.) არამარქსისტული ხასიათი მიიღო, იმიტომ, რომ ეს საკითხი კი <u>არ გამოდიოდა პარტიის ინიციატორობით</u> (! — ავტ.), მის ჩარჩოებიდან, არამედ ვისაც მოესურვებოდა ის სვამდა ამ საკითხს აქ ნამდვილი დომხალი იყო. ეს საკითხი იყო დაყენებული პარტიის გარეშე (ე.წ. „მაფალუელი" „ნოთელების" მიერ — ავტ.), ამიტომ იყო, რომ ამ საკითხმა მიიღო ვიმეორებ, მახინჯი სახე... ბედავდნენ თითქოს საბჭოთა საქართველო სამეგრელოს ჩაგრავდეს და რაღაც ასეთ უმსგავსოებას და საზიზღრობას ქონდა ადგილი. მაშინ ზუგდიდის პარტორგანიზაციამ მთლიანად გაილაშქრა ამ უმსგავსოების წინააღმდეგ და კიდევაც ჩავაჩუმეთ. ვინც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ლაყბობის ავტორი ჩვენ უფლებას არავის ვაძლევდით ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისა. და ის იყო სწორედ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა (უპარტიო თვალსაჩინო მოღვაწეებმა — ავტ.) ამით ისარგებლეს და ერთ მშვენიერ დღეს რუსთაველის თეატრში 25 წელს იწვევენ საჯარო კრებას ნამდვილი მენშევიკები, შავრაზმელები და პირდაპირ აფურთხებდნენ მშრომელ გლეხობას (მხედველობაში ყავს ის, ვინც ინტრიგას უწყობდა და რომელმაც მოაწყო რუსთაველის თეატრში თეატრალიზებული საპროტესტო აქცია, ხოლო მშრომელი გლეხობის შემფურთხებლებად გულისხმობს იმათ, ვინც ამ შეკრებაზე მხოლოდ საქართველოს ცენტრის დითირამბებით და კრიტიკული თუ სადამსჯელო სიტყვით გამოვიდა, მაგრამ მშრომელი გლეხობის სატკივარის გამო გამოსარჩლებისთვის კრინტიც კი ვერ დაძრა — ავტ.). ვინ ხელმძღვანელობდა ამ კრებას? ეს იყო

ცნობილი რეაქციონერი კოწია გამსახურდია, კაციჭამია შოვინისტი გიორგი ჟორდანია, ეპისკოპოსობის მოტრფიალე თედო სახოკია, გაიძვერა მენშევიკი დიომიდე თოფურიძე და მსგავსი ხულიგნები". ეს შეფასება იყო ცნობილ მოღვაწეთა მიმართ არა მარტო ისაკის თავხედობის, არამედ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა მხრივ დამოკიდებულების გამომხატველი აზრი. ი. ჟვანია, არ შეიძლება ვერ მიხვედრილიყო, რომ რუსთაველის თეატრში ჩატარებული ღონისძიება მასზე სიტყვით გამოსულების ინიციატივით მოწყობილი არ იყო. არა, მან ყველაფერი კარგად გაიგო და ამიტომაც გამოლანძღა მისი „ხელმძღვანელებიც". იტყვიან — „ლიტრას ეუბნებოდნენ და კოკაკ შენ გესმოდესო". როგორც ჩანს, ისაკი ჟვანიამ და ზუგდიდის პარტორგანიზაციამ უაღრესად მტკივნეულად განიცადეს, რომ რამდენიმე „ჩხოუშიელის" სეპარატისტული არგუმენტებით აღჭურვილი დასმენა-საჩივარის გამო ლ. ბერიას მიერ ორგანიზებული კამპანიის დროს, აღნიშნული საბჭოური და ეროვნული ელემენტების მიერ, უსამართლოდ გაილანძღა და გამასხრდა თითქმის მთელი სამეგრელო, გლეხობის პრობლემებსა და მათ სამართლიან საჭიროებებზე კი არავინ არაფერი სთქვა. ჩვენი აზრით, ი. ჟვანიას სალანძღავი სიტყვები იმ თვალსაზრისითაც იყო გამოთქმული, რომ იმ დროს (1925 წ. სექტემბერი) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტისა და ი. ჟვანიას მიმართ ბერიას მიერ ორგანიზებული და გამოთქმული უსაფუძვლო ბრალეულობა კიდეე ერთსულ და მკაფიოდ წარმოჩენილიყო.

ი. ჟვანია აცხადებს: „ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა წინადადება, რომ ეს საკითხი ჩვენ შეგვესწავლა. აი სწორედ დაწყებული 1925 წლიდან დღემდე, ჩვენ ეს საკითხი შეეისწავლეთ. რას ვხედავთ ჩვენ, როგორი მდგომარეობა არის? ყოველგვარმა ჩვენმა ცირკულიარებმა, ინსტრუქციებმა და საშუალებებმა მაზრასა და თემს შორის უნაყოფოდ ჩაიარა, იმიტომ, რომ არცერთ ჩვენს ცირკულიარებს და ინსტრუქციებს არცერთი თემი არ კითხულობს... ეს იმიტომ, რომ არ ესმით ის რაც იწერება და დაწერილია. ნიკოლოზის დროს გლეხობა ამბობდა: „ჩვენ რა საჭირო ვართ, უჩვენოდაც გააკეთებენო". ნიკოლოზის დროს ყველაფერი რუსულ ენაზე იყო და კიდევაც მიტომ გაიძახოდა გლეხობა ასე, მათ რუსული ენის არაფერი გაეგებოდათ. მენშევიკებმა ეს შეცვალეს ქართული ენით. ეხლა ფაქტიურად ის გარემოება დარჩა რაც ნიკოლოზის დროს იყო, ვინაიდან გლეხობის დიდ უმრავლესობას არც ქართული ესმის. ჩვენს დროსაც გლეხები ამას ამბობენ „უჩვენოდაც გააკეთებენო". ამას რომელი გლეხი ამბობს? ღარიბი და საშუალო, რომელიც ყრუ არის (ანუ ქართული არ ესმის — ავტ.), ბრმა არის, სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო". გადაშლილ ტექსტში წერია: „ანბანი შესწავლილი არა აქვს და ჩვენი საქმისათვის გამოსადეგი არ არისო". ი. ჟვანია საკითხის დრამატიზებას მიმართავს, მაგრამ პრინციპში სწორად ასახავს რეალობას და დასძენს: „ასეთ ვითარებაში კოლექტივიზაციაზე გადასვლა ძალიან ძნელი შეიქნა ბრმა და მუნჯი ხალხის მეშვეობით" (იხ. იქვე, ფურც. 29-30). იგი იხსენებს იმ დროს, როცა ცარიზმის რუსიფიკატორებმა მეგრულ ენაზე მოინდომეს წირვა-ლოცვის გადაყვანა, მგრამ ქართველი სამღვდელოების და ინტელიგენციის თავგამოდებით გლეხობამ პროტესტი გამოსთქვა რუსიფიკატორების ამ მცდელობის წინააღმდეგ. იგი თაეისებური, კომუნისტური გაგების პოზიციებიდან აფასებს, ზოგი ჭირი მარგებელია, გლეხობას ქართული არ ესმოდა და ათეისტად დარჩაო. მაგრამ ახლა წერა-კითხვის უცოდინარობა გლეხს უბედურებად მოუბრუნდა, რადგან „თამასუქზე ხელს აწერს არ იცის რა შინაარსზე მოაწერა ხელიო. შარშან თამბაქოს კონტრაქტაციას რომ ატარებდნენ ხელშეკრულებაზე ხელს აწერინებდნენ... ლიის ამხანაგობამ კონტრაქტაციის გეგმა ვერ შეასრულა, პასუხისგებაში გადასცეს სამეურნეო კოოპერაციის გამგე, არ იცოდნენ რას მოაწერეს ხელი... ნემცებს რომ რუსულად ელაპარაკო, ისეა ლიაში ამან გეაიძულა ეს საკითხი დაგვესვა ცეკაში. სთქვეს ზოგმა, კაცო ეს სხვა რამეს

ხო არ გამოიწვევსო, რა უნდა გამოიწვიოს?... მე ვფიქრობ რაც მინიმალურად საჭირო არის მშრომელი გლეხისათვის ეს ჩვენ დავაყენეთ... 1) სოფლის და თემის საბჭოებში საქმის წარმოება მეგრულ ენაზე: 2) მოეწყოს გამოცემა სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის მეგრულ ენაზე. 3) იქნეს გამოცემული გაზეთი მეგრულ ენაზე. 4) მოხდეს ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობის მოზრდილ მოსახლეობაში მეგრულ ენაზე. ეს საკითხი გაარჩია ცეკას პრეზიდიუმმა და შემდეგ ცვლილება შეიტანა: გაზეთი შეცვალა ფურცლით. უმრავლესობა პრეზიდიუმის წევრების მომხრე იყო გაზეთის მაგიერ ფურცლის გამოშვებაზე. ჩვენც დავთანხმდით და გაზეთი შეიცვალა ფურცლით... თუ ეს ფურცლები არ დააკმაყოფილებს გლეხების მდგომარეობას, ჩვენ ამ საკითხს ახლად დავაყენებთ" (იხ. იქვე, ფურც. 31-32). სოფელ ლიაში 1926 წლის მისიე განცხადებით წერა-კითხვის უცოდინარად დასახელებული იყო 95 პროცენტი (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 95). საერთოდ მაზრაში კი 1925 წელს — 28 პროცენტი (იქვე, აღ. 6, ს. 266, ფურც. 203).

ი. ჟვანია აცხადებს: „ჩვენ გამოუშვით კედლის გაზეთი მეგრულ ენაზე, ინსტრუქციაც გამოუშვით მეგრულ ენაზე. გლეხები იძახდნენ ჩვენც ვყოფილვართ კაცებიო". ვიღაცამ ადგილიდან წამოიძახა: „შეიძლება თუ არა სკოლებშიაც შემოვიღოთ მეგრული ენა" — როგორც ჩანს, თემის წარმომადგენლებს აწუხებთ მათი ქართულის არმცოდნე ბავშვების მძიმე მდგომარეობა. ი. ჟვანიას პასუხი ასეთია: „ეს საკითხი ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. ეს დიდი მეცნიერული საკითხი არის. მე მგონია გამოიყოფა კომისია, რომ შეისწავლოს ეს საკითხი. ჯერ-ჯერობით კი უნდა დარჩეს ეს საკითხი ისე როგორც გადაწყვეტილება არის ცეკასი" (იქვე, ფ. 28, აღ. 1, ს. 718, ფურც. 33-34). ამის შემდეგ ზემდგომი ორგანოების დირექტივების მიხედვით ოლქის ცენტრის განსაზღვრის საკითხზე სხდომები ცალკეულ რაიონებშიც გაცხოველდა.

ზემოთ მოხმობილი ვრცელი ამონარიდი ნათლად მოწმობს, რომ ი. ჟვანიას აზროვნება არის პრაგმატული, რეალური ვითარების შესაბამისი. ამის ილუსტრაცია იმისათვის დაგვჭირდა, რომ კიდევ ერთხელ ნათლად გავარკვიოთ რა ამოძრავებდა ზუგდიდის სამაზრკომს და მის მეთაურს, ხოლო მეორე მხრივ როგორ აფასებს მათ მიერ დაყენებულ მასების საჭირო პრობლემას საქართველოს პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული ცენტრის ვითომ პატრიოტიზმის პოზიციებზე მდგარი ხელმძღვანელობა და ე.წ. მაფალუიზმის ყალბი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური გაგების კონცეფციის რწმენით დაბნეული ზოგი ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტი, რომელიც ოფიციალურ კონცეფციას იმეორებს და მის კრიტიკულ გააზრებამდე ვერ მიდის.

ჩვენს მიერ ნათქვამის დამატებითი შემეცნებისა და სათანადო ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის ანალიზი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერები, ყრილობაზე მოხსენებით და სიტყვით გამოსულთა აზრები ნათლად გვიჩვენებენ თუ როგორ, რა პოლიტიკურ საფუძველზე ხდებოდა „მეგრული საკითხის" მოწესრიგების გამო ი. ჟვანიას და მის თანამოაზრე-თანამებრძოლების სამართლიანი მოთხოვნების გაბიაბრუება-გაყალბება და მათი სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნამდე გაზვიადება-გაყალბება.

საქართველოს კომპარტიის VI ყრილობა იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში გაშუქებულია, როგორც პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ჩატარებული ღონისძიება, რომელმაც დაამტკიცა პირველი ხუთწლიანი გეგმა და დასახა პარტიული ხელმძღვანელობის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებები. სინამდვილეში ყრილობის რეგლამენტის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და მისი მდივნის მ. კახიანის შელახული რენომეს დაცვას და მათი იმ შერყეული ავტორიტეტის რეამინაციას, რომლის გამო შეიძლებოდა საქართველოს და ამიერკავკასიის მთელი პარტიული ხელ-

მძღვანელობის კარიერის დასრულება. როგორც ცნობილია, სკპ(ბ) ცკ-ის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე სასტიკად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა. ამათ დააბრალეს „ნაჯახის" ტლანქი პოლიტიკით მუშაობა, გლეხობის საკითხში სერიოზული შეცდომები და აჯანყების საბაბით დახოცილთა გაუმართლებლად დიდი რაოდენობა. ახლა მათ თავზე ახალი შავი ღრუბელი შეიკრა. არავინ არის გარანტირებული, რომ მაგრად არ „დასველდებიან" ეს ის დროა, როცა საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძვლიანად შეისწავლა პარტიის სტალინური, გენერალური ხაზის გატარების საქმეში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის მუშაობა. ამ ყოველმხრივ შემოწმებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათავეში ედგა საკავშირო ცკ-ის ინსტრუქტორი პშენიცინი, ხოლო შედეგების შესახებ იმსჯელა საკავშირო ცკ-ის საორგანიზაციო ბიურომ, რომელსაც სტალინის მარჯვენა ხელი, ლაზარე კაგანოვიჩი ხელმძღვანელობდა.

პშენიცინის კომისიამ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას ბევრი საბლაფორთო გაუჩინა. როგორც VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა კომისიის წევრის კადიროვის მიერ აფხაზეთის, სამეგრელოს და სამხრეთ ოსეთის შემოწმების მასალები, და ამ რეგიონებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ განხორციელებული მუშაობის შესახებ ჩამოყალიბებული დასკვნები. კადიროვი გამოკვლევის საფუძველზე წერს: „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში არ არის გარკვეულობა და სიმტკიცე. ხელმძღვანელობა ყოველთვის კუდში მიჩანჩალებდა, იგი ტარდებოდა მუშაკების ზოგიერთი ჯგუფის განწყობილებათა გავლენის მიხედვით. ხელმძღვანელობა მიმდინარეობდა იმ ხაზით, რომ შეგუებოდნენ აფხაზთა მუშაკების ცალკე ჯგუფების განწყობილებას და მათ მიმართ „მშვიდობიანი პოლიტიკა" ტარდებოდა იმისდა მიუხედავად, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანდა იგი ორგანიზაციას. მე გავეცანი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა დადგენილებას 1923 წლიდან, ვიდრე 1929 წლამდე, რომელიც აფხაზეთს შეეხებოდა.... შემიძლია ვთქვა, რომ ყველა მათგანი ზემოხსენებულს ამტკიცებს".

სამეგრელოს საკითხზე კადიროვი წერს: „მთელი 4 წლის განმავლობაში ზუგდიდის მაზრას კულტურულ კერათა მოსაწყობად არცერთი კაპიკი არ მიუღია. არსებული საავადმყოფო მაზრის მოსახლეობის მოთხოვნილებას მხოლოდ სამი პროცენტით აკმაყოფილებს.

მაზრაში არსებობს პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი უინტერნატოდ. მაშინ როდესაც საქართველოს სხვა მაზრებში ასეთივე ტექნიკუმები უზრუნველყოფილია ინტერნატებით (? — ავტ.),რომელშიც შეიძლება მოთავსებულ იქნენ ღარიბი და მცირე შეძლების გლეხთა ბავშვები... საკმაო ყურადღების უქონლობას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, არ შეეძლო არ გამოეწვია სამეგრელოს გლეხობაში და ამ მაზრის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის აშკარა ბრძოლა საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. არ შეეძლო არ გამოეწვია ბრძოლა საქართველოს პოლიტიკასთან, რომელიც ტარდება მეგრელებით დასახლებულ მაზრებში, კერძოდ ზუგდიდის მაზრაში". კადიროვი ზუგდიდის მაზრაში საჭიროდ მიიჩნევს იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მაზრის პრობლემების მოგვარებას (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, ტფ. 1929, გვ. 38-60).

ეჭვგარეშეა, რომ კადიროვი აზვიადებდა, მაგრამ პრინციპში სიმართლეს წერდა. გასაგებია, რომ მას ასეთი მიზნობრივ-ტენდენციურად წარმოჩენილი სიმართლე ვიღაც, საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ მტრულად განწყობილმა პიროვნებამ მიაწოდა. ასეთები ზუგდიდში იყვნენ და არა მარტო ავტონომისტების სახით. ეს გვიჩვენებს ზუგდიდელი ინტელიგენტების მაღალ ღირსებასა და შეუპოვრობას, მაგრამ, საქართველოს ცენტრმა ეჭვი ე.წ. მაფალუელებზე მიიტანა და კადიროვის ბრალეულობა მაფალუელობის გამოცოცხლებას მიაწერა.

ამასთან, რამდენადაც ი. ჟვანია და ზუგდიდის ხელმძღვანელობას მაფალუელობის მფარველის ბერიას მიერ ჩამოკიდებული ყალბი იარლიყი ჯერ კიდევ ვერ მოეშორებინა, საქართველოს პარტიული აქტივი ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობას დაატყდა მეხად. მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, რომ კადიროვი ამ „კრიტიკული" აზრით მოსკოვშივე დაეკვალიანებინათ.

მაშასადამე, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ზემდგომი ინსტანციების დარტყმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ ერთი გამოსავალი ისახება. საჭიროა კადიროვისა და მისთვის „ყალბი" ინფორმაციის მიმწოდებელთა განადგურება. მაგრამ მ. კახიანის მოხსენებიდან ჩანს, რომ კადიროვის მოხსენების გარდა, სხვა არანაკლებ მწავე პრობლემაც არსებობდა. თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირელ მეგრელ სტუდენტებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე დაუწერიათ პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო დოკუმენტი: „ავტორები წერენ: ჩვენ არ გვინდა აფხაზეთში ვიცხოვროთ, აფხაზეთი სამეგრელოს რაიონებში სწორ პოლიტიკას არ ატარებს. იქ სურთ აფხაზური ენის შემოღება და სხვა.. აფხაზეთის პატრიოტები, თავისი აგენტების მეშვეობით ეწეოდნენ და ეწევიან პროპაგანდას სამურზაყანოს მცხოვრებთა შორის, რომ ისინი აფხაზები არიან და არა მეგრელები. ისინი აწარმოებდნენ და დღესაც აწარმოებენ შეტევას ქართული სკოლების წინააღმდეგ აფხაზეთში და სამურზაყანოში (მთელს სამურზაყანოში სკოლა მხოლოდ ქართულია) იმ მიზნით, რომ აქ აფხაზური ენა შემოიღონ.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენ სამურზაყანოელები, წინააღმდეგ პატრიოტული სულით გაჟღენთილი აფხაზელი მოღვაწეების მტკიცებისა, რომლებიც პოლიტიკურ ბატონობას თავისი ნაციონალისტური მიზნებიათვის იყენებენ, ყოველთვის ვიყავით და დღესაც ვართ მეგრელები, ჩვენ ამის ხელის მომწერნი სამურზაყანოელი და მეგრელებით დასახლებული აფხაზეთის სხვა რაიონების სტუდენტები საჭიროდ ვცნობთ:

1. სამურზაყანო შეუერთდეს საქართველოს.

2. ხოლო იმ მეგრელებისთვის, რომელნიც ამის შემდეგ აფხაზეთის ფარგლებში დარჩებიან, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რაც მათ დაიცავს ყოველგვარი ცდისგან, რომელიც მიმართული იქნება მათი გათქვეფისაკენ აფხაზეთის სხვა ეროვნებათა შორის.

თუ საკითხს საღად მივუდგებით, მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა ნაციონალური საკითხისა შეიძლება იქნეს მისაღები აფხაზეთში. როგორც აფხაზები, ისე მეგრელების (ქართველების) ეროვნებისათვის". (იხ.იქვე, გვ.62). აქ უთუოდ საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში მოსწავლე აფხაზეთის ასსრ მეგრელი სტუდენტები აკლენენ ეროვნულ პატრიოტიზმს. აფხაზი ხელმძღვანელების მიმართ მსგავსი პრეტენზიები საქართველოს კომპარტიის 1926 წლის მესამე პლენუმზეც ჭარბად გამოითქვა (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 282; იქვე, აღ. 2, ს. 363, ფურც. 148; იქვე, ს. 364, ფურც. 70).

როგორც ვნახეთ, სამურზაყანოელი მეგრელი სტუდენტები თავიანთ ეროვნულობას აღიარებენ ქართველად. ისინი საკითხს აყენებენ საერთო ქართული, ეროვნული ინტერესებით. როგორც ვხედავთ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წინაშე დგას ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: გააბათილოს ერთმხრივ, კადიროვის დასკვნები და მეორე მხრივ, აგრეთვე სტუდენტთა მოსაზრებები საქართველოს კომპარტიის უნიათო ნაციონალური პოლიტიკის შესახებ. ამიტომ მ. კახიანმა მეგრელ სტუდენტთა საპროტესტო მოთხოვნებიც „მაფალუელობის გამოცოცხლებით" ახსნა და ესეც ზუგდიდის ხელმძღვანელობის მფარველობას დააბრალა, მაშინ როცა სამეგრელოს და ზუგდიდის მაზრის მდგომარეობის შეფასების დროს კადიროვი მნიშვნელოვან წილად მართალი იყო. სამურზაყანოელი სტუდენტების ეროვნული პატრიოტიზმის გენერაციას მაფალუიზმი კი არა, უნივერსიტეტი ასაზრდოებდა. მაშასადამე, კადიროვის ბრალეულობათა გამო ყრილობა ე.წ. მაფალუელობას იყენებს ერთგვარი განტევების ვაცად. შეშ-

ფოთებული საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა და მისი მხარდამჭერი პარტიული ელიტა ცდილობს საკუთარი ცოდვები დააბრალოს ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობას. ამ მთავარი ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად მ. კახიანის მოხსენება ყრილობაზე, „სამეგრელოს საკითხის" გარშემო გამოსული კომუნისტების სიტყვები და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები.

მ. კახიანმა ეჭვი გამოთქვა, რომ კადიროვს ადგილზე მიაწოდეს ყალბი აზრები, და რომ მეგრელი სტუდენტების აზროვნება, „რომლებისთვისაც ლენინიზმის ანბანიც გაუგებარია", ასოცირებულია მაფალუისტებთან. ასე გამოიყვანა, რომ მაფალუელობა საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ხელმძღვანელობის შეცდომების განტევების ვაცად მოგვევლინა. მაშასადამე, თუ აქამდე მაფალუელობაში იგულისხმებოდა ანტიქართული სეპარატიზმი, ავტონომია თვით საქართველოდან გამოყოფამდეც კი, ახლა უკვე მაფალუელობაში გულისხმობენ საქართველოს და საერთოდ უზენაესი ცენტრების მიმართ პროტესტსა და დაუმორჩილებლობას. ე.წ. მაფალუიზმის ამ ახლებურ გაგებას ის ახსნა აქვს, რომ 1925 წლის შემდეგ „სეპარატისტული" შინაარსის საჩივრები აღარ იქმნებოდა. იგი ახალაია-ბუკონია-ბესელიას შემოქმედების სახით ისტორიას ჩაბარდა. სხვები არც მაშინ იკლავდნენ თავს. მაგრამ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში მაინც დარჩა ე.წ. მაფალუელობისა და არარსებული „ადგილობრივი ნაციონალიზმის" არსებობის ყალბი რწმენა, მეგრელებში და მითუმეტეს, ზუგდიდელებში. ჰოდა, ყოველ შესაძლო სიტუაციაში ცდილობენ მის გამოყენებას. ახლაც ამიტომ საჭირო გახდა, რომ ი. ჟვანიას და სხვათა სეპარატიზმს დაბრალდეს კადიროვისა და სტუდენტების ნაწერებიც. სხვა გამოსავალი არც არის. მართლაც, მ. კახიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის დადგენილების (26.III.1929) საფუძველზე „ზუგდიდელი ამხანაგების მიერ მეგრულად გამოცემულია ინსტრუქცია მოსავლიანობის გადიდების შესახებ... აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო შინაარსის ფურცლები. ეს ძალიან კარგია. აქ მე ხაზის არავითარ გამრუდებას არ ვხედავ. ამხანაგები კარგად იქცევიან, როდესაც ხელისუფლების მუშაობას გლეხობას უახლოებენ. მაგრამ ეს ერთია და სულ სხვაა ხაზის გამრუდება. ამას კი ადგილი აქვს და შეიძლება კიდევაც ექნეს. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ იქ გამოცოცხლებას იწყებენ მაფალუისტები — სამეგრელოს ავტონომიის მომხრენი. მაფალუისტები მუშაობენ და წარმოიდგინეთ, ისინი ზოგჯერ გავლენას ახდენენ თვით კომუნისტებზე და კომკავშირლებზე. ამის მაგალითად მან თბილისის უნივერსიტეტის მეგრელი სტუდენტების წერილი მოიტანა და იგი სიცრუედ გამოაცხადა. ამასთანავე მ. კახიანმა ვერ მოიხმო ნაღდი ფაქტები მეგრელი ავტონომისტ-სეპარატისტების დანაშაულებრივი საქმიანობიდან. მისი მოხსენების მიზანდასახულობა იმაში გამოიხატა, რომ დაესაბუთებინა: „გამოცოცხლებას იწყებენ მაფალუისტები — სამეგრელოს ავტონომიის მომხრენი" (იქვე, გვ. 62). მეგრელი სტუდენტების წინააღმდეგ მ. კახიანი აცხადებს: „მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ აფხაზეთს გალის მაზრა მოსწყვიტონ (დამახასიათებელია, რომ ისინი იხსენიებენ „სამურზაყანოს" და არა გალის მაზრას)".

მ. კახიანმა პათეტიკურად განაცხადა: „ვისთვისაა საჭირო ასეთი პროპაგანდა? განა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ შედის?..." (იქვე, გვ. 63).

მაშასადამე, მ. კახიანმა მეგრელი კომუნისტების დადანაშაულებისათვის ვითომ საფუძვლიანი არგუმენტები წამოაყენა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ ყრილობას გეზი მისცა, ტენდენცია დაუსახა. ისევ მტრის დანაშაულებრივი მოქმედება დაასახელა მიზეზად. მ. კახიანს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ 1929 წლის 26 მარტის დადგენილების მოპოვებისათვის ზუგდიდელ კომუნისტებს ოთხნახევარი წლის ბრძოლა დასჭირდათ, რომლის გაბიაბრუებასაც იგი ახლა შეეცადა. არც ის აღუნიშნავს, რომ ამ დადგენილებით მიცემული მეგრული გაზეთის გამოცემის უფლება ორი თვის შემდეგ (მაისში) საქართველოს კომპარტიის ახალი დადგენილებით კვლავ დაუშვებლად იქნა

ცნობილი. მაშასადამე, მ. კახიანი განაგრძობს ბინძურ თამაშს და სხვა ორატორებსაც ამ მიმართულებით მართავს. მან გაიხსენა საკავშირო ცეკას 1928 წლის სექტემბრის დადგენილება, რომელიც ამბობს: „ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ უზრუნველყო ერთა შორის შუღლის აღმოფხვრა და ხელი შეუწყო იმ მრავალ ერთა წარმატებით განვითარებას, რომელნიც შედიან საქართველოს სსრ შემადგენლობაში. კერძოდ ავტონომიური რესპუბლიკის — აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის განვითარებას". ამ ვითომ ჭეშმარიტების მღაღადებელი ციტატის შემდეგ, მ. კახიანმა განაცხადა: „ეს არის, ამხანაგებო, რეზოლუცია ზემდგომი ორგანოსი, რომელმაც თავისი მსჯავრი დადო მთელს ჩვენ მუშაობას; ამის შემდეგ ციტატები კადიროვის ნაწერებიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავაბაროთ პროვინციალური ტიპის ძველ მუზეუმს". იგულისხმება ზუგდიდის მუზეუმი, რომელსაც ხელისუფლება თბილისში უპირებდა გადატანას, ზუგდიდის ინტელიგენცია და გლეხობა კი თავგამოდებით მოითხოვდა მის ადგილზე დატოვებას. მ. კახიანის მხრივ ეს იყო ნიშნის ყალთაბანდური მოგება. ასეთი ნიუანსის წამოწევა შემთხვევითი არ იყო.

ზუგდიდის მუზეუმი მისი დირექტორის, ცნობილი ეროვნული მოღვაწის აკაკი ჭანტურიას ხელმძღვანელობით დღენიადაგ იღვწოდა მეგრული-ქართული კულტურის გამოვლენა-წარმოჩენისათვის. ეს იმდრონდელი პარტოკრატიული ხელმძღვანელობის პირობებში, როგორც ყველა დანარჩენი ავტონომისტური, სეპარატისტული, სამართლიანი გლეხების ინტერესების დამცველი, თუ ტრადიციონალისტების მიერ დაყენებული — ფასდებოდა, როგორც მაფალუისტური, ანტიეროვნული საქმიანობა. ამიტომ არის, რომ მ. კახიანის „ნასიბრძნი" ყრილობის დამსწრეთა მიერ აღინიშნა ქათინაურით — „სიცილი". მაშასადამე, რა ხდება? ხდება ის, რომ მ. კახიანმა პშენიცინის, კადიროვის და მეგრელი სტუდენტების მიერ თავს დატეხილი ხლაფორთი გაიგო სწორად, როგორც „მისი ხელმძღვანელობით" გატარებული პოლიტიკის მძაფრი კრიტიკა. მაგრამ რადგან ეს მისი ხელმძღვანელობით გატარებული პოლიტიკა ფაქტობრივად მოსკოვის პარტიული ცენტრის მიერ გამართლებული პოლიტიკა იყო, მეხამრდი მოძებნა და კრიტიკის უსაფუძვლობის მტკიცების მიზნით „მეგრული საკითხის" გამო სატკივარი ისევ ისაკი ჟვანიაზე გადაიტანა. მ. კახიანმა ზუგდიდის მუზეუმიც ამიტომ ახსენა. ცეკას მდივანი იყო და ამიტომ ყველაფერი გასდიოდა. მ. კახიანს მხედველობის მიღმა არ დაუტოვებია აგრეთვე ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიის ეროვნული წარმომადგენლობა. მან სასტიკად და ირონიული გამოთქმებით გააკრიტიკა მიხეილ ჯავახიშვილი, სათანადო ამონაწერი მოიტანა მწერლის მოთხრობიდან და დასძინა: „აი, ამხანაგებო, ეს არის იმ კაცის ფილოსოფია, რომელსაც რევოლუციასთან საერთო არაფერი აქვს, რომელიც წარსულში სიხარულსა და ბედნიერებას ხედავს, ხოლო მომავალში — მარტოოდენ ცრემლსა და მწუხარებას". მ. კახიანმა ამხილა ქართველი პატრიოტი მწერლები და მეცნიერები, რომლებიც „ლექსებს წერენ ირაკლიზე, მეფეებსა და დედოფლებზე. ვერ სძლებენ უირაკლოდ, უვახუშტოდ და რომ ყველა ეს თაყვანისმცემლები „თეთრ გიორგისა" გიჟი ხალხია. ეს სრულებითაც საეჭვო არ არის". ამ წინადადებას ყრილობამ ტაშით უპასუხა. მაშასადამე, პატრიოტი მწერლების ლანძღვა კომუნისტებს ხასიათში ჰქონდათ გამჯდარი და ამ მხრივ გამონაკლისი არც ი. ჟვანია იყო. მაგრამ მისთვის იმის დაბრალება, რომ თითქოს შალვა დადიანს ქართულად წერის გამო ლანძღავდა, არაფრით არ დასტურდება. მსგავსი ფაქტი არ იძებნება.

როგორც წესი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის აზრების შემდგომი განვითარების ცდები მოგვცეს ქართული პარტოკრატიული ელიტის სხვა წარმომადგენლებმა. მაგრამ ვიდრე მათ შესახებ ვისაუბრებდეთ, საჭიროა ითქვას, რომ მ. კახიანმა 1928 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში სასტიკი განაჩენი გამოუტანა ქართულ ინტელიგენციას და კერძოდ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ქართველი რეაქციული „შოვინიზმით დაავადებული" ინტელიგენციის ბელადად გამოაცხადა

და იგი ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს გრუშევსკისა და კონდრატიევს შეადარა (ამის შესახებ იხ. გ. ციციშვილი, „სულისკვეთება — ეროვნული, მოქმედება — მამულიშვილური", გაზ. „კრიმინალური ქრონიკა", 1996, №11). ამ კურსის ლოგიკური შედეგი იყო 1931 წელს ივ. ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრე პროფესურის განდევნა უნივერსიტეტიდან და მათი დისკრედიტაცია. მაშასადამე, მ. კახიანი და ყრილობა თავისებურ, საკუთარ „სიმართლეს" ღაღადებენ და ეს თავისებური სიმართლე შეეხო „მეგრულ საკითხსაც".

ყრილობაზე ჩაკვეტაძემ განაცხადა: „ამ ბოლო ხანებში არ მომხდარა არცერთი ყრილობა, კონფერენცია და თათბირი, სადაც ამ („მეგრულ" — ავტ.) საკითხზე არ ყოფილიყო ლაპარაკი. არ ვიცი რატომ ხდება ეს?" (იმიტომ, რომ საქართველოს ცეკამ თავისივე 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილება 4,5 წლის განმავლობაში მაუდქვეშ ამოსდო — ავტ.). მისი აზრით, „ერთი რამ აშკარაა, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სამეგრელოს გლეხებს არ წამოუყენებიათ საკითხი მეგრული ენის და სამეგრელოს ცალკე ერთეულად ჩამოყალიბების შესახებ..." რა შუაში იყო ახლა „სამეგრელოს ცალკე ერთეულად ჩამოყალიბების" საკითხი?! იგი ცდილობს ასიამოვნოს ცკ-ის მდივანს მ. კახიანს. ამ პროვოკაციის გამო ზუგდიდის წარმომადგენელმა გაბუნიამ ამ დროს წამოიყვირა, „ჩაკვეტაძე წინააღმდეგი არის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისაო". ამის გამო ჩაკვეტაძემ განაცხადა: „არა, ამხანაგებო, მე ცენტრალური კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგი კი არ ვარ, მე წინააღმდეგი ვარ ამ დადგენილების გადამახინჯებისა, ცკ-ის დადგენილების ბოროტად გამოყენებისა და იქიდან იმ დასკვნის გამოყვანისა, თითქოს ყველგან საჭირო იყოს მეგრული ენა... ახალი მეგრული კულტურის შექმნა, ავტონომიის ჩამოყალიბება და სხვა... ზოგიერთი ზუგდიდელი ამხანაგი იქამდე მიდის, რომ აცხადებს: არ გვინდა ქართული ენა, უმჯობესია ვისწავლოთ მეგრული და შემდეგ რუსულიო..." (იქვე, გვ. 136). ჩაკვეტაძეს ასეთი განცხადებისათვის საფუძველის გამაგრება არ დასჭირვებია. მას ასეთი საფუძველი არც გააჩნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ავტონომისტ-სეპარატისტ „ბელადებს", რომლებიც კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდნენ. მაგრამ მთავარია, რომ ჩაკვეტაძე მ. კახიანის დროშას გაყვა და მისი გეზით იარა. სიმართლის თქმა არც იყო საჭირო, რადგან ისედაც ყველას ახსოვდა „ძმები ჩხოუშიელების" ახალაია, ბესელია, ბუკონიას მსგავსი არგუმენტები, რომლებიც ფაქტობრივად ი. სტალინისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკით ნასაზრდოები სამეგრელოს ავტონომიის შესაძლებლობათა და საქართველოს ცენტრის „იმპერიულობის" დასაბუთებისათვის, ხოლო მათ მიმართ რეპრესიული დამოკიდებულების შემდეგ, თავის მართლებისათვის დასჭირდათ. ამის შემდეგ ხომ დიდი დრო გავიდა, ახალი მდგომარეობაც სრულიად ახალ საფუძველზე იქმნებოდა, მაგრამ ძველ არგუმენტებს ჩაკვეტაძე და სხვები ახლა უკვე ახალი კონიუქტურული მოსაზრებებით და სიყალბით უნარჩუნებენ „სიმართლის" ძალას.

ი. ჟვანიამ თავისი სიტყვით კადიროვთან მისი ალიანსის შესაძლებლობის ეჭვები გააქარწყლა. ამ დროს მან ანტისაბჭოთა გადახრების გამოვლინებებში საქართველოს კომპარტიის ზოგი ყოფილი ლიდერი დაადანაშაულა. „ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით ზუგდიდის მაზრაში, ნებადართული იყო კადიროვის ჩამოსვლამდეც, — განაცხადა მან და დასძინა — ის საკითხები, რომლებიც წამოაყენა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა, 99%-ით დადასტურებული იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, დაუდასტურებელი ერთი პროცენტი ეხებოდა გაზეთის გამოცემას..." ი. ჟვანია ამ შემთხვევაში გულწრფელი არ იყო. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი უკმაყოფილო იყო არა მარტო მეგრული გაზეთის გამოცემის დამუხრუჭებით. ეს კარგად გამოავლინა იმ წლის სექტემბერში სტალინთან მისმა „ნახევრად არალეგარულმა" და ცეკასთან შეუთანხმებელმა გამგზავრებამ და ბელადის ახალ დათმობებზე, მათ შორის მეგრულ ენაზე დაწყებითი სწავლების შემოღებასა და სამეგრელოს ადმინისტრაციული

ოლქის გამოყოფაზე დაყაბულებამ. როგორც ჩანს, ი. ჟვანიამ ყრილობაზე თავი აარიდა ამ საკითხებზე საკუთარი აზრის ბოლომდე წარმოჩენას. „ჩვენ არ უნდა დაგვწამონ რაღაც ბავშვური მოთხოვნები მეგრულ ენაზე სწავლების (ე.ი. საყოველთაო სწავლების — ავტ.) შესახებ, — განაცხადა ი. ჟვანიამ, — ეს უსაფუძვლო ბრალდება იქნებოდა. ყველა ჩვენი მოთხოვნა ცენტრალურ კომიტეტშია და ჩვენს მოთხოვნებსა და ცენტრ. კომიტეტის დადგენილებებს შორის არავითარი უთანხმოება არ არის...“ (იქვე გვ. 61). როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუგდიდის სამაზრო ცენტრი მოითხოვდა მეგრულად სწავლებას I და II კლასებში და არა დაბრალებული სკოლის მეგრელიზაციას.

ჩაკვეტაძის გამოსვლასთან დაკავშირებით ი. ჟვანიამ სთქვა: „მან გაილაშქრა ამხ. გაბუნიას წინააღმდეგ, იმის გამო თითქოს უკანასკნელი ცდილობს გაათრიოს სკოლაში მეგრული ენა. ეს არ არის მართალი... ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რაც აღნიშნულია ც.კ. დადგენილებაში: სკოლებში სწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, მეგრული გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც დამხმარე ენა განსამარტებლად: მაგრამ არის „დიდი“ და „პატარა“ წყების ხალხი, რომელიც არ იზიარებს ამ დადგენილებას. მე ვაცხადებ, რომ ამ დადგენილების წინააღმდეგ გალაშქრება ნიშნავს მემარჯვენე გადახრაში გადასვლას... (აქ ალბათ სცოდავს — ავტ.) ჩვენ გვსურს მივაწოდოთ მეგრელ ხალხს პოპულარიული ბროშურები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ჩვენ არ ვაპირებთ გადავუთარგმნოთ მას (მ. კახიანის მიერ გაკრიტიკებული — ავტ.) ჯავახიშვილი; ჯავახიშვილი დეე, თვით ჩაკვეტაძემ იკითხოს...“ (გვ. 162). „მეგრულ ენაზე სწავლებაში“ ი. ჟვანია უთუოდ გულისხმობს სასკოლო განათლების დაწყებითი I და II კლასების მთლიან მეგრულ სწავლებაზე გადაყვანას. რასაც ამართლებს პედაგოგიური მეცნიერების საყოველთაოდ მიღებული ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პშენიცინს დაიმოწმებდა და დაასაბუთებდა დაწყებით კლასში მეგრულ ენაზე სწავლების მიზანშეწონილობას. მართლაც, ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს სამეგრელოს სკოლების მეგრელიზაციის, ანუ ამ სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების საკითხი არასდროს დაუყენებია და ვერც დააყენებდა, რადგან, ჯერ ერთი, რომ სდომებოდა კიდეც, ეს შესაძლებლობა გამორიცხული იყო ცკ-ს ყველა დადგენილებით და მით უმეტეს ი. სტალინის მიერ, რომელმაც ს. ორჯონიკიძისგან მოითხოვა სამეგრელოს ავტონომიისადმი საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულების გაცხადება. მეორე — სკოლის მეგრელიზაციას მხარს არ დაუჭერდა სამეგრელოს მოსახლეობა, რომელსაც აწუხებდა არა საშუალო სკოლაში მეგრულად სწავლების მისწრაფება, არამედ ქართულის არცოდნით გამოწვეული სიძნელეები. ამიტომ მათთვის მისაღები იყო ქართულის არმცოდნე სოფლების დაწყებით კლასებში მეგრულ ენაზე სწავლება ქართულთან ერთად, და არა საერთოდ სკოლის გამეგრულება. ქართულის არმცოდნე ბავშვებისათვის დაწყებითი განათლების მეგრულ ენაზე წარმართვის საკითხი ი. ჟვანიამ და ზუგდიდის პარტიულმა აქტივმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, დააყენეს 1928 წელს, მაგრამ მხოლოდ დაწყებით კლასებში, და ისიც მას შემდეგ, რაც ამის საფუძველი შექმნა თავად პარტიულმა ცენტრმა. ასე რომ, ი. ჟვანია მოსკოვის ცენტრის ნებაზე წინ არ მიდის. იგი გულწრფელია ამ საკითხშიც და ანტისაბჭოურად შეფასებული მ. ჯავახიშვილის მიმართ დამოკიდებულების წარმოჩენაშიც. მართლაც, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეგრულ გაზეთებში ქართულ ეროვნული მწერლობისათვის დაეთმოთ ჯეროვანი ყურადღება. ასეთი ეროვნულ-პატრიოტული ცდომილება სტალინის მიმდევარი ამ ბოლშევიკისათვის უჩვეულოა. მაგრამ, ამავე დროს, მათთვის ავტონომისტის თუ სეპარატისტის იარლიყის მიკერებაც არ ხერხდება. მითუმეტეს, რომ ეროვნულ მწერლობას უგულებელყოფდა თვით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი. ი. ჟვანიას აწუხებს ის, რომ სამეგრელოს თავისებურებათა გაუთვალიწინებლობა აფერხებს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. „ჩვენში სასკოლო ასაკის ბავშვთა 50% სკოლის გარეშე

რჩება. თუ სხვა მაზრებში არის საკმაო რიცხვი სკოლებისა, ჩვენშიაც უნდა იქნეს გადიდებული მათი რაოდენობა... საჭიროა უფრო მეტი სკოლების გახსნა ზუგდიდის მაზრაში, რადგანაც იქ სპეციფიური პირობებია. სახელდობრ — ენის უცოდინარობა. მაგრამ რატომღაც ჩვენი მოხსენებები და ჩვენი მოთხოვნა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" (იქვე, გვ. 163), — განაცხადა მან. აი რა პრობლემები აწუხებდა ი. ჟვანიას და ზუგდიდის პარტიულ ხელმძღვანელობას. ასეთი ბოლშევიკური მოთხოვნებით ჟვანია უფრო მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა, ვიდრე პროლეტარული მწერლობის ზოგი წარმომადგენელი, რომელიც თავის დემაგოგიურ-პროლეტარული წამოწყებებით ხელს უწყობდა მკითხველის პოლიტიკურ გამოთაყვანებას.

გაცილებით უფრო გაბედული იყო ზუგდიდის აღმასკომის თავმჯდომარის, გაბუნიას სიტყვა. მან თქვა, რომ „... სამეგრელოს საკითხზე, რომელიც ეხლა ჩვენში დიდ დავას და მითქმა-მოთქმას იწვევს... უნდა განვაცხადო, რომ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ამ საკითხში სწორია და აუცილებელიც და ის მთლიანად უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში (მხედველობაში აქვს 1929 წლის 26 მარტის დადგენილება — ავტ.). მაგრამ სამწუხაროდ მოიპოვებიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც არ ეთანხმებიან ცენტრ. კომიტეტის ამ (26. III. 1929 — ავტ.) დადგენილებას და რომლებიც ამტკიცებენ, რომ ცენტრ. კომიტეტი შეცდომაშია შეყვანილიო და სხვა. ასეთი შეხედულება დიდ შეცდომად მიმაჩნია. რატომ არ გამოვლენ ეს ამხანაგები ამ ტრიბუნაზე და არ იტყვიან გულახდილად, რომ ისინი ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას შემცდარად სთვლიან. მაგრამ ეს დიდი მასშტაბის მომუშავე ამხანაგები ამჯობინებენ არა აქ გამოსვლას, არამედ ზურგს უკან ჩურჩულს იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი შეყვანილია შეცდომაშიო" (გვ. 165). ხმა: „საჭიროა ვამხილოთ ამხანაგები". გაბუნია: „ამას ამტკიცებს შამშე ლეჟავა და ნაწილობრივ ამხ. ელიავაც ლაპარაკობს ამის შესახებ... ჩვენ მოვითხოვდით, რომ მეგრელ გლეხებს იმ რაიონებში, სადაც მათ არ იციან ქართული ენა მიეცეთ საშუალება მათ მშობლირ კილოკაზე ეზიარონ ჩვენს კომუნისტურ კულტურას, გაეცნონ იმ ღონისძიებებს, რომელსაც კომუნისტური პარტია ატარებს. რასაკვირველია ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ სამეგრელოსთვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული კულტურა, ლიტერატურა და სხვა. ეს იქნებოდა რეაქციონური მიმართულება ჩვენს სინამდვილეში. ასეთი პოლიტიკა ტარდებოდა წინათ — ნიკოლოზის დროს. ამხ. შამშე კერძო საუბარში გვეუბნებოდა ვოსტორგოვის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ვოსტორგოვი თავის დროზე რუსული იმპერიალიზმის, რუსული მონარქიზმის აგენტი იყო. მონარქისტები ასეთ პოლიტიკას ატარებდნენ. მათ სურდათ შეექმნათ სპეციალური მეგრული ანბანი, იმისათვის, რომ ასეთი დაყოფით ებატონათ განცალკავებულ ნაწილებზე. მაგრამ ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დროს, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, უცნაური და უჩვეულო იქნებოდა ასეთი წინადადების შემოტანა. ეს იქნებოდა არაკომუნისტური შეცდომა და თუ ასე მსჯელობენ ზოგიერთი კომუნისტები, ჩვენ რასაკვირველია მათ კომუნისტებად, ბოლშევიკებად ვერ ჩავთვლით. უნდა ვთქვა, რომ ჩვენში — სამეგრელოში მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც საქმეს რეაქციონურად უდგება. ასეთები თვით კომუნისტებშიც არიან. ისინი აქამდე იმ აზრს ადგანან, რომ სამეგრელოსათვის საჭიროა რაღაც განსაკუთრებული კულტურის შექმნა, რომ მეგრელები რაღაც განსაკუთრებულ ერს შეადგენენ და სხვა. რასაკვირველია, დიდი და უხეში შეცდომაა, რეაქციონური შეხედულებაა, რომლის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს ჩვენი პარტია. მაგრამ არც ჩვენი ცენტრალური კომიტეტის დაგენილების წინააღმდეგ გამოსვლა შეიძლება. ამხანაგებო იმ დადგენილებისა, სადაც აღნიშნულია, რომ ღარიბ მეგრელ გლეხს, რომელმაც არ იცის ქართული ენა მივაწოდოთ წიგნაკები მეგრულ ენაზე. ეს აუცილებლად საჭიროა. სკოლების შესახებ უნდა ვთქვა, რომ საჭიროა მათი რიცხვის გადიდება იმიტომ, რომ

ჩვენში ღარიბ გლეხთა შვილების უმრავლესობა სკოლის გარეთ რჩება...“ (გვ. 166). გაბუნიამ ე.წ. „მაფალუისტური“ განწყობილების წარმომადგენლები ვერ დაასახელა, არც სხვას დაუსახელებია. ამის მიზეზი ისაა, რომ ასეთები საზოგადოებრივად არ არსებობენ. ბულვარში და აქა-იქ ვინ რას წამოაყრანტალებდა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მან ყრილობის დამსწრეთ გააცნო ამონარიდები ლენინის და რუსი მარქსისტების შრომებიდან, რომლებშიც ნათქვამია „მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისეთი სკოლებით, სადაც სწავლა ადგილობრივ ენაზე იწარმოებს. მან მოიტანა ლენინის ციტატა, რომელიც ამბობს: „... ჩვენ არ გვსურს ჯოხით შევრეკოთ ხალხი სამოთხეში, რადგან რამდენი ლამაზი ფრაზაც არ უნდა ითქვას კულტურის შესახებ, საკალდებულო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, მის ძალით თავზე მოხვევასთან“.

ხ მ ა: თქვენ ენა არა გაქვთ? (ვითომ ქართული ენა გაქვთ როგორც ადრე არაერჯერ გითხრეს, მეგრული იგივე ქართულია, ანუ იგივეა რაც ქართლური, კახური, იმერული და დასჯერდითო — ავტ.).

გ ა ბ უ ნ ი ა: „ჩვენ გვაქვს ენა. მეგრული ენა ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ენას წარმოადგენს და ვინც ამას უარყოფს, მას არ ესმის თუ რა არის ენა. ეხლა რამდენიმე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უდგებოდნენ ჩვენი ამხანაგები სამეგრელოს საკითხს. აქ საჭირო არ არის საქმის გამწვავება: ამ საკითხში საჭიროა უფრო მეტი სიფხიზლე და არა ზერელე და უსაფუძვლო ლაპარაკი...“

ხ მ ა: „მეგრელები განსაკუთრებულ ერს შეადგენენ?“ (ისევ პროვოკაცია — ავტ.).

გ ა ბ უ ნ ი ა: „მეგრელები არ წარმოადგენენ ეროვნებას. ის არის ტომი, რომ გაუგებარი არ დარჩეს და ამ საკითხში ყველაფერი ნათელი იყოს, მე უნდა ვთქვა, რომ კომუნისტები ზუგდიდში ვებრძვით და მომავალშიც ულმობელ ბრძოლას ვაწარმოებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც აქამდე იმას ამტკიცებდა, რომ მეგრელები განსაკუთრებულ ეროვნებას წარმოადგენენო. მაგრამ იმას, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სამეგრელოს შესახებ, ჩვენ ცხოვრებაში გავატარებთ. ეს იქნება დროებითი ღონისძიება. ეს საჭირო იქნება მხოლოდ რამდენიმე ხნით... სცდებიან ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ამ საკითხს. სცდებიან როდესაც სიცილსაც ვერ იკავებენ ამ საკითხის დასმის დროს. თითქმის სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტი არჩევდა ამ საკითხს. ეს ერთი დღის საკითხი როდია და აქ საჭიროა ამის შესახებ ლაპარაკი, როდესაც გურიის წარმომადგენლები ზერელედ სწყვეტდნენ ამ საკითხს. ეს მეტი რომ არა ვთქვათ, საქმის არასერიოზულ მიდგომას წარმოადგენს. მე ვფიქრობ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით შემდეგს: რასაკვირველია სამეგრელოს ავტონომიაზე, მის გამოყოფაზე და სხვა საკითხის დასმა არავის არ შეუძლია. ეს იქნებოდა წვრილი ყალიბის შოვინისტურ განწყობილებათა გამოხატულება. მაგრამ იმავე დროს, ისეთი გლეხები, რომელთაც არ ესმით ქართული ენა, რატომ არ შეიძლება მათთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკი, რატომ არ შეიძლება, რომ ისინი სას.-სამ. გადასახადისა, დაბეგვრისა და სხვათა შესახებ გამოცემულ ცირკულიარებს გასაგებ ენაზე იცნობდნენ? განა ეს არღვევს კომუნიზმის პრინციპს? ზოგი ამხანაგი დღესაც ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ჩვენ ვაცხადებთ: მიგვაჩნია, რა სამეგრელო საქართველოს ერთ-ერთ კუთხედ, საჭიროდ ვცნობთ, რომ მის ერთ ნაწილს, რომელსაც არ ესმის ქართული ენა, მიეცეს საშუალება გაეცნოს თავის გასაგებ ენაზე ჩვენს დეკრეტებს, ჩვენს დადგენილებებს და მიიღოს საჭირო ცოდნა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ ღონისძიებათა გატარებით 5 წლის შემდეგ მთელი სამეგრელო მცოდნე იქნება ქართულის ენისა“ (იქვე, გვ. 168-169; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). აი კომუნისტი, რომელსაც სწორად ესმის „მეგრული საკითხი“, მაგრამ მისი აზრი არ აინტერესებთ. გაბუნიას სიტყვის

მოსმენის შემდეგ თითქოს მართლაც ყველაფერი გასაგები უნდა გამხდარიყო. მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი". მაგრამ იმ პროვოკატორებსაც უნდა გაუგოთ, ამათთვის მთავარია მ. კახიანის დემაგოგიის განვითარება და მისი გულის მოგება, მაგრამ არა სიმართლის თქმა. თუმცა რა გასაკვირია, როცა ამნაირები დღესაც უამრავი გეხვდებიან. ბევრ დღეევანდელ „სწავლულსაც" არ უნდა გაიგოს, რომ ე.წ. მაფალუიზმი კონიუნქტურულმა მოთხოვნილებამ შექმნა და ხანგრძლივად მანვე აცოცხლა. სინამდვილეში არსებობდა არა ე.წ. მაფალუიზმი, არამედ სამეგრელოს ადგილობრივ თავისებურებათა იგნორირება საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ, და ამით გამოწვეული უკმაყოფილება, რომელიც ავტონომისტებად, მაფალუელობად და ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებად საღდებოდა.

სიტყვით გამოსულმა „რაჭველმა" სკეპტიკოსმა, ამხანაგმა შ. ლეჟავამ ცკ-ის მდივნის კურსს არ გადაუხვია. არც იყო სხვა გზა. პარტიული ცენტრი მოქმედებს პრინციპით: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი წინააღმდეგია". შ. ლეჟავამ დამატებით ამხილა ქართული ეროვნული მწერლობის წარმომადგენლები. მისი თქმით, „იდეოლოგიურად ჯავახიშვილები, ლორთქიფანიძეები და გამსახურდიები ძველი დახავსებული პოეტების წარმომადგენლები არიან... მათ ჩვენ უნდა ვუთხრათ პლეხანოვის სიტყვები: „Довольно мы врагов своих „любили", теперь пора нам их ненавидеть". სიყვარულით ისინი არასდროს არ გვიყვარდა, მაგრამ დღემდის მათ ჩვენ მეტად ლოიალურად ვეპყრობოდით". შ. ლეჟავას ეს საქციელი იგივეა, რაც მისალმების დროს ქუდის მოხდა. ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პარტკოლეგიის თავმჯდომარის ეს განცხადება საშიში გაფრთხილება იყო ყველასათვის, მაგრამ განსაკუთრებით სოლოვკებიდან ახლად გამოშვებული კ. გამსახურდიასათვის... შ. ლეჟავამ განაცხადა: „რათ არ უნდა ვიცოდეთ რუსული? ის ენა, რომელიც ოქტომბრის ენაა..." ქართული ენა კი მისთვის მხოლოდ აზროვნების გადაცემის საშუალებაა. როგორ შეეძლო მას მეგრელების გაგება?! „რაც შეეხება სამეგრელოს საკითხს, — სთქვა შ. ლეჟავამ, — ამხ. გრიშა გაბუნია და ი. ჟვანია ძალიან კარგი ამხანაგები არიან (?! — ავტ.). მე მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (?! — ავტ.). მათ გულში სხვა რამა აქვთ, ხოლო აქ ამას არ ლაპარაკობენ" (!? — ავტ.). მაშასადამე, შ. ლეჟავამ, როგორც გულთმისანმა, „იცის" რომ ბინძური მიზანი ამოძრავებს „კარგ ამხანაგებს", ი. ჟვანიას და გაბუნიას. ამიტომაც მათი საწინააღმდეგო ვითომ არაფერი აქვს. ეს არის ბოლშევიკური „სიტყვის ხერხი", რომელიც მას ალბათ, ლენინის ან სტალინისაგან უსწავლია. იგი ამიტომ თავს უფლებას აძლევს ყრილობის მონაწილეებს მიაწოდოს ასეთი დემაგოგია: „ნაციონალურ საკითხში მათ (ი. ჟვანიას და გრ. გაბუნიას — ავტ.) ცოტა გადაბრა ემჩნევათ". მე ძველი პარტიული კაცი ვარ; მახსოვს საქართველოში გამოჩენილი ხულიგნების — ვოსტორგოვისა და ველიჩკოს ოინები... შარლატანი ხუცესი — ვოსტორგოვი საკუთრივ სამართლიანად იქნა ჩვენს მიერ დახვრეტილი, 1905 წელში რევოლუციის მოახლოების დროს. ამ პროვოკატორებმა კანკავებისა (? — ავტ.) და აშორდიას დახმარებით მოინდომეს სამეგრელოში ქართული ენის მოსპობა და მეგრული ანბანი შემოიღეს. სახარებაც სთარგმნეს (? — ავტ.). ყოველივე ამას ბნელი განზრახვები ედო სარჩულად: მათ სამეგრელო ცალკე ნაციად მონათლეს. მათი მიზანი იყო სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფა და ამ გზით მუშათა და გლეხთა მოძრაობის შენელება. მათი დევიზი იყო: „დაჰყავი და იბატონე". მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ მეგრული ენა ქართული ენის კილოკავი (? — ავტ.) არის, ჩვენი ფუძე ქართული ენა არის; ენა კი ჩვენთვის მიზანს არ წარმოადგენს (?! — ავტ.). იგი აზროვნების გადაცემის საშუალებაა. ამხ. გაბუნიას და ჟვანიას კი უნდათ დაიწყონ მეგრული კილოკავით, მეგრული ენით და შემდგომ ავტონომია მოითხოვონ ისევე, როგორც ამას მოითხოვდნენ მენშევიკების დროს ნაციონალ-დემოკრატები: სტეფანე გაგუა, იონა მეუნარგია (? — ავტ.), ძმები კანკავები და

სხვები. მათ დააარსეს „მაფალუს“ ჯგუფი; ამ ჯგუფის საკითხი, რომელსაც მეთაურობდა კომუნისტი დადიანი 1925 წელში ჩვენ გავარჩიეთ საქართველოს საკონტროლო კომისიაში. დადიანი კიდეც გაირიცხა ამის გამო პარტიიდან, თქვენ კი ამ ძველ საქმეს იმეორებთ და გულში (! — ავტ.) სამეგრელოს ავტონომიას მოითხოვთ. ვინც ამბობს „ა“-ს, მან „ბ“-ც უნდა წარმოთქვას. თქვენ თუ ავტონომია გინდათ, გულწრფელად აღიარეთ ეს აქ. თქვენი გამოსვლა პარტიის ყრილობაზე, ამხანაგებო ყალბია და შემცდარი (!? — ავტ.). იგი ნაციონალურ გადახრას მოასწავებს“ (გვ. 173; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). როგორც ვხედავთ, შ. ლეჟავამ გულთმისნობით აღმოჩენილი, ბრალდებად წარუდგინა ი. ჟვანიას და გაბუნიას. ასეთები დღესაც არიან, რა საწინააღმდეგო საბუთიც უნდა დაუდო, მაინც თავისას ირწმუნებიან და გაიძახიან. სინამდვილეში შ. ლეჟავას ნათქვამში არის მისთვის ადრე მიცემული დირექტივის, სხვისგან მოსმენილის, მის მიერვე ყურმოკრულის და მოგონილის კომპილაცია, რომელიც სურს გაასაღოს სადირექტივო ჭეშმარიტებად. ძმები კანკავები სტ. გაგუასთან ერთად მართლა იყვნენ მეგრული პატრიოტული საზოგადოება „მაფალუს“ დამაარსებლები. მაგრამ როგორც ადრე ვნახეთ, ფოთში სპეციალურად ორგანიზებული სამედიატორო სასამართლოს შვიდმა მოსამართლემაც კი ვერ დაამტკიცა მაფალუელების ავტონომისტობა თუ ანტიეროვნული სეპარატიზმი. ეს იცის შ. ლეჟავამ, მაგრამ ამის გახსენება ახლა ხელს არ აძლევს. მ. კანკავა იონა მეუნარგიას დასაფლავების დროს შეკრებილ ქართულის არმცოდნე ჭირისუფალთა, ანუ მეგრელი გლეხების გასაცნობიერებლად მეგრულ ენაზე გამოვიდა და „დამფრთხალი გონების პატრიოტების“ უსაფუძვლო ალიაქოთი გამოიწვია. იონა მეუნარგია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო. ამდენად მისი სეპარატისტად გასაღება მიზნობრივი ტყუილია. თუმცა ეს ტყუილიც ადვილი დასაჯერებელია, რადგან თავად ილია ჭავჭავაძე ამ დროს ბოლშევიკების მიერ გაგებულია, როგორც რეაქციონერი, ანტისაბჭოთა იდეოლოგიის წარმომადგენელი. ეს რაკი ასეა, რატომ იქნებოდა მიუღებელი და ძნელი იონა მეუნარგიას სეპარატისტად გასაღება?! ყრილობის მონაწილეებმა ისიც იციან, რომ გრ. ახალაია თავისი სეპარატისტული არგუმენტების გასამაგრებლად წერდა, რომ თითქოს ერთხელ ი. მეუნარგიამ ძველი არქივის გადასინჯვის დროს ვიღაცეებს ძველი მეგრული ანბანი აჩვენა, მერე კი დამალა და აღარ გამოაჩინა...

შ. ლეჟავას აბსურდული ბრალდებების უფრო ფართო კომენტირებას აზრი არა აქვს, მაგრამ აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ იგი ყრილობაზე მიზნობრივად თამაშობს პოლიტიკას. იგი მაშინაც სცოდავდა, როცა ასრულებდა სტალინის, ბერიას და სხვათა დირექტივას და „ავტონომიის“ ლენინურ-სტალინური იდეის „შუტკით“ გატაცებული „მეგრელი კომუნისტების“ მ. დადიანის, პ. როგავას, პ. ქობალიას, მ. გაბედავას ავტონომისტურ ქმედობას „არჩევდა“ და სეპარატიზმამდე აზვიადებდა. მხედველობაში მაქვს „მეგრელი ამხანაგების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის პრეზიდიუმის და პარტკოლეგიის 1925 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება, რომელსაც, როგორც პარტკოლეგიის თავმჯდომარე, ხელს აწერდა შ. ლეჟავა, ხოლო, როგორც ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე — დოლიძე. „სკეპტიკოსი ამხანაგი“ პოლიტიკოსები მართლაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ხელისუფლების სადაველების შენარჩუნების მისწრაფებებით, პოლიტიკანური დემაგოგიით და მოვლენებში ღრმად ჩაუხედავთა დეზორიენტაციის უნარით.

აქ აუცილებელია ითქვას, რომ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის ან გულში ჩადების ი. ჟვანიასა და გრ. გაბუნიასთვის დაბრალება პოლიტიკანური აბსურდია. ი. სტალინის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილი 1925 წლის 18 სექტემბრის დაშიფრული დეპეშის შემდეგ მითუმეტეს არასწორია. როგორც ჩვენს მიერ მოხმობილი წყაროდან ჩანს, სტალინმა უკვე 1925 წელს მოითხოვა „სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის შეწყვეტა და ამას „შეეწირნენ“ „მე-

გრელი ავტონომისტი კომუნისტები, ზუგდიდელი „ძმები ჩხოუშიელები“ მ. დადიანი და სხვ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამის შემდეგ ი. სტალინი გარკვეულ პერიოდში, ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, მხარს უჭერდა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონის ადმინისტრაციული ოლქის მოწყობას. ამას ადასტურებს მ. კალინინის დაპირება განცხადება ი. ჟვანიას მიმართ „ჩვენ სამეგრელოს მივცემთ ოლქს!“ რომელიც მან გამოსთქვა მე-16 ყრილობაზე და რიგი სხვა მასალებიც. ი. ჟვანიას და მის „მიმდევრებს“ სტალინის მიერ შემოფარგლულის გადაცილება არ შეეძლოთ და არც გასცილებიან. ჩვენი აზრის საწინააღმდეგო დოკუმენტი არ შეგვხვედრია და ჯერ არც არავის გამოუვლენია. სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა ი. ჟვანიას და მისი „მიმდევრების“ მიერ არის ტყუილი, პოლიტიკური თამაში, რომელიც „ვიღაცეებს“ საკუთარი რენომეს შენარჩუნების და პოლიტიკური თამაშისათვის სჭირდებათ. ამას ადასტურებს VI ყრილობაზე სხვების სიტყვებში ჩამოყალიბებული ნაზრევიც. ხელისუფლების სათავეებთან მყოფი პირები მ. კახიანის „დუდუკში უბერავენ“, რადგან მიაჩნიათ, რომ პარტიულ ელიტას სოლიდარობენ და ამასთან იცავენ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას და ისიც კარგად იციან, რომ ამით ამაგრებენ საკუთარ კარიერას. ამ მიზნით ისინი იმდენად მოწადინებულები არიან, რომ ზოგჯერ სამეგრელოს პრობლემებში თავიანთი გაურკვეველობას და ზოგჯერ საერთოდ პოლიტიკურ უვიცობასაც ამჟღავნებენ. ასე მაგალითად, ყრილობაზე გეგენავამ განაცხადა: „მე მესმის, რომ მეგრულ სკოლაში მასწავლებელმა სწავლების დროს მეგრული ენა უნდა გამოიყენოს. სულ ერთია ეს ზუგდიდის მაზრაში იქნება თუ სენაკის მაზრაში... ჩემთვის ისიც გასაგებია, რომ დაწესებულებებში, განსაკუთრებით სასამართლოში, მეგრული ენა იხმარებოდეს. მაგრამ სრულიად არაფერი მესმის, როდესაც ლაპარაკობენ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მეგრულ ენაზე უნდა მოხდეს... მაშასადამე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მეგრულ ენაზე ნიშნავს წინასწარ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა ან უკვალოდ ჩაივლის, ან და უნდა დაისვას საკითხი მეგრული ლიტერატურის შესახებ. შემდეგ ტერმინოლოგიის საკითხი და მთელი რიგი სხვა საკითხები... მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის საკითხი რამდენიმე წლით დასწევს უკან სამეგრელოს მშრომელი მასებს ჩვენს კულტურასთან (? — ავტ.) დაკავშირების საქმეს...“ სხვაგვარად რატომ არ შეიძლება?! ასეთებზე იტყვიან, მოდი და ელაპარაკეო. როგორც ვხედავთ, მისთვის გაუგებარია რა დღეში იმყოფებიან ქართულის არმცოდნე სამეგრელოს მშრომელი გლეხები და მათი შვილები. მას ისე ესახება თითქოს პარტიას მხოლოდ მათი კულტურული აღზრდის დარდი ჰქონოდა. მეგრულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომ უშუალო მწარმოებელთა ინტენსიურ ექსპლოატაციასაც ემსახურებოდა და არა მხოლოდ ქართული ეროვნული კულტურის კორიფეების, მათ მიერ რეაქციონერებად გაგებული ილიას, მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას და სხვათა შემოქმედების ათვისებას, ეს მისთვის გაუგებარი როდია. მას მხოლოდ ის აშფოთებს, რომ ამ ღონისძიებამ შეიძლება წაახალისოს ადამიანები, რომლებიც ამბობენ „რატომ არ გვაძლევენ ავტონომიას? ოსეთს და აფხაზეთს (მითუმეტეს აჭარლებს — ავტ.) ავტონომია აქვს, ჩვენ კი არ გვაძლევენო“ (გვ. 204). მერე და, გააგებინეთ საქმე რაშია, მაგრამ არა, არა და არა!

მიხა ცხაკაიამ ყრილობას გააცნო, რომ ენობრივი ბარიერის პრობლემა აქვთ არა მარტო მეგრელებს, არამედ ფშავლებს, ხევსურებს, სვანებს, რომელთა გლეხობასაც ისე კარგად არ ესმით ქართული ენა. ამის შემდეგ მან დასვა კითხვა „როგორ მოვიქცეთ აქ?“ მაშასადამე, ცხაკაიამ ისე გამოიყვანა საქმე, თითქოს საქართველოს ყველა სხვა რეგიონებშიც ისე მწვავედ იდგა ენის პრობლემა, როგორც სამეგრელოში. ამის შემდეგ უხუცესმა ბოლშევიკმა მოუწოდა, რომ „სამეგრელოს საკითხით გატაცება საჭირო არ არის. მე თვითონ სასკოლო ასაკის დროს ზუგდიდის მაზრაში ვიმყოფებოდი და მახსოვს, რომ იქ მოსახლეო-

ბის უმრავლესობა (? — ავტ.) მეგრულ ენაზე ლაპარაკობდა. ამჟამად საკითხის დასმა ისეთი ახალი რამის შექმნის შესახებ, რაც ეკუთვნის მომავალს, სხვა კულტურულ ეპოქას, საჭირო არ არის... წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ხალხებსაც (ფშაველებს, ხევსურებს — ავტ.) უფლება ექნებათ ნაწყენი დარჩნენ" (გვ. 213-214). აი სად არის ძაღლის თავი დამარხული. ვითომ მხოლოდ „მოსახლეობის უმრავლესობა" „ნიკოლოზის დროს" ზუგდიდში მეგრულად ლაპარაკობდა. ესეც ხომ ტყუილია. დღესაც კი, უმრავლესობა კი არა მთელი ზუგდიდი ერთმანეთში მხოლოდ მეგრულად ლაპარაკობს. ასეთია რეალობა.

ჯავახაძის აზრით, „იმ ლოზუნგების გარშემო, რომელიც ამ ამხანაგებმა წამოაყენეს, შეიძლება გაერთიანდეს სამეგრელოს სადადიანო ნაწილიც. ყოველგვარი კონტრეეოლუციონერებიც და კულაკებიც... ჯერ ერთი დაუშვებელია, რომ ჩვენ კუდში ვსდიოთ მასების აქტიურობის ზრდას და მეორეც ყოველ კარგ მოძრაობას, ცუდი ხელმძღვანელობის პირობებში, შეუძლია შექმნას ერთგვარი საფრთხე" (გვ. 233). მისი ბოლო წინადადება უთუოდ სიმართლეს ასახავს. მართლაც ასე იყო. „მეგრული საკითხის" მოგვარებაში დამუხრუჭებას იწვევდა ცუდი ხელმძღვანელობა და არა ავტონომიის ან მითუმეტეს სამეგრელოს გამოყოფის და დაღუპვის, არარსებული საშიშროება.

ურუშაძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ პრობლემები გარკვეულწილად ასაზრდოვა საქართველოს კომპარტიის ცეკას 1925 წლის 3 სექტემბრის და სხვა დადგენილების განუხორციელებლობამ. შექმნილი გაუგებრობის დაძლევის მიზნით მან საჭიროთ ჩათვალა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ახალი დადგენილება (26. III.1929) არ იქნეს გამოყენებული „სამეგრელოს ხალხის ნაციონალური ტენდენციების გაღვივების" და „ავტონომიის შესაქმნელად". მან ჩასთვალა, რომ ამ რთული საკითხის მოსაგვარებლად „მარტო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მეშვეობით ბრძოლა არ შეიძლება... უნდა სწარმოებდეს იდეოლოგიური ხაზი". მშვენიერი თვითაღიარებაა! საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება, აშკარად თუ ფარულად, მართლაც უპირატესად სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ძალებით ხდებოდა. მაგრამ მან ამასთანავე წარმოაჩინა კიდევ ერთი საყურადღებო სიახლე, რომელიც ყრილობაზე არავის გაუპროტესტებია. „საქმე იმაშია, — განაცხადა ორატორმა, — რომ 1925 წელს ზუგდიდს სამაზრო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა გამოიტანა დადგენილება სამეგრელოს ავტონომიის შესახებ... ამან ჩაუყარა საფუძველი ყოველივე იმას, რის მოწმენიც ჩვენ დღესა ვართ" (გვ. 239). მაგრამ, როგორც გვახსოვს, ამ დადგენილებაში, რომელსაც ფაქტობრივად სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა, გამოთქმული იყო სამეგრელოს „კულტურულ-ადმინისტრაციულ ერთეულად" ფორმირების საკითხი და არა ავტონომიად გამოყოფისა. მაგრამ ისიც არის, რომ კომუნისტების ერთმა ასეთმა ნაწილმა იგი ავტონომიად გაიგო და ასევე გაასაღა. მსგავსი ამბის გამო ამბობენ, მელას რაც ენატრება, ის ესიზმრებაო.

წულუკიძემ გაამართლა ზუგდიდელი ამხანაგები, „რომლებიც თავის პატარა ავტონომიას ებღაუჭებიან". მისი პოლიტიკანური „მიხვედრილობით" „ეს საკითხი სრულიადაც არ არის ნაციონალური ხასიათის. ეს სახსრების საკითხია. გზების, კურორტების და სამრეწველო მშენებლობის საკითხია". ეს საშუალებას მისცემს მათ მოსთხოვონ მეტი სახსარი ამიერკავკასიის ფედერაციასაც, საბჭოთა კავშირსაც და ჩვენს სახკომსაბჭოსაცო" და დაუმატა „აი რატომ არ ვაიცხავ მე ზუგდიდელ ამხანაგებს, როცა ისინი თავის პატარა ავტონომიას ებღაუჭებიანო". მაშასადამე, ისევ „ავტონომია!" ამ დემაგოგიური აღმოჩენის გამო მან თანამოაზრეთა ტაშიც დაიმსახურა (გვ. 255). დიახ, ერთიანი სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქი შეიძლებოდა გასაღებულიყო „პატარა ავტონომიად", რაიკომიც და ოკახიც ხომ პატარა ავტონომიური ერთეულია. ამიტომ ერთიანი სამეგრელოს თუნდაც სამაზრო გაერთიანება, გარკვეული ავტონომიური ერთეულია, მა-

გრამ არა პოლიტიკურ-იურიდიული შინაარსის ავტონომიური ოლქი. როგორც ჩანს, ესეც საჩოთირიოდ და „საშიშად“ ესახებოდათ.

ფირცხალავამ განაცხადა: რაკი ჩვენ ქართველები ვართ, რათ გინდათ გამოყოფა, რათ გინდათ ახალი ერის შექმნა“ (გვ. 255). ეს უკვე საყვედურია მის და სხვათა მიერ გამოგონილის გამო. საოცარია, რომ რჩეულ კომუნისტთა ყრილობაზე ამდენი დემაგოგი მოიძებნა და ეს ვერავინ შეამჩნია.

ს. მამულიამ თავისი სიტყვა ძირითადად გაბუნიას სიტყვას მიუძღვნა. მისი აზრით, „სამეგრელოს საკითხი“ არსებობს მხოლოდ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ თემისათვის და ზუგდიდის მაზრის ზოგიერთი ამხანაგისათვის“. ეს იყო ცნობილი მეგრელი ბოლშევიკის „დემაგოგიური ლოგიკა“. აქედან ისე გამოდის, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შესაბამისი დადგენილებები და სტალინის შემდგომი დათანხმება ჟვანიას მიმართ, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება დამატებითი მსჯელობა, აბსოლუტურად უსაფუძვლო და უაზრო ყოფილა. მაშასადამე, ჭკუა მხოლოდ მას ჰქონია. შემდგომ ს. მამულია ამავე პათოსით აგრძელებს: „ამიტომ ამხ. გაბუნიას არავითარი უფლება არ აქვს სამეგრელოს სახელით გააკეთოს აქ ესა თუ ის უპასუხისმგებლო განცხადება... ეხლა ქუჩამ იცის, რომ ჟვანია და გაბუნია სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ „სამეგრელოს საკითხის“ გარშემო.

ხ მ ე ბ ი: „მართალია!“ (და ამას მათი ტაშიც მოჰყვა — ავტ).

გაბუნიამ სწორედ გაუგო თუ საით მიჰყავდა მსჯელობა ს. მამულიას, ამიტომ მან რეპლიკა ესროლა: „ეს ხდება იმიტომ, რომ ზოგიერთი ამხანაგები წინააღმდეგობას გვიწევენ“.

მამულია: „სცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც დადგენილების გატარებას ეწინააღმდეგებიან და ამით თქვენ გაღიზიანებენ. თქვენც ეცადეთ არ გაღიზიანდეთ... ზუგდიდის მაზრის გლეხობა ჩოხა-ახალუხს თავს ანებებდა და ხალათზე გადადიოდა. ახლა კი თქვენ მიერ „სამეგრელოს საკითხით“ გატაცების ზეგავლენით, ხდება წინააღმდეგი პროცესი: ისინი იკერავენ ჩოხა-ახალუხებს და იხდიან ხალათებს... შემდეგ ნება მიბოძეთ, ეჭვი შევიტანო მის გულწრფელობაში, რასაც თქვენ აქ ლაპარაკობთ. თქვენ სულით გულის სიღრმეში ცენტრ. კომიტეტის რეზოლუციას სცილდებით, თუმცა ამას უარყოფთ“(ისევ გული სიღრმეში! — ავტ.). ესეიგი შავჩოხიანებიც ავტონომისტები არიან.

გაბუნია: „პროვოკაციაა“.

მ ა მ უ ლ ი ა: „თუ ეს პროვოკაცია არის, მაშინ რად ებღაუჭებით სამეგრელოს მუზეუმს, როდესაც შეიძლება ის მოთავსდეს საქართველოს მუზეუმში და როდესაც უფრო მიზანშეწონილი იქნება ის გვქონდეს არა ზუგდიდში, არამედ ტფილისში?... რატომ ებღაუჭებით ზუგდიდს — ამ დადიანების ყოფილ სატახტო ქალაქს?“

გაბუნია: „ეს დარაიონების საკითხია...“

ყურულაშვილი: „ჯერ დარაიონება ჩაატარონ“.

მამულია: „სრული ჭეშმარიტებაა თუ თქვენ, ამხანაგო გაბუნია და ჟვანია, გინდათ დაამტკიცოთ თქვენი გულწრფელობა, ჯერ გაატარეთ დარაიონება (ტაში).

გაბუნია: „ჩვენ გავაერთიანებთ სენაკს, ზუგდიდს და ფოთს. ცენტრი გვექნება ზუგდიდში (სიცილი, ხმაური)“... მაშასადამე, გაბუნია საქართველოს სახკომსაბჭოს და ცაკის დირექტივის (გ. მგალობლიშვილი) საფუძველზე აყენებს სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის საკითხს, ესენი კი დასცინიან.

მამულია: „მე ვაფრთხილებ ცენტრალურ კომიტეტს, რომ თუ ის თავის დროზე არ მიიღებს საჭირო ზომებს და არ შეგაჩერებთ, ამხანაგო ჟვანია და გაბუნია, — ის მოიმკის ცუდ ნაყოფს“ (გვ. 181-182). როგორც ვხედავთ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ერთ-ერთი მდივანი მხარს უჭერს ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანას და სასტიკად ეწინააღმდეგება სამეგრელოს

ადმინისტრაციული ოლქის შექმნასაც, მაშინ როცა იგი უმაღლეს დონეზე მიზანშეწონილად მიაჩნდათ. ეს მისი აზრია და, ამდენად, მისი საქმეა. მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნა უთუოდ საშიშროების მომასწავებელი იქნებოდა. საგულისხმოა, რომ ს. მამულიას და სხვათა სიტყვები „მეგრულ საკითხში" საქართველოს კომპარტიის შემდგომი დამოკიდებულების განსაზღვრაში ვერდიქტის მნიშვნელობისა აღმოჩნდა. ამის გაგრძელებას წარმოადგენდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ამავე თვის 28 რიცხვში მიღებული დადგენილება, რომელმაც ზუგდიდელი კომუნისტები იძულებული გახადა ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ნებართვის გარეშე სტალინთან „ნახევრად არალეგალურად" გაეგზავნათ და ყრილობაზე გამოსული დემაგოგების საწინააღმდეგოდ თავისი სიმართლე მოეპოვებინათ.

ყრილობაზე ი. ჟვანიას და გაბუნიას გამტყუნების მიზნით მრავლად მოუხმეს ავტონომისტებისა და სეპარატისტების არგუმენტებს. ისინი დააკავშირეს რუსიფიკატორებთან და თ. აშორდიასთან. კახიანმა გაიხსენა, რომ თურმე მაფალუსტების პროპაგანდით: „ლენინის ანდერძის თანახმად აქ აქამდისაც უნდა ყოფილიყო გამოყოფილი სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკა..." (გვ. 63). შ. ლეჟავამ, ძველმა პარტიულმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გაიხსენა: „საქართველოში გამოჩენილი ხულიგნების ვოსტორგოვის და ველიჩკოს ოინები" — ქართული ენის მოსპობის მიზნით „მეგრული ანბანის შემოღება", „სახარების თარგმნა", „სამეგრელოს ცალკე ნაციად მონათვლა", „მათი მიზანი იყო სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფა და ამ გზით მუშათა და გლეხთა მოძრაობის შენელება" (? — ავტ.). მისი ტყუილის თქმით, „ავტონომიას მოითხოვდნენ... მენშევიკების დროს ნაციონალ-დემოკრატები: სტეფანე გაგუა, იონა მეუნარგია, ძმები კანკავები და სხვები. მათ დაარსეს „მაფალუს" ჯგუფი; ამ ჯგუფის საკითხი, რომელსაც მეთაურობდა კომუნისტი დადიანი — 1925 წელში — ჩვენ გავარჩიეთ საქართველოს საკონტროლო კომისიაში; დადიანი კიდევაც გაირიცხა ამის გამო პარტიიდან, თქვენ კი (მიმართავს ი. ჟვანიას და გაბუნიას — ავტ.) ამ ძველ საქმეს იმეორებთ და გულში ავტონომიას მოითხოვთ!!" (გვ. 173). აი შარი როგორ და საიდან მოდიოდა. მ. კახიანი აცხადებს: „გამოირკვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შესაძლებელია არა შვიდი, არამედ სამი წლის განმავლობაში, და ამისათვის საჭიროა... მუშებს შორის ერთ წელიწადში, სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის — 2 წელიწადში, ხოლო 3 წელიწადში წერა-კითხვის უცოდინარობა აღმოფხვრილი უნდა იქნეს მთელს მოსახლეობაში" (გვ. 71). მაგრამ ეს აბსურდული პროგნოზი დაუძლეველი აღმოჩნდა.

ძველი ბოლშევიკის ქაცარავას მოგონებების მიხედვით, რომელიც 1913 წლამდე (! — ავტ.) სამეგრელოში მასწავლებლობდა, „სამეგრელოს საკითხი" (და არა „მეგრული საკითხი" — ავტ.) უკავშირდება გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებელ პეტროვს. პეტროვმა შემოიკრიბა სოფლის მასწავლებლობა: გაგუა (?! — ავტ.), აშორდია, ხორავა და სხვები; მათი დახმარებით მან შეადგინა სამეგრელოს სკოლებისათვის სახელმძღვანელო მეგრულ ენაზე — რუსული ანბანით რომელიც შევსებული იყო მეგრული ენის ბგუნების მიხედვით. ეს ბნელი ძალები (მათ შორის, ეროვნულ-დემოკრატი ს. გაგუა? — ავტ.) მეფის ერთგული მსახურნი — იმ დროს ხელმძღვანელობდნენ დევიზით — „დაჰყავი და იბატონე". ეს აიხსნება იმითაც, რომ იგივე პირები იყვნენ წინააღმდეგი ქართული ენის სწავლებისა ქართულ სკოლებში. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ეს ბნელი ძალები გაერთიანდნენ და სტეფანე გაგუას ხელმძღვანელობით შექმნეს ახალი პარტია (?! — ავტ.) — „მაფალუ". ნაციონალურ სამოსელში გახვეული „მაფალუისტები" ცდილობდნენ დაემალათ თავისი წარსული, მაგრამ მათაც ღირსეულად შეხვდნენ და საკადრისი პასუხი გასცეს.

დღეს „სამეგრელოს საკითხი" სულ სხვა სახით ისმის... არ იქნება სწორე, რომ მეგრულ ენაზე ვაწარმოოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ვინაიდან ვინც იტყვის „ა"-ს, მან „ბ"-ც უნდა სთქვას, რაც არასასურველ

შედეგამდე მიგვიყვანს...“ (გვ. 193-194). ამ უკანასკნელი ორატორის ამონარიდი ს. გაგუას შეფასებაში, როგორც ვნახეთ, სიმართლეს შორდება მრავალმხრივ. მისი ავტორი 1913 წლიდან სამეგრელოში არ მოღვაწეობდა. მაშასადამე, მისი „ნასიბრძნი“ არის წაკითხულ-გაგონილის ნაკრები. დანარჩენი მოყვანილი ამონარიდები ცხადყოფენ, რომ: 1. ე.წ. მაფალუელები ორიენტაციას იღებენ არა ლენინის ანდერძზე, არამედ სტალინის სტატიაზე – მაშასადამე, მ. კახიანი სცოდავს; 2. „მეგრული ანბანის შემოღება“, „სახარების თარგმნა“, „მუშათა და გლეხთა მოძრაობის გათიშვა“ და „სამეგრელოს ავტონომიურ რესპუბლიკად გამოყოფის მისწრაფება“ ნამდვილ „მაფალუს“, ეროვნულ-დემოკრატებს, არ უმტკიცდებათ; 3. საკონტროლო კომისიამ მ. დადიანს კავშირი ნამდვილ „მაფალუსთან“ ან რუსიფიკატორებთან ვერ დაუმტკიცა. 4. სენაკის წარმომადგენელმა მონიავამ ყრილობაზე განაცხადა, რომ „გეგმით“ წერა-კითხვა წელიწადში უნდა შეესწავლა 3000 კაცს, სწავლობს მხოლოდ 800 და დასძინა: „ჩვენ ვერ შევძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოვახდინოთ დასახული ხუთი წლის განმავლობაში...“ (გვ. 139). სენაკში თუ ეს მდგომარეობაა, გასაგებია რა მდგომარეობა ყოფილა ზუგდიდის და განსაკუთრებით კი გალის მაზრაში. მაშასადამე, „მეგრული საკითხი“ საქართველოს პარტოკრატიამ გაიხადა საკუთარი პოლიტიკანობისა და უთაობის დემონსტრირებად. მაგრამ ყრილობაზე პოლიტიკანურ დემაგოგიასთან ერთად, როგორც გამონაკლისი, გონიერმა სიტყვებმაც გაიჟღერა.

გურიის სამაზრო კომიტეტის მდივანმა დოლიძემ იკითხა: „<u>რატომ ამწვავებენ ადგილობრივი და ცენტრის ამხანაგები ამ საკითხს?.. ასეთი საკითხები ყრილობაზე არ წყდება, მისი მოგვარება ცენტრალურ კომიტეტს ევალება... როცა ამხანაგები ლაპარაკობენ ეოსტორგოვებზე, ველიჩკოზე და როცა მათი აჩრდილები ყრილობაზე გამოჰყავთ, ეს მთლად კარგი არ არის. არაფერი საერთო არ აქვს იმას, რაც ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა და ტარდება ზუგდიდის მაზრაში, იმასთან, რასაც ლაპარაკობდა ველიჩკო, ეოსტორგოვი და ყველა ჟურის ხუცესები და შავრაზმელები. მოვლენა უნდა ავიღოთ ისე, როგორც ის ნამდვილად არის</u>...“ აგაშენა ღმერთმა ძლიეს არ გავიგეთ გონიერი სიტყვა! თუმცა ამ ნათქვამში გასაკვირი არაფერია. ისედაც ცხადია, რომ ყრილობაზე მ. კახიანმა პასი ჩამოაწოდა, სხვები კი ურტყამენ. დოლიძე გამონაკლისია. რატომ?

ბევრი ხედავდა, რომ „მეგრული საკითხი“ პოლიტიკანურად მახინჯდებოდა. ასეთებს შორის იყო დოლიძეც, რომელსაც გამბედაობა ეყო ეთქვა სიმართლე, თუმცა, ამასთანავე, მან არასწორი აზრიც გამოსთქვა ზუგდიდის მაზრაში არსებული იმ ვითომ შეზღუდულობის არსებობის შესახებ, „რომ ზუგდიდელი ამხანაგები წარამარა ეპოტინებიან თავის მუზეუმს“. ეს კი თურმე რაში ვლინდება? „აქ სათუთად უვლიან ხანჯალს, რომლითაც ვიღაც მთავარი გლეხებს თავს აგდებინებდა. არის კიდევ ამ მუზეუმში რაღაც სამეფო თეფშები და ნაპოლეონის ჭადრაკი. ზუგდიდელი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ეს ისეთი მუზეუმია, რომელმაც მიწერმოწერა უნდა იქონიოს თვით ბრიტანეთის, პარიზის და სხვა მუზეუმებთან“. ამით დოლიძემ არა მარტო თავისი შეზღუდულობა, არამედ აგრეთვე მ. კახიანის ხაზის მიმართ თავისი ერთგულებაც წარმოაჩინა.

სინამდვილეში ზუგდიდის მუზეუმი შეიცავდა უნიკალურ ნიმუშებს, ისტორიული ფასეულებების, ხელნაწერების თუ სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ექსპონატების სახით. მათი შეგროვებისა და დაუნჯების მამულიშვილურ საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდეს ეროვნული კულტურის მოყვარულმა ადამიანებმა. მათ შორის თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის მუზეუმის პირველ დირექტორს, ზუგდიდის მაზრის მკვიდრს აკაკი ჭანტურიას, რომელმაც ლონდონში განსწავლის შემდეგ, სამშობლოში მოღვაწეობის პერიოდში, მუზეუმის ეთნოგრაფიული მასალები პირვანდელი 12 ათასიდან 40 ათასამდე გაზარდა და სერიოზული სამეცნიერო ლაბორატორია შექმნა. 20-იან და შემდგომ წლებში ზუგდიდის მუზეუმის ბაზაზე სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწეოდნენ

ცნობილი მეცნიერები შალვა ამირანაშვილი, სარგის კაკაბაძე, მიხეილ კანკავა, ბორის კუფტინი, სერგი მაკალათია, გივი ჟორდანია, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ჩხეტია, სოლომონ ცაიშვილი, სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი და სხვები. აკაკი ჭანტურიას გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა ამაგდარ მამულიშვილსა და მეცნიერს ასეთი შეფასება მისცა: „აკაკი ჭანტურია იყო გულისხმიერი, მოკრძალებული, თავისი საქმის მეტად ერთგული და მომთხოვნი ადამიანი. თავისი დაუცხრომელი ცხოვრება მან მოახმარა ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვის, აღმოჩენისა და აღდგენის საქმეს. მან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, რისთვისაც მის ღვაწლს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.“ მკითხველმა განსაჯოს, ვის უფრო დაეჯერება.

ზუგდიდის მუზეუმსა და მის ერთგულ მეცხოვნეზე შეჩერება იმისთვის დაგვჭირდა, რომ კიდევ უფრო ღრმად გავიაზროთ არა მარტო ამ ეროვნული დაწესებულების მიმართ პარტოკრატიული თვალსაწიერიდან გამოთქმული აზრის აბსურდულობა, არამედ აგრეთვე დავინახოთ „მაფალულელ-სეპარატისტებად“ შერაცხულთა, მათ შორის ზუგდიდის მუზეუმის დირექტორისა და ზუგდიდელი პარტიული ხელმძღვანელების განსჯის მოტივაცია.

ზუგდიდის მუზეუმის და სამეგრელოს სხვა კულტურული ფასეულობებისადმი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების დამოკიდებულება მათი და იმდროინდელი ზნეობრივი კლიმატის ფონზე სულაც არ გვეჩვენება ანომალიურად. არამედ გვახსენდება თბილისის უნივერსიტეტის იმდროინდელი ბოლშევიკი რექტორის, წითელი პროფესორის ი. ვაშაყმაძის დამოკიდებულება ეროვნულ ტაძარში დაცული ივ. ჯავახიშვილის მიერ გადარჩენილი და დაუნჯებული იმ ძველი ქართული ხელნაწერების მიმართ, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ (იმ ხელნაწერების იმდროინდელმა მცველმა) მოგვითხრო, რომ ი. ვაშაყმაძეს მოუთხოვია ხელნაწერების შენობიდან მოშორება. ამის შემდეგ, როცა ცუდ გუნებაზე მყოფს კიდევ ერთხელ დაუნახავს ხელნაწერები, რომელთა უნივერსიტეტიდან გატანა ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინათ, უყვირია: „Сейчас – же убирите этот архивный хлам!“

ი. ჟვანიას და მის მიმდევრებს საქართველოს პარტიული ცენტრი პლატონურ ოცნებას საკუთარი ყალბი მიხვედრილობით უთითხნიდა, შემდეგ თვითონვე უვითარებდა და მათი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა. ამ პოლიტიკური ხერხებით საქართველოს და ამერკავკასიის პარტიული ცენტრი ერთი გასროლით ერთდროულად რამდენიმე კურდღლის მოკვლას ცდილობდა: აბათილებდა კადიროვის, სამურზაყანოელი სტუდენტების და ი. ჟვანია-გაბუნიას სიმართლეს და რეალური პრობლემების გამო საკუთარ პასუხისმგებლობას თავს აღწევდა. მთელი ამ პოლიტიკანური თამაშის უბედურება ის იყო, რომ ერთი მხრივ, სამეგრელოს მაგალითზე საერთო ქართული სატკივარი იჩქმალებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ი. ჟვანიას და მისი მიმდევრების შესახებ უსაფუძვლო „ბრალეულობები“ გროვდებოდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გაზვიადდა დარაიონების გატარების შემდეგ, როდესაც დაუმორჩილებელ ი. ჟვანიას და მის მიმდევრებს ცენტრმა პოლიტიკანურად დაუპირისპირა ზუგდიდის მაზრისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი რაიონების ხელმძღვანელობა და აქტივი.

ამ დროს კიდევ უფრო რელიეფურად წარმოჩნდა „მეგრული საკითხის“ გამო გაღვივებული პოლიტიკანობა. ისე გამოჰყავდათ, თითქოს სამეგრელოს ენობრივ და ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, მოსკოვის ცენტრის მიერ განხორციელებული გარდაქმნები განაპირობა ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრის კაპრიზებმა. ამის დანახვის შესაძლებლობა ამ წიგნის მომდევნო თავებში მოგვეცემა. ახლა კი იმით გვინდა დავასრულოთ, რომ აუარებელი მძიმე ბრალდებების მიუხედავად, VI ყრილობამ ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შემადგენლობაში აირჩია და ყრილობის რეზოლუციის შემუშავებელ კომისიაშიც ჩაბა, ხოლო გაბუნიას პატივად დასდო ცკ-ის წევ-

რობის კანდიდატობა. ე.ი. რაო?! რაო და: ზუგდიდელო ამხანაგებო, თქვენს მოთხოვნებში მართალი ყოფილხართ, მაგრამ ლ. ბერიასაგან მომდინარე ყალბ ბრალეულობებს ვერ ვამხელთ, იძულებული ვართ თუნდაც უსაფუძვლოდ გაკრიტიკოთ, და ჩვენი ცოდვებიც თქვენ დაგაბრალოთ, მაგრამ პატივსა და ღირსებას არ გამადლით. ამიტომ შეეთანხმდეთ: თქვენც სუ და ჩვენც სუ!

რასაც ი. ჟვანიას ედავებოდნენ, ნაწილობრივ მაინც მართალი რომ ყოფილიყო, ამ კაცის გაქრობა, თუნდაც ჩამოშორება, იმდროინდელი სასტიკი რეჟიმის პირობებში პრობლემა არ იყო. ივანე ჯავახიშვილი 1926 წლის პირადი და უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ნების წინააღმდეგ გადააყენეს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან, ხოლო 1931 წელს თანამოაზრეთანამებრძოლებთან ერთად გააგდეს საკუთრივ მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან და, რა გახდა ამ დროს ვითომ ავტონომისტი ისაკი ჟვანია, რომ ადგილიდან ვერ დაძრეს „მძიმე ანტიპარტიული და ანტიეროვნული" დანაშაულობების" მიუხედავად?! საქმე ისაა, რომ ი. ჟვანიას სტალინური ხაზისათვის არასდროს გადაუხვევია, ამასთანავე იგი ასახავდა საერთოდ სამეგრელოს და განსაკუთრებით ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების ინტერესებს, ხოლო მისი „ავტონომისტობის" შესახებ მსჯელობა პოლიტიკანური სიყალბე და პოლიტიკანობა იყო. არა აქვს მნიშვნელობა საიდან საზრდოდებოდა იგი და ვის რისთვის სჭირდებოდა, მთავარია, რომ ამის შესახებ მოსკოვისა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობაში კარგად იცოდნენ. რაც შეეხება ზუგდიდში პარტიის ხაზის მოწინააღმდეგედ შემორჩენილ ორიოდე ავტონომისტს, ისინი რეალურ საშიშროებას მაშინაც ვერ ჰქმნიდნენ, როცა შეეძლოთ „მეგრულ საკითხში" დაბნეული თუნდაც ათეულობით ხელმომწერის მოგროვება. მითუმეტეს ახლა ისინი არავითარ რეალურ ანტიქართულ ძალას არ წარმოადგენდნენ.

VI ყრილობაზე ი. ჟვანიას და მის მხარდამჭერებს მოუწყეს პარტოკრატიული ინკვიზიცია, რამაც ი. ჟვანიას შემდგომ უკუღმართ შეფასებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, რადგან ბევრი მკითხველი ამ პოლიტიკანურ დემაგოგიაში სიყალბეს ვერ ხედავს და ყველაფერი მეგრელი ავტონომისტების ნიშნის მომგები ოქრო ჰგონია. ამის შესახებ საგანგებოდ შეჩერება აუცილებელია, მაგრამ ამჯერად საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ მიიღო ზოგადი რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვა საერთოდ ნაციონალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. „ცდები ცალკე ამხანაგებისა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომლებიც არსებითად ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას გამოხატავენ, რომ გადაიყვანონ ჩვენი პარტია ნაკადი გზიდან, გადაახვევინონ მას ლენინურ ნაციონალური პოლიტიკიდან ნეოუკლონიზმის გზაზე, სწორი ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯება... მშრომელთა მასების ჩამორჩენილ ფენებში (! — ავტ.). ნაციონალისტურ განწყობილებათა არსებობა — ავალებს საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციას, რომ მან განამტკიცოს და გააფართოვოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიცია". რეზოლუცია ამოცანად სახავს, რომ გაიშალოს „შემდგომი ბრძოლა, როგორც ქართულ და ველიკორუსულ, ისე ადგილობრივ (მეგრულ, სომხურ, აფხაზურ, თურქულ და სხვა) ნაციონალიზმთან და მათ ყოველგვარ გამოხატულებასთან..." აქედან ჩანს, რომ ყრილობას ადგილობრივი ნაციონალიზმის თვალსაზრისით გაიგივებული აქვს ის მოთხოვნები, რომლებსაც „ამხანაგ" ი. ჟვანიას მეთაურობით აყენებდნენ ზუგდიდის მაზრის პარტიული ორგანიზაციის „ამხანაგები", ინტელიგენტები და გლეხები. საყურადღებოა ისიც, რომ ორივე მხარე — მეგრელი ვითომ „ნაციონალისტი ამხანაგებიცა" და ყრილობის რეზოლუციის შემმუშავებელ-მიმღები ამხანაგებიც — თავიანთი აზრების დაცვაში იშველიებენ „ლენინურ-ნაციონალური პოლიტიკის" გაგებას, „პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის" მოთხოვნებს და „ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული განვითარების" ამოცანებს. ამ ორივე მხარის პარტიული აზროვნებიდან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მეგრელი ამხანაგების მოთხოვ-

ნებში ნაციონალისტური, ეროვნულის საწინააღმდეგოს გაგ[illegible] არაფერია. ამას მათ ვერ დავაბრალებთ. „მეგრულ საკითხში“ ბრძოლა სწარმ[illegible]ებდა „ამხანაგების“ პირად შეხედულებებს შორის. ი. ჟვანია ეყრდნობოდა ად[illegible]ლობრივი ენის და წერა-კითხვის უცოდინარი მეგრელი გლეხების ინტერესებს და ზოგჯერ აჭარ-ბებდა, ზოგჯერ კი იშველიებდა პარტიულ დემაგოგიასაც. მაგრამ ასევე იქცეოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრთა ის ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგე-ბოდა ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის გასაგებ ენაზე გაზეთის მიცემას და უგულებელყოფდა მათი შვილებისათვის სკოლის დაწყებით (პირველ-მეორე) კლასებში გასაგებ ენაზე სწავლების გზით სასწავლო საგნების უკეთ დაუფლების მოსამზადებელი საფეხურის შექმნას. თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ-ჯერად, ამ უკანასკნელი მოსაზრებიდან ი. ჟვანიამ ერთგვარად უკან დაიხია. როგორც ჩანს, მან ანგარიში გაუწია ამ დროს შექმნილ სიტუაციას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის ხელმძღვანელობის მი-მართ გამოთქმული თუნდაც უსამართლო საყვედურები ერთგვარ ახსნას მაინც ექვემდებარებიან. ეს ის არის, რომ ზუგდიდში ანტიქართული ექსტრემისტული გამოვლინების აღმოფხვრა-მოსპობასთან ერთად „ავტონომისტური“ განწყობილება არ აღმოფხვრილა. სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლი ერთეულებისთვის გაუგებარი რჩებოდა აჭარის ავტონომიის სტატუსის იდეური საფუძვლებისა და სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შეუძლებლობის იდეური საფუძვლის პრინ-ციპული განსხვავებულობა, რომელიც თეორიულად არც არსებობდა. ამის გამო ცალკეული ჩხოუშელი კომუნისტი „თეორეტიკოსები“ ყოველთვის ეჭვობდნენ, რომ სამეგრელოსთვის ავტონომიის მიუცემლობა იყო საქართველოს და ამიერ-კავკასიის ქართველი ბიუროკრატი ხელმძღვანელობის კაპრიზი, ხოლო სტალინი და მოსკოვი მხარს უჭერდნენ სამეგრელოს ავტონომიას. ამ აზრით ისენი მუდ-მივად ცდილობდნენ თავიანთი სიმართლის მოპოვებას. როგორც ჩანს, ისენი თავისებურად აკვალიანებდნენ მოსკოვიდან ჩამოსული კომისიის წევრებს. ამას-თანავე, მათი ავტონომისტური განწყობილება და ბრძოლა ერთგვარად ასო-ცირდებოდა „მეგრული საკითხის“ მოგვარების პრობლემებთან, ამიტომ აფრთხობ-და ბობოლა მოწინააღმდეგეებს და ურთულებდა რაციონალურისა და რეაქ-ციულის გაგების შემეცნებას. ამიტომაც იყო, რომ ავტონომიის შიშით დამ-ფრთხალი პარტოკრატები ხშირად ებრძოდნენ რაციონალურსაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის რეზოლუციებმა ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრები არ და-აკმაყოფილა, უფრო მეტიც, ისინი შეურაცხყოფილიც დატოვა. მათ საკუთარი თავი ჩასთვალეს უფრო მცოდნე, მართალ ლენინელ-სტალინელებად და აშკარად დაუპირისპირდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს. ამიტომ ი. ჟვანიამ პარტიული სუბორდინაციის რკინისებური წესის დარღვევით „ტვინგაყინულებს“ არ დაუჯერა და, როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, უშუალოდ სტალინს მი-აკითხა, „მეგრული საკითხის“ მიმართ პარტიის და პირადად სტალინის პოზიციის გასარკვევად.

როგორც მოცემული თავის ანალიტიკურმა გაშუქებამ დაგვანახა 1928 წლიდან, ქვეყნად მიმდინარე პროცესების გავლენით ნოყიერი ნიადაგი შეექმნა „მეგრული საკითხის“ რაციონალურ მოგვარებას, რომელიც ჯერ კიდევ 1923-1925 წლებიდან იწყება. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან წინააღმდე-გობებს აწყდებოდა.

თავი XIV

სტალინმა „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარება ინება, მაგრამ მისი ნაწილობრივად განხორციელების ტენდენცია ასაზრდოვა

როგორც ამ წიგნის წინა თავებში ვნახეთ, „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარება 1922 წლიდან 1928 წლამდე მხოლოდ საქართველოს ცენტრის ფორმალური ღონისძიებების სახით გამოვლინდა. მან რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციალება ვერ ჰპოვა, რადგან იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფაქტობრივად დააკონსერვა. საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის (1925 წ.) შემდეგ მხოლოდ 1928 წლიდან დაიწყო ამ პრობლემის სახელმწიფოებრივი მოგვარების ახალი, ისევ ფორმალური, პარტიულ-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დასახვა. ეს ფორმალური ღონისძიებები უშუალოდ გამომდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის იმ ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ამოცანებიდან, რომლებიც საბჭოთა ხალხის სასურსათო უზრუნველყოფის, ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური რეკონსტრუქციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მზარდმა მოთხოვნებმა დააყენა. სამეგრელოს სპეციალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის ხელსაყრელი და სსრ კავშირის მზარდი მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის სამეგრელოს უნიკალურმა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების შესაძლებლობებმა დღის წესრიგში დააყენა რეგიონის სოფლის მეურნეობის პარტიის ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნა-განვითარების მოთხოვნები. ამდენად, გარდაუვალი გახადა ამ რეგიონის ქართულის არმცოდნე გლეხების, მისი ერთადერთი სალაპარაკო, მშობლიური ენით გამოყენების აუცილებლობა. საჭირო გახდა დაძლეულიყო საქართველოს ცენტრის მიერ მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული მოთხოვნებისა და საქართველოსაგან სამეგრელოს გამოყოფის შესახებ წლების მანძილზე პოლიტიკური მიზანდასახულობით, ყალბად ნასაზრდოები სამეგრელო-აფხაზეთის უშუალო მწარმოებელი ქართველების გამეგრელების „საშიშროების“ ფსიქოზი. ახალმა სიტუაციამ მოითხოვა ბოლო მოღებოდა „მეგრული საკითხით“ პარტოკრატიულ სპეკულაციას, ბერიას და მისი გარემოცვის მიმართ მაამებლობა-მლიქვნელობას და სამეგრელოს პრობლემების მოგვარებით ვითომ დიდი ეროვნული საშიშროების მოსალოდნელობისაგან თავდაცვის პარტოკრატიულ გულმოდგინებას. ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობამდე ამ მიმართულებით და მაშასადამე, „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების მიზნით, საქართველოს კომპარტიისა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ძალისხმევის გააქტიურებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა საკავშირო კომპარტიის ცკ-ის, ე.წ. პშენიცინის კომისიის მუშაობამ, საკ.კპ(ბ) ცკ-ის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილებამ და მისი ცხოვრებაში გატარებისთვის, ამავე თვის მიწურულში, ჩატარებულმა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის IV პლენუმმა, კერძოდ, მასზე სკპ(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს სადირექტივო ამოცანებიდან გამომდინარე აზრებით აღჭურვილი და დაბრუნებული პშენიცინის მოსაზრებების ჩამოყალიბებამ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე პშენიცინის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ზოგმა დაინტერესებულმა მუშაკმა ინსტრუქტორის პირად ნააზრევად და შოვინისტი ელემენტების წახალისების გამოვლინებად გაასაღა, იძულებულნი გახდნენ მისთვის ანგარიში გაეწიათ.

პლენუმზე სიტყვით გამოსულმა კ. კობახიძემ განაცხადა: „არ ვიცი მოსკოვში თავის მოხსენებაში რა თქვა ფშენიცინმა, მაგრამ აქ წინდაუხედაობა გამოიჩინა... სთქვა „საჭიროა მეგრულ ენაზე პოპულიარული ბროშურის გამოცემაო...“ ფშენიცინმა უნდა იცოდეს, რომ ერთი წლის წინ საქართველოს ორ-

განიზაციამ გარკვეული ბრძოლა აწარმოა იმ შოვინისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომელმაც ეს საკითხი წამოაყენა. ეს საკითხი იდგა საქართველოს ცკ-ში, აკ. სამხარეო კომიტეტში და საკავშირო ცკ-ში, და ინსტრუქტორი, რომელიც ეროვნული საკითხის გადაჭრაზე ასეთ რაღაცას ამბობს, ეს ზოგ შოვინისტ ელემენტს აძლევს საშუალებას კვლავ ჩაეჭიდოს ამ საკითხს". კობახიძე „შოვინისტებში" უთუოდ გულისხმობს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრებს ი. ჟვანიას და სხვებს, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ქართულის არმცოდნე გლეხების ინტერესებს. კობახიძემ, როგორც ჩანს, ვერ გაიგო, რომ პშენიცინს საკუთარი გუმანით ან სურვილით პლენუმზე ქსოდენ სერიოზულ და მტკივნეულ საკითხზე საუბარი არ შეეძლო. გაბუნიამ კობახიძეს მიაძახა: „მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი, რადგან უკვე გვქონდა". კობახიძემ ვითომ ნიშნი მოუგო: „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრაწლედი, ზეგ კი შეიქმნება ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენათვის, რომ გამოსცეთ ბროშურები მეგრულ ენაზე უნდა გყავდეთ განათლებული მეგრელები, უნდა გახსნათ სკოლები".

ამ დემაგოგიამ არჩილ რუხაძეც წააქეზა, მან რეპლიკა ისროლა: „თქვენ ლენინური გადაწყვეტა კი არა გაქვთ საკითხის, არამედ ვოსტორგოვისეული. აქ არ არის ნათქვამი, რომ სამეგრელოს ცალკე ნაციად თვლიანო". თურმე იმისათვის, რომ მეგრული გლეხური საინფორმაციო ბროშურის წაკითხვის უფლება მიიღოს ქართულის არმცოდნე მეგრელმა გლეხობამ, საკმარისი არ ყოფილა ენის არცოდნა და კიდევ საჭირო ყოფილა „ნაცია" იყოს. აი, თურმე, რატომ იკლავდნენ თავს ზოგიერთები, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელები ქართველებისაგან დამოუკიდებელი „ნაცია" არისო. თუმცა რა გასაკვირია მეგრელების ნაციად მტკიცება, მაშინ, როცა აჭარლები 1922 წლიდან 1937 წლამდე ყველა დონეზე „ნაციად" იწოდებოდნენ.

ჯერ იყო ს. ორჯონიკიძემ საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე განაცხადა: „ქართველი ხალხი წარმოადგენს გაბატონებულ ეროვნებას საქართველოში და მან უნდა დაამტკიცოს თუ როგორ უნდა მოეპყრას იგი საქართველოში მცხოვრებ <u>პატარა ეროვნებებს — აჭარლებს</u> (! — ავტ.), აფხაზებს, ოსებს..." (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 182, ფურც. 61).

შემდეგ აჭარლები ცალკე ნაციად არიან მოხსენებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1937 წელს გამოცემულ საბჭოთა მოსახლეობის „ეროვნებათა ლექსიკონში". საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიას 1926 და საბჭოთა ენათმეცნიერების ინსტიტუტს 1937 წელს ცალკე ეროვნებად ჰყავთ გამოყოფილი მეგრელებიც კი (იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო საამართველოს ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2008, №2, გვ. 37). როგორც ჩანს, მათ ასე აუთვისებიათ სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები". აი დამატებითი მაგალითები იმის გასაგებად, თუ რატომ აცხადებდნენ ე.წ. მაფალუელები, რომ მეგრელები „ნაციას" წარმოადგენდნენ. მაგრამ გაბუნია საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდა. მან განმარტა: „რაც შეეხება სამეგრელოს, მე რომ აქ ვიყავი, მეც აშკარა მოწინააღმდეგე ვიყავი თუ რამეს გავიგონებდი მეგრულ ენაზე ან წიგნზე, მე ვკანკალებდი და გამოვდიოდი ამის წინააღმდეგ. მაგრამ, როცა მე სამეგრელო მოვიარე. პრაქტიკით დავრწმუნდი, და ვიწყე ამ საკითხის სხვაგვარად დაყენება.

ჩვენ გვაქვს ერთი რეაქციული მიმდინარეობა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. ეს ისაა, რომ მეგრელებს თვლიან ქართველებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ნაციად. ასეთი ბოროტება არის და მას უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ მის წინააღმდეგ რომ მეგრელ გლეხებს რაიმე მივცეთ მეგრულ ენაზე, არავის შეუძლია ამის წინააღმდეგი იყოს. გლეხს უნდა მეგრულ ენაზე მივცეთ პატარა მასალები სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებიდან, რომ წაიკითხოს, გაიგოს და ლიკვიდაცია უყოს ქართულის უცოდინარობას, რომელიც გლეხობას ღუპავს" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 314, ფურც. 107-109,

104). რატომ ვერ გაიგო ეს სხვამ? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ არ უნდათ გაგება. მაგრამ რატომ არ უნდათ? ამ კითხვაზე არსებობს განსხვავებული არგუმენტაცია. მათ შორის უმთავრესია თვითცენზურა. დაკვირვებულ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ეს აზრი ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა გამოაქვეყნა. მაშასადამე, კვლევაც არსებობდნენ კომუნისტები, რომლებიც მხარს უჭერენ „მეგრული საკითხის" რაციონალურად მოგვარებას. როგორ შეიძლება ამ ნათქვამს გაეცნო, მაგრამ მისი მთქმელის და თანამოაზრეებისა არ დაიჯერო?!

საქართველოს პარტოკრატიულ-ბიუროკრატიულ ცენტრში უფრო წინდახედულები აღმოჩნდნენ. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობამ სწორად გაიგო, რომ საკ.კპ(ბ) ცკ-ის მიერ მოვლენილი კომისიის ხელმძღვანელისა და პასუხისმგებელი ინსტრუქტორის აზრი იყო მოსკოვის ცენტრის (მაშასადამე სტალინის) დირექტივა. ამიტომ ამის შემდეგ საქართველოში საკ.კპ (ბ) ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის მითითებების განსახორციელებლად სათანადო ღონისძიებები გატარდა. სადირექტივო მითითებების შესაბამისად გამოჰყვეს კომისია, რომელსაც „მეგრული საკითხის" მოგვარების კონკრეტული პრინციპები უნდა შეემუშავებინა. ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტმაც არ დააყოვნა და კომისიას თავისი მოსაზრებები მიაწოდა გასათვალისწინებლად.

გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1929 წლის 26 მარტს მიიღო დადგენილება, რომელმაც ფაქტობრივად სანქცია მისცა თავისსავე გაყინულ აფრინდელი და 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. გადაწყდა მეგრული გაზეთის გამოცემა, მაგრამ ეს პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული წინააღმდეგობის გამო ამავე წლის მაისში მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, „როგორც შეცდომა" და, მაშასადამე, კვლავ დამუხრუჭდა. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ი იძულებული გახდა, „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების მიზანდასახულობების შესაბამისად, ძალაში დაეტოვებინა 26 მარტის დადგენილების სხვა მუხლები, კერძოდ, სამეგრელოს იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა, რაიონულ და სასოფლო აღმასკომებში, სასამართლოებში მეგრული ენით საქმის წარმოების შემოღება და მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია. აგრეთვე შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქართულის არმცოდნე გლეხებისათვის საინფორმაციო ხასიათის სააგიტაციო განმარტებითი ბროშურებისა და ფურცლების გამოშვება. ისიც იმ პირობით, რომ მათში დაცული იქნებოდა კომუნისტური ხაზი და პარტიის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6 ს. 266, ფურც. 74/2).

„მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების მიმართულებით ერთგვარ წინსვლას გამოხატავდა საქართველოს ახალ აღმინისტრაციულ რეფორმასთან დაკავშირებით სამეგრელოს ოლქის ფორმირებისა და მის ცენტრად ზუგდიდის არჩევის თუნდაც თეორიული შესაძლებლობების შექმნა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრის ინიციატივით ზუგდიდის მაზრის აქტივის აზრის მობილიზება.

მაგრამ აღნიშნული ტენდენცია, როგორც ვნახეთ, ფაქტობრივად გააბიაბრუა საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ. ყრილობაზე კადიროვის „ცილისწამებლური" ბრალდებების გასაქარწყლებლად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის მ. კახიანისა და მისი მხარდამჭერების მეცადინეობამ ყრილობის მონაწილეებში ცკ-ის მიმართ ერთგულების დემონსტრირების მიზნით, გამოიწვია ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობის უხამსი კრიტიკა და „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების იდეების შეურაცხყოფა. ეს ნათელს ხდიდა, რომ სტალინის ჩარევის გარეშე „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარება თეორიულ წაჯექ-უკუჯექობას თავს ვერ დააღწევდა. ამაში დარწმუნებულმა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა მიზნად დაისახა უშუალოდ სტალინს

დაკავშირებოდა და სამეგრელოს გლეხობის პრობლემა ბელადის წინაშე დაეყენებინა. ამ გზით ერთხელ და საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო საკითხის მოგვარების შესაძლებლობა. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა პარტიული სუბორდინაციის რკინის კანონის დარღვევით, კონფიდენციალური გადაწყვეტილებით სოჭის აგარაკზე მყოფ სტალინთან მიავლინა ი. ჟვანია. სტალინთან მოლაპარაკებისა და ბელადის რეაგირების შესახებ ერთადერთ წყაროს, რომელსაც დაინტერესებული პირები ეყრდნობიან, წარმოადგენს ი. ჟვანიას მონათხრობი. მას ასახავს ი. ჟვანიას მიერ 1931 წლის აგვისტოში საკ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროსადმი გაგზავნილი „დახურული წერილი მეგრული საკითხის გამო" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14. აღ.6, ს.266, ფურც. 74-77). ეს არის უმაღლესი ინსტანციისადმი გაგზავნილ წერილში შესული ტექსტი და, ამასთან, ამ წერილში მოყვანილი ამ და თითქმის ყველა სხვა ფაქტის გაკონტროლება-დადასტურება ხერხდება. ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ, განვაცხადოთ: იგი სავსებით შეესაბამება სიმართლეს და, ამდენად, გამორიცხულია სტალინის შესახებ ი. ჟვანიას მონათხრობში სიმართლის მიზნობრივი დამახინჯების თაობაზე ეჭვის შეტანა.

ი. ჟვანიას აღნიშნულ წერილში მეგრული გაზეთის გამოცემის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1929 წლის 26 მარტის (ოქმი №61) დადგენილების მე-4 პუნქტის ამავე წლის 3 მაისის ცკ-ის სამდივნოს დადგენილებით მოხსნას, უხეშ შეცდომად მიიჩნევს. ამის შესახებ ეკითხულობთ:

„ასეთი უსაქციელობის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ ნახევრად ოფიციალურად გაგვეცნობიერებინა პარტიის ბელადი ამხ. სტალინი და ზუგდიდის სამაზრო პარტიულმა კონფერენციამ 1929 წელს არალეგალურად მიმავლინა ამხ. სტალინთან სოჭში, სადაც იგი იმჟამად ისვენებდა და მე 12 სექტემბერს მოკლედ ჩამოუყალიბე ამხ. სტალინს ყველაფრის შესახებ". ი. ჟვანია აქვე აგრძელებს: „კონკრეტულად <u>ამხ. სტალინს ვთხოვე, რომ მას თავისი მითითებები მოეცა შემდეგ საკითხებზე:</u>

<u>1. მეგრულ ოლქთან, ან საოლქო აღმასკომთან დაკავშირებით.</u>

<u>2. მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა გლეხური ლიტერატურის გამოცემის შესახებ.</u>

<u>3. სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრული ენით სწავლების შემოღების შესახებ.</u>

<u>ყველა სამივე საკითხზე ამხ. სტალინმა დადებითი მითითება გასცა,</u> რომლის შემდეგაც ეს საკითხი კვლავ დადგა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმში და 21 დეკემბრის №17/II გადაწყვეტილებაში ნათქვამია: ნება დაერთოს ზუგდიდის მაზრკომს მეგრულ ენაზე გლეხური გაზეთის გამოცემა" (იქვე, ფურც. 74/2-75).

როგორც ვხედავთ, ი. სტალინს საქართველოს კომპარტიის წინააღმდეგ არალეგალურად მოქმედი ი. ჟვანია არ დაუტუქსავს. არადა, რა უშლიდა ხელს, რომ სტალინს იგი ისევე აეგდო აბუჩად, როგორც თავის დროზე ქართველი უკლონისტები, „სამეგრელოს ავტონომიის ადვილად დამჯერე ამხანაგები" ან როგორც მამულია და სხვები აიგდო? აბსოლუტურად არაფერი. ამჯერად გაიმარჯვა ი. ჟვანიას „ლენინური ნაციონალური პოლიტიკის" სიმართლემ. ი. სტალინმა გარკვეულ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1923 წლის 12-15 სექტემბრის და 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილება (მისი მუხლი 1 და 3), რომლის განხორციელებისათვის ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრკომი მთელი ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდნენ „ეროვნული" ინტერესების დამცველი პარტიული ელიტის წინააღმდეგ. ეს ხომ პრინციპში იგივეა, რასაც იცავდა ალ. გეგეჭკორის, ლ. ქართველიშვილის, ნ. ბახტაძის, კ. სვანიძის, ი. ჟვანიას და მათი თანამოაზრეების მიერ გაცხადებული გეზი. მაშასადამე, პშენიციინის მიერ საქართველოს კომპარტიის 1928 წლის სექტემბრის პლენუმზე გაცხადებული რეკომენდაციები სტალინის მიერ ყოფილა სან-

ქცირებული. ამასთან, სამეგრელოს ოლქის ან საოლქო აღმასკომის შექმნის და დაწყებითი სკოლის პირველ-მეორე კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების ნებართვის სახით, როგორც ვნახავთ, სტალინმა ი. ჟვანიას ნაწილობრივ გაუნაღდებელი თამასუქი მისცა და თამაში გაუხანგრძლივა. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ამთავითვე აღსანიშნავია: სტალინს ი. ჟვანიას წინადადებებში არც ავტონომიზმი დაუნახავს და, მით უმეტეს, არც — სეპარატიზმი. გამორიცხულია იმის დაშვების შესაძლებლობა, რომ ი. სტალინი მეგრელი კომუნისტების „ნამდვილ", მათი მოწინააღმდეგეების მიერ სეპარატისტულ და კონტრრევოლუციურად შეფასებულ მიზანდასახულებებს ვერ ჩასწვდა, ან მან „ქართულ ეროვნულ ინტერესებს უღალატა". არც ისაა საფიქრებელი, რომ ჩაის კულტურის პერსპექტივებზე საუბრით ი. ჟვანიას შეეძლო ი. სტალინის „დაბმა". როგორც ადრე აღვნიშნეთ, ი. სტალინი საქართველოს მთელ პარტოკრატიულ სამზარეულოს ლ. ბერიას მეშვეობით ზედმიწევნით იცნობდა და, „მეგრული საკითხიც" მისი ნამართავი გახლდათ. მაშასადამე, ესაა იმის კიდევ ერთი საფუძვლიანი არგუმენტი, რომ ი. ჟვანიას და სხვათა ამ თხოვნებში და ი. სტალინის შესაბამის „მითითებებში" არავითარი ანტიქართულის დანახვა არ ხერხდება. მაშასადამე, ის მოხდა, რომ ისაკის და სტალინის ნაბრძანები ერთმანეთს დაემთხვა. სტალინისთვის მთავარი იყო პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება — პირველი ხუთწლედის შესრულება. მისი წარმატება სამეგრელოს რეგიონში ი. ჟვანიას მიერ დაყენებული საკითხების, ანუ „მეგრული საკითხის" სწორი მოგვარების გზით, მეტ გარანტიას იძლეოდა, ამიტომაც იგი განხორციელებადს წარმოადგენდა. ეს ამასთანავე შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას და მოთხოვნილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უთუოდ საყურადღებოა ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ მოხმობილი ცნობა იმის შესახებ, რომ სტალინის დასტურთან ერთად „აქვე მიიღო ი. ჟვანიამ მითითება ჩაის კულტურის გაძლიერების შესახებ და სხვ." (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 3 ნოემბერი). ამის მაჩვენებელი წყარო არ მოგვეპოვება, მაგრამ ესეც სავსებით შესაძლებელია და ამით საკითხის ნეგატიური ახსნა, ჩვენი აზრით, არ ხერხდება. ამასთან, არავითარი საშიშროება საბჭოთა ან ქართულ ინტერესებს არ ექმნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი. ჟვანიას თვითმოქმედებას და ი. სტალინის მხარდაჭერას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ზუგდიდელ კომუნისტებსა და საქართველოს, აგრეთვე ამიერკავკასიის, პარტიული ცენტრის დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობა ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რადგან მაზრის ხელმძღვანელობამ, ფაქტობრივად, მოუგო არა მარტო ბერიას და ამიერკავკასიის მოწინააღმდეგე ხელმძღვანელობას. არამედ, აგრეთვე, მათგან ნასაზრდოები ეჭვების დამჯერე პოლიტიკურ პარტოკრატიას, შესაბამისად, მოვლენებიც შემდგომში უაღრესად დრამატულად განვითარდა. სტალინმა სამეგრელოს ოლქის მშენებლობის და დაწყებით კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების დასტურით ი. ჟვანიას და ზუგდიდელ ამხანაგებს ისეთი სტიმული მისცა, რომ ეს საკითხები დღის წესრიგში მეტი აქტიურობით დააყენეს, მაშინაც კი, როცა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის სათავეში დიდი ჩეკისტი „მეგრული საკითხის" მთავარი გამყალბებელი და მისი დამამუხრუჭებელი, ე.წ. „მაფალულების" მფარველობაში ი. ჟვანიას პირველი ბრალმდებელი, აგრეთვე მისი და ამიერკავკასიის ყველა ძველი, პოპულარული პარტიულ-სახელმწიფოებრივი მუშაკის მოწინააღმდეგე ლ. ბერია მოექცა.

აღნიშნული ამბების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ხელისუფლების სხვა უმაღლეს ორგანოებში „მეგრულ საკითხში" კურსი ასოთხმოცი გრადუსით შემოაბრუნეს. თუ აქამდე ჭიანურდებოდა ი. ჟვანიას სამართლიანი მოთხოვნების გატარება და ისინი აშკარა თუ ფარული ავტონომიზმისა და სეპარატიზმის გამოვლინებად განიხილებოდა, ახლა ლენინურ ხაზად გამოცხადდა. საქართველოს კომპარტიის აქამდე „ანტიმეგრულად" გან-

წყობილმა ცკ-ის მდივანმა მ. კახიანმა, რომელმაც საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის დელეგატები „მეგრულ საკითხზე“ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობის აზრის საწინააღმდეგოდ წააქეზა, 1929 წლის ოქტომბრის პლენუმზე განაცხადა: „ზუგდიდის პარტორგანიზაციის მოთხოვნები სამეგრელოს საკითხზე (და არა სამეგრელოს ავტონომიის საკითხზე, რაც არა ყოფილა! — ავტ.), თავადაზნაურობის პოზიციას კი არ ასახავს, არამედ გლეხებისას“ (იხ.: ზ. გამსახურდიას დასახელებული წერილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 3 ნოემბერი).

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა, „მეგრული საკითხის“ მოგვარებისთვის ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობის თვითმოქმედების გაფართოების თვალსაზრისით, გახდა მაზრაში შემავალ რაიონებთან ურთიერთობის ახლებური აგება. პარტიის დირექტივებით 1929 წლის 1 ოქტომბერს ზუგდიდის მაზრაში ჩატარდა პირველი ახლებური დარაიონება. საერთო ხელმძღვანელობას, ზუგდიდის რაიონის გარდა, დაუქვემდებარდა ხობის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის დამოუკიდებელი რაიონები. დაიწყო მათში კადრებისა და სახსრების რაციონალური განაწილება, საერთო მასშტაბის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარება: სკოლების მშენებლობა, გაძლიერდა არსებული სკოლებისა და საავადმყოფოების შეკეთება და ოპერატიული გახდა პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა (იხ. ი. ჟვანიას წერილი საქართველოს კომპარტიის ცეკის კომისიას 9.XII.1930; საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც. 28-29). 1929 წლის 15 დეკემბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ერთობლივი დადგენილება მეგრული საკითხის გამო (იხ. ზუგდიდის აღმასკომის „ბიულეტენი“, 1932, №1, გვ.12). ამ დადგენილების პირველი მუხლი მოითხოვს: შემოღებულ იქნას საქმის წარმოება მეგრულ ენაზე ზუგდიდის მაზრის იმ სოფლის საბჭოებში, სადაც ამ საბჭოებში გაერთიანებულ მცხოვრებთა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა და მეგრულ ენას ხმარობს, როგორც დედაენას. მეორე მუხლი ადასტურებს: შემოღებული იქნას მეგრული ენა იმ რაიონების სასამართლოებში, სადაც მაცხოვრებლებმა არ იციან ქართული ენა და მეგრულ ენას ხმარობენ, როგორც დედაენას. სხვა დანარჩენი მუხლები აწესრიგებენ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების კონკრეტულ დეტალებს: სასამართლოების მეგრულ ენაზე გადაყვანის დამტკიცებას, სავალდებულო სახელმწიფოებრივი დადგენილებების, სახელმწიფო და მეგრულ ენებზე გამოქვეყნების აუცილებლობას, სასამართლო პროცესში და სათანადო საბუთების გაცემისას მეგრული ენის გამოყენებას (როგორც ვნახეთ დადგენილების ამ უფლებით სარგებლობდა ყოფილი და უკანასკნელი სეპარატისტი თეორეტიკოსი, გრ. ახალაია, როცა იგი მეგრულ ენაზე დაწერილ ცნობებს არიგებდა).

აღნიშნული დადგენილება წინადადებას აძლევს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს მოსამზადებელი სამუშაოები გაატარონ იმისათვის, რომ 1930 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დადგენილებაში მოხსენებული წესები გატარდეს სრულად (იხ.: „ჭითა ჩხორია“ — წითელი სხივი, მესამე გამოცემა, ტფ. 1931, გვ. 42-44).

1930 წლის 12 იანვარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1929 წლის 21 დეკემბრის დადგენილება მეგრულ ენაზე გლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ. ამის შემდეგ რედაქტორად დაინიშნა ი. ჟვანია. გაზეთს მიეცა საქართველოს კომპარტიის ცეკას ორგანოს სტატუსი და უკვე 1 მარტს ზუგდიდში გამოიცა „ყაზაყში გაზეთის“ პირველი ნომერი. მაშასადამე, სამართალმა პური ჭამა. ეს იყო საქართველოს ცენტრის მიერ 1923-1925 წლებში დაპირებული, ახლა კი ი. ჟვანიასა და პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ სტალინის მხარდაჭერით მიღწეული დიდი გამარჯვება. მოპოვებულმა წარმატებამ სამეგრელოში საყოველთაო აღფრთო-

ვანება გამოიწვია. ქართული ენის არმცოდნე გლეხობა სიხარულით შეხვდა მისთვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე გაზეთის გამოცემას. „ერთმანეთს ულოცავდნენ", „ამბობდნენ ჩვენც ხალხად უცენივართო" („ჭითა ჩხორია", 1931, №1, გვ. 41.). ქართული ენის არმცოდნე მეგრელ გლეხებს დედაენაზე გამოცემული გაზეთით მაზრისა და ქვეყნის ამბებისა და მრავალი სხვა სიახლის გაცნობისა და რეალური სინამდვილის ზიარების ფართო შესაძლებლობა მიეცა. „მეგრულ საკითხში" მომხდარ სიახლეს სახელმწიფოებრივი დედაენის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ყველა როდი წვდებოდა ახალი რეალობის გარდამავალ მნიშვნელობას. ზოგმა ეს სიახლე უსაფუძვლოდ აღიქვა, როგორც სამეგრელოს გამოყოფის „ჩხოუშიელთა" მისწრაფებების, ხოლო ზოგმა აფხაზეთ-აჭარა-სამხრეთ ოსეთის მსგავსი ავტონომიისაკენ სვლის წარმატება და მორიგი ანტიეროვნული გამოვლინება. სინამდვილეში, სტალინის დაპირებათა სრული განხორციელების შემთხვევაშიც კი აღნიშნული რეფორმა ანტიეროვნულ საშიშროებას როდი ქმნიდა. თუნდაც სამეგრელოს ყველა რეგიონის ერთი პარტიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანება, დაწყებითი სკოლების პირველ-მეორე, თუნდაც პირველ-მეოთხე კლასებში ქართულთან ერთად მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება და წერა-კითხვის არმცოდნე, აგრეთვე ლიტერატურული სახელმწიფოებრივი ქართულის ვერგამგე გლეხობის განათლების გატარება, გონივრულად ორგანიზების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებდა სამეგრელოს რეგიონის კულტურულ-სამეურნეო განვითარების დაჩქარებისა და მეგრელი გლეხების ისტორიული ბედუკუღმართობით გაუცხოებული ნაწილის ეროვნული ღირებულებებისადმი სწრაფი ზიარების შესაძლებლობას. სტალინის სრულ დაპირებებშიც კი არა დევს ავტონომიური მოწყობის ატრიბუტიკა. ეს იქნებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული ოლქი. ავტონომიური ოლქის სტატუსი და სტრუქტურა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, სხვა დამატებით აუცილებელ ატრიბუტებს და მათი შესრულების შემთხვევაში, დამატებითი პრაქტიკული ღონისძიებების რეალიზაციას მოითხოვდა. მაგრამ ასეთი რამ, როგორც ირკვევა, არც ი. ჟვანიას მოუთხოვია და არც სტალინს აღუთქვამს.

ახალი რეალობის სიმძიმე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ინტრიგებისა და პროვოკაციებისათვის ძალიან დიდ შესაძლებლობებს ჰქმნიდა. ამის შემდეგ მართლაც კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა ი. ჟვანიასა და მისი მოწინააღმდეგე საქართველოს ცენტრის პარტიულ ელიტას შორის. მართლაც შემაშფოთებელი იყო ი. ჟვანიას მოქმედება. ჯერ ერთი, იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-თან შეუთანხმებლად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ფარულად ეახლა სტალინს. მეორე, ისე გამოვიდა, თითქოს ი. ჟვანიამ სტალინი „დააბა", „საკუთარი" აზრის სასარგებლოდ განაწყო და, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ვითომ ეროვნული პოზიციისათვის მებრძოლ, მათ შორის მეგრელ სკეპტიკოს „ამხანაგებს", „თავისი" სიმართლე მოახვია. ამით მან მოწინააღმდეგეებს დაუმტკიცა, რომ უკეთ ერკვეოდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის თეორიაში და ჰქონდა მისი თანამედროვე პირობებში სწორად გამოყენების პრაქტიკული განხორციელების უნარიც. საკადრო პოლიტიკაში წარმოუდგენელია ამაზე თავბრუდამხვევი შამათი. მაგრამ ცენტრის ელიტარულ „ამხანაგებს" კარგად ესმოდათ ისიც, რომ „ი. ჟვანიას მონაპოვარი" იყო აგრეთვე ბელადის ნაზრევ-ნათამაშების ლოგიკური გაგრძელება. ამიტომაც ჯერ კიდევ არ ჩანს მათი კონკრეტული იერიშები ი. ჟვანიას მიმართ. ეტყობა, მოწინააღმდეგები მომენტის შერჩევას ცდილობენ და ძალებს იკრებენ. ჩვენთვის, როგორც მკვლევარებისათვის მთავარია ამ პარტოკრატიული ურთიერთობის საფუძველი. მთავარია ის, რომ როგორც იქნა მოგვარდა სამეგრელოს რეგიონის (მათ შორის სამურზაყანოს) მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთ-ერთი მთავარი სატკივარი. რაც შეეხება ინტრიგის შემდგომ გაღრმავებას, ამის შესახებ შემდგომ, სპეციალურ თავებში გამოწვლილვით გვექნება

საუბარი, იმიტომ, რომ ზოგ დაინტერესებულ პუბლიცისტს შეცდომით ისტორიის სიმართლედ სწორედ ამ ინტრიგის ამსახველი წყაროები ესახება.

მოპოებულმა წარმატებებმა ი. ჟვანია იქამდე აღაფრთოვანა და წაათამამა, რომ შეუდგა მოწინაღმდეგეებზე შემდგომი იერიშების განვითარებას. იგი ერთ-ერთ დახურულ წერილში საკ. კპ(ბ) ცკ-ის მიმართ აღნიშნავს, რომ „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემის შემდეგ საჭირო იყო „მეგრულ საკითხში" პარტიის ბელადის სხვა მითითებების განხორციელებაც. რაც წინასწარ იქნა განსაზღვრული 1930 წლის აპრილში". ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი შეუდგა ქართული ენის არმცოდნე რაიონების სასამართლოებში, სოფლსაბჭოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის წარმების მეგრულ ენაზე შემოღებას, რასაც საქართველოს კომპარტიის ცკ, მისივე 1925 წლის 3 სექტემბერის დადგენილების შემდეგ, ი. ჟვანიასა და სხვათა მთელი ოთხნახევარი წლის ხვეწნის მიუხედავად, აჭიანურებდა. სათანადო საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ყურადღება გამახვილდა რაიონული და ადგილობრივი კადრების გადაჯგუფებაზე. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთ უზრუნველყოფილი ზუგდიდიდან კადრები იგზავნებოდა პერიფერიებში. (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც. 29,40). ამ მიზნით ი. ჟვანია რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს სთხოვდა სხვადასხვა მოსამზადებელ კურსებზე მოსწავლე ზუგდიდის კადრებით მაზრის მომარაგებას. ხდებოდა მაზრისთვის გამოყოფილი სახსრების უპირატესად რაიონებისა და სოფლების საალმშენებლო საჭიროებებზე გადასროლა (იქვე, ფურც. 28). დიდი ყურადღება დაეთმო „ყაზაყიში გაზეთის" გავრცელების ორგანიზებას (იქვე, ფურც. 76). სათანადო დახმარება გაეწია მეგრული გაზეთის სამურზაყანოში გავრცელებასა და ადგილზე გამოცემას (იქვე, ფურც. 2-4). დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობისა და და პოლიტ-ტექნიკური უცოდინარობის მეგრული ენით ლიკვიდაცია („ჭითა ჩხორია", ტფ. 1930, გვ. 49, 51, 52). ამ გზით ყურადღება ექცეოდა საჭირო ·ლიტერატურის გამოცემის ორგანიზებას. განსაკუთრებული შემოქმედებითი აქტივობით მიმდინარეობდა მეგრული გაზეთის, სასწავლო და საცნობარო ლიტერატურის მომზადების, მისი ტერმინოლოგიური საკითხების შემუშავება (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 10, ფურც. 16-17). იქმნებოდა მეგრულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა, ანუ გლეხური ბიბლიოთეკა. 1930 წელს წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო ქსელი მეგრულ ენაზე გამოცემული სათანადო სახელმძღვანელო წიგნით აღიჭურვა. ეს იყო „ჭითა ჩხორია" (წითელი სხივი). 1931 წელს გამოვიდა ამ წიგნის შევსებულ შესწორებული მეორე და მესამე გამოცემები. მაშასადამე, თუ აქამდე „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების შესახებ საქართველოს ცენტრის მხრივ მხოლოდ დაპირებება არსებობდა, ახლა უკვე დაისახა მისი პრაქტიკული განხორციელების რეალური ტენდენცია.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1930 წლის 1 მარტს გახდა შესაძლებელი „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემა. მის პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ზუგდიდის ახლა უკვე რაიკომის მდივანი ი. ჟვანია. დაიწყეს აგრეთვე, „ჭითა ჩხორიას" ცხოვრებაში გამოყენების საკითხის მოგვარება. რაიონებში და სოფლებში, სადაც მოსახლეობა ვერ ფლობდა ქართულ სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენას, შემოიღეს მეგრული ენით ურთიერთობა. ცხადია, რომ ყოველივე ეს ურთიერთმოწინააღმდეგეთა პარტოკრატიული პამპულაობის და პოლიტიკანური თამაშის წინაღმდეგობების დაძლევასთან იყო დაკავშირებული. ამ წინაღმდეგობათა დაძლევის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ი. ჟვანიამ. მან შესძლო სამეგრელოს აუცილებლობაზე დაფუძნებული და უსამართლოდ დამუხრუჭებული ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925

წლის 3 სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების დაწყება. ამიტომ იყო, რომ ამ მონაპოვარს უკავშირებდნენ ი. ჟვანიას პიროვნებას. ეს კი არ იყო მართალი. როგორც ცნობილია, 1989 წელს საბჭოთა საქართველოში აზვირთებული საშშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებისა და ეროვნულ ძალთა შემდგომი შეკავშირების მიზნით, ამ მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა სპეციალური წერილი („სამეგრელოს საკითხი". ისაკი ჟვანია და სამეგრელოს „ავტონომია". 3 ნოემბერი). ეროვნული ერთიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ავტორმა დაგმო, მისი აზრით, ამ დროს არსებული „მეგრული პარტიკულიარიზმის, ნაციონალიზმის და სეპარატიზმის" რეციდივი. მან უკიდურესად უარყოფითად შეაფასა ი. ჟვანიას წარსული საქმიანობა და კერძოდ, „ყაზაყიში გაზეთი". ზ. გამსახურდია მეგრული გაზეთის შესახებ წერს, თითქოს „ი. ჟვანია ლეგენდებს ავრცელებს ამ გაზეთის გავრცელების მასშტაბებზე, მაგრამ თავად აღიარებს, რომ ეს გაზეთი არავის უნდოდა ჩხოროწყუსა და სენაკში (აბაშაზე საერთოდ დუმს), ვინაიდან იქ ამბობდნენ ქართული ყველამ ვიცით და მეგრული გაზეთი არ გვჭირდებაო". იგი „ყაზაყიში გაზეთის" მიმართ სამეგრელოს გლეხობის ინტერესებს ისე გვისახავს, თითქოს მკითხველთა რაოდენობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (ანუ ხვედრითი წილი საერთოდ მთელ მოსახლეობაში) მისი უსარგებლობით ყოფილიყოს გამოწვეული.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. შენიშვნა ბატონი ზვიადის ნააზრეკისადმი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მისი დიდი ეროვნული თავგანწირულობისა და ღვაწლის გამო, ჩვენთვის უაღრესად საჩოთიროა. მაგრამ ამის და საერთოდ კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე საერთოდ შეუძლებელია ისტორიის სიმართლის დადგენა. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონი ზვიადის მიერ არასწორად ჩამოყალიბებულმა აზრებმა შემდგომ კონკრეტულ სიტუაციაში ასაზრდოვეს და სტიმული მისცეს მომდევნო პუბლიცისტების მიერ „ყაზაყიში გაზეთის" არასწორი შეფასებების გამოქვეყნებას. მეგრული „ყაზაყიში გაზეთის" და „ჭითა ჩხორის" შემფასებელ ავტორთა ნააზრევის უმართებულობაზე ჩვენ აზრს მკითხველი ქვემოთ დამატებით იხილავს. მაგრამ აქ საჭიროა მოვუსმოთ წყაროს, რომელიც ადასტურებს, რომ მცდარია აზრი, თითქოს სენაკში „ყაზაყიში გაზეთი" არავის უნდოდა. ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ში გაგზავნილ 1930 წლის 24 აპრილის ოფიციალურ წერილში აღნიშნავს: „სენაკში ხელმოწერების სახით ვრცელდება 2600 ცალი, გვთხოვენ გავაგზავნოთ 5 ათასი, მაგრამ არ შეგვიძლია უქაღალდობის გამო" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 41, ფურც. 4).

1923 წელს ზუგდიდის მაზრაში ვრცელდებოდა 100 გაზეთი — „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა" და „რაბოჩაია პრავდა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 544, ფურც. 33/2), რომელსაც კითხულობდნენ მხოლოდ ქართულის და რუსულის მცოდნე ინტელიგენტები, მათ შორის ავტონომისტები და სეპარატისტები.

ერთ-ერთი შემდგომი ავტორი, მწერალი მიხეილ კეკელიძე 1993 წელს, სტატიაში „შხამი" წერდა: „...30-იან წლებში კომუნისტმა ისაკი ჟვანიამ, რომელსაც საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა, ძველი გაიხსენა, მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაიწყო..." მაშასადამე, ქართველმა მწერალმა და ჭეშმარიტმა პატრიოტმა მ. კეკელიძემ მეგრული გაზეთის გამოსვლა ისე გაიზიარა, თითქოს ეს იყო „საქართველოს მტრების" ძუძუნაწოვი და მოღალატე აშორდიას გზის განგრძობა, აშორდიას „დაგესლილი ტვინით" მოქმედება. სინამდვილეში, ი. ჟვანიას არ შეეძლო მეგრული გაზეთის გამოცემაში გადამწყვეტი როლის შესრულება. დიახ, არ შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ საქმეში მხარს აქტურად უჭერდა ზუგდიდის პარტიული ხელმძღვანელობა, უპარტიო ინტელიგენცია და გლეხობის ფართო წარმომადგენლობა. სინამდვილეში, ეს ის დრო არ იყო, რომ არამცთუ ი. ჟვანიას, არამედ თუნდაც

ფართო საზოგადოებრივ აზრს არ ძალუძდა, მეგრული გაზეთის გამოცემის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გადაეწყვიტა. როგორც ადრე ვნახეთ, მეგრული გაზეთის აუცილებლობასა და საჭიროებას ასაზრდოებდა არა მარტო ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერი ჯგუფის ჯიუტი თავგამოდება, არამედ ის რეალური აუცილებლობა, რომელსაც მოითხოვდა საბჭოთა საზოგადოებრივი წარმოება, და განსაკუთრებით მწვავედ აყენებდა ამ დროისათვის გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში ქართული ენის არმცოდნე მრავალრიცხოვანი მეგრელი უშუალო მწარმოებლის აქტიური ჩაბმის მოთხოვნილება.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს მოტივი უნდა გაეთვალისწინებინა სტალინს, როცა იგი ი. ჟვანიას დასტურს აძლევდა მთელ რიგ სხვა საკითხებზე და, კერძოდ, მეგრული გლეხური ლიტერატურის გამოცემაზე. მართალია, მეგრული გაზეთისა და გლეხური ლიტერატურის გამოცემას მხარს ჯერ კიდევ 1925 წლიდან პარტიული ცენტრის ბევრი წარმომადგენელი უჭერდა, მაგრამ მოწინააღმდეგეც იმდენი აღმოაჩნდა ამ საქმეს, რომ იგი მთელი ხუთი წლის მანძილზე გაჯანჯლდა. ეჭვგარეშეა, რომ საქმე კიდევ გაჯანჯლდებოდა და, იქნებ არც არასდროს მოგვარებულიყო, თუ არა სტალინის სანქცია და სათანადო მითითება. მეგრული გაზეთის გამოცემა ი. ჟვანიაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იგი 1925 წელს ზუგდიდის სამაზრო ცენტრის დადგენილების საფუძველზე გამოვიდოდა. ასე რომ, მეგრული გაზეთის გამოცემის საქმეში ი. ჟვანიასადმი, განსაკუთრებული როლისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მიწერა ემყარება 20-30-იანი წლების პრობლემებისა და მოვლენების ავტორიტარული მართვის გაუთვალისწინებლობას და „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემის სუბიექტივისტურ გაგებას. მაშასადამე, ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა თ. აშორდიას აზროვნებას. ჩვენი აზრის მოწინააღმდეგეებს თუ ლოგიკურობა უნდათ, მეგრული გაზეთის გამოცემა და თ. აშორდიას და სხვათა მემკვიდრეობის გაგრძელება უნდა დაუკავშირონ არა ი. ჟვანიას, არამედ სტალინს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის იმდროინდელ ხელმძღვანელობას, რომელმაც გაზეთის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამასთანავე მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მეგრული გაზეთი მართლა ეწინააღმდეგებოდა შიდა და გარე სამეგრელოს ქართულის არმცოდნე მოსახლეობის ინტერესებს ან რომ მეგრული გაზეთის მომხმარებელი არ არსებობდა. ამის მტკიცება კი, როგორც სათანადო წყაროები მოწმობენ, ძალზე ძნელი კი არა, არამედ შეუძლებელია.

ახლა გავეცნოთ, თუ რა ამოცანებს ემსახურებოდა „ყაზაყიში გაზეთი" და როგორი იყო მის მიმართ საქართველოს იმდროინდელი უზენაესი ხელისუფლების დამოკიდებულება, როგორ შეხვდა მას საზოგადოება და რეალურად რას ემსახურებოდა. ეს დამატებითი კონკრეტული ფაქტების შუქზე დაგვანახებს, ვის ინტერესებში შედიოდა მეგრული გაზეთის გამოცემა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებით „ყაზაყიში გაზეთი" მისივე, (ცეკას) ორგანოდ განისაზღვრა, ხოლო მის საქმიანობაზე მთელი პასუხისმგებლობა ზუგდიდის პარტიულ ხელმძღვანელობას და, მაშასადამე, ი. ჟვანიას, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრს დაეკისრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ გაზეთის მიმართ მუდმივ კონტროლს ახორციელებდა. „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, დროის მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. იგი სამეგრელოს ფართო მოსახლეობის მოთხოვნილებას პასუხობდა. ამას მოწმობს, ერთი მხრივ, გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების ვითარებაში მისი ტირაჟის სიმრავლე. მაგრამ გაზეთის ხელმძღვანელად ბოლშევიკი ი. ჟვანიას კი არ უნდა დაენიშნათ, არამედ სათანადო კომპეტენციის სპეციალისტი უნდა შეერჩიათ და სარედაქციო კოლეგიაც ასეთივე კადრებით აღეჭურვათ. ამით ბევრი ისეთი ხარვეზის პრევენცია

შეიქმნებოდა, რომელიც ამ მეგრულ გაზეთს მართლაც ჰქონდა და რაც განსაქიქებლად გაიხადეს მოწინააღმდეგეებმა.

„ყაზაყიში გაზეთის“ გამოსვლას სიხარულით შეხვდა არა მარტო ქართველის არმცოდნე გლეხობა, არამედ უაღრესად ფართო საზოგადოება. მასში დაბეჭდილი მილოცვები მოწმობს, რომ გაზეთის გამოსვლას გამოეხმაურნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, მათ შორის განსაკუთრებით აფხაზეთ-სამურზაყანოდან. მეგრულ გაზეთს ესალმებოდნენ გლეხები, მუშები, წითელარმიელები, სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათს წერილებში კარგად ჩანს, რომ საზოგადოების ფართო წარმომადგენლობამ „მეგრული გაზეთის“ გამოცემა აღიქვა არა როგორც ავტონომისტური და, მით უმეტეს, სეპარატისტული ნაბიჯი, არამედ როგორც მკითხველთა ინტერესების გათვალისწინება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართული ენის არმცოდნე მშრომელი გლეხები მეგრული გაზეთის გამოცემის სიხარულს მრავალმხრივ გამოხატავდნენ. ისინი ამბობდნენ: „ჩვენც ხალხათ უცვნივართო“. ზუგდიდში გამოცემული მეგრული გაზეთი სიხარულით მიიღეს სამურზაყანოს გლეხებმა. ისინი ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მათთვისაც მიეცათ გაზეთის გამოცემის უფლება („ყაზაყიში გაზეთი“, 1930, 19 აპრილი).

„ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემის გაუკუღმართებული გაგება საბჭოთა პრესის განუყოფელი ფუნქციონირების და პარტიულ-სახელმწიფოებრივი მართვის პირობებში არასწორია. იგი ოფიციალური ქართული და რუსული გაზეთებისაგან პრინციპულად არაფრით გამოირჩეოდა. გაზეთში იბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც აშუქებდნენ პოლიტიკური, მეურნეობრივი და კულტურული სფეროების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობოდა საინფორმაციო ცნობებს. მეგრულ გაზეთს მკითხველამდე დაჰყავდა პარტიისა და სახელმწიფოს ბელადების, ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკების მოხსენებები, სიტყვები, დირექტივები. განსაკუთრებით ფართოდ შუქდებოდა პარტიისა და სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების სხდომები (ყრილობები, სესიები, თათბირები). იბეჭდებოდა უმნიშვნელოვანესი დადგენილებები. წარმოჩენილი იყო ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და პოლიტიკური ცხოვრების ინფორმაციები. სამეურნეო საკითხების სფეროდან გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საკოლმეურნეო მშენებლობის, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის, კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცებისა და საერთოდ პარტიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხებს. გლეხობისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ის, რომ გაზეთში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც ყურადღება ეთმობოდა ზუგდიდის რაიონისა და სამეგრელოს რეგიონის ცხოვრებას, სასოფლო-სამეურნეო განვითარების ძირითად ამოცანებს და უმთავრეს მიმართულებებს. განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც ფართოდ შუქდებოდა რაიონის ამოცანები სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დანერგვის, მათი მოვლა-პატრონობის, თესვის კამპანიებისა და მოსავლიანობის ამაღლების შესახებ. ყურადღება ეთმობოდა ჩაის კულტურის მოვლას, მეაბრეშუმეობის დარგში ცოდნის ამაღლებას. გაზეთში სისტემატიურად იბეჭდებოდა სტალინის, ლ. ბერიას და სხვათა მოხსენებები და სიტყვები. მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა რაიონული ხელმძღვანელი კადრების, და რაც განსაკუთრებით საყურადღებო იყო, რიგითი კოლმეურნეების შრომითი საქმიანობის გაშუქებას. იბეჭდებოდა კოლექტიური შრომის ასპარეზზე წარმოჩენილი უბრალო მშრომელი გლეხების პორტრეტები და კოლექტიური ფოტოსურათები. გაზეთი მკითხველს აცნობდა სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე სარკინიგზო და სატრანსპორტო გზების, ხიდების, სამრეწველო საწარმოების, საკოლმეურნეო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას. სპეციალური წერილები იბეჭდებოდა რეგიონში გავრცელებული მძიმე

დაავადებების (მალარიის, პელაგრის და სხვა) და მათგან განკურნების საშუალებების შესახებ. გაზეთის ფურცლებზე სისტემატიურად თავსდებოდა ლექსები, რომლებიც ეძღვნებოდა სტალინს, შრომას, საკოლმეურნეო მშენებლობას. მაგრამ, ამასთანავე, იბეჭდებოდა სატრფიალო ხასიათის პოეზიის საინტერესო ნიმუშები რომლის ავტორები იყვნენ არა პროფესიონალი პოეტები და ჟურნალისტები, არამედ რიგითი კოლმეურნეები.

გაზეთის №1 და №100-ში საყურადღებო წერილები დაიბეჭდა ე.წ. მაფალუელების კრიტიკის მიზნით. ე.წ. მაფალუელთა კრიტიკას ყურადღება სხვა დროსაც ეთმობოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი გაზეთის სპეციალურ სატირულ ლექსსა თუ პროზაულ წერილებში გაგებული და გაკრიტიკებული იყო ოფიციალური თვალსაზრისის პოზიციებიდან, როგორც ანტიპარტიული და ნაციონალისტური გამოვლინება, რომელსაც მეგრული „ყაზაყიში გაზეთი" მეგრული გლეხური კულტურის შექმნის მსურველთა გაბიაბრუების მიზნით აწყობდა. აღსანიშნავია, რომ გაზეთის პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა „ჭიჭე ფელეტონი", რომელშიც გაშარჟებული იყვნენ ე.წ. „მაფალუს პარტიის" მიმდევრები. საინტერესოა მეგრული სატირული ლექსი – ეპიტაფია „მაფალუელი პაულუს შესახებ":

„ათაქ თუდო ინონთხორუ
ჩქინი პაულუ მაფალუუ,
ნიკოლოზიშ მეტი მითინი
ის მაყალე ვაპალუუ;
ორდუ დიდი, მარა ბედიქ,
იშო ეშე დოთუუ,
ტრაქტორს ქათაყუნუ დო
ჭყორცალო შურ გეტუუ"

აქ ქვეშ მარხია
ჩვენი პავლე მაფალუ,
ნიკოლოზის გარდა სხვა
მას თანამოაზრე არა ყავს.
დიდი იყო, მაგრამ ბედმა
იქეთ-აქით აბზრიალა,
ტრაქტორს ჩაუვარდა და
მწყერივით განუტეევა სული.

ეპიტაფიის აზრი ისაა, რომ ე.წ. მაფალუელობა სოფლის მექანიზაციამ საბოლოოდ დაღუპა. „ყაზაყიში გაზეთის" მე-100-ე ნომერში მოთავსებულ ალეთირქიას ამ მეგრული გაზეთისადმი მიძღვნილ და მისი დამსახურების მაქებარ ლექსში ნათქვამია: „მაფალუ" დო მუში მანგის ქიმიოკკათი ნინა..." მაფალუსა და მის მსგავთ მოაჭერი ენაო და სხვ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ „ყაზაყიში გაზეთი" იმდროინდელი პარტიული პრესის ტიპურ განსახიერებას წარმოადგენდა და მასში არც ერთი ავტონომისტური ან სეპარატისტული წერილი არ დაბეჭდილა. იგივე ითქმის საერთოდ ოფიციალური მეგრული ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ. ასე რომ, „ყაზაყიში გაზეთის" ან სხვა მეგრულ ენაზე გამოცემული პუბლიკაციების თუ მათში დაბეჭდილი წერილების ანტიეროვნულობის შესახებ საუბარი შეცდომა ან მიზნობრივად მოგონილი ტყუილია.

„ყაზაყიში გაზეთი" ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც ყურადღება ეთმობოდა ზუგდიდისა და აგრეთვე სხვა მეგრული რაიონების პარტიულ-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ შეცდომებს, აღმშენებლობის ხარვეზებს და ხსნიდა წარუმატებლობათა მიზეზებს. გაზეთი არ ერიდებოდა იმ წერილების გამოქვეყნებას, რომლებშიც მხილებული იყო „ყაზაყიში გაზეთის" ლექსიკური ხარვეზები. მაგალითად, გრ. გაბუნია სტატიაში „მეგრული გაზეთის შესახებ" წერდა: „უნდა იხმარებოდეს გლეხებისათვის გასაგები და ქართულ საუბართან დაახლოებული სიტყვები". მისი აზრით, გაზეთის მიერ ნახმარი „დუდმახვენჯის" ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა – თავმჯდომარე, მელამოსეს ნაცვლად – მდივანი. მას მიაჩნდა, რომ არაქართული ხელოვნურად შექმნილი სიტყვები უნდა შეცვლილიყო ქართულით. „მაყალე" – ამხანაგით, „პიჯალა" – პირობით, „აფენტუ" – გაზაფხულით, „გამოცხადება" – განცხადებით. გრ. გაბუნია გაზეთს ურჩევდა ამოეღო რუსული სიტყვები: „აკოშკა", „ბალნიცა", „სტრახი", „ზავოდი", „ზაბასტოვკა", „ნაკაზი", „კლასი" (სკოლა – ავტ.). (21. VI. 1930), რომლებიც სამწუხაროდ დანერგილი იყო რიგითი ადამიანების მეტყველებაში.

გაზეთში იბეჭდება მკითხველების საყვედურები და შენიშვნები. გუჯული ბულია მოითხოვს გლეხებისათვის გაუგებარი ისეთი სიტყვების განმარტებას, როგორიცაა: „თეორია", „საწარმოო", „მატერიალური", „ინდივიდუალური", „კონტრაქტაცია", „პრაქტიკული", „საშეფო", „კამპანია". მას ხარვეზად მიაჩნდა, რომ არ იხატება კარიკატურები. იბეჭდება „გაჭიმული წერილები", რომლებსაც გლეხი „ძნელად უდებს გულს" (16. VII. 1930). მამანტი კვირტაიას საჭიროდ მიაჩნია „ქალაქებს მიეწეროს რომელი სახელმწიფოა. განმარტებული იქნას მოკლე სიტყვები „ყაზკომი", „ყაზხინი", „ცაკი", მილიონები და ათასები დაიწეროს სიტყვებით, ტელეგრამები ითარგმნოს თავისუფალი თარგმანის წესით" (იქვე). სხვები სხვა ხარვეზებს აქცევენ ყურადღებას და ა.შ. ესენი მართლაც, ხარვეზები იყო და ისინი ძირითადად სწორდებოდა კიდეც. ჩანს, რომ ბევრი გაუგებარი სიტყვა შეიცვალა ქართული სიტყვებით.

გაზეთში სხვა ბევრი ისეთი სიტყვაც გვხვდება, რომლებიც სამეგრელოს რეგიონის იმ სოფლებში, რომლებიც ქართულ სოფლებს ემეზობლებოდნენ, არ იხმარებოდა და მართლაც, სასურველი იყო მათი ქართული სიტყვებით ჩანაცვლება. როგორც ჩანს, გაზეთის რედაქციამ თავდაპირველად უპირატესი ყურადღება დაუთმო იმ სიტყვებს, რომლებიც შეტანილი იყო ი. ყიფშიძის ლექსიკონში, და გავრცელებული იყო ზუგდიდის რაიონში და სამურზაყანოში. მაგრამ, ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომში გაზეთმა მართლაც ბევრი სამართლიანი შენიშვნა გაითვალისწინა, თუმცა ზოგიერთ არქაულ ტერმინს, როგორიც არის „დუდმახვენჯი", „პიჯალა", „მელამოსე" და სხვა. დიდხანს ვერ შეელია, რადგან მათი ძირები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ზოგი რაიონის მკითხველთა მეხსიერებაში. ამიტომ გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მიმართ სხვა დროსაც გამოითქვა შენიშვნა. ეს ტერმინები სხვა დროს სასურველი საბაბი აღმოჩნდა იმ კრიტიკოსებისათვის, რომლებიც „ყაზაყიში გაზეთის" რედაქციას და უპირატესად ი. ჟვანიას ებრძოდნენ პოლიტიკანური მოსაზრებებით. ისინი ამ ტერმინების გამო ი. ჟვანიას ჯიუტობაში იმ საბაბს პოულობდნენ, რომ ყალბად ემტკიცებინათ ი. ჟვანიას ლტოლვა არარსებული, მაგრამ ვითომ გულნადები „ავტონომიზმის", მეგრული კულტურის მშენებლობისა და სეპარატიზმისაკენ.

ჩვენი დაკვირვებით, „ყაზაყიში გაზეთის" უმთავრესი ნაკლი იყო ის, რომ იყო წმინდა კომუნისტურ-პროლეტარული. მასში ყურადღება არ ეთმობოდა ქართული ეროვნული მწერლობის წარმომადგენელთა ნაწარმოებების თუნდაც მოკლედ ასახვას. არ იბეჭდებოდა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები. უგულებელყოფილნი იყვნენ თვით მეგრული წარმოშობის თვალსაჩინო და დიდი შემოქმედნი კ. გამსახურდია, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი და სხვანი. ამ დროს ხშირად იბეჭდებიდა პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელთა ლექსები (ვანიონ დარასელი და სხვა), ხოლო გაზეთ „კომუნისტის" წაბაძვით იბეჭდებოდა ქართველი მწერლებისა და ქართული კულტურის მოღვაწეთა კრიტიკა, რომლებიც დაგმობილი იყვნენ ოფიციალური იდეოლოგიის და ცენტრალური პრესის მიერ (18. I. 1932). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის მდივნად ლ. ბერიას დანიშვნის შემდეგ, რაიონის კუტურულ ცხოვრებაში მომხდარი სიახლეების გავლენით, გაზეთში ჩნდება საერთო ეროვნულის წარმოჩენის ტენდენცია, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ახლა საჭიროდ გვესახება წარმოვაჩინოთ, როგორ წარმოჩნდებოდა გაზეთის დანიშნულება საკუთარ ფურცლებზე. ეს აუცილებლობა ნაკარნახევია იმ ყალბი აზრების შეფასების მიზნით, რომლებიც მრავლად გვხვდება ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე კომუნისტების „დასმენის წერილებში", რომლებზეც ადრე გვქონდა საუბარი, და რომელთა სუბიექტურ-პოლიტიკანური მიზანდასახულობით „ყაზაყიში გაზეთი" ემსახურებოდა მეგრული კულტურის მშენებლობასა და სეპარატიზმს.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის ლ. ღოღობერიძის წერილი — „მეგრელი მშრომელი გლეხის გაზეთი დღეს აუცილებლივ საჭიროა". წერილის ავტორი წერს: „მეგრული გაზეთი გამოიცა ცეკას გადაწყვეტილებით. უპარტიო ქართული ინტელიგენციის ნაწილმა სასაცილოდ აიგდო იგი და „ყაზაყიში ცაიტუნგი" უწოდა მას. მეგრული გაზეთის საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ მთელი რაიონების მშრომელთა უმრავლესობამ ქართული არ იცის. უსამართლობა იქნებოდა მეგრელი გლეხისათვის არ მიეცათ საშუალება თავის გასაგები ენით წაეკითხა საბჭოთა ხელისუფლების კანონები და დეკრეტები, პარტიის გადაწყვეტილებები. მეგრელ გლეხს „საშუალება არ ჰქონდა წაეკითხა გაზეთი თავის დედაენაზე, რატომ უნდა გაიგოს მან მხოლოდ თარგმანით. მთარგმნელები ხშირად არიან მღვდელყოფილნი, ბერები, დიაკვნები, ვაჭრები, გარეთ გასული ადამიანები, მენშევიკები". ამიტომ ცეკას მდივანს მიაჩნია, რომ „პირდაპირ უნდა გაიგოს" მეგრელმა გლეხმა „რას თხოულობს და რას აძლევს საბჭოთა ხელისუფლება". გაზეთის საჭიროებას ამტკიცებსო ტირაჟი 16 ათასი. ბევრი ამხანაგი ამ გაზეთის წინააღმდეგია, მათ შორის არიან მეგრელებიც, რომლებიც ინტერნაციონალობას ამტკიცებენ ამით. მე ვიცნობ ერთ მეგრელს, ვითომ „ინტერნაციონალია". იგი პირდაპირ წინააღმდეგია, სინამდვილეში ყველაზე უარესი ნაციონალისტია. იგი დღეს ფიქრობს, რომ უკლონიზმი საქართველოში ლამის უკეთესი იქნებოდა ვიდრე დღეს გვაქვს. ეს ინტერნაციონალი კი არა, სისულელეა. ეჭვგარეშეა: მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ საშუალება იკითხონ გაზეთი მეგრულ ენაზე — თავის დედა ენაზე. არავინ უარყოფს სასამართლოში საქმის მეგრულად გარჩევას და რატომ არ შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი დაიწეროს გლეხისათვის გასაგებად? შოვინისტური ინტელიგენცია მეგრული გაზეთის წინააღმდეგ მიდის. იგი იმას ფიქრობს, ვითომ დავიწყებას ეძლევა საქართველოს ეროვნული ინტერესები... ჩვენ არ დავთანხმდებით ასეთ აზრს. ხელი უნდა შეუწყოთ, რაც შეიძლება მალე დაეუფლონ ქართულ ენას, რადგან მხოლოდ მეგრული ენით შორს არ წაისვლება. ეს გაზეთი გაკეთებულია კომუნისტური ხელით, კომუნისტური პარტიის მიერ". შემდეგ ლ. ღოღობერიძე აკრიტიკებს გაზეთს არქაული სიტყვების ხმარების გამო, ამოცანად უსახავს მათ გამოსწორებას და დასძენს: „მეგრული გაზეთის ღირსების გადაგდება სწორი არ იქნება. მისი ძირის გამოთხრა და საუბარი, რომ იგი უნდა დაიკეტოს, არ შეიძლება. ეს ბოლშევიკური არ იქნება, რადგან გაზეთი საჭიროა. შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. ყიფშიძის გრამატიკის მიხედვით (! — ავტ.) ახალი სიტყვების შემოღება უაზრობაა. ამის საჭიროებას არაფერი იწვევს. მაგრამ ამ ცდომილების გულისათვის „ყაზაყიში გაზეთის" აგდების ნებას არავის არ მივცემთ. გაზეთი კარგი იარაღი იქნება საბჭოთა ხელისუფლებასთან გლეხების დახლოების, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმისათვის„ („ყაზაყიში გაზეთი", 1930 წლის 1 ივნისი). გასაგებია, რომ ცეკას მდივანი ავითარებს შეხედულებას, რომელიც გამომდინარეობს პარტიის პოლიტიკიდან.

ვფიქრობთ, თანამედროვე მკითხველისათვის საქართველოს კომპარტიის მდივნის ლ. ღოღობერიძის აზრის კომენტირება საჭირო არ უნდა იყოს. მაგრამ გვებადება კითხვა: თუ ასეა, რას ელოდებოდი წლების მანძილზე, საქართველოს კომპარტიის 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილების მიღებიდან მაინც, ნუთუ სტალინს უნდა ესწავლებინა, რომ სამეგრელოს და სამურზაყანოს წერა-კითხვის არმცოდნე გლეხობას, ანუ სადაც „მთელი რაიონების მშრომელთა უმრავლესობამ ქართული არ იცის" (ლ. ღოღობერიძე) სჭირდება გაზეთი „თავის დედა ენაზე" (ლ. ღოღობერიძე) და აგრეთვე სხვა გარდამავალი ხასიათის შეღავათები?

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესოა, როგორ ესმის მეგრელ ინტელიგენტს გრ. გაბუნიას მეგრული გაზეთის საჭიროება და მისი წერილის

სახით რას ეუბნება „ყაზაყიში გაზეთი“ და მისი პასუხისმგებელი რედაქტორი სამეგრელოს. იგი წერს: „ქართული ინტელიგენციის შოვინისტურ ნაწილს ეშინია ვაი თუ სამეგრელომ ავტონომია მოითხოვოს და ისედაც მცირე საქართველო კიდევ უფრო დაპატარავდეს. ამიტომ „ვოსტორგოვჩშინას“ აზომავენ მეგრული გაზეთის გამოსვლას. პარტიამ ქართველი ერის ერთ ჯგუფს (! — ავტ.) ნება მისცა, მაგ. სამეგრელოს, შეიძინოს საბჭოების კულტურა (! — ავტ.) მათთვის გასაგებ ენაზე. რა შუაშია აქ ავტონომია. აქ ავტონომიაზე საუბარი პოლიტიკად არ მიმაჩნია. არა მგონია ვინმე ისეთი სულელი გამოერიოს ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობაში, რომ ასეთ რეაქციონერ აზრს ღებულობდეს... მეგრულმა გაზეთმა მეგრელ გლეხს დროზე გამოღვიძების საშუალება მისცა. ისწავლონ ქართული ენა, რათა რამდენიმე წლის შემდეგ იოლად შეიძლებოდეს მათი ქართულ გაზეთის კითხვაზე გადაყვანა!!! („ყაზაყიში გაზეთი“, 1. VI, 30). თუ გვსურს გავიგოთ სიმართლე „ყაზაყიში გაზეთის“ შესახებ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გრ. გაბუნიას აზრს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გაზეთი, საქართველოს ბოლშევიკური პრესის სხვა ნიმუშების მსგავსად, სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიითაც შხამაედა გლეხებს. ამდენად, მის კრიტიკოსთა შორის იყვნენ არა მარტო ვერგამგე, არამედ ეროვნული პატრიოტიზმის მიჩქმალვით გულშემწყრალი ადამიანები, რომლებიც სხვა გაზეთების, მაგალითად, „კომუნისტის“, „ზარია კოსტოკას“ მიმართ ვერ ბედავდნენ, პრინციპული პოზიციის გამოხატვას, „ყაზაყიში გაზეთის“ მეგრულობა კი მისი ეროვნულ-პატრიოტული პოზიციებიდან გაკრიტიკებისათვის შესაძლებლობას იძლეოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ხელმძღვანელად ლ. ბერიას მოსვლის პირველ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში იწყება ერთგვარი ლიბერალური და შედარებით დემოკრატიული ღონისძიებების გატარება. საკ. კპ(ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის მდივნად ლ. ბერიას დანიშვნის წლისთავის გამო „ყაზაყიში გაზეთის“ მოწინავე წერილი, იმდროინდელი წესისამებრ, აქებს ბერიას ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. გაზეთი აშუქებს იმ მიღწევებს, რომლებიც ამ პერიოდში აღინიშნა: „საქმის წარმოება, სასამართლო საქმის გაძღოლა, საბჭოთა აპარატის მუშაობა და დაწყებით სკოლებში სანიმუშო სწავლება გადაყვანილია ადგილობრივ მეგრულ ენაზე... გამოდის 5 მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი, კედლის გაზეთები, ბროშურები და სხვა“ („ყაზაყიში გაზეთი“, 1932 წლის 5 ნოემბერი). მეგრული გაზეთის მიმართ ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა. თავდაპირველი ხუთდღიური გამოცემა ყოველდღიურ გაზეთად იქცა. მეტი ყურადღება დაეთმო კულტურის ისეთ საკითხებს, როგორიცაა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კოლხეთის ჭაობების დაშრობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, სასკოლო მშენებლობა, სასკოლო სწავლების გაფართოება და სკოლაში პირველდაწყებითი სწავლების სრულყოფა. აღნიშნულთა გამო მეგრული გაზეთი არავის გაუკრიტიკებია.

1932 წლის 27 მარტიდან 31 მარტამდე ზუგდიდში გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივით ჩატარდა ზუგდიდის, ბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის, გალის, კოლორის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს, მაშასადამე, მეგრული რეგიონების „დამკვრელი კორესპონდენტების პირველი შეკრება“. იგი მიეძღვნა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით პრესის მუშაობის სრულყოფას. მაგრამ მან ამასთანავე ბევრ უაღრესად საყურადღებო სხვა ამბავს ახადა ფარდა.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ი. ჟვანიამ. მან პრესისა და პარტიული განათლების საკითხები დაუკავშირა თესვის კამპანიას. მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ წარმომადგენელი აკ. ჭაჭუა. მან ისაუბრა პრესისა და კორესპონდენტების ამოცანებზე. სიტყვით გამოვიდნენ კორესპონდენტები: სენაკიდან — ცხაკაია, ზარქუა და უჩანეიშვილი. მარტვილიდან — გობე-

ჩია. ჩხოროწყუდან — შენგელია. გალიდან — ალ. სოფია. ზუგდიდიდან — მესხია, სევ. შამუგია, დაგარგულია. ხობიდან — მ. ბუსქანძე. აბაშიდან — ჯიბლაძე. მარტვილიდან — ქუთელია. კოდორიდან — ვ. კუცია და სხვ.

მარტვილელმა კორესპონდენტმა გობეჩიამ, თავისი რაიონის გლეხობის ინტერესებით საჭიროდ ჩათვალა, რომ რაიონების ქართულ გაზეთებს მისცემოდათ მეგრული დამატება, ხოლო სოფლის კედლის გაზეთები გაფორმებულიყო ადგილობრივი გლეხობისათვის გასაგებ მეგრულ ენაზე. „ყაზაყიში გაზეთი" საუკეთესოდ აწარმოებს ჩაის რემონტის კამპანიას, — აღნიშნა ორატორმა, — ჩვენ ეს გადავიღეთ და კარგი შედეგი მოგვცა". მან, აგრეთვე განაცხადა: „მარტვილის მორინჯე (მოსახლე — ავტ.) გლეხობა მოითხოვს მეგრულ გაზეთს და კიდეც უნდა მისცენო". იქნებ იცრუა? არა, მან სიმართლე სთქვა.

ჩხოროწყუს წარმომადგენელმა შენგელიამ თქვა: „ჩხორუწყუში „ყაზაყიში გაზეთი" მცირე რაოდენობით ვრცელდება, გაზეთი არ მოსწონთ რაიონის ხელმძღვანელებს, რადგან მათ აკრიტიკებს. ჩვენ გვინდა „ყაზაყიში გაზეთის" გავრცელება, მაგრამ დახმარება არ გაგვიწიეს ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა... კედლის გაზეთი ს. ჭოღაში ქართულ ენაზე გამოდიოდა და იმანაც მიატოვა გამოსვლა. არც ვინმეა ქართული გაზეთის წამკითხველი".

ს. ნარაზენის წარმომადგენელმა დაგარგულიამ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ფოსტაში გამოწერილი „ყაზაყიში გაზეთი" ბლომადაა დაგროვილი. ფოსტის გამგე კი პატრონამდე მიწოდებას არ ფიქრობს"...

გალის წარმომადგენელმა განაცხადა: „მე აწი უფრო დავუკავშირდები „ყაზაყიში გაზეთსო".

კოდორის წარმომადგენელმა ვ. კუციამ შეკრების მონაწილეებს ამცნო: „წალენჯიხის ხელმძღვანელი ორგანოები „ყაზაყიში გაზეთს" უყურებენ როგორც მტერი და ხელს უშლიან მშრომელ მასაში მის გავრცელებას. სულ სხვა მდგომარეობაა კოდორის რაიონში. აქ გამოდის რუსული და აფხაზური გაზეთი(! — ავტ.), რომლებიც გაუგებარია რაიონის უმეტესობისათვის, ამიტომ უდიდეს როლს ასრულებს „ყაზაყიში გაზეთი" და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ძალიან იყენებს მის გავრცელებას. კოდორის რაიონში „ყაზაყიში გაზეთი" ასი პროცენტით ვრცელდება. იმისათვის, რომ ყველა გლეხის ოჯახში შეეიდეს „ყაზაყიში გაზეთი" საჭიროა მისი ტირაჟი გაიზარდოს, თორემ რაც მოდის ეს არ არის საკმარისი. „ყაზაყიში გაზეთი" აშუქებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ცენტრალურ გაზეთებს არ შეუძლიათ, რადგან ეს გაზეთი უფრო დაახლოებულია თავისი კორესპოდენტების რაზმით სამეგრელოს ყველა საჭიროებას და მდგომარეობას. მუშკორების ვალია ხმა აიმაღლონ ყველა იმ ელემენტის წინააღმდეგ, რომლებიც ცერად უყურებენ „ყაზაყიში გაზეთს".

ჩხოროწყუს რაიონის წარმომადგენლის სახით გამოვიდა კომკავშირის რაიკომის კულტპროპაგანდის განყოფილების გამგე „დ. კ.-ია". მან აღნიშნა: „კედლის გაზეთების მუშაობა კარგად დგას... გეგმების შესასრულებლად იღწვიან". ადგილიდან რეპლიკა ესროლეს: „რა ენაზე გამოდის კედლის გაზეთი?" პასუხი ასეთი დაუბრუნა: „სადაც ინტელიგენციაა იქ ქართულად და სხვაგან მეგრულად"... ამას მოჰყვა შეძახილი: „ტყუილია!" ორატორმა გააგრძელა: „ჩვენ რაიონში „ყაზაყიში გაზეთი" ვრცელდებოდა პირველი მარტის მონაცემებით 210 ცალი, ეხლა ვრცელდება 120. მიზეზი იძებნება იქ, რომ გაზეთში ხშირად იწერება ჩვენი რაიონის ნაკლოვანებები და ხელმომწერთა წერილებს იმდენი თვალყური არ ექცევა, ამას გარდა ხმარობენ სიტყვებს: დუდმახვენჯი, მელამოსე..." ე.ი. ძველი „პლასტინკა" დაატრიალა.

ჩხოროწყუს რაიონის კომკავშირის წარმომადგენლის აზრი ადვილად ამოიცნო ი. ჟვანიამ. თავიდან მან თავის სიტყვაში, თვითკრიტიკულად აღიარა, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება დღემდე არ არის დაყვანილი ძირეულ რგოლებამდე. რომ ეს ხარვეზი უნდა გამოასწორონ კომუნისტებმა და „ყაზაყიში გაზეთმა". ამის შემდეგ ი. ჟვანიამ

საკუთარი მეურვეობით გამომავალი გაზეთის შესახებ სთქვა: „რა საკითხავია გაზეთს აქვს ნაკლოვანებები, საჭიროა კორესპონდენტებმა მოგვწერონ გაზეთის ხარვეზების შესახებ... აქ გამოსული 20 ორატორი ერთხმად ამტკიცებს „ყაზაყიში გაზეთის“ მიღწევებს, არც სტილი და ენა დაუწუნიათ, რადგან იმდენად გასაგებია მეგრელი გლეხისათვის, რამდენადაც „კომუნისტი“ ქართველი გლეხებისათვის... გვიწუნებენ 2-3 სიტყვას, თითქოს მართლაც ეს გაუგებრობა აძლევს დევნის უფლებას?.. „კ-ია“ აქ თავის სიტყვას არ ამბობს, გრამაფონის როლს ასრულებს. მას უთხრეს ასე თქვიო და ასეც თქვა. „კ-იას“ გამოგზავნას ჯობდა კორესპოდენტები გამოეგზავნათ. მაგრამ კორესპოდენტს გრამაფონად ვერ გამოიყენებენ...“ როგორც ვხედავთ, აქ აისახა უთანხმოებანი, კერძოდ ი. ჟვანიასა და ჩხოროწყუს რაიკომის მდივნის დაპირისპირება.

სხდომის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა აკ. ჭოჭუა. მან დამსწრეთ განუცხადა: „ჩვენმა მუშაკორებმა უნდა იცოდნენ რომ „ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია. საკ. კპ(ბ) დადგენილებით (! — ავტ.) გამოდის „ყაზაყიში გაზეთი“ ყოველდღიურად (?! — ავტ.). ისინი რომ გაზეთის წინააღმდეგ ლაპარაკობენ რა თქმა უნდა საკ. კპ დადგენილების (?! — ავტ.) წინააღმდეგი არიან... „კ-ია“ მართალი არ არის თითქოს არ უნდა დაეწერათ ჩხოროწყუს წინააღმდეგობების შესახებ. ჩხოროწყუს რაიონში განსაზოგადებული მეურნეობის საერთო საცხოვრებელი ქარმა გააპარტახა, იგი გამოუყენებელია. კოლექტივების საწარმოო გეგმები შედგენილი არ არის. აქ რომ ვთქვათ ყველაფერი რიგზეა — იქნებოდა თავის მოტყუება“.

შეკრებაზე გამოსული ორატორების სიტყვების, გაზ., „კომუნისტის“ წარმომადგენლის აკ. ჭოჭუას მოხსენებისა და მისი შემაჯამებელი სიტყვის საფუძველზე სამეგრელოს ძირითადი რაიონების კორესპონდენტთა წარმომადგენლების შეკრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მუხლებში სამაგალითოდ არის წარმოჩენილი „ყაზაყიში გაზეთის“ საქმიანობა. რეზოლუციის VIII მუხლში აღნიშნულია, რომ „სამეგრელოს რაიონის გაზეთები („ყაზაყიში გაზეთის“ გამოკლებით) სუსტად წერენ სოციალისტური მეურნეობის საკითხებზე... მიჩნეულ იქნას, რომ „ყაზაყიში გაზეთს“ დევნიან ბევრ რაიონებში რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები. მითითებული იქნას ისიც, რომ ბევრ რაიონში არის მოთხოვნა მეგრულ გაზეთზე.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ მარტვილის, სენაკის და სხვა რაიონებში უფრო ფართოდ გავრცელდეს „ყაზაყიში გაზეთი“ ან ნახევარი ადგილი მიეცეს მეგრულ ენას იმ გაზეთებში, რომლებიც გამოდის ქართულ ენაზე სამეგრელოს რაიონებში. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოელოს „ყაზაყიში გაზეთის“ და მისი კორესპოდენტურის დევნას რიგი რაიონების ზოგი პირების მიერ („ყაზაყიში გაზეთი“, 1/IV, 1932).

ჩემი აზრით, სამეგრელოს რეგიონის მოწინავე კორესპონდენტთა შეკრებაზე გამოსული ორატორების ნააზრევი და მის საფუძველზე მიღებული რეზოლუცია ნათლად მოწმობს არა მარტო იმ ფაქტს, რომ „ყაზაყიში გაზეთი“ წარმატებით ემსახურებოდა პარტიის მიზანდასახულობათა ხორცშესხმას, არამედ იმასაც რომ:

1. მთავარი მეგრული გაზეთი გამოხატავდა სამეგრელოს იმ რეგიონების ფართო მშრომელი გლეხობისა და კორესპონდენტების მოწონებას, რომლებშიც იგი ვრცელდებოდა.

2. „ყაზაყიში გაზეთზე“ მოთხოვნილება ბევრად აღემატებოდა მკითხველისადმი მიწოდებულ მის რაოდენობას, და თუ არა, სამეგრელოს ცალკე რაიონების ხელმძღვანელთა პოლიტიკანური დევნა და გაზეთის გავრცელების მიზნობრივი დაბრკოლებები, მისი 16-ათასიანი ტირაჟი ბევრად უფრო დიდი იქნებოდა.

3. სამეგრელოს რეგიონის მოწინავე ჟურნალისტების შეკრებამ ცხადი გახადა წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების ხელმძღვანელთა ი. ჟვანიასთან პოლიტიკანური დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — „ყა-

ზაყიში გაზეთის" კრიტიკული პოზიცია. როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნულ წარმატებათა საფუძველზე მიაკუთვნეს ამ მეგრულ გაზეთს გარდამავალი დროშის ზუგდიდის რაიონში დატოვების უფლება, რის შესახებაც ვკითხულობთ 27 სექტემბრის წერილში. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს დადგენილებით აღინიშნა, რომ „ყაზაყიში გაზეთმა" დიდი მუშაობა გაშალა კოლმეურნეობათა ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხების მასების მობილიზაციის, საგაზაფხულო თესვის კომპანიის და სოფლის მეურნეობის სოციალური გარდაქმნის საქმეში (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1991, 29 ივნისი, №173).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, თუ რაოდენ არასწორად და მიზნობრივად დაკნინებულია „ყაზაყიში გაზეთის" მნიშვნელობა, როდესაც მოიმარჯვებენ ხოლმე მისი გავრცელების იმ პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებიც განისაზღვრებოდა სამეგრელოს სხვა რაიკომის მდივნების მხრივ „მეგრული გაზეთის" ხელისმომწერთა ხელოვნურ-პოლიტიკანური შეკვეცით, ხელმომწერამდე გაზეთის მიუტანლობით და კორესპონდენტების დეენით.

მაშასადამე, ისიც ცხადი ხდება, რომ სათანადო დოკუმენტები საჭიროებს ყველა ცნობილი წყაროს ურთიერთკავშირში გააზრებას, რის გარეშე შეუძლებელია რეალური მდგომარეობის ობიექტური გამოკვლევა და ამ შემთხვევაში სიმართლის გაგება.

„ყაზაყიში გაზეთის" შემდგომ ნომრებში აისახა მიმდინარე პოლიტიკურ-სამეურნეო და კულტურული საქმიანობა. გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს შორის, ამ წინამდებარე წიგნით დასახული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო. ვფიქრობთ, რომ ისინი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მათზე შედარებით ვრცლად შეჩერება.

„ყაზაყიში გაზეთის" 1932 წ. 18 იანვრის ნომრით ირკვევა, რომ ზუგდიდის II პარტიულ კონფერენციაზე პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სამეურნეო ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. სწორედ ამ დროს წარმოსთქვა მან თავისი ცნობილი აზრი სამეგრელოს რეგიონისათვის ადმინისტრაციული ოლქის სტატუსის მიკუთვნების აუცილებლობის შესახებ.

„ყაზაყიში გაზეთი" ყურადღებას უთმობს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1932 წლის 16 მარტის დადგენილებას „საყოველთაო სწავლების მიმდინარეობისა და ამოცანების შესახებ", რომელიც გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა 29 მარტს და შემდეგ საფუძვლად დაედო ზუგდიდის რაიონის ცალკეული სკოლების პირველდაწყებით კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების ექსპერიმენტის განხორციელებისათვის ფართო მოსამზადებელ მუშაობას. ამასთან დაკავშირებით „ყაზაყიში გაზეთმა" გამოაქვეყნა „ძველი მასწავლებლის კოლია (ნიკოლოზ) ბუკიას წერილი "მეგრულ ენაზე პირველ დაწყებითი სწავლების შესახებ" (11.VII.1931) და პედაგოგ ჯ. როგავას სტატია „რატომ არის უმჯობესი მეგრულ ენაზე სწავლება დაწყებით სკოლებში" (22.VII.1932). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გაზეთის მიერ ჯერ კიდევ 2 მარტს „კომკავშირული გვერდის" ყოველ მე-5 დღეს გამოშვების გამო დაბეჭდილი წერილის სიტყვები: „<u>შეიძლება ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა და მისმა აგენტებმა ჩურჩული დაიწყონ ახალგაზრდებს აშორებენ ქართულ ენასო, სულაც არა. მეგრული წერით ჩვენ ვეხმარებით სკოლის გარეთ დარჩენილ ახალგაზრდებს, ქართულის არ მცოდნე გლეხ ახალგაზრდებს. ჩვენმა ორგანიზაციებმა წუთითაც არ უნდა შეასუსტონ ყურადღება ქართულის და სხვა ენების მიმართ, მათი შესწავლის მიმართ</u>" („ყაზაყიში გაზეთი", 1932, 2 მარტი). ამის წამკითხველი ვერ უნდა ახერხებდეს ამ მეგრული გაზეთის მიმართ ღვარძლის გადმონთხევას, მაგრამ, როგორც ჩანს, ან არ წაუკითხავთ, ან მისთვის მიზნობრივად არ მიუნიჭებიათ სათანადო ღირებულება. ზოგს კი ჰგო-

ნია, რომ მიწის მუშა ამ გაზეთით არ გაცდებოდა, იმ დროს ეროვნული ავტორების ნაწერის წაკითხვით შეავსებდა.

„ყაზაყიში გაზეთი“ ცდილობდა მხარი აება რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე პერიოდულად გაჩაღებული ქართველი მწერლებისა და კულტურის სხვა დარგების მუშაკთა იდეოლოგიური დამუშავებისათვის. იგი უამისოდ ხომ ვერ იქნებოდა ბოლშევიკური გაზეთი. როგორც ზემოთ, ლ. ღოღობერიძის წერილის გაცნობის დროს ვნახეთ, იგი თავს ესხმოდა ვინმე „ერთ მეგრელს“, რომელიც „ყველაზე უარესი ნაციონალისტია“. მას ამ დროს ამ პიროვნების გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ ცხადია, რომ მხედველობაში ჰყავდა კ. გამსახურდია, რომელმაც საქართველოს კომპარტიის მდივანს ყურულაშვილს წერილობით გააცნო თავისი უკმაყოფილება მეგრული ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემის გამო. მსგავსი აზრები გამოითქმებოდა ქართული კულტურის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიმართ. 1932 წლის 11 აპრილს „ყაზაყიში გაზეთში“ გამოქვეყნდა ვ. მესხიას წერილი „უდიდესი ყურადღება იდეოლოგიურ ფრონტს“. იგი წარმოადგენდა ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტალინის საპროგრამო წერილის („ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“) გამოხმაურებას. აქ ნათქვამია კომპარტიის ისტორიის სიწმინდის დაცვაში ბერიას დამსახურების შესახებ. ამასთანავე მასში გაკრიტიკებული არიან შ. დადიანი, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი და სხვა. „ჩვენი აზრით შ. დადიანის აზრი ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, — წერს ვ. მესხია, — თითქოს მეგრელების მეგრული ენით სწავლება საჭირო არ იყოს სწორად არ მიგვაჩნია“. ამასთანავე მას კ. გამსახურდიას „ჯაბუ“, „ტაია შელია“, „ძორდუ“ და სხვა გაგებული აქვს როგორც მენშევიზმი და ლიბერალიზმი. წერილის ავტორი პარტიულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიიდან გამომდინარე მოითხოვს ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერებას, კერძოდ ბრძოლას „მემარცხენე“ (ტატულოვის ჯგუფის) და „მემარჯვენე“ (გამსახურდია, ჯავახიშვილის და სხვ.) გადახრის წინააღმდეგ. ავტორი აკრიტიკებს ს. ხუნდაძისა და ბ. ბუაჩიძის „სოციალ-ფედერალისტურ“ ნააზრევს. იგი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „უმეტესობა შვიდწლედდამთავრებულისა ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს პირველ მარქსისტებად და ბატონყმობის წინააღმდეგ თავგამოდებულ მებრძოლებად რაცხავენ“. როგორც ცნობილია, მართლაც, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის არაერთი მკვლევარი, კრიტიკოსი და მწერალი შეეცადა თერგდალეულთა იდეური ბელადების სოციალურ-პოლიტიკური ნააზრევი ქართული მარქსისტული ნააზრევის სათავედ წარმოეჩინა (ს. ხუნდაძე და სხვ.). ქართული მწერლობის კლასიკოსების შემკვიდრეობისადმი ჯეროვანი პატივის მიგების მიზნით, ზოგი პოზიტიურად მოაზროვნე ამ დროს რეაქციონერად შეფასებული კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაში ცარიზმისდროინდელი რეჟიმის სოციალურ უკულმართობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდების თანადროვე აზროვნებისათვის მისაღებად და ავტორების სარეაბილიტაციოდ წარმოჩენას შეეცადა. მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ დროს ოფიციალური იდეოლოგიის დამცველთაგან დიდი ილიას „კაკო ყაჩაღის“ და „ვლახის ნაამბობის“ წამოწევის გზით, მათი ავტორის რეაბილიტირების შესაძლებლობათა ძიებას. ამის გამო მ. ჯავახიშვილს სისტემატიურად თავს ესხმოდნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები. ისინი მ. ჯავახიშვილს ზოგჯერ უშუალოდ ილია ჭავჭავაძის და 1832-იანელთა მაღალი შეფასებისათვის ებრძოდნენ, ხან კი მისი იმ ნაწარმოებების გამო, რომლებშიც ვერ ხედავდნენ სოციალიზმის ინტერესების დაცვას („ჯაყოს ხიზნები“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიჟე“ და სხვ.).

ასეთივე განწყობილება სუფევდა კ. გამსახურდიას მიმართ. იგი თავისი ნაწარმოებებითა და აზროვნებით, განსაკუთრებით კი ცნობილი პატრიოტული საჯარო განცხადებებით, როგორც თვითონვე „აღიარებდა“, „ნაციონალიზმის

ტყვეობაში" დიდხანს იმყოფებოდა. ასე, რომ კ. გამსახურდიამ გარკვეული დროის მანძილზე ვერც ხელისუფლების და ვერც „მეგრელ პატრიოტების" გული ვერ მოიგო. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მეგრული ბეჭდვითი სიტყვის შეფასების დროს ზედმიწევნით მართებულ შეფასებას იძლეოდა. ქართულის არმცოდნე მეგრელ გლეხს გასაგებ ენაზე საინფორმაციო საშუალება თუ არ ექნებოდა, იგი ამ შემთხვევაში საერთოდ მოწყდებოდა არა მარტო ქართულ კულტურას, არამედ ადამიანური ცხოვრებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას, ინფორმაციის პრესის მეშვეობით მიღებას, მეგრულ გაზეთში კი თუმცა იშვიათად, მაგრამ, ზოგჯერ ზოგადქართული მნიშვნელობის ინფორმაციაც იბეჭდებოდა. მაგალითად, „ყაზაყინი გაზეთში" დაიბეჭდა „ვეფხიტყაოსნის" ერთი ეპიზოდის იშვიათი საყურადღებო თარგმანი. მაშასადამე, გაზეთის კორესპოდენტებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც ცდილობდნენ ზოგად ეროვნული კულტურის წიაღში ჩაეხედებინა რიგითი მწარმოებელი და ამით თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებიც წარმოეჩინა.

1932 წლის 23 ოქტომბერს გაზეთში გამოქვეყნდა საინტერესო ცნობა ლოტბარ კირილე პაჭკორიას მეგრული ეთნოგრაფიული გუნდის მიერ სიმღერების შესრულების შესახებ. კორესპოდენტი კრიტიკულად ეკიდება მეგრული სიმღერების „ოდოიას", „კუჩხი ბედინერის" და სხვათა შესრულების ხარისხს, ამავე დროს იგი ლოტბარს ქებას ასხამს იმის გამო, რომ მას კონცერტი დაუმშვენებია გუნდში გურულებისა და კახელების ტრიოს შემოყვანით. მაშასადამე, მეგრელი კორესპონდენტის, საერთოდ გაზეთის სარედაქციო კოლექტივისათვის და მეგრული გაზეთის დამკვეთ-მომხმარებლებისათვის გურული და კახური სიმღერები ისევე მახლობელია, როგორც მეგრული.

1933 წლის 16 თებერვლის შემდეგ, ზუგდიდის რაიონის ახალი ხელმძღვანელობის დროს, „ყაზაყინი გაზეთის" პასუხისმგებელი რედაქტორად სამხრეთ ოსეთში „დაწინაურებელ" ი. ჟვანიას ნაცვლად დაინიშნა იუსტინე გვასალია. ადრე იგი ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარე და „მეგრულ საკითხში" ი. ჟვანიას აქტიური მხარდამჭერი და მიმდევარი იყო. ამ დროს ცკ-მა გაზეთს სტატუსი შეუცვალა და იგი ჩამოაყალიბა რაიონული დაქვემდებარებით. 1933 წელს „ყაზაყინი გაზეთი" დიდი ხნის მანძილზე იბეჭდებოდა ერთ გვერდზე, შემდეგ ისევ აღსდგა ოთხი გვერდის მოცულობით. ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ ქაღალდის პრობლემით. ამ წლის ოქტომბრიდან „ყაზაყინი გაზეთი" წყვეტს თავის არსებობას. ეს უშუალოდ უკავშირდება „მეგრული საკითხის" მიმართ ხელისუფლების ახლებურ დამოკიდებულებას. ამ დროს ბერიას ახალი კურსის და ახალი საკადრო რეჟიმით უკმაყოფილო ადამიანებს, მიზნობრივად და ხელოვნურად შეუთითხნეს მაფალუელების „კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ-სეპარატისტული" ბრალეულობები. ამის შესახებ ქვემოთ სპეციალურ თავში გვექნება საუბარი.

გაზეთის სარედაქციო ცვლილებების მიუხედავად, ძირითადად იგივე რჩებოდა მისი სახე. გაზეთში იბეჭდებოდა იმ კულტურული ურთიერთობის ამსახველი წერილები, რომლებიც საზრდოვდებოდა ბერიას ხელმძღვანელობის მიერ. საქმე ისაა, რომ 1933 წლის ზაფხულში ზუგდიდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა. ზუგდიდს ესტუმრა სახელოვანი კოტე მარჯანიშვილის თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა რამდენიმე სპექტაკლი. „ყაზაყინი გაზეთის" კორესპონდენტები მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლების დადგმას ზუგდიდში მიიჩნევენ უმნიშვნელოვანეს მოვლენად. „ჩვენ გვწამს, რომ თეატრის პირველი მოსვლით, ტრადიციის გაჩენით, კულტურული კავშირი გაიბმება ზუგდიდის ფართო მშრომელ საზოგადოებასთან..." — ვკითხულობთ კორესპონდენტის წერილში.

„ყაზაყინი გაზეთის" პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ მარჯანიშვილის თეატრმა ზუგდიდის რაიონისა და სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენლობას უჩვენა სპექტაკლები „ურიელ აკოსტა", „ყვარყვარე თუთაბერი", „კაკალ გულში",

„შიში“, „ოტელო“. გაზეთში გაცხადებულია საკუთარი და მაყურებლის კმაყოფილება ქართული სცენის ოსტატების ს. თაყაიშვილის, შ. ღამბაშიძის, ვ. გონიაშვილის, სულთანიშვილის, ელენე დონაურის, დ. ჩხეიძის, ა. ჟორჯოლიანის, გოცირელის, ნ. ვაჩნაძის, შ. ჯაფარიძის, გვინჩიძის, ნ. გოცირიძის, ლორთქიფანიძის, ნ. მაჭავარიანის, მ. სიბლას, ფ. ჭანტურიას, შავგულიძის, კობახიძის და სხვათა მაღალი სცენური ოსტატობით. აღტაცება გამოიწვია დამდგელი რეჟისორების ნ. ნაკაშიძის და დ. ანთაძის, მხატვარ ელენე ახვლედიანის და კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის ღვაწლმა. „თავისი გამოსვლებით თეატრმა შეასრულა დიდი რეჟისორის ანდერძი სამეგრელოსთან დაკავშირების“ — ვკითხულობთ გაზეთში. კორესპონდენტ ვ. კორტავას აზრით, „მარჯანიშვილის თეატრის მოსვლა ზუგდიდის რაიონში ეს არის გამარჯვება როგორც მარჯანიშვილის თეატრის, ისე ჩვენი მშრომელი მასებისათვის. არ უნდა დარჩეს მუშა-მოსამსახურე, რომელმაც არ ნახოს ეს დიდი საქმე. მომავალშიც უნდა მოგვეხმაროს თეატრის ხელმძღვანელობა მოგვცეს საშუალება ჩვენი რაიონის კულტურის უმაღლეს დონეზე ასაყვანად...“ („ყაზაყიში გაზეთი“, 1933, 18 ივნისი).

გაზეთში დიდი ასოებით დაიბეჭდა მარჯანიშვილის თეატრის გამოსამშვიდობებელი „წერილი რედაქციას“: „სს რესპუბლიკის სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის თეატრის სრული შემადგენლობა დიდ მადლობას უცხადებს ზუგდიდის რაიონულ პარტიულ კომიტეტს, აღმასრულებელ კომიტეტს, „ყაზაყიში გაზეთს“, ზუგდიდის მშრომელ მოსახლეობას და ორგანიზაციებს, რომლებმაც თეატრს დიდი და ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს ზუგდიდში გასტროლების დროს“ („ყაზაყიში გაზეთი“, 1933, 25 ივნისი).

ზუგდიდში კოტე მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების შემდეგ ჩატარდა ქართველი მწერლების ნ. ზომლეთელის, დ. გაჩეჩილაძის, ბ. კეშელავას, ალ. ლაშხიას და სხვათა შემოქმედებითი საღამო. „ყაზაყიში გაზეთმა“ მოათავსა მათი ლექსები. მასპინძლებმა გამოავლინეს სიყვარული და მოწიწება ქართული პოეტური შემოქმედებისადმი (13.VI.1935).

სამწუხაროდ, გაზეთიდან არა ჩანს ზუგდიდთან საქართველოს დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა კულტურული ცენტრების კავშირი. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პარტიულ-სამეურნეო შეკრებების, პრესაში პარტიისა და მთავრობის სადირექტივო წერილების გამოქვეყნებას. ყოველდღიური შრომითი საქმიანობა იყო იმდროინდელი რეჟიმის ძირითადი საზრუნავი. ჩაი გახდა მთავარი „ხატი“ სამეგრელოსი, განსაკუთრებით ზუგდიდის რაიონში. ეს მკაფიოდ არის ასახული „ყაზაყიში გაზეთის“ ფურცლებზე. როგორც ჩანს, პარტია და ხელისუფლება ვერ იცლიდნენ კულტურული ღონისძიებებისა და კავშირების გაცხოველებისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ფართო საზოგადოების ნააზრევის ცალმხრივად ნასაზრდოებ დინებაში შეინიშნებოდა ე.წ. მაფალუელობა, მეგრული კულტურის მშენებლობისა და ანტიეროვნული სეპარატიზმის დანერგვის ცდები. მეგრულ პუბლიკაციებში ასეთი აზრების მასაზრდოებელი არაფერი დაბეჭდილა, ხოლო რაც იბეჭდებოდა, ის ნათლად მოწმობს, რომ პოლიტიკან-პროვოკატორების მიერ სეპარატიზმის ბუდედ გამოცხადებული ზუგდიდი, ცხოვრობდა საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივი და ეროვნული სულისკვეთებითა და ცხოვრებით.

„ყაზაყიში გაზეთის“ პარალელურად გამოდიოდა ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის („მტს“-ის) გაზეთი „სტალინელი“, რომელშიც აგრეთვე მეგრულ ენაზე შუქდებოდა უპირატესად სოფლის მეურნეობრივი წარმოებისა და მექანიზაციის საკითხები. გამოდიოდა მეგრული მრავალტირაჟიანი გაზეთები: „მოხანდენი ხონარი“ („მშრომელის ხმა“), „სამარგალოშ ჩაი“, „სამარგალოშ თუთუმი“, „მახორხალი“ (მხერხაკი), რომლებშიც ზოგჯერ იბეჭდებოდა შერეული მეგრულ-ქართული და აგრეთვე, რუსული წერილები. ეს

უკანასკნელი გათვალისწინებული იყო ჩაის კულტურის გაშენებისათვის რაიონში მეზობელი რესპუბლიკებიდან, უპირატესად უკრაინიდან და რუსეთიდან, შემოყვანილი მუშებისათვის. მეგრულ ენაზე გამოდიოდა აგრეთვე გლეხობისათვის განკუთვნილი საინფორმაციო ხასიათის ერთდროული ფურცლები (კანონები, მოწოდებები, სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის საწარმოებელი წესდება და სხვ.). ისინი მთავარ მეგრულ, „ყაზაყიში გაზეთთან" ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რიგითი მწარმოებლების გაცნობიერებისათვის. 1935 წლიდან, როცა ქვეყნის წინაშე, ახალმა პოლიტიკურმა ამოცანებმა წამოიწია, აღნიშნული პუბლიკაციები თანდათანობით შეიკეცა, 1936 წლიდან კი საბოლოოდ შეწყდა.

მაშასადამე, მეგრული ენის გამოყენების ბოლშევიკური ტრადიციის აღდგენა ამ შემთხვევაში იმან გამოწვია, რომ საქართველოში და მის სამეგრელოს რეგიონში პარტიის სამეურნეო პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობის ამაღლება გარდუვლად აყენებდა უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ინტენსიურობის გაძლიერებას. ამ მიზნით დაუშვა პარტიამ და ხელისუფლებამ ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების მისთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე ურთიერთობა და გაზეთ-ფურცლების გამოქვეყნება-გამოყენების უფლება. ამით მან ობიექტურად ხელი შეუწყო ზუგდიდის მაზრის კულტურულ დაწინაურებას ქართულის არმცოდნე ადამიანების სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენით დაინტერესებასა და მათ საერთო ეროვნულ კულტურასთან ზიარებასაც.

* * *

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებმა დღის წესრიგში გარდუვლად დააყენა წარსულის უაღრესად მძიმე მემკვიდრეობის, უშუალო მწარმოებელთა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მოკლე დროში განხორციელების ამოცანა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე გადაიდგა. მაგრამ იმ დროს სამეგრელოს რეგიონში ტარდებოდა მხოლოდ პარტიულ ქსელში გაერთიანებული კომუნისტების წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია ქართული ენით. შემდგომ წლებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია კულტურული რევოლუციის აუცილებელ პირობად გამოცხადდა. თანდათან ძალას იკრებდა ლენინური ლოზუნგი — „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეთ დგას". 1923 წელს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტისადმი დაშვებული ცირკულიარით წერა-კითხვის უცოდინარობა მაზრის ყველა რაიკომში უნდა დამთავრებულიყო 1924 წლის იანვრამდის (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 544, ფურც. 44). ეს დავალება ასე თუ ისე სრულდებოდა, რადგან კომუნისტების ძირითადი ნაწილი ნაზიარები იყო რუსულ პროლეტარულ „კულტურას". ამასთან, კომუნისტი ჩინოვნიკების შერჩევის დროს ყურადღებას აქცევდნენ ქართული ან რუსული ენის ცოდნას. მაგრამ მეგრელ გლეხობაში გაუგებარ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევა უაღრესად დიდ სირთულეებს აწყდებოდა. 1923 წელს ზუგდიდის მაზრაში წერა-კითხვა შეისწავლა 200 კაცმა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 544, ფურც. 56). 1925 წელს მაზრაში წერა-კითხვის მცოდნეა მხოლოდ 28 პროცენტი (იხ. იქვე, აღწ. 6, ს. 266, ფურც. 203). 1929 წელს ზუგდიდის მაზრის მთელ წერა-კითხვის სალიკვიდაციო ქსელში მხოლოდ 200 კაცის მომზადება გახდა შესაძლებელი (იხ. „ჭითა ჩხორია", 1931, გვ. 1). ზოგი ინტელიგენტისათვის ეს მდგომარეობა ნორმალურად მიიჩნეოდა. მათი არგუმენტი იყო: ძველთაგანვეა „მეგრი სწავლითა ქებული", „მეგრელებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული ლიტერატურისა და სახელმწიფოებრივი ენის შექმნაში", ზოგი ამტკიცებდა მეგრული დამახინჯებული ქართულია და ამიტომ მეგრელების მიერ ქართულის შესწავლა სერიოზული

პრობლემა არ არისო. ეს არ იყო ქართულის არმცოდნე გლეხების კვლავ ძველ მდგომარეობაში დატოვების გამამართლებელი არგუმენტი.

როგორც ადრე ვნახეთ, სკპ(ბ) ცკ-ის მიერ არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გადაწყდა სამეგრელოს მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მეგრულ ენაზე განხორციელება. იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1929 წლის 26 მარტის დადგენილებით მოიწონა და სახელმწიფო ამოცანად დასახა. შესაბამისად უკვე ამ წლიდან ძირეული შემობრუნება მოხდა. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო ქსელი გაფართოვდა. მაგრამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1930 წელს სათანადო სახელმძღვანელო „ჭითა ჩხორია" (წითელი სხივი) გამოიცა. (104 გვ., ტირაჟი 1500). 1931 წელს გამოვიდა „ჭითა ჩხორიას" მეორე (132 გვ., ტირაჟი 20000) და მესამე (გვ. 104, ტირაჟი 10000) შესწორებული გამოცემები.

„ჭითა ჩხორიას" პირველი გამოცემის შესავალში განმარტებული იყო, რომ პირველი მეგრული ანბანის (ანუ სახელმძღვანელოს — ავტ.) გამოქვეყნების მიზანი იყო მეგრული ენის გამოყენებით წერა-კითხვის უცოდინარობის უახლოეს ორი წლის განმავლობაში დაძლევით მშრომელთა სოციალური დაწინაურება. სახელმძღვანელოს შემდგენლები აღნიშნავდნენ, რომ რაც შეიძლებოდა შეეცადნენ იმ სიტყვების გამოყენებას, რომლებსაც სოფლის მშრომელები ხმარობდნენ და, რომ წიგნის მეორე ნაწილი თარგმნილი იყო ბატონ ჩიქობავას წიგნიდან, რომლის სახელია „წინ" (იხ. გვ. 3).

სახელმძღვანელოში მოთავსებულია ნახატები, ადვილად შესასწავლი მარტივი ტექსტებით: ხილი, სახე, ხრამი, კოკა, თოკი, ურემი, ოდა და სხვ. შემდეგ აღწერილია გლეხური სამეურნეო ცხოვრების ეპიზოდები, მოცემულია ცნობები სასოფლო და სამრეწველო საწარმოების, ჰიდროელექტროსადგურების შესახებ. ცალკე გვერდი ეთმობა რომაულ და არაბულ ციფრებსა და აგრეთვე ქართული ანბანის გადმოცემას. ქართული ანბანის 33 ასოს მიმატებული აქვს 2, მათ შორის მეგრული მეტყველების სპეციფიკის შესაბამისი ბგერის აღმნიშვნელი ასო: „Ყ" და ამის მერე სახელმძღვანელოში მოცემულია მცირე ზომის შედარებით გართულებული ტექსტები: ცოდნის მიღებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობის, ქვეყნის პოლიტიკური წყობის და ცხოვრების, საარჩევნო სისტემის, საბჭოთა მმართველი პარტიისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურის შესახებ. სახელმძღვანელოში შეტანილია საინფორმაციო ხასიათის ცნობები საქართველოს გეოგრაფიის, მოსახლეობის, პოლიტიკურ წყობის, აგრეთვე იგივე მონაცემების შემცველი წერილები სსრ კავშირის ცალკეული რესპუბლიკების, მათი დედაქალაქებისა და მოსკოვის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. „ჭითა ჩხორია" მკითხველს აცნობს საბჭოთა ქვეყნისა და კომპარტიის ისტორიულ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. აქვე ასახულია მეურნეობის ცალკეული დარგების სტატისტიკური მაჩვენებლები და ხუთწლიანი გეგმით დასახული მათი განვითარების პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რაიონისა და რეგიონისათვის სპეციფიურ კულტურებს: ჩაის, სიმინდს, თხილს, ვენახს, მეაბრეშუმეობას. გაშუქებულია კოლექტივიზაციის საკითხები, კოლექტიური მეურნეობის ფორმები, სანარდო სისტემა, შრომის ანაზღაურება შრომადღეების და სამუშაოს მოცულობის მიხედვით. სახელმძღვანელოში მოთავსებულია ლექსები, რომლებიც ეძღვნება შრომას, სწავლას, პარტიისა და ხელისუფლების ბელადებს. „ჭითა ჩხორია"-ში მოთავსებულია კოლმეურნეთა და ქალთა კურსების მსმენელთა კოლექტიური ფოტოსურათები. სახელმძღვანელოში ყურადღება ეთმობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებს და ა.შ.

„ჭითა ჩხორია" მოზრდილ მოსწავლეებს ამცნობს, რომ წერა-კითხვის უცოდინარია გერმანიაში 200 კაცზე — 1, ინგლისში 300-დან — 1. ჩვენთან კი 100-დან — 68 (იხ. მეორე გამოცემა 1931, გვ. 55., მესამე გამოცემა, გვ. 50);

სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა აღწევდა 5 მილიონ ჯარისკაცს („ჭითა ჩხორია", პირველი გამოცემა, გვ. 99). ჩაის ფართობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა ათასიდან ოთხი ათას ორას ჰექტარამდე (იხ. იქვე, გვ.78). საბჭოთა დედაქალაქ მოსკოვში ცხოვრობს 2 მილიონი ადამიანი. წიგნში შეტანილია სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სახკომსაბჭოს 1925 წლის 15 დეკემბრის დადგენილება ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობამ ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სასამართლოში მეგრული ენის შემოღების შესახებ („ჭითა ჩხორია", მესამე გამოცემა, გვ. 42-44), ცალკეული სოფლების კოლექტივიზაციის ისტორია (იქვე, გვ. 79-81) და სხვა. დარწმუნებული ვართ, რომ „ჭითა ჩხორიას" ეს და ბევრი სხვა ინფორმაცია ფრიად საჭირო იყო.

ასეთ მარტივ სახელმძღვანელოს გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა. წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ახალ შესაძლებლობათა ბაზაზე, ანუ მეგრული ენითა და მეგრულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოს გამოყენების საფუძველზე უკვე 1930 წელს შესაძლებელი გახდა 9 ათასი ადამიანის მომზადება („ჭითა ჩხორია", მესამე გამოცემა, გვ.1).

„ჭითა ჩხორიას" ტექსტი, როგორც ზემოთ ითქვა, ემყარება ქართულ ანბანს, მაგრამ ემატება მეგრულში შემორჩენილ იმ ბგერების აღმნიშვნელი რამდენიმე ახალი ასო, რომლებიც ქართულ მეტყველებაში არ იხმარება. მაგალითად, ასეთია ასო „Ყ", რომელიც, როგორც ვხედავთ სარკისებურად შებრუნებული ქართულ ასო „ყ"-ს წარმოადგენს და გამოხატავს ხორხისმიერ ბგერას, რომელიც „ყ"-ს უახლოვდება, მაგრამ, ამავე დროს, მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აქვე უნდა ითქვას, რომ „ჭითა ჩხორიას" შემდგენლებს ყველა ქართულისაგან განსხვავებული მეგრული ბგერის შემოღება საჭიროდ არ ჩაუთვლიათ. მაგალითად: მეგრულში იხმარება რუსული ბგერა „Я"-ს მსგავსი, რომელიც ერთ ბგერად გადმოგვცემს ქართულ „ლ"-ს, „ი"-ს და „ა"-ს. მაგალითად „ლამარა" მეგრულად გამოითქმის როგორც „ლᲘმარა". მაშასადამე, „ჭითა ჩხორიას" შემდგენლებს გადაუწვეტიათ ახალი სამიოდე ასოს შემოღებით თავი დაეღწიათ აშკარად შესაჩნევი უხერხულობისათვის, რათა სწორად წარმოჩენილიყო ისეთი სიტყვები, როგორიცაა „Ყდე" (სახლი), „Ყომური" (ტყემალი), „Ყოროფა" (სიყვარული) და სხვა.

„ჭითა ჩხორიაში" მოცემული იყო ი. გოგებაშვილის „დედა ენის" პრინციპულ საფუძველზე შედგენილი მარტივი სასწავლო, შემდეგ კი აგრეთვე შედარებით რთული, მაგრამ მარტივი ინფორმაციის შემცველი ტექსტები. მარტივიდან რთულზე გადასვლის მეთოდით სახელმძღვანელო ისე იყო აგებული, რომ მისი დაუფლების შემდეგ გლეხს შესაძლებლობა ჰქონდა საკუთარი ხელით დაეწერა განცხადება თუ საჩივარი, წაეკითხა და გაეგო მეგრული გაზეთი, კონტრაქტი, სასამართლოს განაჩენი, ხოლო სათანადო ინტერესის შემთხვევაში წაეკითხა ქართული ტექსტი და ამოეკითხა მსგავსი შინაარსის სიტყვების აზრი. ამდენად იგი იყო ქართულ ლიტერატურულ ენასთან მოახლოების, ზიარების საშუალებაც.

ამ წიგნს, როგორც მეგრულ ენაზე შექმნილ პირველ ტევადსა და საპასუხისმგებლო ბეჭდურ გამოცემას, თავიდან მთელი რიგი სარვეზებიც ახლდა. მათ შორის განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რიგით ადამიანებში დამკვიდრებული რუსული სიტყვები, ზოგი ისეთი მეგრული სიტყვა, რომლებიც სამეგრელოს ყველა რაიონში არ იხმარებოდა და უპირატესად მის ერთ-ერთ რომელიმე რაიონის (სამურზაყანოს ან ჯვარის სოფლების) გლეხების დიალექტში გამოიყენებოდა. გამოყენებული იყო აგრეთვე ახალი ტერმინების შესატყვისი, წიგნის შემდგენელთა მიერ, მეგრული სიტყვების კომბინაციით შედგენილი ტერმინები. მაგალითად, „დუდმახვენჯი" („დუდი" — თავი + „მახვენჯი" — მჯდომარე) = თავმჯდომარე (მაგალითად, კოლმეურნეობის ან საბჭოს და სხვ. თავმჯდომარე).

აღნიშნულ და ზოგ სხვა მსგავს „უცნაურობათა“ გამო, როგორც ზემოთაც ვნახეთ, კრიტიკული აზრი გამოითქვა „ყაზაყიში გაზეთის“ მიმართ და არა მარტო მეგრული გლეხური პუბლიკაციების მოწინააღმდეგეების, არამედ თვით მეგრული მარტივი გლეხური პუბლიკაციების მხარდამჭერთა მიერ. ისინი სამართლიანად მოითხოვდნენ რუსული და გამოგონილი, თუ კომბინირებული მეგრული სიტყვების ქართული სიტყვებით შეცვლას, მეგრული გლეხური პუბლიკაციების მოწინააღმდეგეები კი აღნიშნულ ხარვეზებს იყენებდნენ საკუთარი შორს მიმავალი აზრის დამასაბუთებელ არგუმენტებად.

როგორც ცნობილია, „ჭითა ჩხორიას“ შესახებ თავისი კრიტიკული მაგრამ საყურადღებო და უმთავრესად სწორი აზრი რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წარმომადგენელს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანს გიორგი კურულოვს (ყურულაშვილს) მიაწოდა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. იგი 1982 წელს სათანადო განმარტებების გარეშე გამოაქვეყნა ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (№3, გვ. 143-144). დიდი ქართველი მწერლისა და სამეგრელოს მკვიდრის ამ წერილმა გარკვეული როლი შეასრულა არა მარტო „ჭითა ჩხორიას“ და ი. ჟვანიას, არამედ საერთოდ „მეგრული საკითხის“ შესახებ საზოგადოების როგორც სწორი, ისე მცდარი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ ახლა საჭიროა, რომ იგი გავიაზროთ კონკრეტულ მოვლენასთან უშუალო კავშირში, და ამისათვის საჭიროდ ვთვლით მთლიანად შემოგთავაზოთ იგი.

„წერილი ამხანაგ გიორგის
ტფილისი, 1930, 12.1.

ძვირფასო ამხანაგო გიორგი,

ეს წერილი განზომილი არ არის მოგწეროთ როგორც მთავრობის წევრს, არამედ მინდა როგორც ქართველმა მწერალმა ჩვენი კულტურის მეგობარს ჩემი უაღრესი გულისტკივილი გავიზიაროთ.

მე მუდამ მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ისეთი სიტყვა, რომლის სათავე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია და კეთილის ნდომა, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მუხანათი მტრის მოშაინისებური წამონაყეველი.

ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სახელის გარშემო ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ ასეთი გულისტკივილით ნათქვამი სიტყვა ყოველთვის მტრობად მიუჩნევიათ ხოლმე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ეს არის კიდევ ერთი საქმე, რომელიც ვილაცის ბოროტმა ხელმა „საკითხად“ გადააქცია, თითქოს საკითხები ცოტა გვქონდეს სავალალოდ და თავის სამტვრევი. წინასწარ უნდა განვაცხადო, თუმცა კომუნისტი არა ვარ, მაგრამ არც საბჭოთა საქართველო და არც სამეგრელო ჟვანიებსა და კუციებზე ნაკლებად არ მიყვარს.

ყოველივე ჰიპერბოლის გარეშე წინამდებარე წიგნის „ჭითა ჩხორიას“ გამოსელა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს, სამარეში (სიხარულით) უთუოდ გადატრიალდება სამგზის.

ასეთი ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარა. ზოგიერთი ბოჩოლა ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ყველაფერზე „ნიჩეოს“ იძახის, გულწრფელად ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ უსაქმური კალმის ვარჯიშობაა და სხვა არაფერი.

ვინ არ იცის, რომ ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია, ისე ეგებ ჩვენ ყველანი ზოგი არაბები ვიყოთ, ზოგიც ესკიმოსი..

მაგალითისათვის: დღეევანდელი ჰოლანდია მე-13-14 საუკუნეებამდის ქვემო გერმანიის განუყრელი ნაწილი იყო და ფეოდალების წაკინკლავების წყალობით იგი გერმანიას გამოეთიშა.

გაუგონარი ამბავია, საბჭოთა საქართველოში დადიანებისა და სხვა უჭკუო ქართველი ფეოდალების სეპარატიულ ბოდვას ზოგიერთი ჭკუანაღრძობი „მაფალუისტები“ აპყოლიან.

რომანოვების რუსეთის ბნელი ხელიც იქითკენ გაემართა, რომ ქართული ენისა და ეროვნების ფარგალი შეემცირებინათ და ამგვარად სამარადჟამო სიდამბლე მოეგვარათ ქართული კულტურისათვის. ამისათვის

უჩჩინებდნენ აფხაზებს, ხოლო სვანები რუსების გათახსირებულმა (...) ეპისკოპოსებმა ენგურში ჩაჭყარეს და მე-7-8 საუკუნეში მონათლული ხალხი თავიანთი ჭკუით ხელმეორედ მონათლეს.

ამისთვის მუშავდებოდა „კავკასიის კალენდარის" მახინაციებით სავსე სტატისტიკა.

და ყოველივე ამის რეზონდ'ეტრი ის იყო, რომ ქართველი ხალხი საქართველოში უმცირესობად გამოეცხადებინათ.

მაფალუისტების დაბნელებული გონებაც იმავე არგუმენტს იშველიებს, რომელსაც პურიშკევიჩები და ვოსტორგოვები ხმარობდნენ: ესაო და მეგრელ ხალხებს ქართული არ ესმით, ქართული წერა-კითხვა ჯვარში არ იციანო.

აკი ჩვენ ყველას გვინდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებამდის საქართველოში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს? ვთქვათ, ჯვარელმა ან გალელმა მეგრელმა გაზეთი „კომუნისტი" ვერ წაიკითხა. მაგრამ „ჭითა ჩხორიაც", ხომ იმავე ანბანითაა დაბეჭდილი, როგორითაც გაზეთი „კომუნისტი?"

სად არის ამ უებრო პეტრეების ლოგიკა?

დიდად საეჭვოა, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგები ვერ წაიკითხავენ, თუ რა დიდი იეზუიტური დიალექტიკა გამოუჩენიათ ამ პატარა კაცებს „მაფალუს" შტაბისას.

I. ამ წიგნში ლენინის, სტალინის, მ. კახიანის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას სურათებს გადაღმა მიჩქმალულია აშკარა სიძულვილი ქართული ენისა და ქართული ლიტერატურისადმი, რომელსაც არც ერთი არ მოიწონებდა.

II. იმისთვის, რომ მეგრული ენის „სპონტანურობა" — თავისთავადობა დაამტკიცონ უსირცხვილოდ ამახინჯებენ მეგრულ სიტყვებს, — იმავე ქართულ სიტყვებს.

III. ოღონდ ქართულ ეტიმოლოგიას გაემიჯნონ და საამისოდ მზად არიან შემოიღონ ისეთი უხეში ბარბარიზმები, როგორიცაა „ზაგრანიცა", „ზაოდი" და სხვ.

IV. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციიდან ვიცით, რომ აბხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სსრ-ს ავტონომიური ოლქებია. „ჭითა ჩხორიას" გმირებს ჩვენი კონსტიტუციის რევიზია მოუხდენიათ და 59-ე გვერდზე ასე უტიფრად სწერენ. (...) „დასავლეთის საქართველოს (თუ იმერეთს ან გურიას??) აკრავს აჭარის და საბაზაზოს ავტონომისტური რესპუბლიკები". იქვე: „აღმოსავლეთ საქართველოს აკრავს (...) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი"-ო.

V. მთელს წიგნში — 104 გვერდის მანძილზე, გარდა ზემოთ მოყვანილი ციტატისა, არსად საქართველოსი და ქართველი ხალხის, არც რუსთაველის, არც აკაკის, არც ვაჟასი, არც ნინოშვილის, არც ქართული ანბანის ხსენებაც არ არის. სისტემა მასალის დალაგებისას კი იაკობ გოგებაშვილისათვის მოუპარავთ ამ ცხენიპარიებს.

კონსტანტინე გამსახურდია"

ჟურნალის რედაქციის „მცირე კომენტარი:

ამხანაგი გიორგი — გიორგი ყურულაშვილი, იმხანად — საქართველოს სსრ მთავრობის წევრი".

ეს არის დიდი ქართველი მწერლის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „არ არსებულ მეგრულ ნაციონალიზმში" დადანაშაულებული კონსტანტინე გამსახურდიას აზრი არამარტო „ჭითა ჩხორიას", არამედ საერთოდ იმდროინდელი მეგრული პუბლიკაციების, ი. ჟვანიას, „მეგრული საკითხის" და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ჩვენი აზრით, კ. გამსახურდია მართალია, როცა ფრთხილობს, რომ „ჭითა ჩხორიამ" ზიანი არ მოუტანოს მეგრელი ქართველების ცნობიერებას, მართლაც სასურველი იყო ამ სახელმძღვანელოში ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა ნიმუშების, თუნდაც მათი ეროვნული ღირსების ამსახველი მცირე ცნობების შეტანა. დიდი მამულიშვილი სწორად საყვედურობდა საქართველოს საზღვრების მცდარად წარმოჩენის გამო, სწორია

შენიშვნა გამოყენებული სიტყვებთან დაკავშირებით და საერთოდ გასაგებია მისი იქ გამოთქმული პატრიოტული სულისკვეთება. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ავტორი, როგორც ჩანს, სრულად იზიარებს ცარიზმის რუსიფიკატორებისა და ე.წ. „მაფალუისტების" იდეური ერთიანობის სახელმწიფოებრივ გაგებას. ამიტომ იგი მკაცრად აკრიტიკებს საბჭოთა საქართველოსათვის მტრულ, ქართული კულტურისათვის დამბლის მომგვრელ „ჟვანიებ-კუციების" ამ საჭირო მიზანდასახულობას და მათ მიიჩნევს „ჭკუანაღრძობი მაფალუელების აყოლებად". ამავე მიზნით, კ. გამსახურდია მეგრულის ვერწამ-კითხავ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანს (და არა „მთავრობის წევრს"), აგრეთვე მისი მეშვეობით საქართველოს ხელისუფალთ უმხელს „ჭითა ჩხორიაში" ჩადებულ „ე.წ. მაფალუისტურ-იეზუტურ დიალექტიკას". მაგრამ ამავე დროს იგი ვითომ „საქართველოსათვის ამ დამღუპველი საქმის" გამო პრინციპულად უპირისპირდება და ბრალსა სდებს მისთვის „ძვირფას ამხანაგ გიორგისა" და „საყვარელ საბჭოთა საქართველოს" კომუნისტურ ხელისუფლებას, რაც არ მიგვაჩნია სწორად..

კონსტანტინე გამსახურდიას წერილში ი. ჟვანიამ სწორად ცნო საყვედური საზღვრებთან დაკავშირებითა და ზოგი ტერმინის არასწორად გამოყენების გამო. მომდევნო გამოცემა ცხადყოფს, რომ მან უაზროდ კი არ დაიცვა თავისი მაგინებელის ეს სამართლიანად წამოწეული შეცდომები, არამედ მიიღო და გამოასწორა. ხელისუფლებამ კი განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ავტორის კონცეფციის იმ ნაწილს, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებისეულ გაგებას. ეს იყო მეგრულ ენაზე გამოქვეყნებული გლეხური საცნობარო გაზეთებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის მოკლე დროში ლიკვიდაციისათვის განკუთვნილი მეგრულ ენაზე შესრულებული სახელმძღვანელოს ცარიზმის რუსიფიკატორებისა და ე.წ. მაფალუელი ანტიქართული სეპარატისტების საქმის გაგრძელება-გამეორებად გაგება. მაშასადამე, ხელისუფლებამ მის მიერ ოდიოზურ პიროვნებად და ქართველ ნაციონალისტად შეფასებული კ. გამსახურდიას კერძო წერილი ისე გაიგო, რომ ავტორი მას (პარტიას და მთავრობას) სდებდა ბრალს ვოსტორგოვ-ჟვანიასეულად წოდებული, მაგრამ ხელისუფლების მიერ ჩადენილად გაგებულ „ჭითა ჩხორიას" გამოცემაში.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც გაბედულ ეროვნულ პატრიოტს, სოლოვკების კატორღაში გადასახლების მიზეზი გაუხდა 1926 წელს აჭარის ავტონომიის დაგმობა და მეგრელების თუ სხვა კუთხის ქართველთა მიერ ავტონომიის შესაძლო მოთხოვნის გაშარჟება, 1924 წლის აჯანყებისადმი თანაგრძნობა, აგრეთვე აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნით საქართველოს საზღვრების ენგურსა და ლამის მცხეთის სანახებამდე ჩამოტანის გამო საჯარო პროტესტის გამოთქმა. ახლა კი მას, კიდევ უფრო დიდი უბედურების მომტან საშიშროებად მოევლინა, მის მიერ წარმოჩენილი ხელისუფლებისა და ჟვანია-კუციას ალიანსის ანალოგია ვოსტორგოვთან, ჟვანიას კრიტიკის საბაბით კი „ჭითა ჩხორიას გამომცემელ ხელისუფლებასთან და მკაფიოდ გამოვლენილი ანტისაბჭოთა ნაციონალისტობა. ახლა, ჯერ იყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანმა ლ. ღოღობერიძემ 1930 წლის 29 მაისს, პარტიის VII ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში კ. გამსახურდია დაუსახელებლად, მაგრამ ყველასათვის კარგად გასაგები მინიშნებებით, მკაცრად გააკრიტიკა. მართალია, ამ დროს კ. გამსახურდია „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემის მოწინააღმდეგეების მაგალითად წარმოაჩინეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ქონდა. მის გაკატორღებასაც სხვა „საფუძველი", ვითომ გერმანიის სასარგებლო ჯაშუშობა დაუდეს საფუძვლად. ახლაც შეიძლებოდა, რომ სხვა „საფუძველი" გამონახულიყო.

ჩვენი აზრით, მკითხველისათვის საინტერესო და საჭიროა იცოდეს, რომ სრულიად საქართველოს ცაკ-ის არქივში ინახება სოლოვკების საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლებული კონსტანტინე გამსახურდიას „დაუძლურებული

მოხუცი" დედის ნატალია სვიმონის ასულის „თხოვნა" მ. ორახელაშვილისადმი მისი ავადმყოფი შვილის შეწყალების შესახებ (31.III.1927 წ.). თხოვნას ადევს ფილიპე მახარაძის რეზოლუცია საქართველოს პოლიტ. სამმართველოს მიმართ (21.V.1927 წ.): „ჩემი აზრით, შეიძლება დაისვას საკითხი გამსახურდიას საქმის გადასინჯვის შესახებ". აქვეა „საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარის ლ. ბერიას ხელმოწერილი 1927 წლის 15 ივნისით დათარიღებული ოფიციალური პასუხი „სრულ. საქ. ცენტრ. აღმას. კომიტეტს":

„გებრუნებათ რა ამასთანავე განცხადება... გაცნობებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ბრალი ედებოდა შემდეგში: მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის კონსულთან წინად კი გერმანიის გენ. შტაბთან. ბრალდება დამტკიცებული არის, როგორც მოწმეების ჩვენებით ისეთ (! — Sic) მისი დასტურით, და გაერ. სახ. პოლიტ. სამმ. სხდომით 28/VI-26 წ. მიესაჯა გადასახლება კონც-ბანაკში 10 წლის ვადით.

იღებს რა მხედველობაში ზემოთხსენებული გადასახლებულის დანაშაულობის ხასიათს საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავის მხრივ მოქ. ნატ. გამსახურდიას განცხადებაზე უარს ამბობს.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ.
თავმჯდომარე /ბერია/
აღრ. რეგ. სტატ. განყ.
უფროსი /ბეჟანოვი/"

(იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 175, ფ. 1-4).

1930-1931 წლებში საქართველოში კონდრატიეველ-რეაქციონერებთან ბრძოლის საბაბით მძვინვარე ქართველ სხვაგვარად მოაზროვნე, დაუმორჩილებელ "პარტიოტ შემოქმედთა (მეცნიერ-პედაგოგების, მწერლების და სხვ.) დათრგუნვების დროს მწერალთა ფედერაციის სახელით შეითითხნა საზარელი ბრალდებები, რომლის ფორმალურ საფუძველზე მწერალთა კავშირის რიგებიდან გაირიცხნენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, შალვა შარაშიძე, იოსებ იმედაშვილი და სხვ.

კერძოდ, კ. გამსახურდიას შესახებ სათანადო ოქმში ჩაწერილია: „გაირიცხა... ერთხმად, ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის <u>მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით</u> (! — ავტ.) ფეოდალიზმის თავადაზნაურული იდეოლოგიის შოვინიზმის და „შავიჩოხის" ტრადიციის დასაცავად, თავის გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი თანადროულობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს და თავის "პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადობრიობის წინაშე" (ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 8, აღ. 2, ს. 12, ფურც. 12-13).

კონსტანტინე გამსახურდია ქართული ეროვნული ინტერესებისათვის თავგადადების ცნობილი, ზემოთ აღნიშნული და სხვა მაგალითების გამო იქამდე მიიყვანეს, რომ 30-იანი წლების დასაწყისში, როგორც თვითონ იგონებდა, თვითმკვლელობის ორ ცდას მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა. ასეთ უაღრესად მძიმე სულიერი განწყობილების გამო მან 1931 წელსაც მიმართა წერილით საქართველოს კომპარტიის მდივან გ. ყურულაშვილს და შეეცადა მის მიმართ მტრულად განწყობილთაგან ნაციონალისტობის ბრალდებათა ახსნას: „ბოლოს და ბოლოს ქართული ნაციონალიზმი ჩემს მიერ არ ყოფილა მოგონილი..." „...მაგრამ არ დაგვაეიწყდეს იგი უცილო გამოძახილი", „შედეგობრივი რეაქცია" იყო „დიდპყრობელური შოვინიზმისაო" (ლ. ხ. ც. ს.ა. ფ. 8, აღ. 2, ს. 13, ფურც. 13-21). თვითმკვლელობის მეორე შემთხვევად 1935 წელი სახელდება, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას გადარჩენა, ჩვენი აზრით, მაინც მისმა ბრწყინვალე „მთვარის მოტაცებამ" გამოიწვია. ქართული ნაციონალიზმის ეს

თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩეკას განაწესით მიხეილ ჯავახიშვილს ამოუყენეს გვერდით და მისი ბედის გასაზიარებლად ჰყავდათ განწირული.

არა მარტო კ. გამსახურდიას, არამედ ბევრი სხვა პატრიოტი და ბოლშევიკური რწმენით გამსჭვალული პიროვნებაც ამბობდა, რომ მეგრული ენის მომხმარებელთა ინტერესების პრაგმატული გამოყენების მხარდაჭერა საერთო ქართული, ეროვნული ინტერესებისათვის მხოლოდ ზიანის მომტანი და დამღუპველი იყო. მათი შთაგონებით დღესაც ბევრს ეჩვენება, რომ 30-იან წლებში კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული მეგრული გაზეთების, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მეგრული სახელმძღვანელოს და საზოგადოებრივი ურთიერთობაში მეგრული ენის გამოყენება, იყო მხოლოდ უარყოფითი მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაბუნიას მიერ საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე, აღიარებული იქნა, როგორც გარდამავალი, გარკვეული მიზნითა და დროით განსაზღვრული აუცილებლობა. ამ მცდარი რწმენის პატრიოტ ქართველებს ესახებათ, რომ ასეთი დათმობები თუ კიდევ უფრო ადრე, დამოუკიდებელ ან მის შემდგომ საბჭოთა საქართველოს პირველსავე წლებში გატარდებოდა, იგი უთუოდ გამოიწვევდა საქართველოში ორი კულტურის შექმნისა და ქვეყნის გახლეჩვის მასტიმულირებელი ატრიბუტიკის ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, ასეთ რწმენას აქვს გამამართლებელი არგუმენტაციის მობილიზება-წამოწევის შესაძლებლობა და ასახვა-გამოვლინების უფლებაც. მისი სიკეთე იმაშია, რომ იგი მუდმივად გვაიძულებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ პრობლემას, იმდენად, რამდენადაც იგი მართლაც მოითხოვს ფაქიზ დამოკიდებულებას. მაგრამ უსაფუძვლო ეჭვები და მითუმეტეს მავნე აურზაური ზიანის მომტანია. ამაში გვარწმუნებს 1990-2000-იანი წლების მოვლენების სამწუხარო გამოცდილება. სხვა ხალხების, მაგალითად, გერმანელების ისტორიის გამოცდილება იმასაც გვასწავლის, რომ კუთხურ-პროვინციული ინტერესების მაქსიმალურმა გათვალისწინებამ, მათმა ზოგად სახელმწიფოებრივ ბეჭდვითი სიტყვისა და დაწყებითი სწავლების პარალელურად გამოყენებამ, ამ ქვეყანაში დადებითი პროცესები ასაზრდოვა. ზოგ სხვა ხალხებსაც არ შეშინებიათ პროვინციული ენის გამოყენება. ამის გარდა, საქართველოს ისტორიის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა გამოიწვია არა მეგრული ენის მომხმარებელთა მიმართ ცარიზმის, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, ან საბჭოთა საქართველოში განხორციელებულმა დათმობებმა, არამედ სრულ სხვა პროცესებმა, რომელთა შორის არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა ჩვენი ერის მეთაურად მოვლენილთა დანაშაულებრივმა ბედოვლათობამ.

რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ცეკას მდივან გიორგი ყურულაშვილისადმი მიწერილ პირად წერილს, მისი პატრიოტული სულისკვეთების მიუხედავად, ჩვენი აზრით, მასში ზოგი რამ გადაჭარბებული და ზოგიც არასწორია. გადაჭარბებულად გვესახება ქართულის არმცოდნე და მცირემცოდნე მეგრელი გლეხების, აგრეთვე საერთოდ მეგრელთა უმრავლესობისათვის აუცილებელი და სასურველი მეგრული ენის ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი უფლების რეაქციულ მოვლენად გამოცხადება. ასევე გადაჭარბებულია „ჭითა ჩხორიასა“ და „ყაზაყიში გაზეთში“ ბარბარიზმების შეფასება. იგივე მდგომარეობას ვხედავთ არა მარტო რესპუბლიკის იმდროინდელ ცენტრალურ ქართულ პრესაში, არამედ ზოგი ქართველი მწერლის ნაწარმოებებშიც. გადაჭარბებულია მეგრულ ენაზე გამოსულ ამ პროლეტარულ-პარტიულ ბეჭდვით პროდუქციაში ქართველი კლასიკოსების მოუხსენლობის გამო გამოთქმული საყვედური, მაშინ როცა იგივე ახასიათებდა ცენტრალურ რესპუბლიკურ, ქართულ პროდუქციას, ხოლო ამ ქართველ კლასიკოსებიდან ილია ჭავჭავაძეს დასახელება კ. გამსახურდიას კი არ გამორჩა, არამედ არსებული იდეოლოგიური ფონისა და კონიუნქტურის გამო კიდეც მოერიდა. ამიტომ კომუნისტურ

მეგრულ გაზეთში იმ დროს არასწორად გაგებული მწერლების მოუხსენიებლობა რა გასაკვირია?!

ჩვენი აზრით, წერილში გამოთქმულ მოსაზრებათა შორის უთუოდ არასწორი და მიუღებელია პარტიისა და ხელისუფლების მიერ განხორციელებული დათმობების შეფასება მხოლოდ უარყოფითად.

როგორც ზემოთ ვთქვით, მეგრულ გამოცემათა მიმართ მთელი რიგი მოთხოვნები შემდგომ გამოცემებში მაქსიმალურად, თუმცა არასრულად კიდეც იქნა გათვალისწინებული. მაგრამ პოლიტიკანი კრიტიკოსები ამ შეცდომახარვეზებს უკიდურესად აზვიადებდნენ, თუმცა მათგან ზოგი, ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის „ყაზაყიში გაზეთის“ და „ჭითა ჩხორიას“ აუცილებლობას ვერ უარყოფდა და ზოგჯერ აღიარებდა კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, „ჭითა ჩხორია“ 1930-1931 წლებში სამჯერ გამოიცა, ყოველი მომდევნო განიცდიდა გარკვეულ სრულყოფას. სულ მისი ტირაჟი 50 ათასს აღემატებოდა და, როგორც ჩანს, საჭიროც ყოფილა და გარკვეულ დადებითი შედეგებიც მოჰქონდა. მაგალითად, როცა ქართული ენით ხდებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ენის გაუგებრობის მიზეზით ზუგდიდის მაზრაში წელიწადში საშუალოდ 150-300 კაცი ეუფლებოდა წერა-კითხვას. მაგრამ 1930 წლიდან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მეგრულ ენაზე გადაყვანისა და „ჭითა ჩხორიას“ გამოყენების წყალობით უმოკლეს ვადაში 11 ათასი გლეხი დაეუფლა წერა-კითხვას (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 76). 1932 წელს ზუგდიდის რაიონში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 95 პროცენტამდე გაიზარდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 203). მაშასადამე, მეგრული ენით გლეხობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია უახლოეს წლებში მოგვარებული პრობლემა გახდა, მაშინ როცა ეს პოლიტიკანური გაჯანჯლების გამო ათი წლით გახანგრძლივდა. ასეთ მცოდნე გლეხებს შეეძლოთ არა მარტო მეგრული გაზეთის, სხვა გლეხური საინფორმაციო, უპირატესად მარტივი აგროტექნიკური შინაარსის ტექსტების ათვისება, არამედ აგრომინიმუმის და ტექმინიმუმის დაუფლება, სასამართლო პროცესის თვალ-ყურის დევნება და წერილობითი პრეტენზიების გაცნობა, აგრეთვე, თავიანთი შვილებისათვის, რომლებიც სკოლის პირველ კლასებში სწავლობდნენ, რიგი საჭირო კონსულტაციის მიცემა. მეგრული ენის ფუნქციის გაფართოება ხელს უწყობდა აგრეთვე ქართული ენის არმცოდნე გლეხებში საერთო სახელმწიფოებრივი და საერთო ეროვნული, ქართული დედაენის დაუფლების სტიმულირებას. მაგალითად, „ჭითა ჩხორიაში“ ერთ-ერთი ყოფილი წერა-კითხვის უცოდინარი წერს: „ჩვენს სოფელში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა რომ გავხსენით, თავიდან 19 ვიყავით მ.შ. 13 კაცი და 6 ქალი. შემდეგ შემოგვიერთდნენ 12 ქალი და 6 მამაკაცი. გიორგობის თვეში დავიწყეთ. 4 თვეს უნდა ვიმეცადინოთ. ვსწავლობთ საღამოობით, კვირაში 5 დღეს, 4-დან 7 საათამდე. ერთი თვეა ვსწავლობთ. ეხლა ვიცით კითხვა და წერა. მცირე ბარათის დაწერა შეგვიძლია, უბრალო განცხადებისაც, ციფრებს ვიცნობთ, კონვერტზე მისამართის დაწერაც შეგვიძლია“. მეორე — მუშა წერს: „მამაჩემს ჩემი სკოლაში შეყვანა არ შეეძლო. 14 წლის ვიყავი, როცა ქარხანაში შევედი და 10 საათს ვმუშაობდი დღეში... მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ვისწავლე წერა-კითხვა, 4 თვეს ვსწავლობდი, ახლა ჩემი ხელით შემიძლია დაეწერო ბარათი და განცხადება, გაზეთის წაკითხვაც შემიძლია“ (იხ. პირველი გამოცემა, გვ. 49-50, 50-51).

მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას მოჰქონდა მრავალმხრივ დადებითი შედეგები. მათ შორის უთუოდ აღსანიშნავია ის, რომ წერა-კითხვის უცოდინრობისაგან თავის დაღწევის შემდეგ გლეხი უსიტყვოდ შემსრულებელი მონური მდგომარეობიდან აღწევდა თავს. ახლა მას შეეძლო გაეგო რაზე აწერდა ხელს, რას ედავებოდნენ, როგორ ხდებოდა მის მიერ გა-

მომუშავებულის აღრიცხვა და სხვ. საჭიროების შემთხვევაში შეეძლო სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე წარედგინა საკუთარი და თავისი ოჯახის წევრების საჩივარი თუ პრეტენზიები ან პროტესტი. წერა-კითხვის მეგრულად მცოდნე გლეხს სტიმული ეძლეოდა ადვილად შეესწავლა სახელმწოფებრივ-ლიტერატურული ქართული ენა, საკუთარ შვილებსაც დახმარებოდა ინდივიდუალურ თუ სასკოლო სწავლების პროცესში და ა.შ.

მაშასადამე, ქართული ენის არმცოდნე გლეხებისათვის მეგრული დედაენის პრაგმატული გამოყენების შესაძლებლობის შექმნას, გარდამავალი ხასიათი, მაგრამ უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგმა ეს, საბჭოური ცხოვრების რეალური მოთხოვნებიდან მომდინარე აუცილებლობა, ისე აღიქვა, თითქოს საწინააღმდეგო შემთხვევაში ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხი უფრო ადვილად გაწვდებოდა ქართული ლიტერატურული შედევრების შესწავლა-ათვისების საქმეს. თითქოს ახლა იქმნებოდა ქართული ლიტერატურული ენის კონკურენცია, მეგრული ლიტერატურულ-სახელმწიფებრივი ენის შექმნისა და, აგრეთვე, საქართველოს დანაწევრების საშიშროება. ეს იყო უსაფუძვლო „შიში". ალბათ ამიტომ არა ჩანს, რომ ქართველ დაუმორჩილებელ ეროვნულ-პატრიოტულ ინტელიგენციას, მოეწყოს რაიმე სერიოზული ფართო საპროტესტო კამპანია მეგრულად ნაწერი გაზეთების, ფურცლების ან წერა-კითხვის მეგრული ენით სალიკვიდაციო სახელმძღვანელოების აკრძალვის მოთხოვნით.

შემდგომმა ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების დედაენაზე, აუცილებელი, ელემენტარული განათლების შემოუღებლობის შემთხვევაში იქმნებოდა იმის რეალური საშიშროება, რომ სამეგრელოს რეგიონის გლეხობის (განსაკუთრებით სამურზაყანო-აფხაზეთში მაცხოვრებლების) რუსიფიკაციას შეექმნებოდა გაცილებით ხელსაყრელი პირობები.

ქართულის არმცოდნე სოფლების დაწესებულებებში მეგრულ ენაზე ურთიერთობის დაშვებამ, ასეთივე რაიონების სასამართლოებში საქმეების ამ ენაზე წარმოებამ, მეგრული გლეხური გაზეთების, ფურცლების, ბროშურების და წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციამ, სტიმული მისცა ქართულის არმცოდნე ბავშვების დაწყებითი სკოლის პირველ კლასებში პარალელურად მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული სწავლების შემოღების მისწრაფებას. იგი საბუთდებოდა ჯერ ერთი, სტალინის თანხმობით. მეორე, იმ აუცილებლობით, რომ სასოფლო ადმინისტრაციებსა და სასამართლოებში აღმოცენდა პროფესიის გამართულად მცოდნე ძირეული ადგილობრივი ანუ მეგრული კადრების (მდივნების, მოანგარიშეების, აღმრიცხველების, ბრიგადირების, ბერგოლურების ხელშეკრულებათა, გამფორმებლების, ცნობების გამცემთა და ა.შ.) მოოხოვნილება - იყო სხვა დამატებითი მიზეზებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეგრელოს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (ზუგდიდის მაზრაში 50 პროცენტი – 1929 წელს) სკოლის გარეშე რჩებოდა. ამის მიზეზი მრავალი იყო, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი და გასათვალისწინებელია ის, რომ ქართულის არმცოდნე ოჯახების ბავშვებს დაწყებითი სასკოლო განათლება უქმნიდა განსაკუთრებულ სირთულეებს. ხშირად თვით მასწავლებლებიც მოუმზადებელი იყვნენ იმისათვის, რომ სკოლის პროგრამით გათვალისწინებული მასალა ქართულად გადაცემის დროს სათანადო მეგრულის გამოყენებით განემარტათ. მკითხველი, ალბათ, გაიხსენებს წიგნის სათანადო თავში წარმოჩენილ მაგალითს, როცა მეგრელი მოსწავლის მიერ დასმულ მარტივ შეკითხვას მასწავლებელმა თავი იმით დააღწია, რომ საჭირო სიტყვები ყალბად უთარგმნა. მაშასადამე, იყო შემთხვევები, როცა ქართულ ენაზე სწავლება იწვევდა მისი არმცოდნე მეგრელი ბავშვებისათვის გადაცემულის უაზროდ დაზუთხვის აუცილებლობას. ქართულის არმცოდნე გლეხის ოჯახის ბავშვები

ხშირ შემთხვევაში იყვნენ პასიურ მდგომარეობაში, სწავლის დროს ინიციატივისაგან შეზღუდულები. ბევრი მათგანი იძულებული ხდებოდა გადაულახავი დაბრკოლების გამო სასკოლო სწავლას არ მოჰკიდებოდა, ან მიეტოვებინა დაწყებული, მაგრამ დაუძლეველი სწავლა. ის ბავშვებიც კი, რომლებიც დაწყებით სწავლებას გადიოდნენ, სკოლაში ფაქტობრივად ელემენტარულ ცოდნასაც ვერ ღებულობდნენ და ოთხწლედის შემდეგ ისე ერწყმოდნენ საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში (წარმოებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.) როგორც სკოლის გარეშე ბავშვები. აღნიშნული მიზეზების გამო პედაგოგთა შორის აღმოცენდა სკოლაში ქართულად სწავლებასთან ერთად მეგრულად სწავლების მიზანშეწონილობის აზრი. იმისთვის, რომ იგი ე.წ. მაფალუელების კაპრიზად ან წინასწარ განზრახულ ბოროტ მოქმედებად არ მოგვეჩვენოს, ამიტომ საჭიროა გავეცნოთ ქართულის არმცოდნე ბავშვების დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული გადაყვანის წანამძღვრებს.

როგორც უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ საკავშირო კომპარტიის პასუხისმგებელმა ინსტრუქტორმა პშენიცინმა საქართველოს კომპარტიის აქტივის (1928წ. დასაწყისში) და პლენუმის (1928 წ. სექტემბერი) წინაშე დააყენა ქართული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი ენის არმცოდნე სოფლების ბავშვთა დაწყებითი სასკოლო სწავლების მეგრულ ენაზე ორგანიზების საჭიროება. ეს მან კატეგორიული ფორმით გამოხატა და პლენუმის მონაწილეებიდან, ერთის გარდა (რომელმაც მხოლოდ გაკვირვება გამოსთქვა) არავინ დაპირისპირებია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პშენიცინი უმაღლესი პარტიული დონის აზრს გამოსთქვამდა, არამედ იმიტომაც, რომ მოსკოვის მისიონერის ნათქვამში პლენუმის მონაწილეებმა, როგორც ჩანს, სწორად დაინახეს სამეგრელოს ქართულის არმცოდნე სოფლების გლეხის შვილების განათლების პრობლემის სამართლიანი წამოწევა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სტალინმა მასთან სათანადო საკითხებზე მოლაპარაკების მიზნით ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ წარგზავნილ ი. ჟვანიას საჭიროების მიხედვით დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე მოწყობის უფლება მისცა (12. IX. 1929). შეუძლებელია იგი შეფასდეს როგორც რეგიონის „მეგრელიზაციის“ მოთხოვნა და მისი სანქცირება. ეს იყო საბჭოთა აღმშენებლობის რეალური აუცილებლობისათვის ანგარიშის გაწევა. ამაში გვარწმუნებს „ყაზაყიში გაზეთის“ მიუღებლობით გამწყრალი და მომჩივანი გლეხების მიერ გამოთქმული აზრები, რომლებშიც, როგორც დამატებითი სატკივარი, დაყენებულია, აგრეთვე, სკოლის დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანის არგუმენტირებული მოთხოვნა. მაგალითად სტალინის სახელობის სოფ. ჯუმითის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრი ივანე თოდუა აცხადებს: „აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს მეგრელი გლეხისათვის მეგრულ ენაზე ქონდეს საშუალება წერა-კითხვისა, ვინაიდან მათ აღარ (არ — ავტ.) ესმით ქართული, რუსული და სხვა ენა გარდა მეგრულისა... მეგრელი ბავშვები, რომლებმაც იციან მეგრულად ლაპარაკი, თვლა და სხვა, სკოლაში მისვლისას ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში და ხდებიან პასიური, ვინაიდან ქართული აღარ (არ — ავტ.) ესმით მეგრულად აღარ (არ — ავტ.) აქვს საშუალება მისი გამოთქმისა“. სოფელ ჯუმითის არტელის საზოგადოების 1931 წლის 5 სექტემბრის კრების დადგენილებაში ვკითხულობთ: „ეთხოვოს უმაღლესი ორგანოს: ა. რომ მეგრელ გლეხებს და ბავშვებს მიეცეს საშუალება მეგრულ ენაზე გამოთქვან თავიანთი აზრი, რომლებიც განსაკუთრებით დაჩქარებს მეგრელ გლეხებში ლენინური სწორი ხაზის გატარებას და მეტი შედეგებით შეუდგებიან სოციალისტურ მშენებლობას და მეტი მომზადებული იქნებიან არტელიდან კომუნაში გადასასვლელად...“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 108, 108-108/2). მსგავსი აზრი გამოთქვა 1931 წლის 20 სექტემბრის სოფ. ხაბუმეს ბერიას სახელობის არტელის კოლმეურნეობის კრებაზე ოლღა გულუამ (იხ. იქვე, ფურც. 116).

სოფლის გლეხობის გულწრფელი საყვედური მათი ქართული ენის არმცოდნე შვილებისა და შვილიშვილების დაწყებით სწავლების სიძნელეების გამო, როგორც ჩანს მოსკოვის ცენტრის ყურადღების საგანი გახდა. 1931 წლის ოქტომბერში საკ.კპ. ცენტრალური კომიტეტი სწავლობდა ამიერკავკასიის, სახელმწიფო აზერბაიჯანისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტების მუშაობას. 15 ოქტომბერს საკავშირო ცკ-ის პასუხისმგებელმა ინსტრუქტორმა ა.ა. ფრენკელმა წარმოადგინა სპეციალური მოხსენება „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ". მასში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა პასუხს კითხვაზე „პრაქტიკაში როგორ ტარდება ეროვნული პოლიტიკა".

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ა. ფრენკელის მოხსენებაში უაღრესად კრიტიკული შეფასება იყო ჩამოყალიბებული. საქართველოს კომპარტიის საქმიანობის მთავარ ხარვეზად დასახელებული იყო უყურადღებობა სამეგრელოს პრობლემების მიმართ. აქ ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ცკ არასაკმაო ყურადღებას უთმობს სამეგრელოს რაიონებს. საქართველოს ზოგ მუშაკს შორის ჯერ კიდევ ძლიერია „ველიკოდერჟავული" განწყობილებები, რომელთა გამო მეგრული ენა არ არის აღიარებული ენად, ნებას არ რთავდნენ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემას. საქართველოს ცკ სერიოზულ ღონისძიებებს არ ატარებს სამეგრელოს რაიონებში საქმის წარმოებისა და სასამართლოწარმოების ადგილობრივ ენაზე გადაყვანისთვის, საგამომცემლო საქმიანობის გაძლიერებისათვის. საქართველოს ცკ აქამდე არ რთავს ნებას დაწყებით სკოლებში მეგრულად სწავლებას, იმის მიუხედავად, რომ ეს სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობის ენაა. ასეთი მდგომარეობა უკმაყოფილებას ქმნის სამეგრელოს რიგი ადგილების კომუნისტებშიც კი და ნიადაგს აადვილებს ანტისაბჭოთა ელემენტების მუშაობისათვის"... (იხ. ЦК РКП(б)- ВКП(б) и национальный вопрос. Кн. 1, 1918-1933 гг... стр. 672-673). აქედან ჩანს, რომ მიუხედავად ინტერპრეტაციის თავისებური, პარტოკრატიული სტილისა, მთლიანობაში საკითხი სწორად არის გაგებული. უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო, საქართველოს ცეკას მუშაკთა არა დიდმპყრობელური, არამედ ბიროკრატიულ-ჩინოვნიკური განწყობილებისა და „მეგრული საკითხისადმი" დოგმატური დამოკიდებულების შესახებ. მოხსენებაში სწორად არც დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე განხორციელების აუცილებლობა იყო ახსნილი. ჩვენი აზრით, სწორი იყო დაწყებითი სკოლის I და II კლასების გადაყვანა ადგილობრივ, გასაგებ ენაზე, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც ამის აუცილებლობა იყო. საერთოდ ამ საკითხებს უკეთ ჭვრეტდა სამეგრელოს პედაგოგიური პერსონალი. ამიტომ საჭირო იყო მათი აზრის მაქსიმალური გათვალისწინება, ამ საქმეში რესპუბლიკის კომპეტენტური სპეციალისტების ჩართვა და საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ გადაწყვეტა. ამის აუცილებლობას ისიც იწვევდა, რომ „მეგრული საკითხის" მოგვარებასთან დაკავშირებული ყველა ქვესაკითხის გადაჭრა ყოველთვის მრავალმხრივი ინტრიგის, პროვოკაციებისა და მწვავე დაპირისპირების საგანი ხდებოდა. ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრი სამეგრელოს ადგილობრივი თავისებურებებისა და მეგრული ენის მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრის საკითხში მოწოდების დონეზე არ იყო. თვითონ თავს ვერ ართმევდა პრობლემებს. სპეციალისტების მობილიზება და მათი აზრის გათვალისწინება კი, როგორც ჩანს, საქართველოს ცენტრის კომპეტენცია არ იყო.

საკავშირო ცკ-ის პასუხიმგებელი ინსტრუქტორის ა. ფრენკელის მოხსენების შემდეგ სამეგრელოს რეგიონში მეგრული ენის გამოყენების ახალი შესაძლებლობა შეჰქმნა საკ. კპ(ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ. დადგენილება სასტიკად აკრიტიკებდა საქართველოს და ამიერკავკასიის ყოფილ ხელმძღვანელობას მის მიერ პოლიტიკურ, სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ-ორგანიზაციულ სფეროებში დაშვებული შეცდომების გამო. იგი მათი

დაძლევის ფართო ხასიათის ღონისძიებებს სახავდა. დადგენილების V თავში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების, და მათ შორის, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ევალებოდა ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში მუშაობის გაცხოველება საქმის წარმოების, სასამართლოს და დაწყებითი სწავლების ადგილობრივ ენაზე გაძღოლა ეროვნულ უმცირესობათაგან ადგილობრივი რაიონული და სასოფლო კადრების აღზრდის უზრუნველყოფის მიზნით (გაზ. „კომუნისტი", 1931, 3 ნოემბერი). მართალია, ფორმალურად ეს დირექტივა ეროვნულად ქართველებით დასახლებულ სამეგრელოს არ ეხებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, აღნიშნულის სამეგრელოს ცხოვრებაში რაციონალურად გატარების აუცილებლობა რეალურად არსებობდა, მეორე — პარტიის ბელადის და ხელისუფლების მიერ უკვე აღიარებული იყო, რომ სამეგრელოში ცხოვრობდა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენა არ ესმოდა და ამიტომ საჭიროების მიხედვით სათანადო უფლებებით სარგებლობის ნებაც ეძლეოდა. მაშასადამე, დადგენილება მოითხოვდა მის მიმართ არა ბიუროკრატიულ, მედავითნურ დამოკიდებულებას, არამედ შემოქმედებით მიდგომას, ცხოვრებაში მისი გატარების რაციონალური გზების გამოძებნას.

საყურადღებოა, რომ ასეთი რაციონალური გზების ძიება ზუგდიდის რაიონში იმ დროს ხდება და პრაქტიკულადაც ხორციელდება, როცა საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად იმყოფება სტალინის მიერ დანიშნული, მასთან ჯერ კიდევ 1923 წლიდან ფარული არხებით დაკავშირებული და სტალინთან სისტემატიურ კონტაქტში მყოფი, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლ. ბერია. ამის გათვალისწინება საშუალებას და შესაძლებლობას გვაძლევს სამეგრელოს რეგიონსა და ზუგდიდში მიმდინარე საზოგადოებრივად მტკივნეულ ამ პროცესს შევხედოთ არა როგორც ი. ჟვანიას და ე.წ. მაფალუელების დამღუპველ თვითინიციატივას, არამედ მეცნიერულად, როგორც პარტიისა და ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე ღონისძიებას, ანუ იმდროინდელ რეალობას. ამას გვიჩვენებს 1931 წლის 11 ნოემბრის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომის დადგენილება, რომელიც სპეციალურად საქართველოს ახალი ხელმძღვანელობისათვის გადასაცემად მომზადდა. აქ მე-14 პუნქტში ნათქვამია, რომ ბოკუჩავა-პერტახიას ბრალდება, რომელიც ი. ჟვანიას მიაწერს „სამეგრელოს დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფას", „სრულიად უსაფუძვლოა". მაგრამ აქვე დასაბუთებულია: „სამეგრელოს გამოყოფა დამოუკიდებელ ოლქად ნაკარნახევია არა მარტო სამეურნეო, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წანამძღვრებით, არამედ „სავსებით შეესაბამება პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას..." აქვე მოცემულია სტალინისა და პარტიის ეროვნული პოლიტიკის იმდაგვარი გაგება, რომლის გამოც ეროვნულ უმცირესობათა მიმართ 31 ოქტომბრის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები, ენის გამოყენება, სწავლება და ოლქად გამოყოფის სამეგრელოზე გავრცელება, დადგენილებით მიცემულ აუცილებლობად არის დასახული. აქვე გაკრიტიკებული არიან ბოკუჩავა და პერტახია, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს (31.X.1931 წ.) დადგენილება სამეგრელოსათვის სავალდებულო არაა და სამეგრელოზე არ ვრცელდება (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 42). ახლა ვნახოთ რას ამბობენ ბოკუჩავა და პერტახია, რას სწამებენ ისინი ი. ჟვანიას ისეთს, რომელსაც არ ეთანხმება ზუგდიდის ცენტრი და ამის შემდეგ გავიაზროთ ის, თუ რა პოზიცია დაიკავა საქართველოს ცენტრმა, მათ შორის ლ. ბერიამ, ზუგდიდის ცენტრის დადგენილების მიმართ.

არქივმა შემოგვინახა ბოკუჩავასა და პირტახიას რამდენიმე ოფიციალური წარდგინება და ზუგდიდის ცენტრის წინაშე გაკეთებული განცხადების სტენოგრაფიული ჩანაწერი. ისინი აკ. სამხარეო კომიტეტის, სტალინის და ზუგ-

დიდის რაიკომის ბიუროსადმი 1931 წლის 5 ნოემბერს გაგზავნილ წერილში წერენ: „ამხ. ი. ჟვანია სრულიად არ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ თითქოს სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება არის მშრომელი მასების მოთხოვნა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 48); „ამხ. ჟვანია <u>ავტონომიური ოლქის</u> (?! – ავტ.) აუცილებლობის მოტივაციას ეწევა...“ (იქვე, ფურც. 48/2); „არ არის სწორი თითქოს „მასები დაბეჯითებით მოითხოვენ <u>ავტონომიურ ოკრუგს</u>“ (?! – ავტ.); „ჩვენი აზრით <u>ავტონომიური ოკრუგის</u> (?! – ავტ.) მოთხოვნა არ მართლდება არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური მოსაზრებებით“ (იქვე, ფურც. 49). მათ იგივე აზრი აქვთ გამოთქმული სხვა შემთხვევებშიც. მათ შესახებ საგნობრივი მსჯელობა შემდეგ, საჭიროების დროს გვექნება. აქ კი აუცილებელია ითქვას, რომ ჯერ ერთი, ი. ჟვანია, ზუგდიდის ცენტრის წარმომადგენლობა, ინტელიგენცია და გლეხობა ნამდვილად მოითხოვდა, მაგრამ არა „სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლებას“, არამედ სკოლის დაწყებითი სწავლების კლასებში, და ისიც იქ, სადაც ბავშვებს არ ესმით ქართული; მეორე, როგორი პოზიცია შეაგება ამ მოთხოვნას საქართველოს ცენტრმა და მისმა მეთაურმა ლ. ბერიამ? – დადებითი! მის დროს 1932 წელს მოხდა დაწყებით კლასში მეგრულ ენაზე სწავლების ექსპერიმენტის განხორციელება. ლ. ბერიას ამის დაშვება სტალინის თანხმობის გარეშე არ შეეძლო. პოლიტიკა მოსკოვში კეთდებოდა.

ახლა საკითხავია: რატომ აყალბებენ პერტახია და ბოკუჩავა და სხვები სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნას, სამეგრელოს ავტონომიური ოლქის მოთხოვნად? განა არ იციან, რომ ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავდება? ან იქნებ ის არ იციან, რომ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნის იდეა ეკუთვნოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და ზუგდიდის ხელმძღვანელობა სწორედ ამ იდეის ცხოვრებაში გატარებისთვის იბრძოდა?! იციან, მაგრამ ასეა საჭირო და მიტომ! ამის შესახებ ქვემოთ სხვა საკითხებზე საუბრის დროს გვექნება მსჯელობა, ახლა კი საჭიროა კვლავ აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრმა და მისმა მეთაურმა ლ. ბერიამ 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ისე გაიგეს, როგორც ზუგდიდის ცენტრმა.

მეგრული ენით სწავლების საკითხზე უაღრესად საყურადღებოა ზუგდიდის მეორე რაიონული კონფერენციის 1932 წლის 12 იანვრის დადგენილება, რომელიც მოითხოვს საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე, დაწყებით სკოლებში სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანას და მეგრულ ენაზე ბეჭდვითი სიტყვის უყურადღებოდ მიტოვებული საკითხის გამო საქართველის კომპარტიის წინაშე ცნობის დაყენებას. ოქმის ამონაწერს ხელს აწერენ თავმჯდომარე ი. გვასალია, მდივნები: თ. შენგელია, ი. ლუკა და ვ. კვარაცხელია (ზუგდიდის აღმასკომის ბიულეტენი №1, 1932, გვ. 8).

აღნიშნულის განვითარებას გამოხატავს ზუგდიდის რაიკულტსაბჭოს პრეზიდიუმის, განათლების კოლეგიისა და განათლების კავშირის რაიკომის პრეზიდიუმის 5 თებერვლის გაერთიანებული სხდომის დადგენილება. მასში ნათქვამია, რომ 1928 წლიდან დღემდე გამოიტანეს რიგი გადგენილებები 4-წლიან სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ, რისი სისწორეც უდაოდ დაადასტურა საკ. კპ(ბ) ცკ-ის (31. X. 1931) დადგენილებამ. დადგენილება მოითხოვს საკავშირო ცკ-ის დადგენილების საფუძველზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმის მოგვარებას, იმ ანგარიშით, რომ მეგრულ ენაზე პირველდაწყებითი სწავლება ექსპერიმენტის სახით გატარდეს 1932-33 სასწავლო წლიდან. ამ მიზნით სათანადო მოსამზადებელი მეთოდური სამუშაობების განხორციელება ზუგდიდის რაიკომს, ხოლო მეგრული სახელმძღვანელოების გამოცემის საქმის მოგვარება განსახკომს ეთხოვა. ოქმის ამონაწერს ხელს აწერენ თავმჯდომარე: შ. ფაჟა და მდივანი – ი. გოგია (იხ. იქვე, გვ. 11).

11 თებერვალს ზუგდიდის რაიკომმა მოისმინა ოთხწლედის სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანის საკითხი და დაადგინა სათანადო სახელმძღვანელოების

თარგმნისა და ორიგინალურის შექმნის სამუშაოების იმდაგვარი ორგანიზება, რომ ისინი 1 ივნისისათვის ყოფილიყო მომზადებული დასაბეჭდად. სხდომის თავმჯდომარე: ი. ჟვანია, მდივანი კვარაცხელია (იხ. იქვე, გვ. 10).

ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1932 წლის 14 მარტის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერენ ი. ჟვანია და კვარაცხელია, გადაწყდა, 1931 წლის ოქტომბრის დადგენილების თანახმად, „პირველდაწყებით სკოლებში დედაენაზე სწავლების უცილო შემოღების მიზნით ზუგდიდის რაიკომის 11 თებერვლის დადგენილების დამატებით" მეგრულ ენაზე სახელმძღვანელოების ხარჯების დამტკიცების შესახებ, დადგენილების ასლი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს. დადგენილება მოითხოვს აგრეთვე „ყაზაყიში გაზეთის" საგამომცემლო საქმის გამჯობესებას. საქართველოს განსახკომს ეთხოვა მეგრულ ენაზე გამოსაცემი სახელმძღვანელოების შედგენის მეთოდური ხელმძღვანელობა. ამავე მიზნით გამოიყო ადგილობრივი კომისია, განსაზღვრა სატერმინოლოგიო კომისია (ი. ჟვანია, შ. ფაჟა, ი. ჭანტურია, ტ. შენგელია, კ. ბუკია და სხვა). დადგენილება მოითხოვდა, აგრეთვე რაიონის მასწავლებელთა ძალისხმევის იმ მიმართულებით მობილიზებას, რომ პირველი კლასის სახელმძღვანელო მომზადებულიყო პირველი მაისისათვის და პედპერსონალს სათანადო მომზადებული დავალებები მიეცა „სხვა ჯგუფის სახელმძღვანელოების შედგენის" (! — ავტ.) სამუშაობის საწარმოებლად (იქვე, გვ. 12). როგორც ვხედავთ, ზუგდიდის პარტიული და პედაგოგიური აქტივი 1932 წლიდან ინტენსიურად შეუდგა პირველი საფეხურის სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანის ექსპერიმენტის მეცნიერულ განხორციელებას. ამას ხელი შეუწყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1932 წლის 16 მარტის დადგენილებამ „საყოველთაო სწავლების მიმდინარეობისა და ამოცანების შესახებ". ამ დადგენილების მეათე მუხლი მოითხოვს: „წინადადება მიეცეს სახელგამს უზრუნველყოს, განსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების გამოცემა 1-ლ სექტემბრამდე, მათ შორის — გამოცემა აფხაზურ, ოსურ, მეგრულ (! — ავტ.), ბერძნულ და სხვ. ენებზე" (იხ. იქვე, გვ. 13). როგორც ვხედავთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც იმ აზრისაა, რომ საყოველთაო სწავლების ამოცანის შესრულება აუცილებლად მოითხოვდა პირველდაწყებითი მეგრულ ენაზე სწავლებასაც. ზოგს კი იგი მეგრული ნაციონალიზმის და სეპარატიზმის გამოვლინებად ეჩვენება.

სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით 1932 წელს ზუგდიდში მეგრულ ენაზე გამოიცა სრული ფორმატის 21-გვერდიანი ზუგდიდის აღმასკომის ბიულეტენი №1, რომელსაც მითითებული აქვს თვე „ეკენია" (სექტემბერი). ამ ბიულეტენში თავმოყრილია დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღებასთან დაკავშირ ელი დადგენილებები, აგრეთვე აქ მოთავსებულია ამ საკითხზე რაიონის თვალსაჩინო პედაგოგიური პერსონალის პუბლიკაციები. ბიულეტენის მე-13 გვერდზე დაბეჭდილია ზემოთ აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1932 წლის 16 მარტის დადგენილების ამონაწერი „საყოველთაო სწავლებაზე" გადასვლასთან დაკავშირებით, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ცკ-ის წინადადება სახელმწიფო გამომცემლობის მიმართ განსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად მეგრული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გამოცემის შესახებ. აქ პირველი სექტემბრისათვის „აფხაზურ, ოსურ, ბერძნულ და სხვა" ენაზე გამოსაცემ სახელმძღვანელოებს შორის ნახსენებია მეგრულიც, და ამასთანავე იგი გაგებულია, როგორც სკოლის სახელმძღვანელო. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „ბიულეტენში" მოთავსებული ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 5 ივნისის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „საქ. კ.პ.(ბ) ცეკას 1932 წ. 16 მარტის დადგენილების თანახმად" სახელგამს 1 სექტემბრისათვის უნდა მოემზადებინა სახელმძღვანელოების გამოცემა, მათ შორის მეგრულ ენაზე, მაგრამ თავმოუბმელობისა და პრაქტიკული მეთოდური ხელმძღვანელოების მოკ-

ლების გამო, მეორედ ეთხოვა ცკ-ს განსახკომის სათანადო რეაგირება (იხ. იქვე, გვ. 14). ამ საფუძვლის უგულელყოფა შეუძლებელია. მაშასადამე, საქართველოს ცენტრი დათანხმდა სამეგრელოს ქართულის არმცოდნე ბავშვებისათვის აუცილებელი მეგრული ენით სწავლებას. როგორც ჩანს, საქართველოს ცენტრმა და ბერიამ ანგარიში გაუწიეს სტალინის აზრსაც და რეალურ მოთხოვნილებასაც. მაგრამ სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, მითუმეტეს ხმამაღლა გაგვეცხადებინა, რომ სამეგრელოში (ზუგდიდის რაიონში) დაწყებითი სკოლის ბავშვების მეგრულ ენაზე სწავლების ექსპერიმენტი შემოიღო ი. ჟვანიამ. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ზუგდიდის პედაგოგიური პერსონალი თავის მხრივ ყოველმხრივ ცდილობს, რომ მეგრულად სწავლების ექსპერიმენტი მეცნიერულ-დიდაქტიკური მოთხოვნებით წარემართა.

დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე გადასვლასთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 8 და 17 აგვისტოს დადგენილებების თანახმად, გამოიყო კონკრეტული სკოლები, რომლებშიც პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო ექსპერიმენტი. ეს იყო ზუგდიდის 4-წლიანი საბაზო, ს. ჭითაწყარის, ს. ცაიშის საბაზო, ს. დარჩელის, ქვემო კახათის, ს. ორსანტიის, რიყეს საბაზო, კორცხელის I საბაზო, ს. ოდიშის, ყულიშკარის, ს. ჭაქვინჯის I საბაზო, აბასთუმნის I საბაზო, ს. კოკის I საბაზო, ჯიხაშკარის I საბაზო და ს. დიდნების სკოლები (იხ. იქვე, გვ. 15). მაშასადამე, საერთო რაოდენობის სკოლებიდან შეარჩიეს და გამოჰყვეს ერთი, აუცილებელი მცირე სასოფლო ნაწილი. ამასთან, როგორც ვხედავთ, მათ შორის არ არის ზუგდიდის ე.ი. ქართულის უკეთ მცოდნე ქალაქის სკოლები. სათანადო სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმების მიზნით გამოიყო კომპეტენტური კომისია 12 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ რაიკომის, განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკები. მათ ევალებოდათ საქმისადმი მუდმივი ყურადღება და გამოცდილების გაზიარება. ამ კომისიას სათავეში ჩაუყენეს მეთოდბიუროს ხელმძღვანელი შ. ფაჟა.

დადგენილება სახელმწიფო გამომცემლობას სთხოვდა სახელმძღვანელო წიგნების დროულ გამოცემას. ამისათვის მას უნდა გადასცემოდა დადგენილება, რომელსაც ხელს აწერდნენ თავმჯდომარე ი. ჟვანია და მდივანი საჯაია (იხ. იქვე).

ზუგდიდის რაიონის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღების მოტივაციის და მიზანდასახულობების სიღრმისეული გააზრებისათვის, აგრეთვე რაიონის ინტელიგენციის, კერძოდ პედპერსონალის დამოკიდებულებისა და მათი არგუმენტების გაგებისათვის, საინტერესოა „ბიულეტენში" მოთავსებული პუბლიკაციები. მაგალითად, ბიულეტენის „შესავალ ნაწილში" შ. ფაჟას სტატიიდან ჩანს, რომ ავტორის ნააზრევს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს სტალინის მოხსენება რკპ(ბ) მე-12 ყრილობაზე ნაციონალური საკითხის გამო, რომელიც მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლება გასაგები გახადონ მშრომელი მასებისათვის გასაგები ენით. შ. ფაჟას აზრით, სამეგრელოს სკოლებში გაუგებარ ენაზე წლების მანძილზე სწავლება იყო წვალება, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეებისათვის, რამდენადაც „ქართული და მეგრული სხვადასხვა ენებია". იგი მიიჩნევს, რომ ვიდრე ბავშვი ქართულ ლექსიკურ მასალას აითვისებდა და წერა-კითხვას ისწავლიდა, ამ პროცესს მექანიკური ხასიათი ჰქონდა, იგი გამორიცხავდა სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. ბავშვი „სოციალიზმის განვითარებულ მშენებლად" ვერ ყალიბდებოდა. ავტორი მიუთითებს საქ. კომპარტიის ცკ-ის 5 სექტემბრის დადგენილებას, რომელიც ამბობს, რომ „სასკოლო სწავლება არ იძლევა საერთო განათლებისათვის საკმაო ცოდნას". მისი აზრით, ეს მდგომარეობა განსაკუთრებით აღინიშნება ქართული ენის არმცოდნე სამეგრელოს სინამდვილეში, სადაც 8 წლის ბავშვი 2 წლისას ემსგავსება. შ. ფაჟა იხსენებს „მენშევიკების ხანას", როცა საქართველოს სკოლებში მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებდა სწავლება. იგი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით საკ. კპ(ბ) ცკ-ის 31 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ მხოლოდ სამე-

გრელო რჩებოდა გამონაკლისად. მისი აზრით, „მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება ხელს უწყობს თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებას“ და რომ „მეგრულ ენაზე სწავლების წარმოება სულაც არ ნიშნავს სხვა ენების, მაგალითად, ქართულის, რუსულის და სხვა ენების, სწავლების უარყოფას, არამედ ხელს შეუწყობს მათ სწავლებას...“ (იხ. გვ. 3-5). პედაგოგ ფაეას უნდა გაუგოთ, როცა პედაგოგიურ საკითხზე მსჯელობის დროს სათვალესავით ხმარობს სტალინის აზრსა და სოციალიზმით გამართლებას. ეს არის ამდროინდელი ოფიციალური მსჯელობის აუცილებელი სტილი. ამავე დროს მისი აზრი ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ყველა ნიუანსში გამართლებულად, მაგრამ პრინციპში სწორია.

ზუგდიდის პედტექნიკუმის მასწავლებლის ჯ. როგავას პუბლიკაცია პედაგოგიკის მეცნიერულ საფუძველზე ცდილობს ახსნას „რატომ არის უკეთესი დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება.“ მისი აზრით, პირველ კლასში მესამე თვიდან დაწყება ხდებოდა ლექსიური მასალის ათვისების გარეშე. ბავშვი იზეპირებს ქართულ სიტყვებს, მაგრამ საკუთრებად ვერ იხდის. პედაგოგიურ პროცესს ეძლევა სქოლასტიური იერი, ხოლო მეგრული ენით სწავლების დაწყება შესაძლებელს ხდის ბავშვის მეტ დაინტერესებას...“ (იქვე, გვ. 11-18).

ძველი პედაგოგები მიხა პატარაია, არტემონ ჯიჯიხია, მაქსიმე ვეკუა, აკაკი ფიჩხაია და ნიკოლოზ ბუკია, „სამეგრელოს მასწავლებლებისადმი წერილში“ მიიჩნევენ, რომ 4 წელი მაინც ესაჭიროება იმას, რომ სხვადასხვა საგნებში მოცემული ძირითადი კანონები მიაწოდო მოსწავლეს". მათი აზრით, უწიგნოდ ახსნას სდევს ზეპირად ნათქვამის დავიწყება. მეორე დღეს ბავშვი ისევ უცოდინარი უბრუნდება სკოლას, წერა-კითხვის უცოდინრობის მოსპობა და საყოველთაო სავალდებულო სწავლება, რომელიც ზემდგომი პარტიული ორგანოების თანამედროვე დადგენილებათა საფუძველზე ხორციელდება, მოითხოვს მასწავლებელთა ენთუზიაზმს, მაგრამ მთავარ საქმედ მაინც სახელმძღვანელობით უზრუნველყოფა მიაჩნიათ. ისინი ამიტომ მოუწოდებენ, ყველამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს წიგნის შედგენასა და სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანის საქმეში (იხ. გვ. 19), რაც ლენინური კომპარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებად მიაჩნით. არ გამოვრიცხავთ, რომ მათ მართლაც სწამთ კომპარტიის ლენინური პოლიტიკისა, მაგრამ ამის გამო მათი რაციონალური და მეცნიერული ნააზრევის იგნორირების უფლება არა გვაქვს.

ნ. შენგელიას წერილში განვითარებული აზრით, „მეგრულ ენაზე სწავლების სიკეთე დროის მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი“. ახალგაზრდობას უნდა მისცემოდა სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო პოლიტიკური ცოდნისა და აზროვნების შესაძლებლობა. „ახლა 4 წლიანი სკოლების 1-2 ჯგუფების მოსწავლეებს სხვა გზა არა აქვთ, რომ მეგრულად არ ისაუბრონ“. ავტორის აზრით, ეს მას უპირატესობას უქმნის, რომ ცოდნის ათვისებაში არ მოცდეს. ნ. შენგელიას საჭიროდ მიაჩნია, აგრეთვე, რომ წერის კანონებიდან გამომდინარე, სწორად იქნას შერჩეული ნამდვილი მეგრული ტერმინები, ნაცვლად ხმარებაში არსებული ქართული და რუსული ტერმინებისა. იგი ამასთანავე დასძენს: „ეს ვინმემ ისე, არ გაიგოს, ვითომ ჩვენ უგულვებელვყოფთ ქართულ და რუსულ ენებს; ის კი არა ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქართული ენის, რუსულ და უცხო ენების სწავლება, მაგრამ სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს მეგრულ ენას, როგორც ერთ-ერთ დამხმარე საშუალებას მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოზრდის საქმეში!“ (იხ. გვ. 20). ჩვენი აზრით, პედაგოგი პრინციპში სწორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ განზომილებაში არ უნდა იძლეოდეს მეგრულად სწავლების ქართულისა და რუსულის დაუფლების ინტერესებიდან გამომდინარეობას.

ძველი პედაგოგი კოლია (ნიკოლოზ) ბუკია წერილში „სამეგრელოს მასწავლებლებისადმი“ ვრცლად ახასიათებს ლენინის „მუნჯური მეთოდს“. მას მოაქვს გაგონილი კურიოზები „მუნჯური მეთოდით“ ისეთი რუსული წინადადე-

ბების სწავლებისა, როგორიცაა: „Собака села хлеб“ და „Курица сидить на яйцах“ და გვიხატავს იმ შემაშფოთებელ მდგომარეობას, როცა მასწავლებელი ცდილობდა მოსწავლეთა წარმოსახვაში ძაღლისა და ქათმის როლში გამოსულიყო. მის მეხსიერებას შემორჩენია სკოლებში გავრცელებული კარიკატურები, რომლებზედაც საბუდარში კვერცხზე მჯდომი ლევიცკი იყო დახატული. „ლევიცკის მსგავსნი იყვნენ იმ დროს ლევიცკის ძმაკაცები, — წერს ს. ბუკია, — ვასილიევი და მისი მიმდევარი, რუსი, ქართველი და მეგრელი რუსოფილები, რომლებიც ქართულ და მეგრულ ენებს ძაღლის ენას უწოდებდნენ და უნდოდათ ბავშვების მუნჯური მეთოდით სწავლებით გარუსების პოლიტიკის გატარება და ბავშვებისათვის დედ-მამის ენის დავიწყება. მაგრამ გავიდა დრო, შემოღებული იქნა თარგმნის მეთოდი და გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ კვლავ დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი“. ძველი პედაგოგი აღწერს თარგმნითი მეთოდის სიძნელეს, მექანიკური დაზეპირების მაგალითს. თავდაპირველი სწავლებისთანავე რუსულ ენაზე გადასვლის სირთულე ნ. ბუკიამ წარმოაჩინა, როგორც მასწავლებლების და მოსწავლეების წვალება, რომელიც მეგრელი ბავშვისთვის ორმაგი წვალება იყო, რადგან რუსულიდან ქართულად უთარგმნიდნენ, მას კი ქართულიც არ ესმოდა და ბოლოს, რაღაც ჩიქორთული გამოსდიოდა. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართველ ბავშვებს ოჯახების სახით სკოლის დამხმარე შუალედური რგოლი გააჩნდათ. ეს მათ საშინაო დავალების შესრულებას და საერთო სწავლას უადვილებდა. ქართულის არმცოდნე მეგრული ოჯახი კი ამ როლს ვერ ასრულებდა და ამით მეგრელ ბავშვს დამატებითი სიძნელე ექმნებოდა.

ძველი პედაგოგები ხსნიდნენ ქართული და მეგრული ენების დაშორიშორების მიზეზებს და ის დასკვნა გამოჰქონდათ, რომ ბავშვისათვის „ქართული და მეგრული ენები ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავს სრულიად“. ამიტომ რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მეორე და პირველ ჯგუფში ბავშვებმა ქართული ლაპარაკი და ახსნა ვერ გაიგონო. საყურადღებოა, აგრეთვე სასკოლო განათლების შესახებ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრება: სოციალიზმის ფართო მშენებლობა, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, სოფლად კულტურის ფართოდ შეტანა, კადრების მომზადება, ტექნიკის დაუფლება, ტექნიკური ცოდნის ათვისება და სხვა თანამედროვე მოთხოვნილებები საჭიროს ხდის, რომ დაბალ კლასებ დამთავრებულებმა იცოდნენ ფიზიკის, ქიმიის და სხვა მეცნიერების ელემენტები. ძირეული კანონების ცოდნის აუცილებლობა გვთხოვს დაწყებით სკოლებში მეგრული ენით სწავლებაზე გადასვლას. ამის შემდეგ ნ. ბუკია სკოლის მომავალი რეფორმის პრაგმატულ საკითხებს ეხება. მისი აზრით, მეგრულ ენაზე სწავლება, არ გამორიცხავს ქართულის შესწავლას, და ამავე დროს მოითხოვს დიდი მოსამზადებელი სამუშაოების გატარებას. ვიდრე მეგრულ წიგნებს შევადგენდეთ, სხვა ენებიდან თარგმნა და გადმოკეთება დაგვჭირდება და საათანადო მოსამზადებელი სამუშაობების ჩატარებაო. ნ. ბუკიას აზრით, საჭირო იყო პედაგოგების შეკრება, მეთოდური მუშაობა, „უნდა ვთხოვოთ ჩვენს უფროს ამხანაგ ქართველ პედაგოგებს საკუთარი გამოცდილების გაზიარება“. მას მიაჩნია, რომ ამ გზით თანდათან შესაძლებელი გახდება „მდიდარი და ღრმა აზროვნებით განვითარებულ ენებზე ცოდნის უკეთ დაპატრონება.“ ძველი პედაგოგის აზრით, „როცა მშრომელი მეგრელის შვილები კულტურას და ტექნიკას დაეპატრონებიან, ისე, როგორც საქართველოს შვილები, სოციალისტურ მშენებლობაში ერთმანეთს არ ჩამორჩებიან და საქვეყნო საქმეებში ერთმანეთს არ მოწყდებიან“ (იხ. იქვე, გვ. 2-22).

ზუგდიდის პედაგოგიური პერსონალის პუბლიკაციებში, ჩვენი აზრით, ჩანს რეალური სინამდვილის პრაგმატული გაგება და აღძრული საკითხებისადმი სერიოზული დიდაქტიკური დამოკიდებულება. ისინი არ გვაძლევენ მეგრულ ენაზე სწავლების გამარტივებული და მით უმეტეს მისი სეპარატისტული გაგების უფლებას. მათ ნაწერებში წამოწეულია ქართულის არმცოდნე მშრომელი

გლეხის შვილების, როგორც მომავალი საწარმოო ძალის გაგება. რამდენადაც ასეთი ბავშვების უმრავლესობა ოთხწლედის დამთავრების შემდეგ სახალხო მეურნეობის აღმშენებლობის საქმეში ებმებოდა, ამდენად, მათი ცხოვრებისათვის უკეთ მომზადება მეგრული ენით უკეთესად მოხერხდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი აზრით შეინიშნება პუბლიცისტი-პედაგოგების უკიდურესი პოლიტიზაცია. მათ ნაწერებში კარგად არა ჩანს, რომ ქართული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი ენის არმცოდნე გლეხის შვილისაგან, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო პოტენციური მამულიშვილების აღზდა. ამის მისაღწევად აუცილებელი იყო საერთო ეროვნული საგნების (ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და ა.შ.) სწავლება. ლიტერატურული ქართულის არცოდნა მათ შვილებს კულტურისა და მეცნიერების ზიარების პერსპექტივას უზღუდავდა. პედაგოგთა ნააზრევში კი არა ჩანს ორი ან ოთხი წლის მეგრულ ენაზე სწავლების შემდეგ როგორ უნდა მომხდარიყო საერთო ეროვნული ენის იმ დონეზე დაუფლება, რომ ახალი პროგრამა არ დაპირისპირებოდა ცოდნის ათვისების გაგრძელებას. გადაჭარბებულად გვესახება აგრეთვე ზოგადქართული და კუთხური მეგრული ენების დაშორიშორების მათ მიერ წარმოჩენილი შეფასება. ჩვენი აზრით, ქართულის არმცოდნე გლეხის ბავშვებს ნამდვილად სჭირდებოდათ სათანადო მოსამზადებელი საფეხურის გავლა, მაგრამ ისე, რომ არ მომწყდარიყვნენ საერთო სახელმწიფოებრივი-ეროვნული განათლების სისტემას.

1928 წლის ზუგდიდის რაიკომის მეათე პარტიული კონფერენციის დადგენილებაში, როგორც ვნახეთ, დაყენებული იყო ოთხწლიანი სკოლების მხოლოდ პირველი და მეორე კლასების გადაყვანა მეგრულ ენაზე. ახლა კი, როგორც ვხედავთ, ზოგის მიერ ნაგულისხმევია პირველი — მეოთხე კლასები. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ აღნიშნული პუბლიკაციების ავტორები ძლიერ განიცდიდნენ მათ მიერ წამოყენებულ საქმესთან რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების უკიდურეს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და ამიტომ თავიანთ ნაწერებს მეგრული ენის სიყვარულისა და საერთოდ მეგრული პატრიოტიზმის გამო უმორჩილებდნენ პროპაგანდისტულ მიზანდასახულობას. ისინი მაქსიმუმს მოითხოვდნენ აუცილებელი მინიმუმის მისაღწევად. სათანადო წყარო მოწმობს, რომ მათ მიაღწიეს ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ზონის „პირველ ჯგუფში" სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანას. არა ჩანს წყარო, რომ ამის გამო მათ მეგრელი გლეხობა „ჯოხით გამოეკიდა". მაშასადამე, ტყუილი გამოდგა ზოგის (ვ. ბოკუჩავა, მ. პერტახიას) პროგნოზი, მეგრულ ენაზე სწავლების გადაყვანის შემთხვევაში გლეხობა ჯოხით გამოგეკიდებათო და ზოგი ჩვენი თანამედროვის (მ. კეკელიძის) მტკიცება, თითქოს მართლაც ყოფილიყოს „ჩაქოლვის" ფაქტები. მაგრამ, ამავე დროს, არც ისა ჩანს, რომ ბერიამ და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე დაწყებითი სწავლების ექსპერიმენტის წინააღმდეგ გაილაშქრა. პირიქით, ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია ამ მონაპოვარს თვლიდა ბერიას ხელმძღვანელობის და საკ. კპ(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის „ბოლშევიკური დადგენილების" განხორციელების შედეგად.

ამ დადგენილების წლისთავისადმი მიძღვნილ „ყაზაყიში გაზეთის" მოწინავე წერილში (5.X.1932) ნათქვამია: „წარმატებას საქართველოს პარტორგანიზაციამ ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, სხვა რაიონებთან ერთად, სამეგრელოს რაიონში და განსაკუთრებით ზუგდიდის რაიონშიც მიაღწია... ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ზუგდიდის რაიონში საქმის წარმოებას, სამართლის საქმის გაძღოლას, საბჭოთა აპარატის მუშაობას და დაწყებით სკოლებში სანიმუშო სწავლების ადგილობრივ — მეგრულ ენაზე გადაყვანას; იხსნება სანიმუშო (! — ავტ.) დაწყებითი სკოლები მეგრულ ენაზე, გახსნილია და სწავლა მიმდინარეობს სამეგრელოს პარტიული ორგანიზაციების კადრების მომზადების მიზნით ორგანიზებულ მეორე საფეხურის სკოლაში, გამოდის ხუთი მრავალტირაჟიანი მეგრული გაზეთი, კედლის გაზეთები, ბროშურები და სხვა." მაშასადა-

მე, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებისა და ამ დადგენილების ლ. ბერიას მიერ მხარდაჭერის შედეგადაც 1932 წლის სექტემბრიდან იქნა შემოღებული ზუგდიდის რაიონის ზოგ სკოლებში პირველდაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანის ექსპერიმენტი.

ზუგდიდის რაიონში მეგრულ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების პრაქტიკულად შემოღების და წარმოების შესახებ ჩვენ ვერ შევძელით სათანადო, ჩვენი ინტერესების შესაბამის საარქივო მასალებში კონკრეტული წყაროების მოკლელეა. ამ საკითხის გაშუქებას ვერც სათანადო პუბლიკაციის სახით გავეცანით. ამიტომ იძულებული გავხდით დავჯერებოდით ზუგდიდში ჩასვლის დროს მეგრულად სწავლების მომსწრეებთან გასაუბრებით მოპოვებულ ინფორმაციას. გამოკითხულთა უმრავლესობამ განგვიცხადა, რომ სოფლის პირველდაწყებით კლასებში მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს ქართული აბსოლუტურად არ ესმოდა. მათგან ზოგი ახერხებდა ქართული სიტყვების დაზუთხვას, მათი შინაარსი კი არ გაეგებოდა. მათი უმრავლესობა დროთა განმავლობაში დაწყებით სკოლას ისე ტოვებდა, რომ იქიდან რამდენიმე დაზეპირებული სიტყვის გარდა არაფერი მიჰქონდა. ქართულად სწავლა განსაკუთრებით უჭირდათ იმ სოფლის ბავშვებს, რომლებშიც გლეხობაც ვერ ფლობდა ქართულ ენას. ქართულს იოლად სწავლობდნენ შეძლებული ოჯახის შვილები, ინტელიგენტების, მღვდლების, პედაგოგების ოჯახებში გაზრდილები. ღარიბებიდან ბევრი სკოლაში საერთოდ არ სწავლობდა, ამათგან ზოგი ენობრივი ბარიერის გამო, ზოგი სიღარიბისა და გაჭირვების მიზეზით. მეგრული ენით პირველდაწყებითი სწავლების ექსპერიმენტმა გამოკითხულთა მეხსიერებას მნიშვნელოვანი კვალი ვერ დაამჩნია იმის გამო, რომ იგი იყო პირველ კლასში და ისიც მცირე ხანს გაგრძელდა. ახსოვთ მხოლოდ ის, რომ მეგრულ ენაზე ახსნა-განმარტება ქართულადაც მიმდინარეობდა.

ამის მსგავსი ძუნწი ცნობა მოგვაწოდა აგრეთვე საზოგადოება „ზუგდიდელის" ყოფილმა თავჯდომარემ, ბატონმა ხუტა ხუფენიამ, რომელმაც სხვა, ჩვენთვის საყურადღებო ამბებთან ერთად, გვითხრა: „იმ დროს მე მეორე კლასში ვსწავლობდი. მეგრული ენით ექსპერიმენტული სწავლება შემოიღეს ჩემს მომდევნო პირველ კლასში, რომელშიც დადიოდა ჩემი ბიძაშვილი. მისგან გამიგონია, რომ მასწავლებლები ბავშვებს მეგრულთან ერთად ქართულ ენაზეც მიმართავდნენ" — ბატონ ხუტას და ინფორმაციის სხვა მომწოდებელ პიროვნებებს მადლობას ვუხდით თუნდაც ამ მწირი ინფორმაციისათვის. გასაგებია, რომ აღნიშნულმა ექსპერიმენტმა მათთვის უკვალოდ ჩაიარა. ალბათ, განვლილმა 70 წელიწადმაც თავისი როლი ითამაშა, მაგრამ მათი მონათხრობი მაინც ავსებს ზემოთ მოყყანილ ზუგდიდელი პედაგოგების ნააზრევს. ამის გარდა, „მეგრული საკითხით" დაინტერესებულ თანამედროვეთა ნაწერებში ერთგვარი კვალის მიგნება მაინც მოგვიხერხდა.

საქართველოს პრეზიდენტის არქივში გამომავლინეთ, ზუგდიდიდან სტალინის, კალინინის და მოლოტოვისადმი გაგზავნილი ვრცელი კოლექტიური წერილი, რომელიც 1933 წლის აპრილით არის დათარიღებული. მასში ვკითხულობთ: პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მიერ მეგრული საკითხის შესწავლისა და მითითების შემდეგ საქართველოს კპ.(ბ)კ-მა 1929 წელს გამოიტანა ბოლშევიკური დადგენილება!...

...4. დაწყებით სკოლებში შემოღებული იქნას სწავლება მეგრულ ენაზე.

ყველა ამ ღონისძიებებმა კოლოსალური კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი მოახდინა სამეგრელოს სოფელზე...

ახლა ზუგდიდის ბოლშევიკების განდევნის შემდეგ (მხედველობაში აქვთ ი. ჟვანიას გადაყვანა ზუგდიდის რაიონიდან: 1933 წ. თებერვალი — ავტ.) „სკოლებში ლიკვიდაცია ხდება მეგრულ ენაზე სწავლებისა: საქართველოს განსახკომმა ზუგდიდის რაიონში მოავლინა „მეგრელი" ჩინოვნიკი „პროფესორი" — ჩიქობავა იმ მიზნით, რომ ამ ვაი „მეცნიერს", „მეცნიერული"

თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე ბავშვების სწავლება. ამ „მეცნიერმა“ ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: „მართალია, მეგრელი ბავშვები მშობლიური მეგრული ენით უკეთ ითვისებენ, ვიდრე გაუგებარი ქართული ენით, მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ შემდეგ მეგრულიდან ქართულზე გადასვლა ძნელი იქნება, ამიტომ მეგრულ სკოლებში პირველივე ჯგუფებიდან ამოღებული უნდა იქნას მეგრული ენა...ასეთ „დამაჯერებელ“ „მეცნიერულ“ დასკვნას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი (ბერიას უსიტყვოდ მორჩილი – ავტ.) ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომდევნო სასწავლო წლიდან დაწყებით მეგრულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაკანონებას“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 224, 229-230), ანუ ექსპერიმენტის ლიკვიდაცია. ჩვენ დავადგინეთ, რომ წერილის ტექსტი და მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის ერთ-ერთ ყოფილ ავტონომისტს ტარასი შენგელიას. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, სათანადო თავში, გვექნება შესაბამისი მსჯელობა. ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ იგი, მისი ღვარძლიანი კომენტარების მიუხედავად, იძლევა გასაგებ განმარტებას. ჩვენ იმდროინდელი მოვლენების შუქზე გვესახება, რომ ექსპერიმენტის შედეგებზე ესოდენ ხანმოკლე პერიოდის მიხედვით აღნიშნული დასკვნის გამოტანას საფუძვლად უნდა დასდებოდა არა პედაგოგიური, არამედ პოლიტიკანური მიზანდასახლობის დირექტივა. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იყო ექსპერიმენტის თუნდაც ორი-სამი წლის შედეგების მიხედვით გაარკვევა და მის შედეგებზე კოლექტიური მსჯელობა. აქ მთავარია, რომ მეგრული ენით ათვისების უპირატესობას, მეგრული წარმოშობის სახელოვანი ქართველი მეცნიერი თავადაც აღიარებდა. რაც შეეხება ქართულის არმცოდნე ბავშვების სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის მომავალ სირთულეს, იგი შეიძლებოდა დაძლეულიყო სათანადო მოსამზადებელი ქართულის პარალელური მეგრული ენით, თუნდაც სპეციალური, ერთ ან ორწლიანი საფეხურის სწავლების შემოღებით. ამ შემთხვევაში დაწყებითი სწავლების მეგრული ენით გავლილი ბავშვები უკეთ მომზადებულები ჩაებმებოდნენ შრომით საქმიანობაში, დანარჩენებს კი შეექმნებოდათ სწავლის კიდევ უფრო მაღალი სასტარტო მდგომარეობიდან გაგრძელების შესაძლებლობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამდენი „დავიდარებისათვის“ არავის ეცალა. ალბათ, ამიტომ, სტალინმა პრობლემების მოჭრა ასე ინება. ჩვენი აზრით, ბერიას დამოუკიდებლად, პირადი მოსაზრებებით არ შეეძლო მის მიერვე დაშვებული ექსპერიმენტის პედაგოგიურად გაუმართლებლად, ნახევარი თუ ერთი წლის შედეგებით, გაუქმება (სტალინთან შეუთანხმებლად).

მაშასადამე, ვინ შემოიღო ქართულის არმცოდნე მეგრელი ბავშვებისათვის პირველდაწყებითი სწავლების პირველ კლასში მეგრული ენით სწავლება და რატომ აიკრძალა იგი არაპედაგოგიური მეთოდით, ბოლომდე გაურკვეველი რჩება. ამ საკითხზე მსჯელობა ახლა უკან მიდევნებული ლამპარია. მაგრამ ცხადია, რომ ამ პრობლემის უკეთ მოგვარება, ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების დროიდან (1918-1921 წწ.) შეიძლებოდა და მას გარდამავალ მოკლე დროში უთუოდ შეეძლო დადებითი შედეგების მოტანა. აქ საჭიროა გავიხსენოთ ქართველი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების ს. მესხის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო მარის ი. გოგებაშვილის და პედაგოგიკის მსოფლიო კორიფეების პრინციპული მოთხოვნა იმისა, რომ ბავშვის სასკოლო სწავლება მისთვის გასაგები ენით უნდა იწყებოდეს და კიდევ ერთხელ მოვიხმოთ დიდი ილიას, აგრეთვე ცნობილი პედაგოგის სოფიო ჩიჯავაძე-კედიას აზრები. როგორც წიგნის სათანადო თავში მოვიყვანეთ, ილია ჭავჭავაძემ სანიმუშოდ წარმოაჩინა მაგალითი, იმის შესახებ, რომ გერმანიაში „საერო სკოლაში პროვინციალურ ენასთან სახელმწიფო ენასაც ასწავლიან, სახელდობრ, ნემცურს, ესე იგი იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს“ ნემცურ სალიტერატურო ენას (ილია ჭავჭავაძე, 20 ტომეული, ტ. VI, თბ. 1997, გვ. 433). სოფიო ჩიჯავაძე-კედია თავის „ნასმენ ნახულში“ (თბ. 2002, გვ. 214) მეგრული ენის შესახებ

1919 წელს წერს: „არ იქნება ურიგო ამ ენის პატარ-პატარა ნიმუშები ქართულ სკოლებში იყოს მიცემული, მაგრამ ამაზედ ხომ აყაყანდებიან ისინი ვისაც სამეგრელო არაფრად მიაჩნია, და იმისი ენა ხომ ვერა და ვერ გაიკვლევს გზას. მერე რა ლამაზია იგი, რბილი, ყურისთვის საამო და ალერსიანი“.

ზოგ ჩვენ თანამედროვეს, ვითომ პატრიოტული მოსაზრებებიდან გამომდინარეს და სათანადო ცოდნით აღჭურვილს კი, შეუძლია საწინააღმდეგო მოსაზრებები ისე დააკუხოს, რომ არ გაითვალისწინოს საკუთარი აზრის საწინააღმდეგო არც ერთი გონივრული მაგალითი. მაგალითად, აღნიშნულ საკითხებზე ერთმა განსწავლულმა მოსაუბრემ განგვიცხადა: მეგრულად სწავლების ექსპერიმენტის გარეშეც საკმაოდ გამოირჩევიან მეგრული წარმოშობის ახალგაზრდები, სტუდენტები და მეცნიერებიო. ეს მართალია ჯვარში დაბადებული აკაკი ჭანტურია და მისი შვილები ინგლისური ენის ცოდნით გამოირჩეოდნენ. ზოგმა სამეგრელოს სოფელში დაბადებულმა მეცნიერების მწვერვალებს მიაღწია, ზოგმა ჩინური, იაპობური და მკვდარი ენებიც კი შეისწავლა. მაგრამ ეს არ არის ცალსახა არგუმენტი. შესაბამისად, იმის თქმა, რომ აღნიშნული ექსპერიმენტი ეროვნულად მიუღებელი და საშიში იყო, გაუმართლებელია. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა სამეგრელოს იმ სოფლებში, სადაც არ იცოდნენ ქართული ან უაღრესად მცირეცოდნეობით იჩაგრებოდნენ ბავშვები, გარკვეული დროით გაგრძელებულიყო მეგრულ ენაზე სწავლება დაწყებითი სკოლის I და II, ან ოთხივე კლასის განმავლობაში და ამ გზით უფრო მასობრივად მომზადებულიყვნენ ერის მოყვარე, მისი ღირსების გამგები და ცხოვრების სასკოლო მინიმუმის ცოდნის მქონე მოზარდები. ამასთან, საჭირო იყო საქართველოს ყველა სკოლაში მეგრული ენის რაობის შესახებ სათანადო განმარტებითი გაკვეთილების შემოღება. ამ შემთხვევაში ავიცილებდით „მეგრული საკითხის“ მოგვარების გარშემო გამოთქმულ იმ დემაგოგიას, რომელსაც, სამწუხაროდ, მთელი ათი წლის მანძილზე პოლიტიკანურად ავითარებდნენ უმაღლეს პარტიულ ფორუმებზეც კი, მაშინ, როცა მისი მოგვარება თუნდაც საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებშიც შეიძლებოდა.

მაშასადამე, საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების ისტორიის გამოცდილებაზე დაყრდნობით სამეგრელოში განხორციელებულმა XX საუკუნის 20-30-იანი წლების რეფორმების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობები სარგებლობდნენ მეტი ადამიანური უფლებებით, ვიდრე სამეგრელოში მცხოვრები ქართულის არმცოდნე მშობლიურ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ქართველები. ეს აისახა იმ პრივილეგირებული მდგომარეობით, რომელსაც ჰქმნიდა ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინური გაგებაზე დაფუძნებული საბჭოთა კანონმდებლობა. იგი საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობას სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, ბერძნებს, ოსებს, აფხაზებს და შედარებით მცირერიცხოვან გერმანელებსაც კი კანონიერ უფლებას ანიჭებდა და რეალურ შესაძლებლობას აძლევდა: ადგილობრივ ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანოებში მშობლიურ, გასაგებ ენაზე ეწარმოებინათ ურთიერთობა; სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის ბავშვების განათლება განეხორციელებინათ მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე; უფროსი ასაკის მოქალაქეების წერა-კითხვის უცოდინარობა შედარებით იოლად და მოკლე ხანში აღმოეფხვრათ მათთვის გასაგები მშობლიური ენაზე; საჭირო ინფორმაცია მიეღოთ გასაგებ ენაზე გამოქვეყნებული პრესის საშუალებით; ხელშეკრულებათა დადება და სასამართლო პროცესში მონაწილეობა ეწარმოებინათ მშობლიურ ენაზე. იმ დროს მათთვის სრულიადაც არ იყო სავალდებულო თავი დაეტვირთათ გაუგებარი ქართული სახელმწიფოებრივი ენის შესწავლით. სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში შეეძლოთ გამოეყენებინათ თავისი და სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა სხვა ხალხებისათვის თანაბარი უფლების მქონე რუსული. საქართველოში მცხოვრებ მეგრელ ქართველებს კი

არ გააჩნდათ კონკრეტულად და კანონმდებლობით გათვალისწინებული მსგავსი უფლებები. მათ, მთელი ათი წლის განმავლობაში, გასაგები და საუკუნეობრივად შესისხლხორცებული მეგრული დედაენა შეეძლოთ გამოეყენებინათ, მხოლოდ პირად და ოჯახურ ურთიერთობაში. საკუთარი ენით ურთიერთობა მეგრელ ქართველებს უხერხულ მდგომარეობას უქმნიდა არა მარტო გარე საქართველოში არამედ თვით სამეგრელოს რეგიონის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებშიც კი.

ზემოთ აღნიშნულ შეზღუდვებს სამეგრელოს ქართულის არმცოდნე ქართველებმა ერთგვარად და მოკლე დროით თავი დააღწიეს ათი წლის პარტიულ-სახელმწიფოებრივი ჯახირის პირობებში. 30-იანი წლების დასაწყისის ქვეყნის ეკონომიკური მოთხოვნები გახდა ის რეალური ძალა, რომელმაც საკავშირო და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას, აგრეთვე ქართულის არმცოდნე ქართველების „გამეგრელების" უსაფუძვლო შიშით შეპყრობილი ქართველი ინტელიგენციის დაეჭვებულ წარმომადგენლებს ჩააგონა, რომ მისივე ერის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ინტერესებით საჭირო იყო სამეგრელოს რეგიონში გარკვეული დროის, გარდამავალი ხანისათვის აუცილებელი, არაკონსტიტუციური, ქართული საბჭოთა კანონმდებლობით რეგლამენტირების გარეშე დატოვებული მოსახლეობისათვის საჭირო, სასიცოცხლო ღონისძიებების გატარება. სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე მუშახელის საკუთარი დედაენით ფუნქციონირების აუცილებლობამ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა დაეშვა ადგილობრივ დაწესებულებებსა და სასამართლოში მეგრულ ენაზე ურთიერთობა, მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდავია, მრავალტირაჟიანი მეგრული ცენტრალური და მცირე ტირაჟიანი საუწყებო გაზეთების გამოცემა, სამეგრელოს ქართული არმცოდნე და მცირეცოდნე ტერიტორიებისა და სოფლების დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული სწავლების შემოღება. საჭირო იყო და უკეთესი შედეგების მომტანი იქნებოდა თუ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები და ერის მესვეურები, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოების დროს მივიდოდნენ ამ აუცილებლობათა შეგნებამდეც და მოთხოვნამდეც. მაგრამ არა, რისიფიკატორ-გამთიშველებისაგან შეშინებულები, სრულიად გაუმართლებლად, სეპარატიზმს ხედავდნენ ქართულის არმცოდნე მეგრელი მოსახლეობისათვის საჭირო ნებისმიერი შეღავათის შემთხვევაში.

ჩვენთვის ცნობილი წყაროები მოწმობენ, რომ ზემოთ აღნიშნულ გარდაქმნებს შიდა და გარე სამეგრელოს გლეხობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა. განხორციელებულ გარდაქმნებს მნიშვნელოვანი დადებითი სოციალური შედეგებიც მოჰყვა. მაგრამ ისევ უმაღლესი ხელისუფლების ხუშტურით ეს დათმობები იმდენად კუდშეკვეცილი და ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მეგრული ენის მომხმარებელი მოსახლეობის წარმომადგენელთა ხანგრძლივი და სერიოზული უკმაყოფილებაც გამოიწვია. ამის ვერგამგე ინტელიგენციამ კი ეს პროცესი მაფალუიზმის გამოცოცხლება-გაცხოველებად მონათლა.

ჩვენი აზრით, აქ საჭიროა გავიხსენოთ და გავაანალიზოთ ზემოთ აღნიშნულ გარდაქმნებთან და ი. ჟვანიასთან დაკავშირებული დიდი მეცნიერის ნიკო ბერძენიშვილის ნათქვამი: „ისაკი ჟვანია კომუნისტობას იჩემებდა და ეს უვიცი იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ თვითონ ღალატობდა კომუნისტობას, რომ მისი „მეგრული პოლიტიკა" შუა საუკუნეებშიაც კი ჩამორჩენილობისა და რეაქციის პოლიტიკა იყო, რომ მისი პოლიტიკა მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან საერთო კულტურისაგან (ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრონი, გვ. 283).

ჯერ ერთი, ი. ჟვანია შუა საუკუნეების მოვლენა არ იყო და ამიტომ 20-იანი წლების მაგალითებით ვიმსჯელოთ. მეორე, უნდა გავარკვიოთ რა კრიტერიუმებით აზროვნებს მეცნიერი. ჩვენი აზრით, მას ამ სიტყვების თქმა უშუ-

ალოდ აღნიშნული რეფორმების დროს არ შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც უთუოდ კონსტანტინე გამსახურდიას, და მათ თანამოაზრეთა მზგავსი რისხვა დაატყდებოდა უსამართლო ხელისუფლების დემაგოგი წარმომადგენელთაგან, რადგან ის რაც ნ. ბერძენიშვილმა ი. ჟვანიას მიაწერა, როგორც ვნახეთ ხელისუფლებამ გაატარა და არა ი. ჟვანიამ.

მეორე, არ არის სწორი ნ. ბერძენიშვილის განცხადება, თითქოს ი. ჟვანიას პოლიტიკა „მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან საერო კულტურისაგან". ჯერ ერთი, ნ. ბერძენიშვილი ლ. ბერიას მსგავსად ადანაშაულებს ი. ჟვანიას და მას მიაწერს იმას რასაც გაიძახოდა ზოგი ავტონომისტ-ექსტრემისტი, მაგალითად სეპარატისტი გრ. ახალაია. მაშასადამე, დიდი მეცნიერი 20-30-იანი წლების პოლიტიკანი პარტოკრატების მსგავსად, ერთმანეთისგან არ ანსხვავებს სეპარატისტებს, ავტონომისტებს და მეგრული საკითხის რაციონალურად მოგვარების მსურველ კომუნისტებს და უპარტიოებს. ჩვენ კი ვნახეთ, რომ ი. ჟვანიას ყალბად ბრალდებოდა ავტონომისტებისა და სეპარატისტების მფარველობაცა და ქართული ეროვნული კულტურიდან თუ საქართველოს ტერიტორიიდან სამეგრელოს მოწყვეტის იდუმალი მცდელობაც. ამასთანავე ეს ბრალდებები, როგორც დავწმუნდით, იმდენად უაზრო და უსუსური იყო, რომ ხელი არ შეუშლია მისი იმავდროული აღზევებისა და დაფასებისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ ნ. ბერძენიშვილი ი. ჟვანიას შეფასებას 50-იანი წლების იმ მომენტამდე აყალიბებს და აცხადებს, ვიდრე ზენიტშია ი. ჟვანიას მთავარი გამყალბებელი და სიცოცხლის მომსპობი ლ. ბერია, სანამ გამომჟღავნდებოდა ი. ჟვანიას და სხვათა ბრალეულობათა ფალსიფიკაცია და მოხდებოდა მათი რეაბილიტაცია. ფაქტობრივად, ნ. ბერძენიშვილს თავისი ეს კონცეპტუალური აზრი გამოთქმული აქვს „მეგრული საკითხისა" და ი. ჟვანიას მიმართ ლ. ბერიას დამოკიდებულებისადმი სოლიდარობის დემონსტრირებისათვის. ასეთია სამწუხარო რეალობა. ნ. ბერძენიშვილი ი. ჟვანიას მცდარ გაგებას იძლევა სიმონ ჯანაშიას მეცნიერული ღვაწლის შეფასების მიზნით ჯერ კიდევ ლ. ბერიას აღზევების ხანაში დაწერილ რეცენზიაში, რომელიც პირველად 1953 წელს ბერიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა. რეცენზიის ის ნაწილი, სადაც მის ავტორს ი. ჟვანიას შესახებ აზრი სქოლიოში ჩატანით მოაქვს, ეძღვნება ერთი მხრივ „საბჭოთა პატრიოტის (შემოქმედ პროგრესისტის)" და მეორე მხრივ, საბჭოთა პატრიოტის მიერ ქვეყნის მოღალატისა და გმირის მისეულ გაგებას. რაც გამორიცხავს საქართველოს მეფეების ყველა მოწინააღმდეგე ისტორიული პიროვნების გმირად შეფასების შესაძლებლობას და ასევე შემოქმედ პროგრესისტად არ მიიჩნევს საბჭოთა პიროვნებას, რომელიც არ იზიარებს პარტიის პოლიტიკას. კომუნისტი აკადემიკოსი ი. ჟვანიას აფასებს, როგორც ლ. ბერია: „ღალატობდა კომუნისტობას" „მისი პოლიტიკა მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საერთო კულტურისგანო", მაგრამ ამის საფუძველი არა აქვს.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, საქართველოს მეფე და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლები გმირები, ხოლო ყველა ოპოზიციონერები (ერისთავები, თავადები, მთავრები), მოღალატეები არიან. „გმირი", „მეფის ხელისუფლება მოწოდებულია იბრძოლოს ქვეყნის ერთიანობის, მისი წინსვლის, კლასთა ბრძოლის გაზრდა-გაღრმავებისათვის, ანუ პროგრესისათვის. ნ. ბერძენიშვილის ლოგიკით საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს მეფის ხელისუფლების, ხოლო „კომუნისტი" და რეპრესირებული ი. ჟვანია ოპოზიციის, ანუ მოღალატეების ანალოგიაა. მაგრამ კომუნისტის მოღალატეობის მტკიცების გამო გადააყენეს ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის რექტორობიდან, ხოლო 1931 წელს თანამოაზრე, — თანამებრძოლთა ერთ ჯგუფთან ერთად გააგდეს უნივერსიტეტიდან. კომუნისტობის მოღალატეობის გამო 1937 წელს გადააყოლეს დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი (იხ. „ქალის ტვირთი"), და მთელი

პლეადა, აგრეთვე ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტი-ტროცკისტებისა“ თუ „მემარჯვენეებისა“ და მათ შორის ი. ჟვანია. ამიტომ ნ. ბერძენიშვილი იჩენს საჭირო წინდახედულობას. მისი თქმით, ი. ჟვანია მოღალატე კომუნისტია და არ არის „საბჭოთა პატრიოტი (შემოქმედ პროგრესისტი)“.

საქართველოს პირველი დიდი მარქსისტი ისტორიკოსის, კომუნისტი აკადემიკოსის, ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ი. ჟვანია კომუნისტობას იჩემებდა და ეს უვიცი იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ თვითონ ღალატობდა კომუნისტობას“. მაგრამ მისი „მოღალატური“ „მეგრული პოლიტიკა“ ხომ „გამოიძია“ ლ. ბერიას მეთაურობით მოქმედმა ჩეკამ, ამის შემდეგ ნ. ბერძენიშვილის აზრი „ბრძნულია“ და „მართალია“, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე ბერია თავისი კარიერის მწვერვალზე იდგა და ვიდრე ცოდვილი კომუნისტების, მათ შორის ი. ჟვანიას რეაბილიტაცია მოხდებოდა. ამის შემდეგ ი. ჟვანიას შესახებ თავის მცდარ აზრს ნ. ბერძენიშვილი ვერ გამოსთქვამდა და არც გამოუთქვია. იგი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

საეჭვოა ნ. ბერძენიშვილის მიერ აქვე ნაწერი განცხადება: „ამბობენ (! — ავტ.) მეგრელი ნაციონალისტი ისაკ ჟვანია ეუბნეოდაო (! — ავტ.) მწერალ შალვა დადიანს: გვძულხარ იმიტომ, რომ ქართველობ, მეგრულს ღალატობ, ქართულად წერო“ (იხ. იქვე). ეს არის სრული გაუგებრობა, რომელიც თანანადო წყაროებით არ დასტურდება. მისი მართებულობის დამტკიცებისათვის არც დიდ ისტორიკოსს უზრუნვია, მაშინ როცა, მის ნაშრომებში ახსნილი ზოგი დეტალის დადგენისათვის ჯვარს ეცვა და მთელი საქართველო ფეხით შემოიარა.

ცნობილია, რომ ი. ჟვანია მოწინააღმდეგეების მიმართ უხეში გამოთქმით ხასიათდებოდა. როგორც ვნახეთ, მან რეაქციონერებად და სხვა უხამსი სიტყვებით მოიხსენია ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც 1925 წელს რუსთაველის თეატრში მთელი ძალით გაიბრძოლეს ხელისუფლების მიერ გაზვიადებულად წარმოჩენილი ანტიქართული, ე.წ. მაფალუისტების ვითომ მართლა ეროვნული დიდი საშიშროების „მოსაგერიებლად“, მაგრამ მეგრელი გლეხების ჭირ-ვარამის სათქმელად კი, გამბედაობა არ ეყოთ. პარტიის VI ყრილობაზე ი. ჟვანიამ მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის მ. კახიანის მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა მამულიშვილებისადმი დაცინვას. მისი რედაქტორობით გამომავალი „ყაზაყიში გაზეთი“ მკაცრად აკრიტიკებდა ავტორებს (ს. ხუნდაძეს, ბ. ბუაჩიძეს და სხვ.) რომლებმაც ილიასა და აკაკის ნააზრევში დიდი ერისკაცის მიმართ ყურადღების მიზნით სოციალისტობა „აღმოაჩინეს“. ი. ჟვანიას მართლაც შეეძლო თვალსაჩინო მამულიშვილის შალვა დადიანის გალანძღვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმის გამო, რომ ეს მეგრელი მეგრულს ღალატობდა და ქართულად წერდა. ასეთი რომ ყოფილიყო ი. ჟვანიას ქართველებს შორის პატივისმცემელი საერთოდ არ ეყოლებოდა და არც არავინ აღაზევებდა სხვადასხვა უმაღლეს პარტიულ-სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე. ისიც ხომ ვნახეთ, რომ ი. ჟვანია უკმაყოფილებას გამოთქვამდა 1924 წლის აჯანყების დროს შ. რუსთაველის ძეგლის დანგრევის გამო. 1924 წლის აჯანყების გამო დახვრეტილთა მიმართ დამოკიდებულებაშიც ჩანს მისი პოზიტიური ნიუანსი. როგორც ადრე გავიცნობიერეთ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის 1929 წლის X მოწვევის მე-2 პლენუმზე, საჯარო გამოსვლის დროს მკაცრად გააკრიტიკა ისინი, რომლებიც ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ თითქოს საბჭოთა საქართველო სამეგრელოს ჩაგრავდეს“, მათ ამ საქციელს ი. ჟვანიამ უწოდა „უმსგავსობა“, საზიზღრობა“ და „ლაყბობა“. ი. ჟვანიას ისიც უთქვამს „ილია დიდია, მაგრამ ჩვენ ეგნატე უფრო გვჭირდებაო“. „ყაზაყიში გაზეთში“ ი. ჟვანიას რედაქტორობის დროს იბეჭდებოდა ე.წ. მაფალუიზმისადმი მტრული აზრები, აგრეთვე კირილე პაჭკორიას მეგრულ ეთნოგრაფიულ გუნდში გურულებისა და კახელების ტრიოს განსაკუთრებული ღირსების შესახებ. „ყაზაყიში გაზეთში“ მეგრული გაზეთის საჭიროების შესახებ გადმობეჭდილ ლ. ღოლობერიძის წერილის თარგმანიც ხომ განუმარტავდა, ქართულის არმცოდნე

მეგრელებს, რომ მისით უნდა მომხდარიყო არა ეროვნული ინტერესების შელახვა, არამედ „ხელი უნდა შეუწყოთ, რაც შეიძლება მალე დაეუფლონ ქართულ ენას". ამის გამო ი. ჟვანიას, შ. დადიანს, კ. გამსახურდიას ან ალ. აბაშელს კი არ ვაზომებთ, არამედ იმისთვის ვიყენებთ, რომ სწორად გავარკვიოთ მისი წარსულის მცდარად გაგებით ათწლეულების მანძილზე სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად გაყალბებული „მეგრული საკითხის" ისტორია და მეგრული (იგივე ქართული) თავმოყვარეობის შემლახველი მაფალუიზმის მიზნობრივად შეთითხნილი ამბავი. ქართული ეროვნულის გამოვლინებათა წინააღმდეგ ი. ჟვანიას არასდროს გამოუთქვამს პროტესტი და როგორ შეეძლო შ. დადიანისთვის თუნდაც ესაყვედურა „გეძულხარ იმიტომ, რომ ქართველობ, მეგრელს ღალატობ, ქართულად სწერო"?! აღნიშნულ საკითხზე არც შევჩერდებოდით, ზოგი სწავლული დიდი მეცნიერის, ნ. ბერძენიშვილის აღნიშნულ კონიუნქტურული მიზანდასახულობის ტექსტს „მეგრულ საკითხში" ჩვენი კონცეფციის გამაბათილებელ სწავლებად რომ არ იყენებდეს და ამ აბსურდით შეიარაღებული რომ არ გვებრძოდეს. ზოგმა ვერ გაიგო და ზოგი ამ წიგნის მომდევნო თავების წაკითხვის შემდეგაც ალბათ, არ გაიგებს, რომ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობის სიმართლე ასახავს „მეგრული საკითხის" ისტორიის გაგების, ანუ 1920-30-იანი წლების სამეგრელოს მოსახლეობის ძირითადი მასის საჭირბოროტო საკითხების სწორ შემეცნების შესაძლებლობებს. ამიტომ ვუთმობთ მას განსაკუთრებულ ყურადღებას.

როგორც ვნახეთ, მას შემდეგ რაც სტალინმა მეგრული საკითხის სამართლიანი მოგვარება ინება, შესაძლებელი გახდა მეგრული ენის შემოღება სასამართლოში და სოფლის საბჭოებში. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ნებართვით გამოვიდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული მეგრული სარაიონთაშორისო გლეხური გაზეთი და მსხვილი საწარმოების მრავალტირაჟიანი გაზეთები. მეგრული ენით განხორციელდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დაწყებით სკოლაში შემოიღეს ექსპერიმენტული სწავლება ემგრულ ენაზე. აღნიშნულმა ღონისძიებებმა პირველსავე წლებში გამოიღო რესპუბლიკისათვის სასარგებლო სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ეფექტი, რის შესახებაც აღინიშნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1931, 29 ივნისი, № 173).

თავი XV

სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქისათვის ბრძოლა

როგორც ადრე ვნახეთ, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 1929 წლის დასაწყისიდან ხელმეორედ დადგა საოლქო მმართველობაზე გადასვლის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საბჭოების V ყრილობაზე სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილმა საოლქო მართვის მოსამზადებელ სამუშაოზე გადასვლა საჭიროდ მიიჩნია დადგენილების მიღებისთანავე. დადგენილება მიღებული იქნა 1929 ქლის 13 აპრილს. მისი VI მუხლი მოითხოვდა 1929-1930 სამეურნეო წლის ბიუჯეტის შედგენას ახალი დარაიონების მიხედვით. საქართველოს სსრ ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 11 ივლისის დადგენილებამ დაამტკიცა დარაიონების ზოგადი პრინციპები. მართალია აქ მითითებული იყო, რომ „საოლქო გაერთიანების გარეშე დროებით რჩებიან ახალციხის, ახალქალაქის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ზემო სვანეთის მაზრები და ქალაქი ფოთი" (იხ. საქართველოს ადმინისტრაციული რეფორმა, თბ. 1930, გვ. IV), მაგრამ იგი საბოლოოდ როდი კრძალავდა ამ მაზრების საოლქო გაერთიანებასა და სამეგრელოს ერთიანი ოლქის შექმნას. ამიტომ საქართველოს საბჭოების ყრილობისა და საქართველოს სახკომსაბჭოს დირექტივების საფუძველზე დაიწყო მუშაობა რესპუბლიკის სამაზრო მმართველობის საოლქო ადმინისტრაციულ მმართველობაზე გადასვლისათვის. ამით შეიქმნა მთლიანი სამეგრელოს. ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის იმედიც. მართალია, საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე ერთიანი სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნის მისწრაფება ზოგმა ირონიის საბაბად გაიხადა და ავტონომიის მიზანდასახულობად გაასაღა, მაგრამ აღნიშნული იდეისადმი ამის შემდეგ გამოვლენილმა სტალინის მხარდაჭერამ უკვე ამ დროს გახადა შესაძლებელი საოლქოს მსგავსი მართველობის შემოღების წამოწყება. სამეგრელოს საოლქო მართველობით მოწყობის მომზადება განხორციელდა ყოფილი ზუგდიდის მაზრის მაგალითზეც. მან თითქმის მთელი ერთი წელი იარსება და შექმნა დადებითი გამოცდილება, რომელიც სამეგრელოს ოლქის მიზანშეწონილობის აზრს თვით საქართველოს ცენტრშიც სულ უფრო მეტ მომხრეს სძენდა. ამ დროს ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას არ გამოუქვეყნებია ისეთი დოკუმენტი, რომელიც სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის გამოყოფას დაადასტურებდა, მაგრამ არც ისეთი გადაწყვეტილება მიუღია, რომელიც მოსამზადებელ მუშაობას დაუპირისპირდებოდა. პირიქით, მოვლენების განვითარება ასაზრდოებდა აზრს, რომ სამეგრელოს წინაშე მდგარი პირველი ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის უკეთესი იქნებოდა ამ რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულების საერთო ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარება. სამეგრელოს ერთიანი ოლქის შექმნის სასარგებლოდ მეტყველებდა სტალინის მხარდაჭერა, ზუგდიდის მაზრის მაგალითზე საოლქო ადმინისტრაციული მართვის გარდაქმნის დადებითი გამოცდილება და ის, რომ საქართველოს ცენტრში თანდათან მწიფდებოდა აზრი, რომლის მიხედვით სამეგრელო-ზემო სვანეთის ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის ცენტრის სახით სასურველი იყო ქალაქ ზუგდიდის შერჩევა. აღნიშნული ფაქტორები ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობას და ი. ჟვანიას იმის სტიმულს აძლევდა, რომ სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის შექმნის მიზნით ებრძოლათ. ამ ბრძოლამ გარკვეული, რეალური, ჯერ კიდევ შეუსწავლელი ისტორია შექმნა. იგი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრო ცენტრი იღვწოდნენ არა სამეგრელოს ავტონომიისათვის, როგორც ეს მოწინააღმდეგე პოლიტიკანების მიერ შექმნილ დასმენა-საჩივრებში აიხსნა და მათი ბოლომდე შეუცნობლობის გამო, სიმართლედ მიიჩნია ზოგმა ავტორმა, არამედ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქისთვის. ჩვენი ორიგინალური აზრის

ილუსტრაციისა და დასაბუთებისათვის წიგნის მოცემულ თავში გავაშუქებთ ი. ჟვანიასა და ზუგდიდის ცენტრის მიერ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მშენებლობისათვის, ზუგდიდის მაზრის მასშტაბის გამოცდილებას და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნის მიზნით წარმოებულ ბრძოლას.

ზუგდიდის ყოფილი მაზრის მაგალითზე სამეგრელოს ოლქის შექმნის გამოცდილების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ი. ჟვანიას მიერ „მეგრული საკითხის" წამოწევის შესასწავლად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ გამოყოფილი კომისიისადმი, წარდგენილი 1930 წლის 9 დეკემბრის ვრცელი (13-გვერდიანი) წერილი. აქ ნათქვამია: „პარტიის დირექტივების მიხედვით ზუგდიდის მაზრაში პირველი დარაიონება გავატარეთ 1929 წლის 1 ოქტომბრიდან: ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონში, რომელთაგან ზუგდიდის რაიონის გარდა სხვებს არ გააჩნიათ თავისი, თუნდაც უმცირესი შემოსავალ-გასავლის ბალანსირებული ბიუჯეტი. ხოლო იმისათვის, რომ მცირედით მაინც დაგვეკმაყოფილებინა დანარჩენი რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებები, საჭირო იყო ათეული ათასობით მანეთი, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნდა, მაგრამ სახსრების სიმცირის მიუხედავად მაზრამ ქ. ზუგდიდს ჩამოაჭრა ყველა გასახარჯი და რაიონებში გადაისროლა დაახლოებით 30 ათასი მანეთი". ი. ჟვანიას ამ წერილიდან ჩანს, რომ ეს თანხა გაუხარჯიათ წალენჯიხის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონებში საავადმყოფოების რემონტზე; ხეთის, ბიის, ხორგის სკოლების აშენებაზე და აშენებულთა რემონტზე; კირცხის, ხაბუმეს ათწლედებზე და ჩხოროწყუს რაიონის სხვა სკოლებზე, აგრეთვე წალენჯიხის სკოლების აღდგენისათვის და ა.შ. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებას (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 29).

1930 წლის თებერვალში ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში მასობრივი კოლექტივიზაციის დროს დაშვებული შეცდომების, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჭოლაში მომხდარი ინციდენტისა და ორი ადამიანის დაღუპვის გამო, ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 25 თებერვლის სხდომამ თანამდებობებიდან მოხსნა ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი, აღმასკომის თავჯდომარე (ვ. შოგირაძე), სოფლის საბჭოს მდივანი და სოფლსაბჭოს თავჯდომარე (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 52, ფურც. 4; იქვე, ფურც. 65.) მაშასადამე, შეიქმნა კოლექტივიზაციის უხეში მეთოდებით გამტარებელთა დასჯის თვალსაჩინო მაგალითი.

1930 წლის დასაწყისში გამოიცა მეგრული გლეხური გაზეთი, რომლის ტირაჟმა 16 000 ეგზემპლიარს გადააჭარბა და რომელიც ყველა რაიონს მიეწოდებოდა.

გამოვიდა მეგრული ენის გამოყენებით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სახელმძღვანელოები, გაფართოვდა თვით სალიკვიდაციო ქსელი. სასოფლო ადმინისტრაციისა და სასამართლო ორგანოებში ზემდგომი ორგანოების დასტურით შემოიღეს ურთიერთობა მეგრული ენით. ამ რეგიონალური ღონისძიებებით მოსახლეობის ფართო მასებში გაიზარდა ხელმძღვანელობის ავტორიტეტი. ზუგდიდის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 1925 წლის 345 კაციდან 1930 წლის პირველი სექტემბრისათვის 1050-მდე გაიზარდა. სამეურნეო-კულტურული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის წევრთა 60 პროცენტმა. კადრებით მდიდარი ზუგდიდიდან მაზრის ნაკლებად უზრუნველყოფილ რაიონებში გადაისროლეს საჭირო ძალები. ი. ჟვანია წერს, რომ „ახლა რაიონის 500 კომუნისტში 2-3 კაცი შეიძლება იყოს უკმაყოფილო, ისიც პირადი მოტივებით. პარტიულ დაჯგუფებებს არა აქვს ადგილი, თუ არ ჩავთვლით ქუჩის ლაყბობას, რომელსაც ზოგიერთები თვითინიციატივას უწოდებენ, რაც შეეხება პარტიულ თვითკრიტიკას, ის კარგად არის განვითარებულიო.

ყურადღება ეთმობოდა ტრადიციულ მეჯოგეობას. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში მომთაბარე 15-მდე წერილფეხა და მხვილფეხა რქოსანი საქონლის მეპატრონეთა ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნა კოოპერატიული გაერთიანება „სამარგალოშ მეჯოგე", რომელიც დარაიონებაზე გადასვლამდე, ზაფხულში სახელმწიფო კურორტებს აბასთუმანს, ლებარდეს, და სხვებს ამარაგებდა რძითა და რძის პროდუქტებით, ხოლო ზამთრობით თბილისს აწვდიდა ნედლეულს. რაიონულ კოოპერირებაზე გადასვლის შემდეგ გლეხების თხოვნა, არ დაეშალათ მათი მეურნეობა, არ გაითვალისწინეს. ამიტომ, თუ 1930 წელს სახელმწიფომ მიიღო რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქტები, შემდეგ, როცა არ იქნა გათვალისწინებული კოოპერირებული გლეხების ინტერესები (ი. ჟვანიას აზრით, — ავტ.) „1931 წელს მომარაგების კომისარიატი იმის მეათედს თუ მიიღებს რასაც ადრე იღებდა".

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, როცა ქართული ენით ტარდებოდა, წელიწადში მაზრაში აღწევდა 150-300 კაცს, 1930 წელს მშობლიურ ენაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მათი რიცხვი 11 000 კაცამდე გაიზარდა. მეგრული „ყაზაყიში გაზეთი" სამაზრო პარტიულ ხელმძღვანელობის გაუქმებამდე აღწევდა 17 500 ეგზემპლარს, ახალი დარაიონების შემდეგ კი, როცა „მეგრული საკითხი" მხოლოდ ზუგდიდსა და გალში ტარდებოდა, გაზეთიც შესაბამისად ვრცელდებოდა. გლეხური მეურნეობების მიხედვით გაზეთის გავრცელების მაჩვენებელმა შეადგინა ზუგდიდში 65,5 პროცენტი, გალში — 58, წალენჯიხაში — 17,5, ჩხოროწყუში — 2,3 პროცენტი (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 76). ამ მაჩვენებელს ზოგი ისე ხსნის, თითქოს ი. ჟვანიას სამყოფელს იქით ეს გაზეთი მხოლოდ უსარგებლო მაკულატურა და შესაფუთი საშუალება იყო. ასეთი მტკიცება სამართლიანი არ არის. მართალია, ამ გაზეთში ეროვნული ღირებულების შემცველი მასალა იშვიათად შეგხვდებოდათ, მაგრამ, როგორც ადრე ვნახეთ, მასში იბეჭდებოდა საყურადღებო ინფორმაცია, რომელიც ქართული ენის უცოდინარ გლეხს სოფლის ცხოვრების რუტინიდან გამოსვლაში ეხმარებოდა.

ზუგდიდის მაზრიდან გამოყოფილი დამოუკიდებელი რაიონების ხელმძღვანელები „ყაზაყიში გაზეთის" გავრცელებას ხელოვნურად აფერხებდნენ, ერთი მხრივ, იმ კრიტიკული წერილების გამო, რომლებიც მათ შესახებ იბეჭდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის ზოგი პარტოკრატი ხელმძღვანელის წაქეზებით და მათ მიმართ მაამებლობით. ამას, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების გარდა, მოწმობს საარქივო მასალები, რომელთა შორის დაცულია მეგრულ გაზეთზე ხელმომწერების საჩივრები.

ასე მაგალითად, 1931 წლის 18 სექტემბერს სოფელ ჭოღას კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვით გამოსულმა პილა ფაცაციამ თქვა: „მართალია აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს გაზეთის კითხვა ჩვენი განვითარებისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჩვენ აღარ (არ — ავტ.) გვესმის ქართული, რუსული და სხვა ენა გარდა მეგრულისა, მართალია ეხლა კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოგვცა ჩვენს ენაზე გაზეთი, რომელიც პირველად კარგად დადიოდა და გლეხობა დიდის იმედის თვალით უყურებდით და იმედი გექონდა, რომ ეს ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ უკვე თითქმის ერთი წელიწადია (! — ავტ.) „ყაზაყიში გაზეთი" აღარ გვინახავს, მიზეზი ვეღარ გამოგვიკვლევია. ქართული გაზეთი კი დადის, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ, ჩვენ კი არა სკოლის ბავშვებიც ვერაფერს გებულობენ, ვინაიდან პატარა ბავშვებს მეგრულის გარდა სხვა ენა აღარ (არ — ავტ.) ესმით მეგრულად კი მეცადინეობა აღარ (არ — ავტ.) არის". აი რას ამბობენ სხვები:

ვასილი ქობალია: „მეგრელი გლეხების გარდა ყველა ჯურის ხალხს ქე მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ თავიანთი მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა...",

კონსტანტინე შენგელია: „მეგრულ ენაზე ბროშურების უქონლობა ხელს გვიშლის აბრეშუმის ჭიის მოვლაში... მეგრული გაზეთის გავრცელებას ვიღაცა

უნდა უშლიდეს ხელს ჩვენს რაიონში, თორემ რა არის მიზეზი სხვა რაიონებში ათასობით ვრცელდება...“

ვერა შენგელია: „ყაზაყიში გაზეთის“ გავრცელებას ხელს უშლიან ზოგიერთი ამხანაგები, რომლებმაც ექვსი თვის შემდეგ უკან დამიბრუნეს ფული...“

ჯუმითის არტელის კოლმეურნე კიმოთია გულუა: „მე დიდათ მეშინია თქმისა ვინაიდან წერა-კითხვა არ ვიცი, გაზეთს ვეღარ ვკითხულობ და შეიძლება მატყუებდნენ“.

არსენ გულუა: „ამჟამად წ/კ უცოდინარობის მოსპობა პირველი ამოცანაა.. საჭიროა სკოლებში მეგრული და რუსული წერა-კითხვის გაუმჯობესება. ამასთან ერთად ჩხოროწყუში ნახული ოქროს ქოთანი, რომელიც მეგრული მოსახლეობის უძველესი ნაშთია (ზოგი უწიგნური გლეხის თქმით 5 ათასი წლისაა — ავტ.), საჭიროა ის ინახებოდეს სამეგრელოს (ზუგდიდის) მუზეუმში“.

დადგენილებაში სტალინის სახელობის ჯუმუთის არტელის წევრებმა ჩაწერინეს „ის ოქროს ქოთანი, რომელიც არის ნახული ჩვენს თემში და წაღებული თბილისის მუზეუმში, ეს დროებით დაუბრუნდეს ჩვენს მუზეუმს, რათა ამით საშუალება მიეცეს მეგრელ გლეხებს ასეთი ისტორიული ნაშთის ნახვისა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 117).

მსგავსი მოთხოვნები გამოითქვა სოფელ ჯუმითის 5 და 20 სექტემბრის კრებებზე.

სოფ. ჯუმითის არტელის საზოგადოების კრების 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებაში ჩამოყალიბებულია: „ეთხოვოს უმაღლეს ორგანოს: „ეთხოვოს „ყაზაყიში გაზეთის“ რედაქციას, რათა გაზეთი დადიოდეს დროზე, როგორც ამას ღებულობენ ზუგდიდის და გალის რაიონების ხელის მომწერები და ის პირები, რომლებიც ხელს უშლიან გაზეთის გავრცელებას გადაცემული იქნას პასუხისგებაში“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 104-105, 118).

მსგავსი აზრების პარალელურად ჩანს ქართული ენის მნიშვნელობისა და საჭიროების შეგნება. არ შეგვხვედრია მისდამი უპატივისცემო დამოკიდებულების არცერთი შემთხვევა. ჩანს, რომ კრებებს ინტელიგენტები უწევენ ორგანიზებას, მაგრამ გლეხების მხრივ საკითხის მიმართ არასერიოზული მიდგომა არა ჩანს.

მოსკოვის მელორეობის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტად მოხსენებულ ანტონ ნაჭყებიას, საკუთარი ხელწერით შესრულებული რუსულად და ქართულად დაწერილი ბარათები, სტალინთანაც გაუგზავნია (7. X. 1931). ანტონს საჭიროდ უცვნია, რომ საკუთარ წერილებთან ერთად კონვერტში ჩხოროწყუს რაიონის სტალინის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობების კრებების დადგენილებების ამონაწერებიც მოეთავსებინა და მათთვის ასეთი წინასიტყვაობა წაუმძღვარებია: „გიგზავნით პირადად თქვენ სამეგრელოს ჩხოროწყუს რაიონის კოლექტიური მეურნეობის საზოგადო კრების ასლებს, იმიტომ, რომ საქართველოს ცეკას, რომ გაუგზავნო, იმედი არა მაქვს რაიმე ზომებს მიიღებს ზოგიერთი პირების შემწეობით“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 103).

ანტონ ნაჭყებიას, ალბათ, ვერ წარმოედგინა, რომ მოსკოვიდან კრემლში გაგზავნილი მისი ხელნაწერები მაინც საქართველოს ცკ-ს გადაეცემოდა და ზომებსაც იგი მიიღებდა. მიუხედავად ამისა, წერილის ავტორის სერიოზულობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მან სტალინს სრული ინფორმაცია მიაწოდა ყოფილი ზუგდიდის მაზრის, ახლა უკვე ცალკე რაიონებში მეგრელი გლეხების ინტერესების პარტიულ-პოლიტიკანური იგნორირების შესახებ.

„მეგრულ საკითხთან“ დაკავშირებით ი. ჟვანიას და მისი თანამდგომების წინააღმდეგ 1931-1932 წლებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნების, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელ პირთა მიერ ორგანიზებული ბრძოლის პროცესში ისაკისთან დაპირისპირებული მისი

ყოფილი ხელქვეითებიც კი აღიარებენ, რომ სამეგრელოს ოლქისა და დაწყებით კლასებში მეგრული სწავლების შემოღების საქმეში მოპოვებული იყო ბევრი რამ მოსაწონი და მხარდასაჭერი. მაგალითად, ი. ჟვანიასადმი მტრად გადაკიდებულმა პარტიის ზუგდიდის ბიუროს ყოფილმა წევრებმა, კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ვ. ბოკუჩავამ და რაიონის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. პერტაზიამ, ჯერ კიდევ ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წინაშე (9. XI. 1931 წ. ოქმი 3) აღიარეს, რომ საჭიროა გლეხობა პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებებს ეცნობოდეს მისთვის გასაგებ ენაზე, ასევე აუცილებელია მათთვის მეგრული გაზეთი და მეგრულ ენაზე საქმის წარმოება. მათ იგივე აღიარეს თავიანთ 1931 წლის 5 ნოემბრის იმ საიდუმლო წერილში, რომელიც გაგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიმართ. იგი ი. ჟვანიას განადგურებას ისახავდა მიზნად, და ასლი სწორედ ამ მიზნით ეგზავნებოდა სტალინს. აღსანიშნავია, რომ მათ ამ წერილში საჩივართან ერთად ჩამოაყალიბეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება ი. ჟვანიას ხელმძღვანელობით მოპოვებულის მიმართ. ამ წერილში ნათქვამია: „მეგრულ საკითხზე", საქართველოს კომპარტიის ცეკას ღონისძიებათა საფუძველზე ჩვენ გვაქვს დადებითი შედეგები" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 47).

როცა ზუგდიდის მაზრას საოლქო ადმინისტრაციული მმართველობის მსგავსი სტატუსი გაუჩნდა, ხოლო ი. ჟვანია საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტის მდივნის ტოლ უფლებებს ითავსებდა, უფრო მეტად ახერხებდა ბრძოლას გლეხობის ინტერესებისათვის. მას არ ახასიათებდა პოლიტიკანური დიპლომატია, მაგრამ გლეხურ ინტერესებს, როგორც სათანადო წყაროები მოწმობენ, კარგადაც ხედავდა და მათი პრობლემების შესახებ საკითხს ზემდგომი ორგანოების წინაშეც დროულად და პრინციპულად აყენებდა. ამასთან დაკავშირებით, საუბარი კოლექტივიზაციამდელი სოფლის მაგალითზე უკვე გვქონდა. კოლექტივიზაციის პროცესში ი. ჟვანია გულმოდგინედ იღვწოდა მაზრაში ჩაისა და სხვა ტექნიკური კულტურების გაშენების, სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის. ზემდგომი ორგანოების წინაშე დროულად აყენებდა ტექნიკით უზრუნველყოფის გეგმებს, სწორად და დროულად განსაზღვრავდა მათ, გამორიცხავდა ამ საქმეში სუბიექტივიზმს. ი. ჟვანია მოითხოვდა ტექნიკური კულტურების ინტენსიურ-მეურნეობრივ წარმოებას, კრიტიკულად აფასებდა ფართობების ზრდის საბაბით ნარგავების მოუვლელობას, ამხელდა სამანქანო-სატრაქტორო პარკის მოძველებულ ტექნიკურ აღჭურვილობას, გლეხების მიერ შეძენილი აქციებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას, მუშა-მოსამსახურეთა აუტანელ საბინაო პირობებს. ი. ჟვანიას წერილი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივნის პ. მელაძისადმი (30. X. 1931) ნათლად მოწმობს, რომ იგი, მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არ ერიდებოდა არა მარტო ბ. ლომინაძისა და სხვა ყოფილი ხელმძღვანელების, არამედ მომქმედთა მწვავე კრიტიკას. „ვერ წარმოგვიდგენია, — წერს ი. ჟვანია, — რატომ გავხდით გეურქოვის კოლონიად?" სწყინდა, რომ დამოკიდებული იყო საქართველოს „ტრაქტორცენტრის" ვაიხელმძღვანელის „გეურქოვის კაპრიზზე", რომლის თავმოუბმელობის გამო საფრთხის წინაშე დგებოდა საველე სამუშაოები, გლეხობას კი დღემდე მარტო ზუგდიდის რაიონში შეძენილი ჰქონდა 93 472 მანეთის ღირებულების აქციები, რომლებიც უყურადღებობის შემთხვევაში უნდა გამხდარიყო გაუნაღდებელი თამასუქი და, ალბათ, გლეხობის პასუხისმგებლობის საბაბიც. ი. ჟვანია მკაცრად აკრიტიკებდა ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად გლეხობას ავალებდნენ ნაღდ ანგარიშზე შეეძინა ტექნიკური კულტურების დასაქონლებისათვის განკუთვნილი ხორბლის მარცვლის მთელი წლიური სარგო. იგი ცკ-ის მდივანს წერს: „გვეუბნებიან: მეჩაიე გლეხმა ნაღდ ანგარიშზე ერთი წლის მარაგი ეხლავე უნდა შეიძინოს და თავის საკუთარ ბინაში უნდა წაიღოს და შეინახოსო". ი. ჟვანია განმარტავდა: „მეგრელ გლეხს

არ შეუძლია ერთი წლის განმავლობაში მარტო ხორბლის კაკლით იკვებოს, თუ მას სიმინდი არ გაურია (ღომი და ჭადი), ვინაიდან არც ერთი შეჭამანდი მას არ შეუძლია მარტო პურთან იხმაროს. წარსულში სიმინდის მოუსავლიანობის დროს ჩვენი გლეხი თუ იძენდა პურის ფქვილს (და არასოდეს კაკალს) ის მას სიმინდისას ურევდა ორ მესამედს და ამრიგად აცხობდა ჭადს, მარტო პურით მას არ შეუძლია იკვებოს არავითარ შემთხვევაში, ასეთია მისი გემოვნების ჭირვეულება და მეურნეობრივი სტრუქტურა... ერთი წლის მარაგი თუნდაც, რომ შეიძინოს შემოასყიდებენ შეძლებული კულაკები და აპრილ-მაისში ისევ, მშიერი დარჩება ღარიბი მეჩაიე". ი. ჟვანია მოითხოვს, რომ ჩაისა და ტექნიკური კულტურების „მაშენებელ გლეხებს ეძლეოდეს კარგი ხარისხის სიმინდი (ვინაიდან ცუდისაგან პელაგრას მივიღებთ). უმეტესი ნაწილი ან 100 ფ. ხვედრიდან სიმინდი უნდა იქნას 70-ფუთი, ხოლო პურის არა კაკალი, არამედ ფქვილი კარგი ხარისხის". იგი რეკომენდაციას იძლევა მასებისათვის ფქვილის ფასების მინიმალური ოდენობით განსაზღვრის და ნორმირებულად მოწოდების შესახებ: „სიმინდი და პური უნდა ინახებოდეს სოიუზხლების საწყობებში და მარტო ყოველ ორი თვის საზრდო მარაგი უნდა ეძლეოდეს... კოლმეურნე მეჩაიე და მეთამბაქოე გლეხებს, — წერს ი. ჟვანია, და დასძენს: — ის რაც ხდება დღეს ეწინააღმდეგება ამხ. სტალინის მითითებებს — „ბეღლები ააშენეთ, რომ დაინახოს მეჩაიე გლეხებმა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ იაფფასიანი სიმინდითო", მაგრამ ის კი არ უთქვამს, რომ ერთი წლის მარაგი პურის კაკალი მეგრელ გლეხებს საწოლში შეუყარეთო". ი. ჟვანია ცკ-ს მდივანს აუწყებდა, რომ ადრე, სათანადო ყურადღების დროს, „გლეხი უვლიდა ჩაის კულტურას, მაგრამ ფილისტერების უტაქტობამ ჩაი მოაძულა გლეხობას, რაც დათესილი აქვს იმას ვერ უძღვება და კიდო გვეუბნებიან ახალი დათესეო და სხვა... საჭიროა ზემოაღნიშნულის საფუძველზე არსებული უვარგისი წესი შევცვალოთ რაც შეიძლება დაჩქარებით". იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს ცკ-ის აპარატის მუშაკების და გალის რაიკომის მდივნის (ბოკუჩავას) თავმოუბმელი მუშაობის გამო.

ი. ჟვანია განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა სამეგრელოში სიმინდის დამზადებაში არსებულ შეცდომებთან დაკავშირებით. იგი ჯერ კიდე ბ. ლომინაძისა და ს. მამულიას ხელმძღვანელობის დროს საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროსადმი გაგზავნილ დახურულ წერილში წერდა: „1930 წელს სამეგრელოში დავამზადეთ ნახევარ მილიონზე მეტი ფუთი სიმინდი. მაგრამ ისე დავამზადეთ, რომ თითქმის მთელი სამეგრელო შიმშილობს, რამდენადაც ბაზარზე ფუთი 30-40 მანეთი ღირს", მაშინ ი. ჟვანიას მიერ შეთავაზებული სარეკომენდაციო ფასებით გლეხობაზე დასასაქონლებლად გასაცემი „სიმინდის ფასი არა უმეტეს 1 მ. და 30 კაპ., პურის ფქვილი — ფუთი 2 მანეთი" უნდა ღირებულიყო. ასეთი შეუსაბამობა გამოწვეული იყო დამზადება-მომარაგების საქმეში არსებული თავმოუბმელობით. გლეხი იძულებული ხდებოდა მისთვის საოჯახო საქონლის დროული მიუწოდებლობის გამო აღებული მოსავლის ნაწილი დაბალ ფასებში გაეყიდა, შემდეგ კი მაღალი საბაზრო ფასების გამო, ზოგჯერ მთელ სარჩოს და სათესლე სიმინდსაც შელეოდა, სახელმწიფო მარცვლეულის დროული მიუწოდებლობის შემთხვევაში კი იძულებული ხდებოდა სესხად აეღო, ან გაძვირებულ ფასებში ეყიდა. ასეთი სამეურნეო მდგომარეობა იწვევდა გლეხის მდგომარეობის გართულებას, შესაბამისად ხდებოდა ჩაის და სხვა კულტურების განვითარების შეფერხება, გლეხობაში კი კვლავ შიმშილისა და სოციალური აფეთქებების საშიშროება იქმნებოდა. ი. ჟვანია ცდილობდა უზენაეს ხელმძღვანელობამდე მიეტანა, რომ პარტიის კურსის და რეალურ შესაძლებლობათა შორის აღნიშნეული შეუსაბამობა გაუმართლებელი იყო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 5-9) კოლექტივიზაციის პროცესის დაჩქარება, მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დირექტივები, რომელიც ზემოდან სეტყვასავით აცხრებოდა სამაზრო და

რაიონული რგოლების მუშაკებს, იწვევდა გლეხობის ანტისაკოლმეურნეო განწყობილების, უკმაყოფილების და წინააღმდეგობის გაძლიერებას.

ამის მაგალითები სათანადო დოკუმენტებში მრავლად გვხვდება. ზუგდიდის ჩეკას მასალები შეიცავენ დასმენებს, საიდანაც ჩანს, რომ გლეხობა კერძო საუბრებში, სატირალში თუ სხვა საზოგადოებრივი შეკრების დროს, გულწრფელად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას სიმინდის დამზადების, დასაქონლების, კულაკთა სიაში უსამართლოდ ჩარიცხვის და სხვა მსგავსი სახელმწიფოებრივ-ჩინოვნიკური გამოვლინების გამო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 9, ფურც. 1, 2, 9, 23). მართალია, ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერი ზუგდიდის ბიუროს წევრები ამ პროცესების მექანიზმის ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ ისიც არ იქნება სწორი, რომ მათი მოგვარებისათვის მშრომელი გლეხობის ინტერესებიდან ამოსული ი. ჟვანიას თავგამოდებაც არ დავინახოთ.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ი. ჟვანიას მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1930 წლის 20 დეკემბერის თარიღით გაგზავნილი დახურული წერილი. იგი ცკ-ს ატყობინებს: „სიმინდის, კანაფის, თხილის, სოიას, თუთუნის, რამის, საკლავი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, ღორის, ფრინველის დამზადების დროს ზემდგომი ორგანოების მიერ გაცემულია თამასუქები დაპირებების სახით, სამრეწველო საქონლით, განსაკუთრებით ფართლით და ფეხსაცმლით მომარაგებაზე. ახლა როდესაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დამზადება, დაპირებები არ მართლდება და მთელი სიმძიმე ატყდება თავზე რაიონის პარტორგანიზაციას. ზუგდიდის რაიონი განსაკუთრებით მძიმე პირობებშია, რადგანაც არც ერთ რაიონს არა აქვს დასამზადებელი იმდენი სხვადასხვა შრომის ტევადი ტექნიკური კულტურა — ნედლეული, რამდენიც ზუგდიდის რაიონს. ეს გარემოება კი ჯერ არავის მიერ არ არის მხედველობაში მიღებული, ეს გარემოება პერსპექტივას უკარგავს ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეს, რაც საჭიროა ჩვენი საკავშირო მრეწველობისა და ექსპორტისათვის. დამზადების გეგმების შესრულება დამოკიდებულია იმაზე, მშრომელები როგორ არიან დაახლოებული პარტიულ ხელმძღვანელობასთან, ჩვენს ამოცანებთან“.

ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანს ს. მამულიას განუმარტავს, რომ გეგმური დავალებების „შესრულება შესაძლებელია, როდესაც დაპირებას გაუმართლებ გლეხობას“. იგი აღწერს დასამზადებელი 250 ათასი ფუთი სიმინდის ხელით დაფშვნის სიძნელეს, რაც გამოწვეული იყო მისი ნესტიანობითა და დასაფშვნელი ხელის მანქანის გამოუყენებლობით.

ი. ჟვანია საყვედურობს ს. მამულიას, „ორი წელია ცენტრალურ დამამზადებელ ორგანოებს და რკინიგზას ვაფრთხილებთ რაიონის საწყობებით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ ვერაფერს გავხდითო“. „გალის რაიონის სიმინდიც ქ. ზუგდიდის რკინიგზას მოადგა, — წერს იგი, — 600 ათას ფუთამდე იყრის თავს, მაშინ, როცა არც ათასი ფუთის საწყობი არ გაგვაჩნიაო“. ი. ჟვანია ცკ-ის წინაშე აყენებს საკითხს სასაწყობო მეურნეობის იმდაგვარი განვითარების შესახებ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ტევადობის უზრუნველყოფა: სიმინდის — 300 ათასი ფუთი, სოიოს — 500 ათასი ფუთი, თუთუნის საფერმენტაციო — 50 ათასი ფუთის. იგი საჭიროდ თვლის შავი ზღვის რკინიგზის საწყობი 7-ჯერ გაფართოვდეს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს რაიონის მინიმალური მოთხოვნილება.

ამ წერილში წარმოჩენილია რაიონისათვის მტკივნეული სხვა პროცესები: ფულის ნიშნების უქონლობის გამო ხე-ტყის დამზადების შემცირება და საექსპორტო ტყის დამზადების გეგმის მხოლოდ 60%-ით შესრულების შესაძლებლობა; ოქტომბერში დამზადებული თუთუნის ფულის მიუღებლობა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის მოუგვარებლობა; საკადრო პოლიტიკის

სიძნელეები და სხვ. (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 4, ფურც. 11-13,19).

ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობის, კერძოდ ცკ-ის მდივნის ლ. ღოღობერიძისადმი 1930 წლის 17 აგვისტოს თარიღით გაგზავნილ წერილში დაწვრილებით აღწერს მაზრაში შექმნილ მდგომარეობას. იგი წერს, რომ უკანასკნელ დროს დაპატიმრებულთა რიცხვმა მაზრის მასშტაბით 60 კაცს მიაღწია, მაგრამ ამის გამო კი არ გამოსთქვამს შეშფოთებას, არამედ წერს: კიდევ მეტი უნდა იყოსო. ამით ი. ჟვანია სოლიდარობას უცხადებს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ხელმძღვანელ კადრებს. მაგრამ იგი ამასთანავე წერს: „ჩემი აზრით მარტო აყვანით შეუძლებელია გამოცოცხლებული (ანტისაბჭოთა — ავტ.) მუშაობის ლიკვიდაცია თუ ამასთან ერთად არ იქნება მიღებული ზომები გლეხების და მუშების მომარაგების მოსაწესრიგებლად, თანაბრად სხვა ოლქებისა და რაიონებისა, რასაც დღემდე არავითარი ყურადღება არ ექცევა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 8, ფურც.).

ი. ჟვანია ლ. ღოღობერიძეს აცნობს, რომ „გლეხს სიმინდს არ აძლევენ დაპირებულის მეოთხედსაც“; „აბრეშუმის დამზადებისას მოვატყუეთ გლეხობა, 50 პროცენტიც კი არ მიგვიცია სამრეწველო საქონელი. თუ გლეხმა მოიყვანა 2 ფუთი პარკი საშუალოდ და მიიღო 50 მანეთი, ამით მან ბავშვებს 2-3 წყვილი წულა ვერ უყიდა“; „შრომის ნაყოფიერება ეცემა... ძველი მუშები გარბიან, თუ რამე უთხარი, ფეხს მოგიშვერენ, ფეხსაცმელი მოგვეცით; ერთი წყვილი წულა 35-40 მანეთი ღირს, კოჭი ძაფი 2,5 მანეთი; კოოპერაციას არაფერი გააჩნია; ორ კოჭ ძაფზე ერთ ქათამს იძლევა გლეხი... სანამ გვიანი არ არის უნდა მიექცეს ცეკას განსაკუთრებული ყურადღება ზუგდიდის მაზრას თანაბრად სხვა მუშათა რაიონებისა, რომ ჩვენი რაიონის მუშებიც უზრუნველყოფილი იქნან სამომხმარებლო საგნებით. ეხლა იწყება თამბაქოს დამზადების კამპანია, რომლის საშუალო ფასი არ აღემატება 25 მანეთს ან 1 წულის ფასს. ამან გაამლიერა კონტრაბანდა. ერთი ფუთი თუთუნი 200-300 მანეთად იყიდება. მართალია ადმინისტრაციულ ზომებს ვიღებთ, მაგრამ მარტო ეს არ გვშველის, საჭიროა პლანტატორი გლეხები ახლავე იქნან უზრუნველყოფილი პირველი მოთხოვნილების საგნებით“.

ი. ჟვანია ცკ-ის მდივანის ყურადღებას მიაპყრობს სამეგრელოს მესაქონლეობის სპეციფიურობის გათვალისწინების აუცილებლობაზე: „არსებობს ოზურგეთის, ზუგდიდის და ყუბანში მყოფი მეგრელი მესაქონლეების გაერთიანება, რომელთა საქონელი ათი ათასს აღემატება. ეს ამხანაგობა უნდა დარჩეს, როგორც დღემდე იყო... ჩვენი დაქუცმაცებული რაიონები თამბაქოს და მესაქონლეობას ვერ მოუვლიან, ცალ-ცალკე ვერ აიცდენენ ზედნადებ ხარჯებს. არცერთი (ჩამოთვლილთაგან — ავტ.) არ ეწინააღმდეგება პარტიის სადღეისო დირექტივას. გთხოვთ მოგვცეთ წერილობითი დირექტივა როგორ მოვიქცეთ ზემოთ დასახელებულ საკითხებზე, ან წააკითხეთ ან შინაარსი გააცანით (ჩემი წერილისა — ავტ.) ამხ. ლომინაძეს“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 8, ფურც. 7-9,10). საქართველოს VII (1932 წ. იანვარი) ყრილობაზე გაირკვა, რომ ხელმძღვანელობა სათანადო დონეზე ვერ იდგა და ამიტომ ხდებოდა მათი თანამდებობიდან გადაყენება, შესაბამისად, ი. ჟვანიას თავგამოდებასაც სათანადო შედეგები ნაკლებად მოსდევდა. მაგრამ ცხადია, რომ ეს კაცი პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

იმის შემდეგ, რაც 1931 წლის 31 ოქტომბრის საკ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილებამ საქართველოს (ს. მამულიას) და აკ. სამხარეო (ბ. ლომინაძის) ხელმძღვანელობა შესცვალა, მათ მიერ სამეურნეო ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები კიდევ უფრო ფართო კრიტიკის საგანი გახდა. საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოში სკოლის გარეთ 80 ათასი ბავშვი მაინც რჩებოდა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა

დათმობოდა პირველი საფეხურის სკოლების 8-11 წლის ბავშვების საყოველთაო სწავლების განხორციელებას. წარმატებით ხორციელდებოდა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, მაგრამ ჯერ კიდევ 170 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი რჩებოდა (საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1932, გვ. 19). ყრილობის მიმართ საანგარიშო მოხსენებაში, ბერიამ წარმოაჩინა რესპუბლიკის სამეურნეო პოლიტიკაში დაშვებული სერიოზული შეცდომები: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დროს გადაჭარბებული გეგმების მიცემა; კოლექტივიზაციის დაკვრითი ტემპით განხორციელება; კოლექტივიზაციის საქმეში გაუმართლებელი ადმინისტრირება, დამახინჯებები დაბეგვრაში; კულაკთა სიებში ღარიბი და საშუალო გლეხების შეყვანა; საშუალო გლეხობის განკულაკების ხშირი შემთხვევები; სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასაქონლებაში დაპირებების შეუსრულებლობა და სხვა (იხ. იქვე, გვ. 20). ყრილობაზე ითქვა იმის შესახებ, რომ სამეურნეო-პოლიტიკური ხასიათის სიძნელეები არაჯანსაღ განწყობილებას ჰქმნიდა ამიერკავკასიის, საქართველოს და რაიონულ ხელმძღვანელობაში. განსაკუთრებით დააცხრნენ ს. მამულიას ხელმძღვანელობას. საყურადღებო ინფორმაციას შეიცავდა წითლიძის სიტყვა: „ბერია ალბათ გამოაქვეყნებს იმ წერილობით მოხსენებებს, რომელსაც <u>სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მუშაკები</u> (?! — ავტ.) აგზავნიდნენ ცენტრალურ კომიტეტში.... სადაც აღნიშნული იყო, რომ ძველი ხელმძღვანელობა სჩადის შეცდომებს. თუკი მოსკოვი აღნიშნავს, რომ გაერთიანებულმა პოლიტსამმართველომ (ე.ი. ბერიამ — ავტ.) უფრო სწორად, უფრო დროზე და უკეთ აცნობა საკ.კ.პ (ბ) ცკ-ის მთელი სინამდვილე საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, რატომ დღეს მამულიას არ სურს თქვას, რაიმე ამის შესახებ". ეს ინფორმაცია მშვენივრად ადასტურებს ლ. ბერიას ყოფილი მარჯვენა ხელის, ჩეკისტი „კაკოს" მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბერია აკონტროლებდა საქართველოს, პირდაპირ კონტაქტში იმყოფებოდა მოსკოვის ცენტრთან და საქართველოს შესახებ ყველა აუცილებელ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა მას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ბერია სტალინთან ფარული კონტაქტით სამარეს უთხრიდა თავის მოწინააღმდეგეებს. არსებობს უაღრესად საყურადღებო დამატებითი ინფორმაცია. ეს არის ლ. ბერიას დაცვის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ სარდიონ ნადარაიას მოგონება. იგი არაერთხელ გამოქვეყნდა. მოვიხმობთ ჩვენთვის საყურადღებო ამონარიდს. „1931 წლის აპრილში საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით გამაგზავნეს აფხაზეთის ასსრ-ში, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს გაგრის განყოფილების უფროსად. უნდა დამემყარებინა სათანადო წესრიგი სადაც მოსკოვიდან დასასვენებლად უნდა ჩამოსულიყვნენ პასუხისმგებელი პირები... გაგრაში გამგზავრების წინ გამაფრთხილეს, რომ იქ შეიძლებოდა დასასვენებლად ჩამოსულიყო სტალინი... იგი მართლაც ჩამოვიდა, წესისამებრ სუფრაც გაუშალეს და სადღეგრძელოებიც გამოსთქვეს. ს. ორჯონიკიძის სადღეგრძელოს შემდეგ „წამიც არ გასულა სტალინმა აიღო ჭიქა, არ შეიმჩნია რომ ცარიელია და ამბობს: „დავლიოთ მამულიას სადღეგრძელო" (ამ დროს მამულია საქართველოს ცკ-ის მდივანია. ყველა ჩქარობს, სამარისებური სიწყნარეა, ჭიქა მიაქვს პირთან და ხედავს, რომ ცარიელაა... მეკითხება: „ამხანაგო ჭიქაში ღვინო რატომ არ ჩამისხი — ამ კაცს არ უმართლებს, ამაში განა მე ვარ დამნაშავე"? და ცარიელ ჭიქას დებს"... ამით გახარებულმა ლაკობამ ხალათის ჯიბეები ჩამოიხია, არ მინდა მისი ხელმოწერილი საბუთები მედოსო... როცა უკვე ყველა იშლებოდა ბერიამ მიმართა სტალინს: „ამხანაგო კობა, ნება მომეცით გაკოცოთ". იმან სახე მიუშვირა და სთქვა: „...რამდენიც გინდა შეგიძლია მკოცნო", — და მათ ერთმანეთი გადაკოცნეს". კარგად ჩანს, რომ აქ გამოვლინდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივან ს. მამულიას შესახებ ბერიას მიერ მიწოდებული

დასმენებისადმი სტალინის სოლიდარობა. ზოგმა დიდხანს ვერ გაიგო, რომ სტალინი მართავდა ბერიას, მაგრამ ბერიაც მართავდა სტალინს.

ს. ნადარაიას მონათხრობიდან ისიც ჩანს, რომ სტალინმა გაგრაში მასთან შესახვედრად მოსულ ძველ მეგობრებს ვასო ქურდაძეს და პარკაძეს აუდიენცია ხელოვნურად გაუჭანჭლა. მაშასადამე, უმაღლეს დონეზე ნებისმიერი მოვლენა წინასწარ იყო გათვლილი.

წითლიძემ გაიხსენა: „ერთ-ერთ ბიუროს სხდომას ვესწრებოდი, რომელსაც ესწრებოდნენ მამულია და ქართველიშვილი. ქართველიშვილმა თქვა გლეხი უნდა აიძულო, დათესოს ისე, რომ არ უზრუნველყო პურითო...“ მელაძემ ადგილიდან რეპლიკა ესროლა: „შენ დაგავიწყდა, მან სთქვა: პურით ყველა დასთესს თამბაქოს, საქმე ის არის უპუროდ დაათესიოო“ (იქვე, გვ. 122). ცხადი გახდა, რომ ძველი ხელმძღვანელობისათვის გადატრიალება, ფაქტობრივად ბერიას მოუწყია. ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ხელმძღვანელმა პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა წარმოაჩინეს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ძველი ხელმძღვანელობის უსუსურებას ამხელდნენ. ფ. მახარაძემ ძველი, მამულია — ქართველიშვილის ხელმძღვანელობა ხელისუფლებაში გასულ იმ შემთხვევით ხალხად გამოაცხადა, რომლებმაც საკუთარი მაღალი თანამდებობები, ფაქტობრივად, ჩალიჩით მოიპოვეს (იქვე, გვ. 132). ასეთი იყო სხვების გამოსვლებიც. ს. მამულიას ერთხელ უთქვამს: „Я не я и лошадь не моя“. მართლაც რომ ასე იყო. ახლა წაქცეულსაც ურტყამდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ წარსული პოლიტიკური და სამეურნეო ვითარების ანალიზმა ი. ჟვანიას სწორი, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა დაადასტურა და მას ავტორიტეტი კიდევ უფრო აუმაღლა.

ფ. მახარაძემ ყრილობაზე საგანგებოდ შეაქო ი. ჟვანიას ხელმძღვანელობა: „ამხანაგი ჟვანია წინააღმდეგობას უწევდა ცენტრალურ ორგანიზაციებს, სადაც ეს საჭირო იყო, და საუცხოოდაც იქცეოდა“. მან ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის დადებითი მხარეები დააკავშირა ადგილებზე დაშვებულ იმ შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლებსაც ცენტრის არაკომპეტენტური ხელმძღვანელობით სჩადიოდნენ სახელმწიფო, სამეურნეო, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციები (იხ, გვ. 137). საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელობაში ი. ჟვანიას მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის ე. ბედიას მზაკვრული მიზანდასახულობით ნათქვამი სიტყვებიც: „თქვენ მას იცნობთ. იგი დამსახურებული ამხანაგია, ერთ-ერთი კარგი ხელმძღვანელი...“ (იხ. იქვე, გვ. 194).

ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ იუსტინე გვასალიამ გაიხსენა, რომ „რაიონზე შეწერილი დავალებები არ შეესაბამებოდა შესაძლებლობებს. რაიონის ექსპორტის საჭიროებისათვის 250 ათასი ფუთი სიმინდი უნდა დაგვემზადებინა და ძველი ხელმძღვანელობის განცხადებით სანაცვლოდ ჩვენ სხვა სიმინდი უნდა მიგვეღო... დავამზადეთ 134 ათასი ფუთი, აქედან 12 ათასი ფუთი არაეის დავანებეთ. მამულიამ ცნობების შეგროვება დაიწყო: თქვენ რაიონში რამდენი კომუნისტი იყო მოკლულიო? გაიგო, რომ არცერთი არ მოუკლავთ, განგვიცხადა: „თქვენ რაიონში გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა არა ყოფილაო“ (იქვე, გვ.79). სინამდვილეში წარმატებები რაიონის პარტიულ-სამეურნეო ცენტრის მუშაობის შედეგიც იყო. ზუგდიდის რაიონმა ი. ჟვანიას ხელმძღვანელობით სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლებით მართლაც დიდ შედეგს მიაღწია.

ყრილობის მაღალი ტრიბუნა ი. ჟვანიამ იმისათვის გამოიყენა, რომ საკუთარ სიტყვაში წარმოეჩინა რაიონში შექმნილი პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩაის, სუპტროპიკული და ტექნიკური კულტურების გრანდიოზული გეგმების, შესრულების შემაფერხებელი მიზეზების წარმოჩენას: მუშახელის უკმარისობას, მათი სასურსათო და საბინაო პირობების უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. „ავრალზე“ ახალგაზრდობის სისტემატიურ მობილიზებას „12 კომკავშირელი შეეწირაო“, ხოლო „მეზობელი რესპუბლიკებიდან მუშა

ქალების მობილიზებას შედეგად მოჰყვა ადგილობრივი ახალგაზრდობის 90 პროცენტის ვენერალური დასნეულებაო" (იხ. იქვე, გვ. 143, 144). ამ ცნობამ ყრილობის მონაწილეთა სიცილ-ხარხარი გამოიწვია, ი. ჟვანიამ კი მთელი სერიოზულობით განაცხადა: „ამხანაგებო ეს სასაცილო არ არის. ეს უბედურებაა, რასაც ცენტრალური კომიტეტის ახალმა (ლ. ბერიას — ავტ.) ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოსო". მან აღნიშნა, რომ „საბჭოთა მეურნეობების 90 პროცენტი საძაგელ მდგომარეობაშია", ადგილი აქვს „დასაქონლიანების თავმოუბმელობას", „კონტრაქტაციის დიდი მასშტაბები ართულებს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას" და სხვ. მისი სიტყვა ყრილობის დელეგატებმა ტაშით აღნიშნეს, ეს პატივი კი ყველას როდი არგუნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ი. ჟვანიას მოღვაწეობას ყრილობის დელეგატები დამსახურებულ პატივს მიაგებდნენ.

ეს ი. ჟვანიასეული წინადადებები, შეფასებები და მისი მაღალი ავტორიტეტი თანამედროვე დაუკვირვებელი მკითხველისათვის შეიძლება ირონიის საგანი გახდეს. მაგრამ, აქ საქმე სერიოზულადაა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ი. ჟვანიამ გვიჩვენა სამაზრო რეგიონალური პარტიული ხელმძღვანელობის სანიმუშო მაგალითი, ერთი რამ ცხადია: იმდროინდელი საზოგადოებრივ-ჩეკისტური რეჟიმის პირობებში ექსტრემისტული გამოვლინებები ხალხს უქმნიდა გაუმართლებელ სიძნელეებს, აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა საკოლმეურნეო შრომის ორგანიზებას და მთლიან კოლექტივიზაციას. მართალია, მას თან ახლდა შეძლებული ადამიანებისადმი უსამართლო დამოკიდებულება და გლეხობის კატორღული შრომა, მაგრამ, ამასთანავე, აღინიშნებოდა საბჭოთა სოციალიზმისათვის დამახასიათებელი, ნაძალადევად ნასაზრდოები სიკეთეც: უმუშევრობის ლიკვიდაცია, ფართო მასების საარსებო პირობების ნელი, მაგრამ განუხრელი აღმავლობა, ხერხდებოდა სისხლიანი შიდა პოლიტიკური შეტაკებების თავიდან აცილება. სტალინური ავტორიტარიზმისა და ბერიას ჩეკისტური მართვის დამკვიდრების მძიმე, ე.წ. რევოლუციური განვითარების პერიოდში, ი. ჟვანიასეული ხელმძღვანელობა იყო შედარებით სწორი და გამართლებული.

როგორც ვნახეთ, ზუგდიდის მაზრის მაგალითზე საოლქო მმართველობის ელემენტების შემოღებას არც სისტემის შეცვლა გამოუწვევია და არც საყოველთაო კეთილდღეობა, მაგრამ იმდროინდელ საერთო სიტუაციაში სწორ მეურნეობრივ მიდგომებს თან ახლდა ხელმძღვანელობის გააქტიურება, მშრომელი მოსახლეობის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვის გაძლიერება. ამ მიმართულებით ზუგდიდის ცენტრის წინაშე კიდევ უფრო მასშტაბური პერსპექტივები ისახებოდა. ხუთწლიანი გეგმით მხოლოდ ჩაის კულტურის ფართობი 1925 წლის 3 და 1929 წლის 600 ჰექტრიდან, 1934 წლისთვის 6300 ჰექტარამდე უნდა გაზრდილიყო („ჭითა ჩხორია", მესამე გამოცემა, 1931, გვ. 84-85). გრანდიოზული ამოცანები იყო დასახული აგრეთვე სხვა კულტურების განვითარებისა და შესაბამისი საწარმოების მშენებლობის თვალსაზრისით. ხუთწლედის მომდევნო წლებში რაიონს მხოლოდ ჩაის ფაბრიკების 9 ახალი ერთეული უნდა შემატებოდა (იხ. იქვე, გვ. 85). მაშასადამე, გრანდიოზული პერსპექტივა აუცილებლად მოითხოვდა შესაბამისად სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შემდგომ გაძლიერებას, სახსრებისა და საშუალებების ცენტრალიზებულსა და ყაირათიან გამოყენებას.

ზუგდიდის მაზრის მიმართ საკავშირო და საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრების მიერ დასახული ამოცანების შესრულების სირთულეებმა ზუგდიდის პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა და მისი ლიდერი ი. ჟვანია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზემდგომი ორგანოების დირექტივების შესრულებისა და უშუალო მწარმოებელთა შესაძლებლობების სათანადოდ უზრუნველყოფისათვის, საჭირო იყო საოლქო ადმინისტრაციული მმართველობის დადებითი გამოცდილების მთელ სამეგრელოს რეგიონზე გავრცელება. მისი აზრით, სამეგრელოს

ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის პირობებში უკეთ მოხერხდებოდა ზემდგომი ორგანოების დავალებათა უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლად გულისხმობდა მწარმოებელი მასის ეკონომიკური ინტერესებისათვის ბრძოლას. ამიტომ ზუგდიდის ცენტრი იმთავითვე გულმოდგინედ იბრძოდა საქართველოს სადირექტივო ორგანოების მითითებების მიხედვით ერთიანი სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბებისათვის.

ამ წიგნის წინა თავში ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობა და მაზრის მშრომელი მოსახლეობა დიდი ინტერესითა და მხარდაჭერით მოეკიდა სამაზრო ადმინისტრაციული მმართველობიდან საოლქო ადმინისტრაციულ მმართველობაზე გადასვლის იმ პროექტს, რომელიც 1929 წელს სრულიად საქართველოს საბჭოების V ყრილობაზე ახალ ადმინისტრაციულ მმართველობაზე გადასვლისა და საოლქო ცენტრის განსაზღვრის მიზნით წამოაყენა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ. სათანადო უნიკალური საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში, სამეგრელოს რეგიონშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა. ეს წყაროები მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში დაცულ 1935 წელს ვითომ სახელმწიფოებრივი დანაშაულებისთვის დაპატიმრებულთა იმ ჩვენებებში აღმოჩნდა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ი. ჟვანიასა და სხვათა მიმართ ავტონომისტისა და სეპარატისტის ბრალდებების შეკოწიწებას. მათში სიყალბესთან ერთად სიმართლის საყურადღებო ანარეკლიც კარგად მრჩანს და სწორედ ამ მხრივ იპყრობს იგი ისტორიკოსების ყურადღებას.

როგორც ადრე, სათანადო წყაროების საფუძველზე ვნახეთ, ი. ჟვანია და ზუგდიდის ხელმძღვანელობა, ზემო სვანეთის წარმომადგენლობასთან ერთად, მოითხოვდა ხელისუფლების სადირექტივო მითითებებითა და კანონით დადგენილ ადმინისტრაციულ და არა ავტონომიურ ოლქს. ეს არის აპრიორი, წინასწარი ამოსავალი ცოდნა. ერთ-ერთი პატიმრის ჩეკისტურად ნამართავ ჩვენებაში კი საწინააღმდეგოს ვკითხულობთ:

„1930 წელს წალენჯიხაში მოწვეული იქნა რაიონის მოსახლეობის კრება. ამ კრებაზე მოწვეული იყო ფოთის წარმომადგენელი ვინმე ნოდია. ისაკი ჟვანიამ გააკეთა მოხსენება სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებისა და მოსახლეობისათვის მისი შედეგების შესახებ. ისაკი ჟვანია ამბობდა, რომ "თუ ეხლა სამეგრელოს გლეხები საქმის მოსაგვარებლად თბილისში დადიან მთავრობაში, ავტონომიის გამოცხადების შემდეგ აქ ადგილზე ქ. ზუგდიდში იქნება მთავრობა, ყველა კანონები. ჩვენ შევიერთებთ სვანეთსაც, ფოთსაც და ყველას ჩვენთან ექნება ურთიერთობა როგორც ავტონომიური ოლქის მთავრობასთან. ეხლა საქართველოს მთავრობას განზრახვა აქვს ჩვენი მუზეუმი თბილისში წაიღოს, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიზამთ და პირიქით რაც თბილისის მუზეუმს ნივთები და სიმდიდრე აქვს ზუგდიდში გადმოვიტანთო. მოსახლეობამ ერთსულოვნად მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენს კანონიერ მოთხოვნას და სამეგრელოს ავტონომიის (? — ავტ.) გამოცხადებას". ამის შემდეგ გამოვიდა ქ. ფოთის წარმომადგენელი — ნოდია, რომელიც ფოთის მოსახლეობის სახელით მოითხოვდა, რომ სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) ადმინისტრაციულ ცენტრად დამტკიცებული ყოფილიყო ქ. ფოთი. მაგრამ საერთო კრებამ უარი განაცხადა. ნოდიას უთხრეს, სამეგრელოს ავტონომიის (? — ავტ.) ცენტრი უნდა იყოს ქ. ზუგდიდში, და არა ზღვის პირზე ქ. ფოთშიო. როგორც ვიცით, ამ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება სამეგრელოს ავტონომიური (? — ავტ.) ოლქის ცენტრად ქ. ზუგდიდის დაარსების შესახებ. ამის მერე რა ბედი ეწია ამ დადგენილებას არ ვიციო". შემდეგ მეორემაც დასძინა: პირველის „ჩვენება სრული სიმართლეაო. ნოდიას და ჟვანიას გამოსვლებიც იყოო" (სუკის არქივი 2983, ფურც. 142, 144). მაგრამ იგი პირველს არ დათანხმებია ავტონომიისა და სხვა მსგავსი ჩეკისტურად ნამართავის დადასტურებით. მაშასა-

დამე, „ავტონომია“, „ზუგდიდში მთავრობა“ და სხვა მსგავსი ჩეკისტური ძიების მიერ იყო ნამართავი. არსებობს საყურადღებო წყარო, რომელიც მოწმობს, რომ სამეგრელოს ერთიანი ოლქის შექმნას მხარს უჭერდა ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე ს. მამულიაც. საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე (1932 წ. იანვარი), როცა „საჭირო“ გახდა საქ. კ.პ. ცკ-ის ძველი ხელმძღვანელობის კრიტიკა, ს. მამულიას კრიტიკით გამოსულმა მეუნარგიამ განაცხადა: „ეს კაცი რომელიც სამეგრელოს გაერთიანებისთვის მუშაობს, სცდილობს ამ გაერთიანების შედეგად განსაკუთრებული ადგილი დაიჭიროს რესპუბლიკაში“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში (მხოლოდ პარტიის წევრებისათვის), 1932, გვ. 120). სავარაუდოა, რომ ს. მამულია კანონით დაშვებული სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის და ცენტრად მისი მშობლიური სენაკის შერჩევას დაუჭერდა მხარს. მაგრამ მისთვის „ავტონომიის“ მოთხოვნა არავის დაუბრალებია. ი. ჟვანია კი მუდამ გაყალბებულ ბრალდებას განიცდიდა. მაშასადამე, ი. ჟვანია იბრძოდა ხელისუფლების მიერ დაშვებული, რეკომენდირებული და 1929 წელს დადგენილებით მიღებული საოლქო მმართველობისა და ერთიანი სამეგრელოს ცენტრად ზუგდიდის გამოცხადებისთვის.

<u>1930 წლის 24 აპრილს</u> ი. ჟვანიამ სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს: "რაიონი და მაზრა ერთად წინააღმდეგობა აღმოჩნდა, — წერს ი. ჟვანია, — ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს. ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია დროულად მოითხოვდა ოლქის შექმნას — ცენტრით ზუგდიდში. ჩვენ მოხსენებებში ვაყენებდით საკითხს. შედეგად ცეკა დარწმუნდა ჩვენს სიმართლეში, საჭიროდ დაინახა სამეგრელოს ოლქის შექმნა. საოლქო ცენტრის განსაზღვრისათვის აირჩია კომისია ივანოვ-კავკაზსკის თავმჯდომარეობით, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ფერხდება და უკვე ერთი წელია ქაღალდზე რჩება“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 41, ფურც. 4). როგორც ჩანს, ი. ჟვანიას მხედველობაში აქვს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს 1929 წლის 26 მარტის დადგენილების შემდგომი პერიოდი, როცა ზუგდიდის მაზრა, ფაქტობრივად შემცირებული სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის სახით წარმოედგინა. „კვანტალიანი, რომელიც დიდხანს აკვირდება სენაკის და ზუგდიდის მაზრებს დაგვიმოწმებს, რომ ოლქის შექმნას პლუსი მოყვებოდა სენაკისთვისაც და ზუდგდიდისთვისაც“ — წერს ი. ჟვანია, და დასძენს: „სენაკელი ამხანაგები შეცდნენ ოლქის ცენტრის განსაზღვრაშიც და მეგრული გაზეთის საჭიროების განსაზღვრაშიც“. ი. ჟვანიას მხედველობაში აქვს ის, რომ სენაკელმა კომუნისტებმა კონიუნქტურის შესაბამისად მოინდომეს დღის წესრიგში მდგარი სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის ცენტრად სენაკის განსაზღვრა. აგრეთვე ის, რომ სენაკის ხელმძღვანელობა „ყაზაყიში გაზეთის“ გავრცელებას მიზნობრივად აფერხებდა. ი. ჟვანია მიიჩნევს, რომ „აუცილებელია პარტიული, კოოპერაციული, პროფკავშირული და ა.შ. ორგანიზაციების რეორგანიზაცია“, სახკომსაბჭოს მოთხოვნის თანახმად „ორ თვეში უნდა შეუდგეთ 30/31 წწ. ბიუჯეტის შედგენას, — წერს იგი და დასძენს, — <u>ნუთუ მაზრის მასშტაბის ბიუჯეტი უნდა ავაშენოთ, ეს არ შეიძლება,</u> ბიუჯეტი დამახინჯდება“.

უაღრესად საყურადღებოა ი. ჟვანიას აზრი საოლქო ადმინისტრაციული მმართველობის მოწყობის შესახებ. იგი წერს: „დარაიონების დროს, ადმინისტრაციული აპარატის ხარჯები დიდია. თუ ოლქი იქნება რაიონები უნდა გაუქმდეს და გადავიდეთ თემის სისტემაზე. თუ ეს არ შეიძლება მაზრა მალე უნდა გაუქმდეს“. ამასთანავე, ი. ჟვანია იმედოვნებს, რომ პარტიული ცენტრისათვის მისაღები იქნება საერთო პარტიულ ხელმძღვანელობას და ერთიან აღმასკომს დაქვემდებარებული სამეგრელოს ერთიანი და ადრე დაპირებული ოლქი. იგი ამიტომ წერილში დასკვნის სახით აყალიბებს: „გთხოვთ <u>გამოყოთ კომისია „ოკრუგის“ აღმასკომის 1930/31 წლის ბიუჯეტის შესაქმნელად</u>. გასაგებია ცენტრი

სენაკ-ზუგდიდის მაზრისა უნდა იყოს ზუგდიდი, ამაში ეჭვი არავის ეპარება“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 41, ფურც. 4-5).

როგორც ვხედავთ, ი. ჟვანიას წერილში მოცემულია ახალი ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემასთან სახელმწიფოებრივი მიდგომა. აქ სამეგრელოს ოლქში ნაგულისხმევია სენაკისა და ზუგდიდის მაზრების გაერთიანება და ფაქტობრივად მათი ერთიანი ყოფილი სამაზროს მსგავსი საოლქო ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება. აქედან ჩანს თუ რაოდენ ყალბი და უსუსურია ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერებისათვის „ავტონომიზმისა“ და, მით უმეტეს, სეპარატიზმის, დაბრალება.

ამ დროს საკ. კპ (ბ) ცკ-მა გამოიტანა სსრ კავშირში ოლქების გაუქმების დადგენილება. ამასთან დაკავშირებით ი. ჟვანია წერს: „ჩვენ ამ დადგენილებამ, როგორც XVI ყრილობის (1930 წ. ივნის-ივლისი) დელეგატებს გზაში მიგვისწრო. მაგრამ ჩვენ არ გვიფიქრია, რომ ოლქების გაუქმება სამეგრელოს ოლქსაც შეეხებოდა, ისევე როგორც იგი არ შეხებია სხვა მცირე ხალხებს (როგორიცაა აფხაზეთი, აჭარისტანი, ოსეთი, კარაჩაი, ინგუშეთი და ა.შ.) მართალია ზოგიერთი მემარცხენე და დიდმპყრობელთაგან იყო ეროვნულ ოლქებზე თავდასხმა, ვითომ „მათი რაიონებად გარდაქმნაც საჭიროაო სხვების მსგავსად“, მაგრამ ასეთი გამოხდომისათვის საკ. კპ (ბ) ცკ-მა ისინი შეახურა“.

XVI ყრილობის დახურვის წინ კრემლში სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნებისა და აგრეთვე სამხარეო აღმასკომების წარმომადგენელთა შეკრებაზე, რომელიც გაიმართა ოლქების ლიკვიდაციის გამო და რომელსაც მიხეილ ივანის ძე კალინინი თავმჯდომარეობდა, შ. ზ. ელიავამ ცოტა შეშფოთებულმა ჰკითხა ამხ. კალინინს: „მიხეილ ივანეს ძევ, გვითხარით გეთაყვა, აი მეგრელი ამხანაგები ფიქრობენ, რომ სამეგრელოს ოლქის (! ე.ი. ზუგდიდის ერთწლიან ექსპერიმენტს შ. ელიავაც ოლქად აღიარებდა – ავტ.) გაუქმება არ შეიძლება“. ამხ. კალინინმა გარკვეულად და ცხადად უპასუხა: „ჩვენ სამეგრელოს მივცემთ ოლქს“, და ამხანაგ კალინინის პასუხმა ცივი წყალი გადაასხა ამხ. ელიავას. ყრილობის შემდეგ ისე გამოვემგზავრეთ, რომ საკავშირო ცენტრში ჩვენ ეს საკითხი არ დაგვიყენებია. მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე განგვიცხადეს, რომ სამეგრელოს ოლქის შექმნა მიზანშეწონილი არ არის, და აი საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1930 წლის 28 ივლისს გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „დარაიონების ჩატარებასთან დაკავშირებით ჩაითვალოს: 1) ცალკე სამეგრელოს ოლქის გამოყოფა ცნობილ იქნას მიზანშეუწონლად; 2) სამეგრელოს იმ რაიონების კულტურული და ადმინისტრაციული მომსახურებისათვის, სადაც უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა, ცეკას მიერ ადრე ამ საკითხზე მიღებული სამდივნოს პრ. №61 და პრეზიდიუმის 21/III-29 წ. №17 გადაწყვეტილების საფუძველზე, აუცილებლად ჩაითვალოს და შენარჩუნებული იქნეს მეგრულ ენაზე: ა) ქ. ზუგდიდში გაზეთის გამოცემა, რომელსაც დაეკისროს ზუგდიდის და მეგრული რაიონების გარდა (სამეგრელოს – ავტ.) სხვა რაიონების მომსახურებაც; ბ) ლიკვიდაცია წერა-კითხვის ანბანური უცოდინარობის და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებში დაწყებითი პოლიტ. უცოდინარობისა; ვ) ანბანური უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ანბანების და პოლიტ. განათლების დაწყებითი სახელმძღვანელოების, აგრეთვე გლეხური (სასოფლო-სამეურნეო) ფურცლებისა და ბროშურების გამოცემა; გ) საქმის წარმოება და სასამართლო საუბარი (იხ.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 75).

ცხადია, საბჭოთა სამაზრო და საოლქო მმართველობის სისტემის გაუქმების, რაიონულ მმართველობაზე გადასვლისა და მხოლოდ ეროვნული ავტონომიური ოლქების შენარჩუნების დროს საკითხი ახლებურად დგებოდა. სამეგრელოს მიმართ გამონაკლისის დაშვება, როგორც გამოჩნდა, გამორიცხული იყო. მაშასადამე, ზუგდიდის მაზრის მასშტაბით გატარებული ერთწლიანი საოლქო მართვის ექსპერიმენტული გამოცდილება წყალში იყრებოდა. ამის შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ბესო ლომინაძის ხელმძღვანელო-

ბით დაადგინა: „ა) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (1930 წლის — ავტ.) 28 ივლისის დადგენილება მეგრული საკითხის გამო დამტკიცდეს: ბ) დაევალოს ამხანაგ ჟვანიას დაიცვას საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილება, როგორც პარტიულ ორგანიზაციებში, ისე უპარტიოებში; გ) წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის ცეკას მეგრულ ენაზე რედაქციის საკითხი გადაწყვიტოს ორ კვირიან ვადაში" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 76).

აღნიშნულთან დაკავშირებით ი. ჟვანიამ შეახსენა სტალინისა და კალინინის მითითებები „მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ მიიღეს მხედველობაში და მეგრულ საკითხს ხუმრობით და მსუბუქად დააღწიეს თავი". (მაშასადამე, ისევ, როგორც 1925 წელს სტალინის მითითებით, „ხუმრობით" და მსუბუქად დააღწიეს თავი — ავტ.). ამ ამბის გამო ი. ჟვანია წერს: „ჩვენ გვინდოდა გაგვესაჩივრებინა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის არასწორი მოქმედება და მეგრულ საკითხებისადმი უსულგულო (плевательское) დამოკიდებულება, მაგრამ ეს უფლება ჩამოგვართვეს. ლომინაძემ სიტყვიერად განმიცხადა და დამემუქრა, რომ არ გაგვებედა მისი გადაწყვეტილების ზემოთ გასაჩივრება. ის მან განაცხადა ბიუროს სხდომაზე, მუსაბეკოვის, ტერ-ეგიზარიანის და სხვათა თანდასწრებით. ასეთი შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით სამხარეო კომიტეტის 1930 წლის, ჩვენი აზრით ამ უსამართლო დადგენილების გასაჩივრება და იძულებული გავხდით დროებით დავმორჩილებულიყავით და გაეჩუმებულიყავით" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 76).

მაშასადამე, სტალინმა ახლა ი. ჟვანია ისევე მოატყუა, როგორც ადრე სამეგრელოს ავტონომიის შესახებ „ხუმრობას" აყოლილი ავტონომისტი „ამხანაგები", რამაც ზოგი სეპარატისტული არგუმენტების მობილიზებამდე მიიყვანა. მაგრამ ი. ჟვანია, როგორც ჩანს, უფრო გულუბრყვილო აღმოჩნდა, ვერ დაიჯერა, რომ სტალინს შეეძლო დაპირებულის გადაფიქრება. ამიტომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ზემოთ აღნიშნული დადგენილება გააპროტესტა. ამ დროს მან თავისი პროტესტის მოტივაცია გაამართლა იმით, რომ მიაჩნდა, „ცალკე რაიონები ცეკას ამ დადგენილების შესრულებას ვერ შესძლებენო" და ამიტომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს სთხოვა ძალაში დაეტოვებინა „ცალკე სამეგრელოს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომისარიატების გარეშე, ისევ ცეკას დადგენილების დაცვის მიზნით", ე.ი. მოითხოვა ისევ ავტონომიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების გარეშე ადმინისტრაციული ოლქი, რომლის შესაძლებლობას იძლეოდა 1929 წლის დადგენილება. ბუნებრივია, რომ როცა სტალინის ადრინდელი აზრის შესაბამისად სამეგრელოში ადმინისტრაციულ ოლქზე გადასვლის საკითხი ერთი წლის განმავლობაში დადებითად შეფასდა და იგი სამაზროდან საოლქო მმართველობაზე გადასვლის პერიოდს დაემთხვა, შესაბამისად ზუგდიდის მაზრის მასშტაბით სათანადო სამუშაოებიც გატარდა, მაგრამ ახლა უკვე მისი შემდგომი ბედის საკითხი ისევ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობასა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს უნდა მოეგვარებინათ. ამიტომ მათ ეს პრობლემა ისევ სტალინთან უნდა შეეთანხმებინათ. ამჟამად სტალინის აზრის ამსახველი წყარო არ მოგვეპოვება, მაგრამ საქმის ვითარებაში კარგად გვარკვევს ამიერკავკასიისა და საქართველოს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სამეგრელოს ოლქის საკითხისა, და კერძოდ ი. ჟვანიას მიმართ. იგი შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სტალინმა „მეგრული საკითხიცა" და სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის მოწყობის საკითხიც ამოწურულად მიიჩნია. ამდენად მოვლენებიც შესაბამისად განვითარდა.

როგორც ადრე ვნახეთ, ი. ჟვანიასა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ სამეგრელოს ოლქის მოთხოვნა ავტონომიურ ოლქს როდი გულისხმობდა, არამედ იგი მიზანშეწონილად თვლიდა რეგიონის კულტურულ-სამეურნეო საქ-

მიანობის საერთო პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობისადმი დამორჩილებას და რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე რიგი სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მაგრამ ი. ჟვანიას ავტონომისტობაზე, შეცდომებით თუ პოლიტიკური მიზანდასახულობით, იმდენი ტყუილი დაიწერა, რომ ეს საკითხი საჭიროებს დამატებით განმარტებას. ი. ჟვანიას მიერ ავტონომიური ოლქის მოთხოვნის მტკიცება საჭიროებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან ანალოგიის მოძებნას. ასეთი დოკუმენტები კი არ ჩანს. სამაგიეროდ გვხვდება ი. ჟვანიას, მის მხარდამჭერი რაიკომის წევრებისა და სხვათა მიერ შექმნილი დოკუმენტები, რომლებიც გვისაბუთებენ, რომ მათი ავტორები მოითხოვენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქისაგან განსხვავებულ გაერთიანებას, რომელიც ადმინისტრაციული ოლქია და რომელსაც ავტონომიის სტატუსი არ ახლავს. მაგალითად, ი. ჟვანიას „დახურულ წერილში“ „საკ. კპ.(ბ) ცკ-ს“ მიმართ, რომელიც 1931 წლის აგვისტოში უნდა იყოს შექმნილი, ვკითხულობთ: „Мы просим Заккрайком оставить в силе оформление отдельного Мингрельского или областного исполкома без ЦИК-а и наркоматов, опять таки в интересах защиты постановления ЦК“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 75/2; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

აქ ყველაფერი ნათქვამი და დღესავით ნათელია. მაგრამ ურწმუნო თომებისთვის უნდა ითქვას, რომ ეს არის არა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სტატუსის, არამედ საერთო პარტიულ ხელმძღვანელობის და აღმასკომის (და არა ცაკ-ის — ავტ.) მმართველობას დაქვემდებარებული ისეთი საერთო, სამეგრელოს მასშტაბის, კულტურულ-სამეურნეო და ადმინისტრაციული გაერთიანების მოთხოვნა, რომელიც ადრე მაზრების ან რუსეთისა და საქართველოს არაეროვნული ოლქების სახით არსებობდა. მაგალითად, ადრე ქუთაისის გუბერნიაში იყო სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოლქები, აგრეთვე რაჭის, ქუთაისის, შორაპნის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ოზურგეთის და სენაკის მაზრები. 1928-30 წლების საბჭოთა საქართველოშიც იყო რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთის — (თელავი-სიღნაღის) ოლქები, მაგრამ ეს საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციული მმართველობა ეროვნულ საშიშროებად არ გამოცხადებულა. მეორე მაგალითად შეიძლება წარმოვაჩინოთ ი. ჟვანიას „საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის მდივანის ამხ. პავლე მელაძისადმი“ მიწერილი „დახურული წერილი“. საყურადღებოა ამ დოკუმენტის არა მარტო შინაარსი, არამედ შექმნის თარიღიც — 1931 წლის 30 ოქტომბერი. ეს ის დროა, როცა საკავშირო კომპარტიის ცკ მოსკოვში იხილავდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის პარტიული ორგანიზაციების, ფაქტობრივად კი ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებსა და მათი პოლიტიკურ-ორგანიზაციული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხებს. აქ საკ. კ. პ.(ბ) ცკ-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანების შესრულების უზრუნველმყოფი პარტიული ბერკეტების ეფექტიან ამოქმედებას.

კერძოდ, საქართველოს მიმართ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რესპუბლიკის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, ხელსაყრელი და უნიკალური პირობების მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებას. დასავლეთ საქართველოს რეგიონების, მათ შორის სამეგრელოს წინაშე დგებოდა ჩაიზე სსრ კავშირის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანა. მას უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პოლიტიკურ-ორგანიზაციული და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი სრულყოფა. საკ. კპ(ბ) ცკ-ის ოქტომბრის პლენუმზე მიიწვიეს ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ამ დროს საქართველოში რჩებოდა ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი პ. მელაძე, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში არსებული ბიუროკრატიული მართვის მე-

თოდების დაძლევის მიზნით, საქართველოს ზოგი სახელმწიფო მუშაკის მსგავსად, სამეურნეო და კულტურული ამოცანების წარმატების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარს უჭერდა სამეგრელოს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1930 წლის 5 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული „მიმართვა", რომელიც „ლაფში სვრიდა ამიერკავკასიის მთელ პარტიულსა და საბჭოთა აპარატს". მასში ნათქვამი იყო: „აღმაშფოთებელი ბიუროკრატიზმი, უპასუხისმგებლობა, მასების მოწყვეტა, ბატონკაცური დამოკიდებულება მუშათა და გლეხთა საჭიროებებისა და ინტერესებისადმი, პარტიის დირექტივების უგულებელყოფა და დამახინჯება და აშკარა ოპორტუნიზმი სუფევს ჯერ კიდევ ბევრ ჩვენს საბჭოთა დაწესებულებაში" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 451). უფრო ადრე რესპუბლიკაში ბიუროკრატიზმის უარყოფით გამოვლინებებზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის VII ყრილობამ (1930 წ. ივნისი). როგორც ჩანს, ი. ჟვანიამ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შთაბეჭდილებებით, ისევ ცკ-ის დადგენილების წარმატებით განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მომენტები „მეგრული საკითხის" სტალინის დაპირების შესაბამისად მოგვარებისათვის ხელსაყრელად მიიჩნია. ამიტომ პ. მელაძისადმი გაგზავნილ წერილში ი. ჟვანია ზუგდიდის და სხვა მეგრული რაიონებისადმი სუბიექტივისტურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტების დაძლევის წინადადებებთან ერთად, შეეცადა ახალი კონიუნქტურა გამოეყენებინა და სამეგრელოს ოლქის საკითხის საბოლოოდ გადაჭრის დაჩქარება გამოეწვია.

ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის მდივანს, პ. მელაძეს სწერდა: „შენ დრო არ გქონდა და ამიტომ საშუალება არ მომეცა სამეგრელოს ოლქის შესახებ დაწვრილებით მოგლაპარაკებოდი, თუმცა შენი აზრი ყოველთვის დადებითი იყო და ბრაზიც მოგდიოდა ამ საკითხის გაჭიანურება და დადებითად თავის დროზე არ გადაწყვეტისა (გამო — ავტ.), მიუხედავად ამისა, რომ პარტიის ბელადის აზრი ყველამ იცოდა მანამდის, დღემდე რაც იყო სულ ატარებდა სურვილის და მოსამზადებელ ხასიათს და არა კონსტრუქციულად ამ საკითხის გადაჭრას, რომელსაც სამონი მუმულია (!? — ავტ.) და სხვა მონაციონალისტო ელემენტები სამარეს უთხრიდნენ სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბებას" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 11). მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სამეგრელოს წარმომადგენელ ორი თვალსაჩინო პარტიულ და სამეურნეო მუშაკს — ი. ჟვანიას და ს. მამულიას შორის „მეგრული საკითხის", კერძოდ მისი უმთავრესი პრობლემის — სამეგრელოს ცალკე ოლქის და მისი ცენტრის გამოყოფის საკითხში, იმდენად მრავალმხრივი წინააღმდეგობა გამოვლინდა, რომ ი. ჟვანია საქართველოს ცკ-ის ყოფილ მდივანს ყველა შესძლო მომენტში დასამცირებლად, თავისი ადრინდელი გვარის მიხედვით, „მუმულიად" (ანუ მამალი-ად და არა მამული-ად) მოიხსენიებდა, რაც ჩვენ მისი მხრიდან არაეთიკურობის ნიმუშად მიგვაჩნია. მაგრამ ავტორისეული დამოკიდებულების წარმოჩენაც აუცილებლად გვესახება, რადგან არაეთიკური დამოკიდებულებაც სინამდვილის შემეცნების საშუალებას იძლევა, ამასთან, იგი იმდროინდელი ურთიერთობის ნორმა იყო და თვით ი. ჟვანიას მიმართაც მოწინააღმდეგე მხარე ხშირად ასევე გაუხამსებულ გამოთქმებს ხმარობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ამავე დროს ყოველთვის მოიხსენიებდნენ „ამხანაგ ი. ჟვანიად".

ი. ჟვანიას მიაჩნდა, რომ „დღეს ეს საკითხი (ოლქის შესახებ — ავტ.) დგას კონკრეტულად და მოითხოვს ბოლშევიკურად სასწრაფოდ გადაჭრას, ვინაიდან ამ საკითხმა უკვე გაიარა დიალექტიკურად განვითარების სათანადო საფეხურები". მისი თქმით, „სამეგრელოს მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ დღეს უკვე იცის ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. სტალინის ა/წ სექტემბრის (? — ავტ.) თვის მითითება სამეგრელოს შესახებ (ჩვენი აზრით უნდა იყოს არა „ა/წ", არამედ „1929 წ." — ავტ.), რომ საჭიროა ეს საკითხი საქ. ცეკაში და

ზაკრაიკომში დაისვას — დადებითად გადაიჭრას და დადგენილება გადაეგზავნოს საკ. კპ (ბ) ცეკას დასტურისათვის" (იხ. იქვე). როგორც ვხედავთ, ი. ჟვანია სამეგრელოს ოლქის საკითხის შეპარებას კი არა ცდილობს, რაც ყოვლად შეუძლებელი იყო, არამედ ცდილობდა მის პარტიულ ინსტანციებში წაწევას სუბორდინაციის წესით და კომისიის გამოყოფითაც.

ი. ჟვანიას აზრით, სამეგრელოს ოლქის გამოყოფას შეიძლებოდა დაპირისპირებოდნენ „სამღვდელოება, ყოფილი თავადაზნაურობა, ვაჭრები და შოვინისტური კაციჭამია ნაციონალისტური ინტელიგენცია", მაგრამ „არცერთი პატიოსანი მშრომელი საქართველოში" (იხ. იქვე). მის ამ თვალსაზრისში კარგად შეიმჩნევა კლასობრივ-იდეოლოგიური შეზღუდულობა. ი. ჟვანიასთვის მართლაც არ არსებობს სხვა უფრო ანგარისგასაწევი ძალა, ვიდრე პროლეტარული მასების ინტერესები და კლასობრივი თვალთახედვა.

მაგრამ ეს მარტო ი. ჟვანიასათვის როდი იყო დამახასიათებელი. ყველა პარტიული დოკუმენტი საზოგადოების ამ ნაწილს ფაქტობრივად მტრულად აფასებდა და მათ სოციალიზმისათვის მტრული ბანაკის წარმომადგენლობად განიხილავდა. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ დროს მიმდინარეობდა საზოგადოების ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ამ ნაწილის ინტერესების უგულებელყოფა და მათი ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი დარბევა. სახელმწიფოებრივად ნასაზრდოები ეს პროცესი კარგად აისახა „კულაკობის", „კონდრატიევშჩინის", „მავნებლობისა" და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ისტორიოგრაფიაში მკაფიოდ გაირკვა და სპეციალურ სტატიებშიც წარმოჩნდა[1]. ამიტომ ი. ჟვანიას ზემოთაღნიშნული სიტყვები უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც მისი სუბიექტური პოზიცია, არამედ, აგრეთვე, როგორც იმდროინდელი პარტიულ-პოლიტიკური აზროვნებისადმი სოლიდარობა. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზუგდიდის მაზრის ინტელიგენცია და გლეხობა მხარს უჭერდა ი. ჟვანიას. მათ შორის იყვნენ მეგრელი ტრადიციონალისტებიც, რომელთა შესახებ ქვემოთ, სათანადო თავში გვექნება საუბარი.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ, თითქოს, ამ დროს ადგილი ჰქონდა სამეგრელოს ოლქის გამოყოფის მცდელობას და ვითომ ეს იყო ავტონომისტურ-სეპარატისტული ოლქის მოთხოვნა, რომელსაც თითქოს სამეგრელოსა და საქართველოში მძლავრი საწინააღმდეგო მოძრაობა დაუპირისპირდა, სინამდვილეში ასეთი სარწმუნო საბუთები არ ჩანს. თუ მხედველობაში მივიღებთ 1931-1933 წლებში ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე პარტიული ხელმძღვანელობის მიერ ყალბად გამოგონილი ბრალდებებს და ასევე ორგანიზებულ და ინსცენირებულ მოძრაობას, დავინახავთ, რომ ი. ჟვანიას ავტონომიის მოთხოვნის შესახებ მიზნობრივ ჭორებს უვრცელებდნენ ყოფილი ზუგდიდის მაზრის რაიკომის მდივნები და მათი მლიქვნელი აქტივისტები, რომელთა შორის გამორჩეულნენ ადრე ი. ჟვანიას მიმართ დაქვემდებარებული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული რაიკომის მდივნები — ე. უბირია, ა. კობახიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. შოგირაძე და სხვ. მაშასადამე, სამეგრელოს ცალკე რაიკომების ხელმძღვანელობის გაუქმება და ოლქის შექმნა, ანუ სათემო მართვის შემოღებით რაიკომების სახით შუალედური ხელმძღვანელი რგოლის მოშლა, მიაჩნიათ არა მარტო საკუთარი უფლებების შეზღუდვად, არამედ თანამდებობათა დაკარგვის რეალურ საფრთხედ. ამიტომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ როგორც სამეგრელოს ოლქის შექმნის წინააღმდეგ, ასევე ზემოდან გამოთქმული იმ მითითებების განვითარება-დასაბუთებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ი. ჟვანიას ხელმძღვანელობით მოპოვებული სიკეთის და მისი აზრის გაყალბებას. ისინი, როგორც წიგნის მომდევნო თავში ვნახავთ, ზუგდიდის ცენტრისა და ი.

---

[1] ამ საკითხზე იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 537-562; ფ. ლომაშვილი, დიადი გარდატეხა, თბ., 1977; რ. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ, 1980; გ. ციციშვილი, „მავნებლები", გაზ. „საქმიანი კვირა", 1992, №31,32,33

ჟვანიას მიერ „ადმინისტრაციული ოლქის“ მოთხოვნას, ყოველმხრივ და უსაფუძვლოდ აზვიადებდნენ „ავტონომიური ოლქის“ მოთხოვნად.

აღნიშნულის შესახებ ი. ჟვანია პ. მელაძეს სწერდა: „ამ უკანასკნელ დროში განსაკუთრებით სტალინის მითითების შემდეგ, სამეგრელოს საკითხზე, ზოგიერთი სამეგრელოს რაიონების ხელმძღვანელები ცდილობენ ცალმხრივი ანტილენინური ინფორმაციით და საეჭვო პირების დავალებით საწინააღმდეგო დადგენილებები გამოიტანონ სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების წინააღმდეგ“. ი. ჟვანიამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანს პ. მელაძეს აცნობა, რომ სამეგრელოს ზოგიერთი „დამოუკიდებელი რაიონების მესვეურები ცდილობენ ხალხის სახელით შეთხზან დადგენილების მაგვარი და ამით შეცდომაში შეიყვანონ პარტია სამეგრელოს საკითხის გადაჭრაში.. ჩვენი ღრმა რწმენით ეს გარემება გაამწვავებდა საკითხს, ზუგდიდის მაზრის პარტიული ორგანიზაციის სრული ნებისყოფა ამ საკითხზე ყველამ იცის, ვინაიდან სამაზრო პარტკომფერენციაზე ჯერ შარშან სადაც ესწრებოდნენ პარტიის ცეკას რამოდენიმე წარმომადგენელი ერთხმად იქნა მიღებული სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბება. ამის შემდეგ ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მესვეურებმა, რომ თქვან (წალენჯიხის და ჩხოროწყუს მესვეურები ამბობდნენ კიდეც — ავტ.). ჩვენი რაიონის მშრომელებს არ უნდათ სამეგრელოს ოლქიო — მტკნარი სიცრუე იქნებოდა“ (იხ. იქვე, ფურც. 13-14).

ი. ჟვანია პ. მელაძეს ამცნობს: „ჩემი თბილისში ყოფნის დროს ველაპარაკე ამხ. ფილიპეს და ამხ. გერმანეს (მგალობლიშვილს — ავტ.), რომელთა აზრი ჯერჯერობით დადებითია ოლქის ეხლავე ჩამოყალიბების — ამხანაგების მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე, და ისიც გასაგებია დღეს, რომ სამეგრელოს ოლქი დიდი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პლიუსია საქართველოსთვის

ამრიგად ა/კ და საქართველოს ხელმძღვანელ ბოლშევიკების აზრი სამეგრელოს ოლქის ეხლავე ჩამოყალიბების შესახებ ვიცით, გარდა მამიასი. ამხ მამია (ორახელაშვილი — ავტ.) შარშან როდესაც XVI პარტყრილობაზე ვიყავით ოლქის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შარშანის შემდეგ ბევრი გაუგებარი, გასაგები გახდა, შარშან ეს საკითხი ძველებურად გადაწყდა და არა ბოლშევიკურად და ამიტომაც დაისვა ეს საკითხი მით უმეტეს პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მიერ (? — ავტ.). ყველა ჩვენთაგანი იმედოვნებს, რომ ამხ. მამია წინააღმდეგი არ წავა ამის — სამეგრელოს ოლქის ეხლავე ჩამოყალიბების“ (იხ. იქვე, ფურც. 12). აქ ჩანს, სტალინის მიერ 1930 წლის სექტემბერში რაღაც ჩვენთვის უცნობი გამონათქვამი, რომელიც პ. მელაძისათვისაც ცნობილია.

ი. ჟვანია გრძნობს, რომ ოლქის დაუყონებლივი ჩამოყალიბების საქმე არც ისე ადვილად მოსაგვარებელი იქნება და „დამოუკიდებელი“ რაიკომების მხრივ ძლიერ წინააღმდეგობასაც წააწყდება, ამიტომ სათანადო წინდახედულებასაც იჩენს და პ. მელაძეს წერს: „უკიდურეს შემთხვევაში თუ თქვენ საჭიროდ დაინახავთ (შეგიძლიათ — ავტ.) აირჩიოთ კომისია ავტორიტეტული, რომელიც ბოლშევიკურად გააშუქებს ამ საკითხს მშრომელ მოსახლეობაში, რომ ურწმუნო თომანი დარწმუნდნენ მაგრამ საქ. კომპარტიის ცეკას ეს არ უნდა დასჭირდეს.“

ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანს პ. მელაძეს ურჩევს და წინადადებით მიმართავს, რომ „ამ მომენტში — გარემოებით, მდგომარეობით და კომუნისტური პარტიის ნებისყოფით, ბელადის მითითების საფუძველზე პირადად თქვენ გმართებთ ახლავე ამ საკითხის დასმა და გატარება, როგორც, რომ დაბრუნდებიან ამხანაგები მოსკოვიდან, ამაზე უკეთესს სოფ. მეურნეობის და საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ამ პერიოდში ვერავინ უკეთეს გაუკეთებს სამეგრელოს მშრომელ მასას — ამაში თქვენ ღრმად დარწმუნებული უნდა იყოთ. ამრიგად ჩვენი თხოვნაა თქვენ აიღოთ ინიციატივა ამხ. სტალინის მითითებების (? — ავტ.) შესასრულებლად სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბებაზე. ზემოთ აღნიშნული საკითხების ირგვლივ ველით სათანადო ღონისძიებებს და კონკრეტულ განკარგულებებს“ (იხ. იქვე. ფ. 14-15;

ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). წერილის დასკვნითი ნაწილი მოწმობს, რომ ი. ჟვანია ცდილობს მოსკოვიდან ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხელმძღვანელობის დაბრუნებამდე სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების საკითხი პ. მელაძეს სტალინის ადრინდელი აზრის შესაბამისად მოამზადებინოს. მაგრამ გაუგებარი გვრჩება სტალინის რომელ ადრინდელ მითითებებზეა აქ საუბარი. ი. ჟვანიას მხედველობაში შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ სტალინის 1929 წლის ცნობილი პოზიცია ან 1930 წელს პარტიის XVI ყრილობის დროს მ. კალინინის გამონათქვამი: „ჩვენ სამეგრელოს მივცემთ ოლქს", არამედ ის, რომ სტალინს სამეგრელოს ოლქის მიზანშეწონილობის აზრი შეიძლება გამოთქმული აქვს 1930 წლის სექტემბერშიც, რომელიც შემდეგ შეიცვალა. ჩვენი აზრით, ჟვანიას აჩქარება არა თვითნებობით, არამედ იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელი ცენტრების უმრავლესობა სამეგრელოს ოლქის სასარგებლოდ იყო განწყობილი, მაგრამ მან ვერ განჭვრიტა, რომ ზოგჯერ კაცი ბჭობს, ღმერთი იცინის, — ვინ იფიქრებდა, რომ ამ დროინდელი საქართველოს მთელი ეს ხელმძღვანელობა სტალინს მოკლე ხანში მთლიანად უნდა შეეცვალა. სამეგრელოს ოლქიც უტოპიურ მოთხოვნად უნდა გაეხადა და „მეგრული საკითხის" მოგვარებაც უნდა ამოეწურა. მაგრამ სინამდვილეში მოვლენები სწორედ ასე განვითარდა.

სკპ(ბ) ცკ-ის 1931 წლის ოქტომბრის პლენუმი მართლაც „სასწაულმოქმედი" აღმოჩნდა. პლენუმმა სასტიკად გააკრიტიკა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა. საქართველოში ელოდნენ, რომ ძველი ხელმძღვანელობა ძირითადად უცვლელი დაბრუნდებოდა. მაგრამ „სასწაული" იმაში გამოვლინდა, რომ სტალინმა ინება მასთან ფარულად დაკავშირებული და საქართველოს ცენტრის „უნიათო" ხელმძღვანელობის შესახებ მამხილებელი ინფორმაციების მიმწოდებელის, საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო უშიშროების უფროსის, „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის" მქონე ლავრენტი ბერიას დანიშვნა, ჯერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად, შემდეგ აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ძველი ხელმძღვანელი კადრებისათვის ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის მსგავსი მოვლენა. ამ დროს ჯერ კიდევ კარგად არ იცოდნენ რა უბედურებაში აბამდა მათ ბერია.

ი. ჟვანიასა და მის მომხრეებს ლ. ბერიას საქართველოს კომპარტიის მდივნად მოსვლის შემდეგაც არ შეუცვლიათ აზრი სახელმწიფოებრივი სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით შესრულების ინტერესებით სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

1931 წლის 11 ნოემბერს, უკვე ლ. ბერიას საქართველოს კომპარტიის მდივნობის დროს, ზუგდიდის რაიკომისა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ სპეციალურად საქართველოს კომპარტიის ცკ-ისათვის გადასაცემად მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „აუცილებლად ვცნობთ აღვნიშნოთ, რომ იმის მიუხედავად, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1929 წლის 26 მარტის დადგენილება სრულად არ შეესაბამებოდა სამეგრელოს მშრომელთა ინტერესებს და მხედველობაში იღებს, რომ აღნიშნული დადგენილების სრული რეალიზაცია შეუძლებელი ხდება დარაიონებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს ზუგდიდის რაიონის მიხედვით, ზუგდიდის რაიონში პარტიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მაშინაც კი, როცა სამეგრელოს სხვა რაიონებში აღნიშნულ დადგენილებას ხელმძღვანელობის მხრივ წინააღმდეგობა და ხელოვნური დაბრკოლებები შეხვდა, რომელთა შესახებ არაერთგზის ქცნობა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს... (მხედველობაში ჰყავთ ბ. ლომინაძე, ს. მამულია და სხვ. — ავტ.).

ვითვალისწინებთ, რომ სამეგრელო წარმოადგენს ტექნიკური კულტურების ძირითად ბაზას და რომ მისი საწარმოო ძალების წარმატებული განვითარება ინდუსტრიალიზაცია — სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ბაზაზე შესაძლებელია მხოლოდ სამეგრელოს დამოუკიდებელ სამხარეო ოლქად (округ-

область) გამოყოფის შემთხვევაში, რაიკომის ბიურო სთხოვს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ს 1929 წლის 26 მარტის დადგენილების განვითარებისათვის განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი სამეგრელოს სამხარეო ოლქად (округ-область) გამოყოფის შესახებ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 42/2).

ზუგდიდის ცენტრის ამ და სხვა დოკუმენტებში „округ-область-ის" ერთდროულად გამოყენება არ არის შემთხვევითი. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ აქ ლაპარაკია სამხარეო ადმინისტრაციულ ოლქზე და არა ზოგიერთების მიერ მიზნობრივად გაყალბებულ ავტონომიურ ოლქზე. ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი რჩება, რატომ ვერ გაიგეს ეს ი. ჟვანიასა და ზუგდიდის ცენტრის მიზანდასახულობების ყალბად წარმომჩენებმა, ან მოცემული თემით დაინტერესებულმა ავტორებმა? ისე ხომ არ არის, რომ ესენიც დაინტერესული არიან, რომ იმდროინდელ და არა მარტო იმდროინდელ ზუგდიდში, მიზნობრივად დაინახონ „ავტონომიისა და სეპარატიზმისკენ ის მისწრაფება", რომელიც სინამდვილეში არ იყო?!

მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვშიც და საქართველოს ცენტრშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას. ამასთან დაკავშირებით დამატებითი წყაროებიც არსებობს. 1932 წლის იანვარში ჩატარდა ზუგდიდის რაიონის მეორე პარტიული კონფერენცია. აქ ხუთწლედის ბოლო, 1932 წლის ამოცანებზე სიტყვით გამოსულა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე (იხ. „ყაზაყიში გაზეთი", 1932, 18 იანვარი). მან აქ საჯაროდ განაცხადა „სამეგრელოს ოლქის აუცილებლად ჩამოყალიბების საჭიროების შესახებ". ამის შესახებ, მართალია, მხოლოდ ირიბი წყაროები იუწყებიან, მაგრამ ისინი ამ დაპირების გამო ეჭვს არ იწვევენ და ასეთი ღონისძიების მართებულობაში გვარწმუნებენ.

აღნიშნულ წყაროებს შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ზუგდიდიდან ცენტრში გაგზავნილი „კოლექტიური წერილი" „საქ. კპ(ბ) ცეკას მდივან ამხ. ლ. ბერიას და ცაკის თავჯდომარე ამხ. ფ. მახარაძეს". მასში ნათქვამია: „ამხ. ლავრენტი და ამხ. ფილიპე, ზუგდიდის პარტ კონფერენციაზე ამხ. ფილიპეს გამოსვლის შემდეგ, სამეგრელოს ოლქის აუცილებლად ჩამოყალიბების საჭიროებაზე ჩვენ ყველანი დამშვიდებულნი უცდით ამ საკითხის დადებით, ამ მოკლე დროისათვის გადაჭრას. გაზაფხულზე გვითხრეს: „ეხლა საგაზაფხულო თესვის კამპანიაა და ოლქზე ლაპარაკი არ შეიძლება, დამთავრდება თუ არა თესვა მაშინათვე იქნება გადაწყვეტილიო". თესვა დიდი ხანია დავამთავრეთ ბოლშევიკურად, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს. ამხ ფილიპეს მიერ წარმოთქმული სიტყვა ზუგდიდის ა/წ პარტ კონფერენციაზე არა მარტო ქაღალდზეა ჩაწერილი, არამედ მთელი პარტიული ორგანიზაციის გულის სიღრმეშია აღბეჭდილი, როგორც არასოდეს წაუშლელი და ნურავინ ფიქრობს იმას, რომ ეს ჩვენ დაგვავიწყდა ან დაგვავიწყდება, ვინაიდან დავიწყება არა ბოლშევიკური ლენინური მოვლენა იქნებოდა.

ამიერკავკასიის და საქართველოს პროლეტარიატის უზენაეს ორგანოს თავმჯდომრის მიერ წარმოთქმული სიტყვას რეალიზაცია უნდა ექნეს, ვინაიდან ეს სიტყვა საქართველოს და სამეგრელოს მშრომელების გულის ნადებია და არა უცხო რამ, ვინაიდან ეს იმდენად დროული და აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს.

ამ საკითხის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე გადაცილება /ამხ. ფილიპეს სიტყვას ვიმეორებთ/ „დიდი დანაშაული იქნებოდა". თუ ვინმე კიდო ცუღლუტობს და ამბობს მეგრელი გლეხს, მეგრული ენა და სამეგრელოს ოლქი არ უნდაო — ასეთი რამ აშკარა, კონტრევოლუციონური ცილისწამებაა სამეგრელოს მშრომელი გლეხობაზე. ასეთი ცილის წამება მას არ დაუმსახურებია. სამეგრელოს მშრომელ, მეგრელ გლეხს მეგრული ენა და საბჭოთა ოლქი არ უნდაო ეს იმას ნიშნავს, რომ მას საბჭოთა ხელისუფლებაც არ ნანდომა, რომლისათვის მას /მეგრელ მშრომელს/ ცოტა მსხვერპლი არ გაუღია. თქვენ

ასეთებს (ასეთ ჭორებს — ავტ.) ყურადღებას არ მიაქცევთ, ვინაიდან ამას სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვს, პირიქით ანტი საბჭოთა პროვაკაციაა. ვაცხადებთ სრული პასუხის მგებლობით, რომ მეგრელი /მხოლოდ მშრომელს/ გლეხს, როგორც ერთს ყველას უნდა დღეს მეგრული ენაც და სამეგრელოს ოლქიც და ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ეს ლენინური მოთხოვნილებაა...“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 194).

მეორე წყაროდ გვევლინება 1935 წლის სექტემბერში ჩეკას მიერ დაპატიმრებული და ი. ჟვანიას ავტონომისტობის აღიარების მიზნით დაკითხული მ. ჯალაღანიას ჩვენება. სათანადო ოქმიდან ისე ჩანს, თითქოს ი. ჟვანიასა და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების მუშაობა სამეგრელოს ოლქის შექმნის მიზნით გულისხმობდა „სამეგრელოს ავტონომიური ოლქის“ შექმნისათვის ბრძოლას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ დროს ასეთი დაკვეთა ჰქონდა მიცემული ჩეკას ძიებას და იგი ამას კიდეც ასრულებდა, რაც ოქმებშიც აისახებოდა. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის, რაც რეალურ სინამდვილეს ასახავს. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ფაქტი ფ. მახარაძის გამოსვლა-დაპირებისა ოქმში ასეა ასახული: „ერთხელ თბილისიდან ჩამოვიდა ამხ. მახარაძე ფილიპე. ვატარებდით პარტკონფერენციას. ჟვანიამ და მისმა ჯგუფმა, მათ შორის მეც ისეთი ორგანიზაცია მოუწყეთ დელეგატებს, რომ თითქმის ყველამ მოითხოვა მეგრული ავტონომია (ოლქი — ავტ.). მახსოვს ამხ. მახარაძემ სთქვა: „მე ვიყავი მეგრული ავტონომიის (ოლქის — ავტ) შემოღების წინააღმდეგი, მაგრამ ახლა მივედი გარკვეულ დასკვნამდე, რომ სამეგრელოს უნდა მივცეთ ავტონომია (ოლქი — ავტ.) და მე აქტიურად დაუჭერ მხარს“. როგორც კი მახარაძემ დაამთავრა სიტყვა, მას მოუწყეს მგზნებარე ოვაცია...“ (სუკის არქივი, №2983, ფურც. 101). თუ მართლა ავტონომიაზე იყო საუბარი, მაშინ რატომ არ აისახა იგი ზუგდიდის პარტიის ცენტრის ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ოქმსა და საქართველოს ცენტრისადმი წარდგენილ მოთხოვნებში?! ისეთი დოკუმენტი, რომელშიც ფ. მახარაძე, ი. ჟვანია, ან ზუგდიდის რაიკომი მოითხოვდეს სამეგრელოს „ავტონომიურ ოლქს“, ხომ აქამდე არ მოძებნილა, ახლა მოვიხმოთ საქართველოს ცაკის თავმჯდომარის საჯარო დაპირების, ანუ სამეგრელოს ოლქის თითქმის სანქცირების შემდგომი დოკუმენტი. ჩვენს ხელთა გვაქვს ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1932 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი. მის დადგენილებით ნაწილში წერია: „... ძირითადი საკითხი, როგორიცაა სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) ჩამოყალიბების საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი... რაიკომის ბიურო მხარს უჭერს ზემო აღნიშნული წლების (1925, 1929, 1930 — ავტ.) ზუგდიდის მაზრის პარტორგანიზაციის და შემდეგ ზუგდიდის რაიონის პარტორგანიზაციის დადგენილებებს — სამეგრელოს ოლქის (როგორც ადრე ვნახეთ, „ოლქის“ — ავტ.) ჩამოყალიბების შესახებ...“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 128).

შემდეგი ფაქტი: 1932 წლის 10 ოქტომბერს ზუგდიდის რაიკომის ბიურომ მოისმინა საკითხი „სამეგრელოს ოლქის შესახებ“ (! — ავტ) და დაადგინა: “ზუგდიდის ყოფილი მაზრის პარტორგანიზაციის და შემდგომ რაიონის პარტკონფერენციის მიერ აღძრული საკითხი — სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) ჩამოყალიბების შესახებ იყო და არი მეგრელი მშრომელების გულის ნადები. (საქართველოს — ავტ.) კ. პ(ბ) ცეკას (26 მარტის 1929 წ. ოქმი №61) ბოლშევიკური დადგენილებით მიღწეული შედეგები დღეს ურწმუნოებსაც ალაპარაკებს, რომ ასეთი დადგენილება (რომელიც ადმინისტრაციული ოლქის უფლებას იძლეოდა — ავტ.) იყო დროული და მიზანშეწონილი, მაგრამ ძირითადი, როგორიცაა სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) ჩამოყალიბების საკითხის მოუცემლობა ძირს უთხრის საქ. კპ(ბ) ცეკას (1929 წლის — ავტ.) დადგენილების ცხოვრებაში გატარებას... ამისათვის ზუგდიდის პარტორგანიზაცია, როგორც წარსულ წლებ(ში) დღესაც ერთსულოვნად შუამდგომლობს საქ. კპ(ბ) ცეკას წინაშე, რომ გადაჭრილ იქნეს საკითხი სამეგრელოს ოლქის

(! — ავტ.) ჩამოყალიბების შესახებ დადებითად, რომ ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის აღსანიშნავად დაჯილდოებული იქნეს საოლქო მმართველობის (! — ავტ.) მოცემით სამეგრელოს მშრომელი გლეხობა" (იხ. იქვე, ფურც. 193). ამის შემდეგ აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე აშკარად ჰპირდება ავტონომიას, ზუგდიელები კი კონსპირაციის მიზნით მოითხოვენ სამეგრელოს ადმინისტრაციულ, სამხარეო „სამეგრელოს ოლქს" და ამით ღალატობენ ჩვენს მიერ არა ერთგზის მოხმობილ ზუგდიდის პარტიული ცენტრისა და საქართველოს კომპარტიის დადგენილებებს. მაგრამ, ეს საკითხი იმდენად ძლიერ გაყალბდა, რომ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ის, რასაც ი. ჟვანია სამეგრელოს „ოკრუგ-ობლასტის" სახით მოითხოვდა. იგი 1931 წლის აგვისტოს თუ სექტემბრის „დახურულ წერილში" საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს სათანადო, ვრცელი დასაბუთების შემდეგ სთხოვს:

„1. Для поднятия культурно-экономического и политического уровня трудящихся населения Мингрелии создать Мингрельский Округ или Областью

2. Развивать в начальных школах Мингрельии преподавание на радном языке.

3. Разрешить организацию издательства в г. Зугдидах, отпустив на это соответствующее оборудование, скоропечатные машины и др.

4. Разрешить издание ежедневной мингрельской газеты обеспечив издательство бумагой.

5. В выду того, что по чайной площады почти 50% западной Грузии занимает Мингрелия, а так-же между Аджарией и Абхазией Зугдиди является географическим центром, перевести чайный институт в Мингрелию...

Этим актом Мингрельские комунисты сумеют выполнить все боевые хозяйственно-политические задачи данные партией.

Секретарь Зугдидского Райкома Партии – Жвания" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 77). ეს არის პრობლემის კვინტესენცია.

როგორც ვნახეთ, ი. ჟვანიას მცდელობაში არც „ავტონომიის" მოთხოვნა ჩანს, და მით უმეტეს, არც ანტიქართული სეპარატიზმის გამოვლინება. იგივეს ადასტურებს ი. ჟვანიას, მისი მხარდამჭერების, კერძოდ, ზუგდიდის პარტიის რაიკომის წევრების და შემდეგ უკვე ყოფილი რაიკომის თანამშრომლების წერილები, რიმლებიც ეგზავნება ზემდგომ ინსტანციებს, მართალია უამრავთაგან კერძო გამონაკლისიც — ტ. შენგელიას და ვ. კორტავას 1933 წლის ცდუნება გვხვდება, მაგრამ ამით ი. ჟვანიას და თანამოაზრეთა შესახებ მოცემული ჩვენი მტკიცებულებები არ ბათილდება. მათ შესახებ საუბარი ქვემოთ, სათანადო საკითხების გარკვევის დროს, გვექნება — ახლა კი ჩვენი აზრის საგნობრივი დასაბუთების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გავიაზროთ ის, თუ რეალურად რას წარმოადგენდა „სამხრეთ ოსეთის" ოლქი და ამ ოლქის კონსტიტუციური სტატუსი შეეადაროთ ი. ჟვანიას მოთხოვნაში ჩამოყალიბებულ „ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატების გარეშე, ცალკე მეგრული საოლქო აღმასკომის მქონე სამხარეო ოლქის" მოთხოვნებს.

1924 წლის ოქტომბერში მოხდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის" სტატუსის შემდგომი დაზუსტება. ავტონომიური ოლქის ცაკს მიენიჭა უფლება მოეწვია სრულიად საქართველოს ცაკ-ის საგანგებო სესია, განეხორციელებინა საკანონმდებლო ინიციატივა, გაეპროტესტებინა სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება და დაესვა საკითხი რესპუბლიკის ცაკ-ის მორიგ სესიაზე დადგენილების აღსრულების შესანარჩუნებლად. ოლქის ცაკ-ის თავმჯდომარე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობასა და დადგენილებათა მიღებაში. მას

უფლება ჰქონდა ოლქის ცაკ-ის მეშვეობით გაესაჩივრებინა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმში.

ავტონომიური ოლქის ცაკს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების განკარგულებები, თუ ისინი აშკარად არ შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს არ ჰქონდა უფლება შეეჩერებინა ოლქის ცაკ-ის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილების შესრულება, მას შეეძლო მხოლოდ პროექტის შეტანა ცაკის პრეზიდიუმში.

„სამხრეთ ოსეთში" მმართველობის სისტემის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას საოლქო სახალხო კომისარიატები ასრულებდნენ. სახალხო კომისარიატების არსებობა საბჭოთა კავშირში არსებული ავტონომიური ოლქების პრაქტიკაში უჩვეულო მოვლენა არ იყო. მთიან ყარაბაღში არსებობდა მსგავსი ინსტიტუტი, უფრო მეტიც, ამ ოლქს სახალხო კომისართა საბჭოც კი ჰქონდა მაშინ, როცა ავტონომიური ოლქების უმრავლესობაში სახალხო კომისარიატები არ არსებობდა. ოლქების სტატუსის უნიფიცირების მიზნით სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმმა 1925 წლის 27 ნოემბერს მიიღო ცირკულარი, რომელშიც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ოლქებში არსებული განსხვავებული სისტემის ერთგან ცაკების, სხვაგან აღმასკომის არსებობა „იწვევს განსხვავებას ამ ორგანოთა კომპეტენციაში. ავტონომიური ოლქების ცაკ-ები ფაქტობრივად სარგებლობენ იმ უფლებებით, რაც მინიჭებული აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ცაკ-ებს და ამიტომ, ავტონომიური ოლქები უფლებებით უთანასწორდებიან ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიურ ოლქებში ცაკ-ების შექმნას არ გააჩნია კონსტიტუციური საფუძველი... ეს ფაქტები იწვევს არათანაბარუფლებიანობას სსრ კავშირის ეკონომიკურ ოლქთა შორის". ცირკულარი მოითხოვდა მოკავშირე რესპუბლიკებში შემავალი ასეთი პრივილეგირებული ავტონომიური ოლქების, (მაშასადამე, მათ შორის „სამხრეთ ოსეთის") უმაღლესი ორგანოების მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების სრულ შესაბამისობასა და სსრ კავშირის ავტონომიური ოლქების უფლებრივ ერთგვაროვნების უზრუნველყოფას. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ოლქების „ეროვნულმა უმცირესობებმა" პროტესტი გამოუცხადეს. ამას მოჰყვა მღელვარება. ამის გამო ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდიუმმა ჩვენს „სანიმუშო ეროვნულ რესპუბლიკაში" საკითხის ლენინურ-სტალინური მოგვარების მიზნით, 1925 წლის 14 დეკემბერს ჩათვალა, რომ „სამხრეთ ოსეთის და მთიან ყარაბაღში ცაკ-ების არსებობა იურიდიულ საფუძველს ეყრდნობა და ამ მდგომარეობის შეცვლა არასასურველად და არადროულად მიიჩნია. ამ გადაწყვეტილებას სუბორდინაციის წესით განხილვის შემდეგ, 1926 წლის 19 თებერვალს, მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმმა. მართალია, ამის შემდეგაც იყო საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული ოლქების უმაღლესი ორგანოების უნიფიცირების ცდა, მაგრამ, ისევ ერთობლივი წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა პრობლემის უცვლელად დატოვება აირჩია. ეს მდგომარეობა აისახა 1927 წლის ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში, რომელმაც უცვლელად დატოვა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ „სამხრეთ ოსეთის" ცაკ-ის გაბერილ სტრუქტურებს ფაქტობრივად მთელი მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი სჭირდებოდა, მათი რეორგანიზაცია აქ არსებული ხელისუფლების მიერ საკითხის პოლიტიკურ სფეროში გადატანისა და დიდი წინააღმდეგობის გამო, გადაუჭრელი დარჩა 1936 წლამდე (იხ. საქართველოს და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა, თბ., 1991, გვ. 104-106, 109-112). მაშასადამე, ი. ჟვანიას მოთხოვნებისა და „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის ზემოთ აღნიშნულ ფონზე ცხადი ხდება, რომ უაზროა ი. ჟვანიას და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის

ოფიციალურ მოთხოვნებში ავტონომიის მოთხოვნის დანახვა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ი. ჟვანიას მიერ 1931 წლის აგვისტოში საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროში გაგზავნილ დახურულ წერილში გამოთქმული აზრი: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება შეიძლება კიდევ უფრო განმტკიცდეს, თუ სხვებთან ერთად (ანუ ავტონომიებთან ერთად — ავტ.) გვექნება მეგრული ოლქი მხარე ან ოლქი" (და არა ავტონომიური ოლქიო — ავტ. იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 76). უფრო მეტიც, ის მეგრელი „ამხანაგებიც" კი, რომლებიც შემდგომ წლებში სტალინისადმი გაგზავნილ თხოვნა-საჩივრებში კვლავ აყენებდენ, ანუ მოითხოვენ რაღაც თითქოს ავტონომიას მიმსგავსებული „სამეგრელოს ავტონომიის" ან „სამეგრელოს ავტონომიურ ოლქის" მაგვარს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე ვერ ერკვეოდნენ ავტონომიური ოლქის სტატუსის ნიუანსების გაგებაში, ზოგჯერ მოითხოვდნენ ერთიან ადმინისტრაციულ სამეგრელოს და არა ყოველთვის ავტონომიის სტატუსის მქონე ოლქს. მაგრამ ამ მოთხოვნებს თან ახლდა საკითხის ბოლომდე გაუაზრებლობა. მთელი რიგი საკითხებისა გაურკვეველი იყო სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის დროსაც. მაგალითად: გაურკვეველი იყო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-რაიონული მართვის პირობებში სამეგრელოს ერთიანი სამხარეო ადმინისტრაციული ოლქის გამოყოფა რითი უნდა ყოფილიყო გამართლებული, თუ მსგავსი რეფორმა არ გატარდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებში? მაგალითად, გურიაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში და ა.შ?! მაშასადამე, იგი 1922-1923 წლების შემდეგ განმეორებით დღის წესრიგში აყენებდა სრულიად საქართველოს საბჭოების V ყრილობაზე დაყენებულ რესპუბლიკის საოლქო ადმინისტრაციული მმართველობით გათვალისწინებულთა რეანიმაციას, რომელიც უარყო მოსკოვის ცენტრმა. ჩვენი აზრით, აქ იყო მთავარი წინააღმდეგობა. ხოლო ყველა დანარჩენი იყო დეტალი და ისიც არა არსებითი, ისეთი რომელიც პოლიტიკანური მიზანდასახულობებით გაზვიადდა, როგორც ეროვნულად საშიში, მოგონილი „სამეგრელოს ავტონომიური ოლქის" თანმხლები ატრიბუტიკა.

მაშასადამე, სტალინი ი. ჟვანიას სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შემოღებას დაპირდა (1929 წ.), მაგრამ შემდეგ მან, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა. ისიც ჩანს, რომ სტალინის ახალი აზრი ი. ჟვანიას და ზუგდიდის ცენტრისათვის შეუცნობელი დარჩა. სამეგრელოს ადმინისტრაციული მართველობის მსგავსი ერთეული, რომელსაც ისინი მოითხოვდნენ, შეიქმნა მხოლოდ ჩვენ დროს, დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოყალიბებული გუბერნიების სახით, მაგრამ ამას ის უბედურება არ გამოუწვევია. რომელიც ავტონომიებმა წაგვკიდა. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ი. ჟვანია და ზუგდიდის ხელმძღვანელობა მოითხოვდა 1923 წელს საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ დაპირებულ, ხოლო 1929 წელს ასევე საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით ზოგი მაზრებისთვის დაშვებული და ამავე წელს სტალინის მიერ ი. ჟვანიასთვის ნებადართულ სამეგრელოს ერთიან ადმინისტრაციულ გაერთიანებას, რომელსაც ერქმეოდა „ოკრუგი" ან „ობლასტი". მათი აზრითა და ერთგვარი ექსპერიმენტული გამოცდილებით ასეთი ადმინისტრაციული „ოკრუგი" თუ „ობლასტი" უკეთ უზრუნველყოფდა პარტიის დავალებათა შესრულებასა და რეგიონის მშრომელთა ინტერესებს.

წიგნის მომდევნო თავში გავარკვევთ, თუ როგორ და რატომ აბრალებდნენ ი. ჟვანიას, ზუგდიდის ცენტრს, ზუგდიდის ინტელიგენციასა და გლეხობას „სამეგრელოს ავტონომიის" და რესპუბლიკის მოთხოვნასაც კი.

თავი XVI

ლ. ბერია ი. ჟვანიას წინააღმდეგ

მას შემდეგ, როცა მკითხველი უკვე გაეცნო ი. ჟვანიას და მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულთა დადებითი საქმიანობის არსს, საჭირო ხდება ამ ადამიანთა მიმართ თანამედროვეთა მიერ გამოთქმული კონკრეტული ბრალდებებიც წარმოვაჩინოთ და მათ სწორი ახსნა მოუძებნოთ. ეს აუცილებლობა ნაკარნახევია იმით, რომ ჯერ ერთი, საჭიროა მკითხველს ი. ჟვანიას საქმიანობის ყველა ადრე გაყალბებული ინფორმაცია ვუჩვენოთ და ამასთან მისი და თანამოაზრეთა ნამდვილი ვინაობა დავანახოთ. ამ გზით შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვნად გავაბათილოთ ის ყალბი ბრალდებები, რომელთა მიხედვით ი. ჟვანია და ზუგდიდის საზოგადოება თითქოს სამეგრელოს ავტონომიისა და სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისთვის იბრძოდა. ამ მიზნით საჭიროა, რომ ი. ჟვანიას შესახებ მკითხველს ყველა, სხვადასხვა მხრიდან წარმომავალი წყარო გავაცნოთ, რათა მან ჩვენი კვლევის მართებულობა ბოლომდე გაიცნობიეროს და ჩვენი ლაბორატორიული მუშაობა გააკონტროლოს; მეორეც — აუცილებელია დავინახოთ, რომ თანამედროვეთა მიერ ი. ჟვანიასა და მისი თანამოაზრეების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს საფუძვლად დაედო, ერთის მხრივ, იმ ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკთა რეაგირება, რომლებმაც გამოგონილი „მეგრული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის სარგებლიანობა „ამოიცნეს“ და მის გამოყენებას ხელი ყოველმხრივ შეუწყვეს, ამასთან, კიდევ უფრო ნათლად დავინახოთ, რომ სწორედ ამ „შეფასებებს“ ეყრდნობიან ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციების ის ავტორები, რომლებსაც თანამედროვე მკითხველი აქამდე ენდობოდა. ეს ბრალდებები, როგორც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ ცალკეული ფაქტების მართებულობასთან ერთად, შეიცავენ მიზნობრივ „შეცდომებსა“ და ხელოვნურად შექმნილ გაუგებრობებს. „ზემოთ“ გაგზავნილი ბრალდებების შემცველი წერილები და მათში ასახული პერმანენტულად განვითარებადი მოსაზრებები ვითომ სამეგრელოს ავტონომიური მოწყობისა და „მეგრული სეპარატიზმის“ გამოვლინებების შესახებ, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ისინი ზემოდან მიზნობრივად, მტრულად იყვნენ ნასაზრდოები. ჩვენი აზრით, აღნიშნული მეთოდი მკითხველს იმის მეტ შესაძლებლობას შეუქმნის, რომ მან ბოლომდე გაიგოს რისთვის იბრძოდა ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობა და რატომ ებრძოდნენ მას.

ჩვენ მიერ ქვემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებები დოკუმენტურ მასალას, — არქივებში დაცულ 1920-30-იანი წლების ისტორიის შემცველი ასეულობით ფურცლის კრიტიკულ-ანალიტიკურ შესწავლას ეყრდნობა. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მათი რეპროდუქციის ფიზიკური სიძნელეების გამო, ყურადღებას მხოლოდ ძირითად, პრინციპულ ბრალდებებზე ვამახვილებთ.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველაზე ადრეული წყარო, რომელიც ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიას ავტონომისტ-სეპარატისტების მფარველობაში ადანაშაულებდა, იყო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული 1925 წლის 13 სექტემბრის წერილი, რომელიც ი. ჟვანიამ ამავე გაზეთში 15 სექტემბერს გააბათილა. ამის შემდეგ ლ. ბერიამ თავის 1929 წლის 23 აპრილის მორიგ წარდგინებაში რიგი მაზრების ცენტრის ქ. ფოთში და ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანის გამო გამოწვეული უკმაყოფილება გაასაღა „მეგრული სეპარატისტების“ აგიტაციის შედეგად.

1930 წლის 27 ოქტომბერს ლ. ბერია ამიერკავკასიის ფედერაციის სამხარეო ხელმძღვანელობას ატყობინებდა, რომ წალენჯიხის რაიონის ფაზულანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონტი გოგოხიას, რომელიც ორი თვის წინ დააპატიმრეს კომკავშირელი კოზუას მოტაცების გამო, შუამდგომლობს ი. ჟვანია. იგი უშიშროების ზუგდიდის განყოფილების გამგის ზაქარაიას თანდასწრებით ეუბნება კოზუას: „განსაკუთრებული რა მოხდა, გოგოხიას უყვარხარ, გაჰყოლოდი ცოლად“... რომ „მას ეკისრება პასუხისმგებლობა ფახულანის კოლ-

მეურნეობის დაღუპვაში, რომელიც უთუოდ დაიშლება". კოზუამ დაადასტურა, რომ გოგოხიას იგი უყვარს, მაგრამ თავად მისი ცოლობის წინააღმდეგია.

აღნიშნულის შემდეგ, როცა კოლმეურნეობის გამგეობას საკითხების გასარკვევად გოგოხია გამოუძახებია, იგი ფახულანში ბადრაგის თანხლებით გადაიყვანეს. ეს კი მან ლ. ბერიას წარდგინების მიხედვით „სამეგრელოს ავტონომიის აგიტაციის სასარგებლოდ გამოიყენა, რამდენადაც გოგოხია თითქოს „ავტონომისტების" დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა. წარდგინებით, ამ ჯგუფის ანგარიშში შედის რაიონული ცენტრის წალენჯიხიდან ზუგდიდში გადატანა, ამან უნდა გამოიწვიოს ზუგდიდის ყოფილ მაზრაში შემავალი რაიონების ერთი ზუგდიდის რაიონის გაძლიერების შედეგად დასუსტება. ცოტა ხნის წინ გოგოხია თავდებით გაანთავისუფლეს, ამით მას საშუალება მიეცა პირად მტრებთან ანგარიშის გასწორებისა და „ავტონომიური" საქმიანობისთვის". (ბ. სოკოლოვის დასახელებული წიგნი, გვ.58-60). ისაკის და ბერიას მტრის ამ აზრს თუ დავუჯერებთ, ი. ჟვანია ავტონომისტის მფარველია, ბერია კი მეგრული ნაციონალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლეონტი გოგოხია სამეგრელოს ავტონომიის მოსურნედ ეჭვმიტანილებს შორისაც კი არა ჩანს.

მორიგი დოკუმენტი, რომელშიც სერიოზული ბრალდებებია ასახული, არის ზუგდიდის რაიკომის მდივნის ი. ჟვანიას 1930 წლის 9 დეკემბრის წერილი „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კომისიას", რომელიც შეიქმნა „მეგრული საკითხის" გამო ცკ-ის დადგენილების გამოკვლევასთან დაკავშირებით (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც. 28-40). აქედან ჩანს, რომ კომისიის მუშაობის საბაბი გამხდარა წალენჯიხის რაიონის სოფლების ფახულანისა და ლიას მცხოვრებთა მიერ ზუგდიდის რაიონთან მიერთების არაერთი მოთხოვნა. ამის გამო რაიკომის მდივანს ევგენი უბირიას, რომელიც წალენჯიხის რაიკომისა და სხვათა ინტერესებს იცავდა, უპარტიოების თანდასწრებით ი. ჟვანიას და ზუგდიდის პარტკომის ბიუროსათვის უწოდებია „ვოსტორგოვის მოწაფე". მის ამ საქციელს ი. ჟვანია აპროტესტებს და აღნიშნავს, რომ ე. უბირიას არ შეეძლო ზემოდან მხარდაჭერისა და წაქეზების გარეშე ასეთი პრეტენზიების გამოთქმა. ი. ჟვანიას წერილიდან ცხადი ხდება, რომ „უბირიას პროვოკაცია" მას „მეგრულ საკითხზე" საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის გამო მოახვიეს თავს. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულ ი. ჟვანიას ე. უბირიას საქციელი გაუპროტესტებია ჯერ კიდევ 1930 წლის 9 სექტემბრის წერილით საქართველოს კომპარტიის ცკ-სა (ლოლობერიძესთან) და სამხარეო კომიტეტში (ლომინაძესთან). მას მოუთხოვია საკითხის საფუძვლიანი შესწავლა, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყვა. გარკვეული ხნის შემდეგ ი. ჟვანიას მეორე წერილით მიუმართავს, ამჯერად უკვე საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და სამხარეო კომიტეტის ყველა მდივნისათვის. როცა აქედანაც არაფერი გამოვიდა, მესამე წერილი გაუგზავნია კაგანოვიჩისთვის.

ი. ჟვანია შეურაცხყოფილად თავს განსაკუთრებით იმის გამო მიიჩნევს, რომ „მეგრული საკითხის" გამო ცკ-ის დადგენილების განხორციელებისათვის მისი თავგამოდებული მუშაობა აქამდე არავის უარყოფითად არ შეუფასებია და „ზუგდიდის მაზრას ხუთნახევარი წლის განმავლობაში არც ერთხელ, არავითარი შენიშვნა არ მიუღია", ახლა კი „ვოსტორგოვის მოწაფე" უწოდეს და მალე ამის შემდეგ ლომინაძემ ორი საყვედურიც გამოუცხადა. ი. ჟვანიას წერილიდან ჩანს, რომ მისი ავტორი კარგად ხედავს, თუ რატომ მოხდა მისი მოღვაწეობის „ახლებური" შეფასება და ამიტომ ცდილობს, რომ ცკ-ის ახალი კომისიის მიერვე დასმულ კითხვებზე მიაწოდოს ამომწურავი პასუხები. ეს ის დროა, როცა ბ. ლომინაძე ანტიპარტიულ (სირცოვი, შატკოვი და სხვა) ბლოკში მონაწილეობისათვის მოსკოვში მიიწვიეს (15. X. 1930) და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს.

ახალმა პარტიულ-პოლიტიკურმა კონიუნქტურამ ი. ჟვანიას ბ. ლომინაძესთან ადრინდელი კონფლიქტური ურთიერთობის წარმოჩენის შესაძლებლობა მისცა. მისი წერილიდან ირკვევა, რომ მან XVI ყრილობაზე ბაქოელ ამხანაგებთან ერ-

თად მხარი არ დაუჭირა ბ. ლომინაძის წინადადებას, რომელიც მოითხოვდა ზოგი ამიერკავკასიელი და მოსკოველი მუშაკის ჩამოშორებას. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ, როგორც ადრე ვნახეთ, ბ. ლომინაძე პრინციპულად დაუპირისპირდა სამეგრელოს ოლქის და მასთან დაკავშირებულ რიგ სხვა საკითხებში ი. ჟვანიას მეცადინეობას. ი. ჟვანია წერს, რომ „XVI ყრილობის შემდეგ ბ. ლომინაძე მოსკოვშიც და თბილისშიც შემევაჭრა ზუგდიდიდან წასვლის შემთხვევაში მიწსახკომის და სხვა თანამდებობაზე დაწინაურების შემოთავაზებით. მაგრამ როცა ბ. ლომინაძემ უარი მიიღო, ჩემ წინააღმდეგ უბირიას პოზიციები გაამაგრა“.

გარდა ამისა, ბ. ლომინაძეს ჩხოროწყუს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ მოუვლენია ბეგი ბერია, (რომელმაც 1927 წელს გრ. შელიასთან ერთად გალახა ი. ჟვანია — ავტ.). ბ. ბერია მანამდეც ბევრი ფათერაკებით ყოფილა ცნობილი. იგი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუგდიდის ხელმძღვანელობას არაერთხელ ჩამოაშორეს. მას ზუგდიდის ორგანიზაციის უსაფუძვლო კრიტიკისათვის საყვედური მიუღია, ცოტა ხნის წინათ კი სუსტი მუშაობისათვის გალის რაიონის ხელმძღვანელობისთვისაც ჩამოუშორებიათ. მის შემდეგ, რაც იგი ჩხოროწყუს აღმასკომის თავმჯდომარედ დაინიშნა, ბ. ბერიას და უბირიას ამოცანად დაუსახავთ „მეგრულ საკითხში“ ი. ჟვანიას საქმიანობის გაშავება. „თავს ესხმოდნენ მეგრული გაზეთის გავრცელებისა და მეგრულ ენაზე საქმის წარმოების საკითხებში, აგრეთვე დევნიდნენ სამაზრო კომიტეტის არსებობის დროს ი. ჟვანიას მიერ დაწინაურებულ კადრებს (მ. ესართიას, ლ. გამსახურდიას, ტ. თოდუას, სართანიას, ვ. ჩაჩიბაიას). წალენჯიხიდან გამოდევნეს ხელმძღვანელი მუშაკები ლ. ჩაჩუა, მიხო ჯალაღონია, ილია ლუკავა, დარასელია და სხვები. ი. ჟვანია წერს, რომ მისთვის ბ. ლომინაძეს უთქვამს: „მეგრული გაზეთის, ლიტერატურის გამოცემა და ცალკე სამეგრელოს „ოკრუგის“ გამოყოფა თავადაზნაურულ წამოწყებად მიმაჩნია და საჭიროა ამ ჭუჭყიანი საქმის მოთავეობაო“ (იხ. იქვე, ფურც. 29-34). როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის აზრი, ე. უბირიას განუვითარებია. ამ ღვარძლიანი საუბრის შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მეგრული გაზეთი დაამტკიცა. მკითხველს ისიც ეხსომება, ი. ჟვანიას მიერ 1929 წლის სექტემბერში საქმის „სტალინურად შემობრუნების“ შემდეგ მ. კახიანმა 1929 წლის ოქტომბრის პლენუმზე რომ განაცხადა: „სამეგრელოს ოლქის საკითხი თავადაზნაურობის კი არა, გლეხური საკითხიაო“. თუ ჩხოროწყუს რაიონის სოფლების „ყაზაყიში გაზეთის“ ხელმომწერთა მიერ გაზეთის ხელოვნური მიუღებლობით გამოწვეულ გულისწყრომას და სტალინისადმი სტუდენტ ანტონ ნაჭყებიას მიერ გაგზავნილ წერილსაც გავიხსენებთ, რომლებზეც ადრე გვქონდა საუბარი, მაშინ საეჭვო აღარ გახდება, რომ ი. ჟვანიას და ზუგდიდის პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ წალენჯიხის და ჩხოროწყუს პარტიული ხელმძღვანელობის დაპირისპირება „მართლაც ზემოდან იყო ნასაზრდოები“. ეს იყო „მეგრული საკითხის“ გამო ორგანიზებული ინტრიგა, რომელიც მიზნად ისახავდა ი. ჟვანიას დისკრედიტაციას. მაშასადამე, ამ მიზნით ლომინაძეს მოუწყია ინტრიგები და ორი თვის მანძილზე ი. ჟვანიასათვის ორი საყვედური მიუცია.

ი. ჟვანიას წერილში ვხედავთ მის საწინააღმდეგოსაც: იგი „მეგრული საკითხისათვის“ ბრძოლის გამართლების მიზნით ცდილობს ისტორიული ფაქტებით გაამტყუნოს ბ. ლომინაძე და „მეგრულ საკითხში“ თავადაზნაურული დამოკიდებულების გამოვლენა მასვე დააბრალოს. ამ მიზნით მოაქვს მეგრული თავადაზნაურობის წინამძღოლის ნიკო დადიანის წერილი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს — გრიგოლ დადიანისადმი, სადაც ნიკო „მარგალს“ („მეგრელს“) მდაბიოთა აღსანიშნავად ხმარობს, აგრეთვე იხსენებს მაგალითს, როცა მეგრულ დიალექტზე ლოცვა და სახელმძღვანელოების თარგმნა ზნეობრივი დეგრადაციის საშიშროებად ცხადდებოდა. ამით კომუნისტი ი. ჟვანია ცდილობს მეგრელი გლეხის შესახებ თავადაზნაურული გაგება ლომინაძისეულ გაგებასთან გაიგივოს. იგი ისტორიის დროსა და სივრცეში აღქმის მეთოდს არ მიმართავს. ამით მართლა ისე გამოდის, რომ პროლეტარულ-გლეხური იდეოლოგიის დამ-

ცველი ი. ჟვანია, არარსებითს ებღაუჭება, მეგრელი თავადაზნაურობის და სამღვდელოების სწორი ისტორიული და ეროვნული პოზიციის არსს კი უგულებელყოფს (იხ. იქვე, ფრც. 34-35), მაგრამ ამის გამო იმის მყარი საფუძველი როდი იქმნება, რომ მისი სწორი ნაზრევიც წყალს გავატანოთ.

ლ. ბერიას საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად აღზევების შემდგომ ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეების მიერ მიზნობრივ-პოლიტიკანურად შეთითხნილ დოკუმენტებში მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ზუგდიდის ცენტრისა და ზუგდიდის ინტელიგენციის მეცადინეობა სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქისთვის ისეა გაშუქებული, თითქოს ბრძოლა წარმოებდა არა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქისა და მეგრელი გლეხების ინტერესებისთვის, არამედ მხოლოდ სამეგრელოს ავტონომიისა და ი. ჟვანიას განდიდებისათვის. ამის მიზეზი ბევრია. მათ შორის უმთავრესი კი არის ის, რომ ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეების კარიერისტული მისწრაფებების რეალიზაცია საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის იმიტაციით ხდებოდა. ამ ყალთაბანდობის მონაწილე ძალიან ბევრია, კარიერისტული ინტერესებისაგან დაზღვეულად არც ი. ჟვანია ჩანს, მისი წერილებიც არ არის დაზღვეული პიროვნული პრეტენზიების სიჭარბის გამო საქმის ინტერესების უგულებელყოფისაგან. მაგრამ მისი მოწინააღმდეგეების მოქმედება განსაკუთრებით სასტიკია, ხოლო იდეური სათავე ისევ ლ. ბერიას უკავშირდება. ოფიციალურ დონეზე თითქოს არა ჩანს, რომ ჩეკას უფროსი „მეგრული საკითხის" მოგვარების მიზნით აქტიურობდა, მაგრამ არსებობს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დიდი ჩეკისტი 1925 წელს გამოთქმულ აზრს თავგამოდებით იცავდა. ამას დამატებით მოწმობს მის მიერ მიშა კახიანისადმი რეაგირებისათვის 1930 წელს გადაგზავნილი ვ. შუბლაძის წერილი, რომელშიც გრ. ახალაიას მიერ ცნობის მეგრულ ენაზე გაცემა მიზნობრივად გაზვიადებულია ზუგდიდში „ავტონომისტების" გამოცოცხლებად და სახელმწიფო ენის იგნორირებად (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც.269). რაკი ეს დასმენა ბერიას მოუვიდა, საფიქრებელია რომ შუბლაძესა და ახალაიას შორის მომხდარი ინციდენტი პროვოკაციის მიზნით გამოიყენეს. ამის გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ ცნობის მეგრულ ენაზე გაცემა ქართულის არმცოდნე გლეხებისათვის ნებადართული იყო. შუბლაძე ზუგდიდელია, ამიტომ შეიძლებოდა ეს ამბავი ბერიამდე არ მიეტანათ. მაგრამ როგორც ჩანს, იმძლავრა „მაფალუელობის" გამოცოცხლების ფაქტის წარმოჩენის საჭიროებამ.

როგორც იმთავითვე ვნახეთ, ი. ჟვანია ჩხოუშილ ავტონომისტ-სეპარატისტებთან პირველმა ლ. ბერიამ დაკავშირა 1925 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სპეციალური წერილით. იმჟამად ი. ჟვანიამ შესძლო თავის გამართლება. იმის შემდეგ ი. ჟვანიას უშუალო მოწინააღმდეგეთა შორის ლ. ბერია აღარ ჩანს, მაგრამ მამფორიების, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას და სხვათა მაგალითით ირკვევა, რომ ი. ჟვანიას მიმართ ლ. ბერიას ბრძოლა არ შეუწყვეტია. საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩეკისტების მეთაურმა საკუთარი კარიერის გზაზე მოწინააღმდეგეების დანდობა არ იცოდა. ყოფილი ჩეკისტის „კაკოს", (იგივე მანუჩარ შელიას, იგივე ბერად აღკვეცილი მამა ალექსის) მოგონებებიდან ჩანს, რომ სტალინთან ფარულად დაკავშირებული ლ. ბერია სტალინსა და ძერჟინსკის საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ ცნობებს სისტემატიურად აწვდიდა და ძირს უთხრიდა ადგილობრივ ბელადებს, მათ შორის ფ. მახარაძეს და ს. ორჯონიკიძესაც კი არ ერიდებოდა. ალბათ ასეთი იყო მისდამი სტალინის დავალება. ბერია არასასურველ პიროვნებებს ოსტატურად იშორებდა გზიდან. სათანადო პუბლიკაციები ცხადყოფენ, რომ ლ. ბერიამ მოიშორა საქართველოს ჩეკას უფროსი ე. კვანტალიანი. ე. კვანტალიანისა და ლ. ბერიას ამ ურთიერთობის შესახებ 1955 წელს საინტერესო ჩვენება ჩამოართვეს 1922-1926 წლებში ჩეკას საალრიცხვო-სარეგისტრაციო-სტატისტიკური განყოფილების უფროსად ნამსახურევ ივანე ავეტის ძე ბეჟანოვს. იგი ე. კვანტალიანს ახასიათებს, როგორც პარტიის ერთგულ ბოლშევიკს, კრისტალურად პატ-

იოსან ადამიანს. ლ. ბერიას შესახებ კი მან უჩვენა: „ბერია ყოველთვის დემონსტრაციულად უპატივცემულოდ ეპყრობოდა კვანტალიანს, საკუთარ თავს უკეთესად, უფრო ჭკვიანად და დამსახურებულად მიიჩნევდა. როცა მე რაიმე უმნიშვნელო ქაღალდი მიმქონდა მოსახსენებლად, წესისამებრ ბერიასთან ვხვდებოდი. ბერია უპატივცემულოდ მეტყოდა — მიუტანე. თუ მნიშვნელოვანი ქაღალდი იყო ბერია თავისთან იტოვებდა და მეტყოდა — თვითონ შევალ. თვით კვანტალიანი არ ამჟღავნებდა უკმაყოფილებას. იგი 1926 წელს ცკ-ის გადაწყვეტილებით გადაიყვანეს კავშირგაბმულობის კომისარიატში... კვანტალიანმა ბერიას 1918-1919 წლების მუსავატებთან კავშირის შესახებ ძერჟინსკის აცნობა თუ არა, არ ვიცი. მაგრამ ამას თვით ბერიაც არ მალავდა და პარტიის დავალებად აცხადებდა... 1937 წელს კავშირგაბმულობის მუშაკ ვ.ს. უჩანეიშვილთან ერთად ვიჯექი. იგი ძლიერ რეპრესიებს განიცდიდა. მითხრა, რომ იძულებული გახადეს ელიარებინა, თითქოს კვანტალიანს კავშირი ქონდა რიკოვთან.

1930 წელს ჩეკისტმა გოგი დევდარიანმა ბერიას უჩივლა სკპ(ბ) ცკ-ში. ამხილა: იკრებს სისხლის სამართლის დამნაშაეებსო. ეს საკითხი განიხილა აკ. სამხარაო კომიტეტის ბიურომ. აქ მე დავასახელე შტატში მყოფი სისხლის სამართლის დანაშაულის მქონე, 8 თანამშრომელი, რომელთაც არ ერგებოდათ უშიშროებაში სამსახური. მაგრამ ბერიამ თავი იმართლა და დაამტკიცა, რომ ეს ხალხი მას სჭირდებოდა. ამის გამო იძულებული გავხდი დამეტოვებინა სამსახური (იხ. სუკის არქივი, №2431, ფურც. 250-256).

საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობის (1932 წ. იანვარი) სტენოგრაფიულ ანგარიშში შეტანილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ლ. ბერიამ სტალინთან ინფორმაციის მიწოდებით შეძლო საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ხელმძღვანელობის გადაყენება 1931 წელს და ამით დაწინაურების საქმეც გაინაღდა. მაგრამ ლ. ბერია ამ თვისებებით გამონაკლისი არ იყო. სოციალიზმის ავტორიტარული მმართველობის პირობებში, თანამდებობრივი აღმასვლა აუცილებლად მოითხოვდა დაუნდობელ კონკურენციას, მოწინაარმდეგის ნეიტრალიზებას, საჭიროების შემთხვევაში კი განადგურებასა და მოსპობასაც კი. ეს თვისებები ბევრს დღესაც აქვს „შეიარაღებაში". იმ დროს კი სტალინთან ფარული და ოფიციალური არხებით დაკავშირებულ ლ. ბერიას არასასურველი ხელმძღვანელი მუშაკების წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები ჰქონდა. VIII ყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერებით, „სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მუშაკები ცენტრალურ კომიტეტში წერილობით მოხსენებებს აგზავნიდნენ... სადაც აღნიშნული იყო, რომ ძველი ხელმძღვანელობა სჩადის შეცდომებს". „მოსკოვი აღნიშნავს, რომ გაერთაინებულმა პოლიტსამმართველომ უფრო სწორად, უფრო დროზე და უკეთ აცნობა საკ. კპ(ბ) ცკ-ს მთელი სინამდვილე საქართველოს სოფლის მეურნეობაზე" (საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 102). სწორედ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში ჩეკისტურად აღწერილი „სინამდვილით" გაანადგურა ბერიამ ვითომ „ატამანშჩინის" მეთაურის ს. მამულიას ჯგუფი. ლ. ბერია გაერთიანებული პოლიტსამმართველოს ფაქტობრივი უფროსი იყო მას შემდეგ, რაც საქართველოს და ამიერკავკასიის უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე აღზევდა. ამ ორგანოებში არსებული წესისა და სუბორდინაციის მიხედვით კი, გამორიცხული იყო უფროსის სანქციის გარეშე რაიმე სერიოზული ინიციატივა.

ბერია ჯერ კიდევ ამ დროს ამარაგებდა სტალინს საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და ხელმძღვანელი კადრების საქმიანობის შესახებ სათანადო ინფორმაციით და „წერილობითი მოხსენებებით". მან, როგორც ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების უწყებების უფროსმა, საქართველოს ცხოვრების ყველა ნიუანსი იცოდა და მარჯვედ იყენებდა მათ. სტალინთან გაგზავნილი მისი „წერილობითი მოხსენებები", მით უმეტეს საგანგებო საიდუმლო ინფორმაციები, აბსოლუტურად არავის მიერ არ კონტროლდებოდა. არქივს მხოლოდ იმ აუცილებელი დოკუმენტაციის ასლები გადაეცემოდა, რომლებიც ამის საჭიროებას ექვემდებარებოდა. ჩვენ შესაძლე-

ბლობა გვქონდა გავცნობოდით ლ. ბერიას მიერ სტალინთან გაგზავნილი ზოგი წერილის ასლს, რომლებიც დღეს პრეზიდენტის არქივად წოდებული დაწესებულების საფონდო მასალებშია დაცული. მათ შორისაა ცნობები 1937 წ. პირველ ათ თვეში საქართველოში ჩატარებული პოლიტიკური რეპრესიების, საქართველოს ციხეებში პატიმართა რაოდენობის, იქ არსებული ვითარების, საკავშირო დაწესებულებების პუბლიკაციებში აჭარლების ქართველებისაგან დამოუკიდებელ ეროვნებად მიჩნევის შესახებ და სხვა (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.2, საქმე 152). აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ სტალინი სისტემატურ ინფორმაციას იღებდა საქართველოს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ამასთანავე, ისიც ვნახეთ, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოების უფროსი ახერხებდა სტალინისათვის მიწოდებულ ინფორმაციაში ჩაედო საკუთარი შეხედულებებიცა და ინტერესებიც. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ლ. ბერია შემდეგაც სტალინს სისტემატურ ინფორმაციას არ აწვდიდა „მეგრულ საკითხსა“ და ი. ჟვანიასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე გაირკვა, რომ ბერიასა და ს. მამულიას შორის კონფლიქტი არსებულა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ს. მამულია მუშაობდა აჭარაში და საქართველოს კომპარტიის მდივანი გახდებოდა. ისიც გაირკვა, რომ ს. მამულიაც აგზავნიდა საკავშირო კომპარტიის ცკ-ში წერილებს, რომელშიც წერდა იმათ შესახებ, ვინც მას ებრძოდა (იხ. იქვე). ფ. მახარაძემ ყრილობას მოახსენა: „მე შარშან გავიგე, რომ ამხ. სტალინმა, რომელმაც მიიღო ინფორმაცია ჩვენში არსებული მდგომარეობის შესახებ, სათანადო შეფასება მისცა როგორც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას, ისე ამიერკავკასიის სამხარეო ხელმძღვანელობას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ეს ხელმძღვანელობა გაკოტრდა... რომ მამულიას, ქართველიშვილის შეცდომები აღმოჩენილია სტალინის მიერ. როცა აკ. ბიუროში დაისვა საკითხი ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი, ქართველიშვილი ისევ მამულიას აყენებდა, მაგრამ იგი მარტო დარჩა (ბერია: განმარტოებული დარჩა!). როცა ცხადი გახდა ეს არ გავიდოდა დარჩა ქართველიშვილის კანდიდატურა. მე დიპლომატია დავუშვი (რაშიც აქ უნდა გამოვტყდე), რომ თავი დაგვეხსნა ამ კანდიდატურისაგან. ვამბობდი არ შეიძლება აკ. სამხარეო კომიტეტის მდივნის თანამდებობის შეთავსება საქართველოს კომპარტიის მდივნის მოვალეობასთან და მე ბოლომდე ამ შეთვისების წინააღმდეგი ვიყავი... ამაზე ველაპარაკებოდი ბერიასაც, ორახელაშვილსაც და სხვებსაც (მელაძე:მართალია). თათბირის უმრავლესობა დათანხმდა წამოეყენებინა ქართველიშვილი საქართველოს ცკ-ის მდივნის თანამდებობაზე. ამის შემდეგ ქართველიშვილმა გაგზავნა სტალინის სახელზე დაშიფრული წერილი: მამულიას შემდეგ საქართველოში ცკ-ის მდივნის კანდიდატურა არ არისო... ქართველიშვილებს თავისი ხალხი უნდოდათ ტყუოდნენ და საქართველოს კომპარტიას ცილს სწამებდნენ... მაშინ მე ვერაფერი გაუგე მამულიას და ქართველიშვილს (მაგრამ როგორც ჩანს ლ. ბერიამ ყველას ყველაფერი „კარგად გაუგო“ — ავტ.). საქმე იმაშია, რომ პლენუმის წინ ბელადთან ქონდათ ამათ ლაპარაკი, სერიოზული საუბარი საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ისინი ვალდებულნი იყვნენ წინასწარ ეცნობებიათ ეს ამიერკავკასიის და საქართველოს ბიუროებისათვის. პლენუმზე მოუთმენლად მოელოდნენ, რომ ამხ. ქართველიშვილი ბოლოს და ბოლოს მოგვითხრობდა სტალინის საუბრის შესახებ, მაგრამ განაცხადა ამ სხდომაზე ეს არ შემიძლიაო (მოხსენებისთვის მზად არა ვარო). უარს ამბობდა დაჟინებულ მოთხოვნაზე და ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდით პლენუმი გადადებულიყო. მეორე დღეს ქართველიშვილს უკვე ქონდა სტალინის პასუხი. ამხ. სტალინის დეპეშა მან თვითონ გამოაქვეყნა თავისი მოხსენების დროს, მაგრამ გამოტოვა ის ადგილები, რომლებიც მისთვის ხელსაყრელი იყო. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება ვითომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნობის ერთადერთი კანდიდატი ქართველიშვილი იყო, და იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი გახდა“... (იხ. იქვე, გვ. 122).

ფ. მახარაძემ თუ ამდენი იცოდა, ლ. ბერიას ასჯერ მეტი ეცოდინებოდა. მაშასადამე, მიახლოებით მაინც ცხადი ხდება, თუ რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა სტალინისთვის „პოლიტსამმართველოს", ანუ ლ. ბერიას, და რატომ ჩათვალა სტალინმა საჭიროდ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად, შემდეგ კი აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად იმ პიროვნების დაწინაურება, რომელიც საქართველოს უმაღლესი ცენტრის შიდა „სამზარეულოს" შესახებ დაწერილებით ინფორმაციას აწვდიდა და ახლა კი, საქართველოს ჩეკას და ამიერკავკასიის ჩეკას უფროსის ორ თანამდებობას ითავსებდა. სტალინმა უთუოდ იფიქრა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობაში არსებულ სიბინძურეს ყველაზე უკეთ ისევ ჩეკისტი ბერია მოუვლიდა. მაგრამ ბერიას ამ დაწინაურებაში, დამსახურებათა შექმნაში ი. ჟვანიას წვლილიც უთუოდ ურევია. იგი ხომ ჯერ კიდევ იმ დროს თავგამოდებით ამხელდა თავის მტრებს ბ. ლომინაძეს, ს. მამულიას და ძველი ხელმძღვანელების შეცდომებს და ამდენად, ი. ჟვანია ამ დროს ლ. ბერიას ბუნებრივ, უნებურ მოკავშირეს წარმოადგენდა. როგორი ურთიერთობა დამყარდებოდა მათ შორის იმის შემდეგ, როცა ლ. ბერია საქართველოს, შემდეგ კი ამიერკავკასიის ცენტრის ხელმძღვანელიც გახდა? იგი დაივიწყებდა ადრინდელ კონფლიქტს და ი. ჟვანიას მაღალი ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლებას შეუწყობდა ხელს თუ ძველ ურთიერთობებს განაკითარებდა? ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეებმა სწორად გათვალეს და მიიჩნიეს, რომ ბერია აღზევების შემდეგ ი. ჟვანიასთან ძველ მტრობას არ დაივიწყებდა. ამიტომაც მიიჩნიეს, რომ უკვე შეიქმნა ი. ჟვანიას ჩაქოლვის შესაძლებლობა და მის წინააღმდეგ წამოიწყეს დაუნდობელი ბრძოლა. ბრძოლის მთავარ იარაღად გამოიყენეს ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიას მიმართ ჯერ კიდევ 1925 წლის 13 სექტემბერის პუბლიკაციაში გამოთქმული ბრალდება და იგი კიდევ უფრო განაკითარეს. ლ. ბერია წერდა: „ი. ჟვანია მფარველობს ავტონომისტებს". ესენი წერენ: „ი. ჟვანია იბრძვის სამეგრელოს ავტონომიისთვის". ისიც ჩანს, რომ ი. ჟვანიას წინააღმდეგ გაყალბებული მეთოდებით ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, ლ. ბერიას მარჯვენა ხელი ერიკ ბედია, ხოლო ორგანიზატორია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი ლ. ბერია. მისი სანქციის გარეშე ე. ბედია ავტორიტეტის მქონე ძველ ბოლშევიკს ი. ჟვანიას ყალბი არგუმენტებით ბრძოლას ვერ გაუბედავდა და არც დაუწყებდა.

ლ. ბერიას საქართველოს ცკ-ის სათავეში მოსვლის შემდეგ ი. ჟვანიას წინააღმდეგ მიმართული ჩვენთვის ცნობილი 1931 წლის საჩივრებიდან ყველაზე ადრეული ეკუთვნის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრს, რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგეს ვალოდია ბოკუჩავას და ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრობის კანდიდატს, რაიონის პროფსაბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ პერტახიას. მათი კოლექტიური წერილი დათარიღებულია 1931 წლის 5 ნოემბრით. მისი მისამართებია: „საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ს; ასლი საკ. კპ(ბ) სამხარეო კომიტეტს, საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხ. სტალინს, ზუგდიდის რაიკომის ბიუროს" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 47-49). ერთი შეხედვით, საჩივრის ეტიკეტი დაცულია. მაგრამ სტალინი რა შუაშია, იმის რა გარდაუვალი აუცილებლობა არსებობდა, რომ სტალინს აწუხებენ მაშინ, როცა მისი მოწაფე და ადგილობრივი ბელადი მათთვის სავსებით საკმარისი იყო, რადგან ი. ჟვანიას ბერიას სახით მფარველი არ ჰყავდა. ჩვენი აზრით, აქ საიდუმლოება ის არის, რომ სურთ ბელადს ი. ჟვანია ახლებურად გააცნონ. სტალინი იმისთვის დასჭირდათ, რომ მისდამი ლ. ბერიას მიერ „მეგრულ საკითხზე" მიწოდებული ინფორმაცია გაამაგრონ და დამატებით დაადასტურონ.

წერილში ვკითხულობთ: „ჩვენზე დაკისრებული საქმის გამო, პარტიულ მოვალეობად მიგვაჩნია <u>განმეორებით</u> (! — ავტ.), წერილობით ჩამოგიყალიბოთ მეგრულ საკითხზე ზუგდიდის რაიკომის და რაიკომის მდივნის, ამხ. ჟვანიას

პოზიცია“. მაშასადამე, მათ ამ საკითხზე საუბარი უკვე ჰქონიათ ვიღაცასთან, მაგრამ არა სტალინთან.

წინა წერილიც იძებნება, მაგრამ მისი თარიღი რატომღაც 10 ნოემბერია. აქ აღწერილია 9-10 ნოემბრის და მასთან რეტროსპექტულად დაკავშირებული ვ. ბოკუჩავას 1931 წლის 13 თებერვლით დათარიღებულ წერილში შეტანილი (იხ. იქვე, ფურც.78-79) ს. მამულიასათვის მიწოდებული ამბებიც. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ პირველ საჩივრად მიჩნეული ჰქონდეთ 13 თებერვლის წერილი, რომლის შინაარსი წარმოდგენილი გვაქვს 10 ნოემბრის თარიღით. მასში ნათქვამია: ი. ჟვანიამ მიწოდაო ტროცკისტი, მენშევიკი და კონტრრევოლუციონერი; თითქოს ცკ-მა გამომძახა, მომცა ბომბი და დამავალა ზუგდიდის ბიურო შიგნიდან ამეფეთქებინაო; ცილი დამწამეს, თითქოს აზნაურობას ვიჩემებდი; ჟვანია არ დამეთანხმა, რომ მაფალუისტების ლიდერია მ. დადიანი... ჟვანიამ თქვა, მაფალუისტები ოდესღაც იყვნენ, ახლა არც ერთი ცოცხალი არ არისო, მითხრა — „დაანებე თავი მიშა დადიანს, მას შენზე მეტი პარტიული დამსახურება მიუძღვისო“, სამეგრელოს მოღალატე მიწოდა... ჟვანიამ სხდომაზე განაცხადა: „ქართველები სჩაგრავენ მეგრელებსო“, ოქმში კი არ შეუტანიათ; ხვიტიას მამა ყოფილი მაფალუისტია, რომელსაც დაუტოვებია მეგრული ლექსიკონი. ამ ლექსიკონს ჟვანია დღემდე ინახავს, როგორც „წმინდა წიგნს“...

დასმენის ავტორი საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ი. ჟვანიასა და ზუგდიდის ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგების (! — ავტ.) მავნე, კუთხური წვრილ-ბურჟუაზიული შოვინიზმის აღკვეთას (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც.78-79). ეს წერილი სცილდება ჩვეულებრივ დასმენა-საჩივრის კატეგორიას. ტერმინოლოგიური ბრალდებები არაფერია. იგი იმდროინდელი ურთიერთობის სტილის გამომხატველია. მთელი უბედურება ისაა, რომ:

1. ი. ჟვანია არ ეთანხმება ლ. ბერიას მიერ 1925 წელს მოცემულ მ. დადიანის შეფასებებს;

2. ი. ჟვანიას, ლ. ბერიასაგან განსხვავებით, ესახება, რომ „მაფალუიზმი“ ისტორიას ჩაბარდა;

3. ყოფილი ავტონომისტი მ. დადიანი ი. ჟვანიას პარტიის წინაშე დამსახურების მქონედ მიაჩნია;

4. ი. ჟვანია „სამეგრელოს მოღალატედ“ აცხადებს ყველა იმათ, ვინც მისი აზრის მოწინააღმდეგეა, მათ შორის კი როგორც ცნობილია, ლ. ბერიაცაა. ასეთი პარტიული ლიდერი კი, მისთვის იმთავითვე შეუთავსებელი იყო. იგი ამიტომაც მუშაობდა ი. ჟვანიას წინააღმდეგ. მაგრამ რატომ არის ეს წერილი პირველი, ხოლო 5 ნოემბრის ბოკუჩავა-პერტახიას წერილი განმეორებული? ალბათ, ცენტრმა ასე ინება, რადგან საჭირო გახდა საჩივრების ქრონოლოგიურ-თემატურად მოწესრიგება. ასეთი მაგალითები სხვა დროსაც არაერთხელ შეგვხვედრია.

ახლა რაც შეეხება ბოკუჩავა-პერტახიას 5 ნოემბრით დათარიღებულ წერილს. ავტორები აცხადებენ, „მეგრულ საკითხზე“ საქართველოს კომპარტიის ღონისძიებათა საფუძველზე ჩვენ გაგვაჩნია დადებითი შედეგებიო:

1. გლეხურ და საკოლმეურნეო მასაში მეგრული გაზეთის დანერგვით;

2. მოზრდილ მეგრულ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია მეგრული ენით;

3. მეგრულ ენაზე სააგიტაციო ხასიათის ბროშურებისა და პოლიტსწავლების სახელმძღვანელოების გამოცემით (იხ. იქვე, ფურც. 47). მერე, ეს განა მცირე მნიშვნელობისაა?! ეს ხომ ისაა, რაც ზოგს ე.წ. მეგრული ნაციონალიზმისა და სეპარატიმზმის გამოვლინებად ეჩვენება?! ეს ხომ „მეგრული საკითხით“ გათვალისწინებული ის უმთავრესი პრობლემებია, რომლის მოგვარების აუცილებლობას მოითხოვდა სამეგრელოს გლეხობა, ზუგდიდის ხელმძღვანელობა, რომელსაც აღიარებდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და მთავრობა და რომლის მნიშვნელობის მიფუჩეჩებასაც ბევრი მოწინააღმდეგე ცდილობდა! ეი. ბოკუჩავა და პერტახია ახლა უკვე იმეორებდნენ ხელისუფლების ოფი-

ციალურ პოზიტიურ შეფასებებს. ეს თუ ასეა, ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელთა დამსახურებაც აღიარებულია. მაგრამ არა, ამის თქმა არავის უნდა. სამაგიეროდ აღნიშნულია, რომ მეგრულ გაზეთს ახასიათებს ბევრი შემთხვევითი დეფექტი: გაზეთი ყურადღებას არ უთმობს მასების ინტერნაციონალურ აღზრდას, არ იბრძვის გადახრების წინააღმდეგ, არ ათავსებს ინფორმაციას მეზობელი რაიონების შესახებ. გაზეთი ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, შემრიგებლობას უშვებს „მაფალუისტების" მიმართ (მ. დადიანი, აკ. ჭანტურია და სხვა). ქობალიამ და ჭანტურიამ მონაწილეობა მიიღეს მეგრული ანბანის შექმნაში („ჯითა ჩხორია") და ი. ჟვანიას მიწვევით მეგრული გაზეთის გამოცემაში. ამ „კომპეტენტური" ხალხის გავლენით გაზეთი ასცდა ლენინურ გზას. ხელმძღვანელობა ი. ჟვანიას სახით გაზეთს აფასებს არა როგორც პარტიის და ხელისუფლების მიზანდასახულობებთან მასების დაახლოების საშუალებას, არამედ როგორც თვითმიზანს. გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი ი. ჟვანია მიილტვის ხელოვნურად დაუპირისპიროს მეგრული ენა ქართულ ენას და ამით დაამტკიცოს, რომ მეგრული ენა სრულყოფილად დამოუკიდებელი ენაა და აქვს სრულიად სხვა ძირები და განსხვავებული თვისებები (იხ. იქვე, ფურც. 47/2-48).

ბრალდების მიხედვით, გაზეთის გამოცემისთანვე ჟვანიას მაფალუელების აქტიური თანამშრომლობით შემოაქვს და იყენებს არქაულ მეგრულ, ასევე ხელოვნურად შეკოწიწებულ უაზრო სიტყვებს; ნაცვლად ქართული და მეგრული საერთო სიტყვებისა, შემოაქვს რუსული სიტყვები. დასმენის ავტორთა აზრით, ეს არის წვრილბურჟუაზიული შოვინიზმის გამოვლინება. ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა გ. გაბუნიას წერილი, რომელსაც ვურთავთ. მასზე ი. ჟვანიამ რეაგირება ვერ მოახერხაო. ისინი აცხადებენ, რომ ი. ჟვანიას ეს ხარვეზები გამოწვეულია იმით, რომ ისინი დაკავშირებული არიან „მეგრული ავტონომიის საკითხთან", გაზეთს გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყენებს მხოლოდ ქაღალდად, როგორც დეფიციტურ საგანს. სექტემბერ-ოქტომბერში ტირაჟი 17-დან 9 ათასამდე დაეცა (იხ. იქვე, ფურც.47/2).

მომჩივანთა თქმით, გაზეთის რედკოლეგიაში შედის მაფალუისტი ა. ჭანტურია, ი. ჟვანიამ სპეციალურად კოოპტაციის წესით შეიყვანა რედკოლეგიაში კულაკების სიაში მყოფი გ. ხვიტია. გალის რაიონი ემზადება გამოსცეს გაზეთი „კოლმეურნეში ხუმა" (კოლმეურნის ხმა). იგი დაიბეჭდება უბრალო გლეხის ენაზე. ი. ჟვანიამ ეს გაიგო, დაუპირისპირდა და ჩაშალა მისი გამოცემა.

დასმენის ავტორები ი. ჟვანიას ადანაშაულებდნენ იმის გამოც, რომ მან საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე უარი თქვა სკოლაში მეგრული ენით სწავლების შემოღებაზე, ახლა კი ამას მოითხოვს. კულტურისა და პროპაგანდის სექტორს ი. ჟვანიამ მოსთხოვა ლენინის ყველა 6 ტომის მეგრულ ენაზე გამოცემა, მაშინ, როცა ისინი ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ არის გამოცემულიო. ი. ჟვანია აგრეთვე მოითხოვს მეგრულ ენაზე ეკონომიკური, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის შექმნას, საკითხს სვამს განსაკუთრებით მეგრული კულტურის შექმნის შესახებ (იხ. იქვე, 47-48).

საჩივრის ავტორები იქამდე აზვიადებენ სამეგრელოს კულტურულ მიღწევებს, რომ უაზრობად მიიჩნევენ ზოგი დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მეგრული ენით სწავლებას. მშრომელი მეგრელი ხალხი ამის წინააღმდეგია, არავითარი სირთულე არ არსებობს ნათესაური ენის შესწავლაშიო.

ი. ჟვანიას დანაშაულებათა სახით სტალინს ატყობინებენ, რომ მან თითქოს „მაფალუელ ი. ქობალიას დაავალა სტატია „სამეგრელო რუსეთის პყრობელობის ქვეშ", პარტიიდან გარიცხულ მ. დადიანს კი „სამეგრელოს ისტორია უძველესი ხანიდან რუსეთთან შეერთებამდე". აქვე ნათქვამია, რომ მ. დადიანს აქვს გამოუქვეყნებელი წიგნი „ფილოსოფია და უბრძნესი ენა", აქებს მეგრულ ენას, მას უწოდებს „მსოფლიო მარგალიტს" და „ცოდნის ამოუწურავ მარაგს". „ერთ ადგილას იგი წერს, რომ „მეგრული სიტყვათაწყობა უპირველესია ევროპის, აზიისა და აფრიკისათვის." მ. დადიანის ამ ნასიბრძნს თურმე ნუ იტყვით, „დეტალურად იცნობს ამხ. ი. ჟვანია"... ავტორთა აზრით, „ასეთ ხალხს

რომ დავალებას აძლევ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ შოვინისტებთან პოლიტიკურ კავშირში ხარ“ (იქვე, ფურც. 48/2). დავუშვათ, რომ ეს მართლაც მოხდა. მაგრამ ვინ არის „ყაზაყიში გაზეთის“ თანამშრომელთა შორის „მაფალუელად“ დასახელებული „ი. ქობალია“? ე.წ. „მაფალუელებად“ ეჭვმიტანილ და ბრალდებულ ქობალიებს შორის გვხვდებიან „პილა“, „ალექსანდრე“ და „პლატონი“. ეს თუ ცნობილი ისტორიკოსი და ფოლკლორისტი იოსებ ტოტიას ძე ქობალიაა, იგი კოლხიდის მითოლოგიის სახელოვანი მკვლევარია. მისი მეცნიერული მონაგარი ი. ჟვანიას კი არა ივანე ჯავახიშვილსაც კი აღფრთოვანებდა და ქართველთა უძველესი რწმენის დადგენა-გაშუქებისას მადლიერებითაც ჰყავს მოხსენებული (იხ. თხზ. ტ. I, გვ. 156). რაც შეეხება მიშა დადიანს, იგი უმაღლესი განათლების მქონეა. მისი ნაშრომი არ შემოგვრჩა, მაგრამ რასაც მიაწერენ ასეთი თუ მართლა არსებობდა, იგი როგორც სამეგრელოს ისტორიით დაინტერესებული, სავარაუდოა, რომ იცნობდა ქართველ მეცნიერთა: ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის, იოსებ ქობალიას, პეტრე ჭარაიას, შოთა ბერაძის, სერგო გორგაძის და სხვათა ნაშრომებს. მათში მეგრელთა წინაპრები ცხადდებიან უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლებად და ვერბალურად უმდიდრესი პროტოქართული ენის მქონეთა მკვიდრეებად. ამ ნაშრომებში მ. დადიანს უნდა ამოეკითხა მსოფლიოს უძველესი მემატიანეების: ჰეკატე მილეთელის, ჰეროდოტეს, აპოლონიოს როდოსელისა და სხვათა საყრდენი ცნობებიცა და მეორე მხრივ, მეგრული ენის ცნობილ უცხოელ მკვლევართა მიერ გამოთქმული ვერსიები მეგრელთა წინაპრების არამარტო იაფეტური, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ხალხთა სხვა ურთიერთ გამომრიცხავ ინდოევროპულ, სემიტურ და თურანულ ენათა ჯგუფებთან ნათესაური კავშირის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული მისაღები და მცდარი ვერსიების დილეტანტურ-ტენდენციურ ათვისებას მართლაც შეეძლო მეგრელთა წინაპრების მსოფლიოს მთელი რიგი ერების საწყისად, ხოლო ქართველ ტომთა შორის განსაკუთრებული ღირსების მქონედ გაგება. მსგავსი ცდომილებების გარეშე არ არსებობდა იმდროინდელი კვლევა-ძიება, მითუმეტეს სამეგრელოს ავტონომიით დაინტერესებულთა მეცადინეობა. მაგრამ მის გამო პოლიტიკური ბრალდებების წამოყენება უთუოდ მიზნობრივია.

წინამდებარე წიგნის სათანადო საკითხების განხილვის დროს ჩვენ საუბარი გვქონდა ამიერ და იმიერ ქართველთა შორის შენიშნული ქილიკის შესახებ. მსგავს გამოვლინებას ვხედავთ, როცა ზოგი მეგრელი თვისტომს აცხადებს „პირველი სორტის ქართველებად“. თუმცა ეს გარკვეულ სიმართლესაც ასახავს. ჯერ ერთი, ზოგი მეცნიერ-კვლევარის საყურადღებო მიგნებებზე დაყრდნობით ცნობილი ავტორები ა. შონია, კ. შელია და სხვ. აღნიშნავენ, რომ მეგრელთა წინაპრებს ქართველი ერისა და საერთო ეროვნული ლიტერატურულ-სახელმწიფოებრივი ენის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. მეორე, როგორც გრიგოლ რობაქიძე გვახასიათებს, ქართველებს მეორე კაცი არა გვყავს, რადგან საკუთარი პიროვნება ყველას პირველ კაცად მიგვაჩნია. მეგრელები ამ გაგებითაც დანარჩენ პირველ ქართველებს შორის პირველები არიან. მაგრამ ამის გამო მათ მიმართ „მეგრული ნაციონალიზმის“ ბრალდება აბსურდია.

დასმენის ავტორთა მტკიცებით, ი. ჟვანია ეწევა გლეხების ყოველმხრივ დამუშავებას. ზუგდიდიდან ვრცელდება პროვოკაციული ხმები, რომ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის გადარჩენის გარანტიას წარმოადგენს „სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნა“. ამიტომ მის წინააღმდეგ წასვლას სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, საბინაო და საგზაო მშენებლობის წინააღმდეგ წასვლად აცხადებსო. დამსმენგამყალბებლები წერენ:

„ამხ. ჟვანია <u>ავტონომიური</u> (!? — ავტ.) ოლქის აუცილებლობის მოტივირებას ახდენს სამი გარემოებით:

1. „მეგრული საკითხის“ გამო ცკ-ის ღონისძიებები ცხოვრებაში არ ტარდება... მისი გატარება ავტონომიური (? — ავტ.) ოლქის გარეშეც შეიძლება.

2. პარტიული ხაზის გამრუდებას სიმინდის დამზადების დროს ზუგდიდის რაიონში ადგილი არა ქონდა, სხვაგან იყო. ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ა. კეკელიამ კი გამოავლინა, რომ ორულ-ერგეტაში სიმინდის დამზადების მყარი გეგმა საშუალო გლეხობაზეც დაიყვანება.

3. „ცოტა ხნის წინ ცალკეული ბანდიტური გამოსვლები იყო, ი. ჟვანია კი მას ხობისა და წალენჯიხის რაიონებისათვის დამახასიათებელ მოვლენად აცხადებსო. სინამდვილეში კი ბანდიტიზმს ადგილი ზუგდიდის რაიონშიც ჰქონდაო“. (იხ. იქვე, ფურც. 48/2-49).

დასმენის ავტორები წერენ: „ჩვენი აზრით ავტონომიური ოლქი გაუმართლებელია ეკონომიკურადაც და პოლიტიკური მოსაზრებებითაც“. ამის მიუხედავად, ი. ჟვანიას აგენტები ანვითარებენ პროვოკაციას, თითქოს მან „მოსკოვიდან ჩამოიტანა ავტონომიური ოლქი და თითქოს ამიტომ არავის აქვს უფლება იგი უარყოს“, ამ დასმენის ყველა დეტალის მოყვანის აუცილებლობა არ არსებობს. ძირითადი აზრი გასაგებია, მის მიხედვით ისე გამოდის, რომ ი. ჟვანია ავტონომისტი მაფალელი და ნაციონალისტია.

წერილის ავტორები მოითხოვენ მათი ნათქვამის „შესამოწმებლად გამოიყოს კომისია“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ფურც.49). ეს „მხილებები“ ჯერ კიდევ მხოლოდ შესავალია. მაგრამ აქვე გვინდა მკითხველი გავაფრთხილოთ, რომ ეს და მსგავსი შემდგომი ინფორმაცია ასაზრდოებდა და ახლაც სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს ი. ჟვანიას, ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრის და საერთოდ „ჩხოუშიელების“ შესახებ იმ დროს ჩამოყალიბებულ ანტიქართულად გასაღებულ ოფიციალურ-სახელმწიფოებრივ ვერსიას. ამიტომ საჭიროა ყურადღებითა და კრიტიკულად მოვეკიდოთ ბრალდებებსაც და მათ საფუძველზე დამყარებულ არგუმენტებსაც.

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, გაითვალისწინებს, რომ ი. ჟვანიას ამ „მხილების“ შემდეგ საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე ცაკის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ ი. ჟვანია, როგორც ხელმძღვანელი შეაქო, სამაგალითოდ მიიჩნია. უფრო ადრე ზუგდიდის პარტიული აქტივის სხდომას ფ. მახარაძემ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნაში მხარდაჭერა აღუთქვა. ყრილობამ კი ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის მდივნის მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციების სარედაქციო კომისიაში შეიყვანა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრად აირჩია (იხ. საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 161, 212), ნაცვლად იმისა, რომ პერტახია-ბოკუჩავას დასმენის შემოწმების შემდეგ დაეპატიმრებინათ. დიახ, უნდა დაეპატიმრებინათ, თუნდაც იმის გამო, რომ ი. ჟვანიამ სტალინს 1929 წელს „მეგრული საკითხის“ მოსაგვარებლად თანხმობა „გამოსძალა“ სამეგრელოს ოლქის, მეგრული პუბლიკაციების, მეგრულ ენაზე დაწესებულებებსა და სასამართლოში ურთიერთობის დაშვებასა და დაწყებით სკოლაში მეგრული ენით სწავლაზე, ეხლა კი, როგორც დასმენის ავტორები „ასაბუთებენ“, თურმე ი. ჟვანია თავის ანტიქართული მიზანდასახულობით იკრებს საქართველოს მტრებს სამეგრელოს ავტონომიისათვის, მეგრული კულტურის შექმნის, სკოლის მეგრელიზაციისა და დანარჩენ საქართველოსთან სამეგრელოს დაპირისპირებისათვის საქმიანობს — ასეთი კაცი მოსაშორებელია, აბა რისი ღირსია?! მაგრამ ი. ჟვანიას აღზევება ყრილობაზე ამთავითვე გვარწმუნებს, რომ დასმენა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. როგორც ჩანს, სტალინის გაცურება არც ისე იოლი ყოფილა, როგორც პერტახიასა და ბოკუჩავას დამკვალიანებლებს ეგონათ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის პარტიულმა ცენტრმა და ი. ჟვანიამ ადვილად გამოააშკარავეს დამბეზღებლები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა ზუგდიდის რაიონში შემავალი სკოლების ხელმძღვანელთა და ქალაქის მასწავლებელთა წარმომადგენლების იმ

თათბირის რეზოლუცია, რომელიც გაიმართა 1931 წლის 11 ოქტომბერს, ანუ ბოკუჩავა-პერტახიას მეორე წერილის შედგენამდე. თათბირის რეზოლუციიდან ჩანს, რომ იგი ჩატარებულა „ჭითა ჩხორიას" პირველი გამოცემის შესახებ დაწერილი რეცენზიის და მასთან დაკავშირებული საკითხების გამო. რეზოლუციის I და II მუხლები დადებითად აფასებენ მეგრული საანბანო წიგნის „ჭითა ჩხორიას" მნიშვნელობას ქართული ენის არმცოდნე რაიონებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციაში მომხდარ იმ მნიშვნელოვან ძვრებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხერხდა მეგრული ენის გამოყენებით: 1928-1929 სასწავლო წელს მომზადებულა 200 კაცი, ხოლო „ჭითა ჩხორიას" შემოღებით მოკლე დროში წერა-კითხვა უსწავლებიათ 8 000 კაცისათვის. ამასთანავე რეზოლუციაში დაფიქსირებულია ხარვეზები, რომლებიც ახსნილია წიგნის მომზადების დაჩქარებითა და სათანადო დახმარების გაუწევლობით. აქ ნათქვამია ისიც, რომ წიგნში გამოყენებულია ზუგდიდური და სამურზაყანოს დიალექტები. რეზოლუციის V მუხლის ბ პუნქტში ნათქვამია: „... სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია თითქოს და, ქართულის გაძევების ტენდენციას ქონდეს ადგილი... ჩვენ ვხმარობთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოსახლეობისათვის გასაგებია (განურჩევლად სიტყვების წარმოშობისა, ქართული იქნება ის, რუსული თუ სხვა... სიტყვა სტანცია, აკოშკა, პოლი, ზავოდი... რომელიც მათ არ მოსწონთ, მაგრამ... მათი შესაბამისი სიტყვები (ალბათ, ქართული სიტყვები — ავტ.) მეგრულში გაუგებარი იქნება". თათბირს უმსჯელია რეცენზიაში არნიშნული იმ ტერმინების შესახებ, რომლებიც მის ავტორს შესაცვლელად მიუჩნევია (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.59, აღ.1, ს. 10, ფურც. 15-17). როგორც ჩანს, მათი ნაწილი გაითვალისწინეს. ჩამოთვლილია 19 ტერმინი, რომლებიც უცვლელად დატოვეს. მათ შორის არის „დუდმახვენჯი". მაშასადამე, როგორც ჩანს, პერტახიას და ბოკუჩავას „ჭითა ჩხორიას" რეცენზენტის აზრი საჭირო დროს გამოუყენებიათ, მაგრამ მისგან განსხვავებით, ამაში ახლა უკვე „მაფალუიზმი" აღმოუჩენიათ. რა თქმა უნდა, იყო ბარბარიზმით გამოწვეული შეცდომები, მაგრამ ასე გააზვიადო?! როგორ შეიძლება საუბარი წვრილბურჟუაზიულ სუბიექტივიზმსა და ა. ჭანტურიას მაფალუისტობაზე, როცა იგი ყოფილა ამ თათბირის ერთ-ერთი ორგანიზატორი მონაწილე (სამდივნოს წევრი) და თანამზრახველი (იხ. იქვე, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 17). მეგრული ანბანის შექმნას რაც შეეხება, ესეც ტყუილია. ა. ჭანტურიას და ი. ქობალიას, როგორც „ჭითა ჩხორიადან" ჩანს, ქართული ანბანი აქვთ გამოყენებული და მხოლოდ ის ორი ასო დაუმატებიათ, რომელთა ბგერითი გამოთქმა და ასო ქართულში არა გვაქვს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ბგერა „ყ"-სთან მიახლოებული ბგერის გამომხატველი ისევ ქართული ასოს „ყ"-ს შებრუნებით გამოსახული „Ҭ". წერილში შეინიშნება, რომ ავტორები მ. დადიანს და „მაფალუს" ახსენებენ ი. ჟვანიასა და სხვათა შეცდომების დანაშაულობამდე გაზრდის მიზნით. სიტყვა „მაფალუისტებს" პეტრახია და ბოკუჩავა, როგორ ვნახეთ, „ადგილობრივი შოვინისტების" გაგებით ხმარობენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეგრულ ბეჭდით პროდუქციაში დაშვებული შეცდომების შესახებ გ. გაბუნიას კრიტიკული წერილი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თვით „ყაზაყიში გაზეთმა" (1.VI.1930) გამოაქვეყნა. დამსმენები კი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქოს ი. ჟვანია ამ და მის მსგავს რეცენზიას მტრულად მოეკიდა.

ახლა გავარკვიოთ, რატომ მიაჩნიათ ვ. პერტახიას და მ. ბოკუჩავას მაფალუისტებად და ადგილობრივ შოვინისტებად ი. ჟვანია და სხვანი. წერილში ნათქვამია, რომ ი. ჟვანია გაზეთის ენობრივ საკითხებს „მეგრული ავტონომიის" საკითხს უკავშირებს, „მაგრამ გლეხები მას იყენებენ როგორც მხოლოდ „დეფიციტურ საგანს". მათი აზრით, გაზეთისადმი გლეხობის დაუინტერესებლობით აიხსნება ის, რომ მისი ტირაჟი სექტემბერ-ოქტომბერში 17 ათასიდან 9 ათასამდე დაეცა. ჩვენ კი ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ გაზეთის ტირაჟი შეამცირა მისი ხელოვნურად განდევნის მცდელობამ, რასაც მოჰყვა წალენჯიხის გლეხო-

ბის უარყოფითი რეაქცია და სტალინთან საჩივრის გაგზავნაც. დიახ, გლეხობა „ყაზაყიში გაზეთის“ თამბაქოს შესახვევ-მოსაწევად და სხვა მოთხოვნილებითაც ხმარობდა, მაგრამ წაკითხვის შემდეგ. მეგრული გაზეთის საჭიროებას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, პერტახია და ბოკუჩავაც აღიარებენ და მას ქართული ენის არმცოდნე მეგრელ გლეხობამდე პარტიის დირექტივების დაყვანისათვის აუცილებლობად მიიჩნევენ. „კრიტიკულ“ წერილში საუბარია გაზეთის რედაქციაში „მაფალუელ“ ა. ჭანტურიას და კულაკ გ. ხვიტიას შეყვანის და გალში მეგრული გაზეთის („კოლმეურნეში ხუმა“ – კოლმეურნის ხმა – აეტ.) გამოცემის ჩაშლის შესახებ. ყველა ეს დანაშაული მათ ი. ჟვანიას და რედაქციის მუშაკებს მიაწერეს. სინამდვილეში ა. ჭანტურია ქართული კულტურის მოამაგე გახლდათ. მას უმაღლესი განათლება ინგლისში ჰქონდა მიღებული, ცოლიც ინგლისელი ჰყავდა. იგი ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად 1921 წელს დანიშნეს და ამის შემდეგ არამარტო ამით აწარმოებდა ეროვნულად სასარგებლო სამეცნიერო მუშაობას, არამედ ყოველმხრივ უწყობდა ხელს თბილისიდან ზუგდიდში ჩამოსულ მეცნიერ-მუშაკებს. მის დანატოვარ პირად არქივსა და ბიბლიოთეკაში ქართველ მეცნიერთა მადლიერების გამომხატველი არაერთი წერილი ინახება, „ბოლშევიკურ ქოთნისა“ თუ განძის აღმომჩენმა, არქეოლოგმა პ. მირიანაშვილმა ა. ჭანტურიას სამეგრელოში არქეოლოგიური გათხრების შესახებ გამოცემული საკუთარი მონოგრაფია მიართვა წარწერით, რომელშიც ა. ჭანტურია „ეროვნული საქმის თანამდგომად“ მოიხსენია. ა. ჭანტურია აქტიურად თანამშრომლობდა მეგრულ ენაზე გლეხური ლიტერატურის თარგმნა-გამოცემის საქმეში. ეს იყო წესდებები, „ჭითა ჩხორია“, „საკოლმეურნეო არტელის წესდება“, „ყაზაყიში გაზეთი“. თავად სოფელ ჯვარში იყო დაბადებული და გაზრდილი. ალბათ ამიტომ იყო, რომ ა. ჭანტურიას თანამშრომლობით გამოცემულ გლეხურ ლიტერატურაში სამურზაყანოს გლეხობაში შემორჩენილ სიტყვებთან ერთად ჯვარში გავრცელებული სიტყვებიც იყო გამოყენებული. ეს სიტყვები იმერული და გურული ქართველებით დასახლებული ტერიტორიის მოსაზღვრე, ფოთის, სენაკისა და მარტვილის რაიონების მკვიდრთათვის მართლაც არქაული იქნებოდა. მაგრამ „ჭითა ჩხორია“, „ყაზაყიში გაზეთი“ და სხვა გლეხური პროდუქცია მთელი სამეგრელოსათვის იყო განკუთვნილი და გაუგებრობების საფუძველიც მნიშვნელოვანწილად ამაში იყო. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ცნობილმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა აკ. ჭანტურიას ღვაწლს ეროვნული მნიშვნელობის შეფასება მისცა, პერტახიას და ბოკუჩავას კი მავანთა დავალებით თუ იმედით მიზნად დაუსახავთ მისი სეპარატისტად გასაღება.

რაც შეეხება გ. ხვიტიას, სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ იგი არც კულაკი ყოფილა და არც „ყაზაყიში გაზეთის“ რედაქციის მუშაკი. გ. ხვიტიას მოქალაქის უფლება უმართებულად აპყარეს, შემდეგ კი „შეცდომა“ ცილისწამებამდე ჯერ კიდევ 7 თვით ადრე – 1931 წლის 4 თებერვალს გამოასწორეს რამიშვილის კომისიის გამოკვლევის საფუძველზე (იხ. ზუგდიდის რაიკომის ბიუროს დადგენილება. იქვე, ფურც. 25-26). ეს არ შეიძლებოდა არა სცოდნოდათ რაიკომის ბიუროს წევრებს ბოკუჩავას და პერტახიას, მაგრამ მათთვის მთავარია არგუმენტები, თუნდაც იგი იყოს ტყუილი. ამასთან, იგი გაზეთის მხოლოდ უბრალო ტექნიკური მუშაკი იყო. სხვა პრეტენზიებიდან ი. ჟვანიას მიმართ აღსანიშნავია საჩივარი გალის გაზეთის გამოცემის ჩაშლის გამო. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ზუგდიდიდან გალში დახმარებისათვის მივლინებული „ყაზაყიში გაზეთის“ თანამშრომლის იასონ იზორიას წერილი (1930 წ. ოქტომბერი) და „სკპ(ბ) ცეკას“ მიმართ ზუგდიდის რაიკომის საბანადო განმარტება (16.X.1931). საიდანაც ჩანს, რომ ი. იზორია „ყაზაყიში გაზეთში“ მუშაობის პერიოდში საფუძვლიანად გასცნობია გალის გლეხობის სალაპარაკო ენას. გალში ჩასვლის შემდეგ ენთუზიაზმით უმუშავია, გაზეთის მოწინავე წერილიც მოუმზადებია და რაიკომის მდივანთან, იგივე რედაქტორთან (ბოკუჩავა) შეუთანხმებია. ამ დროს რაიკომის მდივანს თბილისში ჩასვლა

მოუხდა. დაბრუნებულს მოწინავე აღარ მოეწონა და მოითხოვა მეგრულის ნაცვლად რიგი ქართული ტერმინების ჩასმა. მაგალითად: „ეიონწყუმე“ (ამოცანა), „დუდმახვენჯი“ (თავმჯდომარე), „პიჯალა“ (პირობები), „მელამოსე“ (მდივანი), „ოკითხუ“ (საკითხი), „პლანი“ (გეგმა) და სხვა. ი. იზორიას რაიკომის მდივნისათვის უთქვამს: ქართული ტერმინები შეიძლება გასაგები იყოს ინტელიგენტებისათვის, მაგრამ გლეხობისათვის გაუგებარი იქნება. არსებობს მეგრულ ენაზე წერის უკვე ჩამოყალიბებული სტილი, რომელსაც იყენებს „ყაზაყიში გაზეთი“, რომლის ტირაჟი დღითიდღე იზრდება (1930 წ. ოქტომბერია, — ავტ.). მაშასადამე, იგი გლეხებისათვის მისაღებია. რაიკომის მდივანრედაქტორი თავისას არ იშლიდა. ალბათ, თბილისში ასე მოითხოვეს. ამის გამო ი. იზორიამ გალის გაზეთში მუშაობაზე საკითხის მოგვარებამდე თავი შეიკავა. ამის შესახებ ი. იზორიამ გალის რაიკომს წერილი გაუგზავნა, შემდეგ კი იგივე წერილი ზუგდიდის რაიკომსაც მიაწოდა. ზუგდიდის რაიკომის განმარტებაში „სკპ(ბ) ცკ-ის“ მიმართ ნათქვამია: ბოკუჩავას მოთხოვნა ემსახურება არა ინფორმაციის გლეხობამდე დაყვანას, არამედ „შეიძლება „სხვების“ დავალებით, უფრო უწმინდეს“ (მეგრული გამოცემის გაზეთის ჩაშლის — ავტ.) მოვალეობას... საჭიროა სასწრაფოდ თქვენი განმარტება გალის რაიკომის კომიტეტისადმი, გაზეთის დანიშნულების შესახებ“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 1-4). მაშასადამე, მას სურს, გასაგები გახდეს, რომ გაზეთი ქართულის არმცოდნე გლეხებისთვისაა განკუთვნილი და არა იმ ინტელიგენტებისთვის, რომლებმაც ქართული მეგრულზე არანაკლებ იციან. ამ საქმეში ი. ჟვანიას უარყოფითად ჩარევის შესახებ წყარო არ იძებნება. როგორც ჩანს, იგი შეთხზეს წერილის ავტორებმა. მაშასადამე, ზუგდიდის რაიკომს კი არ ჩაუშლია გალში იმ დროს მეგრული გაზეთის გამოცემის უაღრესად საჭირო, შეიძლება თამამად ითქვას, ეროვნული მნიშვნელობის საქმე, არამედ იმას, ვინც მეგრული გაზეთი უტაქტო ჩარევით ამოაგდებინა და მის ნაცვლად რუსული გაზეთების დანერგვას ხელი წაუხმარა. ამასთან დაკავშირებით არქივმა შემოგვინახა გალის რაიკომის ბიუროს წერილი „საქართველოს კომპარტიის ცეკას“. მასში ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს დადგენილებით ზუგდიდის სტამბის ბაზაზე უნდ გამოსულიყო გალის რაიონული გაზეთი მეგრულ ენაზე, მაგრამ ეს ტერმინოლოგიური საკითხების საბაბით ჩაშლილა. რაიკომის ბიუროს წერილში, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერს რაიკომის მდივანი ნ. ბოკუჩავა, გაზეთის გამოცემის ჩაშლის მიზეზად დასახელებულია ის, რომ თითქოს: ჟვანია „ყაზაყიში გაზეთის“ სიტყვის წარმოებაში ხედავს სამეგრელოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეგრულ ენას, რომელსაც თავს ახვევს მეგრელებით დასახლებულ სხვა რაიონებს. „მას არ აწყობს გასაგებ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა, რადგან იგი ხელს არ აძლევს მეგრელ ნაციონალისტ-შოვინისტებს, რომლებიც მხოლოდ დიდი სამეგრელოს შექმნაზე ფიქრობენ“. გალის რაიკომის ბიურო ცკ-ის სთხოვს ზუგდიდის სტამბისადი კატეგორიული წინადადების მიცემას ან ერთ-ერთი სტამბის რაიონში გადასროლას (იხ. იქვე, ფურც. 88,4). როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიურ საკითხებზე შეუთანხმებლობის ბუზი ი. ჟვანიას არარსებულ სეპარატისტული მისწრაფების სპილოდ გადაიზარდა. არ ჩანს, რომ აღნიშნულის გამო ვინმემ მედიატორის როლი შეასრულა. ი. ჟვანიას არც ლ. ბერია გამოქომაგებია.

ბოკუჩავა–პერტახიას წერილში საქმე ისეა წარმოჩენილი თითქოს ი. ჟვანია სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანისა და გამეგრელებისათვის იბრძოდა. ასეთი წყარო არ ჩანს. როგორც ადრე გვქონდა საუბარი, ი. ჟვანია და ზუგდიდის ინტელიგენცია მეგრულ ენაზე სწავლების საკითხს ქართულის არმცოდნე სოფლის სკოლების მხოლოდ I და II კლასებში მოითხოვდა. განა ეს სკოლის გამეგრელებაა? მაშასადამე, ამ ორი განსხვავებული ამბის გაიგივება ბრალეულობათა გაზრდას ემსახურება.

დასმენის წერილის ავტორები მართალი არ არიან, როცა წერენ, თითქოს „მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს არ ესმის ქართული კარგად და ისიც არა ყველა რაიონებში, თანაც, ეს პრობლემა დიდი ხანია ბოლშევიკურად გადაწყდაო". ფაქტები მოწმობენ, რომ ანტიმეგრულად განწყობილი მეგრელი დიდკაცობა, უპირატესად გალის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს პარტოკრატია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობის წამხედურებით და წაქეზებით რუსულად მეტყველებდა, აფერხებდა „მეგრული საკითხის" გამო მიღებულ დადგენილებებში ჩადებულ მოთხოვნებს: სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის მეგრულ ენაზე წარმოებას, მეგრული ენისა და გლეხური ლიტერატურის გამოყენებით წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას, „თავიანთ" რაიონებში მეგრული გაზეთის გავრცელებას და ეს ქმნიდა პრობლემას.

ვ. ბოკუჩავა და მ. პერტახია წერენ: „ჟვანია სულაც არ არის მართალი გლეხობა სკოლაში (კი არა I და II კლასში, ისიც ზოგან — ავტ.) მეგრულ ენაზე სწავლას მოითხოვსო. პირიქით, მშრომელი გლეხობა ასეთი ღონისძიებების წინააღმდეგია". დაკვირვებულ მკვლევარს ასეთი შინაარსის სხვა დოკუმენტის მოძებნაც შეუძლია. მაგრამ ისინი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხალხში ყალბი ხმების გავრცელებით იყო ნასაზრდოები და „გლეხობის" ამ საკითხთან დაკავშირებული შეშფოთების გამომხატველი კრების ოქმის ამონაწერებიც, ყალბად იყო შეკოწიწებული.

ბოკუჩავამ და პერტახიამ თავიანთ წერილში კიდევ ერთხელ ახსნეს ი. ჟვანიას მიერ ავტონომიური ოკრუგის მოთხოვნა. მათ ნაწერებში „ავტონომიური" მიზნობრივად აქვს წამძღვარებული ი. ჟვანიას მიერ ოლქის მოთხოვნის ყველა არგუმენტს. ჩვენ კი ვიცით, რომ ი. ჟვანიას ოლქის მოთხოვნასთან, ავტონომიის მოთხოვნა არასდროს მიუსადაგებია. არარსებულის დაბრალების ეს მაგალითები იყო ბოროტი ხმებით ნასაზრდოების რეალურად გასაღების მცდელობა. მაგრამ ისიც იყო, რომ ზუგდიდში მცხოვრები ავტონომისტები ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნას აიგივებდნენ ავტონომიური ოლქის მოთხოვნასთან. მათ კი ამ ორის განსხვავებული სტატუსი იშვიათად თუ გაეგებოდა.

ახლა რაც შეეხება ვ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას „ეროვნულ" და „ლენინურ" თავგამოდებას მეგრულში შეტანილი გაუმართლებელი ტერმინების გამო. ჩვენ არაერთხელ ავღნიშნეთ, რომ ამ თვალსაზრისით მეგრულ ბეჭდვით პროდუქციას ხარვეზები მართლა გააჩნდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამაში ადრე თავისი დიდი წვლილი შეუტანიათ თვით ბოკუჩავასა და პერტახიას. „ყაზაყინი გაზეთის" სოფლკორებისა და სოფლსაბჭოების კონფერენციის მასალებით ირკვევა, რომ „თვით კულტპროპის სექტორის იმდროინდელი გამგის, ბოკუჩავას წინადადებით მიიღეს ტერმინები: „დუდმახვენჯი", „მელამოსე", „პიჯალები", „ბორჯი", და სხვა (იხ. იქვე, ფურც. 41/2), რაც ახლა მისსავე წერილში წარმოჩენილი იყო როგორც ი. ჟვანიას, ა. ჭანტურიას და სხვათა „მაფალულობის" ერთ-ერთი არგუმენტი. ვ. ბოკუჩავა ადრე თავად ილებდა მონაწილეობას ზუგდიდის რაიკომის მიერ იმ საკითხების შემუშავებაში, რომლებსაც ახლა თვითონვე ღვარძლიანად აკრიტიკებდა (იხ. იქვე, ფურც. 42/2).

მ. პერტახიას დაპირისპირება ი. ჟვანიასთან მოხდა საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე. როგორც საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის გ. სტურუასადმი შემდგომში (20.I.1932) გაგზავნილი მისი წერილიდან ირკვევა, იგი 1931 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიკომის ბიურომ გაათავისუფლა რაიაღმასკომის სოციალურ–კულტურული განყოფილების გამგის თანამდებობიდან და გადაიყვანა რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარედ. „ცეკას ოქტომბრის პლენუმის და 31 ოქტომბრის (1931 წ. — ავტ.) დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით ზუგდიდში თქვენი ყოფნის დროს, — წერს პერტახია გ. სტურუას, — მან, ამხ. ჟვანიამ, ვფიქრობ ჩემს შესახებ გადმოგცათ ყალბი ინფორმაცია, ვითომ რაიპროფსაბჭო ჩემი სახით, არ ემორჩილებოდა პარტიის რაიკომის ბიუროს და სხვა, რაც ჩანდა თქვენი სიტყვებიდან"...

არ გამოვრიცხავთ, რომ მართლაც ასე იყო. იქნებ, ჟვანიაც ტყუოდა, როგორც ეს მ. პერტახიას მიაჩნია. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: მათ შორის არ იყო კეთილი განწყობა, ეს კი გამოსადეგი მესამე მხარისათვის აღმოჩნდა. სინამდვილეში საქმე როგორც იყო, ამას მოწმობს აკ. ჭანტურიას წერილი, რომლის დედანი მან ვ. ბოკუჩავასა და მ. პერტახიას ბრალდებათა საწინააღმდეგოდ ზემდგომ ორგანოებს გადაუგზავნა და რომლის ასლიც მისმა პირადმა არქივმა შემოგვინახა. ზემოთ უკვე გვქონდა მოტანილი იმ ასლის ამონაწერი, რომელშიც აკ. ჭანტურია ეხება მის მიმართ შეთითხნილ ბრალდებებს. მაშინ წამოვწიეთ მის მიერ მოცემული „მაფალუს" რაობის გაგება. ახლა საჭიროა მოვიხმოთ ვ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას პიროვნული დახასიათება. ვნახოთ როგორ უდგება აკ. ჭანტურია მისი პიროვნებისა და საერთოდ მაფალუისტობის ბრალდებას. აკ. ჭანტურიას წერილის ასლში ვკითხულობთ: „როგორც გავიგე ჩემს შესახებ ხმა გაუვრცელებიათ, როგორც უპარტიო, ისე პარტიულთა შორის... ვითომ მე ვიყავი და ვიყო „მაფალოუუ"... ამიტომ ნება მომეცით მოგახსენოთ: სიტყვა „მაფალოუუ", რომელიც ჩემთვის უწოდებიათ არა ფაქტის დაყრდნობით, არამედ ჭორიკნობით ამ ორ პიროვნებას, ეკუთვნის ისტორიულ წარსულს, ისტორიას ჩაბარებულს მენშევიკების დროს, რომელ დროს მე საზღვარგარეთ გახლდით. გასაბჭოების შემდეგ ამ სიტყვას არავითარი ფაქტიური გასავალი და იოტის ოდენაც გასამართლებელი საბაბი არ მისცემია. 1925 წლის დასაწყისში ეს სახელი უწოდა უვიცმა ხალხმა <u>რამდენიმე კაცს</u> (! — ავტ.), რომლებმაც მთავრობის ნებართვის (გარეშე — ავტ.) გაზეთი „ნოთე" გამოუშვეს. როგორც ყველა გაზეთი, ესეც კულტურულ მიზანს ისახავდა განსაკუთრებით სხვა ენის უცოდინარი გლეხების დახმარებისათვის. რაცხა ფერად ეს გაზეთი საერთო წესის გამონაკლისი შეიქმნა და აკრძალული. აკრძალვა გამოუცდელი გამომცემლობის მხრივ უტაქტო მოქმედებამ გამოიწვია (ალბათ, ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობა აქვს მხედველობაში — ავტ.). გაზეთის გამომცემელი ხალხი იყვნენ პარტიულები, რომლებიც მოქმედებდნენ ხალხის მოთხოვნილების ალღოს აღებით. აქ მენშევიკების მიერ ძიება, სასამართლოს წესით, ათი წლის წინათ ჩახშობილი „მაფალუუ" რა შუაში იყო. არ გასულა ორი-სამი წელი გაზეთის დახურვის შემდეგ, რომ პარტია იძულებული გახდა (არ იკითხება, მაგრამ უნდა ყოფილიყო: თავად ეცნო მეგრული გაზეთის საჭიროება — ავტ.) და მეგრულ ენაზე ბეჭდვა დაკანონებული და განხორციელებული ფაქტი შეიქმნა, მაგრამ მისი მტრები და მტრების ლაქიები, როგორც ჩანს დღესაც არ გამოლეულან. ვიმეორებ, გასაბჭოების შემდეგ ამ სიტყვას არავითარი გასავალი არ ჰქონია მეგრულში. დღეს ეს სიტყვა არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ყოვლად გამოფიტულ ტფილისის ქუჩებში... შოვინისტური ელემენტების და იქაური მეგრელების პორტფელისტური და ლაქიებისათვის (ე.ი. ვინც ამით თამაშობსო — ავტ.). რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას ამ კულტურულ ბეჭდვით საქმეში, იწყება 1929 წლის აპრილიდან, ისიც ხელისუფლების დადგენილების თანახმად (ასლი თანდართულია). ჩემი მონაწილეობა იყო მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დავალებით (ასლები თანდართულია). არასოდეს არც ერთი ფურცელი შემისწორებია და არ გადამითარგმნია ხელისუფლების ზემდგომი პირების დაუვალებლად, რომელთა შორის უმთავრეს როლს თამაშობდა ვ. ბოკუჩავა. შესწორება და თარგმნისათვის არასოდეს არც ერთი კაპიკი არ ამიღია. თუ ვინმეს საბაბი ეძლევა მიწოდოს „მაფალუუ", მიტომ, რომ ხელისუფლების დავალებას უსასყიდლოდ ვასრულებდი, ხოლო ბოკუჩავა განბანული(ა) ამ სახელიდან, იმიტომ რომ მეგრული თარგმანისათვის ის იდებდა ჯიბეში, მაშინ მე ნება მომეცით წარუდგინო სათანადო თარგმანების ანგარიში, რათა ბოკუჩავასავით განბანული ვიქნე... და მეც შემეძლოს მას ვუწოდო („მაფალუუ").

ნამდვილია, რამდენიმე ხანს, სანამ რედაქტორს იშოვნიდნენ მე დამევალა „ყაზაყიში გაზეთის" რედაქციაში მუშაობა. თუ ეს ფაქტი ბოკუჩავას „მაფალუუბათ" მიაჩნია, ის ხომ იქ ჩემი უფროსი იყო და მის დავალებას ვასრულებდი.

ჩემი იქ ყოფნის დროს, პასუხისმგებელი რედაქტორის (ი. ჟვანიას — ავტ.) მიერ დავალება იყო არ გაგვეშვა არავის წერილი, ვინც „ნოთეს“ თანამგრძნობი ანუ თანამშრომელი იყო, მაგ. მ. დადიანი და სხვა. ამის შესახებ რამდენიმე მოწინავე წერილებიც დაიბეჭდა გაზეთში. მეორე წელია ჩემთვის არ უკითხავთ, რედაქციის წევრად რომ გამატარეს, ბოკუჩავაც ხომ ასეთი იყო და არის (ე.ი. წერილი დაწერილია ვ. ბოკუჩავას გაზეთის რედაქციიდან გამოყვანამდე — ავტ.). ბოკუჩავა და პერტახია ხომ აქტიური მონაწილეები იყვნენ „ყაზაყიში გაზეთის“, მე მხოლოდ ვიყავი დროებით ტექნიკური მუშაკი (იგი პირადი განცხადების საფუძველზე გაანთავისუფლეს 1930 წელს 26 მაისს — იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ღ. 6, ს. 266, ფურც. 83 — ავტ.). თუ ამ ორმა პიროვნებამ რაცხა მიზეზებისა გამო პირი იბრუნეს და „მაფალუუს“ სხვას ეძახიან, ნამდვილი ფაქტები და არა მოჭორილი ამბები ჩვენ სხვას გვეუბნებიან. ვიმეორებ, ამ ორი პიროვნების ნამოქმედარზე არავითარი სერიოზული ხასიათის მიცემა არ შეიძლება და მე პირადად არ ვაქცევ არავითარ ყურადღებას, მაგრამ თუ მოსალოდნელია ანუ უკვე გავლენა იქონია (დიახ, იქონია! — ავტ.) პარტიულ და პასუხისმგებელ პირებზე (და „მკვლევარებზეც“ — ავტ.), მაშინ მე კატეგორიულად მოვითხოვ რა წესითაც ეს შესაძლებელია ამ ორმა პიროვნებამ დამიმტკიცოს თუ რა მიზეზით მეძახიან „მაფალუუს“ (სტილი და სასვენი ნიშნები ავტორისეულია — ავტ.).

აკ. ჭანტურიას საპროტესტო წერილის შინაარსსა და გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი ხდება. იგი დამატებით ააშკარავებს ბოკუჩავა-პერტახიას მიზანდასახულობას. მათ ხვიტიას მამის მაფალუელობის მტკიცება ვერ მოაქვთ. იგი „მაფალუილი“ რომც ყოფილიყო, მისი ე.წ. „წმინდა წიგნი“, ანუ ლექსიკონი, „ყაზაყიში გაზეთის“ პასუხისმგებელ რედაქტორს ი. ჟვანიას აუცილებლად დასჭირდებოდა. აქ დანაშაული არ იძებნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. ხვიტია კულაკთა სიაში შეცდომით შეიყვანეს, ეს ჯერ კიდევ 1931 წლის 4 თებერვალის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს სხდომაზე დადასტურდა (იხ. საქ. პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც. 26). მაშასადამე, ყალბი არგუმენტები მეღავნდება. აკ. ჭანტურიას წერილიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ მაფალუელობის ბრალდება, სტალინის სიტყვა რომ ვიხმაროთ, „სიტყვის ხერხი“ იყო და იმ თამაშისთვის სჭირდებოდათ, რომელმაც თვით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ 1925 წლის 3 სექტემბერსა და სხვა დროს აღიარებული „მეგრული საკითხის“ მოგვარებით გათვალისწინებული უფლებები პოლიტიკურად დააკონსერვა, გააბიბრუა, შემდეგ ნაადრევად აღკვეთა და თან არარსებული „მეგრული სეპარატიზმი“, ანუ „მაფალუიზმი“ „რეალურ“ საშიშროებამდე გააზვიადა.

ახლა გავარკვიოთ ი. ჟვანიას და საქართველოს კომპარტიის ახლად დანიშნული ცეკას მდივნის, ლ. ბერიას ურთიერთობა. ი. ჟვანია თავის ერთ წერილში ჯერ კიდევ ადრე წერს: „1929 წლის 26 მარტის დადგენილება ჩვენს მოთხოვნილებებს სრულად არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მისით და შემდგომი გადაწყვეტილებით შებოჭილი ვიყავით, არ შეგვეძლო სამეგრელოს საკითხების წამოყენება. მაგრამ საქართველოს კომპარტიიის ხელმძღვანელობის შეცვლამ ბიუროს შესაძლებლობა მისცა კვლავ დაეყენებინა ცენტრალური ორგანოების განსახილველად სამეგრელოს „ოკრუგის“ საკითხი“ (საქ. პრეზ. არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 42/2). მას შემდეგ, როცა ლ. ბერია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად დაინიშნა, ი. ჟვანია შეეცადა „მეგრული საკითხის“ მოგვარებას მასთან შეთანხმებითა და მისი მხარდაჭერით. მან 1931 წლის 20 ნოემბერს მის ცილისმწამებელ ცკ-ის მდივანს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „თქვენთან მოლაპარაკების თანახმად (19.XI.31წ.) გიგზავნით მეგრული საკითხების შესახებ დოკუმენტებს, საკითხის საქ. კპ(ბ) ბიუროში გადასაწყვეტად. ეს საკითხი არაერთხელ იქნა განხილული, მაგრამ არც ერთხელ არ მიიღო სწორი გადაწყვეტა, ამიტომ ზუგდიდის პარტორგანიზაცია საქ. კპ(ბ)

ცკ-ს ახალი ბოლშევიკურ-ლენინური ხელმძღვანელობის წინაშე ხელახლა აყენებს გადასაწყვეტად რაც გამოიხატება შემდეგში:

1) მაფორმდეს სამეგრელოს „ოკრუგი" იმ რაიონებისაგან, რომლის მშრომელების უმრავლესობას არ ესმით ქართული ენა;

2) ნება დაერთოს მითითებული რაიონების დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ, ე.ი. მეგრულ ენაზე. ჩამოთვლილია: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, ნაწილობრივ მარტვილის, აბაშის და ფოთის რაიონები" მიმართვას ერთვის რიგი სათანადო დოკუმენტებისა.

ი. ჟვანიას ეს წერილი ცკ-ში მიულიათ 20 ნოემბერს (იხ. იქვე, ფურც. 27). ე.წ. მოწინააღმდეგეებმა კი მაინც დაასწრეს, ანუ „ზევიდან" დაასწრებინეს. როგორც ჩანს, ლ. ბერიამ, ვ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას წერილი ზუგდიდის რაიკომს განსახილველად გადაუგზავნა. შემდეგ ბერიამ ამ სხდომის სტენოგრამული ანგარიში და დამატებითი დოკუმენტაციაც მოითხოვა. სათანადო დოკუმენტიდან ჩანს, რომ „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს", ანუ ბერიას, 1931 წლის 28 ნოემბერს უკვე 11 დასახელების დოკუმენტი ეგზავნება მ.შ. ი. ჟვანიას მამხილებელი სხვათა და ბოკუჩავა-პერტახიას წერილებია (იხ. იქვე, ფურც. 44). ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გადაეგზავნა აგრეთვე ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1931 წლის 5 დეკემბრით დათარიღებული სხდომის ოქმი №3, ანუ სტენოგრამული ჩანაწერი, და 11 ნოებრით დათარიღებული ოქმი №4. ამის შემდეგ კი, 10 დეკემბერს „სამეგრელოს საკითხის შესახებ" რვაგვერდიანი მამხილებელი წერილი გადასცა ჩხოროწყუს რაიკომის მდივანმა აკაკი კობახიძემ. ცხადია, ლ. ბერია მეთოდურად უყრიდა თავს „მეგრული საკითხის" გარშემო არსებულ აზრებს. მან ისედაც ყველას აზრი იცოდა და საჭიროების მიხედვით იყენებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა როგორც საქართველოს კომპარტიის მდივანს, სათანადო დოკუმენტაცია სჭირდებოდა საქართველოს პარტიული ელიტის აზრის საკუთარ პოზიციებთან შესაჯერებლად და ამ აზრით საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად. როგორც ვხედავთ, ბერიამ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ხელი მიჰყო არა „მეგრული საკითხის" შესწავლას, არამედ მის მართვას. მან ერთმანეთს დაუჯახა ორი მოწინააღმდეგე მხარე, მაგრამ ე. ბედიას მეშვეობით ისე გააკეთა, თითქოს „მეგრული საკითხის" გამო დაპირისპირება სპონტანურად აღმოცენდა. ბერია „მეგრულ საკითხს", როგორც არაერთხელ აღენიშნეთ, არამარტო კარგად იცნობდა, არამედ თვითონ მართავდა ტოტალიტარიზმისა და ქართული სახელმწიფოს უნიტარიზმის პრინციპების შესაბამისად. მან ისიც „კარგად იცოდა", რომ სამეგრელოს და საქართველოს სხვა კუთხეების საოლქო ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება გარკვეულად ფედერალიზმის და ავტონომიზმის ელემენტების დაშვება-გაძლიერებასაც გულისხმობდა, რაც მის ინტერესებს პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა. ამის გარდა ბერიამ კარგად იცოდა, რომ ზუგდიდში იყვნენ ავტონომიის მომხრეები, რომლებიც მუდმივად უმღერევდნენ წყალს საქართველოს ცენტრის ძველ ხელმძღვანელობას. ჯერ კიდევ მის საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნად დანიშვნამდე საკავშირო ცეკას პასუხისმგებელმა ინსტრუქტორმა ა. ფრენკელმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამოკვლევის საფუძველზე, წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც აკრიტიკებდა საქართველოს ძველი ხელმძღვანელობის „დიდპყრობელურ" დამოკიდებულებას სამეგრელოს მიმართ. ამის ყველაზე არსებით მაჩვენებლად კი მოსკოვიდან მოვლენილი ინსტრუქტორი საკავშირო ცეკას ჩააგონებდა „ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების თავგადადებული და ხანგრძლივი მოთხოვნების მიუხედავად, 300 ათასი მეგრელის ავტონომიურ ოლქად გაერთიანების უგულებელყოფას". პასუხისმგებელი ინსტრუქტორი წერს, რომ „ეს საკითხი არც კი იყო განხილული, არც საქართველოს ცეკას და არც სამხარეო კომიტეტის მიერ" (იხ. დასახელებული დოკუმენტების კრებული, გვ. 673). ბერიამ ისიც იცოდა, რომ ასეთი აზრი ინსტრუქტორს არ შეეძლო მიეღო სამეგრელოს ან თუნდაც ზუგდიდის ხელ-

მძღვანელი ორგანოებიდან და ი. ჟვანიასაგან. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ზუგდიდში და რაიონის ხელმძღვანელობაშიც, იყვნენ ერთეული ავტონომიისათვის მებრძოლები, რომელთაც შეეძლოთ ა. ფრენკელისა და მისი მეშვეობით საკავშირო ცკ-ის დაკვალიანება. ამიტომაც იგი საკითხის შესწავლას აქტიურად მოეკიდა და იერიში ი. ჟვანიაზეც მიიტანა.

ახლა ვნახოთ, რა გამოავლინა ზუგდიდში მოწინააღმდეგე მხარეთა მონაწილეობით ჩატარებულმა დისპუტმა. სტენოგრამული ჩანაწერის ტევადი მოცულობის გამო საჭირო ხდება მისი ძირითად საკითხებზე შეჩერება: მხარეთა მიერ საერთო დადებითი აზრი გამოითქვა მეგრულ ენაზე სასამართლოსა და დაწესებულებებში ურთიერთობის, მეგრული გაზეთის, გლეხური პუბლიკაციების, და წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის განხორციელების გამო ე.ი. ეს კარგია და აქ არც „მაფალუიზმის“ ელემენტები არ არის. მხარეთა დაპირისპირება გამოიწვია ვ. ბოკუჩავას განცხადებამ: „როდესაც თბილისში ვიყავი თათბირზე ბერიამ განაცხადა, რომ ზუგდიდის რაიკომის ბიუროს შემადგენლობა მუშაობს ი. ჟვანიას თავითო“, „გარდა ისაკის და თამარიანი ბიუროს შემადგენლობას არა აქვს თავისი აზრი ისინი ნოდი (ანუ ნადი — ავტ.) არიან და მეტი არაფერიო“. ამ განცხადებას რაიალმასკომის თავმჯდომარემ (მომავალში ი. ჟვანიას შემცვლელმა რაიკომის მდივანმა, ბერიას დავალებით კი მისმა მომავალმა კრიტიკოსმა) იუსტინე გვასალიამ პროვოკაცია უწოდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 18).

სადაო გახდა საკ. კპ(ბ) ცკ-ს 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების V თავში მოცემული აზრი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისაგან ძირეული კადრების მომზადების შესახებ. ბოკუჩავამ და პერტახიამ იგი მეგრელებისათვის სავალდებულოდ არ ჩათვალეს, რადგან იგი „პირდაპირ ეხება ეროვნულ უმცირესობებს, ხოლო მეგრელები არ წარმოადგენენ ეროვნებას“. ბიუროს წევრებმა მიიჩნიეს, რომ რაკი მეგრული ენა ახლა უკვე ცკ-ის დადგენილებით ფუნქციონირებდა, ამდენად, საჭირო იყო ამ ენაზე სათანადო კადრების მომზადებაც. ამასთანავე მათ საჭიროდ სცნეს დაწყებით სკოლაში მეგრული ენით სწავლება. ი. გვასალიამ თქვა: „ჩვენ უნდა ვსთხოვოთ ცეკას, რომ დაგვრთონნება მეგრული ენის შემოღებისა I დაწყ. სკოლებში, ლაპარაკი იმისა, რომ ეს დადგენილება სამეგრელოს არ ეხებოდეს, ეს დემაგოგიაა, ამისათვის საჭიროა ასეთ დემაგოგიას ბოლო მოეღოს“ (იხ. იქვე). ს. უბილავას ნათქვამი საქმეში უკეთ გვახედებს: „იმ სოფლებში სადაც მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება წარმოებს მეგრულ ენაზე (ე.ი. სადაც ქართული არ იციან — ავტ.) საჭიროა I დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება, ამაზე საქცეკას დადგენილებაც ამბობს“. იგივე აზრი გამოსთქვა ბ. თორდიამ (იხ. ფურც. 26, 40). გვხვდება მ. ბერულავას ასეთი მოსაზრება: „ჩვენ მეგრელები ვართ, და როგორც მეგრელები მოთხოვნას უყენებთ ცეკას, რომ იმ სოფლებში სადაც საქცეკას დადგენილებით საქმის წარმოება, სასამართლო საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა სწარმოებს ადგილობრივ ენაზე ამ სოფლებში და სხვაგან მოგვცეს ნებართვა, რომ დაწყებით სკოლებში შემოვიღოთ მეგრულ ენაზე სწავლება“ (იხ. იქვე, ფურც. 27). საერთო შთაბეჭდილებით ცხადი ხდება, რომ ბიუროს წევრები სკოლის მეგრელიზაციას კი არ მოითხოვენ, არამედ სურთ ქართულის უცოდინარი ბავშვებისათვის პირველდაწყებითი სწავლების გაიოლება.

სიტყვით გამოსულებმა საჭიროდ მიიჩნიეს სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნა. პ. ბიგვავამ განაცხადა: „ცენტრის ხელმძღვანელობა ცეკას ღონისძიებების გატარებაში სულ არ ჩანს და ამ მდგომარეობიდან... გვიხსნის ოლქის საკითხის დადებითად გადაწყვიტა... ჩვენ უნდა ვთხოვოთ ცეკას საკითხის დადებითად გადაწყვეტა“ (იხ. იქვე, ფურც. 22). მაშასადამე, იგი ოლქის საჭიროებას უკავშირებს ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ი. ჯანაშიამ ნათელი მოჰფინა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის იდეისადმი ზუგდიდის ცენტრის დამოკიდებულებას. მან სთქვა: „სამეგრელოს ოლქის საკითხი იწყება 1922 წლიდან (ე.ი. ა. გეგეჭკორის მიერ საკითხის ოფიციალუ-

რად დაყენების დროიდან — ავტ.), იმ დროს ზუგდიდში არ იყო ამხ. ისაკი, მაგრამ ორგანიზაციამ წამოაყენა მოთხოვნა და ჩვენ მას ვიცავდით და კიდევ მომავალშიც ვიქნებით მომხრე და საკითხის დასმა იმ მხრივ, ასეთს მარტო ერთი პიროვნება მისდევდეს, ასეთ აზრს სიმართლესთან არაფერი აკავშირებს" (იხ. გვ. 25). ერეკლე წყაროზიამ პროტესტი გამოთქვა: „ცილისწამებაა, ბრალს სდებენ ზუგდიდის ორგანიზაციას ნაციონალისტებთან (მაფალუელებთან) კავშირში, რომ სამეგრელოს საკითხით დაინტერესებულია მარტოდ-მარტო ჟვანია, მას ვითომ ფორმალურად უჭერენ მხარს რაიონის ბიურო, თითქოს არ უნდათ დაწყებითი მეგრული სწავლება, ამას ფესვები სხვაგან აქვს. ამას კავშირი აქვს რაიონებში, სადაც ამხ. ჟვანიაზე უკმაყოფილონი არიან... სამეგრელოს საკითხით მარტო ზუგდიდი კი არა, სამეგრელოს მასებია დაინტერესებული... ეს გულს უხეთქავს შოვინისტურ ინტელიგენციას" (იხ. იქვე, ფურც.31). მაგრამ ამასთან ირკვევა, რომ ბიუროს დამსწრე აქტივის წევრებს შორის ისეთებიც ყოფილან, რომლებიც უმჯობესად და საჭიროდ მიიჩნევენ სამეგრელოს ავტონომიას. როგორც ჩანს, ასეთი ერთეულების აზრს მოწინააღმდეგეები ი. ჟვანიაზე და საერთოდ ზუგდიდის ცენტრზე ავრცელებენ. როცა ვ. ბოკუჩავამ ისაუბრა სამეგრელოსთვის ავტონომიის გაუმართლებლობაზე, დასძინა: „საერთოდ მე ისაკის დაბრუნების შემდეგ გავიგე ამხ. ბიქტორის სიტყვიდან, რომ ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიურ ოლქს". მხედველობაში აქვს ისაკის ჩამოსვლა საკ. კპ. XVI ყრილობის შემდეგ, რომელზეც მ. კალინინმა შ. ელიავას და სხვების თანადასწრებით განაცხადა — „ჩვენ სამეგრელოს მივცემთ ოლქს".

ვ. ბოკუჩავას ნათქვამს ბიქტორ თორდიამ რეპლიკა მიადევნა: „იმ დროს ამხ. ისაკი ხომ მოსკოვში იყო". მაშასადამე, ბ. თოდრიას სამეგრელოს ავტონომიის საჭიროების შესახებ ვ. ბოკუჩავასთვის საკუთარი აზრი უთქვამს ჯერ კიდევ ი. ჟვანიას მოსკოვში ყოფნის დროს. ბ. თორდიამ თავის სიტყვაში დააზუსტა", ლაპარაკი იმისა, რომ ამხ. ბოკუჩავას პირველად გაეგოს ჩემგან ისაკის მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ, რომ მე ამელნიშნოს საჭიროა ავტონომიური ოლქი-მეთქი, ეს სიცრუეა, სად იყო ისაკი იმ დროს, როდესაც მე ვასაბუთებდი ავტ. ოლქის საჭიროებას, ბოკუჩავამ კარგად იცოდა, რომ ისაკი იმ დროს მოსკოვიდან არ იყო დაბრუნებული, მაგრამ ასეთი იმიტომ არის მოყვანილი (ანუ ამას იმიტომ ამბობსო — ავტ.) რომ ისაკი გააშაონ" (იხ. ფურც. 40). მშვენიერი მიზეედრაა. ეს არის ისაკის გამართლების მიზნით სიმართლის თქმა და „ავტონომიის" გამო პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ი. ჟვანიამ მოსკოვიდან თუ მართლა რაიმე ამბავი ჩამოიტანა, უნდა ჩამოეტანა მ. კალინინის დაპირება „ოლქის" და არა „ავტონომიური ოლქის" შესახებ. ი. ჟვანია არ იყო ის კაცი, ვისაც მ. კალინინის ნათქვამის გაუკუღმართებულად შეცვლა შეეძლო და არც სჭირდებოდა.

მ. პერტახიამ თქვა: „მე ოლქის (დიახ, ოლქის — ავტ.) და 1 დაწყებით - სკოლებში (დიახ, პირველდაწყებით სკოლებში — ავტ.) წინააღმდეგი ვარ, დანარჩენი ბრალდება არაა პრინციპული". ახლა სხვას ამბობს, როგორ თუ პრინციპული არაა ბრალდება?! როგორც ვნახეთ, ადრინდელი საჩივრის წერილებში ი. ჟვანიას აბრალებენ მაფალუელობას, ქართველების მიერ მეგრელების ჩაგვრის შესახებ აზრის გამოთქმას, მაფალუელობის მამამთავარ მ. დადიანთან ალიანსს და სხვ. თუ დაწყებითი სწავლების მეგრულ ენაზე (ისიც იქ სადაც ამის აუცილებლობაა) გადაყვანის მეტზე სადაო არა აქვთ, მაშინ რატომ აბეზღებდნენ მძიმე და ყალბი ბრალდებებით არა მარტო ბერიასთან, არამედ სტალინთანაც?! აქედან, ჩვენი აზრით, უთუოდ ჩანს, ბოკუჩავა-პერტახიას საჩივრების პიროვნული მიზანდასახულობა. მ. პერტახიას ისიც წამოსცდა: „რაც შეეხება (ჩვენს — ავტ.) განცხადებას და ეს დაიწერა ცეკაში. ცეკას მანქანით გადაიბეჭდა ამხ. მელაძის ნებართვით" (იხ. ფურც. 37). ის კი აღარ განმარტა, თუ როგორ მოხვდნენ სიყალბის მწერალ-დამაბეზღებელი თანაავტორები ცკ-ში და ვისი დავალებით დაწერეს წერილი, რომლის ასლი იგზავნება სტალინის მისამართით. მაგრამ თათბირის მონაწილეებმა ჯერ კიდევ მ. პერტახიას აღიარებამდე ამოიცნეს, რომ ა. ბედიას დავალებით შეიქმნა დაბეზღების წერ-

ილი. ამასთან მათ განსაკუთრებით პრინციპულად მიიჩნიეს მ. პერტახიას მიერ არაპრინციპულად ჩათვლილი მაფალუელობის ბრალდება.

პ. ბიგვავამ ამოიცნო: „ავტორებთან ერთად კიდევ არიან გაუმჭელავი თავები... გამოაშკარავებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება... ასეთი უპასუხისმგებლობა ჩადენილია ბედიას წყალობით. ბედიამ თავისებურად მონათლა, ისიც ცეკას კულტპროპი, ესეც რაიკომის კულტპროპი. ერთმანეთს შეეფიცნენ ალბათ... უფლებას შენ არავინ მოგცემს რომ... მაფალუისტად ორგანიზაცია მონათლო“ (იქვე, ფურც. 22-23). ჯ. ჩიჩუამ განაცხადა; „არც ერთი წინადადება დოკუმენტისა სწორი არ არის და პირადად ჟვანიაზე... ასეთი განცხადება გამოწვეულია სხვათა წასისინებით (იქვე, ფურც. 24). ი. ჯანაშიამ სთქვა: „აქ მათთან ერთად მუშაობს სხვისი თავი, საჭიროა გამოაშკარავება“ (იქვე, ფურც. 25). მ. ბერულავამ განაცხადა: „მე რომ მივიდე ცეკაში და დავწერო არ მინდა სამეგრელოს ოლქი, ეს დიდად გაეხარდება ბედიას და მის მიმყოლებს და მეც შემპირდებიან ოთახს და კარგ სამსახურს. ასე რომ ის კაცი, რომელიც ოთახსა და ფულზე ყიდის ორგანიზაციის განწყობილებას და ჭორებს თხზავს... ისაკიზე გვაქსევენ, რომ მოწინააღმდეგეები წამოგვისიონ“ (იქვე, ფურც. 27). როგორც ჩანს, ზუგდიდის ბიუროს წევრები არ ამბობენ ან ვერ ხედავენ, რომ „მეგრული საკითხით“ ბედიაზე უფრო დიდი მეგრელი თამაშობდა. ან იქნებ გამხელას ერიდებიან? სათანადო ისტორია დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ თავკაცი მეგრელები გამოირჩეოდნენ ცარიზმის პირობებში საქართველოს რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაშიც და საბჭოთა ხელისუფლების დროს „მეგრული საკითხის“ სამართლიანად, რაციონალურად და დროულად მოგვარების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

თათბირის მონაწილეებმა საკმაოდ სერიოზული ბრალდებები წაუყენეს ვ. ბოკუჩავასა და მ. პერტახიას. ი. გვასალიამ გაიკვირვა: „ორულ-ერგეტაში მემარცხენე ნახტომი? განა ზუგდიდში იყო ბანდიტიზმი?“ ზუგდიდის ჩეკას უფროსმა ვ. ზაქარიამ დასძინა: „არ ესმით თუ რა არის ბანდიტიზმი“. ი. გვასალიამ გააგრძელა: „ერთი, ორი კაცის, ისიც ერთი დღის მიმალვისათვის უწოდეთ ბანდიტიზმი... დამზადების დროს მიჩქმალეთ შეძლებულები, რისთვისაც გაგანთავისუფლეს რადგან უჯრედი დააბნიეთ, ეხლა ამისათვის გამოდიხარ და სხვას აბრალებ შეცდომა ქონდაო“ (იქვე, ფურც. 19). ა. ფარცვანიამ ვ. ბოკუჩავას მეგრული გაზეთის საჭიროების დადასტურების მერე ნიშნი მოუგო: „ვ. ბოკუჩავას უთქვამს „ყაზაყიში გაზეთი“ გლეხს ეგზავნება დეფიციტიანი საქონლის შესახვევადო“ (იქვე, ფურც.24). ი. ჯანაშიამ ამხილა: „ბოკუჩავა იყო ამ მეგრული საკითხის ძირი, რადგან ყოველივე გადათარგმნა და სხვა, საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა უშუალოდ მისი მონაწილეობით“. ე.ი. მაშინ სდუმდა და ჩვენთან ერთად მუშაობდა, ახლა კი გვაკრიტიკებსო. კ. მიქაიამ ასეთ ანალოგიას მიმართა: „ყველამ ვიცით, რომ მამულიას... აგენტი იყო უბირია და მან გუშინწინ მითხრა, რომ „დამპალი ხელმძღვანელობა უკვე გაფრინდაო“. ეს მან სთქვა მამულიას შესახებ, ე.ი. ეხლა მათ შესცვალეს სხვანაირად მოქმედება, რომ ამით ეხლაც ისარგებლონ“... (იქვე, ფურც. 29).

როგორც ჩანს, ზუგდიდის ბიუროს წევრებმა ქართული არ იციან გამართულად, მაგრამ მოვლენებს მშვენივრად ჭვრეტენ. კ. მიქაიამ კარგად ამოიცნო, რომ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ინტრიგის მომწყობნი ადრე ალიანსში იყვნენ ცკ-ის მდივან ს. მამულიასთან, ახლა კი ალიანსში არიან მის მოწინააღმდეგე ახალ ხელმძღვანელობასთან. ზუგდიდის აქტივის წევრები კარგად ხვდებიან, რომ მათ წინააღმდეგ ახალი იერიში, ახალ, ლ. ბერიას ხელმძღვანელობის მოსვლას უკავშირდება და არა საქმესთან ობიექტურ დამოკიდებულებას.

ი. ცხაკაიამ გაიკვირვა ბოკუჩავა-პერტახიას ნათქვამი „ვითომც გლეხობა დაწყებით სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლებას ჯობით შეხედებაო“. მან ეს დემაგოგიად შეაფასა და დასძინა: „ასეთი პირები ასეთსავე აზრს ავრცელებდნენ მეგრული გაზეთის შესახებაც, მაგრამ ტყვილი გამოდგაო“. ბ. ჯანაშიამ ვ. ბო-

კუჩავას შეახსნა, რომ მეგრული საკითხის გამო ღონისძიებებს თვითონ ის ატარებდა. საშა საჯაიამ ახსნა „ყაზაყიში გაზეთის“ ტირაჟის დაცემის მიზეზი: „ეს იყო დარაიონების დროს, როცა რაიონების ახალი ხელმძღვანელები (ანუ ახალი რაიკომის მდივნები – ავტ.) მტრულად უყურებდნენ და უყურებენ... გამოსწორდა, დღეს 17 ათასს აღწევს... მათ მიერ მაფალუისტად ჩათვლილ ხალხს ქობალიას და დადიანს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გაზეთის მუშაობაში და არც მოსწონთ მათ ჩვენი სტილი და გრამატიკა. რაც შეეხება ჭანტურიას იგი დიდი ხანია რედაქციიდან განთავისუფლებულია და არავითარ მუშაობას იქ არ აწარმოებს. ეს კარგად იცოდა ბოკუჩავამ, როგორც რედაქციის წევრმა“ (იქვე, ფურც. 34) მაგრამ დასჭირდა და თვალთმაქცობსო.

მ. პერტახიამ პირველდაწყებით სწავლებაში მეგრული ენის შემოღების წინააღმდეგ ის არგუმენტი წამოაყენა, რომ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია წარმატებით ხდებაო. მაგრამ ეს პროცესიც მეგრულ ენაზე ხდებოდა. მეგრელმა გლეხებმა მეგრულად წერა და კითხვა რომ ისწავლეს, ეს მათი შვილების მიერ ქართულის დაუფლებას რანაირად შეუწყობდა ხელს?! მისი დამატებითი არგუმენტი ის იყო, რომ მ. პერტახიამ დაიჩემა: „დღეს კულტურულად უფრო წინ ვართ, ვიდრე გურია და აფხაზეთიო“ (იქვე, ფურც. 36). მაგრამ საამისო მაჩვენებელი არ დაუსახელებია. მისი აზრით, „გაზეთში მიღებული ტერმინის ხმარებით მუდამ გვექნება ლენინიზმის დამახინჯება“ (იხ. იქვე).

კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ვ. ბოკუჩავამ აფხაზები, მეგრელებისაგან განსხვავებით, გამოაცხადა ერად და აი, რა კრიტერიუმი გამოიყენა: „თუ გინდა ასეთი იმით მტკიცდება, რომ აფხაზები ღორის ხორცს არ ჭამენ“. ე.ი. ერის რაობის გაგებისათვის აფხაზები აჭარლებს მიაზომა. აქ საუბედურო ის არის, რომ ზოგ ამის წამკითხველს მისი და პერტახიას მიზნობრივი პროვოკაციული ბრალდებები სჯერა, მათი მოწინააღმდეგე „ჩხოუშიელებისა“ კი არა. მ. პერტახიამ აღიარა, საჭიროდ მიმაჩნია მეგრულ სოფლებში ადგილობრივ ენაზე საქმის წარმოება და სასამართლოს საქმის წარმოების გადაყვანაო. ამით მან ფაქტობრივად გ. ახალაიას მიერ ცნობის მეგრულად გაცემაც გაამართლა ამასთან დაკავშირებით ჰკითხეს: ცკ-ის დადგენილება მეგრულ სოფლებში თუ ტარდება? მ. პერტახიამ უპასუხა: „ეს არ ტარდება გარდა ზუგდიდის რაიონისა“... (იქვე), ჰოდა, საქმეც სწორედ ის იყო, რომ სამეგრელოს ცალკეული რაიონების ხელმძღვანელები „მეგრული საკითხის“ გამო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებებსაც არ ასრულებდნენ მარტივი მიზეზით: მათ ასე ავალებდნენ ზემდგომ ორგანოებში მყოფი ის ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ხელოვნურად შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს სამეგრელოში უკვე ყველაფერი გაკეთდა „მეგრული საკითხის“ მოსაგვარებლად. არადა, ამ პრობლემისათვის დროზე რომ მიეხედათ, იგი 30-იან წლების დასაწყისში მართლაც წარმატებით მოგვარდებოდა. მაგრამ ეს უკვე პროგნოზირების სფეროა.

ისტორიას თუ დავუბრუნდებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის ბიუროს აქტივის წარმომადგენლობაში ჩანს, რომ ზოგი ვერ არკვევს (მაგ. ერ. წყაროზია) ადმინისტრაციულ და ავტონომიურ ოლქს შორის არსებულ განსხვავებას, მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც სასურველად მიაჩნიათ სამეგრელოს ავტონომია (ბ. თორდია, მ. ბერულავა). მაგრამ ჯერ ერთი, სამეგრელოს ავტონომიის სასურველად მიჩნევის საერთო ქართული ინტერესების ღალატის ტოლფასად გაგება აბსურდია. ავტონომია იმდროინდელი გაგებით გამოცხადებული იყო იდეალურად. მეორე, ზოგი ვერ ანსხვავებდა ავტონომიური და ადმინისტრაციული ოლქის გაგებებს. ესენი გამონაკლისები და ამასთანავე ე.წ. „მაფალუელები“ როდი არიან. აღნიშნული ტერმინი ახალი, საბჭოური პერიოდის ზოგადი ბოლშევიკური გაგებით, ადგილობრივ, მეგრულ ნაციონალიზმს გულისხმობდა. მაგრამ უფრო ზუსტი გაგებით ე.წ. „მაფალუელობა“ ადრე სეპარატისტული არგუმენტებით შეიარაღებულების მიმართ იხმარებოდა. სეპარატისტი ე.წ. მაფალუელები პრინციპულად განსხვავდებოდნენ როგორც ადმინის-

ტრაციული ოლქის და ავტონომიის მომხრეების, ისე, მით უმეტეს ნამდვილი „მაფალუსაგან“. მაგრამ „მაფალუს“ ზოგჯერ, ისე როგორც სხვა სიტყვებს — „მავნებელი“, „ტროცკისტი“, „ფაშისტი“, „კონტრა“, „ხალხის მტერი“, და ა.შ. — ზუსტი სპეციალური შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, სალანძღავ წინსართად ხმარობდნენ. თავის მხრივ ზუგდიდის ბიუროს წევრებიც ვ. ბოკუჩავას, მ. პერტახიას და ე. უბირიას მიმართ „ამხანაგთან“ ერთად იყენებდნენ სიტყვებს: „ანტილენინელი“, „ტროცკისტი“, „მენშევიკური“ და სხვა. ამიტომ პიროვნებები უნდა შეეფასოთ არა მათ მიმართ გამოთქმული სალანძღავი სიტყვებითა და პროვოკაციული ბრალდებებით, არამედ მათი ნამდვილი საქმიანობით.

სტენოგრაფიული ოქმი ნათლად მოწმობს, რომ უბირიამ და პერტახიამ დებატებში მარცხი განიცადეს. ეს სტენოგრამა გადაეგზავნა ბერიას. მას ხელს აწერდნენ: ი. გვასალია, ი. ჯანაშია, ვლ. ზაქარაია, ი. შამუგია, ბ. თორდია, ი. კალანდია, პ. ბიგვავა, ბ. ჯანაშია, მ. ბერულავა, ი. იზორია, ა. ჯიქია, დ. შენგელია, ი. თოფურია, ი. გაბედავა, ლ. გამსახურდია, საშა უბილავა, საშა საჯაია, ა. ფარცვანია, კირ. მიქაია, ი. ცხაკაია, კ. ციმინტია. სტენოგრამის სისწორეს ადასტურებდა რაიკომის საიდუმლო ნაწილის მუშაკი ვ. კვარაცხელია. მათ პარტიულ-თანამდებობრივ მდგომარეობას გვიზუსტებს ზუგდიდის ამ სხდომის შემაჯამებელი ოქმი №4 (11 ნოემბერი). აქედან ირკვევა, რომ რაიკომის ბიუროს წევრები არიან ი. ჟვანია, ი. გვასალია, ტ. საჯაია, ი. ჯანაშია, ო. გვასალია, მ. ჯალაღონია, ვ. ჯანაშია, ვ. როგავა, კ. მიქაია, გ. ხვინჯია, ვ. ზაქარაია, კ. კალანდაძე, პ. ბიგვავა. რაიკომის წევრებს შორის დასახელებული არიან ბ. თორდია, ი. პერტენავა, მ. ლაშხია, ო. ჩიჩუა, ლ. გაბედავა, ი. ბასილაძე, კ. დარჯანია, ლ. გამსახურდია, ი. იზორია, ტ. შენგელია, ვ. კვარაცხელია, ა. ხარებავა. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და პლენუმის წევრები: ა. ჯიქია, ი. ცხაკაია, ს. უბილავა, ა. გეორგობიანი, ი. ლუკავა, ს. ბერულავა, ი. ჩაგუნავა. ოქმს ხელს აწერენ პარტიის რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრებად მითითებული: მ. ბერულავა, გ. შენგელია, ა. საჯაია; მდივანი — ი.წ. შამუგია და საქმეთა მმართველი თოლორაია.

ზემოთ აღნიშნულიდან ბევრი გვარი ამ წიგნის ადრინდელ თავებში გაშუქებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით შეგვხვდა, ზოგიც შემდეგ შეგვხვდება. ახლა შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ მათი პოზიცია და თვალი გავადევნოთ როგორი ბედი ხვდათ წილად. ზოგი მათგანის შესახებ საუბარია წიგნის უკანასკნელ თავებში, მაშინ როცა საუბარი გვექნება ზუგდიდის პარტიული აქტივის ამ შემადგენლობის წარმომადგენელთა სხვა საქმიანობაზე, მათ შორის ავტონომიის მოთხოვნით დაწერილ ინდივიდუალურ განცხადებებზე (ტ. შენგელია) და მათი რეპრესიებისა და რეაბილიტაციის შესახებ. ამით მომავალ რეპრესირებულებზე საუბარს უფრო მეტი საგნობრივი ხასიათი მიეცემა. ცხადი გახდება, რომ ზოგს ყალბად, ზოგს კი სწორედ ადანაშაულებდნენ.

როგორც ჩანს, დამარცხებული ოპოზიციის მამხილებელი სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცკ-ში არ მოეწონათ. ამიტომ სახელდახელოდ მომზადდა ახალი, კიდევ უფრო „დასაბუთებული“ ბრალეულობის შემცველი აკ. კობახიძის წერილი „საქ. კპ(ბ) ცეკას ბიუროს ე.წ. სამეგრელოს საკითხის შესახებ“. „ამ საკითხის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა მაიძულებს მივცე პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს ის მასალები, — წერს ა. კობახიძე, — რომელიც ამჟამად ჩემს განკარგულებაშია და გავაშუქო ისე, როგორც ამას მიკარნახებს ჩემი კომუნისტური შეგნება“. მისი კომუნისტური შეგნება კი აი რას ამბობს: „არასოდეს არ არსებული (? — ავტ.) მეგრული საკითხი დღეს პრობლემად არის ქცეული, ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო იმ წინანდელმა უხერხემლო ხელმძღვანელობამ (მამულიას სახით)...“ „ამის შემდეგ დღეს სამეგრელოს საკითხი ეროვნულ საკითხად არის გამოცხადებული (? — ავტ.), ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან სამეგრელოს ავტონომიაზე (? — ავტ.), რომ ჩვენ (მეგრელები) მოსკოვმა გაგვანთავისუფლა და მოგვცა ავტონომია (? — ავტ.) და სხვა. მაფალუისტებმა თავი აიშვეს... ანტისაბჭოთა ელემენტები ამ

საკითხს ჩაბღაუჭნენ, ნათავადარი ხალხი დადიანები და ჩიქოვანები ჟვანიას ულოცავდნენ გამარჯვებას" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს. 266, ფურც. 84). შეიძლება აქედან ზოგი რამ მართალიც იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მ. კალინინის ნათქვამი უკუღმართად გავრცელდა, შეიძლება, რომ ზოგმა იგი ავტონომიის გაგებით გაუზვიადა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ი. ჟვანიას ეს ცნობილი მოწინააღმდეგე, რომელმაც სიმართლე კარგად იცის, მიზნობრივად აზვიადებს მდგომარეობას. ჯერ ერთი, როგორც ადრე ვნახეთ, „მეგრული საკითხი" მოამზადა, წამოსწია და პრობლემად დააყენა საქართველოს კომპარტიის ცკ-მა. მან 1925 წლის 3 სექტემბერს „მეგრული საკითხის" შესახებ მიიღო სპეციალური დადგენილება და მთელი რიგი განსახორციელებელი ამოცანები დასახა. ამის შემდეგ იგი ამ საკითხს რამდენჯერმე დაუბრუნდა და ბოლოს ძირითადად კიდეც განახორციელა. აკ. კობახიძე რომ ამბობს „მეგრული საკითხი" „არასოდეს არ არსებობდაო"... ვის აბრიყვებს?! როდის იყო, რომ არარსებულის გამო დადგენილებებს ღებულობდნენ?!

სხვათაშორის, აქ გვინდა ჩავურთოთ ცნობები ამ „ნათავადარების" შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ არც ესენი ამღვრეოდნენ ეროვნულ წყაროსთვალს. ეს „ანტისაბჭოთა" და „ნათავადარები" არიან ტრადიციონალისტები: გვანჯი ჩიქოვანი, ბაგრატ აფაქიძე, ლოთი ჩიჩუა, ოლია ჩიჩხე, სიმონ დგებუაძე, სოფიო კედია, კაკა ჟვანია, ბესარიონ ჯანაშია, თომა შენგელია, კოსტა ნაროუშვილი, ვალე ალშიბაია, ბეგლარ გობეჩია, ვალიკო სიჭინავა და სხვ. ესენი მხარს უჭერდნენ სამეგრელოს ადმინისტრაციულ ოლქად გამოყოფას. ზოგი მათგანი მისაღებად მიიჩნეოდა ავტონომიას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საქართველოდან გამოჯვენას. ავტონომიაშიც სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული სალიტერატურო ენა. საქმის წარმოება უნდა მომხდარიყო ქართულად, მაგრამ იქ სადაც ქართული არ იცოდნენ, ნაწილობრივ — მეგრულად, როგორც გარდამავალი ხანის ღონისძიება. პირველ ოთხ კლასში საჭიროდ მიაჩნდათ ქართულთან ერთად მეგრული ენის სწავლება. მე-4 კლასიდან მეგრული ენის გამოყენება იხსნებოდა და სასწავლო ენად რჩებოდა მხოლოდ ქართული. მეგრული ენა მიაჩნდათ ქართულის ფუძედ.

ისინი მიზნად ისახავდნენ, აგრეთვე კოლხური ტრადიციების აღდგენასა და განმტკიცებას. მაგალითად სამძიმარში ხმაური, სიცილი, ხუმრობა არ შეიძლებოდა. უნდა შემოსილიყვნენ შავი ჩოხებითა და შავი ხალათით. ჩოხის ქილები შავი ნაჭრით უნდა ყოფილიყო გადაფარული, სროლა არ შეიძლებოდა სოფელში 40 დღის განმავლობაში, ერთ კილომეტრზე კაცი სიმღერით არ გაივლიდა. თუ მოხუცი გარდაიცვლებოდა, მის ეზოში მუხა ან იფანი უნდა მოეთხარათ და ქვრივის ან ობლის ეზოსთან ხიდად უნდა გაედოთ. ხიდი გარდაცვლილის სახელს ატარებდა. ოჯახში ბავშვი რომ დაიბადებოდა, მის სახელზე მაგარი ჯიშის ხე უნდა დარგულიყო. გარიგებას მარებელი ახდენდა. წინააღმდეგი იყვნენ თანასოფლელების დაქორწინებისა. ცხენის ერთი დღის სავალი მაინც უნდა ყოფილიყო ქალიშვილის გათხოვების ადგილამდე. უღირს პიროვნებას ქალს არ მიათხოვებდნენ. მაგალითად იყო ასეთი შემთხვევა, როცა ხობში ქელეხში დამთვრალ კაცს დარჩელელი ქალი არ მიათხოვეს.

როცა ტრადიციონალისტები სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ, იტყოდნენ „ღორონთი დო მარდიანქ ერებამო გოიმურძგუას" ანუ ღმერთმა და გამზრდელმა შენ ერებთან (კუთხის ხალხთან ერთად) გაგიმარჯოსო. ტრადიციონალისტების შესახებ ეს ამბავი ზუგდიდში ჩვენი ერთ-ერთი ჩასვლის დროს ჩავიწერეთ საზოგადოება „ზუგდიდელის" იმდროინდელი თავმჯდომარის, ბატონ ხუტა ხუფენიას მონათხრობის მიხედვით. ბატონ ხუტას 1951-52 წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში უმუშავია. მას ამ დროს პირადი საუბარი ჰქონია ზოგ ტრადიციონალისტთან. ზოგი მათგანი სამსახურებრივი დავალებით დაუკითხავს. ამდენად მისი მონათხრობი უთუოდ ყურადსაღებ ინფორმაციას შეიცავს. იგი გვიჩვენებს, რომ „ნათავადარებიც", სამეგრელოს საქართველოსგან გაუცხოებული მოწყობის წინააღმდეგი ყოფილან.

დაუბრუნდეთ ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე აკ. კობახიძის ბრალდებებს. მისი ინფორმაციით: „იმართება არალეგალური შეკრებებიც, ი. ჟვანია სამეგრელოსა და საქართველოს შორის შუღლს ხელოვნურად ამწვავებს". ამასთან ა. კობახიძე წარამარა ხმარობს „ავტონომიას". „მაფალუისტების სულისჩამდგმელ დეგენერატ მ. დადიანს" და „ნახევრად შეშლილ" ბუკიას აკავშირებს ი. ჟვანიასთან. ვითომ ისინი ერთობლივად აწყობენ კრებებს, სადაც ისმენენ მოხსენებებს „დაჩაგრულ სამეგრელოზე". ამ სიყალბის გასამართლებლად ა. კობახიძეს მოაქვს ციტატები ბერიას მიერ 1925 წელს „მეგრელი სეპარატისტების" წინააღმდეგ დაწერილი საგაზეთო სტატიიდან, კერძოდ, ბერიას მიერ ი. ჟვანიას უსაფუძვლო კრიტიკა. მას მოაქვს აგრეთვე მ. კახიანის სიტყვები ანგარიშიდან პარტიის VI ყრილობაზე, სადაც იგი ამბობს, რომ „გამოცოცხლებას იწყებენ „მაფალუელური" — სამეგრელოს ავტონომიის მომხრეები", რომ ისინი აყენებენ მეგრელებისთვის თავისი ლიტერატურის შექმნის მოთხოვნას. არასოდეს არარსებული სამეგრელოს ლიტერატურული ენის შექმნის საკითხში იმუშავებენ გაუგებარ, ძველებურ, დადიანურ ტერმინოლოგიას, აშკარად ეთიშებიან ქართულ ენას, რომლის საშუალებით სამეგრელოს მოსახლეობამ მთელი თავის არსებობის მანძილზე აღზარდა რამდენიმე ათეული თაობა და რომლის საფუძველზეც იზრდება დღევანდელი საბჭოთა თაობა"...

ამ წიგნის წინა თავებში უკვე ვნახეთ, რომ ბერიას ბრალდება უსაფუძვლო იყო და იგი ი. ჟვანიას ბრალდების საქმეში არაერთგზის დამარცხდა. ამ დემაგოგიის შემდეგ მ. კახიანიც 180 გრადუსით შემობრუნდა. სთქვა: „მეგრული საკითხი გლეხების საკითხიაო". მაგრამ ამის გახსენება ბოკუჩავას და პერტახიას ან ა. კობახიძეს ახლა ხელს არ აძლევთ. ცნობილი ყალბი ამბები რომ მოიყვანეს, ესეც კარგად მოწმობს მათ „სიმართლეს". რატომ თუნდაც ერთი ფაქტი არ დაასახელეს ი. ჟვანია-ბუკიას ერთად ჩატარებული კრების შესახებ? დაკვირვებული მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა ამგვარი და სხვა მსგავსი პოლიტიკანური ბრალდებების უსაფუძვლობას. მაგრამ უსაფუძვლო ბრალდება, პოლიტიკანური კონიუნქტურის პირობებში, რეალური ბრალდების ტოლფასი საფუძვლის შექმნის მიზნით ითხზვება. ეს ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდების ნორმაა. ამას კონკრეტული ფაქტები სჭირდება. მაგრამ ასეთი ფაქტები არაა. კობახიძეს რომ მოაქვს ისინი, როგორც ვნახავთ, მყარი არ არის და ხშირ შემთხვევაში თითიდან გამოწოვილია. „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, — წერს ა. კობახიძე, — რომ ენის საკითხი არ არსებობს სენაკის ყოფილი მაზრისათვის და ფოთის რაიონისათვის". აქედან გამომდინარე, ა. კობახიძე აკრიტიკებს „ყაზაყიში გაზეთს", რომელიც „მახინჯდება და გაუგებარი ხდება მკითხველისათვის, ნაცვლად იმისა, რომ გაზეთი იყოს დაწერილი გასაგებ ენაზე, რომლითაც დღეს ლაპარაკობს მეგრელი გლეხი... გაზეთი იწერება გაუგებარ და მოგონილ სიტყვებით... ეს არის „მაფალუისტების" და ჟვანიას უხეირო და დანაშაულებრივი ცდები"... (! — ავტ.). ა. კობახიძის ეს ნათქვამი მცდარია. ცალკეული ხარვეზები ასეთი დასკვნის უფლებას არ იძლევა. როგორც ადრე ვნახეთ, გაზეთმა „კომუნისტმა" და მის მიერ ზუგდიდში მოწვეულმა სამეგრელოს რაიონების კორესპონდენტებმა „ყაზაყიში გაზეთი" სამაგალითოდ აღიარეს. ეს გაზეთი არაერთგზის შეაქეს რესპუბლიკის მაღალმა ინსტანციებმა. მეგრელმა გლეხობამ ეს გაზეთი არაერთგზის ჩათვალა საჭიროდ. გასაგებია: აკ. კობახიძე მათ ინტერესებს კი არ იცავდა, არამედ „მეგრული საკითხის" სამართლიანი მოგვარების წინააღმდეგ გამოდიოდა.

. ა. კობახიძე წერს: „ჟვანია და მისი მომხრეები დღეს აშკარად და თავხედურად მოითხოვენ სკოლებში სწავლების ყველა საგნებში მეგრული ენით შემოღებას. „ამტკიცებენ" მეგრული უნივერსიტეტის საჭიროებას (ესეც ტყუილია — ავტ.) რამდენიმე ხნის შემდეგ". მას ამის შემდეგ მოაქვს ლ. ბერიას მიერ 1925 წელს „ჩხოუშიელების" განადგურების მიზნით გამოქვეყნებული სტატიიდან ი. ჟვანიას კრიტიკის ფრაგმენტი და მასზე დაყრდნობით დაასკვნის: „ეფიქრობ კომენტარები ზედმეტია". მაშასადამე, ჟვანია ჯერ კიდევ 1923-25 წლებში (? —

ავტ.) დაკავშირებული იყო კონტრევოლუციონურ მიმართულებასთან, როგორც არის „მაფალუიზმი“ — ეს არის მამფორიების მსგავსად, ბერიას დამოწმებით ტყუილის სიმართლედ და ი. ჟვანიას და თანამებრძოლების „მაფალუელობად“ გასაღება. აკ. კობახიძე იხსენებს ი. ჟვანიას ბრძოლას „დარაიონების“ წინააღმდეგ და მას ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს ადმინისტრაციული ოლქისთვის მეცადინეობა იყო „მუშაობის გაჩაღება ავტონომიის მისაღებად“.

წერილის ავტორი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება იმ დაპირისპირებაზე, რომელიც ჯერ კიდე 1930 წ. დეკემბერში აწარმოა ჩხოროწყუს რაიონის „ორგანიზაციამ“ „აქტივთან ერთად“. მას მოაქვს „ჩხოროწყუს რაიონის“ რაიკომის გაფართოებული პლენუმის ოქმის ამონაწერი. ამით იგი ასურათებს როგორი თავგამოდებით იბრძოდა პლენუმი რაიონებისათვის, რაიონების „დაშლის ჟვანიას მცდელობის წინააღმდეგ“. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ჟვანია „ობიექტურად ხელს უწყობს ჩვენი პოზიციების შესუსტებას სოფლად და კლასიური მოწინააღმდეგების გაძლიერებას... სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) უკეთ რომ ვთქვათ ავტონომიის (! — ავტ.) შექმნის საქმეს“... ა. კობახიძეს ხაზგასმით მოაქვს ჩხოროწყუს რაიონის პლენუმის დადგენილების ამონაწერი: „სხდომას საჭიროდ მიაჩნია გადახალისდეს რედაქციის („ყაზაყიში გაზეთის“ — ავტ.) შემადგენლობა და გაზეთის გამოცემაზე გაეწიოს უშუალო ხელმძღვანელობა ცეკას მიერ (! — ავტ.)... ამავე დროს გამოეცხადოს ბრძოლა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაზეთის გამოცემაში მისი ლიტერატურული გაფორმების უხეირო ცდებით ვითომდა მეგრული ლიტერატურის შექმნის მიზნით კულტურულ რევოლუციის საქმეში ეწევა უკან ე.წ. „მაფალუიზმში“ და არა წინ სოციალიზმისაკენ“... საინტერესოა აგრეთვე აკ. კობახიძის შემდეგი ინფორმაცია: „ჩხოროწყუს რაიკომის ამ დადგენილების შემდეგ, თუ არ ვცდები 1931 წლის იანვრის პლენუმთან დაკავშირებით სამეგრელოს ყველა რაიონის წარმომადგენლები (ცხადია ზუგდიდის გამოკლებით) მოვითხოვდით ჟვანია მოეშორებინათ სამეგრელოდან (! — ავტ.)... ცეკა მამულიას სახით (! — ავტ.) დაგვპირდა ჟვანიას წაყვანას ერთ კვირაში ზუგდიდიდანო (! — ავტ.), მაგრამ იმდენად უსარგებლო გამოდგა ეს დაპირება, რომ ჟვანია დღესაც არხეინად გრძნობს თავს და უფრო ამწვავებს საკითხს. მამულია კი თავისი დაპირებით, უთაბით და გაუბედაობით ჩაბარდა ისტორიასო“... (იხ. იქვე, ფურც. 87-91).

აქედან ცხადი ხდება, რომ ცკ-ის ძველი ხელმძღვანელობა ადრეც რაზმავდა რაიკომის მდივნებს ი. ჟვანიას მოსაშორებლად და ამიტომ მიიღო უკიდურესად მწვავე და გაუკუღმართებელი ხასიათი „მეგრული საკითხის“ ჟვანიასეულმა აღქმამ. აკაკი კობახიძის ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბევრ „არქივისმცოდნე“ მკვლევარს აღარ დასჭირდა გამოკვლევა იმ დანარჩენი მასალებისა, რომლის შესახებაც საუბარი გვქონდა ამ წიგნის წინა თავებში და რომლებსაც მომდევნოში გაეცნობით. არადა, როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერი ზუგდიდის პარტორგანიზაციის წევრების შესახებ უარეს მამხილებელ წერილებსა და ჩეკას ძიების ჩვენებებს შეეხვდებით, მაგრამ ამ მასალებიდან დამატებით ვნახავთ იმასაც, რომ არა ყოფილა ი. ჟვანია ანტიქართული მოძრაობის ლიდერი, „მაფალუელი“ თუ „მაფალუელებთან შეკრული“. ა. კობახიძის ნაწერი რომ მართალი ყოფილიყო, ი. ჟვანია მის წინააღმდეგ მებრძოლი ბესო ლომინაძის და სამსონ მამულიას დროს, აგრეთვე მათი კაბინეტის გადადგომამდე, ცხრაჯერ იქნებოდა დახვრეტილი ან გადაყენებული, მაგრამ არა აღზევებული. ვინ არის აკაკი კობახიძე კომუნისტური პარტიის ვითომ დამხმარე, ჯერ კიდევ მამულიას დროის მემატიანე და ახლა ბერიას ხმალამოღებული თანამებრძოლი? მის წერილში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. წერილის ბოლოს ერთვის ნაბეჭდი „კობახიძე აკაკი“ და საკუთარი ხელმოწერა. როგორც ჩანს, მან საკუთარი პიროვნება ვითომ ჩრდილში დააყენა, მაგრამ მზის სინათლეზე გამოიტანა ჩხოროწყუს რაიონის ორგანიზაციის ვითომდა თავდადებული, გმირული ბრძოლა ი. ჟვანიას წინააღმდეგ 1930 წელს, დარაიონებასთან დაკავშირებით. ამით მან უჩვენა ბერიას, რომ ჩხოროწყუს ორ-

განიზაციას ი. ჟვანიას „დამაქცეველი“ საქმიანობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ადრე ჰქონდა აღებული ის კურსი, რომელიც ბერიას მიერ განადგურებული „მამულიას უთაობის და გაუბედაობის“ გამო ახლა უკვე შედის გადამწყვეტი განადგურების ახალ ფაზაში. არ გამოვრიცხავდთ, რომ აკ. კობახიძე მართლაც იყო გულწრფელი კომუნისტი, პარტიის ყველა დადგენილების ორთოდოქსულად გამგები და მათი შესრულების მოსურნე. არც ის იქნებოდა ჩვენთვის დაუჯერებელი, რომ იგი ი. ჟვანიას ძნელად აღსაქმელ საქმიანობას ჭვრეტდა საკუთარი სამრეკლოდან და ზომავდა თავისი საზომით, მაგრამ მის ნაწერში გვხვდება სერიოზული „შეცდომები“, „გაუგებრობები“ და მოვლენების გაუკუღმართებული შეფასებები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ეს წერილი არის ი. ჟვანიას და სხვათა მიერ განაწყენებული, მისი საქმიანობის წინააღმდეგ მებრძოლი პარტოკრატიული ელიტის მიერ ამხედრებული, და ახლა კი ბერიას მიერ გამოყენებული პარტიული მუშაკის მიზნობრივი „ნასიბრძნი“. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა მთელ რიგ არგუმენტებს:

1) სუკის არქივში მოიძებნა 1935 წელს მიღებული ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „მე და ტარასი (შენგელია – ავტ.) ხელმოწერებს (რომლებიც 1933 წელს ჩხოროწყუს რაიონში უნდა შეგროვილიყო სტალინთან გასაგზავნი წერილისათვის – ავტ.) არ დავეთანხმეთ რადგანაც ჯერ კიდევ 1931 წელს კობახიას მდივნობის დროს პარტიულმა ორგანიზაციამ გამოიტანა დადგენილება ასეთი საკითხის, სამეგრელოს დამოუკიდებლობის (? – ავტ.) წამოყენებისათვის ისაკი ჟვანია გარიცხულიყო პარტიიდან და ილაშქრებდნენ „ყაზაყიში გაზეთის“ გამოშვების წინააღმდეგ“... (იხ. სუკის არქივი №2983, ფურც. 96). მაშასადამე, ზემოთ განხილული წერილის ავტორი, აკაკი კობახიძე, არის ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი, დარაიონების დროს ი. ჟვანიას მიერ სამეგრელოს ერთიანი ოლქისთვის მეცადინეობის მოწინააღმდეგე, რომელსაც დაუყენებია მისი პარტიიდან გარიცხვის საკითხი. ამ დროს ი. ჟვანია ზუგდიდის რაიკომიოს მდივანია. მაშასადამე, აკ. კობახიძე ვიღაცის ჩაგონებით გამოსთქვამს მოსაზრებას... სხვა უფრო მეტი კომპეტენცია მას არ ჰქონდა. ვის შეიძლებოდა დაევალებინა, თუ არა ამ დროინდელი ზემდგომი ორგანოების ლიდერებს ლომინაძეს, ღოღობერიძეს, მამულიას და სხვ. რომლებიც ი. ჟვანიას უპირისპირდებოდნენ „მეგრული საკითხისა“ და აგრეთვე ადმინისტრაციული გამოყოფის საკითხების გამო. მაშასადამე, აკ. კობახიძე ჯერ კიდევ მაშინ ასრულებდა ცენტრის დავალებას და ი. ჟვანიას აბრალებდა სამეგრელოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩხოროწყუს რაიონში სწორედ მის დროს სხვადასხვა მოტივებით იდევნებოდა მეგრული გაზეთი, მეგრულ ენაზე საქმის წარმოება, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების წერა-კითხვის და ტექნიკური უცოდინრობის ლიკვიდაცია მეგრული ენის გამოყენებით და სხვ. ახლა კი იგი ნაწილობრივ უკან იხევს, მეგრული გაზეთის საჭიროებასაც არ უარყოფს. აი, რატომ არ მოიხსენია აკ. კობახიძემ წერილში საკუთარი თავი ჩხოროწყუს გლეხების ბრძოლის მეთაურის სახით. გამოდის, რომ მან ბერიას უჩვენა მხოლოდ ჩხოროწყუს რაიონში ვითომ არსებული „საყოველთაო ანტიავტონომისტური მოძრაობა“, ხოლო ვინ იდგა ამ არ არსებული, ყალბი „მოძრაობის“ სათავეში, ამას მალავს, რადგან ისინი ლ. ბერიამ უკვე ჩამოიშორა. მაშასადამე, აკ. კობახიძე ვ. ბოკუჩავას და მ. პერტახიას მსგავსად თამაშობს. ბერიამ ეს ყველაფერი ისედაც კარგად იცოდა და, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც არ არის გასაკვირი მათი ალიანსი.

2) ა. კობახიძე წერს, თითქოს ი. ჟვანიას და მის მხარდამჭერებს ნავარაუდევი ჰქონდათ ზუგდიდში დაეარსებინათ „მეგრული უნივერსიტეტი“. ეს არის აბსურდი, ბრალეულობათა გაზრდის მიზნით. როგორც ადრე ვნახეთ, აკ. კობახიძემ ი. ჟვანიას მიმართ მტრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ 1928 წელს საქართველოს კომპარტიის IV პლენუმზე პშენიცინის კრიტიკისა და

საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის მხარდაჭერით გამოიჩინა. გრ. გაბუნიას რეპლიკას კი მან ასე უპასუხა: „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრაწლედი, ზეგ კი შეიქმნება ავტონომიური რესპუბლიკა". ახლა კი, ახლებურად წინასწარმეტყველობს, მიუხედავად იმისა, რომ მეგრულ ენაზე ბროშურაც გამოიცა, გაზეთიც და ბევრი სხვაც გაკეთდა, მაგრამ არც მეგრული საშუალო სკოლა შემოღებულა და არც „ავტონომიური რესპუბლიკა". სინამდვილეში კი ი. ჟვანიას წერილში „საქ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროსადმი" (1931 წ. დაახლოებით აგვისტო ან სექტემბერი) ნათქვამია: „იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოს ჩაის ფართობების 50%-ს სამეგრელო მოიცავს, აგრეთვე, აჭარასა და აფხაზეთს შორის ზუგდიდი გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს, ჩაის ინსტიტუტი (ე.ი. ანასეულის კვლევითი ინსტიტუტი — ავტ.) გადმოტანილი იქნას სამეგრელოში" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.6, ს.266, ფურც.77). ი. ჟვანია და მისი მომხრეების აბსოლუტური უმრავლესობა იყვნენ უმაღლესი განათლების არმქონე, მაგრამ ხალხის წიაღიდან გამოსული, ნიჭიერი და არა „ჭკუანაღრძობი" ადამიანები, რომლებიც, თავგამოდებით იბრძოდნენ იმისთვის, რომ პარტიის მიერ წარმოსახული და მათ მიერ დაჯერებული სოციალიზმის სიკეთე დაენერგათ სამეგრელოში. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, მათ არ მოუთხოვიათ სამეგრელოს სკოლების გამეგრელება, ამასთანავე არ ჩანს წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ თუნდაც ვინმეს მოსვლოდეს ჭკუაში სამეგრელოს ქართული სკოლების გამეგრელებისა და „მეგრული უნივერსიტეტის" დაარსების აბსურდული აზრები. მაგრამ ის კი იყო, რომ ზუგდიდში საჭიროების გამო დაარსდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი.

3) აკ. კობახიძის აზროვნება და პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც გამოვლინდა მის რაიკომის მდივნად მუშაობისა და აგრეთვე აღნიშნული წერილის შექმნაში, ემყარებოდა გარკვეულ თეორიულ დოქტრინას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერი მეგრელების პატრიოტიზმს. ა. კობახიძისათვის მისაღებია მარქსის დებულება ეროვნებათა და ხალხების შერწყმის გარდუვალობის შესახებ. იგი ამტკიცებდა: „Марксизм выдвигает на место всякого национализма интернационализм — слияние всех наций" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს.266, ფურც. 86). ეი კიდევ საიდან მოდის ა. კობახიძისეული „მეგრული საკითხის" თავისებური ჭვრეტა, მოწინააღმდეგეთა მოთხოვნების ჰიპერტროფირება და ი. ჟვანიას და სხვათა შესახებ ნათქვამ-ნალაყბეების ერთ ყალბ ლოგიკურ კონცეფციად ჩამოყალიბება.

4) კობახიძე ისე გაუტაცია ლ. ბერიას 1925 წლის 13 სექტემბრის სტატიაში მოცემულ ი. ჟვანიას კრიტიკას, რომ აღარ უკვირდება ისტორიას. მას 1923 წლიდან ზუგდიდელ „მაფალუელად" აცხადებს, მაშინ როცა ი. ჟვანია 1925 წლის ზაფხულში დანიშნეს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივნად, მანამდე არც ზუგდიდში იყო და როგორც ბერიას საპასუხოდ გამოქვეყნებულ წერილში (15.IX.1925) წერდა, ეს ვითომ „მაფალუელებიც" პირველად მხოლოდ 1925 წლის 27 აგვისტოს, ისიც ბერიას თანდასწრებით (ე.ი. ჩეკაში) ნახა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს რას დაწერდა ა. კობახიძე, ბერიამ ისედაც კარგად იცის მის და სხვათა „ნამუშევარში" რა არის ტყუილი და რა არის მართალი და როდის რისი გამოყენება შეიძლება.

კიდევ შეიძლებოდა ა. კობახიძის წერილში მოცემული იმ აბსურდული დებულებებისა თუ არგუმენტების მხილება, რომლებიც ზოგ მკვლევარს მართალი ჰგონია, მაგრამ ეს ამჯერად საკმარისად გვესახება, მით უმეტეს, რომ მსგავსი პოლიტიკანურად გაყალბებული დოკუმენტების შესახებ მსჯელობა ქვემოთაც გვექნება. ლ. ბერიას რომ ვ. ბოკუჩავას, მ. პერტახიას, აკ. კობახიძის და სხვათა წერილებში ასახული გაზეიადებანი სიმართლედ მიეჩნია, თუნდაც სტალინის შიშით, ზუგდიდს ეგზეკუცია, ხოლო ი. ჟვანიას სიკვდილი იმთავითვე არ ასცდებოდა. მაგრამ ბერიამ და სტალინმა კარგად იცოდნენ საქმის

ნამდვილი ვითარება. მათ მიერ ხორციელდებოდა პოლიტიკა, რომელიც ავტორიტეტების შელახვას ისახავდა მიზნად. იმდროინდელი პოსტულატებით ბელადის გარდა სხვა ზნეობრივად სუფთა კაცი არ უნდა არსებულიყო. ამიტომ ცილისწამება ითვლებოდა ნორმალურ მდგომარეობად. იგი კიდეც სტიმულირდებოდა. ამიტომ ი. ჟვანიას მიმართ გამოთქმულ უამრავ ბრალდებას მხოლოდ სტატისტიკის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ისინი ამიტომ ცდილობდნენ „მეგრული საკითხის" მართვას და სტალინური ჭკუით დინჯად მოგვარებას, თორემ 1930 წელს საქართველოში ჩატარებული სასტიკი, „1924 წლის მსგავსი" (კაკო შელია), რეპრესიების დროს, ი. ჟვანიას და ზოგ სხვათა მოშორება ბერიას არ გაუჭირდებოდა. ი. ჟვანია სამეგრელოს პატრიოტი, ავტორიტეტული და გონიერი პარტიული მუშაკი იყო, მაგრამ არა სეპარატისტი. ეს სტალინმაც კარგად იცოდა და ბერიამაც. ამიტომ შემორჩა ი. ჟვანია თანამდებობებს 1937 წლამდე.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელმა ლ. ბერიამ თავიდან „მეგრულ საკითხს" კი არ წაუყრუა, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს ესახება, არამედ ძველი, ლომინაძის და მამულიას ტრადიცია გააგრძელა, თუმცა მათგან განსხვავებით, მხოლოდ თავიდანვე მისი „მოგვარების" წინასწარი სამუშაოების განხორციელებას შეუდგა. „მეგრული საკითხი" არ იყო ფეთქებადი, სასწრაფოდ მოსაგვარებელი, საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოსათვის ზიანის მომტანი. თავისდაუნებურად ეს მ. პერტახიამაც აღიარა, როცა ლ. ბერიას მიერ ორგანიზებულ ზუგდიდის გაფართოებული ბიუროზე დისპუტის დროს ა. ჯიქიას მიერ დასმულ კითხვას: „რა ზიანს მოუტანს სამეგრელოს ოლქი (საქართველოს — ავტ.) და რისთვის ხართ თქვენ ასე წინააღმდეგ გამსჭვალული", გულწრფელად უპასუხა: „საქართველოს არავითარ ზიანს მიაყენებს". მასთან დასძინა: „ოლქი ჩვენ იმიტომ არ გვჭირდება, რომ ჩვენ კულტურულად უფრო წინ ვართ"... ეტყობა, ასე დაარიგა ე. ბედიამ. ბედიასაც რომ არ დაერიგებინა, ყოფილ ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრს, ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს და რაიონული პროფორგანიზაციის თავმჯდომარეს სინამდვილის აღქმა არ უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ რადგან მისი ეს პასუხი ბერიასათვის განკუთვნილ სტენოგრამაში აისახა, უნდა. ვიფიქროთ, რომ მ. პერტახიას ამ სიმართლის ამსახველ აზრს სათანადოდ მასაზრდოებელი ჰყავდა. ბერია, როგორც წესი, სერიოზულ საქმეს წინასწარი გასაუბრების გარეშე არავის ანდობდა და ამიტომ არა გვგონია, რომ ი. ჟვანიას და მის მხარდამჭერთა შესახებ შეთხზულ დასმენებში რაიმე ზომით დიდი ინტრიგანის თანამშრომლობაც არ აისახება. პირიქით, როგორც ადრეც ვნახეთ და ახლაც ჩანს, ესენი ყველანი ი. ჟვანიას წინააღმდეგ, ახლა უკვე, ე. ბედიას და სხვათა მეშვეობით, ბერიამ დარაზმა და წააქეზა. ამას გვაფიქრებინებს ზუგდიდის ყოფილ მაზრის რაიონებში ი. ჟვანიასა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ უაღრესად ბინძურად ორგანიზებული ცილისმწამებლური კამპანია. მის შესახებ საუბარი წიგნის მომდევნო თავში დამატებით ქვეყნდება.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, ი. ჟვანიას ვოსტორგოვის მოწაფედ მოხსენიება აბსურდია, მის მიმართ „მაფალუელის" წოდება გულისხმობს „მეგრული საკითხის" შესახებ საქართველოს ცენტრის მიერვე დასახული მაგრამ გაუმართლებლად დაკონსერვებულ-დამუხრუჭებული თუ შეკვეცილი ღონისძიებების განხორციელებისათვის ი. ჟვანიას და თანამოაზრეთა ბრძოლის გამო მიკერძოებულ ყალბ ბრალეულობებს.

ამდენად, ი. ჟვანიას „ავტონომისტობა" პარტოკრატიულ—პოლიტიკანური სიყალბეა. იგი ზუგდიდის ყოფილი მაზრისა და სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის ინტერესებიდან მომდინარე ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნით უპირისპირდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და როგორც ჩანს, მისი დამკვალიანებელის, სტალინის შეცვლილ პოლიტიკასაც. მაგრამ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრის მხრივ ავტონომიის მითუმეტეს საქართველოდან გამოყოფას სეპარატისტული მოთხოვნა არ დასტურდება.

თავი XVII

ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიასა და ე.ზ. „მაფალუელების“ წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბური ორგანიზება. დაწინაურების გზით ი. ჟვანიას ზუგდიდის ხელმძღვანელობიდან მოშორება

როგორც წინა თავში ვნახეთ, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელად ლ. ბერიას დაწინაურების პირველივე თვეებში გამოვლინდა ამ დიდი ჩეკისტის ერთგულება მის მიერ „მეგრული საკითხის“ მოგვარების მიზნით 1925 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ ჩამოყალიბებული გეზის მიმართ. ამ მიზნით ბერიამ ე. ბედიას მეშვეობით იმთავითვე მოუყარა თავი ი. ჟვანიას მუშაობის სტილის დაგმობისათვის საჭირო ძალებსა და მათ მაკომპრომეტირებულ მასალებს. 1932 წელს ბერიამ ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ უკვე ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო. თანაც, იგი ამ ღონისძიებებს ისე უწევდა ორგანიზებას, რომ თავად შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მაგრამ ლ. ბერიასა და ი. ჟვანიას ურთიერთდაპირისპირება და ბრძოლა მრავალმხრივი გამოვლინებით გაცხადდა. ამ ბრძოლის ეპიზოდების გაცნობით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ეს იყო დაპირისპირება კონკრეტული საკითხების (სამეგრელოს ავტონომიის, მეგრული ნაციონალიზმის, სკოლის მეგრელიზაციის და სხვ.) გამო. სინამდვილეში, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, ეს იყო ბრძოლა სამეგრელოს სოციალისტური განვითარების ორი განსხვავებულ გეზით, მეთოდით, ხელმძღვანელობის სტილითა და იდეოლოგიით განვითარების მცდელობისა. ბერია იმთავითვე შეუდგა „მეგრული საკითხის“ უნიტარული, სახელმწიფოებრივი მართვის მეთოდებით მოგვარებას. ი. ჟვანია იბრძოდა სამეგრელოს პრობლემების სპეციფიური მეგრული ენით, საერთო რეგიონალურ ერთიან ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ცენტრის და საერთო რეგიონალური ადმინისტრაციული ოლქის კომპლექსური და უფრო ეფექტიანი ღონისძიებებით მოგვარებისათვის. მას სამეგრელოს შესაძლო სწრაფი სამეურნეო ეკონომიკური, კულტურული და საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისათვის საჭიროდ მიაჩნდა მისი რეალური სინამდვილიდან გამომდინარე, გარდამავალი ხასიათის იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც საქართველოს საერთოსახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ შეესაბამებოდა მეგრელი მოსახლეობის სულისკვეთებასა და მოთხოვნებს. აღნიშნული მეთოდური თვალსაზრისიდან ამოდიოდა „მეგრულ საკითხთან“ დაკავშირებული ყველა დეტალი, გაუგებრობა-დაპირისპირება და უსიამოვნება. ბერიას მხარს უჭერდნენ მის მიერ დაწინაურებული უნიტარულ-ტოტალიტარული საქართველოს ინტერესების დამცველი პარტოკრატიული ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, უნიტარული საქართველოს მხარდამჭერი ინტელიგენტები, ი. ჟვანიას მიერ ჩამოცილებული ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრები და აშკარა კარიერისტები. ი. ჟვანიას მხარდამჭერთა შორის იყვნენ „მეგრული საკითხის“ თავისებური პოლიტიკით, უშუალო მწარმოებელი ხალხის რეგიონალური ინტერესების მიხედვით გარდაქმნების განხორციელების მსურველები, საქართველოსათვის სამეგრელოს ავტონომიის შესაძლო უარყოფითი გამოვლინების ვერგამგე თითო-ოროლა ყოფილი ავტონომისტი და ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, მეგრული ყოფითი წეს-ჩვეულებების დამცველი ტრადიციონალისტები.

ლ. ბერიას მიერ „მეგრული საკითხის“ მოგვარების ახალი (მაშასადამე, მასალების თავმოყრიდან იერიშზე გადასვლის) ეტაპი, სათანადო წყაროებით მკაფიოდ იკვეთება 1932 წლის დასაწყისიდან. ამ ბრძოლის დაწყების აშკარა მაუწყებელი იყო საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგისა და ლ. ბერიას მარჯვენა ხელის ერიკ ბედიას გამოსვლა, რომლის შემდეგ იწყება დაპირისპირებულთა მკაფიოდ გამოხატული დაუნდობელი ბრძოლა.

როგორც ადრე ვნახეთ, ყრილობამდე საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძემ მხარი დაუჭირა სამეგრელოს აღმინისტრაციული ოლქის მოთხოვნას და მომავალშიც მხარდაჭერას შეჰირდა იმ პირობით, რომ იგი ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავზე რეალურად განხორციელებულიყო. მან ყრილობაზე უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ი. ჟვანიას ხელმძღვანელობას. ზუგდიდის ცენტრის ხელმძღვანელობის სიკეთე ყრილობაზე წარმოაჩინა, აგრეთვე, ჯერ აღმასკომის თავმჯდომარე იუსტინე გვასალიამ, შემდეგ რაიკომის მდივანმა ი. ჟვანიამ. ზუგდიდის ცენტრი და მისი ლიდერი ი. ჟვანია ყრილობაზე წარმოჩნდნენ, როგორც პარტიის გენერალური ხაზისათვის სწორი მეთოდით მებრძოლები. მაგრამ ეს არ შედიოდა ლ. ბერიას ინტერესებში. ისე გამოდიოდა, რომ ი. ჟვანია მართლდებოდა „მეგრული საკითხის" თავისებურ განხორციელებაში და, მაშასადამე, ამ საკითხში ბერიას გეზის უარყოფაში. ეს რომ არ მომხდარიყო, ამისათვის სათანადო წინასწარი ზომები მიიღეს. ყრილობაზე ი. გვასალიას, ი. ჟვანიას და თვით ფ. მახარაძის სიტყვის შემდეგ, 24 იანვარს, ბოლო, საღამოს სხდომაზე სიტყვა მისცეს ე. ბედიას.

ე. ბედიამ თავისი რეგლამენტის ნახევარზე მეტი დაუთმო ყრილობის მიერ შექებული ი. ჟვანიას შეცდომებისა და „ატამანშჩინის" გამოაშკარავებას. „თავის რაიონში ზუგდიდის პარტორგანიზაციის კრებაზე ამხ ჟვანიამ პირდაპირ აღნიშნა, — განაცხადა ე. ბედიამ, — რომ არის ისეთი ხალხი, როგორიც მაგალითად ბედია და სხვები, რომლებიც ცდილობენ ახალ ხელმძღვანელობასთან (ე.ი. ბერიასთან — ავტ.) შეგუებასო". ი. ჟვანიამ ეს სიტყვები ზოგადი სახით ყრილობაზეც გამოსთქვა. როგორც ჩანს, ი. ჟვანიამ, სადღაც მართლა თქვა ის, რაც ე. ბედიამ აღნიშნა და ეს ადრესატამდე მივიდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ზუგდიდის დისპუტზე სხვების მიერ ვ. ბოკუჩავასა და მ. პერტახიას ე. ბედიასთან დაკავშირება ორატორმა სახეცვლილად გამოიყენა, რათა საქმე ისე წარმოეჩინა, რომ ლ. ბერიას უშუალო დაინტერესება მიეჩქმალა. „ჩვენ ვაღიარებთ ჩვენ შეცდომებს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ვაწარმოებთ მუშაობას, — სთქვა ე. ბედიამ, — ვიბრძვით — ეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება შეგუების პოლიტიკად. ასე არ შეიძლება პარტიული ორგანიზაციის აღზრდა". მართლაც, ი. ჟვანიას აკლდა პარტიული მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამახასიათებელი თვისება — შემგუებლობა და მოჭარბებული მლიქვნელობა. იგი, როგორც არაერთგზის ვნახეთ, პარტიის გენერალური ხაზის საკუთარი ხედვით იღვწოდა და ზემდგომი ხელმძღვანელობიდანაც კი არავის ეპუებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ი. ჟვანიას ზურგი სუფთა ჰქონდა და ამიტომ იგი იმდროინდელ პარტიულ ხელმძღვანელებს შორის თეთრი ყვავივით გამოიყურებოდა. ამიტომაც მის წინააღმდეგ ე. ბედიას გაღმა შედავება არ გასჭირვებია. „ასე არ შეიძლება, ამხ. ჟვანია, — განაცხადა ე. ბედიამ და ნიშნის მოგებით დასძინა: — თქვენ მაინცდამაინც არაფერი გეთქმით, სჯობს რომ დაჩუმდეთ". მან ამას მოაყოლა ი. ჟვანიას მიზნობრივი კრიტიკა, რომლის დროსაც იძულებული გახდა ამისთვის წაემძღვარებინა ასეთი სიტყვები: „მე არ მინდა სახელი გაუტეხო ამხ. ჟვანიას. თქვენ მას იცნობთ. იგი დამსახურებული ამხანაგია, ერთ-ერთი კარგი ხელმძღვანელი, მაგრამ მას აქვს შეცდომები და ამის შესახებ არ უყვარს ლაპარაკი"[1]. ეს სიტყვები იძულებით იყო ნათქვამი. ე. ბედია და ი. ჟვანია, როგორც ვნახეთ, ამ დროისათვის უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებული. ე. ბედია ე. უბირიას, ვ. ბოკუჩავას, მ. პერტახიას, აკ. კობახიძის და ზოგიერთ სხვათა მსგავსად, ი. ჟვანიას წინააღმდეგ ლ. ბერიასთან იყო შეკრული. მაშასადამე, ე. ბედიას ქათინაურები ი. ჟვანიას მიმართ იმისათვის დასჭირდა, რომ ყრილობის მონაწილეთა რეპლიკები არ გამოეწვია და სიტყვით გამოსვლის დროს სირთულეები არ შექმნოდა. ამის შემდეგ ე. ბედიამ ჩამოა-

[1] საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობა, სტენ. ანგ. გვ. 194.

ყალიბა ი. ჟვანიას „შეცდომები“, რომლებსაც ისეთი დატვირთვა მიანიჭა, რომ თავისი „ქათინაურები“ თვითონვე გააქარწყლა.

ე. ბედიამ ი. ჟვანიას „შეცდომებისა“ და „ატამანური ხელმძღვანელობის“ მაგალითებად გამოაცხადა მისი ბრძოლა ზუგდიდის რაიკომის ბიუროს ყოფილი წევრების, მოწინააღმდეგეების მიერ გადაბირებული ბოკუჩავას, პერტახიას და აკ. კობახიძის წინააღმდეგ. ე. ბედია ამ დროს დაეყრდნო ისევ ვ. ბოკუჩავას, მ. პერტახიას და აკ. კობახიძის იმ წერილებს, რომლებიც მათ 1931 წელის ნოემბერ-დეკემბერში წარადგინეს ი. ჟვანიას საქმიანობის გასაშავებლად და ბერიას გულის მოსაგებად. ე. ბედიამ ყრილობის დელეგატებს საქმე ისე წარმოუჩინა, თითქოს ბოკუჩავა და პერტახია ბიუროს წევრობიდან მხოლოდ იმიტომ გარიცხეს, „რომ არ ეთანხმებოდნენ მას (ი. ჟვანიას) <u>სკოლის მეგრელიზაციის</u> (? — ავტ.) საკითხში... არ იზიარებენ <u>ავტონომიისათვის</u> (? — ავტ.) და სამეგრელოს ოლქისათვის ბრძოლის მეთოდებს“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ე. ბედიამ, ბოკუჩავა-პერტახიას და ზოგი სხვის მსგავსად, ავტონომია და ოლქი იდენტურ ცნებებად წარმოაჩინა, მაშინ, როცა მან სხვებზე არანაკლებ კარგად იცოდა, რომ ამ ორის შინაარსში განსხვავებული სტატუსი იგულისხმებოდა. „რა დაწერეს მათ?“ — კითხვა დასვა ე. ბედიამ და ასე უპასუხა: „მათ დაწერეს რომ სამეგრელოს <u>ავტონომიური</u> (! — ავტ.) ოლქის წინააღმდეგი არიან, რომ არ ეთანხმებიან ამხ. ჟვანიას სკოლის მეგრელიზაციის (! — ავტ.) საკითხში“. საჭიროების შემთხვევაში ე. ბედია იტყოდა, ი. ჟვანიას ეს აზრი დღემდე არ შეუცვლიაო, მაგრამ არა, მას სხვა ლოგიკა სჭირდება. ე. ბედიამ ი. ჟვანიას გაუხსენა, რომ იგი 1925 წლის 12 სექტემბერს, გაზეთ „კომუნისტში“ (სინამდვილეში 15 სექტემბერს — ავტ.) „ავტონომიას“ „ავანტიურად“ მიიჩნევდა, პარტიის VI ყრილობაზე კი განაცხადა: „სკოლებში შენარჩუნებული უნდა იქნას სწავლა ქართულ ენაზე, ხოლო მეგრული ენით უნდა ვისარგებლოთ, როგორც დამხმარე განმმარტავი ენით; ასეთია ცენტრალური კომიტეტის დადგენილება... ვინც ამ დადგენილების წინააღმდეგ მიდის, მემარჯვენე უკლონისტები არიან.“ ამასთან, ე. ბედიამ ი. ჟვანიას არათანმიმდევრული პარტიული აზროვნებისა და მოქმედების კიდევ ერთ მაგალითად წარმოაჩინა ის, რომ იგი „ჟურნალში „რევოლუცია და ეროვნება“ (რუსულ ენაზე, №7) წერდა: „თუ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო-კულტურულ ღონისძიებათა საფუძველზე ადგილობრივი (მეგრული — ავტ.) ნაციონალიზმი შეეცდება წამოყოს თავი, იგი აღკვეთილი უნდა იქნას“ (ნაგულისხმევია აღნიშნული სახელწოდების სსრკ ცაკ-ის და კომუნისტური აკადემიის 1930 წლის გამოცემაში მოთავსებული კრიტიკული სტატია „სამეგრელოს საბჭოთა და ეროვნული მშენებლობა“. გვ. 66-72,72), და დასძინა: რეალურ სინამდვილეში კი ი. ჟვანია იცავსო ზუგდიდელ მაფალუისტებს და მათ ბელადს მიშა დადიანს, „რომელიც თავის დროზე მოითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას“.

ე. ბედია ი. ჟვანიას საყვედურობს, რომ იგი არ ებრძვის შოვინისტ მ. დადიანს, რომელმაც დაწერა წიგნი „ფილოსოფია და უბრძნესი ენა“, რომელშიც მსოფლიო ენებისა და ცივილიზაციის წარმოშობა მეგრელთა წინაპარ ტომს ქამიტებს დაუკავშირა. ე. ბედიამ დამატებით განმარტა: „ე.ი. ყველა ერი და ყველა ენა წარმოიშვა მეგრელთა ტომისაგან.“ ჯერ ერთი, ეს პარტიულ-პოლიტიკური საკითხი არ იყო და აქ სამასხარაოც არაფერია, მეორე, ეს ხომ 1906 წელს იყო?! მიუხედავად ამისა, ე. ბედიას ასეთ მზაკვრულ განცხადებას ყრილობის დამსწრეთა სიცილი მოჰყვა. ე. ბედიამ კი ნიშნის „მოგების“ შემდეგ დასძინა: „თუ პარტიის წევრები, რაიკომის ბიუროს წევრები (ვ. ბოკუჩავა და მ. პერტახია — ავტ.) იმეორებენ იმას, რასაც ამხ. ჟვანია ამბობდა 4-5 წლის წინად ეხლანდელი ავტონომისტის ამხ. ჟვანიას წინააღმდეგ, ნუ თუ ამისათვის ისინი გამორიცხულ უნდა იქნან რაიკომის ბიუროდან და პლენუმიდან? ეს არის თვითკრიტიკის აღმაშფოთებელი ჩაბშობა... ეს არის ნამდვილი ატამანშჩინის ელემენტი. აი რის თქმა მინდოდა მე.“ მაშასადამე, ე. ბედიამ ლ. ქართველიშვილის,

ს. მამულიას და სხვათა „ატამანშჩინის“ წინააღმდეგ საგნობრივად და კონკრეტული მაგალითებით მებრძოლი მის მიერვე „შექებული“ „დამსახურებული ამხანაგი, ერთ-ერთი კარგი ხელმძღვანელი“, ფაქტობრივად ყრილობის მიერ დაგმობილების კატეგორიაში მყოფად გაასაღა და „დააკანონა“, როგორც ავტონომისტი.

არადა, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ი. ჟვანია მამა აბრამის ბატკანი არა ყოფილა, მაგრამ არც სამეგრელოს „ავტონომიის“ მოთხოვნას აყენებდა, არც სამეგრელოს სკოლების „მეგრელიზაციას“ მოითხოვდა და არც ე.წ. „მაფალუელებს“ შეკვრია, მაგრამ ყრილობის შემდეგ მისი მხარდაჭერა შეუძლებელი ხდება. ი. ჟვანიას ყრილობაზე საბოლოოდ მიაკერეს სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლის იარლიყი. იმასაც გავეცანით, რომ ე. ბოკუჩავასა და მ. პერტახიას გარიცხვა „თვითკრიტიკის“ გამო კი არ მოხდა, არამედ ინტრიგანობისა და პოლიტიკანობის ბრალდებით, კერძოდ იმის გამო, რომ ისინი ი. ჟვანიასა და პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ იმ საკითხებში, რომლებსაც ადრე თვითონვე იცავდნენ, ახლა კი ახალი პარტიულ-პოლიტიკური კონიუნქტურის დროს თავი პარტიის სწორი ხაზისთვის ნაწამებ მებრძოლებად მოჰქონდათ და ზუგდიდის პარტიული აქტივის, ხოლო ზოგჯერ ცალკეულ პირთა მიმართ (ა. ჭანტურია, ხვიტია და სხვ.) უსამართლო ბრალდებებს თხზავდნენ. მაგრამ ამით იმის თქმა როდი გვინდა, რომ ბოკუჩავა და პერტახია პარტიიდან გასარიცხი იყვნენ, ან იმის მტკიცებას როდი ვცდილობთ, თითქოს ისინი სწორად მოქმედებდნენ. ჩვენთვის ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. ამ მხრივ ბოლომდე მართალი არც ერთი არ იყო და ამავე დროს, გარკვეულ სიმართლეს ორივე მხარე გამოხატავდა. ჩვენთვის აქ მთავარი იმის ჩვენებაა, რომ ზუგდიდის რაიკომისა და მის მიერ დევნილთა ბრძოლა დიდი და ბინძური თამაშის ანარეკლი იყო. როგორც ვხედავთ, ეს თამაში ე. ბედიამ ყრილობაზეც წარმოაჩინა. გასაგებია, რომ ე. ბედიას არ შეეძლო ყრილობაზე გამომსვლელთა შორის ბოლო ანუ ჩამკეტი და მაშასადამე, საპასუხო კრიტიკისაგან დაზღვეული ყოფილიყო, თუ ეს წინასწარ ბერიასთან შეთანხმებული არ იყო. მას არც ის შეეძლო, რომ თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი გამოეყენებინა თავდაცვისა და ი. ჟვანიას კრიტიკისათვის. ასეთ შემთხვევაში იგი დაზღვეული არ იყო უსიამოვნო რეპლიკებისა და შენიშვნებისაგან. მაგრამ ე. ბედიასათვის შენიშვნა არ მიუციათ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისთვის, როგორც გამონაკლისი, ტაშიც არავის დაუკრავს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ე. ბედია მის მიერვე წაქებული ი. ჟვანიას მტრების ყალბ ინფორმაციას ეყრდნობოდა და ლ. ბერიას დავალებას ასრულებდა. ი. ჟვანიას ავტორიტეტის მნიშვნელოვანი ამაღლება ლ. ბერიას გაურთულებდა ი. ჟვანიას მიმართ დასახული ამოცანის შესრულებას, ამიტომაც ადრე მის მიერ გაკრიტიკებულ ე. ბედიას ყრილობაზე სიტყვის თავისუფლების ფართო შესაძლებლობა შეუქმნა. მიუხედავად ამისა, ი. ჟვანიას ავტორიტეტი ყრილობის მონაწილეთა და საქართველოს პარტიული აქტივის თვალში იმდენად მაღალი იყო, რომ იგი საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში წევრად (და არა კანდიდატად) აირჩია[1]. ი. ჟვანია მართლა რომ ის ყოფილიყო, როგორადაც ე. ბედიამ წარმოაჩინა და რა იარლიყებსაც დღეს აკერებენ, რა თქმა უნდა, მას საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არ დაასახელებდნენ და მით უმეტეს არ აირჩევდნენ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ამისათვის კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ „მეგრული საკითხი“ საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე მიზნობრივად და კვლავ გამრუდებულად აისახა. ვინც ამ თამაშის ნიუანსებს ვერ წვდება, მას ეჩვენება, რომ ი. ჟვანია მართლა ავტონომისტი ე.წ. „მაფალუელი“ და სეპარატისტი იყო და ამიტომ „იცავდა და იცავს“ სამეგრელოს სკოლების მეგრელი-

[1] საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობა, სტნ. ანგ. გვ. 212

ზაციის და სამეგრელოს ავტონომიის იდეას, ანუ ანტიქართულ სეპარატიზმს, ხოლო ლ. ბერია, ე. ბედია, ვ. ბოკუჩავა, მ. პერტახია, აკ. კობახიძე და სხვ. მას ეროვნული პატრიოტიზმის პოზიციებიდან ებრძვიან. ასეთი აზრი შეექმნება ყველას, ვინც აღნიშნულ სტენოგრამულ ანგარიშში ე. ბედიას სიტყვას წაიკითხავს. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, აურზაურის მიზეზი, ამჯერადაც არის არა ანტიქართული მეგრული სეპარატიზმი, არამედ „მეგრული საკითხის" მოგვარების ორი, ურთიერთდაპირისპირებული (მარტივად რომ ვთქვათ, ი. ჟვანიას და ლ. ბერიას) აზრის, ანუ ხაზის არსებობა, რომელიც საქართველოს ინტერესებით კი არ საზრდოობდა, არამედ სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული მოწყობის სამართლიანი ინტერესების გაყალბებით იხლართებოდა. ამასთან, არ არსებობს საეჭველი, რომელიც ცალსახად დაადასტურებს, რომ სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ოლქი უარეს მდგომარეობას შეუქმნიდა სამეგრელოს რეგიონს, ვიდრე ეს მრავალ დამოუკიდებელ რაიონად დანაწევრებამ შექმნა, ან თითქოს, სამეგრელოს ოლქი ნაკლებად სასარგებლო იქნებოდა საერთოდ საქართველოსთვის და იგი მართლაც გამოიწვევდა სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, როგორც ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეები ამბობდნენ — მის 300 წლით უკან გადაგდებას და ანტიეროვნული სეპარატიზმის აუცილებელ გაღრმავებას. როგორც ვნახეთ, ასეთი საშიშროება არ არსებობდა, ხოლო სამეგრელოს ერთიან კულტურულ-ეკონომიკურ ორგანიზმად ფორმირებას უთუოდ შეეძლო საერთო ეროვნული სარგებლიანობის გადიდება. ასეთი აზრი ასაზრდოებდა ი. ჟვანიას და მისი მიმდევრების ოპტიმიზმს. თანაც ისინი მყარად იყვნენ დარწმუნებული, რომ იცავდნენ სტალინურ ხაზს, ხოლო ყველა დანარჩენი პარტიის გენერალური საზის წინააღმდეგ მოქმედებდა, მაგრამ ეს ამბავი სტალინის ყურამდე არ მიდიოდა. სწორედ ასეთი აზრი ანიჭებდა ი. ჟვანიასა და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლებს ენერგიასა და ძალას.

ე. ბედიას აზრი იყო საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის პრინციპული, ახალი ტენდენციების მასაზრდოებელი. იგი ამასთან იყო ძლიერი, მაგრამ არცთუ მოულოდნელი დარტყმა ი. ჟვანიასა და ყველა მისი მხარდამჭერის, მათ შორის ფ. მახარაძის მიმართ. როგორც ჩეკისტი „კაკოს" მოგონებებიც ადასტურებენ, ლ. ბერია სტალინთან პირდაპირი, ფარული კავშირის დამყარების შემდეგ ძირს უთხრიდა ძველ ბოლშევიკებს, „ლენინური გვარდიის" წარმომადგენლებს. ბერია ანეიტრალებდა ყველას, ვისაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე საკუთარი დამსახურება სტალინის ავტორიტარიზმში ეჭვის შეტანის ან ჩეკისტი ბერიას დაწინაურების გამო უკმაყოფილების განწყობილების უფლებას უქმნიდა. დამატებითი მიზეზი გახდა ბერიას საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად დანიშვნის გამო მამია ორახელაშვილის, ფ. მახარაძის, მ. ტოროშელიძის, პ.მელაძისა და სხვათა მიერ ორგანიზებული საპროტესტო ბოიკოტი, რომელიც მისდამი სტალინის ურყევი მხარდაჭერის გამო შეწყდა (ამის შესახებ იხ. გ. ციციშვილი. „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები". გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 19 აპრილი). შემდგომმა მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ ლ. ბერია სტალინის ხაზის გატარებისათვის ბრძოლის დროს აბსოლუტურად არავის, მათ შორის საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებელს ფ. მახარაძესაც კი არ ერიდებოდა. ლ. ბერიას მიმართ სტალინის მხარდაჭერა 1933 წლიდან განსაკუთრებით გაძლიერდა. ამიტომ იყო, რომ იგი ერთპიროვნული მმართველობითა და დიქტატორული მეთოდებით იწყებს ხელმძღვანელობას. ამ საქმეში ლ. ბერია აქტიურად იყენებს ჩეკისტურ მეთოდებსაც. შესაბამისად, „მეგრული საკითხის" თავისებური გეზით მოგვარებისათვის იგი ახლა უკვე აშკარად მოქმედებდა და ამ საქმეში არავის ერიდებოდა. ი. ჟვანია არ შეიძლებოდა გამონაკლისი ყოფილიყო. ბერიამ იგი 1925 წელს რომ დაახასიათა, ის შეფასება ძალაში რჩებოდა და კონკრეტული მოვლენების შუქზე „დასტურდებოდა". ეს გარკვეულ

დრომდე ვერ გაიგეს ვერც ი. ჟვანიამ და ვერც მისი მხარდამჭერების ერთმა ნაწილმა. როგორც ჩანს – 1935-36 წლების რეპრესიების წამოწყებამდეც კი, მათ ესახებოდათ, რომ სტალინი საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის დროსაც, კვლავ მხარს დაუჭერდა „მეგრული საკითხის“ სამართლიან მოგვარებას და ამიტომ ეჩვენებოდათ, რომ საქართველოს ცენტრის პოზიციასაც შეცვლიდნენ. ამიტომ იყო, რომ ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერი ზუგდიდის ცენტრის წარმომადგენლები 1932 წელს თავგამოდებით იბრძოდნენ სტალინის იმ დაპირებათა მოპოვებისათვის, რომელიც განუხორციელებელი რჩებოდა. ეს თავგამოდება თავის მხრივ უპირისპირდებოდა „მეგრული საკითხის“ მოგვარების ლ. ბერიასა და მისი მხარდამჭერების გეზს. ლ. ბერიასთან ბრძოლაში კი ყველა მოწინააღმდეგე უთუოდ მარცხდებოდა, რადგან იგი საკუთარ ინტერესებს ყოველთვის სტალინის თვალსაზრისს უხამებდა. როგორც ჩანს, ლ. ბერიამ მიწოდებული ინფორმაციებითა თუ პირადი საუბრით ბელადი მაინც დაარწმუნა, რომ ი. ჟვანია და ზუგდიდის ცენტრი მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილი სამეგრელოს ავტონომიისკენ იხრებოდა. სხვა შემთხვევაში საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობაზე ე. ბედიას მეშვეობით მსგავსი ყალბი ბრალდების „დაკანონება“ ვერ მოხდებოდა.

ი. ჟვანიამ და ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობამ, როგორც ადრე ვნახეთ, 1932 წელს მიაღწია დაწყებით სკოლაში მეგრული ენით სწავლების შემოღებას. როგორც ამ ექსპერიმენტის ნაადრევმა შეკვეცამ გვიჩვენა, იგი იმთავითვე დიპლომატიური ხასიათის კომპრომისი გამოდგა. ბერიამ პოლიტიკანური მეთოდებით მოიგერია აგრეთვე საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ფ. მახარაძისა და საქართველოს ცენტრის ზოგ სხვა ხელმძღვანელთა ერთი ნაწილისთვის მისაღებად მიჩნეული სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის იდეა და, ამასთანავე, წყალი შეუყენა ი. ჟვანიას, როგორც პრაქტიკოსი ხელმძღვანელისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამეგრელოს გლეხობის ბრძოლის „ისტორიკოსის“ რეპუტაციას.

ეს პროცესი საკმარისზე მეტად მტკივნეული და ხანგრძლივი გახადა იმან, რომ სტალინმა „მეგრული საკითხის“ მოგვარების ზღვარი დოკუმენტურად არ განსაზღვრა. არადა, ხომ შეეძლო ამ მტკივნეული და პრობლემური საკითხის გამო, თუნდაც გაკვრით გამოეთქვა აზრი კომუნისტური პარტიის რომელიმე ფორუმზე, ან თავის რომელიმე პუბლიკაციაში? შეეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, გაურკვევლობის სიტუაციის შენარჩუნება აირჩია და პრობლემების მოგვარება ლ. ბერიას დააკისრა. ეს უკანასკნელი კი სხვათა, მარიონეტების მეშვეობით მოქმედებდა.

1932 წლის თებერვალსა და მარტში წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სოფლებში ჭორები გავრცელდა ყრილობის მიერ მხარდაჭერილი ი. ჟვანიასა და მისი თანამოაზრეების მიერ სკოლების მეგრელიზაციის, რაიონების გაუქმებისა და სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნისათვის მეცადინეობის შესახებ. ამ ჭორებს ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა, ისაკი ჟვანიას მტრებმა: ევგენი უბირიამ, ვარლამ შოგირაძემ და სხვებმა, რეალური პრაქტიკული ბრძოლა მიაყოლეს. იმართებოდა სოფლის კრებები, რომლებზეც გამოთქვამდნენ შიშს "მოსალოდნელი" მეგრელიზაციის საფრთხის გამო. გმობდნენ „მოსალოდნელ“ რეფორმას, რომელიც თითქოს სამეგრელოს ავტონომიურ ოლქს ქმნიდა. სახავდნენ ლონისძიებებს ამ „დიდი საშიშროების“ თავიდან აცილების მიზნით. ასეთი კრებები ჩატარდა სოფლებში მუხურში, ქვედა ჩხოროწყუში, ახუთში, კირცხში, ნაგვაზაოსა და ლესიჭინეში, ნაფიჩხაოში, ჭოღაში, ფახულანში და სხვაგან (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 127-146).

ქვედა ჩხოროწყუს საკოლმეურნეო უჯრედის კრებას თავმჯდომარეობდა ანტიფო ჭეჟია, მდივანი იყო ე. გვარამია. კრებამ დაადგინა: „დარაიონებამ ხელი შეუწყო, რომ გლეხობამ პირი იბრუნა კოლმეურნეობისაკენ", „სამეგრელოს დოლქებას კრება მიიჩნევს სოფლის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უხეშ დამახინჯებად, დაგმობილი იქნას. დოლქება ხელს შეუშლის საგაზაფხულო კამპანიას" (იხ. იქვე, ფურც. 132).

წალენჯიხის რაიონის კრებებს ორგანიზაციას უწევდა ი. ჟვანიას მოწინააღმდეგე ვარლამ შოგირაძე, იგი უშუალოდ თავმჯდომარეობდა წალენჯიხის ჩაის მეურნეობის კოლექტივის კრებას, რომელმაც დაადგინა: „ი. ჟვანიას მეთაურობით ცდილობენ ავტონომია გამოაცხადონ, თავს აცხადებენ სამეგრელოს წარმომადგენლად, ლაპარაკობენ მთელი სამეგრელოს სახელით..." (იხ. იქვე, ფურც. 184). სოფელ ნაფიჩხაოს კრებაზე ერთ-ერთი კოლმეურნე აღნიშნავდა: „რაც მაზრა არსებობდა 1925 წლიდან თემში არცერთი ხელმძღვანელი არ მინახავს თუ სკოლებში მეგრული სწავლება იქნება, იქნება ბავშვების სკოლებში არგაშვების ფაქტი. მეგრულად ნასწავლი ბავშვი არ გამოგვადგება", „გავრცელებული ჭორები გვაიძულებს (! — ავტ.) ხმა ავიმაღლოთ რაიონის მოხსნის (გაუქმების — ავტ.) წინააღმდეგ". გლეხები აღნიშნავდნენ, რომ ზუგდიდამდე „ტრანსპორტის ხარჯები დიდია, აქ კი არც ერთი კაპიკი არ გვესაჭიროება". ე.ი. რაიონის ცენტრი აქვეაო. კრებამ დაასკვნა: „კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის რაიონი ჯობიაო" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 140/2). მაშასადამე, ალიაქოთი ჭორებს გამოუწვევია და არა სიმართლეს.

ჭოღას თემის საერთო საკოლმეურნეო კრებაზე აღინიშნა, რომ „ავტონომიურ ოლქს ისტორიულად არ თანაუგრძნობს მეგრელი ხალხი" და „მას თვლის რეგრესად სოციალისტურად გადაკეთების გზაზე". ჭოღას თემის (და აგრეთვე ნაფიჩხაოს) კრებაზე გაიხსენეს 1930 წლის თებერვალში მთლიან კოლექტივიზაციაზე ადმინისტრირების საშუალებით გადაყვანის დროს მომხდარი ტრაგედია, რომელმაც ადამიანების მსხვერპლი გამოიწვია. კრებაზე გამოსულთა თქმით, ეს უბედურება „გამოწვეული იყო ცოცხალი კავშირის უქონლობით და ზერელე ცნობებზე დაყრდნობით", რაც თითქოს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტისადმი ჩხოროწყუს რაიკომის იმდროინდელი დაქვემდებარების პირდაპირი მიზეზი იყო. განსაკუთრებით საყურადღებოა ჭოღას თემის კოლმეურნეთა კრების დადგენილების ფორმულირება: „ეთხოვოს ჩხოროწყუს პარტკომს დასვას საკითხი ცეკას წინაშე ჩხოროწყუს რაიონის დარჩენის შესახებ ავტონომიის საწინაალმდეგოდ" (იხ. იქვე, ფურც. 145).

ჩხოროწყუს და სხვა რაიონების გლეხობა რომ გმობს სამეგრელოს ავტონომიურ მოწყობას, ეს მართლაც ბევრის მთქმელია, მაგრამ საამწუხარო ისაა, რომ მათ ღია კარებს ამტვრევინებდნენ. როგორც ჩანს, გლეხებს ადგილობრივმა პოლიტიკანებმა საკუთრივ გავრცელებულ ხმებზე და გაუცნობიერებულ ჭორებზე ააგებინეს წარდგინება, ამისათვის მათ ისე აუხსნეს, თითქოს არა ოთხწლედის, არამედ სასკოლო სწავლების მეგრულ ენაზე გადაყვანის და ასევე „მეგრული ხალხის" „ავტონომიურ ოლქზე" გადაყვანის ძველი, 1925 წელს ეგრეთწოდებული „ჩხოუშიელების" მიერ წამოყენებული სეპარატისტული მოთხოვნის ანტიეროვნული, ანტიქართული გატარების რეალური საშიშროება შეიქმნა. ამავე მიზნით გამოიყენეს აღნიშნული სოფლის გლეხების მეხსიერებაში არსებული ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა. აქ საჭიროა მოკლედ მაინც წარმოვაჩინოთ სინამდვილეში ჭოღაში რა მოხდა.

ჭოღას ტრაგედიის გამო არსებობს ჩეკას გამოძიების, მოწმეთა დაკითხვის, სპეციალურად შექმნილი სამაზრო კომისიისა და სხვა მასალები. მათ საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ისე, როგორც მთლიანად საქართველოში, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჭიღაში, იმ დროს ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივების

საფუძველზე „შიშველი ადმინისტრაციული მეთოდებით“ — მოწინააღმდეგეთა დაპატიმრებებით, „დაშინებით“ და სხვა, ჩატარდა მთლიანი კოლექტივიზაცია. სათანადო კომისიის დადგენილებიდან ჩანს, რომ ამ საქმეს სათავეში ედგა ი. ჟვანიას მიმართ მტრად მოკიდებული ვარლამ შოგირაძე, რომელიც იმ დროს დაისაჯა, როგორც ერთ-ერთი დამნაშავე. იგი ახლა რაიაღმასკომის თავმჯდომარეა და სათავეში უდგას ამ პოლიტიკანურად გაყალბებულ კამპანიას. იმდროინდელი ამბავი სინამდვილეში ასე იყო: როგორც კი ი. ჟვანიამ გაიგო სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციის გამო უკმაყოფილების შესახებ, დაიბარა ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ვ. როგავა, აღმასკომის თავმჯდომარე ვ. შოგირაძე და გაარკვია ეს საკითხი. იგი დაარწმუნეს, რომ საქმე რიგზე იყო. შემდგომ დღეებში ადგილობრივი ანტისაკლმეურნეო მოძრაობის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით მოეწყო ქალთა საპროტესტო გამოსელა მამაკაცების მონაწილეობით, რომელიც გადაიზარდა კოლექტივიზაციის გამტარებელ ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და საპროტესტო აქციის მომწყობთა შორის მწვავე დაპირისპირებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დასკვნის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ჩხოროწყუს „რაიონულ პარტიული ორგანიზაციას“ არ ჩაუტარებია სათანადო მისამზადებელი სამუშაოები, „რითაც ისარგებლეს ცალკე ანტი-საბჭოთა ელემენტებმა და ჩაატარეს ანტი-საკოლმეურნეო მუშაობა, განსაკუთრებით ქალთა შორის“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ კონფლიქტის დროს 5 თებერვალს ქალების დაშინების მიზნით ადგილი ჰქონდა ჰაერში (? — ავტ.) „სროლას და სხვა“, რომლის დროსაც დაიღუპა ორი ქალი (მათ შორის ერთი ბავშვი). სათანადო კომისიებისა და საგამომძიებლო მასალების საფუძველზე საქართველოს ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ასეთი აზრი გამოიტანა: „ჩაითვალოს, რომ ბრბოს (!? — ავტ.) წინააღმდეგ სროლის უშუალო დამნაშავენი არიან სოფ. ჭოღას პარტიული და საბჭოთა უჯრედის წევრები, რომელთა მიმართ ხელმძღვანელობას ეწოდნენ უჯრედის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე. ამის გამო ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებით (4. V. 1930) პარტიიდან გარიცხეს ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ვ. როგავა, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. შოგირაძე და სოფლის პარტუჯრედის მდივანი დ. წახნაკიძე, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ალ. შენგელია, კოოპერატივის წევრი ბ. შენგელია. მათი საქმე სისხლის სამართალში მიცემის მიზნით გადაეგზავნა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, ანუ საქჩეკას, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს და რაიონული საკონტროლო კომისიას მიეთითა „საქმის მოგვარებისათვის დროული ზომების მიულებლობის გამო“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 59, აღ. 1, ს. 52, ფურც. 2-4, 60, 63). ჭოღას თემის კრების ახალი დადგენილების მიხედვით დამნაშავედ მიჩნეულია სამაზრო პარტიული ხელმძღვანელობის სისტემა (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 142), ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალი კი ნახსენებიც არაა. რატომ? — ასეა საჭირო და იმიტომ! ახლა კი, როგორც ვხედავთ, ვ. შოგირაძე თავის დანაშაულს თავს ახვევს ი. ჟვანიას. რაშია საქმე, რატომ არავინ ამოიღო ხმა, ნუთუ ყველას დაავიწყდა მომხდარი ამბავიცა და სათანადო მასალებიც?! არა! ასეა საჭირო და იმიტომ!

ჩხოროწყუს რაიონში გლეხობის პროვოცირება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა თბილისში ი. ჟვანიას გამოძახების შემდეგ (1933 წ. 1 მარტი). 7-14 მარტამდე ჩხოროწყუს რაიონში ჩატარდა სოფლების: მუხურის, ქვედა ჩხოროწყუს, ახუთის, კირცხის, ნაგვაზაოს, ლესიჭინეს და სხვათა პარტიულ-კომკავშირული კრებები. აგრეთვე ჩატარდა რაიონული პარტიულ-კომკავშირული და რაიკომის ბიუროს სხდომები. 15 მარტს მოეწყო წალენჯიხის რაიკომისა და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომა პარტაქტივთან ერთად. ყველა ზემოთ აღნიშნულ კრებებსა და სხდომაზე ისაუბრეს ერთგვარ საკითხებზე და გამოიტანეს მსგავსი დადგენილებები. ასე მაგალითად: ჩხორო-

წყუს რაიონის ბიუროს 11 მარტის სხდომის ოქმში (№8) ვკითხულობთ: „მოისმინეს: პარტ-კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრების დადგენილებანი ჩხოროწყუს რაიკომის გაუქმების და სამეგრელოს ავტონომიის შექმნის შესახებ გავრცელებული ხმების (! — ავტ.) გამო" (იხ. იქვე, ფურც. 127). როგორც ეხედავთ, ჩხოროწყუს რაიონში „გავრცელებული ხმების", ანუ ჭორების გამო, და არა მართალი ამბის გამო ჩაუტარებიათ კამპანია. აი ესეც ი. ჟვანიას ავტონომისტობის „მაჩვენებელი" დამატებითი ცნობა.

„დაადგინეს: დარაიონების შემდეგ ჩვენმა რაიონმა მიაღწია საგრძნობ წარმატებებს სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში. ეს შედეგები ბიუროს მიაჩნია მაზრების და ოლქების ლიკვიდაციის საფუძველზე და რაიონების გატარებით, რითაც პარტიის და ხელისუფლების ორგანოები დაუახლოვდა მშრომელი მოსახლეობის ფართე მასებს. ზუგდიდის მაზრაში 10 წელში ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა, რაც გაკეთდა სულ 1,5 წლის განმავლობაში". დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ამცნობს: „წინააღმდეგ არიან ჩხოროწყუს რაიონის მოხსნის." „მოითხოვს ავტონომიის ერთხელ და სამუდამოდ დაგმობას" (იხ. იქვე, ფურც. 146). 15 მარტს ჩატარდა წალენჯიხის რაიკომის ბიუროს და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომა. პარტაქტივთან ერთად სხდომას თავმჯდომარეობდა ი. ჟვანიას ცნობილი მოწინააღმდეგე ევგენი უბირია. „მოისმინეს: სამეგრელოს საკითხისა და რაიონის გაუქმების შესახებ". დაადგინეს: „სხდომა წინააღმდეგია ზუგდიდთან გაერთიანების", „სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლების, მოითხოვს წალენჯიხის რაიონის დატოვებას" და ა.შ. (იხ. იქვე, ფურც. 152). კი მაგრამ, ვინ მოითხოვს ავტონომიას, ვინ გიუქმებთ რაიონს? არავინ! მაშ რისთვისაა საჭირო ალიაქოთი? პასუხი ცალსახაა: ი. ჟვანიას გასაბაბრუებლად და ლ. ბერიას ხაზის გასამართლებლად. აღნიშნული კამპანია იმდენად ხელოვნურად იყო ორგანიზებული, რომ წალენჯიხის რაიონის მთელი რიგი (საჩინო, ობუჯი, წალენჯიხა, ჯვარი, ფახულანი) სოფლებისათვის შეუდგენიათ ნაბეჭდი ტრაფარეტი, რომელშიც ხელით არის ჩასაწერ-შესავსები მხოლოდ განსხვავებული სავალდებულო მაჩვენებლები: ოქმის რიგითი ნომერი, სოფლის სახელი, კრების ჩატარების მარტო რიცხვი, დამსწრეთა რაოდენობა, თავმჯდომარის მდივნის ვინაობა და ცკ-ში მდივანთან „სიტყვიერად ასახსნელად", ანუ განმარტებისთვის წასასვლელის გვარი; ბლანკის ბოლო ნაწილში კი მისაწერია მხოლოდ: კრების თავმჯდომარის, მდივნის და დამსწრე წევრების გვარები. როგორც ჩანს, ამ სამარცხვინო ტრაფარეტით კამპანიის ჩატარებისათვის გამორჩენიათ, ან უხერხულობის გამო, მიზანშეწონილად არ ჩაუთვლიათ კამათში გამოსულთა აზრების წინასწარ შეტანა და ამიტომ აზრის გამომთქმელთა ვინაობის ჩასამატებელი წერტილები დაუსვამთ.

წინასწარ მომზადებული სოფლის პარტიულ-კომკავშირული კრების ოქმის ტრაფარეტის ნიმუშში ნათქვამია:

1. „...ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები ი. ჟვანიას მეთაურობით დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამეგრელო გამოაცხადონ ავტონომიურ ოლქად".

2. „სოფელ... პარტ.კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულად პროტესტს აცხადებს ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ უფლების უკანონოდ მითვისებისა გამო და გადაჭრით აცხადებს, რომ ამხ. ისაკი ჟვანიას და მისი თანამოაზრეებს არავითარი უფლება არა აქვთ ილაპარაკონ (მრავალწერტილი სოფლის სახელწოდებისათვის — ავტ.) მშრომელი მოსახლეობის სახელით და თუ მას ასეთი მინდობილობა აღმოაჩნდა იგი უსათუოდ ყალბია და უსაფუძვლოა".

3. „(წერტილები სოფლის სახელის ჩასამატებლად ამის მერე ტექსტი — ავტ.) პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიურ (? — ავტ.) ოლქად გამოცხადება ან ყოფილი

ზუგდიდის მაზრის გამოცხადება ან ზუგდიდის ყოფ. მაზრის რაიონების ერთ რაიონად გამოცხადება (წერტილები სოფლის სახელის ჩასამატებლად — ავტ.) ზუგდიდთან შეერთება არ არის (წერტილები სოფლის სახელის ჩასამატებლად - ავტ.) სოფლის მშრომელი მოსახლეობის სურვილი, არამედ იგი სურვილია მხოლოდ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგების, და ამიტომ პარტ. კომკავშირის კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს სამეგრელოს ავტონომიურ (? — ავტ.) ოლქად გამოცხადების ცდის წინააღმდეგ. ან ზუგდიდის ყოფ. მაზრის...“ და ა.შ. (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 162-164).

ამ ტრაფარეტის გაცნობისთანავე არ შეიძლება ურწმუნო თომებსაც კი არ დაებადოთ რამდენიმე კითხვა: ჯერ ერთი — მართლა ასახავს ასეთი შევსებული ტრაფარეტი გლეხობის აზრს თუ უნდა მივიჩნიოთ ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ მებრძოლი რაიონების და კიდევ უფრო მაღლა მდგომი ინსტანციების იმ პარტოკრატი ჩინოვნიკების შემოქმედების, ანუ ყალთაბანდობის ნაყოფად, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ „მეგრული საკითხის“ არაორდინალურ რაციონალურ მოგვარებას? მეორე — რა არის მართალი და მისაღები ამ ტრაფარეტსა და სხვა მსგავს ოქმებში და რა არის ყალბად ნასაზრდოები? მესამე — ავტონომიის მოთხოვნის შესახებ ჭორები და გავრცელებული ხმები რატომ გახდა ესოდენ ფართოდ და პარტიულ-ჩინოვნოკურად თავმოსაბმელ-გადასაჭრელი?

ამის შესახებ, ჩვენი აზრით, სრულყოფილ პასუხს გვაძლევს საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარის ფ. მახარაძის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის ბერიას სახელზე 1932 წლის 14 მარტს ერთ-ერთი „ტრაფარეტული“ კრების დამსწრე პიროვნების საინფორმაციო ანონიმური წერილი. მასში აღწერილია წალენჯიხის რაიონის სოფ. ფახულანში ეკგენი უბირიას მიერ დადგმული სპექტაკლი: „... 9 კაცი შევიკრიბეთ ს. ფახულანის კლუბის დარბაზში. იქ წალენჯიხიდან გამოგზავნილმა კაცმა წაიკითხა უკვე შედგენილი რეზოლუციის ნაწილი, რომელშიც ნათქვამი იყო ოლქის (! — ავტ.) დაარსების წინააღმდეგ და დანარჩენი ნაწილი არ წაგვიკითხა და მოითხოვა დელეგატების არჩევა და რეზოლუციის დამტკიცება ფახულანის მთლიანი კოლმეურნეობის საზოგადო კრების სახელით. აღნიშნულმა 9 კაცმა დაადასტურა.“ ინფორმაციის მიმწოდებელი აღშფოთებულია სოფელში ჩატარებული ამ და სხვა დანაშაულობებით, რომლებსაც ჩამოთვლის და, ამასთანავე, განმარტავს იმას, თუ რატომ არ ადასტურებს ამ ინფორმაციას საკუთარი ხელმოწერით: „თუ მე აქ მოვაწერე ხელი, — წერს ანონიმური ავტორი, — დამემართება ის, რაც დაემართა ს. ფახულანის მცხოვრებ სილიბისტრო კოწიას ძე გოგოხიას, ლადიკო შონიას, თედო ჯინოს ძე შონიას, არსენა გერგედავას, ეკგენი შონიას და სხვებს. პირველ ორს იმდენი ურტყეს წალენჯიხის პოლიტსამმართველოში, რომ ეხლაც ძლიეს წვანან ზურგზე. კითხეთ მაგნებს ფახულანის პარტიულები რას უმზადებენ და რა შეცდომაში შეიყვანეს პოლიტსამმართველო... ჩვენ ყველა ტერორის ქვეშ ვიმყოფებით. არ მოგვეხმარა ახალი ხელმძღვანელობა, რომლისგან ველოდით ასეთებისაგან განთავისუფლებას.“ ინფორმატორი ამხელს უბირიას ნამოქმედარს და სთხოვს „ჯერ, მიიღოთ ზომებიო“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 124, 124/2). ასეთ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ ი. ჟვანიასადმი მტრულად განწყობილი ბ. შოგირაძე და სხვები.

საჭიროა ვიცოდეთ, მართლა მოიპოვება ზუგდიდის რაიკომის, ი. ჟვანიას ან ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ ამ დრომდე შექმნილი ისეთი ერთობლივი დოკუმენტი, რომელშიც დაყენებულია სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოყოფის მოთხოვნა? ჩვენი პასუხი ცალსახაა: ასეთი დოკუმენტები არ მოიპოვება! ჩვენ ასეთი დოკუმენტები არ შეგვხვედრია! უფრო მეტიც: სამეგრელოს ავტონომიური ოლქის მოთხოვნის დოკუმენტები არც სხვა იმ მკვლევარებს მოეპოვებათ, რომლებიც ი. ჟვანიას აცხადებენ ავტონომის-

ტად. იგი არც ბერიას ჰქონდა! ასეთი ან მსგავსი დოკუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქმნებოდა, სტალინს ბერიასთვის ან ი. ჟვანიასათვის ასეთი დავალება რომ მიეცა 1929 წლის 12 სექტემბერს შეხვედრის, ან სხვა დროს. იმ შემთხვევაში მ. დადიანის მსგავსი ადამიანების მცირე ჯგუფიც მოიძებნებოდა და იგი ცხოვრებაშიც ჯერ კიდევ ბ. ლომინაძისა და ს. მამულიას დროს გატარდებოდა, ხოლო ლ. ბერიას კი წინ ვინღა დაუდგებოდა?! იმ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ ექნებოდა რას იტყოდნენ სამეგრელოს გლეხები ან სამეგრელოს ფესვზე ამოსული გამოჩენილი ქართველი მწერლები. ისინი ამ დროს ისეთ დღეში ჰყავდა პარტიას, რომ მათ მიერ ამ საკითხზე რაიმე სერიოზული მოძრაობის წამოწყება — გაშლის ვარაუდი გამორიცხულია. სამაჩაბლოს ქართველმა გლეხობამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის წინააღმდეგ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა, მაგრამ საკითხი ისე გადაჭრეს, როგორც სტალინმა რუსეთის პარტოკრატიის აზრის ანგარიშგაწევით მოინდომა. ახლა კი, მითუმეტეს ის დროა, როცა სტალინს შეეძლო ქოთნისთვის ყური იქიდან მოება, საიდანაც უნდოდა. ი. ჟვანიამ ეს ჩვენზე კარგად იცოდა, ამიტომ იმ შესაძლებლობებით და იმისათვის იბრძოდა, რის საშუალებას სტალინის იმდროინდელი აზრი აძლევდა. შეიძლება დავუშვათ, რომ ი. ჟვანიას აზრით, სტალინი ახლა, ახალ დროში სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ გადაიხარა და ამიტომ საჭიროდ დაინახა ახლა უკვე საქართველოს პარტიული ცენტრის წინაშე სამეგრელოს ავტონომიის საკითხი დაეყენებინა? არა! ასეთი აზრის მასაზრდოებელი დოკუმენტი არ ჩანს. არც ისეთი დოკუმენტი გვაქვს ხელთ, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ი. ჟვანიასა და ზუგდიდის ინტელიგენციას სამეგრელოს ავტონომიური ოლქის სურვილი ჰქონდა. სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული მოწყობა და მისი საერთო პარტიული ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარება ავტონომიური ოლქის შექმნას არ ნიშნავდა. სამეგრელოს ქართულის არმცოდნე და მცირედმცოდნე რეგიონებში საქმის სასამართლოსა და კანცელარიებში მეგრულ ენაზე წარმოების შემოღებას იმდროინდელი რეალობა მოითხოვდა. დიახ, მოითხოვდა. ქართული ენის მცირემცოდნე გლეხს კარგად უნდა გაეგო რას ედავებოდა პროკურორი, ან ვექილი ვის ემსახურებოდა და მოსამართლე სამართლის ინტერესებს იცავდა თუ პროლეტარიატის დიქტატურის (სინამდვილეში რეჟიმის) წინაშე კარიერისტულად კეკლუცობდა. გლეხს საკუთარი თვალით უნდა წაეკითხა მის შრომის წიგნაკში ხომ არ იყო თაღლითობა და ა.შ.

„ტრაფარეტი" აპროტესტებს ე.წ. „მეგრულ ენაზე სწავლების" შემოღებას, ანუ ექსპერიმენტს და სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული მოწყობის ი. ჟვანიასეულ იდეას. ეს არის კამპანიის მთელი ფილოსოფია. ე.ი. ემსახურებიან ექსპერიმენტის გაუქმების დირექტივას.

რაც შეეხება მეგრულ გაზეთსა და გლეხურ ლიტერატურას, ამაზე ადრე საკმაოდ ითქვა. სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების საჭიროებაც გაშუქდა. ახლა „მეგრული საკითხი" მხოლოდ გაყალბებული, არასწორად გაგებული ისტორიაა. იგი მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ცნობიერების სწორ მართვას ემსახურება. დღეს მეგრელი დედა შვილს იავნანას ქართულ ენაზე უმღერის, საქართველოს დღეს მეგრული ფესვიდან ამოსული ინტელიგენტი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე რომელიც გნებავთ სხვა კუთხეს, დღეს I-IV კლასებში მეგრულად სწავლების საჭიროება არ არსებობს, მაგრამ, როგორც ადრე ვნახეთ, ზუგდიდის მაზრის (შემდეგ რაიონის) პარტიული ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური პერსონალის ძირითადი ნაწილი მოითხოვდა მეგრულად სწავლებას დაწყებითი სკოლის I და II კლასებში (იხ. „ბიულეტენი", 1932, №1 ეკენია, გვ. 6). ჩვენი აზრით, ასეთი რეფორმა ამ რაიონის სკოლებისათვის, სადაც მოსახლეობას, მით უმეტეს დამწყებ მოსწავლეებს ქართული არ ესმოდა, ან ძალიან ცუდად ესმოდა, პედაგოგიური თვალსაზრისით სწორი იქნებოდა. მაგრამ ზოგიერთების მიერ გა-

მოთქმული აზრი მეგრული ენით I–IV კლასებში სწავლების მიზანშეწონილობის შესახებ იმას როდი ნიშნავს, რომ ამათ სკოლის მეგრელიზაცია და სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფა უნდოდათ. ასეთი მოთხოვნის არსებობისა და ავტონომიისა და სეპარატიზმის ფარულ მცდელობად გასაღება ყალბია. როგორც აღვნიშნეთ, ოთხწლედი მოსწავლეთა სწავლების ძირითადი პერიოდი იყო, რომლის დამთავრების შემდეგ ყმაწვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი სასოფლო ან სამრეწველო წარმოებაში, ფაქტობრივად მისით აღჭურვილი ებმოდა. მეგრულად სწავლებას შეეძლო პედაგოგიური მიზანდასახულობის მეტი ეფექტურობით დაძლევა. ამაშია მისი გამართლება. ამიტომ იყო, რომ მეგრული სასკოლო სახელმძღვანელო დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1932 წლის 16 მარტის დადგენილებით (გაზ. „კომუნისტი", 1932, 4 აპრილი) და არა ი. ჟვანიას კაპრიზით. როგორც ადრე ვნახეთ, სწორედ ცკ-ის აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ დაიწყო ზუგდიდის პედაგოგიურმა კოლექტივმა მეგრულ ენაზე ზოგ პირველ კლასში სწავლების ექსპერიმენტზე მუშაობა.

მეგრულ სეპარატიზმზე იმდენი ყალბი არგუმენტი წარმოვაჩინეთ, რომ ამაზე ალბათ, აღარ ღირს მსჯელობა. მეგრელმა ინტელიგენციამ და პატრიოტრატიამ ქართველი ერის ისტორიაც კარგად იცოდა და საერთო სახელმწიფოებრიობისაც და საერთო ლიტერატურული ენისაც. მეგრული სეპარატიზმი თავიდანვე მოგონილი რომ იყო, ეს ყველამ კარგად იცოდა. იცოდნენ, რომ ამით საქართველოს ხისტი ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის დაყოლიება უნდოდათ სამეგრელოსათვის აუცილებელ შეღავათებზე. ისიც იცოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მეგრული საშიშროების შეთხზვა რისთვის სჭირდებოდათ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შეკრებისას (1932 წლის დეკემბერი) დიდმა ქართველმა პატრიოტმა და გამოჩენილმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე მსჯელობის დროს, საყვედური გამოთქვა არა სამეგრელოში ავტონომისტური საშიშროების, არამედ მეგრულ ენაზე გამოცემულ „ყაზაყიში გაზეთში" რუსული სიტყვების გამოყენების და ქალაქ ზუგდიდში ქართული წარწერების საჭიროების გამო. მაგრამ მან ასევე გააკრიტიკა თბილისში არსებული მხოლოდ რუსული წარწერები. მას უწოდა „უწმაწური დევნა ქართული ენისა" და დასძინა: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ სჯობს სულ არაფერი დაიწეროს ქართულ ენაზე, ვიდრე ასეთი წარწერით აჭრელდეს ქალაქი". მ. ჯავახიშვილს ამ სიტყვის წარმოთქმის დროს გამბედაობა ეყო მათი ეროვნული მნიშვნელობის გამო დაეცვა რეაქციონერებად გამოცხადებული ილია ჭავჭავაძე და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები, მაგრამ ამ დიდმა პატრიოტმა არ ინება „დაეცვა საქართველო" ი. ჟვანიას „სამეგრელოს ავტონომიის მცდელობისა" და საერთოდ „მეგრული სეპარატიზმის" გამო. რატომ?! ჩვენი პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ მან კარგად იცოდა, ასეთი რამ სინამდვილეში არ იყო. მას არც ლ. ბერიას მლიქვნელობა სჭირდებოდა და არც შეეძლო. ასეთი რამე სინამდვილეში რომ ყოფილიყო, მიხეილ ჯავახიშვილიც გვერდს არ აუვლიდა. მ. ჯავახიშვილმა დაინახა ის, რაც იყო: „ყაზაყიში გაზეთში" რიგ შემთხვევებში რუსული სიტყვების გამოყენება და მათი ქართული სიტყვებით ჩანაცვლების საჭიროება, მაგრამ მეგრული „ავტონომიზმი" და „სეპარატიზმი" ვერ დაინახა. მაგრამ რატომ არ დაინახეს იგი აქ წარმოდგენილმა სხვებმა, თუნდაც სამეგრელოს ფესვზე ამოსულმა მწერლებმა? ამათ გარდა ამ შეკრებაზე ბერიას მლიქვნელიც ხომ ბევრი იყო, რომელსაც ი. ჟვანიას „ანტიქართული მეგრული სეპარატიზმის" ღვარძლიანი კრიტიკით ქულების დაგროვება შეეძლო. მაგრამ, რაც არ იყო, ის არ დაუნახავთ და არც სალაპარაკო იყო.

მაშასადამე, 1932 წელს „მეგრული საკითხის" ქვემოდან (ი. ჟვანია და სხვათა მიერ) მოგვარების თვალსაზრისით პრობლემა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დღის წესრიგის ამოცანად იქცა პირველდაწყებით კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება და სამეგრელოს ერთ კულტურულ-ადმინისტრა-

ციულ ოლქად ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით ი. ჟვანიამ და ზუგდიდის აქტივმა პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს. მათ ლ. ბერიამაც მხარი დაუჭირა. მაგრამ, მეორე მხრივ, წაახალისა ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეთა ინიციატივაც. ორმაგი თამაში საჭირო იყო, ვიდრე საბოლოოდ გაირკვეოდა ი. სტალინის ახალი პოზიცია „მეგრულ საკითხში". როგორც ჩანს, ბელადის აზრი 1932 წლის ბოლოს გაცხადდა კიდეც. ამ ვითარებაში ბერიას აღარ შეეძლო წაყრუება და ამიტომ სტალინის აზრის შესაბამისად პრობლემის მოგვარება ადმინისტრაციულ-პარტიული მეთოდებით დაიწყო. ამ მეთოდების მთავარი აზრი იყო: „მეგრული საკითხის" ქვემოდან მომგვარებელთა აზრის გაბიაბრუება. მისი ავტონომისტურ და სეპარატისტულ მცდელობად წარმოჩენა, საზოგადოებრივი აზრის მომზადება და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ახალი ხელმძღვანელობისადმი ოპოზიციურად დაპირისპირებული ზუგდიდის ინტელიგენციის (და მათი მხარდამჭერების) გაბიაბრუების გზით საკუთარი ავტორიტეტის კიდევ უფრო განმტკიცება. მან ამას მიაღწია კიდეც. ე.ი. წრე შეიკრა. ბერიას მიერ 1925 წლის 2 სექტემბრიდან, ჩეკისტი ილარიონ თოდუას გამოყენებით წამოყვანილი ხაზი „მეგრული საკითხის" მოგვარებისა 1933 წლისთვის ლოგიკურ გაგრძელებასა და დასრულებას ღებულობს.

ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ზუგდიდის რაიკომის ბიუროს 1 მარტის სხდომის ოქმი №7. ნაბეჭდ ოქმს ახლავს წარწერა „საქ. კპ. (ბ) ცეკას 9/III-32, №38/14" მინდორზე კი აწერია „მეგრული საკითხის გამო". უნდა ვივარაუდოთ, რომ 10 მარტისათვის მაინც ცეკა ზუგდიდში მოვლენათა განვითარების საქმის კურსში იმყოფება და გებულობს, რომ „მოისმინეს: ამხ. ი. ჟვანიას დეპეშით თბილისში გამოძახების შესახებ" და დაადგინეს: ბიურო იწონებს „მეგრული საკითხის" გამო 1925-1929-1930 წწ. მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელებულ მონაპოვრებს, ამასთანავე მიაჩნია: რომ „ძირითადი საკითხი, როგორიცაა სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების საკითხი, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რომლის მოუცემლობა ძირს უთხრის... ცეკას მიერ უკვე მოცემულებს. ამიტომ რაიკომის ბიურო მხარს უჭერს... ზუგდიდის რაიონის პარტორგანიზაციის დადგენილებებს — სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების შესახებ და დაბეჯითებით სთხოვს საქ.ცეკას და ა/კ საოლქო კომიტეტის... ბიუროს, რომელმაც შეძლო ბოლშევიკურად გამოსწორება ყველა იმ შეცდომებისა, რომელიც ჰქონდა ძველ ხელმძღვანელობას... რომ... გადაჭრას საკითხი სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების შესახებ დადებითად (მიღებული იქნა ერთხმად)" ზუგდიდის რაიკომის ბიუროს ოქმს ხელს აწერს „თავმჯდომარე: ჟვანია"... როგორც ხედავთ, ოქმის საბაბი ი. ჟვანიას თბილისში გამოძახება გამხდარა. თავის მხრივ ი. ჟვანიამ „ურდოში" წასვლის წინ რაიკომის ბიუროს დადგენილებთ, ერთსულოვნების დემონსტრირება მოახდინა და საქართველოს ხელმძღვანელობის წინაშე მთავარი და ტრადიციული მოთხოვნა წამოაყენა.

სავარაუდოა, რომ ი. ჟვანიას ჩატარებული ღონისძიებების გამო თბილისში ახსნა-განმარტებას მოსთხოვდნენ და სათანადო დირექტივებითაც დატვირთავდნენ. ამის შესახებ დოკუმენტებში ნათელი კვალი არ სჩანს. მაგრამ მოვლენათა შემდგომი განვითარების ამსახველი დოკუმენტები შესაძლებლობას გვაძლევენ გავარკვიოთ ზუგდიდის პარტიული და საზოგადოებრივი წარმომადგენლობის დემარშის მოტივაცია, შემდგომი მოქმედება და მასზე საქართველოს პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელობის რეაგირება. აღნიშნულის შესახებ კონკრეტულ წარმოდგენას გვიქმნის ზუგდიდელთა კოლექტიური წერილი „საქ. კპ. (ბ) ცეკას მდივან ამს. ლ. ბერიას და ცაკის თავმჯდომარე ამს. ფ. მახარაძეს". მასში ნათქვამია: „... ზუგდიდის პარტ. კონფერენციაზე ამხ. ფილიპეს გამოსვლის შემდეგ, როცა მან მხარი დაუჭირა სამეგრელოს ოლქის აუცილებლად ჩამოყალიბებას ჩვენ ყველანი დამშვიდებულნი უცდით (! — ავტ.) ამ საკითხის დადებით ამ მოკლე დროისათვის გადაჭრას. გაზაფხულზე გვითხრეს: „ეხლა საგაზაფხულო

თესვის კამპანიაა და ოლქზე ლაპარაკი არ შეიძლება. დამთავრდება თუ არა თესვა, მაშინვე იქნება გადაწყვეტილიო". თესვა დიდი ხანია დავამთავრეთ ბოლშევიკურად, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს.

ამხ. ფილიპეს მიერ წარმოთქმული სიტყვა ზუგდიდის ა/წ კონფერენციაზე არა მარტო ქაღალდზეა ჩაწერილი, არამედ მთელი პარტიული ორგანიზაციის გულის სიღრმეშია აღბეჭდილი, როგორც არასოდეს წაუშლელი და ნურავინ ფიქრობს იმას, რომ ეს ჩვენ დაგვავიწყდა ან დაგვავიწყდება.

ამიერკავკასიის და საქართველოს პროლეტარიატის უზენაეს ორგანოს თავმჯდომარის მიერ წარმოთქმულ სიტყვას რეალიზაცია უნდა ექნას, ვინაიდან ეს სიტყვა საქართველოს (? — ავტ.) და სამეგრელოს მშრომელების გულის ნადებია... დროულ და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ საკითხის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე გადაცილება (ამხანაგ ფილიპეს სიტყვას ვიმეორებთ) „დიდი დანაშაული იქნებოდა". თუ ვინმე კიდევ ცუღლუტობს და ამბობს მეგრელ გლეხს მეგრული ენა და სამეგრელოს ოლქი არ უნდაო — ასეთი რამ აშკარა კონტრრევოლუციური ცილისწამებაა სამეგრელოს მშრომელ გლეხობაზე... ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ მეგრული (მხოლოდ მშრომელს) გლეხს, როგორც ერთს ყველას უნდა დღეს მეგრული ენაც და სამეგრელოს ოლქიც და ასეც უნდა იყოს ვინაიდან ეს ლენინური მოთხოვნილებაა". როგორც ვხედავთ, ზუგდიდის ცენტრის ყველა დოკუმენტში, ზოგჯერ კი ოპოზიციური ჩხოროწყუსა და წალენჯიხის სოფლების დოკუმენტებშიც ნათქვამია „ოლქი" და არა „ავტონომიური ოლქი". ეს შემთხვევითი როდია. ამასთან დაკავშირებით სხვა წყაროც იძებნება. მისი სრული შინაარსის და წარმომავლობის შესახებ ქვემოთ, სათანადო ადგილზე გვექნება საუბარი. ახლა კი საჭიროა ითქვას, რომ ფილიპესთან შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორის და მისი ზემოთ აღნიშნული სიტყვის მომსმენის ჩვენების, დიახ ჩვენების მიხედვით „როგორც კი მახარაძემ დაამთავრა სიტყვა, მას მოუწყვეს მგზნებარე ოვაცია". დამსწრეთა გულწრფელობაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია. მაგრამ სულ სხვა საქმეა, რას ემსახურებოდა ფ. მახარაძის, როგორც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის სიტყვიერი სანქცია. ამის შესახებ, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია. ამასაც სათანადო საკითხებზე მსჯელობის დროს აღვნიშნავთ. ერთი რამ კი ამთავითვე სათქმელია: ფ. მახარაძის განცხადება, როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, მართალია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხაზს დაუპირისპირდა, ხოლო ზუგდიდის პარტიული აქტივისა და პედაგოგიური წარმომადგენლობისათვის მოქმედების სახელმძღვანელო გახდა, მაგრამ არა ჩანს, რომ იგი ავტონომიას ეხებოდა. ამასთანავე, ამ დროს ჯერ კიდევ არა ჩანს ი. ჟვანიას და ზუგდიდის საზოგადოებრიობის ამ ნაწილის აქტიურობაზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ან ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დოკუმენტური უკურეაქცია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფ. მახარაძე ზუგდიდელებს ადმინისტრაციული ოლქის გამო დაპირდა მხარდაჭერას, კონფლიქტური სიტუაცია კი ხელოვნურად საზრდოდებოდა. ფ. მახარაძის მხრივ ზუგდიდელებისათვის ავტონომიის დაპირება გამორიცხულია.

მაშასადამე ისე გამოდიოდა, თითქოს ი. ჟვანიამ და ზუგდიდის პარტიის რაიკომმა ლ. ბერიას უბიძგეს ფაქტობრივი ნონსენსის მოწესრიგებისაკენ, სინამდვილეში ეს სტალინის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით ბერიამ საბოლოოდ გაარკვია „მეგრული საკითხის" მიმართ სტალინის დამოკიდებულება.

ჩვენი აზრით, ლ. ბერიას და ი. ჟვანიას შორის ურთიერთობის შემდგომ გამწვავებაში როლი უნდა შეესრულებინა სხვა მოვლენებსაც. მათ შორის იმას, რომ 1932 წლის 5 ნოემბერს გამოქვეყნდა საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის წლისთავიდსადმი მიძღვნილი „ყაზაყიში გაზეთის" სპეციალური ნომერი, რომელიც მოწინავეში („ბოლშევიკური დადგენილების განხორციელებისათვის") აცხადებდა, რომ „საქართველოს პარტორგანიზაციამ ამხ. ლ.

ბერიას ბოლშევიკური ხელმძღვანელობით უზრუნველყო მეგრულ ენაზე საქმის წარმოება, სამართლის საქმის გაძღოლა, საბჭოთა აპარატის მუშაობა“ და რომ სკოლებში სანიმუშო სწავლება გადაყვანილია ადგილობრივ — მეგრულ ენაზე; იხსნება სანიმუშო დაწყებითი სკოლები მეგრულ ენაზე, გახსნილია და სწავლა მიმდინარეობს სამეგრელოს რაიონებისათვის გათვალისწინებულ მეორე საფეხურის პარტიულ სკოლაში, გამოდის ხუთი მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი, კედლის გაზეთები, ბროშურები და სხვა“, ესეც მეგრულ ენაზე. ამით აშკარად ცხადდებოდა, რომ საკ. კპ(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების V მუხლი, რომელიც ძირითადად რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეხებოდა, ლ. ბერიას წყალობით სამეგრელოზე წარმატებით ვრცელდებოდა და მაშასადამე, მხოლოდ სამეგრელოს ერთიანი ოლქის გამოცხადება რჩებოდა განუხორციელებელი.

* * *

ამის შემდეგ ახალი საბაბიც მოიძებნა. 1932 წლის ნოემბერში მეგრულ ენაზე გამოიცა ი. ჟვანიას წიგნი. ახლა დაიწყო მისი გამანადგურებელი კრიტიკა. ჯერ იყო და, ხობის გაზეთში დაიბეჭდა სენაკელი ბოლშევიკების ვ. გოგიასა და მ. ბედიას გამანადგურებელი რეცენზია. ამის შემდეგ შეიქმნა 20-გვერდიანი „ნაშრომი“ რუსულ ენაზე „Против фальсификации мингрельского движения и распространения „Мафалуистских“ идей“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 240-260). მას ხელს აწერენ მ. ფირცხალავა, მ. ბარამია, (! — ავტ.), კადირბი ჩემია, ი. ბეჭვაია, სანდრო ქაჯაია, კ. წურწუმია, ტ. აბრამია. ტექსტში მრავალი ხაზგასმიდან ორ ადგილას მითითებულია „Подчеркнуто автором“ (იხ. იქვე. ფურც. 254, 259). მესამე ადგილას წერია „по моему мнению“ (იხ. იქვე. ფურც. 269). როგორც ჩანს, ხელისმომწერების ვითომ „კოლექტიური წერილი“, ერთმა პიროვნებამ დაკვეთით დაწერა. ამასთანავე, ავტორმა გარკვეული მიზნით („ქულების“ შესაძენად) ვიღაცას (ბერიას!) საკუთარი დამსახურება ორჯერ შეახსენა. აქედან ცხადი ხდება, რომ ვითომ ავტორთა კოლექტივი (ანუ „ძველის მომსწრეები“) საჭირო გამხდარან მხოლოდ „რეცენზიის შინაარსისადმი ნდობის გასაძლიერებლად“. ჩვენი აზრით, რეცენზია ამის შემდეგ სწრაფად დაწინაურებული მიშა ბარამიას „დამსახურებაა“. მასში მთავარი ხარვეზია ი.ჟვანიას მიმართ საყვედურების აშკარად შესამჩნევი დაკვეთის კარნახით წამოწევა, თუმცა ზოგი ბრალდება უთუოდ საყურადღებო და სწორია.

ეს „რეცენზია“ დაბეჭდილია ხელის მანქანაზე და დაწერილია მომენტის მოთხოვნილების დონეზე. იგი იწყება რედაქციისადმი ბოლშევიზმის ისტორიის ტროცკისტი და სხვა ფალსიფიკატორების სისტემატური გამოაშკარავების აუცილებლობის შესახებ ი. სტალინის მიერ ამ დროს გამოთქმული ამოცანების ციტირებით. ტექსტში არაერთგზის არის მოტანილი 1925 წელს ი. ჟვანიას მიმართ ბერიას მიერ გამოთქმული საეჭვო აზრების ამონარიდები, წყაროებად მოხმობილია ი. ჟვანიას ციტატები წიგნიდან და საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშიდან. სტალინის ერთ-ერთ ციტატაზე ფანქრით არის მიწერილი „Цитату надо проверить“ (იხ. იქვე, ფურც. 259). ჩვენი აზრით, ეს ბერიას მინიშნებაა. თუ მართალი ვართ, გამოდის, რომ რეცენზია სტალინისთვის არის განკუთვნილი. მაშასადამე, ავტორი თავს იწონებს არა მარტო ბერიასთან. სხვა შემთხვევაში რეცენზიაში უნდა ყოფილიყო „Подчеркнуто авторами“. თუმცა პირველ გვერდზე ნათქვამია: „ჩვენი (! — ავტ.) მიზანია... მკითხველს გავაცნოთ სამეგრელოს რევოლუციური მოძრაობის შესახებ ი. ჟვანიას მიერ შედგენილი „ისტორია“.

რეცენზია დაყოფილია ქვესაკითხებად: (К Книге тов. И. Жвания „как боролось мингрельское трудовое крестьянство за советскую власть“; „Как родился менгрелец „Маркс“, „Учреждается мингрельская коммуна“;

„По пути Восторгова – Ашордия и „Бр. Чхоушиели“ к менгрельстану“; „Исаки против Исакия“. ასეთი დასათაურება არის რეცენზიის ავტორის დემაგოგიის პირველი სამხილი.

„რეცენზიაში“ ნათქვამს მკითხველი იცნობს ზოგადად, რამდენადაც ი. ჟვანიას წიგნის შესახებ მოკლე საუბარი გვქონდა წინამდებარე წიგნის შესავალ თავშიც და სხვაგანაც. გარდა ამისა, რეცენზიაში გამეორებულია ი. ჟვანიას შესახებ ადრე გამოთქმული და წიგნის სათანადო გვერდებზე მოხმობილი კრიტიკული ნააზრევი. ახლა აუცილებელი ხდება დამატებით, რეცენზენტის ზოგადი აზრის და სათანადო ადგილების მოტანა. ამ გზით შეიძლება კარგად დავინახოთ როგორ იწერებოდა რეცენზიები და რა ბინძური მეთოდებით ებრძოდნენ ი. ჟვანიას „თეორიულ“ მემკვიდრეობას.

რეცენზიაში ი. ჟვანიას წიგნი შეფასებულია, როგორც ისტორიის საკუთარი მიზნებით გამოყენება, პარტიის ისტორიის იდეურ-პოლიტიკურად დაუშვებელი საფუძვლების შექმნის ცდა და მომავალი სწორი ორიენტაციის თვალსაზრისით თაობისათვის საზიანო.

რეცენზენტის აზრით, ეს წიგნი მიზნად ისახავს: ავტორის – ი. ჟვანიას მიერ საკუთარი თავის სამეგრელოს რევოლუციური მოძრაობის „პირველ დამაარსებლად“ წარმოჩენას და ნამდვილი დამაარსებლების მიჩქმალვას“; „სამეგრელოს რევოლუციური მოძრაობის საქართველოს რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოჭრას“; მეგრელი ხალხის ამოუცნობ, ბნელ, გაუნათებელ, მოვლენებში გაურკვეველ, ენის, ლიტერატურის და კულტურის უცოდინარად წარმოჩენას. რეცენზიის მიხედვით, ი. ჟვანიას წიგნი ემსახურება „მეგრული ენის“ და თეორიის ფუნდამენტის ჩაყრას, რათა მომავალში... უფრო მკვეთრად წამოსწიოს სამეგრელოს ავტონომიის და დამოუკიდებლობის მ. დადიანის და აგრეთვე როგორც საშა გეგეჭკორი გამოსთქვამს, „ძმები ჩხოუშიელების“ „ლაზკოლხიდის“ და „მეგრელისტანის“ იდეა, რომელსაც იგი ხან ოფიციალურად განემიჯნება, ხან ოფიციალურად ან არაოფიციალურად წამოსწევს ხოლმე. რეცენზენტი წერს, რომ წიგნში ი. ჟვანია „ანგარიშს უსწორებს ამხანაგებს, რომლებიც მოღვაწეობენ სამეგრელოს ამა თუ იმ კუთხეში და არ იზიარებენ მის „ნაციონალისტურ“ – „მაფალუისტურ ტენდენციებს“. გასაკვირია ამ ბრალდების გამო რატომ თავად ძველმა ზუგდიდელმა ბოლშევიკებმა არ ჩაქოლეს ი. ჟვანია?! მაგრამ ეს ხერხია.

რეცენზეტი მიიჩნევს: ი. ჟვანიას დაავიწყდა, რომ „ბოლშევიკები მენშევიკებს საბოლოოდ გაემიჯნენ 1903 წელს“ (იქვე, ფურც. 244). მაგრამ ეს ხომ ტყუილია, ისევე როგორც ადრე და შემდეგ ნაწერი ბევრი სხვა რამ, მაგალითად, ი. ჟვანიამ თითქოს განაცხადა, რომ არ იცნობს მ. დადიანს, რომელსაც წიგნში აცხადებს ზუგდიდელი ბოლშევიკების ლიდერად – „ბელადად“. ესეც მიზნობრივი მონაგონია. ი. ჟვანიას არსად უთქვამს, რომ არ იცნობს მ. დადიანს. რეცენზეტი ი. ჟვანიას ედავება, რომ ამ ძირითადად საკუთარ მოგონებებზე აგებულ წიგნში ხშირად ახსენებს თავის თავს, სხვებს კი აცხადებს „მორჩილ მსახურებად“. აგრეთვე რეცენზეტი ამბობს, თითქოს ი. ჟვანიას არ ეწეროს, რომ კავკასიის კომიტეტმა ზუგდიდის მაზრას მიამაგრა ს. გეგეჭკორი... მაგრამ წერს: ერქომაიშვილმა თავისი 200 კაცით ჩვენი რაზმელები დაამარცხაო (გვ. 46-47); რეცენზენტი დასცინის: ი. ჟვანიას არც „ჯარი“ ჰყავდა და არც ყოფილა „პარტიზანული რაზმის მეთაურადო“ და ამის მერე აკრიტიკებს ამ საკუთრივ მოგონილი სიყალბისათვის: „წიგნში არა წერია ვის გადააბარა „თავისი“ ჯარი და ორგზელმძღვანელობაო“ და საერთოდ უარყოფს სამეგრელოში პარტიზანული მოძრაობის არსებობას. იმაზე არაფერს ამბობს, ვინ არიან წიგნის 53-ე და სხვა გვერდებზე მოტანილ სურათებზე აღბეჭდილები. რეცენზეტი წერს: „იქნებ ისაკის არ ესმის, რომ არალეგალური მუშაობა ერთია, ხოლო პარტიზანული მოძრაობა მეორეა“. რეცენზეტი ი. ჟვანიას აკრიტიკებს საშა გეგეჭკორისა და ფ. მახარაძის როლის დაკნინებისათვის,

არადა, წიგნში ფ. მახარაძე ნახსენებია. რამდენჯერმე არის ნახსენები საშაც. ი. ჟვანიას წიგნში საშა გეგეჭკორის სურათიც შეუტანია მისი ვინაობის წარწერით (გვ.77). რეცენზენტი უკმაყოფილოა, რომ ს. გეგეჭკორის რევოლუციურ-პარტიზანული ისტორია ი. ჟვანიამ მასავით არ გააზვიადა, აკრიტიკებს, მიზნობრივად „დაავიწყდაო" სენაკის მაზრის ორგანიზატორები „ამბ. ვ. გოგია, მ. ბედია და სხვა" (იხ. იქვე, ფურც. 246, 248-249).

განსაკუთრებით ნაძალადევია რეცენზენტის მიერ ვოსტორგოვ-აშორდიას და „ჩხოუშელების" „მეგრელისტანამდე" მიტანა, სტეფანე გაგუას გამოცხადება „იანოვსკი, ლევიცკი, ვოსტოგოვის აგენტად", რომელიც თითქოს თ. აშორდიასთან ერთად "მიისწრაფოდა სამეგრელო დანარჩენი საქართველოდან მოეწყვიტა და იგი განსაკუთრებულ ნაციად გამოეცხადებინა (с тем, чтобы в дальнейшем сильнее разжечь национальную вражду) (იხ. იქვე, ფურც. 250). როგორც ჩანს, „რეცენზენტი" დარწმუნებულია, რა სისულელეც უნდა დაწეროს, შემდავებელი არ აღმოჩნდება. რომ გამოჩნდეს კიდეც, ამით მას არაფერი დააკლდება, რადგან ბერიას დაკვეთას ასრულებს. ჯერ ერთი, თ. სახოკიას ცნობით, ს. გაგუას ვითომ რეაქციული „მაფალუელობა" 1918 წელს ესადაგება. სხვა ცნობით, თ. აშორდია 1916 წელს გარდაიცვალა. მეორე. როგორც წიგნის სათანადო თავში ვნახეთ, ს. გაგუას სამედიატორო სასამართლოს შვიდმა მოსამართლემ ძიებისა და მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე სეპარატიზმი ვერ დაუმტკიცა. მესამე, როგორ გავიგოთ რეცენზენტის ნაწერი, რომლის მიხედვით, თურმე, ს. გაგუას ჯერ საქართველოსაგან სამეგრელოს მოწყვეტა უნდოდა, ხოლო ამის მერე ეროვნული შუღლის გაღვივება. სამეგრელო ამ დროს ეთნიკურად ერთგვაროვანია, ამდენად საქართველოს თუ გამოეყოფოდა, ახლა ნაციონალური შუღლის გაღვივება რიღასთვის დასჭირდებოდა?! „რეცენზენტის" ყველა ტყუილის გამოკიდების შესაძლებლობას ჩვენი წიგნი არ იძლევა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნაწერს: „После Ашордия-Гагуа, во главе с Дадиани, (? – Авт.) возникло <u>мингрельское националистическое течение „Мафалу""</u> (იხ. იქვე, ფურც. 250-251). ეს ნაწერი საერთოდ „ანგრევს" „მაფალუს" შესახებ ყველა ადრინდელ წყაროს, რადგან ისინი ადასტურებენ, რომ „მაფალუს" საზოგადოება 1918-1919 წლებში აღმოცენდა, ხოლო მ. დადიანი ცხადდება არა „მაფალუს" „თეორეტიკოსად და სულის ჩამდგმელად", არამედ ზუგდიდელი „ავტონომისტებისა," რომლებიც ვითომ აგრძელებენ „მაფალუელთა" ტრადიციას. როგორც სათანადო კვლევის საფუძველზე ვნახეთ, ასეთი ნათქვამიც არ დასტურდება. საინტერესოა, ეს აბსურდი რატომ ვერავინ შენიშნა?! ან რატომ არავინ აქცევს ყურადღებას ი. სტალინის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი 1925 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილი და 18 სექტემბერს გაშიფრული დეპეშის შინაარსს, რომელშიც ნათქვამია: „Жалею что (мои – Авт.), шутки о Мингрелии приняты всерьез легковерными товарищами..." ეს უმნიშვნელოვანესი წყარო ხომ ისტორიოგრაფიის დიდი ხნის მონაპოვარია?! პასუხი ცალსახაა: დღემდე „მეგრული საკითხით" სერიოზულად არავინ დაინტერესებულა. ყველა თავისი მიზანდასახულობით წერდა და აქვეყნებდა. არავინ იფიქრა იმაზე, რომ „მეგრული სეპარატიზმის" ყალბი პოლიტიკური ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ცკ-ს და პირადად ლ. ბერიას დამსახურება მიეწერებოდა, მაგრამ ამავე დროს ამით არა მარტო სამეგრელო, არამედ მთელი საქართველო ილანძღებოდა და დღესაც მიზნობრივად ილანძღება. ეს მათთვის უმნიშვნელო პრობლემაა. მათთვის მთავარია ყალბი კონცეფციის გამოყენებით წამოწყებული საქმის მოგება.

ი. ჟვანიას წიგნის „რეცენზენტი" განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობს „მაფალუისტად" გამოცხადებული „ავტონომისტ-ჩხოუშელები" იდეურად, ორგანიზაციულად და პრაქტიკულად დააკავშიროს ი. ჟვანიასა და მის მომხრეებთან. და ისე გამოიყვანოს, თითქოს ი. ჟვანია განუხრელად აგრძელებს „ავტონომისტ-სეპარატისტი" „ჩხოუშელების" საქმეს. ამის მაგალითებად მოაქვს ი.

ჟვანიას ნათქვამი საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე გამოსვლის დროს: სკოლაში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე, ხოლო მეგრული ენა გამოიყენებოდეს როგორც დამხმარე, განმარტებისათვის", ამის საპირისპიროს დემონსტრირებისათვის რეცენზენტი წერს: „ი. ჟვანია 1931-1932 წ... კატეგორიულად აყენებს დაწყებით სკოლაში პირველ ჯგუფში, ცდის სახით, რამდენიმე 4-წლედში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღებას" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). იგი არ ამბობს იმის შესახებ, რომ ამ იდეას მხარი ი. სტალინმა დაუჭირა და აგრძელებს: ი. ჟვანია „ამით ისწრაფის ნიადაგი მოამზადოს ყველა ოთხწლედში სწავლების მეგრულ ენაზე გადასაყვანადო" (იხ. იქვე, ფურც. 254).

აქ არ შეგვიძლია „რეცენზენტს" არ შევეკამათოთ. ჯერ ერთი, VI ყრილობაზე ი. ჟვანია საერთოდ სასკოლო სწავლებას ეხებოდა და არა სოფლის დაწყებით სკოლებს, სადაც ქართული რიგიანად სოფლსაბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმაც არ იცოდნენ. მეორე, ამის შემდეგ, 12 სექტემბერს, სტალინთან საუბარს შეეძლო ი. ჟვანიას ადრინდელი აზრის კორექტირება იმ მხრივ, რომ მოეთხოვა დაწყებითი სწავლების მეგრული ენით განხორციელება და ისიც ექსპერიმენტის სახით და იქ, სადაც ამის საჭიროება გარდაუვალი იყო. „რეცენზენტის" მიერ ისაკისეული ექსპერიმენტის ილუსტრირება ისე, რომ თითქოს იგი ზოგ სხვა სკოლაშიც და მომდევნო კლასებზეც უთუოდ უნდა გავრცელებულიყო, აბსურდია. აბსურდია იმის მტკიცებაც, რომ ი. ჟვანიას უნდოდა გამეგრელება ფოთის, სენაკის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის იმ სკოლებისა, სადაც ქართულის მცოდნე მეგრელ ბავშვებთან ერთად დანარჩენი ქართველებისა და სხვა ეროვნებათა ადამიანების შვილებიც ქართულად სწავლობდნენ. ე.ი. ისე გამოყავთ, რომ თითქოს ი. ჟვანიას მეგრულ ენაზე სწავლება უნდა შემოეღო, რომ პატარებისათვის დაეკარგინა ქართული დედაენა. აქ ი. ჟვანიას იდეის და მცდელობის რეცენზენტისეული გაგება როდია შემაშფოთებელი, იგი დაკვეთას ასრულებს, არამედ ის, რომ ქართველებს აბსოლუტურად არ ესმით ჩვენი სანათესაო ტომის — მეგრელების და სვანების სალაპარაკო ენა. ჩვენი აზრით, ქართველ ინტელიგენტს არა მარტო თვისტომთა სალაპარაკო ენა უნდა ესმოდეს, არამედ იმ სხვა (აფხაზი, ოსი, და სხვა) ეროვნებებისაც, რომლებიც საქართველოში კომპაქტურად ცხოვრებენ და სახელმწიფოებრივი ენის ცოდნა ეკალებათ, რა თქმა უნდა, თუკი ისინი საქართველოს ამ რეგიონში მუშაობენ და ცხოვრობენ და, პირიქით — საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველი იმთავითვე უნდა აღჭურვილიყო სახელმწიფოებრივი ქართული ენის სრულყოფილი ცოდნით. როგორც ჩანს, იმდროინდელი ხელმძღვანელობისათვის მთავარი საზრუნავი იყო ისედაც ქართველი მეგრელების ძალით გაქართველება და ამ მიზნით მათი სალაპარაკო მეგრული ენის განდევნა. ამას კი სამურზაყანო-აფხაზეთის მაგალითზე რუსულის ენის მიმართ ადგილობრივთა პრიორიტეტული დამოკიდებულებაც მოჰყოლოდა და როგორც აფხაზეთისა და სამურზაყანოს მაგალითზე ვნახეთ, შედეგებიც არ აყოვნებდა.

„რეცენზენტი" „ყაზაყიში გაზეთის" ენას „არქაიზმის" გამო ანტიქართულ გამოვლინებამდე აზვიადებს და ეს ფალსიტამდე აჰყავს. სინამდვილეში ეს ვითომ არქაიზიდან ამოღებული სიტყვები სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში იხმარებოდა, ხოლო რამდენიმე სიტყვა, რომელსაც ყველა „კრიტიკოსი" დროშასავით აფრიალებდა: „დუდმახვენჯი" (თავმჯდომარე), „მელამოსე" (მდივანი), „ხეშულობა" (მთავრობა), ადვილად შეიძლებოდა ქართულით შეცვლილიყო. ასევე ითქმის რუსულ სიტყვებზე: „სეეერ", „ვერხუშკა", „მასკა", „პროლი". ისინი უნდა გამორიცხულიყო. ეს უთუოდ იყო ი. ჟვანიას და „ყაზაყიში გაზეთის" რედაქციის მიმართ ათასმეერთედ თქმული სწორი შენიშვნა. მაგრამ დღეს ტელევიზორით და გაზეთის მეშვეობით არც თუ ისე იშვიათად გვესმის დედა ენაზე საუბრის დროს ქართველ თანამდებობის პირთა სიტყვები „დაჟე", „ნუუ", და ინგლისური სიტყვებით ქართულის ჩანაცვლება. 1920-30-იანი

წლების სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმებში ხშირად გვხდება ქართული ენის სიწმინდის დარღვევის და ბარბარიზმის გამო გამოთქმული საყვედურები თვით ქართველი მწერლების მისამართითაც კი. რაც შეეხება მეგრულ არქაულ სიტყვებს, ბევრი მათგანი იმ „სალაროდან" იყო ამოკრეფილი, რომელსაც აკაკი წერეთელი აქებდა და ქართული დედაენის გამდიდრებისათვის საჭიროდ თვლიდა, ხოლო სამეგრელოდან ამოსულ გამოჩენილ ქართველ მწერლებს, მათ შორის კ. გამსახურდიას, დედაენის გამდიდრების საშუალებას აძლევდა. ასე, რომ „რეცენზენტის" შეშფოთება მეგრული ენის გამო, სინამდვილეში იქიდან, იმ მიზნიდან მოდიოდა, რომელიც ი. ჟვანიას ბრალდებების გაზვიადებას ახდენდა. ფაქტობრივად, ეს იყო აურზაური არაფრის გამო. ეს „არაფერი" კი მოგონილი „მაფალუიზმი", ანუ იგივე ვითომ „მეგრული სეპარატიზმი" იყო.

„რეცენზენტი" ტყუის, როცა ი. ჟვანიას აბრალებს, რომ „1924 წლის ავანტურაში გლეხობის ნაწილის მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო წერა-კითხვის უცოდინარობა, მეგრულ ენაზე საქმის წარმოების და სკოლაში სწავლების და ასევე მეგრული გაზეთის უქონლობაო" (იხ. იქვე, ფურც. 257). სინამდვილეში ი. ჟვანია წერს: „წერა-კითხვის უცოდინარობას იყენებენ კლასობრივი მტრები ჭორებითა და მოტყუებით". ეს კი მართალია და ვისაც არ სჯერა, იხილოს სათანადო პუბლიკაცია (გ. ციციშვილი, „ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება". გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, 31 აგვისტო).

„რეცენზენტი" თავს ესხმის ი. ჟვანიას: „მეგრელები ხან ტომად ესმის ხან ნაციადო" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღნ, ს. 266, ფურც. 258). ამაზე არაფერს ამბობს, რომ ამის მიზეზი, როგორც წიგნის სხვადასხვა თავში აღვნიშნეთ, სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" იყო. აქ მეგრელები და აჭარლები გაიგივებულია იმ მცირე ეროვნებებთან (აფხაზი და სხვ.), რომლებსაც საკუთარი ენა გააჩნდათ, მაგრამ კულტურა და დამწერლობა არა. აღნიშნულს გარდა, ი. ჟვანიას რას ერჩიან, როცა ქართულ ენაზე მოლაპარაკე აჭარლები ს. ორჯონიკიძის და სხვათა მიერ ოფიციალურადაც ეროვნებად იწოდებოდნენ. „რეცენზენტი" დასკვნის სახით ბოლო შენიშვნად იმას აღნიშნავს, რომ ი. ჟვანია მისი აზრის არგამზიარებლებს აცხადებს „ოპოზიციონისტებად", „მენშევიკებად" და დევნის მათ. იგი აქ მართალია, მაგრამ ეს ჟვანიას მოგონილი მეთოდი კი არ არის, არამედ საერთო პარტიული ჩვევა და ნორმაა. ბოლშევიკებს ჩვეულებად ჰქონდათ ყველა მოწინააღმდეგე იმ ტერმინით ეგინებინათ, რომელი მიმდინარეობის წინააღმდეგაც იბრძოდნენ: 20-ანი წლების დასაწყისში ყველა მოწინააღმდეგეს „მენშევიკს", „ავანტიურისტს", ნაციონალისტს" უწოდებდნენ; 20-ანი წლების ბოლოს შემოაქვთ ხმარებაში „კონდრატეველი", „მაენბელი", „ატამანშჩინა"; 30-ანი წლების მეორე ნახევარში პოპულარული გახდა „ხალხის მტერი", „ფაშისტი". ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილი 1937 წელს ფაშისტებად შერაცხეს. უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილის მიმდევარი პროფესურა ჯერ ნაციონალისტებად და შოვინისტებად, შემდეგ კი კონდრატიეველად მონათლეს, მერე ფაშისტებად, და „უნივერსიტეტთან ორგანიზებული ამ კონტრრევოლუციონერ ფაშისტების ერთპიროვნულ მეთაურად" ივანე ჯავახიშვილი გამოაცხადეს. შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და ვუკოლ ბერიძე კი ამ ფაშისტური „ორგანიზაციის" „ხელმძღვანელ მონაწილეებად" შერაცხეს. ზოგი დააპატიმრეს და საქმე ისე შეუდგინეს, რომ ჯერ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს, შემდეგ კი, როცა მათი დახვრეტა გადაიფიქრეს, ხელი თანამშრომლობის „ხელშეკრულებაზე" მოაწერინეს (იხ. გ. ციციშვილი, „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები", გვ. 192, 202). რა გასაკვირია, თუ ი. ჟვანიასაც იგივე თვისებები უფრო მსუბუქ ფორმებში ახასიათებდა. ი. ჟვანია ბოლშევიკური გამოვლინება იყო და თავისი მოწინააღმდეგეებისაგან ამ და ზოგი მსგავსი თვისებით

თუ არ გამოირჩეოდა, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იგი სტალინს ებრძვის და მართლა „ავტონომიზმისა“ და „მეგრული სეპარატიზმის“ დამნერგავია.

მაგრამ ყველაზე კურიოზული შენიშვნა რეცენზენტს მაინც ბოლოსათვის შემოუნახავს. ი. ჟვანიას ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების შემდეგ რეცენზენტი მას მ. დადიანთან აიგივებს შემდეგი სერხით: წერს, 1925 წლის „მაფალუისტები“ ატარებენ „ანტიმეგრული ელემენტების რეგისტრაციას, ხელსაყრელ შემთხვევაში მათი სამეგრელოდან გასახლების მიზნით“. ამას მოსდევს ამონაწერი ბერიას 1925 წლის 13 სექტემბრის სპეციალური წერილიდან: „პარტიის წევრის ასეთი მოქცევა არ შეიძლება... შეწყნარებული იქნას“. მაშასადამე, გამოდის, თითქოს ი. ჟვანია ისე იქცევა, როგორც „მაფალუისტი“ მ. დადიანი 1925 წელს. აი, ეს არის დემაგოგიის კიდევ ერთი ილუსტრაცია. ბერიას სტატიაში საერთოდ ნახსენები არ აქვს სიტყვა „მაფალუ“, და თანაც მის სტატიაში არა ჩანს, რომ ის აიგივებს მ. დადიანს და ი. ჟვანიას. ბერია მხოლოდ ამას წერს: მეგრელმა ავტონომისტებმა მ. დადიანის რჩევით რომ ანტიმეგრული ელემენტებისა და კომუნისტების დაპატიმრება-გადასახლება გადაწყვიტეს, „ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავსო საბჭოთა ფარსი, რომ ამ კამპანიის და მისი „იდეისთვის“ მზარი არ დაეჭირათ, სამწუხაროდ, ზუგდიდის ორგანიზაციის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს და მათ შორის ამხ ჟვანიასაც“. ამასთანავე, როგორც ადრე სხვა სათანადო ადგილას დავასაბუთეთ, ესეც მიზნობრივი ტყუილი იყო და ამიტომაც იყო, რომ ი. ჟვანიამ თავის წერილში მაშინვე უარყო ბერიას მიერ ყურით მოთრეული ეს ბრალდება და იმას მიაღწია, რომ ეს ყალბი აზრი 1925 წლის შემდეგ ორატორებიდან სხვას არავის გაუმეორებია. გარდა ამისა, როგორც ადრე ვნახეთ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ბიუროს სპეციალურ სხდომაზე (1925 წ.) მ. დადიანის მოწვეეთი გაირკვა, რომ ამგვარ სიებს დადიანი კი არ ადგენდა, არამედ ბერიას მიერ საგანგებოდ ავტონომისტების რიცხვის გასადიდებლად მივლინებული ჩეკისტი ილარიონ თოდუა, ხოლო მ. დადიანს ამ საქმესთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაშასადამე, „რეცენზენტი“ ზოგჯერ მართალია, მაგრამ გადაჭარბებულად ცდილობს ი. ჟვანიას „ბრალეულობების“ გაზვიადებასა და ლ. ბერიას ადრინდელი ყალბი მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად განვითარებას. იგი ვერ ახერხებს, რომ ჟვანიას ანალოგი მოუძებნოს ვითომ „მაფალუელებთან“, ანუ ბერიას ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ავტონომისტებთან“, რომლებიც ისევ პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ გამოზარდა.

„რეცენზია“ მთავრდება სიტყვებით: „წიგნს არ შეუძლია ახალგაზრდობის აღზრდაში რაიმე სიკეთის მიცემა, წარმოადგენს... რევოლუციური მოძრაობის ფალსიფიკაციას და „მაფალუისტების“ იდეების პოპულიარიზაციას, იწვევს ადგილობრივი შოვინისტური ტენდენციების ლეგალური ფორმით გამოვლენას. ამრიგად, წიგნი, როგორც მავნე, მავნე იდეების გამავრცელებელი ამოღებული უნდა იქნეს მოხმარებიდან“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 260).

რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე სრულყოფილი წიგნი, რამდენადაც ვიცით, ჯერ პროფესიონალ ისტორიკოსებიდანაც არავის შეუქმნია. გამონაკლისი არც ი. ჟვანიაა, მაგრამ ის მთავარი, რასაც მას აბრალებდნენ, როგორც ვნახეთ, წიგნში არა აქვს. მაშასადამე, ი. ჟვანიას ავტორიტეტის მოთხრის მცდელობა და მისთვის „მაფალუელობის“, მით უმეტეს სეპარატისტობის დაბრალება მიზნობრივი და ხელოვნურია.

ჩვენი დასკვნის სისწორეს სხვა დოკუმენტებიც ამტკიცებს. ჯერ ერთი, ცხადი ხდება, რომ ი. ჟვანიას წიგნის მოსათხრელად დიდი ხნით ადრე დაიწყეს მზადება. საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1932 წლის 27 მარტს მიიღო დადგენილება „ჟურნალ „პარტიული მშენებლობის“ მუშაობის შესახებ“. მის საფუძველზე დაიგმო ჟურნალში ისტორიის თემების გამოკიდება, მოითხოვეს თანამედროვე პოლიტიკის საკითხებზე ყურადღების გამახვილება და ჟურ-

ნალის რედაქტორი გარსევანიშვილი საქართველოს ისტორიისადმი ინდიფერენტული არუთინოვით შეიცვალა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 7, ს. 19, ფ. 141/2). ეს იმას ნიშნავდა, რომ ცკ (ბერია) გმობდა ამ ჟურნალში 1931 წელს სხვა ავტორთა და ი. ჟვანიას ამ წიგნის ძირითადი ქართული ვარიანტის (45 გვერდის) გამოქვეყნებას (ჟურნალ „რევოლუციის მატიანე", 1931 წ). ლ. ბერია ამ გზით იმთავითვე ამზადებდა ი. ჟვანიასა და სხვათა ბოლშევიკური წარსულის გაბიაბრუებას. მეორე – 1932 წლის 29 მარტს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა (ბერიამ) მიიღო დადგენილება „წითელი პარტიზანებისა და წითელგვარდიელების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ". იგი მოითხოვდა „მნიშვნელოვნად დანაგვიანებული, კლასობრივად უცხო, კლასობრივად დისკრედიტირებული" ამ საზოგადოების „გაწმენდას" რევოლუციის წინაშე საკუთარი დამსახურებების გამაზვიადებელი „დამნაშავე ელემენტებისაგან" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 7, ს. 9, ფურც. 119). ეს წმენდაც ი. ჟვანიასა და ძველი ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო ჩაფიქრებული. ამიტომ არის „რეცენზიაში" უარყოფილი ზუგდიდში ასეთი „დამსახურების" მქონე პირების არსებობა. ეს წმენდა ზუგდიდის წითელპარტიზანთა და წითელგვარდიელთა ორგანიზაციას, დიახაც რომ შეეხო, მაგრამ ამის მერეც ზუგდიდში იწვევენ „ჩისტკა გავლილ წითელპარტიზანელთა კონფერენციას" (იხ. იქვე, ფურც. 201-209). მაშასადამე, უკვე 1932 წლის მარტიდან მზადდებოდა არა მარტო ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერების, არამედ საერთოდ ძველი ბოლშევიკების გაბიაბრუება, მაგრამ რატომღაც ამ გარდუვალმა პროცესებმა ცოტა დაიგვიანა. ეს, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ ჟურნალის რედაქციების, საერთოდ პრესის, მუშაობის განახლება და ვეტერან რევოლუციონერთა დარბევა დროს მოითხოვდა.

აქ განხილული „რეცენზიით" შეურაცხყოფილმა ი. ჟვანიამ საკუთარი აზრი წერილობით იმ სპეციალურ განცხადებაში ასახა, რომელიც ბერიას გაუგზავნა. აქ განმარტებული იყო, რომ წიგნი საქართველოს გასაბჭოების ათი წლისათვისათვის ზუგდიდის მუზეუმის დაკვეთით მზადდებოდა და 1931 წ. 25 თებერვლისათვის ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში" 45 გვერდზე გამოქვეყნდა. „სამსონ მამულიას პერიოდში წიგნი მზად მქონდა. მაგრამ გამოცემა არ მოხერხდაო". შემდეგ ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგის თ. ყღენტისათვის მიუმართავს. მისი ნებართვით 1932 წლის ნოემბერში გამოვეცით. „ორი წლის მანძილზე არავის ხმა არ ამოუღია. „ნაბეჭდი არქივებით შევავსე. პარტიული პუბლიკაციებისაგან განსხვავებით არაფერი შემიტანიაო". იგი სვამს კითხვას: რატომ გაიხსენეს სენსაციები ახლა? განსაკუთრებით შეაწუხა წიგნის ანტიპარტიულად გამოცხადებამ. თუ შეცდომები მაქვს, მზად ვარ შევასწოროო. ამასთანავე, შენიშვნებსაც უპასუხა: ბესარიონ გოგია და მაკარი ბედია რომ წერენ „რა რევოლუცია მოხდა ჩვენს გარეშეო?" მაშინ გოგია აფხაზეთში იყოო". ჩემს წინააღმდეგ ინტრიგას ეწევიან, ხმებს ავრცელებენ, ზუგდიდის ხელმძღვანელობას ხსნინო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 202). იგი რწმენას გამოთქამს, რომ ცკ ამ ცილისწამებას ყურადღებას მიაქცევს. ი. ჟვანია ს. გეგეჭკორისა და ფ. მახარაძის როლის დაკნინების თაობაზე გამოთქმულ ბრალდებასთან დაკავშირებითაც თავს იმართლებს: რაც მახსოვდა, ის დავწერეო. იგი გაკვირვებასა და სინანულს გამოთქვამდა, რომ მისი წიგნის კრიტიკა ასოცირებული იყო თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნასთან, და ამიტომაც დამატებით აშუქებდა საკუთარი ხელმძღვანელობით მოპოვებულ მიღწევებს.

ი. ჟვანია სთხოვდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს, მიეცა წიგნის დახვეწისა და ხელმეორედ გამოცემის საშუალება. ურჩევდა: „მოუწოდეთ ამხანაგებს, რომლებიც არა ბოლშევიკურად ეპყრობიან „მეგრულ საკითხს" და ჩვენც ხელს გვიშლიანო". ი. ჟვანიამ, როგორც ჩანს, კიდევ ვერ გაიგო, რა ხდებოდა. იგი ცკ-ს კვლავ სთავაზობდა „მეგრული საკითხის" გამო მისი აზრით სწორი დადგენილების ყველა რაიონში გატარებას. ითხოვდა მისი ამ წერილის სამხარეო

რესპუბლიკურ გაზეთში დაბეჭდვას და ცკ-ში გაგზავნილ თხოვნა-საჩივარს მისი წიგნის გამო მხარდამჭერ ზუგდიდის რაიკომის 1933 წლის 2 იანვრის დადგენილების და ყოფილი წითელი პარტიზანების წმენდა გავლილი საზოგადოების რაიონული კონფერენციის ოქმის ამონაწერებს ურთავდა (იხ. იქვე, ფურც. 203). ორივე დოკუმენტი, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოა. ზუგდიდის რაიონის წითელპარტიზანთა კონფერენციის (16. XI. 1932წ.) მუშაობაში 50 „ჩისტკაგავლილი" დელეგატი მონაწილეობდა, ე.ი. ზუგდიდში წითელ პარტიზანთა მოძრაობა არ იყოო, რომ წერდა „რეცენზენტი", წმენდამ არ დაადასტურა. კონფერენციამ მოისმინა ძველი ბოლშევიკის ა. ჯიქიას მოხსენება ხობის გაზეთ „სოციალისტურ მშენებლობაში" გამოქვეყნებული არასწორი რეცენზიის შესახებ (იხ. იქვე, ფურც. 206). ძველი ბოლშევიკები: ი. ჯანაშია, ი. ცხაკაია, ვ. თორდია, დ. ფარულავა, ვ. ზაქარაია, მ. ბერულავა, ა. ნაჭყებია. კ. ჯოჯუა, ე. ქადარია და სხვ. ერთხმად აცხადებდნენ, რომ ი. ჟვანიას წიგნის კრიტიკა იყო „არა ობიექტური" და „პირადი ანგარიშებისათვის გამოყენებული".

ზუგდიდის წითელპარტიზანთა კონფერენციამ მოითხოვა ი. ჟვანიას წიგნის ხელახლად გამოცემა. მიიჩნიეს, რომ წიგნის ამოღების რეცენზენტისეული რეკომენდაცია „მავნე და მიუღებელია". ჟვანიას „მაფალუელებისთვის" მიკუთვნება ძველ ბოლშევიკებს მიაჩნდათ მისი გაბიაბურების ცდად და ანგარიშით მოქმედებად. ისინი მოითხოვენ კონფერენციის დადგენილება გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. ოქმს ხელს აწერენ კონფერენციის პრეზიდიუმის წევრები (ზემოთ დასახელებულებებთან ერთად): ვ. შონია, ო. ჩქოტუა და სამდივნოს წარმომადგენლები: მ. ბერულავა, კ. მიქაია, დ. ფარცვანია (იხ. იქვე), მათ შორის ე. ქადარია ის წითელპარტიზანელი იყო, რომელის სურათიც ი. ჟვანიას ამ წიგნში (გვ. 54) იყო აღბეჭდილი და რომლის წითელპარტიზანობასაც „რეცენზენტი" უარყოფდა. რეცენზენტი რომ მართალი ყოფილიყო, ე. ქადარია წმენდას ვერ გადაურჩებოდა და არც ამ კონფერენციის მონაწილე იქნებოდა. ე.ი. კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ „რეცენზია" დაკვეთით იყო დაწერილი და ძირითადად გაყალბებული. მაშასადამე, რეცენზენტიც მჟღავნდება როგორც ბერიას კამპანიის აქტივისტი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ზუგდიდის რაიკომის ბიუროს და რაისაკონტროლო კომისიის სპეციალური ერთობლივი სხდომის ოქმის ამონაწერი. აქედან ჩანს, რომ ი. ჟვანიას წიგნზე გამოქვეყნებული რეცენზია საფუძვლიანად განიხილეს. დადგენილებაში ნათქვამია: „ბრალდება ზუგდიდის პარტორგანიზაციისადმი, თითქოს ჩვენ ვიმყოფებით „მაფალუიზმის" გავლენის ქვეშ, არის ცილისწამება და დაბრალებული ბრალდება ზუგდიდის პარტორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელობის მიმართ", „წიგნში კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოთა არაფერია", „სამეგრელოს ოკრუგის შექმნაში ზუგდიდის პარტორგანიზაცია არასდროს არ მოქმედებდა პარტიული ხაზის გარეთ. ჩვენს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი დადგენილებები წარდგენილი იყო პარტიის ცეკაში და არ იყო შემთხვევა, რომ ცეკას მათი ანტიპარტიულობისათვის მიეთითებინოს" (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). სხდომის მონაწილეები „სთხოვენ ცკ-ს გამოიყოს ავტორიტეტული კომისია ამ საკითხის ადგილზე შესასწავლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად". ოქმს ხელს აწერენ ბიუროს წევრები ი. ჯანაშია, ი. გვასალია, ტ. საჯაია, ო. გვასალია, ა. ფარცვანია, ვ. ჯანაშია, ვ. ზაქარაია, კ. მიქაია, ი. იზორია, ე. თორდია, ვ. როგავა; პრეზიდიუმის წევრები ა. ჯიქია, ვ. შონია, ი. ჩაგუნავა, ი. ცხაკაია, ი. ყორშია. ოქმს ადასტურებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მ. ბერულავა (იხ. იქვე, ფურც. 207). როგორც ვხედავთ, წიგნის ავტორი ი. ჟვანია სხდომას არ ესწრებოდა და არ შეეძლო მათზე უშუალო ზემოქმედების მოხდენა. როგორც ჩანს, ზუგდიდის რაიონის ბოლშევიკები და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, რომლებიც ხშირად ერთი და იგივე პირები არიან და სხვადასხვა თანამდებებობზე მუშაობენ, ი. ჟვანიას წიგნის რეცენზიის, აგრეთვე ი. ჟვანიასა და ზუგდიდის პარტიული

ორგანიზაციის შეფასებაში მონოლითური არიან. ისინი ხედავენ წამოყენებული კამპანიის ანგარებით, უსამართლო ხასიათს, შეურაცხყოფილნი არიან და ცკ-სგან მოითხოვენ ვითარების ობიექტურ შესწავლას. მაგრამ ბერიამ მალე მოძებნა ბზარი აღნიშნულ მონოლითში, მას სოლი მოარგო და ისეთი ძალით დაარტყა, რომ მონოლითი არა მარტო დაშალა, არამედ ზოგი მათგანი ი. ჟვანიას პოლიტიკის თავგამოდებულ კრიტიკოსად გაიხადა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ დროს ხობის გაზეთში განმეორებით იბეჭდება ცნობილი ეროვნული მოღვაწის თ. სახოკიას მოხსენება, რომელიც მან 1925 წელს თბილისში რუსთაველის თეატრში, „ავტონომისტ-ჩხოუშიელების" წინააღმდეგ მოწყობილ სამეგრელოს მკვიდრი თბილისში მოღვაწეების შეკრებაზე წაიკითხა და გაზეთმა „კომუნისტმა" საკუთარი ინტერპრეტაციით გამოაქვეყნა.

არ არის დასამალი, რომ საქართველოს ერთიანობის, მისი ეროვნული განუყოფლობისათვის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ორგანიზატორს და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ მოღვაწეს, აგრეთვე 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესა და პარიტეტული კომიტეტის საკუთარ ოჯახში დიდი რისკით შემფარებელს, ახლაც იყენებენ ბერიას მიერ წამოყენებული ახალი კამპანიის გასამგრებლად. ადრე, როცა საუბარი გვქონდა ბერიას მიერ 1925 წელს ორგანიზებულ კამპანიაზე, მაშინ ამის შესახებ ნაწილობრივ ვისაუბრეთ და ეჭვიც გამოვთქვით თ. სახოკიას მიერ მაფალუელების და ფოთში ს. გაგუას სეპარატისტულ მუშაკად შეფასების, აგრეთვე მისი „ჩხოუშიელ-ავტონომისტებთან" დაკავშირების გამო. ჩვენ მივიჩნიეთ, რომ თ. სახოკიას მოხსენებაში არეკლილია მისი სუბიექტური აზრი, რასაც ასაზრდოებდა ავტორის ეროვნული სულისკვეთების სოლიდარობა ბერიასა და სხვათა პოლიტიკანურად გათამაშებულ პატრიოტიზმთან. აღვნიშნეთ, რომ ეს იყო პატრიოტულ-კომუნისტურ ელფერის მქონე კამპანიასთან ჭეშმარიტი ეროვნული პატრიოტების გულწრფელი ალიანსი, მათი ერთ ავტონომისტ-სეპარატისტების საწინააღმდეგო ფრონტში თუ ერთ ბლოკში გაერთიანება, პარტიის მიერ მიზნობრივად გაშუქებული ვითომ დიდი ეროვნული საფრთხის მოსაგერიებლად. ახლაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თ. სახოკიას წერილის სრული ვარიანტის იგივე დანიშნულება. როგორც ჩანს, ბერიამ მოახერხა მათში ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერების ოპოზიციური, „მეგრული" საქმიანობის ანტიეროვნულ მოძრაობად გაზვიადება. ბერიამ არა მარტო თ. სახოკიასთან, არამედ აბსოლუტურად ყველასთან შესძლო მიდგომა. მისადგომს კი მას უქმნიდა პარტიის პოლიტიკასთან ლიბერალურ-ეროვნული მისწრაფებების თანაარსებობის გარკვეული შესაძლებლობა და მისი ქართული პატრიოტიზმის ინტერესებიდან გამოყენების მოჩვენებითი შესაძლებლობაც. ქართული ანტისაბჭოთა ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა ყოველთვის, მათ შორის ბერიას დროსაც, ცდილობდა ეროვნული მიზნებით გამოეყენებინა პარტიის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობის პირობები და ეროვნული საქმე ეკეთებინა. ამის შესახებ საუბარი გვაქვს ჩვენს არაერთ პუბლიკაციაში (მონოგრაფიებში, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების ციკლებში), მაგრამ ახლა თ. სახოკიას მიერ ხობის გაზეთში, გოგიასა და მ. ბედიას მიზნობრივი რეცენზიის გამოქვეყნების შემდეგ მოთავსებული მოხსენების ტექსტი კიდევ უფრო მეტი დაკვირვების შესაძლებლობას გვაძლევს. მაშასადმე, იგი ავსებს და აძლიერებს ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერების მიმართ ბერიას მიერ ნამართავ პროცესს. ეჭვი არ არის, რომ თ. სახოკია გულწრფელია თავის მოქმედებაში, მაგრამ საკითხავია რისთვის გახდა საჭირო მისი მონაწილეობა ამ ცოტა არ იყოს საჩოთირო „კამპანიაში". საქმე ისაა, რომ კომუნისტი „რეცენზენტი" ზუგდიდის პარტიულმა ხემძღვანელობამ და ძველმა ბოლშევიკმა-წითელპარტიზანებმა სწორად ამოიცნეს და გამოააშკარავეს. ამასთანავე, კომუნისტი კრიტიკოსებისა

არ სჯეროდათ ანტისაბჭოთა განწყობილების წარმომდგენლებს. ბევრისათვის აშკარა ხდებოდა, რომ ი. ჟვანიასა და სხვათა ალიანსს ე.წ. მაფალუელთა ანტიქართული სეპარატიზმთან აკლდა დამაჯერებლობა, ეჭვის ქვეშ დგებოდა თვით ანტიქართული მეგრული სეპარატიზმის არსებობის სახელმწიფოებრივი ვერსია და ისტორია. თ. სახოკიას ავტორიტეტს საეჭვო კამპანიისათვის მზარის შედგმით მისი დამაჯერებლობა უნდა გაეძლიერებინა. ამას დამატებით ისიც გვაფიქრებინებს, რომ თ. სახოკიას მოხსენების ახალ ტექსტში წამოწეული იყო ახალი მდგომარეობა, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 1925 წლის პუბლიკაციაში არ ფიქსირდება. მაშასადამე, ეროვნული მოღვაწის თ. სახოკიას მოხსენება, ძველის შეხსენებასთან ერთად, ახალი მდგომარეობის წარმოჩენით ძველის გამაგრებასაც იწვევდა. რა არის ეს „ახალი“? თ. სახოკიას ამ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „მაფალუელთა ავტონომისტურმა ჯგუფმა (1925 წ. — ავტ.) მოსკოვში თხოვნაც გაგზავნა: „გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს „პროლეტარიატის საცოდაობას ნუღარ აყურებინებთ და უშუალოდ შეურთეთ რუსეთის პროლეტარიატსო“. როგორც ადრე ვნახეთ, ასეთი თხოვნით მართლაც მიმართეს მოსკოვის ცენტრს ახალაია-ბუკონია-ბესელიამ. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1925 წელს საშა გეგეჭკორმა გვაცნობა. მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ ი. ჟვანია ამ სეპარატისტული არგუმენტების ავტორებს ებრძოდა. ამიტომ ახლა, როცა ღღის წესრიგში იდგა არა იმათი, არამედ ი. ჟვანიას განადგურება, ამ აზრს ხანდაზმულობის გამო დაკარგული ჰქონდა ზემოქმედების ძალა და ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერების იდეური განადგურებისათვის ახალი აქტუალობის შესაბამისი ძალა ენიჭებოდა. კომუნისტების ნაცოდვილარი რეცენზიები უამრავ, აშკარად შესამჩნევ სიყალბესა და შინაგან წინააღმდეგობას შეიცავდა. თ. სახოკიას წერილი კი იყო მასში აღწერილი მოვლენების მომსწრე, ობიექტურ მეცნიერად ცნობილი ანტიკომუნისტის განცხადება, რომლის სისწორეში ეჭვის შეტანა ძალიან ძნელი იყო. თ. სახოკიასადმი ნდობის ფაქტორი იმდენად ძლიერია, რომ მისმა ამ სტატიამ არა მარტო იმ კამპანიის დოკუმენტაცია შეავსო, არამედ ის „მეგრელთა საკითხის“ „ახლებურ“ მოგვარებას ეხმარებოდა. უფრო მეტიც, თ. სახოკიას ეს წერილი ხომ 1992 წელსაც გამოაქვეყნეს და მოარგეს ამ პერიოდის ვითომ არსებული მეგრული სეპარატიზმის საშიშროების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას. მაგრამ სიკო დოლიძის და აკაკი ჭანტურიას მოგონებების დამოწმებით ვფიქრობთ, რომ კიდევ უფრო სარწმუნო გახდა სტ. გაგუას ეროვნული სახე. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც თ. სახოკიას ძმის შვილის, 1924 წელს ბიძასთან მცხოვრები სტუდენტის დორა სახოკიას მოგონებების გამოქვეყნებით გახდა ცნობილი, თ. სახოკია საკუთარ ოჯახში იფარავდა აჯანყების ორგანიზატორ „პარიტეტულ კომიტეტს“. რადგან ამ დანაშაულის შემდეგ მას ბერიამ სიცოცხლე შეუნარჩუნა, ამით იძულებული გახადა საჭირო დროს ძველი გაეხსენებინა და ოფიციალური იდეოლოგიისათვის მზარი დაეჭირა. ამიტომ თ. სახოკიას ნათქვამის აქსიომად მიღების ნაცვლად საჭიროა მისი მოვლენათა მსვლელობის შესაბამისად გაგება-გამოყენება.

ბერიამ ი. ჟვანიასა და მისი თანამებრძოლ-თანამოაზრე ზუგდიდელი კომუნისტების „მაფალუისტებად“ და „სეპარატისტებად“ გასაღებით მოახერხა არა მარტო იმდროინდელი საზოგადოებრიობის გაცურება და ი. ჟვანიასა და მისი მომხრე წითელი პარტიზანების იდეური დამცირება, არამედ „მეგრული საკითხის“ თეორიული საფუძვლების, მისი არსის და ისაკი ჟვანიას შესახებ იმ გაყალბებული ცოდნის შექმნა, რომელსაც წამოეგო მისი თანამედროვეობაც და შთამომავლობაც.

როგორც ვნახეთ, 1932 წლის ბოლოს საბოლოოდ დამთავრდა ი. ჟვანიასა და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების იდეური გაბიაბრუება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი „ერთგული“ დასაყრდენის, ძველი ბოლშევიკებისა და „თეორეტიკოს-ისტორიკოსების“ ძალისხმევით „დაამტკიცა“:

თითქოს ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერები იყვნენ სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისათვის მებრძოლი იმ „ანტიეროვნული და სეპარატისტული“ ბრძოლის გამგრძელებლები, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსიფიკატორებმა იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვმა და მათმა დამქაშებმა თ. აშორდიამ და ს. გაგუამ წამოიწყეს და საქართველოში კომპარტიის ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფალური განხორციელების პერიოდში „ჩხოუშელმა“ ავტონომისტ-სეპარატისტებმა კვლავ აიტაცეს; თითქოს ეს მათი მემკვიდრეობითობა ე.წ. მაფალუიზმში გამოვლინდა; თითქოს მაფალუელი ი. ჟვანია ზუგდიდის სამაზრო, ხოლო შემდეგ კი რაიკომის მდივნის პოსტზე თვალთმაქცობდა კომუნისტური პარტიის წინაშე, კომუნისტობას ღალატობდა სინამდვილეში იკრებდა მეგრელ ნაციონალისტებსა და შოვინისტებს, უპირისპირდებოდა პარტიის ხაზს „მეგრული საკითხის“ მოგვარებაში, იბრძოდა დამოუკიდებელი მეგრული ენისა და კულტურის შექმნის, აგრეთვე ამავე მიზნით მთელი საშუალო განათლების მეგრულ ენაზე გადაყვანის, მეგრული უმაღლესი განათლების (უნივერსიტეტის) ორგანიზებისა და დამოუკიდებელი „დიდი სამეგრელოს“ სახელმწიფოს შექმნისათვის; თითქოს „დიდი სამეგრელოს“ შექმნისათვის ი. ჟვანიას ანტიქართული მუშაობის თეორიულ გამოვლინებას წარმოადგენდა მის მიერ მეგრულ ენაზე გამოცემული წიგნი „როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის“, რომელიც ვითომ წარმოადგენდა რეალური ისტორიის მიზნობრივ ფალსიფიცირებას და საკუთარი თავის, როგორც მომავალი „დიდი სამეგრელოს“ ბელადის წარმოჩენას; თითქოს ი. ჟვანიამ თავისი ანტიპარტიული, ანტიქართული, მოღალატური პრაქტიკული და თეორიული მუშაობით შემოიკრიბა თანამოაზრე თანამებრძოლების ჯგუფი და იმიტომ „დაუპირისპირდა პარტიის ხაზს“, რომ ძირი გამოეთხარა საქართველოს ერთიანობისათვის. ეს აზრი სხვადასხვა დროის ქართულ საბჭოთა ბეჭდვით სიტყვაში კონცენტრირებულ-ფორმულირებულად ასე აისახა: „მეგრელი ნაციონალისტი... ისაკი ჟვანია კომუნისტობას იჩემებდა და უვიცი იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ თვითონ ღალატობდა კომუნისტობას, რომ მისი „მეგრული პოლიტიკა“ შუა საუკუნეებშიც კი ჩამორჩენილობისა და რეაქციის პოლიტიკა იყო, რომ მისი პოლიტიკა მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან საერთო კულტურისაგან... ისაკი ჟვანია სამთავრო-სათავადოების შავბნელი ხანის ჩამორჩენილობის ასახიერებდა“; „ასეთი ანტიქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარა“; „სამეგრელოს საკითხის ცნობილი ისტორია... რომელიც თავდაპირველად შავრაზმელებმა ვოსტორგოვმა, იანოვსკიმ და სხვებმა წამოაყენეს... ახლებურად განავითარა 20-იან და 30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის პირველმა მდივანმა ისაკი ჟვანიამ“...

მაშასადამე, ისე გამოიყვანეს, თითქოს, 1933 წელს ისევე, როგორც 1925 წელს იდგა მ. დადიანისა და „ჩხოუშელ-მაფალუისტების“ საქმიანობის აღმოფხვრის და საქართველოს ვითომ გადარჩენის ამოცანა, ახლაც დგას ი. ჟვანიას მიერ კვლავ გამოცოცხლებული და ნასაზრდოები ანტიპარტიული და ანტიქართული ბინძური საქმის მოსპობის ამოცანა. ე.ი. ახლა ბერიამ საქართველო ხელმეორედ უნდა იხსნას გარდაუვალი დაღუპვისაგან.

ასეთი ყალბი აზრების გავრცელებით 1933 წლის დასაწყისში ი. ჟვანიასა და მისი მიმდევრების პრაქტიკული განადგურებისათვის მოამზადეს საზოგადოებრივი აზრი და მისი განხორციელების ორგანიზაციული საფუძვლები. ბერიას პრაქტიკულ-პოლიტიკური და ჩეკისტური მუშაობის მეთოდებისა და სტილის ლოგიკიდან გამომდინარე, 1933 წელი, ამ ვითომ მაფალუისტების გააქტიურების შემთხვევაში, უნდა ყოფილიყო ამ ვითომ „დიდ სამეგრელოს“ თუ „მარგალისტანის“ იდეისათვის მებრძოლთა დაშლის, მათი, როგორც გარკვეული ძალის, ნეიტრალიზაციისა და „მეგრული საკითხის“ საბოლოოდ მოგვარების წელი. ასეც ხდება...

* * *

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ ი. ჟვანიას სწორ ორიენტირებს, „მეგრული საკითხის“ იმ დროის სამეგრელოსთვის ოპტიმალურად სწორ მოგვარებას და ამისთვის გათვალისწინებული რიგი არაორდინალური ღონისძიებების გატარებას დაუპირისპირა ადმინისტრაციულ-პოლიციური მეთოდების გამოყენება. ამას მოჰყვა ი. ჟვანიას გარემოცვაში შინაგანი განხეთქილება. სათანადო საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ სამეგრელოს ოლქისათვის მებრძოლთა ერთი ნაწილი პარტიის ცკ-ის (ბერიას) პოზიციებზე გადავიდა, ხოლო მეორე ნაწილმა, განიცადა რა დისკრედიტაცია და დევნა, კვლავ ხელი მიჰყო ბრძოლის ძველი მეთოდებით გაგრძელებას. როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ისინი არ კარგავენ საკუთარი სიმართლისადმი რწმენას და იმისთვის იბრძვიან, რომ „მეგრული საკითხის“ მთავარ მომწესრიგებელს ი. სტალინს სამეგრელოს რეალობის შესახებ მიაწოდონ თავისი „სიმართლე“ და მისი დახმარებით უზრუნველყონ პრობლემების მოგვარება.

ი. ჟვანიას ბანაკიდან ოფიციალური ხელისუფლების მხარეზე გადასულთა პოზიციას კარგად გამოხატავს მისი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყოფილი აქტიური თანამდგომის, ი. გვასალიას 1933 წლის 1 თებერვლის წერილი „საქ. კპ.(ბ) ცკ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას, საქ. კპ.(ბ) ცკ-ის მეორე მდივანს ამხ აღნიაშვილს“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 212-221). ამ საქმიან „დასმენაში“ გაკრიტიკებულია ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის ხარვეზები და შეცდომები საკადრო პოლიტიკასა და სამეურნეო ხელმძღვანელობაში. მაგალითად, თხილის დამზადების ჩაშლის მიზეზად მითითებულია ი. ჟვანიას მიერ დანიშნული პიროვნების დაპატიმრება, რამაც „გამოიწვია თხილის შემოსავლის გაბნევა“. ამ წერილში ნათქვამია: ჟვანია გართულია „დიდი საქმეებით“. არა სცალია ცოცხალი ხელმძღვანელობისათვისო. „მას სოფლად იშვიათად დაინახავთ, ისიც კი არ იცის სად არის ამა თუ იმ სოფლის კანცელარია, რომლის ცოცხალი მოწმე თვით თქვენ იყავით, ამხანაგო ლავრენტი“. ი. ჟვანიას საკადრო პოლიტიკის შეცდომების სახით მოხმობილია, აგრეთვე, მის მიერ კადრების დევნა, მეზობელი რაიონებიდან დევნილთა შეფარებისა და დაწინაურების ფაქტები. მის მიერ დაწინაურებელთა შორის ნახსენებია ადრე დანაშაულისათვის სამართალში ნამყოფი პიროვნება, რომელსაც სოფ. ფახულანის ი. ჟვანიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურების შემდეგ მიზნად დაუსახავს „სოფლაბჭოს გაუქმება და მილიციისადმი დაქვემდებარება“ (იხ. იქვე. ფურც. 212, 216). ეს ხომ აბსურდია. რა მილიცია იყო სოფელში, „დასმენაში“ არა წერია, მაგრამ ის კი აღნიშნულია, რომ ეს ადრე ნასამართლევი თავმჯდომარე ი. ჟვანიას დაუწინაურებია „რაიოკოლხოზის“ პასუხისმგებელ მუშაკად, მაგრამ აქაც დანაშაული ჩაიდინა და ახლაც ზისო. წერილის ავტორი იმას არ იგონებს, ი. ჟვანია პარტიის IV ყრილობაზე გამფლანგველების მიმართ უმაღლესი სასჯელის შემოღებას რომ მოითხოვდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 1360, ფურც. 144). იგი აღნიშნავს, რომ ი. ჟვანია არის „ატამანი“ (! — ავტ.), რომელსაც ჰყავს თავისი „პეშკები“. იგი ზოგ ორგანიზაციაში შემოწმებაზე ხუთჯერ აგზავნის, ზოგან კი არცერთხელო. თავი ბელადად მოაქვს, საკუთარი ბიუსტიც კი შეუკვეთა, „ხმა გაავრცელა თითქოს ნიშნავენ საქართველოს ცკ-ის მეორე მდივნად“ (იხ. იქვე, 217-218) ე.ი., აღნიაშვილის მაგივრადო; „ორსანტიაში 21 მუშა საქონლის ცეცხლით განადგურების გამო გაბუნიას და სხვათა დახვრეტაზე ჩემი ინიციატივით ბიურომ განაჩენის სისრულეში მოყვანა რომ მოითხოვა, ი. ჟვანიამ აღშფოთება გამოსთქვა და ამით კლასობრივი მტრები პროვოკაციულად ჩემს წინააღმდეგ განაწყოო“. „ის აღსავსე სიძულვილით მოქმედებს ჩემს წინააღმდეგ თავის აგენტების მეშვეობით... სურს მომიშოროს აქედან და განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობაო“.

წერილის დამწერი ი. ჟვანიას ამხელს აგრეთვე „ყაზაყეში გაზეთში“ არქაული და ახალი მეგრული სიტყვების („მანთვა“, „ოკუჩხალე“, „მოსა“, „დუდმახვენჯი“, „მელამოსე“) გამოყენების და თავისი არამარქსისტული წიგნის ცკ-ის სანქციის გარეშე გამოცემის გამო (იხ. იქვე, ფურც. 219). ამ წერილის ავტორი წერს: „ცეკას ვთხოვ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას მიაქციოს სასწრაფო ყურადღება და მიიღოს გადამჭრელი ზომები ი. ჟვანიას და მისი აგენტების წინააღმდეგ“. იგი, ამასთანავე, საჭიროდ მიიჩნევს „სცადოს ცეკამ მისი სხვა რაიონში გადაყვანა“. ის იქ „ატამანობას“ ვერ მოიპოვებს, სხვა რაიონში გამოვცადოთო“ (იხ. იქვე, ფურც. 221).

როგორც ვხედავთ, ბერიასა და აღნიაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ძველი, ცნობილი ამბების გამეორებასთან, ერთად წამოწეულია ი. ჟვანიას, როგორც პარტიულ-სამეურნეო და პოლიტიკური მუშაკის უვარგისობის და დანაშაულობების მაგალითები. დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო. განა არ გააჩნდათ მსგავსი „გადახრები“ სხვა რაიონების ხელმძღვანელებს, მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ამ წერილში ი. ჟვანიას ანტიქართული სეპარატიზმის „მცდელობები“ არ საბუთდება და ამავე დროს, სამეურნეო „დანაშაულობათა“ მიუხედავად, მისი მხოლოდ სხვა რაიონში გადაყვანის რეკომენდაცია ისახება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იუსტინე გვასალიამ ბერიას დაკვეთა შეასრულა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით, ნამუსი მაქსიმალურად შეინარჩუნა.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ეს წერილი ზემოდან იმ მიზნით არის ნასაზრდოები, რომ ქვემოდან წამოსულიყო ი. ჟვანიასა და მისი მხარდამჭერების ზუგდიდის რაიონიდან მოშორების ისედაც მომწიფებული იდეა.

ი. გვასალიას ეს „დარიგება“-„რეკომენდაცია“ ცკ-სთვის მართლაც მისაღები „აღმოჩნდა“. ი. ჟვანია მალე მართლაც მოაშორეს ზუგდიდს. იგი 1933 წლის თებერვალში გაიწვიეს და, მის მიმართ ვითომ უამრავი „ბრალდების“ არსებობის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად დაწინაურეს. საოცარია, ამდენი „დანაშაულების მქონე“ „ანტიქართული სეპარატიზმის“ მამამთავრის სამხრეთ ოსეთში გაგზავნით ხომ შეიძლებოდა ახლა ოსებს გადასდებოდა მეგრელების რეციდივი?! ამ ხელმძღვანელი მუშაკის, მით უმეტეს „სეპარატისტი — მაფალუელის“, მიმართ ბერიას ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება გასაკვირია. იმ დროს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის დარგში ვითომ მოქმედი მავნებლობის დიდი ორგანიზაციის საქმე შეთითხნეს ბერიამ და დეკანოზომა, საოცარია, რატომ არ მოახვედრეს ამათში ი. ჟვანიაც, თუნდაც „თხილის დამზადების მავნებლურად ჩაშლის“ ბრალდებით ან სხვა სამეურნეო „დანაშაულობათა“ გამო. ზუგდიდის რაიონში უამრავი სხვა მიზეზ-საბაბიც შეეძლოთ მოეძებნათ. ი. ჟვანიას ხომ საკმაო რაოდენობის მოწინააღმდეგე ჰყავდა იმისათვის, რომ, თუკი მოისურვებდნენ, რასაც უნდოდათ, იმას დაბრალებდნენ და გააქრობდნენ. მაგრამ საოცარია, რომ მას არც კი ხსნიან, არამედ ფაქტობრივად „მამხილებელი“ წერილის ავტორის, ი. გვასალიას „დარიგების მიხედვით“ აწინაურებენ. ამ „სეპარატისტების“ ბელადსა და ზუგდიდის რაიონის სამეურნეო და საკადრო პოლიტიკის „მომშლელს“, რომელიც აგრეთვე ათასჯერ იყო „მხილებული“ უხეში იდეოლოგიურ დარღვევებსა და ანტიპარტიული მეგრული ავტონომიზმის თუ სეპარატიზმის გაღვივებაში, არა მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულ ხელმძღვანელად აწინაურებენ, არამედ საქართველოს კომპარტიის IX ყრილობის (1934წ. იანვარი) დელეგატად ირჩევენ და შემდეგ ცკ-ის შემადგენლობაშიც შეჰყავთ. ი. ჟვანიას ბოლოს ვხედავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე. მაშასადამე, მის მიმართ წაყენებული ბრალეულობები პოლიტიკანური თამაში იყო.

ვისი რეკომენდაციით შეიძლებოდა ამ ვითომ „ანტიეროვნული“ პიროვნების ანტიქართული სეპარატიზმის ერთი ბუდიდან მეორე კიდეე უფრო სახიფათო

მართლა ანტიქართული სეპარატიზმის ბუდეში გადასმა?! ჩვენი აზრით, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ სტალინის რეკომენდაციით. ი. გვასალიას რეკომენდაცია სტალინის რეკომენდაციის საფარად გვესახება, რადგან ი. ჟვანიას ლ. ბერიას წაქეზებით იმდენი „ბრალდება" დაუგროვეს, რომ არ შეიძლებოდა მის პროტექტორად ბერიას ან სტალინის გახმაურება. ამავე დროს, როგორც შემდგომ თავებში ვნახავთ ი. ჟვანიას ლ. ბერია უაღრესად დიდ დარტყმას უმზადებდა, მაგრამ 1937 წლის ხელსაყრელ სიტუაციამდე ამის შესრულება ვერ მოახერხა.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანმა ი. ჟვანიას გადაყვანის გამო ზუგდიდის პარტიის რაიკომის პლენუმზე 1933 წლის 14 თებერვალს განაცხადა: „ჟვანია გადაგვყავს იმიტომ, რომ მან მეგრულ საკითხში გადააჭარბაო" (იხ. იქვე, ფურც. 228). ეს სხვების გასაფრთხილებლადაც უნდა ყოფილიყო ნათქვამი. მაგრამ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობას სინამდვილეში იმ უფლებებისათვის არ გადაუჭარბებია, რომელსაც საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრი სხვადასხვა დროს დაპირდა, და რომელსაც 1929 წლის 12 სექტემბერს სიტყვიერი სანქცია მისცა სტალინმა. დაპირებებსა და შესრულებებს შორის რომ უთანხმოება აღმოცენდა აქ ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობის ბრალი გამორიცხულია. მითუმეტეს „გადაჭარბება" სხვაა და დაბრალებული ე.წ „მაფალუელების" მეთაურობა, ანუ ავტონომისტ-სეპარატისტობა სხვაა. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ დამატებით გვიჩვენებს: ი. ჟვანია ის კი არ იყო, რადაც გვასაღებდნენ და როგორადაც ისტორიას მეგრელების თავსატეხად გადმოულოცეს, არამედ სინამდვილეში სულ სხვაა. ჩვენი აზრით, ეს საკადრო გადაადგილება მოხდა ლ. ბერიასა და ი. ჟვანიას შორის დაპირისპირების გამწვავების, მისი მოუთმენლობის გამო. იგი არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა სტალინთან შეუთანხმებლად. მაშასადამე, ახლა ი. ჟვანია ეკუთვნის სტალინის „ხუმრობის" „ადვილად დამუერე ამხანაგების" ახალ კატეგორიას, რომელმაც ი. სტალინის მეორე, 1929 წლის „შუტკა", „მეგრული საკითხის" მოგვარების, ანუ სამეგრელოს ოლქის ან საოლქო აღმასკომის, მეგრულ ენაზე გაზეთებისა და სხვა გლეხური ლიტერატურის, აგრეთვე სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში სწავლების მეგრულ ენაზე შემოღების შესახებ, სერიოზულად მიიღო. ჩვენი აზრით, ლ. ბერიას, მისი დიდ ავტორიტეტისა და სტალინთან სიახლოვის მიუხედავად, არ შეეძლო ი. ჟვანიას ესოდენ სერიოზული „დაწინაურება", თუ ამ საქმეში სტალინის ნებაც არ იქნებოდა გათვალისწინებული. მაშასადამე, სულ სხვა იყო რეალური სიმართლე, რომლითაც ჟვანიას დაწინაურების დროს ისარგებლეს და სულ სხვა იყო ის „სიმართლე", რომელიც საზოგადოებას თვალებში ნაცარივით შეაყარეს.

თავი XVIII

ვითომ „მაფალუელები“ ი. ჟვანიას შემდგომ ზუგდიდში

ი. ჟვანიას ზუგდიდიდან მოშორების შემდეგ რაიონულ პარტიულ და სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში სერიოზული „გადახალისება“ ჩატარდა. რაიკომის მდივნად დააწინაურეს ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე, ადრე ი. ჟვანიას თანამებრძოლი და ახლა უკვე კრიტიკოსი იუსტინე გვასალია. ეს იყო ახალი ტიპის ხელმძღვანელი, მრავალმხრივ დადებითი თვისებების მქონე პიროვნება, რომელმაც ახალ თანამდებობაზე თავი კარგად წარმოაჩინა. მისი ხელმძღვანელობის დროს ბოლო მოეღო კაბინეტურ მუშაობას. პარტიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი უშუალოდ ძირეული ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით რაიონის მასშტაბური სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის მიმართულებით იქნა გადატანილი. მისი თანამედროვის, ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორების სადგურის ყოფილი დირექტორის, დამსახურებული აგრონომის, სოციალისტური შრომის გმირის დავით კუხიანიძის მოგონების მიხედვით, ბერიას უთქვამს: „ყველა ხელმძღვანელი რომ იუსტინე გვასალიას მსგავსი იყოს, საქმე ყველგან კარგად გვექნებოდაო“ (იხ. გ. ციციშვილი. „სუკის არქივში კურიოზებიც გვხვდება“. გაზ. „ქომაგი“, 1991, №27, 4 ივლისი). ი. გვასალიას ხელმძღვანელობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო აგრეთვე ი. ჟვანიას მიერ წარმოებული „ატამანშჩინის“ აღმოფხვრას. მაგრამ, როგორც სათანადო საარქივო მასალები მოწმობენ, შეუძლებელი გახდა რაიონში სამეგრელოს ოლქის შექმნის მთხოვნელთა და სხვა ზოგი პიროვნების სახით ადრე არსებული ავტონომისტური მისწრაფებების აღმოფხვრა. ამასთანავე, რაიკომის ახალმა საკადრო პოლიტიკამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ახალსა და ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკებს შორის. ადრე თუ ი. ჟვანიას საკადრო პოლიტიკას აკრიტიკებდნენ და ებრძოდნენ, ახლა იგივე შეინიშნება ი. გვასალიასა და მისი კაბინეტის წინააღმდეგაც. ისე გამოვიდა, რომ შიდაპარტიული და საერთო საზოგადოებრივი დაპირისპირება და ბრძოლა ი. ჟვანიას ზუგდიდის რაიკომის მდივნობიდან მოშორებისა და მის ადგილზე ი. გვასალიას დაწინაურების შემდეგაც ძალაში დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ სამეგრელოს ოლქის მიზანშეწონილობისადმი, ხოლო მეორე მხრივ სამეგრელოს ავტონომიისადმი სტალინის მხარდაჭერის რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ პრობლემა საკადრო გადაადგილებების შემდეგაც ვერ მოიხსნა. ამიტომ, სტალინის „ხუმრობები“ ზუგდიდელ ხელმძღვანელ კადრებს ძვირად უჯდებოდათ.

„მეგრული საკითხის“ პოლიტიკანურმა წაფუჩეჩებამ ზუგდიდსა და მის რაიონში უკმაყოფილებები ვერ აღმოფხვრა. როგორც ჩანს ბერიას დიაგნოზმა და მისმა „მკურნალობამ“ არ გაამართლა. ამიტომ 1933 წელი აღნიშნული თვალსაზრისით კიდევ უფრო დაძაბული აღმოჩნდა. ამას მოწმობს საჩივრები ქ. ზუგდიდისა და რაიონის სოფლებიდან, რომლებიც სისტემატურად ეგზავნებოდა მოსკოვში სტალინს, სოფლის გლეხობის წერილების ასლებს უგზავნიდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივან ლავრენტი ბერიასაც.

აღნიშნული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა საქართველოს პრეზიდენტის არქივის „მეგრული საკითხის“ გამო შექმნილ სპეციალურ საქმეში დაცული ვრცელი წერილი სახელწოდებით „Секретарю ЦК ВКП (б) тов. Сталину; Председателю ВЦИК СССР тов. Калинину; Председ. Совнаркома СССР тов. Молотову. Коллективное заявление“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, ს. 266, ფურც. 222-231). იგი დათარიღებულია 1933 წლის აპრილით. ეს არის ხელის მანქანაზე დაბეჭდილი წერილის ასლი. მის ქვეშ მითითებულია ხელმომწერთა ნუმერაცია, ხოლო ხელმომწერთა ვინაობა მითითებული არ არის. ეს წერილი, როგორც უკვე სათანადო თავში საარქივო წყაროების მეთოდოლოგიური ღირებულებების მიმოხილვის დროს აღვნიშნეთ, წარმოადგენს სამეგრელოს ოლქისა და მასთან დაკავშირებული

გარდაქმნების მოთხოვნას. ეს ის წერილია, რომლის შესახებაც საქართველოს კომპარტიის IX ყრილობას (1934 წ. იანვარი) მოახსენა ზუგდიდის რაიკომის ახალმა მდივანმა ი. გვასალიამ. მასში გამუქებულია „მეგრული საკითხის" ავტორისეულად გაგებული მოკლე ისტორია. წერილში „მეგრული საკითხის" ისტორიის ამსახველი ნაწილი ჩამოყალიბებულია, ერთი მხრივ, საკუთარი ხედვით შექმნილი შთაბეჭდილებით, ხოლო მეორე მხრივ, ზუგდიდის რაიკომის ოფიციალური პარტიულ-სახელმწიფოებრივი დოკუმენტების აზრის გათვალისწინებითა და გამოყენებით. ეს ე.წ. ისტორიული ნაწილი წერილის კომუნისტ ავტორებს წარმოჩენილი აქეთ როგორც თავიანთი „დაბეჯითებული თხოვნის" საფუძველი. იგი შეიცავს სერიოზულ შეცდომებს, წარსულის დამახინჯებულ გაგებას, ეროვნული მოღვაწეების გაუხამსებულ შეფასებას და სხვა. იგი იძლევა ავტორების საფუძვლიანი კრიტიკის შესაძლებლობას და კიდეც მოითხოვს ამ კრიტიკის აუცილებლობას. ეს დოკუმენტი ბატონ ზვიად გამსახურდიას ვრცლად აქვს გამოყენებული და გაკრიტიკებული „სამეგრელოს საკითხის" გამო ი. ჟვანიას სეპარატისტული შეხედულებების სამხელად. ამდენად, წერილის ძირითადი, მცდარი მდგომარეობის დაწვრილებით გამეორების საჭიროება იხსნება. მაგრამ, ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემობა, რომ წერილის შემდგენელის მიუთითებლობის მიზეზით და საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე მისი სტალინირიდან ანუ ი. ჟვანიას ახალი სამსახურის ადგილიდან გამოგზავნილად გამოცხადების გამო იგი ბატონ ზვიადს ი. ჟვანიას ნაწერნააზრევად მიუღია. სინამდვილეში ეს წერილი, ჩვენი გამოკვლევით, ეკუთვნის არა ი. ჟვანიას, არამედ ყოფილ „მაფალუელს", ავტონომისტ ტარასი შენგელიას, ხოლო ხელმომწერებად გვევლინებიან პიროვნებები, რომლებიც „მეგრულ საკითხში" ადრე ჰქმნიდნენ ი. ჟვანიას აზრის როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე წარმომადგენლობას, ახლა კი განეკუთვნებიან ახალი ხელმძღვანელობის მიერ დეენილთა კატეგორიას. მათი ეს მდგომარეობა ნაწილობრივ წერილშიც ირეკლება. მკვლევარმა ა. დაუშვილმა საჭირო წინდახედულება და ეჭვი გამოავლინა. იგი წერს: „მისი შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ თუ ის ი. ჟვანიას მიერ არ არის შედგენილი, მისი სხვა წერილებიდან და მიმართვების ტექსტებიდან ციტირებით არის გაჯერებული". ჩვენი აზრით, ეს უთუოდ სწორი მიგნებაა. მაგრამ მკვლევარი ამასთანავე, ამ წერილს მიიჩნევს ერის „მოღალატის წერილად". ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ამონარიდები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ წერილში „ქართველ ნაციონალისტებად" და „შოვინისტებად" არიან დახასიათებული მამულიშვილები, რომლებიც ცარიზმის რუსიფიკატორების წინააღმდეგ მიზნობრივად, მდაბიოთა ენად აცხადებდნენ მეგრულ ენას და ებრძოდნენ მის საღვთო ენად გამოცხადებასა და აგრეთვე სკოლებში შემოღებას. წერილის ავტორის მიერ გაუთვალისწინებელია, რომ ასეთი ხერხი გამართლებული იყო ცარიზმის რუსიფიკატორების მხრივ მეგრული ენის გამოყენებით საქართველოდან სამეგრელოს გათიშვის საპირწონედ. საქართველოს განუყოფლობისა და რუსიფიკატორთა იერიშების მოგერიებისთვის მეგრულ ენას ზოგი დამახინჯებულ ქართულად მოიხსენიებდა, ზოგი უმნიშვნელო განსხვავების შემცველ ენად, ზოგი ამტკიცებდა, რომ მეგრული ენას, ქართულისაგან განსხვავებით, არ ახასიათებს საღვთო ენის ღირსება. ეს აღიზიანებს აღნიშნული წერილის ავტორს და შესაბამის რეაქციასაც ავლენს, მაგრამ „მოღალატე" როდია. მკვლევარი მას ერის „მოღალატედ" მიიჩნევს იმის გამოც, რომ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელ ცენტრს ბრალად სდებს „მეგრელების ასიმილაციას" და სხვა. ასეთებად მკვლევარს ჩამოთვლილი ჰყავს ხელმომწერები (ტ. შენგელია, მ. ჯალაღუა, ნ. პაჟავა, ტ. ზარქუა, ო. გვასალია, ი. გაბუნია, ი. ნაჭყებია) მისი არაზუსტი აზრით, წერილზე ერთის ხელმოწერა არ იკითხება — „არ არის ი. ჟვანიას ხელმოწერა" (იხ. ა. დაუშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 176-177). მაგრამ ჯერ ერთი, იმ წერილს, რომელსაც ავტორი იმოწმებს, ხელმოწერები საერთოდ არა აქვს. მათი გვარები

ავტორმა იცის მხოლოდ IX ყრილობაზე ი. გვასალიას განცხადების მიხედვით. ერთი, რომელიც მისი აზრით, თითქოს „არ იკითხება“, არის ვ. ჩემინავა, რომელსაც ი. გვასალია ასახელებს ტ. შენგელიას შემდეგ და გამოქვეყნებულ სტენოგრაფიულ ანგარიშში მკაფიოდ ჩანს. ამასთანავე, წერილის ავტორი ტ. შენგელია და ხელმომწერები მოღალატეები კი არა, ზოგადეროვნული ინტერესების თავისებურად კუთხურ-ეთნიური პატივმოყვარეობის პოზიციებიდან გამგები კომუნისტები არიან. ჩვენს ხელთ არსებულ ამ დოკუმენტს ხელმომწერების მხოლოდ ექვსი რიგითი ნომრის მითითება აქვს, გვარები კი საერთოდ არ ახლავს (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 231, ძველით 234).

როგორც ავღნიშნეთ, წერილზე ხელმომწერთა გვარებს საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე იძულებით ასახელებს ამ წერილის შემფასებელი, ზუგდიდის რაიკომის მდივანი იუსტინე გვასალია. მის მიერ ი. ჟვანია მითითებულია დაუსახელებლად, ანუ ანეგდოტურად („გვარს არ დავასახელებო“-ავტ.). ეს დამატებით მოწმობს, რომ იგი დავალებას ასრულებს. ახლა საჭირო ხდება აღნიშნული წერილის მთავარი არსის ახლებურად დანახვა და სათანადო კომენტირება.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში უახლესი ისტორიის არქივის, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არქივის მასალებში (ფონდი 284) გამოვავლინეთ აღნიშნული კოლექტიური წერილის ხელმოწერილი ასლი (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 486, ფურც. 4-11, იხ. ფურცლის ორივე მხარეზე), რომელსაც ხელს აწერენ საკ. კპ (ბ) პარტიის წევრები: 1. ვ. ჩემინავა, 2. ტ. ზარქუა, 3. ტ. შენგელია, 4. ი. გაბუნია, 5. მ. ჯალაღონია, 6. ი. ნაჭყებია, 7. ო. გვასალია, 8. ნ. ფაჟავა (იქვე, ფურც. 11). აქ გაურკვეველი არავინაა და ი. ჟვანიას ხელწერა საეჭვოდაც არ ჩანს. როგორც ჩანს, ბატონ ზვიადისათვის ამ წერილის ავტორების შესახებ ზუსტი ცნობა არ მიუწოდებიათ. ალბათ, ამის გამო მიიჩნია იგი ი. ჟვანიასეულად. სხვა არქივში გვხვდება დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტის შექმნის შესახებ. ეს არის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უფრო ზუსტად — ამიერკავკასიის სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის) „საქმე №2983 — შ. ვ. სართანიას, ვ. პ. კვარაცხელიას, მარო ჯალაღონიას, ი. ლ. ნაჭყებიას, შ. პ. თორდიას ბრალდებისა გამო“ (იხ. სუკის არქივი №2983, ფ. 1-282). ამ მასალებში დაცულია ტარასი დიმიტრის ძე შენგელიას ჩვენება, რომელშიც კკითხულობთ: „1933 წელს საკუთარი ინიციატივით ალექსანდრე საჯაიასთან ერთად შევადგინე განცხადება სტალინის, მოლოტოვისა და კალინინის სახელზე მეგრული ავტონომიის (? — ავტ.) მოთხოვნით. ხელი მოვაწერეთ მე, ჩემინავა ვლადიმერმა, ზარქუა ტრიფონმა, ჯალაღონია მარომ, ფაჟავა ნიკიფორემ, გვასალია ოლგამ, გაბისონია ბონდომ და ნაჭყებია ირაკლიმ“ (იქვე ფურც. 245). როგორც ვხედავთ, ი. გვასალიას შემთხვევაში დასახელებულებს შორის ხელმომწერი ი. გაბუნია აღიარებაში არა ჩანს, სამაგიეროდ დასახელებულთა მითითებულია ბონდო გაბისონია. ცდომილება გამოწვეული უნდა იყოს დამსახელებლის მეხსიერებით. როგორც ჩანს ა. დაუშვილი ამ წერილს არ იცნობს.

ტ. შენგელიამ უჩვენა: „გვასალიამ (რაიკომის მდივანმა — ავტ.) და რაიგანყოფილების (ზუგდიდის ჩეკას — ავტ.) გამგემ ზაქარაიამ (განცხადება — ავტ.) აღმომიჩინეს ჩემს ჯიბეში — სადგურში ამომიღეს“ (იხ. იქვე). ამასთან, დაკავშირებით ვ. კვარაცხელიამ უჩვენა: „1933 წელს ჩემი ზუგდიდში მუშაობისას ლაპარაკი მქონდა ტრიფონ ზარქუასთან“. კკითხე, „ვინ შეადგინა განცხადება სამეგრელოს ოლქის გამყოფაზე, რომელიც ჩაუვარდა რაიკომს. ზარქუამ მიპასუხა: თვითონ ტარასის ბრალია ვერ დაიცვა კონსპირაციაო. ხელს აწერდა ცხრა კაციო. ტ. შენგელია, ჩემინავა, ნაჭყებია ირაკლი, გვასალია (ოლგა — ავტ.), ჯალაღანია (მარო — ავტ.). სხვები არ მახსოვს“ (იხ. იქვე, ფურც. 76).

მაშასადამე, შეიძლება, რომ იყო მეცხრე პიროვნება, რომელსაც განცხადებაზე ხელი არ მოუწერია. იგი მეხსიერებას შემორჩა IX ყრილობაზე გამოთქმული უსაფუძვლო განცხადებიდან. იმავე ვ. კვარაცხელიამ ეს ჩვენება კვლავ გაიმეორა სხვა დაკითხვის დროს. ესე იგი, წერილი, რომელიც ი. ჟვანიას მიეწერა, შეუდგენია ტ. შენგელიას, სხვებს კი მხოლოდ ხელი მოუწერიათ. მას თბილისში გამომგზავრების დროს წერილი სადგურში ჩამოართვეს და აღარ იძებნება. მაგრამ არქივში მისი ის ნაბეჭდი ასლი აღმოჩნდა, რომელსაც ხელმოწერები არ ახლავს. აქედან ცხადი ხდება, რომ ქ. სტალინირის მითითება ბლეფია. ისიც ირკვევა, რომ ვიღაცამ თბილისში წერილის წამღები ტ. შენგელია დასმინა. ამდენად მის მიერ კონსპირაციის დაუცველობა მცდარი ან ტყუილია.

ახლა, რაც შეეხება ტარასი შენგელიას ჩვენებაში მითითებულ, მის მიერ „აღიარებულ" „მეგრული ავტონომიის" მოთხოვნას. იგი წერილის ტექსტით არ დასტურდება. აქ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებში ნათქვამია: „Ускорить оформление Мингрельской области, которая обеспечить ускорение культурно-хозяйственного развития Мингрелии по социалистическому руслу" (იხ. იქვე, ფურც. 11). ეს არ ნიშნავს ავტონომიის მოთხოვნას. ავტონომიას თუ მოითხოვენ, ამის შესახებ ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე, ნათლად უნდა თქმულიყო. მართალია წერილის შინაარსიდან მკაფიოდ ჩანს ავტორის ავტონომიისადმი მისწრაფება, მაგრამ იგი მოთხოვნაში მკაფიოდ ალბათ იმიტომ არ დაფიქსირა, რომ ხელმომწერთა შორის ზოგი ავტონომიის მოწინააღმდეგე და ადმინისტრაციული ოლქის მომხრეა. წიგნის შემდეგ თავში საუბარი სპეციალურად გვექნება იმის შესახებ, თუ რა ნაძალადევად ხდებოდა შემდგომ, ჩვენების მიცემისას წერილებში ნათქვამის ავტონომიის მოთხოვნად გადაკეთება.

ახლა საჭიროდ გვესახება გავარკვიოთ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ დაწერა ეს კოლექტიური წერილი. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ავტონომიას აიდეალებს. ი. ჟვანიას წერილები, როგორც ვნახეთ, გამოხატავენ გარკვეულ საერთო კონცეფციას, რომელიც სტალინის მიერ მიცემულ სანქციას ეყრდნობოდა. ისინი ავტონომიურს ან მითუმეტეს, ექსტრემისტულს, ანტიეროვნულს არ შეიცავდნენ, დადებითს, რაციონალურს კი ბევრს გულისხმობდნენ და ამიტომ მას მხარს უჭერდა არა მარტო რაიკომის აქტივი, არამედ მოსახლეობის ფართო ფენა: ინტელიგენცია, პედაგოგიური კოლექტივი, განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურული ენის არმცოდნე და მცირემცოდნე გლეხობის ფართო წარმომადგენლობა. გასაგებია, რომ მეგრულის ოფიციალური ფუნქციონირება ყველა მეგრელისთვის მისაღებია (არა აქვს მნიშვნელობა, რაციონალისტია, ავტონომისტი თუ სეპარატისტი). მას ეწინააღმდეგებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ეჩვენება, რომ მეგრული ენის მიმართ ყოველი დათმობა დამღუპველია. სინამდვილეში ქართულის არმცოდნე გლეხებისა და მათი შვილებისათვის მეგრული ენა დედაენაა. ასეთ გლეხებს და მათ შვილებს ენობრივი ბარიერის გამო სერიოზული ცხოვრებისეული დაბრკოლება ელობებოდათ. ტ. შენგელია ყოფილი „ნოთელია", სამაზრო აქტივის წევრი, მაგრამ მათში არსებული იმ გამონაკლისებიდან, რომლებსაც სამეგრელოსათვის სასურველად და კანონიერად მიაჩნდათ ავტონომიური მოწყობა, თუმცა არა რესპუბლიკა და გამოყოფა. იგი იყო ენგურის ქალაქდის კომბინატის პარტკომის მდივანი, მცირემცოდნე. მას მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა კონტაქტი პიროვნებებთან, რომლებიც „მეგრულ საკითხს" ინტერპრეტაციას უწევდნენ ი. ჟვანიასგან განსხვავებულად. ტ. შენგელიას ავტორისეული ორიგინალური აზროვნება „კოლექტიურ განცხადებაში" მართლაც შეინიშნება, მაგრამ ისიც ჩანს, რომ ტ. შენგელიას არ ახასიათებს მეგრულ ენისადმი დამოკიდებულებაში ის დიალექტიკა, რომელიც ი. ჟვანიას ახასიათებდა. ი. ჟვანია მეგრულ ენის გამოყენებაზე საუბრის დროს მას განიხილავს არა როგორც "მიზანს", არამედ, როგორც „საშუალებას". ტ. შენგელიას წერილის მიხედვით ირკვევა, რომ მას მეგრული ენა ესმის, როგორც „მეგრელი ეროვნების" ენა. იგი ცდილობს სტალინის სწავლების შუქზე დაასაბუთოს მე-

გრელი ერის უფლებები. ამავე მიზნით უხმობს ისტორიას, რომლის დროსაც საქართველოს განუყოფლობისათვის თავგამოდებით მებრძოლი ერის ლიდერები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ტომით მეგრელი, დიდი ქართველები თედო ჟორდანია, ბ. დადიანი, ნიკო დადიანი (თავად-აზნ. მარშალი), თედო სახოკია გამოჰყავს ანტიმეგრელ ქართველ ნაციონალისტებად. მას ბოლომდე ვერ გაურკვევია: რა განსხვავება იყო ერთი მხრივ, მეგრული ენის თავისებურების გამოყენებით საქართველოს გათიშვისათვის მეცადინე „იანოვსკი, ლევიცკის, ვოსტრგოვის და სხვა" რუსიფიკატორთა და მათ მხარდამჭერთა და მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე ეროვნულ მოღვაწეთა მოთხოვნებს შორის. ი. ჟვანიას მეგრელები და სხვა ქართველები განსხვავებულ ერად არასდროს წარმოუჩენია. იგი მეგრული ენის გამოყენებისათვის ბრძოლის დროს საფუძვლად იყენებდა არა მეგრელების ეროვნულ განსხვავებულობას ქართველებისაგან, არამედ ისტორიის ბედუკულმართობით შექმნილ იმ მდგომარეობას, რომელიც ქართული ენის არმცოდნე მეგრელ გლეხობას ქვეყნის და კერძოდ საქართველოს მასშტაბით პარტიის მიერ ნასაზრდოებ პროცესებში ჩართვას დამატებით, ზოგჯერ კი გადაულახავ სიძნელეებს უქმნიდა და კულტურულ-ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ სამეგრელოს შესაძლო სწრაფი ტემპით განვითარების რეალურ შესაძლებლობას უბოჭავდა. როგორც გვახსოვს, ი. ჟვანია სინანულს გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ სხვათა და „შოთა რუსთაველის" ძეგლები დაიმსხვრა.

ტ. შენგელია მცირე განათლების, მაგრამ მაინც წიგნიერი კაცია, ეტყობა იცის, რომ სამღვდელოებას, ილია ჭავჭავაძეს, ი. გოგებაშვილს და თანამოაზრეებს კომპარტია ნაციონალისტებად და რეაქციონერებად მიიჩნევს, ამიტომ ამის გათვალისწინებით მათ ეროვნულ-პატრიოტულ ბრძოლას სამეგრელოს რუსიფიკატორების, აგრეთვე მეგრული ანბანის და წირვა-ლოცვის შემოღების წინააღმდეგ, აფასებს, როგორც ქართველი რეაქციონერ-შოვინისტების მოქმედებას (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფ. 222-223), ხოლო სკოლაში ქართულ ენაზე სწავლებას და მმართველობის სახელმწიფოებრივ ენაზე წარმოებას წარმოაჩენს, როგორც „პოლიტიკურ-კულტურულ დაწოლას" და „თავსმოხვეულს". იგი მიიჩნევს, რომ ი. სტალინის მითითებები სამეგრელოს მიმართ მათი არაორდინალური დამოკიდებულებების გამო და დიდი წარმატებების მიუხედავად ამოაგდეს მექანიკურად, ასიმილატორული პოლიტიკის გატარებით. ტ. შენგელია მიიჩნევს, რომ კალინინის მითითება პარტიის XVI ყრილობაზე სამეგრელოს ოლქის მხარდაჭერის თაობაზე, ავტონომიის მხარდაჭერას ნიშნავდა. მისი აზრით დარაიონების შემოღება არ უნდა შეხებოდა სამეგრელოს, რომელიც შვიდ ჯუჯა რაიონად დაქუცმაცდა და რომლებშიც "მეგრული საკითხის გამო" საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილების გატარება შეუძლებელი იქნებაო.

როგორც ვხედავთ, მისი ზოგიერთი არგუმენტი ჰგავს, ზოგი ემთხვევა ი. ჟვანიას მოსაზრებას. ასეთია, აგრეთვე, ავტონომიებისადმი პარტიის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც არ ვრცელდება სამეგრელოზე. მაგალითად, კოლექტიურ განცხადებაში წერია, რომ 1933 წლის აფხაზეთის ბიუჯეტი აღწევს 22,5 მილიონ მანეთს 230 ათასიანი მოსახლეობის არსებობის დროს, აჭარისტანისა 125 ათასიანი მოსახლეობით – 13,5 მილიონს, ხოლო სამეგრელოსი არ აღემატება 400 ათას მანეთს 350 ათასი მოსახლეობის პირობებში, „რაც რა თქმა უნდა დაცინვას წარმოადგენსო" (იხ. იქვე, ფურც. 227). ეს მონაცემები მას ამოღებული აქვს ი. ჟვანიას მიერ შექმნილი დოკუმენტებიდან. როგორც ირკვევა, ტ. შენგელიას ზუგდიდის რაიკომის ოქმზე, ი. ჟვანიას თანაშემწეს, ვ. კვარაცხელიას დახმარებით ხელი მიუწვდა და მასში ჩამოყალიბებული დამასაბუთებელი არგუმენტები გამოიყენა ავტონომიური ოლქის დამაჯერებლობისა და სამართლიანობის დასამტკიცებლად.

„კოლექტიური განცხადების" ეს ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ არამც თუ „ობლასტი" არ მოგვცეს, სრულიად მოულოდნელად

საუკეთესო მეგრელ ბოლშევიკ-ლენინელებს სხვადასხვა საბაბით ხსნიან და სამეგრელოს ტერიტორიიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაყავთ, ხოლო ნაწილი უმუშევრად არის დატოვებული, მათ ადგილას სვამენ პოლიტიკურად გასვრილ ადამიანებს, ყოფილ უკლონისტებს და ტროცკისტებს, კარიერისტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მეგრელები მეგრელები კი არა, ქართველები არიან — ოღონდ დაიკაონ რაიკომის მდივნის და რაიაღმასკომის თავმჯდომარის და სხვა ადგილებიო. მისი აზრით, ზუგდიდის რაიონის ბოლშევიკი მეგრელების განდევნის მოტივად გამოიყენეს სამეგრელოს ოლქის (რაიკომის მდივნის ი. ჟვანიას) მოთხოვნა. ტ. შენგელია აღშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ „სამეგრელოს ოლქის მოთხოვნა ცკ-ის მდივნის აღნიშვილის მიერ კვალიფიცირებულ იქნა გადაჭარბებულ და რეაქციულ მოთხოვნად, მაგრამ რატომაა იგი რეაქციული? პასუხს არავინ არ იძლევაო". იგი აგრძელებს აზრს და სვამს კითხვას: ლენინურ-საბჭოური ავტონომია აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, კარაჩაის, ნახიჩევანის და სხვებისა, რევოლუციურია (და „პროგრესულია" — როგორც იგი თავის დროზე შუქდებოდა — ავტ.), ხოლო სამეგრელოსი — კონტრრევოლუციური? ტ. შენგელია მოითხოვს პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებზე და დასძენს იმ მდგომარეობის დასურათებას, რომელიც შეიქმნა ზუგდიდელი ბოლშევიკების დარბევის შემდგომ (იხ. იქვე, ფურც. 228).

ტ. შენგელიას განსაკუთრებით მოუთმენლად ესახება ის, რომ „ყაზაყიში გაზეთის" საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებით ზუგდიდის რაიკომის ორგანოდ გადაკეთდა, ფორმატი განახევრდა, მკითხველების ხელოვნურად ჩამოშორებით ტირაჟი 1930 წლის 20 ათასიდან 3 800 მდე შემცირდა, წერილები მეგრულ-ქართული შერეული სახით იბეჭდება, თითქოს მეგრელები უკვე ასიმილირებულნი არიანო და, ამდენად, თითქოს გაზეთის საჭიროებაც იხსნებაო. იგი პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ „განათლების სახალხო კომისარიატს ზუგდიდის რაიონის სკოლებში სპეციალური დავალებით მოუვლენია, მისი აზრით, „მეგრელი ვაი მეცნიერი პროფესორი ჩიქობავა" (არნოლდი — ავტ.), რათა შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება, რომელსაც დაუწერია: „მართალია მეგრელი ბავშვები გაცილებით უკეთესად ითვისებენ მშობლიურ მეგრულ ენაზე, ვიდრე გაუგებარ ქართულ ენაზე სწავლებისას, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ, რომ მერე ქართულზე გადასვლა გართულდება, ამიტომ საჭიროა მეგრული სკოლების პირველივე ჯგუფიდან მეგრულ ენის გამორიცხვაო ე.ი. მომავლის „პერსპექტივებისათვის" საჭიროა მეგრული ენის გაწირვაო" (იხ. იქვე, ფურც. 229).

სახელოვანი მეცნიერის დასკვნას ჩვენ არ ვიცნობთ, არ ვიცით რამდენად სწორია მისი ტ. შენგელიასეული ციტირება, მაგრამ, ცხადია, დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ იმ დროს დაწყებითი სკოლის პირველ კლასებში ქართულის არმცოდნე გლეხის შვილებისათვის გასაგები მეგრული ენით სწავლება და ასეთი გარდამავალი საფეხურის ორგანიზება შეცდომა იქნებოდა. იგივე ადამიანები იწონებენ უმაღლეს სკოლაში შესასვლელად იმდროინდელი მოსამზადებელი „ინსტიტუტის" („მუშფაკების") შექმნას, რომლებიც წლების მანძილზე ფაქტობრივად უმაღლეს სკოლაში შესაძრომ „ჩორნი ხოდს" (ლუნაჩარსკი) წარმოადგენდა. ასეთები აგრეთვე დადებითად უყურებდნენ უმაღლეს სკოლებთან იმ მოსამზადებელი განყოფილებების ჩამოყალიბებას, რომელიც სინამდვილეში რა იყო და რა შედეგები მოჰქონდა, ჯერ კიდევ არავის გამოუკვლევია, იმ მეგრელი ბავშვების სატკივარს კი, რომლებმაც არც ქართული იცოდნენ და არც ოჯახში შეეძლო ვინმეს მათთვის საჭირო კონსულტაციის მიცემა, ეწინააღმდეგებიან. მათი აზრით, მეგრელი ბავშვები თურმე უფრო უკეთ სწავლობდნენ ქართულ ენაზე, ვიდრე მეგრულად — ასეთი იყო 1925 წელს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული მ. კვარაცხელიას დასკვნა (იხ. „კომუნისტი", 1925, 16 სექტემბერი), რომელიც ზოგს ახლაც მართალი ჰგონია.

შემთხვევითი არ არის, რომ ტ. შენგელია პროფ. ა. ჩიქობავას დასკვნას უწოდებს ანტიმეცნიერულსა და ანტილენინურს, რადგან, როგორც გვიცხადებს, მის საფუძველზე ზუგდიდის რაიკომის ახალ ბიუროს გამოუტანია გადაწყვეტილება მომავალი სასწავლო წლიდან დაწყებით „მეგრულ სკოლებში" მეგრულ ენაზე სწავლების გაუქმების დაკანონების შესახებ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 229-230). ტ. შენგელიას გულისწყრომას იწვევს ისიც, რომ ახლა ზუგდიდის რაიკომს აუკრძალავს მეგრულ ენაზე სანახევროდ დაბეჭდილი სტალინის ბროშურა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", მაგრამ იგი ნახევრად არალეგალურად მაინც ბოლომდე დაუბეჭდავთ და გაუვრცელებიათ. ამის გამო სამსახურიდან მოუხსნიათ რედაქციის მუშაკები: საჯაია, კვირტია და სხვები.

გასაგებია: მეგრულ საკითხში გაუგებრობასა და წინააღმდეგობებს ი. სტალინი და მისი იმ დროს სახელმძღვანელოდ აღიარებული ნაშრომი ქმნიდნენ. აქედან ციტატებს ხშირად იმოწმებდნენ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქისათვის მებრძოლებიც და მათ შორის ავტონომისტი ტ. შენგელიაც, რომელიც ახლა მას უკვე სამეგრელოს ავტონომიის უფლებამდე ანავითარებს. ტ. შენგელია შეშფოთებას გამოთქვამს „მეგრულ საკითხში" პარტიის მიერ დაშვებული ღონისძიებების მკვეთრი შეკვეცის გამო. მას რაკი მეგრელები ერად მიაჩნია, ამიტომ მოაქვს სტალინის აღნიშნული ნაშრომიდან ციტატები: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, სვანებს, ლეკებს და სხვებს, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რა ერებს მივაკუთნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა" ნაციონალურ კავშირებად? რა კულტურული საქმეების გარშემო „მოვაწყოთ" ისინი?" ამ კითხვებს ტ. შენგელია ისევ სტალინის სიტყვებით უპასუხებს „საჭიროა ისინი თანაბარი უფლებებით ვაზიაროთ უმაღლეს კულტურას" (ანუ ავტონომიას — ავტ.) იგი წერს „ეს საკითხები დიდი ხანია გადაჭრა ოქტომბრის რევოლუციამ, მაგრამ „რა ვუყოთ" მეგრელებს? (რომლებსაც უკვე გააჩნიათ თავიანთი ლიტერატურა)". მაგრამ სამწუხაროდ აქ პრობლემა არ არის გადაჭრილი ოქტომბრის 16 წლისთავზეო და მათ ქართული ენა თავს მოახვიეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუთვალისწინებლად ჯერ სამღვდელოებამ და თავადაზნაურობამ, შემდეგ მენშევიკებმა, ახლა კი გავლენიანმა კომუნისტებმაო (იხ. იქვე, ფურც. 228)

მეორე შემთხვევაში ტ. შენგელიას მოაქვს სტალინის ციტატა: „რა აღელვებს განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობას? უმცირესობა უკმაყოფილია არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ დედაენის უქონლობით (მეგრული — პარტიულ დოკუმენტებში, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ქართულის არმცოდნე მეგრელებისათვის დედაენად იქნა აღიარებული — ავტ.). მიეცით მას საშუალება ისარგებლოს დედაენით და უკმაყოფილება თავისით გაქრება. უმცირესობა უკმაყოფილოა არა ხელოვნური კავშირის უქონლობით, არამედ მშობლიური სკოლის უქონლობით. მიეცით მას ასეთი სკოლა და უკმაყოფილებასაც ყოველგვარი ნიადაგი დამოეცლება" (იხ. ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 337, 391). ტ. შენგელია წერს "პარტიის ბელადის, სტალინის ეს მითითება მეგრელებთან მიმართებაში რევოლუციის მე-16 წლისთავზეც არ არის რეალიზებული და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს არც განხორციელდება მეგრული ავტონომიური (! — ავტ.) ოლქის გარეშე და მხოლოდ ამ შემთხვევაში მოისპობა უკმაყოფილება, რომელიც რამდენიმე ათეული წელია რაც გრძელდება" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 231). როგორც ვხედავთ, მისი არგუმენტაცია, ი. ჟვანიას და ზუგდიდის ხელმძღვანელობის დოკუმენტებისას ხშირად ემთხვევა, მაგრამ მათ მოთხოვნებსა და მიზანდასახულობას პრინციპულად ეწინააღმდეგება. როგორც არაერთხელ ვნახეთ, ი. ჟვანიას სამეგრელოს ან მეგრული ავტონომიური ოლქის მოთხოვნა არ დაუყენებია. იგი ამ საკითხში არ გასცილებია საქართველოს კომპარტიის 1925

წ. 3 სექტემბრის და სხვა დადგენილებებს. მას ესმის ეროვნული ერთიანობის აუცილებლობა. მისი მოთხოვნები გარდამავალი ხასიათისაა, მეგრულ ენას აფასებს, როგორც საშუალებას... მაშასადამე, ტ. შენგელია წერილის არგუმენტაციაში ი. ჟვანიასკენ, მიზანდასახულობაში კი აშკარად „ავტონომისტი ჩხოუშიელებისაკენ" იხრება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ იხრება, რადგან პარტიის წევრების მოთხოვნების სახით ჩაამოყალიბებული „კოლექტიური განცხადებების" დასკვნით ნაწილში მოითხოვს „მეგრულ ოლქს, რომელიც უზრუნველყოფს სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას სოციალიზმის გზით" და არა ავტონომიური ოლქის ატრიბუტიკას. თუმცა, როგორც ვნახეთ, საუკეთესო გამოსავალი მისთვის „ავტონომიური ოლქია".

ტ. შენგელიას „კოლექტიურ წერილში" ისტორიისა და სტალინის ნააზრევის თავისებური გაგება, როგორც წყაროების მიმოხილვის დროსაც აღვნიშნეთ, ისევ ამ „სიტყვის ხერხად" გამოყენებულ სტალინური „ნასიბრძნის" დომხალით და წარსულის მემკვიდრეობის ათვისების მარქსისტულ-ლენინური გაგების სირთულეებით საზრდოვდება. კაცი არ გამოჩნდა, რომ ამ და მსგავსი მეგრელი კომუნისტებისთვის აეხსნა საქმის ნამდვილი რაობა და ვითარება. ჯერ კიდევ 1922-1925 წლებში იყო საჭირო „მეგრული საკითხის", მეგრული ენის, ერთიანი სამეგრელოს ადმინისტრაციული მართვის, მეგრული ყოფითი კულტურის, ავტონომიის, ერის ისტორიის და სხვა საჭირო კითხვებზე საუბრების მოწყობა, მაგრამ ამისთვის მაშინ და არც როდისმე, არავის ეცალა. უფრო მეტიც, იმისთვისაც ვერ მოიცალეს, რომ საფუძვლიანად გამოერკვიათ, რა საჭირდებოდა და რა ამოძრავებდა სამეგრელოს მშრომელ მოსახლეობას. ამის ნაცვლად სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ იყენებდნენ ადმინისტრირების მეთოდებს, დევნას, შეურაცხყოფას, რასაც ისევ სტალინის იმედით მათი მოწინააღმდეგე კომუნისტების ახალი საჩივრები მოსდევდა. ტ. შენგელიას ამ წერილის ბოლოს მიუწერია: „თუ ზემოთ გადმოცემული ფაქტები მცირედ ეჭვებს იწვევენ, მაშინ გთხოვთ გამოგზავნოთ კომისია: 1. რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის ბუბნოვის; 2. უკრაინის სსრ განათლების სახალხო კომისრის სკრიპნიკის და 3. სსრ კავშირის პოლიტგანყოფილების უფროსის კრინიცკის შემადგენლობით". მაშასადამე, ტ. შენგელია იმდენად არის დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომ წერილში მოტანილი ფაქტების გამო პასუხისმგებლობასაც კისრულობს. მას სასურველად ესახება კომეტენტური კომისიის მოწვევა და მზად არის პასუხი აგოს ჩეკას წინაშეც კი. სამწუხაროდ, ზოგმა ავტორმა ისე გადააბრუნა ამის გაგება, თითქოს ჩეკას სხვების დასარბევად იწვევს ი. ჟვანია. ზოგს ეს გულწრფელი დოგმატიკოსი კომუნისტი ერის მოღალატე ჰგონია. ასეთი კვალიფიკაცია იმით არის ნაკარნახევი, რომ გაამართლონ მისი და მსგავსთა მიმართ ბერიას შემდგომი ადმინისტრაციული ზომების გამოყენება. ეს, ჩვენი აზრით, სერიოზული შეცდომაა. იმ დროს სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა იყო შეცდომა, მაგრამ არა ანტიქართული სეპარატიზმი და ერის მოღალატეობა.

ზემოთ განხილული წერილის ავტორი ტ. შენგელია რომ ვერ დაგვედგინა, საქმის ვითარებაში ღრმად ჩახედვის შემთხვევაში ისედაც უნდა მივმხვდარიყავით, რომ წერილი შინაარსობლივად პრინციპულ წინააღმდეგობაშია ი. ჟვანიას ნააზრევთან. ტ. შენგელიას აზრი არის „მეგრული საკითხის" გამო საქართველოს კომპარტიის, ზუგდიდის ხელმძღვანელობის, ი. ჟვანიას და თვით სტალინის პოზიციაში გაუცნობიერებელი ინტელიგენტის ნააზრევი, რომელსაც ისტორიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლომდე ვერც საქართველოს კომპარტიის სათანადო დადგენილებები გაუცნობიერებია და ვერც ზუგდიდის პარტიული ცენტრისა. მაგრამ ივი თავისი ნააზრევისთვის მართლაც იყენებს ი. ჟვანიას ზოგ არგუმენტსა და დებულებას. მაგრამ ორიგინალურად და გულწრფელად აყენებს საკითხს. მას სამეგრელოს ავტონომია სტალინის მიერ მისაღებად და დასაშვებად მიაჩნია, თუმცა, როგორც ჩანს, ი. ჟვანიას ადრინდელ გავლენასაც განიცდის და როგორც მინიმუმს, ითხოვს ადმინისტრაციულ ოლქს

და არა ავტონომიურს. სამწუხაროდ, მისი მოთხოვნების თავისებურებანი ბოლომდე ვერ ამოიცნეს პუბლიცისტებმა. ჩვენი აზრით, ტ. შენგელია სამეგრელოს ავტონომიის მსურველია, სამეგრელოს ავტონომიური ოლქის გამართლებას ცდილობს, მაგრამ მინიმუმს — ადმინისტრაციულ ოლქს მოითხოვს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წერილის ხელმომწერთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ავტონომიური ოლქის მოთხოვნას ხელს არ მოაწერდნენ. მაშასადამე, ტ. შენგელია რადიკალია. ამას დამატებით ამტკიცებს მისი პირადი განცხადება, რომელიც მოსკოვში აღნიშნულ ასლთან ერთად სტალინს 1933 წლის სექტემბერში გაუგზავნა. აქ იგი გარკვევით მოითხოვს „ნაციონალურ ოლქს". ისე გამოყავს, თითქოს გასაბჭოების დღიდან არაერთგზის იდგა მხოლოდ „ნაციონალური ოლქის საკითხი". იგი სტალინს სთხოვდა მითითებას: „წარმოდგენილი განცხადება არის თუ არა ანტიპარტიული დოკუმენტი". განცხადება თავდება სიტყვებით: „მტკიცედ გიცხადებთ ამს. სტალინ, რომ თქვენი ავტორიტეტული ჩარევის და საკ. კპ(ბ) ცკ-ში გადაჭრის გარეშე სამეგრელოს მშრომელთა დღის წესრიგიდან ეს საკითხი არ მოიხსნება და ხელს შეუშლის სოციალისტური მშენებლობის ნორმალურ მსვლელობას" (იხ. იქვე, ფ. 284, აღ. 3, ს. 486, ფურც. 4/2). როგორც ვხედავთ, გადაჭარბებული თავდაჯერებულობა ვლინდება.

საარქივო მასალებში გვხვდება ამ პერიოდის შიდა და გარე სამეგრელოს გლეხობის წერილებიც, რომლებიც სათანადო ბეჭდით, შტამპითა და ხელმოწერებით არიან დამოწმებული. ისინი მეგრულ ენაზეა დაწერილი და მისამართად წამძღვარებული აქვს „სსრ კავშირში პ.მ. გენერალური მელამოსე სტალინცს, კოპია მ. კ. ს. ფ. ს. რ. პ. მ. მელამოსე ლ. ბერიას". ადრესატის ვინაობის დაუზუსტებლობამ გვაფიქრებინა, რომ გლეხები საკუთარი ინიციატივითაც აგზავნიდნენ წერილებს, ან მათ ორგანიზებას ადგილობრივი, სოფლიდან გამოსულები უწევდნენ. ასეთია სოფლების: ოტობაიას (ხელს აწერს 40), ორსანტიას (18), დარჩელის (20), ნაბაკაოს (43) და ხამუშქურის (18) გლეხების ტიპური განცხადებები, რომლებიც 1933 წლის 14-17, აგვისტოს მიუღია საქართველოს კომპარტიის ცკ-ს (იხ. იქვე, ფურც. 234-239). მაგალითისათვის, ერთ-ერთი მათგანი სრულად მოგვყავს:

„სსრ კავშირში პ/მ. გენერალური მელამოსე სტალინცს. კოპია მ. კ. ს. ფ. ს. რ. პ/მ. მელამოსე ლ. ბერიას. თეში თუდო ხეში მუმაჭარალეფი დარჩელიში გაზ. „კოლექტივიზაც. „შარათა"-ში სახელიში კოლმეურნეობაში მაკათურეფიში გამოცხადება.

საუკუნეებით მოგორანდა სამარგალოში ყაზაყობა ქააშუუკო მუშო გასაგები „მარგალური ნინაშა" ჭარუა — კითხირიში რჩქინაქ, ოკითხე წინგებქა, გაზეთიქ დო უპერეკოდჩიკო ჭარუა — მეჭარუა დო სუდიქ, სონდარო დადიაში, თავადიეინოსქუაში დო პაპეში ხენწოფალა ქიისოფუდა ჩქინი ქიანასანი, მუთუნი თეჯგურაქ ვამაჭარესა.

ამდღარი ბორჯის, მუუამცათი ლენინიზმიში ჭითა ჩხორიაქ გამშაბარჩხალუუ ოდიშიშანი დო გასანთორა მოხანდე მარგალი ყაზაყობაში უკუმელა ფაქვინი, ათე ფაქვის ქამლახვილუუ თიცალი ურჩქინჯობაში გინახუნეფი ნაქურიი, საჭიროთ ქიჩინა ქიმიაჩაკო ოდიშიში მოსანდე ყაზაყობას ეი მოშინაფალი საქვარეფიში შუულობაქანი დო ქოთი ულირი 1929 წანაში 15 ქირსეთუთაშეიანი რსულაასა საქორთუ ცენტ. აღმ. კომიტეტიში დო საქ. სოც. საბ. რესპ. სახ. კომისარეფიში საბჭოში დანადგინათ ირიფელი ეი მოშინაფილი ნაკრეფიში გაშასწორებაქ ქამაჭარეს. ქოთი ბედინერი ვორდით დღაშა. (!!! — ავტ.).

ამუდღა ვართი ეი მოშინაფალი დო ვართ 1931 წანაში 31 გამათუთაში საკავშ. კ. პ. (ბ) ცეპტრ. კომიტეტიში დანადგინაში უმუჯინუუო: „ვააშუკო გუულაქ დიდმპყრობელური შოვინიზმი დო ადგილობური ნაციონალიზმური განოკანეფცანი", არამ თენეფ გაარჩქინეს დუდი დო ჩქა სოლეთინი მუთუნი ვაგამიგებუნანი თეში, სკოლეფც მემიჭყვიდეს მარგალურიში გურაფა, ცენტრალური

ორგანო „ყაზაყ. გაზეთი“ გეგნააკეთეს სარაიანო ორგანოთ, ოკითხე წინგეფიში გაშაშქუმალა მეჭყვიდეს დო შხვა თეჯგურები.

მიოჭირინუანთ ათენეფც თქვანი თოყუჯიშა დო რთხუულენთ, ირორიანი ათე ბანძლინიში გააუქვებულო სამარგალოში მოანდე ყაზაყობას ქომუჩათი, მუჭოთი შხვადო რენი თი ფორმაში, ადგილობური ოლქიში დორცხუაფაში შუულობა. გამმაცხადებელეფი“. განცხადებას ხელს აწერს 20 პიროვნება (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 238).

აღნიშნული განცხადების მოკლე შინაარსი ასეთია: მეგრელი გლეხობა, საუკუნეების განმავლობაში ეძიებდა მისთვის გასაგებ მეგრულ ენაზე წერა-კითხვის, წიგნის წაკითხვის, გაზეთის და უთარჯიმანო მიწერ-მოწერის შეძენას. მაგრამ... დღეს როცა წითელმა სხივმა გამოასხივა... და საქართველოს ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1929 წ. 15 დეკემბრის დადგენილებით ყოველივეს გამოსწორებას ველირსეთ, კიდეც ბედნიერი ვიყავით დღემდეო“ (მხედველობაში აქვთ ის გარდაქმნები, რაც სამეგრელოში გატარდა). ახლა კი, როცა დიდპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებათა მოტივით, ვიდრე ჩვენ რაიმეში გავერკვიეთ, სკოლაში შეგვიწყვიტეს მეგრულად სწავლა, ცენტრალური ორგანო „ყაზაყიში გაზეთი“ გადააკეთეს რაიონულ ორგანოდ, საკითხავი წიგნების გამოშვება შეგვიწყვიტესო და სხვა.

განცხადებების შინაარსის ზუსტი გამეორება გვაფიქრებინებს, რომ სოფლის გლეხობას ვიღაცა ტიპურ ტექსტს აწვდიდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ხელმომწერ გლეხებს წერა-კითხვის უცოდინარობა მეგრულად ქონდათ დაძლეული და იმიტომ უქნდნენ მეგრულ ენაზე დაწერილ ტრაფარეტს, რომ თავად ენახათ როგორ აისახა მათი სატკივარი. მაგრამ ხელმოწერები იმასაც ადასტურებენ, რომ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული გლეხები არ ერიდებიდნენ თავიანთი გულისნადების უმაღლეს დონეზე გამჟღავნებას. საინტერესოა სიტყვები „ქოთი ბედნიერი ვორდით დღაშ“ (დღემდე კიდეც ბედნიერები ვიყავითო — ავტ.) რაც იმას ნიშნავს, რომ გლეხობა ადასტურებდა „მეგრულ საკითხში“ შეზღუდვებამდე არსებულით კმაყოფილებას და ბოლოდროინდელი კონტრღონისძიებების გამო თავის უკმაყოფილებას. ამ და საქართველოს ცაკის არქივში გამოვლენილი საბუთებზე დასმული შტამპიდან ჩანს, რომ სოფლის გლეხების ამ წერილებმა საქართველოს კომპარტიის ცკ-მდე მიაღწია.

კარგად ჩანს, რომ საკ. კპ(ბ) ცკ-ის საიდუმლო განყოფილება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უგზავნის 1933 წლის 14 თებერვლის თარიღით ი. სტალინის სახელზე მიღებულ ტ. შენგელიას, ხოლო 14 ნოემბრის თარიღით ზუგდიდის რაიკომის „კულტპროპის“ (კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების) მუშაკის, ვ. კორტავას (თუ ვ. ქარჩავას?) პირად განცხადებებს, ხოლო იქიდან უგზავნიან საქართველოს კომპარტიის ცკ-ს. აქვე დაფიქსირებულია შენგელიას ვრცელი, „კოლექტიური“ განცხადების ასლი, რომელიც 1933 წლის 14 თებერვლით თარიღდება. სათანადო აღნიშნებიდან ნათელი ხდება, რომ სტალინის სამდივნო მოითხოვს წერილზე რეაგირებას და შედეგებით ინფორმირებას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული წერილების შესახებ სტალინი ინფორმირებულია.

ტ. შენგელიას და ვ. კორტავას პირადი განცხადებები, დანართებით, რეაგირებისა და განმცხადებელთა საქმის კურსში ჩაყენების მოთხოვნით, თბილისს ეგზავნება 1933 წლის დეკემბერში. უკვე აქედან ჩანს, რომ ვრცელი „კოლექტიური განცხადება“, რომელიც ტ. შენგელიას შეუდგენია და ზუგდიდში ჩამოართვეს, მოსკოვს არ უნახავს, მაგრამ მოსკოვში გაგზავნილი ტ. შენგელიას პირადმა განცხადებამ და თანდართული კოლექტიური განცხადების ახალმა ასლმა მიზანს მიაღწია. იგი პარტიულ არქივში არ ინახება, რადგან, როგორც ჩანს, რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს ცაკს. მის შესახებ ინფორმაცია დაცულია საქართველოს ცაკის არქივში (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 486, ფურც. 1-3, 12).

რაც შეეხება ტ. შენგელიას პირად განცხადებას, მასში ნათქვამია: გასაბჭოების დროიდან არა ერთხელ დაისვა საკითხი მშრომელებისათვის გასაგებ ენაზე გაზეთის გამოცემის და სამეგრელოს „ოკრუგის“ ან ოლქის შექმნის შესახებ ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინურად გადასაწყვეტად, მაგრამ მხოლოდ 1929 წელს, სტალინის მითითებით საქართველოს ცეკამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ნება დაერთო მეგრულ ენაზე გამოცემულიყო გაზეთი და გლეხური ლიტერატურა, შემოღებულიყო საქმის წარმოება სასამართლოსა და საბჭოებში; სკოლებში პირველდაწყებით მეგრულად სწავლება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება მეგრულ ენაზე. განმცხადებელი წერს, რომ ეს ტარდებოდა დარაიონებამდე, შემდეგ კი ჩინოვნიკური დამოკიდებულების გამო მხოლოდ ზუგდიდში შემორჩაო. განცხადებაში ნათქვამია: გვასალიამ წერილი წამართვა, ამიტომ გიგზავნით ასლს. გვასალია ფიზიკურად მაყენებს შეურაცხყოფას და დაპატიმრებულს მაგზავნის თბილისში, შემდეგ მათავისუფლებენ, მაგრამ თანამდებობიდან მხსნიან, ამჟამად უმუშევარი ვარო. ჩამორთმეული განცხადება კვალიფიცირებულია, როგორც კონტრრევოლუციური. გთხოვთ სასწრაფოდ გამოიძახოთ დამნაშავე დასასჯელად და გთხოვთ მიგვითითოთ: ჩვენი განცხადება თუ არის ანტიპარტიული? სტალინის ჩარევის გარეშე ეს საკითხი მეგრელების დღის წესრიგიდან არ მოიხსნებაო (იხ. იქვე, ფურც. 12). აქ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტ. შენგელიას და ვ. კორტავას ინდივიდუალური განცხადებები ცალსახად ავტონომისტურია. მაგრამ ამის გამო მათი ავტორები 1935 წელს ჩეკას ძიებამაც კი ვერ გაუზვიადა „მოღალატეებად“ და „კონტრრევოლუციონერებად“. ამიტომ მკვლევარმაც თავი უნდა შეიკავოს მათი კატეგორიული და გაზვიადებული შეფასებისაგან. საქართველოს კომპარტიის IX ყრილობამ ტ. შენგელიას მიერ შედგენილი 8 კაცის ხელმოწერილი წერილის შეფასება რომ მოგვცა, მას გადამღერება კი არა, კრიტიკული შესწავლა სჭირდება.

სუკის არქივში აღმოჩნდა სტალინთან გაგზავნილი კიდევ ერთი, 1934 წლის კოლექტიური წერილი, რომელსაც აქვს 30 ხელმოწერა. საყურადღებოა ამ წერილის შინაარსიც, მით უმეტეს, რომ იგი მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების არქივში შეგვხვდა და ამდენად, მკვლევარებსა თუ დაინტერესებული პირებისათვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა. იგი რუსულ ენაზეა დაწერილი და ეგზავნება „საკ. კპ(ბ) ცეკას გენერალურ მდივანს ამხ. სტალინს“. ადრესატად დასახელებულია „წალენჯიხის რაიონის (სამეგრელო) მშრომელი გლეხებისაგან კოლექტიური განცხადება“. თარიღი განცხადებიდან არა ჩანას. ამ „კოლექტიური განცხადების“ სახელმწიფო უშიშროების არქივში მოხვედრის მიზეზი სამძებრო მასალებით ირკვევა. როგორც ჩანს, იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ჩეკაში რეაგირებისათვის გადაუცია. აქ ახალი მხოლოდ ის არის, რომ წერილის ავტორს საკ. კპ(ბ) ცკ-ს 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ესმის, როგორც მშობლიურ ენაზე საქმის წარმოების და დაწყებით სკოლაში მეგრულად სწავლების ნებართვის საფუძველი, რომელსაც ზუგდიდის რაიონში საუკეთესო შედეგები მოჰყვა. როგორც ჩანს, ავტორს ამ წარმატებაში, უპირველეს ყოვლისა ესახება სკოლის რეფორმა – პირველ კლასში მეგრულ ენაზე სწავლების ექსპერიმენტული შემოღება, და ამიტომ იგი სინანულს გამოთქვამს, რომ ახლა ცკ-ის დადგენილება ირღვევა. განცხადებაში დასკვნის სახით წერია: „ჩვენ მოვითხოვთ „მეგრული საკითხის“ გამო საქართველოს ცეკას დადგენილების განუხრელ გატარებას ერთიან ზუგდიდის რაიონში. მოვითხოვთ სამეგრელოში ერთიანი <u>ადმინისტრაციული ცენტრის</u> დაწესებას, რამდენადაც ამ გაერთიანებით ჩვენ შეგვიძლია უფრო სწრაფად წავიწიოთ პოლიტიკური თვალსაზრისით – „Мы требуем беспрекасловного проведения постановления ЦК Грузии по Мингрельскому вопросу, как смежном Зугдидском районе.

Требуем установления в Мингрелии единого <u>административного</u> (! – авт.) центра поскольку этим объединением можем скорее двинутся в перед для ликвидации отсталости в политическом отношений“ (სუკის

არქივი №2983, ფურც. 104). განცხადებას ხელს აწერენ: ჩემინავა, ი. სახოკია, მინ. კალანდია, ბ. კალანდია, ცანავა, ბ. კალანდია, ცანავა, ვ. კალანდია, ი. ზარქუა, ვლ. კალანდია, ?. კალანდია, ლ. სახოკია, ?. სახოკია, ?. შანავა, ?. გაბელია, ?. მოლაშხია, ?. მოლაშხია, კ. ზარქუა, პ. კალანდია, დ. სახოკია, გრ. ლუკავა, ელ. სახოკია, ვ. კანკავა, თ. კალანდია, ა. მებონია და სხვა გვარები და ინიციალები ძნელად იკითხება (იხ. სუკის არქივი, №2983, ფ. 269-271). ეს განცხადება მნიშვნელოვნად განსხვავდება ტ. შენგელიას მიერ შედგენილი განცხადებისაგან. ეს არის სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნა და აქ ავტონომისტური არაფერია. ამ განცხადების ავტორობა რომ ბრალდებოდეს ი. ჟვანიას და თანამოაზრეებს, დამაჯერებელი იქნებოდა. ეს არის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი იმისათვის, რომ ერომანეთისაგან განვასხვავოთ ავტონომისტური და არაავტონომისტური, რაციონალური მოთხოვნები.

მაშასადამე, ჩვენს ხელთ არსებული კოლექტიური წერილები ყველა ხელმოწერილია და ამასთანავე, ყველა მათგანში ჩამოყალიბებულია საერთო, იდენტური ხასიათის მოთხოვნები. ზოგი მათგანისთვის დამახასიათებელია აშკარად რეაქციული სტილი. ამის მიუხედავად მათში არსად არ არის მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიური (! — ავტ.) ოლქის მსგავსი ოკრუგის ან მითუმეტეს ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. არც ერთ მათგანში არ ჩანს რაიმე ისეთი, რაც შეიძლება ჩაითვალოს ანტიქართულ სეპარატიზმად. სინამდვილეში მთელი ეს მასალა არის სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მხრივ, ანუ „მეგრული საკითხისადმი", პარტიულ-პოლიტიკანური დამოკიდებულებისა და სამეგრელოს ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე მოთხოვნისადმი საერთო რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მხრივ შაბლონური, არაადეკვატური მიდგომის გამო აღმოცენებული პროტესტი, რომელიც მეგრული ნაციონალიზმის ყალბ ბრალდებამდე გაზვიადდა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს კომპარტიის IX ყრილობამ ზუგდიდის რაიკომის მდივნისა და ყოფილი რაიაღმასკომის თავმჯდომარის ი. გვასალიას სიტყვაში მოიმინა სენსაციური ინფორმაცია. ზუგდიდის ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ლიდერმა ყრილობაზე განაცხადა, რომ: იგი სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარებისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციებიდან აშუქებს ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციაში არსებულ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში იგი ემყარება ტ. შენგელიასგან ჩამორთმეულ სტალინის, მოლოტოვის და კალინინის სახელზე გაგზავნილ, რვა ხელმოწერით დადასტურებულ განცხადებას. „ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები მდგომარეობდა იმაში, — აცხადებდა ი. გვასალია, — რომ მან სამეგრელოს მთელ რიგ საკითხებში, რაც გამომდინარეობდა ზუგდიდის ორგანიზაციის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებისაგან, ვერ დასახა გარკვეული ღონისძიებები. არ წარმოებდა ბრძოლა „მაფალუიზმის" (?! — ავტ.) წინააღმდეგ. პირიქით, „მაფალუისტების" მთელი წყება მუშაკები მოხვდა ჩვენს ორგანოებში, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, — მაგალითად, „ყაზაყიში გაზეთის" რედაქციაში (ძიგუა და სხვა)". ი. გვასალიას აზრით, „მაფალუისტების" წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გაუტარებლობამ და შემრიგებლობამ გამოიწვია მათი გააქტიურება". ის მოხდა, რომ: „მაფალუიზმის" იდეოლოგიამ, ზოგიერთი პარტიული ამხანაგების საშუალებით, თავი წამოყო პარტიულ ორგანიზაციებში. ზოგიერთმა პარტიულმა ამხანაგმა, მოხვდა რა ის „მაფალუიზმის" გავლენაში, შეთხზა დოკუმენტი, აღსავსე ცილისწამებით პარტხელმძღვანელობის და იმ ბიგანტური სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება აწარმოებს სამეგრელოს რაიონებში". ე.ი. 30-იანი წლების „მაფალუიზმის" გამოვლინება ყოფილა ზუგდიდის რაიონში პარტიის მიერ ჩატარებული აღმშენებლობის კრიტიკა, თუნდაც ცილისწამება. ასეც რომ იყოს, არ შეიძლება ამის „მოღალატეობად" კვალიფიცირება. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ მაფალუელების დანაშაულობას: „სამე-

გრელოს სამეურნეო-კულტურული მშენებლობა და მისი საწარმოო ძალები მკვდარი წერტილიდან არ იძვრის, მაშინ როდესაც ავტონომიური ოლქები აფხაზეთი, აჭარისტანი და სხვ., (! — ავტ.) გიგანტური ნაბიჯით მიდიან წინ. სამეგრელოში გვაქვს მოუსავლობა, არაა სკოლები, არაა სავადმყოფოები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზუგდიდში დაწყებულ და დაუმთავრებელ საავადმყოფოს. ასეთია ეს კონტრრევოლუციური (?! — ავტ.) დოკუმენტი. ეს არის ამხანაგებო, „მაფალუისტების“ მუშაობის შედეგი, რომლებიც იბრძოდნენ სამეგრელოში პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. მაშინ მათ იგემეს სასტიკი მარცხი, მაგრამ შემდეგი წლების განმავლობაში „მაფალუიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო გამახვილებული, პირიქით, — მან თავისი გამოხატულება ჰპოვა ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებში“ (საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობა, სტენოგრამიული ანგარიში, ტფ. 1934, გვ. 325-326).

ამის შემდეგ ი. გვასალია ჩამოთვლის იმ მიღწევებს, რომლებიც რაიონს აქვს (5 ტექნიკუმი, 2 ათწლედი და სხვა ტიპის სკოლები, „ყაზაყინი გაზეთი“, პოლიტგანყოფილების გაზეთი „სტალინელი“) ამასთანავე, აღნიშნა ხარვეზები — „მაფალუისტთა“ ბრალდებები პარტიის მიმართ: „გაზეთი იცემა უხეშად შერეულ ქართულ-მეგრულ ენაზე, ჯერ — ერთი, ენის დისკრედიტაციის მიზნით, მეორე — გაზეთისაგან მკითხველის ხელოვნურად ჩამოშორების მიზნით, რადგან გლეხებისათვის გაზეთის შინაარსი გაუგებარია, და მესამე — იმ მიზნით, რომ ამით „მომზადდეს“ ნიადაგი იმისათვის, თითქოს მეგრელები უკვე ასიმილისებური არიან ქართველებთან და დროა შეწყდეს გაზეთის გამოცემა მეგრულ ენაზე“ და დასძენს: „ამხანაგებო, არის თუ არა ეს „მაფალუისტების“ გამოლაშქრება?“ სინამდვილეში ეს არის აურზაური პარტიული ხელმძღვანელობის რენომესათვის. სად არის აქ ან ერის მოღალატეობა, ან ანტიეროვნული ტენდენციები და პროცესები? არსად! მაგრამ ყრილობის დელეგატებმა „დაიჯერეს“, რომ ეს მართლაც იყო „მაფალუელების“ ახალი გამოლაშქრება. ამის გამო გაისმა: ხმა: ვინ არიან, დაასახელეთ. გვასალია: ამ დოკუმენტს ხელს აწერენ ადგილობრივი ამხანაგები, 9 კაცი (ტყუილია — ავტ.) დოკუმენტი შედგენილია ქ. სტალინირში და გამოგზავნილია სპეციალური კაცის ხელით (ტყუილია — ავტ.) რაიონულმა პარტკონფერენციამ მიიღო ამ საკითხზე შესაფერისი გადაწყვეტილება და ჩვენ სასტიკ ბრძოლას გავშლით „მაფალუიზმის“ და მისი აგენტების წინააღმდეგ.“ ჩანს, რომ ი. გვასალიას გვარების დასახელება არ უნდა. მაგრამ ისევ გაისმა: „დაასახელეთ ავტორები“! ეს უთუოდ ბერიას მოთხოვნა იყო. სხვა ასეთ კატეგორიულ ტონში მოთხოვნას ვერ გაბედავდა. ორატორი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო.

გვასალია: ტარას შენგელია, შემდეგ: ჩემინავა — იმავე წარმოების მუშაკი, ზარქუა — იმავე წარმოების პროფკავშირის თავმჯდომარე, ჯალაღონია (ქალი), ფაჟავა, გვასალია, გაბუნია (გაბისონია ბონდო — ავტ.) და ნაჭყებია ერეკლე. ამ დოკუმენტზე ხელი უნდა მოეწერათ სხვებსაც. ასე იყო გეგმა შედგენილი. ეს „მუშაობა“ მათ გადაიტანეს შემდეგ უპარტიოთა შორის გალის, ხობის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში. მაგრამ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ჩვენმა პარტორგანიზაციამ. გაძლევთ სიტყვას, რომ ამ მიმართულებით მუშაობას საკმარისად ჩავატარებთ. აღვნიშნავთ, რომ ამ დოკუმენტში შემთხვევით როდია დასახელებული სკრიპნიკი (! — ავტ.). სწორი ბოლშევიკური ხაზის გატარებით, ორ ფრონტზე, დაუნდობელი ბრძოლის წარმოებით დიდმპყრობელური შოვინიზმისა და განსაკუთრებით, ადგილობრივი ნაციონალიზმის — „მაფალუიზმის“ წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის რიგების სიწმინდისა და მონოლითობის საფუძველზე, ცენტრალური კომიტეტის და ამხ. ბერიას მტკიცე ხელმძღვანელობით, ჩვენ წავალთ წინ ახალი გამარჯვებისაკენ...“ (იხ. იქვე, გვ. 326-327). ხელმომწერთა რაოდენობა და გვარები ემთხვევა. ცდომილებაა იმ მხრივ რომ ი. გვასალიამ დაასახელა გაბუნია, ტ. შენგელიას ხელნაწერ ასლში

დასახელებულია ბონდო გაბისონია. ჩვენი აზრით, სხვაობა გამოწვეულია გვარის დასახელების დროს ი. გვასალიას შეცდომით.

როგორც ვხედავთ, ი. გვასალია გვაძლევს „მეგრულ საკითხში" შექმნილი მდგომარეობის „საკუთარ", ანუ პარტიული პოზიციის მიერ წარმოდგენილი სურათისაგან სრულიად განსხვავებულ ხედვას. რაკი ჩვენ ხელთა გვაქვს ადრინდელი სურათიც და მისი „ი. გვასალიასეული" წაკითხვაც, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ სად არის ან რაშია სიმართლე და რაში მდგომარეობს მისი ანარეკლის ცდომილება. ჯერ ერთი, — ი. გვასალია ეყრდნობა ტ. შენგელიასგან ამოღებულ 1933 წლის აპრილის „კოლექტიურ განცხადებას", როგორც ჩანს, სხვა განცხადებები მოსკოვიდან ჯერ არ მიულიათ; მეორე — ი. გვასალია აღიარებს, რომ „მეგრულ საკითხში" მთელი კამპანია ლ. ბერიას ხელმძღვანელობას ეყრდნობა და აგრეთვე მისი კურსით არის ნაანგარიშევი მათდამი შემდგომი დამოკიდებულებაც; მესამე — ი. გვასალია ამ მეგრულ „მაფალუელ" ადგილობრივ „ნაციონალისტებში პირდაპირ არ ასახელებს ი. ჟვანიას, თუმცა ადვილად მისახვედრს ხდის, რომ ეს ყველაფერი თითქოს მოდის სტალინირიდან (ანუ ი. ჟვანიასაგან); მეოთხე — ი. გვასალიას მიერ ზუგდიდელი ე.წ. „მაფალუიზმის" იდეოლოგიის მატარებლების" წერილში მოცემული პრეტენზიები „ყაზაყიში გაზეთის" გადაქართულების გამო გაზვიადებულია „მაფალუისტების" გამოლაშქრებამდე" და „ადგილობრივი ნაციონალიზმის" იმ საშიშროებამდე, რომელიც თითქოს რეალურ საფრთხეს უქმნის მმართველი პარტიის „რიგების სიწმინდეს და მონოლითურობას", ამასთანავე არის „კონტრრევოლუციური" და საქმეს ისე სახავს, რომ საჭიროა „ბერიას მტკიცე ხელმძღვანელობით" მათზე შემდგომი იერიში, სვლა მათ წინააღმდეგ — „წინ ახალი გამარჯვებისაკენ".

გასაგებია, რომ ი. გვასალია ყრილობაზე ასრულებდა ბერიას დაკვეთას: ამით მთელმა საქართველომ „შეიტყო", რომ კვლავ არსებობს ძველი სახიფათო „ადგილობრივი", ანუ „მეგრული ნაციონალიზმის" და „კონტრრევოლუციის" რეციდივი. მაშასადამე, ი. ჟვანიას ზუგდიდიდან მოშორება ყოფილა დიდი სტალინის ბრძენი მოწაფის ლ. ბერიას სწორი გადაწყვეტილება. პარტიის წევრებმა და უპარტიოებმა 1925 წლის და შემდგომი ბერიასეული მუშაობის გამოცდილებით, უკვე „იციან", რომ „არსებობდა" საქართველოსგან სამეგრელოს ჩამოჭრის და რსფსრ-სთან მისი შეერთების „მაფალუისტური" მცდელობა, რომელიც ჰქმნიდა დიდ ეროვნულ საშიშროებას და რომელსაც იმთავითვე მფარველობდა ი. ჟვანია, რომელიც ამის შემდეგაც არაერთხელ დაუპირისპირდა პარტიის გენერალურ ხაზს. ახლა ი. ჟვანია სტალინირიდან აგზავნის მაფალუისტურ-კონტრრევოლუციურ წერილს და თანამოაზრეებთან ერთად გამოდის საქართველოს კომპარტიის (ანუ ლ. ბერიას) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. მაშასადამე, საზოგადოებრივ აზრი ახლა იმისთვის მზადდება, რომ მეგრული საკითხის ბერიასეული (ანუ იგივე სტალინისეული) მოგვარების მიზნით მოეწყოს ანგარიშსწორება.

ასეც მოხდა. მაგრამ საქმე კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ 1934 წელს მოსკოვიდან მიიღეს სტალინის სახელზე გაგზავნილი „მეგრული საკითხის" პოლიტიკანური გადაჭრის მიზნით დაწერილი ტ. შენგელიას და კორტავას 1933 წლის ინდივიდუალური წერილები, 1935 წელს ზუგდიდის ჩეკამ „გამოავლინა" ახალი განცხადება 30 კაცის ხელმოწერით. ეს ბერიამ ვითომ „მეგრული ნაციონალისტების" და ვითომ „მაფალუელების" დასჯის საბაბად გამოიყენა და უკვე 1935 წელს ურჩ ზუგდიდელ კომუნისტებს ახლა უკვე ჩეკას გამოყენებითაც დაარტყა.

მაშასადამე, როგორც ჩანს, „მეგრული საკითხის" მოგვარების საქმეში ტოტალიტარული პარტიული ცენტრის ახალი კურსის ბრძანებლურ-ადმინისტრატორულმა გატარებამ გამოიწვია სანიმუშო პარტიული და სამეურნეო მუშაკის ი. ჟვანიას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელად გადაყვანა,

ხოლო მისი „მხარდამჭერებისა“ და გარეშოცვის მიმართ განხორციელდა ადმინისტრირება. ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელი პოსტებიდან ჩამოცილება და მათი სხვა რაიონებში დაფანტვა. ზოგი მათგანი კი საერთოდ უმუშევრად დატოვეს. ზუგდიდის ხელმძღვანელობიდან ი. ჟვანიას მოშორების შემდგომმა პოლიტიკამ ზუგდიდში გააძაფრა „მეგრული საკითხის“ სტალინის კურსით და ი. ჟვანიას ხელმძღვანელობით მომკვარებელი კადრების დაპირისპირება რაიკომთან და მის მხარდამჭერ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობასთან. ისინი გულწრფელად, ლეგალურად და პრინციპულად, მაგრამ ი. ჟვანიასთან შედარებით ნაკლებ კვალიფიციურად მოქმედებდნენ საქართველოს პარტიული ცენტრის წინააღმდეგ, რომლის დროსაც ბრძოლის მეთოდად იყენებდნენ საკავშირო ცენტრისა და კერძოდ სტალინის წინაშე „ი. გვასალიას ხელმძღვანელობის“, (სინამდვილეში საქართველოს ტოტალიტარული ცენტრის) კრიტიკას და „მეგრული საკითხის“ მოგვარების, მათი აზრით, „სტალინური ხაზის დამახინჯების“ მხილებას. ადვილი მისახვედრია, რომ ფაქტობრივად ეს იყო ბერიას ხელმძღვანელობის კრიტიკა, რომელსაც ბერიამ ჩეკისტური მეთოდები დაუპირისპირა. როგორც წინა თავებში ვნახეთ, ლ. ბერიამ გააყალბა ი. ჟვანიას ეროვნული პოზიცია (1925 წ.). მან ი. ჟვანიასმხრივ „ავტონომისტის მხარდამჭერისა“ და ზუგდიდის მუზეუმის თბილისში გადატანის გამო „პროვოკაციის წაქეზების“ შესახებ ზემდგომ ორგანოებს 1929 და 1930 წლებში მიაწოდა ინფორმაცია. ახლა კი მან მოწინააღმდეგეები ჯერ პარტიის IX ყრილობაზე გამოაცხადებინა „მეგრელ ნაციონალისტებად“ და „კონტრრევოლუციონერ მაფალუელებად“, შემდეგ კი საქართველოს ჩეკას კომპეტენციაში მოაქცევინა.

როგორც ვნახეთ მიკერებულ „ბრალეულობებს“ არაფერი ჰქონდათ საერთო იმ ე.წ. ანტიქართულ სეპარატიზმთან და მტრობასთან, რომელსაც თავზე ახვევდნენ იმდროინდელ საზოგადოებას და მისი ინერციის წყალობით ყალბად ასაზრდოებენ ჩვენს თანამედროვეებსაც. მაგრამ ჩეკას ძიების მასალები ნათლად გვიჩვენებენ „მეგრული საკითხის“ გამო 30-იანი წლების დასაწყისის ზუგდიდის რაიონსა და სამეგრელოს სხვა რეგიონში „ბრალდებულთა“ მიერ წარმოებულ ნამდვილ საქმიანობას. ისინი დამატებით ადასტურებენ, რომ მეგრული სეპარატიზმი მიზნობრივად და ხელოვნურად იყო შეთითხნილი. მომდევნო თავში მკითხველს ამ და სხვა მსგავსი ჩეკისტური „ნამუშევრის“ შესახებ ვთავაზობთ სათანადო ინფორმაციას, რომელიც მას კიდევ უფრო საგნობრივად დაარწმუნებს, რომ ე.წ. „მაფალუიზმი“ ფაქტობრივად იყო სამართლიანი პროტესტი „მეგრული საკითხის“ ბერიასეული, უსამართლო მოგვარების მიმართ და არა საქართველოსაგან სამეგრელოს გამოყოფის, „მეგრული ნაციონალიზმის“ და საერთოდ ქართული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლის გამოვლინება.

თავი XIX

ე.წ. „მაფალუელებად“ და სეპარატიზმად გაჟღალბებული „მეგრული საკითხის“ ჩეკისტური ვერსია

როგორც ვნახეთ, ი. გვასალიამ საქართველოს კომპარტიის IX ყრილობის დელეგატებს, და მა'მასადამე რესპუბლიკის ფართო საზოგადოებას, ამცნო ზუგდიდელ მაფალუელების, ანუ იგივე „პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო“, „ცილისმწამებლური“, „კონტრრევოლუციური“ მიმდინარეობის პარტიულ ორგანიზაციაში შეღწევის და აგრეთვე პარტიულ „ხელმძღვანელობის მიმართ მათი ცილისმწამებლური“ და „კონტრევოლუციური“ მოქმედების შესახებ. მან ამასთანავე, ყრილობას აღუთქვა, რომ „ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის რიგების სიწმინდისა და მონოლიტობის უფუძველზე, ცენტრალური კომიტეტის და ამხ. ლ. ბერიას მტკიცე ხელმძღვანელობით, ჩვენ წავალთ წინ ახალი გამარჯვებისაკენ...“ ასეთი განცხადება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა თუ ბერიამ „მეგრული საკითხის“ მოგვარებაში გარკვეული კურსი შეიმუშავა. ამის შემდეგ გარდაუვალი იყო ზუგდიდელი ე.წ. „მაფალუელი“, „კონტრევოლუციონერი“, „ნაციონალისტების“ წინააღმდეგ სერიოზული კამპანიის ჩატარება. ეს კამპანია არსებული წესის მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიულ-ორგანიზაციული ხასიათისა, რომლის დროსაც საქმის ვითარება უნდა გამოეკვლია რაიონის, ან აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. მას სათანადო მამხილებელი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, „საქმე“ დამატებითი ძიებისა და რეაგირებისათვის შეეძლო გადაეცა სასამართლო ორგანოების, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, თუ ძიება დაადგენდა, რომ მაფალუელები მართლა პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო, „მაფალუისტურ-რევოლუციურ“ საქმიანობას ეწეოდნენ, უნდა გადაეცათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის. მაგრამ, ზუგდიდელი მაფალუელების „საქმემ“ გრძელი გზის გვერდის ავლით, მოკლე გზით, ამოყო თავი ზუგდიდის ჩეკას განყოფილებაში. გასაგები უნდა იყოს, რომ ეს ზუგდიდის რაიკომის მდივანს რომ სდომებოდა კიდეც, მისი პირადი სურვილით მაინც ვერ მოხდებოდა.

რამდენადაც ზუგდიდელი ე.წ. მაფალუელების — ვითომ „კონტრრევოლუციურ“ „ნაციონალისტური“ საქმიანობის გამოძიება ჩეკას გადაეცა, ამდენად ცხადია, რომ „ჩეკისტური“ ძიებისა და ასახვისათვის გაჩნდა სათანადო დოკუმენტაციაც. IX ყრილობის ფაქტობრივი „დირექტივაც“ და მათი დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პირველადი კონცეფციაც. ლოგიკურია, რომ უნდა არსებულიყო ცკ-ის მდივნის ზეპირი „განაწესიც“. ამდენად, ვერსიების ძებნა ჩეკასთვის აღარ იყო საჭირო. მითუმეტეს, რომ მის ხელში აღმოჩნდა: ჯერ ერთი, ტ. შენგელიასგან ამოღებული „კონტრრევოლუციონერ-მაფალუისტთა“ კოლექტური განცხადება, რომელსაც ხელს ცხრა პიროვნება აწერდა და მეორე, ჩეკას გადაეცა აგრეთვე 1933 წლის სექტემბერში სტალინისადმი გაგზავნილი ტ. შენგელიას მიერ შედგენილი, მის მიერ ხელმოწერილი, 1933 წლის სექტემბრით დათარიღებული ინდივიდუალური განცხადება და ზუგდიდის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის ვ. კორტავას 1933 წლის 4 ნოემბრით დათარიღებული განცხადება. ორივე მკაფიოდ ნაციონალური ავტონომიური ოლქის მოთხოვნას შეიცავს და სტალინისადმი ასეთი რეკომენდაციის გარდა ითხოვს საჭიროების შემთხვევაში საკითხი საბოლოოდ გაარკვიოს საკ. კპ (ბ) ცეკას კომისიამ, რათა საკითხი ჩაითვალოს საბოლოოდ დამთავრებულად (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 486, ფურც. 1-3, 4-5, 12-13). ეს ის განცხადებები იყო, რომელიც სტალინის საიდუმლო სამდივნომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა 1933 წლის დეკემბრის ბოლოს რეაგირებისათვის გადმოუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩეკას ძიებას გადაეცა, აგრეთვე სხვა, 30 პიროვნების მიერ ხელმოწერილი 1934 წლის განცხადება სტალინის მიმართ, რომელიც მოითხოვდა სამეგრელოს ადმინისტრაციულ ოლქს (სუკის არქივი №2983, ფ. 104). მაშასადამე, ეჭვი არ არის, რომ ეს განცხადებები რეაგირებისათვის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას საქართველოს კომპარტიის ცკ-მა (ე.ი. ბერიამ) გადაუგზავნა. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამი და გარკვეულია. ცხადი ხდება, რომ ბერიამ „მეგრული საკითხის" საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება, ყველაზე მოკლე და ნაღდი გზით — ჩეკას მეშვეობით გადაწყვიტა.

ზუგდიდელი ე.წ. მაფალულებისა და „კონტრრევოლუციონერ ნაციონალისტებიდან", როგორც ჩეკას საგამოძიებო მასალებიდან ჩანს, პირველად, დაპატიმრეს ვარლამ პავლეს ძე კვარაცხელია. დაპატიმრება გაფორმდა 1935 წლის 16 ივლისს (სუკის არქივი №2983, ფ. 277). ვიდრე მისგან მიღებულ ჩვენებებს შევეხებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა უნდა გამოძიებას? ამის გაგება შეიძლება იმის მიხედვით, თუ დავაკვირდებით, გამომძიებელი რა შეკითხვებით მიმართავს ვ. კვარაცხელიას და მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს.

ვ. პ. კვარაცხელიას დაკითხვა თავიდან მიყავდა საქართველოს შინსაკომის ზუგდიდის რაიონული განყოფილების რწმუნებულ გაბისონიას. იგი პატიმარს (15. VII. 1935) ეკითხება: „ვინ შეიტანა განცხადება სამეგრელოს ოლქის (! — ავტ.) გამოყოფაზე, რომელიც ჩაუვარდა რაიკომს?", შემდეგ გაბისონია ინტერესდება — „ვისი დავალებით შეადგინეთ და გაგზავნეთ განცხადება ი. სტალინის სახელზე?" (სუკის არქივი №2983, ფ. 281).

სათანადო ძიების საფუძველზე რწმუნებულმა გაბისონიამ 1935 წლის 2 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს აგრეთვე განყოფილების უფროსი კვირაია. მასში ნათქვამია: „ვნახე: თანახმად ზუგდიდის რაი განყოფილებაში ქონებული მასალების მიხედვით... დაკითხული ამ საქმეზე, როგორც ბრალდებული. მოქ. ვარლამი კვარაცხელიამ პირველი მისი დაკითხვის დროს, მასზე წაყენებული ბრალდებაზე უარი განაცხადა და გვიჩვენა, რომ მას არავითარი მუშაობა არ უწარმოებია „სამეგრელოს ოლქის" (! — ავტ.) შექმნის საკითხზე და არასდროს დაუწერია ასეთის შესახებ განცხადება... უკანასკნელი მისი დაკითხვის დროს ის ნაწილობრივად გამოტყდა იმაში, რომ მან 1933 წლის სექტემბრის თვეში რუსულ ენაზე გადაწერა ტარასი შენგელიას მიერ შედგენილი განცხადების ტექსტი (! — ავტ.) ამხ. სტალინის სახელზე გადასაგზავნად „სამეგრელოს ოლქის" (! — ავტ.) საკითხზე და ასეთი გადასცა წალენჯიხის რაიონის მცხ. პარტიის წეერ ტრიფონი ზარქუას, რათა ეწარმოებინა ხელის მოწერა განცხადებაზე წალენჯიხის რაიონში... ბრალდებული კვარაცხელიას ჩვენებით სამეგრელოს ოლქის საკითხს ხელმძღვანელობას უწევდა ტარასი შენგელია, ტრიფონი ზარქუა და პირადად თვითონ ბრალდებული... დაკითხული ამ საქმეზე ტრიფონი ზარქუა გვიჩვენებს, რომ მას განცხადება გადასცა ვარლამ კვარაცხელიამ რათა ეწარმოებინა ხელის მოწერა წალენჯიხის რაიონში. განცხადების გადაცემის დროს... კვარაცხელიამ ზარქუას მისცა დარიგება, რომ სამეგრელოს გაოლქება აუცილებლად მოხდება და ამ საკითხზე მოსკოვიდან ჩამოვა კომისია, აგრეთვე მათ თბილისში ყავდათ დიდი კაცი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამ საქმეს (?! — ავტ.). როგორც თვით, ზარქუას დაკითხვიდან ჩანს (? — ავტ.), ამ საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა ისაკი ჟვანია" (სუკის არქივი №2983, ფ. 277-278), რომელიც ამ დროს სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. „დაკითხული ამ საქმეზე მოწმეების სახით ვანო ჩიქობავა, იასონ საბოკია და გუგუ ისაკის ასული ჩიქობავა გვიჩვენებენ, რომ განცხადებას ხელი მოაწერეს 1934 წლის (! — ავტ.) აგვისტო-სექტემბრის თვეში ტრიფონი ზარქუას მეშვეობით, იმ მოტივით, რომ ამ საკითხს ხელმძღვანელობას უწევდა ისაკი ჟვანია" (?! — ავტ.)... როგორც კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, ბრალდებული კვარაცხელია ზარქუასთან 1934 (! — ავტ.) აგვისტო-სექტემბრის თვეში, აწარმოებდა ანტი პარ-

ტიულ მუშაობას, აწყობდა და აჯგუფებდა, როგორც პარტიის წევრებს, ისე უპარტიოებსაც სამეგრელოს ოლქის (! – ავტ.) საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გამო ტარასი შენგელიას მეშვეობით, ბრალდებული კვარაცხელიამ გადაწერა განცხადება ამზ. სტალინის სახელზე გასაგზავნად, სადაც კვარაცხელიამ ზარქუასთან ერთად, მათი ჩვენებებით, განცხადებაზე ხელი მოაწერიეს 30 კაცს. მაგრამ, როგორც გამოირკვა განცხადებაზე ხელმოწერა აღმოჩნდა ყალბი გარდა 4-5 კაცის ხელის მოწერისა: ვანო ჩიქობავა, იასონ სახოკია, გ. ი. ჩიქობავა, გრ. ლუკავა... ამრიგად განცხადებაზე ხელის მოწერა ჩატარებულია თვით ბრალდებული კვარაცხელიას მიერ...“ დადგენილების დასკვნის საფუძველზე პატიმარი, საგამოძიებო საქმით გადაგზავნილი უნდა ყოფილიყო ზუგდიდის „გამოსასწორებელ სახლში“ (სუკის არქივი №2983, ფ. 278). ეს არის პირველი ობიექტური გამოძიება, საიდანაც დამატებით დასტურდება, რომ არაკითარი ავტონომიის და სეპარატიზმის მიზანდასახულობა ვ. კვარაცხელიას და მასთან დაკავშირებულებს არა ჰქონიათ. მათ მიერ 1934 წელს ი. სტალინისადმი გაგზავნილი წერილი მიზნად ისახავდა ბელადის ყურადღების მოპყრობას და მის მიერ დაპირებული, აგრეთვე 1929 წელს საქართველოს ცაკ-ის და სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილების საფუძველზე კანონით მიღებულ-დამტკიცებული, მაშასადამე, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნებით დაშვებული (თუმცა შემდეგ მოსკოვის ცენტრის მიერ უარყოფილი) „სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის“ შექმნას.

მას შემდეგ, რაც „სამეგრელოს ოლქის“ შესახებ სტალინის დაპირების აღსრულება შეუძლებელი გახდა ლეგალური გზით, ამ იდეისადმი რწმენით გამსჭვალული პიროვნებები ცდილობენ ზუგდიდის რაიკომისა და საქართველოს ცეკასგან არალეგალური გზით მიაღწიონ თავიანთ სიმართლეს და ადრე ოფიციალურად წამოწყებული საქმის მოგვარებას. ამის შესაძლებლობას კი ზოგიერთები ხედავენ თანამდებობრივად დაწინაურებული ი. ჟვანიას სისწორეში, მის იდეურ თანადგომაში და აგრეთვე იმედოვნებენ, რომ მათი მეცადინეობის წარმატებას უზრუნველყოფდა „თბილისში... დიდი კაცი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამ საქმეს“. ასეთ პიროვნებად მათ ალბად ეჩვენებოდათ საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელმაც ადრე, ზუგდიდის პარტკონფერენციის ადმინისტრაციული ოლქის შექმნის გამო არაორაზროვნად განაცხადა საკუთარი თანადგომა. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ პიროვნებად იგულისხმებოდეს სხვა. რაც შეეხება მათს არალეგალურ მუშაობას და ხელმომწერთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას ეს, რა თქმა უნდა ამ კომუნისტების დანაშაულია, მაგრამ აქ „ავტონომიზმი“, „სეპარატიზმი“ და მითუმეტეს ჩეკას ძიება აქ არაფერ შუაშია. ეს არ არის ჩეკას კომპეტენციის საქმე. მაგრამ ამას გაგება უნდა.

პირველადი გამოძიების საფუძველზე არა ჩანს სტალინის სახელზე განცხადების გამგზავნელთა ფაქტობრივი კავშირი ი. ჟვანიასთან და თბილისელ „დიდ კაცთან“. ჩვენი აზრით, ეს მომენტი უნდა იყოს ჩეკას მიერ ძალით ნასაზრდოები შემოქმედება. არ არის გამორიცხული, რომ იგი ი. ჟვანიას ავტორიტეტის გამოყენებით, მიზნობრივად გამოეგონათ წერილის გაგზავნის ინიციატორებს. აქ გაუგებარი რჩება ეს „ანტიპარტიული“ ქმედება ჩაიდინეს 1933 თუ 1934 წელს, საქართველოს კომპარტიის IX ყრილობის მიერ დაგმობის შემდეგ. ჩვენი აზრით, 30-კაცის ხელმოწერილ განცხადებაზე მუშაობა დაიწყო 1933 წელს, მაგრამ გახმაურდა მხოლოდ 1934 წელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შესახებ უნდა თქმულიყო პარტიის IX ყრილობაზე.

ზემდგომი დირექტივებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ გამოძიებას არ დაეკმაყოფილებდა გაბისონიას დასკვნა. მასში არ ჩანს ზუგდიდის ე.წ. „ანტიპარტიული ოპოზიციის“, „ნაციონალისტურ-კონტრრევოლუციური“ და „სეპარატისტული საქმიანობა“, რაც IX ყრილობაზე წინასწარ „გაირკვა“. ამდენად, ამ სიყალბის მიუხედავად, იგი ჩეკისტური „ძიების“ ლოგიკის თანახმად საგამოძიებო

მასალებში აუცილებლად უნდა ასახულ-დასაბუთებულიყო. ამიტომ გამოსარკვევი ხდება მათი „ანტიპარტიული“ წრის მთელი შემადგენლობა, როგორც არალეგალური ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ორგანიზაციისა. „გამოსარკვევი“ ხდება აგრეთვე მათი ურთიერთობა სტალინირში მყოფ ი. ჟვანასთან და „თბილისელ დიდკაცთან“. ამიტომ გასაგებია, რომ ჩეკისტური გამოძიება ამით არ დამთავრებულა.

მეორე პროოვნება, რომელიც ზუგდიდის ჩეკამ დააპატიმრა და რომლისგანაც დამატებითი ახალი ინფორმაციული ნაკადი ასაზრდოვა, ეს იყო ბათლომე ვლადიმერის ძე სართანია, დაბადებული 1901 წ. ოდიშში, ღარიბი, ორი მცირეწლოვანის მამა, „ყაზაყიში გაზეთის“ კორესპონდენტი, ფსევდონიმით „ბრაკული“. იგი ამ და რესპუბლიკურ გაზეთებში კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა „ბრაკულის“ ფსევდონიმით. როგორც მისი ჩვენებიდან ჩანს, მისთვის საინტერესო გამხდარა „მეგრელ ნაციონალისტ-მაფალუისტებისათვის“ ხელმისაწვდომი, რაიონული ხელმძღვანელობის მაკომპრომენტირებელი მასალა. „ერთხელ ნაჭყებიას შევხვდი, — უჩვენა ბ. სართანიამ, — მითხრა კვარაცხელია ვარლამს აქვს მასალები, რომელსაც ბრალი ედებოდა ანტიპარტიულ დაჯგუფებაში და რომელიც ნკვდ-ს ცოტა ხნის წინ გაუნთავისუფლებია. ვნახე ჩიკოტიას ბინაზე სადაც ის ცხოვრობდა. მოვთხოვე მასალები. ამოიღო ჯიბიდან ქიმიური ფანქრით რვეულის ოთხ ფურცელზე ნაწერი (საქმეს თან ერთვის — ავტ.), სადაც დახასიათებული იყო რაიონის ხელმძღვანელობა... მეორე დღეს ნაჭყებიამ მიმიწვია სახლში და შემომთავაზა სოფ. ცაიშში აბაშიძე იოსებთან და ვიღაც ჯიქიასთან წასვლა. ამათი დიდი იმედი ჰქონდა კომპრომანტული მასალის შეგროვებაში. ვნახე აბაშიძე, იგი აგინებდა რაიონულ ხელმძღვანელებს. წერილობითი მასალა არ მოუცია, გავაგზავნეო. დავბრუნდი, ცხენი დაუბრუნე ნაჭყებია შალვას. მას უნდა შევეხვედრებინე ჯალაღანია მაროსა და ნაჭყებია ერეკლესთან (ესენი ტ. შენგელიას განცხადების ხელმომწერთა შორის (№5 და 6 არიან — ავტ.). ე.ი. 1933 წელს ავტონომისტური სულისკვეთების განცხადებას აწერენ ხელს, ახლა კი კვლავ რაიკომის კომპრომატებს აგროვებენ — ავტ.), თვითონ უნდა წასულიყო ჭკადუაშსა და ტყაია-ბეღაშღალში ხელმძღვანელობის საკომპრომენტო მასალის მოსაგროვებლად. მე ბინაზე მოვიძიე მარო ჯალაღონია, ავუხსენი, რომ ვარ კორესპოდენტი „ბრაკული“ — სართანია ბართლომე და ვეძებ საკომპრომენტაციო მასალას რაიონის ხელმძღვანელობაზე და რომ შ. ნაჭყებიამ რეკომენდაცია მომცა მასზე — ბევრი მასალა აქვსო. არ მენდო... ამის მერე შევხვდი მის ქმარს ერეკლეს. იმან შალვასთან გამაგზავნა, იმან სახლში წამიყვანა... მომცა ხუთი გლეხის ხელმოწერით მასალა. ტყაია-ბეღაშღალიდან კიდევ უნდა მოეტანათ, მაგრამ იმავ საღამოს ამ მასალით დამაპატიმრეს, რაც დავწერე რაიონის ხელმძღვანელობაზე ყველაფერი მაქვს კვარაცხელიას, ნაჭყებიას და აბაშიძისგან“.

მაშასადამე, ირკვევა რაიონული ხელმძღვანელობის მხილების მეცადინეობა და არა ე.წ. „მაფალუელობა“. გამომძიებელმა წინასწარ მიღებული ინფორმაციიდან კითხვა დაუსვა: „იღებდით თუ არა მონაწილეობას 1924 წლის აჯანყებაში? ბ. სართანიამ უარყო. გამომძიებელმაც ძველ ცოდვას ოსტატურად წაუყრუა და ახალი კითხვა დაუსვა: „მიგაჩნიათ თუ არა თქვენი მოქმედება ანტიპარტიულად?“ ძველი „ნამდვილი ცოდვის“ წაყრუებით გახალისებული აჯანყების მონაწილისგან ამ კითხვაზე პასუხად მიიღო: „კი, რადგან არალეგალურ ორგანიზაციას ვქმნიდით რაიონის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, უარი ვთქვით ლეგალურ მოქმედებაზე... „ყაზაყიში გაზეთში“ ვმუშაობდი თერთმეტ თვეს დაარსებიდანო“. ასე მიაბეს კომპრომატების მაძიებელი „ბრაკული“ ზუგდიდელ ვითომ „ნაციონალისტებს“. მაშასადამე, ირკვევა, რომ „დამნაშავეთა“ ჯგუფს ახალი ბრალდება მოეძებნა: არალეგალური, ანტიპარტიული, ორგანიზაციული ბრძოლა ადგილობრივი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ (სუკის არქივი №2983, ფ. 100).

ყოველი ახალი დაპატიმრებულის მეშვეობით ჩეკისტები სულ უფრო ამდიდრებენ საჭირო ინფორმაციას, მოვლენების შემფასებელ ტერმინებსა და ფორმულირებებსაც საკუთარი მიზანდასახულობით აფორმებენ და აფიქსირებენ. ახლა მათ ჩვენებებში ვხედავთ არა მხოლოდ ცნებას „სამეგრელოს ოლქი", არამედ, აგრეთვე „სამეგრელოს ავტონომიური ოლქი". მაგრამ ამ ხელოვნურად ნასაზრდოები სიყალბის სამხელად ხელთა გვაქვს განცხადების დედანი, რომელიც ავტონომიის მოთხოვნას ეწინააღმდეგება და აბათილებს ამ საქმის შესახებ ავტონომისტურ ბრალდებას. თხრობა იღებს ისეთ ხასიათს, თითქოს ი. ჟვანია და მისი გარემოცვა „სამეგრელოს ოლქის", საერთო მეგრული „ცენტრის", „პირველ კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების" და სხვა მსგავსის შემოღებისათვის კი არ იღვწოდნენ, არამედ აშკარად „მეგრელიზაციისათვის" მეცადინეობდნენ და ამ გზაზე საქართველოს ცკ-საც კი არ ეპუებოდნენ. მაგრამ ჩვენს მიერ წიგნის წინა თავებში წარმოჩენილ დოკუმენტებსა და არგუმენტებს, ეს საწინააღმდეგო ინფორმაციები საფუძველს ვერ ურყევენ და პირიქით მხოლოდ იმას ამჟღავნებენ, თუ რა გულმოდგინედ და თანდათანობით ცდილობდა ჩეკა ზემოდან მიცემული დირექტივების სიმართლედ გასაღებას და რაოდენ აშკარა იყო ამის ფალსიფიცირება. ამასთანავე, „მეგრულ საკითხზე" დაკითხვის ოქმები გვაძლევენ სხვა დამატებით საყურადღებო ინფორმაციასაც და ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა მათი მკითხველამდე მიტანა.

დავიწყოთ ისევ ვ. კვარაცხელიას ჩვენებით: „ვარლამ პავლეს ძე: ეროვნებით ქართველი, 34 წლის, პარტიის წევრი 1928 წლიდან, უცოლო, პასუხგებაში არ ნამყოფი, მისი ოჯახი ეკუთვნის ღარიბთა ფენას; მცხოვრები ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჩხოროწყუში" - „ეწეოდა ანტიპარტიულ მუშაობას პარტიის წევრებს შორის და უპარტიოებში, არალეგალურად ქმნიდა მაფალუისტების ჯგუფებს და ამ ჯგუფის წევრებს აიძულებდა (?! — ავტ.) ხელი მოეწერათ განცხადებაზე იმ მიზნით, რომ მოეთხოვათ მეგრული ავტონომია (?! — ავტ.). კავშირი ქონდა ამ ჯგუფის აქტურ წევრ ტრიფონ ზარქუასთან" და სხვა. მის სახლში ჩხრეკვა ჩატარდა წალენჯიხის რაიონის შინსახკომის განყოფილების უფროსის ზარელუას მიერ, მისი მამხილებელი წერილის და ზუგდიდის რწმუნებულის გაბისონიას სატელეფონო მოლაპარაკებით. მის სახლში ნაპოვნია საველე ჩანთა, რომელშიც აღმოჩნდა სხვადასხვა პარტიული დადგენილებების ამონაწერები (ეს უთუოდ ისაა, საიდანაც იწერდნენ ისაკისეულ არგუმენტებს ავტ.), აგრეთვე წითელგვარდიელი პარტიზანის მოწმობა №1515 (სუკის არქივი №2983, ფ. 277). „მაფალუისტურ-სეპარატისტული" კი ვერაფერი უპოვეს. სოფლსაბჭოს მიერ გაცემული ცნობის მიხედვით ვ. კვარაცხელია არის ღარიბი ოჯახიდან, დანაშაულებრივ საქმიანობაში შემჩნეული არა ყოფილა. სამედიცინო ცნობით: დაავადებულია ფილტვების კატარით, მშრალი ფერდით, მარჯვენა ტერფის ეკზემით.

ვ. კვარაცხელია ავადმყოფობის გამო პატიმრობიდან დროებით გაუნთავისუფლებიათ. მკურნალობდა საავადმყოფოში, სტაციონალურად, შემდეგ ისევ დაუპატიმრებიათ. მისი 5 ოქტომბრის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ ახალ გამომძიებელ წურწუმიას აინტერესებს, საიდან აგროვებდნენ რაიონული ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო მასალას? მოსთხოვა პერსონალურად ჩამოთვალოს ყველაფერი. შემდეგი კითხვაა: „როგორ აღიძრა საკითხი სამეგრელოს ავტონომიური (!? — ავტ.) ოლქის შესახებ?". ძიებას აინტერესებს „ვინ მოგანდოთ რწმუნება სტალინის სახელზე დაგეწერათ განცხადება?", „ხელმძღვანელობდა თუ არა ამ დაჯგუფებას ისაკი ჟვანია, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა ი. გვასალია?" — როგორც ვხედავთ ჩეკას ინტერესი ე.წ. „მაფალუელობის" მიმართულებით კონკრეტდება და ძიებაც ახლა კიდეე უფრო მიზნობრივი ხდება. მაგრამ ძიებას ხელთა აქვს 1934 წელს სტალინთან გაგზავნილი განცხადება, რომელშიც დაყენებულია „ადმინისტრაციული ოლქის" მოთხოვნა. როგორ უნდა მოხერხდეს მისი გაზვიადება?!

ი. კვარაცხელიამ ჩამოთვალა კომპრომატული მასალის მფლობელი პირები: ვ. თორდია, ი. ფირცხალავა, ვ. შონია, ო. გვასალია, მ. ჯალაღონია, ვ. ქარჩალვა, ავთ. ჯიქია, კ. მიქაია და სხვა (სუკის არქივი №2983, ფ. 287). მათგან არც ერთი ავტონომიის მოთხოვნაში მხილებული არასდროს ყოფილა. ძველი ბოლშევიკი კ. მიქაია, როგორც ადრე გავეცანით, თავგამოდებული ანტიმაფალელია. აქ საჭიროა სათანადო განმარტება: ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ვ. კვარაცხელიას შეეძლო რაიმეს დამალვა. ჯერ ერთი, ისინი ისედაც ცნობილნი იყვნენ, როგორც ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის დროინდელი პარტიული აქტივი და ახლა კი, როგორც გვასალიას ხელმძღვანელობის აშკარა მოწინააღმდეგეები. გარდა ამისა, ამ წრის წარმომადგენლობა დასახელებული ჰყავდა სხვასაც და მესამე, რაც მთავარია, ჩეკაში არ მოგახვედროს ღმერთმა, თორემ როგორც ჩანს, იქ უკვე აღარაფრის დამალვა აღარ ხერხდება, იმპროვიზაცია კი ჩვეულებრივი, ჩეკას ძიების ინტერესებით ნაძალადევი აუცილებლობა იყო. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს იყო შიდა პარტიული ბრძოლა, საქმის უკეთ გაძღოლის, ნაკლოვანებების მხილების და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისთვის, აგრეთვე, რა თქმა უნდა საკუთარი კარიერის ინტერესებისათვის. მაშასადამე აქ დასამალიც არაფერი იყო.

საყურადღბოა ვ. კვარაცხელიას დამატებითი ჩვენება: „როდესაც კონსპექტს ვადგენდი, ამ ამხანაგების მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ვეყრდნობოდი, რადგან ი. გვასალიას წინააღმდეგ არაფერი ვიცოდი 1933 წლამდე, ე.ი. ამ ამხანაგების ი. გვასალიას წინააღმდეგ გამოსვლამდე. დანარჩენ მასალებს მე თვითონ ვაგროვებდი, რადგან არასწორად მომექცნენ და რეაბილიტაცია მინდოდა". შეკითხვაზე: „როგორ აღიძრა კითხვა სამეგრელოს ავტონომიური ოლქის დაარსების შესახებ?" ვ. კვარაცხელიამ უპასუხა: „მე როგორც ვიცი სამეგრელოს სამაზრო ცენტრში 1930 წ. დაიწყო მეგრულ ენაზე გაზეთის გამოშვება... გამოდიოდა აგრეთვე ბროშურა მეგრულ ენაზე. 1932-1933 წლებში აღებული იქნა სანიმუშო ცდებით რამდენიმე სკოლა, ოთხწლედები, სადაც მეცადინეობა მეგრულ ენაზე მიდიოდა. ეს ნაბიჯი გადადგმული იქნა საქართველოს ცეკას დადგენილების საფუძველზე (! — ავტ.). როგორც მახსოვს 1932 წლის (ზუგდიდის რაიკომის — ავტ.) დადგენილების თანახმად (რომელმაც აგრეთვე მოითხოვა სამეგრელოს ოლქის დაარსება — ავტ.) 1933 წლის ივნისში რაიკომის მდივანმა გვასალიამ და სამმართველოს უფროსმა ზაქარაიამ ინგურბუმშენის ობიექტზე აღმოაჩინეს განცხადება 9 კაცის ხელის მოწერით, რომლებიც ითხოვდნენ ზუგდიდის რაიონის პ/ო სახელით სამეგრელოს ა/ო (ავტონომიური ოლქის — ავტ.) გამოცხადებას (როგორც ვხედავთ, გამომძიებელმა კითხვა დაუსვა 1934 წლის განცხადებასთან დაკავშირებით, ვ. კვარაცხელია კი პასუხობს 1933 წლის განცხადების შესახებ — ავტ.). როგორც მაშინ გამოირკვა ეს განცხადება შედგენილი იყო „ინგურბუმშენის" პარტკომის მდივნის ტარასი შენგელიას მიერ... რომლებიც ამ განცხადებას ხელს აწერდნენ მიცემული იქნენ პარტიულ პასუხისგებაში და მოხსნილ იქნენ სამუშაოდანაც, მათ შორის ტროფონ ზარქუაც... ამის შემდეგ ვხვდებოდით ურთიერთს ქ. ზუგდიდში მე ტარასი შენგელია და ტრიფონ ზარქუა, რომლებსაც ლაპარაკი გვქონდა ამ საკითხზე არა ერთხელ, რომ სამეგრელოს ავტონომია საჭირო იყო და რომ (ადრე — ავტ.) ამის მომხრე იყო ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია და რომ თვით რაიკომის მდივანი იუსტინე გვასალიაც. სანამ იგი რაიკომის მდივნად აირჩეოდა აქტიურად იბრძოდა სამეგრელოს ავტონომიის (? — ავტ.) აღიარებისათვის, რომ აგრეთვე ასეთივე აზრის იყო ისაკი ჟვანიაც (ე.ი. ადმინისტრაციული ოლქი ჩეკისტური ზეწოლით გახდა ავტონომიური ოლქი — ავტ.). ერთი თუ ორი თვის შემდეგ, „ინგერბუმმშენში" განცხადების აღმოჩენის შემდეგ, ჩემთან ზუგდიდში ბინაზე მოვიდნენ შენგელია ტარასი და ტრიფონ ზარქუა, რომლებთანაც ერთად გამოვიმუშავეთ აზრი განცხადების შესახებ. შეთანხმდნენ, რომ განცხადება ზუგდიდის პ/ო სახელით არ დაწერილიყო, რადგან

რეპრესიების შემდეგ რაც ზუგდიდში გატარდა, განცხადებას ხელს არავინ მოაწერდა და გადავწყვიტეთ განცხადება შეგვედგინა წალენჯიხის რაიონის პარტორგანიზაციის სახელით... ამავე დღეს ტ. შენგელიამ ჩემს ბინაზე ქართულ ენაზე შეადგინა წალენჯიხის პ/ო სახელით განცხადება სტალინის სახელზე (აი ახლა კი გადადის 1934 წლის განცხადებაზე – ავტ.). მანვე ეს განცხადება იქვე გადათარგმნა რუსულ ენაზე ქართული განცხადების ტექსტის დართვით. აქ დათქმული პირობით რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტი გადავეცი ტროფონ ზარქუას, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა განცხადებაზე ხელის მოწერა წალენჯიხის რაიონში. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მოვიდა ჩემთან ბინაზე ტროფონ ზარქუა და მოიტანა ხელმოწერილი განცხადება. ხელმოწერის გადასინჯვით დავრწმუნდი, რომ ბევრს ხელი გაურკვევლად ქონდა მოწერილი, და მე ურჩიე ხელმოწერის წინ დაეწერა ვინაობა... განცხადება უკანვე წაიღო. ზარქუას წასვლის შემდეგ ჩემთან, მესამე თუ მეოთხე დღეს, ბინაზე მოვიდა ტარასი შენგელია, რომელმაც მითხრა: „როგორც ვხედავ მკაცრად კიდებენ ხელს განცხადებაზე ხელის მომწერთ – ანტიპარტიულ დოკუმენტათ თვლიან, მაგალითად „ბუმსტროის“ ობიექტიდან იბარებენ განცხადების ხელისმომწერთ და პასუხს სთხოვენ, და თუ ნახავ ტრიფონ ზარქუას უთხარი, რომ მაგ განცხადებას ნუ გააგზავნისო“. მე ეს მინდოდა გადამეცა ტროფონ ზარქუასათვის, მაგრამ იგი ამის შემდეგ აღარ მინახავს“... როგორც ჩანს გაუგზავნია.

ჩვენ ეს განცხადება ჩეკას არქივში გამოვავლინეთ. ამ განცხადების ქსერო ასლიც ხელთა გვაქვს, როგორც ადრე მივუთითეთ, მასში „ავტონომიის“ მოთხოვნა არ წერია (იხ. სუკის არქივი №2983, ფ. 104). მაშასადამე, ჩეკამ „საკუთარი“ მიზანდასახულობით ადმინისტრაციული ოლქი ყალბად განავითარა „ავტონომიურ“ ოლქად.

3. კვარაცხელიას ჩვენებაში თხრობა ასე გრძელდება: „ტ. შენგელიას იქვე ქონდა იმ განცხადების ასლი, რომლის გულისთვის იგი მოხსნილი იყო „ბუმსტროის“ მშენებლობიდან. ამ განცხადებიდან, რომელიც 13 გვერდზე იყო დაწერილი არ გვისარგებლია, რადგან ძლიერ ვრცლად იყო შედგენილი და საჭიროდ არ ვცანით ისევ ისტორიულად დაგვესაბუთებია ჩვენი ეს განცხადება, როგორც მოთხრობილი იყო მის მიერ შენახულ განცხადებების ასლში“. როგორც ადრე აღვნიშნე იმ განცხადების შეცდომები სწორედ „ისტორიულ დასაბუთებაში“ იყო. მისი დასკვნითი ნაწილი, ანუ მოთხოვნები კი ავტონომიას ან საჩოთიროს არ შეიცავდა, იმის გარდა, რომ ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობის „დანაშაულობებს“ ამხელდა.

„ჩემი, ტ. შენგელიას და ზარქუას გადაწყვეტილებით, – უჩვენა ვ. კვარაცხელიამ, – განცხადებაზე უნდა ჩატარებულიყო პერსონალური ხელისმოწერა მხოლოდ კომუნისტებისა და არა უპარტიოების, რომლებსაც უნდა განმარტოდათ, რომ სამეგრელოს ავტონომიური (?! – ავტ.) ოლქის დაარსება საჭირო იყო და ფაქტიურად ტარდებოდა კიდეც – „ყაზაყიში გაზეთის“ გამოშვებით, მეგრულ ენაზე ბროშურის ბეჭდვით და ოთხწლედში ნაციონალური (?! – ავტ.) მეგრული ენის გატარებით. „აქ საყურადღებოა რომ ვ. კვარაცხელიას ნაწერში ნამართაკი სიტყვების („ავტონომიური“ და „ნაციონალურის“) მიუხედავად, რეალური ვითარება გააზრებული აქვს გასაგებად: როგორც „ოლქის“ ფაქტობრივი არსებობა. აქ საჭიროა გაეიხსენოთ რომ 1933 წელს სტალინის და ბერიას სახელზე გაგზავნილ „გლეხების მიერ ხელმოწერილ ტიპიურ განცხადებებში იგივე წერია და შეფასება ასეთია: „ქოთი ბედნიერი ვორდით დღაშა“ – ეს იმას ნიშნავს, რომ ზუგდიდში „კონტრრეფორმების“ გატარებამდელი თვით პარტიული ცენტრის მიერ დაშვებული მდგომარეობა გააზრებულია, როგორც ე.წ. „კონტრევოლუციონერ-ნაციონალისტების“ და „სეპარატისტების“ სასურველი მოთხოვნების მაქსიმუმი, აკლდა მხოლოდ მეგრული რაიონებისათვის ერთიანი ცენტრის დაწესება. ეს ხომ ადვილად შესამჩნევი აბსურდია! დავუშვათ, რომ ამაზეც წასულიყო სტალინი და პარტია! რა იქნებოდა

ეს? განა ეს მართლა ანტიქართული მეგრული ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის შექმნა და ანტიქართული სეპარატიზმის გამოვლინება იქნებოდა? არა! მაგრამ სინამდვილეში ახლა ჩეკას ძიების მიერ ასეთად საღდებოდა და ბევრი იჯერებდა, რომ ისაკი ჟვანია და მისი მხარდამჭერები იბრძოდნენ საქართველოს დასაღუპავად, ღალატს ჩადიოდნენ და, უპირველეს ყოვლისა, სამეგრელო იღუპებოდა! ვის სჭირდებოდა მაშინ ასეთი შთაგონება გასაგებია, მაგრამ ვის სჭირდება ახლა ასეთი ყალბი ახსნა?! ეს ჩვენთვის ჯერც არ არის ბოლომდე გასაგები.

ი. ჟვანიას როლის გარკვევის მიზნით დასმულ კითხვაზე ვ. კვარაცხელია პასუხობს: „ისაკი ჟვანია ზუგდიდში რაიკომის მდივნად ყოფნის დროს იდეური და ორგანაზაციული ხელმძღვანელი იყო სამეგრელოს ავტონომიური (ისევ ავტონომიური ! — ავტ.) ოლქის გამოყოფის. მის გარდა რაიკომის ბიუროს ყველა წევრი: ი. გვასალია (იმდროინდელი აღმასკომის თავმჯდომარე — ავტ.), თამარი საჯაია, იასონ ჯანაშია, ავთო ჯიქია, ბიქტორ შონია, ლადო ზაქარაია, ნადია ებსია, კირილე მიქაია, ვიქტორ თორდია, ვლადიმერ როგავა (ახლანდელი აღმასკომის თავმჯდომარე — ავტ.) და სხვები... ჟვანიას მეთაურობით 1933 წ. თებერვლამდე ე.ი. მის ზუგდიდიდან გადაყვანამდე, გააფთრებით იბრძოდა სამეგრელოს ავტონომიისათვის (ისევ ტყუილი და ნამართავია: ასეთი დოკუმენტი ჯერ არავის მოუპოვებია — ავტ.). „იყო ასეთი შემთხვევაც, — გრძელდება ვ. კვარაცხელიას ჩვენებაში, — როდესაც პ/წევრი ბოკუჩავა ვალოდია (კულტაროპი) და პერტახია მიხეილი (პროფსაბჭოს თავრე) ამტკიცებენ, რომ მეგრული ენა მშობლიური ენა არ იყო, მეგრელები ქართველებისაგან განსხვავებულ სხვა ენას არ შეადგენდნენ, რის გამო არ იყო (ალბათ უნდა იყოს „აქ იყო“ — ავტ.) ლაპარაკი და ბრძოლა სამეგრელოს ავტონომიის (? — ავტ.) გამოცხადებაზე. აღნიშნულის გამო ეხლანდელმა რაიკომის მდივანმა ი. გვასალიამ პროფსაბჭოს კონფერენციას (? — ავტ.) სხდომაზე დაამუშავა ბოკუჩავა და პირტახია და ჩათვალა მათი ავტოგამოსვლა ანტიპარტიული გამოსვლად... ასე იდგა კითხვა 1933 წ. თებერვლამდე ე.ი. ი. ჟვანიას ყოფნამდე ზუგდიდის რაიონში, მის წასვლის შემდეგ კი მე მასთან, ი. ჟვანიასთან, კავშირი არ მქონია და არც მისარგებლია მისი აზრით” (სუკის არქივი №2983, ფ. 291-292). მაგრამ მკითხველს ახსოვს ზუგდიდის რაიკომის ბიუროს და რაიონის საკონტროლო კომისიის ამ სხდომის შესახებ ჩვენი დოკუმენტური საუბარი. იქ მართლაც თითქმის ყველაფერი ისე იყო, როგორც ვ. კვარაცხელია უჩვენებს, მაგრამ იქ არა ყოფილა საუბარი სამეგრელოს „ავტონომიური“ ოლქის მხარდამჭერის შესახებ, არამედ ლაპარაკი იყო ადმინისტრაციულ-კულტურული ფორმირების სასურველობის შესახებ. იუსტინე გვასალიამ კი აქ მოითხოვა ის, რასაც საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის და შემდგომი დადგენილებები „იძლეოდნენ“. მან ბოკუჩავას და პერტახიას დანაშაულად წარმოაჩინა: „ორგანიზაციაში განხეთქილების შეტანის მცდელობა“, „დამზადების დროს შეძლებულების მიჩქმალვა, რისთვისაც გაგანთავისუფლესო, რადგან უჯრედი დაანბიეთო...“ მან მოითხოვა ბოკუჩავას და პერტახიას „საწარმოში ფიზიკურ სამუშაოზე გადაყვანა“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 19, აღ. 1, ს. 10, ფურც. 20-21). თუნდაც აქედან ჩანს, რომ „ავტონომიას“ მიზნობრივად ხმარობს გამომძიებელი, და არ არის გამორიცხული ისიც, რომ ისედაც დაავადებული და ახლა გატანჯული ვ. კვარაცხელია ადმინისტრაციულ-კულტურული ოლქისა და ავტონომიური ოლქის ცნების გაიგივებამდე, ახლა უკვე გარკვეული რეპრესიული ზემოქმედებით მიიყვანეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ გაბისონიას დასკვნაში იქნებოდა დაფიქსირებული „ავტონომიური ოლქის“ მოთხოვნა, სინამდვილეში კი იქ ასეთი არც ერთხელ არ არის ნახსენები.

გამომძიებლის კითხვაზე: „ვინ მოგანდოთ რწმუნება სტალინის სახელზე დაგეწერათ განცხადება?“ ვ. კვარაცხელია უპასუხებს: „არავის მოუცია, ჩვენ

შევადგინეთ (! — ავტ.) ზარქუას განცხადებით წალენჯიხის პარტიული ორგანიზაცია ერთსულოვნად მომხრე იყო...“ არ შეიძლება არ დაგვებადოს ასეთი კითხვა: რა უშლიდა ხელს ვ. კვარაცხელიას, რომ ი. ჟვანიასთვის გადაებრალებინა ყველაფერი. რატომ ვერ მიხვდა, რომ ძიებას სწორედ ეს უნდოდა მისგან?! მაგრამ არა! რაც არ იყო, იმას არ ამბობდა. რომ ეთქვა, ჯერ ერთი, დიდ ცოდვას იტვირთავდა; მეორე, არ იყო გამორიცხული ი. ჟვანია დაეპირისპირებინათ. მაშინ ხომ ეს ტყუილი წინ დაუხვდებოდა. აქ შეიძლება ურწმუნო მკითხველმა ნიშნის მოგებით გვკითხოს: „სამეგრელოს ავტონომიის“ საკითხში რატომ ტყუისო?! სამეგრელოს ადმინისტრაციულ-კულტურული და ტერიტორიული ფორმირება ზოგს უკვე გარკვეულ მეგრულ ავტონომიად ესახებოდა და ასეთი ასოცირების მიღწევა გაწამებული პატიმრის ნაზრევის სახით ადვილად შესაძლებელი იყო, იმის მიუხედავად, რომ ამ ორის იურიდიული სტატუსი პრინციპულად განსხვავდებოდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც და იურიდიული გაგებითაც. თუმცა აქვე უნდა გავიმეოროთ ის, რაც ადრე 1922-1925 წლების „ავტონომისტ — ძმები ჩხოუშელების“ შესახებ ვთქვი: — სამეგრელოს ავტონომიის მათი მოთხოვნაც არ იყო ანტიქართული სეპარატიზმი, მაგრამ ხელისუფლებისთვის, რომელსაც ეროვნული ოპოზიცია სისტემატურად ლანძღავდა საქართველოს ავტონომიური დაქუცმაცებულობისთვის, იგი უაღრესად არასასურველი იყო. ალბათ ამიტომაც გააზვიადებინეს მათ ზემოდან ნაასაზრდოები „ავტონომიის“ მოთხოვნა, საქართველოდან გამოყოფის და რსფს რესპუბლიკასთან თუ სსრ კავშირთან უშუალოდ შეერთების მოთხოვნამდე, რომელსაც 1925 წელს სინამდვილეში მხოლოდ „ნოთეს“ აკრძალვით გაშმაგებული რამდენიმე პიროვნება — ახალაია, ბესელია და ბუკონია აყენებდა, სხვა კი მათ სოლიდარობდა.

ვ. კვარაცხელიას ამ ჩვენებაში დაფიქსირებული ფაქტებიდან, სადაც ვკითხულობთ „ავტონომიის“ და იმ დისპუტის შესახებ, რომელზეც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ერთი მხრივ ბიუროს წევრები, ხოლო მეორე მხრივ ვ. ბოკუჩავა — მ. პერტახია, საყურადღებოა ის, რომ სხდომას ესწრებოდა 22-ზე მეტი პიროვნება, რომელთაგან ავტონომიის უპირატესობა აღიარა მხოლოდ, ბ. თორდიამ. ხოლო წყაროზიას სიტყვა მოწმობს, რომ მას ოლქი და ავტონომია სინონიმები ჰგონია (იქვე, ფურც. 40,31). სხდომას ტ. შენგელიაც ესწრებოდა, ესეც „ნოთელთა“ და ავტონომიის მოტრფიალეა. მაგრამ დანარჩენი 20-მდე ზუგდიდის ხელმძღვანელობის აქტივისტი სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მომხრეა და არა ავტონომიისა.

ვ. კვარაცხელიამ დაკითხვის დროს დასმულ კითხვაზე პასუხის სახით ჩამოთვალა რაიკომის ხელმძღვანელობაში ი. ჟვანიას მოწინააღმდეგეები (ი. გვასალია, ვ. როგავა, ბ. შოგირაძე — მტს-ის უფროსი) და მომხრეები. ესენი არიან: ვიქტორ თორდია (რაიკომის ბიუროს წევრი, მიწგანის გამგე, ახლა ზუგდიდის განყოფილების ბანკის გამგე); იასონ ჯანაშია (რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ახლა მიწგანის გამგე), კირილე მიქაია (რაიკავშირის თავმჯდომარე, ახლა ცეკავშირის ბაზის გამგე), მარო ჯალაღონია (ქალთა განყოფილების გამგე, ახლა უმუშევარი), ირაკლი ნაჭყებია (სასოფლო მომარაგების გამგე ეხლაც), ოლია გვასალია (ცეკავშირის ბაზის გამგე, ახლა რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე), ტარასი შენგელია („ბუმსტროის“ პარტკომი, ახლა თბილისში მუშაობს პროფსაბჭოს ხაზით), ტრიფონ ზარქუა („ბუმსტროის“ მუშათა კოოპერატივის თავმჯდომარე, ახლა ზესტაფონის რაიონის ძირულის აგურის ქარხნის პარტკომის მდივანი), ფოკო ჩემინავა („ბუმსტროის“ მომარაგების მუშაკი, ახლა თბილისშია), აბრამი ფარცვანია (საკ. კომისიის თავ-რე, ახლა ადგილობრივი მრეწველობის გამგე), გაიოზ ბერულავა (კოლხიდის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე, ახლა სას. სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი), ნიკოლოზ ბოკუჩავა (რაიონის პროკურორი, ახლა ცკ-ის ინსტრუქტორი ჩაის დარგში), კირილე ბეჭვაია (ზუგდიდის რაიკომის მდივნის, ი. გვასალიას

მოადგილე, ახლა მარტვილის რაიკომის მდივანი), ვასო წულაია (ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი, ახლა სიღნაღის რაიონში მომუშავე დამზადების ხაზით), ჯკვეხე კაჭარია (სატყეო ბაზის დირექტორი, ახლა დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი), გაბიშა კუპრეიშვილი (მტს-ის პარტ. განყ. უფროსის მოადგილე, ახლა არ ვიცი), შალვა დავითაია (კომ-კავშირის ხაზით პოლიტ. განყ. უფროსის თანაშემწე, ახლა მარტვილის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი), თავად ვ.ჰ. კვარაცხელია (ვიყავი ქალაქის საბ-ჭოს მდივნად და ამავე დროს ქალაქის საბჭოს პარტკომის მდივანი, ახლა სარე-წაო კავშირის ინსტრუქტორი — მიმაგრებული წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებზე). „ვ. კვარაცხელიას ჩვენების მიხედვით ჩამოთვლილ უკმაყოფილო პირებიდან აქტიურობას იჩენენ: რაიკომის მდივნის მოადგილე კ. ბეჭვაია, რო-მელიც ამტკიცებდა რაიკომის მდივნის გვასალიას უვარგისობას... ასევე ამ-ბობდნენ ჯკვეხე ქადარია, ვ. წულაია, ნ. ბოკუჩავა და სხვები...“ (სუკის არქივი №2983, ფ. 297). აქედან ჩანს, თუ რაოდენ დაპირისპირებული მდგომარეობა შეუქმნია რაიონის ხელმძღვანელი კადრებისადმი ცკ-ის პარტოკრატიულ და-მოკიდებულებას. მაგრამ ეს ამდროინდელი საკადრო პოლიტიკის შედეგია. განსა-კუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ვ. კვარაცხელიას ჩვენებით: „ყველა ეს ჩამოთვლილი პირები აქტიურად იბრძოდნენ, აგრეთვე სამეგრელოს ოლქის გა-მოყოფისა და და ავტონომიის გამოცხადებისათვის (? — ავტ.). ამათგან იასონ ჯანაშია მოითხოვდა არა სამეგრელოს ავტონომიას, არამედ სამეგრელოს რე-სპუბლიკად ცნობასაც კი“ (სუკის არქივი №2983, ფ. 298). როგორც ადრე, და დისკუსიასთან დაკავშირებითაც აღვნიშნეთ, ი. ჯანაშია სამეგრელოს ავტონომიას კი არ მიიჩნევდა მისაღებად, არამედ ადმინისტრაციულ ოლქს. იქ ასეთებიც იყვნენ, რომელთაგან ზოგს ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის და სხვა პარტიული თეორიტიკოს-პრაქტიკოსების მიერ ავტონომიის პროპაგანდის გავლენით სამე-გრელოს ავტონომია უფრო მისაღებად ესახებოდათ, იმის მიუხედავად, რომ ამის გამო პარტიიდანაც კი რიცხავდნენ. აქ საგანგაშო არაფერია. მათ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ იმ სიტუაციაში რა უბედურებას ან სიკეთეს მოუტანდა იმდროინდელი, ნაქები, „ავტონომიური“ მშენებლობა თუ სამეგრელო-სათვის დაგმობილი ავტონომია ქართველ ერს 60-70 წლის შემდეგ, ანუ 90-იან 2000-იან წლებში და ვინ იქნებოდა ამ დროს დამნაშავე ან გამართლებული.

რაც შეეხება მეგრულ გაზეთს და სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლებას, ვ. კვარაცხელია ამის გამო უჩვენებს: „როგორც ვიცი 1933 წლის გაზაფხულზე ისაკის წასვლის შემდეგ გვასალიამ დაამუშავა „ყაზაყიში გაზეთის“ რაიონულ ორგანოდ გადაკეთების საკითხი. სკოლების საკითხზე მოვლენილი იყო განათ-ლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორი, რომელმაც მიიჩნია (უნდა იყოს სიტყვა „ჩაატარა“ — ავტ.) გამოკვლევა და შედეგად მიუღებლად ცნო მეგრულ ენაზე სკოლაში მეცადინეობა (ადრეც ვთქვით, არ შეიძლებოდა, რომ საკითხი ინსტრუქტორის დონეზე გადაწყვეტილიყო — ავტ.), რის გამოც ეს დასკვნა რაიკომმა გაატარა ცხოვრებაში. ამის გამო 1933 წელსვე გამოძახებულ იქნა განათლების განყოფილების გამგე და ოთხწლედის მასწავლებლები განათლების სახალხო კომისარიატში, სადაც ამათ დაიცვეს აზრი სკოლებში მეგრული ენის დატოვების შესახებ, მაგრამ განათლების სახკომის გამგეს ეთქვა, რომ კითხვას ცეკაში გაიტანდა და გაიტანეს და გადაწყვიტეს თუ არა საკითხი ცეკაში არ ვიცი“ (სუკის არქივი №2983, ფ. 98). აქედან ჩანს, რომ თუნდაც პირველ კლასში და თუნდაც ქართული ენის სრულიად უცოდინარ, მივარდნილ სოფელში მეგრულ ენაზე სწავლება უკვე ცენტრში გამოირიცხა და შესამოწმე-ბლად გამოგზავნილი კომისიის წევრები თუ სპეციალისტები, მხოლოდ ფორ-მალურ ფუნქციას ასრულებდნენ. ახლა უკვე აღარავის აინტერესებდა ქართული ენის არმცოდნე ბავშვს გაუჭირდებოდა თუ არა სწავლა, იგი სკოლას თავს იმთავითვე დაანებებდა, თუ ოთხწლედის განმავლობაში სკოლაში ტყუილა ივ-ლიდა. ყველაფერი წინასწარ პარტიული „ბოსების“ დონეზე იყო გადაწყ-

ვეტილი. ამას გარდა, როგორც ვხედავთ, კვლავ საეჭვოდ ფიგურირებს ტერმინი „სამეგრელოს ავტონომია". ისე გამოდის, თითქოს მთელი ყოფილი რაიონული აქტივი თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც მხარს უჭერს სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას. აქ და წინა თავებში მოტანილი დოკუმენტებიდან საწინააღმდეგო ჩანს. ადრე ჩვენ ვნახეთ, რომ პარტიის წევრებს შორის „დისკუსიის დროს" ორიოდე პიროვნებამ გამოთქვა ავტონომიისადმი თავისი სიმპათია და ისიც სადაოდ მივიჩნიეთ, რადგან ჩავთვალეთ, რომ ესენი ბოლომდე ვერ ერკვეოდნენ ცნებების შინაარსში. ახლა კი წინ გვიდგას ზოგის თითქოს სრულიად საწინააღმდეგო ჩვენება რაც ქმნის სერიოზულ პრობლემას. მაგრამ ეს მხოლოდ თითქოს და მოჩვენებით. ამას მოწმობს მარო ჯალაღონიას დაკითხვის ოქმიც.

მარო ნოჩოს ასული ჯალაღონია იგივე ბრალდებით დააპატიმრეს 1935 წლის 19 სექტემბერს, დაბადებული 1898 წელს, განათლება 4 კლასი. სამედიცინო დასკვნის თანახმად „შეპყრობილია გულის ნევროზით, ნერვოსტენიით" (სუკის არქივი №2983, ფ. 233). „პარტიის წევრი 1921 წლიდან, გაირიცხა 1935 წლის სექტემბერში ანტიპარტიული მუშაობის გამო. მუშაობდა სოფლის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ წალენჯიხის რაიონში". მან უჩვენა: „რაიონის ს. ლიაში შეკრებილ პარტიულ კომკავშირულ საერთო კრებაზე სოფლების ლიას, ფახულანის, ჩანეს და ჯვრის წარმომადგენელთა კრებაზე დღის წესრიგში იდგა სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების და „საერთოდ მეგრული ავტონომიის საკითხი" (? — ავტ.), რომელსაც ესწრებოდა რაიკომის ყოფილი (! — ავტ.) მდივანი უბირია ეკვენი. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დავალებით, ი. ჟვანიას სახით, შემოთავაზებული იყო ემსჯელათ „მეგრული ავტონომიის" (? — ავტ.), მთელი საქმის წარმოების და სწავლების (მეგრულ — ავტ.) წარმოებაზე გადაყვანის შესახებ" (? — ავტ.) „მე მაშინ წინააღმდეგი გამოვედი, — წერს მ. ჯალაღონია, — მიუთითებდი, რომ მეგრული ავტონომია და მითუმეტეს სავალდებულო სწავლების შემოღება სკოლებში მიუღებელია მეგრელი ხალხისთვის, რადგან კულტურა სწრაფი ტემპით მიდის წინ, ხოლო მოცემულ ეტაპზე ასეთი მოთხოვნა უაზროა." აქ რაღაც გაუგებრობაა. სათანადო დოკუმენტით საკითხი ასე არ მდგარა. მაგრამ სჯობს ჯერ ბოლომდე მოვისმინოთ: „მაგრამ პარტიული მასა დამუშავებული იყო წინასწარ მეგრული ავტონომიის დაცვის სასარგებლოდ სამუშაო ისიდორეს სახით, ატეხეს სკანდალი ჩვენს წინააღმდეგ. მოითხოვდნენ მეგრულ ავტონომიას, ავტონომიის სასარგებლოდ ვერბოვკას, ჩემი აზრით, აწარმოებდნენ ფახულანის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე შონია ათანასე, ხოლო უპარტიო მასაში გოგოხია ჯვებე — სამაზრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე. ჯიქია ავთანდილი (ამჟამად ჩხოროწყუს რაიკავშირის თავმჯდომარე) მსაყვედურობდა... მეგრული ავტონომიის საკითხი უკვე გადაწყვეტილიაო დადებითად ჩვენს ზემდგომ დირექტიულ ორგანოებში და ა.შ. ჯიქია აწარმოებდა სპეციალურ დაკითხვებს და ძიებას სოფელ ლიაში. ამის შემდეგ... გადამიყვანეს წალენჯიხაში და დავინიშნე ზუგდიდის რაიონის ტყაია — ბეჟასლაში სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. შემდეგ გადამიყვანეს ზუგდიდის პარტიის რაიკომში ქალთა ორგანიზატორთა გამგედ და შემიყვანეს პარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში (?! დაუწინაურებიათ — ავტ.). მეგრული ავტონომიის შესახებ ყოველთვის საუბრობდა ი. ჟვანია, როგორც კერძო საუბარში, ასევე ბიუროს სხდომაზე აყენებდა პლენუმზე და კრებებზე პარტიის აქტივზე, გამოჰქონდათ რეზოლუციები მოთხოვნით ცეკას მხრივ საკითხის დაუყონებლივ გადაჭრის შესახებ. მეც შემდეგში დავრწმუნდი და ვაწარმოებდი აქტიურ მუშაობას „მეგრული ავტონომიისათვის". როგორც იტყვიან „ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს?!" ჯერ ერთი, ი. ჟვანიას ხელმძღვანელობით ჩატარებული ღონისძიებათა ოქმების ამონაწერებში ჩვენ საწინააღმდეგოს ვხედავთ. მეორე, როგორც ადრე ვნახეთ ე. უბირია ვ. შოგირაძესთან და სხვებთან ერთად იყო ის, ვინც ეჭვების გამო

აწყობდა ავტონომიის საწინააღმდეგო კამპანიას და სოფლის კრებებს ოქმის „ტრაფარეტებს“ რაც წინასწარ აწვდიდა. სინამდვილეში კი სამეგრელოს ერთიანი ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნას უპირისპირდებოდა და ი. ჟვანიასაც ამის გამო ებრძოდა. მაგრამ აბა ცოტაც მივდიოთ მ. ჯალაღონიას ჩვენებას: „როგორც მახსოვს ერთხელ თბილისიდან ჩამოვიდა ამხანაგი მახარაძე ფილიპე, ვატარებდით პარტ კონფერენციას. ჟვანიამ და მისმა ჯგუფმა მათ შორის მეც ორგანიზაცია ისე გაუწიეთ დელეგატებს რომ თითქმის ყველამ მოითხოვა მეგრული ავტონომია. მახსოვს ამხ. მახარაძემ სთქვა, რომ მე ვიყავი მეგრული ავტონომიის (?! — ავტ.) შემოღების წინააღმდეგი, მაგრამ ეხლა მივედი გარკვეულ დასკვნამდე, რომ სამეგრელოს უნდა მივცეთ ავტონომია (?! — ავტ.) და მე აქტიურად დაუჭერ მხარს...“ რაიკომის ბიუროს, პლენუმების, აქტივის სხდომის ოქმებში, შეიძლება მოიძებნოს ყველა, ვინ როგორ რეაგირებდა ამაზე. რა თქმა უნდა, თუ ვინმე ცოტათი მაინც წინააღმდეგი იყო ამ საკითხისა, იგი აუცილებლად მონათლული იქნებოდა კონტრეკოლუციონერად, გარიცხული იქნებოდა პარტიიდან და გაგდებული იქნებოდა რაიკომიდან ი. ჟვანიას და მისი ჯგუფის წყალობით, ასე მაგალითად, მიხეილ პერტახია და ვალოდია ბოკუჩავა... (სუკის არქივი №2983, ფ. 101). გასაგებია: ჩვენ წინა და ამ თავშიც დოკუმენტურად სულ საწინააღმდეგო სურათი დავინახეთ. ჯერ ერთი, ჟვანიას ხელმოწერილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მახარაძემ ზუგდიდის პარტკონფერენციას აღუთქვა მხარდაჭერა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის და არა საქართველოს კომპარტიის მიერ 1925 წლის 3 სექტემბერის დადგენილებით დაგმობილი სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით. ცეკას ამ დადგენილების წინააღმდეგ ვერც ფილიპე გამოვიდოდა. მეორე, შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ მახარაძის გაცურება ადვილად შეიძლებოდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, მახარაძემ სხვის დასანახავად, თავი განგებ იმდენად „მოიტყუა“, რომ ზუგდიდის პარტკონფერენციაზე ბერიას საწინააღმდეგოდ მხარი დაუჭირა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას? ასეთი რამ გამორიცხულია! ფ. მახარაძემ ზუგდიდის ხელმძღვანელობას მხარი ავტონომიის მიღებაში კი არ დაუჭირა, არამედ იმაში, რაც სათანადო ოფიციალური აზრით ეკუთვნოდა. მან მხარი დაუჭირა სტალინის აზრს (12.IX.1929 წ.), აგრეთვე საქართველოს საბჭოების V ყრილობის 1929 წლის 13 აპრილის დადგენილებას (ანუ კანონს). საკუთარი ხედვის შესაბამისად, ვ. მახარაძემ სამეგრელოს ადმინისტრაციული ფორმირების საკითხში დაუჭირა მხარი კონფერენციას და არა ავტონომიის საკითხში. მაგრამ მახარაძემ ბერიას სანქციის გარეშე, ესეც დიდი „მკრეხელობა“ ჩაიდინა. მახარაძეს მსგავსი „თავნებობა“ ახასიათებდა, ამიტომაც იყო, რომ ბერიამ არა ერთხელ გადაუხადა სამაგიერო. ამის შესახებ სათანადო პუბლიკაციებში არის კონკრეტული საუბარი. სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათი გაცნობა (იხ. „დიდი ბოროტობის სათავეები და შედეგები“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 19 აპრილი, 21 ივნისი). ახლა კი საჭიროა აღინიშნოს, რომ სუკის მასალებში ცნებებისა და ფორმულირების „აღრევა“ ემორჩილება ერთი მხრივ, დაკითხულთა მიერ ადმინისტრაციული და ავტონომიური ოლქის გაგების აღრევას, ხოლო მეორე მხრივ, პატიმართა ჩვენებების სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურ ვერსიასთან შესაბამისობაში მოყვანას, ანუ პატიმართა ძიებისთვის სასურველზე დამორჩილებას, ამით ზემდგომი ორგანოების, ფაქტობრივად კი ბერიას აზრის გამართლებას. ასეთი მაგალითები სუკის არქივში მრავლად გვხვდება. მაგალითად ლ. ბერიას ადრინდელ (1930 წლის) წარდგინებაში საუბარია სოფელ ფახულანის კოლმეურნეობის ავტონომისტი თავმჯდომარის, პატიმარ ლეონტი გოგოხიასადმი მფარველობის შესახებ. ახლა კი „აღმოაჩინეს“, რომ ავტონომიის მხარდამჭერებს შორის „ყოფილა“ სამაზრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ჯვებე გოგოხიაც. მაგრამ სხვა წყაროებით ეს „ჩვენებები“ არ დასტურდება. მაშასადამე ჩეკისტები მუშაობენ თაეიანთი შეფის ძველი ინფორ-

მაციის მიხედვით. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საჭირო ხდება შენგელიას ჩვენებების მოხმობა, ისინი კარგად გვიჩვენებენ, რომ ჩეკას ძიება პოლიტიკურ კლიმატსა და ჩეკისტური ძიების მიმართულებაზე იყო დამოკიდებული. ჩეკა ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა და ამდენად ჩვენებებში ცნებებსა და ფორმულირებებსაც შესაბამისად, საჭიროების მიხედვით ხმარობდა.

ტ. შენგელიას ჩვენებაში ვკითხულობთ: „1934 წელს შედგენილ განცხადებაზე არაფერი ვიცი, ხოლო 1933 წელს და მანამდე აქტიურად ვიბრძოდი მეგრული ავტონომიისათვის... მაგრამ ეს ბრძოლა შეეხება 1921-33 წლების პერიოდს. 1933 წელს საკუთარი ინიციატივით (! — ავტ.) შევადგინე განცხადება ალექსანდრე საჯაიასთან ერთად (! — ავტ.) სტალინის, მოლოტოვის და კალინინის სახელზე, მეგრული ავტონომიის (! — ავტ.) მოთხოვნით (როგორც მის მიერ ნახსენები განცხადებიდან ჩანს, აქ ავტონომიის მოთხოვნა არ დაუყენებია, სულისკვეთება და რეკომენდაციების სახით კი ნამდვილად გამოავლინა ავტონომიის მისწრაფება — ავტ.). ხელი მოვაწერეთ მე, ვლადიმერ ჩემინავამ, ოლგა გვასალიამ, ბონდო გაბისონიამ და ნაჭყებია ირაკლიმ (ე.ი. ხუთმა, მაგრამ არა რვამ, ან ცხრამ — ავტ.). ი. გვასალიამ და რაიგანყოფილების გამგემ ზაქარაიამ აღმომიჩინეს ჩემს ჯიბეში — სადგურში ამომიღეს. ამის გამო მე მომზსნეს სამსახურიდან „ინგურქაღალდმშენში". მოხსნეს ზარქუა (ეს ალბად მეექვსეა — ავტ.) და ეს საქმე განიხილეს, მაგრამ 1935 წელს 8 იანვარს საქართველოს კომპარტიის საკონტროლო კომისიამ ჩემი პარტიიდან გარიცხვა არ დაამტკიცა. მაშასადამე მე გამრიცხეს პარტიიდან... გადამიყვანეს კახათის კოლმეურნეობაში (სუკის არქივი №2983, ფ. 240, 245). ისე გამოყავთ, რომ თითქოს 1921 წლიდან 1933 წლამდე მეგრული ავტონომიისათვის მებრძოლთა ერთიანი ნაკადი არსებობდა და ტ. შენგელია საერთო პოზიციაზე მდგარ სხვა თანამოაზრეებთან ერთად, თავიდან ბოლომდე „სამეგრელოს ავტონომიისათვის" იბრძოდა, ე.ი. ი. ჟვანიას მიმდევრები ერთ საერთო მოდელში თავსდებიან. მაგრამ იმ ვითომ ხუთის განცხადებაში ავტონომიის მოთხოვნა არ იკითხება. ტ. შენგელია რომ წერს „სამეგრელოს ავტონომიისათვის ვიბრძოდიო", არ არის გამორიცხული, რომ მან დააკვალიანა სკპ (ბ) ცკ-ის კომისიის წევრები 1928 წელს კადიროვი, ხოლო 1931 წელს ფრენკელი. აი ეს მართლაც იქნებოდა ბრძოლა. სხვა მაგალითებით მის მიერ ჩადენილი „ავტონომისტური ბრძოლა" არა ჩანს გარდა ზემოთ ნახსენები 1933 წელს წართმეული და სტალინთან გაგზავნილი ერთი „კოლექტიური" განცხადების ასლისა და მეორე პირადი განცხადებისა.

ტ. შენგელიას ეკითხებიან, როდის დაიწყო ბრძოლა ზუგდიდის რაიონის ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ვინ მონაწილეობდა? პასუხში ჩამოთვლილია: კ. ბეჭვაია, ნ. ბოკუჩავა, ბ. ჯანაშია, მ. ჯალაღანია, ე. ნაჭყებია, ი. ქადარია, ვ. წულაია, კ. მიქაია, ფ. კუპრეიშვილი, ლ. ჯალაღონია ვ. ზაქარაია, ი. ჯანაშია, გ. ბერულავა, ვ. ბესელია, ვ. ჩემინავა, ი. კორსანტია. როგორც ვხედავთ ოპოზიციონერთა ჯგუფის წარმომადგენლობა ვ. კვარაცხელიას მიერ დასახელებულებს ემთხვევა და ახალი პიროვნებებიც ჩნდება.

მორიგ კითხვაზე: „რა საფუძველზე აღმოცენდა ეს ჯგუფი?" ტ. შენგელიას ჩვენებაში, ასეთი პასუხები იკითხება: „გვასალიას და როგავას წინააღმდეგ ეს ჯგუფი იმ მიზეზით აღმოცენდა, რომ როგორც რაიკომის ისე რაიაღმასკომის აპარატში შეკრიბეს ელემენტები ყოფილი ტროცკისტებიდან (ყოფილი შავრაზმელი ექიმი დგებუაძე). რაიონის ხელმძღვანელობას არაფერს ეკითხებოდნენ, სხვებს ჩაგრავდნენ... რაიონის ხელმძღვანელობიდან ი. ჟვანიას წასვლის შემდეგ ბიურო შეცვალეს. გამოგვიყვანეს ოლგა, ჯალაღონია მარო და მე" (სუკის არქივი №2983, ფ. 248). აქ სად არის ე.წ. „მაფალუელობისა" და „ადგილობრივი ნაციონალიზმის" გამოვლინება? არსად! ეს არის შიდაპარტიული ბრძოლა. ექიმი დგებუაძე ზუგდიდის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენელია. მაშასადამე, აქ „ავტონომიაც" არაფერ შუაშია. ეს ჩვენება ტ. შენგელიას ჩამოართვა

ჩეკას თბილისელმა გამომძიებელმა მ. კავთელაძემ 1936 წლის 5 იანვარს. ეს ის დროა, როცა ზუგდიდელი ვითომ „მაფალუს — ავტონომისტური“ საქმის გამოკვლევა მ. კავთელაძეს უკვე დამთავრებული და ამასთანავე დამატებითი გამოძიების საფუძველზე დასკვნაც დაწერილი აქვს. იგი ასე იკითხება: დაპატიმრებულებს კვარაცხელია ვ. პ., სართანია ბ. დ., ჯალაღონია მ.კ., ნაჭყებია ი.ლ. და თორდია შ.პ. „წაყენებული ბრალდება არ უმტკიცდებათ“ და მათზე მიღებული აქვს დადგენილება: „პატიმრობიდან განთავისუფლებულები იქნან, საქმე ძიებით დამთავრებულად ჩაითვალოს და არქივს ჩაბარდეს“ (სუკის არქივი №2983, ფ. 284; ხაზგასმა ჩვენია — ავტ.). ეს არის 1935 წლის დეკემბრის ბოლო, ხოლო 1936 წლის 1 იანვარს, ყველა მათგანზე გამოწერილია იზოლატორიდან „განთავისუფლების ტალონი“ (სუკის არქივი №2983, ფ. 285-289). აქედან ჩანს, რომ ყველა მათგანს ყალბად გაუფორმეს ე.წ. „მაფალულობა“, „ნაციონალისტობა“ და „ავტონომისტობა“. მაშასადამე, ის ბრალდება, რაც მათ და სხვა მათი წრის წარმომადგენლებს ადრე მომაკვდინებლად მიაკერეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით 8-58/11, 58/10 და 58/11 მუხლებით, გათვალისწინებული დანაშაულის სახით არ დაუმტკიცდათ. ესე იგი მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში „ავტონომისტურ-სეპარატისტული“, „ნაციონალისტური და კონტრევოლუციური“ თბილისის ჩეკას დამატებითმა გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა. ამდენად, გასაგები ხდება, რომ "პარტიული ინტრიგანობის" ბრალდების ზღვარს იქით საქმე ვერც ტ. შენგელიას გაუზვიადეს.

მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს იმის გარკვევაც, თუ როგორ მოხდა, რომ „სამართალმა პური ჭამა?“ ესეც ლ. ბერიას „წყალობა“ აღმოჩნდა. ამას მოწმობს ჩვენს მიერ არქივში გამოვლენილი დოკუმენტები. აქედან ჩანს, რომ 1935 წლის 29 ივლისს ვ. კვარაცხელიას ძმამ ევგენიმ საპროტესტო განცხადება შეიტანა აკ. სამხარეო კომიტეტის მდივან ლ. ბერიას სახელზე. მან მთელი გაუგებრობა ახსნა, როგორც ვ. კვარაცხელიას საქმიანი კრიტიკის გამო რაიკომის მდივან ი. გვასალიასთან დაპირისპირების მიზეზი. ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა უკვე 1935 წლის 4 აგვისტოს მოისმინა 1934 წლის, ანუ „წალენჯიხის მშრომელი გლეხობის განცხადების შესახებ“ ცკ-ის ინსტრუქტორის კიზირიას მოხსენება. ცკ-მა (ლ. ბერიამ) მეტონიძეს, გოგლიძეს და კიზირიას დაავალა განეხილათ „ვ. კვარაცხელიას და მისი ჯგუფის“ საკითხი და თავისი წინადადებები ცეკის ბიუროში წარმოედგინათ“. საქმე, როგორც ჩანს, ფორმალურად კიზირიას დასკვნის საფუძველზე შემოტრიალდა. მან გამოარკვია, რომ 30 კაცის ხელმოწერილი განცხადება სტალინის სახელზე „სამეგრელოს ავტონომიის“ (ტყეულია, დედანში ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნაა — ავტ.) მოთხოვნით შეადგინეს ვ. კვარაცხელიამ და ტ. შენგელიამ, მაგრამ დამატებითი ძიების მიზნით მოითხოვა საქჩეკას თანამშრომლის გამოყოფა, ადგილზე გაგზავნა და ტ. შენგელიას დამატებითი დაკითხვა თბილისში. როგორც ჩანს ამ ახალი მიდგომის შემდეგ გაარკვია ჩეკისტმა კავთელაძემ, რომ ე.წ. „ვ. კვარაცხელიას ჯგუფის“ აღიარებები და ჩეკას ძიების პირველი ბრალეულობები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. აქ დასადგენიც არაფერი იყო. საჭირო იყო სტალინთან 1934 წელს გაგზავნილი განცხადების დედანში ჩახედვა. მაგრამ ზოგჯერ სიმართლის დადგენა ხელოვნურად რთულდება. ადვილი მისახვედრია, რომ ამ სიმართლის დადგენაში გადამწყვეტი როლი ლ. ბერიას ჩარევამ შეასრულა.

მაგრამ 1937 წელს, როცა ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნა, ჩეკამაც ტ. შენგელიას „ბრალეულობები“ სრულიად ახალ ჰანგზე ააწყო. ახლა უკვე წყალს უყენებენ საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას, რომელიც ტროცკიზმად და ე.წ. „მემარჯვენეობად“ მოინათლა. მათ შორის იყვნენ სამეურნეო მუშაკები: სახკომსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გერმანე მგალობლიშვილი, ი. გვასალია, ი. ჟვანია და მრავალ სხვა. ზუგდიდელი ვითომ „მაფალეულ-ნაციონალისტის“ და ტ. შენგელიას

ბრალდებაც სამუდამოდ როდი მიივიწყეს. მთელ ამ ჰიპერტროფირებულად და ყალბად ჩამოყალიბებულ მასალებსა და კონცეფციას მომდევნო ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში ზოგჯერ მაინც უნარჩუნებდნენ სახმარ ღირებულებას.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ 1935 წელს განხორციელებული ჩეკისტური ძიებით საფუძვლიანად გამოიკვლიეს ე.წ. „მაფალუელი ჩხოუშიელების" „ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმი", ანტიპარტიული საქმიანობა და „კონტრრევოლუციონერობა". გამოძიებამ ცალკეულ ბრალდებულ-დაკითხულთა ჩვენებების საფუძველზე „შეკერა" ყველა წაყენებული ბრალდება: სამეგრელოს ავტონომიისთვის ანტიპარტიული ფრაქციული ბრძოლა, ამ ბრძოლაში ისაკი ევანიას მეთაურობაც, მაგრამ დამატებითი მასალებით დოკუმენტურად დამტკიცდა, რომ არ ყოფილა საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ექსტრემისტულ-ორგანიზაციული და სეპარატისტული ტენდენცია, პროცესი. ფაქტობრივად, ორიოდე ავტონომისტურად განწყობილის (ტ. შენგელიას, ტ. ზარქუას, ა. საჯაიას) ინიციატივით შედგენილ ავტონომისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ განცხადებასა და სამეგრელოს ოლქის მოთხოვნას რამდენიმე ბოლომდე გაუცნობიერებული პიროვნება აწერდა ხელს. ისინი ლეგალურად მოითხოვდნენ სამეგრელოს მართვის მოწყობის საკითხის სკპ (ბ) ცკ-ის და სტალინის მიერ გადაწყვეტას, რომელიც მათი თქმით, ყველა შემთხვევაში მოხსნიდა გაურკვევლობას. შესაბამისად, არ. ყოფილა ბერიას მიერ მათი არც ადმინისტრაციული მეთოდებით დარბევა. ეს სულ რამდენიმე პიროვნების ინიციატივა იყო და აქაც მთავარ როლს ერთი, ტარასი შენგელია ასრულებდა.

აღნიშნულის გამო ისმება კითხვა: სად არის საფუძველი იმ ბრალდებებისა, რომელიც ქართულმა პუბლიცისტიკამ და მეცნიერებამ ზუგდიდელებს „დაუსაბუთა?!" წინამდებარე წიგნის მოცემულ და ყველა წინა თავში, ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჯერჯერობით ასეთი საფუძველი არა ჩანს, ის კი კარგად ირკვევა, რომ სამეგრელოსა და კერძოდ ზუგდიდში არავითარი ანტიქართული მოძრაობის ტენდენციები და პროცესები არა ყოფილა. ყველა ისინი, რომელთა გამო განგაში ასტეხეს, გაამართლეს და დაუბრუნეს მშვიდობიან ცხოვრებას. ამ დროს აღარც ზოგი ის „ავტონომისტი" და ვითომ „ავტონომისტ-სეპარატისტი" შეუწუხებიათ, რომლებიც ადრე სხვადასხვა დროს კუთხური პატრიოტიზმის, მეგრული ენის სიყვარულის, მისი თავისუფალი საზოგადოებრივი გამოყენების მიზანშეწონილობის თუ სამეგრელოს ავტონომიის მომხიბვლელობისა და მეგრული გაზეთის მოპოების მისწრაფებით აწერდნენ ხელს ზემდგომი ორგანოების მიმართ გაგზავნილ საჩივრებსა და საპროტესტო წერილებს.

მომდევნო თავებში დამატებით გავეცნობით ე.წ. „მაფალუიზმისა" და ვითომ მართლა არსებული მეგრული ანტიქართული სეპარატიზმის ტენდენციებისა თუ პროცესების შესახებ მსჯელობის უსაფუძვლობას. ამ მიზნით პირველ ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ ჩეკას ორგანოების მიერ პატიმრებისგან აღიარებების ანუ მხილებების მოპოვების სპეციფიკას.

თავი XX

პარტიის ახალი კურსი და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში

1935 წლიდან „მეგრული საკითხის" მოგვარების საქმეში დაიწყო პარტიულ-პროფილაქტიკური სახელმწიფოებრივი ღონისძიებების უპირატესი გატარებიდან ახალი, ჩვენი ისტორიის ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელი რეპრესიების მეთოდებზე აშკარა გადასვლა. ამ დროიდან აამოქმედეს საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მართვის ყველაზე ეფექტიანი, პოლიციური მეთოდები. ამ გზით 1936-1937 წლებში „მეგრული საკითხი" ჩეკისტურად გადაიჭრა და ე.წ. „მაფალუელობაც" საბოლოოდ „აღმოიფხვრა". ამ საქმეში მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩეკამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი ლავრენტი ბერია.

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ „მეგრული საკითხის" „მოგვარებაში" ბერიას და უშიშროების ორგანოების განსაკუთრებული როლი, საჭიროა გავიაზროთ რეპრესიების ერთგვარი მოკლე ისტორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მთლიანად ქვეყანაში, საქართველოში და კონკრეტულად ზუგდიდში აღინიშნებოდა მსგავსი პროცესები. ასეთი მიდგომა დაგვანახებს, რომ იგი მიმდინარეობდა ზოგადი და სპეციფიური გამოვლინებებით, რომლის დროსაც ე.წ. „მაფალუელობასთან" ბრძოლა იყო პარტიისა და ხელისუფლების ტოტალიტარული რეჟიმის მიერ სამეგრელოს ცხოვრების საერთო ქართული ბრძანებლურ-ადმინისტრატორული შაბლონითა და ძალმომრეობითი მართვის სპეციფიური მეთოდი.

ამ თავის სათაურში ფორმულირებული აზრის სიღრმისეული შემეცნება, როგორც მინიმუმი, უსათუოდ მოითხოვს საყრდენ ცოდნას: საქართველოს ოკუპაცია-ფაქტობრივი ანექსიის, ჩვენში სოციალისტური აღმშენებლობის, ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა და 20-30-იანი წლების ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის უმთავრესი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებას. აღნიშნული პოლიტიკური ისტორია, საგნობრივად მოწმობს, რომ 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიებისათვის, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, საქართველოშიც უაღრესად პოზიერი ნიადაგი მომზადდა. ამ ნიადაგის გადახვნის საქმეში კი, ხელმძღვანელი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა, ლავრენტი ბერიამ. ეს აზრი არ გამორიცხავს საბჭოურ აღმშენებლობაში მის დამსახურებას, მაგრამ ამის გაშუქებას არ მოითხოვს ჩვენი ახლანდელი კონკრეტული კვლევა.

არ არის მართებული ათეული წლების მანძილზე საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდით დამკვიდრებული აზრი, თითქოს 30-იან წლებში განხორციელდა მხოლოდ სრულიად უდანაშაულო, სოციალისტური ცხოვრების აღმშენებლობაში კმაყოფილებით ჩაბმული ადამიანების რეპრესიები. სინამდვილეში სოციალისტური ცხოვრების წესმა და რეალურმა სინამდვილემ საქართველოს მოაზროვნე მოსახლეობის დიდი უმრავლესობის უკმაყოფილება ასაზრდოვა. უკმაყოფილებას იწვევდა: საბჭოთა რუსეთის მიერ სუვერენული საქართველოს დაპყრობა; ცხოვრების უკიდურესად მძიმე პირობები; პროგრესის უიმედო პერსპექტივა; ოკუპაციით, ამიერკავკასიის ფედერაციით და საბჭოთა კავშირის შექმნით საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემდგომი ხელყოფა; რესპუბლიკის ტერიტორიების შეკვეცა; საქართველოს გეოგრაფიული სივრცის გაუმართლებელ ავტონომიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა; ეკლესიისა და სარწმუნოების სახელმწიფოებრივი დევნა; სოფლის მოსახლეობის მიმართ ძალადობის ხარჯზე განხორციელებული ინდუსტრიული მშენებლობა; მიწისა და კერძო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, ერთპიროვნული მეურნეობების იძულებითი კოლექტივიზაცია და გლეხობის დაკაბალება; მოსა-

ხლეობის ერთი, ხელისუფლების მიერ დარბეული და დევნილი ანტისაბჭოთა შიდა და ემიგრანტი პოლიტიკოსების მიმართ შეურიგებლობა-დაუნდობლობა; ქართველი მოსახლეობის ფართო ფენების სასიცოცხლო ინტერესების სახელმწიფოებრივი იგნორირება, ამ მიზნით განხორციელებული ინტელიგენციის პოლიტიკური დისკრედიტაცია და სხვ.

ზემოთ აღნიშნული მიზეზებით შექმნილმა უკმაყოფილებამ 20-30-იან წლებში რელიეფური გამოვლინება ჰპოვა ანტისაბჭოთა გამოსვლებში, 1922 და 1924 წლის აჯანყებებში, ანტისაკოლმეურნეო მოძრაობასა და ხელისუფლების მიმართ ინტელიგენციის პატრიოტული ნაწილის გაუცხოებაში.

მას შემდეგ, რაც მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო მის მიმართ მტრულად განწყობილი არალეგალური პატრიოტული ძალების გამოსვლები, იერიში წამოიწყო ლეგალური ოპოზიციური ძალების მიმართ. იგი განსაკუთრებული დაუნდობლობით შეებრძოლა ნაციონალური თავისებურებების ინტერესების გამომხატველ შიდაპარტიულ ე.წ. ნაციონალურ-უკლონისტურსა და ტროცკისტულ, ანტისაბჭოთა ოპოზიციად შეფასებულ დაუთორჩილებელ ინტელიგენციას, რომელთა შორის იყვნენ სამშობლოს ბედით დაინტერესებული ადამიანები, პატრიოტები. მათი დათრგუნვის შემდეგ ხელისუფლებამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, ანტისაბჭოთა კონდრატეველობის, მაენებლობისა და ფაშიზმის ბრალდებით, გააჩაღა ბრძოლა მის მიმართ კომპრომისული მეთოდებით მებრძოლ ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის წინააღმდეგაც.

ყველა ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებდა ფაქტობრივად არა მარტო უკლასო და ოპოზიციის გარე საზოგადოების მშენებლობის, არამედ ფაქტობრივად ერთგვაროვანი სოციალური საზოგადოებისა და შესაბამისი ერთგაროვანი, კომუნისტურ-სოციალისტური აზროვნების ჩამოყალიბების მიზნით.

30-იანი წლებისათვის დასახულმა ახალმა, რეკონსტრუქციის, ანუ ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობის სახელმწიფოებრივმა კურსმა ხელი შეუწყო საქართველოს უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში სტალინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ბელადთან საიდუმლო არხებით დაკავშირებული, რეჟიმით უკმაყოფილო ძალებთან ბროლებში წარმატებული ჩეკას ორგანოების ნაცადი ხელმძღვანელის, ლავრენტი ბერიას დაწინაურებას (31.X.1931).

ბერიამ ქვეყნის უაღრესად რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას დუმორჩილა სახელმწიფოებრივი მართვის ყველა ბერკეტი. იგი განსაკუთრებით ნდობით ეკიდებოდა და ეყრდნობოდა თავის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ, სოციალისტური მართვის მთავარ დასაყრდენს — უშიშროების ორგანოებს. მისი მოღვაწეობა დამთხვა ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბის იმ მოვლენებს, რომელმაც რეალური საფრთხის პერსპექტივა შეუქმნა სტალინურ ბოლშევიზმს. ეს იყო 30-იან წლების გერმანიაში უკიდურესად მებრძოლი ექსტრემისტული ნაციონალიზმის გამარჯვება (1933-1934), რომელიც ამ ახალი რეჟიმისათვის ბრძოლის გაფართოების საშიშროებით დაემუქრა მსოფლიოს, ბოლშევიკურ-საბჭოურ ხელისუფლებას კი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წალეკვის აშკარა პერსპექტივა დაანახა.

გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გამარჯვება-გაძლიერებამ ხელი შეუწყო ქართველი ანტისაბჭოთა ოპოზიციური, განსაკუთრებით, პროგერმანული და გერმანოფილური ინტელიგენციის აზრის გააქტიურებას. ქართული პატრიოტული ინტელიგენციის ამ ნაწილში რომელიც ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, გერმანიის მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული ძალების მხარდამჭერისა და დამოუკიდებლობის მოპოვების (26.V.1918) გამოცდილების ანალოგიით, განსა-

კუთრებით მომძლავრდა გერმანიის მხარდაჭერითა და მისი დახმარებით საქართველოს ხელახალი განთავისუფლების შესაძლებლობის იმედი.

აქამდე ქართული პატრიოტული ინტელიგენციის მთავარ საფიქრალსა და საზრუნავს წარმოადგენდა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება-გაძლიერებისთვის ზრუნვა, ხოლო ხელისუფლების კრიტიკა ხდებოდა უმთავრესად შეფარული პატრიოტული ოპოზიციური პოეზიითა და პროზით, სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერული საქმიანობით.

ამ ახალ ვითარებაში თავი აშკარად იჩინა ადამიანების ერთმანეთს შორის უშუალო კონტაქტების დროს გაძლიერებულმა, რეჟიმისა და მისი მესვეურების მიმართ კრიტიკულმა და ზოგჯერ აშკარად მტრულმა გამოხდომებმა. ქართულ ინტელიგენციაში ჯერ კიდევ შემორჩენილმა ურთიერთნდობამ, თანამოაზრეთა შეხვედრებზე, ქეიფებზე და შეკრებებზე გამოვლენილმა გულგახსნილობამ თუ გაბედულობამ იმის უამრავი მაგალითი შემოგვინახა, რომელიც მოწმობს, რომ ხშირად ანეგდოტები და ქილიკი გამოითქმებოდა არამარტო სახელმწიფოებრივი რეჟიმის, არამედ მისი ბელადების მიმართაც. რეჟიმით უკმაყოფილოთა წრეში ხშირად გაისმოდა: „ეს ჩეკისტი რაღას დაგვასვეს თავზეო". ერთ-ერთი მეგობრული ლხინის მონაწილე პოეტმა (შ. შავგულიძემ), აზრი გამოსთქვა „ზემოთ გასროლის" საჭიროების შესახებ. თანამედროვეთა გადმოცემით, ორჯონიკიძის ძმა, პაპულია ორჯონიკიძე თავის ძმა სერგოსაც კი ხალხში დაუფარავად აგინებდა. სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ ერთ ვიწრო, მეგობრულ ვახშამზე ნიკოლო მიწიშვილმა შეაგინა ბერიას. კ. გამსახურდიას ერთმა ჩანაწერმა მოგვითხრო, რომ ლ. ბერიასთვის უხეშად და ფამილიარულად მიუმართავს ა. ახმეტელს, რაც ცნობილ ჩეკისტსა და ბერიას მარჯვენა ხელს ჭიჭიკო რაფავას დაუფიქსირებია. მაშასადამე, განსხვავებული პოზიციის წრეებში, სხვადასხვა ფენებსა და დონეზე მსგავსი აპოლიტიკური გამოთქმების უამრავი შემთხვევა გვხვდება. აღნიშნული და მსგავსი გამოვლინებები მოწმობენ, რომ ქართველი ინტელიგენციის სახით საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო ფენებში საკუთარი მყარი დასაყრდენი ვერ შექმნა. ამაზე მეტყველებს აგრეთვე, ის, რომ გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მომძლავრების შემდეგ, ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში განსაკუთრებით გაძლიერდა პროგერმანული განწყობილება. ქართველმა პატრიოტმა ემიგრანტულმა ინტელიგენციამ გერმანელი ერისა და აგრეთვე ქართველებისათვის გამართლებულად მიიჩნია ნაციონალ-სოციალიზმი, რომელიც ეროვნულ-პატრიოტიზმად და ქვეყნის მძიმე მდგომარეობის სწრაფი დაძლევის შესაძლებლობად დაისახა. ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ფაშიზმის თანმხლები, მოგვიანებით გამოვლენილი უარყოფითი მოვლენების პრაქტიკული მაგალითები და გამოცდილება, ამით აიხსნებოდა ნაციონალ-სოციალიზმისადმი ქართველი პატრიოტების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესი და მისწრაფება. ამ დროს საერთაშორისო არენაზე არც სხვა ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივა ჩანდა, რომელიც საბჭოთა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული და იმპერიული სივრციდან საქართველოს გამოყვანის იმედს დასახავდა. ამიტომ ქართული ემიგრანტული ანტისაბჭოურად განწყობილი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, რომელიც ჩვენი დაუმორჩილებელი ინტელიგენციის მთავარ ძარღვს წარმოადგენდა, ნაციონალ-სოციალიზმი და ფაშიზმი მსოფლიოს ახლებურად მოწყობის უცილო შესაძლებლობად და საქართველოს დამოუკიდებლობის ერთადერთ რეალურ პერსპექტივად მიიჩნია.

ზემოთაღნიშნული განწყობილებით შეხვდა ქართული ინტელიგენცია ს. კიროვის მკვლელობის (I.XIII.1934) საბაბით სსრ კავშირის მასშტაბით წამოწყებულ შიდაპარტიულ წმენდას, რომელიც ზინოვიევ-კამენევის ე.წ. მოსკოვის ცენტრის ელემენტებისაგან წმენდით (ანუ „ჩისტკით") დაიწყო და ფაშისტურ გერმანიასა და მის სატელიტებთან მომავალი, გარდაუვალი და გადამწყვეტი შეტაკების შემთხვევისათვის ქვეყნის ხელისუფლებისათვის საეჭვო, სხვაგვარად

მოაზროვნე და დაუმორჩილებელი „ელემენტებისაგან“ ზურგის გაწმენდა-გაძლიერებას ისახავდა მიზნად და ამიტომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით და განსაკუთრებული დაუნდობლობით ტარდებოდა.

ჩვენს მიერ გამოვლენილ, უაღრესად საყურადღებო წყაროებით დავადგინეთ, რომ საქართველოში წმენდის ჩატარება ზემოდან, საკავშირო ხელისუფლების და საკავშირო ჩეკას ინიციატივით დაიწყო. იგი ასევე მათი წაბიძგებითვე დაჩქარდა და ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა, ბოლოს კი საერთო-საკავშირო მასშტაბებთან შედარებით უფრო მძიმე რაოდენობრივ-თვისობრივი მახასიათებლებით დამთავრდა. ეს განპირობებული იყო საქართველოს მართლაც თავისებური პოლიტიკური ცხოვრებით და მისი განსაკუთრებული ადამიანური მოთხოვნილებების საერთო რუსული შაბლონით მართვის მეთოდებით. ამასთანავე, ჩვენში განსაკუთრებით მძიმედ გამოვლინდა რესპუბლიკის ჩეკისტური მართვის უარყოფითი, ექსტრემალური სიტუაციები და მათი თანმხლები მოვლენები.

30-იანი წლების რეალური პოლიტიკური ისტორიის მეცნიერულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ საქართველოში ხელისუფლების დამხობისა და სოციალურ-პოლიტიკური წყობის შეცვლის რეალური ძალა და, შესაბამისად პოლიტიკური რეპრესიების აუცილებლობა არ იყო. პოლიტიკური ფონი არაადეკვატური იყო აგრეთვე საქართველოში განხორციელებული უხეში და სასტიკი რეპრესიებისა. ამის საილუსტრაციოდ საყურადღებოა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ყოფილი „ნაციონალ-უკლონისტის“, ტროცკისტად შერაცხულისა და რეპრესიებგამოვლილი სერგო ქავთარაძის ოფიციალური განცხადება, რომელიც მან 1954 წელს პირადი ინიციატივით წარუდგინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს. მასში ნათქვამია:

«После ликвидации внутрипартийной оппозиции (1929-1930 гг. – Авт.) никакой организации оппозиционного характера в Грузии не существовало, а, следовательно, и никакого антипартийного центра. Была группа ответственных лиц, настроенных оппозиционно. Об их какой бы то ни было деятельности против партии и Советской власти мне абсолютно ничего не известно...» (სახ. უშიშროების სამინისტროს არქივი № 11545-58, ფურც. 71). აღნიშნული აზრი, სწორად გამოხატავს საქართველოში არსებულ ზოგად ფონსა და პარტიულ-საბჭოთა ინტელიგენციაში არსებულ მდგომარეობას. სადღეისოდ, არც ერთ კომპეტენტურ მეცნიერს არ გამოუვლენია საწინააღმდეგო მასალა, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ 30-იანი წლების საქართველოში არსებობდა სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი, ორგანიზებული ოპოზიცია. ძველი ტერორისტული და ამბოხებითი ტაქტიკის მიმდევრების შემორჩენილი ნაწილი „დადედლებული შიშისაგან აღარ ვარგოდნენ მამლადა.“ მაგრამ არსებობდა ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის ოპოზიციური განწყობილება, შეინიშნებოდა ცალკეული ანტიბოლშევიკური ჯგუფების კონსპირაციული საქმიანობა, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლებოდა გადაზრდილიყო დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლის მაორგანიზებელ ძალად.

ზემოთ აღნიშნულის გამო საქართველოში ანტისაბჭოთა „კონტრრევოლუციის“ გამოვლინება-განადგურებას ბერიამ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. 1930 წლიდან ეროვნულ პატრიოტიზმთან ბრძოლა დაიწყო ე.წ. „მავნებლობის“, „რეაქციონერობის“, კონდრატევშინის და მემარჯვენე გადახრის საბაბით, შემდეგ კი ქართული ტროცკიზმის განადგურების მოტივით. ლ. ბერიამ 1936 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილ წერილში „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“, სოციალიზმის წარმატებათა კვალობაზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ძალების შესაძლო გააქტიურების სტალინური პოსტულატის თეორიულ საფუძ-

ველზე, ჩამოაყალიბა ადგილობრივი, სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ამოცანები. ბერიამ „სტალინური პროგნოზებით“ ხელმძღვანელობისა და საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად, დაასახელა ანტისაბჭოთა ადგილობრივი ძალები: ყოფილი ნაციონალ-უკლონისტები, შემდეგ ტროცკისტები, რომელთა ერთი ნაწილი ნამყოფია გადასახლებაში, ნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც ბლოკს კრავენ ზინოვიევ-ტროცკისტებთან, საზღვარგარეთის მენშევიკებთან და სხვა. მან ქვეყანას ამცნო, რომ თითქოს უკვე ამ დროს: „საგრძნობი ნაწილი ნაციონალ-უკლონისტებისა... ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან ერთად... დაადგა ჯაშუშობის, დივერსიისა და ტერორის გზას“. ბერიამ ამოცანად დასახა, რომ ზემოთ აღნიშნული ელემენტები „დაუნდობლად იქნან გამოაშკარავებული“. ეს იყო მოქმედების პროგრამა-დირექტივა, რომელიც ჩეკას გააქტიურებას იწვევდა საქართველოში. მან, აგრეთვე დაასახელა „უკვე გამოაშკარავებული“ ტროცკისტები: აკირთავა, კანდელაკი, ჩიხლაძე, გასვიანი და სხვა. მაშასადამე, უკვე ამ დროს განისაზღვრა ჩვენთვის საინტერესო 1937-1938 წლების დიდი ტერორის და შესაბამისი „მეგრული საკითხის“ „მოგვარების“ პროცესის ის ანი და ბანი, რომელიც როგორც ჩანს, მოწონებული იყო თვით დიდი სტალინის იდეური ნასიბრძნითა და რეჟისურით.

1937 წლის იანვარში საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების გენერალურმა კომისარმა ეჟოვმა, ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური საკავშირო ტროცკისტული ცენტრის ერთ-ერთი ლიდერის სერებრიაკოვის ხანგრძლივი წამების შემდეგ მისგან „მოიპოვა“ საკავშირო ტროცკისტული ცენტრის განშტოების „საქართველოს ტროცკისტული ცენტრის“ შემადგენლობა. ესენი იყვნენ ცნობილი, ყოფილი ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტი, ტროცკისტები“: ბუდუ მდივანი, მიშა ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, სიმონ ჩიხლაძე და ნიკო კიკნაძე. ნაწამები სერებრიაკოვის ჩვენებაში ნათქვამია: „ლაპარაკი გვქონდა ტროცკის დირექტივებზე. ბუდუმ თქვა: მოგვეცით ბერიას მოკვლის სანქციაო“... (სახ. უშიშროების სამინისტროს არქივი № 5875, ტ. 1, ფ. 30; № 2431, ფ. 201).

საეჭვოა, რომ ბერიამ ეჟოვ-პიატიკოვისაგან მიღებული ინფორმაცია დაიჯერა. მაგრამ ფაქტია, რომ, ამის შემდეგ საქართველოს ჩეკას იზოლიატორისა და ციხეების საკნებში პატიმრების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. სათანადო ისტორიის წყაროები ნათლად ადასტურებენ, რომ საქართველოს უშიშროების ორგანოებს უშუალო პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს კომპარტიის მდივანი ბერია.

1937 წლის გაზაფხულზე ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ბერიას დირექტივებითა და პრაქტიკული ხელმძღვანელობით ოპერატიულად „გამოაულინეს“, ანუ ფაქტობრივად რეპრესიებისა და ფალსიფიკაციების გზით შეთითხნეს საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრისა და მისი განშტოებების შემადგენლობა. განსაკუთრებული ჩეკისტური წარმატებები იქნა მოპოვებული საქართველოს კომპარტიის X ყრილობის შემდეგ. იგი დაკავშირებული იყო გაზეთ „პრავდაში“ 22 მაისს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილთან – „საქართველოს კომუნისტების ყრილობაზე“. მასში ნათქვამი იყო საქართველოში საკ. კომპარტიის თებერვალ-მარტის პლენუმის დირექტივების გაუგებრობისა და საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე დელეგატების „ალილუია“ სიტყვებით გამოსვლის შესახებ. ამით ფაქტობრივად სასტიკად იყო გაკრიტიკებული ბერიას ხელმძღვანელობა. არადა, საკავშირო პლენუმზე სტალინმა ამოცანად დასახა კლასობრივი მტრების დაჩქარებული განადგურება. თებერვალ-მარტის პლენუმზე გაისმა სტალინური ფრაზა: „С разоблачением ... злейших врагов Наркомвнутдел запоздал крайней мере на 4 года“ (იხ. კრებული: Урок дает история. М., 1980, с. 257). გაზეთ „პრავდის“ აღნიშნული წერილიდან კი ისე გამოდიოდა, რომ საქართველოს კომპარტიამ, მისმა აქტივმა და ცეკის მდივანმა ლ. ბე-

რიამ ალღო ვერ აუღეს სკპ (ბ) პარტიის გენერალურ ხაზის ცხოვრებაში გატარების მოთხოვნას. მაშასადამე, ისე გამოჰყავდათ, თითქოს ბერია სტალინის დირექტივების შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების საქმეში დანაშაულებრივად მოდუნდა. ასეთი ბრალდების დროს ბერიას მხრივ „დაყოვნება" არ შეიძლებოდა.

ბერიამ გაარკვია კრიტიკული წერილის ავტორის, „პრავდის" თბილისელი კორესპონდენტის მეზენინის ვინაობა და „გაბედულობა". აღმოჩნდა, რომ წერილის კრიტიკული ნაწილი გაზეთში კორესპონდენტის ნებისა და მისი მხრივ ინფორმაციის მიწოდების გარეშე იყო შეტანილი. მაშასადამე, ეს იყო სეროიზული გაფრთხილება „ზემოდან", რომელიც, სტალინის დასტურის გარეშე უთუოდ ვერ გამოქვეყნდებოდა.

თანამედროვე პუბლიკაციებში ხშირად ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ გარკვეულ პერიოდში ეჟოვმა ბერიას, როგორც პოტენციურ მოწინააღმდეგეს, განადგურების რეალური საფრთხე შეუქმნა. ამის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოდ და მოხმობის ღირსად გვესახება აღნიშნული პერიოდის მოვლენების მომსწრის გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერებში" დამოწმებული პასაჟი. „ეჟოვმა განსაჯა, — წერს გ. ქიქოძე, — რომ ბერია თბილისში მეტ თაოსნობას და დამოუკიდებლობას იჩენდა, ვიდრე მის მდგომარეობას შეეფერებოდა და გოგლიძეს საიდუმლო მოწერილობით დაავალა თავისი შეფი დაეტუსაღებინა და მოსკოვში გადაეგზავნა. გოგლიძემ თავის მხრივ სწორად განსაჯა, რომ თუ თავის მფარველს დაატუსაღებდა, თვით მასაც კარგი დღე არ დაადგებოდა, ამიტომ ბერიას დაუყოვნებლივ აცნობა საქმის ვითარება. ბერია მეორე დილითვე აეროდრომზე ცრემლთა ფრქვევით გამოეთხოვა თავის ცოლშვილს და მოსკოვში გაფრინდა; იქ სტალინს თავის მრავალწლიანი ერთგული სამსახური გაახსენა და დაარწმუნა, რომ მისი ნამდვილი მოღალატე ეჟოვი იყო"... (იხ. გვ. 46). ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებლია, რომ ეჟოვ-ბერიას ინციდენტი ემთხვეოდეს „პრავდის" კრიტიკული წერილის გამოქვეყნებას. გ. ქიქოძის მონათხრობის ბოლო წინდადება კი, მთალიანად ესადაგება 20-30-იან წლებში საქართველოში მყოფი ბერიას უახლოესი მეგობრისა და თანამშრომლის, ჩეკისტ „კაკოს" მოგონებას იმის შესახებ, რომ ბერია ჯერ კიდეე 1922-1923 წლიდან საიდუმლოდ იყო დაკავშირებული სტალინთან და ძერჟინსკისთან და საქართველოში ძირს უთხრიდა სტალინის ოპოზიციას (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 6, 8 ივლისი).

აღნიშნულ პოლიტიკურ მოვლენებს ესადაგება აგრეთვე ბერიას და საქართველოს ჩეკას იმდროინდელი საქმიანობის შესახებ არქივებში გამოვლენილი მრავალმხრივი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ სწორედ ამ დროს ემთხვევა ძიების პროცესში პატიმრების მასობრივი მიზიდვა, მათი სასტიკი წამება, დამუშავება, გადაბირება, საგამოძიებო საქმიანობის ფალსიფიკაცია, ბერიას და ჩეკის მიერ სასურველი ჩვენებების გამოძალვა პოლიტიკური პატიმრებისაგან და ა.შ.

ინფორმაციის გამოძალვის მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულ უამრავ მაგალითს სასურველია შევძინოთ მცირე დამატებითი ინფორმაცია. იგი გადმოგვცემს საქჩეკას ყოფილი მუშაკის ლ. სტარშოვას მონათხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აქებდნენ ბერია და გოგლიძე გამომძიებელ კრიმიანს, რომელმაც წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მიაღწია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი (ბერიამდელი) და ბერიას მიერ განადგურებული მდივნის, სამსონ მამულიასაგან ყალბი აღიარებების მიღებას. სტარშოვას ჩვენების მიხედვით ბერიას უთქვამს: „Молодец Кримян, из нечего может сделать дело, из камня выжмет" (იხ. საქმე №11 545, ფ. 124) ერთხელ ლ. სტარშოვას თანდასწრებით ბერიას ს. მამულიასთვის ირონიით უკითხავს „აღიარე კონტრრევოლუციური მუშაობა?" ს. მამულიამ უპასუხა: „ოქმში დაწერილი ყალბია, ცემით მოპოებულია და კრიმიანზე მიუთითა. ამის გამო კრიმიანმა ბერიას თანდასწრებით უყვირა და სახეში მუშტი ჩაარტყა" (იხ. იქვე, ფურც. 125).

ეს ამბავი ჩეკას გამოძიების ჩვეული ეპიზოდია. როგორც მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთმა გამომძიებელმა 1950-იანი წლების რეაბილიტაციის დროინდელი დაკითხვისას უჩვენა, მ. ჯავახიშვილიც ბერიას თანდასწრებით და მისი ნებით უსასტიკესად აწამეს. არადა, ცნობილია, რომ ს. მამულიას დაკითხვის დროს თვალი ამოთხარეს. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილსაც ბერიას, ქობულოვის და სხვათა თანდასწრებით სახეში ისე დაარტყა მისმა გამომძიებელმა, რომ იატაკზე უგრძნობლად დაანარცხა. მისი არაადამიანური წამების შესახებ სხვა ინფორაციაც არსებობს. საყურადღებოა, აგრეთვე, ძველი ბოლშევიკის, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის, ბერიას მუშაობის პირველ წელს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის მამია ორახელაშვილის მიერ ი. მ. ვარძიელთან დაპირისპირების ასეთი მაგალითი: სასტიკი წამების მიუხედავად ი. ვარძიელმა მასზე მ. ორახელაშვილის ჩვენება არ დაადასტურა. მ. ორახელაშვილი, რომელსაც სისტემატური წამებისაგან ძალა უკიდურესად ჰქონდა გამოცლილი, ავტომატურად იმოწმებდა თავის „მამხილებელ" ჩვენებას, რომლის დროსაც აღშფოთებულ მოწინააღმდეგეს თვალებში ვერ უყურებდა. ამ დაპირისპირებისათვის მ. ორახელაშვილი საგანგებოდ კრიმიანს მოუმზადებია. რუხაძემ აღიარა: „კრიმიანმა შთამაგონა, რომ სუსტი ადამიანისგან რეპრესიებით ყველაფრის მიღება შეიძლებაო" (იხ. იქვე, გვ. ფ. 164-165).

საქართველოს ჩეკას იზოლიატორის უფროსმა ნადარაიამ 1953 წლის 24 სექტემბრის დაკითხვის დროს უჩვენა: „...ერთმა პატიმარმა მთხოვა გამომეძახა საუბრისათვის... მომიყვა, რომ მის საკანში... მ. ორახელაშვილი... დაკითხვიდან დაბრუნების შემდეგ, თანამესაკნეებს ეუბნებოდა, რომ აიძულებდნენ ყალბი ჩვენებების მიცემას და იმ პიროვნებათა დასახელებას, რომლებიც არაფერში დამნაშავე არ არიან... ამბობდა: მე დაპატიმრებული ვარ, რადგან ბერიას წინააღმდეგი ვარ... დაკითხვის დროს შემომთავაზეს საკუთარი ხელით დამეწერა ჩვენება, რომელშიც კონტრრევოლუციის მონაწილეებად უნდა შემეტანა ყველა ვისაც კი გვარით ვიცნობ: რაიკომის მდივნები, კომუნისტები, რომლებიც თუნდაც რომ არ იყვნენ ტროცკისტული ორგანიზაციის მონაწილენი ... შემდეგ ჩვენ გავარკვევთო... „ბერია პირადად ეცნობოდა მ. ორახელაშვილის შესახებ კრიმიანის მიერ მოპოებულ ჩვენებებს და თვითონვე აძლევდა მითითებებს მისი საქმის გამო" (იხ. იქვე, ფურც. 167).

მოწმე არზანოვმა 1954 წლის 10 ივნისის დაკითხვის დროს უჩვენა: „კრიმიანი ძლიერი ცემის შემდეგ ორახელიშვილისაგან მოითხოვდა, ჩვენებებში ჩაეწერა იმის შესახებ, რომ ს. ორჯონიკიძის აგარაკზე შეკრებილი, ბერიას მიერ მოხსნილი საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები, იხილავდნენ ბელადზე ტერაქტის განხორციელების საკითხს"... (იხ. იქვე) ასეთი და მსგავსი მაგალითები მოწმობენ, რომ 1937 წლის რეპრესიების დროს ბერია კონკრეტულ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობას უწევდა ჩეკას იმ ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან პირთა საგამოძიებო საქმის წარმოება ჰქონდა მინდობილი. მაშასადამე, როგორც ჩანს, მეგრელ თანამოაზრეთა შეკრებებზე გამოთქმული უკმაყოფილების, შეფასებების და ვარაუდების ჰიპერტროფირება ხდებოდა მათი პრაქტიკული მოქმედებად გასაღების მიმართულებით. ასეთებს შორის იყვნენ ქობულოვი, კრიმიანი, ხაზანი და სხვა, ხოლო წამებულთა და „მხილებულთა" შორის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო სფეროს უმაღლესი ეშელონის მუშაკები: ს. ქავთარაძე, ბ. მდივანი, შ. მათიკაშვილი, მ. ორახელაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, გ. მგალობლიშვილი, ი. ჟვანია, ი. გვასალია და მრავალი სხვა. ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მუშაკებს შორის სასტიკი წამება განიცადეს ალექსანდრე ახმეტელმა, ლიდა გასვიანმა, ნ. მიწიშვილმა, მ. ჯავახიშვილმა და სხვებმა. პუბლიკაციებში ასახულია განსაკუთრებით სასტიკი, ჩეკისტების მიერ გამოყენებული პატიმრების წამების არაადამიანური მეთოდები: გამოიყენებოდა სპეციალური საოპერაციო მაგიდის მსგავსი საწოლი, ცხელი და ცივი საკნები; ცემის გარდა იყენებდნენ პატიმრის

ფსიქოლოგიურ დამუშავების მეთოდებს, რომლებიც გამოიყენებოდა სასურველი აღიარებების მიღების და ამ გზით სხვათა ბრალეულობების შეთითხვნის, ან ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-ტერორისტული ქსელის გამოვლინება-გაფართოების მიზნით (იხ. გ. ციციშვილი, „სუკის არქივში კურიოზებიც გვხვდება", გაზ. „ქმაგი", 1991, 4 ივლისი; მისივე, „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები". თბ. 1998, გვ. 121-133).

წამების მაგალითებიდან ყველაზე საინტერესოდ გვესახება სერგო ქავთარაძის მიერ განცდილი და აღწერილი. იგი მოგვიოთხრობს: „Находясь под постоянным действием невыносимых методов (угрозы расстрелом, инсценировки расстрела, физическое и нервное изнурение, граничавшее с умопомешательством, например, мне казалось, что у меня сохнет голова и сокращается череп), я наговорил на себя и признал наговоры других лиц на меня (Мдивани, Гасвиани, Серебрякова и др.). На эти наговоры, парируя и защищаясь, я отвечал контрнаговорами, как это было на очной ставке Мдивани со мной. Возможно, что в условиях психического и физического принуждения мною даны требуемые следователями покозания!" (იხ. საქმე №11545, ფ. 71).

უნივერსიტეტის პროფესორის სიმონ ყაუხჩიშვილის საგამომძიებო საქმეში შეტანილი იყო ვითომ ს. ქავთარაძესგან მოპოვებული მრავალგვერდიანი, კრიმინანის ხელმოწერით და ჩეკას სამკუთხა ბეჭდით დამტკიცებული კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ბრალეულობების ამსახველი ოქმი. 50-იანი წლების სარეაბილიტაციო გადაკონტროლებითა და აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით გაირკვა, რომ საბრალდებო დოკუმენტი ს. ქავთარაძის გარეშე, გამომძიებელ კრიმინანის მიერ იყო შეთითხნილი (იხ. გ. ციციშვილი, „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები", გვ. 178-180). ს. ყაუხჩიშვილმა ამხილა, აგრეთვე, მისი ჩვენებად გამსაღებელი გამომძიებლის მეთოდური ნაცოდვილარი. ამით ცხადი გახდა ჩეკისტური ძიების კიდევ ერთი საინტერესო მეთოდი. თურმე ს. ყაუხჩიშვილს დააწერინეს ავტობიოგრაფია იმის მითითებით, თუ ვინ იყო მისი მასწავლებელი, ვინ იყვნენ მისი მეგობრები, ვინ ხვდებოდა საზღვარგარეთ და საქართველოში და ა.შ. გამომძიებელს კი ისე გადაუკეთებია თითქოს საუბარი იყო კონტრრევოლუციური პიროვნებებისა და მათთან ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ხასიათის არალეგალურ თანამშრომლობაზე (იხ. იქვე, გვ. 183-184).

არსებობდა კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო და საზარელი მეთოდი. თურმე პატიმარს ჩვენებას აწერინებდნენ დასმული კითხვების მიხედვით. ამას უწოდებდნენ „ფუტლიარს", რომელიც მიჰქონდათ ქობულოვის მდივან-მემანქანე მილოვასთან. იგი „თეთრად" გადაბეჭდის დროს გადააკეთებდა ძიებისთვის სასურველი კონტრრევოლუციური ბრალეულობების ტექსტების და აქცენტების შეტანით. ამის შემდეგ პატიმარს მოტყუებით ან სასტიკი რეპრესიების გზით აწერინებდნენ ხელს და ბრალდების საფუძველს ამ გზით უთითხნიდნენ (იხ. იქვე, გვ. 128).

აი ასეთი მეთოდები იქმნებოდა აღიარებები, ჩვენებები და საბრალმდებო დასკვნები. ყოფილი ეროვნულ-დემოკრატი, ცნობილი ენერგეტიკოსი ბ. ჭიჭინაძე, რომელმაც ბერიას „რეკონსტრუქციის" ხანის დასაწყისში შეპბედა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი დასავლეთ საქართველოს წყლების აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსროლით ნაანგარიშევი ჰიდროენერგო და საირიგაციო გრანდიოზული მშენებლობის ინჟინერ კოპაძის გეგმა განუხორციელებადი იყო, ბერია-კოპაძის უტოპიური აზრის კრიტიკოსი ჩეკისტებმა 1937 წლის დაკითხვების დროს ისე აწამეს, რომ იძულებული გახადეს „დაესახელებინა" 300 და მეტი ანტისაბჭოთა „თანამებრძოლი კონტრრევოლუციონერი" (იხ. სახ. უშიშროების სამინისტროს არქივი №5975, ტ. 1, ფ. 353,354; №4281; №12636, ფ.

97). ლ. ბერიას მიერ პათოლოგიურად მოძულებული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ისე გააწამეს, რომ 1937 წლის 21 აგვისტოს ჩვენებით „აღიარა“ საკუთარი და მრავალ სხვათა „ფაშისტურ-კონტრრევოლუციური“ მუშაობა. საკუთარი თავი კი საქართველოში მოქმედი ფაშისტების მეთაურად გამოაცხადა და ჩვენების თარიღადაც, ალბათ ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრინდელი (21/VI-1937) თარიღი დაუსვა. (ამ საკითხზე იხ. გ. ციციშვილი მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის პრობლემების გაუკულმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ, თბ. 2005, გვ.62-65). შეუძლებელი იყო ჩეკისტური წამებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების გაძლება ჩეკისტური ზემოქმედებით პატიმრის დამორჩილება გარდაუვალი ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ამას ზემდგომი ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევდა.

მ. ჯავახიშვილის მიმართ ბერიას სიძულვილსა და სისასტიკეზე საკმაოდ დაიწერა, მაგრამ ყველაფერი ბოლომდე ჯერ კიდევ არ თქმულა. შ. ნუცუბიძემ 1950-იან წლების სარეაბილიტაციო სამუშაობის შესრულების დროს ერთ-ერთი დაკითხვისას უჩვენა: საკანში პატიმრები „ყვებოდნენ ჩვენთვის ცნობილ პირებზე, რომელებიც წამების დროს მოკლეს... მ. ლეჟავაზე, მწერალ ჯავახიშვილზე და სხვ.“ (იხ. იქვე, გვ. 161). ცნობილია, რომ შამშე ლეჟავას ბერიას თანდასწრებით დაკითხვის დროს საათნახევრის განმავლობაში ცემდნენ და უგონო მდგომარეობით გაიტანეს კაბინეტიდან (იხ. იქვე, გვ. 123). ისიც ცნობილია, რომ 1937 წლის სექტემბერში მ. ჯავახიშვილი ბეგლარ ფაღავას რომ დაუპირისპირეს, ამ დროს მას სახე მთლად დასახიჩრებული ჰქონდა. გავრცელებული ხმებით, მ. ჯავახიშვილმა ხანგრძლივ წამებას რომ ვერ გაუძლო, თავი მოიკლა კიბეზე საკუთარი სხეულის დანარცხებით.

დიახ, ბერია და მისი დამქაში ჩეკისტები „თვითონ ჭრიდნენ და თვითონვე კერავდნენ“ როგორც იტყვიან ქოთანს ყურს საიდანაც უნდოდათ იქიდან აბამდნენ. მთავარი იყო, რომ დიდი ბელადის დავალებასაც ასრულებდნენ, პატარა ბელადის ბერიას პირად მტრებსაც მასობრივად სპობდნენ, ან სამუდამოდ ანადგურებდნენ და ხშირად ანგარებით პირად სარგებელსაც ხელს გამოჰკრავდნენ ხოლმე.

ვისაც სუკის არქივის მასალებზე ყურადღებით უმუშავია, მისთვის ცნობილია, რომ 1937-1938 წლების სამძებრო საქმეებში გვხვდება უამრავი ფალსიფიცირებული ფაქტი, მიზნობრივი და უნებლიე შეცდომა, სიმართლის „აღიარება“ და ჩეკასთვის სასურველი ყალბი ჩვენების სიმართლედ მიწოდება. სასურველი ჩვენების მიღებისთვის ჩეკას გამომძიებლების მიერ შემუშავებული მეთოდების მრავალფეროვნებას ზღვარი არ გააჩნდა. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა ბუზიდან სპილოს შექმნა და „ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრა“. აღნიშნულმა პროცესმა საქართველოში განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი მიიღო მიიღო იმ დროს, როცა რეპრესიებისათვის საჭირო კონტინგენტი კოწიწდებოდა, ამის შემდეგ ინსცენირებული სასამართლო პროცესები ეწყობოდა და სპეციალური ჩეკას სამეულების კონვეერული სხდომები იმართებოდა, რომლებიც უდანაშაულო ადამიანის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას, ხშირად, ათიოდე წუთსაც არ ანდომებდნენ. ისინი მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ წაყენებული ბრალდება აღიარებული იყო თუ არ იყო. მაგალითად, დახვრეტილი „მემარჯვენეების“ ერთი, 84-კაციანი ჯგუფიდან ბრალდება უარყოფილი ჰქონდა 9 კაცს (იხ. არქივი, №9431), მაგრამ რა?! აღიარებაზე თუ ბრალდებაზე უარის თქმას ჩეკას გამომძიებლები მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ანიჭებდნენ, როცა ბრალდების აღიარებით საჭირო ქსელის ჩეკისტური მიზანდასახულების გავრცელება-გამრავლებას ვერ აღწევდნენ. ასეთ შემთხვევაში ისინი პატიმარს მართალია ნარკოტიკებსა და ავტომატებს არ უდებდნენ, მაგრამ ხანგრძლივად აწამებდნენ, ფსიქოლოგიურად ამუშავებდნენ, ხელსაც ტეხავდნენ, თვალსაც თხრიდნენ, თვითმკვლელობამდეც მიჰყავდათ და თავიანთ საწადელს მაინც აღწევდნენ.

1937 წლის 9 ივლისს ჩატარდა ვითომ მართლა მოქმედი „ქართული ნაციონალური ცენტრის“ ცნობილი პიროვნებების (ბ. მდივანი, მ. ტროროშელიძე,

მ. ოკუჯავა, გ. ელიავა, ს. ჩიხლაძე, ნ. ქარცევაძე, გ. კურულოვი) ინსცენირებული სასამართლო პროცესი. სასამართლო პროცესის ფალსიფიკატორთა წინასწარი გათვლით იგი უნდა დამთავრებულიყო უაღრესად ოპერატიულად. ასევე ოპერატიულად უნდა ყოფილიყო გამოტანილი სასჯელის უმაღლესი ზომა და იმავე დღეს უნდა შემდგარიყო აღსრულება (დახვრეტა). ამიტომ ამავე დღისთვის წინასწარ გამოწერეს დახვრეტის აღსრულების ბრძანება, მაგრამ პროცესის გახანგრძლივების გამო აღნიშნულ დღეს დახვრეტა ვერ მოესწრო, ამიტომ ნაბეჭდი რიცხვი „9“, ხელით გადააკეთეს 10-ად (იხ. გ. ციციშვილი, „ყურიოზები სუკის არქივშიც გვხვდება“, გაზ. „ქომაგი“, 1991, 4 ივლისის). ამის შემდეგ საქართველოში ადამიანების მოსპობა-გაუბედურებამ უაღრესად მასობრივი ხასიათი მიიღო. ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით აპატიმრებდნენ ე.წ. „საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის“, ანტისაბჭოთა ოპოზიციური პარტიებისა“ და ქართველი ინტელიგენციის „ფაშისტური ორგანიზაციის“ წევრებს, აგრეთვე ვითომ „ანტისაბჭოთა დივერსიულ-ტერორისტული ორგანიზაციის“ წევრ სამხედრო მოსამსახურეებსა და ვითომ ტერორისტებს.

სახელმწიფო პარტიული არქივის ე.წ. „სპეციალური საქაღალდის“ მასალების შესწავლის დროს, გამოვავლინეთ ბერიას მიერ სტალინისათვის გაგზავნილი საგანგებოდ გასაიდუმლებული ვრცელი დეპეშის ასლი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და 1937 წლის 31 ოქტომბრით არის დათარიღებული. მასში ასეთი შინაარსის შეტყობინებას ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 10 თვეში (ძირითადად 1937 წლის გაზაფხულიდან – ავტ.) საქართველოში დაპატიმრებული იქნა 12 ათასზე მეტი ადამიანი“, რომელთაგან სხვადასხვა საგანგებო პროცესებზე (ძირითადად ზაფხულსა და შემოდგომაზე – ავტ.) განიხილეს 7 ათასზე მეტი ადამიანის საქმე. აქედან სამეულებმა განაჩენი გამოუტანეს 5236 კაცს (ე.ი. დახვრიტეს – ავტ.) სახალხო სასამართლოების მიერ განხილული იყო მხოლოდ 70 კაცის საქმე (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 11, ს. 152, ფ. 171-173). ჩვენი მონაცემებითა და მათზე დამყარებული აზრით, საგანგებო განხილვები და დახვრეტები ძირითადად დაიწყეს 10 ივლისს „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ წევრებად შერაცხულთა დახვრეტის სახით და მის შემდეგ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კონტრრევოლუციონერებად ეჭვმიტანილთა და საერთოდ ბრალდებულთა საქმეების ფაბრიკაცია ხდებოდა ძიების ელემენტარული ნორმების უხეში დარღვევითა და ზესწრაფი ტემპებით, ძირითადად რეპრესიების გამოყენების და პატიმრების წინააღმდეგობის სრული განიარაღება-დამორჩილებით. ეს იყო აქამდე არნახული ანტიდემოკრატიული პოლიტიკით გატარებული დიდი ტერორი, რომელიც ტარდებოდა ფაშისტურ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან მომავალი, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების მზადებისათვის საბჭოთა საზოგადოების გაწმენდისა და მისი მონოლითური საბჭოთა კომუნისტური იდეური ერთიანობის მიღწევის მიზნით. ამ სახელმწიფოებრივი პროცესის დროს ხდებოდა იმ პიროვნებების „ჩამოწერაც“, რომლებიც თავიანთი არაორდინალური, სხვაგვარი აზროვნებით არ ეპუებოდნენ სოციალისტურ რეალობას, საბჭოთა სოციალისტური იდეოლოგიის პოსტულატებს და საბჭოთა ხელისუფლების ბელადების, მ.შ. ბერიას მოთხოვნებს.

1937 წლის დიდი ტერორის დროს ჩეკას ძიებამ შეთითხნა რეპრესიების შემდგომი ესკალაციისათვის აუცილებელი საფუძველი – „საქართველოს ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი ფუნქციონირებადი ფაშიზმი“ და „კონტრრევოლუციური ნაციონალიზმი“. ნაციონალიზმი, ანუ პატრიოტიზმი გახდა დიდი რეპრესიების პოლიტიკური „საფუძველი“.

დიდი პოლიტიკური ტერორის შესახებ ჩვენს ყურადღებას იპყრობს იმ დროს შეთითხნილი ბრალდებების მოტივიზაციის საკითხი. 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა ერთი ნაწილის იურიდიულ ბრალდებებში უმთავრეს მოტივად ფორმულირებულია „ნაციონალიზმი“, ანუ ეროვნული პატრიოტიზმი, მისი უკიდურესად გაზვიადებული გამოხატულებით – „ფაშიზმი“. მეტი გაზვიადების

მიზნით, ერის დიდი მამულიშვილების მიმართ უსაფუძვლოდ, ძალმომრეობით და ფალსიფიცირების გზით კოწიწდებოდა პარტიისა და ხელისუფლების ყველაზე დიდი საფრთხის „გერმანიის ჯაშუშის“ ყალბი ბრალდება. 1936-1937 წლებში ქართველ ეროვნულ-პატრიოტ მწერლებსა და კულტურის მუშაკებს ჩეკისტური მეთოდებით შეუთითხნეს ფაშიზმისკენ მისწრაფება — აგენტობის ბრალდება. ამ ბრალდებას შეწირეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, შალვა მიქელაძე და მრავალი სხვა მამულიშვილი, თვითმკვლელობამდე მიიყვანეს პაოლო იაშვილი.

1937-1938 წლებში იგივეს შეეცადნენ ქართველი მეცნიერ-პედაგოგების, ივანე ჯავახიშვილის და მისი, როგორც თავად უწოდებდა „გვერდის დამამშვენებელი“, „საუკეთესო სულისკვეთების“, „საუკეთესო მუშაკების“ მიმართ“. 1938 წელს დააპატიმრეს სახელოვანი მეცნიერები გრიგოლ წერეთელი, ალექსანდრე წერეთელი, ვუკოლ ბერიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუჩიშვილი და მრავალი სხვა. მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს გრ. წერეთელს ჩეკას საპყრობილეში მოუსპეს სიცოცხლე.

1938 წლის შემოდგომაზე ახალი რეალური საფრთხე შეექმნა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასა და ყოფიერებას. ამას მოწმობს სუკის არქივის მასალებში აღმოჩენილი ხელმოწერით დადასტურებული „ცნობა“. რომელიც ზემდგომ ხელმძღვანელობას აწვდიდა 1938 წელს შეკოწიწებულ ერთ უაღრესად შემზარავ რეკომენდაციას. „ცნობაში“ ნათქვამი იყო:

„ГССР вскрыто крупное формирование сосредоточившее свою антисоветскую деятельность в Тбилисском государственном университете... всесторонне проверенными материалами следствия установлено, что идеологом и вдохновителем этой контрреволюционно-фашистской организации на протяжкнии всей ее антисоветской деятельности является профессор Тбилисского государственного университета Джавахишвили Иван, сколотивший вокруг себя наиболее реакционно настроенную националистическую часть грузинской интелигенции. Показаниями ряда арестованных руководящих учасников контрреволюционно-фашистской организации было также установлено, что профессор Джавахишвили Иван, будучи связан правительственным кругами фашистской Германии, осуществляет активную шпионскую деятельность в пользу германской разведки. Наконец, арестованный согласно Вашего указания, один из руководящих учасников контрреволюционно-фашистской организации полностью признавшись в своей антисоветской работе, целиком перекрыл все имеющиеся у нас материалы о фашистской деятельности Джавахишвили“...

В заключении в письме ставится вопрос - „санкционировать арест профессора Тбилисского государственного университета Джавахишвили Ивана Александровича...“

Кроме того, в письме говорится „ускорить разрешение вопроса о тех активных учасниках контрреволюционно-фашистской организации, санкции на арест которых мы просим в своей докладной. 1. X. 1938 года №7298...“ (სუკის არქივი, პრ-31221, ტ. 4, გვ. 77-78).

სუკის არქივის დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნული ამბის გამოძიების პროცესში დიდი ძალისხმევისა და გამოძიების საფუძველზე 1938 წელს შეიქმნა, ასაბუთებდნენ ჩეკისტების მიერ დიდი პოლიტიკური ტერორის დროს შეთითხნილი საქმის მიზნობრიობასა და სიყალბეს. მაგრამ თავის დროზე ამ ფალსიფიცირებულმა დოკუმენტაციამ უაღრესად დიდი დამატებითი ეროვნული საშიშროება შექმნა, რამდენადაც ამ სიყალბით შექმნილ „ორგანიზაციაში“ ნაგულისხმევი იყო ასზე მეტი პიროვნება და მათ შორის ბევრი ცნობილი და საამაყო ეროვნული მოღვაწე, ხოლო მათი დაპატიმრება დამატებით სხვა ასეულების ჩათრევას გამოიწვევდა. (იხ. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ. 1998, გვ.156, 186-187).

30-ანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ძირითადი აზრი ანტისტალინური, ტროცკისტული, ფაშისტური და სხვა, მასთან დაკავშირებული ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-ტერორისტული, არალეგალური მოძრაობის ამოძირკვის საბაბით მიმდინარეობდა. მან მთელი ქვეყანა მოიცვა. ამ პროცესისგან და-

ზღვეული, როგორც ცნობილია, არც საქართველო აღმოჩნდა. საქართველოში არსებული შიდაპარტიული წინააღმდეგობების ხელოვნურმა გაღვივებამ და ანტისაბჭოთა მოძრაობის გაზვიადებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური პროცესების უაღრესად დაძაბულ ვითარებაში განვითარებას და მისი შედეგების განსაკუთრებით ბინძურ ხასიათს. ამისათვის ჩვენში განსაკუთრებული როლი ითამაშა ლ. ბერიას პიროვნებამ. მისი როლი საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიებში, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოვლინდა, რომ ფაქტობრივად იგი მართავდა 20-30-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. იგი ძირითადად გამოიხატა „სხვაგვარად მოაზროვნე" ქართული ინტელიგენციის ჩეკისტური მეთოდებითა და სიყალბეზე დამყარებული ბრალდებების შეკოწიწებითა და ძალმომრეობით დამორჩილებაში. ამის კონკრეტული გამოვლინების მაგალითები მთელ რიგ პუბლიკაციებში აისახა და 20-30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების საერთო სურათის სახით გაუქდა[1].

საერთოდ ქართველი ხალხის და კერძოდ მისი ინტელიგენციის, ანტისაბჭოთა განწყობის ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნვისა და მოსპობის იმ ღონისძიებათა საფუძველზე, რომელიც ლ. ბერიას აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით 20-30-ანი წლების საქართველოში ტარდებოდა, ჩვენი რესპუბლიკის ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ათეულობით ათასმა ადამიანმა განიცადა სხვადასხვა სახის რეპრესია. მილიონებმა იწვნიეს მშობლების, დედმამიშვილების, ნათესავების თუ მახლობელი ადამიანების გაუბედურებით მიყენებული მოუშუშებელი ტკივილი. უკანასკნელი, დაუზუსტებელი და ჯერ კიდევ „წინასწარი მონაცემებით", საქართველოში ჩეკას ორგანოებმა დახვრიტეს მხოლოდ 1937-1938 წლებში 11 264 ადამიანი, სხვადასხვა არასასამართლო ორგანოების მიერ განსხვავებული ვადით პატიმრობა მიესაჯა 11 086 კაცს, რომელთაგან 10 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი 8 974 (Г. Цицишвили. „Политические репрессии в Грузии (1921-1938 гг.)". См. Советский тоталитаризм на Кавказе (20-30-е годы). Научная конфереция. Баку – 1998, с. 129, 131-132). 1924 წლის დახვრეტების შემდგომ 1925-1926 წლებში საქართველოს ციხეებში თუ 2700 პატიმარი ჰყავდათ, 1939 წლის 1 იანვრისათვის გულაგის პატიმართა შორის ეროვნებით ქართველი იყო 11 723 კაცი („Аргументы и факты", 1989, №35). დიდი ტერორის მსხვერპლი პროცენტულად, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საქართველოში ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე საერთოდ სსრ კავშირის მასშტაბით. სსრ კავშირში 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა რაოდენობამ შეადგინა 1 575 250 კაცი, დახვრიტეს 681 692 (Газ. „Известия", 1998, 5 июня).

20-30-ან წლებში სასტიკი რეპრესიები განიცადა საქართველოს ყველა კუთხისა და რეგიონის მოსახლეობამ, მათ შორის მეგრელობამ. სამეგრელოში (მხოლოდ ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში) 1924 წელს დაიხვრიტა 800 კაცი, მათი დიდი უმრავლესობა (90 პროცენტი) იყო სოფლის მშრომელი გლეხკაცობა. ქართველთა შორის მეგრული წარმოშობის ადამიანთა საერთო მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. 1924 წლის აჯანყების დროს საერთოდ საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი დღეისათვის გავრცელებული მაჩვენებლის მიხედვით 3 918 კაცს აღწევდა (ო. ეგაძე, „ვინა ხარ

---

[1] ამ საკითხზე, უამრავ სხვა პუბლიკაციასთან ერთად, საყურადღებო ცნობებს შეხვდებით გ. ციციშვილის ნაშრომებში: „დიდი ბოროტობის სათავეები და შედეგები" – გაზ. „სახალხო განათლება", 1989, №17, 18, 20, 24, 29, 37, 39, 7 ნოემბერი – 1990, 15 იანვარი; „სისხლიანი სტრიქონები" – გაზ. „სიმართლე", 1991, 9 იანვარი; „სისხლიანი სტრიქონები" – გაზ. „ეროვნული მილიცია", 1991, 2 ივლისი; „მავნებლები" – გაზ. „სისხლიანი კვირა", 1992, №31, 32, 33; „სუკის არქივში კურიოზებიც გვხვდება" – გაზ. „ქომაგი", 1991, №27; „სისხლიანი 1937" – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 17-18, 20-21 იანვარი; „ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება" – „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, 27-28, 31 აგვისტო; „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები", თბ. 1998; „1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრება", თბ. 2003 და სხვ.

შენ...", თბ. 1991, გვ. 678). პოლიტიკურმა რეპრესიებმა ავბედითი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ 1923-1939 წლებში საქართველოში ქართველების ხვედრითი რაოდენობა 10 პროცენტით შემცირდა, მაშინ როცა სხვა ხალხების ხარჯზე 1921-1939 წლებში რესპუბლიკის მოსახლეობა გაიზარდა 32 პროცენტით (Народное хозяйство закавказия. Тб. 1927, с. 17; Грузинская СССР за 20 лет. Ст. сб., Тб. 1941, с. 28; ბ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973, გვ. 181). ამ პროცესებმა რაოდენობრივ დანაკარგს გარდა, ერის ფსიქიკური განწყობილების გარკვეული დეფორმაცია გამოიწვია. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ასეთი ვარდნა არ აღინიშნება 1801 წლის შემდეგ.

მაშასადამე, ტოტალიტარიზმი, საქართველოს საერთო რუსული საბჭოთა სისტემის ერთიანი ინტერესებითა და საერთო შაბლონური, სუბიექტივისტური ბრძანებლურ-ადმინისტრაციული და ჩეკისტური მეთოდებით მართვა, იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია სპეციფიკური ქართული ცხოვრების გათვალისწინების ნაცვლად საერთო საბჭოურ რუსულ შაბლონში საქართველოს მოქცევა და ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლობის სისტემური და მასშტაბური რეპრესიები. სათანადო ისტორიის წყაროები მოწმობენ, რომ მსგავსმა მიზეზებმა გამოიწვია სამეგრელოსა და კერძოდ, ზუგდიდში ე.წ. „მაფალუიზმის" ყალბი ეროვნული საშიშროების იმიტაცია და ერთი მხრივ, ვითომ „მაფალუიზმის" ტენდენციებისა და პროცესების 1920-1930-იან წლებში არსებობა, ხოლო 1990-2000-იან წლებში მისი ვითომ რეამინაციის საშიშროების გახმაურება.

ხელისუფლებას დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა მკაცრად გასაიდუმლოებული პოლიტიკური მოტივით დახვრეტილი ადამიანების საძმო განსასვენებელი ადგილი. მათ ჭირისუფალსა და შთამომავლობას მოუსპეს საბჭოთა ტოტალიტარიზმის რეჟიმის მსხვერპლი მისი წინაპარი სისხლისა და ხორცის განსასვენებელის გაპატიოსნებისა და მათ წინაშე ტრადიციულ-ადამიანური ვალის მოხდის შესაძლებლობა. მხოლოდ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის რღვევის პერიოდის ე.წ. სუკის უნიკალური, ადრე უკიდურესად გასაიდუმლოებული არქივების მეცნიერული ჩხრეკვის შესაძლებლობათა შექმნის შემდეგ მოგვიხერხდა მიგვეგნო იმ ძუნწი ცნობისათვის, რომელმაც მოგვაძებნინა 30-იან წლებში რეპრესირებულ წინაპართა განსასვენებელი. ჩვენ მიერ შესწავლილ უამრავ ჩვენებათა შორის მხოლოდ ერთ, დახვრეტების მომსწრე ზედამხედველის დაკითხვის ოქმში იყო დაფიქსირებული: „Приговоренные к смерти растреливались в поле в начное время, в 18 км-ах от г. Тбилиси, около села Соганлухи, в 8 км-ах от него"... (სუკის არქივი, ფ.№ПР-5975, ტ.1, ფურც. 316). ამ მაჩვენებლის მიდევნებითა და სოღანლუღის უხუცეს მცხოვრებთა დახმარებით შესაძლებელი გახდა დაგვეზუსტებინა რუსთავში მიმავალ გზატკეცილის მკვეთრი აღმართის მარცხნივ მდებარე, იმდროისათვის ძნელად მისადგომი ლერწამითა და მინდვრის ყვავილებით ჭარბად მოფენილი ველი, რომელიც მოგვევლინა 1930-იან წლებში სხვადასხვა ბრალდებით დახვრეტილთა განსასვენებლის სახით (ამ საკითხზე იხ. ა. ასლანიშვილის, თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, ანუ ადამიანთა სასაკლაო ლერწმოვანში, გაზ. „ერი", 1991, 19 ივნისი). ამით აქ განსვენებულთა შთამომავლობას საშუალება მიეცა პატივით მოინახულოს წინაპრის საფლავი. მაგრამ გულსაკლავად რჩება ის, რომ ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ითქვას არა მარტო წინათ — „დრო იყო გაუსაძლისი, გარემოება ჟერანი", არამედ დღესაც იგივეა, დღეს პატიმრების რაოდენობა რეკორდულია და ორჯერ აღემატება დიდი ტერორების შემდგომ რაოდენობას. შესაბამისად მაღალი ტემპით მიმდინარეობს ციხეების მშენებლობა. ამიტომ ხელისუფლებამაც ამ საკრალური ადგილის პატივის ჯერეოვანი მემორიალური ანსამბლით მიგება დღემდე ვერ მოახერხა.

თავი XXI

პარტიის ახალი კურსი და „მეგრული საკითხის“ მოწესრიგებით დაინტერესებულთა ხვედრი

30-ანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში „საწვავ მასალად“ იქნა გამოყენებული ე.წ. „მაფალუელების“ ვითომ „ნაციონალისტურ-კონტრრევოლუციური“ წარმომადგენლობის საქმიანობაც. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები და ისტორიის უტყუარი წყაროები ნათელს ხდიან (არა მარტო საერთოდ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მოვლენად წარსულში წარმოჩენილის აუცილებელ გათვალისწინებას, არამედ კონკრეტულ), ე.წ. „მაფალუელების“ ახალ ანტისაბჭოთა, ე.წ. „მემარჯვენე ტროცკისტულ“, „ანტისაბჭოთა-კონტრრევოლუციურ“ და „ტერორისტულ“ გამოვლინებებთან დაკავშირებას. ასეთი მაგალითი, როგორც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, მოგვცა ტარასი შენგელიას მიმართ ჩეკისტურმა დამოკიდებულებამ. მოცემულ თავში მიზნად დავისახეთ 20-30-ან წლებში ზუგდიდის რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანების მაგალითზე წარმოვაჩინოთ როგორც ე.წ. „მაფალუელების“, უკვე მათ წინააღმდეგ მებრძოლთა და ნეიტრალური ადამიანების მძიმე ხვედრი, რომლებიც რეალურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ გასწირა. მათი ადამიანური ბედი იმთავითვე გაუკუღმართებულად გაშუქდა, ხოლო შთამომავლობამ გაიზიარა 20-30-იან წლებში სახელმწიფოებრივად გაყალბებული ვერსია.

ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის პირობებში, ადრე „მეგრული საკითხის“ მოწერიგებისათვის ბრძოლაში ჩაბმული ადამიანების პირადი ცხოვრება უაღრესად დრამატულად წარიმართა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ 30-ანი წლების პოლიტიკური და სამეურნეო პროცესების ქარიშხალმა თავისი დამანგრეველი ძალა განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის სახით, ზედაპირზე ამოტყორცნილებს დაატეხა. როგორც ვნახეთ, სამეგრელოს რეგიონი და მათ შორის ზუგდიდის რაიონი (1930 წლამდე ზუგდიდის მაზრა), განსაკუთრებით პოლიტიზირებული აღმოჩნდა. 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის წლებში სამეგრელოს მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილება და ორიენტაცია ზედმიწევნით გამოავლინა 1924 წლის აჯანყებაში მისმა განსაკუთრებულმა აქტიურობამ. სხვადასხვა მონაცემებით, აჯანყების მოტივით სამეგრელოში 500-800 ადამიანი დახვრიტეს. ცოცხლად გადარჩენილთაგან ბევრმა განიცადა პატიმრობა და მუდმივი ძალმომრეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებული ამ საერთოეროვნულ ბრძოლაში მონაწილე პატიმართა დაკითხვის ოქმებზე დართულ ანკეტებში გვხვდება „ნაციონალობა — მეგრული“ და „ნაციონალობა — მეგრელი (ქართველი)“. ჩვენი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო ეროვნული იდეისთვის მებრძოლ მეგრელთა ერთ ნაწილს ეროვნულ პასუხისმგებლობასთან ერთად ჰქონდა მეგრელობის თავისებურების შეგნება. ამიტომ ისინი ქართული ეროვნული ინტერესებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობითაც და ჩეკისტური ძიებით გათვალისწინებული ანკეტის შევსების დროსაც ხაზს უსვამდნენ მეგრელების თავისებურებასაც და ქართველობასაც. ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზი იყო მათი ენობრივი თავისებურება და მის მიმართ მყარი ერთგულება. მაგრამ არ ჩანს, რომ მათი „მეგრელობა“ ხელს უშლიდა საერთოეროვნული ინტერესების რეალიზებას. შემდეგ წლებშიც საქართველოს სხვა რეგიონებს შორის „ოპოზიციური“ მოთხოვნების მასშტაბურობით სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი, შესამჩნევად გამოირჩეოდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიისა და ხელისუფლების მიერ „მეგრული საკითხის“ პოლიტიკანურმა მოგვარებამ. როგორც ვნახეთ, „მეგრულმა საკითხმა“ 1922 წლიდან ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. მისი სამართლიანი მოგვარების ინტერესმა აამოქმედა არა მარტო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო

კადრების აქტიური ნაწილი, არამედ, ზუგდიდისა და გალის რაიონების გლეხობის წარმომადგენლებიც. მაგრამ „მეგრული საკითხის“ გაუკუღმართებულმა მოგვარებამ დაძაბა ადამიანთა ურთიერთობები და შეჰქმნა მათი მისწრაფება-მოქმედების ასევე გაუკუღმართებულად შეფასების შესაძლებლობა. პოლიტიკური რეპრესიების ეტაპმა ეს ადამიანები ტოტალიტარული მართვის ზვარაკად აქცია, ამათგან ზოგს ტოტები უხეშად შეალეწა, ხოლო ზოგი კი ფესვიანად ამოგლიჯა და ჯერ კიდევ ცხოვრების შუა გზაზე ისტორიის წყვდიადში შთანთქა.

ქვეყნის პოლიტიკური პროცესების ავტორიტარული, დიქტატორულ-ადმინისტრატორული მეთოდებით მართვამ ჩამოაყალიბა ადამიანებისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ჩეკისტურო ფორმა და ლოგიკა. ამ დროს პიროვნების წარსული პოლიტიკური ცხოვრება საფუძვლად უნდა დასდებოდა მისი ადამიანური ბედის ჩეკისტურ შეფასებას და მისდამი შემდგომი დამოკიდებულების პარამეტრების განსაზღვრას. ადამიანური წარსული უნდა მორგებოდა ახალს, როგორც მემკვიდრეობა. არაფერი და არავინ დავიწყებას არ ეძლეოდა. ადამიანური წარსული მასალად ხმარდებოდა ახალ პოლიტიკურ მშენებლობას.

1937 წელს ვითომ მაფალუელ ავტონომისტების იდეური და მათი ანტიქართული ორგანიზაციული საქმიანობის სულისჩამდგმელი, მაშასადამე, ვითომ „მეგრული სეპარატიზმის“ ლიდერი ი. ჟვანია, ახლა „ხალხის მტრად“ გააზვიადეს (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ეს ის დროა, როცა ტ. შენგელია ყაზბეგში მუშაობს მთავლიტის რწმუნებულად. ამას დაემატა ისიც, რომ ჩეკამ ყაზბეგში „გამოავლინა“ კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელთანაც ვითომ მჭიდრო, დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ტ. შენგელია. მას ახლა „აღმოუჩინეს“, რომ მ. კავთელაძის დასკვნისაგან განსხვავებული სულ სხვა წარსული ჰქონია. ტ. შენგელიას ანტიქართული „მაფალუისტურ სეპარატისტული“ წარსული შინსახკომის ყაზბეგის რაიონული განყოფილების რწმუნებულის კარახანოვის და განყოფილების უფროსის ხუბაევის 1937 წლის 17 დეკემბრის თარიღით შედგენილ ერთ-ერთ დასკვნაში ასე იკითხება: „შენგელია ტარასი დიმიტრის ძე მოსამსახურე, მცხოვრები ყაზბეგში... მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ხალხის მტერ ი. ჟვანიასთან, მასთან ერთად შედიოდა მეგრულ რაიონულ ორგანიზაციაში „მაფალუისტებისა“. უკანასკნელის დავალებით, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, კერძოდ ამხ. ბერიათი უკმაყოფილომ, შეადგინა აშკარად პროვოკაციული და კონტრრევოლუციური ხასიათის განცხადება ხალხთა ბელადის, საკ. კპ. (ბ) ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მოითხოვდნენ სამეგრელოს ავტონომიას, „მაფალუისტების“ კ/რ ორგანიზაციაში „ავერბოვკებდა“ სკპ(ბ) ცალკეულ წევრებს. მჭიდრო კავშირი ჰქონდა მემარჯვენეთა (ყაზბეგის — ავტ.) კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის ხელმძღვანელ შ. ნამგალაძესთან, ა. ფოცხვერიშვილთან, მ. ანდღულაძესთან და მათი დავალებით მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩააბა გაზეთ „ახალი ხევი-ს“ ყოფილი რედაქტორი (როგორც ჩანს ახლა პატიმრობაშია — ავტ.) დავით კომახიძე და უკანასნელს აიძულებდა ბეჭდვით სიტყვაში შეექო ხალხის მტრები. მთავლიტის რწმუნებულად მყოფი კრძალავდა ბეჭდვითი სიტყვიდან კონტრრევოლუციური შინაარსის წიგნების და ხალხის მტერი ავტორების ამოღებას. მისადაგებული აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მუხლი 58/10, 58/11, 58/12. სასამართლომდე შეუთავსდეს პატიმრობა საქართველოს სახკომის ყაზბეგის რაიონული განყოფილების იზოლატორში!.“

აქედან ისე ჩანს, რომ ტ. შენგელია არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე, პროგრესულ მოქალაქეობრივ და ეროვნულ პოზიციაზე მდგარი პიროვნება ყოფილა. განყოფილების უფროსის ხუბაევის მიერ ტ. შენგელიას შესახებ შედგენილ ცნობაში იგივე მეორდება, ზოგი დეტალი კი ასე წარმოჩნდა: „პარტიის წევრი 1925 წლიდან, 1934 წლის მაისში ზუგდიდის რაიკომის მიერ პარტიიდან გაირიცხა „მაფალუისტების“ მეგრულ-კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1935 წლის იანვარში საქართველოს

კომპარტიის პარტიული კოლეგიის მიერ აღდგენილი იქნა საკ. კპ.(ბ) რიგებში... (! – ავტ.). 1937 წლის დეკემბერში ფარული კონტრრევოლუციური საქმიანობის გამო ყაზბეგის რაიკომის მიერ გაირიცხა პარტიიდან და საქართველოში შინსახკომის 1937 წლის 29 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაპატიმრებას" (სუკის არქივი №17988, ფ. 18-19). გასაგებია რომ ახლა ტ. შენგელიას ბიოგრაფიული წარსული ახალი პოლიტიკური კლიმატის მოთხოვნის შესაბამისად შუქდება. მაგრამ არ შეიძლება ამასთანავე არ დავინახოთ, რომ ისე გამოყავთ, თითქოს 1921 წლიდან სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლი „ნოთელი" და „მაფალუისტი" ტ. შენგელია, კომპარტიაში მიუღიათ 1925 წელს, ე.ი. მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ბერიას მეთაურობით „მაფალუელ-ავტონომისტებს" საქართველოსაგან „სამეგრელოს მოწყვეტის" ბრალდებით თავს დაატეხა ვითომ დამსახურებული ბრალდება – „სეპარატიზმი" და ახლა ტ. შენგელია – პიროვნება, რომელიც 1921-დან 1933-მდე „მაფალუისტურ ანტიპარტიულ და ანტიქართულ მუშაობას ეწეოდა, მართალია 1934 წლის მაისში კომპარტიიდან გაირიცხა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის „პარტიულმა კომისიამ", რომელიც ბერიას მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა, 1935 წლის იანვარში ისევ კომპარტიის წევრად აღადგინა. არადა, როგორც ცნობილია, 1933-1936 წლებში, პარტიაში მიღება შეჩერებული, ხოლო აღდგენა უკიდურესად გართულებული იყო. მაგრამ ტ. შენგელიას პარტიაში აღდგენის პატივი მაინც ხვდა. აქედან ისე გამოდის, რომ ან „მაფალუ" არ ყოფილა, რადაც ასაღებენ, ან ტ. შენგელიას არა ჰქონია ის „მაფალუისტური გადახრა" რასაც აბრალებენ. როგორც ადრე ვნახეთ, ტ. შენგელია 1925 წელს იყო სამეგრელოს ავტონომიის მომხრე. იგი ასეთი მოთხოვნის ხელისმომწერთა შორის ვიხილეთ. 1931 წელს იგი ზუგდიდის რაიკომის აქტივის წევრია, მაგრამ ავტონომია სამეგრელოსათვის სასურველად ესახება. შემდეგ, 1933 წელს მას ვხედავთ, როგორც ი. სტალინთან ავტონომიური სულისკვეთებისა და ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის წერილის გამგზავნელ ავტორს. მოსკოვმაც და თბილისმაც ავტონომისტური წერილის ავტორად სწორედ ის დაადგინა. მისი ამ წერილის გამო საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე დიდი ხმაური ატყდა. ეს წერილი შეაფასეს „მაფალუისტობად" და ადგილობრივი, მეგრული ნაციონალიზმის გამოვლინებად. ამის გარდა მას რაიმე სხვა დანაშაული არ ჩაუდენია. როგორ გავიგოთ ის, რომ პარტიიდან გარიცხული, კონტრრევოლუციური და ნაციონალისტურ-მაფალუისტური ორგანიზაციის წევრი 1935 წელს ისევ პარტიაში აღადგინეს? შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ტ. შენგელიამ მოახერხა ბრალეულობათაგან თავის დაღწევა, შეცდომაში შეიყვანა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პარტიული კომისია, ყველა გააცურა, „მეგრული სეპარატისტების" ლიდერ ი. ჟვანიასთან ალიანსი ისე დამალა, რომ ვიდრე ი. ჟვანიას „ხალხის მტრობა" და ყაზბეგელი „მემარჯვენე" „კონტრრევოლუციონერ-ტერორისტების" საქმიანობა და მასში მისი პირადი მონაწილეობა გამომჟღავნდებოდა, თავი გადაირჩინა. ან შეიძლება ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჩეკისტებს ხუბაევს და კარახანოვს ეშლებათ ტ. შენგელიას აღნიშნული ბიოგრაფიული ფაქტები.

არა, საქმე ასე როდია. როგორც დაკვირვებული მკითხველიც შენიშნავდა: ტ. შენგელია 20-30-იანი წლების პარტიულ-პოლიტიკური სცენარის ის პერსონაჟია, რომლის განადგურების და მოსპობის აუცილებლობა არ არსებობდა. 1921-1937 წლებში არ არსებობდა ე.წ. „მაფალუისტების"არავითარი ანტიქართულობა, ანტიპარტიულობა და სეპარატიზმი, როგორც რეალური საშიშროება. იყო მეგრელი კომუნისტებისა და უპარტიოებიხ მცირე, რამდენიმე კაცისგან წარმოდგენილი ინტელიგენტური ჯგუფის ავტონომისტური მისწრაფება, რომელიც მკაფიოდ მხოლოდ 1925 წლის „ბატალიებში" გამოვლინდა და ისიც პარტიის „ეროვნულმა", უფრო სწორედ, პარტიის ანტიეროვნულმა ანტიქართულმა, ავტონომიურმა მშენებლობამ და „მეგრული საკითხის" გამო სტალინის

გამონათქვამმა ასაზრდოვა, ხოლო მას შემდეგ, რაც „ავტონომიის“ მოთხოვნა ბერიამ სტალინის მითითებების პასუხად გაუკულმართებლად, სეპარატისტულ მოძრაობად გააზვიადა და გაანადგურა, მეგრელ კომუნისტებს დოკუმენტების მიხედვით „ავტონომიის“ მოთხოვნაზე დიდხანს კრინტიც არ დაუძრავთ. სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ნაციად მოწყობის მოთხოვნა კი, რომელსაც პროფორმის სახით აყენებდნენ ახალაია, ბუკონია და ბესელია, ისტორიას 1925 წელსვე სამუდამოდ ჩაბარდა. ზუგდიდის სამაზრო ცენტრის ხელმძღვანელები, მხოლოდ „მეგრული საკითხის“ გამო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 3 სექტემბრის და შემდგომი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად იბრძოდნენ. გარდა ამისა, მონაწილეობდნენ პარტიულ-თანამდებობრივ და საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებულ ბატალიებში. სამეგრელოს ავტონომიის მოპოვების სულისკვეთებით გამსჭვალულები კი, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას პრობლემებს უქმნიდნენ სტალინთან მუდმივი ჩივილით, ხოლო ახალ რაიონულ ხელმძღვანელობას ტანჯავდნენ ხელისუფლების მიერ დასმენად, პროვოკაციულ მოქმედებად, კონტრრევოლუციურად და ინტრიგად შეფასებული წერილებით. ამიტომ ბერიასთან დაახლოებულ ხელმძღვანელობას ამ ოპოზიციის წინააღმდეგ უხდებოდა ათასგვარი ბრალეულობების შეთითხვნა და მათი, როგორც დამნაშავეების, ჩამოშორება. ჩეკა სწორედ ამ დაკვეთას ასრულებდა და ყოველ ახალ გართულებულ სიტუაციაში მათ მიაწერდა ე.წ. „მაფალუისტობას“ და ამით მათ „დანაშაულობებს“ „წონას“ უმატებდა, საკუთარს კი აფუჩეჩებდა. მაგალითად:

1937 წლის 21 დეკემბერს ტ. შენგელია კარახანოვმა დაკითხა. დაკითხვის ოქმი თავიდან ბოლომდე ეხება მხოლოდ ძიებაში მყოფის „მაფალუელობას“, „ხალხის მტერ“ ი. ჟვანიასთან დანაშაულებრივი ურთიერთობის ძებესა და „მიგნებას“. ამ დაკითხვის ოქმში ახალი ის არის, რომ ტ. შენგელია „აღიარებს“: „1927 წლიდან მე ვეკუთვნოდი კონტრრევოლუციურ მეგრულ ორგანიზაციას მაფალუისტებისას“. ჩვენების მიხედვით, დაკითხულის ეს კონტრევოლუციონერობა და „მაფალუს“ ორგანიზაციის წევრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ: „1927 წელს ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ზუგდიდის <u>რაიკომის</u> (? — ავტ.) მდივანი ი. ჟვანია. იგი პარტიულ კრებებზე აყენებდა საკითხს საქართველოს კომპარტიის ცეკას წინაშე <u>ავტონომიური რესპუბლიკის</u> (? — ავტ.) შექმნის შესახებ და ჩვენც მეგრელები (! — ავტ.) პარტიის წევრები (! — ავტ.) მხარს უჭერდით, და ამრიგად ორგანიზებული იქნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „მაფალუისტებისა“.

ეს ჩვენება წარსულის თვალის გადავლებით არ დასტურდება. ჯერ ერთი, 1927 წელს ი. ჟვანია რაიკომის კი არა, სამაზრო კომიტეტის მდივანია და ეს უნდა ახსოვდეს. მეორე, არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ი. ჟვანიას მაფალუისტური ორგანიზაციის არსებობას და მის მიერ ავტონომიის მოთხოვნას. მესამე, აქ პირველად ვხვდებით შემთხვევას, როცა ი. ჟვანიას „დანაშაულობები“ 1927 წლიდან უკვე „ავტონომიური რესპუბლიკის“ მოთხოვნამდე იზრდება. „ჩვენებაში“ შეინიშნება მორიგი საყურადღებო მომენტი: ჩამოთვლილია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1929 წლის დადგენილებით „მეგრულ საკითხში“ დაშვებული უფლებები (მეგრულ ენაზე: გაზეთი, ბროშურები, ფურცლები; საქმის წარმოება სასამართლოსა და სოფლსაბჭოში), რომლის დროსაც აღნიშნულია, რომ ამ დროს დაშვებული იქნა აგრეთვე „მეგრულ ენაზე სწავლება დაწყებით სკოლებში, ხოლო მეგრული ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ — უარი გვეთქვა და ამავე დროს მიგვითითეს, რომ ეს მოთხოვნა ანტიპარტიული და კონტრრევოლუციურია“ (სუკის არქივი №17988, ფ. 128). სინამდვილეში 1929 წელს, როგორც ადრე ვნახეთ, დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების შესახებ დასტური ი. ჟვანიამ სტალინისაგან მიიღო. მაგრამ იმჟამად მისი ცხოვრებაში გატარების უფლება არ მიუციათ და ტ. შენგელიას ასეთი „ნებართვა“ რატომღაც არა მარტო ამ ჩვენე-

ბაში ირეკლება, არამედ მის მიერ შედგენილ 1933 წლის აპრილის „კოლექტიურ განცხადებაში“ — სტალინის, მოლოტოვის და კალინინის მიმართ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 224). მას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს სკპ (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილი დადგენილება, რომლის განხორციელების შედეგად საქართველოს კომპარტიამ და რესპუბლიკის მთავრობამ გაატარეს ღონისძიებები ზუგდიდის რაიონის რიგი სოფლების დაწყებით სკოლებში მეგრული ენით ექსპერიმენტული სწავლების შემოღებისა და სათანადო სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის მიზნით. ტ. შენგელიას ამ „შეცდომაზე“ ჩვენ ადრეც გვქონდა მინიშნება. ახლა საჭირო ხდება ითქვას, რომ ამ „შეცდომას“ ი. ჟვანია თავის წარდგინებებში არ უშვებდა. პირიქით, 1931 წელს „საკ.კპ.(ბ) პოლიტბიუროს მიმართ გაგზავნილი ი. ჟვანიას ვრცელი „დახურული წერილი მეგრული საკითხის გამო“, რომელიც ფაქტობრივად არის საჩივარი საქ. კომპ. ცკ-ის, აგრეთვე აკ. სამხარეო კომიტეტის მიმართ, პოლიტბიუროს ამცნობს, რომ 1929 წლის 26 მარტის დადგენილებით (ოქმი №61) არ დაუშვეს დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება, არამედ მიუთითეს „სკოლებში შენარჩუნებულ იქნას ქართული ენის სწავლება მეგრულის, როგორც დამხმარეს გამოყენებით....“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 74/2). ამიტომ ი. ჟვანია ამავე დოკუმენტის დასკვნით ნაწილში, პოლიტბიუროს თხოვნებს რომ უყალიბებს, ერთ-ერთ, (მეორე) მუხლში, წერს: „დაშვებულ იქნას სამეგრელოს დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე“ (იხ. იქვე, ფურც. 77). მაშასადამე, შინაარსობლივი შეცდომით მტკიცდება, რომ ისე, როგორც 1933 წლის „კოლექტიური წერილი“, ეს ჩვენებაც ერთი და იგივე პიროვნების აზრს გამოხატავს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 1933 წლის „კოლექტიური წერილი“ შეადგინა ტ. შენგელიამ და არა ი. ჟვანიამ.

ამას გარდა, ხელთა გვაქვს ერთდროულად, როგორც ტ. შენგელიას, ისე ი. ჟვანიას ავტოგრაფები (ტ. შენგელიას მიერ სტალინთან გაგზავნილი წერილის ასლის ხელნაწერი და ი. ჟვანიას მიერ პ. მელაძესთან გაგზავნილი წერილის ხელნაწერი). ეს ორი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ი. ჟვანიას ხელნაწერი გამართული კალიგრაფიის ნიმუშია, ტ. შენგელიასი კი განსხვავებულად ნაწერი. მიუხედავად ამისა, კარახანოვის მიერ ჩატარებული ტ. შენგელიას დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ იმის შესახებ, რომ ი. ჟვანია არ იშლიდა თავის „ავტონომისტურ“ მოთხოვნებს: „რამდენადაც იგი არ უსმენდა 1933 წელს გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთში პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად. მაგრამ მიუხედავად ამისა ი. ჟვანიამ 1933 წელს ხალხის ბელადის სახელზე დაწერა წერილი კონტრრევოლუციური ხასიათისა და მოითხოვდა კვლავ მეგრელთა ავტონომიური რესპუბლიკის (?! — ავტ.) შექმნას. თვითონ ხელი მოწერილი რომ არ ჰქონდა, ისე მან ეს განცხადება სამხრეთ ოსეთიდან გამოგზავნა ჩემთან ზუგდიდში, საჯაია ალეს მეშვეობით“. ბრავო კარახანოვ! მან ბოლომდე გაამართლა IX ყრილობაზე გამოთქმული ბრალდება. იგი ტ. შენგელიას ალაპარაკებს: „მივიღე რა წერილი გავეცანი შინაარს დავრწმუნდი, რომ იგი აშკარად კონტრრევოლუციური (? — ავტ.) ხასიათისაა, მაგრამ მე ვიყავი ერთი აქტიური წევრი ამ კონტრევოლუციური ორგანიზაციისა (? — ავტ.), მოვაწერე ხელი, გადავიბირე სხვებიც, რომლებმაც ასევე მოაწერეს, მაგრამ გაგზავნით არ გაგვიგზავნია, რამდენადაც შინსახკომმა მომთხოვა ეს წერილი, რომელიც მე მივეცი...“ (სუკის არქივი №17988, ფ. 129). როგორც ჩანს, კარახანოვმა არ იცის, რომ ტ. შენგელიამ 1933 წლის სექტემბერში სტალინს აღნიშნული განცხადების ხელნაწერი ასლიც გაუგზავნა და ახალი ინდივიდუალური განცხადებაც. შემდეგ მოდის ახალი დემაგოგია იმის შესახებ, რომ ვითომ ტ. შენგელიამ სიმართლე გულწრფელად აღიარა: „მე ვიცოდი, რომ ეს ორგანიზაცია იყო კონტრრევოლუციური, მაგრამ მე მაინც ვმონაწილეობდი, რადგან ი. ჟვანიას ვენდობოდი, მეგრელი ვარ და მინდოდა

ჩემი სამშობლო აყვავებულიყო“ და სხვა. ამ წერილის „ისტორიული მიმოხილვის შესახებ“ ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი და მაშინ ვთქვით, რომ შესავალ ნაწილში მართლაც არის ასახული მეგრული ავტონომიისადმი ტ. შენგელიას სიმპათია, მაგრამ ისიც ავღნიშნეთ, რომ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებში არის „სამეგრელოს „ობლასტი“, ანუ წერია: „Ускорить оформление Мингрельской Области, которая обеспечить ускорение культурно-хозяйственного развития Мингрелии по социалистическому руслу“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 231). დოკუმენტში არც ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნა დაყენებულა და საერთოდ ამ დოკუმენტს კონტრრევოლუციასთან საქმე აბსოლუტურად არ აქვს. ეს ოქმი კი არის „მეგრული საკითხის“ ჩეკისტური გაზვიადების ილუსტრაციის კიდევ ერთი, კარახანოვის მიერ მოპოებული, ანუ შეთხზული მაგალითი.

მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ი. ჟვანია უკვე ხალხის მტრად გასაღდა, მისი ადრინდელი „დანაშაულობანიც“ იზრდება. ახლა „ტ. შენგელიას“ (ანუ კარახანოვს) შესაძლებლობა ექმნება ადრინდელი საქმე განცხადების შედგენისა გააზვიადოს მეგრული „რესპუბლიკის“ მოთხოვნამდე, გამოაცხადოს კონტრრევოლუციურ ქმედებად და ამის ინიციატორად წარმოაჩინოს „ხალხის მტერი“ ი. ჟვანია. ვის ჭირდება ეს? ცხადია ტ. შენგელიას არ ჭირდება კონტრრევოლუციური დანაშაულობების შესამცირებლად. მან ისედაც საკმარისი დანაშაულობები იკისრა და თუ მისი ნება იქნებოდა, შეეძლო ი. ჟვანია წერილის შემქმნელ-გადმომგზავნელად არ დაესახელებინა, ამჟამადაც მოქცეულიყო ისევე, როგორც მ. კავთელაძის მიერ ჩატარებული დაკითხვის (5. I. 1936) დროს ან ხუბაევისა და კარახანოვის მხრივ (17. 12. 1937) ერთობლივი დაკითხვის დროს — მაშინ წერილი ი. ჟვანიასათვის არ გადაუბრალებია, არამედ წერდა „1933 წელს საკუთარი ინიციატივით შეეადგინე ა. საჯაიასთან ერთად სტალინის, მოლოტოვის და კალინინის სახელზე, მეგრული ავტონომიის მოთხოვნითო“ (სუკის არქივი №2983, ფ. 245). აქაც „ავტონომიის“ მოთხოვნა ჩეკისტურად გაზვიადებული იყო. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ეს წერილი უთუოდ ავტონომისტური სულისკვეთებისა და სამეგრელოს ავტონომიის რეკომენდაციის შემცველია. ეს, ჩვენი აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საკავშირო ხელმძღვანელობას სთავაზობს სამეგრელოს ავტონომიას, როგორც მაქსიმუმს, მაგრამ თანახმაა ადმინისტრაციულ ოლქზეც, როგორც მინიმუმზე. მთავარი მაინც ის არის, რომ ზემოთ აღნიშნული „სამეგრელოს რესპუბლიკის“ ვითომ ი. ჟვანიას მოთხოვნა აშკარა სიყალბე იყო. იგი ტ. შენგელიას კი არ სჭირდებოდა, არამედ კარახანოვს უნდოდა, რადგან იცოდა, რომ IX ყრილობაზე ასე ითქვა და ახალი კონიუნქტურაც ამ ფაქტის გამოყენების სტიმულს ქმნიდა. ამ მიზნით იგი ძალისმიერ მეთოდებს განსაკუთრებით სასტიკად მიმართავდა.

შემდგომი გამოძიების პროცესში ნამგალაძის საქმესთან დაკავშირებულებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ კარახანოვს „1937 წლის აღიარებები მისცეს მათ მიმართ ძიების უკანონო მეთოდების გამოყენების ძალით“ (სუკის არქივი №17988, ფ. 358). კონკრეტულად ტ. შენგელიამ 1940 წელს 11 ნოემბერს უჩვენა: „... ამჟამად ვაცხადებ, რომ მე არასდროს კონტრრევოლუციონერი არ ვყოფილვარ, არც არავის ჩაუბმივარ... რაც შეეხება მას, რომ მე მივეცი აღნიშნული შინაარსის ჩვენება, ეს გამოწვეული იყო ჩემს მიმართ მიღებული მაგარი რეპრესიების შედეგად“ (სუკის არქივი №17988, ფ. 305). აი, როგორ განვითარდა ადმინისტრაციული ოლქის გულწრფელად ხელმოწერილი მოთხოვნა, ჯერ სამეგრელოს „ავტონომიის“ მოთხოვნად, შემდეგ „მეგრელთა კონტრრევოლუციურ მაფალუისტური ორგანიზაციის მოთხოვნად და როგორ შეცვალეს მისი ავტორი ტ. შენგელია „ხალხის მტერ“ ი. ჟვანიათი. ასეთი იყო იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურა და მისი შესაბამისი ჩეკისტური დაკვეთა. ასე „გაყავდათ გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე“. ამის დამჯერე

პუბლიცისტებს კი ამ „გვირაბის“ არსებობა სიმართლედ მიაჩნიათ და ზოგი მათგანი ახლაც ამ „გვირაბით“ ცდილობს ფართო მკითხველის გაყვანას.

როგორც ვხედავთ, ი. ჟვანიას სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლად და ანტიქართული სეპარატიზმის ლიდერად გამზვიადებლები „კარახანოვის“ ჭკუაზე დადიან. მაგრამ საინტერესოა, რომ კარახანოვს თავის მხრივ დამკვალიანებელი არა მარტო ცკ-ში, არამედ ჩეკას პატიმრებშიც ჰყავდა. ერთ-ერთი ვითომ ანტი მაფალუელი ზუგდიდელის 1935 წლის 20 სექტემბრის ჩვენებაში, ბევრ სხვა საეჭვოსთან ერთად წერია: „ისაკი ჩამოვიდა აგვისტოს შუა რიცხვებში, თუ არ ვცდები ამ წლისა, რომელიც მიდიოდა სვანეთში. მაგრამ გაჩერდა ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიურ წევრთან ნაჭყებია ერეკლესთან და მის მეუღლე ჯალაღონია მაროსთან... როგორც გადმომცეს ჟვანია მათ ეუბნებოდა, რომ საჭიროა გაძლიერებული ბრძოლის წარმოება ხელმძღვანელობის წინააღმდეგ“ (სუკის არქივი №2983 ფ. 202). არ გამოვრიცხავთ ასეთის შესაძლებლობას. თუ ი. ჟვანია მართლა სვანეთში სამსახურებრივი მივლინების დროს სტუმრობდა მის ყოფილ თანამოაზრეებს, რომლებიც ახალი, მისი მაგინებელი ხელმძღვანელის მიერ დისკრედიტირებულნი არიან, უთუოდ ბევრ საყვედურს მოისმენდა და სათანადო კონსულტაციასაც გაუწევდა. მაგრამ აქ ავტონომია და „მაფალუიზმი“ არ ვლინდება. მერე აგრძელებს: „ისაკის ჩამოსვლის ორი თუ სამი დღის შემდეგ მე გამომიძახეს პარტიის რაიკომში. აქ შემხვდა მარო... გზაზე, მითხრა... საჭიროა დავწეროთ განცხადება, შევაგროვოთ ხელმოწერები ყველა უკმაყოფილო ელემენტებისა რაიონის ხელმძღვანელობაზე... და მივიტანთ ამხ. სტალინის ცნობამდე... ამხ. ჟვანიამ რეკომენდაცია მოგვცა აქტიურად ვიბრძოლოთ და შენც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღო ამ ჯგუფშიო. მე კატეგორიული უარი უთხარი ეს მუშაობა ანტიპარტიულია და არალეგალურად არ ვიმუშავებთქო. სამოთხი დღის შემდეგ ღამე დაახლოებით 10 საათზე ჯალაღანიასთან შეხვედრის შემდეგ ჩემთან... ჩამოვიდა მაროს ქმარი ერეკლე, ნაჭყებია უცნობი ახალგაზრდა კაცით... უკმაყოფილო ხელმძღვანელობაზე... მითხრა ყველა ეს განცხადებები უნდა გადავცეთ ერთ კორესპოდენტს და იგი წაიღებს გაგრაში ამხ. სტალინთან... მე უთხარი, რომ ეს ფრაქციული დაჯგუფებაა, არალეგალური მუშაობაა და ამის გამო დაიღუპებით. იმ საღამოს ჩემთან დარჩნენ, მეორე დღესაც მაიძულებდნენ და მეც დავთანხმდი, რათა ნდობა დამემსახურებია და როგორც საკ. კპ. (ბ) წევრს ბოლომდე გამომემეღავნებინებინა მათი გადაწყვეტილება და ამის შესახებ მომეტანა შინსახკომის და პარტიის რაიკომის ცნობამდე. ამის შემდეგ ისინი ჩემგან წავიდნენ, მაგრამ მე არავითარი ხელმოწერები არ შემიდგენია და ამის შესახებ თქვენს ცნობამდე მოვიტანე...“ (სუკის არქივი №2983 ფ. 205-208). ამის შემდეგ კიდევ მრავალ სხვას უმატებს, მაგრამ ეს ყველაფერი რაიონული ხელმძღვანელობის მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვებას ეხება. ამასთანავე ეს ქრონოლოგიურად 1935 წელს დაკითხულის ჩვენების ამონარიდია. ამავე საკითხზე ჩვენების სხვა მიმცემის ნაწერში ეკითხულობთ: „გასულ წელს აპრილ-მაისის რიცხვებში, როცა ჩემს სახლთან მივდიოდი, ჩემს წინ ახლო მანძილზე მიდიოდნენ ოლია ჩიჩუა, რომელსაც მიყვებოდა ვიღაც ჩუხუა... საუბრობდნენ ჩუმად, ოლია ეუბნებოდა ჩუხუას „რატომ არ მიდით ამდენი თანხა დაიხარჯა და თქვენ მისელა ვერ მოახერხეთო, ფული გადაიხადეს კირილე მიქაიამ, ოლია გვასალიამ, ავთანდილ ჯიქიამ და გერა საჯაიამო. ჩუხუამ უპასუხა „ვერ მიგვიღესო“. მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ვითომ ი. ჟვანიას მიერ გამოგზავნილი თუ შთაგონებული წერილი სტალინისათვის იყო გადასაცემი. მაშასადამე, გამოდის, რომ ი. ჟვანიას თანამოაზრეებისთვის 1933 წელს დაუვალებია სტალინისათვის სამეგრელოს ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის მოთხოვნა კი არა, არამედ რაიონული ხელმძღვანელობის მამხილებელი მასალებისა და საჩივრების გადაცემა.

იგივე პატიმარი წერს: ყოველივე ხსენებული მე გადავეცი ზუგდიდის შინსახკომის რაი განყოფილების ყოფილ უფროსს ამხ. უბილავას, რომელმაც

ეს ყოველივე დაწერა. შემდეგ კი რა ზომები მიიღო არ ვიცი“ (სუკის არქივი №2983, ფ. 213). ეს იმას მოწმობს, რომ ჩეკა ინფორმატორების მეშვეობით თავიდანვე იყო ჩართული შიდაპარტიულ ბრძოლაში. 1933 წელს ი. ჟვანია ზუგდიდში არ ყოფილა. ტ. შენგელიამ პირადად შეადგინა 1933 წლის ავტონომისტური საჩივრები და ამის გამო „ვილაცამ“ დაასმინა, ამასთანავე ის დღეც გაამხილა, როცა ტარასის ეს საჩივარი მატარებლით თბილისში უნდა წაეღო გასაგზავნად. მაშასადამე, ჩეკისტური ინფორმაციები გროვდებოდა და მერე ისე გამოიყენებოდა, როგორც მათი ჩეკისტური საჭიროება მოითხოვდა. მაშასადამე, ფაქტოლოგია და ვერსიები წინასწარ გამზადებული ჰქონდათ. ამ დროს კი, როგორც სათანადო სამძებრო მასალებიდან ჩანს, ტყუილი და მართალი გროვდება და გროვდება.

ვითომ „კონტრრევოლუციონერ-ნაციონალისტ-სეპარატისტების“ საქმის ძიების პროცესში დაკითხული უამრავი პიროვნებიდან ერთ-ერთმა უჩვენა: „ყოფილი ზუგდიდის მაზრის ქ. ზუგდიდში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ორგანიზებული იქნა ჯგუფი მიშა დადიანის ხელმძღვანელობით, რომელიც მოითხოვდა მეგრულ ავტონომიას (მაგრამ არა საქართველოდან გამოყოფას — ავტ.). ამ ჯგუფმა 1925 წ. გამოუშვა თავისი გაზეთი რამდენიმე ეგზემპლარი მეგრულ ენაზე „ნოთეს“ სახელწოდებით. რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოს კომპარტიის მიერ პარტ. ორგანიზაციებში დაიგმო როგორც ნაციონალისტურ-შოვინისტური მიმდინარეობა და ამ მიმდინარეობის მონაწილეები პარტიიდან გაირიცხნენ. ი. ჟვანიას ზუგდიდის მაზრკომად დანიშვნის შემდეგ, თავიდან იგი აქტიურად იბრძოდა ამ ჯგუფის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ თვით ჟვანია ჩაუდგა ამ მოძრაობას და აქტიურ პოპულირებას უწევდა. ვითომ მეგრელი ხალხი დაჩაგრულია ქართველების მიერ, აუცილებელიაო მეგრული ავტონომია. პარტორგანიზაციებში ეს საკითხი დამუშავდა არა ერთხელ, რისთვისაც ჟვანია და მისი ჯგუფი არა ერთხელ მწვავედ გაკრიტიკდა ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგების მხრიდან. ამის მერე თითქოს ებრძოდა, მაგრამ კვლავ ანვითარებდა აზრს, ვინც ხმას საწინააღმდეგოდ დაძრავდა, უნდა დათხოვებოდა პარტმანდატს. რაიონიდან, მაზრიდან იდევნებოდა, მუშავდებოდა, როგორც კონტრრევოლუციონერი... სამეგრელოს ძირითადი მასა მხარს არ გვიჭერდა, ამბობდნენ ეს იდეა მეგრელი ხალხისთვის მისაღები არ არის, კულტურა სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, ჩვენ არავინ გვჩაგრავს (! — ავტ.)... მაგრამ ძირითადი მასის სურვილის წინააღმდეგ ი. ჟვანია ატარებდა საკუთარ ხაზს“ (სუკის არქივი №2983 ფ. 213). აქედან ჩანს, რომ, როცა არსებობს მოთხოვნილება, ჩეკას ძიებას შეუძლია შეაკოწიწოს შესაბამისი დასაბუთებაც. ისე გამოდის, თითქოს ი. ჟვანია მ. დადიანის ჭკუაზე დადის, მის მიერ გამოგონილი — აკვიატებული იდეისთვის იბრძვის და გარშემო ზოგი ისე დაუშინებია, რომ ზუგდიდის პარტორგანიზაციის და ინტელიგენციის ნაწილი გაუყოლებია კიდეც. არა და, ეს „რკინის კაცი“ 1927 წ. რომ გალახეს ბ. ბერიამ და გრ. შელიამ, სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, მთელი ზუგდიდის მაზრა გვერდში დაუდგა და სასტიკად დაგმეს მოძალადეები. მაშასადამე, ზუგდიდი ი. ჟვანიას მხარს უჭერდა. მაგრამ ჩეკას ძიებას პირუკუ გამოჰყავს და იმას აბრალებს, რაც არ იყო. მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ე.წ. „მაფალუელების“ ეს აშკარად მტერი, მ. დადიანის ნამოქმედარში „სეპარატიზმს“ ვერ ხედავს. სხვა ადგილას ვკითხულობთ: „მე ზუსტად არ ვიცი, მაგრამ კვარაცხელია ვარლამის ჯგუფს ხელმძღვანელობს ისაკი ჟვანია, ხოლო შალვა ნაჭყებია დირექტივებს ღებულობს მტს-ის პოლიტგანის ყოფილი უფროსის შოგირაძე ბესარიონისაგან, რომელიც აშკარად საპირისპიროდ იყო განწყობილი ახლანდელი ხელმძღვანელობის მიმართ“ (სუკის არქივი №2983 ფ. 111). ჯერ ერთი, თუ ზუსტად არ იცი, რა გრჯის? მეორე, ბესარიონ შოგირაძე ცნობილი ანტიმაფალუელია. იგი ახლა რაღად უჭერს მხარს ოპოზიციას, როცა ადრე ე.წ. „მაფალუელების“ წინააღმდეგ იბრძოდა?! მაგრამ გასაგებია, არათანამიმდევრობა იმის ბრალია, რომ

ახლა ჩეკისტები ისე აკოწიწებენ სამხილს, როგორც ჭირდებათ და ფაქტების ლოგიკურობას ყურადღებას აღარ უთმობენ.

ერთ-ერთ ჩვენებაში წერია: „არა მარტო მე, არამედ მთელმა სამეგრელოს მოსახლეობამ იცის და იცოდა, რომ ისაკი ჟვანია აქტიურად იბრძვის სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებისა და ოლქის გამოყოფისათვის... ერთხელ ოფიციალურად იყო გამოყოფილი კომისია, რომელიც იკვლევდა სად აჯობებდა საოლქო ცენტრის დაარსება... სამი ვარიანტი იყო: ქ. ზუგდიდი, ქ. ფოთი, ქ. სენაკი. საბოლოოდ კითხვა არ გადაჭრილა, ღიად არის დატოვებული ოლქის ცენტრის შერჩევა". (იხ. იქვე, ფ. 141. ხაზგასმა ჩვენია – ავტ.). ამ ამბავის შესახებ ადრე გვქონდა საუბარი და ვიცით, რომ აქ „ავტონომია" ნასაზრდოებია ჩეკისტური ძიების მიერ. სინამდვილეში საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის მიერ გამოყოფილი კომისია (საქჩეკას ყოფილი უფროსი ეპიფანე კვანტალიანი, კოლია სვანიძე და ვასო ქურდაძე) ესწრებოდა დისპუტს, რომელზეც ზემდგომი ორგანოების სანქციით იხილებოდა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის და მის ცენტრად ზუგდიდის განსაზღვრის მიზანშეწონილობის საკითხი. ამასთანავე, ხელთა გვაქვს ბატონ მამანტი ჰაჭკორიას წერილი, რომელიც იხსენებს, რომ, როგორც იმდროინდელი კომკავშირელი ამ სხდომებს ესწრებოდა და ისმენდა ი. ჟვანიას მოსაზრებებს, რომელიც ადმინისტრაციული ოლქის ჩამოყალიბებას ეხებოდა და არავითარ შემთხვევაში – ავტონომიური ოლქისას.

ერთ-ერთმა დაკითხულმა კი ზემოთ აღნიშნული ამბავი ასე გააღრმავა: „როგორც მახსოვს 1927 თუ 1928 წელს მოვიდა ჩემთან ჩიქობავა ვანო და მითხრა: სამეგრელოს ოლქის გამოცხადებაზე ვაგროვებთ ხელის მოწერასო... ზუგდიდში გვეყოლება ისეთივე მთავრობა, როგორიც თბილისშია (ეს ხომ სამეგრელოს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკაა?! – ავტ.)... ვკითხე ვინ ხელმძღვანელობს? – ისაკიო... 1928 წლის შემდეგ წალენჯიხაში მოწვეული იყო კრება... კრებაზე მოვიდნენ წალენჯიხის რაიონის მოსამართლე მიშა დადიანი (! – ავტ.), რომელმაც გააცნო კრებას ზუგდიდში საოლქო ცენტრის გამოყოფის შესახებ და სამეგრელოს ავტონომიის დაარსების (? – ავტ.) შესახებ. ამის შემდეგ 1930 წელს წალენჯიხაში მოწვეული იყო რაიონის მოსახლეობის კრება. ამ კრებაზე მოწვეული იყო ფოთის წარმომადგენელი ვინმე ნოდია და თვით ი. ჟვანიამ გააკეთა მოხსენება სამეგრელოს ავტონომიის (? – ავტ.) გამოცხადების და მისი შედეგების შესახებ მოსახლეობისათვის (ისე გამოყავს, რომ ფოთელი ნოდიაც ავტონომისტი ყოფილა ამიტომ სწორედ ეს ავტონომისტი მოუწვეია ი. ჟვანიას – ავტ.). ი. ჟვანია ამბობდა, რომ „თუ ეხლა სამეგრელოს გლეხები თბილისში დადიან მთავრობაში საქმეების მოსაგვარებლად, ავტონომიის (? – ავტ.) გამოცხადების შემდეგ, აქ ადგილზე ქ. ზუგდიდში იქნება მთავრობა, ყველა კანონები. ჩვენ შევიერთებთ სვანეთსაც, ფოთსაც და ყველას ჩვენთან ექნება ურთიერთობა, როგორც ავტონომიური ოლქის მთავრობასთან. ამის შემდეგ გამოვიდა ქ. ფოთის წარმომადგენელი ნოდია, რომელიც მოითხოვდა ქ. ფოთის მოსახლეობის სახელით, რომ სამეგრელოს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილიყო დამტკიცებული ფოთში. მაგრამ საერთო კრებამ უარი განაცხადა და ნოდიას უთხრეს, რომ სამეგრელოს ავტონომიური ცენტრი უნდა იყოს ქ. ზუგდიდში და არა ზღვის პირას ფოთშიო. როგორც ვიცით ამ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება სამეგრელოს ავტონომიური ოლქის ცენტრის ქ. ზუგდიდში დაარსების შესახებ..." (სუკის არქივი №2983 ფ. 141-144). ამას ესადაგება სხვა პიროვნების ჩვენება, რომელშიც ეკითხულობთ: „სამეგრელოს ავტონომიად გამოყოფის მომხრე მოქალაქე ვ. ჩიქობავა აწარმოებდა აღრიცხვას და ხელს აწერინებდა, მე ამაში დავრწმუნდი. 1927 წელს ჩემთან მოვიდა... და მითხრა: „მეგრული ენა ხომ გიყვარს, სამეგრელოს ცალკე ოლქს ვაარსებ როგორც მომხრე, ხელი მომიწერეო. ამავე დროს განაცხადა, რომ ხელი უკვე მოწერილი აქვთ ბ. სახოკიას, ე. სარიას და სხვებსო, და შენც მოაწერე ხელიო." (სუკის არქივი №2983 ფ. 189. ხაზგასმა

ორივე ჩვენების ამონაწერებში ჩვენია — ავტ.). ჩვენს მიერ წიგნის წინა თავებში მოტანილი გლეხების თუ ი. ჟვანიას და სხვათა მიერ სტალინის სახელზე გაგზავნილი ოფიციალური, ხელმოწერებით დადასტურებული წერილებიდან არა ჩანს, რომ ვისმეს მოეთხოვოს „სამეგრელოს ავტონომიური ოლქი". ყველგან აღნიშნულია ერთ — ზუგდიდის ცენტრს დაქვემდებარებული სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნა. ცხადია რომ ადმინისტრაციული „ოლქის" ნაცვლად ძიებამ ყველგან მიზნობრივად დააფიქსირა „ავტონომიური ოლქი". არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება ვინმე, მათ შორის ვ. ჩიქობავა „სამეგრელოს ოლქის პროპაგანდისა და ხელმოწერების შეგროვების დროს აჭარბებდა „ი. ჟვანიას მიერ მიცემულ რწმუნებას" და საკითხის საკუთარი ხედვით, თავის ინიციატივით, ან ავტონომისტის ჩაგონებით ეწეოდა ჩვენებებში არეკლილ აგიტაციას. მაგრამ ი. ჟვანიას, როგორც სათანადო დოკუმენტები მოწმობენ, „ავტონომიის მოთხოვნის შესახებ" საკითხი არ დაუყენებია და გულითაც რომ სდომებოდა ვერც დააყენებდა. ამ შემთხვევაში მოელენების სახლაფორთოდ გადასხვაფერება საჭირო არ გახდებოდა. შეიქმნებოდა ისეთი სამხელი, რომლის გაშიფვრას ამდენი დავიდარაბა 'არ დაჭირდებოდა. გარდა ამისა საგამომძიებო მასალებში იძებნება ი. გ. ჩიქობავას სხვა ჩვენებაც, რომელივ მისთვის 1935 წ. 13 აგვისტოს ჩამოურთმევიათ; აქ კი ავტონომიაზე ნათქვამი არ არის:

ი. გ. ჩიქობავა, 41 წლის, მცხოვრები წალენჯიხაში, ინდივიდუალური გლეხი, ჩაის ქარხნის დარაჯი, საკ. კპ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, 1935 წელს საყვედური აქვს გამოცხადებული უკანასკნელი გაფრთხილებით ტროცკისტული შეხედულების გაზიარებისათვის. მისი ჩვენების ამონაწერი გვამცნობს: „1934 წ. აგვისტო თუ სექტემბერში მოვიდა ზარქუა... სამეგრელოს ავტონომიის იდეით, საქმეს ხელმძღვანელობსო ი. ჟვანია, ვარლამ კვარაცხელია, ბ. ჯანაშია. შეადგინეს სია... მე სიაში შეტანა გავაცანი ბუხუტი სახოკიას" (სუკის არქივი №2983 ფ. 139-140). ტ. ზარქუამ გამომძიებლის კითხვას: „რა დავალება მიეცით ვანო ჩიქობავას 1934 წელს?" ასე უპასუხა: „დავალება მივეცი 1933 წ. 3 სექტემბერს, რათა ეწარმოებინა ხელის მოწერების შეგროვება... ხელი მოაწერა ვანო ჩიქობავამ და მისმა ცოლმა" (სუკის არქივი №2983 ფ. 125). ვ. ჩიქობავამ ჩამოთვალა სიაში შეტანილი სხვა პიროვნებები, რომელთაც უპირებდნენ ხელის მოწერის შეთავაზებას. ესენი არიან: ბ. სახოკია, ბ. კალანდია, ს. კალანდია, პ. კალანდია, ფ. კალანდია, ა. კალანდია, ი. მოლაშხია, თ. კალანდია, დ. ცანავა, ჭ. ცანავა, თ, ებსია, დ. სახოკია, ვ. სახოკია, ვ. კალანდია — სხვა არ მახსოვსო" (სუკის არქივი №2983 ფ. 193-194). ირკვევა, რომ საუბარია „წალენჯიხის რაიონის (სამეგრელო) მშრომელი კოლმეურნეების კოლექტიური განცხადების" შესახებ, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი 1933 წელს, ტ. შენგელიას მიერ, ვ. კვარაცხელიას თანადგომით და 1934 წელს ეგზავნება „საკ. კპ. (ბ) გენერალურ მდივან ამხ. სტალინს" და რომელსაც ერთვის 30 პიროვნების, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილთა ხელმოწერა (სუკის არქივი №2983 ფ. 271). ამ განცხადების შესახებ ჩვენ ადრე უკვე გვქონდა საუბარი. ახლა ვიმეორებთ, რომ მასში წერია: საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1929 წ. „ბოლშევიკური დადგენილების" საფუძველზე განხორციელებული დადებითი ღონისძიებების (მეგრულ ენაზე გაზეთი, საქმის წარმოება, პირველდაწყებითი სწავლების და სხვ. შემოღების), ანუ იმ სიკეთის შესახებ, რომელმაც დიდი წარმატებები მოგვიტანა, მაგრამ სამწუხაროდ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. დარაიონების შემდეგ გამოყენებიდან ითიშება „მეგრული საკითხზე" ცეკას ყველა დადგენილება, მიუხედავად საკ. კპ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებისა, რომელიც ნებას რთავს მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებას და დაწყებით სკოლებში სწავლებას, ეხლა რაიონის ხელმძღვანელობა განგებ გვერდს უვლის ცეკას ამ დადგენილებას, რომელიც წარმატებათა საფუძველია და ჩვენ მოვითხოვთ „მეგრული საკითხის" საქართ-

ველოს კომპარტიის ცეკას დადგენილების გატარებას ისევე, როგორც მოსაზღვრე ზუგდიდის რაიონში (იყო — ავტ.). მოვითხოვთ სამეგრელოში ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრის დაწესებას, რამდენადაც ამ გაერთიანებით ჩვენ შეეძლებთ დაჩქარებულ წინსვლას პოლიტიკური თვალსაზრისით" (სუკის არქივი №2983 ფ. 269-270; საზგასმა ჩვენია — ავტ.).

მაშასადამე, აქ 1927-32 წლების კი არა, ი. ჟვანიას ზუგდიდიდან გადაყვანის შემდეგი ამბებია. ამასთანავე, როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი სამეგრელოს ავტონომიის, მითუმეტეს რაღაც ისეთი პოლიტიკური სტატუსის მქონე მეგრული ფორმირების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა საგლეხო საკითხების იმდაგვარ მოგვარებას, რომ თბილისი აღარ დასჭირდებოდათ და სხვა. რაც შეეხება ერთიანი ცენტრის მქონე სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას, როგორც ადრე გექონდა საუბარი, ეს ნიშნავდა ადმინისტრაციულ ოლქს, ასეთის შესახებ კი, ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერები პრინციპულად, ლეგალურად და ოფიციალურად აყენებდნენ თხოვნას. თანაც ეს საკითხი იხილებოდა და მუშავდებოდა საქართველოს ცენტრის სანქციით და მისივე წარმომადგენლების (ე. კვანტალიანის, კ. სვანიძის და ვ. ქურდაძის) მონაწილეობით. ამიტომ გასაგებია, რომ ეწეოდნენ სათანადო პროპაგანდასაც და ატარებდნენ წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებსაც. მაგრამ 1933 წლამდე ამის წინააღმდეგ ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ან ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუქმნია. ერთადერთი საწინააღმდეგო ოფიციალური რეაგირება იყო ი. გვასალიას სიტყვა საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე (1934 წ. იანვარი) და ისიც ზგდიდელი კომუნისტების ერთი ჯგუფის მიერ რაიონის ხელმძღვანელობის საქმიანობის ვითომ „მაფალუისტურ-ნაციონალისტურ-კონტრრევოლუციური" „გაშუქების" გამო, რომლებიც როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჩიოდნენ „მეგრული საკითხის" მოხრჩობის გამო. ახლა კი რას ვხედავთ? ჩეკა საგამომძიებლო საქმეს ისე აკოწიწებს, თითქოს მართლა ჰქონდა ადგილი „მაფალუისტურ-კონტრრევოლუციურ" და სეპარატისტულ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს ისეთი სტატუსის მქონე „ავტონომიურ" ოლქად, თუ სხვაგვარ ისეთ ფორმირებად ჩამოყალიბებას, როცა საქართველოს დედაქალაქ თბილისთან სამეგრელოს გლეხობას საქმე აღარ ექნებოდა და ყველა საკითხი ადგილზე ზუგდიდში გადაიჭრებოდა — აი კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ მიაბა ჩეკამ ი. ჟვანია და მისი მხარდამჭერები ე.წ. „მაფალუს" ვითომ სეპარატისტულ მისწრაფებებს. მაგრამ ეს ჩეკისტური გულმოდგინება იმდენად აშკარა თეთრი ძაფით შეიკერა, რომ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავად ჩეკას გაუხდა დასარღვევი. ერთადერთი ვინც ბერიას მიერ მიზნობრივად ნასაზრდოები ეს ზღაპარი „დაიჯერა", ისევ ის პოლიტიკანი ქართული პარტოკრატია და მათი აზრის დამჯერები აღმოჩნდნენ, ვინც შემდგომ 1990-2000-იან წლებში ეს მითი გააცოცხლა და რეალობად გაასაღა.

ახლა საჭირო ხდება გავიგოთ: როგორ და რატომ მოხდა „თეთრი ძაფით" შეკერილი „მეგრული საკითხის" რღვევა? 1935 წლის 17 ნოემბერს ლ. ბერიას განცხადებით და ვრცელი წერილით მიმართა „დიდი ოქტომბრის მე-18 წლის თავზე ბნელ საკანში, რეპრესიების ქვეშ დამწყვდეული — პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდისათვის მებრძოლი ბოლშევიკების" ერ. ნაჭყებიას მისი მეუღლე — მ. ნაჭყებიას (მ. ჯალაღანია — ავტ.), ბ. სართანიას, ვ. კვარაცხელიას და კომკავშირის წევრის შ. თორდიას სახელით — ბ. სართანიამ. იგი წერს: „მისაკედელი მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ხართ ორდენისანო ამხ. ლავრენტი. ერთხელ კიდევ გთხოვთ და მოგმართავთ შემდეგს"... (სააპელაციო განცხადების შინაარსი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა საპატიმროში მიღებულსა და გაცნობილ „პრავდის" 25 ოქტომბრის მოწინავე წერილს). განცხადებაში შემდეგი სახით ჩამოყალიბებულია:

„1. ზუგდიდის რაიონულ პარტიულ ხელმძღვანელობაში მოკალათებული ბანდიტები, ქურდ-ბაცაცები, თეთრგვარდიელები, ესერები, კომბინატორები და გამფლანგველები, და დადიანების ძველი ჯალათების მომკალათებლების და მათი მლიქვნელების გამომჟღავნება ჩვენს მიერ პრესაში და დახურულ კრებაზე — უსიამოვნო ბაგაჟად აწვებოდა რაიკომის მდივან ი. გვასალიას და რაი აღმასკომის თ-რე ლ. როგავას, რადგანაც მათ დაკარგული ჰქონდათ კლასიკური სიფხიზლე და მოექცნენ უცხო ელემენტების გაელენაში. ამ უბადრუკ პარტმუშაკს ვერ გაუგია ბოლშევიკური თვით კრიტიკა და ვერ გაეგება მას პრავდის 25 ოქტომბრის მოწინავე.

2. ზუგდიდის რაიპარტხელმძღვანელობა ვერ შეეგუა ჩვენი ბოლშევიკური თვით კრიტიკას, და ჩვენი საწინააღმდეგო რეპრესიები გადაიტანეს ძირეულ რგოლებამდის... და სწორედ უნდა შეფასდეს ი. გვასალიას და როგავას როლი ჩვენდამი რეპრესიების მოწყობის საქმეში, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ვინ იცის რა მანევრებს არ მიმართავდნენ ადგილებზე თქვენი წარსადგენად, ჩვენი გასანიავებელი საქმის შესადგენად.

განსაკუთრებით ამ ბოლო დღეებში გაავრცელეს, რომ ჩვენ გადავყავართ თბილისში 15 ნოემბერს, რამაც ააწრიალა მთელი ჩვენი მშრომელი და მოკეთეები, რომლებიც მწარე ცრემლებით დაგვტიროდნენ და ჩვენი ნახვის უფლებას არ აძლევდნენ. ამავე დროს 17 ნოემბერს დასაკითხავად დაძახებულ შ. თორდიას ფიზიკური შეურაცყოფაც კი მიაყენეს, რის გამო თავგატეხილი და ყურის ბარაბან დაზიანებულია... 7 ნოემბერს რაიონულ გაზეთში მოათავსეს საგზაო მშენებლობაში წარმატების (წარმოჩენის — ავტ.) მიზნით 1932 წელს საქჩაის მიერ ჯიხაშკარში გაშენებული ხიდის სურათი და მენშევიზმის დროს თეთრგვარდიელი — აზერბაიჯანის მშრომელთა ჟლეტაში აქციური „მოღვაწე", სამწუხაროდ ამჟამად ცაიშის თემ. საბჭოს თავ-რე ბარნაბა ქარჩავას სურათი. ასეთივე თეთრგვარდიელი ბანდიტი ესერი და კულაკები ამშვენებენ ერგეტის სოფლსაბჭოს, ოდიშის სოფლსაბჭოს, ახალსოფლის და ჭკადუაშის კოლმეურნეობის, და სხვა კიდევ ბევრი რამ". ამას წერს კაცი, რომელიც მამასთან ერთად 1924 წლის აჯანყების მონაწილედ არის მხილებული, საოცარია! მაგრამ ბოლომდე წაკითხვა მაინც საჭიროა: „მათი — გვასალია და როგავას თქმით, თითქოს ჩვენ ვართ მაფალუისტები და ანტისაბჭოთა ელემენტები. ჩვენ აშკარად ვამბობთ: რომ 1932-1933 წლის შემდეგ (?! — ავტ.) მაფალუიზმზე ზუგდიდის რაიონში არაფერი არ წარმოებულა არამც თუ ჩვენს მიერ — არამედ არავის მიერ (ბ. სართანიას მაშინაც არ მიუღია ამაში მონაწილეობა). მაგრამ დღესაც გვასალია და როგავა ეფარებიან ამ ბრალდებას, ჩვენ გვნათლავენ ანტისაბჭოთა ელემენტებად და ამაში ცდილობენ თვითკრიტიკის ჩახშობას და ჩვენ განადგურებას. და აი, სწორედ ჩვენ ავიმაღლეთ ხმა, ხმა ბოლშევიკური — გვასალიას და როგავას არაბოლშევიკური ქმედობაზე რაიონის მშრომელთა სახელით." ამ ინფორმაციის შემდეგ, განმცხადებელი ლ. ბერიას სთხოვს საქმეში გარკვევას: „ან ჩვენ დავრჩეთ პარტიაში ანდა გვასალია და როგავა (ისე წერს, თითქოს თანაბარ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ?! — ავტ.) ჩვენ მოვითხოვთ, თუ ჩვენ უღირსი აღმოვჩნდით, გადასახლებული ვიქნეთ შორეულ ბანაკში (! — ავტ.) ან კი პირიქით, რაზედაც გთხოვთ საჩქაროდ მოგვეშველოთ" (იხ. ბ. სართანიას 1935 წლის 17 ნოემბრის წერილი ლ. ბერიასადმი). განცხადება დაწერილია ქიმიური ფანქრით. ხელის მომწერებისათვის დანომრილი აქვს რიგზე ხუთი ციფრი. შ. თორდიას გვარი რატომღაც გადაშლილი აქვს. ხელს აწერს მხოლოდ პირადად. ჩვენთვის გაუგებარია რამ გააგულისა აქამდე თავშეკავებული?! პატიმრების სააპელაციო თხოვნებში განცხადებსა თუ საჩივრებში იშვიათად გვხვდება საკითხის ასე დაყენება: „ან ჩვენ ან ისინი", მითუმეტეს, რომ განცხადებაში პრეტენზიებს აყენებს სხვების მაგივრადაც. ასეთი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ჩვენი აზრით დამაეჭვებელია. გასაგებია, რომ ბათლომე სართანია ვაბანაზე მიდის, მაგრამ რისი იმედით?!

სუკის არქივში გამოვლენილი, ამასთან დაკავშირებული მასალებიდან საყურადღებოდ გვესახება ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ცნობილი ჩეკისტი, ცნობილი ფალსიფიკატორი ბაღჩო ქობულოვი, ბერიას მარჯვენა ხელი და საქართველოს ჩეკას ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, აგრეთვე ბ. სართანიასთან ერთად საქმეში გაყვანილთა ძიების დამაგვირგვინებელი მიხეილ კავთელაძე, თბილისიდან 21 ნოემბერს ითხოვენ საქმის სასწრაფოდ გადაგზავნას (იხ. ბ. ქობულოვის და კავთელაძის 1935 წლის 21 ნოემბრის მოთხოვნა). რაღაც არაორდინალური ხდება. ამავე რიცხვით თარიღდება ცნობები, რომლის მიხედვითაც ამ ოთხ პატიმარ განმცხადებელზე, საქართველოს და ამიერკავკასიის ჩეკას აღრიცხვა-სტატისტიკის განყოფილების მონაცემებით, „მაკომპრომეტირებელი მასალები არ იძებნება.“ კი მაგრამ ბ. სართანიას შესახებ არსებობდა ჩეკას წალენჯიხის რაიონული განყოფილების უფროსის ზარელუას ოფიციალური წერილი ზუგდიდის განყოფილების უფროსის წურწუმიასადმი იმის შესახებ, რომ პარტიის სამი წევრის მონაცემებით „1924 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში“ (სუკის არქივი №2983 ფ. 254). ამ ცნობას დამატებით ადასტურებს კიდევ ორი დაკითხული, რომელთაგან ერთი ახალი გვარია, მეორე კი, ირკვევა რომ არის ყოფილი წითელპარტიზანელი (სუკის არქივი №2983 ფ. 237). საყურადღებოა, რომ ვ. კვარაცხელიას საქმეში დაცული მისი 9 დეკემბრის მიმართვა შინსახკომის იზოლატორის კომენდანტისადმი, რომლითაც მოითხოვს ცნობას პატიმრობის შესახებ, რომ „სამსახურიდან მივიღო საბოლოო ანგარიშიო“. ე.ი. იცის, რომ მალე განთავისუფლდება. იგივე პატიმარი 13 დეკემბერს წერილობით მიმართავს საქართველოს ჩეკას უფროს გოგლიძეს, რომელშიც წერს: „დამაპატიმრეთ იმ ბრალდებით თითქოს ვმუშაობდი ანტიპარტიულად... მაგრამ სინამდვილესთან არარა აკავშირებდა, ვთხოვდი შინსახკომის ზუგდიდის განყოფილებას ადგილზე ფაქტების შემოწმებას, მაგრამ უყურადღებოდ. გთხოვთ უმორჩილესად დეტალურად შეისწავლოთ ყველა ის ფაქტი, რაც გამოწვეული არის გვასალიას უმოქმედობით, ამასთან გთხოვთ საქმის დაჩქარებას, რომ მაკმაროთ ამდენი ხნის უსამართლო ტანჯვა.“ (ვ. კვარაცხელიას 9 და 12 დეკემბრის წერილებიდან). ეს ის დროა, როცა კავთელაძეს გადასინჯული აქვს ამ ბრალდებულთა ჯგუფის საქმე, ვ. კვარაცხელიას ნაწერით მისი „საქმის მასალებს იკვლევდა ამხ. მიშა კავთელაძე“. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გვექმნება აზრი, რომ მ. კავთელაძეს დამატებითი ძიებაც დაუმთავრებია, ძიებაში მყოფებიც დაუმშვიდებია და ბ. სართანია, როგორც მართალი კაცი, ი. გვასალიას და როგავას „დანაშაულობრივი საქმეების“ „მცოდნე“, გამოცდილი კორესპონდენტი, კიდეც დაუკვალიანებია. შედეგმაც არ დააყოვნა. 1936 წლის 1 იანვარის თარიღით ყველა მათგანზე გაფორმდა განთავისუფლების ორდერი (სუკის არქივი №2983 ფ. 285-289). როგორც ჩანს, ასეთია ბერიას ნება. სხვაგვარად მათი ასეთი გათამამება, საქმის რადიკალურად შემობრუნება და წარმატება გაუგებარია. მხოლოდ უდანაშაულობა ასეთი სითამამისა და გაბედულობის შესაძლებლობას არ იძლეოდა. არც იმის დაშვება შეიძლება, რომ ამ გამართლებული „მაფალუელების“ საქმე ბ. სართანიამ დაარღვია.

რამდენადაც ცნობილია, რომ კავთელაძე-ქობულოვი-ბერია არის ლ. ბერიას ჩეკისტური მექანიზმის ღერძი, ამდენად საფიქრებელია, რომ უკვე ამ დროიდან ბერიას გადაუწყვეტია არა მარტო ამ უდანაშაულო ბრალდებულების განთავისუფლება, არამედ ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის მიმართ ახალი საშინელი თამაშის წამოწყება. მაშასადამე ზუგდიდის რაიკომის მდივნის ი. გვასალიას, რაიაღმასკომის თავმჯდომარის როგავას და მათი მხარდამჭერების თავზე საშიში ღრუბლები იკვრება.

1936 წლის 1 იანვარს ბ. სართანიას და მასთან ერთად საქმეში გაყვანილთა (ვ. კვარაცხელია, ი. ნაჭყებია, მ. ჯალაღონია, შ თორდია) გამართლებით, მათი საქმის გამო ძიების შეწყვეტით და განთავისუფლებით ფარდა აეხადა ზუგ-

დიდელი „მაფალუისტ-ნაციონალისტ-კონტრრევოლუციონერ-სეპარატისტების“ შესახებ შეთითხნილ ყალბ ბრალდებებს და ფაქტობრივად დამტკიცდა, რომ ეს იყო ი. გვასალიას ხელმძღვანელობის მამხილებელთა ოპოზიციური ჯგუფი. მაშასადამე, კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ მათი სახით არავითარი „მეგრული სეპარატიზმი“ არ არსებობდა, რომ ეს ყველაფერი იყო ბინძური ჩეკისტური თამაში, რომელიც სამწუხარო სიმართლე გვეგონა და ბევრს ისევ სიმართლე ჰგონია. მაშასადამე, ვახტანგ კვარაცხელიას ჯგუფის გამართლება მათი მამამთავრისა და დამკვალიანებლის, ტარასი შენგელიას გამართლებასაც ნიშნავდა. ამის შემდეგ მისი პარტიაში აღდგენაც შესაძლებელია, მაგრამ თეორიულად. ტ. შენგელიას მიმართ იმდენი საეჭვო მანც რჩებოდა, რომ ციხე არ ასცდებოდა. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ტ. შენგელიას ვიღაც „დიდი კაცი“ სწყალობდა. არ გამოვრიცხავთ, რომ მის მიერ სტალინის, მოლოტოვისა და კალინინისადმი გაგზავნილი სამეგრელოს ავტონომიის სარეკომენდაციო წერილიც ამ „დიდი კაცის“ მიერ სამეგრელოს ახლებური (ავტონომიური ან ადმინისტრაციული) მოწყობის მიზნით გამოწვეული ზონდირება იყოს. არც ის გაგვიკვირდება, თუ ოდესმე გამოირკვევა, რომ ეს დიდი კაცი იყო ლავრენტი ბერია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა ი. ჟვანიას და მისი მიმდევრების სრულ რეაბილიტაციას. ი. ჟვანიას კოზირის ხელიდან გაშვებას პარტოკრატიის და ჩეკას ლიდერი არ აპირებდა. ამას მოწმობს ტ. შენგელიას, ი. ჟვანიას და სხვათა ხვედრი. რაც შეეხება ჩეკისტური ძიების ზოგი ამბის გამეორებას, ეს იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩეკისტური ძიების ამ მასალებისა და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენება-გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა „მეგრული საკითხის“ ოფიციალური ვერსიის საპირისპირო, ალტერნატიული პროცესების დანახვა და გაშუქება.

ტ. შენგელიას ცხოვრებისეული პერიპეტიები, ჩვენთვის უკვე ცნობილ ამბებთან ერთად, სხვა საყურადღებო ნიუანსებსაც მოიცავს. იგი, როგორც ვნახეთ, ე.წ. „მაფალულთა“ ზუგდიდის გარემოცვისაგან ჩამოშორების მიზნით და ვითომ წარსული ბოლშევიკური დამსახურების გათვალისწინებით გადმოუყვანიათ თბილისში, ხოლო შემდეგ მისთვის სრულიად უცხო გარემოში, ყაზბეგში მიუციათ სამსახური. მისი ჩეკისტური დახასიათება ამბობს, რომ გაჩნია „განათლება უმდაბლესი“. მიუხედავად ამისა, მისთვის დაუკისრებიათ წიგნიერების, ფართო ჰუმანიტარული ცოდნის საჭიროებისა და ჩეკას კონტროლს მჭიდროდ დაქვემდებარებული მთავლიტის (ანუ ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა დაცვის მაკონტროლებელი ორგანოს) რწმუნებულის თანამდებობა. გასაგებია, რომ ტ. შენგელიას „განათლება უმდაბლესი“ წარმოადგენდა ფორმალურ მხარეს. მისი წარსული პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა მას მთავლიტის მუშაკისათვის საჭირო ერუდიციით აიარაღებდა. მაგრამ თუ დავიჯერებთ, რომ იგი 1925 და 1933 წლებში ე.წ. „მაფალუელად“ და სამეგრელოს ავტონომიის ანტიპარტიული მოთხოვნების მთავარ ორგანიზატორად გამოვლინდა, გაუგებარი ხდება რატომ და როგორ დააწინაურეს საქართველოს მთავლიტის ყაზბეგის რწმუნებულის ჩეკისტურ თანამდებობაზე. საინტერესოა ისიც, თუ როგორ ასრულებდა იგი მთავლიტში თავის ნახევრად-ჩეკისტურ სამსახურებრივ მოვალეობას, ამის შეახებ ტ. შენგელიას ჩეკისტურ დახასიათებაში მითითებულია: „Являясь Уполномоченным Главлита, запрещал и не давал изымать из печати книги контрреволюционного содержания и авторов врагов народа“ (სუკის არქივი №17988, ფ. 18). მარტო ეს ბრალდებაც საკმარისია ტ. შენგელიას მკაცრად დასასჯელად.

როგორც ადრე ვნახეთ, ტ. შენგელია ჯერ კონტრრევოლუციონერ-მაფალუელად გაასაღეს, მერე ყაზბეგის რაიკომის მდივნის შ. ნამგალაძის იმ ვითომ ანტიპარტიულ „კონტრრევოლუციურ დივერსიულ-მავნებლურ და ტროცკისტულ ორგანიზაციას“ მიაკუთვნეს, რომელიც, თითქოს „შ. მათიკაშვილის დავალებით“, მიზნად ისახავდა საქართველოს სამხედრო გზაზე „ტერორისტული საქმიანობის გაშლას“ და ტერორისტული აქტების მომზადებას“ ბერიას,

კუდრიავცევის, ბაქრაძის და გრიგოლ არუთინოვის წინააღმდეგ (სუკის არქივი №17988, ფ. 326, 332). ტ. შენგელიას, როგორც მთავლიტის რწმუნებულის, „დანაშაულიც“ საკმაოდ სერიოზული ბრალდება იყო. ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტიული საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის კვალობაზე ხელისუფლებამ 1935 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ტროცკის, ზინოვიევის, კამენევისა და სხვათა წიგნების ამოღებას ბიბლიოთეკებიდან და საერთო სარგებლობის ქსელიდან. ამ დროს ზემდგომი ორგანოების მითითებით იქმნებოდა საეჭვო ავტორების, საეჭვო ლიტერატურის სიები. ნადგურდებოდა არა მარტო ზემოდან მითითებული ლიტერატურა, არამედ ისიც, რომელიც საეჭვოდ მიაჩნდათ. ამ „მუშაობას“ კონტროლს უწევდა შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველო. მას აბარებდნენ წიგნებისა და სხვა ბეჭედითი პროდუქციის მოსპობის ანგარიშებს. ეს იყო ორგანიზებული ლაშქრობა ანტისაბჭოთა ოპოზიციის იდეოლოგიური ზეგავლენის აღმოფხრის მიზნით. მაგრამ საეჭვო ლიტერატურის სიაში აღმოჩნდა ქართველი მწერლების ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება, ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“, ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, გ. რობაქიძის „გველის პერანგი“, ტ. ტაბიძის ლექსების კრებული და სხვა (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 301, აღ. 1, ს. 20, ფურც. 30, 37, 55, 58, 62). საქართველოს მთავლიტის 1935 წლის 8 ოქტომბრის წარდგინება (№457) ჩეკას ამცნობდა, რომ მხოლოდ თბილისის 215 ბიბლიოთეკიდან ამოღებული იყო 5162 ეგზემპლარი, და რომ დანარჩენ 17 ბიბლიოთეკაში ამოღების სამუშაოები დამთავრდებოდა ორ დღეში (იხ. იქვე, ფურც. 89). ერთ ხანს საქმე ისე მიდიოდა, რომ არავინ იყო გამკითხავი, რა უნდა ამოღებულიყო და არ უნდა დატოვებულიყო სავაჭრო ქსელში. გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორს იაკინთე ლისაშვილს თბილისის კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა იმის გამო, რომ მის სავაჭრო ქსელში ამოღებული არ აღმოჩნდა ამერიკელი მწერლის ჯონ რიდის ცნობილი წიგნი „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ (იხ. იქვე, ფურც. 103, 113). ჩეკისტურ ბაკქანალიაში ყურადღება ვერ მიაქციეს, რომ ამ წიგნით აღფრთოვანებული იყვნენ მისი რუსული გამოცემის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორები ლენინი და კრუპსკაია. მერეღა გაარკვიეს, რომ ეს წიგნი ეკუთვნოდა კომუნისტს და ამასთანავე რჩებოდა, როგორც ოქტომბრის რევოლუციის შესახებ შექმნილი ლიტერატურული შედეგი.

ამ რთულ დროში მთავლიტი ყურადღებით ადევნებდა თვალს საკუთარი თანამშრომლების პოლიტიკურ სიწმინდეს. მისი ხელმძღვანელის ერთ-ერთ საიდუმლო წერილში ვკითხულობთ: „Препровождая присем список работников системы Главлита Грузии, просим сообщить, кто из них примыкал или находился в какой либо оппозиции или же имел отклонение от генеральной линии партии“ (უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 301, აღ. 1, ს. 28, ფ. 22).

ჩეკას ყველა „შემჩნეული“ ადამიანი აღრიცხვაზე ჰყავდა, მათ შესახებ „მემორანდუმებსა“ და „ფორმულიარულ“ სიებს ჰქმნიდა, ინფორმაციას ამუშავებდა და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა. მართალია, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩეკისტური ინფორმაციის ელექტრონული დამუშავების სისტემა, ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადება, მაგრამ იყო სხვადასხვა ანტისაბჭოთა მოქმედების, მათ შორის, ე.წ. „ადგილობრივი მეგრული, ანტიქართული ნაციონალიზმის“, მეგრული სეპარატიზმის ანუ ე.წ. „მაფალუიზმის“ და სხვა მოდური ბრალდებები. ინფორმაციის შეთითხვნა და თავმოყრა ჩეკას უკვე მაშინ კომპიუტერული დონის სიმაღლეზე ჰქონდა აყვანილი. ასე რომ, ყველა ანტისაბჭოთა ქმედება (ტყუილი თუ მართალი) ერთმანეთს უკავშირდებოდა და ერთმანეთთან ასოცირდებოდა. მაშასადამე, ტ. შენგელიას ე.წ. „მაფალუელობაც“ და როგორც მთავლიტის მუშაკის დანაშაულიც „მუშაობდა“. ამდენად, უკვე ირკვევა, რომ მის მიმართ ჩეკისტურად მობილიზირებული ბიოგრაფიული ცნობები იმთავითვე ალოგიკურად და მიზნობრივად ნამართაია.

მაგრამ მისი ბიოგრაფია ამით არ მთავრდება. ამას შემდეგ 1940 წლის 11 ნოემბრის დაკითხვის დროს ტ. შენგელიამ უარყო კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობა და უჩვენა, რომ მან მსგავსი აღიარება მისცა „მაგარი რეპრესიების შედეგად". მსგავსი ჩვენება მისცეს მასთან ერთად საქმეში გამავალმა სხვებმაც. ამის გამო 1941 წლის 18 აპრილს საქმე გაეგზავნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „საგანგებო თათბირს". მაგრამ სპეციალურ საკითხებში საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე არ დაეთანხმა საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების გადაწყვეტილებას და მიიღო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მოცემული საქმით გამსვლელთა განთავისუფლების შესახებ. ამას მოჰყვა აღნიშნული ორი ინსტანციის ურთიერთდაპირისპირება. ბოლოს საქმე სსრკ შინსახკომის საგამომძიებო ნაწილის დონეზე გადაწყდა. მან 1941 წლის 6 აგვისტოს არ ცნო საკმაო საფუძველი მხარი დაეჭირა საქართველოს შინსახკომის შუამდგომლობისათვის. შესაბამისად მიღებული იქნა დადგენილება: „საგამომძიებო წარმოება შეწყვეტილი იქნა" და პატიმრები „დაუყონებლივ განთავისუფლდნენ" (სუკის არქივი №17988, ПР –18967, ფურც. 358). არსებობს ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ ტ. შენგელია 1941 წლის 30 აგვისტოს პატიმრობიდან გაანთავისუფლეს (იხ. იქვე). ამის შემდეგ ჩვენთვის ტარასი შენგელიას კვალი იკარგება. მის შესახებ რაიმე ცნობა არც ზუდდიდის მკვიდრთა სარეაბილიტაციო საქმეების ჩხრეკვის დროს შეგვხვედრია. მაგრამ ერთი რამ უთუოდ უცნაური და საყურადღებოა. იგი, უაღრესად მძიმე ბრალდებათა მიუხედავად, 1937 წელს ახერხებს ჩეკას ძიების მიერ მისგან აღიარებითი ჩვენებების ძალითა და „მაგარი რეპრესიებით" მოპოვების დასაბუთებას, ხოლო 1940 წელს საქმეში გამსვლელ სხვა ბრალდებულებთან ერთად მართლდება, 1941 წელს კი საქართველოს შინსახკომის ნების წინააღმდეგ, საკავშირო შინსახკომის ჩარევით პატიმრობიდან თავისუფლდება. ასეთი რამ საბჭოთა მართლსაჯულების იშვიათი გამოვლინებაა. მას ალბათ „დიდი კაცი" სწყალობდა. ეს „დიდი კაცი" ჩვენი აზრით, ლ. ბერია იყო.

ისაკი ექვთიმეს ძე ჟვანია, დაბადებული 1891 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლექიჯეში, სკპ(ბ) წევრი 1913 წლიდან, პარტიიდან გაირიცხა 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ამ დროს იგი აჭარის ასსრ ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილე იყო (სუკის არქივი №12636, ფ. 157). მის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილის ავტორის ლ. თოიძის ანოტირებული სტატიით, რომელიც თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების ცნობილ მოღვაწეთა შესახებ არსებულ კრებულს ეყრდნობა, ი. ჟვანია დაპატიმრებამდე მუშაობდა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ორივე თანამდებობა მისი დიდი დამსახურების აღიარებაა და იგი გამორიცხავს ი. ჟვანიას ე.წ. „მაფალუელობას" მაგრამ არსებობს ბ. ქობულოვის ცნობა (20. X. 1937), რომლის თანასმადაც ი. ჟვანია არის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი (სუკის არქივი №12636, ფ. 2). 1937 წლის 21 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება, რომლის საფუძველზე იგი დააპატიმრეს, ორდერი №2710 (20. X. 1937). დადგენილებას ხელს აწერენ ბ. ქობულოვი და ხაზანი (სუკის არქივი 12636, ფ. 3-4).

ი. ჟვანიას სარეაბილიტაციო საქმეში ნათქვამია: „შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ჟვანიას ბრალდების საქმე ფალსიფიცირებული იქნა ხალხის მტრის ბერიას დამქაშების ქობულოვის, პარამონოვის და სავიცკის მიერ..." საინტერესოა, რომ ი. ჟვანიას დანაშაულობაში ფორმულირებული არ არის მისი ე.წ. „ნაციონალისტობა და მაფალუელობა". ეს სიყალბე მონაგონი ზღაპარი იყო იმასთან შედარებით, რაც მას ახლა დააბრალეს. მის ბრალდებას საფუძვლად უდევს გ. ა. მგალობლიშვილის ჩვენება იმის შესახებ, რომ მან, როგორც მემარჯვენეთა ცენტრის ხელმძღვანელმა, ი. ჟვანია ამ ორგანიზაციაში 1935 წლიდან გადაიბირა და ჩაბა. საქმეში არსებობს პატიმრების ვ. დარახველიძის და ლ. ფანცხავას ჩვენებები, რომლის მიხედვით მათ ა. კეკელიასგან გაიგეს, რომ ი. ჟვანია, ისევე

როგორც თავად, არის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. „საქმეში“ ისიც არის ნათქვამი, რომ ი. ჟვანია აღიარებს: 1935 წლიდან გ. მგალობლიშვილმა გადაბირა მემარჯვენეთა კ/რ ორგანიზაციაში, პირადად მან ამ ორგანიზაციაში ჩაბა 6 ადამიანი, მათ შორის: რ. გვახარია, მ. ბერულავა, ბ. ნაჭყებია. საცარია, რომ საჭირო არ გახდა ი. ჟვანიასთან მიეტმასნათ ზუგდიდის მთელი გასაუბედურებელი ვითომ „მაფალული“ „სეპარატისტების“ შემადგენლობა. საქმე, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ახლა ყალბად შეთითხნილი „მაფალუიზმისა“ და მასთან დაკავშირებული პასკილიანტობისთვის არ ეცალათ და არც იყო საჭირო ამ სიყალბის გამოყენება. ახლა საჭირო იყო ახალი ეტაპის მოდური ყალბი მოთხოვნილებების ჩეკისტური პროცესების შესაბამისი ხელწერისა და სტილის დაცვა. ი. ჟვანიას გაამგრებინეს სხვათა ჩვენებები და დამატებით დაადასტურებინეს, რომ „მემარჯვენეთა“ ხელმძღვანელ ცენტრში შედიოდნენ: გ. მგალობლიშვილი, შ. მათიკაშვილი, გ. კურულოვი, თ. ჟღენტი, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი. ი. ჟვანიას ჩვენებით, მისთვის ცნობილ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეებად შერაცხეს: ი. ბოლქვაძე, ვ. ვაშაკიძე, ვ. გვარამია, ა. დოლიძე და სხვა 23 კაცი. გასაგებია, რომ ასეთი იყო ბრალეულობათა ფალსიფიცირების და გაფორმების მექანიზმი. შემოწმებით გაირკვა, რომ მგალობლიშვილს სისტემატურად აწამედნენ. ამ დღეში იყვნენ ი. ჟვანია და მისი დამსახელებლებიც. ამის გამო იძულებული ხდებოდნენ დაესახელებინათ ის უდანაშაულო ადამიანები, რომელთა ბრალეულობის დადასტურებასაც ჩეკისტები მოითხოვდნენ.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, „საქმის“ საჭიროებიდან გამომდინარე, ჩეკისტებისათვის უცხო და მოულოდნელი არ იყო ფალსიფიცირების არც ერთი ხერხი. ი. ჟვანიას 1937 წლის 28 დეკემბერს საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილებით გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა (სუკის არქივი №12636, ფ. 157). საცარია, რომ ი. ჟვანიას გარდაცვალების თარიღად დაფიქსირებულია 1946 წელი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ. 1984, გვ. 249). მაგრამ ბავშვობაში ი. ჟვანიას მეურვეობით აღზრდილ პროფ. ჯამილა მესხიას ზეპირი გადმოცემით, ი. ჟვანია 1946 წლამდე შუა აზიაში, მის გერმანელ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა და მართლაც ამ წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ისაკის გერმანელი მეუღლე ზუგდიდში დაბრუნდა. შემდეგ იგი აბასთუმნის საავადმყოფოს ექიმად მუშაობდა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. პროფ. ვახტანგ კვარაცხელიამ მოგვაწოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივნის ცხოვრებაშეილის მონათხრობი იმის შესახებ, რომ 1951 წელს ბორჯომში დასასვენებლად ყოფნის დროს სტალინმა საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელებისაგან ი. ჟვანია მოიკითხა. როცა პასუხი მოისმინა, უთქვამს: ჟვანია ანტიპარტიულ ოპოზიციაში არა ყოფილაო და გაკვირვება გამოუთქვამს: „აბა როგორ გინდათ ჯკვარელ და წალენჯიხელ გლეხებს ელაპარაკოთო“. როგორც ჩანს, სტალინს ი. ჟვანია მეგრული სეპარატიზმით გაუზვიადეს. მან კი არ დაიჯერა და მეგრულის გამოყენება ნორმალურ მდგომარეობად მიიჩნია.

ჩვენთვის ცნობილი მაგალითების, სასიკვდილო განაჩენი ხშირად გასამართლების დღესვე მოჰყავდათ აღსრულებაში. 1946 წელი! ხომ არ იმალება აქ ი. ჟვანიას, როგორც სტალინის „ხუმრობის ადვილად დამჯერე ამხანაგის“ მიმართ ყალბად შეთითხნილი ბრალდების გამო ლ. ბერიას ადამიანური სინდისის ქეჯნა? მის ბრალეულობაში არ იძებნება არა მარტო „მაფალუისტურ-სეპარატისტული“, არამედ, აგრეთვე „ანტისაბჭოთა მემარჯვენე“ ორგანიზაციის წევრის დამდასტურებელი არაკეთილი საფუძველი. ამას ცხადყოფს მისი სარეაბილიტაციო საგამოძიებო მასალებიც (სუკის არქივი №12636, ფ. 157-158), რომლებიც მოიძიეს და გააფორმეს ი. ჟვანიას დის, ქ. ცხაკაიაში მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრები იუსტინა ექვთიმეს ასულის საპროტესტო განცხადებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 21 ივნისის დასკვნის საფუძველზე. მაშ რითი ავხსნათ სიკვდილმისჯილის შეწყალება და მისი სიცოცხლის მთელი 10

წლით გახანგრძლივება? იმით ხომ არა, რომ ეს მეგრული პრობლემების სწორად მჭვრეტი, თავდადებული პარტიული მუშაკი შეიძლებოდა უფრო ადრეც მოეკითხა სტალინს და მოეთხოვა მისი აზრის გამოყენება?!

იუსტინე კონსტანტინეს ძე გვასალია დააპატიმრეს 1937 წლის 16 აგვისტოს სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტის ხაზანის და მაიორ ბ. ქობულოვის ხელმოწერილი დადგენილებით. მასში მითითებულია, რომ „გამოაშკარავებული იქნა კონტრრევოლუციურ მავნებლური მემარჯვენეთა ორგანიზაციის დაპატიმრებული წევრების“ ჩვენების საფუძველზე, რომლის მიხედვით თითქოს „ხელმძღვანელობდა „მემარჯვენეთა“ ზუგდიდის რაიონის კონტრრევოლუციურ-ორგანიზაციას“ (სუკის არქივი №9566, ფ. 1).

ი. გვასალიას „დანაშაულებრივი“ საქმის ძიების მასალების მიხედვით, იგი 1925 წელს კონტრრევოლუციური მუშაობით დაუკავშირდა პირადად ტროცკის. იგი ამ დროს მუშაობდა სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო ტროცკიმ ამ დროს სენაკზე გავლით იმოგზაურა საქართველოს რეგიონებში, მათ შორის სენაკსა და ზუგდიდში. საქმეში ისეა წარმოდგენილი, თითქოს ტროცკისთან პირად საუბარში ი. გვასალია განიმსჭვალა ტროცკისტული რწმენით. ამის შემდეგ, მას თითქოს 1935 წელს ჰ. აღნიაშვილმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოში არსებობს დატოტვილი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც თავის მთავარ ამოცანად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნას. ჩეკისტების მიერ საქმე ისეა გაშუქებული, თითქოს ამ იდეით შეპყრობილმა ი. გვასალიამ ზუგდიდის რაიონში გაშალა კონტრრევოლუციური მუშაობა და მალე მთელი ზუგდიდის რაიონი მოიცვა დივერსიულ-მავნებლურმა საარჯანყებო მუშაობამ. აღნიაშვილმა ი. გვასალიას შეატყობინა, რომ უახლოეს დროში ტერორი იყო დანიშნული საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივან ბერიას მიმართ, ხოლო, როცა პრაქტიკულად არჩევდნენ საქმეს, აღნიაშვილს უთქვამს: „თუ ჩვენ ეს საქმე არ გამოგვივიდა თბილისში, იუსტინე, შენ მზად უნდა იყო, რადგან, როგორც ჩანს, მოკლე ხანში ბერია ჩამოვა ზუგდიდში და უფრო მოსახერხებელ დროს ჩვენ ვერ ვიპოვითო“. საქმეში ჩანს ტროცკისტად გასაღებული, ჩეკას ძიების მიერ უკუდურესი წამებით გაუბედურებული თვალსაჩინო ქალბატონის, მრავალი ადამიანის „დამსახელებლის“ ჯერ კიდევ 1937 წლის აპრილში მიცემული ჩვენება, თითქოს ბუდუ მდივნის, გერმანე მგალობლიშვილის და მ. ი. კუჭავასაგან გაუგია, რომ ზუგდიდში ტროცკისტულ მუშაობას ი. გვასალია ხელმძღვანელობს. იგი, სხვისი ჩვენებით, ზუგდიდის ტროცკისტულ ორგანიზაციაში სათავეში ედგა ზუგდიდის აქტივისტებს: ვარლამ შოგირაძეს, ვიქტორ ხურცილავას, ვიქტორ თორდიას, იასონ იზორიას, ანდრია გრიგოლიას, თეოდორე ჯიქიას, ვლადიმერ თორდიას, რაჟდენ გაბარიას, იასონ ჯანაშიას, ნადეჟდა გაბარიას, დიმიტრი ფულარიას და აბრამ ფარცვანიას ჯგუფს. სხვა მასალებით ი. გვასალიას და მის ჯგუფთან დაკავშირებული იყვნენ ზუგდიდის ჩეკას უფროსი კოსტა წურწუმია, ქსენია შენგელია, იონა წურწუმია, მამანტი გაბისონია, ვარლამ შოგირაძე, ოჩო თოფურია, კირილე მიქაია, კირილე ციმინტია და სხვა (სუკის არქივი №17988, ფ. 123, 251-252). აქ საინტერესოა ისიც, რომ ადრე შიდა პარტიულ-პოლიტიკური თუ ყალბი ავტონომისტურ-სეპარატისტული დაჯგუფებების სახით ჩეკას მიერ ორად დაყოფილი ზუგდიდის კადრები ახლა იმავე ჩეკას მიერ ერთი საერთო — „მემარჯვენეობის“ და „კონტრრევოლუციის“ იდეით არიან გაერთიანებული. არც არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ბრალდების შემქმნელებად გვევლინებიან ქობულოვი, კრიამინი, სავიკი, ხაზანი და სხვა ჩეკისტური საქმეების ცნობილი ფალსიფიკატორები (სუკის არქივი №17988, ფ. 252).

ზუგდიდის ამ ვითომ „კონტრრევოლუციური არალეგალური ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის“ შეკოწიწება ჩეკას ცნობილ ფალსიფიკატორებს უხდებოდათ ენერგიის უდიდესი გამოვლენითა და სასტიკი რეპრესიული ღონ-

ისძიებების გამოყენებით. შინსახკომის ოპერატიული მუშაკის შ. მ. სიმონიშვილის ჩვენებით, ი. გვასალიას წინააღმდეგ სისტემატურად მიმართავდნენ ფიზიკურ ზემოქმედებას, მაგრამ ერთხელ მან ერთდროულად შინსახკომის სამოთხი მუშაკი გალახა" (სუკის არქივი 12636, ფ. 232). ეს მისთვის გახდა კიდევ უფრო სასტიკი ზემოქმედების საბაბი. სასტიკად ეპყრობოდნენ ყველას, ვინც კი შეეცდებოდა გამოეთქვა ჩეკისტის მიერ შეთითხნილი ვერსიის თუნდაც საწინააღმდეგო აზრი.

50-ანი წლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დროს 1930-იანი წლების მეორე ნახევარში, ზუგდიდის „კონტრევოლუციურ ორგანიზაციის" მონაწილე თუ ეჭვმიტანილი, ცოცხლად დარჩენილი და მოწმედ დაკითხული ადამიანების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ შინსახკომის ზუგდიდის იზოლატორში მათ უკიდურესად მძიმე პირობებში ამყოფებდნენ. პატიმრებს კარადის მსგავს კარცერში ათავსებდნენ. იგი ზომით ადამიანის სხეულის მოცულობისა იყო და მასში მხოლოდ დგომა შეიძლებოდა. განათება არ ჰქონდა. კედლები ბეტონისა იყო და ზამთარშიც კი არ თბებოდა, ისევე როგორც სხვა საკნები. კარცერს ჭიქის ზომის ხვრელი ჰქონდა, საიდანაც პატიმრებს დღეში 2-3 ჯერ წყალს აწვდიდნენ და აშიმშილებდნენ. ამ სატანჯველში რიგრიგობით ყველა პატიმარს სამი დღე-ღამის განმავლობაში ათავსებდნენ. საკანში გამომწყვდეულებს დღე-ღამის განმავლობაში 400 გრ. შავ პურს აძლევდნენ, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა მცირე „მიზეზით" ყველა პატიმარი უჭმელი დატოვეს. „პერედაჩა" მხოლოდ თეთრეულისა ხდებოდა, ისიც სამრეცხაოს უქონლობის გამო და უაღრესად იშვიათად. ერთ-ერთმა ყოფილმა ტუსაღმა უჩვენა, რომ მისი სამთვიანი პატიმრობის მანძილზე აბანოში არც ერთხელ წაუყვანიათ (სუკის არქივი №პრ 5925, ფ. 20).

გამომძიებლებს სასურველი ჩვენების მიღების ძირითად მეთოდად პატიმრების ცემა ჰქონდათ დაწესებული. „პატიმარ მ.ს.... შაშხანის ხიშტით გაუპეს სახე." სხვებს რეზინის ჯოხებით გაუშავეს სხეული. შინსახკომის ზუგდიდის განყოფილების უფროსის კაბინეტიდან ყოველღამ ისმოდა ყვირილი და კვნესა. ნაცემ პატიმარს „საკუთარის" ნაცვლად სხვა საკანში აბრუნებდნენ (იქვე, ფურც. 22). ამ რეპრესიებს ყველა როდი უძლებდა. მაგალითად, კირილე ციმინტიამ ხანგრძლივ წამებას შინსახკომის ზუგდიდის განყოფილების მეორე სართულიდან გადმოვარდნით თავის მოკვლა არჩია (სუკის არქივი №17988, ფ. 220).

ზუგდიდელი პატიმრები ეტაპით გადააგზავნეს თბილისში, საქართველოს შინსახკომის განკარგულებაში. მათ ახლა აქ მოუწიათ ტანჯვა-წამების გადატანა. ასეთი შემთხვევაც იყო: ჩვენთვის ცნობილი, ძველი ბოლშევიკი ვიქტორ ძიკის ძე თორდია, დაბადებული 1897 წ. ზედა ეწერში, საშუალო განათლების მქონე, პარტიის წევრი 1918 წლიდან, დაპატიმრებამდე ანაკლიის ლიმონის მეურნეობის დირექტორი, ცოლ-შვილიანი, თბილისში ეტაპირების დროს საერთოდ გააქრეს. იგი, მოწმეთა ჩვენებით, 1937 წლის დეკემბრის ბოლომდე იმყოფებოდა შინსახკომის ზუგდიდის რაიონული განყოფილების იზოლატორსა და ციხეში, შემდეგ სხვა პატიმრებთან ერთად ეტაპით გაგზავნეს თბილისში, საქართველოს შინსახკომის განკარგულებაში. მაგრამ როცა, 50-იანი წლების სარეაბილიტაციო კამპანიის დროს მისმა მეუღლემ ვერა თორდიამ განაჩენი გააპროტესტა და ქმრის რეაბილიტაცია მოთხოვა, ძიებამ მისი კვალი ვერ აღმოაჩინა (სუკის არქივი №პრ - 5925, ფ. 1-3, 46, 49). ამის გამო იძულებული გახდნენ გამქრალი ადამიანის შესახებ მიეცათ რეაბილიტაციის ყალბი ცნობა. ძიება სასტიკი წამების გზით ახერხებდა სასურველი, ზოგჯერ აბსურდული ცნობების მოპოვებას ზუგდიდელი ვითომ „კონტრრევოლუციონერების" ორგანიზაციის არსებობისა და მათი „დანაშაულებრივი" საქმიანობის შესახებ. ასეთი ხერხებით შეთითხნილი „ანტისაბჭოთა ორგანიზაციის" ერთ-ერთ წევრს ამგვარი ტყუილი ათქმევინეს: „გვასალიასგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 1937 წლის ივლისში, ფულარია ბუხუტიმ და ანაკლიის მკვიდრმა ფერდი ალი-ოღლიმ მოტორიანი ნავით თურქეთიდან შემოიტანეს 70 ცალი შაშხანა და მისი შემდგომი

გადანაწილებისა და ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზების მიზნით დამალეს ნათლიმამა ევგენი ფულარიასთან" (სუკის არქივი №17988, ფ. 198). ზოგჯერ იმ ზომამდე მიჰყავდათ პატიმარი, რომ მსგავს საჭირო აბსურდულ ჩვენებებს უწერდნენ და ამის აღიარებას აიძულებდნენ. ამის შემდეგ ძიებით მოპოვებული ამ აბსურდის ასევე წამებით სხვებისაგან დადასტურებას ახერხებდნენ. განსაკუთრებით გულმოდგინედ აკოწიწებდნენ და აყალბებდნენ ხელმძღვანელი კადრების საქმეს.

ზუგდიდის რაიალმასკომის თავმჯდომარე ვლადიმერ ფარნაოზის ძე როგავა, — დაბადებული 1888 წელს სოფ. ყულისკარში, საკ. კპ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, ზუგდიდში მიმდინარე დაპატიმრებების დროს პარტიიდან გარიცხეს. 1937 წლის 29 ივნისს დააპატიმრეს იმ მოტივით, თითქოს „ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ მუშაობას და ამ მხრივ დაკავშირებული იყო ზუგდიდის რაიკომის ყოფილ მდივან ი. გვასალიასთან". იგი დაკითხეს ზუგდიდის შინსახკომის უფროსებმა ჯერ წურწუმიამ, მერე კაკაჩიამ, მისი საქმის ფალსიფიცირებაში მონაწილეობდა, აგრეთვე კრიმინი. ისე გამოიყვანეს, თითქოს „1929 წელს ტროცკისტულ ორგანიზაციაში გადაბირა ტროცკისტმა და „ცნობილმა ნაციონალისტმა" მიხეილ მამფორიამ." ასე რომ, ტროცკიზმი და „მეერული ნაციონალიზმი" ერთ ანტისაბჭოთა მიმდინარეობად წარმოსახეს ჩეკისტური ძიებისა და ბრალდების მეთოდებით. ვ. როგავას ბრალად დაედო კონტრრევოლუციურ საქმიანობაში რაიონული კადრების ფართო ქსელის ჩამბმა. მათ შორის დასახელებულები არიან: აკაკი გეგენავა — ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, იონა წურწუმია — ზუგდიდის ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე, ვარლამ შოგირაძე — ზუგდიდის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, კირილე ციმინტია — ზუგდიდის მტს-ის დირექტორი, ანდრო ხუბუა — ზუგდიდის თხილის სარჩევი ქარხნის დირექტორი, ანდრო გრიგოლია — ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი, ვლადიმერ (ლადო) კვარაცხელია — ახალსოფლის საბჭოს თავმჯდომარე, ტიხონ თოდუა — ნარაზენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იონა მაქაცარია — ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ფერდი ალი-ოღლი — ანაკლიის პორტის პარტორგი, ხუხუნი ფულარია — ანაკლიის პორტის უფროსი, ევგენი ფულარია — საბავშვო სანატორიუმის დირექტორი, სტეფანე გურგენიძე — საბავშვო სანატორიუმის ყოფილი დირექტორი და სხვ. (სუკის არქივი №17988, ფ. 197).

ტროცკიზმის თავდაპირველი ბრალდებით ი. გვასალიას, ვ. როგავას და ზუგდიდელი კომუნისტების დადანაშაულებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1925 წლის საპირველმაისო მიტინგზე, ზუგდიდში, სიტყვით გამოვიდა ტროცკი. ამ მიტინგს, მომსწრეთა გადმოცემით, 5 ათასამდე კაცი დაესწრეს. იმჟამად ეს მიტინგი ფოტოგრაფირებული იქნა, ახლა კი 1937 წელს ჩეკისტები ამ ფოტოსურათით ახდენდნენ „ტროცკისტების" გამოვლენას, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოზე აღბეჭდილ მიტინგის დამსწრეებს ტროცკიზმთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ (სუკის არქივი №17988, ფ. 18).

ტროცკიზმის გამოვლინებას ზუგდიდში ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ზუგდიდელი კომუნისტების ერთი ნაწილი თავისუფალი დისკუსიის დროს ტროცკისტულ პლატფორმას იცავდა. ეს ჯგუფი მამფორიას მეთაურობით 40 კაცამდე აღწევდა. ამ ჯგუფს უპირისპირდებოდა მილიციის უფროსი ვლ. შენგელია, რომელიც ცკ-ის პოზიციას იცავდა. 1937 წელს ზუგდიდის ჩეკამ აღმოაჩინა ვლ. შენგელიასთვის ფულის შემგროვებლების სია 37-38 კაცი, რომლებიც ტროცკისტებად მოინათლნენ. სინამდვილეში ფული იმის გამო შეგროვებულა, რომ დახმარებოდნენ ვლ. შენგელიას, რომელსაც 1935 წელს სახლი დაეწვა (იხ. იქვე). ასე რომ, საბედისწერო კურიოზები იმხანად იშვიათი არ იყო, და ამდენად, ადამიანებისათვის იმის დაბრალებაც არ იყო გასაკვირი, თითქოს ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბი გაჰყავდათ. მაშასადამე, უბედურობისგან იმჟამად დაზღვეული არავინ ყოფილა. კრიმინს შეუდგენია ვ. როგავას სა-

ბრალდებო დასკვნა. მას 1937 წელს სამეულმა გამოუტანა დახვრეტა, რაც სისრულეში მეორე დღესვე მოიყვანეს (სუკის არქივი №17988, ფ. 198).

1937 წლის 21 ივნისს დააპატიმრეს ზუგდიდის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შოგირაძე. მისი საბრალდებო დასკვნა შეადგინეს ცნობილმა ჯალათებმა ოვეანმა და ბ. ქობულოვმა (25.VIII.1937). მას ქალაქის საბჭოში არალეგალური კრების მოწვევაც დააბრალეს. სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წლის 13 ნოემბერს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს და იმავე დღეს აღსრულეს (სუკის არქივი №17988, ფ. 199).

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული არალეგალური ანტისაბჭოთა ბრძოლის ყალბი ბრალდებით სხვებთან ერთად 1937 წლის 13 ნოემბერს დახვრიტეს აკაკი გეგენავა და ანდრო ხუხუა, ხოლო 13 დეკემბერს — იასონ იზორია, ფ. ჯიქია და სხვები (სუკის არქივი №17988, ფ. 200, 204, 220). სხვადასხვა ვადის პატიმრობა არგუნეს გიორგი შენგელიას, ლავრენტი კალანდიას, ანდრო დგებუაძეს, სოკრატი კეშელავას, ანდრო გრიგოლიას, იონა წურწუმიას და მრავალ სხვას. ზოგი მათგანი პატიმრობიდან ეეღარ დაბრუნდა, ხოლო იმ გაწამებულთაგან, ვინც ოჯახს დაუბრუნდა, ბევრი მოკლე ხანში გარდაიცვალა. ასე რომ, ზუგდიდის პარტიული კადრების მუდმივი ფათერაკებით აღსავსე სიცოცხლე უბედურებით დამთავრდა.

როგორც ადრე ვნახეთ, „ხუმრობის ადვილად დამჯერე" ამხანაგების ერთ ნაწილს სეპარატისტული და ე.წ. „მაფალეუისტურ-ნაციონალისტური" ბრალდებით სდევნიდნენ, ზოგჯერ „ტროცკიზმის", „მემარჯვენეობის" და ტერორისტობის ყალბი ბრალდებით ანადგურებდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ ზოგი მათგანი ვაჟკაცურად უძლებდა ტანჯვა-წამებას და ყალბად წაყენებულ ახალ ბრალდებას არ აღიარებდა. ასე მაგალითად, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ერთი ცნობით, ტროცკისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციაში გადაბირების ყალბი ბრალდება არ აღიარა 13 ვაჟკაცმა, რომლებმაც საერთოდ უარყვეს თავიანთი მონაწილეობა რომელიმე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მათ შორის იყვნენ ვარლამ შოგირაძე, ვიქტორ ხურცილავა, ვიქტორ თორდია, იასონ იზორია, ანდრია გრიგოლია, თევდორე ჯიქია, რაჟდენ გახარია, იასონ ჯანაშია, ნადეჟდა გახარია, დიმიტრი ფულარია და აბრამ ფარცვანია (სუკის არქივი №17988, ფ. 252). მაგრამ ამით მათ იმდროინდელი უსამართლობის პირობებში თავიანთი მძიმე ბედი ვერ შეცვალეს. ნ. გახარია ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

რეპრესიების მოზღვავებისას დაზღვეულნი არ აღმოჩნდნენ თვით სახელმწიფო უშიშროების მუშაკები წურწუმია, კაკაჩია, დარასელია, გოგია, ჩიქვანაია და სხვები (სუკის არქივი №5925, ფ. 5, 17). შინსახკომის ზუგდიდის განყოფილების უფროსი კოსტა წურწუმია „მაფალეულებთან" და ანტისაბჭოთა ოპოზიციასთან ბრძოლაში წარმატების აღსანიშნავად წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების ცერემონიალისათვის თბილისში გამოიძახეს, მაგრამ ისიც კონტრრევოლუციონერებად ბრალდებულთა საქმეში გახლართეს და დახვრიტეს (სუკის არქივი №17988, ფ. 200, 239).

უაღრესად დრამატული აღმოჩნდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ყოფილი წევრის, ცნობილი პარტიული მუშაკის, „მეგრული საკითხის" მოგვარებაში ერთ დროს ი. ჟვანიას თანამებრძოლის, შემდეგ კი მისი თვალსაჩინო მოწინააღმდეგის, ბეგი (ბეგლარ) ბერიას ბედი. იგი სამეგრელოდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ საფოთიაქო სამმართველოს უფროსად (მმართველად) მუშაობდა. მისი სამძებრო საქმიდან ირკვევა, რომ პარტიის სტალინის რაიკომის მიერ შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი მასალებით „მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდა." იგი თითქოს ეწეოდა „კონტრრევოლუციურ-მავნებლურ მუშაობას" (სუკის არქივი №12760, ფ. 3). რადგან ბ. ბერია „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის" წევრად „გამჟღავნდა", გასაგები ხდება მისი ადამიანური ხვედრი. „აღმოჩნდა", თითქოს ბ. ბერია იყო გამფლანგველი, მოლაყბე, წერა-კითხვის ძლივსმცოდნე. მისმა თანამშრომელმა ვ. თოდუამ უჩვენა: 20 ოქტომბერს დავბრუნდი შვებულებიდან. დილას შემხვდა ბ. ბერია

და მითხრა: „ხომ ხედავ მებრძვიან ხალხის მტრები და საეჭვო ელემენტებიო.“ სამსახურში რომ გავედი მაშინვე დასაკითხად გამომიძახა პარტკონტროლის მუშაკმა კვეკვესკირმა და მითხრა „ბეგი ბერიას საქმე უკვე მოთავებულია. მასალები საკმარისია. მინდა მხოლოდ შენი შემოწმება, გაქვს თუ არა გაქვს მომეცი მონაცემები ბეგის შესახებ.“ ამ სიტყვებმა მე დამარწმუნეს, რომ ...მას ხელოვნურად ამუშავებენ.“ ისე ამ კაცთან სამსახურში საქმესთან ახლოს ვიდექი და ოჯახშიც ვარ ნამყოფი. რამდენიმე წელია ვიცნობ და არაფერი შემიმჩნევია პოლიტიკური გადახრის. მისი ბრალდებები სამეურნეო ხასიათის მეგონა. კლასიკური სიფხიზლის მოდუნებით სუსტი — რბილი ხასიათით. შევცდი ძალიან და ვგმობ ჩემს პოლიტიკურ უდარდელობას“ (სუკის არქივი №12760, ფ. 16-17). სხვისი ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ ბ. ბერია მეგობრობდა ქალაქის №1 აფთიაქის მმართველ მიხეილ ცაგურიასთან, რომელიც ოჯახში „ისეთ საუბრებს ეწეოდა, რომელიც არ ეკადრება პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს.“ მაგალითად, ცოლის და ქალიშვილის თანდასწრებით სტალინსა და კოლმეურნეობაზე სიმღერის დროს „კოლექტივი გაძლიერდას“ ნაცვლად ღიღინებდა „კოლექტივი დაიშალა.“ იგი დასცინოდა ლოზუნგს „მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი და მხიარული ცხოვრებისათვის!“, „მისი ცოლი ფულით ეხმარებოდა დაპატიმრებულ ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილეს „ტროცკისტ“ ელიავას ოჯახს“. ბეგი ბერიას კი მოუყოლია, როგორ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ახლანდელი ზოგი ტროცკისტის წინააღმდეგ (სუკის არქივი №12760, ფ. 12-14).

ბ. ბერიას უბედურება იქიდან დაიწყო, რომ სამსახურებრივი ინტრიგის გამო განცხადებით მიუმართავს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პარტიული კონტროლის კომისიისთვის. როგორც ძველ ბოლშევიკს (1905 წლიდან), იმედი ჰქონდა, რომ ობიექტურად გამოარკვევდნენ მის საქმეს. მაგრამ ბედმა უმუხთლა. მისი განცხადება საქართველის კომპარტიის ცკ-ის მდივნის ლ. ბერიას ხელში აღმოჩნდა. ალბათ, იფიქრეს, მოგვარეა და სჯობს თავად გადაწყვიტოს ბეგის საქმეო. ლავრენტიმ კი მართლაც „გადაწყვიტა“. მან ბეგლარ ბერიას განცხადებას წაწერა: „Н.К.ВД. Т. Гоглидзе, его надо подобрать. Л. Б.“ 10/XI-37 г.“ (სუკის არქივი №12760, ფ. 9). ეს განცხადება ცკ-დან შინსახკომის უფროსს გოგლიძეს იმავე დღეს გადაეგზავნა. მაგრამ ბ. ბერია ერთი დღით ადრე 9 ნოემბერს უკვე დაპატიმრებულთა შორის ჩანს (სუკის არქივი №12760, ფ. 40). მისი საქმე გამოიძია შინსახკომის IV განყოფილების V ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ, უფროსმა ლეიტენანტმა ოდიშარიამ. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: ბეგლარ ბასას ძე ბერია, დაბადებული 1881 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნფიჩხაოში, პარტიის წევრი 1905-1937 წლებში, პარტიიდან გაირიცხა კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობის გამო. ძიების თანახმად, ბ. ბერია უკმაყოფილო ყოფილა პირადი მდგომარეობით. საოფთიაქო სამმართველოში თავის გარშემო შემოიკრიბა უცხო ელემენტები, მავნებლები. მათი მეშვეობით საქართველოს მთელი საოფთიაქო ქსელში ატარებდა მავნებლურ-ძირგამმთხრელ საქმიანობას, ამასთანავე კონტრრევოლუციურ საუბრებს ეწეოდა შინსახკომის მიერ ბოლო ხანებში ჩატარებული დაპატიმრებების გამო.“ ბ. ბერიას საქმე 1938 წლის 5 იანვარს გადაეცა შინსახკომთან არსებულ სამეულს. ამის გამო საბრალდებო დასკვნას ოდიშარიასთან ერთად „თანხმობის“ ნიშნად ხელს აწერს ქობულოვი და ამტკიცებს საქართველოს შინსახკომის, სახელმწიფო უშიშროების კომისარი გოგლიძე“ (სუკის არქივი №1276, ფ. 37).

ბ. ბერიას პიროვნებას გვიხასიათებს მის საქმეში აღმოჩენილი თანამესაკნე დამსმენის მიერ ჩეკას ხელმძღვანელობისათვის მიწოდებული ინფორმაცია. აქ ნათქვამია, რომ „ბ. ბერია საკანში (№20 — ავტ.) ეწევა კონტრრევოლუციურ მუშაობას: საკანში მჯდომებს არიგებს, რომ არ გასცენ ამხანაგები.“ იგი დამსმენებსა და თანამონაწილეების დამსახელებლებს თავს რისხვად ატყდება და, უწოდებს ამხანაგების „გამყიდველებს და მოღალატეებს.“ საკანში პატიმრებისაგან ინფორმაციის შემგროვებელი ჩეკისტების მიერ მისმული პიროვნება თავის ჩეკისტ ხელმძღვანელობას წერს: „№20 საკანში ძალიან ბევრს აფუჭებს ბ.

ბერია. ის რომ იქ არ იყოს ბრალდებულებს უფრო თავისუფლად შეეძლოთ ჩვენების მიცემა" (სუკის არქივი №12760, ფ. 21-22). სამეულმა ლ. ბერიას მოიმედე მოგვარეს ბ. ბერიას სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუტანა და მისი ქონების კონფისკაცია მოითხოვა (იხ. იქვე, ფ. 10). შესაბამისად 18 იანვარს ბ. ბერიას ოჯახს, ქალაქის ცენტრში ჭავჭავაძის ქუჩაზე, ჩეკისტები გრიგორიანი და ყორღანოვი ესტუმრნენ სატვირთო ავტომანქანით. ოთახიდან გადმოალაგეს ნივთები, რაც არ მოეწონათ მიატოვეს, შეადგინეს აღწერის ოქმი. მაგრამ არეულობით ისარგებლეს და ისიც თვითონ დაიტოვეს. ამის შემდეგ ბ. ბერიას ცოლი და ქალიშვილი დაწუნებული ავეჯით ქალაქ გარეთ მდებარე ჩეკისტის ბინაზე მიიყვანეს. მაგრამ ეს ბინაც სადაო აღმოჩნდა და იძულებული გახადეს, რომ ბ. ბერიას მეუღლის დედის ერთოთახიან კეთილმოუწყობელ ბინაში შესახლებულიყვნენ. ვიდრე ლ. ბერია ხელისუფლების მწვერვალზე იდგა, ბეგის ოჯახი მაენებლისა და ხალხის მტრის ოჯახად იყო შერაცხული. როცა ლ. ბერია მოაშორეს ახლა მისი მოგვარეობა გაუხდათ სახლაფორთო. ბეგი ბერიას ქალიშვილი იძულებული გახდა დედის გვარზე გადასულიყო, რომ უმაღლეს დამთავრებულს, სამსახური მაინც ეშოვა (სუკის არქივი №12760, ფ. 42-43).

როგორც ცნობილია, ჩეკას ძიებამ აუტანელი ტანჯვა განაცდეინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილ მდივანსა და ი. ჟვანიას ერთ-ერთ ცნობილ მოწინააღმდეგეს სამსონ მამულიას და მის ოჯახს. ოჯახის უფროსის დახვრეტა არ იკმარეს, მისი მეუღლეც და ჩვილი ბავშვი (გურამი) პატიმრობაში აიყვანეს, შემდეგ კი გადაასახლეს.

საოცარია წუთისოფელი. ერთ დროს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მართვის მექანიზმის მთავარ მოქმედ პირებსაც უწია პასუხისმგებლობამ, მას შემდეგ, რაც სტალინის გარდაცვალებისა თუ მიზნობრივი მკვლელობის (მუდმივად არსებობს ორივე ვერსია) მერე ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი, ნიკიტა ხრუშჩოვის დაჯგუფება, რომლებმაც თავიდან მოიშორეს თავიანთი აქტიური თანამებრძოლი ლავრენტი ბერია. ამ ახალმა უზურპატორმა ხელისუფლებამ სოციალიზმის წინაშე დამნაშავეთა სახით გამოძებნა ძველი თანამოაზრე-თანამებრძოლების ერთი, მათთვის საშიში ნაწილი. 1953 წელს სსრ კავშირის პროკურატურამ სასიკვდილო განაჩენი (სისხლის სამართლის მუხლი 58-16, 58-13, 58-11) მიუსადაგა ბერიას და მის დამქაშებს მერკულოვს, დეკანოზოვს, ქობულოვს, გოგლიძეს, მეშიკს, ვლოდიმირსკის. ბერია გააყალბეს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტად, ხალხის მტრად, სამშობლოს მოღალატედ, საბჭოთა რეპრესიების შემოქმედად, სამშობლოს მოღალატეებისა და ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გადმონაშთების მფარველად... (სუკის არქივი, №31221, ტ. 3, ფურც. 12). არაფერი თქმულა ლ. ბერიას, ვ. დეკანოზოვის, ბ. ქობულოვის, ს. გოგლიძის იმ კონკრეტულ დანაშაულობათა შესახებ, რომლითაც ქართველი ხალხის ცხოვრებისეული პროცესების გაყალბება და ჩვენში რეპრესიების განსაკუთრებული სისასტიკე გამოიწვიეს. გალაღებული ცხოვრება თითქმის არავის შერჩა და იმ ქვეყნად ვერავინ ვერაფერი წაიღო — „მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი". მაგრამ ამან გაუბედურებული ადამიანების და მათი შვილების გაუკუღმართებული ბედის კომპენსაციად ვერ იმუშავა. რეპრესირებულებს და მათ შვილებს ჩვენმა ხელისუფლებამ მათთვის ადრე საკომპენსაციოდ დანიშნული „გროშებიც" ჩამოართვა.

ბევრი დრო, თითქმის ორი ათწლეული, დასჭირდა იმის გარკვევას, რომ 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრების ტანჯვა ქვეყნად არსებულმა ტოტალიტარულმა სისტემამ, მიმდინარე დამახინჯებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და მისდამი დაუმორჩილებლობამაც განაპირობა, მაგრამ „მაფალუიზმის" ყალბმა, სახელმწიფოებრივად შეთითხნილმა ისტორიამ მიზეზთა გამო თანამედროეობამდე სიმართლედ მიღებულმა მოაღწია.

1918 წლის მაისში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პოლიტიკური პარტიებისა და საერთოდ ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების წინაშე დამდგარმა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობამ, ძველი ქართული ტრადიციისა და იმპერიული რუსეთის მაგალითის მიხედვით, ჩვენში კვლავ საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს მშენებლობის მიზანშეწონილობის აზრი და მისწრაფება ასაზრდოვა. ამდროინდელმა ახალმა აზროვნებამ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამეგრელოს წარმომადგენლობას, ფოთელი მასწავლებლის სტეფანე გაგუას მეთაურობით, ქართული კულტურის მეგრული გამოვლინების გამოკვლევა-წარმოჩენის იდეის განხორციელების იმედი ჩაუნერგა და მის ინიციატორად აქცია. მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს სამთავრობო (მენშევიკური) და ოპოზიციური (ფედერალისტური) პარტიების დამფრთხალი გონების პატრიოტების წინააღმდეგობამ ამ სასარგებლო ინიციატივას, ეროვნული პარტიკულარიზმის ეჭვი შეაგება, ცარიზმის რუსიფიკატორების იანოვსკი, ლევიცკის, ვოსტორგოვისა და მათ აგენტად შერაცხული თადა აშორდიას მსგავსი ანტიქართული სეპარატიზმის მისწრაფება დააბრალა და პოლიტიკური წინააღმდეგობებითა თუ ცილისწამებით მოუსპო აღორძინება-განვითარების შესაძლებლობა. ამ გაუგებრობათა მიზეზით, ზოგმა ავტორმა, ეროვნული პატრიოტი, „მაფალუუ"-ს ინიციატორი სტ. გაგუა გააყალბეს და ისტორიას შემოუნახეს სამარცხვინო ქართველად, ვითომ ანტიქართული მეგრული პარტიკულიარიზმის წარმომადგენლად.

ბოლშევიზმის მიერ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა იმპერიის მიერ შთაგონებულმა სუვერენული ეროვნული მოწყობის დოქტრინის პროპაგანდამ და მისმა დემაგოგიურმა პრაქტიკულმა ხორცშესხმამ, გარკვეულ წილად მიჩქმალა საბჭოთა რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იმპერიული ბუნება. მეგრელი კომუნისტებისა და მათი ამყოლი უპარტიოების ერთი მცირე, დაბნეული ჯგუფისათვის ცხადი გახადა, რომ 20-იან წლებში საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ერთ ნაწილს, ეროვნებად გამოცხადებულ აჭარლებს და არაქართველ ეროვნებებს, ქართველი ერის საერთო ინტერესების ხარჯზე ავტონომიური უფლებები და მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიენიჭა. მაგრამ მათთვის გაუგებარი დატოვეს, ე.წ. „აჭარელი ეროვნების" ქართველებს ძალით რატომ შეაჩერეს ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოში მცხოვრებ მცირე ეროვნებებზე რატომ ვრცელდებოდა მშობლიური ენით სარგებლობის უფლება მაშინ, როცა მათზე მრავალრიცხოვან, კომპაქტურად მცხოვრებ, თავიანთ დედაენაზე მოლაპარაკე მეგრელებს ამის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ. მათთვის გაუგებარი დარჩა ისიც, რომ სრულიად ქართველთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკუთარ, ქართულის მონათესავე, ენაზე მოლაპარაკე და სპეციფიურობის მქონე მეგრელი ტომი რატომ გახლიჩეს ორ ნაწილად, შიდა და გარე სამეგრელოდ, მეგრელობა რატომ იქნა გაიგივებული სხვა ტომის იმ ქართველებთან — ქართლელებთან, კახელებთან, იმერლებთან, გურულებთან და სხვებთან, რომლებიც ისტორიის ნებით, მხოლოდ სახელმწიფოებრივ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მართალია, "ჩხოუშელმა" ავტონომისტ-სეპარატისტებმა პირადად განიცადეს საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის იმპერიული დამოკიდებულება, მაგრამ მათთვის შეუცნობელი რჩებოდა, რომ იგივე საქართველოს ცენტრი აჭარის მიმართ აწარმოებდა რესპუბლიკის მაზრების მსგავს ხელმძღვანელობას, აფხაზეთისადმი კი რუსულ იმპერიულ პოლიტიკის მსგავსი „შოვინისტური" (ა.გეგეჭკორი) დამოკიდებულების გამოვლინებას. მათ ისე ეჩვენებოდათ, თითქოს საქართველოს ცენტრის "იმპერიული" პოლიტიკა მხოლოდ მეგრელების მიმართ ტარდებოდა. აი, ამ და სხვა თანმხლებმა გაუგებრობებმა ასაზრდოვა ერთეული „ჩხოუშელი", კომუნისტებისა და მათი ამყოლი უპარტიოე-

ბის არცთუ მთლად უსაფუძვლო ინტელიგენტური პროტესტი და სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა.

ბევრისთვის, მათ შორის ზოგი პატრიოტისათვისაც კი გაუგებარი დარჩა, რომ 1918-1937 წლებში მიფუჩჩდა მეგრელების ენობრივი თავისებურება და ფსიქიკური ინდივიდუალობა. რომ საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა მეგრული ინტელიგენციის, უპირატესად ზუგდიდელი კომუნისტების ერთ ნაწილში ტომურ-რეგიონალური კულტურის, ენისა და საერთოდ მეგრული ეთნიკური ინტერესების დაცვის მისწრაფება.

საქართველოს მმართველმა პარტიებმა (ჯერ მარქსისტმა მენშევიკებმა, შემდეგ კი მარქსისტმა ლენინელ-სტალინელმა ბოლშევიკმა კომუნისტებმა) უნიტარული, ქართული სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე ბრძოლა გამოუცხადეს საქართველოს ისტორიული ბედუკულმართობით და ცხოვრების რეალური სინამდვილით განპირობებულ სამეგრელოს თავისებურებებზე აღმოცენებულ რეგიონალურ მოთხოვნილებებსაც. დაბნეული პატრიოტები დაუპირისპირდნენ არა მარტო ამ ნიადაგზე 1918-1919 წლებში აღმოცენებულ, მეგრული სპეციფიური კულტურის შესწავლა-გამოვლინების მცდელობას, არამედ 1922-1923 წლებში წინ აღუდგნენ, ერთი მხრივ გლეხებისათვის ენის თავისუფალ გამოყენებას და მეორე მხრივ, როგორც სამეგრელოს ავტონომიური ისე საოლქო ადმინისტრაციული მართვის შემოღებასაც.

სამეგრელოს სპეციფიური პრობლემების მიზეზთა სიღრმისეული შესწავლისა და მოგვარების ნაცვლად, ხელისუფლებამ მტრულად შეუტია არა მარტო ავტონომისტებს, არამედ „მეგრული საკითხის" სამართლიანი, რაციონალური, გარდამავალი ხანის დროებითი ღონისძიებებით გატარების აზრის დამცველებსაც. თუმცა ამავე დროს, 1922-1923 წლებში მეგრელი გლეხების და საერთოდ სამეგრელოს სპეციფიური ცხოვრების კარნახით, ხელისუფლებამ საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის დონეზე, თვითონვე დოკუმენტურად აღიარა, რომ ქართული სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ენის არმცოდნე მეგრელ გლეხობას გააჩნია „რაღაც" ენობრივ-უფლებრივი დათმობების მიღების აუცილებელი შანსი და შესაძლებლობა... მაგრამ ეს 1930 წლამდე მხოლოდ ფუჭი დაპირება აღმოჩნდა.

საქართველოს ცენტრმა მის მიერვე დაბნეულსა და გამოზრდილ „ავტონომისტურ" ოპოზიციას განადგურების მიზნით მეგრული-ანტიქართული ნაციონალიზმი და სეპარატიზმი (ანუ „მაფალუიზმი") დაბრალა და დაპირებული უფლებების რეალიზაციის ნაცვლად, 1922-23 წლებში პარტიიდან გარიცხვა და მათი შემდგომი იგნორირება გააგრძელა. ამით 1925 წელს ავტონომისტების ერთ მცირე, უკიდურესად გაღიზიანებულ, დაუმორჩილებელ და დაბნეულ ნაწილში, საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის ძალმომრეობის პასუხად, გამოიწვია მეგრელების მიმართ თბილისის მხრივ უკიდურესად „იმპერიული" დამოკიდებულების წარმოჩენა და ამის გამო ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილი ყოველმხრივ გაუმართლებელი საჩივრები სამეგრელოს საქართველოსაგან დამოუკიდებელი მოწყობის მოთხოვნით.

მართალია, ამ მართლაც ანტიეროვნული არგუმენტაციის შემცველი აზროვნების „ბელადებისა" და მათ მიმდევარ თანამგრძნობთა მცირე ჯგუფის იდეოლოგია ძირითადად მხოლოდ საკავშირო და ამიერკავკასიის ხელმძღვანელების მიმართ გაგზავნილი საქართველოს ცენტრის საწინააღმდეგო ღვარძლიანი საჩივრების სახით გამოვლინდა და პარტიულ-ორგანიზაციულ, მით უმეტეს მასობრივ ბრძოლაში არ გადაზრდილა, მაგრამ იგი მეგრელი ხალხის სამართლიანი უკმაყოფილო განწყობილების მცდარად გაგებულ რეალობასაც ასახავდა. ეს „სეპარატისტები" ერთგვარად ასახავდნენ ხალხის განწყობილებას და უკიდურესად მწვავედ აკრიტიკებდნენ საქართველოს ცენტრის პოლიტიკას. ეს ღვარძლიანი კრიტიკა იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომლის გამო, ხელისუფლებამ მათ შეაგება დამორჩილების ჩეკისტური მეთოდები და თავისებური ინკვიზიცია. ე.წ. მაფალუისტების წინააღმდეგ იდეური და პრაქტიკული სახელმ-

წიფოებრივი ბრძოლის მასშტაბური ორგანიზება განაპირობა იმანაც, რომ ავტონომისტ-სეპარატისტების საჩივრები დაემთხვა საქართველოში 1924 წლის აჯანყების საბაბით განხორციელებული მასობრივი დახვრეტებით, დაპატიმრებებითა და მათი ხელმძღვანელობის („პარიტეტული კომიტეტის" წევრთა) სასამართლო პროცესით ქართველი ხალხის უკმაყოფილების უკიდურეს გამწვავებას. ამ უაღრესად კრიზისული, ხელისუფლების მიმართ მასობრივი უნდობლობისა და გაწამებული ადამიანების აგონიის სიტუაციაში, ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობის განეიტრალების, მისი ავანგარდის დაბნევისა და კრიზისის განმუხტვის მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ ერთეული ავტონომისტ-სეპარატისტების საპროტესტო საქმიანობა დიდ ეროვნულ საშიშროებად გააზვიადა, მყისიერი განადგურების მიზნით ისინი გამოაცხადა საქართველოს დამლა-დაქუცმაცების შესაძლო უდიდეს ეროვნულ, ე.წ. „მაფალუისტურ" საშიშროებად, მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ანტისაბჭოთა საქმიანობაში შემჩნეული ეროვნული მოღვაწეებიც. ეს „საშიშროება" ხელისუფლებამ ანტისაბჭოურად გამოვლენილი ეროვნული ინტელიგენციის ზოგ თვალსაჩინო წარმომადგენელთა გამოყენებით მართლაც „მოიგერია" და ამით ბევრი გაუცნობიერებული ადამიანის თვალში ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლის ავტორიტეტიც მოიპოვა. საქართველოს კომპარტია მტრულად მოეკიდა აფხაზეთში მეგრელი მოსახლეობის დისკრედიტაციით შეშფოთებულსა და სამურზაყანოს უშუალოდ საქართველოს ფარგლებში შემოყვანის შესახებ თბილისის უნივერსიტეტის მეგრელი სტუდენტობის მოთხოვნას. მაშასადამე, ხელისუფლებამ მიჩქმალა არა მარტო ავტონომისტურ-სეპარატისტული საჩივრების რაციონალური ნაწილი და გაანადგურა მათი ავტორები, არამედ შეუტია ზემოთ აღნიშნულ სტუდენტების მიერ ასახულ უკმაყოფილებას. ამავე დროს „მაფალუიზმის" იდეოლოგიური მითი გამოიყენა მეგრელების ყველა, მათ შორის სამართლიანი უკმაყოფილების პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული დაძლევის მეთოდად. ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწია, რომ მეგრული თავისებურებების დამცველ, თვით ხელისუფლების მიერ გამოზრდილ, გაუცნობიერებელ ავტონომისტთა და ერთეულ სეპარატისტთა გვერდით, არსებობდა გონიერი, სამეგრელოს ენობრივ თავისებურებათა რაციონალურად, მხოლოდ გარდამავალი პერიოდისათვის საჭირო და აუცილებელი, დროებითი ღონისძიებებითა და შესაძლო მაქსიმალური ტემპებით დაწინაურების მომხრეთა დიდი უმრავლესობა, რომლის ინტერესებს ასახავდა ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრი და მისი მეთაური ისაკი ჟვანია, რომელმაც „მეგრული საკითხის" მოგვარების შესახებ თავისი წინადადებით შეძლო სტალინის დარწმუნება მეგრელ გლეხთა მოთხოვნილებათა სამართლიანობაში. ამის შემდეგ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფმა პარტოკრატიამ, სტალინთან შეთანხმებით, მართალია ქართულის არმცოდნე მეგრელ მოსახლეობას სატყუარად მიუგდო ზოგი მისთვის აუცილებელი დათმობა, მაგრამ კვლავ უმჯობესად მიიჩნია <u>სამეგრელოს საერთო ქართული საბჭოურ-კომუნისტური შაბლონით მართვა. მეგრული თავისებურებების შესახებ ყოველგვარი ნააზრევი გამოაცხადეს კუთხურ შეზღუდულობად და მასზე აღმოცენებულ ანტიეროვნულ საშიშროებად. ამ გზით ჩამოყალიბდა „მაფალუიზმის" სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ვერსია და მეგრული პარტიკულიარიზმის არსებობის ყალბი რწმენა.</u>

ამ რეალური სინამდვილისგან პრინციპულად განსხვავებული რწმენის კონცენტრირებული ასახვისა და მისი დამაჯერებლობის გაძლიერებისთვის ხელისუფლებამ და მისმა უშიშროებამ შექმნეს ვითომ მართლა არსებული ე.წ. „მაფალუიზმის" ანუ ვითომ ანტიქართული მეგრული სეპარატისტული ტენდენციებისა და პროცესების მასაზრდოებელის, ზუგდიდის სეპარატისტების მხარდამჭერი სამაზრო ხელმძღვანელობისა და მისი მეთაურის, ისაკი ჟვანიას გაყალბებული სახე.

სინამდვილეში, ზუგდიდსა და საერთოდ სამეგრელოს მასშტაბით გამოვლენილ ქართულის არმცოდნე, საკუთარი მეგრული დედაენის ამარა მყოფი

გლეხობის და საერთოდ საუკუნეების მანძილზე მეგრულ ენაზე მოლაპარაკე, მეგრელი ენის მოტრფიალე, მეგრელ ქართველთა ინტერესების ყველაზე ნათელ დამცველად მართლაც მოგვევლინა ზუგდიდის ინტელიგენცია, ზუგდიდის სამაზრო-რაიონული ცენტრი და მისი ხელმძღვანელი ისაკი ჟვანია. მაგრამ მათ მოთხოვნებში გამოსჭვივოდა ძირითადად რაციონალური, საქართველოს იმპერიულად მოაზროვნე ცენტრის საწინააღმდეგო რეკომენდაციები. ხელისუფლებამ კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სამეგრელოს გლეხობისა და კერძოდ ზუგდიდის რეგიონის მოსახლეობის ინტერესებიდან მომდინარე მოთხოვნები ამ კომუნისტი ხელმძღვანელის ოდიოზური კაპრიზებით და საქართველოს საერთო ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მომტანად გაეყალბებინა. ამიტომ იყო, რომ ი. ჟვანიას შესახებ უამრავი ჭორი საზრდოვდებოდა, ბრალდებებიც ითითხნებოდა და ქართველი მოსახლეობის ფართო ფენებში, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უკრიტიკოდ ინერგებოდა.

ი. ჟვანიას, როგორც ორთოდოქს კომუნისტს, მართლაც ბევრი თავისებურება და საძრახისი თვისებებიც გააჩნდა. როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, იგი სტალინური ტიპის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი იყო, მაგრამ ეს იმას როდი გულისხმობდა, რომ მისი აზრი და გარჯა ქართული ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს მხოლოდ უარყოფითად წაადგა. სინამდვილეში, ი. ჟვანიას ფიქრი და ღვაწლი საქართველოს ეკონომიკურ და ზოგად ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, ოღონდ იგი ხშირ შემთხვევაში ორიგინალურ, სხვაგვარად აზროვნებასა და საზოგადოების სპეციფიური, საყოველთაოდ ცნობილი საბჭოთა პარტოკრატიულ-პოლიტიკანურ დოგმებისგან განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში უფრო სწორი მეთოდების სახით ელინდებოდა. სწორედ ეს იწვევდა „გაუგებრობებს" და მის მიმართ პარტოკრატების თავდასხმებს, მის გასაღებას ვითომ ავტონომისტად, სეპარატისტად და აგრეთვე ავტონომისტ-სეპარატისტების მფარველად.

ი. ჟვანიას პიროვნების დადებითი დახასიათების მიზნით მრავალი წყარო მოიძებნა, არ არის გამორიცხული, რომ ისეთი დამატებითი ფაქტიც წარმოჩნდეს, რომელიც ეწინააღმდეგება ამ არაერთგვაროვანი პიროვნების შესახებ ჩვენს მიერ მობილიზებულ დადებითი ღირსებების წარმომაჩენ ზოგ ცნობას. მაგრამ მის მიმართ „ჭკუანაღრძობის", „ვოსტორგოველის", „ავტონომისტისა", თუ „სეპარატისტის", „კომუნისტობის მოღალატისა" და „შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობის" ბრალდებები აშკარად მიზნობრივი, სახელმწიფოებრივი აზრისადმი სოლიდარული და მოგონილია. არც იმის დამადასტურებელი წყაროები არსებობს, რომ ი. ჟვანიას პოლიტიკა „მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან საერთო კულტურისაგან", და, რომ ., ისაკი ჟვანია სამთავრო-სათავადოების შავბნელი ხანის ჩამორჩენილობას ასახიერებდა". სათანადო უამრავი წყაროს მობილიზებით ცხადი გახდა, რომ პირიქით, მისი ძალისხმევა ემსახურებოდა სამეგრელოს და საერთოდ საქართველოს დაჩქარებულ კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას.

ი. ჟვანიას დადებითად დამახასიათებელ დამატებით ფაქტად გვესახება მისი უშუალო მონაწილეობა ქართველ პატრიოტთა (საქართველოს განათლების კომისრის დავით კანდელაკის, განსახკომის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი გამგის ვუკოლ ბერიძის, საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგის, მკვლევარ-მეცნიერის სარგის კაკაბაძის და სხვ.) მიერ წარმოებულ იმ უაღრესად ეროვნული მნიშვნელობის საქმეში, როგორიც იყო დავით-გარეჯისა და უდაბნოს ველის, ქართული კულტურის ძეგლთა ამ უნიკალური კომპლექსის მიმდებარე, დაკარგულ ტერიტორიათა შემოერთებისათვის ბრძოლა. სათანადო არქივის დოკუმენტების სახით შემოგვრჩა ორი საყურადრებო საბუთი. პირველი მათგანი არის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის (კომისარი ალ. გეგეჭკორი) მიწათმოწყობის განყოფილების გამგის ი. ჟვანიას 1925 წლის 13 იანვრის „წარდგინება" სრულიად

საქართველოს ცაკ-ის წინაშე, რომლითაც იგი მხარს უჭერს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას, კერძოდ დავით-გარეჯის მონასტრის დაცვის მიზნით ამიერკავკასიის ცაკ-ის წინაშე საკითხის აღძვრასა და ამ კომპლექსის მიმდებარე საძოვრების გამო საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქე მწყემსებს შორის გამწვავებული დავების მოწესრიგებას (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 607, აღ. 2, ს. 549, ფურც. 14).

1925 წლის 17 აპრილს ი. ჟვანია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის უფლებით ამიერკავკასიის ცაკ-ის მიწათმოწყობის კომისიას უგზავნის წარდგინებას, რომელშიც აღწერს საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო გამიჯვნის ისტორიას, საქართველოს წარმომადგენლობის მიერ 1921-1923 წლებში უყურადღებობით გაუთვალისწინებელ მდგომარეობებს და ამის გამო დავით გარეჯის მეპატრონე საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების შეზღუდვას. იგი მოითხოვს დავით-გარეჯის რეგიონში საქართველოს მეცხოვლეობის ისედაც შევიწროვებული მდგომარეობის შემსუბუქებასა და დავით გარეჯის მეპატრონეთა მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობას.

დოკუმენტებში ნათქვამია, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სარგებლობის მოწესრიგების მიზნით 1921 წლის 5 ივლისს შეიკრიბა შერეული კომისია, რომლებმაც 1921 წლის შემოდგომაზე და 1922 წლის დასაწყისში აწარმოეს საგამოკვლევო მუშაობა. ამ დროს საკითხი ზერელედ გადაწყდა, მთელი ტერიტორია უდაბნოს კომპლექსისა დაწყებული წამებულის და ნათლისმცემლის მონასტრებითა და გათავებული ბერთუბნით, აზერბაიჯანისათვის გადაცემული აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ქართულ სიწმინდეთა ამ უკანასკნელ სივრცეში მათ მცველ ბერებს ყაჩაღები დაესხნენ, ისინი ამის მერე უპატრონოდ აღმოჩნდნენ და ინტენსიური განადგურება განიცადეს. 1923 წლის აპრილში ამ საკითხზე იმსჯელა ამიერკავკასიის ცაკ-ის კომისიამ. კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვას მკაცრი დავა არ გამოუწვევია, მაგრამ „საქართველოს წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს“ ის მდგომარეობა, რომ საზღვრის გაყვანისას აზერბაიჯანს გადეცა ტერიტორიის (საძოვრების) ნაწილი, რომელიც იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში.

ი. ჟვანია სთავაზობს მიწის ფაქტობრივ მფლობელობის შენარჩუნების მიზნით ამ რაიონში საზღვარი შესწორდეს და დადგინდეს დავით-გარეჯის მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, ამ წარდგინებას დართულ სქემატურ რუკაზე აღნიშნული ორი ერცელი მონაკვეთის საქართველოსათვის შემოერთებას. ამ სამართლიანი პროექტით საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა ტერიტორია დაწყებული უდაბნოს მონასტრების კომპლექსით, წამებულითა და ნათლისმცემლით და გათავებული ბერთუბნით (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის უახლესი იოსტორიის არქივი, ფ. 607, აღ. 1, ს. 549, ფურც. 1-6; 19-19/2; 84). ეს არის ეროვნული კულტურის და საერთოდ ეროვნული ინტერესებისათვის მიწსახკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ი. ჟვანიას მეცადინეობის ნათელი მაგალითები. მაგრამ პოლიტიკანური კონიუნქტურის გამო მას აცხადებდნენ ქართული კულტურის წინააღმდეგ მებრძოლად.

სათანადო ისტორიის წყაროები გვამცნობენ, რომ საქართველოში ტოტალიტარიზმის დამკვიდრებისა და საქართველოს უშიშროების ორგანოებისა თუ რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ლ. ბერიას მოსვლის შემდეგ პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყველაზე მოქნილ „აღმძრავ ღვედად“ დაინერგა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნების გამოყენება. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ცკ-ის მითითებებით არა მარტო სწავლობდნენ და “აგვარებდნენ” საბჭოთა სახელმწიფოებრივ პრობლემებს, არამედ ჰქმნიდნენ ახალ გაუკუღმართებულ პროცესებსა და მის შესაბამის, მათთვის

სასურველ საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც წლების მანძილზე მიზნობრივად აცხადებდნენ სიმართლედ. ამით საბჭოთა იმპერიულ ინტერესებს ასაზრდოებდნენ და მას სიცოცხლისუნარიანობას და მდგრადობას წლების მანძილზე უნარჩუნებდნენ. ეს ჩეკისტური ზემოქმედება განიცადა "მეგრული საკითხის" მოგვარებამაც. იგი 1920-იან წლებში გულისხმობდა სამეგრელოს გლეხობის ტომური ენით ფუნქციონირების მოთხოვნილების გასაღებას ჯერ მეგრულ ნაციონალისტურ ავტონომისტურ-სეპარატისტულ, ხოლო 1930-იან წლებში ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ საქმიანობად. რეალური ისტორიის სიმართლით გამოკვლევამ კი დაგვანახა, რომ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა 20-იან წლებში საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გატარებით წაქეზებულ "ჩხოუშიელების" მცირე ჯგუფის მიერ მხოლოდ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას. მათი პრეტენზიების სამართლიან მოთხოვნებიანად დაგმობამ კი, 1925 წელს გამოიწვია ერთეული გაბოროტებული ავტონომისტების სეპარატისტად განვითარება, ხოლო 1930-იან წლებში აღინიშნა საქართველოს ცენტრის ახალი (ლ. ბერიას) ხელმძღვანელობის კურსის ადგილობრივი გამტარებლების მიმართ ჩხოუშიელების ერთი ჯგუფის დაუმორჩილებლობა და მათი სოლიდარობა ამ დროისათვის ზუგდიდში შემორჩენილი ორიოდე ავტონომისტისადმი. ეს იმას მეტყველებს, რომ ზუგდიდელი „ჩხოუშიელების" 1920-30-იანი წლების „ანტისაბჭოთა" ე.წ. „ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმი", ანუ „მაფალუიზმი", უფრო სწორად „ჩხოუშიელთა" „მეგრული ოპოზიცია", მიუღებელ მოთხოვნებთან ერთად სინამდვილეში ადამიანთა ენობრივი ინტერესების იგნორირების გამო აღმოცენებულ განწყობილებასაც მოიცავდა. იგი მიზნად ისახავდა თვისტომთა ცხოვრების სწრაფ დაწინაურებას, ამ მიზნით, სამეგრელოში დომინირებული სალაპარაკო მეგრული ენის თავისუფალ, შეუზღუდავ გამოყენებას, სამეგრელოს ეკონომიკისა და კულტურის მართვის გაუმჯობესებას მეგრული ენის გამოყენებითა და ერთიანი სამეგრელოს საოლქო გაერთიანებით. ამის ყველაზე მნიშვნელოვან აუცილებლობად მიიჩნევდნენ მოსახლეობის მიერ ხმარებაში გამოყენებული მეგრული ენის მიმართ საჭირო ყურადღებას. ამ მოთხოვნებს ანტიქართულ სეპარატიზმთან ისევე არაფერი ჰქონდა საერთო, როგორც არარსებულ ანტისაბჭოთა თუ ანტიპარტიულ მეგრულ ნაციონალიზმთან და კონტრრევოლუციასთან. მართალია, ამავე დროს არსებობდა ახალაია, ბუკონია, ბესელიას სპონტანური, თვით პარტიის ეროვნული პოლიტიკით ნასაზრდოები ანტიქართული აზრების შემცველი და ანტიეროვნული დემაგოგიით „გამაგრებული", ღვარძლიანი საჩივრები, მაგრამ ეს საჩივრებიცა და მათში ასახული არგუმენტებიც კი, ძირითადად მეგრული ენის და მისი მომხმარებლების მიმართ დანაშაულებრივმა უყურადღებო სახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ ასაზრდოვა. სახელმწიფოებრივმა უყურადღებობამ სამეგრელოს ავტონომიის მოტრფიალენი ანტიქართული, სეპარატისტული საჩივრების გამომძიქელ ავტორებად განავითარა. რაც შეეხება ამ ერთეულთა მიერ ჩამოყალიბებულ, მეგრელების განსაკუთრებულ, ქართველებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ეროვნების სახით არსებობის მტკიცებას, ეს იყო გაუსაძლისი რეალური მდგომარეობიდან სამეგრელოს მყისიერი ამოჩტომისა და სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის პირობების მოპოვებისათვის ძალ მიერ მოაზრებულ-გამოგონილი გაუმართლებელი შესაძლებლობა. იგი ეფუძნებოდა ერთიანი სამეგრელოს რეალობა-შესაძლებლობის შეფასებას ეროვნული ინტერესების პრიორიტეტული მნიშვნელობის უგულვებელყოფით და აგრეთვე პარტიის ეროვნული პოლიტიკისა და სტალინური მეთოდოლოგიის გაგებას კუთხიური პატრიოტიზმის პოზიციებიდან.

ქართული და მისი შემადგენელი მეგრული ცხოვრების მოქცევამ საბჭოთა სახელმწიფოებრივი დონიდან მომდინარე მოთხოვნებით ნაკარნახევ ქვეყნის მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური მართვის შაბლონურ დოგმებში, მოითხოვა საბჭოთა ეროვნული პროგრამისა და პარტიული ცენტრისადმი უსიტყვო მორ-

ჩილება. ამის გამო ქართულის არმცოდნე მეგრელ გლეხობას ეროვნულად ქართველობის გამო, გამოურიცხეს რეალური ცხოვრებით შექმნილ თავისებურებათა რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობა.

იმდროინდელი რეალობა გარდაუვალი აუცილებლობით მოითხოვდა შიდა და გარე სამეგრელოს ადმინისტრაციულ გაერთიანებას, მეგრელი მოსახლეობისათვის საუკუნეების მანძილზე დედაენად გამხდარი რეგიონალური, ვერბალურად უნიკალური და უმდიდრესი მეგრული ენის სტატუსის განსაზღვრას და მის თავისუფალ ფუნქციონირებას. უბრალო მშრომელ მოსახლეობას, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა და რომელმაც არ იცოდა ან ძალიან ცუდად ესმოდა ქართული ლიტერატურულ-სახელმწიფოებრივი ენა, მაგრამ გააჩნდა უძველესი დროიდან შემორჩენილი და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, ვერბალურად უმდიდრესი, უნიკალური, გენეტიკურად შესისხლხორცებული საკუთარი ენა, მთელი ათი (1921-1930) წლით მოუსპეს ამ გასაგები ენით ფუნქციონირებისა და მისით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ქართულ ლიტერატურულ ენასთან თანდათანობით, გარდამავალი პერიოდით ზიარების ადამიანური უფლება. საქართველოს ცენტრალურმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ, მოსკოვის მოთხოვნით, მეგრელი ქართველებით დასახლებული სამურზაყანოს ხარჯზე გაამდიდრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და გამორიცხა შიდა და გარე სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეულად ორგანიზების შესაძლებლობა. ამით მან იგნორირებულჰყო არა მარტო მეგრელების, არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესი. იგი წინ აღუდგა შიდა და გარე სამეგრელოს მოსახლეობის ინტერესებს. სამურზაყანოს მეგრელობას კი დაუსახეს რუსულ ენასთან ზიარების ტენდენცია. სწორედ ამ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის შემადგენლობაში მყოფი ზოგი ნაკლებხილული პიროვნება და განსაკუთრებით კი ზუგდიდის სამაზრო (შემდეგ რაიკომის) ხელმძღვანელობა. იგი ეძებდა სამეგრელოს სწრაფი კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურებების რაციონალურ, არაორდინალურ გზებს, მაგრამ ხელისუფლებამ მხოლოდ ათი წლის შემდეგ სამეგრელოს და ისიც მხოლოდ ზუგდიდის რაიონის იმ სოფლებში ინება სათანადო შეკვეცილი დათმობების დაშვება, სადაც გლეხობამ ქართული ენა არ იცოდა. ეს იყო მეგრული ენის გამოყენება წარმოება-დაწესებულებებში და სასამართლოში. მოსახლეობის ამ ნაწილს „უწყალობეს" გასაგებ ენაზე გაზეთებისა და საინფორმაციო საშუალებების გაცნობის შესაძლებლობა. მხოლოდ ზუგდიდის მაზრის გლეხების შვილებს შეუქმნეს იმის მოჩვენებითი შესაძლებლობა, რომ პედაგოგიკის მეცნიერების მოთხოვნის მიხედვით, გასაგებ მეგრულ ენაზე მიეღოთ დაწყებითი სკოლის კურსით გათვალისწინებული ელემენტარული განათლება. მაგრამ ეს ყოველივე უაღრესად მტკივნეულად, „მაფალუიზმის" მუდმივი ბრალდებისა და დიდი ანტიეროვნული საშიშროების ყალბი აკომპანემენტით გატარდა და ისიც გაუმართლებლად მოკლე დროში გაუქმდა. აღნიშნული სეკვესტრები მოსახლეობის ზოგ წარმომადგენელში იწვევდა პროცესების მტკივნეულ აღქმასა და გარკვეულ წინააღმდეგობას, რომელსაც სახელმწიფო როგორც წესი, ძირითადად უსამართლო ბინძური ბრალდებებით, ძალმომრეობითი და ჩეკისტური ღონისძიებებით აგვარებდა. ასეთი იყო ხელოვნურად, სოციალიზმის პრინციპების დაცვისათვის ბრძოლით „გამართლებულ"-გაძაღლებული იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრება.

ხელისუფლების პოლიტიკანობამ და განუყოფლად ერთგვაროვანი აზროვნების დამყარების მისმა მისწრაფებამ, 1920-30-იანი წლების სამეგრელოს პარტიულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასაზრდოვა საპირისპირო, საპროტესტო გამოვლინებები და ხელისუფლების მხრივ მისი საწინააღმდეგო, არაადეკვატური, კონტრრევოლუციონერობის ბრალდებები. ყოველ ახალ ვითარებაში ვარგისად გამოიყენეს „მეგრული ანტიქართული სეპარატიზმის" საშიშროების მითი და მისი რეციდივის რეამინაციის ყალბი შესაძლებლობის

მუდმივი მტკიცება. დიდი ხნის მანძილზე უყურადღებოდ დაგვრჩა, რომ ე.წ. „მეგრული ნაციონალიზმისა“ და „ანტიქართული სეპარატიზმის“, ანუ იგივე ე.წ. „მაფალუიზმის“ გამოვლინებამ სამეგრელოს კულტურულად დაწინაურებულ ზუგდიდში რომ იჩინა თავი, იგი მხოლოდ რამდენიმე პიროვნების (გრ. ახალაიას, ს. ბუკონიას და ვ. ბესელიას) ინიციატივით და ხელისუფლების მიერ „მეგრული საკითხის“ დანაშაულებრივი იგნორირებით მოხდა. მართალია, ამ გამოვლინების პირველმა კრიტიკოსმა ალ. გეგეჭკორმა მათი თანამოაზრე „ჩხოუშიელების“ რაოდენობად 28 დაასახელა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს ციფრი და მათი ქმედება ჩეკისტურად შეფასდა და გაზვიადდა. სინამდვილეში, სამი სეპარატისტი „ბელადის“ მიერ შეთითხნილს, ბოლომდე გაუცნობიერებელი სოლიდარობით აწერდნენ ხელს ხელისუფლების უყურადღებობითა და დიქტატით შეურაცხყოფილი „მეგრული ენის მოყვარულთა საზოგადოების წევრები“ და ზოგი ავტონომისტი. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ მეგრელი მოსახლეობის მიმართ თვით საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის მიერ აღიარებული და დაპირებულის იგნორირებით, აგრეთვე მეგრული გაზეთის („ნოთეს“) აკრძალვით. მაგრამ ცხადი გახდა, რომ ის, რაც ისტორიის შეუცნობლობით, ჩვენი შეზღუდული ცოდნიდან და შესაბამისი აზროვნებიდან გამომდინარე, ათწლეულების მანძილზე „მაფალუს“ საშიშროების სახით ხელისუფლების მიერ მუდმივად ზემოდან საზრდოვდებოდა, სამწუხაროდ, საგანგაშოდ შემოკრული ეროვნული ზარის ხმად, გონიერ გაფრთხილებად და მის წინააღმდეგ შებრძოლების მამულიშვილურ მეცადინეობად გვეჯერებოდა.

როგორც ირკვევა, სინამდვილეში ე.წ. „მაფალუელობას“ სერიოზული ეროვნული საშიშროება არასდროს შეუქმნია, მაგრამ იგი ასეთად საბჭოთა სახელმწიფოებრივი მართვის ინტერესებით გაყალბდა. ისიც ირკვევა, რომ ე.წ. "მაფალუელობის" ყალბი გაგება ჩვენი ეროვნული ცხოვრების 1920-30-ანი წლების ბედუკუღმართობის საიდუმლოებიდან ამოდის, მისი აღმოცენების საფუძველი კი ჩვენი ქვეყნის საბჭოური ცხოვრების თავისებურებამ და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მართვის მექანიზმმა შეჰქმნა. ამის და საბჭოთა უბედურებების შესახებ ზედმიწევნით ზუსტი აზრი ჩამოაყალიბა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილმა უფროსმა რაფავამ. მას გამბედაობა ეყო, 1955 წელს თბილისის რკინიგზელთა სახლში გამართულ ჩეკას შეფების (რაფავას, სავიცკის, კრიმიანის, ხაზანის და სხვათა) საჩვენებელ სასამართლო პროცესზე საქვეყნოდ განეცხადებინა: „Система эта основана на репресиях, сегодня растреляйте нас, завтра растреляют вас!“ დიახ, რეპრესიები და ძალადობა იყო იმდროინდელი საბჭოთა მართვის მექანიზმის უმთავრესი საშუალება. ის იყო ცხოვრებისეული მოთხოვნების საფუძველზე აღმოცენებულ პრობლემებზე პასუხის არაადეკვატური გამოვლინება. რადგან საზოგადოებრივი მოთხოვნილება ხშირად კომპარტიისა და საბჭოთა ცხოვრების ტრაფარეტებით განსაზღვრულ ნორმებში არ ჯდებოდა, იგი შესწავლა-მოგვარების ნაცვლად, ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნვას ექვემდებარებოდა. ამ კანონზომიერების მსხვერპლი აღმოჩნდა „მეგრული საკითხიც“, რომელმაც დროულად მოგვარების ნაცვლად საბჭოთა 20-30-იან წლებში მუდმივი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ზეწოლა და ე.წ. მაფალუიზმად დამახინჯებული წარმოჩენა განიცადა.

50-იანი წლების სარეაბილიტაციო პროცესების დროს განხორციელდა 30-იანი წლების მსხვერპლთა იურიდიული რეაბილიტაცია, მაგრამ ეს სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის და ისევ სოციალიზმის რეანიმაციის, პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის შერყეული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით მოხდა. დროთა განმავლობაში საზოგადოება გაერკვა, რომ: საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური რეპრესიები არსებული რეჟიმისა და სისტემის აუცილებელი თანამგზავრი ყოფილა; ამ პერიოდს ახასიათებდა სიმართლის პოლიტიკანურად გაყალბება, ავტორიტარული და ბრძანებულურ-ადმინისტრატორული რეჟიმის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ქვეყნის უზენაესი ხელისუფლების დიქტატი, თავგასულობა ძლიერთაგან ამა ქვეყნისა; ადამიანებთან დამოკიდებულების ტრა-

დიციული და გავრცელებული ფორმების-ტყუილის, გაყალბებული პროცესების სიმართლედ გასაღების, ძალადობის, მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების, ხელისუფლების ზრუნვის გამოვლინებად და პარტიული თუ საბჭოთა მართვის ხელმძღვანელობად გამოცხადება; სხვაგვარი, ანუ ოფიციალურ-სახელმწიფოებრივისაგან განსხვავებული აზროვნების მოუთმენლობა; პარტიულ სახელმწიფოებრივი ბრძოლა იმ აზრის გაბატონებისათვის, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების ნორმად ამკვიდრებდა — „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია და საჭიროებს მოსპობას ან იზოლაციას".

ამ და მომდევნო წლებში საბჭოთა სოციალიზმის არაერთ საიდუმლოებასა და გაყალბებულ ისტორიას აეხადა ფარდა.. ისტორიის თეთრი ლაქების გამოკვლევას განსაკუთრებით ინტენსიურად ე.წ. პერესტროიკისა და მის შემდგომ, პოსტსაბჭოურ, სუვერენულ საქართველოში დაეთმო ყურადღება. მაგრამ "მეგრული საკითხისა" და ე.წ. "მაფალუიზმის" ისტორია კვლავ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად გაყალბებული ვერსიით შემოგვრჩა. ამის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ 1951-1952 წლებში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურის პასუხად შეითითხნა ე.წ. "მეგრელი ნაციონალისტების", ანუ "მეგრელთა საქმე", რომლის ფუძემდებლად და წამქეზებლად გამოცხადდა ლ. ბერია. მართალია, მოკლე ხანშივე გაირკვა ამ ბრალდების უსაფუძვლობა, მაგრამ სტალინის გარდაცვალებისა და ქართველთმოძულე ხრუშჩოვის მიერ ლ. ბერიას განადგურების შემდეგ, როცა მას შეუკოწიწეს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტობის, ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების და მეგრული ანტიქართული ნაციონალისტების მფარველის ბრალეულობები, კონიუნქტურული მოსაზრებებით მიჩქმალეს ე.წ. "მეგრული ნაციონალიზმის" ანუ "მაფალუიზმის" მართალი ისტორიაც. სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისათვის მისაღები გახდა ამ ისტორიის 1920-1930-იან წლებში შემუშავებული ყალბი ვერსიის დაკონსერვება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა საქართველოში საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გატარების ანტიქართული ხასიათის მხილება. იგი სამეგრელოს მაგალითზე უთუოდ გამოიწვევდა როგორც მოსკოვის, ისე ადგილობრივი რესპუბლიკური და რეგიონალური ინტერესების წინააღმდეგ იმდროინდელი საქართველოს ცენტრისა და კერძოდ, ლ. ბერიას დანაშაულებრივი დამოკიდებულების მხილებას. ამ შემთხვევაში უნდა თქმულიყო, რომ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გატარებით უკმაყოფილება იქმნებოდა, რადგან: საქართველოს ტერიტორია 19491 კვადრატული კილომეტრით შემცირდა (ალ. მანველაშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938, გვ.18); ქართველი მოსახლეობის ინტერესების იგნორირებით შეიქმნა აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები; აჭარლებს ძალით, ბოლშევიკური პოლიტიკით შეაჩეჩეს ავტონომიური რესპუბლიკა; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას დანაშაულებრივად მიუერთეს გარე სამეგრელო (ანუ სამურზაყანო), რომელშიც 95% (42000-ზე მეტი) მეგრელი ცხოვრობდა (საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს.5, ფურც. 255); სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებში ხელოვნურად, ძალით შეიყვანეს ერთი ქართული ქალაქი ცხინვალი (რომელშიც 4545 ადამიანი, მათ შორის მხოლოდ 613 ოსი ცხოვრობდა. მათი ხვედრითი წილი 1922 წლის მონაცემითაც კი 13%-ს არ აღემატებოდა) და 40 ქართული სოფელი 20000 ქართველით, სადაც ოსი მოსახლეობა მხოლოდ 11000 აღწევდა. (იხ. იქვე ფ.284, აღ.1, ს.2, ფურც.85-86); სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში ქართველებით დასახლებული სოფლების გაერთიანება იწვევდა რუსულის სასარგებლოდ ქართული ენის დისკრედიტაციას. ამ შემთხვევაში ისიც აშკარა უნდა გამხდარიყო, რომ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ეროვნებებს, მეგრულენოვან ქართველებს კი მთელი ათი წლის მანძილზე (1921-1930 წწ.) მშობლიური სალა-

პარაკო მეგრული ენით ფორმალური ფუნქციონირების უფლება არ აღირსეს. ხელისუფლებამ მხოლოდ 1930 წლიდან, მას შემდეგ რაც კოლექტივიზაციამ, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურებით საბჭოთა ქვეყნის უზრუნველყოფის მოთხოვნებმა აიძულა, დაუშვა მეგრელი გლეხობისათვის გასაგები მეგრული ენის ფორმალური ფუნქციონირება, მაგრამ ისიც უაღრესად ხანმოკლე დროში და უხეში მეთოდებით აღკვეთა, მაშინ, როცა სახელმწიფოებრივი რუსული ენა ყოველთვის პრივილეგიებით სარგებლობდა.

"მეგრული საკითხისა" და ე.წ. "მაფალუიზმის" სიმართლით გამოკვლევა-გაშუქების შემთხვევაში ისიც ცხადი გახდებოდა, რომ "ჩხოუშიელების" უმმაყოფილებას ყოველთვის ჰქმნიდა კომუნისტური პარტიისა და ტოტალიტარული ხელისუფლების პოლიტიკა. აღნიშნული მიზეზების გამო ჩვენი უახლესი ისტორიის ამ უაღრესად გაყალბებულ პრობლემას საბჭოთა პერიოდში არ მიენიჭა ისტორიოგრაფიული და პოლიტიკური აქტუალობა.

ამ თემით დაინტერესებულმა მკითხველმა საჭიროა ისიც გაითვალისწინოს, რომ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის განხორციელებით საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს მუდმივად ჩააგონებდნენ მათი სუვერენული უფლებებისა და საქართველოს ნაციონალ-უკლონისტური ხელმძღვანელი ცენტრის შევინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ პარტიის აქტიურ მხარდაჭერას. ამ პოლიტიკის მასაზრდოებელი იყო მოსკოვის ხელმძღვანელობა. როგორც ადრე ითქვა, საქართველოს კომუნისტებს, მათ პირველ ყრილობაზე, ს. ორჯონიკიძემ სახელმძღვანელო პრინციპად განუმარტა, რომ პარტიის საქმეყნო პოლიტიკა კეთდება მოსკოვში, რკ(ბ) ცკ-ის მიერ. აქ ჩვენ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება არ შეგვიძლია და ჩვენ ვალდებული ვართ გავატაროთ კომუნისტებისაღვის საერთო მოსკოვის ცენტრის პოლიტიკა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 1, ს. 189, ფურც. 62). მაშასადამე, საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის პოლიტიკა წარმოადგენდა მოსკოვის ცენტრის დიქტატის შემოქმედებით განვითარებას. ამ პოლიტიკით აჭარა ცხადდებოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში მყოფი „აჭარელი ეროვნების" ავტონომიურ რესპუბლიკად. აფხაზებს შთააგონებდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ურყევ გარანტიას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მათი ერთგულება და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა მტრობა (იხ. ჯ. გამახარიას და ბ. გოგოხიას დასახელებული წიგნი, გვ. 120). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსურ მოსახლეობას მოსკოვის ხელმძღვანელი ცენტრი ერთი მხრივ ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო მეორე მხრივ ორი, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანების შესაძლებლობის იმედს უნერგავდა და ამით საქართველოს ხარჯზე ერთიანი ოსეთის რესპუბლიკის შექმნის მიზნით რეალური მოქმედებისაკენ აქეზებდა. ამას მოწმობს მათ მიერ აღნიშნული საკითხის საქართველოს ხელმძღვანელობის წინაშე არაერთხელ დაყენება (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 3339, ფურც. 1; საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 607, აღ. 1, ს. 320, ფურც. 70). საქართველოს კომპარტიის ცკ გადაჭარბებულ ლოიალობას ავლენდა ქართველი მოსახლეობის მიმართ მოძალადე ოსი ბოლშევიკებისადმი. ებრძოდა და ავიწროებდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ თავადებს — ფავლენიშვილებს, ერისთავებს და სხვებს, რომლებიც ვითომ ხელს უშლიან კულტურულ მეურნეობათა მოწყობას. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობა მოითხოვდა მათ ჩანაცვლებას „მკვიდრი" მოსახლეობიდან. ამით ოლქის ინტერესები არაფერს დაკარგავს, პირიქით მოიგებსო (საქართველოს კომპარტიის VI ყრილობა სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 278). ეს „მკვიდრი" კი, ოსური კადრი იყო. მოსკოვის ცენტრი უყურადღებოთ არც საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობებს ტოვებდა.

მეგრელ ქართველებს ჩაგონებდნენ, რომ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა არ გამორიცხავდა შიდა და გარე სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის შესაძლებლობას. ამას მოწმობს სერგო ორჯონიკიძის მიერ სტალინისადმი 1925 წლის 8 სექტემბრის თარიღით გაგზავნილი წერილი, რომელშიც გამა-

ფრთხილებელი შეშფოთება იყო გამოთქმული ერთი მხრივ სამეგრელოს ავტონომიური მოწყობისადმი შესაძლო მხარდაჭერის, ხოლო მეორე მხრივ, სამეგრელოს ერთიანი ავტონომიური ერთეულის შექმნის შემთხვევაში აფხაზეთის უთუო „დანგრევით". სამურზაყანოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკასთან მიერთების გამო ქართველი პატრიოტული ინტელიგენციის უკმაყოფილება საგნობრივად გამოხატა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელმაც დაგმო მისი საზღვრების მდინარე ენგურამდე მოტანა. სამეგრელოს ავტონომიის შესახებ მოსკოვის დაინტერესება ჩანს აგრეთვე საქართველოში მოვლენილი იმ საკავშირო კომისიების წევრთა ოფიციალური წარდგინებებიდან, რომლებშიც საუბარია რესპუბლიკის ხელმძღვანელი ცენტრის მხრივ სამეგრელოს მიმართ განხორციელებული უნიათო ხელმძღვანელობისა და „საკმაო ყურადრების უქონლობის" (1928 წ. კადეროვი) შეესახებ (იხ. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 62). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მოსკოვის ცენტრის მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად 1931 წელს მოვლენილი საკავშირო კომპარტიის ცკ-ის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ა.ა. ფრენკელის აზრი. იგი საკ. კომპარტიის ცკ-ისთვის დაწერილ მოხსენებით ბარათში (15.X.1931) ზუგდიდის ხელმძღვანელი ცენტრის მხრივ საოლქო ადმინისტრაციის მოთხოვნას ასხვაფერებს საქართველოს ავტონომიის არარსებულ მოთხოვნად და წერს: „Несмотря на настойчивые и долголетные настояния некоторых парторганизаций Мингрелии об объединении мингрельских районов, в которых проживает около 300 тыс. мингрельцев, в автономную область, этот вопрос не подвергался серьезному изучению и обсуждению ни ЦК Грузии, ни Заккрайкомом" (ЦКРКП(б) – ВКП(б) и национальный вопрос. Книга 1, с. 672). ჩვენი აზრით, ასეთი თვითშემოქმედება საკავშირო ცენტრში წარდგენილი მოხსენების ავტორ-ინსტრუქტორის პირადი ინიციატივით გამორიცხულია. ამ იმპროვიზაციისათვის ა. ფრენკელს უნდა ჰქონოდა მოსკოვის ცენტრის შოვინისტი ხელმძღვანელობის წინასწარი დაკვეთა.

საკ.კპ(ბ) ცკ-ის ინსტრუქტორი კადეროვი საკავშირო კომპარტიის ცკ-ისადმი წარდგენილ მოხსენებაში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გაეცნო აფხაზეთის, სამეგრელოს და სამხრეთ ოსეთის შემოწმებების მასალებს და ამ რეგიონებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ განხორციელებული მუშაობის შესახებ ჩამოუყალიბდა დასკვნა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში არ არის გარკვეულობა და სიმტკიცე. ხელმძღვანელობა ყოველთვის კუდში მიჩანჩალებდა, იგი ტარდებოდა მუშაკების ზოგიერთი ჯგუფის განწყობილებათა გაელენის მიხედვით. ხელმძღვანელობა მიმდინარეობდა იმ ხაზით, რომ შეგუებოდნენ აფხაზი მუშაკების ცალკე ჯგუფების განწყობილებას და მათ მიმართ „მშვიდობიანი პოლიტიკა" ტარდებოდა იმისდა მიუხედავად, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანდა იგი ორგანიზაციას. მე გავეცანი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომპარტიის ყველა დადგენილებას 1923 წლიდან, ვიდრე 1929 წლამდე, რომელიც აფხაზეთს შეეხებოდა... შემიძლია ვთქვა რომ ყველა მათგანი ზემოხსენებულს ამტკიცებს" (იხ. საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 62).

კადეროვის მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებენ ჩვენთვის ხელმისაწვდომი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დოკუმენტები. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1925 წლის 8-9 ივლისის დადგენილება მეტყველებს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ დროისათვის ფაქტობრივად გამოსულა საქართველოს ცენტრის ფორმალური დაქვემდებარებიდან და უშუალოდ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ექვემდებარებოდა. საქართველოს კომპარტიის ცკ-ი ფორმალური სუბორდინაციის აღდგენის მიზნით მოითხოვს: 1. აფხაზეთის კომისარიატებმა ამიერკავკასიის კომისარიატებთან ურთიერთობა აწარმოონ საქართველოს კომისარიატების მეშვეობით; 2. აფხაზეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის განხორციელდეს ურთიერთ ინფორმაციულობა, იმართებოდეს კომისარიატების ერთო-

ბლივი სხდომები; 3. აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოებმა საერთო რესპუბლიკური დაგეგმარების მიზნით სათანადო მასალები მიაწოდონ საქართველოს შესაბამის ორგანოებს. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილება პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისგან მოითხოვს დაარეგულიროს აფხაზეთის რესპუბლიკის ორგანოებში საურთიერთობო ენის საკითხი. იმ მაზრებში, რომელთა უმრავლესობა ქართველი მოსახლეობისგან შედგება, აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტს დაევალა რუსულ-ქართული გაზეთის ორგანიზება (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 148; ფ. 14, აღ. 1, ს. 364, ფურც. 132).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სუვერენიტეტული თვითშემოქმედება საყურადრებოა იმ მხრივაც, რომ იგი აქ მცხოვრები ქართული ეროვნების მოსახლეობის ინტერესების დისკრედიტაციით ტარდებოდა. ამას ცხადყოფენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1926 წლის მე-3, მაის-ივნისის პლენუმის მასალები. ისინი მოწმობენ, რომ აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის 42 პროცენტს ქართველობა შეადგენდა და რომელთა ხვედრითი წილი აფხაზებისას ბევრად აღემატებოდა, ზოგიერთ მაზრაში (მაგალითად, გალის მაზრაში მოსახლეობა ძირითადად (95 პროცენტი, 42 ათასი კაცი მეგრელი ქართველი იყო, დანარჩენ 4 მაზრაში კი 20 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობდა), ადგილი ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მეგრული ენის დისკრედიტაციას. აფხაზი ხელმძღვანელობა აქ დამკვიდრებული „რუსი თეთგვარდიელი მოსახლეობის გავლენით" მოითხოვდა სახელმწიფოებრივ ენად რუსული ენის გამოცხადებასა და ქართულის უგულებელყოფას. გალში აბრები („ვივესკები") მხოლოდ რუსულ ენაზე იყო შესრულებულ-გამოფენილი და ამ დროისთვისაც არ იყო მოხსნილი. აქ „საქმის წარმოება ხდება რუსულად, საუბრობენ და ლაპარაკობენ მხოლოდ რუსულად". საქართველოს ხელმძღვანელობა საყვედურს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ პრორუსული ელემენტები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ აპარატის ნაციონალიზაციას. სამაზრო და საოლქო ორგანოებმა ვერ შეძლეს ცკ-ის დირექტივების მტკიცედ გატარება. წარმოიშვა დაჯგუფებანი ენის საკითხში აფხაზეთში, ავტონომიის შესახებ ზუგდიდის მაზრაში და სხვ., რომლებიც შოვინისტური და ველიკოდერჟავნული ჯგუფებისგან საზრდოდებიან. აჭარაში იყო ქართული მიდრეკილების გამოჩენის შემთხვევა განსაკუთრებით ქართველი უკლონისტების მხრივ, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებს მაზრებს უფარდებდნენ და არ სურდათ არავითარ შემთხვევაში ანგარიში გაეწიათ ადგილობრივი პირობებისათვის. პლენუმზე ითქვა, რომ შოგირაძე – აკოფოვის კომისიის შემოწმებით დადგინდა: „ოთხი წლის განმავლობაში სოხუმში ქართველი მუშების უჯრედი საკითხების განხილვაში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან მუშაობა სწარმოებდა მათთვის გაუგებარ რუსულ ენაზე" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 5, ფურც. 282). თავის მხრივ საქართველოს ცენტრის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები.

აფხაზეთსა და გარე სამეგრელოში (გალის მაზრაში) ქართული ენისა და ქართული ეროვნული ინტერესების დისკრედიტაციის მთავარი მიზეზი იყო საქართველოს მარჯონეტი ცენტრის უნიათო ხელმძღვანელობა, რომელსაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მოსკოვის ცენტრის მიმართ ის უსიტყვო მორჩილება, რომელიც საქართველოს ნაციონალ უკლონისტური ცკ-ის ჩამოშორების (1923 წ.) შემდეგ ლომინაძე-კახიანის „ნაჯახით" მოქმედ ხელისუფლებას ახასიათებდა. ამას გვიჩვენებს პლენუმზე გამართული დებატებიც. აქ ალ. გეგეჭკორმა სრული დაბნეულობა გამოაელინა და გამოაცხადა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა აფხაზური და მეგრული შოვინიზმის გამოვლინებას. მან მეგრულ შოვინიზმში დაადანაშაულა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ბახტაძე, რომელიც მეგრულ ქართულ ინტერესებს იცავდა აფხაზეთი სეპარატისტების ზეწოლისაგან. ალ. გეგეჭკორმა ნ. ბახტაძეს „აფხაზეთში მეგრული ნაციონალიზმის შეფი" უწოდა და მოითხოვა ორივე შოვინიზმის (აფხაზურისა და მეგრულის – ავტ.) წინააღმდეგ „ბრძოლა". ეს ფაქტობრივად იყო პრორუსული, აფხაზეთის ქართული

მოსახლეობის ეროვნული ინტერესების იგნორირება. ნ. ბახტაძემ ალ. გეგეჭკორის ბრალდება გააპროტესტა: „მე მეგრელი კი არა იმერელი ვარო", „რუსული ვიკესკები კი, ჩემმა მოადილემ, ჩემი ბერლინში ყოფნის დროს გამოკიდაო". იგი არც აფხაზეთში საოლქო კომიტეტის მდივნად ახლად დანიშნულ გიორგი სტურუას ანტიქართული პოლიტიკის მხილებას მოერიდა და განაცხადა: „აფხაზეთში იყო ერთი ბოროტება ლაკობა ახლა არის მეორეც – სტურუაო" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 6, ფურც. 305). სხვა წყარო გვიდასტურებს, რომ ამ დროს აფხაზეთში სკოლები იყო აფხაზური, ქართული, ბერძნული, სომხური და სხვ. ისწავლებოდა მათი ენები, მაგრამ დომინირებული მდგომარეობა ეკავა რუსულ ენას. გალის მთელი ინტელიგენცია და მათ შორის მასწავლებლობა ურთიერთობას აწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაზე, მეგრელი პედაგოგები ერთმანეთში საუბრობდნენ რუსულად და მეგრულად. მათგან ქართული ზოგმა იმდენად მწირად იცოდა, რომ ვერ ახერხებდა დაწყებითი კლასის კურსით გათვალისწინებული ზოგი სიტყვის მეგრულად განმარტებას (გაზ. „მუშა", 1924, 21 მაისი, №449).

აღნიშნულ ვითარებაში შიდა და გარე სამეგრელოს დაწყებითი სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა (რომელიც ზუგდიდის მაზრის მონაცემებით შემდგომ კლასებში მოსწავლეებს ორჯერ აღემატებოდა), ძირითად ენერგიას სავალდებულო ქართული სიტყვების დაზუთხვას ანდომებდა, ამიტომ ცხოვრების ფერხულში ფაქტობრივად დაწყებითი განათლებით გათვალისწინებული სავალდებულო მოქალაქეობრივი მინიმუმის ათვისების გარეშე ებმებოდა. ასე იყო დანარჩენი სამეგრელოს მნიშვნელოვან ნაწილში, კერძოდ იქ სადაც მეგრელმა გლეხებმა და მამამ შვილებმა არ იცოდნენ სავალდებულო ქართული სასკოლო სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ენა. ამ მიზეზითაც იყო გამოწვეული ის, რომ ზუგდიდის მაზრის სკოლებში 1923 წელს სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ 26,5 პროცენტი სწავლობდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 554, ფურც. 78). ამ მდგომარეობის დროული გამოსწორება შეეძლო ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელთა და პედაგოგთა აზრის გათვალისწინებით იმ რეკომენდაციების დანერგას, რომლებიც ითვალისწინებდნენ სამეგრელოს ქართულის არმცოდნე სოფლების დაწყებითი სკოლის თუნდაც პირველ ორ კლასში მეგრულად სწავლების, როგორც მოკლე გარდამავალი პერიოდის, დროებითი საშუალების შემოღებას. მაგრამ მეცნიერულ-პედაგოგიური პრინციპებით სწორი ეს და მსგავსი სხვა, თვით საქართველოს ცენტრის მიერ „მეგრული საკითხის" მოგვარების მიზნით დასახული მეთოდური ღონისძიებები, იმდროინდელმა პარტიულ-პოლიტიკანურმა ელიტამ და საბჭოთა პედაგოგიკის წარმომადგენლობამ არ მიიღო, რადგან იგი მცდარად გაიგო როგორც მეგრული პარტიკულიარიზმისა და ანტიეროვნული მკრეხელობის გამოვლინება. საქართველოს ცენტრის პარტოკრატიამ იგი გააზვიადა და გააყალბა სკოლის მეგრელიზაციის, სამეგრელოს ავტონომიისა და მეგრული კულტურის შემოღების იდუმალ მისწრაფებად.

„მეგრული საკითხის" მიმართ საქართველო პარტოკრატიასა და სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიას 1920-1930-იან წლებში ახასიათებდა ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობის მოჩვენებითი მზრუნველობა. იგი „მეგრული საკითხის" მოგვარების ნაცვლად სინამდვილეში სისტემატურად ასაზრდოებდა სამეგრელოს ჭეშმარიტად ქართული ეროვნული განწყობილების იგნორირებას. სამეგრელოს სოციალურ ურთიერთობათა ნიადაგზე აღმოცენებულ უკმაყოფილებას ასახავდა, როგორც საკავშირო ხელმძღვანელობის მიერ დავალებული „ადგილობრივი ნაციონალიზმის" გამოვლინების მხილებასა და მის დაძლევას. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრების „ხელმძღვანელობის" ეს საიდუმლოება შეუცნობელი არ რჩებოდა ზუგდიდის ინტელიგენციას. ამის გამო იყო, რომ მისი წარმომადგენლები სისტემატიურად მიმართავდნენ სხვადასხვა ფორმის საპროტესტო აქციებს (საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კრიტიკას, ერთნი სამეგრელოს ავტონომიური და მეორენი საქართველოს ადმინისტრაციული ოლქის, აგრეთვე მეგრული საინფორმაციო ველის უზრუნველყოფის და სხვა მოთხოვნებს).

აღნიშნულთან დაკავშირებით ა. ფრენკელი საკავშირო პარტიული ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილი 1931 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული მოხსენების მასალებში წერს: „Следует также отметить недостаточное внимание, уделяемое ЦК Грузии к районам Мингрелии. До сих пор еще среди ряда работников Грузии сильны местние великодержавные настроения, из-за которых долгое время мингрельский язык не признавался за язык, не разрешали издание газеты на мингрельском языке. ЦК Грузии не проводит серьезных мероприятии для помощи переводу делопроизводства и судопроизводства в районах Мингрелии на местный язык, для усиления издательской деятельности на мингрельском языке. До сих пор еще ЦК Грузии не разрешает введение обучения в начальных школах на мингрельском языке, несмотря на то, что это основной язык большинства населения Мингрелии. Такое положение вещей создает недовольство в ряде мест Мингрелии даже среди коммунистов и облегчает почву для работы антисоветских элементов"... (См. ЦК РКП(б) – ВКП(б) и национальный вопрос... с. 673). ა. ფრენკელის ეს საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის მიმართ გამოთქმული სამართლიანი ბრალდებები გარკვეულ საფუძვლად დაედო სკ. კპ (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ამიერკავკასიის სამხარეო და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობა და ლ. ბერიას პიროვნებით შესცვალა ისინი.

საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სათავეში ლ. ბერიას მოსვლის შემდეგ. „მეგრული საკითხის" მოგვარების საქმეს თითქოს ახალი ძალა მიენიჭა. 1932 წელს ზუგდიდის მაზრის ქართულის არმცოდნე სოფლების სკოლების დაწყებით კლასში შემოღებული იქნა მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული სწავლება. მაგრამ იგი მომდევნო წელსვე გაუქმდა. შეიკვეცა მეგრული „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემა და მალე კიდეც აიკრძალა. ასევე უდროოდ მოისპო „მეგრული საკითხის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებებით დასახული და ცხოვრებაში გატარებული გარდამავალი პერიოდის სხვა დათმობები. უარი ეთქვა საკავშირო და საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრების მიერ ადრე დაპირებულ შეღავათებსაც. მაშასადამე, შეღავათები მეგრული ენით მოლაპარაკე და მხოლოდ ამ ენის ამარა მყოფი მეგრელი მოსახლეობის მიმართ გაუმართებლად ან დამთავრებულად იქნა მიჩნეული. ამას მოჰყვა ზუგდიდის ინტელიგენციისა და გლეხობის საპროტესტო მოქმედებები (საჩივრები მოსკოვის და საქართველოს ხელმძღვანელ ცენტრებში). ამ პროტესტის წამქეზებლად და იდეურ მეთაურად საქართველოს ხელმძღვანელობამ მიიჩნია ზუგდიდის რაიკომის ყოფილი მდივანი, ამ დროს კი სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად დაწინაურებული ისაკი ჟვანია, რომელიც ადრე მართლაც მთელი ძალით იბრძოდა სტალინის, მოსკოვისა და საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ „მეგრული საკითხით" გათვალისწინებულ დაპირებათა განხორციელებისთვის. იგი ამიტომ „დაწინაურეს" სამხრეთ ოსეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად და ამ გზით ჩამოაშორეს ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა და ზუგდიდის ახალმა რაიონულმა ხელმძღვანელობამ უფრო აქტიურად შეუტია ი. ჟვანიას დროინდელ რაიონულ აქტივს, რომელიც არ ეპუებოდა ახალ ხელმძღვანელობას. მათგან ზოგი თანამდებობრივად დაიქვეითა, ზოგი სხვა რაიონში გადაიყვანა და ზოგი კი სამსახურიდან გაანთავისუფლა, მაგრამ ამით მათში უკმაყოფილება და „მეგრული საკითხისადმი" სტალინის მხარდაჭერის რწმენა ვერ აღმოფხვრა. ამის შემდეგ ზუგდიდში თავი იჩინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და მის მიერ დაწინაურებული ზუგდიდის რაიკომის ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგე ოპოზიციური ჯგუფის ჩამოყალიბებამ. მათში გაერთიანდნენ ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის დროინდელი მუშაკები, რომლებიც მხარს აქტიურად უჭერდნენ სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას და იმ აქტივის ორიოდე წევრი, რომელიც მოსკოვის ცენტრში და სტალინის სახელზე გაგზავნილ ხელმოწერილ საჩივრებში სამეგრელოს სწრაფი კულტუ-

რულ-ეკონომიკური დაწინაურებისა და კომფლიქტური სიტუაციების მოგვარების გარანტიად სახავდა სამეგრელოს ავტონომიური ოლქის ორგანიზებას. ისინი სტალინისა და მოსკოვის ცენტრში გაგზავნილ საჩივრებში იმოწმებდნენ, მათი აზრით, პარტიის იდეოლოგიითა და პოლიტიკით გამართლებულ არგუმენტებსა და საქართველოს ცენტრის მაკომპრომენტირებულ ფაქტებს. მათი ეს მაკომპრომენტირებული ინფორმაცია გახდა იმის მთავარი საბაბი, რომლის გამო საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ზუგდიდელი ოპოზიციონერები ახლად გამოცოცხლებულ „მაფალუელ კონტრრევოლუციონერებად" გამოაცხადა. ამასთანავე იგი შეეცადა ამ „მოძრაობის" მეთაურად სტალინირში გადაყვანილი ისაკი ჟვანიას გასაღებას. მაგრამ მათდამი ი. ჟვანიას ხელმძღვანელობის დასაბუთება და მისი განადგურება ვერ მოხერხდა. საქართველოს კომპარტიის მომდევნო, IX ყრილობამ (1934 წ. იანვარი) ჯეროვნად დააფასა ი. ჟვანიას ღვაწლი და დამსახურება. ამ აღიარებაზე მეტყველებს ი. ჟვანიას არჩევა ყრილობის პრეზიდიუმში და ახალი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე მომდევნო, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების VII და საკავშირო კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატად. განსაკუთრებით საყურადღებოა ლ. ბერიას მიერ ეჭვმიტანილი ი. ჟვანიას საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ნამდვილ წევრად არჩევა და საკავშირო ყრილობაზე საქართველოდან წარსაგზავნ 34 დელეგატს შორის დასახელება (იხ.: საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 450, 452, 454, 473, 476, 478).

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ საქართველოს ხელმძღვანელობამ ზუგდიდელი ოპოზიციონერების საქმით დააკვალიანა ჩეკას სამმეროს ზუგდიდის განყოფილება. ზუგდიდის ჩეკისტებმა „დაასაბუთეს" აღნიშნული ოპოზიციური ჯგუფის „მაფალუისტურ-კონცრევოლუციური" დანაშაული და მის წევრებს მიანიჭეს მომაკვდინებელი კვლიფიკაცია (სისხლის სამართლის მუხლები 58/10 და 58/11). მაგრამ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ცენტრის მიერ ლ. ბერიას დავალებით გამოყოფილმა საგამოძიებო ჯგუფმა ეს ბრალდებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და ვითომ ი. ჟვანიას მიერ ორგანიზებული და აგრეთვე, ვითომ „კონტრრევოლუციურ-მაფალუისტური" ჯგუფის ბრალდებით დაპატიმრებული 1936 წლის იანვარში პატიმრობიდან გაანთავისუფლა.

1937 წელს განხორციელებული დიდი ტერორის დროს რეპრესირებული „ჩხოუშილების" ი. ჟვანიას, ი. გვასალიას, ბ. ბერიას, ტ. შენგელიას და სხვათა მიმართ ბრალდებად უკვე წაყენებული იქნა არა აბსურდად გამომჟღავნებელი ე.წ. „მაფალუელობა", არამედ ამ დროისათვის მოდური კონტრრევოლუციური „ტროცკიზმი" და „მემარჯვენეობა". მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების თავისებური საბჭოურ კომუნისტური იმპერიული მართვის სპეციფიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ე.წ. „მაფალუელობა" და ამ ცნების ქვეშ მოაზრებული „ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმის", „მოღალატეობის" ტენდენციებისა და პროცესების არსებობის მტკიცება აბსურდია.

„მეგრული საკითხის" შესახებ უაღრესად საყურადღებოა, ცნობილი ქართველი სწავლულისა და დიდი პარტიოტის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის მიერ სამეგრელოს და მთლიანად საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის ისტორიის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული, თანადროული უნიტარული ხელმძღვანელობის ჩანაცვლებისა და „ფედერაციული საქართველოს" მოწყობის მოდელი. აქ მ. წერეთელმა მოგვცა „მეგრული" რაობისა და ერთიანი სამეგრელოს ფუნქციონირების უაღრესად საყურადღებო, ალტერნატიული აზრი. იგი წერს: „მაფალუს" მოძრაობამ სამეგრელოში დიდი აღელვება გამოიწვია ქართველთა შორის — ყველაზე უფრო დიდი თვით სამეგრელოს ქართველ პატრიოტთა შორის. ცოტნე დადიანის ერთგულებმა ითაკილეს ასეთი რამ, ღალატად ჩათვალეს ეს მოვლენა საქართველოს სამშობლოსადმი, რომლის წინაშე საუკუნეთა ღვაწლი და თავგანწირულობა მიუძღვით მათ წინაპართა. მაგრამ ჩვენის ფიქრით „მაფალუ" არც ღალატია საქართველოსი, არც საფრთხე საქართველოს მდინარებისათვის. იგი ბნუნებრივი მოძრაობაა იმ დროისა, როდესაც ყოველი ეროვნული ინდივიდუალობა და თავისებურებაც თვით ერის ნაწილთა განმტკიცებად მიისწრაფის. ასეთ მოძრაობათა დასაწყისს ყოველთვის თანსდევს გადაჭარბება, მტრის ძებნა იქ, სადაც იგი არ არსებობს, რომ ბრძოლის ემბაზში განინათლოს ახალი იდეა, ხშირად ძმის რჩოლაც, მაგრამ

გაივლის დრო და ყოველივე ბუნებრივის წესით წარემდინარება, მოძრაობა იმ ნაყოფს გამოიღებს, რომლის შობად იგი იყო მიდგომილი, და „მაფალუც“ მით გათავდება, რომ სამეგრელო იქნება ავტონომიური კანტონი და ორგანული ნაწილი მშვენიერის სამეგრელოს ენით, რომლის კულტურაც ბუნებრივი მოთხოვნილება და მოვალეობა იქნება ყოველი მეგრელისა და თვით სამეგრელოს კანტონისა-ქართული ენის კულტურასთან ერთად, ერთი დიდი ქართულის ძირის ორივე ამონაყარი ენის კულტურა მეგრელთა მიერ შეძენაა საქართველოს კულტურულ საუნჯისათვის და არა დანაკლისი“ (მ. წერეთელი, ფედერაციული საქართველო, გაზ. „თეთრი გიორგი“, 1933, №32). როგორც ვხედავთ, მ. წერეთელმა „მაფალუელად“ მონათლულ მეგრელთა „ეროვნულ ინდივიდუალობასა“ და „თავისუფლებაში“ სწორად დაინახა „ერის ნაწილთა“, კერძოდ მეგრელთა განმტკიცების მისწრაფება, რომელსაც თან სდევდა გადაჭარბებაც. მაგრამ, მისი აზრით, მეგრელთა საერთო მოძრაობა, რომლის ნაწილს ე.წ. „მაფალუელობაც“ წარმოადგენს, საერთო მდინარებით მიდგომილია იქით, რომ „სამეგრელოს ავტონომიური კანტონი“, ე.ი. ფედერაციული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული (და არა ავტონომიური) ერთეული „მშვენიერის სამეგრელოს ენით“ მოგვეელინება „შეძენად ერთიანი საქართველოს კულტურული საუნჯისა“. მაშასადამე, მ. წერეთელმა კარგად დაინახა ის, რაც ვერ გაიგო ზოგმა, სამეგრელოს ახალსა და უახლეს ისტორიაში ღრმად ჩაუხედავმა პიროვნებამ, რომ „მაფალუელობა“ სამეგრელოს საერთო (ჩხოუშიელთა უმრავლესობის, რაციონალურის + კომუნისტი ჩხოუშიელი ავტონომისტების + „ჩხოუშიელი“ ავტონომისტურ-სეპარატისტულის, ანუ ე.წ. „მაფალუისტურის“) მდინარებაში იყო ეროვნულ ინდივიდუალური ანუ პროგრესულად დომინირებული მდგომარეობა, და იგი მ. წერეთლისგან განსხვავებით, მთლიანად შეაფასა როგორც ე.წ. მაფალუისტური, ანუ ანტიქართული მეგრული ნაციონალიზმი, ანტიქართული პარტიკულიარიზმი და ანტიქართული მეგრული სეპარატიზმი. ეს გამოწვეულია ჩვენი უახლესი ისტორიის საბჭოთა სახელმწიფოებრივ-პარტოკრატიული მიზანდასახულობით გაყალბებული ვერსიისადმი ავტორთა გაუმართლებელი ნდობითა და კრიტიკული ანალიზის გარეშე დამოკიდებულებით.

ამრიგად, ე.წ. "მაფალუელობა" არც „მეგრელთა საქმის“ შეთითხვნის დროს (50-იან წლებში) და არც 90-ანი წლების ძმათამკვლელი სამოქალაქო ომისა და შემდგომი მასობრივი დაბნეულობის დროს დაავიწყდათ. გარკვეული ძალები ყოველთვის ცდილობდნენ სამეგრელოდან მომდინარე სამართლიანი პროტესტის ეროვნულ საშიშროებად წარმოჩენას და მის გაუკულმართებულ გამოყენებას. 50-იან წლებში იგი გაიხსენეს და შეაფასეს, როგორც „მეგრული ნაციონალიზმის“ გამოვლინება, 1990-2000-იან წლებში კი მას უწოდეს „ნეომაფალუიზმი“ და „პროვინციული ფაშიზმი“, და გამოიყენეს სამეგრელოში კანონიერი პრეზიდენტის მომხრე უზურპატორი ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებელი ადამიანების უმოწყალო განადგურების გამამართლებელ იდეოლოგიურ არგუმენტად.

ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების ზოგმა წარმომადგენელმა „მეგრული საკითხის“ გაგებაში სრულიად "ორიგინალური" პოზიცია დაიკავა. ქართველებმა ბერიას ანტიმეგრული საქმიანობა გააშუქეს, როგორც ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა. ზოგმა რუსმა ისტორიკოსმა გაიმეორა ისტორიის ეს პირუკუ გაბრუდება. სხვა უცხოელმა ავტორმა კი 1920-1930-იანი წლების სამეგრელოსათვის დამახასიათებელი სამართლიანი პროტესტი „აგვიხსნა“, როგორც სამეგრელოს ანტიქართული ეროვნული მოძრაობა. ახლა კი, როგორც 2008 წლის ომის შემდგომი პრესის მიმოხილვის დროს ვნახეთ, ისაკი ჟვანიას ადრინდელი გაყალბებული გაგების გამოყენება კვლავ ძალაშია. მას უსაფუძვლო გაუგებრობით აიგივებენ ქართველთმოძულე. რუსიფიკატორ საბჭოთა ატაშე გენერალ სიტინთან.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ წიგნმა, მისმა ცალკეულ თავებში გაშუქებულმა ალტერნატიულმა ისტორიამ მკითხველს დოკუმენტურ საფუძველზე უჩვენა, რომ უნიტარული საქართველოს მშენებლობის მისწრაფებებით ნასაზრდოებმა „მეგრული საკითხისადმი“ სამართლიანი მიდგომის ნაცვლად სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტულმა დამოკიდებულებამ, გამორიცხა სამეგრელოს მაქსიმალუ-

რად ეფექტური, რაციონალური მართვის სრული შესაძლებლობებით განხორციელება. ამის გამო სამეგრელოში და განსაკუთრებით მის შედარებით კულტურულად დაწინაურებულ ნაწილში, მდინარე ჩხოუშის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ზუგდიდში აღმოცენდა ოფიციალურისაგან განსხვავებული სხვადასხვა ფორმის ოპოზიციური (რაციონალური, ავტონომიური და სეპარატისტული), აზროვნება, რომლებიც ერთ საერთო, ანტისაბჭოთა ე.წ. „მაფალუისტურ" მოძრაობად მოინათლა. ამან სამეგრელოს და ამდენად, საერთოდ საქართველოს, დამატებითი სირთულეები მოუტანა. ე.წ. „მაფალუელობა" ის სახელმწიფოებრივ-მიზნობრივად და ხელოვნურად მოგონილი, ვითომ მართლა არსებული ე.წ. „მეგრული ნაციონალიზმი" აღმოჩნდა, რომელმაც სამეგრელოს რეგიონში, და კერძოდ ზუგდიდში, საბჭოთა რუსული სოციალიზმით ნასაზრდოები მართვის წინააღმდეგობები კიდევ უფრო გაამძაფრა.

როგორც ვნახეთ, „მეგრული ნაციონალიზმისა" და ე.წ. „მაფალუიზმის" დიდი ანტიეროვნული საშიშროების ლეგენდა უფრო პარტოკრატიულ-პოლიტიკანური ხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივ-ეროვნული ინტერესებით თავგამოდების დემონსტრირების მოჩვენებითი საშუალება აღმოჩნდა. სინამდვილეში, ანტიეროვნულ გამოვლინებებს, ისე როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევარში, XX საუკუნეშიც მხოლოდ დაბნეულ ერთეულთა და არა მარტო მეგრელებს შორის, არამედ გურულებში, იმერლებში, კახელებში და აჭარლებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს არ იყო ანტიქართული ტენდენციები და პროცესები. ამგვარი მისწრაფება მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მმართველობის ტოტალიტარიზმის ვითარებით გაღიზიანებულ არაქართულ მოსახლეობაში შეიმჩნეოდა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამიტომ არ შემოგვრჩა მასალები, რომლებიც დაგვიდასტურებენ, რომ იმ დროს „ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმისა" და ე.წ. „მაფალუიზმის" დიდი ეროვნული საშიშროებით განიმსჭვალა ივანე ჯავახიშვილი და მისი გვერდის დამამშვენებელი ქართველი მეცნიერულ-პედაგოგიური წარმომადგენლობა. ჩეკას მიერ ანტისაბჭოურ მებრძოლად გამოვლენილთა და ხელისუფლების მხარდამჭერ მეცნიერთა მიერ გაკრიტიკებული თითო-ოროლა ფაქტი კი იმას გვიდასტურებს, რომ არარსებული მეგრული ნაციონალიზმისა და ე.წ. „მაფალუიზმის" დაგმობა ზოგი მოღვაწის მიერ გამოიყენებოდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ საკუთარი უდანაშაულობის ან ერთგულების მოსაჩვენებლად. 1950-იან წლებში "მაფალუიზმის" სახელმწიფოებრივად გაყალბებული ისტორიის სიმართლით გაშუქება გამორიცხა "მეგრელთა საქმის" საარქივო მასალებითა ლ. ბერიას ბრალდებებით დასაბუთებულმა, შეთითხნილმა "ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმის" ლეგენდის ინერციამ. აღნიშნული მიზეზების გამო ჩვენი უახლესი ისტორიის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერულ-პოლიტიკური პრობლემა თანამედროვეობას შეუსწავლელი შემორჩა.

ჩვენი აზრით, არარსებული, ე.წ. მეგრული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის სრულიად ქართველთა მუდმივ საფრთხობელად გამოყენებას, წინამდებარე წიგნში მოცემული დოკუმენტური ანალიზით, ყავლი საფუძვლიანად გაუვიდა. ამ წიგნის წამკითხავს ყბადაღებული მეგრული სეპარატიზმის საშიშროების გამო, ვფიქრობთ, ეჭვი აღარ დაებადება. იგი უკეთ ჩაუღრმავდება სამეგრელოს მცხოვრებთა წარსულში „მაფალუელობად" მონათლული უკმაყოფილების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებიის შემეცნებას და მომავალში აღარ წამოეგება „ჩხოუშეიელების" ე.წ. „მაფალუიზმის" და მათი „ლიდერის, ი. ჟვანიას" მიერ ვითომ მართლა შექმნილ ანტიქართული საშიშროების სინდრომის არსებობისა და მისი შესაძლო რეანიმაციის ჩეკისტურ ლეგენდას, რომელმაც არაერთი პიროვნება დააბნია და შესაბამისად ჩვენი რეაგირების აუცილებლობაც გამოიწვია.

სარჩევი

წინათქმა 3
თავი I. „მეგრული საკითხის“ პარტიულ-სახელმწიფოებრივი და ჩეკისტური ვერსია 17
თავი II. „მაფალუიზმი...“ და „მეგრული საკითხი...“ ოფიციალური ასრით 33
თავი III. „მაფალუს“ ცარიზმის რუსიფიკატორების ლევიცკი, იანოვსკი, ვოსტორგოვიდან მომდინარეობის მტკიცებულებათა სიყალბის შესახებ 46
თავი IV. „მეგრული საკითხისა“ და ე.წ. „მაფალუელთა“ ისტორიის საარქივო წყაროების მეთოდური და მეთოდოლოგიური მნიშვნელობის შესახებ 87
თავი V. რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას? 102
თავი VI. „ჩხოუშიელთა“ ავტონომიური და სეპარატისტული ნააზრევის იდეურ-პრაქტიკული წანამძღვრები 115
თავი VII. „ჩხოუშიელთა“ ავტონომისტები და მათი მოთხოვნები 135
თავი VIII. ავტონომისტური მოთხოვნების „სეპარატიზმამდე“ წაბიძგება 145
თავი IX. სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი „მოჰიკანი“ 161
თავი X. „მეგრული საკითხის“ მოგვარების ჩეკისტური გზა 178
თავი XI. „მეგრული საკითხის“ ბერიასეული გაყალბების პროვოკატორული გამოყენება და სამაზრო ხელმძღვანელობის გადაყენების წარუმატებელი ცდა 200
თავი XII. „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარების იმედით 216
თავი XIII. „მეგრული საკითხის“ სამართლიანად მოგვარების სახელმწიფოებრივი ტენდენციის აღმოცენება და პარტოკრატიულ-ბიუროკრატიული დაბრკოლებების ინერცია 229
თავი XIV. სტალინმა „მეგრული საკითხის“ სამართლიანი მოგვარება ინება, მაგრამ მისი ნაწილობრივად განხორციელების ტენდენცია ასაზრდოვა 259
თავი XV. სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქისათვის ბრძოლა 306
თავი XVI. ლ. ბერია ი. ჟვანიას წინააღმდეგ 331
თავი XVII. ლ. ბერიას მიერ ი. ჟვანიასა და ე.წ. „მაფალუელების“ წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბური ორგანიზება. დაწინაურების გზით ი. ჟვანიას ზუგდიდის ხელმძღვანელობიდან მოშორება 360
თავი XVIII. ვითომ „მაფალუელები“ ი. ჟვანიას შემდგომ ზუგდიდში 388
თავი XIX. ე.წ. „მაფალუელებად“ და სეპარატიზმად გაყალბებული „მეგრული საკითხის“ ჩეკისტური ვერსია 403
თავი XX. პარტიის ახალი კურსი და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში 418
თავი XXI. პარტიის ახალი კურსი და „მეგრული საკითხის“ მოწესრიგებით დაინტერესებულთა ხვედრი 431
ბოლოთქმა 454

წიგნის გარეკანზე:

ზუგდიდის მაცხოვრის კარის ეკლესია (მის მიდამოებში 1924 წელს განლაგებული იყო ზუგდიდზე მოიერიშე აჯანყებულთა ლაშქარი).

ამ წიგნზე ხანგრძლივი მუშაობის სხვადასხვა დროს დახმარება გაგვიწიეს ძმებმა ვივიანე და არიანე ჭანტურიებმა, თამარ მაჭავარიანმა, გიორგი წირღვაყამ და გოჩა გუნავამ, რისთვისაც მადლობას ეუხდით

წინამდებარე წიგნის ავტორებს გამოსაქვეყნებლად მომზადებული აქვთ დოკუმენტების კრებული ("მეგრული საკითხის ისტორიის წყაროები") და მონოგრაფია ("სამეგრელო 1924 წლის აჯანყებაში"). სპონსორის თანადგომის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მათი გამოქვეყნება უახლოეს დროში.

დაისტამბა გამომცემლობა "ლეგას" სტამბაში
თბილისი, სანდრო ეულის 3, 31-74-08